მიხეილ რეხვიაშვილი

იმერეთის სამეფო

(1462—1810 წწ.)

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1989

63. 32 Г
რ 522

ავტორი აღწერს მთლიანი ქართული სახელმწიფოს დაშლას ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებად და იმერეთის სამეფოს წარმოშობას, მის ისტორიას სამეფოს დაარსებიდან რუსეთთან შეერთებამდე.

წიგნი განკუთვნილია ისტორიკოს-სტუდენტთა, ასპირანტთა, საქართველოს ისტორიის მასწავლებელთა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი ისტ. მეცნ. დოქტორი ქ. ჩხატარაიშვილი

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. დოქტ. პროფ. შ. ხანთაძე

ისტ. მეცნ. დოქტ. ზ. ცქიტიშვილი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1989.

Р $\frac{0503020906}{М\ 608\ (06)—89}$

ISBN 5-511-00277-1

„საქართველო თავად ცოტა იყო და მერე მრავლათ გაყოფილი და ერთმანეთის ურჩი და ქიშპნი მტერნი, ერთმანეთისა მარბევნი და მაწყინარნი და იესოს ქრისტეს რჯული ეჭირათ. ამისათვის იქით ურუმნი არბევდეს და აქეთ ყიზილბაშნი და ამისთანას ორს დიდ ხელმწიფეებს შუაში ბევრს ევადნეს, აქეთ იქნიეს ხმალი და იქით და მრავალი ნავნებიც ქნეს, მაგრამ არ იქნა და ვერცა რას თავს გაუვიდნენ.“

ფარსადან გორგიჯანიძე

„საქართველოს დარბაისელნი... არც ერთმანეთს ასვენებდნენ და არც ქვეყანასა და ამით მტერმა უფრო ძალა წამოატანა და დაჩაგრა, თორემ თუ ამათ ერთი პირი ჰქონოდათ, ვერცარას უზამდნენ, ვერც არას სხვა მტერი წაართმევდა რასმე, ამათი საქმე ნიადაგ ასე ერთმანეთის მესისხლეობით გათავებულა და წამხდარა, მაგრამ ამ საქმეს არც მოკლებიან და არც მოუშლიათ“.

ყანჩაეთის ეამნგულანიდან.

ეუძღვნი შოთა მეხხიას
ნათელ ხსოვნას

შესავალი

მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო საბოლოოდ დაიშალა და დაიყო რამდენიმე ცალკეულ სამეფო-სამთავროდ. ერთ-ერთი ასეთი ქართული სამეფოთაგანი იყო დასავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული იმერეთის სამეფო, რომელმაც მეტ-ნაკლებად დამოუკიდებლად იარსება მე-15 საუკუნის ბოლოდან ვიდრე მე-19 საუკუნის დასაწყისამდე, როდესაც იგი შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში იმერეთის სამეფოს შესახებ შეიქმნა მნიშვნელოვანი შრომები, რომლებიც ეხებიან საქართველოს ამ ნაწილის სოციალ-ეკონომიკურ ვითარებას, საერო და საეკლესიო ფეოდალურ სენიორიებს, ფეოდალური კლასის მდგომარეობას, სათავადოების სოციალ-პოლიტიკურ ისტორიას, საგარეო და საშინაო პოლიტიკური ისტორიის საკითხებს და სხვა.

მე-15—18 საუკუნეების იმერეთის სამეფოს სრული პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ისტორია დღემდე მთლიანად შესწავლილი არ არის, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულ საუკუნეებს და განსაკუთრებით მე-18 საუკუნეს მრავალი ცალკეული გამოკვლევა მიეძღვნა, რომლებშიც გამოთქმულია საყურადღებო მოსაზრებანი და გაანალიზებულია მნიშვნელოვანი ფაქტები.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მე-15—18 ს-ის იმერეთის პოლიტიკური, კულტურული და სოციალ-ეკონომიკური ისტორიის შესწავლის ცდას. იგი დაწერილია პირველწყაროებსა, უცხოენოვან წყაროებსა და არსებულ გამოკვლევებზე დაყრდნობით.

შესწავლილია დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების პოლიტიკური ურთიერთობა, ფარული და აშკარა ბრძოლა ჰეგემონობისათვის, მათი გაერთიანებული ბრძოლა ირან-ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ და პირიქით, ზოგიერთი მთავრისა თუ ფეოდალის ღალატი და აგრესორის დახმარებით თანამოძმეთა ხარჯზე თავისი ძლიერებისა და კეთილდღეობისაკენ სწრაფვა.

განხილულია ოსმალთა ლაშქრობები დასავლეთ საქართველოში და ქართველი ხალხის შეიარაღებული ბრძოლა აგრესორის წინააღმდეგ, იმერეთის მეფეების დიპლომატიური მოლაპარაკებანი აგრესორთან.

გაშუქებულია, თუ რაოდენ მწვავედ იდგა საქართველოს საკითხი ირან-ოსმალეთის ურთიერთობაში; როგორ ცდილობდნენ ქართველი პოლიტიკოსები თავისი ქვეყნის სასარგებლოდ გამოეყენებინათ ამ დიდ სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობანი.

გადმოცემულია მეფე-მთავართა თუ ფეოდალთა დაუსრულებელი შინა ქიშპი, მტრობა და ურთიერთბრძოლა, რაც მეტად ასუსტებდა მათ ძალებს.

ვრცლადაა განხილული მე-17 საუკუნის დასაწყისიდან მეფე-მთავართა მიერ რუსეთის სახელმწიფოსთან კავშირის დამყარების ცდა, რასაც პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ იმერეთის მეფეები რუსეთთან ურთიერთობას მაინც იმედის თვალით შეჰყურებდნენ.

იმერეთის ისტორია საქართველოს მთლიანი სამეფოდან გამოყოფით დაწყებული რუსეთთან შეერთებამდე (1462 — 1810 წწ) გაპირობებული იყო თავისებური საგარეო და შინაგითარებით, რაც ხშირად არსებითად განსხვავდებოდა საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილის პოლიტიკურ ერთეულთა (ქართლისა და კახეთის სამეფოების) მდგომარეობისაგან, ამიტომ ამ ისტორიის ცალკე გადმოცემა სრულიად აუცილებელია ჩვენი სამშობლოს მთლიანი ისტორიის შესწავლის მიზნით.

იმერეთის სამეფოს ისტორია მოიცავს მე-15—18 სს. ჩვენ წლების განმავლობაში ვსწავლობდით ამ დასავლეთი ქართული პოლიტიკური ერთეულის ისტორიას, უკვე გამოქვეყნდა სამი წიგნი: 1. იმერეთის ისტორია მე-16 საუკუნეში (პოლიტიკური ისტორია, 1976 წ), 2. დასავლეთი საქართველო მე-17 საუკუნეში (ნარკვევები, 1978 წ) და 3. იმერეთი მე-18 საუკუნეში (ნარკვევები, 1982 წელი).

აღნიშნული წიგნების გამოსვლამ მკითხველი საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია.

რა თქმა უნდა, ჩვენი წიგნები, როგორც პირველი ცდა გადმოცემული ყოფილიყო იმერეთის ისტორია სამნახევარი საუკუნის მანძილზე, არ იყო თავისუფალი უზუსტობათა და ხარვეზებისაგან. ჩვენ მადლობით მივიღეთ გამოთქმული შენიშვნები და ვეცადეთ გადაგვემუშავებინა ნარკვევები და ერთ წიგნად მიგვეწოდებინა მკითხველისათვის. წიგნი დაეხმარება როგორც სტუდენტ ახალგაზრდებს საქართველოს ისტორიის დაუფლების საქმეში, ისე მასწავლებლებს თავიანთ პედაგოგიურ მუშაობაში, აგრეთვე საინტერესო იქნება მკითხველთა ფართო წრისათვის.

იმერეთის ისტორიის ცალკეული საკითხები საფუძვლიანად შესწავლილია ჩვენი ისტორიკოსების მონოგრაფიებში. მაგალითად, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა ო. სოსელიამ[1] დიდი წვლილი შეიტანა იმერეთის სამეფოში სოციალური ურთიერთობის საკითხების შესწავლაში, მის შრომებში განხილულია სათავადოების სისტემა დასავლეთ საქართველოში, წარმოჩენილია ის წანამძღვრები, რომლებმაც განაპირობებს სათავადოების წარმოქმნა და მისი თავისებურებანი. ამომწურავად შესწავლილია სათავადოთა სოციალ-პოლიტიკური სტრუქტურა, ფეოდალური საკუთრების ფორმები, ნაჩვენებია სათავადოსათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი.

დიდი დახმარება გაგვიწია საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის მამია დუმბაძის კაპიტალურმა შრომამ „დასავლეთ საქართველო მე-19 ს. პირველ ნახევარში“,[2] სადაც მდიდარი მასალის საფუძველზე საკითხები მარქსისტული თვალთახედვით არის გაშუქებული.

საინტერესო შრომები გამოაქვეყნა შ. ბურჯანაძემ მე-18 საუ-

---

[1] ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან. თბ. 1966; ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ. 1973; ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), თბ. 1981; სამეგრელოს სამთავროს წარმოშობის თარიღისათვის, მიმომხილველი, II, თბ. 1951.

[2] მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო მე-19 ს. პირველ ნახევარში, თბ.. 1957.

კუნის მეორე ნახევრის იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ ისტორიაზე.[1]

დიდი მნიშვნელობისაა მ. სვანიძის მონოგრაფია „საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან მე-16—მე-17 სს“;[2] მონოგრაფიაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი იმერეთის ისტორიის საკითხებს, კერძოდ ოსმალთა პოლიტიკას დასავლეთ საქართველოს მიმართ და ქართველი ხალხის ბრძოლას ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ.

საინტერესოა ზ. ცქიტიშვილის ნაშრომი[3] სადაც გადმოცემულია მე-18 ს. II ნახევრისა და მე-19 ს. დამდეგის ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების გამოჩენილი მოღვაწეების: მაქსიმე კათალიკოსის, დავით კვინიხიძის, სოლომონ ლიონიძის და სულხან თუმანიშვილის სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეობა.

ჩვენთვის ერთ-ერთ დასაყრდენ შრომას წარმოადგენდა „საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV ტომი“,[4] სადაც ადგილი აქვს დათმობილი მე-16—მე-18 საუკუნეების იმერეთის სამეფოს სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ისტორიის საკითხების გადმოცემას. აღნიშნული შრომის ავტორია ქვ. ჩხატარაიშვილი.

იმერეთის სამეფოს ისტორიას გარკვეული ადგილი უკავია აკად. ნ. ბერძენიშვილის განმაზოგადებელ ნაშრომში, რომელიც გამოქვეყნდა მისი გარდაცვალების შემდეგ (საქართ. ისტორიის საკითხები, წიგნი მე-6), ასევე ცალკეულ წერილებში და მისი რედაქციით გამოქვეყნებულ საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოში (1958 წ.).

საინტერესო შრომები გამოაქვეყნეს მ. სანაძემ,[5] მ. გონიკაშ-

---

[1] შ. ბ ურ ჯ ა ნ ა ძ ე, სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი (1752 — 1768 წწ), თსუ შრომები, ტ. 41, 1950; იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიისათვის 1784 — 1789 წწ. საქ. მეც. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. II, 1960; იმერეთის სამეფო 1768—1784 წლებში, იქვე, ტ. III, 1961; იმერეთის სამეფოს საშინაო პოლიტიკა 1782—1802 წლებში, იქვე, ტ. 4, 1962; ლიხთიმერეთის 1737 წლის რუკა როგორც ფეოდალური საქართველოს ისტორიის პირველწყარო, იქვე, ტ. I, 1959.

[2] მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ. 1971.

[3] ზ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სახელმწიფო მოღვაწენი. მე-18 ს. II ნახევარი მე-19 ს. დამდეგი, თბ. 1980.

[4] ქ. ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი, იხ. წიგნში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV თბ. 1973.

[5] მ. ს ა ნ ა ძ ე, გლეხობა დასავლეთ საქართველოში მე-15 — მე-18 ს-ში, თბ. 1979.

ვილმა,[1] გ. მეტრეველმა[2] და სხვებმა. მე-18 საუკუნის იმერეთის სამეფოზე ანოტირებული მასალები აქვს გამოქვეყნებული იასე ლორთქიფანიძეს.[3]

დიდია პროფესორ სარგის კაკაბაძის ღვაწლი იმერეთის ისტორიის საკითხების შესწავლაში. მის მიერ გამოცემული დოკუმენტური მასალები (სიგელ-გუჯრები) და მეცნიერული გამოკვლევები შეიცავენ ფეოდალური საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის ძვირფას მასალას.

საქართველოს ისტორია ხასიათდება როგორც განვითარების აღმავალი და შედარებით ნორმალური მსვლელობით, ისე გარკვეული პერიოდიდან, პროგრესულ განვითარებათა შეფერხებით და ხშირად უკუსვლითაც. განვითარების ნორმალური გზიდან აცდენა კონკრეტული ისტორიული პირობების შედეგი იყო და მას მოჰყვა საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს დაშლა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად. ერთ-ერთი ასეთი ქართული სამეფოთაგანი იყო დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული იმერეთის სამეფო, რომელმაც მეტ-ნაკლებად დამოუკიდებლად იარსება XV საუკუნის ბოლოდან ვიდრე XIX საუკუნის დასაწყისამდე, როდესაც იგი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იქნა შეყვანილი.

თანამედროვე ქართულ მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში იმერეთის სამეფოს ისტორიული განვითარების შესახებ შეიქმნა მნიშვნელოვანი შრომები, რომლებიც ეხებიან საქართველოს ამ ნაწილის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის ცალკეულ მხარეებს, მაგალითად, გლეხთა სოციალურ-ეკონომიურ კატეგორიებს, საერო და საეკლესიო ფეოდალურ სენიორიებს, ფეოდალური კლასის მდგომარეობას, სათავადოების სოციალ-პოლიტიკურ ისტორიას და სხვა.

საგარეო და საშინაო პოლიტიკური ისტორიიდან შესწავლილია ცალკეული კონკრეტული საკითხები; განმაზოგადებელ შრომებში (სახელმძღვანელოებში, „ნარკვევებში") შედარებით მოკლედაა მიმოხილული XVI—XVII საუკუნეების იმერეთის ისტორიის საკითხები.

---

[1] მ. გ ო ნ ი ა ა შ ვ ი ლ ი, იმერეთი მე-18—მე-19 საუკუნეთა მიჯნაზე, თბ. 1979.

[2] გ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, იმერეთის სამეფო მე-18-ის მეორე ნახევარში, სამთავროებთან მიმართებაში.

[3] ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, მასალები საქართველოს ისტორიისათვის, (მე-18 საუკუნე), წიგნში მსდკ, II, თბ. 1940.

XVI—XVIII საუკუნეების ფეოდალური საქართველოს ერთი ნაწილის — იმერეთის სამეფოს სრული პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ისტორია დღემდე შესწავლილი არ არის, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულ საუკუნეებს მრავალი ცალკეული გამოკვლევა მიეძღვნა, რომლებშიც გამოთქმულია საყურადღებო მოსაზრებანი და გაანალიზებულია მნიშვნელოვანი ფაქტები.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს XVI—XVIII საუკუნეების იმერეთის პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ისტორიის შესწავლის ცდას. იგი დაწერილია პირველწყაროებსა, უცხოენოვან წყაროებსა და არსებულ გამოკვლევებზე დაყრდნობით.

შრომაში შესწავლილია დასავლეთი საქართველოს სამეფო-სამთავროების პოლიტიკური ურთიერთობის ფორმები, ურთიერთშორის ფარული და აშკარა ბრძოლა ჰეგემონობისათვის, მათი გაერთიანებული ბრძოლა ირან-ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ და პირიქით, დრო და დრო თითოეული მთავრისა თუ ფეოდალის ღალატი და აგრესორის დახმარებით თანამოძმეთა ხარჯზე თავისი ძლიერებისა და კეთილდღეობისაკენ სწრაფვა.

შრომაში განხილულია დასავლეთი საქართველოს სამეფო-სამთავროების პოლიტიკური ურთიერთობა ოსმალეთთან, ოსმალთა ლაშქრობები დასავლეთ საქართველოში და ქართველი ხალხის შეიარაღებული ბრძოლა აგრესორის წინააღმდეგ; გაშუქებულია, თუ რაოდენ მწვავედ იდგა საქართველოს საკითხი ირან-ოსმალეთის ურთიერთობაში, როგორ ცდილობდნენ ქართველი პოლიტიკოსები თავისი ქვეყნის სასარგებლოდ გამოეყენებინათ ამ დიდ სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობანი.

მონოგრაფიაში მოცემულია ქართველ მეფე-მთავართა თუ ფეოდალთა დაუსრულებელი შინა ქიშპი, მტრობა და ურთიერთბრძოლა, რაც მეტად ასუსტებდა მათ ძალებს, ვრცლადაა განხილული XVII საუკუნის გარიჟრაჟზე დასავლეთი საქართველოს მეფე-მთავართა მიერ რუსეთის სახელმწიფოსთან კავშირის დამყარების ცდა, რასაც პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ იმერეთის სამეფოს პოლიტიკური მესვეურნი XVIII საუკუნეში და განსაკუთრებით მის მეორე ნახევრიდან რუსეთთან ურთიერთობას იმედის თვალით შეჰყურებდნენ. ადრე ქართველი მეფეების მიერ შემუშავებული ფორმულა, რომ თავისუფლება მოვიდოდა ჩრდილოეთიდან და საქართველოს „აღდგომა-გამოხსნა“ მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა, XVIII საუკუნის II ნახევარში ისევ გაცოცხლდა და გაბატო-

ნებული ადგილი დაიკავა პროგრესულად მოაზროვნე ქართველთა პოლიტიკურ ორიენტაციაში.

ამ დროს „აღმოსავლეთის საკითხით“ დაინტერესებული რუსეთი კავკასიის ქედს აქეთ საიმედო დასაყრდენს ეძიებდა. ასე დაიწყო ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ახალი ეტაპი — რუსეთის დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოსთან.

ამ დიპლომატიური ურთიერთობის გაცხოველებას შედეგად მოჰყვა 1783 წლის ტრაქტატი აღმოსავლეთ საქართველოსთან. იმერეთის მეფეები სოლომონ I, დავით გიორგის ძე და სოლომონ II დაჟინებით თხოვდნენ რუსეთის საიმპერატორო კარს 1783 წლის ტრაქტატის მსგავსი ხელშეკრულების გაფორმებას, რომლის ძალითაც იმერეთი რუსეთის მფარველობაში შევიდოდა.

მართალია, დასავლეთი საქართველო რამდენიმე პოლიტიკურ ერთეულს შეიცავდა, რომლებიც დამოუკიდებლობისა და თვით ჰეგემონობისაკენაც კი მიისწრაფოდნენ, მაგრამ იმდენად მჭიდროდ იყვნენ ურთიერთდაკავშირებულნი როგორც საგარეო, ისე საშინაო პირობებით, რომ თითოეული მათგანის ცალკეული ისტორიის გადმოცემა მეტად არასრულ სურათს მოგვცემდა და ცალმხრივ წარმოდგენას შეგვიქმნიდა მათ შესახებ.

ამით არის გამოწვეული, რომ წინამდებარე ნაშრომში მოცემულია ცდა დასავლეთი საქართველოს ისტორიის ერთობლივი მიმოხილვისა, ამიტომ წიგნი შეიცავს მეტ მასალას, ვიდრე მისი სახელწოდების ქვეშ იგულისხმება.

ნაწილი პირველი

XVI საუკუნე

ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლა და იმერეთის სამეფოს წარმოქმნა

მე-15 საუკუნის II ნახევარში საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო საბოლოოდ დაიშალა და დაიყო რამდენიმე სამეფო-სამთავროდ. აკად. ივ. ჯავახიშვილის დასკვნით „საქართველოს დაყოფა სამეფოებად და სამთავროებად ხანგრძლივი პროცესისა და ბრძოლის შემდეგ მომხდარა. ამასთანავე ერთბაშად კი არა, არამედ თანდათანობით. პირველად სამცხე-საათაბაგო ჩამოშორდა, შემდეგ სამეგრელო-აფხაზეთი და გურია, მერე კახეთის სამეფოც დაარსდა მალე ქართლი და იმერეთიც ცალკე სამეფოებად გაიყვნენ, მაგრამ ეს მდგომარეობა საბოლოო არ ყოფილა: ბრძოლა საქართველოს მთლიანობის აღსადგენად შემდეგშიაც არ შეწყვეტილა. ამიტომ საქართველოს პოლიტიკური სურათი ცვალებადი იყო და ახლად შექმნილი ერთეულების სივრცე-საზღვრებიც მრავალჯერ შეცვლილა“[1].

ცნობები საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შესახებ მოგვეპოვება მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში შექმნილ საისტორიო თხზულებებში. ეს თხზულებებია: ბერი ეგნატაშვილის მეთაურობით შედგენილი ე. წ. „სწავლულ კაცთა კომისიის“ კოლექტიური ნაშრომი, რომელიც ქართლის ცხოვრების უკანასკნელ გამოცემაში შეტანილია სათაურით: „ახალი ქართლის ცხოვრება. პირველი ტექსტი“[2], უცნობი ავტორების მიერ შედგენილი „ახალი ქართლის ცხოვრება. მეორე ტექსტი“[3], „ახალი ქართლის ცხოვრე-

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. 4, თბ., 1967, გვ. 96.

[2] ბერი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, ახალი ქართლის ცხოვრება [ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 326—442.]

[3] ახალი ქართლის ცხოვრება, მეორე ტექსტი [ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 443—476.]

ბა, მესამე ტექსტი"[1] და ვახუშტი ბაგრატიონის ფუნდამენტური შრომა „აღწერა სამეფოჰასა საქართველოჰასა"[2].

ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში კახეთში ყოფილა დაცული გადმოცემა, რომ ალექსანდრე პირველმა (1412 — 1442 წწ.) საქართველო თავის შვილებს დაუნაწილა: ერთს მისცა კახეთი, მეორეს — ქართლი და მესამეს — იმერეთი. თითქოს ამის ნიადაგზე წარმოქმნილიყოს სხვადასხვა სამეფოები. ამ აზრს ავითარებდა კახეთის მეფე ალექსანდრე II რუს ელჩებთან საუბარში 1589 წელს[3].

სწავლულ კაცთა კომისია აღიარებს, რომ ალექსანდრესა და კონსტანტინეს მეფობის დროს „არღარა იცველებოდა ერისთავნი და არცა თავადნი, ყოველნივე ხევსა და სანახებსა და თემთა და ადგილთა მკვიდრ ქმნილიყვნენ, და, ვისცა მამულსა მისცემდა, მკვიდრად მიეცემოდა. და ყოველნივე ძლიერ იყვნეს: მთავარნი, ერისთავნი და თავადნი.

ხოლო ამა ალექსანდრესა და კონსტანტინესა ჟამში განდგნენ იმერელნი, ოდიშარნი და გურიელნი, და არღარა მორჩილებდა ათაბაგი, და განდგა კახეთი".[4]

სწავლულ კაცთა კომისიის წარმოდგენით ამ დროს ცენტრი უკიდურესად დასუსტებულია. მას აღარ შეუძლია ერისთავთა და მთავართა შეცვლა. კომისიის წევრები დაშლის ფაქტს თავისებურად განმარტავენ, მათთვის უცნობია იმერეთისა და კახეთის მეფის წარმომავლობა.

„ხოლო ესე ვერა ვსცანით, თუ ბატონი იმერეთისა და კახეთისა, რომლისა თესლისაგან არიან, და ანუ ვითარ უპყრიესთ ქვეყანანი იგი"[5] ე. ი. სწავლულ კაცთა კომისია ვერ არკვევს იმერეთისა და კახეთის მეფეების ჩამომავლობას, მაგრამ მათ შრომას იქვე ახლავს შენიშვნა უცნობი ავტორისა, რომ „ეგნატაშვილს მტერობა უმგარი სიცრუე იმას, რომ იმერთა და კახთა... ჭეშმარიტად მეფენი არიან და ბაგრატოანნი".[6]

სწავლულ კაცთა კომისია იქვე წერს: „ხოლო იმერეთისა რომელთამე თქუეს: „ოდეს მამა ალექსანდრესი ბაგრატ მეფე ჩავიდა

---

[1] ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი [ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 477 — 539.].

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა [ქართლის ცხოვრება, 4, თბ., 1973]. შემდეგში იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი.

[3] С. А. Белокуров. Сношения России с Кавказом, выпуск I, Москва, 1889, стр. 168—170.

[4] ბერი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 348;

[5] ი ქ ვ ე, გვ. 348, შენიშვნა № 4.

[6] იქვე, შენიშვნა 4.

იმერეთს, მაშინ თვისნი მისნი დაუტევა და მიერითგან ძენი მისნი არიანო.“ როგორც ვხედავთ, ეს გადმოცემაც ზეპირსიტყვიერებიდან მომდინარეობს და სწავლულ კაცთა კომისიას ხელთ საამისო არცერთი დოკუმენტი არა ჰქონია.

საქართველოს დაყოფა-დანაწილების საკითხით ვახუშტი ბაგრატიონიც იყო დაინტერესებული. მან სწავლულ კაცთა კომისიისაგან სრულიად განსხვავებული დებულებანი წამოაყენა.

ვახუშტი ბაგრატიონმა უარყო კახეთში გავრცელებული გადმოცემა მეფე ალექსანდრეს მიერ საქართველოს დაყოფის შესახებ. მისი აზრით, ალექსანდრე მეფეს არ შეეძლო საქართველოს დანაწილება თუნდაც იმიტომ, რომ „არ იყო ჩვეულება მეფეთა და უფროსლა ბაგრატიონთა შინა, რათამცა განხეთქილება ექმნათ სამეფოსა, გარნა უფროს განუხეთქელობასა მცდელობდნენ და არცა რიდებდნენ სისხლთა, ვითარცა საჩინო არს“[1]. ვახუშტი დასძენს, რომ თუ კი მაინც და მაინც რომელიმე პროვინციას ჩააბარებდა მეფე თავის შვილებს ან ნათესავებს, ესენი მეფენი კი არ იყვნენ, არამედ ერისთავებიო.[2]

ვახუშტი ბაგრატიონი იმოწმებს მის ხელთ არსებულ სიგელ-გუჯრებს და ასკვნის, რომ საქართველოში „ბრწყინვალე გიორგიდამ, ვიდრე გიორგი ალექსანდრეს ძისამდე იყო ერთმეფობა, გუჯართა, სიგელთა და ქორონიკონთა მოწმობითა“.

ვახუშტი ყველა საწინააღმდეგო მოსაზრებას აკრიტიკებს და უარყოფს. იგი ამბობს: საქართველოს დაშლა-დანაწილება მოხდა გიორგი ალექსანდრეს ძის დროსო[3].

გიორგი მე-8 დროს ცენტრალურ ხელისუფლებას უფრო მეტად დაეტყო დასუსტება. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ მთავრები აღარ ემორჩილებიან მეფეს და იწყება ბრძოლა მათ შორის.

ვახუშტის გადმოცემით, სამცხის ათაბაგი ყვარყვარე გიორგი მეფის უკმაყოფილო იყო (ვინაიდან გიორგიმ თავდაპირველად მხარი დაუჭირა ყვარყვარეს მეტოქეს ათაბაგის ტახტზე — აღბუღას); ამიტომ იგი იმერეთის ერისთავს ბაგრატს უკავშირდება და ასეთ გეგმას შესთავაზებს: თუ ბაგრატი გიორგი მეფეს აუჯანყდება, იგი ბაგრატს დაახმარს გურიელს, დადიანს და სვანთა ერისთავს; გამარჯვების შემთხვევაში მან მთავრები უნდა გაათავისუფლოს სამეფო ვალდებულებისაგან. ბაგრატი ამ პირობაზე თანხმდება.

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, ქართლის ცხოვრება, II, 1854, გვ. 101.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 283.

1462 წელს ჩიხორს (იმერეთში)[1] მოხდება გადამწყვეტი ბრძოლა მეფე გიორგი მე-8 და ბაგრატ იმერთა ერისთავს შორის. ამ ბრძოლაში გიორგი მეფე მარცხდება, ხოლო ბაგრატი გამარჯვებული მოვიდა ქუთაისს, „აქა მოერთვნენ დადიან-გურიელი, აფხაზნი და სვანნი და აკურთხეს, სრულიად იმერთა სათნო ჩინებითა, მეფედ.[2] აღასრულა მთავართა მათ აღქმული თავისი და განთავისუფლდნენ, თვინიერ ლაშქრობისა და ქვეგანწესებისა მეფისა და იქმნა იმერეთი მიერით ერთ მეფედ და ოთხ სამთავროდ ანუ სათავადოდ, რამეთუ მიიღო დადიანმან ოდიში, გურიელმან გურია, შარვაშიძემ აფხაზნი და ჯიქნი, და გელოვან სვანეთი“.[3]

1462 წლიდან მთავრები მეფეს ფაქტიურად აღარ ემორჩილებიან, მეფის დამოკიდებულება მთავრებთან მხოლოდ „ლაშქრობასა“ და „ქვეგანწესებაში“ გამოიხატება. ამდენად, აღნიშნავს აკად. ნ. ბერძენიშვილი, ბაგრატის გამარჯვება ჩიხორთან „იყო არა ლიხთიქითის ტახტის, არამედ ლიხთიქითის მთავართა გამარჯვებაო“[4].

ამრიგად, ჩიხორის ბრძოლის შემდეგ დადიანმა, გურიელმა, შერვაშიძემ და გელოვანმა კიდევ ერთ დიდ წარმატებას მიაღწიეს. ვახუშტის გაგებით, ეს ნიშნავდა დასავლეთ საქართველოში ოთხი სამთავროს ჩამოყალიბებას, მაგრამ სანამ მათ მართებთ მეფის მიმართ „ლაშქრობა“ და „ქვეგანწესება“, ჯერ კიდევ არ არიან სრული დამოუკიდებელი მთავრები. მთავრები აგრძელებენ ბრძოლას სრული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ეს ბრძოლა შემდეგ საუკუნეებშიც გრძელდება.

სანამ ჩიხორის ბრძოლა მოხდებოდა, მანამდეც მწვავე ბრძოლები ჰქონიათ გიორგი მეფესა და ბაგრატს. ზევდგინიძიანთ მოხსენებაში ნათქვამია, რომ „გიორგი მეფემ ქუთაისი წაართო ბაგრატს“.

---

[1] ს. ხოსიტაშვილი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ჩიხორის ბრძოლა მოხდა სამცხეში მდებარე ჩიხორში (იხ. მაცნე, № 6, 1970, გვ. 43). მას რაიმე ახალი დამტკიცებითი წყარო არა აქვს, გარდა იმისა, რაც ივ. ჯავახიშვილს ჰქონდა ხელთ. მას საბუთად მხოლოდ ის მოაქვს, რომ სამცხეშიც არის ადგილი „ჩიხორიშის“ სახელით.

ივ. ჯავახიშვილმა შეაჯამა ყველა ის წყარო, სადაც მოცემულია ცნობები ჩიხორის ბრძოლის შესახებ და დაამტკიცა, ვფიქრობთ დამაჯერებლად, რომ ბრძოლა მოხდა იმერეთში მდებარე ჩიხორში (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 4, გვ. 83). ამ აზრს იზიარებს ჯ. ოდიშელიც (იხ. ჯ. ო დ ი შ ე ლ ი, მცირე ქრონიკები, 1958, გვ. 98 — 99).

[2] ბაგრატ ერისთავს იმერეთის სამეფო ტახტზე ასვლის შემდეგ მეფე ბაგრატს II-ს ვუწოდებთ. მისგან იწყება იმერეთის მეფეების სია.

[3] ვახუშტი, გვ. 806.

[4] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, 2, თბ., 1965, გვ. 13.

აკად. ნ. ბერძენიშვილი განმარტავს, რომ „წაართო“ იმას გული ხმობს, რომ ბაგრატს დაპყრობილი კი არ ჰქონია ქუთაისი, არამედ მიღებული ჰქონია მეფისაგან“[1]. იმავე ზევდგინიძიანთ მოხსენ- დან ირკვევა, რომ მეფე გიორგისა და ბაგრატს შორის 1453—1 წლებში ბრძოლა მომხდარა, ამ ბრძოლაში გიორგი მეფე დამა- ცხებულა, ნ. ბერძენიშვილი ასკვნის, რომ აღნიშნული წლიდან ბაგრატი მეფედ იწოდებოდა[2] და ჩიხორის ბრძოლამდე მეფის ტი- ტულს ატარებდა[3].

ამას ადასტურებს ლათინურად შენახული ცნობაც; დასავლეთ ევროპაში 1460 წელს საქართველოდან მისულ დესპანებს ანტიოს- მალურ კოალიციაში მონაწილეთა შორის დაუსახელებიათ აგრეთვე „ბაგრატ იბერთა (მეფე), რომელნიც აწ გიორგიანებად (ე. ი. ქარ- თველებად) იწოდებიანო“.[4]

ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ მე-14 — 15 საუკუნეებში როცა „გახელმწიფდეს დიდებულნი“ და „მეფეთა ადგილთა მჯდომ“ მოსაკარგავემ „კნინღა მეფობა იკადრა“, ალასტანელი უფლისწუ- ლი, სრულიად ბუნებრივია, „ბატონიშვილობას აღარ სჯერდება და „მეფობას მიიტაცებს... განსხვავებით სხვა ფეოდალ მთავართაგან თავიანთ თავს „მეფედ“ უწოდებენ“.[5]

ასეთი მეფეები მე-14 — 15 საუკუნეებში ბევრნი არიან და რომ პრინციპულად ამავე კატეგორიისაა ლიხთიქითის „მეფეთა“ საკითხიცო, დასძენს ნ. ბერძენიშვილი.[6]

ივანე ჯავახიშვილმა შენიშნა, რომ უკვე ალექსანდრე პირველის მეფობის დროიდან სამეფო სახლის წევრები, მეფის ძმები და შვი- ლები აქტიურად ერეოდნენ სახელმწიფო საქმეებში.[7] მთავართა გან- დგომის საწინააღმდეგო ერთ-ერთი ღონისძიება იყო ცენტრალური ხელისუფლების მიერ ურჩ მთავართა მაგივრად სამეფო სახლის წევრთა დანიშვნა. ამასთან დაკავშირებით ნ. ასათიანი შენიშნავს „ბუნებრივია, რომ ქვეყნის ამა თუ იმ ნაწილში, როგორც ადგილ- ზე გამრიგე მოხელენი, აღმოჩნდებიან სამეფო სახლის წევრები.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, 2, თბ., 196.

[2] იქვე, გვ. 129.

[3] იქვე, გვ. 127.

[4] მ. თამარაშვილი, კათოლიკობა ქართველთა შორის, 1902, გვ. 6 იხ. აგრეთვე ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 4, 1967, გვ. 9

[5] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, II, 196 გვ. 133—134.

[6] იქვე, გვ. 135.

[7] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია, მე-11 — 15 საუკუნეებ თბ., 1949, გვ. 231.

მეფეს თითქოს საწინააღმდეგო არაფერი უნდა ჰქონდეს, რომ მთავართა თუ ერისთავთა ადგილას მისი უახლოესი ნათესავები, შვილები თუ ძმები, ისხდნენ, ნათესაობა უფრო მტკიცე გარანტია უნდა ყოფილიყო იმისა, რომ შენარჩუნებული იქნებოდა ქვეყნის ამ ნაწილების ერთგულება ცენტრალური ხელისუფლებისადმი. ამ თვალსაზრისით მეფეთა-მეფის მიერ საქართველოს ცალკეულ ხაფილების „მინებება“ ასეთი მცირე მეფეებისადმი სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ ამით იგი საქართველოს დაშლას აკანონებდა. პირიქით, ეს ღონისძიება მიმართული იყო ადგილობრივ ერისთავთ-ერისთავთა თუ მთავართა მიერ ხელისუფლების უზურპაციის წინააღმდეგ“[1]. სამწუხაროდ მეფის ოჯახის წევრები, როგორც კი ხელში ჩაიგდებდნენ ამა თუ იმ მხარეს, გარკვეული პირობების შექმნისთანავე, თავიანთ თავს მეფედ აცხადებდნენ[2]. ამის მაგალითს თვით ბაგრატ მე-6 მოქმედება წარმოადგენს.[3]

მე-15 საუკუნის 50-იანი წლების საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას 1459 წელს საქართველოდან დასავლეთ ევროპაში გაგზავნილი ეპისტოლეებიდანაც ვგებულობთ.

სამცხის მთავარს ყვარყვარე ათაბაგს თავისი თავი იმდენად დამოუკიდებლად მიაჩნდა გიორგი მეფისაგან, რომ უცხოეთში საკუთარ დესპანებს გზავნიდა და მიწერ-მოწერასაც დამოუკიდებლად აწარმოებდა.

ბედიანი, რომელიც სამეგრელო-აფხაზეთის მთავრად ითვლებოდა, იმდენად დიდი უფლებებით ყოფილა მოსილი, რომ მეფედაც კი იწოდებოდა.[4]

---

[1] ნ. ასათიანი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიიდან, თსუ შრომები, ტ. 78, 1963, გვ. III.

[2] ჯ. ოდიშელი, აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის მე-14—17 სს, მე-14—18 სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964, გვ. 81.

[3] ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში (ქართლის ცხოვრება, ვახუშტი ბაგრატიონი, იე. ჯავახიშვილი, ს. კაკაბაძე, ნ. ბერძენიშვილი და სხვები) ბაგრატ მე-6 მამისშვილობის (ჩამომაველობის) შესახებ განსხვავებული მოსაზრებანია გამოთქმული. უკანასკნელ ხანს მკვლევარმა ელ. მეტრეველმა იერუსალიმის აღაპების მონაცემების მიხედვით წამოაყენა მოსაზრება, რომ ბაგრატ მე-6 უნდა იყოს შვილი ალექსანდრე I-ის ძმის გიორგისა (იხ. ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, 102; მისივე, იერუსალიმის რამდენიმე ქართული მონასტრის დათარიღების ცდა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, 4, თბ., 1962, გვ. 226—227).

[4] იე. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია ტ 3, თბ., 1967, გვ. 65.

დასავლეთ ევროპაში გაგზავნილ ეპისტოლეში გურიაც ცალკე ერთეულად იხსენიება, თუმცა ბედიანს და გურიელს ცალკე დესპანები არ გაუგზავნიათ ევროპაში.

ზემოთ აღნიშნულის გაანალიზების შედეგად ივ. ჯავახიშვილი შემდეგ დასკვნას აკეთებს: „თუმცა გიორგი მეფე თავის თავს საქართველოს გამაერთიანებელ მეფეს უწოდებს, მაგრამ ნამდვილად არც სამეგრელო-აფხაზეთი, არც გურია და არც სამცხე-საათაბაგო პირდაპირ მას აღარ ემორჩილებოდა. მაშასადამე, მისი სამეფო მხოლოდღა იმერეთს, ქართლსა და ქიზიყ-კახეთს მოიცავდა. ამგვარად აშკარა ხდება, რომ შავ ზღვას გიორგი მეფის საბრძანებელი ჩამოშორებული ყოფილა"[1].

ევროპიდან დაბრუნებული დესპანების ცნობამ, რომ კოალიციის შექმნას განხორციელება არ ეწერა, საქართველოს მეფე-მთავრებს შორის ისევ ომი გამოიწვია. პირველი ათაბაგი იყო, რომელმაც ომი გააჩაღა და 1465 წელს ფარავანთან საქართველოს მეფე გიორგი მე-8 ტყვედ ჩაიგდო ხელში. ამ მდგომარეობით ისარგებლა ბაგრატ II იმერთა მეფემ. ის ქართლში გადმოვიდა, სადაც, როგორც ჩანს, ბევრი მომხრეები ჰყავდა და თავი საქართველოს მეფედ გამოაცხადა ბაგრატ VI-ის სახელწოდებით.

ათაბაგი მიხვდა თავის შეცდომას, რომ სუსტი მეფის ნაცვლად ტახტი ხელში ჩაუგდო ძლიერსა და უფლებამოყვარე ბაგრატს. იგი სასწრაფოდ ათავისუფლებს გიორგი მეფეს ტყვეობიდან, მაგრამ უკვე გვიანღაა. გიორგი მეფე ტახტისათვის ბრძოლაში უძლური აღმოჩნდა — საქართველოს სამეფო ტახტს ვეღარ იბრუნებს. იგი იძულებული გახდა კახეთში წასულიყო, სადაც მას, როგორც ჩანს, ფეოდალთა ფართო ფენა მხარს უჭერდა, მაგრამ ბრძოლა მაინც უხდება კახეთის მთავარ დავითთან. ამ ბრძოლაში გიორგი იმარჯვებს და 1466 წლიდან გიორგი მე-8 მხოლოდ კახეთის მეფობით კმაყოფილდება. ასე ჩაეყარა საფუძველი კახეთის დამოუკიდებელ სამეფოს.[2]

ბაგრატ მე-6-ს სამეფო მისი გამეფების მომენტში და შემდეგაც დიდად შემცირებული იყო და ერთიანი საქართველოს აჩრდილსღა წარმოადგენდა. ბაგრატის სამეფოს საზღვრავდა: დასავლეთით ცხენისწყალი, სამხრეთით — სამცხე-საათაბაგო, აღმოსავ-

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 4. თბ., 1967, გვ. 59.

[2] ნ. ა ს ა თ ი ა ნ ი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიიდან, თსუ შრომები, ტ. 78, 1963.

ლეთით — კახეთის სამეფო. ქვემო ქართლის მხარე, ე. წ. სომხითი, ლორეს ციხე უზუნ-ჰასანს ქონდა დაპყრობილი.[1]

ბაგრატის სამფლობელოს ჩამოცილებული იყო კახეთის სამეფო და სამცხე-საათაბაგო, ხოლო სამეფოს შიგნითაც ერთი დიდი სამთავრო განკერძოების გზაზე იყო შემდგარი. ამ სამთავროს, დასავლეთი საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ეჭირა და მაშინ საბედიანოდ იწოდებოდა.[2] საბედიანოში შედიოდა აფხაზეთი და სამეგრელო თავისი ზღვისპირა ქალაქებით: ცხუმი ანუ სევასტოპოლი (ეხლანდელი სოხუმი) და ფოთი.

საბედიანოს მთავარი ბაგრატს ემორჩილებოდა როგორც უზენაეს ხელმწიფეს.[3] ამრიგად, აკად. ივ. ჯავახიშვილი ასკვნის, რომ „ბაგრატ მეფის დროს საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა არსებითად თითქმის (კახეთის გამოყოფის გარდა) არ განსხვავდებოდა იმ მდგომარეობისაგან, რომელშიაც საქართველო გიორგი მეფის დროს იყო: მაშინაც მესხეთის მფლობელი ათაბაგი და სამეგრელოს მთავარი ბედიანი თავიანთ თავს საკმაოდ დამოუკიდებლად გრძნობდნენ და გამოცალკევებულნი იყვნენ. მაშასადამე, მცდარია ის შეხედულება, ვითომც ბაგრატ მეფის დროს მომხდარიყოს მთლიანი საქართველოს გამოყოფა სამ სამეფოდ და სამთავროებად. ბაგრატი მართლაც სხვებსავით ლიხთიმერეთისა და ლიხთამერეთის გამაერთიანებელი და ორსავე ტახტის მპყრობელი ყოფილა და, როცა თვითონ გაბატონებულა, უკვე საქართველოს დაყოფაზე არ უფიქრია“.[4]

1477 წელს უზუნ-ჰასანის შემოსევის შემდეგ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმე გახდა. შემდგომმა მოვლენებმა ნათლად დაადასტურა, რომ უზუნ-ჰასანის შემოსევა იყო ერთ-ერთი მიზეზი საქართველოს საბოლოოდ დაშლისა.

1478 წელს გარდაიცვალა ბაგრატ მე-6. ტახტზე ასვლა მისმა შვილმა ალექსანდრემ სცადა, მაგრამ ვერ შეძლო, ვინაიდან კონსტანტინეს უფრო მეტი მომხრეები აღმოაჩნდა და კონსტანტინე გამეფდა. აქედან ნათლად ჩანს, რომ კონსტანტინე წინასწარ აგროვებდა თავის მომხრეებს და გარეშე ძალის დახმარებასაც არ თაკილობდა.

---

[1] იოსაფა ბარბაროსა და ამბროზიო კონტარინის ცნობები. მოამბე, 1894, № 11, გვ. 55.

[2] საქართველოს ისტორია, ს. ჯანაშიას რედაქციით, თბ., 1946, გვ. 295.

[3] იქვე, გვ. 295.

[4] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 4, თბ., 1967, გვ. 111.

ალექსანდრე ბაგრატის ძე იძულებული გახდა იმერეთში გადასულიყო და იქ ეცადა სამეფო ტახტზე მომაგრება. მან მოუწოდა მთავრებს, მაგრამ „დადიანმან არღარა ინება მოსვლა. აგრეთვე გურიელმან და სხვათა“.[1] ამ მდგომარეობით სარგებლობს კონსტანტინე და ქართლის ჯარით სასწრაფოდ დასავლეთში გადადის 1479 წელს. „და მიერთვნენ ყოველნი იმერნი, ვინაიდგან დადიანსა მიეცა პირი მტკიცე: ამისათვის ვერღა-რა წინა-აღდგა ალექსანდრე და წარვიდა სიმაგრეთა შინა“.[2] კონსტანტინემ უბრძოლველად დაიმორჩილა იმერეთის სამეფო.

მეფობის დასაწყისის პირველ ხანებში (1478 წ.) კონსტანტინეს შედარებით წარმატება ჰქონდა და ორთავე ტახტის ამერ-იმერის გაერთიანება შეძლო, მაგრამ მდგომარეობა მალე შეიცვალა და საქართველო ისევ დაშლას იწყებს.

საქართველოს საბოლოო დაშლაში ისევ და ისევ სამცხის მთავარს ყვარყვარეს მიუძღვის ბრალი.

1483 წელს არადეთის ბრძოლაში[3] სამცხის მთავარმა ყვარყვარემ კონსტანტინე დაამარცხა, რის შედეგადაც ალექსანდრე ბაგრატის ძემ ისარგებლა და იმერეთის ტახტი ისევ დაიპყრო. მაგრამ ეს არ იყო ძირითადი მიზეზი ალექსანდრეს გამეფებისა იმერეთში.

ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რამაც ქართლს იმერეთი მოწყვიტა იყო იაყუბ ყაენის შემოსევა ჯერ სამცხეში და შემდეგ ქართლში.[4] ამიტომ ალექსანდრეს გამეფება იმერეთში მარტო არადეთის ბრძოლაში კონსტანტინე მეფის მარცხს არ გამოუწვევია, ამავე წელს იაყუბ ყაენის შემოსევამ კონსტანტინეს ხელფეხი შეუკრა და ამით ისარგებლა ალექსანდრემ და იმერეთის ტახტი დაისაკუთრა 1484 წელს. მაგრამ მისი მეფობა დიდხანს არ გაგრძელებულა „დადიანმან კვალად არა ინება მეფობა მისი და მოიწვია მეფე კონსტანტინე დაპყრობად იმერეთისად, უსმინა დადიანსა მეფემან კონსტანტინემ და ჩამოვიდა კვალად სპითა იმერეთს“[5] (1487 წ.).

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 808.

[2] იქვე.

[3] ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959. გვ. 346—348, 481; ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 303.

[4] ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 482.

ვ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, ჰასან რ უ მ ლ უ ს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1966, გვ. 17, 18; იხ. აგრეთვე ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 7, თბ., 1954; რ. კ ი კ ნ ა ძ ე, საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან მე-15 საუკუნის II ნახევარში, გვ. 126, 127.

[5] ვახუშტი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, გვ. 808.

ალექსანდრეს ძალა არ ეყო, კონსტანტინეს და დადიანს რომ გამკლავებოდა, ამიტომ მან მიატოვა ტახტი და „წავიდა სიმაგრეთა შინა“. კონსტანტინემ კვლავ გააერთიანა იმერ-ამერი, მაგრამ ეს გაერთიანება ხანგრძლივი არ აღმოჩნდა, ვინაიდან ამ დროს ქართლის თავზე კვლავ ჩამოწვა შავი ღრუბელი: ქართლს ირანის ჯარი შემოესია.

ჰასან რუმლუ იაყუბი ყაენის მეორედ შემოსევას 1487 — 1488 წლებით ათარიღებს.[1]

კონსტანტინე იძულებული გახდა სასწრაფოდ დაეტოვებინა იმერეთი და ქართლისათვის მიეხედა.

შექმნილი მდგომარეობით სარგებლობს ალექსანდრე ბაგრატის ძე და კვლავ ეზავება მთავრებს დადიანსა და გურიელს. ამით მან მშვიდობა დაამყარა იმერეთის სამეფოში და ამავე დროს დაიმორჩილა აფხაზნი და სვანნი. ამის შემდეგ კონსტანტინე მეფესთანაც ჰყო ზავი.[2]

ალექსანდრემ არა მარტო იმერეთი შემოიმტკიცა, არამედ მთავარნიც თავის გავლენას დაუმორჩილა, და ამდენად მან ნაწილობრივ აღიდგინა ის დაკარგული პრივილეგიები, რაც იმერეთის მეფეებმა დაკარგეს მთავრებთან ჭიდილში.

1489 წლიდან იმერეთი საბოლოოდ ჩამოცილდა ქართლის სამეფოს. კონსტანტინე მეფე მაინც ცდილობდა როგორმე გაეერთიანებინა დაშლილი საქართველო. მან 1490 წელს დარბაზის სხდომა მოიწვია და დასვა საკითხი, თუ რა იღონონ საქართველო რომ კვლავ გაერთიანდეს. დარბაზის წევრებმა მეფეს განუცხადეს: „ვინაიდან მტკიცედ დგანან ერთგულებათა ზედა თვისთა რჩეულთა მეფეთა იმერნი და კახნი და კვალად ათაბაგისა სამცხელნი, ამისათვის არა გაგიზრახავთ ბრძოლასა, რამეთუ თუმცა მრე ვექმნეთ ერთსა, არღარა მოგუცემს მეორე ნებასა, არამედ ვიცადოთ ჟამი, უკეთუ კვალად აგოს ღმერთმან მეფობასა შენსა“[3] ის რაც ფაქტიურად მომხდარი იყო, დარბაზმა იურიდიულად დაადასტურა და გააფორმა.

---

[1] ვ. ფუთურიძე; ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1966, გვ. 12. ვახუშტი, გვ. 808. ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 486.

[2] ვახუშტი გვ. 809.

[3] ვახუშტი ბაგრატიონი, ქართლის ცხოვრება, II, 1854, გვ. 15.

ამის შემდეგ კონსტანტინე მეფე იძულებული გახდა იმერთა მეფეს დაზავებოდა 1491 წელს.[1]

იმერეთის სამეფოს ცალკე ერთეულად ჩამოყალიბება, თვით ქართლის მეფის ტიტულატურაშიც აისახა. ადრე საქართველოს მეფე ყველა საბუთში, თავის თავს მეფეთ-მეფეს უწოდებს, მისი მეცხედრე კი დედოფალთ-დედოფლად იხსენიება. თვით კონსტანტინე მეფე 1488 წლის საბუთში თავის თავზე ამბობს: ჩვენ „გამაერთიანებელმა ლიხთიმერისა და ლიხთამერისამან ორსავე სამეფოსამან მტკიცედ და შეურყეველად მპყრობელმან"-ო[2]. როგორც ამ სიგელიდან ჩანს, კონსტანტინე ისევ ისე იწოდებოდა, როგორც სხვა მისი წინაპარი მეფეები, მაგრამ შემდგომ 1491 — 1492 წლების სიგელებში კონსტანტინე თავს იმერეთის მპყრობელად აღარ ასახელებს.[3]

მე-16 საუკუნის დასაწყისში ქართულ სამეფო-სამთავროებს საკუთარი საზღვრები გაუჩნდათ, მაგრამ კუთვნილ ადგილ-მამულებს აღარ სჯერდებოდნენ და თავიანთ თანამოძმეებს საზღვრებს ურღვევდნენ და თავს ესხმოდნენ, ცალ-ცალკე ყველას კანონიერ ხელმწიფედ მიაჩნდა თავი და სხვებს უზურპატორად თვლიდა.

ქართლში დავით კონსტანტინეს ძე მეფობდა (1505—1525 წწ.). კახეთში ალექსანდრე გიორგის ძე (1476 — 1511 წწ.), ხოლო იმერეთში ალექსანდრე ბაგრატის ძე (1484-1510 წწ.).

მე-16 საუკუნის დასაწყისში ქართველ მეფე-მთავართა შორის ენერგიულ პოლიტიკას იმერეთის მეფე ალექსანდრე ბაგრატის ძე აწარმოებდა. ქართლის მეფე „იყო ლმობიერი, ბრძოლა-შლილობათა და შფოთთა მოძულე და მოყვარე მშვიდობისა."[4] ამით ისარგებლა ალექსანდრე იმერთა მეფემ და ქართლის დაპყრობა გადაწყვიტა.

კინკლოსები და ქართლის ცხოვრების პირველი და მეორე გაგრძელებები[5] ერთხმად აღნიშნავენ, რომ ალექსანდრე მეფემ 1509 წელს ქართლის საზღვარი გადალახა, გორი და მისი მიმდგომი სა-

---

[1] თ. ყორდანია, ქრონიკები, II, გვ. 307, 308, 309.

[2] ს. კაკაბაძე, სიგელი ქართლის მეფის კონსტანტინესი, 1488 წ., გვ. 8; იხ. აგრეთვე თ. ყორდანია, ქრონიკები, II, გვ. 306.

[3] ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, III, 1910, გვ. 475 (1491 წლის სიგელი); იხ. აგრეთვე, ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, III, 1913, გვ. 41 — 42 (1492 წლის სიგელი).

[4] ვახუშტი, გვ. 809.

[5] თ. ყორდანია, ქრონიკები, II, გვ. 326; იხ. აგრეთვე, ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 487.

ნახები დაიპყრო ისე, რომ ქართლის მეფეს წინააღმდეგობა არ გაუწევია.

იმერეთის მეფის ბატონობა ქართლის ტერიტორიაზე ხანმოკლე აღმოჩნდა. ვახუშტი ბატონიშვილს ნათქვამი აქვს, რომ იმ დროს, როდესაც ალექსანდრე ქართლში იყო, „მოართვეს მორბევა იმერეთისა ჩიხთაგან, უკან იქცა და წარვიდა იმერეთს“.[1]

გორი ისევ ქართლის მეფის განკარგულებაში გადავიდა. თუმცა ამის შემდეგაც არ შეწყვეტილა იმერეთის მეფის ცდა გორისა და მისი მიმდგომი ტერიტორიების დასაკავებლად, ხოლო იმერეთის სამეფოს შემოესივნენ არა „ჯიქნი“, როგორც ეს ქართულ წყაროთა უმრავლესობაში არის აღნიშნული, არამედ თურქნი. ეს იყო თურქთა პირველი გამოჩენა დასავლეთ საქართველოში და იმერეთის მეფის, ბაგრატ III-ის მთავარ საზრუნავს ამის შემდეგ სწორედ თურქთა აგრესიისაგან თავდაცვა შეადგენდა.

იმერეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკური ვითარების გართულება. ოსმალეთის აგრესიის დასაწყისი

ოსმალეთის აგრესია საქართველოს მიმართ სხვადასხვა მიზეზით იყო გაპირობებული. ჯერ ერთი, ეს მტაცებლური სახელმწიფო მხოლოდ ახალი ქვეყნების დაპყრობით და ძარცვით საზრდოობდა. მეორეც, ირანთან ომის დროს აღმოსავლეთისაკენ წარმატებით შეტევისათვის საქართველო მეტად მნიშვნელოვან პლაცდარმს წარმოადგენდა.

საქართველო ასევე მნიშვნელოვანი ასპარეზი იყო ირანისათვისაც ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლების საწარმოებლად. ირანის ახალი, სეფიანთა დინასტიის შაჰები მონღოლთა ყაენების პოლიტიკურ მემკვიდრეობას იჩემებდნენ და საქართველოს დაპყრობას თავიანთ მოვალეობად თვლიდნენ.

ირანსა და ოსმალეთს შორის მე-16 საუკუნის დასაწყისშივე დაიწყო დიდი ომი. 50 წლის განმავლობაში მათ შორის ზავი არ დადებულა. ან ომი იყო, ან ბრძოლის მოლოდინი. ამ ომების ერთ-ერთ ასპარეზს საქართველო წარმოადგენდა.[2] მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა მედგრად იცავდა თავს აგრესორებისაგან, თავდაცვის

---

[1] ვახუშტი, გვ. 809.

[2] იე. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ტ.. 1946. გვ. 301.

უნარს ასუსტებდა ის გარემოება, რომ მე-15 საუკუნის მიწურულიდან საქართველო ერთიანი, მთლიანი სახელმწიფო აღარ იყო.

როგორც ცნობილია, პოლიტიკურმა დაშლილობამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი დასავლეთ საქართველოში მიიღო. იმერეთის სამეფო რამდენიმე დამოუკიდებელ ერთეულად დაიყო: საკუთრივ იმერეთის სამეფო, სამეგრელოს, აფხაზეთისა და გურიის სამთავროები. თავის მხრივ ამ ერთეულებში არსებობდნენ უფრო წვრილი პოლიტიკურ-ფეოდალური ერთეულები — სათავადოები. ამიერიდან ქართველი ხალხი მტრის წინააღმდეგ საერთო ძალით ვეღარ გამოდიოდა. პოლიტიკურად გათიშული ქართული სამეფო-სამთავროები ერთმანეთთან ერთიანი ეკონომიური და კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრებით აღარ იყვნენ დაკავშირებულნი. ხშირი იყო შემთხვევები, როცა ისინი ერთმანეთს გარეშე მტერსაც კი უსისინებდნენ, ირანის შაჰსა და ოსმალეთის ხონთქარს მორჩილებას უცხადებდნენ, რომ სხვა „საქართველოების“ ხარჯზე თავიანთი სამეფო ან სამთავრო გადაერჩინათ ან დროებით უპირატესობა მოეპოვებინათ.

მე-16 საუკუნის დამდეგისათვის ოსმალეთის იმპერია ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა მსოფლიოში. ამ პერიოდიდან იწყება ოსმალეთის შეტევა ამიერკავკასიის ქვეყნების წინააღმდეგაც. იმერეთის მდგომარეობა მეტად გართულებულია. დაშლის პროცესი თანდათან ღრმავდება. „თუ პოლიტიკურ კრიზისის მე-13 საუკუნის საქართველოში მონღოლთა შემოსევამ მოუსწრო, საქართველოს პოლიტიკურ დაშლილობას (მე-15 საუკუნის დასასრულს) დაემთხვა ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფოს გაძლიერება და სეფიანთა სახელმწიფოს წარმოქმნა (მე-16 საუკუნის დამდეგს). ასე რომ, ფაქტიურად მე-16 საუკუნეში შეიკრა საქართველოს მტრული სახელმწიფოებით გარემოცვის რკალი“.[1]

ყველაზე საშიში მტერი დასავლეთი საქართველოსათვის ოსმალეთი იყო. მას შემდეგ, რაც 1453 წელს ოსმალებმა კონსტანტინეპოლი აიღეს და ბიზანტიის იმპერია საბოლოოდ გაანადგურეს, ხოლო 1461 წელს ტრაპიზონის სახელმწიფოც დაიპყრეს, საქართველოს საზღვრებს უშუალოდ მოადგნენ. „ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფოს თანდათანმა გაძლიერებამ და საქართველოს მეზობლად ქრისტიანული სახელმწიფოების გაქრობამ (ბი-

---

[1] ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება, მე-16—17 სს. თბ., 1958, გვ. 61—62.

ზანტიისა და ტრაპიზონის საკეისროები) უდიდესი საფრთხე დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შეუქმნა".[1]

1475 წელს ყირიმის დაპყრობის შემდეგ შავი ზღვა ფაქტიურად „ოსმალეთის ტბად" გადაიქცა. მათმა გაბატონებამ მცირე აზიასა და შავ ზღვაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე.[2]

პირველად ოსმალეთმა სამცხე-საათაბაგოზე გაავრცელა თავისი გავლენა, შემდეგ იმერეთის სამეფოს სამი მიმართულებით შემოუტია: 1. ჩრდილო დასავლეთიდან ჯიქეთ-აფხაზეთის გზით, 2. ზღვისპირეთიდან გონიის გზით და 3. სამცხე-საათაბაგოს მხრიდან ზეკარის გზით.[3]

ამათგან განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ოსმალთათვის სამცხე-საათაბაგოს, ვინაიდან აქედან ოსმალეთს შეეძლო შეტევა დაეწყო, ერთი მხრივ, დასავლეთ საქართველოზე, ხოლო მეორე მხრივ, ქართლ-კახეთის სამეფოების წინააღმდეგაც. ამავე დროს სამცხე-საათაბაგოს დაპყრობით ოსმალეთს გზა ეხსნებოდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიისაკენ, აქედან კი ჩრდილოეთ კავკასიაშიც შეეძლო გაჭრილიყო.

სწორედ სამცხე-საათაბაგოდან, ზეკარის გზით მოხდა თურქთა პირველი შემოსევა დასავლეთ საქართველოში. ამ დაუპატიჟებელი სტუმრის მეგზური სამცხის ათაბაგი მზეჭაბუკი იყო.

1510 წ. ოსმალთა ჯარი ტახტის მემკვიდრე სელიმის მეთაურობით, რომელიც ამ დროს ტრაპიზონის ფაშად იჯდა, მოულოდნელად დაეცა ქუთაისს. ქვეყანა ამას მოუმზადებელი შეხვდა. მოსახლეობამ დახიზვნა ძლივს მოასწრო. ოსმალებმა აიღეს და ააოხრეს ქალაქები, დაარბიეს სოფლები, დაწვეს ეკლესიები, იმერეთი სამარად ემზადებოდა, მაგრამ მტერი როგორც მოულოდნელად შემოიჭრა, ასევე მოულოდნელად გაბრუნდა უკან, ვინაიდან ზამთარი ახლოვდებოდა, შესაძლებელი იყო ზეკარის უღელტეხილი ჩაკეტილიყო და ოსმალთა ჯარი დიდ განსაცდელში ჩავარდებოდა.

წყაროებში თურქთა შემოსევა სხვადასხვანაირადაა დათარიღებული: 1508, 1509, 1510, 1512, 1513, 1514 წლებით.[4]

---

[1] ვ. გაბაშვილი, მე-16—17 სს. საქართველოს ქალაქები მახლობელი აღმოსავლეთის სავაჭრო ურთიერთობათა შუქზე. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 169.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. 4, 1967, გვ. 179—180.

[3] საქართველოს ისტორია, ს. ჯანაშიას რედაქციით, თბ., 1946, გვ. 314.

[4] თ. ეორდანია, ქრონიკები, II, გვ. 326—327, ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 350.

ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს, რომ „ამავე ქორონიკონს (1509 წ.) მოუსდეს ჩიხნი იმერეთს და მოარბიეს სრულად: ესე ესმა ალექსანდრეს ქართლს მყოფს, უკუმოიქცა და მოვიდა იმერეთს მოწყვეტად ვათდა"[1].

პიოველად მარი ბროსემ სცადა გაერკვია „ჩიხთა" ვინაობა და გამოთქვა მოსაზრება, რომ „ჩიხნი" უნდა ნიშნავდეს „ჯიქნის". მაგრამ ჯერ თ. ჟორდანიამ, შემდეგ ი. ჯავახიშვილმა ასეთი ვარაუდი არასწორად ჩაითვალა. თ. ჟორდანიას აზრით, „ჩიხნი უნდა იყვნენ თათარნი (თურქნი) და არა ჯიქნი, როგორც ჰგონებოდა ბროსეს"[2].

ჯავახიშვილი ისესლავს ვახუშტის მონაცემებს: „ვახუშტი ბატონიშვილს მტრის ორი შემოსევა აქვს აღნიშნული — ერთი 1509 წელს, რომელმაც ალექსანდრე მეფე აიძულა ქართლიდან წასულიყო და მეორე 1512 წელს, როდესაც სამეფო ტახტზე ბაგრატ III იჯდა. პირველ შემომსევეთ ვახუშტი ჩიხებად თვლის და მეორედ შემომსევეთ ოსმალებად. ფაქტიურად მტრის ერთი შემოსევა მოხდა... თუ ყველა წყაროების ცნობას ჩავუკვირდებით, ადვილად შევამჩნევთ, რომ თარიღებისა და თავდამსხმელთა ვინაობის განსხვავებისდა მიუხედავად, ყველანი ერთ ამბავს მოგვითხრობენ და ნამდვილ თარიღად 1509 ან 1510 წელი უნდა ყოფილიყო"[3].

უკანასკნელ ხანს მ. სვანიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ „ჩიხნი" შეიძლება რომელიმე თურქული ტომის სახელი იყოსო. ეკლია ჩელების გადმოცემით მე-17 საუკუნის 40-იან წლებში ტრაპიზონის საფაშოში 60 ტომი იყო[4] და აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ერთ-ერთ თურქულ ტომს დამახინჯებული სახელი „ჩიხნი" წოდებოდა. მ. სვანიძის მიხედვით, სელიმის ლაშქრობაში ალბათ მონაწილეობას იღებდა ტრაპიზონის საფაშოში მცხოვრები რომელიმე თურქული ტომი და ეს სახელწოდებაც „ჩიხნი" მათი დამახინჯებული სახელია.[5]

ა. აბდალაძის გამოკვლევით, სომხურ წყაროებში ოსმალთა აღმნიშვნელად გვხვდება სიტყვა „ჩითახი"; ამდენად ვახუშტის „ჩიხნი" „ჩითახნი"-დან უნდა მომდინარეობდეს. სიტყვა „ჩითახი" თურქულ დიალექტებში ნიშნავს მოუხეშავს, არამზადას, თავზეხელაღებულს, ჩხუბისთავს. სიტყვა „ჩითახი" დასავლეთ საქართვე-

---

1 ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 809.

2 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 326.

3 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 212.

4 ს. ჯ ი ქ ი ა, ეკლია ჩელები ლაზებისა და ლაზეთის შესახებ, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება," ტ. 6, 1954, გვ. 243 — 256.

5 მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან (მე-16—17 სს.), თბ., 1971, გვ. 42.

ლოს დიალექტებში ნიშნავს ცუდი გარეგნობის, ანტიპათიურ კოჟლს[1].

ვახუშტის ცნობისაგან განსხვავებით, ახალი ქართლის ცხოვრების III ტექსტს ეს ამბები შემდეგნაირად აქვს გადმოცემული. „ამავე წელსა (1510 წ.) იქმნა ბრძოლა ძლიერი ქართლის მეფეს დავითსა და ბაგრატს შუა. ამისთვის ბევრის ტყუევნისა და რბევისაგან ძალი ქართლისა შემცირებულ იყო: აღეღო და დაეპერა ბორი ალექსანდრეს, მამასა ბაგრატისასა. ამას ზედა მოეხმარნენ ქართლის მეფეს დავითს კახეთის მეფე ვახტანგ და ათაბაგი მზეჭაბუკ. დავით მეფე ვეღარ მოესწრო, მოხისს შეეგება ბაგრატ ვახტანგსა და მზეჭაბუკს და გაემარჯუა თუესა ივნისს გ".

ქართლის ცხოვრების III ტექსტის მოტანილი ადგილის ზოგი ცნობა ჩვენს დაეჭვებას იწვევს. ამ დროს ვახტანგ მეფე საქართველოს არც ერთ სამეფო-სამთავროში არა ჩანს, ხოლო იმავე წელს, რა წელსაც თათრებმა იმერეთის სამეფო ააოხრეს (და ეს წელი ბაგრატის გამეფების წელიცაა), ბაგრატ მეფეს არ შეეძლო ქართლის დასაპყრობად წამოსულიყო. გარდა ამისა, სხვა კინკლოსებში მხოლოდ ძმებს შორის მომხდარ ბრძოლაზეა ლაპარაკი: „პატრონი ვახტანგ და მეფე ბაგრატ მოხისს შეიბნეს და ბაგრატს გაემარჯვა" (1513 წ.). ყველა კინკლოსი მხოლოდ ძმებს შორის მომხდარ ბრძოლას აღნიშნავს და ამავე დროს 1513 წელს მიუთითებს, რაც უფრო მისაღები უნდა იყოს.

*

დაძაბული საშინაო მდგომარეობის გაბუსტვის შემდეგ, ბაგრატ მეფე აქტიურ საგარეო პოლიტიკაზე გადადის. ამის შესახებ საინტერესო ცნობები მოიპოვება იტალიელი დიპლომატების ნაშრომებში — კატერინო ძენოს „მოგზაურობის კომენტარებში", ჯოვან მარია ანჯოლელოს „უზუნ-ჰასანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე მოთხრობაში" და სპარსეთში ნამყოფი ანონიმი ვენეციელის „ვაჭრის მოგზაურობაში"[2].

მათი ცნობების მიხედვით 1514 წელს ოსმალეთ-სპარსეთს შორის ომის მსვლელობის დროს ქართველებიც ჩაბმულან ამ ომში ოსმალეთის წინააღმდეგ, მაგრამ უფრო მეტად პარტიზანული თავ-

---

[1] ა. აბდალაძე, „ჩიხთა" ეინაობისათვის. მაცნე. № 1 1977 წ., გვ. 73—75.

[2] ე. მამისთვალიშვილი, იტალიელ მოგზაურთა ცნობები ბაბ-ალ-ხაუნის დასაწყისს ირან-საქართველოს ურთიერთობის შესახებ, იხ. „ეროვნული ურთიერთობის ისტორიის პრობლემები, თბ., 1975, გვ. 147.

დასხმებით აწარმოებდნენ ბრძოლას, ვიდრე გაშლილი ფრონტით. ამის შესახებ ცნობებს გვაწვდის კატერინო ძენო თავის „მოგზაურობის კომენტარებში“.

1514 წელს ომის დასაწყისშივე დიდ წარმატებას მიაღწიეს ოსმალებმა. მათ გაანადგურეს სპარსეთის ჯარი და სატახტო ქალაქი თავრიზი დაიკავეს, მაგრამ სელიმ I (1512—1520 წწ.) ორი მიზეზით დიდხანს არ გაჩერებულა თავრიზში: 1) სურსათის ნაკლებობის გამო და 2) იმის შიშით, რომ სპარსეთის შაჰინ-შაჰი ისმაილ I (1502—1524 წწ.) ძალებს მოიკრებდა და ბრძოლას გააჩაღებდა. ამიტომ სელიმ I იძულებული გახდა უკან დაეხია. მან თავისი ჯარი ამასიისაკენ წაიყვანა. სწორედ ამ უკან დახევის დროს ქართველმა მხედრობამ მრავალგზის შებრძოლებით დიდი ზიანი მიაყენა ოსმალებს. მოვუსმინოთ თვით კატერინო ძენოს. „ოურქები თავრიზში სამ დღეს დარჩნენ და დაინახეს, რომ მეზობელი მთავრები არ მოდიოდნენ მორჩილების გამოსახატავად. სელიმმა იფიქრა, რომ ისმაილო უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ის ვარაუდობდა, რადგან სპარსეთის დიდებულები თავიანთი შეიარაღებული ძალებით უერთდებოდნენ ისმაილს სამეფოს დასაცავად, ამიტომ სელიმმა თავრიზიდან წამოიყვანა ხელოვნებაში განსწავლული რამდენიმე კაცი, წამოიღო ხუთასი საპალნე განძი და ისე, რომ არავითარი ზიანი არ მიუყენებია ქალაქისათვის, გაემართა ევფრატისაკენ. გზაში იგი ხვდებოდა დაბრკოლებას ქართველების მხრივ, რომლებიც მსუბუქი რაზმებით ძარცვავდნენ არმიის აღალს და ნაკუწ-ნაკუწ აქცევდნენ ყველას, ვინც შეეცდებოდა რიგების მიტოვებას მცირე მანძილითაც კი. მათი თავდასხმები იმდენად ხშირი იყო, რომ აკინჯები, რომლებიც შეჩვეულნი იყვნენ 40—50 მილის გავლას, ვერ ბედავდნენ გაქცევას, ლაშქრისაგან მცირეოდნად მოშორებას, რადგან გამძვინვარებული მტერი (ქართველები) უმოწყალოდ ხოცავდა მათ. მათ მხოლოდ ხმალი კი არ ხოცავდა, არამედ შიმშილიც, რადგან ისინი არახელსაყრელი პირობების გამო ლაშქრის მომარაგებას პროდუქტებით ვერ ახერხებდნენ, თანახმა იყვნენ ერთი საშინელი სიკვდილის ნაცვლად მეორე უფრო საშინელი სიკვდილით დახოცილიყვნენ“[1].

ჰანიბალ მალიპიერო ნიკოზიიდან ვენეციაში გაგზავნილ წერილში აღნიშნავს, რომ „როცა სულთანმა თავრიზი დატო-

[1] ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 156.

ვა და ამასიისაკენ გაეშურა, მიადგა მდ. ევფრატს. მისი ჯარის ორი მესამედი უკვე გადასული იყო მდინარის მეორე ნაპირზე, ამ დროს ზურგიდან თავს დაესხნენ ქართველები, რომლებმაც ამოწყვიტეს 15 ათასამდე კაცი და ხელთ იგდეს 11 ქვემეხი".[1]

თავრიზიდან წამოსულ ოსმალებს რომ დიდი ზიანი მიაყენეს ქართველებმა, ამას ჯოვანი მარია ანჯოლელოც აღნიშნავს.[2]

XVII საუკუნის ინგლისელ ისტორიკოსს ნოოლზის ასეთი ცნობა აქვს დართული ძენოს „მოგზაურობის კომენტარებზე". „მიუხედავად იმ სისწრაფისა, რაც სელიმმა გამოიჩინა, ქართველი ცხენოსნების გამოჩენამ ისეთი შიში და არეულობა გამოიწვია მდინარე ევფრატის მთელ იქითა მხარეს, რომ 2 ათასი თურქი, რომლებიც სასწრაფოდ ლამობდნენ მდინარეში გასვლას, დაიხრჩვნენ. მყვინთავებმა დააგროვეს ტალახში ჩაფლული ნარჩენები და მდინარის მიერ წამოღებული მათი დიდძალი ავლა-დიდება. ნადავლით კმაყოფილმა ქართველებმა თურქებს შორს აღარ გასდიეს"[3].

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, ქართველებს დიდი სიმამაცე და გამძლეობა გამოუჩენიათ და დიდი ზარალიც მიუყენებიათ ოსმალებისათვის, მაგრამ ვინ არიან ეს ქართველები და რომელი სამეფო-სამთავროს წარმომადგენელნი, ამის შესახებ უცხოური და ქართული წყაროები არაფერს ამბობენ. ე. მ ა მ ი ს თ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ს ვარაუდით ეს ქართველები უნდა იყვნენ ქართლისა და კახეთის სამეფოების წარმომადგენელნი[4]. მაგრამ ქართლი ამ დროისათვის მეტად დასუსტებულია, ამას ქართლის ცხოვრებაც ადასტურებს: „ბევრის ტყუევნისა დარბევისაგან ძალი ქართლისა შემცირებული იყო".[5]

როდესაც იმერთა მეფემ ალექსანდრე ბაგრატის ძემ (1484—1510 წწ.) 1510 წელს გორი დაიპყრო, დავით ქართლის მეფემ მის წინააღმდეგ არც კი გაილაშქრა. ასევე, როდესაც კახეთის მეფე ავ-გიორგი (1511—1513 წწ.) ქართლის სანახებს არბევდა, დავით მეფე (1505 — 1525 წწ.) მის წინააღმდეგ ზომებს არ იღებდა. დავითი „იყო ლმობიერი, ბრძოლა-შლილობითა და შფოთთა მოძულე და მოყვარე მშვიდობისა".[6] მეფე იტყოდა, რომ „მიეგებათ მეშფოთეთა მისაგებელიო". ასეთ მეფეს არ შეეძლო ჯარი შეეკრი-

---

[1] ე. მ ა მ ი ს თ ვ ა ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 156.
[2] ი ქ ვ ე.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 157.
[4] ი ქ ვ ე.
[5] ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 487.
[6] ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 809.

ბა და ოსმალეთის არმიის წინააღმდეგ ებრძოლა, ისიც სხვის ტერიტორიაზე. რაც შეეხება კახეთის სამეფოს, ამ დროისათვის იგი როგორც ცალკე ერთეული არ არსებობს. ავ-გიორგის ტყვედ ჩაგდებისთანავე კახეთი ქართლის სამეფოს შეუერთდა და ამდენად მან 1520 წლამდე დამოუკიდებლობა დაკარგა.

ამიტომ ქართლისა და კახეთის სამეფოების ჯარს არ შეეძლო ამ დროს ოსმალეთის არმიის წინააღმდეგ ბრძოლა.

რაც შეეხება სამცხე-საათაბაგოს, იგი ოსმალეთზე დაყრდნობით ფიქრობდა ჯერ სრული დამოუკიდებლობის მოპოვებას და შემდეგ საქართველოს სამეფო-სამთავროების ხარჯზე თავისი ტერიტორიის გაზრდას. გარდა ამისა, ცნობილია, რომ მზეჭაბუკი მეგობრულ კავშირში იმყოფებოდა სელიმ I-თან.

როგორც ცნობილია, XVI საუკუნის დასაწყისში საქართველოში ენერგიულ პოლიტიკას ჯერ იმერთა მეფე ალექსანდრე და შემდეგ მისი შვილი ბაგრატ III ატარებდნენ, ამასთან ერთად ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ 1510 წელს სწორედ სელიმ I შემოიჭრა პირველად იმერეთის სამეფოში და რაც მოიხელთა, ყველაფერი გაანადგურა.

ზემოთ აღნიშნულის შემდეგ სავარაუდებელია, რომ 1514 წელს ოსმალეთის ჯარის წინააღმდეგ შურისძიების მიზნით იბრძოდა იმერეთის სამეფოს ჯარი (სავარაუდებელია ოდიშისა და გურიის სამთავროების ჯართან ერთად), რომელმაც დიდი ზარალი მიაყენეს ოსმალეთის ჯარს.

როგორც კი ოსმალებმა თავრიზი დატოვეს, შაჰ-ისმაილმა მაშინვე დაიკავა სატახტო ქალაქი და ძალების ენერგიულად შეგროვებას შეუდგა, მაგრამ ყიზილბაშებს სხვა ძალის გარეშე არ ქონდათ ამ ომში წარმატების იმედი, ამიტომ მათ ანტიოსმალური კოალიციის შექმნა სცადეს და მიზანსაც მიაღწიეს. იმავე 1514 წელს შექმნილ კოალიციაში საქართველოც მონაწილეობდა.

შაჰ-ისმაილის ელჩებმა ადვილად მიაღწიეს წარმატებას, რადგან ყველა კარგად გრძნობდა, რომ თურქეთი თავის მეზობლებს შთანთქმას უპირებდა და თუ არა ერთიანი ძალით, ცალ-ცალკე ვერ დაამარცხებდნენ. სპარსეთის ელჩები ირწმუნებოდნენ, რომ თუ კი ოსმალეთი სპარსეთს დაიპყრობდა, შემდეგ საქართველოსა და ეგვიპტესაც მიისაკუთრებდა. ამიტომ მოკავშირეებმა (სპარსეთი, საქართველო და ეგვიპტე) ხელშეკრულება გააფორმეს, რომ ცალ-ცალკე არავითარ კავშირს არ დაამყარებდნენ ოსმალეთთან და პირიქით, თუ ერთ რომელიმე მათგანს დაესხმოდა ოსმალეთი თავს, ყველა მოკავშირე გაერთიანებული ძალებით გამოვიდოდა მის წი-

ნააღმდეგ; მაგრამ ამ კოალიციას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, რადგან ეგვიპტის სულთანმა ხელშეკრულება დაარღვია და ოსმალეთის ელჩები მიიღო. ამის შემდეგ განაწყენებულმა სპარსეთმა 1516 წელს, როდესაც ოსმალეთი თავს დაესხა ეგვიპტეს, მის დახმარებაზე უარი განაცხადა. ამრიგად, ეს მეორე კოალიციაც ჩაიშალა და თურქეთს საშუალება მიეცა ცალ-ცალკე ეწარმოებინა ბრძოლები მეზობლების წინააღმდეგ.

* * *

თავის მხრივ იმერეთის სამეფო კარიც ერევა ქართლის ტახტისათვის გამართულ შინადინასტიურ ბრძოლაში და ამით თავისთვის პოლიტიკური სარგებლობის მოპოვებას ცდილობს. 1525 წ. ქართლის მეფე დავითმა, მიუხედავად თავისი მოღვაწეობის უკანასკნელ ხანს მოპოვებული წარმატებებისა, მეფობას თავი მიანება და ბერად შედგა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს არც თუ ისე ნებაყოფლობითი აქტი უნდა ყოფილიყო, რომ იგი აიძულეს მეფობიდან გადამდგარიყო.[1] მის შემდეგ მეფედ ჩანს არა მისი უშუალო მემკვიდრე ლუარსაბი, რომელიც ამ დროს უკვე სრულწლოვანი იყო და თელეთის ბრძოლაში ქართველთა ცხენოსან ჯარსაც კი ხელმძღვანელობდა, არამედ დავითის ძმა გიორგი. გიორგის შესახებ ცნობები ერთობ მცირეა დაცული წყაროებში. მისი ქართლის მეფედ ყოფნის ხანგრძლივობაც არ იყო ბოლო დრომდე დაზუსტებული. ამჟამად გამოთქმულია მოსაზრება, რომ მას მხოლოდ 2 წელი უმეფია და 1527 წლიდან ქართლის მეფე უკვე ლუარსაბია. გიორგის მეფობის ეს მცირე ხანა შინაპოლიტიკური დაძაბულობით უნდა ხასიათდებოდეს. მის მიერ ხელისუფლების უზურპაციას ლუარსაბი ვერ ეგუება და უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ცდილობს ძალების შეგროვებას თავისი ბიძის წინააღმდეგ. სწორედ ამ პოლიტიკურ მიზანს ემსახურებოდა მისი ქორწინება იმერეთის მეფის ასულ თამარზე. უფრო მეტიც. წყაროები დაჟინებით მიუთითებენ, რომ „ქორონიკონსა სიდ (1526 წ.) მისცეს ბაგრატს ქართლი, მეფესა იმერეთისასა, არადეთს წყალს გამოღმა: ალი, სურამი და ახალდაბა“.[2] ეს იყო ალბათ საზღაური იმ დახმარებისათვის, რასაც იმერეთის მეფე აღმოუჩენდა ლუარსაბს ტახტის დაბ-

---

[1] ჯ. ოდიშელი, დასახ. ნაშრ. გვ. 86—87.

[2] ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 493, შეად. თ. ეორდანია, ქრონიკები, II, გვ. 369, პარიზის ქრონიკა, გვ. 7.

რუნებისათვის ბრძოლაში.[1] მართლაც, 1527 წლიდან ლუარსაბი უკვე მეფედ ჩანს, ხოლო გიორგი IX მალე ბერად აღიკვეცება. ამის შემდეგაც ბაგრატი ხელს უწყობდა ლუარსაბს ხელისუფლების განმტკიცების საქმეში.

ეს კიდეც აისახა ქართულ წყაროებში. „და მეფობდა ლუარსაბ ძალითა და შეწევნითა ბაგრატისათა“.[2]

დასავლეთ საქართველოში თურქთა პირველი გამოჩენის შემდეგ ოსმალეთის სულთნები სელიმ I (1512 — 1520 წწ.) და მისი შემკვიდრე სულეიმან I (1520 — 1566 წწ.) ევროპაში ომის წარმოებით იყვნენ დაკავებულნი.

იმერეთის სამეფო კარს ოსმალთა მოუცლელობის გამო საშუალება ეძლეოდა აქტიურ საგარეო პოლიტიკაზე გადასულიყო და სამეფო საზღვრები მტკიცედ ჩაეკეტა. სწორედ ამას ითვალისწინებდა ბაგრატის თაოსნობით ლაშქრობა ჯიქეთზე და შემდეგ სამცხეზე.

იმერთა მეფე კარგად ხედავდა, რომ თურქები მის ქვეყანას სამი მხრიდან უტევდნენ: სამხრეთ-დასავლეთიდან—ზღვისპირეთით გონიის გზით, ჩრდილო-დასავლეთიდან — ჯიქეთ-აფხაზეთის გზით და სამხრეთიდან — სამცხე-საათაბაგოს გზით.

თურქთა შემოსევისაგან რომ ქვეყანა ეხსნა, ამისათვის საჭირო იყო სამივე გზის ჩაკეტვა. ამის განსახორციელებლად უპირველეს ყოვლისა ბაგრატ მეფემ ყურადღება მიაპყრო ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს. ჯიქნი, რომელნიც ადრევე მოექცნენ თურქეთის გავლენაში, თავს ესხმოდნენ გურია-ოდიშ-აფხაზეთის ზღვის სანაპირო ზოლს და აოხრებდნენ. ბაგრატის თაოსნობით გადაწყდა ლაშქრობა მათ დასასჯელად და ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან გზის ჩასაკეტად.

1533 წლის იანვარში მამია გურიელი და მამია დადიანი გაემართნენ სალაშქროდ. პირველი ბრძოლა მოხდა გაგრასთან 30 იანვარს. ამ ბრძოლაში ჯიქები დამარცხდნენ, მაგრამ მეორე დღეს, 31 იანვარს, ღალატის შედეგად დადიანისა და გურიელის ჯარი სასტიკად დამარცხდა. თვით დადიანი ამ ბრძოლაში დაიღუპა, ხოლო

---

[1] ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, 4, გვ. 102.

[2] ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 493.

გურიელი თავისი სამი ძმით, ეპისკოპოსით და ჯარით ტყვედ ჩავარდა.[1]

ამის შემდეგ ბაგრატ მეფემ მთელი ყურადღება სამხრეთისაკენ გადაიტანა. თურქთა შემოსევის მთავარი საფრთხე მაინც სამცხე-საათაბაგოს მხრიდან იყო. ამიტომ ბაგრატმა იმერეთის სამეფოს დაცვის ხაზი სამცხე-საათაბაგოში გადაიტანა.

სამცხის ათაბაგებს „დამოუკიდებლობა" რომ შეენარჩუნებინათ, ირანსა და ოსმალეთს იწვევდნენ ქართველ მეფე-მთავართა წინააღმდეგ საბრძოლველად. აგრესორები კი კმაყოფილნი იყვნენ ასეთი „მოწვევით", ვინაიდან სამცხე-საათაბაგო საუკეთესო პლაცდარმს წარმოადგენდა საქართველოს დასაპყრობად. ამას კარგად ხედავდნენ იმერეთისა და ქართლის სამეფო კარის მესვეურნი. ამიტომ ორივე მეფე ცდილობდა სამხრეთის კარების გამაგრებას, რომელიც ათაბაგთა წინდაუხედავი პოლიტიკის გამო მორღვეული იყო.

ბაგრატ მეფეს მარტო თავისი ძალებით სამცხე-საათაბაგოს დაპყრობა არ შეეძლო. მას უნდა დაეფოლიებინა გურიელი და დადიანი სამცხეზე სალაშქროდ. გურიელი უკმაყოფილო იყო სამცხის მთავრებზე და თავის მხრივ ემზადებოდა სამცხეზე გასალაშქრებლად, რათა დაებრუნებინა უკან აჭარა და ჭანეთი, რომლებიც მზეჭაბუკმა ოსმალების დახმარებით წაართვა.

გურიელი თანხმობით შეხვდა სამცხეზე გალაშქრების მოწოდებას, რადგან ბაგრატ მეფე გამარჯვების შემთხვევაში აჭარისა და ჭანეთის გადაცემას დაპირდა, ხოლო დადიანი, როგორც ვახუშტი გადმოგვცემს, „შიშისათვის მოერთო იგიცა ბაგრატს".

გაერთიანებული ძალებით ბაგრატ მეფე თავს დაესხა სამცხე-საათაბაგოს. ბრძოლა მოხდა 1535 წელს 12 აგვისტოს მურჯახეთთან.

მურჯახეთის ბრძოლა დამთავრდა ბაგრატ მეფის სრული გამარჯვებით. თვით ყეარუბარე ათაბაგი ტყვედ ჩაიგდო ხელში. სამცხე-საათაბაგოს სამთავრომ დამოუკიდებლობა დაკარგა და იმერეთის სამეფოს შეუერთდა 10 წლით, ვიდრე 1545 წლამდე.[2]

---

[1] ვახუშტი, გვ. 811.

ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 497; შეადარე, ბარიზის ქრონიკა (ცხოვრება საქართველოსა), მ. ბროსეს გამოცემა. ბარიზი, 1831, ქართული ტექსტი, გვ. 6—7.

ჯ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, თბ., 1968, გვ. 55, იხ. იქვე შენიშვნა 54;

[2] ახალი ქართლის ცხოვრება, III ტექსტი, ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 498.

გურიელმა დაპირებისამებრ აჭარა და ჭანეთი მიიღო. მოვლენების ასეთი განვითარებით დადიანი უკმაყოფილო იყო, ვინაიდან არც იმერეთის მეფის და არც გურიელის გაძლიერება მას არ სურდა. ამაში მან თავისთვის საფრთხე დაინახა და განდგომა გადაწყვიტა. მან ეს მაშინ გამოამჟღავნა, როცა სამცხეში ოსმალთა ჯარი შემოიჭრა და მეფეს ლაშქრით მიშველებაზე უარი უთხრა.

სამცხე-საათაბაგოს ფეოდალების ერთი ნაწილი უკმაყოფილო იყო იმერეთის მეფის გამგებლობაში მათი სამფლობელოების მოქცევით და მომხდარ ფაქტს ვერ ურიგდებოდნენ; ისინი ოთარ შალიკაშვილის მეთაურობით, ოსმალეთში გადაიხვეწნენ, ყვარყვარე III-ის ვაჟიშვილი ქაიხოსრო სულთანს წარუდგინეს და დახმარება სთხოვეს იმერეთის მეფის წინააღმდეგ.

სამცხის რენეგატი თავადები, ოთარ შალიკაშვილი და ქაიხოსროს გაათაბაგების სხვა თავდადებული მომხრეები უნდა მიმხვდარიყვნენ, რომ ოსმალების შემოსვლით ისინი თავის მიზანს ვერ მიაღწევდნენ, რომ ამ შემთხვევაში ქვეყანას და მათ სამფლობელოებს უარესი ბედი ელოდა — გაოსმალება, ამიტომ სხვა გზისთვის უნდა მიემართათ.

აკად ი. ჯავახიშვილი თვლის, რომ ქაიხოსროს შაქში ხლება შაჰ-თამაზთან საქართველოში მისი პირველი ლაშქრობის წინ უნდა მომხდარიყო[1].

თუ აქ ფარსადან გორგიჯანიძის მხრივ უფრო ადრეული და გვიანდელი ფაქტების ერთმანეთში აღრევას არ აქვს ადგილი, მაშინ გამოდის, რომ შაჰ-თამაზს ქაიხოსროს მოწოდებით 1541 წლის წინა წლებში იმერეთი დაულაშქრავს და იმერეთის მეფე იძულებული გაუხდია მას დამორჩილებოდა. განსხვავებულად აქვს ეს ვითარება წარმოდგენილი ბერი ეგნატაშვილს. მისი მტკიცებით იმერეთში შაჰ-თამაზის ლაშქრობას არა ჰქონია ადგილი. პირიქით, ქართლში შაჰ-თამაზის პირველი ლაშქრობის შემდეგ, როდესაც „წარვიდა შაჰ-თამაზ ნახჩუანს სომხითისასა და ურჩნი სომხითისანი დაიმორჩილნა"... მაშინ „მპყრობელი იმერეთისა ბაგრატ იყო... სამცხესა მოვიდა მასთან ამა მიზეზისათვის, რომე ოთარი შალიკაშვილი და ძე ყუარყუარესი ქაიხოსრო რომ ხონთქართანა წასულიყუნენ და ამათგან ძალი და ზურგი მოეცათ, ესეცა ბაგრატ ამისთჳს მოვიდა შაჰ-თამაზთანა, რომე ამისგან ზურგი და ძალი მოეცა"[2].

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 4, გვ. 247.

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 357.

გამოდის, რომ იმერეთში შაჰ-თამაზის ლაშქრობის შემდეგ ბაგრატი როდი დამორჩილებია ირანის მბრძანებელს, არამედ პირიქით, თვითონ მიუმართავს მისთვის დახმარების თხოვნით. მაშინდელი ვითარების გათვალისწინებით ეს უფრო რეალური ჩანს. ბ: ეგნატაშვილი აგრძელებს: „თჳთ უცალო იყო შაჰ-თამაზ და ჯარი ვერ აშველა, მისცა ნიჭი დიდი და გაისტუმრა და თჳთ წარვიდა ქუეით“.[1]

იგივე ამბები უფრო ვრცლად გადმოცემული აქვს ახალ ქ. ცხ-ის III ტექსტის ავტორს: „და ჟამსა ამას ბაგრატ მპყრობელი იმერეთისა იყო სამცხეს, და ვითარცა ესმა დაპყრობა სომხითისა, წარმოემართა და მოვიდა შაჰ-თამაზთანა მიზეზითა ამით, რა ჟამს გაემარჯუა ბაგრატ ყუარყუარე ათაბაგსა ზედა, და დაიპყრა ბაგრატ საათაბაგო. მაშინ ოტებულ იქმნა ოთარ შალიკაშვილი, ივლტოდა იგი, და თანა-წარიყვანა ძე ათაბაგის ყუარყუარესი ქაიხოსრო. მივიდეს სტამბოლს და მოაჯე ექმნნეს ხვანთქარს. და შეიწყალა ხვანთქარმან, და მისცა ჯარი მრავალი, და თოფი, და ზარბაზნები დიდ-დიდნი, და უჩინა ამირსპასალარად მუსტაფა ფაშა, და წარმოგზავნა იგინი ბრძოლად ბაგრატისა“[2]. ხონთქრის მიერ ჯარის გამოგზავნა მუსტაფა ფაშის სარდლობით ბერი ეგნატაშვილს მოთხრობილი აქვს შაჰ-თამაზთან ბაგრატის მისვლის შემდეგ. ეს უფრო სწორი

უნდა იყოს. ქ ცბის შევსებული, გადაკეთებული გაგრძელების ავტორმა, ეტყობა, რედაქციული ცვლილება შეიტანა ბერი ეგნატაშვილის გამოცემაში და ამით მოვლენების თანმიმდევრობა აურია, სამაგიეროდ მას ჰქონია დამატებითი მასალა (შეიძლება ზეპირსიტყვიერი გადმოცემა) შაჰ-თამაზთან ბაგრატის მისვლისა და მოლაპარაკების შესახებ, რომელიც საინტერესო ცნობებით ავსებს ჩვენს ცოდნას ბაგრატ-შაჰ-თამაზის ურთიერთობის შესახებ: „ხოლო ესმა რა ამბავი ესე ბაგრატს, მპყრობელსა იმერეთისასა, ამისთვის წარვიდა შაჰ-თამაზთანა, და არვინ წარიყვანა კაცნი უჭალარონი, არამედ აარჩინა კაცნი ჭალარანი, და წარიყვანნა დიდებულნი და მცირენი, მოხუცებულნი, ჭკუისმყოფელნი, ჭალარანი, კაცნი მსგავსნივე მისნი.

ხოლო იყო შაჰ-თამაზ აიდარბეგს, და მივიდა ბაგრატ. დიდად პატივსცა ყაენმან, და დაისუა წინაშე, აქა მოხუცებულნი მიმყოლნი მისნი. და უბრძანა ყაენმან ბაგრატს, რათა მოსწიოს მშვილდსა, და მოუტანეს მშვილდი ძლიერი ბაგრატს. ხოლო ბაგრატ არა რამე თავს-იდვა, და ეპყრა მცირე რამე ნატეხი წვრილი ჯოხი, და მით ას-

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 357.
[2] იქვე, გვ. 498.

წია, ხოლო ყაენმან გაიცინა, და მისცა საბოძვარი დიდი და გამოისტუმრა. ითხოვა ბაგრატ მისგან შეწევნა და ძალი ოსმალთა ზედა. და იყო. მაშინ შაჰ-თამაზ ფრიად უცალო, ვერა ათხოვა ჯარი, და მისცა საბოძვარი მრავალი, და მით შემწე ეყო. და წარვიდა ბაგრატ მპყრობელი იმერეთისა სამცხეს".[1]

ეს ეპიზოდი იმ მხრივაც საინტერესო, რომ ამით ჩანს ამ ამბების თანამედროვე ქართველი საზოგადოების წარმოდგენა ბაგრატ იმერეთის მეფის პიროვნებაზე. როგორც ვხედავთ, იგი იმდროინდელ საზოგადოებას მიაჩნდა წინდახედულ და მოხერხებულ პოლიტიკოსად, რომელსაც თვით შაჰ-თამაზის გულის მოგებაც კი შეეძლო. აქ ძირითადი მაინც ისაა, რომ ბაგრატს სწორი პოლიტიკური ალღო ჰქონდა. ოსმალეთის მოძალების ვითარებაში ერთადერთ რეალურ ძალად, ვინც შეიძლებოდა ამ უკანასკნელთ დაპირისპირებოდა, შაჰის ირანი იყო. თანაც ირანი იმერეთის მიმართ იმ მიზნებს ვერ დაისახავდა, რასაც ოსმალეთი. სამცხის დაპყრობილი ნაწილი ამის თვალნათელი მაგალითი იყო, ამიტომ საესებით გამართლებული იყო ბაგრატის აღნიშნული ნაბიჯი. შეიძლება ისიც მართალი იყოს, რომ ოთარ შალიკაშვილის და ქაიხოსროს სხვა მომხრეებსაც მიემართათ ირანის მბრძანებლისათვის დახმარების თხოვნით, მაგრამ შაჰ-თამაზი არჩევდა მხარი დაეჭირა უფრო ძლიერი ძალისათვის, რომელიც ოსმალეთს შეურიგებლად ებრძოდა და რომელიც უფრო რეალურ მოკავშირედ გამოადგებოდა. ასეთი კი იმერეთის მეფე იყო.

ირანის შაჰს უშუალო ჩარევა იმჯერად არ შეეძლო („იყო მაშინ შაჰ-თამაზ ფრიად უცალო"), მაგრამ გარკვეული დახმარება ბაგრატს მაინც აღმოუჩინა: „მისცა საბოძვარი მრავალი, და მით შემწე ეყო. და წარვიდა ბაგრატ მპყრობელი იმერეთისა სამცხეს".

შაჰ-თამაზთან იმერეთის მეფის დაკავშირებას და მისგან „შეწეობის" მიღებას გარკვეული ნაყოფი გამოუღია. მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ ამის შემდეგ ბაგრატ იმერთა მეფემ თურქებს წაართვა მათ მიერ დაპყრობილი ტაო-კლარჯეთის ტერიტორია (მთლიანად თუ არა დიდი ნაწილი მაინც). ამას უნდა გულისხმობდეს ვახუშტის ცნობა, რომ მას შემდეგ რაც შაჰ-თამაზმა ბაგრატს „მისცა ნიჭნი დიდნი და წარმოაელინა დიდ-პატიეცემული და მოვიდა სამცხესვე, აღიღო ციხენი სამცხისანი და დაიპყრა თჳსად".[2]

ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ 1541 წელს, როდესაც თურქთა 22-

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 498.

[2] ახალი ქართლის ცხოვრება, III ტექსტი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 498.

ათასიანი ჯარი შემოიჭრა ბაგრატის სამფლობელო ხამცხეში, მათ ალყა შემოარტყეს ოლთისის ციხეს. როგორც ვხედავთ, ოლთისი ისევ ბაგრატს ეკუთვნის, 1536 წელს კი, როგორც აღვნიშნეთ, ერთ-ერთი სანჯაყის ცენტრად იყო გადაქცეული. ე. ი. ბაგრატს მართლაც უკან დაუბრუნებია თურქების მიერ დაკავებული ციხე-

სამწუხაროდ, იმ დროის ქართულ წყაროებში საამისო ცნობე-
არ მოგვეპოვება.

შაჰ-თამაზისათვისაც ბაგრატის მისდამი ერთგულება ირან-ოსმალეთის ომის ვითარებაში უმნიშვნელო არ უნდა ყოფილიყო; აქედან გასაგები ხდება ამის შემდგომ ხანაში ირანის შაჰსა და იმერეთის მეფეს შორის ის კეთილგანწყობილი ურთიერთობა, რასაც წყაროები ერთხმად მიუთითებენ.

სამცხის ფეოდალები ისევ თურქების დახმარებით ცდილობენ თავიანთი მიზნის მიღწევას. თურქები დროს არ კარგავენ. ისინი კარგად ხედავენ, რომ ბაგრატ მეფე სამცხე-საათაბაგოს სამხრეთ-დასავლეთის საზღვრებზე მდებარე ციხეებს ამაგრებდა, „ამისათჳს განრისხნა სულტანი სულეიმან და წარმოატანა მუსტაფა ფაშა სპითა დიდითა და ზარბაზნებითა დიდ-დიდითა“.[1]

1543 წ. თურქთა 22 ათასიანი ლაშქარი ტაოში შემოიჭრა და საშინლად აოხრა. ბაგრატ მეფემ იცოდა, რომ თურქები სამცხეს მას არ დაანებებდნენ, რომ ოსმალები უსათუოდ შემოუტევდნენ, ამიტომ გულხელდაკრეფილი არც თვითონ იჯდა. როგორც კი მიიღო სამცხეში მტრის შემოსევის ცნობა, მაშინვე გაემზადა საბრძოლველად, მან ხელახლა თავის ყმებს — დადიანსა და გურიელს მიმართა მტრის წინააღმდეგ ერთიანი გამოსვლისათვის. გურიელი გამოცხადდა მეფესთან, ხოლო დადიანმა, როგორც აღვნიშნეთ, უარი შემოუთვალა: „რა ნიჭი არს ჩემდა, რამეთუ მოვსწყდე სპითა ჩემითაო“.[2]

მიუხედავად საშინაო საქმის ასეთი გართულებისა, ბაგრატ მეფე და გურიელი სწრაფად წავიდნენ მტრის შესახვედრად. ბრძოლა მოხდა ქარაღაქს და დამთავრდა ბაგრატ მეფის სრული გამარჯვებით, ოსმალნი და მათ მხარეზე მდგარი სამცხის თავადები გაიქცნენ, ხოლო მთავარსარდალი მუსტაფა-ფაშა ბრძოლაში დაიღუპა.[3]

---

[1] ვახუშტი, გვ. 812.

[2] იქვე. ამ პასუხიდან კარგად ჩანს, რომ მთავარი, ქვეყნის დიდი საფრთხის ვითარებაშიც, მხოლოდ თავისი სამთავროს ინტერესებით იფარგლება.

[3] ახალი ქართლის ცხოვრება, III ტექსტი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 498; იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ., 1964, გვ. 26—27; ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1966, გვ. 23—24.

ქარალაქის ბრძოლის შესახებ ცნობებს გვაწვდიან თურქი, სპარსელი და სხვა უცხოელი ისტორიკოსები. იბრაჰიმ ფეჩევი ამ ბრძოლას ასე აღწერს: „ტახტ ბედნიერი ფადიშაჰი ჯიუტ არნაბულთა დასაპყრობად მიემგზავრებოდა; ქართველ არნაბულთაგან რამდენიმე ათასი წყეული მოულოდნელად დაესხა თავს არზრუმის ბეგლარბეგს მუსა-ფაშას, მოჰკლა იგი და კიდევ ბევრი ისლამის სარწმუნოებისათვის მებრძოლი გმირი გაუყენა სამარადისო ბედნიერის (სამოთხის) გზას“[1].

უფრო დაწვრილებით აგვიწერს ქარალაქის ბრძოლას სპარსი ისტორიკოსი ჰასან რუმლუ: „ოსმალეთის ხელმწიფემ სულთან სულეიმანმა მუსა-ფაშა, რომელიც არზრუმის მმართველი იყო, 60 სანჯაყის ამირათი საქართველოს დასაპყრობად გაგზავნა. ოსმალები ბრძანების თანახმად დად ელისაკენ გაემართნენ. მეფე ბაგრატმა, რომელიც ბაში-აჩუკად არის ცნობილი, ციხე გაამაგრა, აზნაურების ერთი რაზმი შიგ ჩასვა და თვითონ მთასა და ტყეში წავიდა“. ოსმალებმა პირველი ციხე ათი დღის განმავლობაში აიღეს, შემდეგ მთავარ (ოლთისის — მ. რ.) ციხეს შემოარტყეს ალყა, „სიბები გამართეს და ევროპული ზარბაზნებით და სხვა იარაღით დაუწყეს ციხეს ბრძოლა“. ბაგრატ მეფე ხედავდა, რომ რიცხვით უამრავ ჯარს ვერ დაამარცხებდა, ამიტომ მან მოტყუებით ბრძოლის მოგება სცადა. „მაშინ ბაში-აჩუკმა, — განაგრძობს ჰასან რუმლუ, — ეშმაკობით და ვერაგობით რამდენიმე კაცი გამოუგზავნა მუსა-ფაშას მრავალი საჩუქრით და შემოუთვალა: მე როგორ შემიძლია ხონთქრის ჯარისათვის წინააღმდეგობის გაწევა, თუ ფაშა უკან გაბრუნდება, ციხის კლიტეებს, ვისაც მიბრძანებთ, იმას გადავცემო. მისი სიტყვებით მოტყუებული ფაშა ოლთისის ციხიდან აიყარა და არზრუმს წავიდა, სანჯაყის ამირთა რაზმი კი თოფხანაში დატოვა, რომ შემდეგ მას გაჰყოლოდა და არზრუმში მიეტანა (თოფხანა).

როცა ბაში-აჩუკმა ფაშას უკან გაბრუნების ამბავი გაიგო, სხვა ქართველ სარდლებთან ერთად თოფხანაში დატოვებულ ოსმალებს მოულოდნელ უბედურებასავით თავს დაესხა. ყოველი მხრიდან გარს შემოერტყნენ, ასე, რომ ათასიდან ერთიც არ გადარჩენილა. ამის შემდეგ ილღარით ფაშას წინააღმდეგ გაემართა. გვიანი დილა იყო, რომ დაეწია მას, შეუტია... ქართველებმა ლალისფრად შეღებეს ბრძოლის ველი მათი სისხლით და მრავალი ოსმალო, მუსა ფაშასთან და წარჩინებულ ოსმალებთან ერთად დახოცეს. ხოლო მა-

[1] იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ., 1964, გვ. 26—27.

თი ბანაკი დაარბიეს და აიკლეს". თურქებისათვის წართმეული ზარბაზნები ბაგრატმა ქუთაისში გაგზავნა.

ოთარ შალიკაშვილმა და ქაიხოსრომ ისევ დახმარება სთხოვეს სულთანს, მაგრამ მათი თხოვნის გარეშეც სულთანი სამცხე-საათაბაგოში თავისი პოზიციების დათმობას არ აპირებდა. გარდა ამისა, მრავალ ბრძოლებში გამარჯვებული სულთანი ამ დამარცხებას ვერ შეურიგდებოდა. ორი წლის შემდეგ სულთანმა დიდძალ ჯარს მოუყარა თავი, მთავარსარდლობა არზრუმისა და დიარბექირის ფაშებს ჩააბარა და საქართველოზე თავდასასხმელად გამოგზავნა.

ბაგრატ მეფემ დადიანსა და გურიელს კვლავ მიმართა მოწოდებით. გურიელი თავისი ლაშქრით გამოცხადდა მეფესთან, მაგრამ დადიანმა კვლავ უღალატა საერთო საქმეს და დახმარებაზე მეფეს უარი შემოუთვალა (როგორც აღვნიშნეთ, დადიანისათვის სასურველიც კი იყო მეფის დამარცხება, ვინაიდან გაძლიერებული იმერეთის სამეფო მისთვის არასასურველად ჩანდა და მას არც გურიელის გაძლიერება მოსწონდა).

ბაგრატ მეფემ თავის სიძეს, ქართლის მეფეს ლუარსაბსაც სთხოვა დახმარება. ლუარსაბი ხედავდა, რომ თურქთა მიერ სამცხის დაკავებით საქართველოს სამხრეთის კედელი ერღვეოდა და ყოველგვარ ღონისძიებას იღებდა ამ კედლის გასამაგრებლად. მან მაშინვე შეჰყარა ქართლის ჯარი და იმერთა ჯარს შეუერთდა.

ბაგრატის, ლუარსაბისა და გურიელის ლაშქარს მესხი აზნაურები შეუერთდნენ და გაერთიანებული ლაშქრით მტრის ჯარს ბასიანში მიეგებნენ. ბრძოლა მოხდა 1545 წელს სოხოისტას ველზე. ბრძოლის ბედი მესხთა ღალატმა გადაწყვიტა.

ბრძოლის წინ მესხებმა კატეგორიულად მოითხოვეს მეწინავედ მისვლა. ამაზე ქართველები არ დათანხმდნენ, და თვით მივიდნენ მეწინავედ. ქართველების ლაშქარი მტერს თავგანწირულად ეკვეთა, მაგრამ „მაშინ შურითა ბოროტითა აღსავსეთა მესხთა ინებეს განდრეკილება, და არღარა მიჰყვნენ ომსა შინა"[1]. მესხთა გამოთიშვამ ბრძოლიდან უკუღმა შეაბრუნა მისი ბედი. ბრძოლა დილიდან საღამომდე გაგრძელდა. ქართველებმა უდიდესი ვაჟკაცობა გამოიჩინეს[2]. მაგრამ ღალატმა და რიცხობრივმა უპირატესობამ თავისი გაიტანა, საქართველოს ლაშქარი დამარცხდა, ქაიხოსრო გაათაბაგებას ეღირსა[3].

---

[1] ახალი ქართლის ცხოვრება, III ტექსტი, ქართლის ცხოვრება, II, ობ., 1959, გვ. 499.

[2] იქვე, გვ. 499—500.

[3] მ. სეანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 58—59.

ამ გამარჯვების შემდეგ ოსმალებმა მტკიცედ მოიკიდეს ფეხი სამცხე-საათაბაგოში და განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში. ამ დროიდან ოსმალეთს სამცხე-საათაბაგოზე გავლით საქართველოში შემოსვლელად წინ არაფერი ედგათ.

სოხოისტას ბრძოლამ აშკარა გახადა, რომ თავადურ საქართველოს არ შეეძლო ოსმალეთის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლა, ამავე დროს ისიც ცხადი გახდა, რომ საქართველოს ფეოდალურ ძალებს გაერთიანება აღარ შეეძლოთ საერთო მტრის წინააღმდეგ.

ერთი წლის შემდეგ ბაგრატ მეფე ისევ გადავიდა ლაშქრით სამცხეში, მაგრამ ამაოდ, ოსმალებს მთლიანად დაეპყროთ სამცხის ციხე-სიმაგრენი და თავიანთი მეციხოვნე ჯარი ჩაეყენებინათ[1]—„მერმე კუალა. გადავიდა მეორესა წელსა ბაგრატ მეფე სამცხეს, წარმოასუენა აწყუერისა ღუთისმშობელი ციხეჯუარს და ვერღარა დაიპყრა სამცხე, ვინაჲთგან ციხენი სრულიად დაეპყრათ ოსმალთა; უკუმოიქცა და მოვიდა ქუთათისს?.[2]

1546 წ. იმერეთის მეფის ლაშქრობა სამცხეში და აწყურის ღვთისმშობლის ხატის „ტყვედ“ წამოყვანა აღნიშნულია ქართლის ცხოვრების ქვესებულ-გადაკეთებულ გაგრძელებაშიც.[3] როგორც ჩანს, მისი „წარმატება“ ამის იქით აღარ წასულა, ქაიხოსროს გადაგდება ან დამორჩილება მეფემ ვეღარ შეძლო. პირიქით, სამცხის მთავარი ამის შემდეგ იმერეთის მეფის წინააღმდეგ დადიან-გურიელის დამხმარე და დამრაზმავ ძალად იქცა. თუმცა ასეთი მოქმედებით ქაიხოსრომ ბოლოს ოსმალეთის მონობა მოიმკო. მას ოსმალებმა „მისი „დამოუკიდებელი“ სამთავროს დიდი ნაწილი წაართვეს და უშუალოდ ოტომანის იმპერიას შეუერთეს“.[4]

ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული იყო აზრი, რომ ბაგრატ მეფემ საქართველოს დარბევაში მონაწილეობა მიიღო შაჰ-თამაზის მეორედ შემოსევის დროს (1546 წლის დეკემბერი და 1547 წლის იანვარი).

ისკანდერ მუნშის ცნობით, „შაჰ-თამაზს, აყ შაჰრში ეახლნენ კახეთის მეფე ლევანი და იმერეთის მეფე ბაგრატი, რომელთაცა

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 813; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 500—501; კ. სვანიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 64—67.

[2] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 813.

[3] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 500—501.

[4] [illegible] ნაშრ., გვ. 64—67.

ფეშქაში და „ბაჯ ო ხარაჯ“ მიართვეს შაჰს და იმ ლაშქრობაში მონურად ემსახურებოდნენ“.*

ფარსადან გორგიჯანიძეც აღნიშნავს, რომ „კახეთის ბატონი ლევან და იმერეთის მეფე ბაგრატ ძღვნითა და ყარგის ფეშქაშით ყაენთან მოვიდნენ, ის ლაშქრობა ერთგულად იმსახურეს“.[1]

ამ ცნობების საფუძველზე ივ. ჯავახიშვილმა გააკეთა დასკვნა, რომ ეს ორი ქართველი მეფე ამ ლაშქრობაში ერთგულად ემსახურნენ კიდეც საქართველოს ამაოხრებელ მტერს[2].

თვით ჰასან რუმლუ, რომელიც პირადად იღებდა მონაწილეობას ამ ლაშქრობაში, სრულიად განსხვავებულ ცნობას გვაწვდის. იგი აღწერს იმ ბრძოლებს, რაც მათ გადაიხადეს საქართველოში. ეხოლოდ საქართველოს დატოვების შემდეგ გამოცხადდნენ შაჰთან ქართველი მეფეები. „რჯულის საფარველი“ შაჰი აყ-შაჰრიდან დაიძრა და თობდიში (ბარდაეს) წავიდა. გზაში ლევანი, ზაგემისა და ვრემის ჰაქიმი და საქართველოს ჰაქიმი ბაში-აჩუკი მეფეთა საფარველ სასახლეში მოვიდნენ და განდიდებული იქნენ ხელმწიფის

---

* სათანადო გამოსაღები „ბაჯ ო ხარაჯ“-ის მნიშვნელობა გამოიკვლია პროფ. ვ. გაბაშვილმა.

ირანის შაჰი ზოგჯერ ფეშქაშით არ კმაყოფილდებოდა. ის ქართველ მეფეს, გარკვეული პოლიტიკური ურთიერთობის პირობებში, ხარკსაც ახდევინებდა, ოღონდ ქვეყნის აღწერისა და მალუჯათის გარეშე (მალუჯათი უშუალოდ დაკავშირებულია ყიზილბაშურ მიწისმფლობელობასთან). ასეთ ხარკს „ბაჟი და ხარაჯი“ („ბაჯ ო ხარაჯ“) ეწოდებოდა.

ხონდემირის გადმოცემით: 1518 წ. ახლო ხანში შაჰ-ისმაილ I-ის (1502—1524 წწ.) სარდალ დიე სულთანს, ქართველი მეფე-მთავრები ნახჭევანს წაუღია, იქ ქართველებს შაჰის მორჩილება-სამსახური აღუთქვამთ და ხარკის ეაბილებას დათანხმებულან. ამ დროიდან იწყებენ ქართველი ბეგეები „ბაჯ ო ხარაჯ“-ის გადახდას. ეს განსხვავდება ჩვეულებრივი „ბაჟისა“ და „ბარაჯისაგან“, რადგან ის სეფიანთა ირანში საპატრონყმო ურთიერთობასთან იყო დაკავშირებული.

„ბაჯ ო ხარაჯს“, როგორც წესი, იხდიდნენ ირანის ფეოდალური სამთავროების მპყრობელ-მფლობელები. ასეთ მპყრობელ-მფლობელთა მიწებს, უცხო ქვეყანას, ეწოდებოდა „მულქი მოურუს“ („სამკვიდრო მულქი“).

მულქი მოურუსის მპყრობელი, როგორც ხელდებული, ორგვარი მოვალეობანი იყო დაკავშირებული ირანის შაჰთან: 1. გამოეღო ბაჯ ო ხარაჯ და 2. პირველი მოწოდებისთანავე გამოსულიყო თავისი ჯარით შაჰის სამსახურში (ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება მე-16—17 საუკუნეებში, თბ., 1956, გვ. 239—268).

[1] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., თბ., 1926, გვ.

[2] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 245.

ალერსით. ბაში-აჩუკმა შაჰისაგან ნაბოძები ხალათი ჩაიცვა და თავის სამფლობელოში დაბრუნდა".[1] ამ ცნობიდან ნათლად ჩანს, დასკვნის რ. კიკნაძე, რომ ქართველი მეფეები იმ დროს ხლებიან შაჰს, როცა საქართველო დალაშქრული ჰყავდა და უკან ბრუნდებოდა".

ჰასან რუმლუს ცნობები, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ყურადსაღებია. იგი ყველაზე მეტ ნდობას იმსახურებს, როგორც ამ ლაშქრობის თვითმხილველი. ამავე დროს ისკანდერ მუნში და ფარსადან გორგიჯანიძე ხომ თვით ჰასან რუმლუსაგან იღებდნენ ამ ცნობებს.[2]

ამრიგად, ის მძიმე ბრალდება საქართველოს ამაოხრებელი მტრის ლაშქრობაში ბაგრატისა და ლევანის მონაწილეობას რომ ეხება, რ. კიკნაძის სამართლიანი დასკვნით, არ დასტურდება.[3]

უფრო მეტის თქმაც შეიძლება. როდესაც ვითარებამ მოითხოვა, ბაგრატ მეფემ ენერგიულად დაუჭირა მხარი შაჰ-თამაზის წინააღმდეგ მებრძოლ ლუარსაბ მეფეს. 1554 წელს ქართლში შაჰ-თამაზის უკანასკნელი, მეოთხე ლაშქრობისას, ლუარსაბ მეფე იძულებული შეიქნა იმერეთისათვის შეეფარებინა თავი. შაჰმა იმერეთში შესვლა ვერ გაბედა.[4]

შაჰ-თამაზის მუქარას ბაგრატ მეფემ იმით უპასუხა, რომ დახმარებისათვის სულთან სულეიმანს მიმართა.[5] ირანის შაჰი ამ პერიოდში ოსმალეთთან ზავის დადებას ეშურებოდა, ამიტომ მოერიდა სულთანთან ურთიერთობის გამწვავებას.

აღსანიშნავია, რომ ირანსა და ოსმალეთს შორის საზავო მოლაპარაკების დროს ქართლისა და იმერეთის საკითხს განსაკუთრებული ადგილი ეკავა. მ. სვანიძე უთითებს ამ უკანასკნელ ხანს უნგრელი ორიენტალისტის ლ. ფეკეტეს მიერ თურქეთის არქივში აღმოჩენილ მეტად საინტერესო დოკუმენტს. ესაა შაჰ-თამაზის დიდმოხელეების სევინდუქ ბეგის და უსტაჯლუ შაჰ-ყულუ ბენ ჰამზას წერილი არზრუმის ბეგლარბეგ აიას ფაშასადმი,[6] რომელიც გაგზავ-

---

[1] ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1966, გვ. 26.

[2] იქვე, გვ. 11.

[3] იქვე, გვ. 58; შენიშვნა № 60.

[4] მ. სვანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 74.

[5] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია: ს. კაკაბაძის გამოც., თბ., 1926, გვ. 7.

[6] L. Fekete, Zur Geschichte der Grusiner des 16 Jahrhunderts, Acta Orient. Hung. t. I, fasc. 1. 1950, s. 93—133.

ნილი უნდა იყოს 1554 წ. 30 ოქტომბრის შემდეგ (გამომცემელი ვარაუდობდა 30 აგვისტოს შემდეგ პერიოდს, მაგრამ მ. სვანიძე სავსებით სამართლიანად აზუსტებს 30 ოქტომბრის შემდეგი ხანით). წერილი წარმოადგენს „დიპლომატიურ ნოტას", რომლის „ძირითად არსს შეადგენს საქართველოს საკითხი". როგორც მ. სვანიძე აღნიშნავს, „წერილის ავტორები მოითხოვენ მოისპოს ისეთი ვითარება, რომელიც ქართლისა და იმერეთის მეფეებს საშუალებას აძლევს ისარგებლონ ორი მეტოქე მუსლიმანური სახელმწიფოს უთანხმოებითა და წინააღმდეგობით და ჩამოაგდონ შუღლი მაჰმადიან სახელმწიფოთა შორის".[1]

1555 წ. 29 მაისს, ქ. ამასიაში დაიდო ზავი ირანსა და ოსმალეთს შორის. დამპყრობლებმა საქართველო დასაპყრობად ორ ნაწილად გაიყვეს: დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ოსმალეთმა ირგუნა, ხოლო ქართლ-კახეთი და აღმოსავლეთი სამცხე ირანმა დაიჩემა.

ამ ზავის შემდეგ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა უფრო გაუარესდა, ვინაიდან ამიერიდან ირან-ოსმალეთის შიშით ქართველები ერთმანეთს ვეღარ აღმოუჩენდნენ დახმარებას. ამიერიდან გამორიცხული იყო საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებაც. ქართული ფეოდალური საზოგადოების რეაქციული ნაწილის კავშირი გარეშე მტრებთან და 1555 წლის ამასიის ზავის პირობები გადაულახველ დაბრკოლებებს უქმნიდა საქართველოს გაერთიანების ყოველგვარ ცდას და იგი მუდამ მარცხით მთავრდებოდა.

ორივე დამპყრობელი ცდილობდა, რომ საქართველო ყიზილბაშურ ან ოსმალურ პროვინციად გადაექცია. ამიტომ საქართველოს არც ერთ სამეფო-სამთავროს არ შეეძლო საქართველო გაეერთიანებინა. აუცილებელი იყო გარეშე ძალის დახმარება. ამიტომ ქართველების რწმენით რუსეთი იყო ერთადერთი ძალა, რომლის დახმარებით ქართველ ხალხს შეეძლო ირან-ოსმალეთის კლანჭებიდან დაეღწია თავი და პოლიტიკურად გაერთიანებულიყო. ისტორიულად ეს ასეც მოხდა. ფაქტიურად საქართველოს შეერთებამ რუსეთთან გააუქმა ირან-ოსმალეთის 1555 წლის ზავის პირობები.

ამასიის ზავმა, რომელსაც ავბედითი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის და რამაც განაპირობა აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველოს ორად გაგლეჯა და საუკუნეთა მანძილზე მათი პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური გათიშვა, უდიდესი უარყოფითი როლი შეასრულა ქართველთა ისტორიაში, მაგრამ

---

[1] მ. სვანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 77.

ო�ილიე ამის ძიუბუდავად. ამ ზაეს ერთგვარად დადებითი მნიშვნელობაც გააჩნდა; მან სხვა ფაქტორებთან ერთად საშუალება მისცა აგრესორთა წინააღმდეგ მებრძოლ ქართულ ძალებს ურთიერთთან თავი შეეუარებინათ და ბრძოლა განეგრძოთ. მაგალითად, შაჰ-აბაზს არ გუუჭირდებოდა მის წინააღმდეგ ამხედრებული თეიმურაზ პირველი ადვილად ეგდო ხელთ, მას რომ დასავლეთ საქართველოში არ შეეფარებინა თავი, სადაც ამასთან ზაეის პირობებთა შესაბამისად სპარსეთი ვერ შეიჭრებოდა და პირველი

იმერეთის მეფის ბაგრატ III შიდასახელმწიფოებრივი ღონისძიებანი

მე-16 საუკუნეში დასავლეთი საქართველოს ერთ-ერთ სახელმწიფოს აღარ წარმოადგენდა. მეფის ცდა, რომ მთავრები დაემორჩილებინა და ძალი დასავლეთი საქართველო ერთ საბრძანებლად ექცია, მარცხით დამთავრდა.

პირთალია, ლევან I ლაზარიანი (1533 — 1572 წწ.) ჯერ კიდევ მანდატურთ-უხუცესად და ამავე დროს ერისთავთ-ერისთავად იხსენიებოდა[1], ხოლო გურიელი — ამირა-სპასალარად. მაგრამ ფაქტიურად მეფის უფლება ამ სამთავროებზე აღარ ვრცელდებოდა. თვით იმერეთის სამეფოშიც ალინიშნებოდა ისეთი ფაქტები, რომლებიც ცენტრის უკიდურეს დასუსტებას მიგვანიშნებს. პროფ. ს. კაკაბაძის დაკვირვებით, დარბაზი, რომელიც დიდგვარიანთა საკრებულო ინსტიტუტს წარმოადგენდა მეფის კარზე, ამ დროს უკვე ფაქტიურად აღარ არსებობდა[1]. მე-16 საუკუნის დასაწყისში იმერეთის სამეფო კარზე 8 ვეზირი ითვლებოდა, ხოლო ამავე საუკუნის მეორე ნახევრისათვის სავაზირო ბჭოლოდ 4 პირისაგან შედგებოდა[2]. ეს ვაზირებიც თავიანთი ძველი მნიშვნელობიდან შორს იდგნენ.

მეფის „კარის გამრიგე" ორგანოების ასეთი სახეცვლა ცენტრალური ხელისუფლების შესუსტებას ნიშნავდა; მეფე შექმნილი მდგომარეობიდან გაბოსასელელს ეძებს. ამ მხრივ აღსანიშნავია ბაგრატ მეფის ცალკეული ღონისძიებანი. ბაგრატ III-ემ სცადა ეკლესიის წინა პლანზე წამოწევა. ეკლესია დიდი ყმა-მამულის მფლობელი იყო. საერო ფეოდალებს მისი მამულის დატაცებაზე

---

[1] ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, თბ., 1922, გვ. 28.

[2] ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 193; ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საელჩო სიტყვები, I, გვ. 10.

ეჭირათ თვალი. მეფე ეკლესიის მიწებს იცავდა. ეპისკოპოსი მეფის მიერ ინიშნებოდა, ამიტომ იგი მეფის ერთგული იყო. საეპისკოპოსოების დაარსებით მეფე თავის ერთგულ ფეოდალთა ღასს ქმნიდა, რომელიც მისი დასაყრდენი იქნებოდა.

ბაგრატ III-ემ პირველ რიგში აღადგინა ადრე არსებული ან შექმნა ახალი საეპისკოპოსო ცენტრები, „მეფეთ-მეფემან ბაგრატ განყო ლიხთიმერი სამ საეპისკოპოსოდ" (1529 წ.).

პირველი საეპისკოპოსო კათედრა დააარსა გელათში (1529 წ.), მეორე საეპისკოპოსო კათედრა ხონში (1529 წ.)[2], ხოლო მესამე საეპისკოპოსო კათედრა აღადგინა ნიკორწმინდაში.[3]

ახალი საეპისკოპოსო კათედრების გამგებლობას მეფე თავის მომხრე ფეოდალებს ანდობდა. ამავე დროს ძველ მოქმედ კათედრებზედაც თავის მომხრეებს ნიშნავდა. მართალია ხშირად ეს თანამდებობა მემკვიდრეობით გადადიოდა საგვარეულოს წევრებზე, მაგრამ ეს მეფის თანხმობით ხდებოდა.[4]

•

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული იყო აზრი იმის შესახებ, რომ ადრე გაუქმებული რაჭის საერისთავო ბაგრატ მეფემ აღადგინა. ო. სოსელიამ გამოიკვლია, რომ ეს არასწორია და ვახუშტის შეცდომიდან მომდინარეობს. ვახუშტი ამბობს „ბაგრატ მეფემან დასვა ერისთავად რაჭას ჩხეიძე შოშიტა და მისცა რომელიმე სახასო დაბანი და ციხე მინდა, რამეთუ აქამომდეე იყო რაჭა სამეფოდ და ეალად ჰყო საერისთოდ".[5]

მე-13 საუკუნის 80-იან წლებში დავით ნარინმა მკაცრად დასაჯა[6]. ღალატისათვის რაჭის ერისთავი კახაბერიძე, ხოლო რაჭის საერისთავო გაუქმა და სახასო მამულად აქცია. ამით დამთავრდა რაჭის საერისთავოს არსებობის პირველი პერიოდი,[7] და მასთან ერთად კახაბერიძეთა ერისთავობაც.

---

[1] ს. კ ა ყ ა ბ ა ძ ე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო სამუეთები, 1, გვ. 10.

[2] სამართალი კათალიკოზისა და მისი [illegible] ენის დრო. ს. კაკაბაძის გამოცემა, 1913, გვ. 7.

[3] ო. ს ო ს ე ლ ი ა, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 33—34; ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, სენიორიები, თბ., 1966, გვ. 206.

[4] ი ბ ე ვ ე.

[5] ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 811.

[6] ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 275.

[7] ო. ს ო ს ე ლ ი ა, დასახ. ნაშრ. გვ. 70—71; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 276.

„მე-13 საუკუნის 80-იან წლებში გაუქმებული რაჭის საერისთავო მომდევნო საუკუნის მიწურულს იქნა აღდგენილი. მე-14 ს. დასასრულსა და მე-15 ს. დამდეგს ეს უკვე მომხდარი ფაქტია და ერისთავად აქ ვინმე აღბუღა ზის“.[1]

ამ დროს შემდგომ რაჭის საერისთავო არავის გაუუქმებია, ხოლო ძველ საერისთავოსთან შედარებით ნაკლები ტერიტორია ეკავა, მასში აღარ შედიოდა თაკვერი და თვით რაჭის ნაწილიც კი.[2]

ე. ი. ცნობა იმის შესახებ, რომ ერთხელ გაუქმებული რაჭის საერისთავო ბაგრატ მეფემ აღადგინა და ამით კიდევ უფრო დაასუსტა პოლიტიკურად სამეფო, სინამდვილეს არ შეეფერება.[3]

ბაგრატ III ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებად შეიძლება ჩაითვალოს საკათალიკოზო ტახტის გადმოტანა ბიჭვინთიდან გელათში[4], რაც მაუწყებელი იყო ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებებისა.

„ახალი ქართლის ცხოვრების“ III ტექსტი გვიდასტურებს, რომ კათალიკოსი 1529 წელს ჯერ კიდევ ბიჭვინთაში ზის. ამ წელს ბიჭვინთაში მყოფმა მალაქია აბაშიძემ აკურთხა ქუთაისის, გელათისა და ხონის ეპისკოპოსები.[5]

1545 წელსაც კათალიკოსის ტახტი ისევ ბიჭვინთაშია, ამის დამამტკიცებელ საბუთს იძლევა თვით ბაგრატ მეფე.

1545 წელს ბაგრატ მეფეს გელათის წმინდა გიორგის ეკლესია საფუძვლიანად განუახლებია და თავის საძვალედ გაუხდია.[6] ე. ი. ამ დროს წმინდა გიორგის ეკლესია ჯერ კიდევ არ არის კათალიკოსისათვის გადაცემული. როგორც ცნობილია, საკათალიკოსო ტახტი გელათში წმინდა გიორგის ეკლესიაშია მოთავსებული. ბაგრატ მეფე ერთ-ერთ თავის მიერ გაცემულ საბუთში აღნიშნავს, რომ მეორედ აუშენებია წმინდა გიორგის ეკლესია, მანამდე იგი სადედოფლო ყოფილა. „ვიგულსმოდგინეთ და ხელვყავთ საყდრისა და მო-

---

[1] ო. სოსელია, დასახ. ნაშრ. გვ. 73; ს. კაკაბაძე, გენეალოგია დიდი ალექსანდრე მეფისა, თბ., 1913, გვ. 19.

[2] ო. სოსელია, დასახ. ნაშრ. გვ. 73—75.

[3] საქართველოს სიძველენი, I, გვ. 17; ბ. ლომინაძე, გელათი, თბ., 1958, გვ. 36; დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ს. კაკაბაძის გამოცემა, თბ., 1921, გვ. 19; ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, სენიორიები, თბ., 1966, გვ. 182; მ. რეხვიაშვილი, იმერეთის სამეფო XVI საუკუნეში, თბ., 1976, გვ. 48—50.

[4] იქვე.

[5] ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 493.

[6] ბ. ლომინაძე, გელათი, 1958, გვ. 38.

ნასტრისა წმინდისა გიორგისა მეორედ აღშენებად. პირველად ოდესმე სადედოფლო ყოფილიყო, აღარავინ ესაფლავებოდა და მოშლილიყო, და აწ ჩვენდა სამარხად და საძვალედ შევეკმენით, აღვაშენეთ და შევამკევით ხატითა, წიგნითა... და მამულითა".[1]

ამ საბუთიდან ის დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ, რომ 1545 წელს ეკლესია მოქმედი არაა, კათალიკოსი აქ არ ზის და იგი ბაგრატ მეფის საძვალე ხდება. მას მომდევნო ხანის წყაროებიც ბაგრატის საძვალეს ეძახიან და აქ არიან დასაფლავებულნი თვით ბაგრატი და მისი მეუღლე ელენე.[2] ე. ი. 1545 წელს წმ. გიორგის ეკლესია მოუწყობელია და უმოქმედო.

კათალიკოსის ტახტის გადმოტანასთან დაკავშირებით, ერთ-ერთ ყველაზე სანდო ცნობას გიორგი ბაგრატის ძის (1565—1583 წწ.) 1569 წლის შეწირულების წიგნი იძლევა. იგი მიგვანიშნებს, რომ წმ. გიორგის ეკლესია ამ დროისათვის გადაცემული აქვს კათალიკოსს და გიორგი მეფე მას უბოძებს მამულს, ხოლო სამაგიეროდ სულის მოსახსენებელ წირვას ინიშნავს:

შემოგწირეთ... წმ. გიორგის... „ყოველთ წელიწადსა რვარვასა ჟამსა გვეწირევადით (sic) პატრონი კათალიკოზი და სადამდის პატრონი ევდემონ კათალიკოზი დღენგძელად და ამოდ იყოს. ისი ნუ დაგვაკლებს წელიწადშიგან ამ მამულისათვის რვა-რვასა ჟამის წირვასა და რა სოფელმაე მისი წესი არ დაიკლოს, ვინცა კათალიკოზი იყოს და წმიდის გიორგის მონასტირი და ეკლესია ჰქონდეს ისი ნუ დაგვაკლებს წელიწადშიგან რვარვას ჟამის წირვასა".[3]

ზემოთ აღნიშნულიდან მტკიცდება, რომ 1569 წელს კათალიკოსის კათედრა გელათშია გადმოტანილი და მას უკავია წმ. გიორგის ეკლესია. კათალიკოსმა უნდა წიროს მეფის სულის მოსახსენებლად წელიწადში რვა-რვაჯერ, ასევე უნდა მოიქცნენ მომდევნო ხანის კათალიკოსებიც. ე. ი. 1545 წლიდან გელათში უნდა გადმოეტანათ კათალიკოსის კათედრა და ეს უკვე 1569 წელს მომხდარი ფაქტია. ე. ი. საკათალიკოსო ტახტი ბიჭვინთიდან გელათში გადმოვიდა 1545—1569 წლებს შორის.[4]

რა იყო მიზეზი იმისა, რომ კათალიკოსმა ბიჭვინთა დატოვა?

ბაგრატ მეფე ენერგიულად ცდილობდა, რომ ეკლესია გაეძლიე-

---

[1] საქართველოს სიძველენი, I, გვ. 17.

[2] ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, გელათი, 1958, გვ. 36.

[3] დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ს. კაკაბაძის გამოცემა, თბ., 1921, გვ. 19.

[4] ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, სენიორები, თბ., 1966, გვ. 182.

რებინა, ვინაიდან იგი სამეფო ხელისუფლების ერთგული იყო და მისი ხელისუფლების გაძლიერებისათვის ბრძოლაში მეფეს გვერდში ედგა. ამიტომ კათალიკოსის გადმოსვლა მეფის ერთ-ერთი ღონისძიება იყო, რომელიც მიზნად ისახავდა სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას ეკლესიის მოკავშირეობით. მაგრამ მარტო ამით არ შეიძლება აიხსნას საეკლესიო ტახტის გადმონაცვლება.

საეკლესიო ცენტრის გადატანა გელათში და ბიჭვინთის დაცარიელება მაუწყებელი იყო ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებებისა (მიუხედავად ამისა, დასავლეთი საქართველოს საეკლესიო მთლიანობა მაინც არ დარღვეულა, აფხაზეთი კვლავ გელათის საკათალიკოსოს შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა). ამის ნათელ დადასტურებას გვაძლევს „მცნება სასჯულო“ და ლევან II დადიანის (1611 — 1657 წწ.) ერთი საყურადღებო საბუთი. „ძველითვანი იადგარი გარყუნილიყო და დაკარგულიყო ხოფისა ღთის მშობლისა, მას ჟამსა უღმრთოდ და უსჯულოებად მიიქცეს აფხაზნი, და აღვიყვანეთ იოვაკიმ, კაცი ღირსი ნეტარებისა, დავსვით კათალიკოზად, რომელი აფხაზთა გარყუნეს სჯული და კათალიკოზობა, ხოლო ჩუენ მარჯუენითა ქრისტეს საფლავისათა და იერუსალემისა და ანტიოქის პატრიარქისა მიხაილის ნება დართვითა გავარიგეთ ჯუარითა და ონფორითა“[1].

როგორც ამ საბუთიდან ჩანს, აფხაზნი „უღმრთოდ და უსჯულოებად მიიქცეს“. იგივე შამადავლე დადიანის მონაწილეობით შედგენილი „მცნება სასჯულო“ ამასვე ადასტურებს[2].

მე-15 საუკუნეში აფხაზეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ქრისტიანობისაგან სრულიად გამდგარია, ამას ემატება მე-16 საუკუნეში ფეოდალური აშლილობა, ოსმალთა წაქეზებით ჯიქების თავდასხმები ზღვის სანაპირო ზოლზე. ამის შედეგად ქვეყნის ცხოვრებაში ხდება დიდი ცვლილებები.

„პოლიტიკურად დაქუცმაცებულ დასავლეთ საქართველოში, როცა ხელისუფლები (მეფე-მთავრები) ვამუდმებულად ერთმანეთს ებრძოდნენ, ხოლო მეფის მომხრე ეკლესიის უმაღლესი მესაჭის ადგილსამყოფელი მოექცა ისეთ კუთხეში, სადაც ოსმალეთის უფლება აღიარებული იყო იმერეთის მეფის საპირისპიროდ, კათალიკოსის მიერ ბიჭვინთიდან ეკლესიის შართვა და მეფესთან კავშირი

---

[1] საქართველოს სიძველენი, ტ. I, გვ. 26.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ., 1970, მცნება სასჯულო, გვ. 121—132.

შეფერხებული იქნებოდა; ბიჭვინთის კათალიკოსის ცენტრთან მოახლოება, უეჭველია ერთგვარი გამოხატულება იყო ბაგრატ მეფის საეკლესიო პოლიტიკისა, რომელიც გულისხმობდა ეკლესიის, როგორც დასაყრდენი ძალის, გაძლიერებას ურჩი მთავრების წინააღმდეგ ბრძოლაში. მეორე მხრივ, ოსმალების თუ მათი გავლენის ქვეშ მყოფი ჩრდილო ტომების უშუალო შემოტევამ აფხაზეთზე, მათმა მოახლოებამ ბიჭვინთისაკენ, უეჭველია, შეაფერხა ქრისტიანული მრეველისა და მასთან ერთად საკათალიკოსო საყმოს ნორმალური განვითარება აფხაზეთში; ომებმა შეაფერხეს კათალიკოსის უშიშარი მისვლა-მოსვლაც სამწყსო-საეკლესიო საქმეებზე და საფრთხე შეუქმნეს კათალიკოსის ფიზიკურ არსებობას.[1] ყველა ამ საშინაო და საგარეო პოლიტიკურმა სიტუაციამ მე-16 საუკუნეში იძულებული გახადა ევდემონ ჩხეტიძე დაეტოვებინა ბიჭვინთა და გადმოენაცვლა გელათში, პოლიტიკურ ცენტრში.

ბაგრატ III მიერ საეკლესიო სფეროში ჩატარებული რეფორმა, როგორც აღვნიშნეთ, მიზნად ისახავდა მსხვილი საეპისკოპოსოების დაქუცმაცებას წვრილ, პატარა საეპისკოპოსოებად, ეს უკანასკნელნი უფრო ადვილი დასამორჩილებელნი იქნებოდნენ, ვიდრე ერთიანი, ძლიერი საეპისკოპოსოები, ამასთან, ისინი მეფის უფრო ერთგულნი იყვნენ, ვიდრე საერო ფეოდალები.

ბაგრატის ამ წინ გადადგმული ნაბიჯის სისწორე შემდგომმა დროის მსვლელობამ დაადასტურა. საეკლესიო მოღვაწენი განუხრელად იდგნენ იმერთა მეფეების მხარეზე და შეძლებისდაგვარად ებრძოდნენ ფეოდალთა აღვირახსნილობას სამეფო კართან ერთად.

სანამ გაერთიანებული ფეოდალური სამეფო არსებობდა, საქართველო ოთხ სადროშოდ იყო გაყოფილი: მეწინავე სადროშოს სამხრეთი საქართველო ქმნიდა, მემარჯვენეს — ლიხთ-იმერეთი, მემარცხენეს — ჰერეთ-კახეთი, ხოლო ცენტრს — ქართლი.

როდესაც გაერთიანებული საქართველო დაიშალა სამეფო-სამთავროებად და მათ თავიანთი საკუთარი საზღვრები გაუჩნდათ, საჭირო გახდა სამხედრო რეფორმების გატარებაც. ასეთი რეფორმა პირველად გატარდა კახეთში. ვახუშტის მტკიცებით, გიორგი კახთა მეფემ ქვეყანა ოთხ სადროშოდ დაჰყო. მაგრამ სადროშოს სარდლობა მან საერო ფეოდალებს კი არ ჩააბარა, როგორც უფრო გვიან ქართლის მეფემ, არამედ ეპისკოპოსებს. ეპისკოპოსობა მემ-

---

[1] ქუთაისიდან ოდიშისაკენ მიმავალ ევდემონ კათალიკოსს და მის ამალას თავს დაესხნენ ყაჩაღები, დაჭრილი კათალიკოსი ყაჩაღებს გაექცა, მაგრამ ცხენიდან გადმოვარდა და მოკვდა („ტოლოჩანოვისა და ივანეს ელჩობა საქართველოში").

კვიდრეობითი თანამდებობა არ იყო. ეს უმაღლესი საეკლესიო ხელისუფალნი მეფის მიერ ინიშნებოდნენ, ამიტომ ისინი უფრო ერთგულნი იყვნენ მეფისა, ვიდრე საერო პირნი. ამასთან ერთად ეპისკოპოსებს საეკლესიო ყმებისა და მიწების გამოყენების საქმეში მეფის მფარველობა სჭირდებოდათ, ვინაიდან საერო ფეოდალები მგლური თვალით უყურებდნენ საეკლესიო მიწებს. კახეთში აღნიშნული სამხედრო რეფორმა ვახუშტის მიხედვით, კახეთის სამეფოს წარმოქმნის პირველ ხანებშივე გატარდა (მე-15 ს. 60-70 წწ.).

ქართლში აღნიშნული რეფორმა განსხვავებულად გატარდა. მართალია მეფე დავით X (1505-1525 წწ.) ქართლის სამეფო ძველი პრინციპის მიხედვით ასევე ოთხ სადროშოდ დაპყო, მაგრამ სადროშოს სარდლობა იმ მხარის ფეოდალებს ჩააბარა, საიდანაც ლაშქარი გამოდიოდა. ამ ღონისძიებამ ქართლის სამეფო ტახტი კიდევ უფრო დაასუსტა, ვინაიდან ქვეყნის ძალას სათავადოებიდან გამოყვანილი ლაშქარი შეადგენდა და ამ ლაშქრის მბრძანებელი ისევ ძლიერი ფეოდალი იყო.

როგორი მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ იმერეთის სამეფოში? ერთადერთი, რასაც შეიძლება დავეყრდნოთ, არის ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა. ვახუშტის მიხედვით, იმერეთის სამეფო მე-16 საუკუნის პირველი ნახევრიდან ოთხ სადროშოდ არის დაყოფილი.

პირველი სადროშოა ვაკის იმერეთი, მეორე — არგვეთის, მესამე — რაჭის და მეოთხე — ოკრიბა-ლეჩხუმი[1]. ე. ი. ისე, როგორც ქართლისა და კახეთის მეფეებს, ბაგრატ მეფესაც ჩაუტარებია სამხედრო ხასიათის რეფორმა და იმერეთი ოთხ სადროშოდ დაუყვია. როგორც ვახუშტის ცნობიდან ირკვევა, იმერეთშიც სადროშოს უფროსობა თვით სადროშოში შემავალ ფეოდალს ჰქონდა მინდობილი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს წესი მეფის ხელისუფლებას ასუსტებდა, სამაგიეროდ ფეოდალის უფლებებს ზრდიდა და უფრო დამოუკიდებელს ხდიდა.

მოგვიანებით, მე-17 საუკუნეში, სადროშოს უფროსად სარდლის განსაკუთრებული თანამდებობაა შემოღებული.

* * *

როგორც დავინახეთ, ბაგრატ მეფის ცდა სამცხე-საათაბაგოს შემოერთებისა, მარცხით დამთავრდა. ქვეყნის შიგნით კიდევ უფრო განმტკიცდა ოდიშისა და გურიის სამთავროების დამოუკიდებ-

[1] ვახუშტი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 162 — 165.

ლობა, თვით მეფეც იძულებული გახდა 1555 წლის ამასიის ზავის შემდეგ ოსმალეთის ბატონობა ეღიარებინა და ხარკი ეხადა ქალ-ვაჟთა სახით. ამის შედეგად იმერეთის სამეფოს საშინაო მდგომარეობა უარესდება. ოსმალეთის გამეზობლებამ და მისი უფლებების აღიარებამ, ხშირ-ხშირმა თარეშებმა და ოსმალთა მიერ შავი ზღვის შეკვრამ დასავლეთი საქართველო გასაჭირში ჩააგდო. ქვეყნის შიგნით გახშირდა სხვადასხვა ბოროტმოქმედებანი, განსაკუთრებით ტყვის სყიდვა, რაც ოსმალთა გამეზობლებამ და ხელშეწყობამ გამოიწვია.

ტყვის სყიდვა, ქურდობა-ავაზაკობა, მკვლელობა, ეკლესიების ძარცვა იმდენად გაზრდილა და გავრცელებულა, რომ აუცილებელი გამხდარა საეკლესიო კრების მოწვევა, რომელიც ფეოდალურ საზოგადოებას თავისი ავტორიტეტით წინ აღუდგებოდა და მოუწოდებდა ამ უმსგავსოებათა წინააღმდეგ საბრძოლველად. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ბაგრატ იმერთა მეფის მიერ მე-16 საუკუნის 50-იან წლებში მოწვეული საეკლესიო კრება.

ბაგრატ III დასავლეთი საქართველოს საერო და სასულიერო ფეოდალები შეკრიბა და დღის წესრიგში დააყენა ყველაზე მტკივნეული საკითხი — ტყვეთა სყიდვის აკრძალვა.

კრებას დაესწრო აფხაზეთის კათალიკოსი ევდემონი, საგანგებოდ მოწვეულ იქნა ქართლის კათალიკოსი მალაქია და დასავლეთი საქართველოს 10 ეპისკოპოსი: ქუთათელი, გენათელი, ჭყონდიდელი, ბედიელი, მოქველი, დრანდელი, ცაგერელი, ხონელი, ნიკორწმინდელი და ცაიშელი. ამ საეკლესიო კრებამ იმსჯელა გამრავლებულ ბოროტმოქმედებათა შესახებ და შეიმუშავა ხალხის ზნეობრივი ცხოვრების ამაღლების მიზნით „სამართალი კათალიკოზისა“.

ტყვეთა სყიდვა ყველაზე მეტად დასავლეთ საქართველოში გავრცელდა. ოსმალეთის გამეზობლების შემდეგ ტყვეთა სყიდვამ უკიდურესი მახინჯი ფორმა მიიღო. ეს სოციალური სენი განსაკუთრებით მე-16 საუკუნიდან გაძლიერდა[1]. ამ მოვლენას ღრმა ეკონომიური და საზოგადოებრივი მიზეზები ჰქონდა.

ტყვის სყიდვას ქართველი ერისათვის უდიდესი საფრთხე მოჰქონდა: ხალხის საუკეთესო ნაწილი, მისი ჯანსაღი ახალგაზრდობა, უცხოეთში მიჰყავდათ და საქართველოს სამუდამოდ ეკარგებოდა. არც ერთ ომს, არც ერთ უცხოელ დამპყრობელს ხმლით იმდენი ზარალი არ მიუყენებია საქართველოსათვის, რამდენიც ტყვის სყი-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ მე-14—15 საუკუნეებში ტყვეთა სყიდვა ჯერ მცირედ უნდა ყოფილიყო შემოსული (იხ. მისი საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 6, გვ. 170).

დვამ მიაყენა. „ტყვის სყიდვა — აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი — კლასობრივი ბრძოლის ყველაზე უფრო მახინჯი და ველური ფორმა იყო საშუალო საუკუნეების საქართველოში“.[1]

მეფესა და ერისთავებს შორის 1462 წელს დამყარებული დამოკიდებულება გრძელდება XVI საუკუნის 40-იან წლებამდე. დადიანი სარგებლობს იმერეთის სამეფო კარის საგარეო პირობების გართულებით და უარს უცხადებს მეფეს სამხედრო ვალდებულების შესრულებაზე.

„ამგვარად, — ასკვნის ო. სოსელია, — დამოუკიდებელი სამთავროების ჩამოყალიბება დასავლეთ საქართველოში დაიწყო მე-13 საუკუნის 20 — 30-იან წლებში და საბოლოოდ დამთავრდა მე-16 საუკუნის შუა წლებში“[2].

სოხოისტას მარცხის შემდეგ, მეფემ გადაწყვიტა მთავრების დამორჩილება და მათი სამფლობელო ქვეყნის შეერთება იმერეთის სამეფოსთან. ამ განზრახვით მოიხმო ლევან დადიანი, ვითომც სანადიროდ ხონის ჭალაში „და ღალატად შეიპყრო იგი ბაგრატ მპყრობელმან იმერეთისამან და პატიმარჰყო“ (1546 წ.). ამის შემდეგ გურიელიც მოიწვია მეფემ ოდიშზე სალაშქროდ. ვახუშტის მტკიცებით მეფეს განზრახვა ჰქონდა გურიელიც ხელთ ეგდო, გურიასა და ოდიშის სამთავროები გაეუქმებინა და მთელი დასავლეთი საქართველო გაეერთიანებინა.

გურიელმა საფრთხე იგრძნო და მეფის ჩანაფიქრი გამოიცნო „უკეთუ მოსრას ტომი დადიანთა და დაიპყრას ოდიში ბაგრატ, მაშინ აქნას ჩემზედაცა მოცალედ და მიმიღოს მეცა გურია“.

გურიელი მეფეს არ ეახლა, მოიმიზეზა რომ ათაბაგი და ოსმალები ჩემს ქვეყანას ემუქრებიანო და თან ურჩია დადიანი ფიცით შემოეშტიცებინა და გაენთავისუფლებინა.

თავის მხრივ მეფეც მიუხვდა თავის ყმას განზრახვას, განრისხდა და დადიანი გელათის სამრეკლოში გამოეკეტა.

ქაიხოსრო ათაბაგი ხედავდა ბაგრატის გაძლიერებას, რაც მისთვის ხელსაყრელი არ იყო. ამასთან ათაბაგს ახსოვდა ის ერთგულება, რომელიც ნებით თუ უნებლიეთ დადიანმა გამოიჩინა და იმერთა მეფეს ორგზის არ გაუვა სამცხისათვის ბრძოლის დროს. ათაბაგმა ლევან დადიანის მცველი ხოფილანდრე ჩხეიძე მოისყიდა

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. 6, თბ., 1973, გვ. 170—172.

[2] ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 36; იხ. აგრეთვე, სამეგრელოს სამთავროს წარმოშობის თარიღისათვის, მიმომხილველი, II, 1951, გვ. 171—182.

და დაავალა სატუსაღოდან მისი გაპარება, რაც მან კარგად შეასრულა კიდეც — დადიანი გელათის სამრეკლოდან გააპარა და ახალციხეში გადაიყვანა.

ქაიხოსრო ათაბაგმა დაივიწყა ძველი მტრობა გურიელთან და ერთობლივი მოქმედებით ლევან დადიანი ისევ გაამთავრეს იმავე წელს. ამ დროიდან გურიის სამთავრო გამოეყო იმერეთის სამეფოს.

ამრიგად, მთავრებთან ბრძოლაში ბაგრატ III დამარცხდა.

მეფეს სხვა ძალა არ გააჩნდა, გარდა თვით მთავრებს შორის წინააღმდეგობის გამოყენებისა და მათი ურთიერთდაპირისპირების მცდელობისა, მაგრამ ეს ცდა თავიდანვე განწირული იყო ჩასაფუშავად და ასეც მოხდა. მთავრები, პირიქით, შეკავშირდნენ და მეფის წინააღმდეგ გაერთიანდნენ. მეფისაგან დამოუკიდებლად რომ ეგრძნოთ თავი, უფრო მოგვიანებით, ისინი ხონთქრის კალთასაც კი შეეფარნენ და უკვე 1553 წელს არზრუმის ფაშის ამალაში იმყოფებოდნენ.

ქაიხოსრომ მთავარ მიზანს მიაღწია: დადიანის განთავისუფლებით მეფე დაასუსტა, მთავრები გააძლიერა და მეფისაგან დამოუკიდებელი გახადა. ამიერიდან ბაგრატ მეფეს აღარ შეეძლო სამცხის დაპყრობაზე ეფიქრა, ვინაიდან მთავრები მხარს არ დაუჭერდნენ, მარტო მისი ძალები კი სამცხის დასამორჩილებლად არ კმაროდა.

ბაგრატ მეფემ მაინც მიაღწია დადიანსა და გურიელს შორის უთანხმოების ჩამოგდებას.

როდესაც გურიას ოსმალები შემოესივნენ და გურიელმა მეფესა და დადიანს მოუწოდა დახმარებისათვის, ბაგრატ მეფეს მთავრების გაერთიანება არ სურდა, ვინაიდან მათ გაერთიანებაში თავისთვის საფრთხეს ხედავდა.

გურიელის დასახმარებლად მეფემ თავისი ძმა ვახტანგი გაგზავნა 500 მხედრით და თანაც საიდუმლოდ დაავალა, რომ მთავრები როსტომ გურიელი და ლევან დადიანი ერთმანეთს არ შეხვედროდნენ. საჯავახოში მდგარმა ვახტანგმა ფოთში აფხაზეთ-ოდიშის ჯარით მდგომ ლევან დადიანს შეუთვალა, რომ მეფემ და გურიელმა თქვენი ღალატი განიზრახესო, ვახტანგი ასე უთვლის ლევანს: ბაგრატ მეფე და როსტომ გურიელი თავს დაგესხმიან და „ანუ მოგაკვდინებენ და ანუ შეგიპყრობენ“[1].

---

[1] ვახუშტი, გვ. 814.

„შაშინ სცნეს რა ესე მეგრელთა მოშიშართა, არღარა ინებეს წამოსვლა გურიას“.[1] ოდიშის ლაშქარი ისევ უკან გაბრუნდა. აღარც იმერეთის ჯარს მიუღია მონაწილეობა ბრძოლაში, ვინაიდან გურიელმა ოსმალნი თავისი ძალებით დაამარცხა და ჭოროხს იქით განდევნა. გურიელს ნავები არ ჰქონდა და ცხენით გასვლა კი მდინარეში წყალდიდობის გამო არ შეიძლებოდა. ამით ოსმალებმა ისარგებლეს და „აღაშენეს ციხე გონია“. ამიერიდან ურთიერთშორის განაწყენებული მთავრები რიგრიგობით მიდიოდნენ გონიის ციხეში მყოფ აგრესორთან და თვით გადმოუძღვებოდნენ ხოლმე მეზობლის დასარბევად. ამას ოსმალნი სიამოვნებით კისრულობდნენ, ვინაიდან მეფე-მთავართა კინკლაობით ხელს უკეთ ითბობდნენ.

იმერეთის სამეფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება ამასიის ზავის შემდეგ

ბაგრატ მეფემ, მიუხედავად იმისა, რომ ყოველგვარ ზომებს მიმართავდა სამეფოს გასაძლიერებლად, ვერ შეაჩერა იმერეთის სამეფოს უკან სვლა, რაც ღრმა სოციალური და ეკონომიური მიზეზებით იყო გამოწვეული. ეს თანდათანობით უფრო მეტი სიცხადით იჩენდა თავს. ნელი ნაბიჯით მიმდინარე დაცემის პროცესი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც თავისებურ გამოხატულებას პოვებდა.

ბაგრატ III გარდაიცვალა 1565 წელს. სამეფო ტახტი მისმა მემკვიდრემ გიორგი II დაიკავა.[2] მეფობის დასაწყისში გიორგი მეფემ შეძლო მშვიდობიანი ურთიერთობა დაემყარებინა გურიელთან და დადიანთან.

მაგრამ გიორგი მეფე თანდათან კარგავს მეფურ ავტორიტეტს და დასავლეთ საქართველოში იწყება გაუთავებელი შინა ომები. ბაგრატ III-ის შემდგომი დროიდან მთელი მე-16 საუკუნის ბოლო და მე-17—18 საუკუნეები დასავლეთ საქართველოში არსებითად მეფე-მთავართა ერთიერთბრძოლის ისტორიაა. დაუსრულებელმა ფეოდალურმა ომებმა ერთიანად გააჩანაგა ისედაც უკანმავალი ქვეყანა.

უკვე გიორგის მეფობის დროს დასავლეთი საქართველოს შინაპოლიტიკური მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. ერთი მხრივ გრძელდებოდა მთავრებსა და მეფის ხელისუფლებას შორის ბრძო-

---

[1] ვახუშტი, გვ. 814.
[2] იქვე, გვ. 815.

ლა, ხოლო მეორე მხრივ მთავრები ერთმანეთს ეცილებოდნენ პირველობას. ხშირად თავს ესხმოდნენ და იკლებდნენ მეზობელ სამთავროებს. ამასთან, არც ერთი მხარე არ მორიდებია უცხო ძალების გამოყენებას, რასაც უარყოფითი შედეგი მოჰქონდა საქართველოსათვის, მთავრები კი ამას არაფრად აგდებდნენ.

გიორგი მეფე, გიორგი გურიელი, ლევან დადიანი, მთავართა სახლიკაცები, აფხაზეთის მთავრები და სხვა თავადები, ცალ-ცალკე თუ ჯგუფ-ჯგუფად იბრძვიან ერთმანეთის წინააღმდეგ და აოხრებენ ქვეყანას. ამ გაუთავებელ ფეოდალურ ომებს 1568 წელს „ჟამიანობაც“ დაემატა და ქვეყანა საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა.

1568 წელს მოეწყო მეფე გიორგის საწინააღმდეგო შეთქმულება, მაგრამ გიორგი მეფემ სძლია თავის მოწინააღმდეგეებს და გურიელთან კავშირით სცადა დადიანის განდევნა. დადიანმა ოსმალეთის დახმარებით შეძლო როგორც სამთავრო ხელისუფლების დაბრუნება, ისე გურიელის დამარცხება და მისი მიმხრობა.

გურიელ-დადიანის კავშირი მეფეს არ მოსწონს, რადგან მეფის ხელისუფლება დასუსტებულია და არ შესწევს ძალა გაერთიანებულ მთავრებს წინ აღუდგეს. ამიტომ ცდილობს მათ შორის უთანხმოების ჩამოგდებას და მათ გათიშვას. მაგალითად, ბერი ეგნატაშვილი მოგვითხრობს გურიელსა და დადიანს შორის წარმოქმნილ კონფლიქტზე. დადიანი გურიელის დას გაეყარა, იგივე გააკეთა გურიელმა, მეფემ ისარგებლა და გურიის მთავართან, შეკავშირება გადაწყვიტა: „სცნა რა ესე გიორგიმ, მპყრობელმან იმერეთისამან, ვინათგან მტერ-ექმნეს ურთიერთს დადიანი და გურიელი, ამ გიორგის ჰყუა ერთი ქვრივი რძალი და მისცა გურიელსა თჳსის ქალის მაგიერად და ესენიცა... (აქ ტექსტს აკლია, მ. რ.)... მაშინ იწყეს შურობად და ლაშქრობად დადიანისა“.[1] ამასვე იმეორებს მესამე ტექსტის ავტორიც[2]. მხოლოდ ვახუშტის მოეპოვება ცნობა იანეთში მეფეზე თავდასხმისა და ამის შემდეგ მეფე-გურიელის ერთობლივი ბრძოლის შესახებ დადიანის წინააღმდეგ: „შემდგომად განუტევა გურიელმანცა ცოლი თვისი, ასული ლევან დადიანისა, შურისათჳს წინათქმულისა და მტერობითა დადიანისათა ემზახლა მეფე გიორგის, რამეთუ ჰყვანდა მეფესა გიორგის მუსადია ქვრივი და მისცა იგი გიორგი გურიელსა ცოლად და დაიმოყურნენ ამით. ამისთვის მოიმწო ვახტანგის ძის ძემ ხოსრომ დადიანი

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 361.
[2] იქვე, გვ. 502.

და ამან იშუელა ჭილაძე ვარაზა ლიპარტიანით ოდიშრით. ესენი ყოველნი ღალატად დაესხნენ გიორგი მეფესა იანეთს და იქმნა ბრძოლა ძლიერი. ვერა რაი, ვინეს გიორგი მეფესა, არამედ �foldnen იგივენი ქ ს ა ჩ ფ ⊖, ქარ. ს ნ ვ და მოისროდნენ მახვილითა.

მაშინ იწყო მეფემან გიორგი მტერობა გურიელითურთ დადიანსა ზედა"[1]. როგორც ვხედავთ, 1568 წლის 24 ივნისს გიორგი მეფის წინააღმდეგ გამოსულან ხოსრო ვახტანგის ძე და გიორგი დადიანი, რომელთაც მოუმხრიათ აგრეთვე ჭილაძე ვარაზა და ლიპარტიანი. შეთქმულები ღამით აპირებდნენ გიორგი მეფეზე თავდასხმას, რომელიც იანეთში (საიაშვილოში) მდგარა თავისი ცოლ-შვილით. ამ საქმეში აქტიური მონაწილე ჩანს ბეჟან ნემსაძეც, რომელსაც გიორგი მეფისაგან წყალობად მიღებული ჰქონია სამეფო — სახასო მამული სოფ. ცხუკურს, მაგრამ მას მაინც მეფის ბიძაშვილისათვის დაუჭერია მხარი. თვითონ მეფე გიორგის მოთხრობით „ნემსაძემ ვეიღალატა და ჩ ნი ბიძაშვილი ხოსრო დაგვასხა თავსა იანეთს". ეს ისე უნდა გავიგოთ, რომ ბეჟან ნემსაძემ ალბათ მიაწოდა ცნობა მეფის მოწინააღმდეგეებს მეფის ადგილსამყოფელის შესახებ და შეიძლება მეგზურობდა კიდეც მათ. სხვა მხრივ ამ მცირე შეძლების აზნაურიშვილს ამ ამბოხების ორგანიზატორად ვერ მივიჩნევთ. თავდასხმა წარუმატებლად დამთავრდა, რადგან მეფე თავისი ცოლ-შვილით წინა დღით გასცილდა იმ ადგილს. მეამბოხეებს მხოლოდ მეფის ძმისწული („ძე კონსტანტინესი") ჩაუგდიათ ხელთ. მეფემ შესძლო მეამბოხეების დამარცხება. იგი შეტევაზეც გადავიდა. მის მხარეზე დგას გურიელიც. ვახუშტის გადმოცემით „მაშინ იწყო მეფემან გიორგი მტერობა გურიელითურთ დადიანსა ზედა. ვერღარა შეუძლო დადიანმან წინააღმდეგობა და წარვიდა სტამბოლს".[2] იგივეს გადმოგვცემენ ქ ც ბის გაგრძელებათა ავტორები.[3]

მეფემ და გურიელმა ოდიშის სამთავრო დაიკავეს. ლევან დადიანს არ შეეძლო გამკლავებოდა მეფე-მთავრის გაერთიანებულ საშეადრო ძალას და ლტოლვილი სტამბოლში წავიდა, რათა დახმარება ეთხოვა სულთანისათვის.

სულთანმა, კმაყოფილმა იმით, რომ დასავლეთ საქართველოს

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 815—816.

[2] იქვე.

[3] ქართლის ცხოვრება. II, გვ. 502.

სამეფო-სამთავროების საშინაო საქმეებში ჩაერეოდა და აქ ფეოდალურ შუღლს კიდევ მეტად გაამწვავებდა, სიამოვნებით მისცა ლევან დადიანს არზრუმ-ტრაპიზონის საფაშოების ლაშქარი და აჩუქა 9 ხომალდი.[1] ლევან დადიანი თურქთა დიდი ჯარით საქართველოში მოვიდა და დადგა სატყეპელას. „შეშინდა გურიელი სიდიდესათვს სპათათა, დაუწყო დადიანს ვედრება, რათა ზავჰყონ და არა მოუოხრონ ქვეყანა“.[2] დადიანმა თავისი ასულის გაშვებისათვის სისხლი მოსთხოვა გურიელს, თანხმობის შემთხვევაში აღუთქვა დახმარება. „ულონო ქმნილმან გურიელმან მისცა სისხლად 10.000 დრაჰკანი“.[3] ამის შემდეგ დადიანსა და გურიელს შორის ისევ აღსდგა მეგობრული კავშირი: თვით გურიელის დახმარებით ლევან დადიანმა იოლად შემოიმტკიცა ოდიში.

გიორგი მეფემ დადიანისა და გურიელის გაერთიანების წინააღმდეგ კონტრზომების მიღება გადაწყვიტა, „მეფემან გიორგიმ მოუწოდა ჯავახს ჭილაძეს, მოჰკლა იგი... რამეთუ მიმდგომიცა იყო დადიანისა და დაიპყრა მამული ჯავახ-ჭილაძისა მეფემან გიორგიმ“.[4]

ჭილაძეთა სათავადოს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი იმერეთ-გურიას უშუალოდ ემიჯნებოდა და ამ ქვეყნების თავდაცვაში შეეძლო დიდი როლი ეთამაშა. იმერეთის მეფეს თავისი პოზიციები რომ განემტკიცებინა, საჭირო იყო ჭილაძეთა მიწა-წყალი თვითონ დაეკავებინა.[5]

ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ „ჭილაძეები ერთ დროს მთავრები იყვნენ და ფლობდნენ დიდ მხარეს გურიასა და სამეგრელოს შორის. გურიაში მათი სამფლობელო საერისთაოდის მიდიოდა, ესე იგი, მათ ეჭირათ მთელი ახლანდელი მხარე გურიისა, რომელსაც ჰქვია საჯავახო, სამეგრელოს მხრით მათი სამფლობელო, როგორც ახლა ირკვევა, ბანძამდის მიდიოდა. ამ საზღვრებში შედიოდა, გარდა საჯავახოისა, სამტრედია, ეხლანდელი საჭილაო, აბაშა, სეფიეთი“[6].

„ჭილაძეები მთავრული განკერძოებისაკენ მიისწრაფვიან“.[7] მე-15 საუკუნის II ნახევარში ისინი შეეცადნენ თავიანთი სამფლო-

---

[1] საქართველოს სიძველენი, ტ. II, 1909, გვ. 79.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 816.

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] ო. ს ო ს ე ლ ი ა, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიიდან, 1973, გვ. 277.

[6] ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, ძველი საქართველო, III, გვ. 3.

[7] ო. ს ო ს ე ლ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 274.

ბელო სამთავროდ გადაექციათ, მაგრამ ვერ შეძლეს. ამის ერთ-ერთი მიზეზი მათი სათავადოს გეოგრაფიული მდებარეობა იყო.

ჭილაძეების სამფლობელო მდებარეობდა რიონისა და ცხენის-წყლის ორივე სანაპიროზე, ეკონომიურად სუსტად იყო დაკავშირებული ერთმანეთთან. ამან გაუადვილა მეზობელ სამთავროებს მისი დაპყრობა.

მეფე გიორგის საჯავახოდან უფრო წარმატებით შეეძლო ეწარმოებია ბრძოლა დადიანისა და გურიელის წინააღმდეგ, მაგრამ შეფის მიერ საჭილაოს დაპყრობის განზრახვის გაგებისთანავე „აღუძნდათ დადიან-გურიელსა, შეითქვნენ და მოვიდნენ სპითა და არა აუფლებდენ გიორგი მეფესა მამულსა ზედა ჭილაძისასა, არამედ ნახევარი დაიპყრა დადიანმან და ნახევარი გურიელმან“.[1] ამის შემდეგ ჭილაძისეულ იმ ტერიტორიას, რომელიც მიისაკუთრა დადიანმა, საჭილაოს ეძახიან, ხოლო გურიელისას — საჯავახოს.

გურიელმა ეს მხარე ვერ შეინარჩუნა და იგი დადიანის ბიძამ ბათულიამ დაიპყრო. თუმცა დიდხანს არც მას შერჩენია ეს მხარე.[2]

1572 წელს გარდაიცვალა ლევან I დადიანი, იმავე წელს მთავრის ტახტი მისმა ძემ გიორგიმ დაიკავა.

დადიანი და გურიელი რომ გაეთიშა, გიორგი მეფე დადიანს დაემოყვრა და მისი და თავის შვილს, ტახტის მემკვიდრე ბაგრატს შერთო ცოლად. ამით იმერეთსა და ოდიშს შორის ნათესაური კავშირი დამყარდა, რაც მათ ურთიერთმოკავშირეობას ნიშნავდა.

იმ დროს ასეთი დამოყვრება „არ ხდება სოციალურ და პოლიტიკურ ინტერესებისა და ანგარიშის გარეშე... დამოყვრება-დამძახლება, სახლის კაცად შეყრა, მოდაწერილობა თუ სხვაგვარი „მოკიდება“ უაღრესად სოციალურ-პოლიტიკურ საფუძვლებს და ანგარიშიანობას ემყარებოდა“.[3] ვახტანგ მეფე თავის სამართლის წიგნის 23-ე შუბლში აღნიშნავს: „როგორც კაცი მამულით, კაცობით, ბატონის სამსახურით, ციხით, მონასტრით და უფროსის კაცის მოყურად მოკიდებით ამაღლდების და სისხლი გაუდიდდების, ისე გაყრითა და მამულის მოკლებით სისხლიც მოაკლდების“. ნ. ბერძენიშვილის დასკვნით მეფის ძლიერება მის მოყვრად „მოკიდებულ კაცთა სიმრავლესა და ერთგულებაში“ იყო.[4]

---

[1] ვახუშტი, გვ. 816. ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 502—503.

[2] ვახუშტი, გვ. 817. ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 505, მარი ბროსე, საქართველოს ისტორია, II ნაწ., გვ. 181.

[3] ნ. ბერძენიშვილი, „მოკიდებულისათვის“, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 115.

[4] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 113—117.

გურიელმა მეფე-დადიანის საწინააღმდეგოდ „გარდიბირა დადიანის ძმა მამია და მოიყვანა გურიას, შერთო დაი თვისი ცოლად. მერმე შემოიკრიბნა სპანი გურიელმან, მიუხდა დადიანს ზუგდიდს, ეკვეთა დადიანიცა, არამედ ბრძოლასა იძლია დადიანი გიორგი და ივლტოდა აფხაზეთს“.[1] ამის შემდეგ გურიელი და მამია დადიანი გიორგი მეფეს შეუთანხმდნენ, რომ თუ კი მამიას გადადიანებაზე წინააღმდეგი არ იქნებოდა, ჭილაძისეულ მამულს მისცემდნენ, რომელიც დადიანს ჰქონდა დაპყრობილი. გიორგი მეფე ამ წინადადებაზე დათანხმდა, მით უმეტეს, მამიაც ისეთივე მზახალი იყო მისი, როგორც გიორგი.[2]

დამარცხებულმა და გაძევებულმა გიორგიმ „იშოვა ლაშქარი აფხაზეთისა, ჯიქისა და ჩერქეზისა“ და მამიას წინააღმდეგ წამოვიდა. მამიამ შველა სთხოვა გურიელს. გურიელიც თავისი ჯარით ზუგდიდს მივიდა. ამჯერადაც გიორგი დადიანი დამარცხდა.[3]

გიორგი დადიანი, ძალით რომ ვერაფერი გააწყო, სამთავროს ოსებრუნებლად „ევედრა გიორგი მეფესა, რათა შწე ექმნას მას“. გიორგი მეფე გურიელს შეეკითხა, თუ რა უყონ დადიანსა, გურიელმა უთხრა „ვითარცა განუტევე დაი მისი და შეიეც სისხლი, ეგრეთვე მანცა განუტევა დაი ჩემი, მომცეს ნასისხლი ჩემი და მე დავარწმუნო მამიას და ვყოთ იგივე დადიანადვე“.[4]

გიორგი დადიანი დათანხმდა ამ პირობაზე, მან აღუთქვა გურიელს 10.000 დრაჰკანის მიცემა და ამავე დროს მეფეს სთხოვა სიმტკიცისათვის მისთვის ცოლად მიეცა ცოლისდა, ჩერქეზის ბატონის ასული, რომელიც ქუთაისის სამეფო კარზე იზრდებოდა. მეფე დათანხმდა, მამია დადიანი კი დაარწმუნეს, შერიგებოდა ძმას და მთავრის ტახტი ძმისთვის გადაეცა როგორც უფროსისათვის, სამაგიეროდ საუფლისწულოდ გამოუყვეს ჭილაძის ყოფილი მამული. ხოლო „ვინაიდგან მწირობდა დადიანი და არა აქვნდა ეგოდენი (10.000 დრაჰკანი) მისთჳს მისცა ხოფი, ვიდრე ამოვიდეს ფასი ოქროსა“.[5]

ამის შემდეგ ერთხანს მშვიდობა მყარდება, მაგრამ შფოთი ისევ ბათულია დადიანმა ასტეხა. მან გაიხსენა გიორგი დადიანის მტრობა, რომელმაც ადრე ცოლი წაართვა და მისი მოკვლა გადაწყვიტა. საჯავახოს ჯართან ერთად მან „მოიბირნა ვინამენიცა მეგრელნი“ და „წარვიდა, რათა თავდასხმით ღალატად მოჰკლას გიორგი

---

[1] ვახუშტი, გვ. 817.

[2] იქვე.

[3] ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 503.

[4] ვახუშტი, გვ. 817—818.

[5] იქვე, გვ. 818.

დადიანი“. ეს ამბავი დადიანმა გაიგო და სასწრაფოდ ოდიშის ლაშქარი შეკრიბა. ბათულიამ ვეღარ გაბედა თავდასხმა და ისევ უკან მობრუნდა. ხოლო გიორგი მეფემ და დადიანმა გურიელს ნება დართეს „რათა მოჰკლას ბათულია და დაიპყროს თვით საჯავახო“.[1] გურიელი სიხარულით შეხვდა ამ მოწოდებას. მან ბათულია შეიპყრო და ციხეში გამოჰკეტა, ხოლო საჯავახო საგურიელოს შეუერთა. მეფემ და დადიანმა კვლავ მოსთხოვეს გურიელს ბათულიას მოკვლა, მაგრამ მან ეს არ შეასრულა „არამედ მისცა მათ ნება და ამათ წაჩავლინეს კაცი და მოაშთვეს ბათულია და იქმნებოდა ესრეთ მშვიდობა“.[2]

ამრიგად, მთავრებთან ურთიერთობაში მეფე იძულებული ხდება ხშირად შეიცვალოს მათდამი დამოკიდებულება. მეფის ხელისუფლება დასუსტებულია და არ შესწევს ძალა გაერთიანებული მთავრების ძალას წინააღმდეგობა გაუწიოს, ამიტომ იგი ცდილობს მთავრებს შორის უთანხმოება ჩამოაგდოს და ისინი გათიშოს. თავის მხრივ მთავრებიც გაერთიანებული ძალებით გამოდიან მეფის წინააღმდეგ, რადგან გრძნობენ, თუკი ერთად არ იბრძოლებენ, ცალ-ცალკე დამარცხდებიან და თავიანთ სამფლობელოს დაკარგავენ.

იმერეთის სამეფო XVI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში

1555 წლის ამასიის ზავის დადების შემდეგ ირან-ოსმალეთს შორის წინააღმდეგობა არ შენელებულა; მართალია, ოსმალეთმა ირანთან ერთგვარ წარმატებას მიაღწია, მაგრამ მაინც უკმაყოფილო იყო და ხელსაყრელ მომენტს უცდიდა, რომ ისევ ახალი ომი გაეჩაღებინა.

ოსმალეთს განსაკუთრებით ამიერკავკასიის დაპყრობა აინტერესებდა, წარმატების შემთხვევაში მას საშუალება ექნებოდა ირანისათვის ჩრდილო-დასავლეთიდან შეეტია. კასპიის ზღვის სანაპიროს დაპყრობით ოსმალეთი შუა აზიის ხალხებთან ურთიერთობას განამტკიცებდა. ოსმალეთისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე იმ სავაჭრო გზების ხელში ჩაგდებას, რომელნიც ამიერკავკასიაში მდებარეობენ. მის მიზანს წარმოადგენდა ხელთ ეგდო ევროპა-აზიის ახალი საჟაჭრო გზაც, ვოლგა-ასტრახანზე რომ გადიოდა.

---

[1] ვახუშტი, გვ. 818.

[2] ვახუშტი, გვ. 818. ქართლის ცხოვრება, II, 1950, გვ. 504; მარი ბროსე, საქართველოს ისტორია, II ნაწ., 1900, გვ. 481.

ამიერკავკასიის დაპყრობით და ჩრდილოეთ კავკასიაში გაბატონებით ოსმალეთი უპირისპირდებოდა რუსეთს, რომელიც თანდათანობით მიიწევდა სამხრეთისაკენ და მფარველად ეკლინებოდა ამიერკავკასიის ხალხებს, რომელნიც ოსმალეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

თავის მხრივ ირანის შაჰი დაინტერესებული იყო ამასიის ზავის პირობები შეენარჩუნებინა. მაგრამ თურქეთის სულთანმა გადაწყვიტა ესარგებლა ირანის შინა არეულობით და ომი დაეწყო.

1578 წლის 2 იანვარს ოსმალეთის ლაშქრის მთავარსარდლად დაინიშნა მუსტაფა ლალა ფაშა. მას დავალებული ჰქონდა ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობა და ოსმალეთისათვის დამორჩილება.

პირველი დიდი ბრძოლა ოსმალეთსა და ირანს შორის ჩილდირის ველზე მოხდა. ამ ბრძოლაში ოსმალებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. ამის შემდეგ გამარჯვებულებს გზა გახსნილი ჰქონდათ საქართველოსაკენ. 24 აგვისტოს მათ თბილისი დაიკავეს.

მუსტაფა ფაშა ცდილობს კიდევ უფრო მეტად გააღრმავოს ქართლ-კახეთ-იმერეთის სამეფოებს შორის მტრული დამოკიდებულება. ჯერ კიდევ საქართველოში მოსვლამდე იგი იმერეთის მეფეს გიორგის სწერდა, რომ დახმარება აღმოეჩინა თბილისის ციხის აღებაში და თუ კი გაიმარჯვებდა ციხეს ჰის შვილს მისცემდა.[1] ლალა ფაშა გიორგის სწერდა: „სწრაფი მოსაზრებულობა გამოიჩინეთ, თქვენ თანამოღვაწეებთან, ხელქვეითებთან და თქვენ მომხრეებთან ერთად უნდა მოახერხოთ თბილისის ციხის აღება და იგი თქვენი შვილისათვის გვიბოძებია"[2].

მსგავსი შინაარსის წერილი გაეგზავნა კახთა მეფესაც. აღსანიშნავია, რომ თბილისი მუსტაფა ლალა ფაშამ გიორგი მეფის შვილს არ უბოძა. ხოლო კახეთის მეფეს ალექსანდრე II გამაჰმადიანება დაუდო პირობად. კახთა მეფემ ეს პირობა უარყო[3].

შარვანიდან უკან მობრუნებულმა ფაშამ თბილისის საქმეები მოაგვარა, გორი გაამაგრა და ლაშქრის ერთი ნაწილი იმერეთის დასაპყრობად გაგზავნა „ამის მცნობი გიორგი მეფე წარვიდა სპითა მოსწრაფედ და შეუკრა მთა ლიხისა და მოვიდნენ ოსმალნიც, დაუწყეს ბრძოლა იმერთა სიმაგრით-ვამო და მოსერიდნენ მრავალთა ოსმალთა. შემდგომად იძლივნენ ოსმალნი და მოსწყვეტ-

---

[1] მ. სვანიძე იმერეთის მეფის გიორგის შვილად თელის გამაჰმადიანებულ იუსუფ ფაშას (მაჰმაის) (მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან მე-16—17 სს. თბ., 1971, გვ. 141—142, 143—155).

[2] მ. სვანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 115.

[3] იქვე.

დიან იმერნი, აღიღეს ალაფი და მოვიდა გამარჯვებული მეფე ქუთაისს".[1]

ამრიგად, ოსმალთა ცდა, რომ იმერეთი დაეპყროთ, ამჯერად მარცხით დამთავრდა.

სულთანს განზრახული ჰქონდა დასავლეთი საქართველოსათვის შავი ზღვის სანაპიროდან შეეტია და დაეპყრო.

1579 წელს, ლალა ფაშას ბრძანებით აღმირალი ქილიჩ ალიფაშა 60 ხომალდისაგან შემდგარი ფლოტით შავი ზღვიდან მდინარე ფაზისის (რიონის) შესართავში შევიდა და ქ. ფოთში ციხის აშენებას შეუდგა.

ფოთის დაპყრობის შემდეგ ოსმალები მდ. რიონით ქუთაისისაკენ გაემართნენ და მისი დაპყრობა სცადეს. არქანჯელო ლამბერტი წერს: „ამ განზრახვით გაგზავნეს თავისი გალერები ფაზისში, ხოლო როგორც კი ეს გალერები მიუახლოვდნენ ქუთაისს, მათ დახვდათ თოფებით შეიარაღებული ჯარი ქართველებისა, რომელიც ჩაესაფრა, სადაც უფრო ვიწრო იყო მდინარე, და ისე ძლიერად დაუწყო თურქებს თოფის სროლა ორსავე ნაპირიდან, რომ აიძულა იგინი მაშინვე თავი დაენებებინათ თავის განზრახვის შესრულებისათვის".[2]

არქანჯელო ლამბერტი იქვე მიუთითებს, რომ ლევან დადიანმა თურქების მიერ აშენებული ციხე ფოთში დაანგრია და იქიდან 25 ზარბაზანი წამოიღო[3]. ამრიგად, ცდა ოსმალებისა, რომ დასავლეთი საქართველო ზღვიდან დაეპყროთ მარცხით დამთავრდა.

თურქეთის სულთანი მურად III უკმაყოფილო იყო 1579 წლის ომის შედეგებით, ამიტომ მან მთავარსარდალი მუსტაფა ლალა ფაშა გადააყენა. გადაყენების მიზეზი ის იყო, რომ მან ვერ შეძლო ქართველი ხალხის წინააღმდეგობის დაძლევა და სიმონ მეფის დამორჩილება.

სიმონ მეფე, რომელიც აქამდე 9 წლის მანძილზე ყიზილბაშთა ტყვეობაში იმყოფებოდა და ალამუტის ციხეში იყო გამოკეტილი შაჰ-ხუდაბანდემ გაანთავისუფლა და ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლა დაავალა.

სიმონი ქართლში 1578 წლის ოქტომბერში ჩამოვიდა. ოსმალებს ამასობაში ქართლი დაეპყროთ და თბილისი საბეგლარბეგოდ გადაექციათ. ამით ისინი მთელ ქართლში „ოსმალობის" (ოსმალური სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილების) შემო-

---

[1] ეახუშტი, გვ. 817.

[2] არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 172.

[3] იქვე.

ლებას აპირებდნენ. ქართლის მოსახლეობის ყველა ფენა დამპყრობთა ამ პოლიტიკით უკიდურესად უკმაყოფილო იყო და მტრის წინააღმდეგ ბრძოლას არ წყვეტდა. ოსმალებს მდგომარეობა გაურთულდათ. განსაკუთრებით შეეიწროებული თბილისის გარნიზონი იყო. ოსმალთა სარდლობა იძულებულია ჯარი-ჯარზე გამოგზავნოს, რათა თბილისში ჩაყენებული ოსმალთა სამხედრო ძალა სრული განადგურებისაგან გადაარჩინოს. სიმონი წარმატებით ებრძოდა როგორც თბილისში ჩაყენებულ ოსმალებს, ისე მათ დასახმარებლად გამოგზავნილ ჯარებს და მათ დიდ ზიანს აყენებდა[1]. ამ წარუშატებლობის გამო ოსმალებმა თბილისის ბეგლარბეგი მუჰამედ ფაშა შესცვალეს, მაგრამ ვერც ახალმა ბეგლარბეგმა ჰაჯი ბეგ ზადე აჰმედ ფაშამ შეძლო მდგომარეობის გამოსწორება. ოსმალთა სარდლობა იძულებული ხდება ქართველებთან კომპრომისის გზას დაადგეს. ამ მხრივ საგულისხმოა აღმოსავლეთის ლაშქრის მთავარსარდლის მოვალეობის დროებით შემსრულებლის ხუსრევ ფაშას მიერ სიმონ მეფისადმი წერილის გაგზავნა, რომელშიც ოსმალო სარდალი სიმონ მეფეს ჰპირდებოდა თბილისის და მისი ქვეყნის გადაცემას „საფადიშაჰო ლივას“ სახით, თუ იგი მის მხარეზე დადგებოდა და დახმარებას აღმოუჩენდა თბილისში მყოფ ოსმალებს[2]. ოსმალეთის მთავრობის ეს წინადადება სიმონ მეფისათვის მიუღებელი იყო თუნდაც იმიტომ, რომ ამ პირობით ქართლის მეფე მხოლოდ ოსმალო მოხელედ იქცეოდა და ქართლში „ოსმალობა“ კვლავ ძალაში დარჩებოდა. ეს წინადადება იმ მხრივ არის საინტერესო, რომ ოსმალები ქართველი ხალხის წინააღმდეგობის დათრგუნვას თუ შეწყვეტას ცდილობდნენ ასეთი გარეგნული დათმობით—ქვეყნის სათავეში ფორმალურად ქართველი მეფის ჩაყენებით, რომელსაც არავითარი მეფური უფლება არ ექნებოდა და მხოლოდ ოსმალო მოხელე იქნებოდა. სიმონ მეფე ამაზე არ დათანხმდა. ამასობაში საქართველოში ჩამოდის ახალი სარდალი სინან ფაშა, რომელიც გადაყენებული მუსტაფა ლალა ფაშას მაგივრად იყო დანიშნული. აღსანიშნავია, რომ სულთანმა ეს ახალი სარდალი ამავე დროს თავის დიდ ვეზირად დანიშნა. სამცხიდან თბილისისაკენ მომავალმა სინან ფაშამ თან წამოიყვანა სამცხის მთავრები ყვარყვარე და მანუჩარი. სამცხის მთავარი ყვარყვარე იმერეთში გაგზავნა დავალებით დაეთანხმებინა იმერეთის მეფე გიორგი რათა იგი სიმონ მეფეს არ მიმხრობოდა და პირიქით ოსმალებისათვის დაეჭირა მხარი სიმონისა და ქართლის წინააღმდეგ ბრძოლაში. რითი შეიძლებო-

---

[1] მ. სვანიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 136—138.

[2] იქვე, გვ. 139—140

და დაეთანხმებინათ იმერეთის მეფე ამ წინადადებაზე? გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ მუსტაფა ლალა ფაშა ჰპირდებოდა გიორგი მეფეს, რომ თუ იგი ოსმალებს დაეხმარებოდა, თბილისს მის შვილს მისცემდა. მაგრამ თბილისის აღების შემდეგ ქალაქი ლალა ფაშამ იმერეთის მეფის შვილს არ უბოძა. ამჯერად კი, როდესაც ოსმალებს ასე გაუჭირდათ, გასაგებია, ამ ძველი პირობის ასრულების ნასიათზე დადგებოდნენ. მ. სვანიძე იხილავს მთელი რიგი ოსმალური და სხვა წყაროების ჩვენებას, რომ სინან ფაშამ თბილისის ბეგლარბეგობიდან გადააყენა ახმედ ფაშა და მის ადგილზე დანიშნა გიორგი ბეგი. მკვლევარი მიდის დასკვნამდე, რომ გიორგი ბეგი უნდა იყოს გიორგის შვილი შამია, რომელმაც გამაჰმადიანების შემდეგ მიიღო იუსუფ ფაშას სახელი.[1] სამართლიანად მსჯელობს მ. სვანიძე: „ის გარემოება, რომ ქართლის (თბილისის) ბეგლარბეგად დანიშნული იქნა საქართველოს სამეფო გვარის გამაჰმადიანებული წარმომადგენელი და არა თურქი მოხელე, ნიშნავს ოსმალეთის უკან დახევას და დათმობას, მაგრამ მეორე მხრივ ამით სულთანი თიშავდა მის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს, უპირისპირებდა რა ერთიმეორეს სიმონ ქართლის მეფესა და იმერეთის მეფეს გიორგის“.[2]

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ გიორგი მეფე ალბათ შიშობდა, რომ თუ იგი არ დაეთანხმებოდა ოსმალთა სარდლის წინადადებას, ეს უკანასკნელი მას მიუსევდა გურიელსა და დადიანს, რომლებიც მუდამ მიისწრაფოდნენ, რაც შეიძლება მეტი დამოუკიდებლობა მოეპოვებინათ იმერეთის მეფისაგან და საამისოდ არც დამპყრობელთა ხამსახურს ერიდებოდნენ. ოსმალთა დემაგოგიურმა პოლიტიკამ თავისი შედეგი გამოიღო და დასავლეთი საქართველოს მეფე-მთავრები ქართლში აწყობენ ლაშქრობას. „მაშინ გაზრახვითა ათაბაგისათა შემოიკრიბნა გიორგი მეფემან სპანი და მოიყვანა დადიან-გურიელიცა სპითა მათითა“; „ვინაიდგან აქუნდათ ერთობა და ბრძანებულიცა იყო ხონთქარისა, მიუხდნენ შიდა ქართლს, ვერა სადა ჰპოვნეს ხიზანნი და დაწვნეს სრულიად გალმა-გამოლმართნი. მერმე უკუმოიქცნენ და მოვიდნენ უვნოდ“. ამრიგად, მ. სვანიძის ვარაუდით, მათ ლაშქრობას მხოლოდ ის შედეგი მოჰყვა, რომ გიორგი მეფის შვილი დანიშნეს თბილისის ბეგლარბეგად, ისე კი ქვეყანა დახიზნული ყოფილა და სიმონ მეფესთანაც შეჯახება არ მომხდარა. მემატიანე იმასაც კი წარმატებად უთვლის მომხდურთ, რომ ისინი უკან უვნებლად დაბრუნდნენ.

---

[1] მ. სვანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 141—142.

[2] იქვე, გვ. 143.

ამრიგად, იმერეთის მეფემ, დასავლეთ საქართველოს სხვა მთავრებთან ერთად, ნებით თუ უნებლიეთ, მოძმეთა წინააღმდეგ აღმართა ხმალი. თუმცა ფეოდალური ეთიკით ამაში არაფერი იყო არაჩვეულებრივი. ამაზე ადრეც და მის შემდეგაც, როგორც ერთ მხარეს, ისე მეორე მხარეს ერთმანეთის დალაშქვრასა თუ დარბევაში არაერთხელ მიუღიათ მონაწილეობა. ეხლა კი განსაკუთრებული ვითარება იყო. ქვეყანას უდიდესი საფრთხე ადგა. ოსმალეთი საბოლოო დაპყრობით და გაოსმალებით ემუქრებოდა მთელ ქართველ ხალხს. სულერთია, საამისოდ პირველ რიგში რომელ კუთხეს აირჩევდა. ამ ვითარებაში ფეოდალური გათიშულობის მიუხედავად, ძალების გაერთიანება იყო საჭირო და ერთიანი ძალით აღდგომა აგრესორის გეგმების ჩასაშლელად. ამ გაერთიანებული ბრძოლის მეთაური იყო სიმონ I. სხვა მეფე-მთავრები უფრო შეგუების პოლიტიკას არჩევდნენ და ძალაუნებურად მტრის იარაღი ხდებოდნენ. ზოგიერთი ამას მალე მიხვდა, მაგალითად ხამცხის მთავარი მანუჩარი, მაგრამ ამჯერად ოსმალთა დემაგოგიას ერთგვარი წარმატება მაინც ჰქონდა. სიმონის შეურიგებელმა ბრძოლამ დამპყრობთა იმედი გააქარწყლა.

ამასობაში დასავლეთ საქართველოში ახალი ძალით იფეთქა ფეოდალურმა შინა ომმა. 1582 წელს გარდაიცვალა გიორგი დადიანი. მთავრად მისი ძმა მამია დაჯდა. ახლადგამთავრებული მამია დადიანი ოდიშის ჯარით გურიელს მიუხდა. გურიელი ბრძოლაში დამარცხდა და ლტოლვილი სტამბოლში გაიქცა. გამარჯვებულმა დადიანმა გურიელის გვარიდან გამოძებნა ვინმე ვახტანგი და გურიელად დასვა 1583 წელს. ამავე წელს იმერთა მეფემ გიორგიმ დაიჭირა თავისი ძმა კონსტანტინე და მის შვილთან, როსტომთან ერთად ციხეში გამოკეტა, რათა მის მემკვიდრეს, მცირეწლოვან ლევანს მეფობაში არ შეცილებოდნენ.

გიორგი II 1586 წელს გარდაიცვალა. ტახტი მისმა შვილმა, 12 წლის ლევანმა დაიჭირა. კონსტანტინე ბატონიშვილმა ციხიდან გამოსვლა მოახერხა, ისარგებლა ლევანის მცირეწლოვანებით, აჯანყდა და დაიპყრო არგვეთი, ციხეები სკანდა და კაცხი.

ლევანმა ცოლად შეირთო მამია დადიანის ასული მარეხი. სიმამრის დახმარებით 1587 წელს მან გაილაშქრა აჯანყებული ბიძის წინააღმდეგ და დაამარცხა.

ლევანის მეფობის დროს (1583—1590 წწ.) იმერეთში სრული ანარქიაა გამეფებული. დადიანი და გურიელი ერთმანეთს მტრობენ, იმერელი თავადების ერთი ნაწილიც ჩარეულია ამ შინაურ ბრძოლებში; ეს იმ დროს, როდესაც ქვეყანას ოსმალთა მხრივ სრული დაპყრობა და გადაგვარება ელოდა. ირან-ოსმალეთის ომი თუ

ოსმალეთის სასარგებლოდ დამთავრდებოდა და ქართლის წინააღმ-
დეგობაც დაძლეული იქნებოდა, ოსმალო დამპყრობლები აღარ
დააყოვნებდნენ როგორც ქართლში, ისე იმერეთში ადგილობრივი
მმართველობის გაუქმებას და აქ თავიანთი სოციალ-ეკონომიკუ-
რი და პოლიტიკური წყობილების შემოღებას, ე. ი. ქართულ ფეოდა-
ლურ ურთიერთობას უფრო ჩამორჩენილი ოსმალური, „ბარბაროსული ფეოდალიზმი" (კ. მარქსი) შეცვლიდა, ქართველი ხალხი
მოექცეოდა დამპყრობელთა მტაცებლური ექსპლოატაციის ქვეშ
და თანდათანობით დაჰკარგავდა თავის ეროვნულ-კულტურულ სა-
ხეს. ასეთ ვითარებაში აუცილებელი იყო ქართველი ხალხის ძალე-
ბის გაერთიანება და ამ ძალების მიმართვა დამპყრობლების წი-
ნააღმდეგ. ქართლში სიმონ მეფე საკმაო წარმატებით ებრძოდა ოს-
მალებს და ქვეყანაში ფეხის მოკიდების საშუალებას არ აძლევდა.
ამ ბრძოლებიდან განზე იდგა იმერეთი. ხოლო როგორც დავი-
ნახეთ, ზოგჯერ დამპყრობელი ქართლის წინააღმდეგ მის გამოყე-
ნებასაც აპირებდა. იმერეთის თავადების ნაწილი ასეთი მდგომა-
რეობით და აღნიშნული პერსპექტივით უკმაყოფილო და შეშფო-
თებული იყო, ამიტომ ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლ სიმონ
მეფეს იმერეთის ფეოდალთა ეს ნაწილი მხარს უჭერდა.

სიმონ მეფემ წინასწარი დაზვერვა მოახდინა. მას სურდა გა-
მოერკვია, თუ როგორი პოლიტიკური მდგომარეობა სუფევდა და-
სავლეთ საქართველოში. დაზვერვამ სასურველი შედეგი ამცნო:
„იმერთა მისცეს სვიმონს პირი მტკიცე"[1], „აბაშიძენი და ჩხეიძენი
და წერეთელნი და ჟვ ვინც წყალწითელას აქეთ საბატიოს კაცის
შვილნი ესახლნენ, ყველანი მეფეს სვიმონს მოუვიდნენ".[2]

ამის შემდეგ სვიმონ მეფე ქართლის ჯარით იმერეთის შემოსამტ-
კიცებლად წავიდა. თავის მხრივ ლევან მეფემაც იმერეთის ჯარი
შეკრიბა და დადიანსა და გურიელს მოუწოდა, მაგრამ მთავრები
ერთიმეორის შურით ლევანს არ ეახლნენ. ბრძოლა მოხდა 1588
წელს ვოფანთოს[3]. ლევანი დამარცხდა და ლეჩხუმში გადაიხვეწა.
სიმონ მეფემ ქუთაისი დაიკავა, თავისი მოხელეები განაწესა, თავა-
დებს მძევლები გამოართვა და სასწრაფოდ უკან გაბრუნდა, ვინაი-
დან ოსმალთა მეციხოვნეების შიშით ქართლიდან დიდი ხნით წასვ-
ლა არ შეეძლო.

---

[1] ვახუშტი, გვ. 820.

[2] გოფანთოს ბრძოლას ვახუშტი 1588 წ ათარიღებს, ბერი ეგნატაშვილი კი

[3] გოფანთოს ბრძოლას ვახუშტი 1588 წ. ათარიღებს ბერი ეგნატაშვილი კი 1592 წლით. თხრობა ერთნაირი აქვთ. მიღებულია ვახუშტის თარიღი.

ქართლში სიმონის გაბრუნების შემდეგ ლევანი ლეჩხუმიდან ჩამოვიდა, თავისი მომხრე თავადების დახმარებით მეფის ტახტი ისევ დაიკავა და იმერეთი კვლავ შემოიმტკიცა. ლევანი უკმაყოფილო იყო დადიანისა, რომელმაც გოფანთოს ბრძოლაში დახმარება არ აღმოუჩინა, ამიტომ მის დასასჯელად დროსა და შემთხვევას უცდიდა. დადიანმა დასწრება ამჯობინა. იგი მოულოდნელად დაესხა თავს იმერეთის მეფეს, ბრძოლაში „სძლო დადიანმან და შეიპყრა მეფე ლევან (1590 წ.)". დატყვევებული ლევანი სიმამრმა ოდიშს, ზეფის ციხეში გამოკეტა, მეფე რამდენიმე ხნის შემდეგ იქვე გარდაიცვალა.

იმერეთის ტახტზე მამია დადიანის დახმარებით და ასევე იმერეთის თავადების თანხმობით მეფედ აკურთხეს ლევანის ბიძაშვილი როსტომ კონსტანტინეს ძე (1590—1605 წწ.). ეს კი დადიანის გაძლიერებას ნიშნავდა.

1590 წელს მამია დადიანი გარდაიცვალა, მთავრის ტახტი მისმა ძმამ მანუჩარმა დაიკავა (1590—1611 წწ.). მანუჩარიც როსტომის მომხრე იყო და შემდეგში მისი დასაყრდენი გახდა.

გურიის მთავარს არ მოსწონდა დადიანის სახლის განდიდება, ამიტომ გიორგი გურიელმა შეკრიბა გურიის ჯარი, თავს დაესხა იმერეთის მეფეს, განდევნა იგი და ტახტზე თავისი სასურველი კანდიდატი — ბაგრატ თეიმურაზის ძე დასვა. „განუმაგრა ციხე ქუთათისი და მოუდგინა ძე თვისი მამია ბაგრატს"[1]. ამას არ დასჯერდა და „მოიყვანა ოსმალთა სპანი, განდევნა ჩიჯავაძე, აღიღო ციხე სებეკა, შემუსრა იგი და მუნ დასვა სხვა ჩიჯავაძე"[2].

სიმონ მეფე, როგორც კი ეს ამბავი შეიტყო, სასწრაფოდ იმერეთში გადმოვიდა „მიერთვნენ იმერნი, მოადგა ქუთათისს, აღიღო და გამოიყვანა ბაგრატ და მას შინა შეაყენნა გუშაგნი თვისნი და დაამძევლნა კვალად იმერეთი და წარვიდა ქართლს"[3]. დატყვევებული მეფე ბაგრატით და მძევლებით სიმონ მეფე ისევ სასწრაფოდ გაბრუნდა ქართლში.

ქართლში სიმონის გაბრუნებით და მოუცლელობით ისარგებლა მანუჩარ დადიანმა და მისი დახმარებით როსტომ მეფე კვლავ გამეფდა იმერეთში. სიმონი იძულებული გახდა მესამედ გადმოსულიყო იმერეთში იმავე 1590 წელს. „გამოილაშქრა ძალითა დიდითა, ზარბაზნებითა და აღკაზმულობითა სპათათა გარდმოვლო ლიხი და მიერთნენ კვალად იმერნი".[4] „აბაშიძენი და ჩხეიძენი და

---

[1] ვახუშტი, გვ. 821.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე. გვ. 822:

წერეთლები და აწ ვინც წყალწითელას აქეთ საბატიოს კაცის შვილნი ესახლნენ, ყველანი მეფე სვიმონს მიუვიდნენ, დიდროანის ზარბაზნებით უომრათ ქუთათის მიიყვანეს და ცხენისწყალს აქეთნი თავადებნი ზოგნი მოუვიდნენ და ზოგნი არა. დადიანს მოუვიდნენ, მეფე სვიმონ შეუპოვრობით და ამაყობითა უფროსი ერთნი საქართველოს ლაშქარი და ჯარი დააბრუნა და თვითონ დადიანზედ გაილაშქრა".[1] როსტომ მეფეს წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო და ლტოლვილმა დადიანის კარს შეაფარა თავი.

სიმონ მეფემ „აღიღო ციხენი სკანდა, კვარა, კაცხი, სვერი, შეაყენნა თვისნი და მოადგა ქუთათისს, აღიღო იგიცა".[2]

სიმონ მეფე ოდიშს წავიდა, რათა როსტომ მეფე ტყვედ ჩაეგდო და ამით იმერეთი საბოლოოდ შემოემტკიცებინა, ვინაიდან სამეფო გვარის პირდაპირი ხაზით გამგრძელებელი მის გარდა აღარავინ იყო. სიმონ მეფე ოფშკვითს იდგა თავისი ჯარით, როცა მანუჩარ დადიანმა ელჩები აახლა და სთხოვა „გვიმონე ორნივე და მიეც როსტომს იმერეთი და ვიყვნეთ მორჩილ შენდა საუკუნოდ".[3] სიმონმა უარყო დადიანის მიერ შეთავაზებული პირობა და დარწმუნებულმა თავის გამარჯვებაში, დადიანს შეუთვალა „გნებავს მომეც როსტომ და დავიცვა ქვეყანა შენი უვნოდ, უკეთუ არა, მოვიდე და თუმცა ძალგიცს დამხუდი ბრძოლად".[4]

სიმონ მეფეს იმერეთის სრული შემოერთება ჰქონდა განზრახული. იმერეთის თავადებისათვის ცხადი გახდა, რომ სიმონის წარმატება მათ თავისუფლებას დააკარგვინებდა, მეფე შტკიცე ხელით შეზღუდავდა მათ თვითნებობას, ამიტომ ისევ როსტომისა და დადიანის მხარი დაიჭირეს. ისინი, ვინც სიმონის ბანაკში დარჩნენ „მეფეს დღეს ხვალობით ატყუებდნენ — თუ დადიანი მოგვივაო და დადიანსა სწერდნენ — თავს დაგვესხითო, არ შემოგებმითო".[5]

გარიერაჟზე დადიანისა და როსტომის ჯარი დაესხა ოფშკვითს მდგომ სვიმონ მეფის ჯარს. იმერელი თავადების ღალატის შედეგად სიმონ მეფე დამარცხდა. მეფე გაბრუნდა ქართლში. „ხოლო დადიანმან აღიღო ალაფი დიდი და ზარბაზნები წარიღო ოდიშს. მოიყვნა როსტომ და აკურთხეს ქუთათისს მეფედ.[6]

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., 1926, გვ. 14.
[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 822.
[3] ი ქ ვ ე.
[4] ი ქ ვ ე.
[5] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., 1926, გვ. 14.
[6] ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 823.

ამრიგად, იმერეთის შეერთების ცდა ქართლის სამეფოსთან მარცხით დამთავრდა (1590 წ.). ამის შემდეგ სვიმონ მეფე და როსტომ მეფე დაზავდნენ, სვიმონმა დააბრუნა წაყვანილი მძევლები, ხოლო როსტომმა — ტყვედ ჩავარდნილი ქართლელნი.

მეტოქეობა გურიელისა და დადიანის სამთავრო სახლებს შორის ოდიშის სამთავროს სახლის გამარჯვებით დამთავრდა. ამიერიდან ოდიშის სამთავრო თანდათანობით ძლიერდება და შემდეგში, მე-17 საუკუნეში, დასავლეთ საქართველოში ყველაზე დიდი და ძლიერი პოლიტიკური ძალა გახდა.

ნაწილი მეორე

XVII საუკუნე

იმერეთის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობა XVII საუკუნის პირველ ნახევარში

დასავლეთი საქართველო მე-17 საუკუნის მიჯნაზე სავალალო სურათს წარმოადგენდა: ამ დროს ერთიანი საქართველო უკვე დიდი ხანია აღარ არსებობს; ქართლი, კახეთი, სამცხე-საათაბაგო თითქმის ორი საუკუნისა და მეტის მანძილზე ცალკე პოლიტიკური ერთეულებია; დასავლეთი საქართველო დაქუცმაცებულია: იმერეთის სამეფო, რომელიც საკუთრივ იმერეთს, ლეჩხუმს და რაჭას მოიცავს; სამეგრელოს (ოდიშის) სამთავრო, რომელიც, გარდა ოდიშისა, ჯერ კიდევ ცალკე სამთავროდ ჩამოუყალიბებელ აფხაზეთს ფლობს და დრო-და-დრო ლეჩხუმიც უპირავს; გურიის სამთავრო, რომელიც გურიის ძველ ტერიტორიას ფლობს, სვანეთის სამთავრო, რომელიც ისე, როგორც რაჭის საერისთავო, მხოლოდ ნომინალურად ემორჩილება იმერთა მეფეს.

იმერეთის სამეფოსა და ქართლის სამეფოს შორის საზღვარი სურამის ქედის დასავლეთით, ახლანდელი ორჯონიკიძის რაიონის ტერიტორიაზე გადიოდა. ამ რაიონის დიდი ნაწილი, აგრეთვე ახლანდელი საჩხერის რაიონის ზოგიერთი სოფელი ქართლის სამეფოში შედიოდა.

იმერეთის სამეფოს ჩრდილოეთით ესაზღვრებოდა დვალეთი, რომლის დასავლეთი ნაწილი მას ეკუთვნოდა.

ჩრდილო-დასავლეთით იმერეთის სამეფოს ეკრა სვანეთი, ხოლო დასავლეთით — სამეგრელოს სამთავრო. იმერეთის სამეფოსა და სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს შორის საზღვარი მდ. ცხენისწყალს მისდევდა. სვანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი (ლენტეხი) და თაკვერი (ლეჩხუმი) იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში ითვლებოდა.

სამხრეთ-დასავლეთით იმერეთის სამეფოს ეკრა გურიის სამთავრო; საზღვარი მათ შორის საჯავახოს ქედს მისდევდა და აჭარა-

იმერეთის ქედს ებჯინებოდა, ხოლო გურიის სამთავროს სამხრეთი საზღვარი (ოსმალეთის მხრივ) მდ. ჭოროხზე გადიოდა.

სამეგრელოს სამთავროს გურიის სამთავროსაგან მდ. რიონი ჰყოფდა. აფხაზეთის და სამეგრელოს სამთავროებს შორის საზღვარი ჯერ მდ. კოდორზე გადიოდა, შემდეგ კი (XVII ს. 80-იანი წლებიდან) მდ. ენგურზე, აფხაზეთს ჩრდილო დასავლეთით ჯიქეთი ესაზღვრებოდა, რომელიც ადრე საქართველოს ეკუთვნოდა, ამ დროს კი თურქეთის გავლენაში იყო[1].

დასავლეთი საქართველოს სამეფო-სამთავროების ეს საზღვრები მუდმივ უცვლელი არ ყოფილა. მათ შორის არსებული პოლიტიკური ურთიერთობის პირობებში ამ ერთეულების სივრცე-საზღვრებიც ხშირად იცვლებოდა.

გარეშე მტრების — ოსმალეთისა და ირანის მწვავე ურთიერთბრძოლის ვითარებაში, რაც სხვა მიზეზებთან ერთად ამიერკავკასიის ქვეყნებში, პირველ რიგში საქართველოში, გაბატონების მოცილეობამ განაპირობა, საქართველოს სამეფო-სამთავროები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რადგანაც მათ მიერ სწორი, თანმიმდევრული პოლიტიკური ორიენტაციის შემუშავება შეუძლებელი გახდა; ფეოდალურმა პარტიკულარიზმმა თვით ისინი ბრძა იარაღად აქცია გარეშე მტრების ხელში და ერთმანეთს დაუპირისპირა.

XVII საუკუნის დასაწყისში ცალკე სამთავროდ ჩამოყალიბდა აფხაზეთიც, რომელიც მანამდე წვრილ ერთეულებად დაქუცმაცებული ოდიშის სამთავროში შედიოდა. XVII საუკუნის დასაწყისში აფხაზეთში დაწინაურდა შერვაშიძეთა საგვარეულო, რომელმაც შეძლო აფხაზ ფეოდალთა შეკავშირება და აფხაზეთის გამოყოფა ოდიშის სამთავროსაგან.[2]

ამრიგად, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე XVII საუკუნის დასაწყისიდან იმერეთის სამეფოს, ოდიშისა და გურიის სამთავროების გვერდით არსებობს აფხაზეთის სამთავროც. თითოეული სამთავრო ცდილობდა მეორის ხარჯზე გაფართოებას და პოლიტიკური გავლენისა და ძლიერების მოპოვებას.

მთავრები დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებდნენ და იმერ-

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 226—227.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, თბ., 1973, გვ. 143, 297. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 176; И. Антелава. Очерк по истории Абхазии XVII—XVIII веков 1949, стр. 25. З. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии (VI—XVII вв.), 1959, стр. 261—262.

თა ბეფეს მაინცდამაინც თავს არ უდებდნენ, ხოლო იგი თუმცა მთავრებს ვასალებად თვლიდა, მაგრამ ფაქტიურად ცნობდა სამთავროების დამოუკიდებლობას, მიუხედავად ყოველივე ამისა, დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები XVII საუკუნის 20-იან წლებამდე ერთიანი ძალით გამოდიოდნენ თურქების წინააღმდეგ.

XVII საუკუნის დასაწყისიდან „მთელი დასავლეთი საქართველო ოსმალეთის მოხარკე და მისი ვასალია. მიუხედავად ამისა, სამეფო-სამთავროები შინაგან დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ, ხშირად კი დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკასაც აწარმოებდნენ"[1] მიუხედავად ხარკის გადახდისა, პიეტრო დელა ვალეს სიტყვით „დადიანი და გურიელი თურქებს მაინც არ აძლევენ ნებას, რომ შემოვიდნენ, იმათ ქვეყანაში არამც თუ საბრძანებლად, არამედ ჯარების სხვაგან გასატარებლადაც".[2]

* * *

იმერეთის მეფე როსტომ კონსტანტინეს ძე 1605 წელს გარდაიცვალა.[3] მას მემკვიდრე არ დარჩენია. გავლენიანმა ფეოდალებმა ქუთაისს მეფედ აკურთხეს როსტომ მეფის ნახევარი ძმა, ნაშობი მხეელისაგან, გიორგი კონსტანტინეს ძე (1605—1639 წწ.)[4]

1600 წელს გარდაიცვალა გიორგი გურიელი, მთავრად მისი ძე მამია II დაჯდა (1600—1625 წწ).

მანუჩარ დადიანის გაძრდაცვალების შემდეგ ოდიშის მთავარი ხდება მისი მცირეწლოვანი ძე ლევან II დადიანი (1611—1657 წწ.).

პირველ ხანებში დასავლეთი საქართველოს მეფე-მთავრების დამოკიდებულება ურთიერთშორის კარგი იყო.

ასევე კარგ დამოკიდებულებაში იყვნენ ისინი აღმოსავლეთი საქართველოს პოლიტიკურ მესვეურებთანაც. ამის ნათელი დადასტურებაა შემდეგი ფაქტი: როცა ირანის მპყრობელი შაჰ-აბასი შემოესია აღმოსავლეთ საქართველოს, თეიმურაზ I კახთა მეფე და ლუარსაბ II ქართლის მეფე დასავლეთ საქართველოში გაიხიზნენ და იმერეთის სამეფო კარზე ჰპოვეს თავშესაფარი.

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 300.
[2] გაზეთი „ივერია", 1879, № 3, გვ. 56—67.
[3] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 823.
[4] იქვე, გვ. 824.

* * *

1590 წელს შაჰ-აბასის ინიციატივით ირან-თურქეთს შორის ზავი დაიდო. მიუხედავად იმისა, რომ ზავის პირობები ირანისათვის მეტად მძიმე იყო, შაჰ-აბასს მეტი გამოსავალი არ ჰქონდა, რადგან მას ესაჭიროებოდა დროის მოგება, რათა შომავალ ომში თურქეთს უკეთ მომზადებული შეხვედროდა.

შაჰ-აბასმა ჯარის რეორგანიზაცია დაავალა თავის ცნობილ სარდალს ალავერდი-ხანს. მას ეხმარებოდნენ ინგლისელები. მოკლე დროში ირანის არმია გარდაიქმნა ერთ-ერთ საუკეთესო რეგულარულ არმიად.

XVII საუკუნის დამდეგისათვის ირანი წარმოადგენდა ძლიერ, ცენტრალიზებულ ფეოდალურ სახელმწიფოს კარგად შეიარაღებული მუდმივი ჯარით.

1603 წელს შაჰმა დაარღვია ზავი და დაიწყო ირან-თურქეთის ომი, რომელიც 1639 წლამდე გაგრძელდა, საომარ ასპარეზს ამიერკავკასია წარმოადგენდა.

ამ ომში ქართლისა და კახეთის მეფეებიც იღებდნენ მონაწილეობას ირანის მხარეზე და დიდი წვლილიც შეიტანეს საომარ მოქმედებათა მსვლელობაში.[1] მიუხედავად ამისა, შაჰ-აბასი ვერაგულად შემოიჭრა საქართველოში 1614 წელს და კახეთის სამეფო სასტიკად ააოხრა.

კახეთის მეფე თეიმურაზ I და ქართლის მეფე ლუარსაბ II დასავლეთ საქართველოში — იმერეთის სამეფოში გადავიდნენ და უპატრონოდ დარჩენილ კახეთს (ქართლი შედარებით იოლად გადარჩა) 50 დღის განმავლობაში ყიზილბაშები არბევდნენ და ანადგურებდნენ.[2]

ირანის მბრძანებელი შეეცადა თავისი „ქვეშევრდომი მეფეები" ხელთ ეგდო, ამისათვის, ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით, შაჰ-აბასი ნიკოზს მივიდა და იქედან რისხვით სავსე წერილი მისწერა იმერთა მეფეს გიორგი III-ს.

„ჩვენი ყმანი თქვენთან მოსრულანო, გამოგვიგზავნეთო, თორა ჯარს გამოგიძახებთო, იმას (ე. ი. გიორგი III—მ. რ.) დაბალი სახეწარი წიგნი მოეწერა: ყმას რომ ბატონისაგან ეშინოდესო, ერთგულებაში ჩაიგდებისო. ამათ თქვენგან ეშინიანო, შერმე კიდეც

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 380—381; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 247.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 265—266.

დავითხოვო, აფხაზეთს წავლენო და იმერეთი რომ კიდეც დაარბიო-თო, ღომის მეტს ვერას იშოვნიანო...[1]

ფარსადან გორგიჯანიძისაგან განსხვავებით, ვახუშტი ბატონ-შვილი ასე ცადმოუცემს შაჰ-აბასის დესპანისათვის გიორგი მეფის ნაპასუხევს:

„შისცეს მას მეფენი და უკეთუ არა, მოვიდეს სპითა ჩარუხ დაჰ-რაიანითა და მოსპოს ქვეყანა მისი. მაშინ გიორგი მეფემან ჰკითხა: „რაჲარს ჩარუხი და დაჰრა“: მიუთხრეს კოხუნჯი და წალდი. მიუ-გო დესპანსა: (გიორგი მეფემ—მ. რ.) ვგონებდი შეშინებასა სარმუ-ზოსანითა, გარნა კოხუნჯნი და წალდნი აქუსთ მრავლად ჩემთა მარგუელთაცა“[2].

XVII საუკუნის 20-იან წლებამდე დასავლეთ საქართველოს მე-ფე-მთავრები შეგობრულად არიან განწყობილი და ქვეყნის საგა-რეო საკითხებს ურთიერთშეთანხმებით წყვეტენ: შაჰ-აბასის ელ-ჩისათვის პასუხის გასაცემად არა მარტო იმერეთის სამეფო კარის მესვეურნი შეიკრიბნენ, არამედ ოდიშის მთავარი ლევან დადიანი და გურიის მთავარი მამია გურიელიც მოვიდნენ. თათბირი მიმდი-ნარეობდა გეგუთის სასახლეში, მას ესწრებოდნენ ლტოლვილი მე-ფეები—ლუარსაბი და თეიმურაზიც, თათბირმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ ლტოლვილ მეფეებს არავითარ შემთხვე-ვაში არ გასცემდნენ.

მიუხედავად შაჰის მუქარისა, თუ მეფეებს არ გადასცემდნენ, ის იმერეთს დაარბევდა, გიორგი III-მ შაჰის წინაშე წარავლინა ელჩები — აფხაზეთის კათალიკოსი მალაქია და პაატა აბაშიძეს თხოვ-ნით „რათა მისცეს ორთავ მეფეთა მკვიდრნი თვისნი და ეგრეთ დაიმორჩილოს“[3]

ელჩები წარსდგნენ შაჰ-აბასის წინაშე, გადასცეს ძვირფასი სა-ჩუქრები და მოახსენეს დანაბარები, შაჰი დარწმუნდა, რომ გიორგი იმერთა მეფე „ხიზნებს“ არ გასცემდა, შაჰ-აბასს კი არ შეეძლო იმერეთში გადასვლა, რადგან ირან-თურქეთის ზავით დასავლეთი სა-ქართველო ისევ თურქეთმა მიისაკუთრა და თუ ახლა შაჰ-აბასი ლიხთ-იმერეთის საზღვარს გადალახავდა და დასავლეთში შეიჭრე-ბოდა, ეს თურქეთთან ომის დაწყებას ნიშნავდა. შაჰ-აბასს ჯერჯე-რობით თურქეთთან ომი არ სურდა და არც პირობები გააჩნდა ამი-სა.

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, თბ., 1926, გვ. 21.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 325.

[3] იქვე, ტ. II, 1959, გვ. 393;

მეორე მიზეზი, რაც შაჰს აჩერებდა, იყო დასავლეთი საქართველოს სამეფო-სამთავროების პოლიტიკურ მესვეურთა შორის დადებული პირობა მტრის მოგერიებისა ერთიანი ძალით.

შაჰმა ხერხს მიმართა: ყალბი დაპირებით, ცბიერებით და მოტყუებით ლუარსაბ მეფე ხელში ჩაიგდო, ჯერ სპარსეთში იწვია, შემდეგ გულაბის ციხეში გამოკეტა და იქვე მოაშთობინა.

* * *

სელჯუკთა სახელმწიფოს ნანგრევებზე ოსმალო-თურქებმა ძალთა გაერთიანება მოახერხეს და, ისარგებლეს რა ბიზანტიის სახელმწიფოს დასუსტებით, 1453 წელს კონსტანტინეპოლი აიღეს, მთლიანად დაეუფლნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულს, ხოლო XV საუკუნის მეორე ნახევარში შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროებიც, ყირიმის სახანოს ჩათვლით, თურქეთის ხელქვეით აღმოჩნდა. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „საქართველოსათვის ეს ისეთი უბედურება იყო, რომლის მსგავსი მის წარსულში ბევრი არ მოიპოვება“.[1]

შავ ზღვაზე თურქთა გაბატონების შემდეგ საქართველო სრულიად მოწყვეტილი აღმოჩნდა ქრისტიანული სამყაროსაგან და მაჰმადიანურ გარემოცვაში მოემწყვდა.

გარეშე მტერთა წინააღმდეგ ძალთა გაერთიანება რომ საჭირო იყო, ამას კარგად გრძნობდნენ ქვეყნის შიგნით არსებული პროგრესული ძალები, ამის დამადასტურებელი ისაა, რომ 1459 წელს თურქთა საწინააღმდეგოდ შექმნილი დასავლეთის სახელმწიფოთა კოალიციის მოწოდებისთანავე საქართველოს მეფე-მთავრებმა შინა ბრძოლები შეწყვიტეს და ურთიერთშორის ხელშეკრულება დადეს, რომ თურქთა წინააღმდეგ გაერთიანებული ძალებით იბრძოლებდნენ, მაგრამ თურქთა წინააღმდეგ შექმნილი კოალიციის მოწყობა ვერ განხორციელდა. ამის შემდეგ მეფე-მთავრებს შორის დადებულმა ხელშეკრულებამაც ძალა დაკარგა. საქართველოს სამივე მეფე „ყოვლისა საქართველოს... ლიხთ-იმერეთის და ლიხთ-ამერეთის მეფედ“ აცხადებდა თავს და საქართველოს გაერთიანებას ცდილობდა, მაგრამ გამაერთიანებელი პირობები კი არსაიდან ჩანდა.

დაქუცმაცებულ საქართველოს ერთი მხრიდან თურქეთი ემეზობლებოდა, ხოლო მეორე მხრიდან ირანი. შავი ზღვა ჩაკეტილი იყო თურქების მიერ, კასპიის ზღვა კი—მიუწვდომელი. ქართველი ხალხის შეგობარი არც მის ირგვლივ მდებარე სახანოებს შორის

---

[1] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, 1966, გვ. 437;

ჩანდა, ხოლო სომხეთს სახელმწიფოებრივობა დაკარგული ჰქონდა და თვითონაც რბევის ობიექტად იყო გადაქცეული.

* * *

XVI საუკუნეში რუსეთი უკვე ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. სოციალ-ეკონომიკური განვითარებით იგი ირანისა და ოსმალეთის სახელმწიფოებზე წინ იდგა.

ყაზანისა და ასტრახანის სახანოების მიერთების შემდეგ რუსეთი ვოლგა-ასტრახანის სავაჭრო გზაზე გაბატონდა და ამით კავკასიის უშუალო მეზობელი გახდა.

საქართველოს პოლიტიკური მესვეურნი იმედის თვალით შეჰყურებდნენ ქრისტიანული სახელმწიფოს თანმიმდევრულ ბრძოლას აგრესიული სახელმწიფოების — თურქეთისა და ირანის წინააღმდეგ.

ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს რუსეთის დახმარება სჭირდებოდათ თურქეთისა და ირანის მოძალებული აგრესიისაგან თავდასაცავად, ხოლო რუსეთს კი თურქეთისა და ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში რეალურ მოკავშირედ ესახებოდა საქართველო. იმდროინდელი რუსეთის ინტერესები მოითხოვდა კავკასიაში ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს არსებობას, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევდა ირანსა და თურქეთს.

საქართველოსა და რუსეთს შორის კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობა ჯერ კიდევ XI—XII საუკუნეებში დაიწყო, მაგრამ მონღოლთა შემოსევამ ეს ურთიერთობა შეწყვიტა; მისი აღდგენა მოხდა მას შემდეგ, როცა რუსეთმა საბოლოოდ დააღწია თავი მონღოლთა ბატონობის უღელს.

პირველი ცდა საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის განახლებისა მოხდა 1491 წელს, როცა კახეთის მეფე ალექსანდრე გიორგის ძემ (1476—1511 წწ.) ელჩები გაგზავნა მოსკოვის დიდ მთავარ ივანე III-თან. ეს განახლებული ურთიერთობა გაღრმავდა და XVI საუკუნეში სამხედრო კავშირად იქცა.[1] ეს ურთი-

---

[1] მაგ. როცა ივანე IV-ემ (1547-1584 წწ.) ჩრდილო კავკასიაში მდ. თერგისა და სუნჯის შესართავთან ციხე-სიმაგრე ააგო, კახეთის მეფემ ლევანმა (1520—1574 წწ.) ელჩები გაუგზავნა და მფარველობა სთხოვა. თავის მხრივ ივანე IV-ემ 1564 წელს ლევან კახთა მეფეს მფარველობა შესთავაზა და მცირე ჯარიც კი გაუგზავნა, რომელიც 1565—1572 წლებში იდგა კახეთში. (იხ. **Белокуров, Сношения Росии с Кавказом**; შესავალი LXXV; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, 1967, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე); იასე ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს, ურთიერთობის ისტორიიდან (XVI—XVII-სს), თბ., 1956.

ერთობა კვლავ შეწყდა და ისევ განახლდა XVI საუკუნის 80-იან წლებში. კახეთის მეფემ ალექსანდრე II-ემ (1574—1605 წწ.) 1587 წელს რუსეთის მეფის ერთგულების ფიცი მიიღო, ხოლო 1589 წელს რუსეთის მეფემ „წყალობის წიგნი" გამოუგზავნა ალექსანდრეს.

დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთსა და კახეთის სამეფოს შორის 1605 წლამდე არ შეწყვეტილა, მაგრამ რეალური სამხედრო დახმარების აღმოჩენა არ განხორციელდა.

* * *

XVII საუკუნის დასაწყისში დასავლეთი საქართველოს მეფე-მთავრებმაც დაამყარეს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა.

კახთა მეფის თეიმურაზ I-ის ინიციატივით 1618 წელს დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებმა რუსეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომობა ითხოვეს. საქართველოდან წარგზავნილ ელჩებს 1618 წელს თან მიჰქონდათ თეიმურაზის, გიორგი III-ისა და გურიელის წერილები.

გიორგი მესამე რუსეთის ხელმწიფეს ატყობინებდა, რომ შაჰ-აბასმა ააოხრა ივერიის მიწა, თეიმურაზი თავის სამეფოდან განდევნა და ჩვენთან აფარებს თავსო. იმასაც ატყობინებდა, რომ შაჰმა ჩვენთან ელჩი გამოგზავნა და მეფის გაცემა მოითხოვა. წინააღმდეგობის შემთხვევაში აოხრებით გვემუქრებაო, ჩვენ ყველა ქრისტიანი მეფეები ერთად შევიყარეთ ჩვენ-ჩვენი ლაშქრით და ყიზილბაშების შაჰს უარი ვუთხარით ქრისტიანი მეფის (ე. ი. თეიმურაზ მეფის—მ. რ.) გაცემაზეო.[1]

ანალოგიურ წერილს უგზავნიდა მამია გურიელიც. იგი წერდა, რომ იმერეთის მეფე გიორგი, მე და სადადიანოს მფლობელი ლევან დადიანი შევიკრიბეთ ერთად, რათა უარი ვუთხრათ შაჰის მოთხოვნასა და მუქარასო.[2] ამასთან ერთად დასძენდნენ, მართალია, ჩვენ გაერთიანებული ვართ და საერთო ძალებით ვიბრძვით ირანის აგრესიის წინააღმდეგ, მაგრამ, რადგან ეს ძალები საკმარისი არ არის, გთხოვთ ჯარი მოგვაშველოთო.[3]

---

[1] М. Полиевктов. Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, 1615—1640, Тб., 1937, стр. 47.

[2] დასახ. ნაშრომი, გვ. 55.

[3] Н. Накашидзе. Грузино-русские политические отношения в первой половине XVII века, 1968, стр. 60—63.

ამ ელჩობას შედეგი არ მოჰყოლია, ვინაიდან რუსეთი თავისი საშინაო და საგარეო საქმეებით იყო დაკავებული.

* *

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოდიშის სამთავროს ტახტი მანუჩარის შემდეგ დაიკავა მისმა შვილმა ლევან II დადიანმა. მან ბავშვობა თავის პაპის ალექსანდრე კახთა მეფის კარზე გაატარა. 1611 წელს მანუჩარი ნადირობისას დაიღუპა.[1] მას მემკვიდრედ დარჩა 14 წლის ლევანი, მისი მცირეწლოვანობის გამო სამთავროს განაგებდა მისი ბიძა გიორგი ლიპარტიანი.[2]

ლევანი თავისი აღზრდით, მორალით და პოლიტიკური შეგნებით ღვიძლი შვილი იყო საქართველოს იმდროინდელი ისტორიული ვითარებისა. პირად შამაცობასთან ერთად მას ახასიათებდა ორპოფობა და თვალთმაქცობა. მით უმეტეს, რომ ლევანი იზრდებოდა კახეთში თავისი ბაბუის ალექსანდრე II-ის (1574—1605 წწ.) კარზე, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ ირანის, ოსმალეთისა და რუსეთის დიპლომატები, რომელთა მოქმედებაში სიცრუე, ორპირობა, მლიქვნელობა და ბევრი სხვა ამგვარი ხერხი ჩვეულებრივ საშუალებას წარმოადგენდა. ვახუშტი ლევანს ასე ახასიათებს: „ესე ლევან იყო ბოროტი, ხუანჯიანი, ამაყი, მზაკუარი და ძვირის მომხსენე და იმარჯვიდა ჟამთა“.[3]

დიდი ნიჭისა და ალღოს მქონე ლევანი ისწრაფოდა სადადიანოს დამოუკიდებლობის განმტკიცებისაკენ. ამავე დროს მიზნად ისახავდა განედევნა იმერეთის მეფე და თვითონ გამეფებულიყო დასავლეთ საქართველოში.[4]

ამ მიზნის განსახორციელებლად ყოველგვარ ხერხს იყენებდა, სხვა სამთავროებს უკავშირდებოდა ნათესაურად, დიპლომატიურ მოლაპარაკებას აწარმოებდა თურქეთთან და რუსეთთან, ქმნიდა ძლიერ ჯარს და გამუდმებით ესხმოდა თავს იმერეთს, ამიტომ თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში „ლევან დაფიანის მოქმედება რეაქციონერი ფეოდალის მოღვაწეობად არის შეფასებული“.[5]

---

[1] კ. ტ ბ ი ბ ო ლ ი ა, ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა, ენიმკის მოამბე, XIII, 1942, გვ. 149.

[2] ა ر ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 15.

[3] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 825.

[4] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ; 104:

[5] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, გვ. 341.

მიუხედავად თეიმურაზ კახთა მეფის მცდელობისა, დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრების ურთიერთკავშირი დაირღვა. ეს დაემთხვა იმ დროს, როცა ლევან II დადიანმა მთავრის უფლებები აიღო ხელში 1620 წლის ახლო ხანში.

ამ დროიდან დასავლეთ საქართველოში ფეოდალურმა ანარქიამ მწვავე ხასიათი მიიღო, რაც დაახლოებით ორი საუკუნე გაგრძელდა.

1618 წელს იმერთა მეფემ გიორგი III-მ თავის შვილს — ალექსანდრეს კოლად შერთო მამია გურიელის ქალი თამარი, რომელთანაც ალექსანდრეა შეეძინა შვილი ბაგრატი. მაგრამ მათი ცოლქმრული ურთიერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ორი წლის შემდეგ „შესწავა ალექსანდრემ ცოლსა თვისსა, რეცა სიძუად ქუთათელის ვაჭრისა თანა და განუტევა ცოლი თვისი და წარავლინა ძით თვისით ბაგრატით მამისა მისისა გურიელის მამიას თანა“.[1] ამ ამბით შეურაცხყოფილმა მამია გურიელმა გადაწყვიტა მეფე გიორგის წინააღმდეგ მოქმედება და ამ მიზნით დაუმოყვრდა ლევან II დადიანს, რომელიც თავის მხრივ კმაყოფილებით შეხვდა ამ ფაქტს.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, როცა ლევან დადიანმა გაიგო იმერთა მეფის გიორგის და გურიელის კონფლიქტის ამბავი, კიდევაც გაუხარდა „მტერობა გურიელისა და მეფისა და მისცა დაჲ თვისი სვიმონს ძესა გურიელისასა“,[2] რომელიც ათაბაგის სახლის შვილი იყო. ეს ქორწინება მოხდა 1621 წელს.[3]

ამრიგად მეფე-მთავრის უთანხმოებით სარგებლობს ლევან დადიანი და პოლიტიკურ კავშირს კრავს გურიელთან თავისი დის მარიამის და გურიელის ძის სიმონის ქორწინებით. თვით ლევან დადიანი დაქორწინებული იყო აფხაზეთის მთავარ სეტემან შერვაშიძის ასულზე. ამიერიდან დასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო ბანაკი: ერთ მხარეს იმერთა მეფე გიორგი III (მას კახთა ლტოლვილი მეფე თეიმურაზი უჭერდა მხარს), ხოლო მეორე მხარეს — დადიანი, გურიელი და შერვაშიძე. ძალთა თანაფარდობა ლევან დადიანის მხარეზე იხრებოდა. მეფის მოწინააღმდეგეთა ბანაკს დაემატა კიდევ ერთი იმერელი ფეოდალი — პაატა წულუკიძე, რომელმაც გარკვეული როლი ითამაშა მეფესა და მთავარს შორის ცუდი ურთიერთობის დამყარებაში.

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 826.

[2] იქვე.

[3] თ. ყორდანია, ქრონიკები, II, 1897, გვ. 444; მარი ბროსე, საქართველოს ისტორია, II ნაწ., თბ., 1900, გვ. 187.

პაატა წულუკიძემ ლევანის დიდი ნდობა დაიმსახურა და მალე ოდიშის პირველი ვეზირიც გახდა. მისი შეგონებით გაუჩნდა აზრი ლევან დადიანს დასავლეთ საქართველოში ჰეგემონობისა და თვით მეფის ტახტის დაკავებისაც კი.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოში თანდათან შფოთი ჩამოვარდა, „ამ შფოთმა ნელ-ნელა იზარდა და ბოლოს ისე გადიდდა, რომ არია მთელი ქვეყანა და მოსპო ყოველივე მშვიდობიანობა“.[1]

ვახუშტი ბატონიშვილი ასეთ დეტალს გადმოგვცემს: „მეფემან გიორგიმ შერისხა რაისამე ზედა წულუკიძეს პაატას და მიუხუნა (ჩამოართვა — მ. რ.) მამულნი და პაატა წარვიდა ლევან დადიანის ათანა“[2].

მეფეზე განაწყენებული თავადი, ვახუშტის სიტყვით, დადიანს მუდამჟამს გიორგი მეფისადმი მტრობას ჩააგონებდა: „პაატამ (რომელსაც უხმობდნენ წუწკად უძლურებისათვის, რამეთე იყო კუტი) უმეტესად შთაუდვა ლევანს მტერობა გიორგი მეფისა“.[3]

ვახუშტის გადმოცემით, მეფე გიორგის არ შოსწონებია დადიან-გურიელ-შერვაშიძის კავშირი, „შეუძნდა მეფესა გიორგის შეერთება დადიან-გურიელისა, და დაუწყო მტერობა; შემდგომად შემოიკრიბნა სპანი თვისნი გიორგი მეფემან და განვიდა და დადგა გოჭორაულსა ზედა“.[4]

გიორგი მეფის საომარი სამზადისი შეუმჩნეველი არ დარჩა ლევან დადიანს და, თავის მხრივ, მანაც ლაშქარი შეკრიბა. მამია გურიელმა, როგორც ჩანს, ნეიტრალური პოზიცია დაიკავა, ვინაიდან წყაროები არ ახსენებენ მის მონაწილეობას ამ ომში. „მოვიდა ლევან დადიანიცა სპითა ოდიშარ-აფხაზ-ჯიქითა და იქმნა ბრძოლა ძლიერი და მოსწყდნენ მრავალნი“.[5] ამ ბრძოლაში მეფე გიორგი დამარცხდა და ბრძოლის ველიდან თავს გაქცევით უშველა.[6]

დადიანმა „შეიპყრნა მრავალნი წარჩინებულნი და მდაბიურნი, აღიღო ალაფი და იავარი და წარვიდა ოდიშს“.[7]

---

[1] არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 16.
[2] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 825.
[3] იქვე, გვ. 826.
[4] იქვე.
[5] იქვე.
[6] იქვე.
[7] იქვე.

ეს ბრძოლა, ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, მოხდა 1623 წლის 9 დეკემბერს[1] ქუთაისის მახლობლად — გოჟოურასთან.

ლევან დადიანმა ტყვედ წაყვანილ იმერელთ თავი დაახსნევინა ფულით. ვახუშტის თქმით, ეს იყო პირველი შემთხვევა დასავლეთ საქართველოს შინაურ ომში ტყვეების თავის დასახსნელად ფულის მოთხოვნისა.[2] ამის შემდეგ განმტკიცდა ეს ახალი წესი, რამაც თავის მხრივ, ძლიერ შეუწყო ხელი ურთიერთმიხდომისა, რბევისა და ადამიანთა ტყვედ წაყვანის გახშირებას.[3]

გიორგი მეფესთან ომში გამარჯვების შემდეგ მთელ დასავლეთ საქართველოში დიდად გაიზარდა ლევან დადიანის პოლიტიკური გავლენა.

1623 წლის შემდეგ ლევან დადიანსა და სორეხ შერვაშიძეს შორის ურთიერთობა გაუარესდა, რაც ომში გადაიზარდა; როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლევანმა ცოლად შეირთო აფხაზეთის მთავრის შერვაშიძის ასული[4].

მთავრის შეუღლეს დაუახლოვდა მისი ვეზირი პაპუნა. ამ ამბავმა ლევანის ყურამდე მიაღწია, მან თავისი ცოლი, — შერვაშიძის ასული, — გააგდო, მასთან შეძენილი ორი ვაჟი მოწამვლით მოაკვლევინა, ხოლო თავისი ვეზირის მოკვლა ვერ გაბედა, შეიპყრო და გურიაში თავის სიძესთან პატიმარჰყო. თვითონ ლევანმა თავის

---

[1] ამ თარიღს მხარს უჭერს პროფ. კ. გ ო ი გ ო ლ ი ა, იხ. კ. გ ო ი გ ო ლ ი ა, ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა, ენიმკის მოამბე, XII, 1942, გვ. 149; მაგრამ ა. ა ნ თ ე ლ ა ვ ა ამ ბრძოლის თარიღად 1622 წ. თვლის იხ. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, ოდიშის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან, საისტორიო კრებული, ტ. V, თბ., 1976, გვ. 119.

[2] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 826.

[3] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, თბ., 1922, გვ. 57.

[4] ქართულ საისტორიო მწერლობაში გაბატონებულია აზრი, რომ ლევან დადიანმა შერვაშიძის ასულზე ჯვარი დაიწერა 1621 წლის ახლო ხანებში (იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 302, დ. გ ვ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, II, თბ., 1965, გვ. 419; З. А н ч а б а д з е. Из истории средневековой Абхазии. Сухуми, 1959, გვ. 262). ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა ს ა და თ. ბ ე რ ა ძ ი ს აზრით ეს ქორწინება უნდა მომხდარიყო 1614—1615 წლებში, რაც უფრო სწორად ჩანს (იხ. ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, ოდიშის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან, საისტორიო კრებული, ტ. V, თბ., 1976, გვ. 107—116—118; თ. ბ ე რ ა ძ ე, ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, თბ., 1964, გვ. 122), ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 15; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, ძველი საქართველო, ტ. III, გვ. 17.

ბიძას გიორგი ლიპარტიანს წაართვა ახალგაზრდა ცოლი, ჭილაძის ასული და ცოლად შეირთო.[1]

* * *

ლევანის საქციელმა ორ სამტრო ბანაკად გაყო ოდიშარნი. ბიძა-ძმისწულის დავა იარაღს უნდა გადაეწყვიტა, მაგრამ მოულოდნელად გარდაიცვალა ლიპარტიანი, და ამან სისხლის ღვრისაგან იხსნა ოდიშარნი.

ლევან დადიანის მოწინააღმდეგე ბანაკი თანდათან იზრდებოდა, გიორგი იმერთა მეფეს მხარში ედგა აფხაზეთის მთავარი შერვაშიძე, გურიის მთავარიც შეშფოთებული იყო ოდიშის გაძლიერებით. ამ სიტუაციით ისარგებლა ოდიშის ყოფილმა ვეზირმა პაპუნამ, რომელიც გურიელთან იმყოფებოდა პატიმრობაში და განიზრახა ლევან დადიანის მოკვლა, ხოლო მის მაგივრად შისი ძმის — იოსების გამთავრება.

მრავალგზის შეგონებით პაპუნამ თავის შხარეზე გადაიბირა გურიელი. იგი ჩააგონებდა გურიელს, რომ ლევანი დაუდგრომელი ხასიათისაა, „ამიტომ უკეთესი იქნებაო, რომ კოლხიდის მთავრად მისი ძმა იოსები გავხადოთო, კაცი ბევრად სასიამოვნო, კაცთმოყვარე, ზრდილობიანი, დაჯდარი ხასიათისა და ამას გარდა ხალხისაგან მეტად პატივცემული და თაყვანსაცემიო“.[2]

შეთქმულებამ ფართო ხასიათი მიიღო. ლამბერტის მტკიცებით, შეთქმულების მონაწილენი იყვნენ იმერთა მეფე გიორგი, აფხაზთა მთავარი შერვაშიძე და თვით გურიელი. შეთქმულებას პაპუნა ვეზირი ხელმძღვანელობდა.[3] მაგრამ ამ შეთქმულებიდან არაფერი გამოვიდა, რადგან თავდასხმისას მთავარი მსუბუქად დაიჭრა და გადარჩა.[4]

შეთქმულება გამეღავნდა, ამ საქმის მოთავე ვეზირი „ჯერ ღამით დაახრჩეს და მერე დღისით ერთ დიდ ზარბაზანში ჩასდეს, ცეცხლი მისცეს და ამგვარად შისი სხეული, ნაკუწ-ნაკუწად ქცეული, ჰაერში გაიბნა. თავის ძმას იოსებს მთავარშა თვალები დასთხა-

---

[1] არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 16, 21; ეან შარდენი, მოგზაურობა... თბ, 1975, გვ. 233—234; დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე, გამოსცა ბეჟან გიორგაძემ, თბ, 1964, გვ. 83.

[2] არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 20.

[3] იქვე.

[4] იქვე.

რა. ყოველივე ქონება ჩამოართვა და დაუტოვა მხოლოდ სულ მცირე რამ, რაც საკმაო იყო საწყლად ცხოვრებისათვის".[1]

საშინაო საქმეები რომ ჩაწყნარა და შიში აღარ ჰქონდა ამბოხებისა, ლევანმა საგარეო საქმეებს მიხედა. პირველ რიგში მან მიზანში ამოიღო აფხაზეთის მთავარი, რომელსაც ოდიშის სანაპირო სოფლები სასტიკად აეოხრებინა.

არქანჯელო ლამბერტის ცნობით, აფხაზები „დადიანისაგან თავს შეურაცხყოფილად სთვლიდნენ, რადგან მან გააგდო ცოლი, მათი მთავრის ქალი, ამის გამო აფხაზები ისე გაბრაზებული იყვნენ დადიანზე, რომ იმ დროს როცა დადიანი გართული იყო ძმისაგან დაწყებული ამბოხების დაცხრომის საქმეში, სულ თავს ესხმოდნენ სამეგრელოს საზღვრებს, რომელიც თითქმის სრულიად მოაოხრეს, მცხოვრებლები დაატყვევეს და აფხაზეთში გადაასახლეს".[2]

1628 წლამდე ლევანმა ორჯერ ილაშქრა აფხაზეთში. პირველად კაპოეტის წყალს აქეთ სრულიად ააოხრა აფხაზეთი; კაპოეტის წყალზე შებმიან დადიანს მარშანიები და დადიანს გაუმარჯვია.

დადიანმა მეორედაც ილაშქრა აფხაზეთში და „აფხაზებმა მორჩილება განუცხადეს, ხარკი იტვირთეს, მაგრამ რადგან ეს ხალხი მოქალაქეობას და ვაჭრობას მოკლებულია, და არც ფული გააჩნია, არც საქონელი ხარკის გადასახდელად, დადიანმა მათ ხარკად დაადვა რამდენიმე მწევარ-მეძებარი და მიმინო".[3]

მიუხედავად ზავის დადებისა, აფხაზები მაინც ესხმოდნენ თავს ოდიშის განაპირა სოფლებს და აოხრებდნენ მას. „ამ თარეშების მოსაგერიებლად დადიანი იძულებული გახდა საზღვარზე გაეყვანა ზღვასა და მთებს შორის 60 ათასი ნაბიჯის სიგრძე ჯებირი ხის კოშკებით, რომელშიდაც იდგნენ მეთოფეები. ამ მეთოფეებს რიგ-რიგობით აყენებდნენ ოდიშის ეპისკოპოსები და წარჩინებულნი თავადები თანახმად მთავრის განკარგულებისა".[4]

* * *

ოდიშში ამბოხების პერიოდში გურიაშიც მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა. 1625 წელს „განირისხა ღმერთი და მოკლა მამა თვისი მამია გურიელი ძემან თვისმან სვიმონ. მწოლარე სარეცელსა ზედა ძილად"[5] და თვითონ დაჯდა გურიელად. სვიმონმა გამთავრებისთა-

---

[1] არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა გვ. 21.
[2] იქვე, გვ. 22.
[3] იქვე.
[4] ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 58.
[5] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 826.

ნავე ცოლის ძმის საწინააღმდეგო კურსი აიღო და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილე გახდა.

სამთავროს საშინაო საქმეების მოწვარების შემდეგ ლევან დადიანმა მიზანში ამოიღო თავისი სიძე სიმონ გურიელი. ლევანმა საბაბად გამოიყენა შვილის მიერ მამის მკვლელობა და დიდი ჯარით საგურიელოში შეიჭრა. ლევანმა სვიმონს მოსთხოვა თავისი დის უკან დაბრუნება: „ვინაითგან მოჰკალ მამა შენი, არღარა მნებავს მოყურობა შენი, მომეც დაი ჩემი და უკუნვიქცევი."[1] სიმონი იყო მხნე, ახოვანი და შემმართებელი, დადიანის პასუხად მან ჯარი შეჰყარა და ბრძოლად გამოვიდა. ლანჩხუთთან ბრძოლაში სიმონ გურიელი დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა.

სიმონი ლევანმა სასტიკად დასაჯა: არქანჯელო ლამბერტის თქმით, „დასთხარა თვალი, წაართვა ცოლი, შვილი და სამთავროც"[2].

სიმონის შეუღლე სილამაზით და სათნოებით სახელგანთქმული მარიამი ისევ სამეგრელოში დააბრუნეს. სიმონი ერთი წლის ტყვეობის შემდეგ ლევანმა გაათავისუფლა: „სიმონი... წავიდა იერუსალიმში, შედგა იქ ბერად, იცოცხლა ღრმა მოხუცებულობამდე და 1672 წელს კიდევ ჰქონდა მიწერ-მოწერა თავის ცოლად ნამყოფთან, სათნო დედოფალ მარიამთან".[3]

გურიის მთავრად ლევანმა მამიას ძმა, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი მალაქია გურიელი დასვა (1625—1639 წწ). ამის შემდეგ გურია ოდიშის სამთავრო სახლის ინტერესებს დაექვემდებარა და იმერეთის მეფის საწინააღმდეგო კურსი აიღო, რამდენადაც დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის 24 მამულიდან 18 მამული ოდიშის ტერიტორიაზე იყო განლაგებული.[4] კათალიკოსი მალაქია ოდიშის მთავრის ხელის შემყურე იყო. ამიტომაა, რომ მალაქიას მთავრობის პერიოდში ლევანი „დადიან-გურიელად" იწოდებოდა.[5]

არქანჯელო ლამბერტის აღნიშვნით: „დაიმორჩილა თუ არა აფხაზეთი და გურია, დადიანმა იმერეთის დაპერაც მოისურვა... ამ განზრახვით დადიანს განუწყვეტელი ომი ჰქონდა იმერეთთან. თუმცა აქამდინ თავისი წადილი ვერ შეასრულა, რადგან იმერეთის მეფე გამაგრდა ქუთაისის ციხეში და მის სიმაგრეს დადიანმა ვერ

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 827.

[2] არქანჯელო ლამბერტი, დასახ. ნაშრ., გვ. 21.

[3] მარი ბროსე, საქართველოს ისტორია, II ნაწ., 1900, გვ. 188.

[4] ბ. ლომინაძე, ფეოდალ. მეურნ. ორგანიზაციის ისტორიიდან გვიანფეოდალურ საქართველოში, მსკი, ნაკვ. 30, 1954, გვ. 101—114; მისივე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან. ტ. I, გვ. 213.

[5] ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 216.

სძლია, მაგრამ მაინც ისე დაასუსტა იმერეთის სამეფო, რომ სამეგრელოს ბევრად ჩამოუვარდებოდა ძალ-ღონით".[1]

საქართველოს მეფე-მთავართა აშლილობით სარგებლობდა ოსმალეთი და თავის საქმეს აკეთებდა: თანდათან იპყრობდა შავი ზღვის სანაპირო ქალაქებს, ავრცელებდა მაჰმადიანობას, სადაც ეს შესაძლებელი იყო და ამ გზით ცდილობდა დაპყრობილი მხარეების სარწმუნოებრივადაც შემომტკიცებას.

ბატონყმობა და ნატურალური მეურნეობის ბატონობა. კიდევ უფრო აძლიერებდა ქვეყნის კარჩაკეტილობას. ასეთ ვითარებაში დაქუცმაცებულმა დასავლეთმა საქართველომ მრავალჯერ განიცადა თურქეთის ოკუპაცია, რაც შესაძლოა თავიდან იქნებოდა აცილებული, ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის მუდმივ შინაბრძოლებს და ურთიერთდაპირისპირებას რომ ადგილი არ ჰქონოდა. რუსი დიპლომატის პ. ლევაშოვის (1766 წ.) აზრით „ქართველები მთელს აზიაში უმამაცესი ხალხი იყო და მათ საშინაო თანხმობა რომ ჰქონოდათ, ვერავითარი საგარეო მტრული ძალა უმცირეს ზიანსაც კი ვერ მიაყენებდა".[2]

ჟან ბატისტ ტავერნიე ასე გადმოგვცემს დასავლეთ საქართველოს მდგომარეობას: „სულთანი ძლიერ კმაყოფილია ამ ქვეყნის აგრე დანაწილების გამო, რადგან როცა სამივე ნაწილი ერთად იყო, ერთის ხელმწიფის ქვეშ, სულთანს არ შეეძლო მათი დამორჩილება, მიზეზი ამისა ის იყო, რომ იმერეთის მეფეს მაშინ შეეძლო მოკლე დროში გამოეყვანა სალაშქროდ თითქმის ორმოცდაათი ათასი კაცი.[3] განუდგა თუ არა იმერეთის მეფეს დადიანი, შეუთანხმდა დიდ სენიორს და ვალდებულება იკისრა მისთვის მიეწოდებინა რკინის ერთგვარი რაოდენობა იმ პირობით, რომ იმერეთთან ომის შემთხვევაში დიდი სენიორი მას ტრაპიზონის, ერზერუმისა და ყარსის საფაშოებიდან 20 ათასამდე ცხენოსანს მიაშველებდა".[4]

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, უცხოელის თვალსაც კარგად აქვს შემჩნეული, რომ როცა მეფე-მთავრები შეთანხმებით

---

[1] არქანჯელო ღამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 22.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 16.

[3] თურქული წყაროების ცნობით, XVI საუკუნის ბოლოს დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებში ყოფილა: იმერეთში—60000, სამეგრელოში—80 000, ბოლო გურიაში — 20 000 კომლი. ეს ცნობა ადასტურებს ჟ. ბ. ტავერნიეს დასკვნის სისწორეს, რომ გაერთიანებულ იმერეთის სამეფოს (გურია-სამეგრელოს ჩათვლით), რომლის მოსახლეობა 160.000 კომლს შეადგენდა, მცირე დროის განმავლობაში შეეძლო 50 000 მეომრის გამოყვანა (იხ. ჟან-ბატისტ ტავერნიე, თბ., 1974, გვ. 235).

[4] ჟან ბატისტ ტავერნიე, თბ., 1974, გვ. 200: იხ. აგრეთვე „მოამბე": 1898, №6, გვ. 6.

მოქმედებდნენ, გარეშე მტრები ვერ ბედავდნენ მათ დალაშქვრას.

თურქი მოგზაურის და ისტორიკოსის ევლია ჩელების გადმოცემით, დასავლეთი საქართველოს მეფე-მთავრები შურად შეოთხემ (1623—1640) დაიმორჩილა. ამ დროიდან მოყოლებული, ოსმალეთი დასავლეთ საქართველოს თავის სამფლობელოდ თვლიდა,[1] მაგრამ სამცხე-საათაბაგოსაგან განსხვავებით, აქ არსებული სოციალურ-ეკონომიკური წყობა და ფეოდალური ორგანიზაცია არ შეცვლილა. მეფე-მთავრებს ყოველწლიურად ძღვენის გაგზავნა ევალებოდათ, თუმცა ამას ყოველთვის არ ასრულებდნენ; პირიქით, მოხერხებულ დროს ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას იწყებდნენ.

ევლია ჩელების გადმოცემით, როდესაც კაზაკებმა მოულოდნელად გონიის ციხე აიღეს[2] და ოსმალთა რაზმებთან ბრძოლას აწარმოებდნენ, „ურჩი აზნაურების“ (სამეგრელოს—მ. რ.) ქვეყნიდან კაზაკებს ზღვით დამხმარე ძალა მოუვიდათ ორმოცი-ორმოცდაათი ლაზური ნავით.[3]

ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნში“ ჩანს, რომ ოსმალეთი სამეგრელოს თავის სამფლობელოდ თვლიდა, მაგრამ მისი დიდი ნაწილი დამოუკიდებელი იყო. ისტორიკოსი მოგზაური სამეგრელოში ელჩობის დროს აღწერს,[4] რომ აქ მან „სამოცდაათამდე ქალაქის მსგავსი სოფელი“ დაათვალიერა,[5] მისი თქმით ზღვისპირა ზოლი, სადაც ოსმალებს ხელი მიუწვდებოდათ, დაპყრობილი იყო, ხოლო სამეგრელოს „მთებში ბაღ-ვენახიანი, დასახლებული და აყვავებული, დაუმორჩილებელი მეგრული სოფლები არსებობდა. ზღვისოდენი ჯარიც რომ იყოს, მათ მთებში შესვლა ძნელია. ორმოც-ორმოცდაათიათასამდე თოფით შეიარაღებული მოსახლეობაა“.[6]

ზღვისპირა აფხაზებს ევლია ჩელები დამორჩილებულად თვლის. მათ შესახებ ამბობს, რომ „მშვიდი და მორჩილი ხალხია, რადგანაც მათი ადგილები ძნელი მისასვლელი არ არის“, მაგრამ მისივე გან-

---

[1] ევლია ჩელების ცნობით დასავლეთი საქართველოს მეფე-მთავრები სულთანს „მორჩილნი არიან, ყოველწლიურად მშვიდობიანობისა და მორჩილების დასადასტურებლად ორმოც-ორმოცდაათიმდე ბიუსა და ბოგოს, ათას წყვილ თეთრიკის წინდას, სასახლის სამზარეულოსათვის ათას წყვილ ტილოს და სხვა მრავალ ძღვენს აგზავნიან (ევლია ჩელები, „მოგზაურობის წიგნი“. ნაკვ. I, თბ., 1971, გვ. 83).

[2] ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, ნაკვ. I, თბ., 1971, გვ. 323.

[3] დასახ. ნაშრომი, გვ. 326.

[4] იქვე, გვ. 93.

[5] იქვე, გვ. 95.

[6] იქვე, გვ. 96.

[7] იქვე, გვ. 105.

ცხადებით, მთაში ოსმალეთის გავლენა ვერ აღწევს: „ხარაჯას და სხვა ბაღ-ვენახის მოსავალს, ან აშარის მსგავსს არაფერს იძლევიან. მრავალი ასი ათასი ურჩი და მეამბოხე ხალხია,"[1] ამისათვის ანაპის „ციხე რომ შეკეთდეს (გამაგრდეს) და შიგ სრულყოფილი ჯაბახანა და მეომრები ჩააყენონ, აბაზას და ჩერქეზეთის ქვეყნების დამორჩილება გაადვილდება".[2]

ამრიგად, თვით თურქული წყაროს მოწმობით, ოსმალეთის ბატონობა დასავლეთი საქართველოს მხოლოდ ბარის გარკვეულ ნაწილზე ვრცელდებოდა, მთის აუგილებში კი მათ ხელი არ მიუწვდებოდათ.

მაგრამ ოსმალთა პასიურობის ძირითადი მიზეზი მაინც ის იყო, რომ XVII საუკუნის დასაწყისისათვის სულთნის ხელისუფლება საგრძნობლად შესუსტდა. ამას ადასტურებს იმდროინდელი თურქი მოღვაწის ელჩ ბეი გორიჯელის ტრაქტატი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ჯარი „სალაშქროდ მიდის როცა მოესურვება, მორჩილება არა აქვთ, ხელისუფლების შიში და რიდი არა აქვთ",[3] ახლა ცენტრალურ ხელისუფლებას ძველებურად აღარ მიუწვდებოდა ხელი პროვინციებზე. ამიტომაც სულთნის ბრძანებებს არაფრად აგდებდნენ. „წინათ რომელიმე მხარეში მაღალი მთავრობის ბრწყინვალე ბრძანება რომ მოვიდოდა, იმ მხარის სოფლებში და ქალაქებში აურზაური ატყდებოდა და დიდსა თუ პატარას შიში და მოკრძალება მოიცავდა; ფადიშაჰის ფირმანი მოსულაო, ამბობდნენ და ყურს მიუშვერდნენ. ეხლა კი ბრძანებები და ბარათები რა საქმესაც არ უნდა ეხებოდეს — უქმია. ერთიმეორის საწინააღმდეგო ბარათები და დაგვენილებანი მისი უდიდებულესობისა წელიწადში ათასი იწერება".[4] ამიტომ სულთანის ბრძანებებს აღარავინ ასრულებდა. იანიჩართა შორის დისციპლინა იმდენად დაეცა, რომ ომში წასვლის პირობად ხელფასის მომატებას ითხოვდნენ. სულთანი უძლური იყო იანიჩარების წინაშე; მათი ჯარის რეორგანიზაცია არ ხერხდებოდა, რადგან იანიჩარები არ თმობდნენ ტრადიციულ სამხედრო ორგანიზაციას; როცა ოსმან II-ემ (1618—1622 წწ.) იანიჩართა კორპუსის რეორგანიზაცია დააპირა, რათა იგი უფრო ბრძოლისუნა-

---

[1] ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, ნაკვ. I, თბ., 1921, გვ. 105—106.

[2] იქვე, გვ. 109.

[3] ვ. ფუთურიძე, ოსმალეთი XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე; ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 279—280.

[4] იქვე.

რიანი გაეხადა, იანიჩარები აჯანყდნენ და 1622 წელს სულთანი მოკლეს.[1]

აჯანყებულებმა ტახტზე აიყვანეს სასახლის კედლებში გამომწყვდეული სულელი უფლისწული მუსტაფა, მაგრამ 1623 წელს მოხელეთა ერთმა ჯგუფმა, იანიჩარებთან შეთანხმებით მუსტაფა ტახტიდან გადააყენა და მცირეწლოვანი მურად IV (1623—1640 წწ.) გაამეფა.

სტამბოლში მომხდარი ამბები, რაც უმწეო მდგომარეობაში აყენებდა ცენტრალურ ხელისუფლებას, შეღავათს უქმნიდა დაპყრობილ ქვეყნებს, მათ შორის გამონაკლისს არც დასავლეთი საქართველო წარმოადგენდა.

* * *

ამ ხანებში აღმოსავლეთი საქართველოც არ იყო დამშვიდებული, შარტყოფისა და მარაბდის (1625 წწ.) მძიმე ბრძოლების შემდეგ მოძმენი ორ სამტრო ბანაკად გაიყვნენ, ერთ მხარეს ქართლის მოურავის გიორგი საakაძის და მეორე მხარეს სიძე-სიმამრ ზურაბ არაგვის ერისთავისა და ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I-ის მომხრენი დაჯგუფდნენ.

ურთიერთობა მეფესა და მოურავს შორის იმდენად გამწვავდა, რომ საakაძემ აიძულა თეიმურაზი ქართლის ტახტი დაეტოვებინა.

ქართლის მოურავმა სთხოვა იმერეთის მეფეს გიორგი III-ს თავისი შვილი ალექსანდრე გამოეგზავნა ქართლში გასამეფებლად. არჩილიანი ასე გადმოგვცემს ამ ამბავს:

„ეწ დაუწყო მეფეს თხოვნა შვილის ქართლსა საბატონოდ, აჰყვა მეფეც დაიყოლა, ბრძანა არ აქვს დასაღონად“.[2]

იმერთა მეფის შვილის გამეფება ქართლში მომავალ (ბაზალეთის) ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა: „თუ გიორგი თეიმურაზზე გაიმარჯვებდა, მაშინ ალექსანდრე ქართლ-კახეთის მეფე და იმერეთის ტახტის მემკვიდრე იქნებოდა. გიორგი მეფის გარდაცვალების შემდეგ კი (იქნებ მანამდეც) იმერეთი ქართლ-კახეთს შეუერთდებოდა. ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებული სამი სამეფო კი გამდგარ სამთავროებსაც ადვილად შეიერთებდა და საქართველო აღსდგებოდა“.[3]

---

[1] ვ. ფუთურიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 282.

[2] არჩილიანი, II, თბ., 1937, გვ. 79.

[3] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 290.

სანამ გიორგი სააკაძე ქართლის ტახტზე ალექსანდრეს გამეფებას გადაწყვეტდა, მანამდე ამ აქტს მოურავისა და იმერთა მეფის მოყვრობის ამბავი უძღოდა წინ. ჯერ კიდევ ბაზალეთის ბრძოლამდე იმერთა მეფე გიორგი ქართლის მოურავს გიორგი სააკაძეს აძლევს პირობის წიგნს (1625—1626 წწ.): „ეს ფიცი და პირი გიბოძე ჩვენ, მეფეთ-მეფემ პატრონმა გიორგიმ და ძემან ჩემმა პატრონმა ალექსანდრემ, მამუკამ და როსტომ თქვენ, მოურავს პატრონს გიორგის, ასრე რომე ჩემი ქალი ბატონი ხვარამზე გულგანწმენდით თქვენის შვილის ავთანდილისათვის მომიცემია“.[1]

ამ დამოყვრების შემდეგ გიორგი მეფე, საფიცარ წიგნს აძლევს გიორგი სააკაძეს: „ან შენ ან შენი ძმა და ან შენი შვილი ჩუენსა ქუეყანასა მოხვიდეთ, კიდეც კარგად გარჩინოთ და არცავის საძალოთ და საავკაცოდ დაგანებოთ, რისაც შემძლებელნი ვიყოთ და კიდეც კარგად მოგეპყრათ; და თუ ვინმე თქუენი თავი შემოგუაბეზღოს, არც გაუკითხავად შეგიბეზღოთ“,[2] ე. ი. ამ დამოყვრების შემდეგ, იმერეთის მეფე გიორგი III და ქართლის მოურავი გიორგი სააკაძე შეთანხმდნენ, რომ, საჭიროების შემთხვევაში სააკაძეს დახმარებას აღმოუჩენდნენ მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

იმერეთიდან მოურავი ლევან II დადიანს ეწვია ოდიშში. აქაც ანალოგიური შეთანხმება მოხდა, ასეთივე შეთანხმება მოხდა გურიის მთავარ მალაქიასა და სააკაძეს შორის, რამაც ფიცის წიგნში ჰპოვა ასახვა.[3] ამ ურთიერთშეთანხმების ნიადაგზე, როდესაც გიორგი სააკაძეს ჯარი დაჭირდა მეფე თეიმურაზის წინააღმდეგ საბრძოლველად, იმერთა მეფემ ზემო მხარის ლაშქარი მისცა მამუკა ბოქაულთუხუცესის და აშიღაბაშ აბაშიძის სარდლობით.

გიორგი სააკაძის შორსმჭვრეტელმა ალღომ თეიმურაზს ცოტა რამ ასწავლა. როგორც ზემოთ ითქვა, თეიმურაზის საწინააღმდეგოდ გიორგი სააკაძემ იმერთა მეფის ძის გამეფება სცადა ქართლში, ამაზე ადრე კი მეფეს დაემძახლა. ეს მოყვრობა გიორგის საქართველოდან წასვლამ ჩაშალა, მაგრამ ახლა თეიმურაზმა მოისაზრა, რომ აუცილებელი იყო იმერეთის მეფესთან დამეგობრება და ზურგიდან თავდასხმის აშორება. სწორედ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა იგი, როდესაც მან ზურაბ ერისთავის ცხედარს გაციებაც

---

[1] ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა, შ. ბ ე ს ა ნ ა ძ ი ს გამოცემა, თბ., 1959, გვ. 22.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 24.

[3] გ. ჯ ა მ ბ ე ს ი ა, გიორგი სააკაძე, თბ., 1964, გვ. 147—149. ფ ა რ ს ა დ ა ნ გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ი ს ისტორია, გვ. 29; არჩილიანი, II, თბ., 1937, გვ. 81.

არ აცალა და მისი ქვრივი — თავისი ქალი დარეჯანი ქმრის ოჯახიდან გამოიტაცა, შუხრანს მიიყვანა და იმერთა მეფის ძეს ალექსანდრეს მიათხოვა 1629 წელს.

* * *

1632 წელს ირანის შაჰმა გამაჰმადიანებული როსტომ-ხანი ქართლში მეფის ტახტის დასაკავებლად გამოგზავნა.

თეიმურაზ მეფეს ძალა არ ეყო წინააღმდეგობა გაეწია ირანის ლაშქრისათვის, ამიტომ უბრძოლველად დათმო ტახტი და იმერეთის სამეფო კარს შეაფარა თავი.

როსტომ მეფე უცოლო იყო. მისმა ვეზირებმა გამართეს თათბირი, თუ ვისთან დაემოყვრებინათ ქართლის ახალი მეფე. ქართლის მესვეურთ სწორედ ისეთი პიროვნება უნდა გამოენახათ, რომელიც შაჰმადიან მეფეს საჭიროების შემთხვევაში მხარს გაუმაგრებდა და გვერდში ამოუდგებოდა. ბოლოს მრჩეველნი მივიდნენ იმ გადაწყვეტილებამდე, რომ რაკი თეიმურაზ მეფე ქართლის ტახტს ნებაყოფლობით არ დათმობდა, ხოლო როსტომის წინააღმდეგ ბრძოლაში მას ყოველთვის დაუჭერდნენ მხარს იმერეთის მეფე გიორგი და ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე, ამიტომ ისეთი მოკავშირე უნდა ეშოვათ, რომელიც იმერეთის მეფეს და მის მემკვიდრეს მოქმედების საშუალებას მოუსპობდა და ამით თეიმურაზ მეფის დახმარებაზე ხელს ააღებინებდა. ასეთი მიზნის განსახორციელებლად მათ საუკეთესოდ მიიჩნიეს როსტომის დამოყვრება ოდიშის მთავარ ლევან II დადიანთან.[1] ამ დროისათვის ლევანი დასავლეთ საქართველოში ძლიერი პოლიტიკური ფიგურა იყო, ამასთან, იმერეთ-ოდიშს შორის მტრული დამოკიდებულება არსებობდა.

ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ქართლის მესვეურთ როსტომ მეფის საცოლედ ლევან დადიანის და მარიამი აირჩიეს.

როსტომ მეფემ ეს ამბავი შაჰს შეატყობინა და ნებართვა სთხოვა. სპარსეთის შაჰის კარი ამას დიდი კმაყოფილებით შეხვდა, რადგან, ჯერ ერთი, მოუსვენარ ქართლში მათი კაცი მოყვარეს იძენდა, რომელიც თეიმურაზის წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირედ გამოადგებოდათ; მეორეც, თურქეთის წინააღმდეგ ომში სპარსეთისათვის სამეგრელოს დიდი მნიშვნელობა ექნებოდა.[2]

---

[1] კ. გრიგოლია, ენიმკის მოამბე, III, თბ., 1942, გვ. 154.
[2] იქვე.

როსტომ მეფე და ლევან დადიანი შეთანხმდნენ, როდის მომხდარიყო ქორწილი. პირობის თანახმად, ლევან დადიანი იმერეთში უნდა მისულიყო დიდი ლაშქრით, როსტომიც იქ უნდა გადასულიყო ჯარით და მეფე-დედოფალი საჩხეიძეოში უნდა შეყროდნენ ერთმანეთს. შეთანხმების თანახმად მეფე დიდი ჯარით წავიდა და იმერეთის საზღვარზე — სურამში დადგა. გიორგი იმერთა მეფეს კარგად ესმოდა როსტომისა და ლევანის მოყვრობის პოლიტიკური არსი, რაც იმერეთის სამეფოს წინააღმდეგ იყო მიმართული, ამიტომ მან გზა არ მისცა როსტომს. სხვა საშუალება არ იყო, როსტომმა და ლევანმა ისევ განაპირა გზით სვლა ირჩიეს, როსტომი ახალციხე-ზეკარით ბაღდადში ჩავიდა, კაკას ხიდთან, ლევან დადიანი კი სამიქელაძეოზე გავლით დანიშნულ ადგილას გაჩნდა[1].

XVII საუკუნის მეორე მეოთხედისათვის იმერეთის სამეფო რთულ საგარეო-პოლიტიკურ ვითარებაში მოექცა. შაჰ-აბასის ორგზის ლაშქრობის შედეგად ირანმა დაიკავა ქართლ-კახეთის სამეფოები და ლიხის ქედთან მოაღწია. ირანის ინტერესები იმერეთის წინააღმდეგ იყო მიმართული, ვინაიდან: 1) ქართლ-კახეთის მტკიცე დაპყრობისათვის საჭირო იყო იმერეთის დაკავებაც, ამით ქართლ-კახეთის მეფეებს მოესპობოდათ „სახიზარი", 2) შავ ზღვასა და მის მისასვლელებს პირველხარისხოვანი სტრატეგიულ-ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა თურქეთის წინააღმდეგ ომში; 3) იმერეთის სამეფო კარი რუსეთთან კავშირს ამყარებდა და მფარველობას სთხოვდა მას, ამიტომ ამიერკავკასიაში მეფის რუსეთის შემოჭრის საფრთხე იმერეთიდან იმუქრებოდა, აქედან გამომდინარე, ირანის პოლიტიკაში იმერეთის სამეფოს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.[2] ირანმა თავისი ზრახვები სწორედ ლევან დადიანის მეშვეობით განახორციელა. „სპარსეთის შაჰმა ლევანს 50000 მარჩილი გამოუგზავნა" და გარდა ამისა „წელიწადში ათასი თუმანი ჯამაგირი გაუჩინა"[3].

მეფე გიორგიმ სასიძოსთან შესახვედრად წამოსულ დადიანს გზა გადაუჭრა და თავისი ჯარით წინ დაუდგა. იმერთა ჯარში იყო თეიმურაზ კახთა მეფეც თავისი დიდებულებით.

მიუხედავად გაფრთხილებისა, გიორგი მეფემ არ დაიშალა და „ცოტა კაცის" თანხლებით დადიანის ჯარის დასაზვერავად წავიდა. ამ დროს გიორგი მეფის მხლებლის გამცემლობით, რომელმაც ლე-

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 828.

[2] კ. გრიგოლია, ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა, ენიმკის მოამბე, III, 1942, გვ. 155.

[3] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 33.

ვან დადიანს შეატყობინა მეფის ადგილსამყოფელი, ლევან დადიანი თავს დაეცა მზირად გამოსულ მეფეს და ტყვედ ჩაიგდო ხელში.[1]

გიორგის დატყვევების შემდეგ მოხდა ბრძოლა იმერთა და ოდიშართ შორის, რომელშიც იმერეთის ჯარი დამარცხდა.

როსტომ მეფის ქორწინების და კაკას ხიდთან გიორგი მეფისა და ლევან დადიანის ბრძოლის თარიღი დადგენილად არ ითვლება. ამ საკითხზე ქართველ ისტორიკოსთა სხვადასხვა შეხედულება არსებობს. ბერი ეგნატაშვილის ჩვენებით ეს ბრძოლა მოხდა 1632 წელს,[2] ვახუშტი ბატონიშვილი მას 1638 წლით ათარიღებს.[3] ეს თარიღი (1638 წ.) დამკვიდრდა ახალ საისტორიო მწერლობაში. მარი ბროსეს და ექვთიმე თაყაიშვილს იგი სწორად მიაჩნდათ, ლევან შუსხელიშვილიც ამავე აზრისაა.

ივანე ჯავახიშვილის, სარგის კაკაბაძის[4] და დ. გვრიტიშვილის[5] მიხედვით ეს ბრძოლა 1634 წელს უნდა მომხდარიყო.

მარიამ დედოფლის მიერ სიონის ღვთისმშობლის ყმათათვის ნაბოძები 1634 წლით დათარიღებული თარხნობის წიგნის საფუძველზე კ. გრიგოლიას მიაჩნია, რომ ბრძოლა უნდა მომხდარიყო ან 1632 წელს, როგორც ბერი ეგნატაშვილი მიუთითებს, ან 1633 წელს. ყოველ შემთხვევაში, 1634 წელს აქვთ ამ თარიღის გადმოწევა კ. გრიგოლიას უმართებულოდ მიაჩნია.

უკანასკნელ დროს გ. ჯამბურიამაც 1633 წელი მიუთითა.[6] მაგრამ არსებობს ორი წყარო, რომლებიც მტკიცედ არის დაკავშირებული ჩვენი მსჯელობის საგანთან: 1) სამეგრელოდან მოსული იყვნენ ელჩები ქართლში იმის თაობაზე, თუ როდის უნდა მომხდარიყო ქორწინება როსტომსა და მარიამს შორის. ელჩებს შორის იყო ნიკოლოზ ირბახიც (ჩოლოყაშვილი). მან გორში ინახულა კათოლიკე მისიონერები არქანჯელო ლამბერტი და იოსებ ჯუდიჩე და ურჩია მათ სამეგრელოში წასულიყვნენ, სადაც უფრო მეტ მხარდაჭერას პოვებდნენ მთავრისაგან (ამ დროს ქართლში მისიონერები შეეწროებას განიცდიდნენ ხელისუფლებისაგან), ამავე დროს თვითონაც დაპირდა დახმარებას. მართლაც, ლევანის ელჩებთან ერთად

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 828.

[2] ბ ე რ ი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 420.

[3] ქართლის ცხოვრება, IV, 1973, გვ. 905.

[4] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საქართველოს ისტორია, ტფ., 1922, გვ. 59.

[5] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1965, გვ. 426.

[6] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 318, სქოლიო № 5.

ორივე მისიონერი 1633 წლის 23 ოქტომბერს სამეგრელოში გაემგზავრა.[1]

ფაქტს, რომ მისიონერები 1633 წელს მოვიდნენ სამეგრელოში, ადასტურებს ის დოკუმენტები, რომლებიც მიქელ თამარაშვილმა მოიპოვა ევროპის სხვადასხვა არქივში, გარდა ამისა, ამავე ფაქტს გადმოგვცემს თვით არქანჯელო ლამბერტიც თავის ცნობილ შრომაში „სამეგრელოს აღწერა". მისიონერები რომ სამეგრელოს ელჩების მეშვეობით მოხვდნენ სამეგრელოში, უდავოა. ამით ის მტკიცდება, რომ ჯერ კიდევ 1633 წელს ქართლსა და სამეგრელოს შორის მხოლოდ საქორწინო პირობებზე იყო ლაპარაკი; 2) მიქელ თამარაშვილის მტკიცებით, მისიონერები პირველად გურიაში მივიდნენ 1634 წელს, მისიონერების მისვლა გურიაში, ქორწინება და კაკას ხიდთან მომხდარი ბრძოლა ერთმანეთთანაა დაკავშირებული.

მარიამ დედოფალს მაყრიონად მოყვნენ ფორში შემოქმედელი ეპისკოპოსი და სხვა წარჩინებულნი პირნი. ეპისკოპოსი სამეგრელოში გაცნობოდა პატრებს ლამბერტსა და ჯუდიჩეს; ამჟამად, როცა მან ნახა სხვა მისიონერები, მათ უფროსს-ავიტაბილეს წარუდგა და სთხოვა, პატრები გურიაში გაეშვა. მისი თხოვნა დაკმაყოფილდა 1634 წელს; იგი პატრების თანხლებით გურიაში დაბრუნდა.[2]

ეს ორი საბუთიც, ვფიქრობთ, მხარს უჭერს იმას, რომ კაკას ხიდთან მომხდარი ბრძოლისა და ქორწინების თარიღად 1634 წელი ჩაითვალოს.

* * *

გიორგი იმერთა მეფის ტყვედ ჩავარდნისთანავე დადიანმა და მისმა თანამზრახველებმა სასწრაფოდ მოიწვიეს თათბირი და იმერეთში ქაიხოსრო გურიელის გამეფება გადაწყვიტეს, მაგრამ ამ გადაწყვეტილებას განხორციელება არ ეწერა, „მეფედ თქმულ" ქაიხოსროსა და ლევანის ზრახვებს ფრთები შეეკვეცა, რადგანაც იმერეთის პოლიტიკური მესვეურები, რომლებიც დარწმუნდნენ, დადიანი მეფეს ჯერ-ჯერობით არ გამოუშვებდა, მაშინვე შეიკრიბნენ და გიორგი მეფის ძე ალექსანდრე მეფედ აკურთხეს.[3]

ალექსანდრეს უპირველესი საზრუნავი იყო მამის დახსნა ტყვეობიდან. ამ საკითხის მოგვარება არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდა,

---

[1] არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. V, იქვე, გვ. III-ე [მთარგმნელისაგან].

[2] მ. თამარაშვილი, კათოლიკობა ქართველთა შორის, თბ., 1902, გვ. 150—151.

[3] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 33.

მეფე დაიხსნეს ორი წლის ტყვეობის შემდეგ დიდი „სახსრის“ გადებით. ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით: „მეფე გიორგი ორს წელიწადს დადიანს ჰყავდა, სახსრად მისცეს მურასა გვირგვინი, ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი. თვალმარგალიტით მურასა იარაღი და ნაპირის ალაგნი ჭილაძენი და მიქელაძენი და რაც ჩხარში ვაჭარი ესახლეს სომხები, რომ დადიანმა რუხის ქალაქი იმაებით ააშენა“.[1]

ფარსადან გორგიჯანიძის გარდა ამ ფაქტს ადასტურებს ქაროლის ცხოვრება,[2] ვახუშტი ბატონიშვილი[3] და ილორის წმ. გიორგის ხატის 1651 წლის წარწერა, რომელშიც ნათქვამია: „ამავე ჟამსა ავყარეთ სრულობით ქალაქი ჩხარისა, მოვასხით ბუგდიდს და ღვისახლეთ ადგილსა რუხისასა“.[4]

ლევან დადიანმა მეფის „სახსარში“ ძვირფასეულობის გარდა ოდიშს წაასხა და რუხს ჩაასახლა ჩხარისა და ჩიხორის ებრაელები და სომხები. ლევანმა რუხში სავაჭრო ცენტრის შექმნა განიზრახა. არქანჯელო ლამბერტის თქმით: „მხოლოდ სომხების ქალაქში (ე. ი. რუხში — მ. რ.), რომელიც აშენებულია აწინდელი მთავრის დროს, არის მოედანზე რამდენიმე დუქანი, სადაც იყიდება ტილო და ირანული შალი“,[5] მაგრამ მოკლე დროის განმავლობაში ამ სავაჭრო ცენტრმა არსებობა შეწყვიტა.

დადიანის მეცადინეობა იმის შესახებ, რომ ოდიშში აღებ-მიცემობა დაენერგა და საქალაქო ცენტრი შეექმნა, მარცხით დამთავრდა. რუხი, როგორც სავაჭრო ცენტრი, დაქვეითდა და შემდეგ მთლად გაქრა. იგი დარჩა მხოლოდ როგორც ციხე-სიმაგრე.

* * *

1639 წელს გარდაიცვალა იმერთა მეფე გიორგი III. ტახტი დაიკავა მისმა შვილმა ალექსანდრე მესამემ (იგი უკვე 1634 წელს აკურთხეს მეფედ), ამ დროისათვის ქვეყანა მეტად დაუძლურებული იყო. ამ სავალალო მდგომარეობიდან ქვეყნის გამოყვანა ალექსანდრე მეფეს არ შეეძლო, ვინაიდან დადიანისაგან მუდამჟამს თავდასხმებს განიცდიდა. ბერი ეგნატაშვილი ასე გადმოგვცემს და-

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 33.
[2] ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 420.
[3] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 829.
[4] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, 1967, გვ. 376.
[5] არქანჯელო ლამბერტი, დასახ. ნაშრ., გვ. 156.

დიანის მძლავრობას იმერეთზე: „ესრეთ გაუჭირა საქმე ალექსანდრეს, რომე ქუთაისს გალავანი შემოივლო და იჯდა მას შინა და ვერა წინ ალუდგებოდა დადიანს“.[1] ამ ფაქტს ვახუშტი ბატონიშვილიც ადასტურებს.[2]

იმერთა მეფე ალექსანდრე III იძულებული გახდა ლევან დადიანის წინააღმდეგ ბრძოლაში ოსმალთათვის ეთხოვა დახმარება. ოსმალნიც უკმაყოფილონი იყვნენ დადიანის განდიდებით, რაც იმაში გამოიხატა, რომ ოდიშის მთავარი უწინდებურად არ მორჩილებდა მათ და ირანთან კავშირს ამყარებდა. ამან, თავის მხრივ, ოსმალეთის აგრესიის გაძლიერება გამოიწვია დასავლეთ საქართველოში. არქანჯელო ლამბერტის გადმოცემით, ოსმალთ დადიანის დასჯა იმიტომაც უნდოდათ, რომ იგი ადრე დონელ კაზაკებს თავშესაფარს აძლევდა, რომელნიც თურქეთის სანაპიროებს და მათ ფლოტს არბევდნენ, ამიტომ ოსმალებმა სტამბოლიდან გამოგზავნეს დიდი ვეზირის შვილი მაჰმად-ფაშა და ექვსი სხვა ფაშა დიდი ჯარით, რომელნიც ოდიშს შეესიენ.

1634 წლის მაისში თურქები შეიჭრნენ სამეგრელოში, დაარბიეს კოდორის ახლო-მახლო სოფლები და გაძარცვეს დრანდის მონასტერი.[3] დადიანი იძულებული გახდა მორჩილება განეცხადებინა ოსმალთათვის და რამდენიმე ხნით შეეწყვიტა იმერეთზე თავდასხმა.[4]

რაც დრო გადიოდა, მით უფრო მწვავდებოდა დადიანსა და ალექსანდრეს შორის ურთიერთდამოკიდებულება.

ალექსანდრე მეფე იძულებული გახდა გაემაგრებია ქალაქი ქუთაისი და იქ მოეთავსებია იმერეთის დიდებულნი თავისი ოჯახებით, რათა ისინი დადიანის მხარეზე არ გადასულიყვნენ.[5]

ქუთაისის ციხის გამაგრებამ დადიანი ვერ შეაჩერა, პირიქით, არქანჯელო ლამბერტის ცნობით: „დადიანმა მოინდომა ქუთაისის ციხიდან მეფის გამოგდება, ციხის დანგრევა და მიწასთან გასწორება. ამისათვის ერთს ფრანგს, რომელიც ტყვედ ჰყავდა, გააკეთებინა ოცდაათიოდე ზარბაზანი და შეუდგა განზრახულ საქმეს“.[6]

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 421.

[2] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 829.

[3] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1965, გვ. 425.

[4] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საქართველოს ისტორია, თბ., 1922, გვ. 60.

[5] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 830.

[6] ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 92.

1645 წელს ლევან დადიანმა გაილაშქრა იმერეთის წინააღმდეგ. მას დიდი ჯარი ჰყავდა და ზარბაზნებიც ჰქონდა. ალექსანდრეს ქუთაისი საგანგებოდ გაემაგრებინა. მას შემოვლებული ჰქონდა თხრილები, აღმართული იყო ხის კოშკები. დიდი ბრძოლით ოდიშარებმა აიღეს ციხის გარე სიმაგრეები, მაგრამ ციხის აღება ვერ შეძლეს, დაანგრიეს მეფის სასახლე აჯამეთში, მთლად გაავერანეს ქალაქის ახლო-მახლო მდებარე სოფლები და დიდი ნადავლით უკან გაბრუნდნენ. დადიანმა ერთი კვირა დაასვენა თავისი ჯარი და ისევ დაეცა ქუთაისს. ამჟამად უფრო მეტი ტყვე და ნადავლი იშოვა. ერთი წლის შემდეგ, 1646 წელს, თებერვლის თვეში, დადიანმა ყველაზე დიდი ლაშქრობა მოაწყო იმერეთზე. გადაბუგა და ააოხრა მთელი არგვეთის მხარე, ისევ შემობრუნდა ქუთაისში, წაიღო აუარებელი დავლა და წაასხა უამრავი ტყვე.[1]

ბერი ეგნატაშვილის ვადმოცემით, იმერეთში „არსადა დაშთა დაბანი და შენობანი და სიმაგრენნი, რომელ არა მიემძლავრა ლევანსა“.[2]

1647 წელს ლევან დადიანმა ისევ ილაშქრა იმერეთში და როგორც სხვა დროს, ახლაც ეს ლაშქრობა მისი გამარჯვებით დამთავრდა: ქალაქი გადაწვა და ააოხრა.

გამარჯვებით გალაღებულმა ლევან დადიანმა იმერეთის საზღვარზე მცხოვრებ ოდიშართ უბრძანა, მუდმივი თავდასხმით შეეწუხებინათ „მტერი“, ისინიც ასრულებდნენ ბრძანებას და ხშირად აოხრებდნენ იმერეთის სამეფოს, საიდანაც დიდი ნადავლით, საქონლით თუ ტყვეებით ბრუნდებოდნენ უკან. მეგრელები „ისე გათავხედდნენ, — აღნიშნავს არქანჯელო ლამბერტი, — რომ ხანდახან თვით ქუთაისის ციხემდის მიდიან და იტაცებენ ქალაქის ნახირს“[3]. ა. ლამბერტის გადმოცემით „ერთ დღეს ოდიშიდან გამოსულიყო ოცოდე კარგად შეიარაღებული ცხენოსანი, ამათ ქუთაისის ციხესთან ზედ მეფის თვალწინ დიდძალი პირუტყვი მოიტაცეს, იმერეთის მეფე დაღონდა რასაკვირველია უფრო სირცხვილისაგან, ვიდრე დანაკლისის გამო, და უსაყვედურა თავისიანებს, თქვენ იმდენი გული აღარ გერჩისთ, რომ მეგრელებს შეარჩენთ ასეთს თავგასულობას და უტიფრობასო. მეფის სიტყვამ იმოქმედა და ოთხმოცამდე იმერელი შეიარაღებული შეჯდა ცხენზე და სწრაფად დაედევნა მეგ-

---

[1] მ ა რ ი ბ რ ო ს ე, საქართველოს ისტორია, II, 1900, გვ. 192—193.

[2] ქართლის ცხოვრება, II 1959, გვ. 428.

[3] ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 93.

რელებს... და დაეწივნენ... მეგრელები მოუბრუნდნენ მდევრებს... შეეტაკნენ და თითქმის ყველა ჩამოაგდეს ცხენიდან და უმეტესი ნაწილი მათ შორის ტყვედ წაიყვანეს".[1]

ლევანის უკანასკნელი თავდასხმა ისევ ქუთაისზე იყო. „მიუხედით მეფესა ალექსანდრეს რიონს გაღმა, ქუთათისი ქალაქი დავსწვით და ავაოხრეთ, და შემოვადექით გენათელის ციხესა და დაუწყეთ ბრძოლა. დაუშინეთ დიდროვანი ზარბაზნები, დავამტვრიეთ ციხე და ავიღეთ სწორზედა, ორმოცის თავადითა და აზნაურშვილებითა, სხვისა მრავლითა და მეთოფითა მისი საქონლითა და ალაფითა ავსებულნი მშვიდობით გამარჯვებულნი შინ მოვედით".[2] ამ წარწერიდან ჩანს, რომ დადიანის რისხვა გენათელ ეპისკოპოსს ქვარიანსაც გადასწვდომია, როგორც მეფის უახლოეს მრჩეველს და მის ერთ-ერთ აქტიურ მომხრეს.

გენათელ ეპისკოპოსთან ბრძოლა უნდა მომხდარიყო 1651 წლამდე, ვინაიდან აღნიშნული წარწერა ლევან დადიანმა 1651 წელს გააკეთებინა.

როცა ცხადი გახდა, რომ დადიანი და ალექსანდრე მეფე ვერ შერიგდებოდნენ და მეფე „ტყვეებს" ვერ დაიბრუნებდა დადიანისაგან, ხოლო თეიმურაზი დასავლეთ საქართველოდან ვერავითარ დახმარებას ვერ მიიღებდა, სიძე-სიმამრმა რუსეთის მეფეს მიმართეს (1649—1651 წწ.) როსტომისა და დადიანისაგან თავის დასაცავად, ამის საპასუხოდ გაბრაზებულმა დადიანმა გაახშირა იმერეთზე თავდასხმები, ხოლო მამუკა ბატონიშვილს ჯერ თვალები დასთხარა და შემდეგ წამებით სული ამოხადა 1653 წელს.[3]

ფარსადან გორგიჯანიძე აღნიშნავს, რომ „ლევანს ყაენიც მწყალობელი და ლაშქრითა და სალაროთ მომხმარებელი ჰყვანდა".[4] ირანმა მიზანს მიაღწია დადიანის გეგდაბირებით: იმერეთის სამეფო ისე დაძაბუნდა, რომ იგი ველარ ჩაერეოდა ქართლ-კახეთის საქმეებში. იგივე გორგიჯანიძე აღნიშნავს, რომ 1648 წელს ალექსანდრე მეფემ იმიტომ ვერ მოახერხა თეიმურაზის დახმარება ირანის წინააღმდეგ, რომ „თუ მეფე ალექსანდრე იმერეთით დაიძროდა, დადიანი იმერეთს ჩამოუდგებოდა".[5]

საჭიროა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება, რომელიც განაპირობებდა იმერეთის მარცხს ოდიშელებთან. ეს იყო იმერეთის

---

[1] არქანჯელო ლამბერტი. დასახ. ნაშრომი, გვ. 93.

[2] ე. გრიგოლია, დასახ. ნაშრ., გვ. 158.

[3] ქრონიკები, II, გვ. 467; ვახუშტი ბატონიშვილი მამუკას გარდაცვალებას 1654 წლით ათარიღებს (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 832).

[4] ფარსადან გორგიჯანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 51.

[5] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 51.

თავადაზნაურობის არაერთსულოვნება; ზოგიერთნი მხარს არ უჭერდნენ მეფეს და ღალატობდნენ კიდეც. ამის დასამტკიცებლად ვახუშტი ასეთ ფაქტს მოგვითხრობს: ალექსანდრემ წარჩინებულთა ღალატის აღსაკვეთად დიდი ზღუდე მოავლო ქალაქს, მოაყვანინა მათ თავიანთი ცოლ-შვილი და „თვითცა იმყოფებოდა მასვე შინა, რათა არა მიერთნენ დადიანსა ჰყო-მისთვის“.[1] ასეთ მდგომარეობაში მეფეს არ შეეძლო აქტიური თავდაცვა ეწარმოებინა, ვინაიდან ფეოდალთა ღალატისა ეშინოდა.

* * *

ისტორიული წყაროები ლევან II დადიანის მოღვაწეობას სხვადასხვანაირად აფასებენ. უცხოელი ავტორები: ჟან შარდენი, არქანჯელო ლამბერტი, დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი და სხვები მას დიდი ქებით იხსენიებენ. ჟან შარდენის თქმით, იგი იყო მამაცი, დიდსულოვანი, ჭკვიანი და სამართლიანი; ვახუშტის დახასიათებით კი, როგორც ითქვა, იგი იყო „ბოროტი, ხვანჯიანი, ამაყი, მზაკვარი და ძვირის მოხსენე“. ლევანის პიროვნების შეფასებაში ერთნიც და მეორენიც ნაწილობრივ მართალნი არიან. ლევანის დროს სამეგრელოს სამთავრო გაიზარდა, პოლიტიკურად და ეკონომიურად გაძლიერდა; მთავარი დიდად ზრუნავდა ვაჭრობა-ხელოსნობის, მწერლობისა და საერთოდ ხელოვნების განვითარებაზე, მაგრამ იგი მიისწრაფოდა ჰეგემონობისაკენ, შეუნელებლად ებრძოდა იმერეთის სამეფოს და სხვა მეზობლებს, რითაც ხელს უშლიდა ქვეყნის გაერთიანებას გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ლევან დადიანის მოღვაწეობა შეფასებულია, როგორც რეაქციონერი ფეოდალის საქმიანობა.[2]

* * *

თეიმურაზ კახთა მეფე ვერ ურიგდებოდა მაჰმადიან როსტომის ბატონობას ქართლში. ამიტომ საქმე ისევ ხმალმა გადაწყვიტა. 1648 წელს როსტომ მეფესთან ბრძოლაში თეიმურაზი დამარცხდა, მან როსტომს იმერეთში წასასვლელი გზა სთხოვა, რისი ნებართვაც მიიღო. ამიერიდან მეფე გამოეთხოვა კახეთს და, საერთოდ, აღმოსავლეთ საქართველოს. დარჩენილი ცხოვრების უმეტესი წლები თეიმურაზმა იმერეთში — სკანდის ციხეში გაატარა.

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 829.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 341.

იმერეთში გადასვლის შემდეგ თეიმურაზმა და იმერთა მეფე ალექსანდრე III-ემ 1649 წელს ელჩები გაგზავნეს რუსეთის სამეფო კარზე. თეიმურაზმა ელჩებად წარგზავნა თავადი ივანე და არქიმანდრიტი პახომი, ხოლო ალექსანდრემ — მღვდელ-მონაზონი ვასილი და დავითი.

უმეფობაში მყოფი თეიმურაზი რუსთ ხელმწიფეს ევედრება, რომ იშუამდგომლოს სპარსეთის შაჰის წინაშე, რათა მან შეწყვიტოს თეიმურაზის დევნა და არ დაანგრიოს საქართველოში ქრისტიანული ეკლესიები. ამავე დროს, თუკი რუსეთის მეფე 20.000 მეომარს გამოგზავნის, ყველა აქაურ (ე. ი. ქართულ) მიწებს დაეპატრონება და ქრისტიანულ ეკლესიებსაც დაიცავს. ამასთან ერთად, თეიმურაზი ითხოვს, რომ რუსთა მეფემ თავისი და მიათხოვოს თეიმურაზის შვილიშვილს — ლუარსაბს, განდევნოს აგარიანნი, დაეუფლოს საქართველოს მიწებს და მიიღოს ხარკი.[1]

ასევე, 1649 წელს იმერეთის მეფე ალექსანდრე III რუსთ ხელმწიფეს წერს: „მე ალექსანდრე მეფე და ხელმწიფე იმერეთისა, ჩემი თავადები, ყმები და მთელი ჩემი ქვეყანა, თქვენი უდიდებულესობის ქვეშევრდომად და მორჩილად მიგვიღეთ... ამიერიდან თქვენი ყმები ვართ და მომავალშიც ვიქნებით“.[2] ამ წერილში იმერთა მეფე ოდიშის მთავარ ლევან II დადიანს უჩივის და მის წინააღმდეგ დახმარებას სთხოვს რუსეთს.

„დადიანი ჩემი მონა-მორჩილი იყო და ხარკსაც მე მიხდიდა. ახლა გადამიდგა და სტამბოლის თურქთა სულთანს მიემხრო. ჯარები შეკრიბა და ორჯერ-სამჯერ თავს დამესხა. აფხაზებსა და ჯიქებს აგროვებს და ყოველ წელს ჩემს წინააღმდეგ ლაშქრობს, და ხან სამას, ხან ოთხას ქრისტიან ბავშვს თურქეთის სულთანთან ტყვეებად ჰგზავნის, ხოლო იმ ხარკს, რომელსაც მე მიხდიდა ახლა თურქეთის სულთანს უხდის. მე იმისათვის გადამიდგა, რომ ქრისტიანი მეფე ვარ, თურქეთს კი მიემხრო, მათი რჯული მიიღო (ლევან დადიანს მაჰმადიანობა არ მიუღია. მ. რ.) და ერთგულება შეჰფიცა. ახლა უნდა ამ ჩვენი ქვეყნის დამორჩილება თურქეთის სულთანისადმი, მართლმადიდებლობის და ქრისტიანული ტაძრების დარბევა სურს“.[3] იმერთა მეფე ამცნობს რუსთ ხელმწიფეს, რომ ქართული მიწები თერგთან ახლოა, იმერეთამდე მხოლოდ ერთი კვირის სავალია: „შეგიძლია 20.000 მეომარი გამოგზავნო ჩვენში და ჩვენს

---

[1] ნ. ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობას მუხლობრივი აღწერილობა, 1650—1652, გამოსცა ი. ცინცაძემ, თბ., 1970, გვ. 35.

[2] იქვე, გვ. 36.

[3] ლევან დადიანი ტაძრებს არა თუ აწვრევდა, არამედ აშენებდა და ამკობდა.

ქვეყანას დაეუფლო... და ეს ადგილებიც ნაცვლად იმისა, რომ მაჰმადიანებს ჰქონდეთ, თქვენი უმაღლესი ძალაუფლების ქვეშ მოექცევა... დღეის ამას იქით თქვენი მო[illegible]-მორჩილი ვარ... ჩემი თავადები, მთელი ხალხი, ჩემი მიწა-წყალი და მთელი ჩემი ქვეყანა თქვენი დიდებული მეფობის მონა-მორჩილები გახლავართ... თქვენი ბრწყინვალების ბრძანებლობის ქვეშ ყოფა გვირჩევნია უწმინდურთა ხელქვეით ყოფნას... მოიღე მოწყალება და აქაური ადგილების დასათვალიერებლად ელჩები გამოგზავნე. დაათვალიეროს თუ როგორია ის, როგორი შემკულია ჩვენი ეკლესიები და წმინდა მონასტრები, იხილოს ჩვენი წმინდა ნაწილები, ჩვენი საოცარი ხატები, ჩვენი მშვენიერი ციხე-ქალაქები, უძველეს ქრისტიან მართლმადიდებელ მეფეთაგან ნაშენები. ახლა კი ორივე მეფე ურთად ვართ, მეფე თეიმურაზი და მე, მეფე ალექსანდრე, და ორივენი მუხლმოდრეკით გთხოვთ თქვენ თქვენო ბრწყინვალებავ და შევთხოვთ უფალს, მოწყალება მოიღოთ და თქვენის უმაღლესი ხელისუფლების ქვეშ მიგვიღო და შენი ხელმწიფური წყალობა არ მოგვაკლო, ხოლო თუ წყალობას არ მოიღებ და ჩვენზე უარს იტყვი, ქრისტიანული მართლმადიდებლური სარწმუნოება აღმოიფხვრება, ხოლო წმინდა მონასტრებს და ეკლესიებს ყიზილბაშები დაეპატრონებიან და იქ „მეჩეთებს“ მოაწყობენ, ქრისტიანული მოსახლეობა კი დაიქსაქსება“.[1]

ამ ელჩობის შემდეგ რუსეთის სამეფო კარმა გადაწყვიტა საპასუხო ელჩობა გაეგზავნა იმერეთში (1650—1652 წწ). კახეთი და იმერეთი ცალკე პოლიტიკური ერთეულებია მოსკოვისათვის, მაგრამ რადგანაც თეიმურაზ მეფეც იმერეთში იყო, ამიტომ ერთ ელჩობას დაევალა მათთან მოლაპარაკება.

ელჩებს ევალებოდათ თეიმურაზთან მოლაპარაკება და ამ მოლაპარაკების შინაარსის აღწერა, ამავე დროს მათ უნდა წაეყვანათ თეიმურაზის შვილიშვილი რუსეთის სამეფო კარზე, თუმცა ამჯერად მისი წაყვანის საკითხი ვერ მოგვარდა.[2]

არსებითად იმერეთ-მოსკოვის ურთიერთობა ახლა იწყებოდა, ამიტომ ელჩებს — ალექსი ივევლევსა და ნიკიფორე ტოლოჩანოვს რუსეთის სამეფო კარმა სპეციალური დავალება მისცა, რომ აღეწერათ იმერეთი, როგორც გეოგრაფიულად, ისე დემოგრაფიულად, მისი ციხე-ქალაქები, ეკლესია-მონასტრები, სავაჭრო გზები, პოლიტიკური ურთიერთობანი და სხვ. სახელდობრ, მათ (ელჩებმა) „უნ-

---

[1] ნ. ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწ[illegible]ობა, 1650—1652, გამოსცა ი. ც ი ნ ც ა ძ ე მ, თბ., 1970, გვ. 37—38.

[2] ტოლოჩანოვის ელჩობა იმერეთში... გვ. 15.

და დაათვალიერონ იმერეთის ქვეყანა... ხელთ იგდონ ზუსტი ცნობები იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს იმერეთის ქვეყანა, რაოდენ ვრცელია იგი, რამდენი ვერსის მანძილზეა გადაჭიმული, რამდენ ქალაქს და დასახლებულ ადგილს შეიცავს და საერთოდ რაოდენ დასახლებულია, ხალხი როგორია, უყვართ თუ არა მეფე ალექსანდრე და შემდეგშიაც სასურველია მათთვის ეს მეფე თუ არა. რა მოდის უხვად მათ მიწაზე, როგორი იცის ხორბლის მოსავალი, როგორი ქსოვილები მოიპოვება, რა ნივთი იაფია იქ და რა ძვირობს, რამდენი და რა გვარი (მოსამსახურე პირია) და რა იარაღით იბრძვიან, ყავთ თუ არა ვაჭრები, ადგილობრივად ვაჭრობენ თუ სხვა ქვეყნებშიც დადიან სადმე, რაგვარ საქონელს აწარმოებენ, სადადიანოს მთავარი თავის სამთავროშია ამჟამად თუ არა, მეფე ალექსანდრესთან მეგობრულ განწყობილებაშია თუ არა, თუ არა, ვის ექვემდებარება—თურქს თუ შახს, თუ დამოუკიდებელია და ხარკს არავის არ უხდის. ყოველივე ამის შესახებ ნამდვილი (უტყუარი) ცნობები უნდა შეკრიბოთ და დაწერილებით ჩასწეროთ მუხლობრივ აღწერილობაში.

თუ კი იმერეთში ჩასვლამდე გზაში გაიგოთ, რომ მეფე ალექსანდრე აღარ მეფობს იმერეთში, რომ იგი ყიზილბაშთა შაჰმა განდევნა და მის ადგილზე თავისი რომელიმე ხანი ან თუ გინდ თვით ალექსანდრეს ვაჟი შაჰმა იმერეთის ტახტზე დასვა, ისიც გაიგეთ მამას რატომ უორგულა და როცა ყოველივე ამას დანამდვილებით გაიგებთ, მაშინ ნიკიფორე და ალექსი იმ ახალ მეფესთან აღარ უნდა მივიდნენ და გზიდან უკან უნდა დაბრუნდნენ და თერგიდან ყოველივე დაუყოვნებლივ ხელმწიფეს შეატყობინონ".[1]

ასეთი დავალებებით მოდიოდნენ საქართველოში რუსეთის ელჩები, რომელნიც 1651 წელს დიდი ზეიმით იქნენ მიღებული იმერეთის სატახტო ქალაქში.

იმერეთში რუსი ელჩების მოსვლის შემდეგ ალექსანდრე III მედიდურად აცხადებს, რომ იგი რუსთ ხელმწიფის ყმა არის და მისი ხელმწიფური ქომაგობის მოიმედეს ახლა აღარავისი ეშინია, არც თურქეთისა და არც სპარსეთისა: „ხელმწიფე უფლებამოსილია ჩემს სახელმწიფოში, თავის სახელს და პრესტიჟს გამოესარჩლება ხელმწიფე და იმერეთის სახელმწიფოსაც დაიცავს იმიტომ, რომ მე ხელმწიფის ყმა ვარ, ჩემი თავი და სახელმწიფო ხელმწიფეს შივართვი (ჩავაბარე) ჰეშარიტ მართლმადიდებლურ ქრისტია-

---

[1] ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650—1652, ი. ც ი ნ ც ა ძ ი ს გამოცემა, თბ., 1970, გვ. 49.

ნულ სარწმუნოების მფარველობისათვის და ჩემი მტრებისაგან მის დასაცავად".[1]

ალექსანდრე III საზეიმო ვითარებაში მოსკოვის ელჩებს ფიცს აძლევს, რომ „დიდ მთავარს ალექსი მიხეილის ძეს სრულიად რუსეთისას სამუდამოდ ვეყმე, ჩემი შვილით ბაგრატით, ჩემი ძმით მამუკათი, მთელი ჩემი იმერეთის ქვეყნით".[2] ფიცის წიგნზე დასმულ ბეჭედზე (რომელიც იმხანად მოაჭრევინა) ასეთი წარწერა იყო: „მე იმერეთის მეფე ალექსანდრე, ჩემი შვილით ბაგრატით და ჩემი ძმით მამუკათი სამუდამო ყმა ვარ, ხელმწიფის და შეფის, დიდი მთავრის ალექსი მიხეილის ძის სრულიად რუსეთისა".

1652 წელს იმერეთის მეფე რუს ელჩებს თავის ელჩებს აყოლებს: მოლარეთუხუცესს ლომკაც ჯაფარიძეს და არტიმონ არქიმანდრიტს, მაგრამ, ისე როგორც წინა ელჩობას, ამჟამადაც იმერეთის სამეფოსათვის მას რეალური შედეგი არ მოუტანია.

* * *

დაშლილი საქართველოს გაერთიანებისა და ეკონომიკურად მომძლავრებისათვის საჭირო იყო ხანგრძლივი მშვიდობიანი პერიოდი, მაგრამ გარეშე მტრები ჩვენს ქვეყანას ამის საშუალებას არ აძლევდნენ. ამიტომ ძლიერი ქვეყნის საფარველში შესვლა საქართველოს შესვეურებს დროებით ღონისძიებად მიაჩნდათ და ისე ესმოდათ, რომ მფარველს მათი გაძლიერებისათვის ხელი უნდა შეეწყო; ამ გზით უნდა მიეღწიათ საცნებო მომავლისათვის, როცა არავითარი მფარველი საჭირო აღარ იქნებოდა, როცა საქართველო თვითონვე შეძლებდა საკუთარი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვას.[3]

კავკასიის დაუფლებისათვის მებრძოლი სახელმწიფოებიდან (ირანი, თურქეთი, რუსეთი) საქართველოსათვის მისაღები იყო რუსეთი, როგორც მასთან სოციალ-ეკონომიკური წყობით და სარწმუნოებრივი ერთიანობით დაახლოებული ქვეყანა, ამიტომ საქართველოს პროგრესულ მოღვაწეებს გეზი რუსეთისაკენ ჰქონდათ აღებული, რეაქციულს — ირანისა და ოსმალეთისაკენ.

ამიერიდან ქართული ფეოდალური საზოგადოება ორ ნაწილად იყო გაყოფილი: ერთი ნაწილი რუსეთთან ურთიერთობას უკავშირებდა ქვეყნის გათავისუფლების საქმეს და მის მომავალს, მეო-

---

[1] ტოლოჩანოვის ელჩობა იმერეთში, გვ. 120.

[2] იქვე, გვ. 140.

[3] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, გვ. 16.

რე — ირან-ოსმალეთის დახმარებით — ფეოდალური დაქსაქსულობის შენარჩუნებას.

როგორც ირანში, ისე ოსმალეთში სათანადო ანგარიშს უწევდნენ რუსეთის გამოჩენას კავკასიაში, ამიტომ შეშფოთებულნი იყვნენ რუსეთთან საქართველოს ურთიერთობით, ვინაიდან კარგად იცოდნენ, თუ რას უქადდა მათ ზრახვებს საქართველოში რუსული ორიენტაციის გაძლიერება.

მაგრამ XVII საუკუნის მანძილზე რუსეთის დიპლომატია ქარცხს-მარცხზე განიცდიდა, ეს გამოწვეული იყო როგორც შინა ვითარებით — გლეხთა აჯანყებებით, ისე მეზობელ სახელმწიფოებთან წარუმატებელი ომებით, ამიტომ ამიერკავკასიაში პირველობისათვის ბრძოლაში რუსეთი აქტიურად ვერ იყო ჩაბმული; ირანი აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონდა, ხოლო თურქეთი — დასავლეთ საქართველოში. მიუხედავად ამისა, XVII საუკუნის ქართველი მეფეები მაინც რუსეთიდან მოელოდნენ ხსნას. თეიმურაზ I იმერთა მეფეს ალექსანდრე III-ს უმტკიცებდა რუსეთის უპირატესობას და მის მიმართ ოპტიმისტურად იყო განწყობილი.

რუსეთი წაგებულ პოზიციას არ თმობდა და საქართველოს მაინც თავის ქვეშევრდომად თვლიდა, ხოლო ირანისა და თურქეთისათვის ამის თქმას ვერ ბედავდა. რუსეთის მეფე ქრისტიანულ სახელმწიფოებში გაგზავნილ წერილებში ქართლისა და ივერიის მეფედ და მფარველად იწოდებოდა, მაგრამ ირანსა და თურქეთში გაგზავნილი დოკუმენტების ტიტულატურაში საქართველოს ხსენება არ იყო, რადგან ამას შეიძლება დიდი გართულება გამოეწვია.[1]

მიუხედავად XVII საუკუნეში დიპლომატიურ სარბიელზე განცდილი მარცხისა, რუსეთი მაინც დიდად იყო დაინტერესებული იმერეთით, ცდილობდა თავის მფარველობაში ყოლოდა იგი და ეს კავშირი ფიცის წიგნით განემტკიცებინა; რუსეთის ელჩებს მოქონდათ, ყოველი შემთხვევისათვის, იმერეთის მეფის კარისკაცთა მოსაპყიდად განკუთვნილი ნივთები. ალექსი იევლევის საანგარიშო აღწერილობაში ნათქვამია, რომ „ალექსანდრე მეფე (რუსთ) ხელმწიფეს ფიცს არ აძლევდა, საქმეს აჭიანურებდა, კვირიდან კვირამდე გეპირდებოდა და ასე გვიქცევდა. ამის გამო, ჩვენ ელჩებ-

[1] Гр. Котошихин. О России в царствование Алексея Михайловича. СПБ., Б. 1906, стр. 39.

მა ვიხმეთ მეფის სულიერი მოძღვარი ზაქარია მიტროპოლიტი, დარბაზის კაცი ფეშანგ მდივანი „ამირევი“, ბიძინა თარჯიმანი და ამათ (საიდუმლოდ) მოველაპარაკეთ, რომ მეფეს ურჩიონ, რათა ამ უკანასკნელმა (რუსთ) ხელმწიფეს თავისი პირობის შეშმარიტება საქმით დაანახოს, ის საქმე დააბოლოოს, ჯვარზე მთხვევით დაიფიცოს და ელჩებს ნუ გვაყოვნებს ისე გაგვიშვას. ამის გამო მიეცათ: მიტროპოლიტს 20 სიასამური, 4 არშინი საუკეთესო ხარისხის მაუდი და ქაშანური აბრეშუმის ქსოვილის ნაჭერი, სულ მას მიეცა 20 მანეთად, 26 ალტინად და 4 დენგად ღირებული (საქონელი).

ფეშანგ დარბაზის მდივანს — 5 ცალი სიასამური, 4 არშინი იგივე მაუდი, აბრეშუმის ქსოვილი ერთი ნაჭერი, სულ 10 მანეთად, 26 ალტინად და 4 დენგად ღირებული საქონელი; თარჯიმანს — თარჯიმნობისათვის მაუდი, 2 ცალი სიასამური — სულ სამ მანეთად ღირებული საქონელი“.[1]

აქედან ნათლად ჩანს, რომ რუსეთის სამეფო კარი დაინტერესებას იჩენდა იმერეთის მიმართ.

1657 წლის მარტის თვეში ლევან დადიანი უეცრად გარდაიცვალა.[2] ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით: „ლევან დადიანს შვილი მოუკვდა და მამამ შვილის ტირილში ლახტი თავს გარდიკრა და შვილს ზედ დააკვდა დაუმარხავს“.[3]

ლევან II დადიანს პირდაპირი მემკვიდრე არ დარჩენია,[4] ამიტომ მისი გარდაცვალებისთანავე ოდიშართ ერთხმად გაამთავრეს ლიპარიტი, ძმა ლევანისა, ნაშობი ათაბაგის ქალისაგან.[5]

საქართველოს ისტორიის ნარკვევების მიხედვით ოდიშართ დადიანად დასვეს ლევანის ძმისშვილი ლიპარიტ იესეს (იოსების) ძე. მის წინაალმდეგ გამოვიდა ვამიყ ლიპარტიანი[6] (შვილი გიორგი ლიპარტიანისა, ნაყოლი ლევანის მეორე ცოლის დარეჯან ჭილაძის ასულისაგან).[7] ამ გარემოებით ისარგებლა იმერთა მეფემ ალექსანდრე III-მ და დიდი ლაშქრით გაემართა ოდიშისაკენ შურის საძიებლად: „ამას ვერ წინ აღუდგა ლიპარიტ დადიანი, შევიდა ალექსანდრე ოდიშს, მოსწყვიტნა, მოსტყვევნა, მოაოხრა, აღიღო

---

[1] ალექსი იევლევის 1650—1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, გამოსცა ი. ცინცაძემ, თბ., 1969, გვ. 180.

[2] ქრონიკები, II, გვ. 469.

[3] ფარსადან გორგიჯანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 54.

[4] მარი ბროსე, დასახ. ნაშრ., გვ. 191—192.

[5] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 832.

[6] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 341.

[7] მარი ბროსე, დასახ. ნაშრ., გვ. 198.

ციხენი, გამოიღო საგანძურნი და ქონებანი ლევან დადიანისანი, შეიპყრნა წარჩინებულნი სრულიად ოდიშისანი და დაახსნევინა ვერცხლით ყოველთა თავნი, გამოუხვნა მათვე ძენი მძევლად და დასვა ოდიშს დადიანად ვამიყ, ძე მამია დადიანისა და თვით დაიპყრა უნაგირას აქეთი აღმოსავლეთის კერძი და უნაგირას იქითი დასავლეთისა მისცა ვამიყს".[1]

სანამ ვამიყ დადიანს მთავრად დასვამდა, იმერთა მეფე რუსეთში მიმავალ თავის სიმამრს — თეიმურაზ კახთა მეფეს სიხარულით ატყობინებს (რომელიც ამ დროს რაჭაში იმყოფებოდა), რომ მან გაიმარჯვა ოდიშელთა წინააღმდეგ ბრძოლაში და თუკი დაბრუნდება და რუსეთში არ წავა, მას ოდიშის ტახტს სთავაზობს, მაგრამ ამაზე თეიმურაზმა უარი უთხრა.

ვამიყის გამთავრებას, რომელიც იმერთა მეფის ნება-სურვილის აღმსრულებელი იყო, დადიანის ძმისწულები ვერ ურიგდებოდნენ, ამიტომ ბრძოლა მთავრის ხელისუფლებისათვის გარდუვალი იყო. ლიპარიტ იესეს ძემ დახმარება სთხოვა ქართლის მეფეს როსტომს, ახალციხის მფლობელ როსტომ-ფაშას (ორივესაგან მაშველი რაზმები მიიღო) და ქაიხოსრო გურიელს, მათვე შეუერთდნენ ჭილაძენი და მიქელაძენი. აღნიშნული მოკავშირეები ერთად შეიყარნენ, მხოლოდ მათ აკლდათ ქართლის მაშველი ჯარი, რომელსაც სარდლობდნენ მუხრანბატონი (შემდეგში ქართლის მეფე შაჰ-ნავაზად, ანუ ვახტანგ მეხუთედ წოდებული) და არაგვის ერისთავი ზაალი (ამ ორ სარდალს ერთმანეთში უთანხმოება მოუვიდათ და ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღიათ).

თავის მხრივ, ალექსანდრე მეფემაც შეჰყარა იმერთ ლაშქარი და მოკავშირეების შესახვედრად გაემართა. ბრძოლა მოხდა 1658 წლის ივნისში, სოფელ ბანძაში. ამ ბრძოლაში იმერთა ლაშქარმა გაიმარჯვა: „შეიპყრეს ქართველნი, მესხნი, გურულნი და ოდიშარნი... დაესხნევინა (ალექსანდრე მეფემ) ვერცხლითა თავნი და განუტევა თვისთა ქვეყანათა შინა".[2]

დამარცხებული ქაიხოსრო გურიელი და ლიპარიტ დადიანი ლტოლვილნი წავიდნენ სტამბოლს.[3]

ამ ბრძოლაში მოკავშირეების დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ მათ შორის თანხმობა არ სუფევდა. ფარსადან გორგიჯანიძე, რომელიც მომსწრე იყო ამ ბრძოლისა, გადმოგვცემს: ქარ-

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 833.
[2] იქვე, გვ. 834.
[3] იქვე.

თლის ჯარის სარდალმა მუხრანის ბატონმა ბახუტამ ქართლის მეფეს როსტომს ასე მოახსენა: „თუ ერისთავიო (არაგვის ერისთავი ზაალი — მ. რ.) იმერეთს გარდამყოლოდაო, მეფე ჩვენზედ წამოვიდოდაო და დადიანის ძმისწული ლიპარი ოდიშს დაიჭერდაო. რამდენჯერ გარდასვლა მოვინდომეო, არც თვითონ წამოვიდაო და არც ლაშქარი გამოუშვაო და რა ჩვენის ლაშქრის დამარცხების ამბავი მოვიდაო, ფიცხლავ აიყარა და ქსნის ერისთავი და კახნი თან წამოასხაო და ჰალვაბარში მოსრულაო“.[1]

სარდლებს შორის უთანხმოებას რომ ჰქონდა ადგილი, ამას სპარსელი ისტორიკოსი მოჰამედ თაჰერიც ადასტურებს: „როსტომ ხანმა, რადგანაც თვით აღარ შესწევდა ძალა მოძრაობისა და ცხენზე ჯდომისა, ბახუტაბეგი მუხრანის ბატონი დანიშნა სარდლად და ზაალ ყარაყალ-ხანის ერისთავთან და სხვა თავადებთან და აზნაურებთან ერთად იმერეთში (ბაში-აჩუკში) გაგზავნა... ბახუტა ბეგსა და ერისთავს შორის ქიშპობის გამო უთანხმოება გაჩენილიყო, ბაში-აჩუკზე გალაშქრება გადაიდო, ერთმანეთზე გაბრაზებულნი ისინი დაბრუნდნენ უკან“.[2]

ბანძის ბრძოლის შესახებ ქრონიკებში ასეთი ცნობაა: „ბანძას ალექსანდრე მეფეს შეებნენ დადიანი, გურიელი, ფარად-ფაშა, ქართველნი საციციანო-ბარათიანნი, მეფეს ალექსანდრეს გაემარჯვა. ვამეყ დადიანად დასვა, დემეტრე გურიელად, ლიპარიტ დადიანი და ქაიხოსრო გურიელი სტამბოლს წავიდნენ“.[3]

ბანძის ბრძოლის შემდეგ ლიპარიტ დადიანი მალე გარდაიცვალა, ხოლო აშლილობამ გურიაში გადაინაცვლა, სადაც მთავრის ტახტისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ ქაიხოსრო და დემეტრე.

ლტოლვილმა ქაიხოსრო გურიელმა დახმარება სთხოვა თურქეთის ხონთქარს, თავის მხრივ, ხონთქარმა უბრძანა ახალციხის როსტომ-ფაშას, რათა დახმარება აღმოეჩინა ქაიხოსროსათვის და გაეგურიელებინა. ბრძანება შესრულდა — ახალციხის ფაშამ ქაიხოსრო ისევ გააგურიელა, ხოლო დევნილმა დემეტრემ იმერეთის სამეფო კარს შეაფარა თავი. სწორედ ეს ამბავი უნდა იყოს აღნიშნული 1658 წლის ერთ გუჯარში, სადაც ქაიხოსროსათვის ჯარი გაუსევია ვამეყ დადიანს, რათა გურიელობა წაერთმია.[4]

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 60.

[2] ვ. ფუთურიძე, მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 388—389.

[3] ქრონიკები, II, გვ. 470—471.

[4] იქვე, გვ. 471.

ქაიხოსროს გურიელობა ხანმოკლე აღმოჩნდა, იმერთა მეფემ და დემეტრემ დაქირავებული მკელელის ხელით ქაიხოსროს სიცოცხლე მოუსპეს, დემეტრემ ისევ დაიკავა გურიელის „ტახტი“, ხოლო ქაიხოსროს ძენი გიორგი და მალაქია ახალციხის ფაშას შეეკედლნენ.

* * *

იმერთა მეფე ალექსანდრე III თავისი ძის მემკვიდრეობას არ ცნობდა. მან იშვილა თავისი ცოლის ძმისშვილი ლუარსაბი, რომელსაც ტახტის მემკვიდრედ ზრდიდა, მაგრამ ლუარსაბი გარდაიცვალა და ალექსანდრე უმემკვიდროდ დარჩა, ამიტომ იმერთა მეფემ ალექსანდრე III-მ 1659 წელს რუსეთში ელჩობა გაგზავნა — ნიკოლოზ უფლისწულის საქართველოში გამოშვება და იმერეთის ტახტზე გამეფება ითხოვა. იმერთა მეფე რუსეთის ხელმწიფეს ალექსი ალექსის ძეს წერდა: „...შენთვის ცნობილია, რომ ჩვენი მეფური ჩამომავლობისა არავინ დარჩა, მარტოდმარტო მე დავრჩი ჩემს ღრმა მოხუცებულობაში; ვისზედაც იმედს ვამყარებდი და ბურჯად მიმაჩნდა, უფლისწული ლეონტი იყო, ისიც შენ იცი, რომ ღვთის ნებით მიიცვალა. ახლა ღვთის წყალობითა და შენი ბედნიერებით, როგორც უწინ იყო ხოლმე ერთობა, ახლაც ივერიისა და იმერეთის მიწა-წყალი შენი სამეფოს ხელქვეით მოვიყვანე, ყველა მტრისა და დუშმანისაგან გავწმინდე... ჩვენი ყველა მტერი დაშინებულია. მე მარტო დავრჩი სიბერის დროს მწუხარე... რომ მოვკვდე, ვერავინ გამეფდება, ნაშიერი მე არ დამრჩენია, რომ ჩემს შემდეგ იმერეთის მიწა-წყალი ურჯულოებს არ ჩაუვარდეთ ხელში. ჩვენი შთამომავლობა კი შენ იცი, რომ მარტო ერთი დარჩა — უფლისწული ნიკოლოზ დავითის ძე... იგი შენი გაზრდილია და შენი მეფური სამსახურის ადათ-წესები იცის, შენი ყმაა და რადგან შენი გამოშვებული იქნება, მარადჟამს ისე გემსახურება, როგორც ეს შენ, დიდ ხელმწიფეს, გენებება და შენი მეფური უდიდებულესობის ბრძანებით ივერიისა და იმერეთის მიწა-წყალს განამტკიცებს“.[1]

---

[1] გ. პაიჭაძე, რამდენიმე საბუთი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის XVII საუკუნის მეორე ნახევარში, „საისტორიო მოამბე“, ტ. 27—28, თბ., 1973, გვ. 534—535. თარგმანი ეკუთვნის თ. ტივაძეს, იხ. თ. ტივაძე, იმერეთის სამეფოს რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან (XVII ს-ის 60-იანი წწ.) წიგნში „ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული“, თბ., 1976, გვ. 358.

იმერთა ელჩობა რუსეთიდან მომავალ თეიმურაზ მეფეს გზაში შეხვდა და შვილიშვილის ლუარსაბ დავითის ძის გარდაცვალება აუწყა. იმერთა ელჩობას კახთა მეფემ თავისი ელჩიც აახლა და რუსთა ხელმწიფეს თავისი შვილიშვილის საქართველოში გამოშვება სთხოვა. მაგრამ ამ დროისათვის რუსეთის პოლიტიკურ მესვეურთ არ სურდათ ერეკლე ბატონიშვილის საქართველოში გაშვება, რადგან, ქართველი პოლიტიკოსების მსგავსად, მოხერხებულად იყენებდნენ ქართველი უფლისწულის ყოფნას რუსეთის სამეფო კარზე თურქეთ-ირანთან აშკარა თუ ფარული ბრძოლის საწარმოებლად.[1] სანამ რუსეთიდან პასუხს მიიღებდა ერეკლე ბატონიშვილის გამოშვების შესახებ, იმერთა მეფე იძულებული გახდა ისევ თავისი შვილი ბაგრატი გამოეთხოვა გურიიდან და ტახტის მემკვიდრედ ეცნო.

ალექსანდრე მეფემ გურია-ოდიშის დამორჩილებით და იქ. საუსურველ პირთა დასმით კვლავ აღადგინა ის პრესტიჟი, რაც სამი ათეული წლის განმავლობაში ჰქონდა დაკარგული იმერეთის სამეფოს, მაგრამ, იმერეთის ეს ჰეგემონობა დასავლეთ საქართველოში ცოტა ხანს გაგრძელდა.

ალექსანდრე III დარდაიცვალა 1660 წლის პირველ მარტს. თავის მემკვიდრეს ბაგრატს სამეფო დაუძლურებული დაუტოვა; არევ-დარევა, შფოთი და აშლილობა, რომელიც დამახასიათებელი იყო ამ პერიოდის დასავლეთი საქართველოსათვის, კვლავ გრძელდებოდა.

მარი ბროსეს აღნიშვნით, 66 წლის განმავლობაში[2] აქ მოხდა დაახლოებით 29 პოლიტიკური აშლილობა და არევ-დარევა, რის შედეგადაც დასავლეთი საქართველო მთლად დაძაბუნდა და გაღატაკდა.

იმერეთის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობა XVII საუკუნის მეორე ნახევარში

ნ. ბერძენიშვილი შემდეგნაირად ახასიათებს XVII საუკუნის 60-იანი წლების შემდგომ ნახევარს: „60-იანი წლებიდან მთელი დასავლეთ საქართველო საშინელმა ანარქიამ მოიცვა (ის დაახლოებით ას წელიწადს გრძელდებოდა). მეფის თუ მთავრის ხელისუფლება კიდევ უფრო დაეცა, ქვეყანა თავადების სათარეშოდ იქცა. დადი-

[1] თ. ტ ი ვ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 359.
[2] მ ა რ ი ბ რ ო ს ე, დასახ. ნაშრ., გვ. 199.

ანი, გურიელი, ქართლის ბატონიშვილი, აბაშიძე თუ იმერეთის ბატონიშვილი თავადების სურვილით წარამარა ცვლიდნენ ერთიმეორეს სამეფო ტახტზე (40 წელიწადში ოცჯერ შეიცვალა მეფე. ამათგან მხოლოდ ერთი შერჩა მეფობას ბუნებით სიკვდილამდის)... თავადებმა მიიტაცეს და დაისაკუთრეს სამეფო ყმა-მამული. ერისთავ-მოურავებმა ხელმწიფობა დაიჩემეს. მთავრები აუქმებდნენ საეპისკოპოსოებს, საწინამძღვროებს და იტაცებდნენ საეკლესიო მამულებს, საერო ფეოდალებმა დაიტაცეს საკათალიკოსო სოფლები".[1]

ამ ფეოდალურმა ანარქიამ მთლად დასცა და დააუძლურა ქვეყანა, ვისაც კი საშუალება ჰქონდა, გარბოდა და აღმოსავლეთ საქართველოში სახლდებოდა, სადაც ამ დროს შედარებით სიმშვიდე სუფევდა.

„XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური მეთვალყურეობა და იქაური საქმეების ოსმალთა ინტერესების თანახმად მოგვარება ხონთქარმა ახალციხის ფაშას დაავალა. ჩქარა ახალციხის ფაშა მთელი ლიხთიქეთის პოლიტიკური ცხოვრების მომწესრიგებელი შეიქნა. ფაშა აქ ხონთქრის სახელით მოქმედებდა. ამიერიდან მეფის, მთავრის თუ კათალიკოსის საქმე მას ეკითხებოდა. მისი უშუალო მონაწილეობით და ნებართვით ხდებოდა მათი დასმა-გადაყენება. ფაშა განზრახ აღვიეებდა ბოლომოუღებელ შფოთს დასავლეთ საქართველოში. ქვეყნის დასუსტება ოსმალეთის მიზანი იყო"[2].

ოსმალეთი სულ უფრო და უფრო ეუფლებოდა დასავლეთი საქართველოს სამეფო-სამთავროებს. XVII საუკუნის დასაწყისიდანვე გურიელმა, დადიანმა და უფრო მოგვიანებით იმერეთის მეფემ ყოველწლიურად ხარკის ძღვენა იკისრეს თურქეთისათვის, ხოლო „XVII საუკუნის 70-იან წლებში იმერელმა თავადებმა ოსმალთა ჯარი ქუთაისის ციხეში შეიყვანეს. ამით გარეშე მტერმა ქვეყნის შუაგულში ფეხი მკვიდრად მოიკიდა".[3] ნ. ბერძენიშვილის დასკვნით, „თუ ამას შედეგად ოსმალთა ხელისუფლების დამყარება და ქვეყნის გამაჰმადიანება არ მოჰყვა, როგორც ეს [illegible] საათაბაგოში მოხდა, ამის მიზეზი აგრესორის დასუსტება უფრ[illegible] იყო, ვიდრე დასავლეთი საქართველოს გადაშენების ცზაზე მდგომი ფეოდალური საზოგადოების თავდაცვის უნარიანობა".[4]

---

[1] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VI, თბ., 1973, გვ. 274.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 275.

[illegible] ქ ვ ე.

ი ქ ვ ე.

ფარსადან გორგიჯანიძის აზრით, ირანისა და ოსმალეთის წარმატებას საქართველოში ხელს უწყობდა ის, რომ „საქართველო თავად ცოტა იყო და მერმე მრავლად გაყოფილი და ერთმანეთის ურჩნი და ქიშპნი მტერნი, ერთმანეთისა მარბევნი და მაწყინარნი“.[1]

მეფე-მთავართა შინაომებით მარჯვედ სარგებლობდა გარეშე მტერი: „ამისათვის იქით ურუმნი არბევდეს და აქეთ ყიზილბაშნი და ამისთანა ორს დიდს ხელმწიფეს შუაში ბევრს ეცადნეს, აქეთ იქნიეს ხმალი და იქით და მრავალი ნავნებიც ქნეს, მაგრამ არ იქნა და ვერც რას თავს გაუვიდნეს. ხონთქარმან და ყაენმან საქართველო შუა გაიყვეს“.[2]

როგორც ზემოთ ითქვა, ალექსანდრე III 1660 წელს გარდაიცვალა, ნესტან-დარეჯანთან მას შვილი არ ჰყავდა. მან თეიმურაზ I-ის შვილიშვილი — ლუარსაბ დავითის ძე იშვილა და ტახტის მემკვიდრედ ზრდიდა: მაგრამ იგი გარდაიცვალა. ამის შემდეგ ალექსანდრემ გადაწყვიტა ისევ თავისი შვილი, პირველ ცოლთან ნაშობი ბაგრატი გაემეფებინა, რომელიც თავის დედულეთში — გურიელთან იმყოფებოდა.

დარეჯანმა თავის გერს ბაგრატს, რომელიც იმერეთის მეფედ ეკურთხა, ცოლად შერთო თავისი ძმისწული — დავითის ასული ქეთევანი,[3] მაგრამ „თვითონ მეფეც იყო და დედოფალიცა, ბაგრატს ათაფერი ეკითხებოდა“[4]. მართლაც, ამ დროს დედოფალს პირველი ადგილი ეკავა სამეფო კარზე. მაგალითად, 1660 წელს ქაიხოსრო და პაატა წერეთლებს ებოძათ წყალობის წიგნი, რომელიც გაცემულია ნესტან-დარეჯან დედოფლისა და ბაგრატ მეფისაგან.[5] ამავე პერიოდისაა ბაგრატ მეფის მიერ გაცემული გელათის მონასტრისადმი შეწირულების წიგნი, რომელშიც მოხსენებულნი არიან დედოფალთდედოფალი კახთა მეფის ასული ნესტან-დარეჯანი, შემდეგ მეფე ბაგრატ და მისი თანამეცხედრე ქეთევანი.[6] დ. გვრიტიშვილი ასკვნის: „ის გარემოება, რომ დოკუმენტებში ჯერ ნესტან-დარეჯანი მოიხსენიება, ხოლო შემდეგ ბაგრატი, ერთხელ კიდევ ადასტურებს ფარსადან გორგიჯანიძის ცნობას იმის შესახებ, რომ

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 7.

[2] იქვე.

[3] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 835.

[4] ფ. გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 62.

[5] ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466—1770 წწ.), შ. ბურჯანაძის რედაქციით, 1959, გვ. 30—31.

[6] დასახ. ნაშრ., გვ. 31.

ნესტან-დარეჯანი სამეფოში პირველი პირი იყო[1]. მიუხედავად ამისა, მათი მშვიდობიანი ურთიერთობა დიდხანს არ ყოფილა". ბაგრატის მეფობა შეიშურეა მისმა დედინაცვალმა დედოფალმა დარეჯანმა თეიმურაზ კახთ-ბატონის ასულმა; ჯერ წინადადება მისცა თავის გერს ცოლად გაყოლის შესახებ და როცა ამაზე აღშფოთებული ბაგრატისაგან უარი მიიღო, შეიპყრო იგი და თვალები დათხარა. დარეჯანმა ქმრად შეირთო ვახტანგ ბაგრატიონი, რომელსაც ჭუჭუნიას შვილს ეძახდნენ და ის იმერეთის მეფედ აკურთხეშინა.[2]

ქრონიკებში დაცულია ცნობა, რომ „1660 წლის ოთხ მარტს შეფე ალექსანდრე მიიცვალა, ამავე წელსა და ამავე თვეს, მის წილ ძე მისი ბაგრატ მეფე იქმნა. და მასვე წელსა, თვესა ივლისსა ულალატა დედინაცვალმან და ზოგმა მისმან ორგულმა ყმამა, დაიპირეს და თვალი დაწუეს და... იმერეთი ოხერ და უმკვიდრო იქნა: ზოგჯერ დადიანს ეჭირა, ზოგჯერ ყიზილბაშთაგან, ზოგჯერ ურუმთაგან და ერთს წელს გურიელიც მეფობდა".[3]

ფარსადან გორგიჯანიძე, რომელიც ამ ამბის მომსწრე იყო, გადმოგვცემს: „შეუჯდნენ დედოფალს ეშმაკსავით მაცდურები და ასრე გამოურჩიეს; ბაგრატ მოკალ და ჭუჭუნეის შვილი ვახტანგ ბაგრატიონი შეირთეო და მეფეთ აკურთხეო და სადამდისინ ცოცხალი იყოო, შენ იბატონეო და მანამდისინ რუსეთით ძმისწულიც მოიყვანეო და ის გაბატონეო".[4] დარეჯანმა დაუჯერა მრჩეველებს და თუმცა ბაგრატი სასიკვდილოდ არ გაიმეტა, მაგრამ თვალები მაინც დათხარა და ტახტი წაართვა. დარეჯანის მამა თეიმურაზი ამ დროს სკანდის ციხეში იმყოფებოდა. დარეჯანმა მას წინადადება მისცა იმერეთის სამეფო ტახტი დაეკავებინა, მაგრამ თეიმურაზმა უარი შემოუთვალა, „უკავია, რისთვის ჩემს სიძეს თვალები დასთხარაო. სკანდით ქუთათისს არ ჩამოვიდა".[5]

დარეჯანმა მიიღო რა უარი მამისაგან ტახტის დაკავების შესახებ, ვახტანგ ჭუჭუნიას შვილი ქმრად შეირთო და მეფედ აკურთხა. ამ ფაქტს დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია იმერეთის თავადებში: პოემა „შაჰნავაზიანის" ავტორი ფეშანგი გადმოგვცემს, რომ:

---

[1] დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1965, გვ. 436.

[2] საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, თბ., 1920, გვ. 61.

[3] თ. ყორდანია, ქრონიკები, II, გვ. 477.

[4] ფ. გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 62—63.

[5] იქვე, გვ. 63, იხ. აგრეთვე, პარიზის ქრონიკა ზ. ჭიკინაძის რედაქციით, 1903, გვ. 65—66.

„შეიყარნეს და არჩიეს ვახტანგის დიდი მტერობა,
აგრე გავს რომე დაჰკარგონ დედოფლის ბედნიერობა;
ეტყობის აღარ ინდომეს სამსახური და ფერობა;
აწ დაინანოს რეგუენმა ამა საქმესა ქმნელობა.
თქუეს: „დადიანი ვინდომოთ მას მივცეთ ტახტი სრულია
ხელაეთ უმკვიდრო შეიქმნა, მეფობა გარდასულია;
ერთმანეთს ზურგი მოუბამთ ვირემი აღსასრულია;
ქალი დავკარგოთ, მივიდეს ვისია ეგ ასულია“[1].

შაჰნავაზიანის ავტორის გადმოცემით, მთელი იმერეთის თავადები მხოლოდ დადიანის გამეფების მომხრენი არიან. მაგრამ ამის საწინააღმდეგო უტყუარი ცნობებიც მოიპოვება, სადაც აღნიშნულია: „რომელიც დედოფალის კერძნი არ იყვნენ, ქართლისაკენ თავადნი ქართლის მეფეს საყმოდ შემოეპატიჟნენ, იმერეთს გარდიყვანეს. ჩაღმა მხრის თავადნი დადიანს საყმოდ შეეპატიჟნეს და ქუთათისს მოიყვანეს“.[2]

ფ. გორგიჯანიძის ცნობით ირკვევა, რომ დარეჯან დედოფლის მოქმედებით უკმაყოფილო იმერეთის თავადები ორ ჯგუფად გაიყვნენ: ქვემო იმერეთის თავადები დადიანს უჭერდნენ მხარს, ხოლო ზემო იმერეთის თავადები ქართლის მეფეს — ვახტანგ V-ს ეპატიჟებოდნენ იმერეთში. მიწვევის მიღებისთანავე ორნივ სასწრაფოდ იმერეთისაკენ გაეშურნენ, ვამიყ დადიანმა დაასწრო და ქუთაისი დაიკავა, შეიპყრო დარეჯანი ქმრითურთ და ამ უკანასკნელს თვალები დათხარა და თავი იმერეთის მეფედ გამოაცხადა. „დადიანმა ამასთანავე იმერეთის მეფეების მთელი სიმდიდრე, რამოდენიმე თაობათა განმავლობაში დაგროვილი, ოდიშს გაგზავნა. მარტო ოქრო-ვერცხლეულობა წაღებულ იქმნა 12 ურმით“.[3]

ბიუვინთის ერთ-ერთ სიგელში ვამიყ დადიანი თავისთავს ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერის, ოსეთისა და დვალეთის, სვანეთისა და ყაბარდოს, ჯიქეთისა და აფხაზეთის, ოდიშისა და გურიის, სრულიად საქართველოს მპყრობელ, დიდ მეფეთ-მეფედ და ხელმწიფედ აცხადებს.[4]

დარეჯან დედოფალი იმავე 1660 წელს, დადიანის მიერ ქუთაისის დაკავების შემდეგ, ქართლის მეფეს ვახტანგ V-ს თხოვნით ში-

---

[1] შაჰნავაზიანი, გ. ლეონიძისა და ს. ინორდანაშვილის რედაქციით, გვ. 70.

[2] ფ. გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 63.

[3] ქრონიკები, II, გვ. 479, ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა. თბ., 1920, გვ. 61.

[4] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წიგნი I, 1921, გვ. 67.

მართავს „თუ მამეშველებიო, ჩემს ქეთევანსაო თქვენს არჩილს მივცემო... იმერეთს მეფედ ვაკურთხებო“.[1]

ვახტანგ მეფე იმერეთში გადადის, ვამიყ დადიანს ამ დროს იმერეთი დაპყრობილი აქვს და მეფედაც იწოდება; „მეფე და დადიანი ასრე შერიგდეს, რომ არგვეთს აქეთი ქართველს მეფესა და იმას იქით დადიანსა და მას უკან დადიანმა თავისი ქალი მეფის შვილს არჩილს მისცეს და იმერეთში გაბატონონ“.[2]

ამრიგად, ვახტანგ მეფე და დადიანი შეთანხმდნენ და იმერეთი შუაზე გაიყვეს, აღმოსავლეთი ნაწილი ქართლის სამეფოს შეუერთდა, დასავლეთი ნაწილი — სამეგრელოს, საზღვრად მდ. ბუჯისწყალი დადვეს (1660 წ.). ამ ამბავმა გარკვეული ასახვა ჰპოვა „არჩილიანშიც“:

„წამოდგა მეფე ქართლისა და ვამიყ დადიანიცა,
იმერეთზედა ილაშქრეს, მთიდამ ალაღდა სვანიცა,
დამოყარდნენ, შუა გაიყვეს მთა-ბარი შუაგანიცა“[3].

ქართულ წყაროებს გარდა, იმერეთში ამტყდარი არეულობის შესახებ ცნობებს გვაწვდის სპარსელი ისტორიკოსი მოჰამედ თაჰერი. იგი წერს: „ბაგრატის გამეფებიდან ცოტა ხნის შემდეგ თეიმურაზ ხანის ქალმა, რომელიც ცოლად ჰყავდა ალექსანდრე ხანს და დიდი ნებისყოფის მქონე იყო, გამეფება განიზრახა. ის შეეთქვა ერთ ჯგუფს, რომ ხსენებული (თავისი ბერი) მოესპო და გიორგი, რომელიც სამეფოს ერთ მემკვიდრეთაგანი იყო, მის ადგილას დაენიშნა. რაღაც საბაბით ის თავის ბინაზე მოიყვანა და „მისი ქვეყნის მხედველი თვალის გუგები მხედველობის ღირსების მოკლებული გახადა“ (დაბრმავა), გიორგი მის ადგილას დასვა და დაქორწინდა მასზე. ბაში-აჩუკის ხალხს ის ამ ამბის გამო სრულიად შესძაგდა, იქაური თავადებიდან. და აზნაურებიდან ზოგი დადიანის (ქვეყნის) ვალისთან წავიდა, ზოგმაც „მეფობის საფარველს“ მიმართა დახმარებისათვის. ბაში-აჩუკის ორივე მიმდგომი მხარის ვალიები განწყობილი ჯარებით გაემართნენ ორ მხრიდან ბაში-აჩუკისაკენ და ბრძოლა და ჭიდილი იწყეს. ბოლოს რათა მოსპობილიყო შფოთისა და ნგრევის ბოროტება, ბაში-აჩუკის „ოლქის“ მხარეები ერთმანეთს შორის გაიყვნეს. „დადიანის“ ვალი, ხელში ჩაიგდო

---

[1] ფ. გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 63; იხ. აგრეთვე, პარიზის ქრონიკა, ზ. ჭიჭინაძის რედაქციით, 1903, გვ. 65—66.

[2] ფ. გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 63.

[3] არჩილიანი, II, გვ. 125.

რა თეიმურაზის ქალი, უკან ბრუნდება, შაჰ-ნავაზ-ხანსაც თეიმურაზ-ხანი ციხიდან გამოჰყავს და ქართლში მიდის"[1].

ვახტანგ მეფემ ქართლში წასვლის წინ აღმოსავლეთი იმერეთის სარდლად წერეთელი დანიშნა და ასეთი ბრძანება გამოსცა: „ქ. მეფეთამეფე შაჰნავაზ უზეშთაესთა მოგახსენებთ და უქვედაესთა გიბრძანებთ, ერთობილნო ბუჯის წყალს ზედათნო ხრეითიანთ ლიხის მთამდი. მერმე, თქუენი სარდლობა[2] ზაალ წერეთლისათვის გუბოძებია და რომელიცა ჩუენი სამსახური: ან ლაშქრობა, ან ნადირობა და ან სხუა რამე დაგპატიჟოს, ყუელაზედ მოუდეგით და ნურას საქმეზედ ნუ დაეურჩებით, თუ არამ ვინც დაეურჩებით და ან ამის სამართალს არ გაიგონებთ, იცოდეთ გაგიწყრებით და რაც ავია, იმას გიზამთ".[3]

ვახუშტი ბატონიშვილი განსხვავებულ ცნობას გვაწვდის: „ბაგრატის კერძოთა იმერთა არა სთნდათ და აუწყეს ასლან ფაშასა, შემოიკრიბნა ასლან-ფაშამან სპანი და ჩამოვიდა იმერეთს, მიეგებნენ დადიან-გურიელი და იმერნი, მოვიდა ფაშა, შეიპყრა ვახტანგ და დარეჯან დედოფალი და ქეთევან ცოლი ბაგრატ მეფისა. ხოლო იმერეთს დასუა ბაგრატვე უთუალო მეფედ და იგინი წარიყვანნა და მივიდა ახალციხეს, მუნიდამ ვახტანგ, დარეჯან და ქეთევან წარგზავნნა ოლთისს[4] და დაასადგურა მუნ".[5] შესაძლებელია ვახუშტი

---

[1] ვ. ფუთურიძე, მოპამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 30, 1954, გვ. 395.

[2] იმერეთის სამეფოში სარდლის თანამდებობა პირველად 1661 წლის საბუთებში იხსენიება (იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა, I, თბ., 1959, სბ. № 22, გვ. 33).

თუ როდის იქნა დაარსებული სარდლის თანამდებობა, ჯერჯერობით წყაროები ამის დადგენის საშუალებას არ გვაძლევენ. ს. კაკაბაძემ ვახუშტის ერთ წყაროზე დაყრდნობით გამოთქვა ვარაუდი, რომ სარდლის თანამდებობის შემოღება ალექსანდრე III-ის დროს (1639-1660) უნდა მომხდარიყო (იხ. ს. კაკაბაძე, იმერეთის ციხისთავთა შესახებ მე-17 საუკუნეში, საისტორიო ჟურნალი, I, 1925, გვ. 87—88). ეს ვარაუდი ო. სოსელიას სწორად მიაჩნია, მხოლოდ იგი უფრო აკონკრეტებს და აღნიშნავს, რომ იმერეთში სასარდლოს დაწესება 1651-1661 წწ. შუა მომხდარა (იხ. ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 223).

[3] ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა, შ. ბურჯანაძის რედაქციით, თბ., 1959, გვ. 33.

[4] ოლთისი ათაბაგთა მეორე რეზიდენცია იყო. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ჭოროხის აღმოსავლეთის კიდეზე არს ოლთისი, ქალაქი კარგი და კეთილჰავიანი. აქ არს ციხე მაგარი და დიდშენი. არს მეორე საჯდომი ათაბაგისა, ვითარცა ახალციხე", ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 683.

[5] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 835.

მართალი იყოს, ვინაიდან ცნობილია, რომ ახალციხის ფაშას ჰქონდა მინდობილი დასავლეთ საქართველოს მეთვალყურეობა. ამდენად იმერეთში მომხდარი ამბების გაგებისთანავე ახალციხის ფაშას შეეძლო ჩარეულიყო იმერეთის საქმეებში.

ვახტანგ მეფისა და ვამიყ დადიანის დამოყვრება დიდხანს არ გაგრძელებულა. დადიანმა დაარღვია პირობა და თავისი ქალი (პოლიტიკური მოსაზრებით) იმერეთის თავადს ბექან ღლონტს მისცა".[1]

ქართული წყაროებისაგან განსხვავებით, რუსული წყაროები სხვა ცნობებს გვაწვდის იმერეთში მომხდარი ამბების შესახებ.

თეიმურაზ კახთ-ბატონის უფროსი შვილიშვილის — ლუარსაბის გარდაცვალების შემდეგ (რომელიც იმერთა მეფემ იშვილა და ტახტის მემკვიდრედ ზრდიდა) თეიმურაზმა და ალექსანდრე III-მ სპეციალური ელჩობა გაგზავნეს მოსკოვში თხოვნით ერეკლე ბატონიშვილის გამოშვების შესახებ.[2] რუსეთის სამეფო კარი დათანხმდა და 1660 წლის 3 ივნისს 92 კაციანი ამალით ერეკლე ბატონიშვილი საქართველოში გამოისტუმრეს. ერეკლე ბატონიშვილი თერგის ციხეში შეჩერდა და აქ ელოდებოდა საქართველოდან ამბის მიღებას.

1660 წლის 11 ოქტომბერს თერგის ციხეში იმერეთიდან მივიდნენ თეიმურაზ მეფის ელჩები და თერგის ვოევოდას მოახსენეს, რომ იმერეთის მეფე ალექსანდრე გარდაიცვალა, ხოლო მისმა ცოლმა, დედოფალმა დარეჯანმა თავის გერს, ბაგრატს თვალები ამოწვა. ამის შემდეგ იმერეთის დიდმა თავადმა ერისთავმა თავისი მომხრეებით შეიპყრო თავადი ლუკიანე, რომელიც ამის წინ მოსკოვში იყო ელჩად, ბრძანა მისთვის თვალები ამოეწვათ და გაგზავნა იგი დადიანის ქვეყანაში, ხოლო მისი ყველა შვილი ამოახოცინა. ეს ერისთავი თურქეთში იყო, იქედან იმერეთში მოიყვანა თურქთა ჯარი და ამჟამად ფლობს იგი იმერეთის ქვეყანას და ცხოვრობს ქუთაისში. ალექსანდრეს მეუღლე დარეჯანი, თეიმურაზ მეფის ასული, მან, ერისთავმა დადიანის ქვეყანაში გადაასახლა, ხოლო მეფე თეიმურაზი კი თბილისში წაიყვანეს. თბილისში ზის ყიზილბაშთა შაჰის ხანი შაჰნავაზი, ხოლო დადიანის ქვეყანას ფლობს მეფე ალექსანდრეს მიერ დასმული ლიპარტიანი.[3]

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 835.

[2] გ. პაიჭაძე, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1660—1685 წწ.), საისტორიო მოამბე, № 23—24, თბ., 1970, გვ. 151.

[3] გ. პაიჭაძე, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1652—1660 წწ.), საისტორიო მოამბე, № 19—20, თბ., 1965, გვ. 459.

იმავე წლის 29 ნოემბერს თერგიდან ასტრახანს ჩასული ამ ელჩობის ერთ-ერთი წევრი ივანე ფეოდოროვი რუს მოხელეებს მოახსენებდა იმერეთში დატრიალებულ ამბებს: 1660 წელს გარდაიცვალა იმერეთის მეფე ალექსანდრე, რომელმაც მხოლოდ სამ დღეს იავადმყოფა. მეფე თეიმურაზმა და იმერლებმა სამეფო ტახტზე დასვეს მისი შვილი ბაგრატი და ცოლად შერთეს ერეკლე ბატონიშვილის ღვიძლი და კატერინა (ქეთევანი), შაგრამ მან მხოლოდ სამი თვე დაჰყო სამეფო ტახტზე. იმერეთის ქვეყნის კათალიკოსმა ალექსანდრე მეფის ცოლს, დარეჯანს ჩააგონა, რომ მან თავის გერს, ბატონიშვილ ბაგრატს, თვალები ამოწვას, თვითონ შეირთოს ვახტანგი, და კვლავ შეიქმნას იმერეთის ქვეყნის მფლობელი. დარეჯან დედოფალმა, მართლაც ამ შეგონებით ბაგრატ ბატონიშვილს თვალები ამოწვა, თვითონ კი ცოლად ფაჰყვა ვახტანგს. ამ ამბიდან სამი კვირის შემდეგ იმერეთის ქვეყნის დიდი თავადი ერისთავი წავიდა თურქთა ქვეყანაში და თან ჩამოიყვანა 12,000-იანი ჯარი. მან დედოფალი დარეჯანი, მის ქმართან, ვახტანგთან ერთად გადაასახლა შავი ზღვის პირას მდებარე ციხე-ქალაქ „აბლაზიტში" (თუ აფხაზეთში? — მ. რ.), თან ბრძანა, რომ ისინი იქ მონასტერში გამოეკეტათ. ამჟამად იმერეთის ქვეყანას ფლობენ ეს ერისთავი და დადიანთა ქვეყნის მფლობელი ლიპარტიანი. (ეს ერისთავი) ცხოვრობს ქუთაისში, ხოლო თურქი ჯარისკაცები დგანან იმერეთშიც. თურქთა სულთანის ვაზირი ჯარით ბაღდადის ციხეში დგას ერისთავის დასახმარებლად იმიტომ, რომ ეს ერისთავი და დადიანთა ქვეყნის მფლობელი ლიპარტიანი თურქთა სულთანს ყმად მიუვიდნენ. ბატონიშვილი ბაგრატი და მისი ცოლი ამ ერისთავს ქუთაისის ციხეში ჰყავს თავისთან, ხოლო მეფე თეიმურაზი შაჰ-ნავაზ ხანმა შაჰის ბრძანებით თბილისში წაიყვანა. თეიმურაზ მეფეს კი მათთან ბრძოლა აღარ შეეძლო, რადგან იგი ყველამ მიატოვა და მან თეიმურაზმა ნახა რა თავისი გამოუვალი მდგომარეობა, სასწრაფოდ გაგზავნა რუსეთის ხელმწიფესთან და ქართველ ბატონიშვილთან, ერეკლე დავითის ძესთან, ეს ელჩები ამ ამბის შესატყობინებლად და გადასაცემად, რომ იგი ერეკლე ბატონიშვილი საქართველოში აღარ წამოვიდეს და გზიდანვე დაბრუნდეს მის მეფურ უდიდებულესობასთან.[1]

1661 წლის 11 თებერვალს ქართველი ელჩი ათანასე-პაპუნა, რომელიც თეიმურაზს გამოეგზავნა თბილისიდან რუსეთის მეფისათვის სიგელის და ერეკლესათვის წერილის გადასაცემად, რუსებს აწვდის დამატებით ცნობებს იმერეთის შესახებ. რომ ალექ-

[1] გ. პაიჭაძე, მასალები... საისტორიო მოამბე, № 23—24, გვ. 153.

სანდრე მეფე გარდაიცვალა იმის გამო, რომ ორაგული უჭამია, მისგან ცუდად გამხდარა და შეხუთე დღეს გარდაცვლილა. მან თავისი შვილი ბაგრატი სიკვდილის წინ ტახტზე დასვა. ბაგრატ ბატონიშვილი მაშინ გურიელის ქვეყანაში იმყოფებოდა, რადგან ალექსანდრეს იგი არ უყვარდა მისი ჭკუასუსტობის გამო. ალექსანდრეს გარდაცვალებიდან მესამე დღეს ბაგრატმა ცოლად შეირთო ნიკოლოზ (ერეკლე) ბატონიშვილის და ეკატერინა (ქეთევანი). სამეფო ტახტზე იგი იყო მხოლოდ ექვს კვირას. გარდაცვლილი მეფის ალექსანდრეს ცოლმა და ახალი მეფის დედინაცვალმა დარეჯანმა მას თვალები ამოწვა იმის გამო, რომ დედოფალს უთხრეს — ბაგრატი თურქებთან მიდგომას აპირებსო. იმერეთის ქვეყნის დიდმა თავადმა ერისთავმა და სხვა იმერლებმა ეს დედოფალი მის ქმართან ვახტანგთან ერთად და ბატონიშვილი ბაგრატიც მის ცოლთან ერთად გადაასახლეს დადიანის ქვეყანაში ლიპარტიანთან. ლიპარტიანმა კი ბაგრატი მის ცოლს გააშორა და მოსწერა მეფე თეიმურაზს სკანდის ციხეში, რომ მისი შვილიშვილი კატერინა (ქეთევანი), რომელიც ბაგრატის ცოლი იყო, ლიპარტიანის შვილისათვის მიეთხოვებინა და იგი იმერეთის ქვეყანაში მეფედ დაესვათ.[1]

ყველა ქართული წყაროს მიხედვით ბაგრატი გამეფდა ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ, მხოლოდ ვახუშტი ამბობს, რომ როცა ნაშვილები თეიმურაზის შვილიშვილიც გარდაიცვალა, „მოიყვანა ბაგრატ ძე თვისი, შობილი გურიელის ქალისაგან და ჰყვანდა თვისა თანა, ვითარცა სამეფო ძე“.[2]

ელჩი ათანასე აღნიშნავს, რომ ბაგრატი, რომელიც ამ დროს უკვე 40 წლისა იყო, დიდი ჭკუითაც ვერ დაიკვეხნიდა და თითქოს ესეც იყო ალექსანდრეს მიერ მისი ათვალწუნების მიზეზი, მაგრამ ალექსანდრემ იგი მაინც აკურთხა მეფედ. ამ საქმეში თეიმურაზსაც მიუღია მონაწილეობა. „ალექსანდრეს ასეთი ნაბიჯი — აღნიშნავს დოკ. ნ. ასათიანი, — და მასში თეიმურაზის მონაწილეობა ჩვენ გვაფიქრებინებს, რომ იმერეთის სამეფო კარზე ამ პერიოდში არსებობდა გარკვეული დაჯგუფებები განსხვავებული პოლიტიკური მიზნებით“.[3]

ბაგრატისა და ქეთევანის ქორწინებას ფარსადან გორგიჯანიძე, ბერი ეგნატაშვილი და ვახუშტი ბაგრატიონი ერთხმად დარეჯანის

---

1 გ. პაიჭაძე, მასალები... საისტორიო მოამბე, № 23-24, გვ. 155—156.

2 ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, ჩუბინოვის გამოცემა, სანკტ-პეტერბურგი, 1854, გვ. 201.

3 ნ. ასათიანი, მასალები XVII საუკუნის საქართვ. ისტორიისათვის, თბ., 1973, გვ. 40—41.

ინიციატივას მიაწერენ.[1] „დარეჯანის ასეთი ინიციატივა და მით უმეტეს ასეთი აჩქარება (ბაგრატს ქეთევანი ცოლად შერთეს ალექსანდრეს გარდაცვალებიდან მესამე დღეს) იმას მოწმობს, — აღნიშნავს ნ. ასათიანი, — რომ დედოფალი (დარეჯანი — მ. რ.) ეშურებოდა, ახალი მეფე, რომელიც დიდის ჭკუითა და ნებისყოფით არ გამოირჩეოდა, თავიდანვე თავისი გავლენის ქვეშ მოექცია და არ დაეთმო პოზიციები მოწინააღმდეგე პარტიისათვის".[2] ამავე დროს წყაროები დარეჯან დედოფალს უფლებისმოყვარე და დიდი ნებისყოფის მქონე ქალად წარმოგვიდგენენ. დარეჯანი „მეფეც იყო და დედოფალიცა, ბაგრატს არაფერი ეკითხებოდა".[3] სპარსელი ისტორიკოსი მოჰამედ თაჰერიც აღნიშნავს, რომ „თეიმურაზ-ხანის ქალი, რომელიც ცოლად ჰყავდა ალექსანდრე ხანს, დიდი ნებისყოფის მქონე იყო".[4]

დოკუმენტების მიხედვით დარეჯანს სამეფო კარზე პირველი ადგილი უკავია.[5] დარეჯან დედოფლის მიერ შეთქმულების მოწყობის მიზეზს გასაგებს ხდის ათანასე ელჩის ცნობა, რომ დედოფლის პოლიტიკის მოწინააღმდეგე იმერელი დიდგვარიანები ბაგრატს აქეზებდნენ, რომ თავი დაეღწია დედოფლის გავლენისაგან და დამხმარედ თურქეთი გამოეყენებინა. როგორც ჩანს, ბაგრატი ამ რჩევის მიღებას აპირებდა,[6] მაგრამ „დაასწრო დედოფალმა და იმერეთის ამ გზააბნეულ მეფეს სასტიკად გაუსწორდა".[7]

როგორც ნ. ასათიანი აღნიშნავს, სამეფო კარზე ორი პოლიტიკური დაჯგუფება არსებობდა: „დარეჯანის მომხრედ პირველ რიგში იმერეთის კათალიკოსი ჩანს, დარეჯანის მომხრეთა დასს ეკუთვნის აგრეთვე რუსულ წყაროებში მითითებული ვინმე „ბოიარინი ივანე ლუკიანოვი" (შეიძლება აქ „ლორთქიფანიძის" რუსული გადმოცემაა), რომელიც 1657 წელს მეფე ალექსანდრეს მიერ მოსკოვში იყო გაგზავნილი ელჩად.[8] ამ დასში სხვებიც შედიან, რომლებსაც წყა-

---

[1] ფ. გორგიჯანიძის ისტორია, ტფ., 1926, გვ. 62; ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 436; ქართლის ცხოვრება, ჩუბინოვის გამოცემა, ნაწ. II, გვ. 22.

[2] ნ. ასათიანი, მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1973, გვ. 41.

[3] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 62.

[4] მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ, ვ. ფუთურიძის გამოცემა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 30, თბ., 1954, გვ. 395.

[5] ისტორიული დოკუმენტები შ. ბურჯანაძის რედაქციით, თბ., 1959, გვ. 30—31; თ. ეორდანია, ქრონიკები, II, გვ. 477—478.

[6] ნ. ასათიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 43.

[7] იქვე.

[8] გ. პაიკაძე, მასალები, საისტორიო მოამბე, № 19—20, გვ. 459—461.

როები მხოლოდ ზოგადად ასახელებენ: „დედოფლის კერძნი“ (ფარსადან გორგიჯანიძე), „დედოფლის მომხრეთა ერთი ჯგუფი“ (მოჰამედ თაჰერი) და სხვ.; დარეჯან დედოფლის მოწინააღმდეგეთა დასში კი შედიან: რუსული წყაროების „ბოიარინი ერისთავი“ (ეს უნდა იყოს რაჭის ერისთავი პაპუნა),[1] აგრეთვე დადიანი, გურიელი და სხვანი (ჩაღმა მხრის და ქართლის მხრის თავადნი, რომლებიც „დედოფლის კერძნი არ იყვნენ“).

ბუნებრივია, ვიფიქროთ, — ასკვნის ნ. ასათიანი, — რომ დედოფალი დარეჯანი და მისი მომხრენი თეიმურაზის პოლიტიკის გამტარებელნი არიან; ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ბაგრატის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ მათ მეფობა თეიმურაზის შესთავაზეს, ასევე რუსეთიდან ერეკლე ბატონიშვილის ჩამოყვანას და მის გამეფებას აპირებდნენ. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ საგარეო პოლიტიკაში ისინი რუსული ორიენტაციისანი იყვნენ, ხოლო ქვეყნის შიგნით მტკიცე წესრიგის დამყარების მომხრენი იქნებოდნენ. ამრიგად, დარეჯანის გამოსვლა ბაგრატის წინააღმდეგ მარტო მისი ბოროტი ბუნებით არ უნდა აიხსნას, როგორც ამას ზოგიერთი მაშინდელი წყარო წარმოგვიდგენს. მის მოქმედებაში გარკვეული პოლიტიკური ხაზი ჩანს და ამ საქმეში იგი მარტო არ არის.[2]

ქართული დოკუმენტები პაპუნა რაჭის ერისთავის აქტიურ ჩარევას იმერეთის სამეფო კარის საქმეებში არ ახსენებენ და საერთოდ დუმან; მის აქტიურობას მხოლოდ რუსეთში წარგზავნილი ელჩების ნაამბობიდან ვგებულობთ. რუსული წყაროები რაჭის ერისთავს დარეჯანის წინააღმდეგ ბრძოლის მეთაურად ასახელებენ.[3]

მის მხარდამხარ იბრძვიან დედოფლის წინააღმდეგ სამეგრელოსა და გურიის მთავრები და იმერეთის სხვა თავადებიც.

პაპუნა ერისთავი არა მარტო იბრძვის დედოფლის წინააღმდეგ, არამედ იმერეთის დანაწილებაში წილსაც კი იღებს: მაგალითად, საქართველოდან რუსეთში ჩასული ელჩები რუს მოხელეებს მოახსენებდნენ, რომ: „იმერეთის ერთ მესამედს ფლობს შაჰ-ნავაზი, ხოლო დანარჩენ ორ მესამედს — ერისთავი და დადიანი“.[4] ქართულ წყაროებში ერისთავის მოუხსენებლობის მიზეზის გარკვევა ძნელია; ყველგან შაჰ-ნავაზი და დადიანი არიან მოხსენებული, როცა წყაროები იმერეთის დანაწილების საკითხს ეხება. პაპუნა ერისთავი ჩნდება წყაროებში შოგვიანებით, როცა ვამიყ დადიანმა დათ-

---

[1] ო. სოსელია, დასახ. ნაშრ., გვ. 119.

[2] ნ. ასათიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 42.

[3] გ. პაიჭაძე, მასალები... საისტორიო მოამბე, №23—24, გვ. 153—155.

[4] იქვე, გვ. 156.

ქმული პირობა დაარღვია და თავისი ქალი ბეჟან ღოლობერიძეს მისცა არჩილის ნაცვლად. პაპუნა მეფის მხარეზე დგება და დადიანის წინააღმდეგ იწყებს ბრძოლას.[1]

„ეს იმას მოწმობს, — აღნიშნავს ნ. ასათიანი, — რომ სამეგრელოს მთავარსა და რაჭის ერისთავს შორის ამ ხნის განმავლობაში უთანხმოება ჩამოვარდნილა. ამ უთანხმოების მიზეზი იყო, ალბათ, ვამიყ დადიანის მცდელობა, ხელთ ეგდო იმერეთის სამეფო ტახტი: როგორც აღნიშნული იყო, იგი აპირებდა იმერეთის მეფედ თავისი შვილი დაესვა. უთანხმოება ერისთავსა და დადიანს შორის იმერეთიდან თურქთა ჯარის გასვლის შემდეგ უნდა დაწყებულიყო“.[2] ვამიყ დადიანის მეფობა იუკადრისეს ზემო იმერეთის თავადებმა, დემეტრე გურიელიც დადიანის შურით მათ მიემხრო. ამ პერიოდში, ვახტანგ მეფემ, შეურაცხყოფილმა ვამიყ დადიანის მიერ პირის გატეხის გამო, კავშირი დაამყარა დემეტრე გურიელთან და ზემო იმერეთის თავადებთან, რომელთაც ბეჟან ღოლობერიძე მოკლეს და ვახტანგი ისევ იმერეთში მოიწვიეს. ვახტანგმა შეყარა დიდი ჯარი და იმერეთისაკენ დაიძრა 1661 წელს. ვახტანგის მხარეზე დადგნენ იმერეთის ძლიერი თავადები: პაატა აბაშიძე (ზემო იმერეთის თავკაცი), რაჭის ერისთავი პაპუნა, თავი ლეჩხუმისა ლაშხიშვილი ხოსია და იმერეთის ბევრი წარჩინებული თავადი. თავის მხრივ ვამიყ დადიანმაც შეკრიბა ჯარი და იმერეთში შემოსულ ქართლის მეფეს საჩხერესთან დახვდა, მაგრამ შებრძოლება ვერ გაბედა და ოდიშში დაბრუნდა.[3] ვახტანგ მეფემ აიღო იმერეთის ციხეები სვერი და კაცხი;[4] სკანდის ციხეში მყოფმა თეიმურაზმა მოციქულები აახლა ქართლის მეფეს და ირანის შაჰთან შერიგების შუამდგომლობა სთხოვა.[5] ვახტანგს ეს ამბავი გაეხარდა, თეიმუ-

---

[1] თავადურ გათიშულობას, — აღნიშნავს ო. სოსელია, — რაჭის ერისთავები XVII საუკუნის II ნახევარში იწყებენ. ამას ხელი შეუწყო იმ პოლიტიკურმა არეულობამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმერეთში ალექსანდრე III-ის სიკვდილის შემდეგ (1660 წ.). XVII საუკუნის 60-იანი წლების მიწურულიდან რაჭის ერისთავები (პაპუნა პირველი — 1651-1660 წწ., შოშიტა II—1661—1684 წწ., პაპუნა II—1684—1696 წწ., შოშიტა III—1696—1731 წწ.) შეუნელებლად ებრძვიან ცენტრალურ ხელისუფლებას. ამ ბრძოლაში მათ მხარეზეა აბაშიძე, დადიანი, გურიელი (დრო-და-დრო) და ზოგი სხვა თავადიც (იხ. ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 119).

[2] ნ. ასათიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 50.

[3] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 836.

[4] იქვე.

[5] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 63.

რაზი დიდის პატივისცემით მიიღო, ქართლში გადაიყვანა,[1] და სამი თვის შემდეგ ირანში გაისტუმრა.[2] მოხუცებულ მეფეს, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ირანის წინააღმდეგ ბრძოლას შეალია, იმედი ჰქონდა, რომ ირანის შაჰი შეიწყნარებდა და კახეთის სამეფოს მის შვილიშვილს — ერეკლეს მისცემდა.

ვახტანგ მეფემ ქუთაისი უბრძოლველად დაიკავა, შემდეგ ოდიშისაკენ გაილაშქრა და ზუგდიდი აიღო. ვამიყ დადიანი ცოლ-შვილით სვანეთში გაიქცა და ჭაქვინჯის ციხეს შეაფარა თავი. მეფემ ოდიშის მთავრად დასვა ლევან დადიანის ძმისშვილი შამადავლე იოსების ძე.[3] მან სახელი გამოიცვალა და ბიძის პატივსაცემად ლევან III-ედ იწოდა. ვახტანგმა ლევანს ცოლად შერთო თავისი ძმისშვილი თამარი, განსაცვიფრებელი სილამაზის ქალი, რომელიც ათეული წლების მანძილზე დასავლეთი საქართველოს მეფე-მთავართა საცილობელ საგნად იქცა[4], და რომლის გამოც ბევრი სისხლი დაიღვარა.

ვახტანგ მეფის ბრძანებით, ხოსია ლაშხიშვილმა ვამიყ დადიანი შეჩენილ კაცებს მოაკვლევინა (1661 წ.).[5]

ვახტანგი ქუთაისში დაბრუნდა, აქ მას დიმიტრი გურიელი ეახლა და მორჩილება ეანუცხადა. ქართლის მეფემ იმერეთის ტახტზე თავისი 14 წლის შვილი არჩილი დასვა,[6] შემოუმტკიცა იმერეთი, მრჩევლად „მიუჩინა“ ხოსია ლაშხიშვილი, ციხიდან გამოიყვანა უსინათლო მეფე ბაგრატ IV და ქართლში დაბრუნდა იმერთა ყოფილი მეფითურთ (1661 წ.).

დასავლეთ საქართველოში შაჰნავაზის შესვლა და მის მიერ არჩილის გამეფება ფაქტიურად წარმოადგენდა სპარსეთის შაჰის მოადგილის მიერ ოსმალეთის გავლენაში მყოფი ქვეყნების შინაურ საქმეში ჩარევას. ახალციხის გამგებელმა ასლან-ფაშამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა დასავლეთი საქართველოს სამეფო-სამთავროების თვალყური, სასწრაფოდ აცნობა ეს გარემოება თურქეთს.

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 63.

[2] თ. ტივაძე, მე-17 საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან, მაცნე, 4, 1971, გვ. 50;

ფ. გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 64;

ვ. ფუთურიძე, მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 397.

[3] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 836.

[4] ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, ტფ. 1922, გვ 62.

[5] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 836.

[6] იქვე.

1555 წლის ამასიის ზავით დადგენილი ირან-ოსმალეთს შორის ურთიერთობის ფორმულა (ირანი ცნობს ოსმალეთის „უფლებას“ დასავლეთ საქართველოზე, ხოლო ოსმალეთი სცნობს ირანის „უფლებას“ აღმოსავლეთ საქართველოზე) სერიოზულად ართულებდა საქართველოს მდგომარეობას.

ორივე მხარე პირობას დებდა, რომ არ ჩაერეოდნენ ერთმანეთის წილხვდომილი ქვეყნის საქმეებში და ხელს არ შეუშლიდნენ ერთმანეთს თავიანთი „უფლების“ განხორციელებაში. „ირანსა და თურქეთს შორის დადებულ ზავს, — წერს ნ. ბერძენიშვილი, — საქართველოსათვის ჰქონდა განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა. ის გარკვეულად ეწინააღმდეგებოდა საქართველოს გაერთიანებას, ამის შემდეგ ყოველი მისი ნაწილის ბრძოლა დამპყრობლებთან მიმდინარეობდა შეუდარებლად მძიმე პირობებში. მანამ, ვიდრე თურქეთი და ირანი იცავდნენ 1555 წლის საზავო ხელშეკრულების პირობებს, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ქართულ სამეფოებს არ უნდა ჰქონოდათ დახმარების იმედი ამ მოქიშპე სახელმწიფოებისაგან; ისინი მთლიანად დამოკიდებული რჩებოდნენ საკუთარ სუსტ ძალებზე. გასაგებია, რომ თურქეთისა და ირანის მიერ ქართული სამეფოების და სამთავროების დაპყრობა უფრო წარმატებით მიმდინარეობს 1555 წლის შემდეგ“.[1]

ამიერიდან ირანი და ოსმალეთი ეპვის თვალით უყურებდნენ დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველოს მეფე-მთავრების კავშირ-ურთიერთობას და განიხილავდნენ მას როგორც „მტრულ მოქმედებას“ ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ. 1639 წლის ზოჰაბის ზავით ირან-ოსმალეთმა 1555 წლის ამასიის ზავის მსგავსად საქართველო ისევ გავლენის სფეროებად გაიყვეს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სამცხე-საათაბაგო, როგორც 1555—1639 წლებში მთლიანად ოსმალთა მიერ დაპყრობილი, ირანმა თურქეთის კუთვნილებად ჩათვალა. ოსმალეთმა სამცხე-საათაბაგო საბოლოოდ მოგლიჯა საქართველოს და XVII საუკუნის მეორე მეოთხედში თავის ადმინისტრაციულ ერთეულად აქცია. ამიერიდან ახალციხის საფაშო იქცა საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ ოსმალეთის აგრესიული პოლიტიკის ფორპოსტად.

ამრიგად, ირან-ოსმალეთის 1639 წლის საზავო ხელშეკრულება ისევ აკანონებდა საქართველოს პოლიტიკურ დაშლილობას და აფერხებდა აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველოს მეფე-მთავართა დაახლოებას.

---

[1] Н. Бердзенишвили. Очерк, с. 26—27.

ზოჰაბის ზავამდე, 1634 წელს, სტამბოლში მიიღეს ცნობა საქართველოს შესახებ, სადაც აღნიშნული იყო ქართლის მეფის როსტომ-ხანის და ლევან დადიანის შეხვედრის ამბავი. თურქი ისტორიკოსის ნაიმას ცნობით, როსტომ მეფემ ცოლად შეირთო დადიანის ქალიშვილი (უნდა იყოს და), რომ თეიმურაზი იმერეთიდანაც გადაიხვეწა, ხოლო როსტომ მეფე (ხოსრო მირზა)[1] დადიანისა და გურიელის დახმარებით, 30000 ყიზილბაშით აპირებს შავი ზღვის ნაპირზე გაჭრას, გონიის და ტირებოლუს მიმართულებით.[2]

ნაიმას ცნობიდან ირკვევა, რომ ქართლის მეფისა და სამეგრელოს მთავრის დამოყვრება ოსმალეთში მიაჩნდათ მის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკურ აქტად. ანგარიშგასაწევი იყო აგრეთვე კაზაკების გააქტიურება შავ ზღვაზე. აღნიშნული ფაქტები სტამბოლში ანტიოსმალური კოალიციის შექმნის ეჭვს ბადებდა.

მართალია, ირანის უახლოესი მიზანი ამ დროს იყო არა შავ ზღვაზე გაჭრა, არამედ დადიანისათვის იმერეთის სამეფოს წინააღმდეგ დახმარების გაწევა,[3] მაგრამ კაკას ხიდთან შემდგარი პაემანი ოსმალეთში გაიგეს შაჰის ჩარევად დასავლეთი საქართველოს („სულთნის სამფლობელოს") საქმეებში.[4]

ზოჰაბის ზავის შემდეგ, როდესაც ვახტანგ V-მ 1661 წელს იმერეთის ტახტზე აიყვანა თავისი შვილი არჩილი, სულთანმა ვახტანგ V-ის მოქმედება შეაფასა ირანის აგრესიად თავისი სამფლობელოს მიმართ. მან იმერეთში სალაშქროდ გაგზავნა ახალციხის, ყარსისა და არზრუმის ფაშები, რომელთაც სულთანის უფლება უნდა აღედგინათ დასავლეთ საქართველოში. ამის გარდა, ოსმალეთის მთავრობამ ელჩი მიავლინა სპარსეთში და ზავის დარღვევის გამო პროტესტი განუცხადა ირანის შაჰს. მოჰამედ თაჰერის ცნობით, შაჰმა „...ბრძანა, რომ შაჰნავაზ-ხანმა (ვახტანგ V-ემ) ხელი აიღოს ხსენებულ „ოლქზე" და არჩილ-ხანი იმ ხალხთან ერთად, რომელიც იქ (იმერეთში) ჰყავს დატოვებული, უკან გამოიწვიოს, და რადგანაც ის ქვეყანა ოსმალეთის დიდებული ხელმწიფის ხელქვეითი

---

[1] ხოსრო-მირზა (1632-1658 წ.წ.) — დაუთ-ხანის უკანონო შვილი, სპარსეთში აღზრდილი, პირველი გამაჰმადიანებული ბაგრატიონი, რომელმაც 1632 წელს სპარსეთის ჯარის დახმარებით განდევნა თეიმურაზ I, დაიკავა ქართლის ტახტი და იწოდა როსტომ-ხანად (მეფედ).

[2] მუსტაფა ნაიმა, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსცა ნოდარ შენგელიამ, თბ., 1979, გვ. 190—191.

[3] კ. გრიგოლია, ილორის წმინდა გიორგის ხატის წარწერა, ენიმკის მოამბე, ტ. XIII, 1942, გვ. 154.

[4] მუსტაფა ნაიმას დასახ. ნაშრ. გვ. 190--191.

არის, ზავი და კეთილსათნოება ამ ორ მხარეს (ე. ი. ირანსა და ოსმალეთს — შ. რ.) შორის მტკიცეა, ამიტომ გაუშვას ისინი და როგორც უნდათ ისე მოიქცენონ. შაჰნავაზ-ხანი ბრძანების შესაბამისად მოიქცა".[1]

ამრიგად, ოსმალეთმა არ დაუშვა ქართლის პოლიტიკური გავლენის გავრცელება დასავლეთ საქართველოზე. ირან-ოსმალეთის 1555 და 1639 წლების საზავო ხელშეკრულებები არ დარღვეულა 1723 წლამდე. XVIII საუკუნის დასაწყისში ოსმალეთმა ერთხელ კიდევ სცადა აღმოსავლეთ საქართველოს დამორჩილება და იქიდან ირანის განდევნა, მაგრამ ნადირ-შაჰმა კვლავ აღადგინა ირანის უფლება აღმოსავლეთ საქართველოზე 1746 წელს; ამდენად, სანამ ირან-ოსმალეთის ეს ხელშეკრულება ძალაში რჩებოდა, საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება არ ხერხდებოდა.

მოჰამედ თაპერის ცნობას ფარსადან გორგიჯანიძეც ადასტურებს და აღნიშნავს: „ურუმთაგან (ოსმალეთიდან — შ. რ.) ჩაფარი მოვიდა: ჩვენსა და თქვენს შეა წყობა არისო, შაჰნავაზ ხანს იმერეთი რისთვის დუჭირავსო, ოდიშს შიგ ცოლისძმა დადიანად დაუსვამსო და იმერეთში შვილი გაუბატონებიაო. არ ვიცითო, თქვენის ბრძანებით უქნიაო, თუ თავისის ძალითაო. ამათ ასრე მისწერეს: დაუშავებიაო და ჩვენ გადავახდევინებთო. ამირ ჰანზა ხან თალიში გაგზავნეს, იმერეთი დაუცალეს და მეფის შვილი არჩილი და გივი ამილახორი მაზანდარას ყაენთან მოვიდნენ, კარგად დახვედა და მრავალი წყალობა დამართა და ორნივ დაათათრა და კახეთი არჩილს უბოძა და შაჰნაზარ ხან დაარქვა... და კახეთს გაგზავნა. ქართლში მამა მეფობდა და კახეთში შვილი ბატონობდა".[2]

რა თქმა უნდა, ირანის შაჰს ქართლის მეფის ასეთი გაძლიერება არ მოსწონდა, ამიტომ იყო, რომ როცა თურქეთმა მოითხოვა იმერეთიდან არჩილის გაყვანა, ვახტანგმა ეს სწრაფად შეასრულა — „მოუწერა ყეენმან ვახტანგ მეფესა და მან წარიყვანა ძე თვისი არჩილ".[3]

არჩილის მეფობა იმერეთში ხანმოკლე აღმოჩნდა — ორწელიწადნახევრის შემდეგ, 1663 წელს, შაჰის ბრძანებით, იგი იძულებული გახდა დასავლეთი საქართველო დაეტოვებინა. სამაგიეროდ სპარსეთის სამეფო კარმა არჩილ მეფეს კახეთის ტახტი უწყალობა 1664 წელს. ხოლო კახეთის ტახტზე რომ მტკიცედ მჯდარიყო, ამი-

---

[1] ვ. ფუთურიძე, მოჰამედ თაპერის ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1954, გვ. 403.

[2] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 64.

[3] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 837.

სათვის მან ცოლად შეირთო თეიმურაზის შვილიშვილი ქეთევანი (ბაგრატ IV-ის ცოლყოფილი), რომელიც იმხანად ახალციხეში იმყოფებოდა მძევლად. ვახტანგ V-მ 20.000 მარჩილი გადაუხადა ახალციხის ფაშას და ქეთევანი გამოისყიდა.[1]

იმერეთიდან არჩილ მეფის წასვლის შემდეგ იმერეთის სამეფო ტახტი ერთ ხანს თავისუფალი იყო; ვინც მეტ „ქრთამს" გაიღებდა, თურქთა მბრძანებელიც მას გაამეფებდა; ახლაც ასე შოხდა, დემეტრე გურიელმა შეძლო სულთანის გულის მონადირება და სამეფო გვირგვინს დაეუფლა. სულთანის ბრძანებით, ახალციხის ფაშა არზრუმის და ყარსის საფაშოების ჯარით დასავლეთ საქართველოში გადავიდა და ხონთქრის სახელით იმერეთში მეფედ დასვა დიმიტრი გურიელი, ოდიშის მთავარი ლევან III დადიანი გადააყენა, როგორც შაჰ-ნავაზის მიერ დანიშნული პირი და დადიანობაც დიმიტრი გურიელს მისცა, ამის შემდეგ დიმიტრი იწოდებოდა მეფედ, დადიანად და გურიელად.[2]

დიმიტრი გურიელს იმერეთის ტახტზე დიდხანს არ უმეფია, როგორც კი თურქთა ჯარმა იმერეთის ტერიტორია დაცალა (1663 წ.), იმერეთის თავადებმა იმერეთის სამეფო ტახტიდან გააძევეს, ხოლო იმავე თავადების თხოვნით, ვახტანგ მეფემ იმერეთის ტახტზე ისევ ბაგრატ IV დაბრუნა (1663 წ.), როშელიც ქართლში ჰყავდა შინაპატიმრობაში. მას საცოლედ თავისი ძმისშვილი თათია — თამარის და — გამოატანა. როგორც ჩანს, ამ დამოყვრებით ვახტანგ მეფე ცდილობდა დასავლეთ საქართველოში თავისი გავლენის შენარჩუნებას, მაგრამ ფეოდალურმა შინაომებმა, რაც ისევ დიდი ძალით გაღვივდა დასავლეთ საქართველოში, თავდაყირა დააყენა ვახტანგის ჩანაფიქრი.

დიმიტრი გურიელის განდევნისა და ბაგრატ IV-ის გამეფების შემდეგ გურიელად დაჯდა გიორგი ქაიხოსროს ძე, ხოლო ლევან III დადიანმა ისევ დაიბრუნა ოდიშის მთავრობა.[3]

ლევან დადიანმა, რომელიც შაჰ-ნავაზს ენათესავებოდა, არ ინება ბაგრატის გამეფება იმერეთის ტახტზე და ომი აუტეხა მას. ამ ომში ლევან დადიანი დამარცხდა, იგი დაატყვევეს. ვახუშტი ასე აღწერს ამ ომს: ლევან დადიანმა „შემოიკრიბნა სპანი და მოვიდა, მიეგება ბაგრატ სპითა, ეკუეთა და იქმნა ბრძოლა; იძლია დადიანი,

---

[1] ა. ბარამიძე, ნარკვევები..., II, გვ. 165—166.

[2] ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, თბ., 1922, გვ. 62.

[3] ს. კაკაბაძე დასახ. ნაშრ., გვ. 62.

შეიპყრეს და მოართვეს ბაგრატს, ხოლო სპანი მისნი მოსრნეს და ტყუე-ყვნეს".[1]

შინა ომები რომ შეწყვეტილიყო, იმერეთის თავკაცებმა ქათალიკოს სვიმონ ჩხეტიძის მეთაურობით უცნაურ საშუალებას მიმართეს: მათ ლევან დადიანი დააშორეს თავის ცოლს — თამარს და ეს უკანასკნელი ბაგრატს შერთეს, ხოლო ლევანი ბაგრატის დაზე — თინათინზე — გოშაძის ნაცოლარზე დააქორწინეს.[2] ვახუშტი აღნიშნავს: მეფემ დადიანს „მოაყვანინა ცოლი თამარ, წარგვარა მას და შეირთო თვით ბაგრატ ცოლად, და განუტევა თითია დაჲ თამარისა, რომელი მისცა შანაოზ, რაჟამს წარმოგზავნა იმერეთს, ჯერეთ უქორწინო და ლევან დადიანს მისცა დაჲ თვისი გოშაძის ნაცოლარი".[3]

ბაგრატ მეფემ დადიანს ქორწილი გადაუხადა და ისევ დადიანად გაუშვა ოდიშს.

ბაგრატს ახალი მეტოქე გამოუჩნდა გიორგი გურიელის სახით (1664—1684 წ.წ.). გიორგი გურიელი ვახუშტის დახასიათებით „იყო კაცი მხნე, შემმართებელი, შვილდოსან-მოასპარეზე რჩეული, უღრმთო, მესისხლე და ტყვის მყიდველი უწყალო".[4] ეს გიორგი გურიელი „ეტრფიალა ცოლსა ბაგრატ მეფისასა თამარს, მცდელობდა წაგურასა და თვით შერთვასა და ვერ ეწია. ამისთვის ევედრა (ახალციხის — მ. რ.) ფაშასა, რათა წარგუაროს ბაგრატ მეფესა და მისცეს მას და აღუთქუა ქრთამი დიდი".[5] ცოლის წართმევასთან ერთად გურიელი იმერეთის ტახტის მიტაცებასაც მცდელობდა, მაგრამ ვერც ერთს ეწია და ვერც მეორეს. ბაგრატ მეფეს რომ თავიდან მოეცილებინა ჯიუტი მოძალადე, „ეზრახა გიორგი გურიელსა და მისცა ასული თვისი დარეჯან ცოლად, ნაშობი თამარისაგან"[6] (1674). ურთიერთდამოყვრების ნიადაგზე მეფე-მთავარს შორის მშვიდობიანობა დამყარდა.

მეორედ გამეფებიდან ბაგრატმა 7 წელი[7] გაძლო ტახტზე, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში არ შეწყვეტილა სისხლისმღვრელი შინაფეოდალური ომები, რომელთა ერთ-ერთი მიზეზი თვით თამარი იყო, რომელიც ნ. ასათიანის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მეფე-მთავ-

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 837.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 351.

[3] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 837. იხ. აგრეთვე ნ. ასათიანი, მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1973, გვ. 51—52.

[4] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 840.

[5] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 837; ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 62,

[6] იქვე, გვ. 842.

[7] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 351.

რებს შორის ატეხილ ომში იგი ხელიდანხელში — დამარცხებულიდან გამარჯვებულზე გადადიოდა. მისი დაკარგვით გახელებული ლევან დადიანი თუ მისი სილამაზით მოხიბლული გიორგი გურიელი გააფთრებით ებრძვიან უსინათლო ბაგრატს და პირველ რიგში ამ თამარის დაუფლებას ცდილობენ. ასე, რომ სვიმონ კათალიკოსისა და იმერეთის სხვა თავკაცების მიერ განხორციელებულმა ზემოთ აღნიშნულმა „ორიგინალურმა" საქორწინო მანიპულაციამ იმერეთში შინა ომი კი არ ჩააქრო, არამედ შემდეგ წლებში კიდევ უფრო მეტი ძალით აღაგზნო".[1]

ქრონიკებში დაცული ერთი გუჯარი გელეონ გენათელისა, რომელიც 1664 წლით თარიღდება, აღნიშნავს: „წილად ხდომილი ერი შენი ესრეთ იწროებასა, ოხრებასა და მწუხარებასა შინა იყო ხუთს წელიწადს, რომ ესე ვითარი არა ოდეს მისულიყო ესრეთი შფოთი და ურვა".[2]

ამ პერიოდში დასავლეთ საქართველოს მდგომარეობას ვახუშტი შემდეგნაირად ახასიათებს: „ყამეთა ამათ შინა განდიდნენ მთავარნი და მიიტაცებდიან თვის-თვისთა მხარეთა და არღა-რა იყო მორჩილება ეგდენი მეფეთა; იწყეს ტყვის ყიდვა საჯმნოდ ქრისტეს მოსყიდულთა მაჰმადიანთა ზედა. კუალად ხდომა, შფოთი, კირთება ერთმან მეორესა ზედა და ოხრება ქუეყანათა".[3]

დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების მდგომარეობა თანდათან გაუარესდა, უსინათლო მეფეს ახლა სახლთუხუცესი სეხნია ჩხეიძე გადაუდგა, 1666 წელს ოსმალთა ჯარი მოიყვანა და ქუთაისის ციხეში ჩააყენა: „მოიყვანა სპანი ოსმალთა, მოიპარა ციხე ქუთათისისა და შეაყენნა ოსმალნი".[4]

მომდეგნო 1667 წელს მოურავმა ბეჟან ლორთქიფანიძემ ქუთაისის ციხე ისევ აიღო და მეფე ბაგრატს გადასცა: „მოურავმან ბეჟან ლორთქიფანიძემან, შეეტყუა ქუთათისს ციხესა, მოსრნა ოსმალნი და აღიღო ციხე".[5] ამ გარემოებით ისარგებლეს ბაგრატის მტრებმა და ახალციხის ფაშა მის წინააღმდეგ წააქეზეს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეამბოხე მთავრებს დარეჯან დედოფალი ციხეში ჰყავდათ გამოკეტილი. დედოფალი, რომელიც აქამდე რუსული ორიენტაციის მომხრე იყო, იძულებული გახდა დახმარებისათვის ისევ თურქეთის ჯარის სარდლისათვის მიემართა,

---

[1] ნ. ასათიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 59.
[2] თ. ეორდანია, ქრონიკები, I, გვ. 481.
[3] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 838.
[4] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 838.
[5] იქვე.

რომელიც წარმოშობით ქართველი ყოფილა (ბერი ეგნატაშვილის მიხედვით, ეს ასლან-ფაშა იყო სამცხის მთავრის როსტომ-ფაშის შვილი); დარეჯანმა მას თავისი ნათესავიც კი შერთო ცოლად, რომ ტყვეობიდან ეხსნა თავი.

დიდძალი ფულის მიღებისა და დანათესავების შემდეგ ასლან-ფაშა თურქთა ჯარით გადავიდა იმერეთში, ტყვეობიდან გაათავისუფლა დარეჯან დედოფალი მის ძმისწულ ქეთევანთან ერთად და თავისთან იახლა. ამის შემდეგ დარეჯან დედოფალი თურქეთის დახმარებით ტახტის დაბრუნებას ცდილობს.[1] მან ფაშას 20000 მარჩილი აღუთქვა, თუ მას და მის ქმარს უსინათლო ვახტანგ ჭუჭუნიასშვილს გაამეფებდა. 1668 წელს ახალციხის ფაშა მართლაც ჩავიდა იმერეთში თურქთა ჯარით. მას მიეგებნენ დადიან-გურიელი და სეხნია ჩხეიძე. ბაგრატ IV ლეჩხუმში გადაიხვეწა. იმერეთის ტახტზე კვლავ „დასვეს დარეჯან და ვახტანგ მეფედ“, ხოლო ოსმალთ „მოსრნეს, მოსტყუეენნეს იმერეთი, შემუსრნეს მრავალნი ხატნი და ჯუარნი, მოწუეს ქუეყანანი და ეკლესიანი“.[2] თურქთა ჯარი აუარებელი ტყვით დაბრუნდა უკან.

ქუთაისში დარეჯან დედოფლის გამეფების შესახებ ფარსადან გორგიჯანიძეც გვაწვდის შემდეგ ცნობას: „დარეჯან დედოფალი ახალციხეს იყო და თავისი ძმისწული ქეთევან დედოფალი გვერც იახლა და მრავალი მურასა იარაღი და თვალ-მარგალიტი ჰქონდა, ფაშას ქრთამათ მისცა და ბაგრატს იმერეთი წაართვეს, დარეჯან დედოფალს მისცეს, ბაგრატ ლეჩხუმს გაეცალა“.[3] თურქთა ჯარის მიერ იმერეთის სასტიკად დარბევისა და აოხრების ფაქტს ბაგრატ მეფის და იმერეთ-რაჭა-ლეჩხუმის სარდალი დიმიტრიც აღნიშნავს 1669 წელს რუსეთში გაგზავნილ წერილში: „...და ქუთათის, დიდი დედაქალაქი, ციხე და მონასტერი თათრითა და მოლით საესე იყო და პატიოსანი ხატი და ჯვარი დასთხარეს. ოქრო და ვერცხლი დაადვნეს და თან წაიღეს და ზოგი წაასვენეს და სასახსროდ დაატყვევეს“.[4]

---

[1] ნ. ასათიანი, მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1973. გვ. 50—51; „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით დარეჯანი და ქეთევანი ოლთისს იმყოფებოდნენ. იხ. ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 427; ხოლო მაკარიოსის და პაფლე ალეპოელის გადმოცემით დარეჯანი და ქეთევანი ერზრუმში იმყოფებოდნენ.

П. Жузе. Грузия в XVII столетии по избр. патриарха Макария, стр. 17.

[2] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 838.

[3] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 65.

[4] М. Броссе. Переписка..., გვ. 84—87.

დარეჯან დედოფალს დიდხანს არ უმეფია. ბაგრატ IV-ის მომხრეთ, გენათელის შეთაურობით, მას მიუჩინეს ხოსია ლაშხიშვილი, რომელიც დარეჯან დედოფალმა იშვილა ჩვეულების თანახმად ძუძუზე კბილის დაღებით და ფიცის წარმოთქმით; ამის შემდეგ დედოფალი ხოსიას ენდობოდა, მაგრამ მან ფიცი გატეხა და დედოფალი შუბით განგმირა, იქვე მოკლეს დედოფლის მეუღლე, უსინათლო ვახტანგ ჭუჭუნიას შვილი (1668 წ.).[1] ამ ფაქტს ფარსადან გორგიჯანიძეც ადასტურებს.[2]

დარეჯან დედოფლის სიკვდილის შემდეგ იმერეთის წარჩინებულმა ფეოდალებმა ბაგრატ IV-ც არ ინდომეს ტახტზე. მათ „მოიყვანეს გურიელი დემეტრე და დასვეს მეფედ"[3] (1668 წ.); თუმცა მათი არჩეული მეფეც ვერ მომაგრდა ტახტზე — ისევ იმ ფეოდალებმა, რომელთაც დედოფალი მოკლეს, „შემდგომად მცირედისა ჟამისა შეიპყრეს დემეტრე გურიელი იმერთა, აღმოხადნეს თუალნი და განაძეს"[4] (1669 წ.). ახალციხის ფაშამ გურიელად დასვა გიორგი ქაიხოსროს ძე,[5] ხოლო ბაგრატ IV-მ ისევ დაიბრუნა იმერეთის ტახტი (1669 წ.).

ახლად გამეფებულ ბაგრატ IV-ს კვლავ არ დაეშორჩილნენ სახლთუხუცესი სეხნია ჩხეიძე, ლევან III დადიანი და გიორგი გურიელი; სეხნია ჩხეიძემ ახალციხის ფაშის ჯარი ჩამოიყვანა და ქუთაისის ციხეში ჩააყენა. ამის შემდეგ ქუთაისის ციხეში მუდმივად იყო ოსმალთა გარნიზონი; მისი განდევნა მხოლოდ XVIII საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში მოხერხდა.[6]

ბაგრატ მეფესა და მის მოწინააღმდეგე პარტიას შორის ბრძოლა გარდუვალი გახდა. იმავე წელს (1669 წ.) სეხნია ჩხეიძემ შეკრიბა თავისი მომხრე ჯარი, მოკავშირედ იხმო ლევან დადიანი და გაემართა ბაგრატის წინააღმდეგ; თავის მხრივ, ბაგრატ IV-მ შემოიკრიბა რაჭა-ლეჩხუმ-ოკრიბის ჯარი; ბრძოლა მოხდა ჩხარს; ამ ბრძოლაში სეხნია ჩხეიძე მოკლეს, ხოლო ლევან დადიანი „ივლტოდა ოდიშსავე, და დაიპყრა ბაგრატ უმეტესად იმერეთი".[7]

ლევან დადიანმა ორი წლის შემდეგ კვლავ გამოილაშქრა ბაგრატის წინააღმდეგ. იმერეთის თავადთა უმრავლესობა დადიანის

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 839.
[2] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 65.
[3] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 839.
[4] იქვე.
[5] იქვე.
[6] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, გვ. 353.
[7] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 840.

მხარეზე გადავიდა, ბაგრატ მეფე იძულებული გახდა რაჭაში წასულიყო.[1] მან შემოიკრიბა რაჭა-ლეჩხუმის ჯარი და „რაოდენიმე იმერნი." ბრძოლა მოხდა გეგუთში (1671 წ.). ამ ბრძოლაში დადიანი ისევ დამარცხდა: „მოსრნეს სპანი მისნი და ლტოლვილი დადიანი შეიპყრეს კვალად და მის-თანა მრავალნი სხვანი.[2]

დატყვევებული დადიანი ბაგრატმა ფიცით შემოიმტკიცა (ვინაიდან „ჰყვა მისი და ცოლად დადიანსა")[3] და ოდიშში გაუშვა. გიორგი გურიელი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ეტრფიალებოდა" ლევან III-ის ნაცოლარს, იმჟამად ბაგრატ IV-ის ცოლს ულამაზეს თამარს და უნდოდა მისი წართმევა. მან ახალციხის ფაშას დიდძალი ქრთამი მისცა „რათა წაგვაროს ბაგრატ მეფესა (თამარი) და მისცეს მას". ამასთან ერთად, „შეასმინა" მის წინაშე ბაგრატ მეფე. 1672 წელს გურიელი თურქთა ჯარით იმერეთში შემოიჭრა.

გიორგი გურიელმა და ახალციხის ფაშამ უსინათლო ბაგრატ მეფე დაამარცხეს და ტყვედ ჩაიგდეს.

გიორგი გურიელი საწადელს მაინც ვერ ეწია, ვინაიდან ბაგრატმა დედოფალი თამარი კვარას ციხეში გახიზნა, რის აღებაც თურქებმა ვერ შეძლეს.[4]

ბაგრატმა „ფაშას აღუთქვა დიდი ქრთამი, რათა ჰყოს იგივე მეფედ.[5] ფაშამ „მიიღო მეფისა და გურიელისაგან ქრთამი დიდი, მისცა იმერეთი ბაგრატსავე,"[6] ხოლო ბაგრატმა მას მძევლად მისცა თავისი უკანონო ძე ალექსანდრე.[7]

იმერეთში ლაშქრობის შემდეგ ახალციხის ფაშა თურქთა ჯარით გიორგი გურიელთან ერთად ოდიშის სამთავროს შეესია და შინაომებით ისედაც გაპარტახებული მხარე მთლად აიკლო. ჟან შარდენი, რომელიც ამ დროს (1672 წ.) სამეგრელოში იმყოფებოდა, აღნიშნავს: „ჩემს გაოცებას და მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც გავიგე, რომ თურქები და გურიის მთავარი თავიანთი ჯარებით სამეგრელოს დასალაშქრავად მოეშურებოდნენ, თითოეულ მათგანს იარაღი აეღო ხელში და იწყებდა ბრძოლას; ისინი ძარცვავდნენ თავიანთ მეზობლების სახლებს და ყველგან, სადაც

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 840.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 841.
[5] იქვე.
[6] იქვე.
[7] იქვე.

კი წააწყდებოდნენ, იტაცებდნენ ადამიანებს და პირუტყვს".[1] ჟან შარდენი, რომელიც იძულებული გახდა მეგრელებთან ერთად გახიზნულიყო, თავისი თვალით ნანახს ასე გადმოგვცემს: „მძიმე სანახავი იყო, თუ როგორ გარბოდა ეს უბედური ხალხი. დედაკაცებს მიჰყავდათ ბავშვები და მიჰქონდათ ფუთები, მამაკაცებს კი ბარგი. ერთნი საქონელს მიერეკებოდნენ, მეორენი საოჯახო ნივთებით სავსე ურიკას მიაგორებდნენ. გზაზე გვხვდებოდნენ ძალაგამოლეული ცოცხალ-მკვდარი ადამიანები. გვხვდებოდნენ მოხუცები, პატარა ბავშვები, რომლებსაც სიარული არ შეეძლოთ და საშინელი კვნესა-ტირილით ითხოვდნენ შველას".[2] უფრო საზარელი სანახავი იყო, რომ ერთ-ერთ ციხეში შეხიზნულ ხალხს ოსმალებმა მცველები დაუყენეს, „ოცდახუთი მონა და რვაასი ეკიუს" მიცემა მოსთხოვეს,[3] „ყველა ოჯახიდან, სადაც ოთხი ბავშვი ჰყავდათ, ერთი მათ მიჰყავდათ. ეს იყო მეტად გულსაკლავი სანახაობა, როგორ გლეჯდნენ დედას მკლავებიდან სპბრალო ბავშვებს, კრავდნენ მათ ორ-ორად და მიჰყავდათ თურქებთან".[4]

ჟან შარდენის გადმოცემით „რუხის (ციხესთან) ოთხი დღის დგომის შემდეგ, თურქებმა ორი ათასზე მეტი ტყვე წაიყვანეს და დიდი ნადავლით წავიდნენ".[5]

1674 წელს პატრი ძამპი რომს გაგზავნილ წერილში წერს: „სამეგრელო სამეგრელო აღარ არის, რადგან ომების გამო უკანასკნელ სიგლახაკეშია ჩავარდნილი, დაქცეული და აოხრებულია. აღარავის ჰყავს საქონელი და ყველას სარჩო აკლია... ახლა კაცს აღარ შეუძლია უშიშრად იყოს".[6]

თურქთა წასვლის შემდეგ (1672 წ.) ბაგრატ მეფემ იმავე წელს „შურისგების მიზნით" გაილაშქრა გურიელის წინააღმდეგ, დაამარცხა, აოხრა გურია და ალაფით დატვირთული ქუთაისში დაბრუნდა.[7]

1674 წელს ბაგრატ მეფემ ქუთაისის ციხე აიღო, სადაც ოსმალთა გარნიზონი იყო ჩაყენებული. ციხის დაკარგვით თურქეთი კარგავდა ძირითად დასაყრდენს იმერეთში, ამიტომ ახალციხის ფაშამ

---

[1] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 206.

[2] იქვე, გვ. 231.

[3] იქვე, გვ. 250.

[4] იქვე.

[5] იქვე.

[6] მ. თამარაშვილი, კათოლიკობა ქართველთა შორის, თბ., 1902, გვ. 204.

[7] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 841.

ბაგრატს მძევლად წაყვანილი ტახტის მემკვიდრის — ალექსანდრეს დაბრუნება. აღუთქვა, თუ ქუთაისის ციხეს უკან დაუბრუნებდა. იმერნი თათბირის შემდეგ ამ პირობაზე დათანხმდნენ და ციხე ისევ თურქებს გადასცეს.[1]

ალექსანდრე III გარდაცვალების შემდეგ მძიმე საშინაო მდგომარეობის გამო იმერეთ-რუსეთის ურთიერთობა ერთხანს შეწყვეტილი იყო, მაგრამ დარეჯან დედოფალყოფილმა, რომელიც ახალციხის ფაშას საპატიო ტყვედ ითვლებოდა, 1667 წელს ახალციხიდან რუსეთში ელჩად გაგზავნა თავადი ივანე ჭიჭინაძე ერთი კაცის თანხლებით. ყოფილი დედოფალი რუსეთის სამეფო კარს თხოვდა, რომ ერეკლე ბატონიშვილს გამოქომაგებოდა ირანის შაჰთან, რათა ერეკლე თავის სამემკვიდრეოზე დაებრუნებია. რუსეთის სამეფო კარმა თხოვნა არ შეისმინა და დედოფლის ელჩი 1668 წელს გულცივად გაისტუმრეს საქართველოში.[2]

იმავე 1667 წელს იმერეთის მეფის ბაგრატ IV-ის ოთხკაციანი ელჩობა ეწვია რუსეთის სამეფო კარს. მათ მეფე ალექსი მიხეილის ძეს მიართვეს ბაგრატ IV წერილი, სადაც აღნიშნული იყო ალექსანდრე მეფის გარდაცვალების შემდეგ დატრიალებული ტრაგედია და მოახსენეს, რომ იმერეთის მეფე ბაგრატ IV რუსეთის ქვეშევრდომობაში აყვანასა და მტრების წინააღმდეგ დახმარების გაწევას სთხოვდა და რუსეთის ხელისუფლება რომ დაინტერესებია, იმერთა მეფე ელჩების გაგზავნას და დასავლეთ საქართველოს დათვალიერებას ურჩევდა.[3]

იმერეთის ელჩობა დიდი პატივისცემით მიიღეს, სათხოვარი მოისმინეს, საპასუხო ელჩობის გაგზავნას დაპირდნენ და დიდად დასაჩუქრებული სამშობლოში გამოისტუმრეს 1668 წელს.[4]

საქართველოში დაბრუნებულ ელჩებს დარეჯან დედოფალი ქმრითურთ მკვდარი, ხოლო ბაგრატი ისევ მეფის ტახტზე მჯდომი დახვდათ.

როგორც ჩანს, დარეჯან დედოფლის ელჩობის ყოფნამ რუსეთში, იმერეთის მეფის მომხრეთა პარტია დიდად შეაშფოთა, მათი ვარაუდით შესაძლებელი იყო რუსეთს იმერეთის ტახტზე ერეკლე ბატონიშვილი გამოუგზავნა. ეს რომ არ მომხდარიყო, ბაგრატ მე-

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 841.

[2] დაწვრილებით იხ. დ. კაჭარავა, „საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა და რუსეთთან ურთიერთობის საკითხები XVII ს. II ნახევარი, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1968.

[3] თ. ტ ი ვ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 362—364.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 364—366.

ფემ იმავე 1668 წელს ისევ აწვია რუსეთის სამეფო კარს 26 კაცისაგან შემდგარი ელჩობა. ეს ელჩობა 1669 წელს ჩავიდა მოსკოვში, სამეფო კარს მოახსენა დასავლეთ საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობა და სამხედრო დახმარება სთხოვა.[1]

იმერეთის ელჩობამ 13 თვე დაჰყო გზაში. ამ დაყოვნებას თ. ტივაძე იმერეთის მეფისადმი რუსეთის უარყოფითი დამოკიდებულებით ხსნის, რასაც ერეკლე ბატონიშვილს მიაწერს, რომელმაც მიაღწია მას, რომ რუსეთის სამეფო კარს ბაგრატ IV იმერეთის კანონიერ მეფედ არ ეცნო.[2]

როგორც თ. ტივაძე წერს, ბაგრატის პირველი ელჩობის ჩასვლამ რუსეთში საფუძვლიანად შეარყია ბატონიშვილის იმედები. ამიტომ მას არ სურდა ბაგრატის დაკავშირება რუსეთთან. „ერეკლე ჯერ კიდევ ალექსანდრე III-ის სიცოცხლეშივე იყო მიჩნეული იმერეთის ტახტის მემკვიდრედ, მაგრამ სანამ რუსეთის დახმარებით კახეთის ტახტის დაბრუნების იმედი კიდევ არსებობდა, იმერეთში წასვლის საკითხი ისე მკვეთრად არ იდგა ერეკლეს წინაშე. 1660—1666 წლებში თუშეთში ყოფნამ და ვახტანგ V-ის მედგარმა წინააღმდეგობამ საბოლოოდ დაარწმუნა კახი უფლისწული, რომ ამ გზით მისი სამშობლოში ჩამოსვლა შეუძლებელი იყო. ამიტომ 60-იანი წლების მიწურულში იმერეთში გამეფება სამკვიდროს დაბრუნების ერთადერთ რეალურ საშუალებად იქცა და ერეკლეც უკვე მეტი ინტერესით ეკიდებოდა ამ საკითხს“.[3]

1669 წლისათვის პოლიტიკური სიტუაცია ერეკლე ბატონიშვილის სასარგებლოდ შეიცვალა. ამ დროისათვის ირან-რუსეთის ურთიერთობა თანდათან გაუარესდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ქართველი უფლისწულის რუსეთის სამეფო კარზე ყოფნა იყო. ამას კარგად გრძნობდნენ რუსეთის პოლიტიკური მესვეურნი და ცდილობდნენ ერეკლე ბატონიშვილის გარიდებას რუსეთის საზღვრებიდან.

ამ დროისათვის ერეკლე ბატონიშვილიც სურვილს გამოთქვამდა სამშობლოში დაბრუნებისას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი იმერეთის ტახტის დაკავებაზეც არ ამბობდა უარს. რუსეთის დიპლომატია ერეკლეს რუსეთიდან წასვლით ირანის გულსაც იგებდა და ბატონიშვილის სურვილსაც აკმაყოფილებდა. ამიტომ ბაგრატ

---

[1] დასახ. ნაშრ. გვ. 367:

[2] იქვე. გვ. 167; დ. კაჭარავა, დასახ. ნაშრ., გვ. 190—192.

[3] იქვე, გვ. 367.

IV-ის ელჩების ბედი ერეკლე ბატონიშვილს მიანდეს გადასაწყვეტად[1]

ერეკლე ბატონიშვილმა იმერთა მეფის პირველ ელჩს მიტროპოლიტ ევდემონს დარეჯან დედოფლის მოკვლაში მონაწილეობის მიღება, ხოლო მეორე ელჩს ეზეკიელს, როგორც კახელი ბაგრატიონების ყოფილ აზნაურს, ღალატი და მტრულ ბანაკში გადასვლა წაუყენა ბრალდებად.

რუსეთის სამეფო კარი არ მოერიდა საერთაშორისო ნორმების დარღვევას და იმერეთის 26 კაციანი ელჩობა რუსეთის შორეულ მონასტრებში პატიმრობაში გაგზავნეს. ამ აქტით რუსეთის სამეფო კარი ბაგრატ IV-ეს არ ცნობდა იმერეთის მეფედ და გზას მეფობისაკენ ერეკლე ბატონიშვილს უკაფავდა[2], თუმცა ამას რაიმე შედეგი არ მოყოლია.

იმერეთში არეულობა ისევ გრძელდებოდა, ბაგრატ IV ისევ ჩიხში მოემწყვდა. არჩილ მეფე ახალციხიდან, ხოლო გიორგი გურიელი გურიიდან ცდილობდნენ იმერეთის ტახტის დაპყრობას.

ასეთ ვითარებაში ბაგრატ IV-ემ გადაწყვიტა, როგორმე შემოემტკიცებინა და თავის მოკავშირედ გაეხადა გიორგი გურიელი. ამიტომ თავისი ქალიშვილი დარეჯანი, „ნაშობი თამარისაგან", ცოლად მისცა გურიელს 1674 წ. ამით მეფეს იმედი ჰქონდა, რომ გურიელი დაანებებდა თავს თამარის ტრფიალს და მას შემოირიგებდა, მაგრამ ტახტის დაკარგვის საშიშროება მან მაინც ვერ აიცილა.

1678 წელს ახალციხის ფაშის, ოდიშის მთავარ ლევან III დადიანისა და იმერეთის თავადების დახმარებით არჩილ მეფემ კვლავ დაიკავა იმერეთის ტახტი. ბაგრატ მეფემ თავის სიძეს — გიორგი გურიელს მიაშურა, ხოლო ცოლი — თამარი სკანდის ციხეში დატოვა.

---

[1] ამ საკითხის შესახებ დ. კაჭარავა წერს „...შეიძლება ვიფიქროთ, ერეკლე ბაგრატის წინააღმდეგ იმიტომ მოქმედებდა, რომ არჩილისათვის შეემზადებინა ნიადაგი იმერეთში გასამეფებლად. ბაგრატი არჩილის მოწინააღმდეგე იყო და ერეკლეს არ სურდა რუსეთს მხარი დაეჭირა და მფარველობის ხელი გაეწოდებინა ბაგრატისათვის", დ. კაჭარავა, დასახ. ნაშრ, გვ. 192—193.

ამ საკითხის შესახებ ჩვენ დ. კაჭარავას მოსაზრება უფრო საფუძვლიანი გვეჩვენება ორი გარემოების გამო: 1. არჩილი ერეკლეს სიძეა და რა გასაკვირია, რომ სიძისათვის იმერეთის მეფის ტახტი გამოენთავისუფლებია და თუკი არჩილი იმერეთის ტახტს იშოვიდა და კახეთის ტახტი განთავისუფლდებოდა, ამის შემდეგ ერეკლე ბატონიშვილს შეეძლო მის დასაკავებლად ებრძოლა.

[2] თ. ტ ი ვ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 368—369.

არჩილ მეფემ გამოიყვანა ციხიდან თამარ დედოფალი და ისევ თავის პირველ ქმარს ლევან III დადიანს დაუბრუნა.[1]

ბაგრატ მეფემ და გიორგი გურიელმა დახმარებისათვის ხონთქარს მიმართეს; ოსმალთ საჭიროდ სცნეს ისევ ბაგრატის გამეფება და არზრუმის ფაშას დაავალეს წესრიგის დამყარება იმერეთში.

არზრუმის ფაშა ასლანი თურქთა ჯარით იმერეთში შეიჭრა. მას თან ახლდნენ ბაგრატ მეფე და გიორგი გურიელი; იმერელმა თავადებმა კვლავ უღალატეს არჩილ მეფეს და ბაგრატის მხარეზე გადავიდნენ. 1679 წლის აგვისტოში ბაგრატმა კვლავ დაიკავა იმერეთის ტახტი[2], ხოლო არჩილმა რაჭას შეაფარა თავი. ლტოლვილ მეფეს ფეხდაფეხ მიყვა ოსმალთა ჯარი. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, რიცხობრივმა უპირატესობამ თავისი გაიტანა და რაჭველნი დამარცხდნენ: „რაჭა, რომ მისდღეში არავისაგან დარბეულიყო, ურუმთ დაარბევეს და მრავალი კაცი მოკლეს და ტყვე წამოასხეს“.[3]

1681 წელს გარდაიცვალა უსინათლო ბაგრატ IV. მას კანონიერი მემკვიდრე არ დარჩენია, ხოლო უკანონო შვილი ალექსანდრე ქართლში ჰყავდა ტყვედ გიორგი XI-ს, ამით ისარგებლა გიორგი გურიელმა და იმერეთის ტახტი დაიკავა (1681 წ.). თავისი მეფობის დასაწყისი მან იმით აღნიშნა, რომ გაუშვა თავის კანონიერი ცოლი, ასული ბაგრატ მეფისა და თამარისა — დარეჯანი და ცოლად შეირთო თავისი სიდედრი დედოფალი თამარი.

ამ ფაქტს ფარსადან გორგიჯანიძე ასე აღნიშნავს: „გურიელმან სწვალა ღმერთი და ჰგმო თავისი რჯული და ნაქორწილევი ცოლი გაუშვა და თავისი სიდედრი ცოლად შეირთო“.[4]

რაც დრო გადიოდა, გურიელის წინააღმდეგ უკმაყოფილება თანდათან იზრდებოდა. იმერთა თავადების ერთი ჯგუფი ახალციხის ფაშას ეახლა და ხონთქართან იშუამდგომლა, რათა იმერეთის ტახტზე ალექსანდრე ბაგრატის ძე გაემეფებინათ. ხონთქრის ბრძანებით 1683 წელს ალექსანდრე გადმოიყვანეს ქართლიდან და იმერეთის ტახტზე დასვეს ალექსანდრე IV-ის სახელწოდებით.[5] გურიელმა ისევ გურიას მიაშურა, ხოლო მისი ცოლი თამარი ოდიშში წავიდა (როგორც იქაური ყოფილი დედოფალი), რათა აემხედრე-

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 843.

[2] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 68.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 69;

[5] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 846.

ბინა ოდიშარნი, რომ ალექსანდრე მეფეს არ მიმხრობოდნენ და მხარი დაეჭირათ გიორგი გურიელისათვის, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია, რადგან თვით იმავე წელს (1683 წ.) გარდაიცვალა ოდიშში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1683 წელს, სულთანის ნებართვით, იმერეთის ტახტზე ავიდა ბაგრატ IV-ის უკანონო შვილი ალექსანდრე IV, რომელიც ღვიძლი შვილი იყო იმ საშინელი არევ დარევისა და ზნეობრივი დაცემისა. ვახუშტის დახასიათებით, იგი იყო „მხნე, ახოვანი, ჰაეროვანი“, ბრძოლაში მამაცი, უხვი და იმავე დროს ყოვლად დაუნდობელი და ტყვის მსყიდველი,[1] ალექსანდრემ დაიახლოვა სეხნია ჩხეიძის შვილი სვიმონ ქუთათელი, მღვდელ-მთავარი, მაგრამ „უწირავ-ულოცავი, მეძავ-მემრუშე, კაცის მკვლელი და ტყვის მსყიდველი.“

ბერი ეგნატაშვილი ალექსანდრე IV-ეს ასე ახასიათებს: „იყო ესე კაცი შეუგვარი და უღირსი ბატონობისა“.[2]

ალექსანდრე IV-ს იმერეთის დიდი თავადების მხარდაჭერა სჭირდებოდა; ერთ-ერთი ასეთი თავადი იყო პაატა აბაშიძე, რომელსაც „მორჩილებდნენ სრულიად მარგველნი“.[3] ალექსანდრემ შემომტკიცების მიზნით პაატა აბაშიძეს ცოლად შერთო თავისი და დარეჯანი — გიორგი გურიელის ნაცოლარი; პაატა აბაშიძე იყო გიორგი მიქელაძის — ერთ-ერთი ძლიერი თავადის, დისწული, ამ მოყვრობით მეფემ იმერეთი შემოიმტკიცა, მაგრამ სხვა გავლენიანმა ფეოდალებმა — შოშიტა რაჭის ერისთავმა და ბეჟან ლორთქიფანიძემ „არ ინებეს მეფობა ალექსანდრესი“ და მის წინააღმდეგ კოალიცია შექმნეს, მათ მიიმხრეს ლიპარტიანი (რომლის ბეგმაში მეფის დასუსტება შედიოდა), შეყარეს ჯარი და შეუერთდნენ გურიელს, რომელსაც ბეგმაში იმერეთის ტახტის დაკავება ჰქონდა; მასვე შეუერთდნენ ჩიჯავაძენი.[4]

ალექსანდრეს მხარეზე იყვნენ: პაატა აბაშიძე, გიორგი მიქელაძე და სვიმონ ქუთათელი.[5]

გიორგი გურიელი თავისი ჯარით იმერეთში შემოვიდა, მას შეუერთდნენ დანარჩენი მოკავშირეებიც.

ბრძოლა მოხდა 1684 წელს, როკითს; გამარჯვება ალექსანდრე მეფეს დარჩა; მის მომხრეთაგან დაიღუპა ლევან აბაშიძე, ხოლო პაატა აბაშიძე სასიკვდილოდ დაიჭრა; გიორგი გურიელი და შოშიტა

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 857.
[2] ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 442.
[3] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 847.
[4] იქვე.
[5] იქვე.

რაჭის ერისთავი ბრძოლის ველზე დაეცნენ, ხოლო გიორგი ლიპარტიანმა თავს გაქცევით უშველა.

მეფემ ტყვედ ჩავარდნილნი გურულ-იმერ-ოდიშარნი „ვერცხლზე დაჰყიდნა“.[1] მართალია, ამ ბრძოლაში ალექსანდრემ გაიმარჯვა, მაგრამ აშლილობა და ტყვეთა სყიდვა კიდევ უფრო გაძლიერდა.

როკითის ბრძოლის შემდეგ მოკავშირეთა ძებნაში ალექსანდრე მეფემ ქართლის მეფეს გიორგი XI-ს მოციქული გაუგზავნა და ქალიშვილი სთხოვა ცოლად, მაგრამ იგი დავით ერისთავზე აღმოჩნდა დანიშნული; მაშინ ალექსანდრემ გიორგის ძმისშვილი — ლუარსაბის ასული ელენე სთხოვა ცოლად, მაგრამ ეს საქმე რაჭის ერისთავმა პაპუნამ ჩაშალა, ვინაიდან „მოყვრობდა გიორგი მეფე და იყო მეგობარი პაპუნასი“. გაბრაზებულმა იმერთა მეფემ (რომ ის ქართლის მეფემ სიძედ დაიწუნა) ჯავრის ამოყრა პაპუნა რაჭის ერისთავზე ისურვა. შეკრიბა დიდი ჯარი და საერისთაოს დასარბევად წავიდა, „ანუ დაიმორჩილოს ანუ მიუღოს რაჭა“.[2]

იმერთა მეფის ჯარი პაატა აბაშიძის სარდლობით ნინიას ციხეს შემოერტყა, ხოლო ჯარის ნაწილმა მრავალი სოფელი აოხრა და გადაწვა...

გიორგი XI-მ პაპუნა ერისთავს ქართლის ჯარი მიაშველა ზაალ ხერხეულიძის სარდლობით. პაატა აბაშიძემ თავი აარიდა ქართლელებთან ბრძოლას, მეფე ალექსანდრე დაიყოლია და ისევ უკან დაბრუნდნენ იმერეთში.[3]

ქართლის მეფე გიორგი XI თავისი მაჰის — ვახტანგ V-ის პოლიტიკას აგრძელებდა და კიდევ მეტად მიისწრაფოდა დამოუკიდებლობისაკენ; იგი სპარსეთის შაჰის დავალებებს ნაკლებად ასრულებდა. ამიტომ ირანის მბრძანებელი მიზეზს ეძებდა ტახტიდან გიორგის გადაყენებისათვის. მიზეზიც ბევრი დაგროვდა და 1688 წელს ირანის შაჰმა გიორგი ტახტიდან გადააყენა; ახალ მეფედ მან გამოგზავნა ერეკლე I დავითის ძე — ნაზარალიხანის სახელწოდებით (თეიმურაზ I-ის შვილიშვილი).

გიორგი XI-მ თავი რაჭის ერისთავს პაპუნა II-ეს (1684—1696) შეაფარა. ალექსანდრე იმერთა მეფემ შოშიტას უბრძანა „არშეხიზვნა“ გიორგი მეფისა (რადგან გიორგიმ არ ისურვა ალექსანდრეს შზახლობა). რაჭის ერისთავმა არ შეასრულა მეფის ბრძანება,

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 847, მ ა რ ი ბ რ ო ს ე, დასახ. ნაშრ., გვ. 208.

[2] მ ა რ ი ბ რ ო ს ე, დასახ. ნაშრ., გვ. 209.

[3] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 848. მ ა რ ი ბ რ ო ს ე, დასახ. ნაშრ., გვ. 208.

ამიტომ იმერთა მეფემ შეკრიბა ჯარი და რაჭას შეესია; რაჭა-ლეჩხუმის ხალხი ალექსანდრე მეფის მხარეზე დადგა. „ლტოლვილნი“ პაპუნა ერისთავი და ქართლის მეფე გიორგი XI ზემო რაჭის ერთ-ერთ სოფელში — გლოლაში ავიდნენ: „ვერ წინ-აღუდგნენ გიორგი მეფე და პაპუნა და შევიდნენ გლოლას, მივიდნენ სპანი ალექსანდრესნი და მოწუეს უწერა“.[1]

რაჭის დარბევის შემდეგ ალექსანდრე მეფე იმერეთში დაბრუნდა, ხოლო პაპუნა ერისთავმა ისევ დაიპყრო რაჭა და „მოსწყვიტა მტერნი თვისნი და — იყოფოდა თვისად“.[2]

გიორგი XI რუსეთში გადახვეწილ ძმას — არჩილს დაუკავშირდა და საქართველოში ჩამოსვლას ურჩევდა იმერეთის ტახტის დასაკავებლად.

როდესაც არჩილ-მეფე რუსეთში მიდიოდა, მას იმედი ჰქონდა რუსთ ხელმწიფის მიერ საქართველოს გამოხსნისა თურქთა კლანჭებისაგან. არჩილ მეფე რუსეთის სამეფო კარს უმტკიცებდა, რომ საჭირო იყო საქართველო-რუსეთის საზღვარზე ციხე-სიმაგრეების აგება და 15 000 ჯარისკაცი, რომ თურქები განედევნათ იმერეთიდან. მაგრამ რუსეთმა არჩილს უარი უთხრა სამხედრო დახმარებაზე, მხოლოდ ფულადი დახმარება ალმოუჩინა 6 500 მანეთის რაოდენობით.[3]

1688 წელს არჩილ-მეფე რუსეთიდან საქართველოში გამოემგზავრა. „ოფიციალურად არჩილის გაშვება მოსკოვიდან გამოცხადებულ იქნა მის გამგზავრებად საკუთარ ქვეყანაში, თავის სამშობლოს გასანთავისუფლებლად და თურქთა სამხედრო ვითარების გამოსაძიებლად“.[4]

არჩილ-მეფე რაჭაში მოვიდა და გველისთავს დადგა, მას მასპინძლობა რაჭის ერისთავმა გაუწია და დახმარებასაც შეჰპირდა. არჩილის ხელახლა გასამეფებლად იმერთა ტახტზე მოვიდნენ ოდიშის გამგებელი გიორგი ლიპარტიანი, ჭილაძე-მიქელაძენი და ბეჟან ლორთქიფანიძე, ხოლო ალექსანდრეს მხარეზე დარჩნენ გიორგი აბაშიძე და სვიმონ ქუთათელი. შემოიკრიბა ალექსანდრე-მეფემ „სპანი და წავიდა გველისთავს მეფეთა ზედა“.[5]

არჩილ-მეფის მომხრეებმა შებრძოლება ვეღარ გაბედეს, ვინაიდან რაჭის ერისთავს „შინაგამცემი მრავალი ჰყვანდეს რაჭასა ში-

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 850.

[2] ი ქ ვ ე.

[3] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. II, 1965, გვ. 466.

[4] ვ. ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი, ქართველები მოსკოვში, 1947, გვ. 105.

[5] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 851.

ნა".[1] ხოლო გიორგი ლიპარტიანის მხრიდანაც გამოჩნდნენ მოღალატენი „ლეჩხუმელნი ეყვნენ ალექსანდრეს კერძოდ და სპანიცა ალექსანდრესი მრავლობდნენ".[2]

ამავე დროს ალექსანდრე მეფეს თურქთა ჯარმაც აღმოუჩინა დახმარება.[3] ასეთ პირობებში მოკავშირეებმა გაცლა ამჯობინეს. არჩილ და გიორგი მეფენი ჯერ ოდიშში, შემდეგ აფხაზეთში გადაგიდნენ, სადაც დიდებულად ისტუმრა შერვაშიძემ; „მოეგება შერვაშიძე, ისტუმრა პატივით, ვითარცა მეფე და იყოფებოდა ზუფუს ქამ რაოდენმე".[4] ამ დროს არჩილ მეფეს სანდო კაცი ჰყავდა გაგზავნილი ყირიმის ხანთან, რომელსაც შუამდგომლობა უნდა აღეძრა ხონთქართან იმერეთში არჩილის გამეფების შესახებ. როცა მან შეიტყო, რომ „ელჩმა" მშვიდობით ჩააღწია ყირიმის ხანთან, არჩილ მეფე ისევ უკან მობრუნდა აფხაზეთიდან ოდიშს, მაგრამ ამ დროის განმავლობაში მდგომარეობა შეიცვალა — გიორგი ლიპარტიანსა და იმერთა მეფეს შორის დაზავება მოხდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გიორგი ლიპარტიანი იყო „უღთო, ცრუ-ფიც, უპირო". ალექსანდრე მეფემ მას ლეჩხუმი უწყალობა იმ პირობით, თუკი ის არჩილ მეფეს ჩამოცილდებოდა და ალექსანდრეს მხარეს დაიკავებდა. ლიპარტიანმა გასტეხა არჩილისადმი მიცემული ფიცი და ალექსანდრე მეფეს მიემხრო. ამიტომ არჩილ და გიორგი მეფენი ოდიშში ვეღარ გაჩერდნენ და მოვიდნენ საჭილაოსამიქელაოს, ვინაიდან სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ „მეფენი ეზრახნენ ალექსანდრეს, რათა მისცეს გზა წარსლვისა".[5] ალექსანდრე მეფემ არჩილს მოსთხოვა „უკეთუ მომცე ფიცი არღა-რა მეცილო იმერეთსა, განგიტევებ და წარვედ რუსეთს, უკეთუ არა, არა ბჲ გზა".[6] ვინაიდან სხვა ღონე აღარ ჰქონდა, არჩილ მეფემ მისცა ალექსანდრეს ფიცი ტახტზე არ „შეცილებისა". ამის შემდეგ არჩილ მეფემ მიიღო გზა, რაჭაზე გავლით გადავიდა დიგორს და იქ დაბინავდა.

გიორგი მეფე გურიელის სტუმარი გახდა, მაგრამ მოკლე დროში მამია გურიელი დაარწმუნეს „ცრუ მოენეებმა", რომ ნებავს გურია გიორგი მეფესა თვისად". ახალგაზრდა მთავარმა დაუჯერა მათ და „რომელნიმე შეიპყრნა და სხვანი უპატიო ჰყვნა".[7] ამის

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 851.
[2] იქვე.
[3] მარი ბროსე, დასახ. ნაშრ., გვ. 210.
[4] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 851.
[5] იქვე.
[6] იქვე, გვ. 852.
[7] იქვე.

მხილველი გიორგი მეფე წავიდა გონიას, მისმა მმართველმა აჰმედ-ბეგ თავდგირიძემ დიდი პატივით მიიღო, რამდენიმე ხნის შემდეგ გიორგი მეფე ახალციხის ფაშასთან გადავიდა და „მცდელობდა“ იმერეთში არჩილის ისევ გამეფებას.

დიგორს მყოფი არჩილი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ალექსანდრე IV გადაეგდო და თვითონ გამეფებულიყო, აღთქმასაც კი დებდა ხონთქრის წინაშე, რომ ოცი წლის გადაუხდელ ხარკს გადაიხდიდა, თუკი მას გაამეფებდნენ იმერეთში.[1]

ყირიმის ხანის ჩარევის შემდეგ ხონთქარი თითქოს დათანხმდა არჩილის გამეფებას და ფორმალურად გამოგზავნა საგანგებო პირი, „რათა ჰკითხონ იმერთა, რომელი ჰნებავსთ არჩილ ანუ ალექსანდრე“.[2] ეს მოციქული — ყაფუჩი იმერეთში მივიდა, მაგრამ ალექსანდრე მეფემ მისი მოსვლის მიზეზი რომ გაიგო, მოკვლა დაუპირა. ამის მცნობმა ყაფუჩმა სასწრაფოდ დატოვა იმერეთი და ახალციხეში გადავიდა, იქ გიორგი მეფე დახვდა და ერთობლივი თათბირის შემდეგ ყაფუჩმა ურჩია გიორგის: „მოსჭრან ბეჭედნი ყოველთა წარჩინებულთა იმერთანი და დასხან სვინტატიკოსის წიგნსა ზედა არჩილსა-თვის“[3]. ამის შემდეგ ყაფუჩმა იკისრა ხონთქართან ყველა საქმის მოგვარება.

გიორგი მეფის ხელმძღვანელობით გამოსჭრეს სამეფო ბეჭედი და ხელი მოაწერეს თხოვნაზე არჩილის სასარგებლოდ. ამის შემდეგ „მოსცა ხონთქარმან იმერეთი არჩილს, წარმოუვლინა ხრმალი და ხალათი“. ხოლო არზრუმის ფაშას უბრძანა (ვინაიდან ალექსანდრე უომრად არ დათმობდა იმერეთის ტახტს) ჯარით გადასულიყო იმერეთში და არჩილ მეფე დაესვა ტახტზე.

1690 წელს თურქთა ჯარი იმერეთში გადავიდა და ფერსათის მინდორზე დაბანაკდა. ოსეთში (დიგორს) მყოფ არჩილ მეფეს ეს აცნობეს და იმერეთის ტახტზე მოიწვიეს. რაჭის ერისთავის ჯარის თანხლებით არჩილი იმერეთში ჩამოვიდა, „შთაიცვა არჩილ ხალათი ხონთქარისა და დაემორჩილნენ იმერნი თვინიერ გიორგი აბაშიძისა“[4], ხოლო ალექსანდრე მეფემ შებრძოლება ვერ გაბედა და ლტოლვილი აღმოსავლეთ საქართველოში ერეკლე I-ს შეეხიზნა.

თურქთა ჯარის წასვლის შემდეგ გიორგი აბაშიძემ მოიმხრო ოდიშის მბრძანებელი გიორგი ლიპარტიანი და არჩილ მეფის წინააღმდეგ ბრძოლა იწყეს[5] იმ იმედით, რომ ზამთარი იყო და თურქ-

---

[1] მარი ბროსე, დასახ. ნაშრ., გვ. 210—211.
[2] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 852.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 853.
[5] იქვე.

თა ჯარი არჩილს ვერ დაეხმარებოდა, მათ ქართლში მყოფ ალექსანდრე მეფეს შეატყობინეს თავიანთი სამზადისი არჩილის წინააღმდეგ და სასწრაფოდ იმერეთში მოიწვიეს. მეფემაც არ დააყოვნა და დასავლეთში გადავიდა.

არჩილ მეფეს მხარში ამოუდგნენ პაპუნა რაჭის ერისთავი, სვიმონ ქუთათელი, გიორგი მიქელაძე და ბეჟან ლორთქიფანიძე.[1] ბრძოლა მოხდა გოდოგანში — „იქმნა ბრძოლა ძლიერი, იძლია ალექსანდრე და ივლტოდა ქართლს"[2].

ფარსადან გორგიჯანიძე ამ ამბავს შემდეგნაირად აღწერს: „ოდიშისა და იმერეთის თავადებისაგან საფიცარი მოსვლოდა — მალწამოდიო, არჩილს გავაგდებო, ვითაც სიყმაწვილის სიჩქარე ახლდა, აღარც ყაენს აცნო და არც ქართლის მეფესა და გორიდან ილლარი ქნა და ქუთაისის სიახლოეს არჩილ მეფეს შეებნეს. უწინ კარგათაც იყვნენ, მაგრამ ამაყობით და ყმათა მუხანათობით მეფე ალექსანდრეს დაუმარცხდა და იქივ გორს მოვიდა".[3]

არჩილ მეფე ამ ბრძოლის ამბავს ასე აღწერს: „...დეკემბრის ოცსა, წმინდის ეგნატე ღმერთ-შემოსილის დღეს, შევებენით და, ღმერთმა და მაგათმა სიმართლემ გაგვიმარჯვა და მრავალი ჩვენი ორგული კაცი მოკვდა და დავიჭირეთ, ის ალექსანდრე გაიქცა და იქვე ბატონიშვილს ნიკოლა დავითის შვილთან მივიდა".[4] არჩილმა გამეფებისთანავე წესრიგის დამყარება სცადა, ფეოდალებს ძალად მიტაცებული მამულები ჩამოართვა და მათ წინანდელ პატრონებს დაუბრუნა. ამ ღონისძიებამ ბევრი ძლიერი თავადი გაუორგულა და ალექსანდრე მეფის მომხრეთა ბანაკში მოახვედრა. „იმერეთის უბატონობაში ვისაც თავისის ძალით სხვათ მამული დაეჭირა, რასაც დღეს არჩილი გამეფდა, ყველას თავისი სამკვიდრო მამულები უბოძა".

ასეთი ღონისძიებით არჩილი ფიქრობდა წესრიგის აღდგენას, მაგრამ პატრიოტთა რიგები ამ დროს შემცირებული იყო. თუმცა იყვნენ კიდევ დარჩენილნი ისეთნი, ვინც ქვეყნის აღდგენაზე ფიქრობდნენ. არჩილ მეფე კი იმედს უსახავდა პატრიოტებს „თავისი ზნეობრივი სიფაქიზით და რაინდული ხასიათით არჩილი ამ არევ-დარევის დროს იპყრობდა ყველა იმათ ყურადღებას, რომელთაც ჯერ კიდევ შერჩენოდათ სიყვარული ქვეყნისა და მისი მომავლის იმედი".[5]

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 853—854.

[2] იქვე.

[3] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 77.

[4] М. Броссе. Переписка..., გვ. 134.

[5] სარგის ყაყაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 68.

ალექსანდრე მეფემ ქართლის მეფეს ერეკლე I-ს თხოვა, რათა შაჰთან აღეძრა შუამდგომლობა იმერეთში მისი კვლავ გამეფების შესახებ. ერეკლე მეფემ სასწრაფოდ გაგზავნა კაცი ირანში და შაჰს მომხდარი ამბავი მოახსენა. შაჰმაც მზრუნველობა გამოიჩინა ალექსანდრეს მიმართ, ხონთქართან ელჩი გაგზავნა და ალექსანდრეს იმერეთში გამეფება სთხოვა.[1]

სანამ შაჰის ელჩი სტამბოლში ჩავიდოდა, სულთანი სულეიმანი გარდაიცვალა, ტახტი მისმა ძმამ მუსტაფამ დაიკავა. ელჩმა ძღვენი მას მიართვა და შაჰის თხოვნა გადასცა. ხონთქარი დიდი კმაყოფილებით შეხვდა ირანის ელჩს და დანაბარები შეუსრულა — ბრძანება გამოიცა იმერეთში ისევ ალექსანდრეს გამეფებისა.[2] ახალციხეში მყოფი გიორგი XI დაატყვევეს. ამ ამბის მცნობი არჩილი ამხედრდა თურქების წინააღმდეგ. მან პირველ რიგში ქუთაისის ციხეში ჩაბუდებულ თურქთა გარნიზონს შემოარტყა ალყა და ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა, რომ „ჯღანთა ხარშვიდიან და სჭამდნენ სიმშილისთვის და ლამობდენ მოცემასა ციხისას“,[3] მაგრამ აქაც ისევ გიორგი ლიპარტიანის ღალატმა იჩინა თავი.

კრიტიკულ მომენტში ლიპარტიანმა მეფეს ლეჩხუმი მოსთხოვა. მეფე დაპირდა ბრძოლის დამთავრების შემდეგ მიცემას, მაგრამ ლიპარტიანმა ასეთი პასუხი უარის ნიშნად მიიჩნია და ღალატი გადაწყვიტა. მან „გამოიყვანნა ღამით ოსმალნი ციხიდამ, მისცნა ყოველნი საზრდელნი თვისნი და განამაგრა ციხე და თვით მასვე ღამესა ივლტოდა სპითა ოდიშს“.[4] ამის შემდეგ გათამამებული თურქები გამოვიდნენ ციხიდან და დაანგრიეს დიდებული ბაგრატის ტაძარი. ეს მოხდა 1691 წელს.

ვახუშტი ბატონიშვილი ამ ფაქტს ასე აღწერს: „იქმნა საგლოველი, რამეთუ გამოვიდნენ ციხიდამ ოსმალნი და შემუსრეს ქუთათისის ეკლესია ყოვლად წმიდისა, დიდ შუენიერად გებული“.[5]

1691 წელს ალექსანდრე IV თურქთა ჯარის თანხლებით ახალციხიდან გადმოვიდა დასავლეთ საქართველოში და იმერეთის სამეფო ტახტი დაიკავა, ხოლო არჩილ მეფე იძულებული გახდა უომრად დაეტოვებინა ქუთაისი (ვინაიდან იმერნი ალექსანდრე მეფეს ეახლნენ).

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 78.
[2] იქვე.
[3] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 854.
[4] იქვე.
[5] იქვე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გიორგი XI ახალციხის ფაშას ციხეში ჰყავდა გამოკეტილი, მაგრამ ახალციხეში მცხოვრებმა ქართველებმა მოახერხეს და გიორგი მეფე პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

გიორგი XI ქართლში მოვიდა და ტახტისათვის ბრძოლა დაუწყო ერეკლე I-ს, რომლის მომხრეთა რიცხვი ყოველდღე კლებულობდა. საკმარისი იყო გიორგი მეფე ქართლის მიწაზე გამოჩენილიყო, რომ თავადთა უმრავლესობა მას მისვლოდა. ერეკლე მეფე თბილისის ციხეში შეიკეტა და გარეთ ვეღარ გამოდიოდა გიორგის შიშით.

ალექსანდრე იმერთა მეფე შეუთანხმდა ერეკლე მეფეს და იმერთა ჯარით გადავიდა აღმოსავლეთ საქართველოში, ააოხრა სოფელი ალი და ნადავლით და ტყვეებით დატვირთული უკან მობრუნდა.

ეს რომ ტაშისკარს მდგომმა არჩილ მეფემ შეიტყო, სწრაფად დაედევნა მარბიელთ, ტყვეები და ალაფი დააყრევინა, თვით იმერთა მეფემ სკანდის ციხეს შეაფარა თავი.

არჩილ და გიორგი მეფეებმა იმერეთის გავლენიან თავადებს უსაყვედურეს ალექსანდრეს მიერ სოფ. ალის დარბევა. თვით იმერეთის თავადებიც არ იყვნენ კმაყოფილნი მეფისა; ვახუშტის დახასიათებით იგი იყო „ხელად-მქცევი, ცუნდრუკი, უღმრთო, ტყვის მყიდველი“,[1] ამ მიზეზის გამო მეფე თვით მისმა ცოლმა თამარ აბაშიძის ასულმაც შეიძულა და საბაბს ეძებდა, რომ გაყროდა. თამარმა სთხოვა მამას იმერთა მეფე გადაეცა გიორგისათვის. შვილის თხოვნა რომ შეესრულებინა, გიორგი აბაშიძემ შეთქმულება მოაწყო მეფის წინააღმდეგ. ვინაიდან, ზნითა და წინ თქმულთა სძულობდნენ ალექსანდრეს წარჩინებულნი, შეიკრიბნენ კათალიკოზი, ეპისკოპოსნი, ერისთავი პაპუნა და სრულიად წარჩინებულნი იმერეთისანი და მოადგნენ სკანდას მყოფსა ალექსანდრეს, შეიპყრეს და წარგზავნეს მღვიმეს. მერმე სვერს; შემდგომად მისცეს გიორგი მეფესა, მიიყვანეს რუისს; მოაშთვეს და დაფლეს მუნვე ეკლესიასა შინა.[2]

1695 წელს არჩილი ისევ გამეფდა (უკვე მეოთხედ) იმერეთში, ხოლო ყოფილმა იმერეთის დედოფალმა თამარ აბაშიძის ასულმა გიორგი XI-ს თავისი თავი ცოლად შესთავაზა და სამაგიეროდ

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 857.
[2] იქვე.

იმერეთში გამეფებას შეჰპირდა[1]. მაგრამ გიორგი მეფემ მისი წინადადება არ მიიღო. გიორგი აბაშიძემ ახლა არჩილ-მეფეს შესთავაზა თავისი ასული ცოლად, სამაგიეროდ ტახტის შემომტკიცებას შეჰპირდა, მაგრამ არჩილმაც უარი უთხრა[2]. ამიტომ მეფეთაგან უარყოფითი პასუხით შეურაცხყოფილი და განაწყენებული აბაშიძე შეუთანხმდა გიორგი ლიპარტიანს, მათ გამონახეს ბაგრატიონთა გვარის შთამომავალი ვინმე გიორგი, დაცინვით „გოჩიად“ წოდებული, და 1696 წელს იმერეთში გაამეფეს.

ვახუშტის დახასიათებით, ახალი მეფე იყო „უმსგავსო ყოვლითურთ და შეუგუანი მეფობისა, უზნეო, გამოუცდელი, თვინიერ გლეხთა მუშაკობისა და იყო ხეიბარიცა“.[3] ამ გიორგის, IV-დ წოდებულს, ცოლად შერთეს აბაშიძის ასული დედოფალი თამარი. იმერეთში ფაქტიურად გიორგი აბაშიძე გაბატონდა, მასვე მორჩილებდნენ დადიანი, გურიელი და წარჩინებულნი.[4]

ერთი წლის შემდეგ თამარ-დედოფალმა ისევ შეიძულა მეფე და მისი გაშვება გადაწყვიტა. შეითქვნენ იმერნი გიორგი აბაშიძის და შოშიტა რაჭის ერისთავის მეთაურობით (შოშიტა III—1696—1731 წ.წ.)[5] და 1698 წელს გიორგი IV „გოჩიად“ წოდებული, იმერეთის ტახტიდან გააძევეს.

ამ დროს არჩილ-მეფე დიგორს იმყოფებოდა და რუსეთში წასასვლელად იყო გამზადებული, როცა იმერეთის თავადებმა ისევ ტახტზე მიიწვიეს, არჩილი დიდ უარზე იდგა, რადგან, ერთი მხრივ, იცოდა, რომ დიდხანს ვერ იმეფებდა, მეორე მხრივ, იცოდა „რამეთუ არლარა იყო პირმტკიცეობა, არამედ განრყუნილნი, ფიცისმტეხელნი, ტყვის-მყიდველნი, მხდომნი, მკრეხელნი, უკეთურნი, არათუ წარჩინებულნი, გარნა მდაბიურნიცა“.[6]

არჩილ მეფე მაინც დაითანხმეს და 1698 წელს იგი მეხუთედ გამეფდა იმერეთში;[7] მაგრამ ეს მეფობა ყველაზე ხანმოკლე აღმოჩნდა (არჩილმა 6 თვე დაჰყო ტახტზე). მისი წინათგრძნობა გამართლდა. ამჟამადაც ახალციხის ფაშა ჩაერია იმერეთის საშინაო საქმეებში და არჩილის გამეფება ხონთქარს მოახსენა; მან ბრძანება

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 858.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 119.

[6] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 859.

[7] იქვე.

გამოსცა ტახტიდან არჩილის გადაგდების და მის მაგივრად ალექსანდრე IV-ის ძის სვიმონის გამეფების შესახებ, რომელიც ქართლში, ნაზარალი-ხანის კარზე იმყოფებოდა. ახალციხის ფაშამ იგი ჯერ ახალციხეში მიიყვანა ქართლიდან, შემდეგ იმერეთში გადაიყვანა და 1699 წ. ქუთაისში გაამეფა.[1]

ამრიგად, არჩილ მეფემ საბოლოოდ დაკარგა იმერეთის ტახტი, რუსეთში გადასახლდა და იქვე გარდაიცვალა 1713 წელს.

იმერეთიდან მიმავალმა პოეტმა-მეფემ ნაღელიანი ლექსი წარმოთქვა:[2]

„დავაგდე ქაჯთა ქვეყანა
ღვთისაგან დაწყეველილისა;
ვინც გახდეს მათი მოყვარე,
იქმნეს მაჰმადის სჯულისა“.

მარი ბროსეს დახასიათებით: „არჩილი შეუდარებლად მაღლა იდგა ყველა იმათზედ, რომელთაც... ედავებოდა გვირგვინს კახეთიდამ წამოსვლის შემდეგ“.[3]

გიორგი აბაშიძემ სვიმონის გამეფებით ისარგებლა და თავისი შვილი ანიკა, რომელიც ნასყიდა იაშვილზე იყო დანიშნული, გაჰყარა მას და სვიმონს ცოლად შერთო. ამ მოყვრობით აბაშიძე ისევ პირველი კაცი გახდა დასავლეთ საქართველოში.

თამარს შეშურდა თავისი დის დედოფლობა, მან გიორგი ლიპარტიანს გააშვებინა ცოლი — შვიდი შვილის დედა და თვითონ გაჰყვა ცოლად. ამის შემდეგ თამარი იწოდებოდა იმერეთისა და ოდიშის დედოფლად, ვინაიდან სახელმწიფო საქმეებს მამასთან ერთად ისიც განაგებდა. სვიმონ მეფე, რომელიც ამ გარემოებას ვერ შეურიგდა, ქართლში გაიქცა ნაზარალი-ხანთან.[4]

საქმეში მამია გურიელი ჩაერია, იგი ახალციხის ფაშას შეუთანხმდა, ქართლიდან მოიყვანა სვიმონ-მეფე, გააშვებინა ცოლი ანიკა, თავისი და ცოლად შერთო და იმერეთში გააბატონა.

ამ ამბით შეურაცხყოფილმა აბაშიძემ დახმარება თავის სიძეს — გიორგი ლიპარტიანს თხოვა. ორთავე მამია გურიელს ეთათბირნენ და შეუთანხმდნენ, თუ მამია სვიმონ მეფეს მოკლავდა, მას გაამეფებდნენ იმერეთში. მამია დათანხმდა ამ წინადადებას და შეთქმულებმა ღალატით მოკლეს სვიმონ მეფე 1701 წელს.[5]

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 859.

[2] მ ა რ ი ბ რ ო ს ე, საქართველოს ისტორია, მეორე ნაწილი, ტფ., 1900, გვ. 215.

[3] იქვე.

[4] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 860.

[5] ი ქ ვ ე; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასახ ნაშრ., გვ. 69.

ნაწილი მესამე

XVIII საუკუნე

იმერეთის სამეფო XVIII საუკუნის მიჯნაზე

XVII საუკუნის მეორე ნახევარი დასავლეთ საქართველოში მკაცრი შინაფეოდალური ომებით აღინიშნა. სულ 40 წლის მანძილზე (1660—1701 წწ.) იმერეთში ჩვიდმეტჯერ გადააგდეს ტახტიდან მეფე, ამათგან ოთხი მოკლეს, ხოლო ცამეტი გააძევეს.

კერძოდ, ჩვენი სახელოვანი პოეტი არჩილ-მეფე ხუთჯერ დასვეს და ხუთჯერვე გადმოაგდეს იმერეთის ტახტიდან.

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთ საქართველოში ფეოდალური ანარქია შეუნელებლად გრძელდებოდა, სათავადოების სისტემა შეუზღუდველად ბატონობდა. მეფის ხელისუფლება უკიდურესად დაცემულიყო. სამეფო-სახასო ქვეყნები, ციხესიმაგრეები მთავრებსა და თავადებს მიეტაცნათ.[1] ძლიერდებოდა ოსმალთა გავლენა იმერეთში... ოსმალთა ეს გაძლიერება მეტისმეტად სახიფათო გახდა. ციხეები ტყვისმყიდველთა ბუნაგებად გადაქცეულიყო. ციხისა და მის გარშემო მდებარე სოფლების მოსახლეობა თანდათან მაჰმადიანდებოდა. ოსმალები ამ ციხეებიდან ადვილად ერეოდნენ ფეოდალების ურთიერთობაში და ქვეყნის საბოლოოდ დასაპყრობად თანდათან გზას იკვლევდნენ[2].

ქვეყნის ბატონ-პატრონად მთავართა და თავადთა „სახლები" მოგვევლინენ; უპირველესნი იყვნენ: ლიპარტიან-დადიანი, გურიელი, აბაშიძე, რაჭის ერისთავი, ამათ მისდევდნენ: მიქელაძე, წერეთელი, წულუკიძე, ჩხეიძე, ჩიჯავაძე და სხვანი.

---

[1] „ერისთავს — რაჭა — გლოლა ჯაფარიძითურთ, იაშვილს კვარა, წულუკიძეს ხოტევი, აბაშიძეს სვერი, ლიპარტიანს ლეჩხუმი და საკილაო სამიქელოთურთ, გურიელს საჯავახო და ჩიჯავაძენი მარადის იყუნენ წინაშე მისსა" (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 866—867).

[2] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, თბ., 1946, გვ. 389.

ამ „სახლებს“ შორის გრძელდებოდა ბოლომოუღებელი მიხ-დომ-მოხდომა. არც თითოეული „სახლის“ შიგნით იყო მშვიდობა, „სახლიშვილები“ ხშირად არბევ-აოხრებდნენ ურთიერთს. „მოწინააღმდეგენი ყოვლად დაუნდობელნი იყვნენ: აქცევდნენ ციხეებს, სასახლეებს, ძარცვავდნენ ეკლესია-საგანძურებს, ბუგავდნენ ურთიერთის სოფლებს, ატყვევებდნენ მოსახლეობას და ჰყიდდნენ ოსმალეთში. საუკუნოვან ანარქიაში გახვეულ საზოგადოებას მორალური გადაგვარების საშიში ნიშნები ახლდა“...[1]

„ამ საყოველთაო დაცემა-გაველურებისას ტყვის ყიდვა უკიდურესობამდის მისულიყო. ტყვეებს ყიდდნენ ყველანი: მეფეები, მღვდელმთავრები, მთავრები, თავადები, აზნაურები და გაუაზახებული გლეხებიც“.[2]

ამ ურთიერთ ხოცვა-ჟლეტაში, მეფე-მთავართა დასმა-გადაყენებაში აშკარად ჩანდა ოსმალეთის მზაკვრული ხელი. ოსმალთა აგენტი ახალციხის ფაშა სულ იმას ცდილობდა, რომ დასავლეთ საქართველოში მტკიცე ხელისუფლება არ შექმნილიყო; შედეგიც ჩანდა — რაღაც ოცდაათი წლის მანძილზე (1690—1720 წწ.) დადიანმა, გურიელმა, აბაშიძემ და რაჭის ერისთავმა თერთმეტჯერ გამოცვალეს მეფე იმერეთის ტახტზე, ამათგან სამი მოკლეს, დანარჩენები განდევნეს.

ᲨᲘᲜᲐᲤᲔᲝᲓᲐᲚᲣᲠᲘ ᲝᲛᲔᲑᲘ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲨᲘ ᲓᲐ ᲗᲣᲠᲥᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲔᲜᲢᲔᲑᲘ

სვიმონ მეფის მოკვლის შემდეგ (1701 წ.) იმერეთის დიდმა თავადებმა შეთანხმებისამებრ სამეფო ტახტზე მამია III გურიელი დასვეს, მაგრამ მისი მეფობაც ხანმოკლე აღმოჩნდა. გიორგი აბაშიძემ სამეფო შემოსავალი არ უწილადა იმერეთის ტახტზე მეფედ დასმულ გურიელს, რის გამოც ახალი მეფე იძულებული გახდა გურიიდან ტყვეები გაეყიდა ოსმალებზე და ამით გაესწორებინა ხარჯები. ბოლოს გურიელს მობეზრდა ასეთი ყოფა, 1702 წელს მეფობას თვითონვე დაანება თავი და ისევ გურიაში დაბრუნდა. იმერეთის გამგებლობა გიორგი აბაშიძის ხელში გადავიდა. მან შემოიმტკიცა იმერეთი[3] და 1703 წელს უარს აცხადებს თურქეთის

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1973, გვ. 342—343.

[2] იქვე.

[3] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 862—863.

მორჩილებაზე და ახალციხის ფაშას უარს ეუბნება ყოველწლიური „ქრთამის“ გაგზავნაზე[1]. მის მაგალითს მიბაძეს დადიანმა და გურიელმა, ხოლო აფხაზებმა თურქი ვაჭრების გაძარცვაც კი გაბედეს.

რამ განაპირობა დასავლეთი საქართველოს სამეფო-სამთავროების შეთანხმებული გამოსვლა ოსმალეთის წინააღმდეგ?

ეს გამოწვეული იყო ოსმალეთის მძიმე შინა და საგარეო მდგომარეობით[2]. ოსმალეთი იმ დროს მწვავე ეკონომიურ გაჭირვებას განიცდიდა, ჯარი უჯამაგიროდ რჩებოდა, რაც მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებს იწვევდა. ოსმალეთის საგარეო მდგომარეობის გართულება კი რუსეთის საგარეო პოლიტიკის გააქტიურებამ გამოიწვია.

XVIII საუკუნის დასაწყისში რუსეთი კიდევ უფრო მეტად დაინტერესდა საქართველოთი, რადგან რუსეთ-საქართველოს მჭიდრო კავშირი ხელს შეუწყობდა შავ ზღვაზე რუსეთის ფეხისმოკიდებას.

ამ დროისათვის საქართველოს მესვეურთ უკვე დამყარებული ჰქონდათ ერთმორწმუნე რუსეთთან მეგობრული კავშირი და მისი მეშვეობით ფიქრობდნენ თავის გამოხსნას აგრესორისაგან.

რუსეთის იმპერატორი პეტრე პირველი 1699 წელს იმერეთიდან გაძევებულ და რუსეთს მეორედ ჩასულ არჩილ მეფეს დაკარგული სამფლობელოს დაბრუნებას პირდებოდა.

რუსეთისათვის აუცილებელი იყო შავ ზღვაზე გასასვლელის პოვნა, რაც ოსმალეთთან ომს გარდუვალად სახავდა. ხმები იმის შესახებ, თითქოს იმპერატორ პეტრეს ეთქვას: „წმ. სოფიოს ტაძარში წირვას გადავიხდიო“[3], ოსმალეთშიც და საქართველოშიც აღწევდა. ხოლო ავსტრიის ელჩი რუსეთში პლეიერი 1702 წელს ავსტრიის იმპერატორს მოახსენებდა: „აქ ყველანი ლაპარაკობენ, რომ შვედებთან ომის დამთავრების შემდეგ პეტრე გემებით გაემგზავრება საქართველოში, რათა იმერეთის პრინცი (ალექსანდრე არჩილის ძე), რომელიც რამდენიმე წლის წინ თავისი ქვეყნიდან განდევნეს (თურქებმა) და ახლა შვედებს ჰყავთ ტყვედ, კვლავ თა-

---

[1] „საურს“ ანუ „სათათრო გამოსაღებს“, რომელიც მოსახლეობაში იკრიბებოდა და თურქეთში იგზავნებოდა, ქართველები „ქრთამს“ ეძახდნენ.

[2] უფრო დაწვრილებით იხ. ქ. ჩხატარაიშვილი, საქართველოს საგარეო ურთიერთობათა ისტორიიდან. წიგნში საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, თბ., 1972, გვ. 43—70.

[3] ქ. ჩხატარაიშვილი, დასავლეთი საქართველო XVIII ს. პირველ ნახევარში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1973, გვ. 456.

ვის ქვეყანაში გაამეფოსო"[1]... სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა რუსეთის ელჩის პ. ტოლსტოის მიერ 1702 წ. სტამბოლიდან გამოგზავნილი „შავი ზღვის აღწერილობა", რომელშიც, სხვათა შორის, აღწერილია ნავსადგურები: რიზე, ფასი (ფოთი), ანაკრა (ანაკლია) და პიკსონტა (ბიჭვინთა)[2].

1701 წელს ვორონეჟთან რუსეთს 100-მდე დიდი და პატარა ხომალდისაგან შემდგარი ფლოტი ჰყავდა გამზადებული შავ ზღვაში შემოსასვლელად. ამასთან დაკავშირებით რუსეთის ელჩი პ. ტოლსტოი კონსტანტინოპოლიდან მოსკოვს მოახსენებდა ქართველთა განწყობილების შესახებ: „თუ მოსკოვის ფლოტი ევქსინის პონტში (შავ ზღვაში) გამოვა, ჩვენ (ქართველები) რამდენადაც კი შეგვიძლია, მას დავეხმარებით, და თავადაც თურქეთს დავარტყამთო"[3].

თავის მხრივ, თურქეთის მთავრობაც საიდუმლო დაზვერვის მონაცემებით ვარაუდობდა, რომ თუკი რუსეთ-თურქეთს შორის ომი დაიწყებოდა, რუსეთის ფლოტი საქართველოს ნავსადგურებს გამოიყენებდა. როცა 1703 წელს დასავლეთ საქართველოს მეფემთავრებმა თურქეთს ხარკის გადახდა შეუწყვიტეს, ამან ნათელი გახადა ზემოაღნიშნული ვარაუდი და თურქეთმა დასწრება ამჯობინა — საქართველოში დიდი დამსჯელი ექსპედიციის მოწყობა გადაწყვიტა, რათა მომავალ ომში მოსკოვისათვის საყრდენი ბაზა მოესპო.[4] როცა გიორგი აბაშიძე იმერეთს გამგებლობდა, იმერეთისა და სამეგრელოს დიდი ფეოდალები: ლიპარტიანი, რაჭის ერისთავი, წულუკიძე, მიქელაძე, ჭილაძე, ჩიჯავაძე; ჩხეიძე; აბაშიძე; იაშვილი, მხეიძე, წერეთელი, ლორთქიფანიძე, ნიჟარაძე, ქვარიანი და სხვები აფხაზეთის კათალიკოსის გრიგოლის, ქუთათელი ევდემონის და გენათელი ნიკოლოზის თაოსნობით ფიცს დებენ, რომ ამიერიდან გაერთიანებული ძალით იბრძოლებენ საერთო მტრის — თურქეთის წინააღმდეგ.[5]

1702 წელს თურქეთის უღელქვეშ მგმინავი ბალკანეთის ხალხებიც აჯანყებისათვის მზად იყვნენ და პეტრე I-ს სამხედრო გეგ-

---

[1] ალექსანდრე არჩილის ძე შვედებმა ნარვასთან ბრძოლის დროს 1700 წელს ტყვედ ჩაიგდეს. როცა ტყვეობიდან ბრუნდებოდა, 1711 წ. გარდაიცვალა რიგაში.

[2] ქ. ჩხატარაიშვილი, საქ. საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან (XVIII ს. პირ. მეოთხედი), საქ. ფეოდ. ხანის ისტ. საკითხები, თბ., 1972, გვ. 53,

[3] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 457.

[4] იქვე.

[5] საქართველოს სიძველენი, ტ. I, თბ., 1920, გვ. 44—45, ს. თაყაიშვილის რედაქციით.

მაც კი შესთავაზეს, თუკი რუსეთი ომს დაიწყებდა თურქეთის წინააღმდეგ[1].

საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელები აჩქარდნენ და რუსეთის იმედით თურქეთის მოსალოდნელ დამარცხებას საქვეყნოდ აცხადებდნენ.[2]

ბალკანეთის ხალხების, რუსებისა და ქართველების ანტითურქული მოძრაობა „ბრწყინვალე პორტას“ თავისი აგენტების მეშვეობით მხედველობიდან არ გამოპარვია. ამიტომ მან პირველ რიგში ქართველების სამაგალითოდ დასჯა გადაწყვიტა.

* * *

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველი მეფე-მთავრების მოქმედებით გაჯავრებულმა თურქეთის სულთანმა 1703 წლის იანვარში ბრძანა დიდი დამსჯელი ექსპედიცია — „დიდი თურქობა“ — მოეწყოთ დასავლეთ საქართველოში. მთავარსარდლად დაინიშნა არზრუმის ბეგლარბეგი ქოსა ხალილ-ფაშა...[3]

ერთი ქართული ცნობით ხალილ-ფაშას ლაშქარში 80 ათასი მებრძოლი ირიცხებოდა[4]. ამასვე ადასტურებს ვახუშტი ბაგრატიონიც. — ფაშა მოვიდა საქართველოში „სპითა დიდითა“[5].

თურქეთის ლაშქარს იმერეთში გასამეფებლად თან მოჰყავდა მოკლული სიმონ მეფის ძმა გიორგი ალექსანდრეს ძე, რომელიც ჯერ ქართლში და შემდეგ ახალციხეში იზრდებოდა. ხალილ-ფაშას ებრძანა, რომ საქართველოში ოსმალთა ჯარი ჩაეყენებინა შვიდი წლის ვადით, განემტკიცებინა ახალი მეფის ხელისუფლება, აეშენებინა ციხეები, სადაც თურქთა მეციხოვნეები ჩადგებოდნენ, ხოლო დანარჩენი ციხესიმაგრეები დაენგრია.

თურქთა ჯარი 1703 წლის აგვისტოს თვეში საქართველოს სამი მხრიდან მოადგა: მთავარსარდალი ქოსა ხალილ-ფაშა გურიაში შეიჭრა, ბათომი დაიკავა და ახალი ციხესიმაგრის მშენებლობას შეუდგა. მისი ქეჰაია (მოადგილე) და ახალციხის ფაშა ზეკარის გადასასვლელით იმერეთს მოადგნენ, ხოლო ოსმალეთის ფლოტმა სამეგრელოს სანაპიროზე გადმოსხა ჯარი. აფხაზეთის მთავარი შერვაშიძე, რომელიც განაწყენებული იყო როგორც ლიპარტიანზე,

---

[1] ქ. ჩხატარაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 53—54.

[2] იქვე, გვ. 55.

[3] დაწვრილებით იხ. ქ. ჩხატარაიშვილის დასახ. ნაშრ., გვ. 56—57.

[4] დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა საქართველოსა და აჭარაში.

[5] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 863.

ისე გიორგი აბაშიძეზე, თურქებს ეახლა და ქართველების წინააღმდეგ გამოილაშქრა.

თურქეთის ამ დიდმა ლაშქრობამ დასავლეთი საქართველოს დასაპყრობად უდიდესი საფრთხის წინაშე დააყენა მთელი ეს მხარე. დამხმარე ძალა არსაიდან ჩანდა. ასეთ მძიმე პირობებში იმერეთის „მეფემ“ გიორგი აბაშიძემ დიდი მხნეობა გამოიჩინა: „შემოიფიცნა სრულიად იმერნი, გურიელ-დადიანითურთ და დახიზნა იმერეთი. მერმე შემოიკრიბნა სპანი და შეკრა გზანი“[1].

პირველ ხანებში ქართველებმა შეძლეს მტრის ძალების შებოჭვა, ხალხი უომრად არც ერთ მტკაველ მიწას არ თმობდა, მაგრამ რიცხობრივმა და სამხედრო-ტექნიკურმა უპირატესობამ თავისი გაიტანა. ამას დაემატა ფეოდალური განკერძოებულობა — პირველ რიგში გურიის მთავარი მამია III ეახლა ხალილ-ფაშას და მორჩილება განუცხადა. თურქებმა გურია დაიმორჩილეს, ბათუმის ციხე ააგეს და შიგ თავიანთი მეციხოვნეები ჩააყენეს. თურქებს ეახლა გიორგი ლიპარტიანზე განაწყენებული თავადი მიქელაძეც, იმერეთისაკენ მეგზურობა გაუწია მათ და გურიაში მდგომ ჯარს ქეჰაიის ჯარის ამბავი შეატყობინა. ზეკარის გზით გადმოსულმა ოსმალებმა გამოვლეს ხანისწყლის ხეობა, ბრძოლით აიღეს კაკას ხიდთან ნაჩქარევად აგებული სიმაგრე და ბაღდათში შეეიდნენ. იქ თხმელის ციხე ააგეს და შიგ თავიანთი გარნიზონი ჩააყენეს.

თურქთა ჯარმა სამეგრელოშიც დიდ წარმატებას მიაღწია. აიღო რუხის ციხე, ააშენა ანაკლიის ციხე და შიგ თავიანთი მეციხოვნეები ჩააყენა, რითაც შავი ზღვის პირას ახალი დასაყრდენი პუნქტი გაიჩინა.

სამი მხრიდან შემოსეულმა მტრის ჯარმა თითქოს მოამთავრა მთელი დასავლეთი საქართველოს დაპყრობა, მაგრამ ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვით რომ ვთქვათ, „შეიწყალა ღმერთმან კუალად ქუეყანა ესე“[2].

1703 წელს თურქეთის მთავრობა დამატებით ჯარს გზავნიდა, რათა საბოლოოდ დაემთავრებინა დასავლეთი საქართველოს დაპყრობა, მაგრამ იმ ჯარში, რომელიც საქართველოში გამოსაგზავნად იყო გამზადებული, მოხდა დიდი აჯანყება. აგვისტოს თვეში აჯანყებულებმა კონსტანტინოპოლი აიღეს, სულთანი მუსტაფა II ტახტიდან გადააყენეს და სულთნად მისი ძმა აჰმედ III დასვეს.

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 863.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 364.

ახალმა სულთანმა, თუმცა აჯანყება ჩაახშო, მაგრამ იძულებული გახდა, ისედაც ღარიბი ხაზინიდან რამდენიმე წლის გადაუხდელი ჯამაგირი მიეცა აჯანყებული ჯარისათვის.

ამის შემდეგ ოსმალეთის მთავრობას ძალა აღარ შესწევდა ლაშქრობის გაგრძელებისა, ამიტომ საქართველოში მყოფ სერასკირს ბრძანება მოუვიდა ლაშქრობის მოშლისა და თურქეთში დაბრუნების შესახებ.

გურიაში მდგომმა ოსმალთა ჯარის მთავარსარდალმა მოლაპარაკება გამართა გიორგი აბაშიძესთან თავისი ქეჰაიის საშუალებით. წინასწარი შეთანხმების შემდეგ გიორგი აბაშიძე 500 რჩეული მხედრით გამოცხადდა ფაშასთან. რადგან თურქთა ღალატისა ეშინოდათ, მხედრობის ნახევარი კარავში შეჰყვა აბაშიძეს, ნახევარიც კარვის კარებთან დაელოდა.

საზავო მოლაპარაკებამ წარმატებით ჩაიარა. თურქებმა მოითხოვეს: შორაპნის ციხის დანგრევა,[1] მძევლების მიცემა, სიმონ მეფის ძმის — გიორგის გამეფება, „ქრთამის" მიცემა — ხოლო გიორგი აბაშიძე გიორგი მეფის მეურვედ უნდა დანიშნულიყო.

გიორგი აბაშიძე ამ პირობებზე დასთანხმდა. მან დაანგრია შორაპნის ციხე, ოსმალებს მისცა მძევლები და ისინი უკან გაბრუნდნენ. გიორგი VI ალექსანდრეს ძემ ქუთაისის ტახტი დაიკავა, ხოლო სამეფოს ფაქტიურ გამგებლად გიორგი აბაშიძე დარჩა.

როგორც ჩანს, ოსმალეთში მომხდარი ამბები ქართველებისათვის ცნობილი გახდა; უკან დაბრუნებულ თურქებს გიორგი აბაშიძის ბრძანებით ფერსათში ქართველები დახვდნენ და სამშობლოში მიმავალნი სასტიკად დაამარცხეს. მოკლეს კოლის ფაშა და დაჭრეს ისაკ-ფაშა. თურქთა მხოლოდ მცირე ნაწილმა მიაღწია ახალციხეს, ხოლო ქართველებმა მტერს ტყვეებისა და საქართველოდან წაღებული ნადავლის უმეტესი ნაწილი დაატოვებინეს.

მიუხედავად იმისა, რომ გურიის სამთავროს ბათომის მხარე საბოლოოდ წაართვეს, ხოლო ქუთაისის, ფოთის, ანაკლიის, რუხისა და ბაღდათის (თხმელის) ციხეებში ოსმალთა გარნიზონები ჩააყენეს, 1703 წლის თურქთა დიდმა ლაშქრობამ მიზანს ვერ მიაღწია — დასავლეთი საქართველო თურქთაგან დაპყრობას გადაურჩა.

გიორგი VI-ის გამეფებამ და ოსმალთა წასვლამ იმერეთის სამეფოს მშვიდობა ვერ მოუტანა. გიორგი VI ქუთაისის ციხეში იყო

---

[1] იმდროინდელ ვითარებაში ოსმალეთს შორაპნის ციხეში მეციხოვნეების ჩაყენება არ შეეძლო, ხოლო ამ ციხის დატოვება იმერეთის თავდაცვას დიდად შეუწყობდა ხელს.

ჩაკეტილი, ქვეყნის საქმეებისა არაფერი ეკითხებოდა, ყველაფერს გიორგი აბაშიძე განაგებდა და მეფედაც ის იწოდებოდა.

გიორგი აბაშიძის აღზევებით უკმაყოფილონი მეფეს მიემხრნენ: იმერეთის თითქმის ყველა გავლენიანი თავადი, აფხაზ-იმერეთის კათალიკოსი გრიგოლ ლორთქიფანიძე, გენათელი, რაჭის ერისთავი პაპუნა, გიორგი ლიპარტიანის შვილები და თვით გიორგი აბაშიძის ძმისშვილები — ზურაბ, სვიმონ და ვახუშტი. ამაში გარკვეული როლი შეასრულა ქართლის ჯანიშინმა ვახტანგმაც, რომლის ძმის ასული იყო გიორგი VI-ის ცოლი.

აღნიშნულ თავადთა მიერ ზურგგამაგრებულმა გიორგი მეფემ 1707 წელს გიორგი აბაშიძეს სამეფოს მმართველობის უფლება ჩამოართვა და თვითონ შეუდგა დამოუკიდებელ მოღვაწეობას.

გიორგი აბაშიძე ვერ ურიგდებოდა იმერეთის სამეფო ტახტის დაკარგვას და ეურჩებოდა მეფეს, ამავე დროს ლიპარტიანსაც არ მოსწონდა მეფის გაძლიერება, ამიტომ რაჭის ერისთავი დაითანხმა, რომ ერთობლივი ძალით ებრძოლათ მეფის წინააღმდეგ.

1709 წელს ლიპარტიანის და რაჭის ერისთავის ჯარი ფარცხანაყანებში შეიყარა და აბაშიძის ჯარს დაელოდა, რათა მოულოდნელად დასხმოდა თავს მეფეს.

მეფემ, როგორც კი ეს ამბავი გაიგო, ღამით სწრაფად წაიყვანა იმერთა ჯარი, მოულოდნელად დაესხა თავს მოკავშირეებს და სასტიკად დაამარცხა, ტყვედ ჩავარდნილნი კი თათრებზე დაყიდა. ამის მცნობი აბაშიძე უკან მიბრუნდა და სვერის ციხეში ჩაიკეტა[1]

გამარჯვებული იმერთა მეფე კაცხის ციხეს შემოადგა, მაგრამ იგი აბაშიძის შვილმა პაატამ უომრად ჩააბარა და თვითონაც ჩაბარდა, მაგრამ მეფემ დაპირება არ შეასრულა და ხიზანნი ვერცხლზე დაყიდა. შედეგ იგი სვერის ციხეს შემოადგა, სადაც აბაშიძე იყო გამაგრებული, მაგრამ მისი აღება ვერ შეძლო. აქედან მეფე სასწრაფოდ გადავიდა რაჭაში და ხოტევის ციხის აღებას შეეცადა, მაგრამ ციხის სიმტკიცის გამო იძულებული გახდა უკან მობრუნებულიყო. ამის შემდეგ მეფე აბაშიძის კუთვნილ ნავარძეთის ციხეს შემოადგა. ამ დროს მას ეახლნენ ლიპარტიანის შვილები კაცია და ბეჟანი, რომლებმაც მეფეს სთხოვეს, რომ ოდიში დაელაშქრა, გიორგი ლიპარტიანი გადაეგდო და კაცია დაესვა ოდიშის სამთავრო ტახტზე[2]. მეფე დასთანხმდა და იმერეთის ჯარით ოდიში დალაშქრა, გიორგი ლიპარტიანი აფხაზეთში გაიქცა, მეფემ ოდიშის მთავრად

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი,, თბ., 1973, გვ. 869.

[2] იქვე.

კაცია დასვა; აფხაზეთის მთავარ შერვაშიძესთან ზავი დადო, უკან დაბრუნდა, ისევ ნავარძეთის ციხეს შემოადგა და აიღო იგი.

როცა მეფე ოდიშში იმყოფებოდა, რაჭის ერისთავი შოშიტა თავს დაესხა იმერეთს, ჭალატყე და სხვა სოფლები მოსწვა, ააოხრა და ისევ სასწრაფოდ გაბრუნდა რაჭას[1]. იმერთა მეფე კი ოდიშიდან გურიაში გადავიდა, იგი უკმაყოფილო იყო გურიელით, — აბაშიძის წინააღმდეგ ბრძოლაში რომ არ დაეხმარა, ამიტომ მთელი გურია დალაშქრა და ააოხრა.

კაცხისა და ნავარძეთის ციხეების დაკარგვის და ტახტზე იმერთა მეფის მომაგრების შემდეგ გიორგი აბაშიძეს იმერეთში აღარ ედგომებოდა. 1711 წელს იგი ქართლის ჯანიშინს ვახტანგს მიენდო.

კაცია დადიანი 1714 წელს გარდაიცვალა და ოდიშის სამთავრო ისევ ლიპარტიანმა დაიკავა. ლიპარტიანი და მეფე დაზავდნენ.

1711 წელს ჯავრის ამოყრის მიზნით იმერთა მეფე ლიპარტიანის მეკავშირეობით რაჭაში ილაშქრებს და თითქმის სხვავამდე იპყრობს მას[2]. მაგრამ ისევ ლიპარტიანის ღალატის შედეგად გიორგი მეფე იძულებული ხდება უკან დაბრუნდეს.

დასავლეთ საქართველოში არეულობას ბოლო არ ეღება. ვინაიდან გიორგი VI იყო „ცუნდრუკი, მომხუეჭელი, ანგაარი, ვერცხლის მოყუარე"[3], ისევ შეთქმულებამ იჩინა თავი — ლიპარტიანი, გურიელი, რაჭის ერისთავი, ბეჟან ლეჩხუმის ბატონი და ზურაბ აბაშიძე შეითქვნენ და 1711 წელს მეფე გიორგი VI იმერეთიდან განდევნეს, ხოლო იმერეთის სამეფო ტახტზე მამრა III გურიელი დასვეს. ლტოლვილ მეფეს იმერეთში თავშესაფარი აღარ ჰქონდა და ერთ ხანს სადღაც მთებში იმყოფებოდა[4], შემდეგ ქართლში გადავიდა და ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის სარეკომენდაციო წერილით ახალციხის ფაშას ეახლა.

გიორგი აბაშიძე, რომელიც ქართლში იმყოფებოდა, ვახტანგ VI-ის შუამდგომლობით ისევ იმერეთში დაბრუნდა. ზურაბ აბაშიძე კვლავ უკმაყოფილო იყო გურიელის მეფობით, გიორგი მეფეს ეწვია ახალციხეში, — იქიდან ლეჩხუმის „მთავარს" — ბეჟანს შეუკავშირდნენ და ისაკ-ფაშას ჯარით ზურაბი და ყოფილი მეფე არგვეთზე გავლით ლეჩხუმში მოვიდნენ[5]. ბეჟანმა შეკრიბა ჯარი და მეფე გურიელის წინააღმდეგ წავიდნენ. გურიელიც მომზადებული

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 870.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] საქართველოს ცენტრ. არქივი (ს. ც. ი. ა.). ფონდ. 1449, საქ. 5; დ. ფ უ რ ცე ლ ა ძ ე, ქართველ თავადაზნაურთა სიგელ-გუჯრები, 1881, გვ. 42 (რუს.).

[5] ვ ა ხ უ შ ტ ი, 1973, გვ. 871.

დახვდა. ბრძოლა მოხდა 1712 წელს ჩხარში[1]. ამ ბრძოლაში მამია III გურიელი დამარცხდა, გიორგი მეფემ კვლავ დაიკავა სამეფო ტახტი.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ მოხდა შეთქმულება მეფის წინააღმდეგ. მასში მონაწილეობდნენ: გურიელი, დადიანი, ერისთავი, აბაშიძე და ლეჩხუმის „მთავარი“ ბეჟანი. 1713 წელს გაიმართა ბრძოლა ოკრიბაში მეფესა და მოკავშირეებს შორის. ამ ბრძოლაში გიორგი დამარცხდა, მეფედ ისევ მამია III გურიელი დასვეს.

1714 წლის იანვარში, ორი თვის მეფობის შემდეგ, მამია გარდაიცვალა, ამით ისარგებლა გიორგი მეფემ და ოსმალების დახმარებით კვლავ დაიკავა იმერეთის ტახტი, რასაც მოჰყვა მოწინააღმდეგეებთან ანგარიშის გასწორება.

გიორგი მეფე რაჭის ერისთავის თანხლებით მოულოდნელად დაესხა თავს ზურაბ აბაშიძეს და მამული დაულაშქრა. ბეჟან დადიანი და ზურაბ აბაშიძე შეეევედრნენ ახალციხის ფაშას, რათა იგი ჯარით დახმარებოდა მათ გიორგი მეფის განდევნაში და აღუთქვეს დიდი ქრთამი.

ოსმალეთი ყოველთვის დიდი ხალისით ეხმარებოდა ურთიერთბრძოლაში დამარცხებულ ამა თუ იმ მეფეს, მთავარსა და თავადს, რადგან დამარცხებული თუ გადაგდებული მეფე-მთავარი „სამართალს“ ფაშასთან ეძიებდა, რასაკვირველია, სათანადო „ქრთამით“, ფაშაც ხელს უწყობდა „სამართლის მაძიებელთა“ მომრავლებას დასავლეთ საქართველოში. ამჟამადაც ისაყ-ფაშა ოსმალთა ჯარით იმერეთს ესტუმრა. გიორგი მეფე კი რაჭის ერისთავთან გაიქცა ჯარის შესაკრებად.

დადიანი და აბაშიძე ფაშას მიეგებნენ. რაჭის ერისთავის ჯარით მეფე მოკავშირეებს შეებრძოლა სოფელ სიმონეთში 1716 წელს[2], მაგრამ დამარცხდა და ლტოლვილმა მესამედ დატოვა იმერეთის ტახტი; მან ქართლის სამეფოს შეაფარა თავი, ხოლო მოკავშირეებმა იმერეთის ტახტზე მამია გურიელის ძე — გიორგი გურიელი დასვეს. შემდეგში ბეჟანმა და ზურაბმა თავისკენ გადაიბირეს შოშიტა რაჭის ერისთავი, რაც მოყვრობით განამტკიცეს — შოშიტას ასული ცოლად შერთეს ბეჟანის შვილს ოტიას. ამის შემდეგ ერთხანს მშვიდობა დამყარდა; ოსმალები ისევ უკან გაბრუნდნენ.

გიორგი გურიელმა მხოლოდ სამი თვე იმეფა. მან გურიიდან თავისი სიმდიდრის ჩამოტანა განიზრახა, მაგრამ რაჭველები მოუ-

---

[1] ვახუშტი, გვ. 871.
[2] იქვე. გვ. 877.

ლოდნელად თავს დაესხნენ მის მებარგულებს სოფელ სალომინაოში, გაძარცვეს ისინი და შემდეგ ტყვედ დაყიდეს. ეს რომ გურიელმა შეიტყო, იმერეთი მიატოვა და გურიაში გაიქცა, ხოლო იმერეთის სამეფო დარჩა სამ თავადს: ზურაბ აბაშიძეს, ბეჟან დადიანს და შოშიტა რაჭის ერისთავს. მათ სამად გაიყვეს სამეფო და თავიანთ სამფლობელოებს შეუერთეს[1].

იმერეთის ლტოლვილი მეფე გიორგი VI ჯერ ქართლში გადავიდა, შემდეგ ახალციხეში, იქიდან რომ დახმარება ვერ მიიღო, სტამბოლში წავიდა ხონთქართან საშუამდგომლოდ; ისაყ-ფაშას ხონთქრის ბრძანება მოუვიდა — გიორგი იმერეთში ისევ გაამეფეო.

1719 წელს ახალციხის ფაშის ჯარით გიორგი მეფე იმერეთში ჩამოვიდა. ქუთაისში, გარდა მდაბიო ხალხისა, არავინ მიჰგებებია. იმერეთის წარჩინებული თავადები წინააღმდეგნი იყვნენ მისი გამეფებისა. აბაშიძის, ერისთავის და დადიანის ჯარი ოკრიბაში იდგა. მეფემ თავადებს ზავი შესთავაზა და მოსთხოვა, რომ მეფედ ცნონ და დაემორჩილონ, მაგრამ უარი მიიღო. ამის შემდეგ ოსმალთა ჯარით მეფე თავს დაესხა ოკრიბაში შეკრებილთ, დაამარცხა, გაფანტა ისინი, ააოხრა ოკრიბა და იქიდან სამეგრელოში წავიდა. დადიანმა წინააღმდეგობის გაწევა ვეღარ შეძლო, დიდი საჩუქრებით შეაჩერა ოსმალები და ბოლოს მოურიგდა მათ. სამიეე თავადი მეფეს დაემორჩილა[2], მეოთხეჯერ ავიდა გიორგი VI იმერეთის ტახტზე, მაგრამ მხოლოდ ნახევარი წლით.

მცირე ხანში — 1720 წელს, ზურაბ აბაშიძის, ერისთავისა და დადიანის შეჩენით სიმონ აბაშიძემ გიორგი მეფე თხმელისციხეში დაპატიჟა, ნადიმის დროს მსახურებს მოაკვლევინა[3], ხოლო მისი ყველა მხლებელი დაიჭირა და ტყვედ დაყიდა.

იმერეთი ისევ დარჩათ ზურაბ აბაშიძეს, შოშიტა რაჭის ერისთავს და ბეჟან დადიანს, კვლავ სამად გაიყვეს. იგი — ერისთავმა აღიღო ქაცხის ციხე, გამოიღო მეფის საგანძური და მიისაკუთრა.

დასავლეთი საქართველოს პოლიტიკური ბედ-იღბალი დიდად იყო დამოკიდებული ამ წარჩინებულ თავადთა ნება-სურვილზე, როგორც ვახტანგ VI აღნიშნავს საქართველოს მეფეთა შესახებ, ისინი „ჟამთა და დროთა წყალობით ასრე დამდაბლებულან, რომე ოდენ სახელი მეფე რქმევიათ, თორემ მართებული არა უქნევინებიათ რა, როგორც ყმათა სდომებიათ, ისრე უსამართლებიათ და ურიგებიათ“[4].

---

[1] ვახუშტი, გვ. 877.

[2] იქვე, გვ. 880.

[3] იქვე, გვ. 881.

[4] ვახტანგის სამართალი, მუხლი 2.

სამთა კავშირსაც შეეპარა ბზარი — შოშიტა და ზურაბი ერთმანეთს დაემდურნენ, ამ დროს ხონთქარმა ახალციხის ფაშას გიორგი VI-ის შვილის — ალექსანდრეს გამეფება უბრძანა იმერეთში.

ისაყ-ფაშამ ქართლის მეფეს ვახტანგ VI-ს გამოსთხოვა იმერთა უფლისწული, რომელიც ქართლში იზრდებოდა — ვახტანგის სამეფო კარზე. იგი ჯერ ახალციხეს მოიყვანა, შემდეგ 1720 წელს[1] იმერეთში გადაიყვანა და სამეფო ტახტზე დასვა თავისი ჯარის შემწეობით.

ბეჟან დადიანი და ზურაბ აბაშიძე წინააღმდეგნი იყვნენ ალექსანდრეს გამეფებისა, ხოლო რაჭის ერისთავი შოშიტა ეახლა მეფე ალექსანდრეს, მიართვა კაცხის ციხის გასაღები და ის სამეფო საგანძური, რომელიც ამ ციხის აღებისას მიისაკუთრა; ალექსანდრემ ეს საგანძური ფაშას აჩუქა, შემდეგ ზურაბ აბაშიძის კუთვნილი ცუცხვათის ციხე აიღო, იქ ოსმალთა მეციხოვნენი ჩააყენა და ოსმალთა ჯარით ბეჟან დადიანის მამულს — ლეჩხუმს დაეცა თავს, გაძარცვა და ისევ ქუთაისში მიბრუნდა.

ბეჟან დადიანს შეშურდა რაჭის ერისთავის თანადგომა ალექსანდრე მეფესთან, ამიტომ ფაშას თორმეტი ქისა ქრთამი მისცა, ფაშამ ქრთამი აიღო და მეურვედ მეფეს ბეჟანი დაუნიშნა, თვითონ კი ახალციხეში გაბრუნდა.

ალექსანდრე მეფე, როგორც ვახტანგ VI-ის სამეფო კარზე აღზრდილი, მის პოლიტიკას იზიარებდა და ქვეყნის გაძლიერებისათვის იბრძოდა, მაგრამ იგი იძულებული იყო თვალთმაქცურად ორგვარი პოლიტიკა გაეტარებინა. მას თურქეთისათვის უნდა ეამებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში მეფობას დაკარგავდა. მეორე მხრივ, ქართლის მეფის გეგმებსაც უნდა გამოხმაურებოდა, რაც ნაწილობრივ რუსეთთან კავშირით უნდა გამოხატულიყო. ამიტომ იყო, რომ ვახტანგ VI-ის ჯართან ერთად განჯაში ლაშქრობის დროს იმერეთის ჯარიც იღებდა მონაწილეობას, ხოლო 1722 წელს ქართლთან ერთად ალექსანდრემაც დაამყარა რუსეთთან დიპლომატიური კავშირი[2].

* * *

ოსმალეთმა XVIII საუკუნის დასაწყისში უფრო ინტენსიურად დაიწყო შავი ზღვის სანაპიროს შემომტკიცება. მან 1723 წელს დაიკავა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ციხეები და საქართველო ზღვას მოსწყვიტა. დასავლეთი საქართველოსათვის მძიმე

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 881.

[2] ქ. ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი, დასავლეთ საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, წიგნში — „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტ. IV, თბ., 1973, გვ. 461—462.

პერიოდი დაიწყო. ოსმალებმა გარნიზონები ჩააყენეს ციხისძირის, ქობულეთის, სეფის, გრიგოლეთისა და ანაკლიის ციხეებში, გაამაგრეს ადრევე მათ ხელში მყოფი ბათუმის, ჩაქვის, ფოთის, ბიჭვინთისა და ანაკოფიის ციხეები[1]. ოსმალთა გარნიზონები იდგა ქუთაისის, ბაღდათის (თხმელისციხე), ცუცხვათის ციხეებში. თურქთა ხელში გადავიდა სუჯუკის (ახლანდელი ნოვოროსიისკის ადგილას) ციხეც.[2]

განსაკუთრებით გააქტიურდნენ ოსმალები 1725 წელს; მათ ფოთში ორთუღიანი ფაშა დასვეს და მას შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს გამგებლობა ჩააბარეს. რუხის ციხე, რომელიც დაშორებული იყო ზღვას და ოდიშის უმთავრეს სიმაგრეს წარმოადგენდა, დაანგრიეს და მისი ქვით ანაკლიის ციხე ააშენეს, რომელსაც რედუთკალე უწოდეს.[3]

1725 წელს თურქები იმერეთში ახალი ციხეების ასაგებად ემზადებოდნენ (საჩინოში, — ეკალში) და ჯარის ჩაყენებას აპირებდნენ შორაპნის ციხესა და გეგუთის ციხე-დარბაზში.[4]

პირობები დასავლეთ საქართველოს დაპყრობისათვის მეტად ხელსაყრელი იყო. მეფესა და თავადებს თვით შემოჰყავდათ ოსმალები. ჯერ კიდევ 1666 წელს ქუთაისის ციხეში სეხნია ჩხეიძემ ჩააყენა იანიჩარები, ხოლო 1721 წელს ცუცხვათის ციხეში, რომელიც ალექსანდრე V-მ ოსმალების დახმარებით წაართვა ზურაბ აბაშიძეს, ოსმალთა გარნიზონი იდგა.

1728 წელს ზურაბ აბაშიძემ იმის შიშით, რომ ალექსანდრე მეფე მას შორაპნის ციხეს წაართმევდა, შიგ ოსმალთა მეციხოვნეები ჩააყენა. ამავე ხანებში ჩაიგდეს ხელთ ოსმალებმა ბაღდათის ციხეც.

თურქთა წარმატებას თვით ქართველ ფეოდალთა შუღლი უწყობდა ხელს. გურიის სამთავროში თურქთა ხელშემწყობად თავადი ნაკაშიძე გამოვიდა. საერთოდ, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ციხეებში ყველგან გამაჰმადიანებული, რენეგატი ქართველები იდგნენ.

შუღლის ნიადაგზე ზურაბ აბაშიძემ დადიანის საწინააღმდეგოდ მოიწვია ისაყ-ფაშა, რომელმაც იმერეთში თავისი შვილი უსუფი გამოგზავნა. ეს უკანასკნელი ეთათბირა ალექსანდრე მეფეს და მისი თანხმობით 1728 წელს გეგუთის სასახლეში ბეჟან დადიანი მიიპა-

---

[1] ქ. ჩხატარაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 462.

[2] შ. ბურჯანაძე, ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რუკა, როგორც საქართველოს ისტორიის პირველწყარო, საქ. მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959, გვ. 192 — 197.

[3] ვახუშტი, გვ. 883.

[4] გ. პაიჭაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, 1725—1735 წწ., 1967, გვ. 39 (რუს.).

ტიკა, იგიც თამამად გამოცხადდა უსუფთან, რადგან „ფაშას აღეთქვა უვნებლობა“, მაგრამ შესვლისთანავე უსუფის საპურველთმტვირთველმა მაჰმად-ბეგმა ხანჯლით განგმირა ბეკანი,[1] მისმა შვილმა ოტიამ კი გაქცევით უშველა თავს.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ოსმალები ქვეყნის დაპყრობის საქმეში საკმაო ენერგიას ვერ იჩენდნენ. არც იმერეთის მეფესა და თავადებს წარმოედგინათ უშუალო საფრთხედ ოსმალთა მიერ ქვეყნის დაპყრობა; მაგალითად, 1738 წელს ალექსანდრე მეფე დარწმუნებული იყო, რომ იმერეთში შემოსვლა „თათართ“ ჭკუაში არა ჰქონდათ, თუმცა მოსაზღვრენი იყვნენ, მაგრამ იმერეთში ვერ შეძლებდნენ შემოსვლას, რადგან იგი ყოველმხრივ გამაგრებული და გზებიც მეტად ცუდი იყო.

უფრო ენერგიულად იბრძოდნენ თურქები შავი ზღვის ზოლის დასაპყრობად; მათ გეგმაში შედიოდა ბათომიდან აზოვამდე ზღვის სანაპიროს დაპყრობა და მთიელთა ტომის (ჯიქების) დამორჩილება; ამ მიზნით 1730 წელს[2] დიდი ლაშქრობა წამოიწყეს ახლად დანიშნული ფოთის ფაშას სარდლობით.

ამ ლაშქრობაში ფაშას მოწოდებით იმერთა მეფე ალექსანდრეც იღებდა მონაწილეობას, რათა ოსმალთათვის ერთგულება ეჩვენებინა, ამით დასავლეთი საქართველოს ფეოდალები დაეთრგუნა და ოდიშისათვის ზიანი მიეყენებინა. ოტია დადიანმა უარი განაცხადა ამ ლაშქრობაში მონაწილეობაზე, იგი ალექსანდრე მეფეს ურჩევდა, არ დახმარებოდა ოსმალთ, „ვინაითგან არა კეთილ არს დაპყრობა მათგან ზღვის კიდისა ჩუენთვის“.[3] ალექსანდრემ არ მოუსმინა დადიანს, პირიქით, თურქებთან ერთად იმერეთის ლაშქარიც მონაწილეობდა ოდიშის დასალაშქრავად (რადგან ოტია დადიანი განელტვო თურქთ), მათ დაარბიეს, გაძარცვეს და ცეცხლი წაუკიდეს ილორის ეკლესიას, შემდეგ გადავიდნენ აფხაზეთში. შერვაშიძემ წინააღმდეგობა გაუწია ოსმალთ, მაგრამ დამარცხდა და იძულებული გახდა, ქედი მოეხარა მათ წინაშე. ფაშამ იგი თავის ამალასთან ერთად იძულებით გაამაჰმადიანა.

ამ ლაშქრობის დროს იმერეთის მეფე ალექსანდრე V დარწმუნდა, რომ თუკი ფაშა გაიმარჯვებდა, იმერეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობა გართულდებოდა, თურქთა უღელი უფრო მძიმე გახ-

---

[1] ვახუშტი, გვ. 884.

[2] ს. კაკაბაძე, საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 162. დოკუმენტი, სადაც ამ ლაშქრობაზეა ლაპარაკი, დათარიღებულია 1730 წლის მარტით. ვახუშტის ცნობით, ეს ლაშქრობა 1733 წელს იყო. იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 886—887.

[3] ვახუშტი, გვ. 886.

დებოდა. ამიტომ, როცა ფაშამ მეფეს ჯიქეთზე და შემდეგ აზოვამდე ლაშქრობა მოსთხოვა, იგი თურქთა ბანაკიდან გამოიპარა. აფხაზები ფაშას აუჯანყდნენ და პარტიზანული თავდასხმებით ლაშქრის დიდი ნაწილი გაუქლიტეს, ლაშქარს მოწყვეტილმა ფაშამ მხოლოდ გაქცევით უშველა თავს.

ამრიგად, ოსმალთა ეს ლაშქრობა მარცხით დამთავრდა, მაგრამ საფრთხეს მაინც არ გაუვლია, შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო, რუსეთთან მეტოქეობაში სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა.

1723 და 1730 წლებში ოსმალთა ორი ლაშქრობა დასავლეთ საქართველოში იმითაც იყო გამოწვეული, რომ აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად იმერეთის მეფე ალექსანდრე V კავშირს ამყარებდა რუსეთთან, იქიდან ესახებოდა მას ოსმალთაგან ხსნის იმედი. ამავე დროს, ვახტანგ VI-ს დიდი გავლენა ჰქონდა, როგორც იმერთა მეფეზე, ასე პროგრესულად მოაზროვნე იმერეთის ფეოდალებზეც. და უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა მთელ საქართველოში, მეფე-მთავრები ხშირად რჩევა-დარიგებას ვახტანგისაგან ითხოვდნენ. იგი საქართველოს დაშლილობის პერიოდში ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანებისათვის მებრძოლ პროგრესულ ელემენტთა წინამძღოლი იყო. ეს კარგად ესმოდათ ოსმალეთის ხელისუფალთ — აგრეთვე ისიც, რომ რუსეთი ძლევამოსილად მოემართებოდა ამიერკავკასიისაკენ და საქართველოც მის მხარეზე იყო, მაგრამ მათ ძველი ძლიერება დაკარგული ჰქონდათ, საქართველოც ძნელად მისადგომ ქვეყანას წარმოადგენდა, ამდენად, თავიანთ მგლურ პოლიტიკას ახალციხისა და ტრაპიზონის გამაჰმადიანებული ქართველი ფეოდალების მეშვეობით ახორციელებდნენ. ამ ფეოდალებს კი საკუთარი მოსაზრება გააჩნდათ დასავლეთი საქართველოს შესახებ.

„საქართველოს საბოლოოდ დაპყრობა და ჩილდირის საბეგლარბეგოს თურქეთის მონაპირე პროვინციიდან შიდა პროვინციად გადაქცევა ახალციხის ფაშებისათვის ხელსაყრელი არ იყო: ასეთ შემთხვევაში ახალციხის ლაშქარი ვალდებული იქნებოდა, მონაწილეობა მიეღო თურქეთის ლაშქრობაში აფრიკის, წინა აზიისა და ბალკანეთის ტერიტორიაზე, ისევე, როგორც ეს ოსმალეთის სხვა პროვინციების მოლაშქრეებს ევალებოდათ. ამ გარემოების გამო ახალციხის გამგებლები არ ცდილობდნენ დასავლეთ საქართველოში ადგილობრივი ხელისუფლების მოსპობას და ხშირად საგანგებოდ იწვევდნენ კონფლიქტს საქართველო-თურქეთის საზღვარზე, რათა ამ მხრიდან უშიშროების დაცვის საბაბით შორეულ ლაშქრობაში გაწვევა თავიდან აეცილებინათ. საქართველოს სამეფო-სამთავროე-

ბის არსებობა თურქეთის იმპერიას საფრთხეს არ უქმნიდა, ამის გამო მისი ყურადღება ძირითადად სხვა მხარეებისაკენ (ბალკანეთი, აფრიკა, ყირიმი...) იყო მიმართული. ეს გარემოება — თურქეთის საშინაო ცხოვრებაში იმ დროს არსებული გართულებები — მნიშვნელოვნად განაპირობებს იმ ფაქტს, რომ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ფეოდალური შინაომებით უაღრესად დასუსტებული დასავლეთი საქართველო აღმოსავლეთის იმპერიის პროვინციად არ იქცა"[1].

* *

1579 წლიდან — ახალციხის საფაშოს დაარსების დღიდან 1628 წლამდე ქართველი ათაბაგები იბრძვიან სამცხიდან ოსმალთა განდევნისა და ათაბაგის ხელისუფლების აღსადგენად, მაგრამ მიზანს ვერ აღწევენ.

1628 წელს სულთანმა მურად IV-მ (1623 — 1640 წწ.) ათაბაგი ბექა III (1628 — 1651 წწ.) ფაშად დანიშნა, შემდეგში მას საფარფაშა ეწოდა. ამით სულთანმა მოსპო სამცხეში ათაბაგის სახით შემორჩენილი ადგილობრივი ხელისუფლება, რის შემდეგ ქართულმა ფეოდალურმა სამთავრომ პოლიტიკური არსებობა შეწყვიტა და ათაბაგის ადგილი სულთნის მოხელე ფაშამ დაიკავა. ამ დროიდან მოაოლებული სამცხეში სწრაფად ვრცელდება მაჰმადიანობა.

ახალციხის საფაშოს მართვა-გამგებლობა და ადმინისტრაციული დაყოფა ოსმალურ საფუძველზე იყო მოწყობილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი მაინც ინარჩუნებდა მთელ რიგ თავისებურებებს და განსხვავდებოდა ოსმალეთის იმპერიის სხვა პროვინციებისაგან, მაგალითად: ოსმალეთში კანონით დაუშვებელი იყო პროვინციების მართვა-გამგებლობა მემკვიდრეობის წესით; ფაშას ირჩევდნენ ჯერ სამი, შემდეგ — ორი და შემდეგ ერთი წლით; თუ ფაშა სულთნის იმედებს ვერ გაამართლებდა, იგი კარგავდა ძალაუფლებას, ამით სულთნის ხელისუფლებას მორჩილებაში ჰყავდა პროვინციის გამგებლები და მათ გაძლიერების საშუალებას არ აძლევდა. სულთანი მურად IV იძულებული გახდა, სამცხის მიმართ გარკვეულ კომპრომისზე წასულიყო და ბექა III-ს სამცხის ფაშობა მემკვიდრეობით უბოძა (1628 წელს). ამიერიდან სამცხეს გამაჰმადიანებული ჯაყელები (ათაბაგები) განაგებდნენ და მათ მემკვიდრეობის უფლება XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე შეინარჩუნეს[2]. მართალია, ოს-

---

1 ქ. ჩხატარაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 464.

2 მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, XVI—XVII სს., თბ., 1971, გვ. 300—305.

მალეთი დასავლეთ საქართველოს თავის ვასალ ქვეყნად თვლიდა და აქტიურად ერეოდა მის საშინაო საჭეეთში, ძაგრამ ქრისტიანულ სარწმუნოებას ხელს არ ახლებდა და გამაჰმადიანებას არ მოითხოვდა. (გამონაკლისს აფხაზეთი წარმოადგენდა, სადაც მაჰმადიანობა ფეხს იკიდებდა, თუმცა ოსმალები ოფიციალურად არც აფხაზებისაგან მოითხოვდნენ სჯულის შეცვლას).

დასავლეთი საქართველოს ყველა მეფე-მთავარი ქრისტიანი იყო და ოსმალებს არც უცდიათ მათი გამაჰმადიანება, მიუხედავად იმისა, რომ მეფე-მთავრებს სულთნები ამტკიცებდნენ ტახტზე და ხშირ შემთხვევაში პოლიტიკურ თავშესაფარსაც ქართველი გამგებელნი ახალციხეში პოვებდნენ და იქიდან ფაშის დახმარებით იღებდნენ სამეფო თუ სამთავრო ტახტს.

აღმოსავლეთი საქართველოსაგან განსხვავებით, დასავლეთი საქართველოს გამგებელნი თურქეთის მოხელედ („ვალი", „ხანი") არასოდეს არ გამხდარან, ჩვეულებრივ, ისინი „მელიქებად" მოიხსენიებოდნენ და მათ თურქეთის სულთნისათვის არც ლაშქრის გაგზავნა და არც ოსმალეთის ტერიტორიაზე სამსახური ევალებოდათ. „საური" ან „სათათრო" გადასახადი, რომელსაც ოსმალეთს უგზავნიდნენ (ქართველები მას „ქრთამს" ეძახდნენ), ძირითადად იყო ახალგაზრდა ქალ-ვაჟები; ისინი პირველად ახალციხეში იგზავნებოდნენ და იქიდან კი ოსმალეთში — სულთანთან[1].

* *

1728 წელს ოსმალების მიერ ბეჟან დადიანის მოკვლის შემდეგ მთელი ძალაუფლება ალექსანდრე V-ის ხელში გადავიდა, მაგრამ უთანხმოება მეფე-მთავრებს შორის და ფეოდალური შინაომები შემდეგშიც გრძელდებოდა. ალექსანდრე V ცდილობდა მთავრების დამორჩილებას და თავისი უფლებების განმტკიცებას, მაგრამ, რადგან ეს მის ძალას აღემატებოდა, იგი ოსმალების დახმარებით ცდილობდა ყოველივე ამის განხორციელებას. დადიანი, რაჭის ერისთავი და აბაშიძე ჩვეული მზაკვრობით და ურთიერთღალატის პირობებში განაგრძობდნენ მეფესთან ბრძოლას. ასეთ მდგომარეობაში მეფეც იძულებული ხდებოდა, ოსმალებს დაყრდნობოდა და მათგან ზურგის მომაგრებით ცდილობდა მეფობის შენარჩუნებას.

ოტიამ (რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ გადადიანდა) განიზრახა მეფის ჩამოგდება ტახტიდან. მან მიიმხრო რაჭის ერისთავი

---

[1] ქ. ჩხატარაიშვილი, საქართველოს საგარეო ურთიერთობათა ისტორიიდან, წიგნში — „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები", თბ., 1972, გვ. 43 — 45.

და ზურაბ აბაშიძე, მეფის ძმას — მამუკა ბატონიშვილს ცოლად შერთო თავისი დაი და მისი მეფედ დასმა განიზრახა.

დადიანმა გეგუთს მოიყვანა ოდიშ-აფხაზეთის ლაშქარი, მას შეუერთდნენ ერისთავი და აბაშიძე. მეფე ქუთაისის ციხეში ჩაიკეტა. ამბოხებულნი შემოადგნენ ციხეს, მაგრამ ოსმალთა შიშით მისი აღება ვერ გაბედეს[1] და ლაშქრობა მოშალეს, მეფე გამოვიდა ციხიდან და ისევ შემოიმტკიცა იმერეთი.

1732 წელს მეფემ ახალი მოყვრობით ერთგვარად განიმტკიცა საშეფო ტახტი. მან ცოლად შეირთო ლევან აბაშიძის ასული, ხოლო თავისი ქალიშვილი პირველი ცოლისაგან მამია გურიელს მიათხოვა[2].

ოტია დადიანმა არ აპატია ალექსანდრე ძეფეს ოდიშის დარბევაში მონაწილეობა. იგი შეთქმულებას (მეორედ) უდგება სათავეში მეფის წინააღმდეგ. მისი თანამზრახველნი არიან გრიგოლ რაჭის ერისთავი (შოშიტა 1731 წელს გარდაიცვალა) და ზურაბ აბაშიძე. მათ მეფის მოკვლა ან გადაგდება და მის ადგილზე მეფის ძმის მამუკა ბატონიშვილის (მეორედ) გამეფება გადაწყვიტეს. მეფის მხარეზე იყვნენ: მამია გურიელი, ლევან აბაშიძე, დადიანის ძმა კაცია, ბარის ერისთავი გედევანი, მერაბ წულუკიძე და სხვანი.

ბარის ერისთავი გედევანი იყო შოშიტა რაჭის ერისთავის ძმა, გენათელი ეპისკოპოსი. მას ვახტანგ მეფის ასული ცოლად უნდოდა თავის ძმისწულ პაპუნასათვის, მაგრამ სარძლო შეუყვარდა, მღვდელმთავრობას თავი გაანება და თვითონ შეირთო ცოლად, ამიტომ რაჭაში ვეღარ წავიდა, იმერთა მეფესთან მივიდა თხოვნით. მეფემ შეიწყალა. რაჭის ერისთავის საწინააღმდეგოდ მისცა მას „საერისთავო" მამული იმერეთს და უწოდა ბარის ერისთავი" (საერისთავოში შედიოდა სოფლები: ამაღლება, ძულუხი, სიმონეთი და ნაწილობრივ ბზვანი, რომელთაც ბარის ერისთავები ფლობდნენ XIX საუკუნეშიც).

ამრიგად ალექსანდრე V-მ ბარის საერისთავო შექმნა რაჭის ერისთავთა საპირისპიროდ, მაგრამ ამ ღონისძიებას მეფისათვის რაიმე მნიშვნელოვანი სარგებლობა არ მოუტანია. მართალია, ბარის ერისთავები მეფის ერთგულნი იყვნენ, მაგრამ ამან ვერ იხსნა რაჭის ერისთავთა მძლავრობისაგან და რაჭის საერისთავოს შემდგომ გაძლიერებას ხელი ვერ შეუშალა.

ორი კოალიცია ერთმანეთს შეხვდა ჩიხორში. ბრძოლა მოხდა 1732 წელს, მეფის ლაშქარმა გაიმარჯვა. ოტია დადიანი დაჭრილი

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 885—886.

[2] იქვე, გვ. 885.

ტყვედ ჩაუვარდა მეფეს, ხოლო კაცია დადიანი მოკლეს. მიუხედავად დიდი თოვლისა, იმერლები გამოუდგნენ გაქცეულთ, მრავალი შეიპყრეს და ოსმალებზე დაყიდეს[1].

მეფემ განკურნა დადიანი და განთავისუფლება დაუპირა, სამაგიეროდ ლეჩხუმის დათმობა მოსთხოვა, მაგრამ უარი მიიღო. საქმეში ჩაერივნენ ოსმალები; მათ არ სურდათ მეფის გაძლიერება — ეს მათ გეგმაში არ შედიოდა და ალექსანდრე V-ს მოსთხოვეს დადიანის გაშვება. მეფე იძულებული გახდა, დათანხმებულიყო, რადგან სხვა გზა არ ჰქონდა: ისაკ-ფაშამ დიდი ქრთამის ფასად (დადიანისაგან) ოსმალთა და ქართველთა ჯარი[2] გამოგზავნა მამედბეგისა და გივი ამილახორის სარდლობით დადიანის გასათავისუფლებლად. მეფემ მხოლოდ იმას მიაღწია, რომ დადიანს წაართვა საჭილაო-სამიქელაო, მამედბეგს მიათხოვა თავისი და, დადიანთან ზავი დადო და ამით ისევ შემოიმტკიცა იმერეთი. ხოლო მამუკა ბატონიშვილს საუფლისწულოდ მისცა საჭილაო-სამიქელაო. ამ მამულს მამუკამ საჩიჯავაძო მამულიც მიუმატა.

ამდენი ომიანობა, არევ-დარევა, ამასთან გახშირებული ტყვეთა სყიდვა სასოწარკვეთილებაში აგდებდა ქვეყანას; შინაომებმა სამეფო სალარო დააცარიელა, მეფეს სათურქო ხარკის გადახდაც კი აღარ შეეძლო, ამიტომ ამ ვალდებულებას მხოლოდ ტყვის სყიდვის მეშვეობით ასრულებდა[3]. გამოსავალი არსაიდან ჩანდა. მხოლოდ ეკ-

---

[1] სეხნია ჩხეიძე, ცხოვრება მეფეთა, გვ. 60; ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 888, ვახუშტი ამ ბრძოლის თარიღად 1734 წელს აჩვენებს, ხოლო ე.წ. „აბაშიძის ქრონიკა" ანუ „იმერეთის ქრონიკები" და „ანთაძის ქრონიკა" 1731 წელს (იხ. თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. III, თბ., 1967, გვ. 627, 639).

ერთი ქრონიკა ჩიხორის ომს 1708 წლით ათარიღებს (იხ. ქრონიკები, III, თბ., 1967, გვ. 638). ერთი ქრონიკის ცნობით კიდევ 1728 წელია ნაჩვენები (იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ახალი (Q) კოლექციისა, ტ. II, თბ., 1958, გვ. 637).

„მცირე ქრონიკები" ამ ბრძოლის თარიღად 1732 წელს აღნიშნავს (იხ. მცირე ქრონიკები, თბ., 1968, გვ. 70).

ქ. ჩხატარაიშვილი ჩიხორის ბრძოლას 1732 წლით ათარიღებს (იხ. ნარკვევები საქ. ისტორიიდან, ტ. IV, გვ. 465).

ამ ბრძოლაში მონაწილეობდა გრიგოლ რაჭის ერისთავი, ვახუშტის ცნობით კი — გრიგოლი ერისთავად დაჯდა 1731 წელს. ამ საწინააღმდეგო ცნობათა შორის სეხნია ჩხეიძის ცნობა უფრო სანდოა, რამდენადაც ის ამ ომის თანამედროვეა. ამდენად ჩიხორის ბრძოლა 1732 წელს უნდა მომხდარიყო.

[2] რადგან 1724—1735 წლებში მთელი საქართველო ოსმალეთის მორჩილებაში იყო, აღმოსავლეთ საქართველოს ჯარი ფაშის ბრძანებით გადმოვიდა იმერეთში.

[3] ცნობა მეფის ფინანსურ (ხელნაწერთა ინსტიტუტი SD — 1168) სიძნელეთა შესახებ; ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973 წ., გვ. 889.

ლესიის ზოგიერთი მესვეური, მაგალითად, კათალიკოსი გრიგოლ ლორთქიფანიძე (1696 — 1742 წწ.) და სხვა მღვდელმთავრები ცდილობდნენ ზნეობრივი ზემოქმედებით აღვირახსნილობის შეჩერებას, მაგრამ მათი მიმართვა რჩებოდა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა[1].

ურთიერთრბევა და ღალატი მაინც გრძელდებოდა. ალექსანდრე V-მ თავისი დის ქმარს — ზურაბ აბაშიძის შვილს დავითს და პაპუნა წერეთელს ღალატით თავები მოჰკვეთა ვარციხის სასახლეში[2]. თვითონ სწრაფად გაილაშქრა საჩხერის („მოდინახეს") ციხის ასაღებად, მაგრამ წერეთლის ქვრივმა და მისმა ძმამ ციხის გამაგრება მოასწრეს, მეფე საწადელს ვერ ეწია და ხელმოცარული უკან მობრუნდა.

იმერეთის დიდებულები მეფისაგან ასეთ მოქმედებას არ ელოდნენ, შურისძიების მიზნით ზურაბ აბაშიძე, გრიგოლ რაჭის ერისთავი და ოტია დადიანი კვლავ შეითქვნენ და საბრძოლველად ემზადებოდნენ, მაგრამ მეფემ შეიტყო მათი სამზადისი და დასწრება ამჯობინა. მან დახმარებისათვის შანშე ქსნის ერისთავს მიმართა. ერისთავმა ქართლის ჯართან ერთად 500 ლეკიც იახლა. ამ ლაშქარმა მეფე ალექსანდრეს წინამძღოლობით „შემუსრნეს ციხენი და მრავალნი კოშკნი, მოსწვეს და მოსტყუევნნეს და შთავიდნენ ოდიშს და უძვირესნი ბოროტნი ყვნეს"[3].

ხედავდა რა „ქვეყნის დაქცევას", ლევან აბაშიძემ მეფეს ურჩია: — „არა კეთილ არს ლეკთაგან შემუსრვა ქუეყანისა ჩუენისა, რაჟამს სცნან ადგილნი, თვითვე მრავალსა ბოროტსა შეგვაჩუენებენ, ვითარცა უყვეს სხუათა"[4]. მეფემ შეისმინა აბაშიძის რჩევა, ლეკებს ტყვეები არ გაატანა, მაგრამ ალაფით დატვირთულები კი გაისტუმრა უკან.

იმერეთისა და ოდიშის დარბევის შემდეგ მეფემ თავისი ნახევარძმა გიორგი და ლევან აბაშიძე წარგზავნა ქართლს ვახუტი აბაშიძის (ზურაბ აბაშიძის ძმის) შესაპყრობად. ისინი მოულოდნელად დაესხნენ თავს ტეძერს მყოფ ვახუშტის, შეიპყრეს და მეფეს მოჰგვარეს. მეფემ იგი ნავარძეთის ციხეში გამოკეტა, 500 ქისა თეთრი

---

[1] ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, თბ., 1920, გვ. 73.

[2] ნიკო დადიანი, ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962, გვ. 176; ვახუშტი, 890.

[3] იქვე.

[4] იქვე.

და ვახანის ციხის მოცემა მოსთხოვა, მაგრამ ვახუშტი ამ მოთხოვნაზე არ დასთანხმდა[1].

ქართლის კათალიკოსი დომენტი ეახლა მეფეს და პატიმრის განთავისუფლება სთხოვა; მეფემ უარი აკადრა და უპატივცემლოდაც მოექცა[2]. შემდეგ იუსუფ-ფაშამ გამოუგზავნა „აღკაზმული ცხენი, ქულაჯი და ოცი ქისა თეთრი“[3], რათა გაათავისუფლოს ვახუშტი, მაგრამ ამჯერადაც მეფემ იუსუფ-ფაშას თხოვნა არ შეასრულა და ამით მისი უკმაყოფილება გამოიწვია.

როგორც კი მეფის უარი იუსუფ-ფაშისადმი და მათ შორის ჩამოვარდნილი სამდურავი შეიტყვეს, სამეული კვლავ წამოიშალა; „ვითომც ფაშას საამებლად“ ოტია დადიანმა იშოვა „სპანი აფხაზთა“, მას შეუერთდნენ ზურაბ აბაშიძე, გრიგოლ ერისთავი და მარბიელი ჯარი იმერეთისკენ გამოუშვეს, რომელიც მოულოდნელად თავს დაეხსა ვარციხის სასახლეში მყოფ მეფეს. მეფემ და დედოფალმა ძლივს მოასწრეს გაქცევა. სხვანი — სასახლეში მყოფნი — ერთბაშად დაატყვევეს, სასახლე დაწვეს და ციხე დააქციეს. ეს მოხდა 1740 წელს[4].

განაწყენებულმა იუსუფ-ფაშამ 1741 წელს ოსმალთა ჯარიც გამოგზავნა ალექსანდრე მეფის წინააღმდეგ. ოსმალებს დადიანი, აბაშიძე და ერისთავი შეუერთდნენ. მეფეს ძალა არ შესწევდა წინააღმდეგობის გასაწევად, უბრძოლველად დათმო მეფის ტახტი და ქართლში გადაიხვეწა.

გამარჯვებულებმა იმავე 1741 წელს სამეფო ტახტზე ალექსანდრე V-ის უმცროსი ნახევარძმა გიორგი გაამეფეს[5].

ლტოლვილ მეფეს თან გაჰყვნენ ლევან აბაშიძე (სიმამრი), ძმა მამუკა ბატონიშვილი, ბარის ერისთავი და სხვა დიდებულები. მათთან წაიყვანეს პატიმარი ვახუშტი აბაშიძე.

ქართლის ხანმა მეფე დიდი პატივისცემით მიიღო, ისე, როგორც მეფეს ეკადრებოდა, მაგრამ შემდეგ დაატყვევა. ამის მხილ-

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 890.

[2] ი ქ ვ ე.

[3] იქვე, გვ. 891.

[4] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Sd ნაბ. 1563; ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 891. სიგელი იმერთა მეფის სოლომონ II-ისა 1805 წლისა ზურაბ და ქაიხოსრო წერეთლებისადმი. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, წერილები და მასალები. საქ. ისტ, გვ. 91.

[5] დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962, გვ. 167; ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 892.

ველი ბარის ერისთავი ეახლა დარუბანდში მყოფ ირანის მბრძანებელს — ნადირ-შაჰს და მეფის თხოვნა მიართვა[1].

ნადირ-შაჰმა შეიწყალა მეფე და ახალციხის ფაშას იმერეთიდან გამოძევებული მეფის თაობაზე სთხოვა „ჩემი შემოხვეწილი არის და ისევ თავისი ქვეყანა დაანებე და რასაც იმას პატივს მისცემთ ჩემად პატივად ჩავიგდებო“[2]. იუსუფ-ფაშამ ნადირ-შაჰის თხოვნას ანგარიში გაუწია და ალექსანდრე იმერთა მეფე ისე დაბრუნა ტახტზე, რომ თურქეთის ცენტრალური ხელისუფლებისათვის არც კი უკითხავს (1741 წელს).

იუსუფ-ფაშამ დასავლეთი საქართველოს დიდებულები შეარიგა მეფესთან და ისევ უკანვე გაბრუნდა, მაგრამ მოკლე ხანში დადიანი, აბაშიძე და ერისთავი ისევ გამოუდგნენ მეფეს. ეს ამბავი მეფემ თავის დედინაცვალს — თამარს (მეტსახელად კოპიბროლას) დააბრალა და თავი მოჰკვეთა[3]. შემდეგ გიორგის მომხრენი დააწიოკა და დედაბუდიანად ოსმალეთში დაყიდა.

ზურაბ აბაშიძის მიმართ სახლიკაცთა შორის უკმაყოფილება გაჩნდა, ამით ისარგებლა მეფემ და მას მისივე ბიძაშვილი ლევანი დაუპირისპირა. ამის შემდეგ ზურაბს იმერეთში აღარ ედგომებოდა და იგი ქართლში გადაიხვეწა. სახლის უფროსად კი აბაშიძეებმა ლევანი დასვეს[4].

ლევანი გიორგი აბაშიძის (იმერთა მეფედ ყოფილის) შვილი იყო, როცა მისი მამა ქართლში გადაიხვეწა, ერთხანს იგი შეიწროებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ როცა მეფე ალექსანდრემ მისი ასული ცოლად შეირთო და იმავე დროს მეფესთან ბრძოლაში ზურაბ ჯაბაშიძე დაამარცხა, ლევანი მნიშვნელოვნად გაძლიერდა და მასაც ისეთივე პრეტენზიები გაუჩნდა, როგორიც თავის დროზე მამამისს — გიორგი აბაშიძეს ჰქონდა.

1743 წელს ალექსანდრე V-ს კვლავ აუჯანყდნენ დადიანი და რაჭის ერისთავი, მეფემ ქუთაისის ციხეს შეაფარა თავი[5] და იქიდან ახალციხეს გაგზავნა თხოვნა დახმარების შესახებ. მოკავშირეები

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 891.

[2] იქვე.

[3] პაპუნა ორბელიანი, „ამბავნი ქართლისანი“ [წიგნში „ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეცხრამეტე საუკუნემდის, ნაწილი მეორე, გამოცემული უ. ჩუბინოვისაგან,, სანკტ-პეტერბურგი, 1854,] გვ. 349.

[4] ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდ. ხანის დასავლ. საქ. სოც.-პოლიტ. ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 188—189.

[5] სიგელი იმერთა მეფის სოლომონ II-ისა, იხ.; ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქ. ისტორიისათვის, გვ. 91.

გეგუთს[1] იდგნენ ჯარით, როცა ამბის გასაგებად და მოწინააღმდეგის დასაზვერავად მათკენ გაემართნენ აბაშიძე და ბარის ერისთავი. მოხდა მცირე შეტაკება, მოკავშირეთ ეგონათ, ოსმალთა მოწინავე ჯარი მოდისო და გაიქცნენ. ამ მცირე შეტაკებაში მოკლეს გრიგოლ რაჭის ერისთავი. გამარჯვება მეფეს დარჩა. გრიგოლის ნაცვლად ერისთავად მისი ძმა ვახტანგი დასვეს, რომელთანაც მეფემ ზავი დადო და ერთხანს მშვიდობა დამყარდა, მაგრამ ვახტანგ ერისთავიც იყო ალექსანდრე მეფის „ორგულობასა და წინააღმდეგობასა შინა"[2].

მოკავშირეებმა 1746 წელს ერთხელ კიდევ მოახერხეს ალექსანდრე მეფის ტახტიდან გადაგდება. ამჯერად იმერთა ტახტზე მეფედ მამუკა ბატონიშვილი დასვეს, მაგრამ 1749 წელს მეფე ალექსანდრემ ახალციხის ფაშის ლაშქრით კვლავ დაიბრუნა სამეფო ტახტი.

1752 წელს ალექსანდრე V გარდაიცვალა და ტახტი მისმა შვილმა სოლომონ I-მა დაიკავა.

თუმცა ალექსანდრე V თურქებზე დაყრდნობით ცდილობდა შეექმნა მტკიცე სამეფო ხელისუფლება, მაგრამ სიძნელეებს თავი ვერ გაართვა, მთავრები და ფეოდალები ვერ დაიმორჩილა და ძალაუნებურად თვით გახდა დამხმარე ძალა ოსმალებისა შინაგანი ურთიერთბრძოლის გაღვივებისა და ამის შედეგად ქვეყნის დასუსტების საქმეში.

• •

XVIII საუკუნის დასაწყისში ოსმალების გააქტიურება საქართველოს მიმართ თანდათანობით სახიფათო ხდებოდა, საქართველოს მესვეურნი ამას კარგად ხედავდნენ და ამიტომ ისევ რუსეთისაკენ ეჭირათ თვალი და იქიდან ელოდნენ ხსნას. ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ განჯის ლაშქრობაში ვახტანგ VI ჯართან ერთად იმერეთის ლაშქარიც იღებდა მონაწილეობას. ვახტანგ VI-ის

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 813.

[2] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Sd საბ. № 1563; ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 893. ვახტანგის ერისთავობა გაგრძელდა დაახლოებით 1749 წლამდე. 1750 წლის 29 ივლისს რაჭის ერისთავად როსტომი იხსენიება. იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Sd საბ. № 1563, შეადარე საქცენტრარქივი, ფ. 226 (1), საბ. № 1181; (იხ. აგრეთვე სიგელი იმერთა მეფის სოლომონ II-ისა) 1805 წლისა (ზურაბ და ქაიხოსრო წერეთლებისადმი): წერილები და მასალები საქ. ისტორიისათვის ს. კაკაბაძისა, 1914, გვ. 91.

ელჩს რუსეთის მთავრობასთან ალექსანდრე V-მ თავისი სახელითაც დაავალა მოლაპარაკების წარმოება[1].

1723 წლის დიდი კამპანიის შედეგად ოსმალებმა შავი ზღვის ზოლი დაიპყრეს. როცა ვახტანგ VI-მ საქართველო დატოვა (1724 წ.) და ქართლ-კახეთს ოსმალები დაეპატრონენ, ალექსანდრე V-მ ისევ მიმართა რუსეთის მთავრობას წერილით კაპიტან-პორუჩიკ გიორგი დადიანის მეშვეობით. მეფე რუსეთის საიმპერატორო კარს იმერეთის გაჭირვებულ მდგომარეობას ატყობინებდა, რუსეთისაგან ფულად დახმარებას ითხოვდა და საჭიროდ მიაჩნდა საქართველოში პეტრე I-ის ჩამოსვლა[2]. მაგრამ მოხდა ისე, რომ 1724 წლის ხელშეკრულებით რუსეთი იძულებული გახდა, მთელი საქართველო ოსმალეთის გავლენის სფეროდ ეცნო. მიუხედავად ამისა, ქართველი პოლიტიკური მოღვაწენი მაინც რუსეთისაგან მოელოდნენ ხსნას, რადგან ჯერ ერთი, დასავლეთი ევროპა შორს იყო და მისი დახმარება საეჭვო, ხოლო რუსეთი, გარდა გეოგრაფიული სიახლოვისა, ამიერკავკასიაში იმთავითვე ისახავდა პოლიტიკურ მიზნებს: — „მესამე რომის“ სახელით ის აღმოსავლეთის ქრისტიანობის მფარველობას იჩემებდა და ამით ამიერკავკასიაში მუსლიმან სახელმწიფოთა მოწინააღმდეგედ გამოდიოდა[3]. თუმცა XVII საუკუნის მანძილზე რუსეთმა არაერთხელ გამოამჟღავნა თავისი სისუსტე ამიერკავკასიაში, მაგრამ 1714 და 1722 წლებში აღმოჩნდა, რომ დასავლეთი ევროპის სახელმწიფოები კიდევ უფრო ნაკლებრეალური მოკავშირეები იყვნენ საქართველოსი, ვიდრე რუსეთი.

რუსეთის გამოჩენამ ამიერკავკასიაში შეცვალა ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა დასავლეთევროპული გეგმები; „რუსეთი პეტრეს სახით პირველი დიდი სახელმწიფო იყო, რომელიც ამიერკავკასიის მიწაზე მოვიდა, ირანსაც და ოსმალეთსაც დაუპირისპირდა და კავკასიის ქრისტიან ხალხებს კავშირი და მფარველობა შესთავაზა...“[4] ქართველებს სწამდათ, რომ „რუსეთი მაინც ერთადერთი დიდი ქრისტიანული სახელმწიფოა, რომელსაც ამიერკავკასიაში რეალური პოლიტიკური ინტერესები აქვს და რომ ეს ინტერესები

---

[1] მ. ბროსეს რედაქციით, ქართველ მეფეთა მიმოწერა რუსეთის ხელმწიფეებთან, სპბ, 1861, გვ. 30—31, 147. შემდეგში — მ. ბროსე, მიმოწერა (რუს.).

[2] ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, თბ., 1956, გვ. 080, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ელ. მეტრეველმა.

[3] ნ. შერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 160.

[4] იქვე, გვ. 161.

ქართველი ხალხის პოლიტიკურ მისწრაფებას არ ეწინააღმდეგება"[1].

პეტრე I-ის სიკვდილის შემდეგ (1725 წ). საქართველო-რუსეთის ურთიერთობა თანდათან შენელდა. პეტრეს მემკვიდრეებმა ოსმალეთის დასუსტებით ვერ ისარგებლეს, რადგან რუსეთის საშინაო მდგომარეობა იმ დროს გართულებული იყო და საქართველოს დახმარებაზე არავინ ზრუნავდა[2]. პირიქით, 1730 წელს, ვახტანგ VI-ს ურჩიეს, საქართველოში შეეთვალა, რომ ქართველები თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში მხოლოდ საკუთარ ძალებს მინდობოდნენ[3].

ასეთი კატეგორიული უარის შემდეგ იმერეთის მეფე ალექსანდრე V მაინც რუსეთისაკენ იშვერდა ხელს და რუსეთის მთავრობას მოაგონებდა 1651—1652 წლებში დადებული რუსეთ-იმერეთის ხელშეკრულების განხორციელებას, რომლის ძალითაც იმერეთი რუსეთის ხელდებულად ითვლებოდა[4]. 1732 წელს ალექსანდრე V-მ რუსეთში კვლავ გაგზავნა ელჩად არქიმანდრიტი ნიკოლოზი[5]. მეფე „ძველი წყალობის" შენარჩუნებას ითხოვდა[6], მაგრამ ამ თხოვნიდანაც არაფერი გამოვიდა — რუსეთის საიმპერატორო კარს ამჯერადაც არ ეცალა იმერეთისათვის.

XVIII საუკუნის დასაწყისში, განსაკუთრებით 20-იან წლებში თურქმა დამპყრობლებმა სამხედრო ინტერვენცია გააძლიერეს შავი ზღვის სანაპიროზე და იმერეთის სამეფოს შიგნით. ამან ფრთები შეასხა იმერეთის მეფის მოწინააღმდეგე ფეოდალებს. დადიანი, რაჭის ერისთავი და აბაშიძე სისტემატურად გამოდიოდნენ იმერეთის მეფის წინააღმდეგ. იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორია XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, ძირითადად, ეს არის შინაფეოდალური ომები, თავადებისა და მთავრებისა იმერეთის მეფეების წინააღმდეგ. ფეოდალურ რეაქციას ზურგს უმაგრებდნენ თურქი დამპყრობლები, რომლებიც იმერეთის მთავარ ციხე-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965 გვ. 161.

[2] გ. პაიჭაძე, კონსტანტინე კახთა მეფის ელჩები რუსეთში (1724—1725 წლებში), გვ. 140.

[3] იქვე.

[4] მარი ბროსე, მიმოწერა, გვ. 196 (რუს.).

[5] ეს არქიმანდრიტი ნიკოლოზი რუსეთში ელჩად გაგზავნა იმერთა მეფემ 1732 წელს, მაგრამ ასტრახანიდან, სადაც მას ყველა წერილი ჩამოართვეს, იმერეთში დაბრუნდა. მოგვიანებით ტიმოთე გაბაშვილი საყვედურს აცხადებდა, ნიკოლოზ-ეიღაცამ ყველა წერილი და ქაღალდი ჩამოართვა, რის გამოც იმერეთში არაფერი იცოდნენ იმპერატორის პასუხის შესახებო. იხ. გ. პაიჭაძე, ტიმოთე გაბაშვილის ელჩობა რუსეთში (1737—1740 წწ.) წიგნში „ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან", I, 1970, გვ. 153.

[6] მარი ბროსე, მიმოწერა, გვ. 196. (რუს.)

ებში იდგნენ არტილერიით შეიარაღებულნი; შველოდა რა თავადებს, ამით თურქეთი ხელს უწყობდა ქვეყნის დაშლასა და მეფის ცენტრალური ხელისუფლების დაუძლურებას[1].

მართალია, ალექსანდრე V თურქეთის ძლიერებას ემყარებოდა მთელი თავისი მეფობის პერიოდში და მისი დახმარებით ცდილობდა სამეფო ტახტზე მომაგრებას, მაგრამ იგი დარწმუნებული იყო, რომ საბოლოოდ თურქეთს მისი ერისთვის სასიკეთო არაფერი მოჰქონდა. ამიტომ მან იმერეთის სამეფოს ერთიანობის იმედი რუსეთის სამხედრო დახმარებაზე დაამყარა. რუსეთი იყო ერთადერთი სერიოზული ძალა, რომელიც წარმატებით მოიწევდა შავი ზღვისა და კავკასიისაკენ და უპირისპირდებოდა შავ ზღვაზე და კავკასიაში გაბატონებულ თურქეთს.

* *

1730 — 1735 წლებში ირან-თურქეთის ბრძოლაში აღმოსავლეთი საქართველო ირანს მიემხრო და ქართლ-კახეთიდან ოსმალები განდევნეს. „ირანის ბატონობა მათ უფრო ნაკლებ ბოროტებად მიაჩნდათ, ვიდრე ოსმალობა. მაგრამ ნადირ-შაჰმა ქართლ-კახეთში ირანული გადასახადები და ყიზილბაშური წყობილება შემოიღო, ეს არანაკლებ მძიმე გამოდგა, ვიდრე ოსმალობა იყო. მაშინ ქართლსა და კახეთში აჯანყებები დაიწყო"[2]. ქართლის აჯანყებას სხვებთან ერთად შანშე ქსნის ერისთავიც მეთაურობდა.

1737 წელს ნადირ-შაჰმა აჯანყებულების წინააღმდეგ თავისი ძმა იბრეიმ-ხანი გამოგზავნა დიდი ლაშქრით[3]; აჯანყების ხელმძღვანელები მიმოიფანტნენ, ხოლო შანშე ქსნის ერისთავი იმერეთში გადაიხვეწა. მან ალექსანდრე V-თან ერთად რუსეთის მთავრობაზე, დაყრდნობით ოსმალთა მონობისაგან საქართველოს გათავისუფლების ფართო გეგმები დასახა[4].

36-კაციანი ამალით შანშე ერისთავი რუსეთს გაემგზავრა. შან-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, 1946, გვ. 375.

[2] შ. ბურჯანაძე, ლიხთ-იმერეთის 1733 წლის რუკა როგორც ფეოდ. საქ. ისტორიის პირველწყარო, ხელნაწ. ინსტ. მოამბე, I, თბ., 1959, გვ. 191.

[3] ნ. ბერძენიშვილი საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 170.

[4] იქვე.

შესთან ერთად თავისი ამალით[1] რუსეთს გაემგზავრა ალექსანდრე V-ის ელჩი მიტროპოლიტი ტიმოთე გაბაშვილიც[2].

იმერეთიდან შანშე და ტიმოთე გაბაშვილი 1737 წლის სექტემბრის ბოლოს გაემგზავრნენ, ხოლო 1738 წლის მარტის პირველ რიცხვებში მოსკოვში ჩავიდნენ[3].

ირანის ხელმწიფის წინააღმდეგ აჯანყებული ქართველი თავადის გამოჩენამ მოსკოვის პოლიტიკური წრეები შეაშფოთა. შანშეს თამამ პოლიტიკურ გეგმებს რუსეთის მთავრობამ მხარი არ დაუჭირა და ირანთან ურთიერთობის გაფუჭების შიშით მოსთხოვა მას სასწრაფოდ დაეტოვებინა რუსეთი და საქართველოში იმ გზით დაბრუნებულიყო, რა გზითაც მოვიდა[4].

1738 წლის აპრილში ტიმოთე გაბაშვილმა პეტერბურგში ჩასვლის უფლება მიიღო. თარჯიმნად მას ვახუშტი ბატონიშვილთან მყოფი დავით ფანჩულიძე დაუნიშნეს[5].

ტიმოთე გაბაშვილს თან მიჰქონდა ორი წერილი და იმერეთის რუკა[6]; პირველი წერილი რწმუნების სიგელს წარმოადგენდა, რომ იგი იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ის ელჩი იყო, ხოლო მეორე წერილს საქმიანი ხასიათი ჰქონდა — მასში იმერთა მეფე აცხადებდა, რომ ისიც ისევე, როგორც მისი წინაპრები, რუსეთს ერთგულებდა და ყველა თავისი ქვეშევრდომით მზად იყო რუსეთის იმპერატორის სამსახურისათვის. შემდეგ აღნიშნავდა, რომ იმერეთი თურქეთისაგან შეეიწროებული იყო, მაგრამ ხარკს მაინც არ უხდიდა და ქრისტიანულ სჯულზე იდგა. მართალია, იმერეთის სამეფო თურქეთს ემორჩილებოდა, მაგრამ ალექსანდრეს იძულება მათ არაფერში არ შეუძლიათო[7] — იყო აღნიშნული წერილში.

შემდეგ იმერეთის მეფე რუსეთის ხელმწიფეს აცნობებდა, რომ მან თურქებზე რუსთა გამარჯვების ამბავი და მათ მიერ აზოვის

---

[1] ტიმოთე გაბაშვილს ახლდა იღუმენი, დიაკვანი და ოთხი მსახური.

[2] საქართველოს საქმეები, 1738, № 1 (რუს.), პირები დაცულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში; იხ. აგრეთვე, ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 180.

[3] გ. პაიკაძე, ტიმოთე გაბაშვილის ელჩობა რუსეთში (1737—1740 წლებში) წიგნში — „ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან", I, თბ., 1970, გვ. 153.

[4] საქართველოს საქმეები, 1738, № 1, ფურც. 61 (რუს.); ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 170.

[5] გ. პაიკაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 153.

[6] რუკაზე ნაჩვენებია ციხე-სიმაგრეების განლაგება, თურქების ხელში მყოფი ციხეები, მათი შეიარაღება და მათში განლაგებული ჯარები. ნაჩვენებია რელიეფი, ტყე, მდინარეები, სამეფო საზღვრები და ა. შ. ვრცლად იხილე შ. რევაზიაშვილი, იმერეთი VIII ს-ში„ თბ., 1982, გვ. 37 — 41.

[7] გ. პაიკაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 153.

ალება შეიტყო, ხოლო შავ ზღვაზე კარგი ამინდის შემთხვევაში აზოვიდან იმერეთამდე ექვს დღე-ღამეში შეიძლება ხომალდებით მოღწევაო. წერილში ხაზგასმული იყო, რომ საქართველოს სანაპიროებზე განლაგებული ნავსადგურების შესახებ დაწვრილებითი ცნობები გეოგრაფიულ რუკაზეა ნაჩვენები, და რომ აზოვიდან შავ ზღვამდე მიმავალი გზა უშიშარია, ვინაიდან თურქებს არცერთი ციხესიმაგრე არ უკავიათ და არ შეუძლიათ გემებს ხელი შეუშალონ, აგრეთვე აცნობებდა — ზღვის სანაპიროდან იმერეთის შიგნით მიმავალი გზა თავისუფალიაო[1]. ამასთან დაკავშირებით, წერილში დაწვრილებით იყო მოცემული დასავლეთი საქართველოს ციხეების და საერთოდ იმერეთის სამხედრო-სტრატეგიული აღწერა — თუ რომელ ციხეში რამდენი ოსმალო მეციხოვნე იყო, რომ ისინი მარაგს მხოლოდ ზღვიდან იღებდნენ, უზრუნველად ცხოვრობდნენ და სულ ადვილად შეიძლებოდა მათი შეპყრობა.

წერილში აღნიშნული იყო, რომ იმერეთი მაღალი მთებით არის შემოზღუდული და მეზობელი ხალხებისაგან თავდასხმა მოსალოდნელი არაა. იმერეთისა და თურქეთის დამაკავშირებელი სახმელეთო გზების გადაკეტვა კი ადვილი იყო, რადგან თურქებს იმერეთის ახლოს, ახალციხის გარდა, სადაც ორთუღიანი ფაშა ზის, სხვა ქალაქი და ციხესიმაგრე არ გააჩნიათ, იქიდან იმერეთში მხოლოდ ერთი ვიწრო გზა მიდის, რომლის გადაკეტვა ყოველთვის შეუძლიათ, მტერი რაგინდ დიდი ჯარით მოდიოდესო. ამასთან, ამ გზით მხოლოდ ზაფხულობით შეიძლება მიმოსვლა[2]. თვით იმერეთში თურქებს ოთხი ციხესიმაგრე ეჭირათ, რის შესახებაც თვით ტიმოთე გაბაშვილს უნდა შეეტყობინებინა. ამასთან ერთად, იმერთა მეფე ცდილობდა, რუსეთი დაეინტერესებინა არა მარტო სამხედრო-სტრატეგიული, არამედ ეკონომიური თვალსაზრისითაც, ამ მიზნით წერილში ხაზგასმული იყო, რომ მისი სამფლობელო მდიდარია წიაღისეულით: ოქროთი, ვერცხლით, სპილენძით, რკინით, თუთიით, ტყვიით და სხვ. რამდენიმე მადნის ნიმუში გაბაშვილსთან მიჰქონდა[3].

იმერეთის მეფე იმპერატორს სთხოვდა დახმარებას 20 ათასკაციანი ჯარით. ამ შემთხვევაში იგი თავისი ლაშქრით იმპერატორის მხარეზე იომებდა თურქების წინააღმდეგ[4]. ალექსანდრე რუსეთის იმპერიის მფარველობაში შევიდოდა და მაშინ ყველა ქრის-

---

[1] გ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 153.

[2] იქვე.

[3] მარი ბროსე, მიმოწერა, გვ. 225 (რუს.). გ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 156.

[4] მარი ბროსე, მიმოწერა, გვ. 225—226 (რუს.).

ტიანი ხალხი ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლისათვის აღსდგებოდა. შავი ზღვის სანაპირო ზოლი და ფოთის ციხესიმაგრე უმტკივნეულოდ დაექვემდებარებოდა რუსეთს[1].

დასასრულ, ალექსანდრე მეფე სთხოვდა რუსეთის იმპერატორს მისი ელჩის ყველა სიტყვა სარწმუნოდ მიეღოთ, დიდხანს არ დაეყოვნებინათ იგი და იმერეთში გარკვეული პასუხით დაებრუნებინათ[2].

ტიმოთე გაბაშვილი სიტყვიერად მოახსენებდა რუსეთის საიმპერატორო კარს — თუ რუსეთის ჯარის გაგზავნა იმერეთში არ მოხერხდებოდა, მაშინ რუსეთს თურქეთთან ზავის დადების დროს იმერეთი თავის მფარველობაში მაინც აეყვანა, რაც თურქეთს იმერეთზე ბატონობის საშუალებას მოუსპობდა.

ამ ელჩობაზე იმერეთის მეფე ალექსანდრე V დიდ იმედს ამყარებდა ორი მოსაზრებით: პირველი მოსაზრება ის იყო, რომ თვით ელჩის კანდიდატურა კარგად იყო შერჩეული[3] — ტიმოთე გაბაშვილს, დიდად განათლებულ ადამიანს[4], მშობლიური კუთხის კარგ მცოდნეს, იმერეთის რუკის ავტორს, ყველაზე უკეთ შეეძლო რუსეთის მთავრობისათვის იმერეთის სამეფოს სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის ახსნა[5], გაბაშვილი საუცხოოდ ერკვეოდა პოლიტიკის საკითხებში და ფლობდა რამდენიმე ენას[6].

მეორე მოსაზრება შემდეგში მდგომარეობდა. ამ დროს რუსეთ-თურქეთის (1735 — 1739 წლების) ომი მიმდინარეობდა. 1737 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში რუსეთის არმიამ ოჩაკოვის ციხესიმაგრე აიღო, ხოლო რუსეთის მეორე არმია ყირიმში შეიჭრა. ასეთ ვითარებაში დასავლეთ საქართველო, რომელიც თურქეთის ბატონობისაგან გათავისუფლებას ესწრაფვოდა, მეტად საინტერესო და სასარგებლო უნდა ყოფილიყო რუსეთისათვის, მით უფრო, რომ მას ხელსაყრელი სტრატეგიული პოზიცია ეჭირა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე.

ტიმოთე გაბაშვილი ყოველნაირად ცდილობდა, რუსეთის მთავრობისაგან ოფიციალური პასუხი მიეღო ისე, რომ იმერეთში ხელცარიელი არ დაბრუნებულიყო, მაგრამ რუსეთის მთავრობამ ამ-

---

[1] გ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 156.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 158.

[4] ტიმოთე გაბაშვილის პიროვნების შესახებ დაწვრილებით იხილე ე ლ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ს პუბლიკაცია: ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსვლა, თბ., 1956; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, თბ., 1951, გვ. 334—336.

[5] დაწვრილებით იხილე, გ. პ ა ი ჭ ა ძ ი ს დასახ. ნაშრ., გვ. 158—161.

[6] იქვე.

ჯერადაც იმერეთის მეფის წინადადება — შორეულ იმერეთში ჯარის გაგზავნისა და იქ ფრონტის გახსნის შესახებ, არ მიიღო, იმავე დროს, უარყოფითი პასუხით ელჩის სასწრაფოდ უკან გასტუმრებაც სასურველად არ ცნეს, რადგან იმერთა მეფის წინადადებამ გარკვეული ინტერესი აღუძრა რუსეთის მთავრობას პერსპექტივის თვალსაზრისით, ამიტომ, დროის მოგების მიზნით, იმერეთის ელჩი დააყოვნეს.

1739 წელს ბელგრადში რუსეთ-თურქეთის საზავო ხელშეკრულება დაიდო. ამ ზავით რუსეთმა შავსა და აზოვის ზღვებზე ფლოტის ყოლის უფლება დაკარგა[1]. იქ საქართველოს შესახებ არაფერი იყო ნათქვამი, თვით ბელგრადის ხელშეკრულების შინაარსი ასეთ შესაძლებლობას გამორიცხავდა[2].

1740 წელს იმერეთის ელჩმა რუსეთის მთავრობისაგან ოფიციალური პასუხი მიიღო, რომ იმერეთის მეფის თხოვნას რუსეთის მფარველობაში მიღების შესახებ საერთოდ კეთილ განწყობილებით შეხვდნენ, მაგრამ, რადგანაც თურქეთთან ზავი დადებულია, ამიტომ ამჯერად დახმარების გაწევა არ შეუძლიათ[3]. ამგვარად, 1733 — 1740 წლების იმერეთის ელჩობაც უშედეგო აღმოჩნდა[4]. იმედგაცრუებულმა ტიმოთე გაბაშვილმა 1740 წელს დატოვა რუსეთის საიმპერატორო კარი და საქართველოსაკენ გამოემგზავრა.

სოლომონ I-ის გამეფება და მისი პირველი ღონისძიებანი

როგორც აღვნიშნეთ, 1752 წელს ალექსანდრე V გარდაიცვალა. სამეფო ტახტზე მისი უფროსი შვილი — მტკიცე ნებისყოფის, მხნე და მამაცი ახალგაზრდა სოლომონი დაჯდა. სოლომონმა მემკვიდრეობად მიიღო დაუძლურებული, სათავადოებად დაფლეთილი სამეფო. იმერეთის მთავარი ციხეები: ქუთაისი, ბაღდათი, შორაპანი და ცუცხვათი თურქებს ეპყრათ. მათ ხელში იყო შავი ზღვის სანაპირო ზოლის მთავარი ციხეებიც: გონია, ბათომი, ფოთი, რუხი, ანაკლია. ფოთისა და სოხუმის ციხეებში ორთუღიანი ფაშები ისხდნენ, რომელნიც შავი ზღვის მთელ აღმოსავლეთ სანაპიროს განაგებდნენ და დასაყრდენს წარმოადგენდნენ თურქეთისათვის, ამასთან ერთად, გურია, ოდიში და აფხაზეთი ფაქტიურად მეფისაგან

---

[1] გ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 172.
[2] იქვე. გვ. 171.
[3] ფარი ბრესე, მიმოწერა, გვ. 40 (რუს.).
[4] გ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 174.

დამოუკიდებელ სამთავროებს წარმოადგენდნენ და გადაქცეული იყვნენ თურქების იარაღად იმერეთის სამეფოს წინააღმდეგ[1].

თვით სამეფოს შიგნით ანარქია სუფევდა, მოსახლეობა მოკლებული იყო ხელისუფლების მფარველობასა და უშიშროებას, ირგვლივ ძარცვა-გლეჯა, დატყვევება და ოსმალებზე გაყიდვა, მკვლელობა, ძალმომრეობა და სიღატაკე სუფევდა.

ოსმალებთან წარმატებით ბრძოლა და ქვეყნის გადარჩენა მეფის ხელისუფლების განმტკიცების, ეკონომიკური აღორძინების გარეშე შეუძლებელი იყო, ამის განხორციელებას კი სათავადოების სისტემა ეღობებოდა წინ. სეპარატისტული ტენდენციები და შინაფეოდალური ომები, რაც სათავადოების სისტემას სდევდა თან, საერთო ძალას თიშავდა და აუძლურებდა. მეფისაგან დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილი სათავადოებს სამშობლოს მოღალატედაც კი აქცევდა, რადგან გაძლიერებული სამეფო ხელისუფლებისაგან თავის დაღწევის საშუალებას ისინი უცხო, გარეშე ძალაში ხედავდნენ. ამიტომ ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, მეფის ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება, ქვეყნის ეკონომიკური აღორძინება სათავადოების სისტემის წინააღმდეგ ბრძოლას ითხოვდა. ეს კარგად ესმოდა ახალგაზრდა მეფეს, მაგრამ მან ისიც კარგად იცოდა, რომ ქვეყნის მოწინავე ძალების მხარდაჭერის გარეშე სამეფო ხელისუფლება და თვით იმერეთი სერიოზულ ძალად ვერ გადაიქცეოდა თურქთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის. სამწუხაროდ, ყოველივე ეს ჯერჯერობით განუხორციელებელი იყო, რადგან სამეფო ტახტზე ასვლისთანავე ფეოდალურმა შინაომმა იჩინა თავი, სოლომონიც ხომ მამის კვალს მიჰყვებოდა და ძლიერი თავადების დამორჩილებას ცდილობდა. საერთოდ, მას ფართო სამოქმედო გეგმა ჰქონდა: მტკიცე სამეფო ხელისუფლების შექმნა, დასავლეთი საქართველოს გაერთიანება და ოსმალთა ბატონობის მოსპობა[2]. ამრიგად, სოლომონ I-ის მიზნები ერეკლე მეორის განზრახვებს ემსგავსებოდა. მაგრამ სოლომონის ასეთი გეგმა დასავლეთი საქართველოს მთავრებსა და დიდ ფეოდალებს სრულებით არ მოსწონდათ, ამიტომ ტახტზე ასვლისთანავე მის წინააღმდეგ შეთქმულებამ იჩინა თავი. ლევან აბაშიძე — სო-

---

[1] შ. ბურჯანაძე, სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი, თსუ შრომები, ტ. 41, 1950, გვ. 71; ქ. ჩხატარაიშვილი, დასავლეთი საქართველოს განთავისუფლება ოსმალეთის ბატონობისაგან, წიგნში ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 636; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 213, ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, თბ. 1920, გვ. 109, ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962, გვ. 178.

[2] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 214.

ლომონის ბაბუა (დედის — თამარის მამა), როსტომ რაჭის ერისთავი, მეფის ორი ბიძა — ალექსანდრეს უმცროსი ძმები მამუკა და გიორგი ბატონიშვილები და თვით მეფის დედა თამარი ახალგაზრდა მეფეს აუჯანყდნენ და ტახტიდან გადააგდეს: სოლომონმა ახალციხეში გაქცევით უშველა თავს.[1]

ავსტრიის ელჩი კონსტანტინოპოლში პ ე ნ კ ლ ე რ ი 1752 წლის ოქტომბრის რაპორტში სოლომონ მეფის შესახებ წერს: „იმერეთის ახალგაზრდა მთავარი... რომელიც თავისი ბიძისა და დედისაგან გაძევებულ იქნა, ახალციხეში აღმოჩნდა, მთხოვნელი ოსმალეთის მფარველობისა".[2]

მამუკა და გიორგი ბატონიშვილები თავის ძმას ალექსანდრე V-ს რამდენჯერმე აუჯანყდნენ ტახტის ზიტაცების მიზნით,[3] და როგორც ჩანს, ეხლაც შესაფერისი მომენტი ნახეს ამისა.

აჯანყებულთა მხარეზე იყო აგრეთვე მამია IV გურიელი და როსტომ ერისთავის ძმა — აფხაზ-იმერთა კათალიკოსი ბესარიონიც.[4]

იმერეთიდან დევნილმა მეფემ დახმარებისათვის ახალციხის ფაშას მიმართა. როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც ფაშამ სიამოვნებით იკისრა იმერეთის საქმეების მოწესრიგება და სოლომონის გამეფება, რადგან ფაშა ფიქრობდა, რომ ამ დახმარებით ახალგაზრდა მეფეს თავის გავლენაში მოაქცევდა და, თავის ნება-სურვილს უკარნახებდა, რასაკვირველია, ოსმალთა სასარგებლოდ. სოლომონმა ეს კარგად იცოდა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, იგი ფაშას დახმარების გარეშე სამეფო ტახტზე ვერ აღდგებოდა.

დამპყრობლის ძალით ტახტზე გამაგრება სოლომონის შენიღბული პოლიტიკური ნაბიჯი იყო, რაც არსებითად თვით ამ დამპყრობლის წინააღმდეგ იყო მიმართული. შემდგომმა ამბებმა ყოველივე ეს დაადასტურეს „კიდეც".

სოლომონ მეფემ „ფაშა ჩამოიყვანა და დაიპყრა კვალად იმერეთი"[5], აღნიშნავს ვახუშტი ბაგრატიონი.

პირველ რიგში სოლომონ მეფემ აჯანყების მოთავეები დასჯა. აჯანყების მონაწილე ღვიძლი დედა „იმერეთიდან გააძევა, რომე-

---

[1] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1914, გვ. 91.

[2] პ ა ე ნ ე რ ი, ოსმანთა სახელმწიფოს ისტორია, ტ. IV, გვ. 476, 1836. (გერმ.). შემდეგში — პაენერი, ისტორია. ვახუშტი ბაგრატიონი სოლომონის განდევნას 1753 წლით ათარიღებს, რაც არასწორია. იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973 წ., გვ. 914.

[3] ქართლის ცხოვრება, თბ., 1973, გვ. 888, 913—914.

[4] პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „ამბავნი ქართლისანი" წიგნში ქართლის ცხოვრება დასაბამიდან მეცხრამეტე საუკუნემდის, ნაწილი მეორე, გამოცემული უ. ჩუბინოვისაგან, სანკტ. პეტ., 1854, გვ. 468—469.

[5] ვ ა ხ უ შ ტ ი ს ქ რ ო ნ ი კ ო ნ ი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 913.

ლიც დღემდე (ე. ი. 1772 წლამდე, მ. რ.) სამეგრელოში ცხოვრობს", წერს იმერეთის საქმეების კარგად მცოდნე კაპიტანი ლევანი.[1]

თავისი ბიძა მამუკა ბატონიშვილიც მეფემ იმერეთიდან გააძევა,[2] ხოლო ყველაზე მეტად, „დაამდაბლა სახლი თავადთა აბაშიძეთა"[3]. მეფემ თავის ბაბუას — ლევან აბაშიძეს სამკვიდრო სოფელი — კაცხი ციხესიმაგრით და მონასტრითურთ ჩამოართვა და იმერეთის მეფის საკუთრებად გამოაცხადა (რაც ძალაში დარჩა იმერეთის სამეფოს გაუქმებამდე).[4]

* * *

სოლომონმა აჯანყებაში მონაწილე მამია IV გურიელიც დასჯა — ოსმალთა ჯარის დახმარებით გურია დალაშქრა, მამია იქიდან გააძევა და მის ნაცვლად გურიელად მისი უმცროსი ძმა გიორგი დასვა,[5] თუმცა მამიამ მოკლე დროში გურიელობა ისევ დაიბრუნა ახალციხის ფაშის დახმარებით, მაგრამ იძულებული გახდა სოლომონის მორჩილი ყოფილიყო.

რაც შეეხება გიორგი ბატონიშვილს, თუმცა მისი დასჯის შესახებ პირდაპირი საბუთი არ გაგვაჩნია, მაგრამ სავარაუდებელია, რომ მეფე მასაც დასჯიდა. ლევანის აღნიშვნით, მეფემ „ახლობელი ნათესავები... ყოველგვარი მოწყალების გარეშე, საპყრობილეში ჩამწყვდევით დასაჯა მათი ურჩობის გამო".[6] ამ ურჩების რიცხვში გიორგი ბატონიშვილიც სავარაუდებელია.

მეამბოხეთაგან დასჯას გადაურჩნენ როსტომ რაჭის ერისთავი და მისი ძმა — კათალიკოსი ბესარიონი[7]: „შეიწყალა ერისთავი როს-

---

[1] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. под редакцией А. Цагарели. შემდეგში А. Цагарели. Грамоты, т. I, СПБ 1891, стр. 362.

[2] პაპუნა ორბელიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 451.

[3] ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, თბ., 1862, გვ. 178; ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 85; შ. ბურჯანაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 75.

[4] საქართველოს სიძველენი. ტ. III, ე. თაყაიშვილის რედაქციით, სოლომონ II. 1804 წ. წყალობის წიგნი, მიცემული სოლომონ ლიონიძისათვის. გვ. 569.

[5] აბაშიძეთა სამზვადოს შესახებ დაწვრილებით იხილეთ წიგნში: ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან. თბ., 1973, გვ. 153 — 209.

[6] ა. ცაგარელი, I, გვ. 362 (რუს.).

[7] ქ. ჩხატარაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 636—637.

ტომ და დაადგინა ერისთავად"[1] — აღნიშნავს სოლომონ II სოლომონ I-ის შესახებ, მაგრამ ეს შეწყალება მეფის სისუსტით იყო გამოწვეული.[2]

მეამბოხეებთან ანგარიშსწორების შემდეგ მეფე მეტი სიფრთხილით შეუდგა თავისი პოლიტიკის წარმოებას. უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო ფეოდალთა შორის ძლიერი მოკავშირის მოპოვება. ამ მიზნით იგი გაეყარა თავის ცოლს, აფხაზეთის მთავრის შერვაშიძის[3] ასულს თინათინს და ჯვარი დაიწერა სამეგრელოს მთავრის ოტია დადიანის ასულ მარიამზე; ამავე დროს, მეფემ მოხერხებულად, შემოირიგა მამია გურიელიც და ამ ორი მთავრის შემომტკიცებით უფრო ენერგიული მოქმედების საშუალება მოიპოვა. ამას მოჰყვა წვრილი ფეოდალების მომხრობა თუ განეიტრალება. როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, „თავისი მოღვაწეობა მეფემ მაჰმადიანობის გავრცელებისა და ტყვის სყიდვის წინააღმდეგ ბრძოლით დაიწყო... მეფემ თავის მოღვაწეობას ამით მტკიცე იდეური დასაყრდენი მოუპოვა: ის ქართველობისათვის მებრძოლის მეთაურად გამოდიოდა".[4]

ტყვის სყიდვისა და მაჰმადიანობის წინააღმდეგ ბრძოლა ქართული ფეოდალური საზოგადოების მოწინავე ნაწილს, მთელ ხალხს აუცილებელ საქმედ მიაჩნდა. ამით იქმნებოდა მტკიცე ნიადაგი იმისა, რომ იმერეთის ხალხი მეფის ირგვლივ დარაზმულიყო.

სოლომონის გამეფებამდე და მისი მეფობის დასაწყისში იმერეთი თურქეთს ხარკის სახით უხდიდა ფულად გადასახადს, ხონთქრისათვის გზავნიდა ბოგო-ბიჭებს და, რაც ყველაზე მთავარია, სრულ თავისუფლებას ანიჭებდა ტყვეებით მოვაჭრეებს.

„გადასახადი, რომელსაც იმერეთის მცხოვრებნი პორტას უხდიდნენ, გამოიხატებოდა სამასი ქისის[5] გაღებასა და ტყვეების გაყიდვაში, რომელთა რიცხვს ახალციხის ფაშა აწესებდა"[6] — წერს პამერი.

სოლომონის წინაპრები, „ხარკის გარდა, თურქეთს უხდიდნენ ყოველ სამ წელიწადში თითოეული კომლიდან... თითო სახალათე

---

[1] ხელნაწერთა ინს-ტი, ფონდი 5, საბ. № 1563; ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1914, გვ. 91.

[2] ქ. ჩხატარაიშვილი, დასახელ. ნაშრ., გვ. 637, შ. ბურჯანაძე, დასახ. ნაშრომი, ‖ გვ 75.

[3] სამეცნიერო ლიტერატურაში სოლომონის პირველ ცოლს შეცდომით თვლიან ინალოსშვილის ასულად. იხ. შ. ბურჯანაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 82.

[4] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, თბ., 1965, გვ. 214.

[5] ერთი ქისა უდრის 30 თუმანს, აქედან 300 ქისა — 90000 მანეთს.

[6] პამერი, ისტორია, IV, გვ. 545.

ტილოს ან 20 — 20 კაპიკს; არ უკრძალავდნენ თავიანთ ქვეშევრდომებს ქართველების გაყიდვას თურქეთში... და თურქები ამით უფრო იყვნენ კმაყოფილი, ვიდრე თვით ხარკით".[1]

სოლომონის გამეფებისას იმერეთი ფულის სახით ხარკს აღარ იხდიდა: „უკვე რამდენიმე ხანია — აღნიშნავს ჰამერი — ამ ხალხს ფულადი გადასახადი არ ჰქონია".[2] როგორც ჩანს, ქვეყანას აღარც ფული გააჩნდა და აღარც ტილო, ამიტომ თურქებს იმას აძლევდნენ, რაც ქვეყანაში მოეპოვებოდათ — ადამიანებს.

რუსულ დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ „იმერეთი პორტას ხარკში უხდიდა ადამიანებს, განსაკუთრებით ქალთა სქესიდან".[3]

როგორც შ. ბურჯანაძე აღნიშნავს, „თურქი ჩამოსახლდა იმერეთში, დაიპყრო ციხე, გახდა ქვეყნის ბატონი, მოიშალა მეფის ცენტრალური ხელისუფლება, ატყდა თავადთა ქიშპობა, დაეცა ეკლესია. ქვეყანა გაუთავებელმა ბრძოლებმა მოიცვა. შეწყდა ვაჭრობა, მინელდა შრომა. გამეფდა შიში, შიმშილი და სიღატაკე. აიყარა ყმა-გლეხობა და ყაჩაღობას მიჰყო ხელი. ტყვეების დატაცება და გაყიდვა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა".[4]

მაჰმადიანობის გავრცელების და ტყვის სყიდვის წინააღმდეგ ბრძოლა ქრისტიანობის განმტკიცებას მოითხოვდა, ეს საქმე კი ეკლესიას უნდა ეკისრა, მაგრამ ამ დროს ეკლესიაც უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებოდა[5], ყმა-მამულის დიდი ნაწილი საერო ფეოდალებს მიეტაცნათ, მრავალი მონასტერი და საეპისკოპოსო კათედრა გაუქმებულ-დადუმებული იყო. თურქები არამც თუ ახალი მონასტრების აგებას, არამედ შეკეთებასაც კი კრძალავდნენ, ხოლო თვით სამღვდელოებაში უღირსნი და უვიცნი მოკალათებულიყვნენ.[6] ამიტომ სოლომონ მეფემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ეკლესიის ავტორიტეტის აღდგენას. უპირველეს ყოვლისა, წინა მეფეების მიერ საერისკაცოდ გაცემული საეკლესიო ყმა-მამულები მან ისევ ეკლესიას დაუბრუნა (თუმცა „ერისკაცნი" მინატაცებს არც თუ ისე იოლად თმობდნენ), ამავე დროს საეკლესიო

---

[1] სიგელ-გუჯრები, გვ. 14—15 (რუს.).

[2] ჰ ა მ ე რ ი, ისტორია, IV, გვ. 545.

[3] სიგელ-გუჯრები, I, გვ. 39 (რუს.).

[4] შ. ბ ურ ჯ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ. გვ. 77.

[5] ზ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სახელმწიფო მოღვაწენი, XVIII ს. II ნახევარი — XIX საუკუნის დამდეგი, თბ., 1980, გვ. 4 — 6.

[6] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1973, გვ. 410 — 411.

გლეხები ყოველგვარი (საური, საუდიერო, სამეფო) გადასახადებისაგან გაათავისუფლა, გარდა ლაშქრობა-ნადირობისა.

ასეთი ზომებით ეკლესიის ავტორიტეტი თანდათანობით მტკიცდებოდა, მეფე ძლიერ თავადებს ასუსტებდა და თავის მომხრეთა რიგებს იმრავლებდა. მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება მაინც მაჰმადიანობის გავრცელება და ტყვეთა სყიდვა იყო და მეფემ სწორედ ამ ორი მოვლენის წინააღმდეგ გააჩაღა ბრძოლა. „სოლომონ მეფემ, გარდაიცვალა თუ არა მამამისი, ყველა თავის ქვეშევრდომს მკაცრი ჯარიმით და თვით სიკვდილის სასჯელით აუკრძალა ტყვეების მიყიდვა თურქებისათვის".[1] ამ ღონისძიებამ იმერეთის თავადების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან მათ ხელიდან ეცლებოდათ შემოსავლის დიდი წყარო. „ტყვის სყიდვის აკრძალვის გამო სოლომონ მეფე გადაიქცა თავადებისათვის არასასიამოვნო პირად, რადგან მათ ამით თავიანთი შემოსავალი მოაკლდათ".[2]

ფეოდალთა იმ ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც უარს ამბობდა ბრძანების შესრულებაზე, სოლომონი მიმართავდა სიმკაცრეს,[3] ამ შემთხვევაში მეფე ფეოდალური საზოგადოების იმ ფენებს ემყარებოდა, რომელთათვისაც ტყვის სყიდვის აკრძალვას სარგებლობა მოჰქონდა — ესენი იყვნენ: აზნაურები, ეკლესია, ყმა-გლეხობა.

საზოგადოების დაბალი ფენები მეფეს უდგნენ მხარში ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ყმა-გლეხობის ასაღორძინებლად სოლომონ-მეფეს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა მთელ რიგ ღონისძიებათა გატარება. ყმა-გლეხი მონის მდგომარეობამდე იყო დასული: ერთი მხრივ, იგი ვაჭრობის საგანს წარმოადგენდა, მეორე მხრივ, ფეოდალისაგან შეუზღუდველ ჩაგვრას განიცდიდა.

ყმა-გლეხის თავის უფლებაში აღდგენა ნიშნავდა იმას, რომ ჰქონოდა სახლ-კარი და ბატონისათვის გადაეხადა ადათითა და კანონით დადგენილი გადასახადი და სამსახური. მეფეს კონტროლი უნდა დაეწესებინა ამ ურთიერთობაზე.

ეჭვს არ იწვევს, რომ XVIII საუკუნეში გლეხთა გადასახადები კიდევ უფრო იზრდება, ამას თვით დოკუმენტები ღაღადებენ: „ეამთა ვითარებისაგან დიდი ბეგარა დაგდებოდათ"[4] — აღნიშნულია წყაროებში.

---

[1] ცაგარელი, I, გვ. 15 (რუს.). ზ. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 6 — 7.

[2] იქვე, I, გვ. 191—192 (რუს.).

[3] იქვე, I, გვ. 34 (რუს.).

[4] დოკუმენტები, II, გვ. 286, № 448.

საბატონო ვალდებულების გარდა, გლეხს ევალებოდა გადაეხადა სახელმწიფო გადასახადი, რასაც „საური“ და „საუდიერო“[1] ეწოდებოდა. მეფე კარგად ხედავდა, რომ პირველ რიგში აღსაკვეთი იყო „საძალადო“ გადასახადი.

1755 წელს სვიმონ წერეთლისათვის მიცემულ წყალობის წიგნში სოლომონ მეფე აღნიშნავს, რომ „ჩვენს ქვეყანაში აგარიანი ძალდატანებისაგან საურავი გაჩნდა და ჩვენი ქვეყანა ნამეტნავად შეაწუხა. ახლა შენ წყალობა გიყავით და საცა შენი გლეხები გყავს, არცერთს საურავი და საუდიერო სახორცე არაფერი არასოდეს სათხოვარი ჩვენგან გეთხოვოს“.[2]

ერთი ხელის დაკვრით „საძალადო“ გადასახადის გაუქმება შეუძლებელი იყო,[3] მაგრამ გლეხი ხედავდა, რომ სოლომონ მეფე მის სასარგებლოდ მოქმედებდა. ამიტომ ყმა-გლეხობა მეფის მხარეზე დადგა. ასევე დიდ შეღავათებს ავრცელებდა მეფე აზნაურებზეც,[4] რადგან შეეიწროებული იყვნენ დიდი ფეოდალებისაგან, ამიტომ ისინიც მეფის მხარეზე იდგნენ, მასში ხედავდნენ მფარველსა და დამცველს მოძალადე თავადებისაგან. მეფეც ერთგულ მოსამსახურე აზნაურებს ფულად ჯამაგირს უნიშნავდა.[5]

მეფემ თანდათანობით წვრილი თავადებიც შემოიკრიბა, ამავე დროს ის მოხერხებულად სარგებლობდა დიდი სათავადოების შიგნით „სახლისკაცთა“ ქიშპობით და მათ შორის თავის მომხრეებს იჩენდა.

ფეოდალურ საზოგადოებაში ფეოდალის ძლიერებას ციხესიმაგრე უწყობდა ხელს. ციხის მფლობელი მბრძანებელი იყო ადგილობრივი მოსახლეობისა.[6]

---

[1] საურის გადასახადი მონღოლების დროინდელია, აღმოსავლეთ საქართველოში მას „სათათრო“, ხოლო დასავლეთ საქართველოში „სახვანთქრო“ ეწოდებოდა. „საუდიერო“ კი დასავლეთ საქართველოში თურქების ბატონობის დროიდან გაჩნდა და „საძალოდ სათხოვარს“ ნიშნავდა, „საური“ და „საუდიერო“ გადასახადს დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა რაოდენობით იხდიდნენ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საისტორიო მოამბე, V, 1950, გვ. 210—211, 251. ბატონყმობა სამეგრელოში, გვ. 90, ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი, თბ., 1939, გვ. 90.

[2] საქართველოს მუზეუმი, Hd 2, 308, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, ტ. III, თბ., 1910; გვ. 150; ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1948, გვ. 122 — 123.

[3] შ. ბ უ რ ჯ ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 80.

[4] იქვე, გვ. 81.

[5] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 231, კარბელაშვილის არქივი, მე-6 რვ. № 4.

[6] შ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 82.

აღნიშნული დროისათვის იმერეთის ციხეები დიდი თავადების და თურქების ხელში იყო. ამიტომ მეფე პირველ რიგში შეუდგა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ციხეების ხელში ჩაგდებას. მან ისარგებლა აბაშიძეებს შორის ატეხილი მტრობით და 1754 წელს გიორგი აბაშიძე-მამუკაშვილისაგან იყიდა ხარაგაულის ციხე მისი მამულითა და მასში შემავალი აზნაურით, მსახურითა და გლეხით[1]. სვერის ციხე ჯერ კიდევ სოლომონის მამამ — ალექსანდრე V-მ მიისაკუთრა, კაცხის ციხეც 1753 წლიდან მეფის ხელში ჩანს.[2] უფრო მოგვიანებით — 1762 წელს მეფემ ნიკო ფინეზიშვილი-აბაშიძისაგან ჩხერის ციხეც შეისყიდა.[3] მეორე მხრივ, მეფემ აბაშიძეების მეზობელი წერეთლები გაიერთგულა და ასე თანდათან უკუმდგარი თავადის წინააღმდეგ გადამჭრელი ბრძოლისათვის ემზადებოდა. როგორც დავინახეთ, ყველა ღონისძიება, რაც მეფემ გაატარა, პირველ რიგში ლევან აბაშიძის წინააღმდეგ იყო მიმართული, მაგრამ აბაშიძეს ძლიერი მოკავშირე ჰყავდა როსტომ რაჭის ერისთავის სახით; მეფემ ერისთავის მოწინააღმდეგე ჯაფარიძეები და წულუკიძეები გაიერთგულა. და საერთოდ სოლომონმა დაიახლოვა იმერეთის წარჩინებული თავადაზნაურობა: აგიაშვილები, იაშვილები, ლორთქიფანიძეები, მაჭავარიანები და სხვანი.

რამდენადაც აბაშიძის და ერისთავის კოალიცია ძლიერ მოწინააღმდეგეს წარმოადგენდა, მეფე გადამჭრელი ბრძოლისათვის ასევე ძლიერ მოკავშირეს საჭიროებდა, ასეთები კი მაშინდელ ვითარებაში იყვნენ დადიანი და გურიელი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოლიტიკური მოსაზრებით მეფემ დაიმოყვრა დადიანი,[4] ხოლო გურიელი შემოირიგა; ამრიგად, მან ორი დიდი მოწინააღმდეგე — აბაშიძე და ერისთავი გაიმარტოვა. ამიერიდან მათ მხოლოდ ახალციხის ფაშის იმედიღა ჰქონდათ. თუმცა გადამჭრელი ბრძოლა თავადებსა და მეფეს შორის ჯერ არ დაწყებულიყო, მაგრამ ორივე მხარე შესაფერის მომენტს უცდიდა და გარეგნულად სიმშვიდეს იცავდა. 1755 წელს როსტომ ერისთავიც და ლევან აბაშიძეც მეფის დარბაისლებად იხსენიებიან სხვა თავადებთან ერთად. მაგრამ ამ

---

[1] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, II, ვ. 1921, გვ. 3.

[2] ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 165.

[3] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, II, თბ., 1919, გვ. 17.

[4] ნიკო დადიანი, ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962, გვ. 178. ს. კაკაბაძე, დას. საქ. საეკლესიო საბუთები, II, გვ. 5.

ორი დიდი სათავადოს მეთაურები მთავრული განკერძოებისაკენ ილტვიან და ურთიერთ შეთანხმებულნი, XVII საუკუნის II ნახევრიდან აქტიურად ებრძვიან მეფეს[1].

* * *

სოლომონ მეფემ საქართველოს ისტორიაში მანამდე უცნობი, მეფის ხელისუფლების განმტკიცების ხელშემწყობი ინსტიტუტი შექმნა, რომელსაც „ფიცის კაცნი" ეწოდებოდა.

„ფიცის კაცნი" იყვნენ შემდეგი გვარების წარმომადგენელნი: თავადი ლორთქიფანიძეები, აზნაურნი: მესხები, ავალიანები, იოსელიანები, ღოღობერიძეები, მიქაბერიძეები, ყიფიანები, ქორქაშვილები, იაშვილები, უგრეხელიძეები, გრიგალაშვილები და ჭაბუკიანები. ისინი ცხოვრობდნენ შემდეგ სოფლებში: ახალბედისეულში, დედალოურში, ცხუნკურში, გეიშტიბში, ჩუნეშში, წყალტუბოში, ქვილიშორში, გუმათში, ჯიმისტაროში, ოფურჩხეთში, ნამახვანში და რიონში. ფიცის კაცნი, ვიდრე თხუთმეტი წლისა გახდებოდნენ, თავისი ყმებით, სამღვდელოებით და ხატებით შეიკრიბებოდნენ ერთ-ერთ ამორჩეულ ადგილს (ლეკერწას) ყოველწლობით 15 მაისს და ფიცს დებდნენ, რომ „მეფის ერთგულნი იქნებოდნენ"[2].

ხრესილის ომი

სოლომონ მეფის მოქმედებას თვალყურს ადევნებდა ახალციხის ფაშა. იგი დარწმუნდა მეფის ორგულობაში და თავისი დახმარება მის მიმართ დიდ შეცდომად ჩათვალა[3]. მისთვის განსაკუთრებით მიუღებელი იყო მეფის ბრძოლა ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ. ახალციხის ფაშამ არაერთგზის შემოუთვალა მეფეს, რათა ტყვის სყიდვა იმერეთში ძველებურად ნებადართული ყოფილიყო. სოლომონმა ეს მოთხოვნა არ შეასრულა, პირიქით, ტყვის სყიდვა სასტიკად აკრძალა და დამნაშავისათვის მძიმე საერო და საეკლესიო სასჯელი დააწესა. ამან შედეგი გამოიღო. ეს საშინელი მოვლენა იმერეთში თითქმის სავსებით აღიკვეთა.

---

1 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. სდ, საბ. № 1563.

2 სოლომონ მეფე და როსტომ ერისთავი, გვ. 44; მ. რეხვიაშვილი, იმერეთი XVIII ს-ში, თბ., 1982, გვ. 54—55.

3 შ. ბურჯანაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 83.

ფაშამ ერთგული თავადების ძებნა დაიწყო იმერეთში. მეფის ბიძა მამუკა ბატონიშვილი, რომელიც სოლომონმა ამბოხებისათვის იმერეთიდან გააძევა, ფაშამ კვლავ იმერეთში დააბრუნა,[1] ასევე დააბრუნა მან გურიელის ტახტზე მამია,[2] რომელიც მეფემ განდევნა ამბოხებაში მონაწილეობისათვის (თუმცა მამია გურიელი მთავრის უფლებაში აღდგენის შემდეგ ბოლომდე მეფის ერთგული დარჩა).

სოლომონ მეფის წინააღმდეგ ასამხედრებლად თურქებს ძალიან ბევრი მიზეზი ჰქონდათ: მეფე-მთავრების შეთანხმება, მეფის ხელისუფლების გაძლიერება, ძლიერი ეკლესიის აღდგენის ცდა, ბრძოლა მაჰმადიანობის გავრცელებისა და ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ — არცერთი ეს ღონისძიება თურქებისათვის მისაღები არ იყო, ამიტომ ახალციხის ფაშამ ურჩი ქვეშევრდომის დასჯა ბრძანა.

როგორც ზემოთ ითქვა, პოლიტიკური დაშლილობისა და ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ მებრძოლი მეფე და მისი პოლიტიკა მიუღებელი იყო არგვეთისა და რაჭის დიდი თავადებისათვის, ამიტომ, რაკი სოლომონის ღონისძიებები, პირველ რიგში, ოსმალეთის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, ამან მეფის შინა და გარეშე მტრები გააერთიანა. ლევან აბაშიძე და როსტომ რაჭის ერისთავი ახალციხის ფაშას დაუკავშირდნენ.[3]

იმერეთის ასაოხრებლად გამზადებულ ოსმალთა ჯარს ახალციხეში ლევან აბაშიძე ეახლა, მეგზურობა გაუწია და დასავლეთ საქართველოში გადმოიყვანა.

იმერეთში შემოჭრილი მტერი ოკრიბაში (ამჟამად ტყიბულის რაიონი) — ხრესილის მინდორზე დაბანაკდა[4]. ამ დროს თურქებს იმერეთში ეკავათ: ცუცხვათის, ბაღდათის, შორაპნისა და ქუთაისის ციხეები.

მეფის მდგომარეობა მძიმე იყო: მთელი ზემო იმერეთი ლევან აბაშიძეს გადაებირებინა, ზოგი სულმოკლე თავადიც (წულუ-

---

[1] პაპუნა ორბელიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 451—452.

[2] იქვე, გვ. 468—469.

[3] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Sd საბ. № 1563; პ. ორბელიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 473; ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962, გვ. 178.

პ. ორბელიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 473;

ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 178.

შ. ბურჯანაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 84.

ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 178, ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, I, თბ., 1974, გვ. 85.

[4] ხრესილის ომის თარიღთან დაკავშირებით წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. დღეს დადგენილად ითვლება, რომ ხრესი-

კიძე რაჭის საერისთაოდან) მტერს მიეკედლა. მეფე იმერთა ჯარის მცირე ნაწილის ამარა დარჩა. მან თავის სიმამრს ოტია დადიანს სთხოვა დახმარება. ოტიამ მოხუცებულობის გამო წამოსვლა ვერ შეძლო, მაგრამ საბრძოლველად თავისი შვილი კაცია გამოგზავნა ოდიშ-ლეჩხუმ-აფხაზთა ჯარით.

მეფის დასახმარებლად გამოეშურა აგრეთვე მამია გურიელიც. იმერთა მეფისათვის მოულოდნელი არ იყო მტრის შემოსევა, ამას იგი ელოდა. მან 1757 წლის ბოლო თვეებში ფარულად დიდი სამზადისი დაიწყო იმერეთიდან თურქების გასადევნად. ახალგაზრდა მეფე შესანიშნავი სარდალი და უშიშარი მეომარი გამოდგა.

მან თავადაზნაურობიდან ბრძოლაში გაიწვია ყველა, ვისაც იარაღის ტარება შეეძლო, ხოლო ყმა-გლეხობიდან — კომლზე კაცი. მეფის ლაშქარი ძლიერდებოდა; ყველა ერთსულოვნად გამოვიდა მოძულე მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

1757 წლის 14 დეკემბერს სოლომონ მეფე თავს დაესხა მტრის ლაშქარს. მტერი არ დაბნეულა, რადგან ამას ელოდა. მან პირველ ხანს წარმატებასაც კი მიაღწია. ოსმალებმა ხელთ იგდეს სამეფო დროშა, მაგრამ ქართველთა ლაშქრის სულიერმა სიმტკიცემ ომის ბედი შეაბრუნა. თვით როსტომის და ლევან აბაშიძის ჯარიდან ცალკეულმა რაზმებმა მეფის მხარეზე იწყეს გადმოსვლა.

ლის ბრძოლა მოხდა 1757 წლის 14 დეკემბერს: ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Sd, საბ. №1563; ე. თაყაიშვილი, ძველი საქართველო, II, განყ. III, გვ. 72. პ. ორბელიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 473. მეფე სოლომონ I-ისა და რაჭის ერისთავის როსტომის ურთიერთობიდან XVIII ს. მეორე ნახევარში, გაზეთი „კომუნარი" (ამბროლაური), 1959 წ., 14 აგვისტო., № 95; ქრონიკები, III, გვ. 639; მცირე ქრონიკები, გამოს. ჯ. ოდიშელმა; გვ. 70, მონაწ. 21, გვ. 75, მონაწ. 49.

ზოგი ქრონიკის ცნობით ბრძოლა 1756 წელს მოხდა. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ახალი (Q) კოლექციისა, ტ. II, თბ., 1958, გვ. 337, ქრონიკების (III) ცნობით — 1756 წ., გვ. 638, მცირე ქრონიკებით — 1758 წ., გვ. 59. მონაწ. 45.

პაპუნა ორბელიანი და ლეონი ამ ომის თანამედროვენი იყვნენ, ამიტომ მათი ცნობები უფრო სარწმუნოა (1757 წ.). ამ ომის თარიღად ქამნგულანიც 1757 წ. აღიარებს, სადაც 14 დეკემბერი კვირა დღითაა აღნიშნული, როგორც ჯ. ოდიშელმა გაარკვია, 14 დეკემბერი მართლაც კვირა ყოფილა. იხ. მცირე ქრონიკები, გვ. 70, მინაწ. 21, „კომუნარი", 192; შ. ბურჯანაძე ომს 1756 წლით ათარიღებს, იხ. შ. ბურჯანაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 85.

ქვემოთ მოტანილი თხრობა მომაქვს შემდეგი ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერებიდან: ე. თაყაიშვილი, ძველი საქართველო, ტ. II, განყ. IV, გვ. 36 — 42; სოლომონ-მეფე და როსტომ ერისთავი, 1936, გვ. 21 — 28; ქ. სიხარულიძე, ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, თბ., 1964, გვ. 154 — 162.

მტრის ჯარის დიდი ნაწილი გაიყლიტა, ნაწილი დაატყვევეს, მცირე ნაწილმა გაქცევით უშველა თავს, მაგრამ იმერეთის ტერიტორიას მაინც ვერ გაცილდა — მათ გზადაგზა ხოცავდნენ ან ატყვევებდნენ.

ამ ბრძოლაში დახოცეს თურქეთის ჯარის მხედართმთავრები: გოლა-ფაშა, ქემხა ახალციხის ფაშა და ბაშა-აღა[1].

მტრის რაოდენობა ნ. დადიანის თქმით რამდენჯერმე აღემატებოდა მეფისა და დადიანის ლაშქარს[2].

ბრძოლაში მოკლეს მეფის მოღალატე ბაბუა — ლევან აბაშიძე, ხოლო რაჭის ერისთავმა როსტომმა გაქცევით უშველა თავს. ზარალი მეფის მხრიდანაც დიდი იყო. დაიღუპა კაცია დადიანის თანმხლები სამურზაყანოს მფლობელი ხუტუნია შერვაშიძე, რომელმაც ხმლით 16 თურქი ჯარისკაცი აკუწა[3].

ხრესილის ბრძოლა დასაწყისი იყო დასავლეთი საქართველოს გამათავისუფლებელი ომისა. სოლომონ მეფე პირველად აქ შეხვდა აგრესორებს[4], აქედან მოყოლებული, მეფეს ხმალი არ ჩაუგია ქარქაშში იმერეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

სოლომონ მეფემ გადამწყვეტი ზომები მიიღო მოღალატეთა დასათრგუნავად: აბაშიძეებს ჩამოართვა ლევან აბაშიძის წილი მამული და სამეფო საკუთრებად გამოაცხადა, ხოლო დანარჩენი აბაშიძეები ფიცით შემოიმტკიცა და საababაშიოს ნაწილი მათ წყალობად მისცა. ამიერიდან აბაშიძეთა სათავადო მეფის ხელისუფლების წინაალმდეგ ბრძოლისათვის უძლური იყო.

ახლა როსტომ რაჭის ერისთავის დათრგუნვა იყო საჭირო, რათა მეფეს გარეშე მტერთან ბრძოლაში ზურგი საიმედო ჰქონოდა.

საეკლესიო კრება

ხრესილის ომში გამარჯვების შემდეგ სოლომონ მეფესა და ოსმალებს შორის ორჯერ მოხდა ბრძოლა — 1758 წელს. პირველად ოსმალებმა გაიმარჯვეს, მეორედ კი სასტიკად დამარცხდნენ. სოლო-

---

[1] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, ძველი საქართველო, II; განყ. III, გვ. 72.

[2] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, I, თბ., 1914. გვ. 85.

[3] ნ. დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 108, ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, თბ., 1920, გვ. 110, მისივე, წერილები და მასალები საქ. ისტორიისათვის, გვ. 85; პ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 473; ქ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრ. გვ. 155—161.

[4] შ. ბ ე რ ჯ ა ნ ა ძ ე, სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი (1752 — 1768 წწ.). თსუ შრომები XV ს. 1950, გვ. 85.

მონ მეფის სახელი და გავლენა დასავლეთ საქართველოში კიდევ უფრო გაიზარდა და გაძლიერდა.

სოლომონმა ისარგებლა ამ გამარჯვებით და მეფის ხელისუფლების გაძლიერების მიზნით ახალი ნაბიჯი გადადგა: 1759 წლის დეკემბერში მეფემ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო და საერო ფეოდალების საგანგებო კრება მოიწვია. მასში მონაწილეობდნენ: მეფე, კათალიკოსი და მთელი დასავლეთი საქართველოს მაღალი სამღვდელოება, იმერეთის ბატონიშვილები და თავად-აზნაურობა, დადიანი ოდიშის ბატონიშვილებით და თავადაზნაურობით, გურიელი ბატონიშვილებით და თავადაზნაურობით. ეს კრება მთელ თვეს გაგრძელდა და მან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო. მსჯელობის საგანი მთელი დასავლეთი საქართველოს საერთო საკითხები იყო[1], კერძოდ:

1) ეკლესიის საქმეების მოწესრიგება და

2) ტყვის სყიდვის აკრძალვა[2].

სოლომონის ტახტზე ასვლის მომენტში ეკლესია უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებოდა. ყმა-მამულის დიდი ნაწილი საერო ფეოდალებს მიეტაცნათ, მრავალი მონასტერი და საეპისკოპოსო კათედრა გაუქმებულიყო. ოსმალეთი მაჰმადიანობას ნერგავდა, აგებდა მეჩეთებს და ანგრევდა ეკლესიებს, არა თუ ახალი ეკლესიების აგებას, ძველის შეკეთებასაც კი კრძალავდნენ[3]. ასეთ პირობებში საერო ფეოდალები კიდევ უფრო მეტად აჩანაგებდნენ ეკლესიას, იტაცებდნენ მის მამულებს და ყმებს.

მეფის ხელისუფლების ძლიერებისათვის ბრძოლაში ეკლესია დიდ როლს ასრულებდა. იგი იყო სარწმუნოების, საერთო ენისა და ეროვნული კულტურის შენარჩუნების ერთ-ერთი ბურჯი. შინაპოლიტიკურ ბრძოლაში იგი ძირითადად მეფის ხელისუფლების მხარეზე იდგა, გამოდიოდა თავადების მძლავრობის წინააღმდეგ, ებრძოდა მაჰმადიანობის გავრცელებას, კრძალავდა ადამიანებით ვაჭრობას. ამდენად, ეკლესია მეფეს უდგა მხარში, მაგრამ, ამჟამად დასუსტებულს, თავისი თავისთვისაც ვეღარ მოევლო. ეკლე-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1973, გვ. 415.

[2] ტყვის სყიდვას აქ არ შეეხებით, რადგან უფრო ვრცლად სხვა თავში გადაქნება მსჯელობა.

[3] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო მ. გელაშვილმა, თბ., 1962, ტ. I, გვ. 139, 141.

სიის მესვეურთ სწამდათ, რომ დამპყრობელი ძალის გახდევნით ეკლესია აღსდგებოდა და კვლავინდებურად ჩადგებოდა მეფის სამსახურში.

1759 წლის 9 დეკემბერს, საეკლესიო კრებაზე სოლომონ მეფე აღნიშნავდა, რომ ქუთაისის ეკლესია... „ხელთ ეგდო მძვინვარეს აგარიანს და მიზეზითა ამით საქუთათლო მამული და სამრევლო მიმობნეულიყო, და რომელიმე დაშთომილიყო, საეროდ გამხდარიყო და ქუთათელი აღარ იჯდა"[1]. ამ სხდომაზე მეფემ დადგენილება მიაღებინა საქუთათლოს აღდგენისა და ქუთათელის დასმის შესახებ. ამავე დროს, ქუთათელს დაუმტკიცა ყველა მისი მამული, რასაც იგი ადრე ფლობდა და რომელიც საერო ფეოდალებს მიეტაცნათ, ამიერიდან, საერო ფეოდალები საერთოდ ვეღარ ჩაერეოდნენ საკლესიო საქმეებში.

მეფეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ეკლესიის წინა პლანზე წამოწევა, ამიტომ საეკლესიო პოლიტიკა მან შემდეგი ღონისძიებებით განახორციელა:

1) ერისკაცთაგან მიტაცებული ყმა-მამულები ეკლესიას დაუმტკიცა;

2) საეკლესიო ყმები გაათავისუფლა ზედმეტი გადასახადებისაგან და საეკლესიო გადასახადები დააკანონა;

3) ერისკაცებს აუკრძალა ეკლესიის სამეურნეო საქმეებში ჩარევა;

4) საეკლესიო თანამდებობიდან უღირსნი გადააყენა და ღირსეული პირები შეიწვია;

5) ეკლესია-მონასტრები ააგო და შეამკო.[2]

საეკლესიო კრების გადაწყვეტილებები თითქმის მთელი დასავლეთი საქართველოს ეკლესიებს შეეხო.[3]

1759 წლის კრების დადგენილებებმა დასაბამი მისცა ახალ პერიოდს დასავლეთი საქართველოს პოლიტიკურსა და სოციალურ-

---

[1] ს. კაკაბაძე, საეკლესიო რეფორმისათვის სოლომონ I-ის დროს, თბ., 1914, გვ. 4.

[2] შ. ბურჯანაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 87. ს. კაკაბაძე, საეკლესიო რეფორმისათვის, გვ. 4 — 5.

[3] შ. ბურჯანაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 88.

ეკონომიკურ ცხოვრებაში — თურქეთის ძალადობისაგან თავდახსნისა და ფეოდალურ ურთიერთობათა მოწესრიგების პერიოდს.[1]

1759 წლის ღონისძიებები ხალხის ფართო მასების ინტერესებსაც პასუხობდა. ამან მეფეს დიდი ავტორიტეტი და პოპულარობა მოუპოვა მთელ დასავლეთ საქართველოში. ამ კრებაზე აღდგენილ იქნა ხონის საეკლესიო კათედრა.[2]

ამრიგად, 1759 წლის საეკლესიო კრებაზე მეფე სოლომონი მთელი დასავლეთი საქართველოს საერთო საქმეებში ხელმძღვანელად გამოდიოდა, ხოლო მთავრები და თავადები მისი „მორჩილნი და ბრძანების აღმსრულებელნი იყვნენ. ეს სოლომონისა და მის მომხრეთა დიდი გამარჯვება იყო. მთავრები და, კიდევ უფრო, იმერეთის თავადები შიშნარევი ეშვით უცქეროდნენ მეფის ასეთ გაძლიერებას. განსაკუთრებით მოუსვენრად იყო როსტომ რაჭის ერისთავი; მას ამის საბუთიც ჰქონდა. აბაშიძის სახლის დამდაბლების შემდეგ ჯერი ერისთავზე იყო მიმდგარი. ამის პირველი ნიშანი ის იყო, რომ ერისთავის წინააღმდეგ მეფემ მისი მოქიშპე წულუკიძეები დაიახლოვა. ამავე დროს, დამდაბლებულ აბაშიძეთა ადგილზე სოლომონმა წერეთლის სახლი წამოსწია".[3]

1759 წლის საეკლესიო რეფორმის შემდეგ ეკლესია სათანადო სიმაღლეზე დადგა. ხალხში გავლენა და ავტორიტეტი აღიდგინა. მაგალითად, 1776 წელს კაცია ჩიჩუას შესახებ, რომელსაც ბიჭვინთის საეკლესიო ყმები მიეტაცა და ოსმალებისათვის მიეყიდა, კათალიკოსი აცხადებდა: „აწ უწყოდეთ ყოველთა, შევაჩვენებ წყეულსა მას კაცია ჩიჩუას და განვახვამ ეკლესიისაგან".[4] დიდ სასჯელად ითვლებოდა ეკლესიისაგან გარიცხვა, შეჩვენება.

ამრიგად, ეკლესიის აღორძინების შემდეგ მეფემ ძლიერი მოკავშირე შეიძინა მისი სახით.

ბრძოლა თურქებთან 1758 — 1768 წწ.

ხრესილთან თსმალთა ჯარის ამოწყვეტას და სოლომონ მეფის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის თურქეთის ხელისუფალნი ვერ ურიგდებოდნენ. ახალციხის ფაშას ჰაჯი-აჰმედს სტამბოლიდან ბრძანება მოუვიდა იმერეთის დამორჩილების შესახებ. სანამ საომრად გამოემართებოდნენ, ახალციხის ფაშამ იმერთა მეფეს მოს-

---

[1] ქ. ჩხატარაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 461.
[2] ს. კაკაბაძე, საეკლესიო რეფორმისათვის, გვ. 7.
[3] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 417.
[4] იქვე.

თხოვა ხარკისა და ჯარიმის სახით 300 ქესა[1] ფული და ტყვეებით თავისუფალი ვაჭრობის აღდგენა.

ქვეყნის აოხრების თავიდან აცილების მიზნით სოლომონი პირველ მოთხოვნაზე დასთანხმდა, ხოლო მეორეზე უარი აკადრა. მაშინ დიდძალი ოსმალთა ჯარი, ხუნძახის ბატონთან და ლეკებთან ერთად 1758 წელს იმერეთის დასალაშქრავად გადმოვიდა. მეფე მოუმზადებელი შეხვდა ამ შემოსევას. მტერმა მთელი ქვეყანა აოხრა და გაძარცვა,[2] მათ შორის გელათის მონასტერიც. მეფე სოლომონი იძულებული გახდა, ყველა პირობაზე დათანხმებულიყო, რაც ოსმალებმა წამოუყენეს.[3] ალაფით დატვირთული მძარცველები უკან გაბრუნდნენ. ხოლო ხარკის აკრეფა იმერეთის ციხეებში მდგარ თურქ მეციხოვნეებს დაავალეს. მათ მიერ ხარკის აკრეფამ ძარცვის ხასიათი მიიღო. მცხოვრებლებმა ახალციხის ფაშასთან იჩივლეს, ამის შესახებ ჰამერი წერს — „ახალციხეში ბატონიშვილი სოლომონი მოვიდა საჩივრებით, რომლებიც იმერეთის მცხოვრებთ ბაღდათისა და ქუთაისის გარნიზონების მიმართ ჰქონდათ".[4]

მეფე სოლომონი ახალციხის ფაშას ჰაჯი-აჰმედს ეახლა, ფაშამ სოლომონის საჩივარი შეისმინა და იმერთა მეფეს სამი ათასი თურქი მეომარი გამოაყოლა. ამ ჯარით უნდა დაესაჯათ თვითნებური მოქმედებისათვის იმერეთის ციხეებში ჩაყენებული თურქი მეციხოვნეები. მაგრამ, როგორც ჰამერი აღნიშნავს, თურქებს იმერეთამდე არც კი ჩამოუღწევიათ, — სოლომონ მეფემ ისინი გზაშივე გაანადგურა თავისი ფიცის კაცების ჯარით, რომელიც მან იმერეთიდან საიდუმლოდ გამოიწვია.[5]

ამ მარცხის გამო თურქეთის მთავრობამ ჰაჯი-აჰმედ ფაშა ჯერ თანამდებობიდან გადააყენა და შემდეგ სიკვდილით დასაჯა.[6] ამ

---

[1] ქისა ანუ „ქესა" არაბულ-სპარსული სიტყვაა და თავდაპირველად საფულეს ნიშნავდა; შემდეგ ოსმალურში — ფულის ოდენობას. ვახტანგ მეფის განმარტებით „ოცდაათ თუმანს ურუმნი (ოსმალნი — მ. რ.) ერთ ქისას ეძახიან" (საამართლის წიგნი, კარი თეთრის გარიგებისა, პარაგრ. 16).

[2] პაპუნა ორბელიანი, საქართველოს ცხოვრება, წიგნში „ქართლის ცხოვრება", ნაწილი მეორე; ჩუბინოვის გამოცემა, სანკტ-პეტერბურგი, 1854, გვ. 474.

[3] ჰამერი, ისტორია, IV, გვ. 545.

[4] იქვე.

[5] იქვე.

[6] იქვე. გვ. 546. ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, გვ. 110-111; შ. ბურჯანაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 94.

დროს ქართველი ხალხის ცხოვრებაში ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა მოხდა — ქართლ-კახეთის და იმერეთის მეფეებმა ქალაქ გორში 1758 წელს თავდაცვითი კავშირის ხელშეკრულება დადეს — „რომელ ქვეყანაში მტერი შემოვიდესო, ერთმანეთს მივეშველნეთო“.[1] ამ შეთანხმებისათვის მეფეებს რამდენიმე წლის მანძილზე არ უღალატიათ; და საერთოდ ქართლ-კახეთის მეფეებმა სოლომონს რამდენიმეჯერ აღმოუჩინეს დახმარება თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში — „ოსმალნი რომ იმერეთში მივიდნენ, ერეკლე სოლომონს საიდუმლოდ მოეხმარა ორჯერ“.[2] ეს მოხმარება იმდენად მნიშვნელოვანი ყოფილა, რომ თურქეთში ხმა დავარდნილა, იმერეთში ერეკლე-მეფის ახლო მყოფი რუსი ოფიცრები იბრძვიანო. ასევე, იმერთა მეფეც აშკარად უწევდა დახმარებას ერეკლე მეფეს — ორჯერ ცხრა-ცხრა ათასი კაცით თვითონაც იქ, იბრძოდა[3] ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში და კიდევაც გაიმარჯვეს.[4] მესამედ თავისი ძმა არჩილი გაგზავნა ჯარით ლეკების წინააღმდეგ საბრძოლველად,[5] ხოლო 1760 წელს სოლომონ მეფე ერეკლე მეფეს ეხმარებოდა განჯის აღებაში 15 000-იანი ლაშქრით. იმერთა მეფეს ამ ბრძოლაში თავიანთი ლაშქრით დადიანი და რაჭის ერისთავი როსტომიც[6] ახლდნენ.

სამწუხაროდ, ამერ-იმერის მეფეებს სისტემატურად და აშკარად არ შეეძლოთ ერთმანეთს დახმარებოდნენ, რადგან 1555 წლის ამასიის ზავით (რომელიც გადაულახავ ბარიერად იყო აღმართული საქართველოს ერთიანობის წინააღმდეგ) ეს დაუშვებელი იყო.[7]

თურქეთის სულთანმა ახლად დანიშნულ ახალციხის ფაშას დაავალა იმერეთის დამორჩილება. 1758 წელს ჰასან-ფაშა ორჯერ შემოიჭრა იმერეთში, მაგრამ ორჯერვე დამარცხდა.[8]

1759 წელს ჰასან-ფაშა იბრაჰიმ ფაშამ შეცვალა. მას იმერთა მეფემ დედოფალი მარიამი აახლა და ზავი და მშვიდობა შესთავაზა, მაგრამ სანაცვლოდ ფაშამ ტყვეთა სყიდვის თავისუფლება

---

1 კ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 474.

2 სიგელ-გუჯრები II, გვ. 2 (რუს.).

3 იქვე.

4 კ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 489.

5 სიგელ-გუჯრები, II, გვ. 2 (რუს.).

6 მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, კათოლიკობა ქართველთა შორის, თბ., 1902, გვ. 378,

7 მ. რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი, იმერეთის სამეფო XVI საუკუნეში, თბ., 1976, გვ. 42 — 43.

8 გაზ. „კომუნარი“ (ამბროლაური) 1959, № 96.

მოითხოვა. ამაზე მან უარი მიიღო და მოლაპარაკებაც ჩაიშალა[1].

1760 წელს თურქებმა ისევ შემოუტიეს იმერეთს, მათი მიზანი იყო სოლომონ მეფის დამორჩილება, ხარკის გადახდევინება და ტყვის სყიდვის აკრძალვის გაუქმება.

სოლომონ მეფე ამ ლაშქრობას მომზადებული შეხვდა და მომხდურნი სასტიკად დაამარცხა[2].

1761 წელს თურქებმა ისევ სცადეს იმერეთის დამორჩილება, მაგრამ ამაოდ, ოსმალები კვლავ დამარცხდნენ[3].

1763 წელს ახალციხის ფაშა 13 000-იანი ლაშქრით ორ ტალღად შემოიჭრა იმერეთში[4] და წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ მტრის ჯარში უთანხმოება ჩამოვარდა, იანიჩარებს სურდათ ქვეყნის დამორჩილება, ხოლო ქურთები ქვეყნის აოხრება-გაძარცვას მოითხოვდნენ, ამან მთლად მოშალა მტრის საბრძოლო დისციპლინა, რითაც ისარგებლეს ქართველებმა და მუსრი გაავლეს მტერს[5].

იმავე 1763 წელს თურქთა ლაშქარი კვლავ დაესხა თავს იმერეთს, მაგრამ ამჯერადაც დამარცხდა და უკუიქცა[6].

ამის შემდეგ თურქებმა აღმოსავლეთიდან სცადეს ზემო იმერეთში შეჭრა, მაგრამ ერეკლე მეფემ, ამოუდგა რა მხარში თავის მოკავშირეს, გზა ჩაუკეტა და თურქები უკან გაბრუნდნენ[7].

თურქეთის მთავრობა ისევ ნაცად გზას დაადგა და იმერეთის სამეფოს მიმართ მოქმედების გეგმა შეცვალა — ძალის პოლიტიკით რომ ვერაფერს გახდა, ისევ სოლომონის მოწინააღმდეგეებთან გაბა კავშირი და ციხის გატეხა შიგნიდან სცადა. ჰამერის გადმოცემით, სოლომონის ერთ ძმას, რომელიც ახალციხეში იყო გაქცეული, როგორც ძმის მოღალატე და მოწინააღმდეგე, აჰმედ-ფაშამ რამდენჯერმე აღმოუჩინა შეიარაღებული დახმარება სოლომონ-მეფის წინააღმდეგ, მაგრამ სასურველ შედეგს ვერც ძმამ და ვერც ფაშამ ვერ მიაღწიეს. შემდეგ იმერეთიდან გაქცეული, ტახტისმაძიებელი მეფის ბიძაშვილი — თეიმურაზ მამუკას ძე თურქეთის მთავრობას იმერეთის ტახტზე გამეფებას სთხოვდა და, სამაგიეროდ „ტყვის სყიდვის“ აღდგენას აღუთქვამდა; თურქეთისათვის ეს წინადადება მისაღები აღმოჩნდა. ამდენი მარცხიანი ლაშქრობის შემდეგ — 1764 წელს თურქეთის მთავრობამ დიდი ლაშქრის

---

[1] А. Цагарели. Грамоты, I стр. 15. შ. ბურჯანაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 95.

[2] იქვე.

[3] ჰამერი, ისტორია, ტ. IV, გვ. 546.

[4] იქვე.

[5] ჰამერი, ისტორია, ტ. IV, გვ. 546. შ. ბურჯანაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 95.

[6] შ. ლომსაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 216—217, 219.

[7] А. Цагарели. Грамоты, стр. 16.

შეყრა ბრძანა. ახალციხისა და არზრუმის საფაშოებს გარდა, ამ ლაშქრობაში ექვსი საფაშოს ჯარები მონაწილეობდნენ, და თან მოყავდათ პრეტენდენტი თეიმურაზი — იმერეთში გასამეფებლად.

1765 წელს ჰასან-ფაშა დიდი ლაშქრით დასავლეთ საქართველოს დასარბევად წამოვიდა.

სოლომონის მხარეზე იყვნენ გურიისა და ოდიშის მთავრები, ხოლო როსტომ — რაჭის ერისთავი ისევ თურქეთის მხარეზე აღმოჩნდა. ფაშა პირველად გურიას შეესია, მამია IV გურიელმა მწვავე ბრძოლები გაუმართა, ბაგრამ დამარცხდა. ფაშამ იგი განდევნა და გურიელად მისი ძმა ვიორგი (V) დასვა.

ფაშა ამჯერად ფრთხილად მოქმედებდა, მან იმერეთში სწრაფად შესვლა ვერ გაბედა, იმერეთს გვერდი აუარა და ოდიშის მთავარს ეწვია — თურქების ძალთა სიმრავლით შეშინებულმა დადიანმა სამთავრო გაძარცვისაგან რომ გადაერჩინა, ქედი მოიხარა და მათ მიერ წაყენებულ მოთხოვნას — ჯარისათვის სურსათის მიცემას — დასთანხმდა, ეს წელი თურქთა ლაშქარმა ოდიშში გამოიზამთრა. სოლომონ მეფე იზოლირებული აღმოჩნდა.

1766 წელს ჰასან-ფაშა იმერეთს შეესია. განმარტოებული მეფის დამარცხება აღარ გაჭირვებიათ. ერთთვიანი ბრძოლის შემდეგ ფაშამ სვერის ციხე აიღო და იქიდან სოლომონი განდევნა. ბრძოლის გაგრძელება უიმედო იყო. გამარჯვებული ფაშა ქუთაისში შევიდა და თეიმურაზ მამუკას ძე მეფედ გამოაცხადა[1]. მეფის მოძულეებს და ტყვეებით მოვაჭრე თავადებს ზეიმის დღე დაუდგათ — „ისინი ქუთაისში მივიდნენ და ხელი მოაწერეს ახალ მბრძანებელ თეიმურაზისადმი მორჩილების აქტს“ — წერს ჰამერი.

ამრიგად, 1765 წელს დაწყებული ლაშქრობა ჰასან-ფაშამ 1766 წელს გამარჯვებით დაამთავრა[2].

სოლომონ მეფემ ოთხი კაცის თანხლებით თავი შეაფარა თავისი ერთგული წერეთლების საძმო ციხეს — „მოდინახეს“, რომელიც ქაიხოსრო და ნიკოლოზ წერეთლებმა გადასცეს მას[3].

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ძირითადი ნაწილი მტერს ჰქონდა დაკავებული, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა ლაშქარი თანდათანობით მრავლდებოდა და მტკიცდებოდა. თურქები ციხეებიდან გამოსვლას ვეღარ ბედავდნენ. თვით თეიმურაზ მეფეც თურქებთან გადასახლდა ქუთაისის ციხესიმაგრეში და გარეთ ვერ

---

[1] ჰამერი, ისტორია, IV, გვ. 560.

[2] შ. ბურჯანაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 97.

[3] ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, I, გვ. 92.

გამოდიოდა, ის არც ხალხს სურდა მეფედ, რადგან დამპყრობლებისაგან იყო თავსმოხვეული იმერეთის ხალხისათვის. ტახტიდან გადაგდებული სოლომონი ფაქტიურად მაინც მეფობდა იმერეთში.

1766 წელს თურქეთის მთავრობამ იმერეთში გასალაშქრებლად ისევ ბრძანა დიდი ლაშქრის შეყრა.. ამისათვის 300 000 მანეთი (რუსულ ფულზე გადაყვანით) გამოიყო, 45 000 კაცი შეიკრიბა, მაგრამ მალე მიხვდნენ, რომ ეს ლაშქრობაც დიდ სარგებლობას არ მოუტანდა მათ და ისევ ზავის დადება ამჯობინეს. „ოღონდ ზავი ისე უნდა დადებულიყო, რომ გარეგნულად მაინც პორტასათვის საპატიო ყოფილიყო"[1]. ზავის დადება სოლომონთან იმის მომასწავებელი იყო, რომ დამპყრობელმა გამარჯვების რწმენა დაკარგა[2], მაგრამ თვით სოლომონიც არ იყო დარწმუნებული იმაში, რომ იმერეთის ტახტს კვლავ შემოიმტკიცებდა, ამიტომ მან ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლე II-ს მიმართა თხოვნით, რათა თურქეთთან მორიგებაში ეშუამდგომლა.

ერეკლე მეფის შუამდგომლობას თურქეთის მთავრობა დიდი კმაყოფილებით შეხვდა, რადგან იმერეთში გაუთავებელი ომის დამთავრება მასაც სურდა.

საზავო მოლაპარაკებას ერეკლე მეფის ელჩთან ერთად სოლომონ მეფის ძმა გენათელი იოსები ხელმძღვანელობდა. ელჩები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1766 წელს ჩავიდნენ სტამბოლში. ერეკლეს ელჩმა სტამბოლს აღუთქვა, რომ სოლომონ მეფე მზადაა, ხონთქარს აძლიოს ხარკის ანგარიშში 60 ქალი წლიურად[3] (მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სავალდებულო არ იყო ეს ქალები ქართველები ყოფილიყვნენ), ხოლო ხონთქარი იმერეთის საშინაო საქმეებში არ ჩაერეოდა. ხელშეკრულების დადება გაჭიანურდა ალბათ იმიტომ, რომ ამ დროს იმერეთის ტახტზე ოსმალეთის მომხრე თეიმურაზი იჯდა და ხარკსაც თურქთა მოთხოვნილებისამებრ იხდიდა. ელჩობამ მიზანს მაინც ვერ მიაღწია — 1767 წელს იმერეთ-თურქეთს შორის ზავი დაიდო, ამ ხელშეკრულების ძალით ძველი მოხარკეობა ისევ აღდგა, მაგრამ, როგორც შემდეგ გაირკვა, ეს შეთანხმება სოლომონის მხრიდან მოჩვენებითი იყო, ხოლო თურქეთის მთავრობაც არ ჩქარობდა სოლომონისათვის ტახტის დაბრუნებას.

1768 წელს სოლომონ მეფემ გადამწყვეტი ბრძოლა გაუმართა მის მოწინააღმდეგეებს — დასავლეთი საქართველოს მეფე-მთავ-

---

[1] ჯ. ჩხატარაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 645.

[2] შ. ბურჯანაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 101.

[3] ჯ. ჩხატარაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ., 645 — 646; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1973, გვ. 420.

რებს. „ჩხარის მახლობლად ცხრაწყაროსთან... სოლომონ მეფემ თავისი ერთგული იმერლებით და დაქირავებული ლეკებით დაამარცხა თურქები და მათ მიერ მეფედ დაყენებული თეიმურაზი"[1], თეიმურაზის მხარეზე იბრძოდნენ აგრეთვე დადიანი, გურიელი და რაჭის ერისთავი, მაგრამ ყველანი დამარცხებულ იქნენ სოლომონ მეფის მიერ.

ამ გამარჯვებით იმერეთის ტახტი კვლავ სოლომონმა დაიკავა და მთელი იმერეთი შემოიმტკიცა. თეიმურაზ ბატონიშვილი შეიპყრეს და მუხურის ციხეში გამოკეტეს, საიდანაც ცოცხალი აღარ გამოსულა[2]. ასევე დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს თეიმურაზის ძმა გიორგი ბატონიშვილი[3].

ტახტის დაბრუნების შემდეგ სოლომონ მეფეს გასაჭირის დროს სტამბოლისადმი შეთავაზებული მორჩილების პირობები ახლა მიუღებლად მიაჩნდა და ტყვეებით (ადამიანებით) ხარკის გადახდას დაჟინებით უარყოფდა. ახალციხის ფაშასაგან მოთხოვნას (1767 წლის საზავო პირობების თანახმად) ხარკში ადამიანების გაგზავნაზე სოლომონმა უპასუხა — მე სწორედ ასეთი ხარკის წინააღმდეგ ვიბრძოდი და ვიბრძვი და სულთანს ქალების გაგზავნას როგორ აღვუთქვამდიო. ფაშამ ეს პასუხი სულთანს აცნობა, მაგრამ რაიმე საწინააღმდეგო ღონისძიება სოლომონის მიმართ არ მიუღიათ. იმერეთის მეფის მიერ რუსეთს წარგზავნილი მაქსიმე ქუთათელი რუსეთის სამეფო კარზე უარყოფდა ადამიანებით ხარკის მიცემას ოსმალთათვის და აღნიშნავდა — სოლომონ მეფეს თურქებთან ომი აქვს სწორედ იმის გამო, რომ თურქეთი ხარკად ადამიანებს მოითხოვს, რასაც მეფე არასდროს არ დაუშვებსო[4].

მიუხედავად იმისა, რომ იმერეთის ციხეებში თურქები კვლავ იდგნენ, სტამბოლის სამეფო მთავრობა მაინც შეშფოთებული იყო, რადგან იმერეთის სამეფო კვლავ ცდილობდა რუსეთთან კავშირის დაჭერას. თუკი იმერეთს დაკარგავდა, თურქეთს ხელიდან ეცლებოდა შავ ზღვაზე და კავკასიაში ბატონობის ერთ-ერთი დასაყრდენი. ამიტომ სულთანი იძულებული იყო, სოლომონისათვის დაეთმო. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ამ დროს უკვე ახლოდებოდა რუსეთ-თურქეთის 1768 — 1774 წლების ომი და პორტასაც კარგად ესმოდა ამ ომში იმერეთის მნიშვნელობა.

---

[1] გიულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გვ. 169.
[2] შ. ბურჯანაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 102.
[3] ქ. ჩხატარაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 646.
[4] ცაგარელი, 16—17 (რუს.).

სულთანმა მუსტაფა III 1768 წლის აგვისტოში სოლომონ მეფის მიმართ წყალობის ფირმანი გამოსცა, რომლის ძალითაც „ქრისტიან მფლობელთა შორის სახელგანთქმულ სოლომონს იმერეთის მეფედ აღადგენდა"[1], თუმცა ამ სიგელის გამოცემამდე სოლომონმა ხმლით დაიბრუნა მეფობა, მაგრამ ეს ნაგვიანევი თანხმობა სტამბოლისაგან მეფის დიდი გამარჯვება იყო. ამ ფირმანის გამოცემამ დააჩქარა მაქსიმე ქუთათელის ელჩობა რუსეთში[2].

ამრიგად, ათი წლის მანძილზე — 1758 — 1768 წლებში — იმერეთის ხალხი სოლომონ მეფის ხელმძღვანელობით გმირულად ებრძოდა თურქ დამპყრობლებს და მათ დამხმარე იმერელ რენეგატ თავადებს. სოლომონმა არაერთხელ დაამარცხა და დასაჯა ორგული შინაური და გარეშე მტერი. იმერეთის ხალხის ქედმოუხრელმა და გმირულმა ბრძოლამ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მტერი აიძულა უკან დაეხია და მეფესთან კომპრომისული ზავი დაედო.

სოლომონ მეფე და როსტომ რაჭის ერისთავი[3]

პირველი წერილობითი წყარო, რომელშიც რაჭის საერისთავოა მოხსენებული, XI საუკუნეს განეკუთვნება[4]. პროფ. ო. სოსელიას მიხედვით, ამ საერისთავოს არსებობა X საუკუნიდან უნდა ვივარაუდოთ[5].

თამარ მეფის დროს (1184 — 1213 წწ.) რაჭის საერისთავოს ფარგლებში თაკვერიც (ლეჩხუმი) შედიოდა, ხოლო 1230 წლისათვის იგი მხოლოდ რაჭით განისაზღვრება[6].

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 420.

[2] ზ. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 10—24.

[3] დაწვრილებით იხ. თ. ბერაძის მონოგრაფია „რაჭა", სადაც განხილულია რაჭის ეკონომიკურ-გეოგრაფიული აღწერილობა და ისტორია უძველესი ხანიდან მე-19-ე საუკუნემდე, თბ., 1983.

[4] გ. ბოჭორიძე, რაჭის ისტორიული ძეგლები, საქართველოს მუზეუმის მოამბე, თბ., 1928, ტ. V, გვ. 210; ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში; თბ., 1963, გვ. 89—90; თ. ქორდანია, ქრონიკები, II, გვ. 44; ს. კაკაბაძე, ისტორიო კრებული, IV, თბ., 1929, გვ. 105.

[5] ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 69. უფრო დაწვრილებით იხილეთ იმავე წიგნში „რაჭის ერისთავთა სათაურადო".

[6] ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 180.

რაჭის ერისთავები — კახაბერიძეები — ბაღუაშთა გვარის წარმომადგენლები იყვნენ. შემდეგში ეამთააღმწერელი მათ კახაბერის სახელის მიხედვით კახაბერიძედ თვლის[1]. წარმოშობით ეს საგვარეულო არგვეთიდან მოდიოდა და მისი მამაპაპეული რეზიდენცია კაცხი იყო[2].

არგვეთიდან იყო კლდეკარის საერისთავოს დამაარსებელი (IX საუკუნის II ნახევარი) ლიპარიტ ბაღუაში. არგვეთიდან იყვნენ მხეციძეები, ჩხეტიძეები, შემდეგში — აბაშიძეები. ისტორიიდან ცნობილია, რომ ამ დიდ საგვარეულოთა მეთაურები მუდამეამს (ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროიდან) ებრძოდნენ მეფის ხელისუფლებას.

XIII საუკუნის II ნახევარში დავით ნარინმა (1247 — 1293 წწ.) ღალატისათვის სასტიკად დასჯა რაჭის ერისთავი — კახაბერიძე, გაუქმა საერისთავო და იგი თავის სახასო მამულად გამოაცხადა.

XIV საუკუნის დასასრულს, იმერეთის მეფეებმა რაჭის საერისთავო ისევ აღადგინეს.

XVI საუკუნის 30-იან წლებში ბაგრატ მეფემ (1510—1565 წწ.) რაჭის ერისთავად დასვა შოშიტა ჩხეტიძის (1534 — 1565 წწ.) მემკვიდრეები, მომდევნო საუკუნის II ნახევრიდან ჩხეტიძეები უკვე „თვისად“ თვლიან საერისთავოს, მაგრამ ძველ საერისთავოსთან შედარებით, ჩხეტიძეთა სამფლობელო ბევრად იყო შეკვეცილი: მასში არც თაკვერი შედიოდა და არც მთელი რაჭა.

რაჭის ერისთავები თანდათანობით იწყებენ ყმა-მამულის შემომტკიცებას. XVII საუკუნის ბოლოს მათი სამფლობელო საგრძნობლად გადიდებულია.

XVIII საუკუნის შუა წლებისათვის ერისთავებს ეკუთვნოდათ 56 სოფელი, მათი ყმების საერთო რაოდენობა 1250 კომლით განისაზღვრებოდა; ამავე საუკუნის 50 — 60-იან წლებში ერისთავები უკვე მთელი რაჭის მფლობელებია. თუ რაჭის მოსახლეობა ამ დროისათვის 5000 კომლით განისაზღვრებოდა, ერისთავების ყმათა საერთო რაოდენობა ამაზე ბევრად ნაკლები არ იყო[3].

XVIII საუკუნის II ნახევარში ერისთავთა სამფლობელო — რაჭა მოქცეული იყო კავკასიონის ქედს, სვანეთს, საწერეთლოს, ოკრიბასა და ლეჩხუმს შორის. ასეთი გეოგრაფიული მდებარეობის

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 275.

[2] ს. ჯანაშია, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 477.

[3] ო. სოსელია, დასახ. ნაშრ., გვ. 79.

გამო რაჭა ძნელად მისადგომი კუთხე იყო, და რაჭის ერისთავებიც, მის ბუნებრივ სიმაგრეებს მინდობილნი, ყოველთვის მიილტვოდნენ დამოუკიდებლობისაკენ. ამას ვერ ურიგდებოდნენ იმერეთის მეფენი და იყო მათ შორის ბრძოლა და აშლილობა მარადჟამს. რაჭის ერისთავები მათ „შინაურ საქმეებში“ მეფის ჩარევას მტრულად ხვდებოდნენ, მეფე კი თავის მხრივ, არ ცნობდა ერისთავის მემკვიდრეობითს უფლებას საერისთავოზე და ამ მოხელის დასმა-გადაყენებას საკუთარ უფლებად მიიჩნევდა. ამ ნიადაგზე ერისთავსა და მეფეს შორის დაუნდობელი ბრძოლა იყო გაჩაღებული, სადაც ხან ერთი მხარე იმარჯვებდა და ხან მეორე.

ერისთავების რეზიდენცია იყო სოფ. წესი. წესის იმ ნაწილს, სადაც ერისთავების კარის ეკლესია და სასახლეა, ბარაკონი ეწოდება. ბარაკონის მახლობლად მაღალი კლდის თავზე იდგა ერისთავების ბატონობის სიმბოლო, ციხესიმაგრე „მინდა“ „მაგარი და აუღებელი მტრისაგან“, ბარაკონის ეკლესია ამჟამადაც შემონახულია, ციხისა კი მხოლოდ ნანგრევებია დარჩენილი.

ბარაკონი მტრისათვის შეუვალი და მიუდგომელი იყო. აღმოსავლეთით მას ციხე „მინდა“ იცავდა, ჩრდილოეთით — კლდიანი მთა, სამხრეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით — მდ. რიონი.

წესის მისადგომზე, ხიდიკართან, იქ, სადაც, რიონი ვიწრო კალაპოტში მოედინება, ხიდი იყო გადებული. ხიდის ორივე თავთან, გამოკვეთილ სალ კლდეში, კოშკები იყო მიშენებული და თითოეულ კოშკში მუდმივად 40 შეიარაღებული მცველი იდგა. ასე რომ, წესის მისადგომიც მტკიცედ ჰქონდა დაცული ერისთავს. თავის უძლეველობაში დარწმუნებული როსტომ-ერისთავი იმერთა მეფეს სოლომონ პირველს აღარ მორჩილებდა და ოსმალთა და შინა მოკავშირეთა მოიმედეს, თვალი გარეთ ეპირა. ბუნებრივი გეოგრაფიული ზღუდეებით დაცული საერისთავო, იმავე დროს, მოკლე და მოხერხებული გზებით იყო დაკავშირებული მეზობლებთან.

ერთი გზა — მამისონის, გეზევეცის, კარაგომის, ძედოს, კირტიშოს გადასასვლელებით უკავშირდებოდა ჩრდილოეთ ოსეთს (აღსანიშნავია, რომ რუსეთის ელჩები — ტოლოჩანოვი და იევლევი გეზევეცის გადასასვლელით მოვიდნენ იმერეთში); მეორე — უკავშირდებოდა საჩხერეში წერეთლების სათავადოს; მესამე — ნაქერალას ქედით — ოკრიბას; მეოთხე — ტოლას ხევიდან — სვანეთს; მენუთე — ერწოს გადასასვლელით ცხინვალიდან ქართლს. მეექვსე — ვაცის წვერის გადასასვლელით — ქვემო სვანეთს.

* * *

იმერეთის სამეფო კარზე რაჭის ერისთავები დიდი პატივით სარგებლობდნენ. ეს იქიდან ჩანს, რომ ალექსანდრე III-ის მიერ 1651 წელს რუსთ ხელმწიფისათვის გაგზავნილ ფიცის წიგნში საერო ხელისუფალთაგან პირველს პაპუნა რაჭის ერისთავს მოუწერია ხელი; თვით რუსეთის ელჩებიც მას მეფის პირველ „ბოიარს" ეძახიან. უფრო გვიან, სოლომონ I-იც რაჭის ერისთავს ერთხანს დიდი პატივით იხსენიებს. მაგალითად, 1759 წლის საეკლესიო კრების დადგენილებაში სოლომონ მეფე რაჭის ერისთავს ასეთი ტიტულით ამკობს: „...სპასპეტ-სპასალარი, სტრატილატი და ვიპატოსი... ერისთავი როსტომ"[1].

რაჭის ერისთავები ასეთი ტიტულატურით აღარ კმაყოფილდებიან, ერთ დროს მეფის მიერ ნაწყალობევი მამული უკვე დაისაკუთრეს და საერისთავო — სათავადოდ გახადეს, ხოლო ერისთავი — სათავადოს უფროსად, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ სათავადოს უფროსს სახლის წევრები კი არ ირჩევენ, როგორც საქართველოს სხვა სათავადოებში, არამედ უფროსობას მემკვიდრეობით გადასცემენ მამიდან შვილზე უხუცესობის მიხედვით. რაჭის ერისთავად დაჯდომას მეფის სანქცია აღარ ჭირდება, თვითონვე ჯდებიან ერისთავად მეფის ნებართვის გარეშე. მაგრამ ადრე ასე არ იყო — რაჭის ერისთავები წინა საუკუნეებიდან მოყოლებული XVII საუკუნის შუა წლებამდე, იმერეთის მეფეთა ვასალები იყვნენ და ემსახურებოდნენ მათ. მაგალითად, 1669 წელს რაჭის ერისთავმა შოშიტა II-მ მოკლა მეფის მოღალატე სახლთუხუცესი სეხნია ჩხეიძე და იმერთა მეფის — ბაგრატის ხელისუფლება განამტკიცა.

თავადურ გათიშულობას ერისთავები განსაკუთრებით ალექსანდრე III-ის სიკვდილის (1660 წ.) შემდეგ იწყებენ: შოშიტა II (1661—1684 წწ.), პაპუნა II (1684—1696 წწ.), შოშიტა III (1696 — 1731 წწ.), გრიგოლ შოშიტა III-ის ძე (1732—1743 წწ.), ვახტანგ შოშიტა III-ის ძე (1743 — 1749 წწ.), როსტომ შოშიტა III-ის ძე (1749 — 1769 წწ.) ებრძვიან ცენტრალურ ხელისუფლებას და ამ ბრძოლაში მხარდამხარ უდგანან აბაშიძეს, დადიანს, გურიელს და სხვა მთავრებსა თუ თავადებს[2].

ფეოდალური შინაომების შედეგად იმერეთის მეფის ხელისუფლება მეტისმეტად დასუსტდა. ამ მდგომარეობამ განსაკუთრებით

---

[1] ს. კაკაბაძე, საეკლესიო რეფორმისათვის, გვ. 5.

[2] ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 119.

იჩინა თავი XVII საუკუნის შუა წლეებიდან და XVIII საუკუნის II ნახევრამდე გაგრძელდა. ამ პერიოდში რაჭის ერისთავები სხვა თავადებთან ერთად თავიანთი ნებისამებრ სწყვეტენ იმერეთის მეფის ტახტზე ასვლა-დარჩენის საკითხს. გაძლიერებული რაჭის ერისთავები ლიხთიმერისა და ლიხთამერის მთავრად და მსაჯულად დადგინებულ „რაჭის მპყრობელს" ეძახიან თავიანთ თავს[1].

რაჭის ერისთავის წინააღმდეგ მრავალჯერ გაულაშქრია იმერეთის მეფეს, მაგრამ ამაოდ. პაპუნასთან ბრძოლაში ალექსანდრე მეოთხემ ორჯერ დაკარგა მეფის ტახტი, ბოლოს პაპუნამ და მისმა მომხრეებმა შეიპყრეს მეფე და ქართლის მეფეს — გიორგი XI გადასცეს; 1695 წელს იგი რუისს მოაშთეს და იქვე დაფლეს.

ერისთავმა და მისმა მომხრეებმა სამჯერ ჩამოაგდეს გიორგი V (1707 — 1720 წწ.) ტახტიდან, ხოლო როცა მეფე დროდადრო მაინც ახერხებდა თავისი უფლების აღდგენას, სამეფოში ისევ რაჭის ერისთავი, დადიანი და აბაშიძე მბრძანებლობდნენ.

1716 წელს მათ იმერეთის სამეფო სამად გაიყვეს, ხოლო 1720 წელს მეფეც მოკლეს.

არც გიორგი VI-ის მემკვიდრეს, ალექსანდრე V-ს ჰქონდა მოსვენება: რაჭის ერისთავმა და მისმა მომხრეებმა იგი რამდენჯერმე გააძევეს იმერეთიდან.

არც როსტომ ერისთავი უდებდა ტოლს სოლომონ პირველს. გაძლიერებული ქვეშევრდომი მეფეს აშკარა ბრძოლას უცხადებდა. აკი ხალხური ლექსი გვეუბნება როსტომის პირით:

„...ხელი აიღე რაჭაზედ,
მიხვდი, რომ აღარ გმორჩილობ, სწორი ვიდგები ძალაზედ,
რაჭის ბეგარას ავიღებ, არ გერიდები ამაზედ".

რაჭის ერისთავებს აღმოსავლეთი საქართველოს მეფეებთან კეთილმეგობრული კავშირი ჰქონდათ დამყარებული. როგორც ცნობილია, სპარსთაგან ლტოლვილმა კახეთის მეფემ, პოეტმა თეიმურაზ პირველმა, რაჭაში შვიდი წელიწადი გაატარა და იქვე დაწერა პოემა „შამიფარვანიანი" (1656 წ.).

როდესაც იმერთა მეფე ალექსანდრე III გარდაიცვალა, რაჭის ერისთავმა იმერეთის ტახტზე ქართლის მეფის შაჰ-ნავაზის შვილი ლუარსაბი მოიწვია გასამეფებლად, მაგრამ ხონთქარმა ეს არ შეიწყნარა. ამის შემდეგ იმერეთის ტახტისათვის ბრძოლას იწყებს არჩილი, რომელიც რაჭის ერისთავთა დახმარებით სამჯერ გამეფდა იმერეთში. დამარცხებული არჩილი თავშესაფარს ისევ რაჭაში პოულობს და აქედან იწყებს ბრძოლას ტახტისათვის.

---

[1] ს. ყაყაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 149.

ერთხანს ლტოლვილი გიორგი XI რაჭას აყაოებდა თავს. რაჭის ერისთავს ვახტანგ VI-სთანაც კარგი განწყობილება ჰქონდა. შოშიტა III რუსეთის იმპერატორისადმი 1724 წელს გაგზავნილ წერილში პეტრე I-ს სთხოვდა, ქართლის მეფეს დახმარებოდა ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლაში.

რაჭის ერისთავს ერეკლე მეორესთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული. ერისთავს სამასი თუ ოთხასი ცხენოსანი კაცი მუდამ მზად ჰყავდა მის დასახმარებლად.

აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთის საიმპერატორო კარზე რაჭის ერისთავს როსტომს იმერეთის მეფისაგან დამოუკიდებელ მფლობელად სცნობდნენ. ეკატერინე II თავის 1769 წლის 16 დეკემბრის სიგელში თანაბრად მიმართავს რაჭის ერისთავს, დადიანსა და გურიელს[1]. მაგრამ იმ დროს, როცა აღნიშნული დოკუმენტი იწერებოდა, რაჭის საერისთავო უკვე გაუქმებული იყო სოლომონ მეფის მიერ, ხოლო ერისთავი და მისი შვილები — თვალებდათხრილნი.

შოშიტა III ნათესავი იყო იმერეთის სამეფო სახლისა. მისი მეუღლე მარიამი ბაგრატ IV-ის ასული იყო[2]. ამიტომ იწოდებოდა როსტომ ერისთავი „იესის ძირთა ასულთაგან ნაშობად"[3], ხოლო მისი ძმა ბესარიონი — „მეფეთა ტომად".

* * *

რაჭის ერისთავთა განდიდებას გამოხატავდა მათი ტიტულატურა, რომელიც XVIII საუკუნეში გაჩნდა; „ლიხთ იმერის და ამერის მთავრად და მსაჯულად დადგინებული, მპყრობელი რაჭისა"[4] ან „ლიხთ იმერთა სარდალი... მპყრობელი რაჭისა"[5].

აღსანიშნავია რაჭის ერისთავის ბეჭდის წარწერა: „ღვთით რაჭის ერისთავს ომით ხმალი მაქვს"[6], იმ მხრივ, რომ როსტომს ერისთავობა მეფემ კი არ მისცა, არამედ ხმლით მოიპოვა.

გაძლიერებული ერისთავი რაჭის სათავადოებს „წახდენა-გალარიბებით" ემუქრებოდა და მათგან მორჩილებას მოითხოვდა. ამა-

---

[1] ა. ცაგარელი, I, გვ. 82 (რუს.).
[2] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. I, გვ. 128.
[3] ს. კაკაბაძე, საეკლესიო რეფორმისათვის, გვ. 5.
[4] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, გვ. 149.
[5] შ. ბურჯანაძე, ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა, თბ., 1959, გვ. 60.
[6] იქვე, გვ. 117.

ვე დროს, რაჭის ერისთავი თამარის დროინდელი რაჭისა და თა-კუერის (ლეჩხუმის) ერისთავის კახაბერიძის მემკვიდრეობას იჩე-მებს და არგვეთის ნაწილზე პრეტენზიას აცხადებს.

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ერისთავმა წერეთლების კუთვნილი ჯრუჭის ხეობა დაიკავა. წერეთლებმა ვერ შეძლეს ერის-თავის განდევნა, დავაში სოლომონ პირველი ჩაერია, აღნიშნული ტერიტორია ერისთავს ჩამოართვა, მაგრამ ჯრუჭისავე მონასტერს შესწირა. ამით მეფემ წერეთლების მხარე დაიკავა, რითაც ერის-თავი დიდად უკმაყოფილო დარჩა.

მდადაშლილი როსტომ ერისთავი კუთვნილ მიწა-წყალს აღარ დასჯერდა და მთელი რაჭის მოსახლეობის შემომტკიცებას მიჰყო ხელი. მან მიიტაცა ჯაფარიძეების, იაშვილების, ყიფიანების, ლიპარიშვილების, გამრეკელიძეების (გამყრელიძეების) სამფლობე-ლოები, მას მიაყოლა სამეფო მამულებიც და მთელ რაჭას დაეუფ-ლა[1].

ერისთავმა არ დაინდო პაატა წულუკიძეც კი, რომელიც მას მხარში ედგა მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში, გააძევა რაჭიდან და მის მამულს დაეპატრონა. „დაიპყრნა ყოველნი საწულიკიძეო მა-მული სოფელ-ციხესიმაგრენი სათავისთავოდ, საწულუკიძეო სრუ-ლად აღხოცა და ნაცვლად მისა დასვა სახელად სარაჭისერისთა-ვო“.

ერისთაფის მსხვერპლი გახდნენ ოსეთის თემები — დვალეთი და მაფსანი, რომლებიც ჯაფარიძეებთან ერთად დალაშქრა და ააოხრა.

მიტაცებული ყმა-მამულის დასაცავად მან წინასწარი ზომებიც მიიღო: ხიდიკარის კოშკები გაამაგრა[2], ხუთასი შეიარაღებული მეომარი მუდმივ მცველად დაიყენა[3].

* * *

როსტომ ერისთავმა დიდ სამშენებლო მოღვაწეობასაც მიჰყო ხე-ლი. 1753 წელს ააგო ბარაკონის ახალი ეკლესია[4], 1754 წელს — ველ-ტყევის ეკლესია,[5] 1755 წელს იერუსალიმში თავისი ხარჯით

---

[1] თავად ჯაფარა ჯაფარაშვილის წერილი თავად როსტომ ერისთავისადმი მინაწერი, აკაკის კრებული. 1899, № 7. განყ. II, გვ. 2—7.

[2] სოლომონ-მეფე და როსტომ ერისთავი, 1959, გვ. 61, 64—65.

[3] თავად ჯაფარა ჯაფარაშვილის წერილი თავად როსტომ ერისთავისადმი მინაწერი. აკაკის კრებული, 1899, № 7, განყ. III, გვ. 4.

[4] გ. ბოპორიძე, რაჭის ისტორიული ძეგლები, საქ. მუზ. მოამბე, VII, 1931—1932, გვ. 245—246.

[5] იქვე, გვ. 292—293.

ააშენა დედათა მონასტერი[1], გარდა ამისა, მრავალი დანგრეული ციხე და ეკლესია გაამაგრა და აღადგინა[2].

ასეთი სწრაფი და გრანდიოზული მშენებლობა საქართველოს მეფეებსაც კი უჭირდათ. ყოველივე ეს ერისთავის დიდ ეკონომიურ შესაძლებლობაზე მეტყველებს. მართლაც და მისი მარნები „ათასიანი ქვევრები და ბეღლები მარცვლეულით სავსე იყო. ხოლო პირუტყვთა ჯოგები ოც ადგილს ეყენა, რომელსაც ვერ იტევდა მთა და ველი“.

კაპიტან იაზიკოვის ჩვენებით, როსტომ ერისთავი სოლომონ მეფეზე გაცილებით უფრო მდიდარი იყო[3].

* * *

რაჭის ერისთავის კარი კულტურის ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენდა იმდროინდელ საქართველოში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თეიმურაზ პირველი აქ შვიდი წელიწადი იმყოფებოდა და ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა.

თვით როსტომიც დიდად განსწავლული პიროვნება ჩანს: ზეპირად იცოდა სახარება და ვეფხისტყაოსანი[4]. ზოგიერთი ცნობის მიხედვით, მას ჰქონდა მდიდარი წიგნთსაცავი[5]. თუკი ხალხურ ზეპირსიტყვიერებას დავუჯერებთ, აქვე იბეჭდებოდა საღმრთო წერილი[6].

მ. თამარაშვილის ცნობით, როსტომმა, მისმა ძმამ ბესარიონ კათალიკოსმა[7] და შვილმა გიორგიმ 1751 წელს კათოლიკობა მიიღეს[8] და ამ სარწმუნოებაზე დარჩნენ ბოლომდე.

---

[1] ტ ი მ ო თ ე გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, შიმოსლვა, ტექსტი გამოსაცემად ს. ციბაზიანისა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ელ. მეტრეველმა, თბ., 1956, გვ. 81.

[2] თავად ჯაფარა ჯაფარაშვილის წერილი თავად როსტომ ერისთავისადმი მინაწერი, აკაკის კრებული, 1899. № 7, განყ. II, გვ. 5.

[3] ა. ცაგარელი I, გვ. 195 (რუს.).

[4] სოლომონ-მეფე და როსტომ-ერისთავი, გვ. 92—99.

[5] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ახალი (Q) კოლექციისა, II, გვ. 336.

[6] სოლომონ-მეფე და როსტომ-ერისთავი, გვ. 98.

[7] ბესარიონი აფხაზეთ-იმერეთის კათალიკოსად იჯდა 1742—1769 წწ. ხოლო სოლომონ-მეფის მიერ იმერეთიდან გაძევების შემდეგ 1769—1773 წწ. ოდიშში იყო კათალიკოსად.

[8] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902, გვ. 366.

იტალიელი მისიონერი მწერალი ლეონი ამ ფაქტს ასე გადმოგვცემს: „როსტომ რაჭის ერისთავმა დაისახა რა მიზნად იმერეთის სამეფოსაგან რაჭის საერისთავოს დამოუკიდებლობის მიღწევა, მან შორს მიმავალი მიზნების დასახვით შვილთან გიორგისთან და ძმა კათალიკოს ბესარიონთან ერთად მიიღო კათოლიკობა"[1].

ამის შემდეგ, ბუნებრივია, რომ როსტომ-ერისთავი დიდად შეუწყობდა ხელს კათოლიკე მისიონერებს; მათ განკარგულებაში იყო როსტომის მიერ გადაცემული სახლი ონში.

* *

როგორც ვიცით, სოლომონ პირველი გამეფდა 1752 წელს, მაგრამ იმერეთის ფეოდალებმა იგი მაშინვე ჩამოაგდეს ტახტიდან და იმერეთიდან გააძევეს[2]. ამ ამბავს პაპუნა ორბელიანი ასე აღწერს: „რაჭის ერისთავი და ლევან აბაშიძე დიდის ჯარით იმერელ მეფეზე წამოვიდნენ, სოლომონ მეფეც წამოვიდა ჯარით, შეიყარნენ, შეიბნენ, დაიხოცა ურგნითვე ურიცხვი, ბოლოს რაჭის ერისთავსა და ლევან აბაშიძეს გაემარჯვათ: მეფე სოლომონ გაიქცა, ახალციხის ფაშას შეეხვეწა. მეფის მამული ააოხრეს"[3]. ამ აჯანყებაში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე თვით მეფის დედა — ლევან აბაშიძის ასული თამარი და მეფის ბიძები: გიორგი და მამუკა.

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, აჯანყებულთა შორის ერთ-ერთ მთავარ ფიგურას ლევან აბაშიძესთან ერთად როსტომ რაჭის ერისთავი წარმოადგენდა. მომდევნო წელს (1753 წ.) ოსმალთა ჯარის დახმარებით მეფემ ისევ დაიბრუნა ტახტი და აჯანყების მონაწილენიც მკაცრად დასაჯა, მაგრამ დასჯას გადაურჩა აჯანყების მთავარი მონაწილე როსტომ რაჭის ერისთავი, „შეიწყა-

---

[1] გაზ. „კომუნარი", ამბროლაური, 1959, № 95. იტალიელი მწერალი ლ ე ო ნ ი 31 წელიწადი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოში (1742—1773 წწ.). მან ღრმად შეისწავლა ჩვენი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ვითარება. იგი თავის შრომაში აგვიწერს იმერეთის მეფის სოლომონ I-ის და როსტომ რაჭის ერისთავის ურთიერთობას. ლეონი პირადად მეგობრობდა როსტომს და ნამყოფი იყო მის სახლ-ბარაკონში.

[2] პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ამბავი ქართლისანი, ქართლის ცხოვრება, II, გამოც. ჩუბინაშვილისა, გვ. 443; შ. ბ ე რ ჯ ნ ა ძ ე, სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი (1752—1768 წწ.), თბ., სახ. უნივერსიტეტის შრომები, 41, 1950, გვ. 73; IV, ჰ ა მ ე რ ი, ისტორია, 1836, გვ. 476.

[3] პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ამბავი ქართლისანი, ქართლის ცხოვრება, II, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, სანკტ-პეტერბურგი, 1854, გვ. 443. მეფის ხელ-

ლა ერისთავი როსტომ, — წერს სოლომონ II, სოლომონ I-ის შესახებ — და დაადგინა ერისთავად"[1]. ეს მოწყალება მეფის მხრივ ნაკარნახევი იყო მისი პოლიტიკური სისუსტით.

მეფობის პირველ ხანებში სოლომონს ოსმალების გარეშე არ შეეძლო ხელისუფლების შენარჩუნება, მაგრამ იგი თანდათან ძლიერდებოდა; იმერეთის თავადები ახლა უკვე მეფეს უჭერდნენ მხარს; მასთან მოეყარათ თავი როსტომის მიერ შევიწროებულ და განდევნილ თავადებს: წულუკიძეებს, ჯაფარიძეებს, იაშვილებს, წერეთლებს, აგიაშვილებს და ხსნას მისგან ელოდნენ. ამ პერიოდში დადიანიც მეფის მოკავშირე იყო, მაგრამ როსტომ ერისთავს მხარს უჭერდა იმერეთის ყველაზე ძლიერი ფეოდალი — არგვეთის დიდი თავადი ლევან აბაშიძე — სოლომონის ბაბუა.

როსტომ ერისთავი სოლომონის გამეფების დღიდან ბოლომდე, იბრძოდა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ. მისი მიზანი იყო რაჭის საერისთავოს გაფართოება და მეფის ხელისუფლებისაგან სრული დამოუკიდებლობის მოპოვება.

ტყვის სყიდვის წინააღმდეგ მებრძოლი მეფის საპირისპიროდ იყო მიმართული ოსმალეთიც, რომელიც მეფის დალაშქვრას აპირებდა. ასეთ ვითარებაში აბაშიძე და ერისთავი დამპყრობელს დაუკავშირდნენ.

იმერეთის მეფე-მთავრების შეთანხმება ოსმალეთს არ ესიამოვნა, მას არც ის მოსწონდა, რომ მეფემ ტყვის სყიდვა აკრძალა. ახალციხის ფაშამ რამდენჯერმე შემოუთვალა იმერთა მეფეს, რათა ტყვის სყიდვა ძველებურად ახსნილიყო, მაგრამ სოლომონ მეფე მათ მოთხოვნას არ ასრულებდა. მაშინ ოსმალეთის ხონთქარმა სოლომონის დასჯა ბრძანა.

იმერთა მეფეს დადიანი და გურიელი მხარში ამოუდგნენ, ხოლო როსტომ ერისთავი და ლევან აბაშიძე ოსმალთა ჯარის მთავარსარდალს ეახლნენ და თავიანთი რაზმები დაახმარეს. მაგრამ როგორც ვიცით, 1757 წელს ხრესილის მინდორზე მტერი სასტიკად დამარცხდა, აბაშიძე ამ ბრძოლაში მოკლეს, ხოლო როსტომ ერისთავმა გაქცევით უშველა თავს.

სუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში რომ ერისთავს ყოველთვის მხარში ედგა არგვეთის მფლობელი აბაშიძე, ეს იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ ეს ორი საგვარეულო სახლი ნათესაურადაც იყო დაკავშირებული ერთმანეთთან: (როსტომ ერისთავი და ლევან აბაშიძე დედით ძმები იყვნენ) შოშიტა III-ის გარდაცვალების შემდეგ მისი მეუღლე მეორედ გათხოვდა არგვეთის მფლობელზე.

[1] ს. ჯაჯაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1914, გვ. 91.

მართალია ხრესილის ბრძოლაში მეფემ ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია, მაგრამ იმერეთიდან აგრესორების განდევნა და მათი საბოლოო დამარცხება ჯერ კიდევ შორს იყო. ამიტომ მეფემ გადაწყვიტა, თავისი ურჩი და ძლიერი ფეოდალი როსტომ ერისთავი ჯერჯერობით შემოერიგებინა. როსტომიც ხედავდა, რომ მეფე საკმაოდ მომძლავრდა, ამიტომ დათმობა ამჯობინა, დაუზავდა და მეფეს ერთგულება შეჰფიცა. ერთხანს მათ შორის კეთილგანწყობილება დამყარდა[1].

ეს მარტო მეფის პოლიტიკური სისუსტით არ იყო გამოწვეული, ყურადღება იმასაც უნდა მიექცეს, რომ ამ დროს იმერეთის კათალიკოსად როსტომის ძმა ბესარიონი ზის. როსტომთან ბრძოლა ბესარიონთან ბრძოლასაც ნიშნავდა. ამიტომ მეფე კათალიკოსის ავტორიტეტს ანგარიშს უწევდა და ერისთავის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებისაგან თავს იკავებდა.

ხრესილის ბრძოლიდან მოყოლებული (1757 წ.) 1761 წლამდე მეფესა და ერისთავს შორის უთანხმოების ნაკვალევი არ ჩანს. 1759 წელს საერო და საეკლესიო კრების დროს სოლომონ მეფე დიდი პატივისცემით იხსენიებს როსტომ ერისთავს. ხოლო 1760 წელს განჯაში ერეკლე მეფის ლაშქრობის დროს სოლომონ მეფე, როგორც სამოკავშირეო ხელშეკრულების შემსრულებელი, 15 000-იანი ლაშქრით ეხმარება ქართლ-კახეთის მეფეს. ამ ლაშქრობაში სოლომონ მეფეს თან ახლდა როსტომ ერისთავიც[2].

ხრესილის ბრძოლაში დამარცხებას ვერ ივიწყებდნენ ოსმალები; მათ იმერეთზე თავდასხმები გაახშირეს, მაგრამ ყოველთვის დამარცხებულნი ბრუნდებოდნენ უკან.

სოლომონთან შემორიგებული რაჭის ერისთავი ერთ ხანს თავს იკავებდა მეფის ღალატისაგან, მაგრამ „ცდუნებას“ ვერ დასძლია და 1761 წელს ოსმალთა მორიგი შემოსევის დროს „კვალადცა მსგავსებითა იუდასითა აღიღო მახვილი მეფესა თვისსა ზედა, და მრავალგზის შემოება ჯარსა მეფისასა, და ესე ვითარ დაუცხრომელითა ორგულებითა მისითა, მრავალნი ქრისტიანენი სამღვდელონი და საერონი დააკლდენ სიცოცხლესა“[3].

ამ დროიდან მოყოლებული, როსტომ ერისთავი განუხრელად იბრძვის სოლომონ მეფის წინააღმდეგ. იგი ოსმალთა ლაშქრობების პერიოდში ან მათი მეგზურია, ან იმერეთში მათი შემოსელის-

---

[1] ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 97.

[2] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 378.

[3] საქართველოს სიძველენი, ტ. III, გვ. 570.

თანავე მტრის მხარეზე დგება და მეფეს[1] ებრძვის. მასთან ერთად იბრძვის მეფის წინააღმდეგ ოდიშის მთავარი კაცია II დადიანიც[2].

1765 წლამდე სოლომონ მეფე ინტერვენტებს ყოველთვის ამარცხებდა, მაგრამ როსტომ ერისთავი მაინც დაუსჯელი რჩებოდა, რადგან საშინაო და საგარეო ვითარება მეფეს ამის საშუალებას არ აძლევდა. მეფეს ერისთავის „შეწყალების“ გარდა სხვა გზა არ ჰქონდა, (რადგან იმერეთის სამეფოში ერისთავს ბევრი ფეოდალი უპერდა მხარს)[3].

იმერეთის თავადებიც შიშნარევი ეპვით უცქეროდნენ მეფის გაძლიერებას. აბაშიძის სახლის დამდაბლების შემდეგ ჯერი როსტომ რაჭის ერისთავზე მიდგა. ამის პირველი ნიშანი ის იყო, რომ მეფემ როსტომის მოწინააღმდეგე რაჭის თავადები დაიახლოვა, ამავე დროს დამდაბლებული აბაშიძეების ადგილზე მეფემ წულუკიძეები და წერეთლები წამოსწია.

მეფის საპირისპიროდ ერისთავმა ძველ ფანდს მიმართა — მან თავისი სიძე — მეფის ბიძაშვილი თეიმურაზ მამუკას ძე გადაიბირა და სოლომონის წინააღმდეგ აამხედრა. ახალციხეში გაქცეული თეიმურაზ ბატონიშვილი 1765 წელს თურქთა ჯარით იმერეთში შემოვიდა, რაჭის ერისთავი მას ეახლა და ბრძოლაში ჩაება მეფის წინააღმდეგ. ამჯერად გაუმართლდა ერისთავს. 1766 წელს იმერთა მეფე სოლომონ პირველი ორი წლით ტახტიდან გადაადგეს[4].

მიუხედავად იმისა, რომ სოლომონ მეფე იმერეთის ტახტიდან განიდევნა, მაინც შიშის ზარს სცემდა თეიმურაზსაც და სხვა მის მომხრე თავადებსაც. 1767 წელს სოლომონმა ლეკები დაიქირავა და რაჭას შეუსია. „იხმო კვლავ მეფემან მხედრიონი ლეკთა და წარტყვევნა რაჭაი და ალაფითა და ტყვითა სავსენი უკუიქცნენ თვისად ლეკნი. მაშინ მცნობმან ამა ამბისამან მეფემან ირაკლიმ შეუკრნა გადასავალი იორისა, სადაც მოსწყვიტნა სამასი ლეკნი და მოუღო ყოველივე წატყვენავნი და ტყვენიცა და რაჭველთაგა-

---

[1] საქართველოს სიძველენი, ტ. III, გვ. 570.

[2] ო. სოსელია, დასახ. ნაშრ., გვ. 99.

[3] იქვე.

[4] დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გამოსცა, თ. ლომოურმა, თბ., 1941, გვ. 10, 53; შ. ბურჯანაძე, სოლომონ პირველის მეფობის პირველი პერიოდი. თბ. სახ. უნივერსიტეტის შრომები. ტ. 41, 1950, გვ. 96—102; საქართველოს სიძველენი, ტ. III, გვ. 569—570; გაზეთი „კომუნარი“ (ამბროლაური). 1959, № 96.

ნი, რომელიცა დაასახლნა კახეთს სოფელსა შალურსა".[1] მანამდე მტრისაგან შეუვალი და მიუწვდომელი რაჭა ლეკებმა ააოხრეს.

იმერეთი ორად იყო გაყოფილი, ერთ მხარეს თეიმურაზ მეფე, როსტომ ერისთავი თავიანთი მომხრეებით და მეორე მხარეს — სოლომონ მეფე და იმერთა უმრავლესობა. არეულობა გრძელდებოდა.

* * *

ქართულ ხალხურ საისტორიო სიტყვიერებაში კარგადაა გაშუქებული სოლომონ მეფისა და როსტომ ერისთავის ურთიერთობა. აქ ასახულია სხვათა შორის ამ ურთიერთობის ერთი მომენტი, რომელიც დროის მიხედვით 1760—1761 წლებს უნდა მოიცავდეს.[2]

ხრესილის ბრძოლიდან მოყოლებული სოლომონ მეფე თანდათანობით ძლიერდებოდა, როსტომ ერისთავსაც შიში დასჩემდა და დროებით მაინც, მეფესთან შერიგება ამჯობინა, ამიტომ შვილებითურთ მეფეს ეახლა — წყვილი ირემი და მეფური მოსაკითხი წინა დღით მიართვა, მეორე დღეს მეფემ ერისთავი და მისი შვილები სადარბაზოდ მიიწვია. „ისეთი რამ სანახავები იყვნენ ერისთავები, რომ უცნობი ვინმე როსტომს მეფედ ჩათვლიდა, ხოლო მის შვილებს — მეფისწულებად"[3] — გვიამბობს ხალხური შემოქმედების ავტორი.

როსტომ ერისთავმა იგრძნო, რომ მეფე ხრესილის ომში ღალატს არ აპატიებდა მას და, ახლა სამაგიეროს გადახდას უპირებდა. მეფის სასახლიდან მობრუნებულმა როსტომმა თავის შვილებს უთხრა: „თუ ჩვენ თავი დღეს არ დავიძვრინეთ როგორმე, ცუდად არის ჩვენი საქმე"[4].

---

[1] მასალები საქართველოს ისტორიისათვის შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა, გვ. 16; თბ., აგრეთვე დავით და ბაგრატ ბატონიშვილები, თ. ლომოურის გამოცემა, თბ., 1941. გვ. 10.

[2] უკანასკნელად ერისთავი და მეფე 1760 წელს იყვნენ ერთად განჯაში ერეკლეს დასახმარებლად; 1761 წელს ერისთავი ისევ განუდგა მეფეს. გამოდის, რომ ის ამბავი, რომელსაც ხალხური სიტყვიერება მოგვითხრობს, 1760—1761 წლებში უნდა მომხდარიყო, რადგანაც შემდეგ 1769 წლამდე მეფე და ერისთავი ერთმანეთს აღარ შეხვედრიან.

[3], [4] ცნობები ამოღებულია წიგნიდან „სოლომონ-მეფე და როსტომ-ერისთავი", თბ., 1936.

შორსმჭვრეტელმა ერისთავმა პაპუნა წერეთელი და ორი დიდებული გაუგზავნა მეფეს და სთხოვა: რადგანაც სიშორისა გამო თქვენთან ხშირად ხლება, სამსახური და ერთგულების გამოჩენა არ შემიძლია, გთხოვთ, მიიღოთ ჩემი ყოველივე სამკვიდრო: ბარაკონში ციხე და სასახლე, ამბროლაურში — კოშკები და სასახლე, სევას — ციხე და სასახლე, ონში — ციხე, სასახლე და თვით პატარა ქალაქიც, ერთის სიტყვით, მთელი ჩემი რაჭის სამფლობელო აზნაურ-გლეხებით, და სამაგიეროდ აქ მახლობლად სადმე მიბოძოთ მამულიო[1].

მეფეს ეს ამბავი დიდად იამა, აღუთქვა სამაგიეროს ბოძება — როსტომს ვეზირობა მისცა, მის ძვილს — გიორგის სარდლობა, ხოლო მეთოდეს — მდივანბეგობა. შემდეგ შემოიკრიბა ვეზირნი და შესაფერისი ყმა-მამული უბოძა. ერისთავმა დიდი მადლობა შესწირა და სთხოვა, მეციხოვნეები გაეტანებინა რაჭაში და ციხეები ჩაებარებინა. შინ წასვლის ნებაც გამოითხოვა.

მეფე დასთანხმდა და ციხეების მისაღებად ბასილა და კვირიკა იამანიძეები გაატანა. ერისთავი რაჭაში წავიდა.

გზაზე ერისთავმა შვილებს უთხრა: ასე რომ არ მოგვეხერხებინა, ჩვენი საქმე ცუდად იყო და უთუოდ დაგვამარცხებდნენო. ვერ შენიშნეთ, როგორ წვრილ-წვრილად იკრიბებოდნენ ფიცის კაცები. როცა ბარაკონს მიაღწიეს, ერისთავმა იამანიძეებს ციხის გასაღების მაგივრად შემდეგი წიგნი გაატანა მეფესთან:

„ესე ასრე არ იქნების, ბასილა და კვირიკაო,
ციხეს მართმევს, მინდორს მაძლევს, დავჯდე, უნდა ვირიკაო?..
წადით, უთხართ თქვენსა მეფეს:
მე გახლავარ დიდი როსტომ,
მე ერთგულად გეახელ,
მიპირებდი ღალატს რატომ?

ჩემი წინაპარი იყო ერისთავი ქახაბერი,
თამარ მეფის მამობილსა ყმანი ჰყავდა ორად ბევრი,
მე ვარ მისი ტომისაგან, ვერ მატირებ, ტყვილა მღერი,
გემორჩილო, არ გახლავარ ქაჯაია შენი გერი“.

სოლომონ მეფე სასტიკად გაჯავრდა და დაუყოვნებლივ რაჭაზე გალაშქრება დააპირა, მაგრამ სამეფო დარბაზის სხდომაზე, სადაც ეს საკითხი განიხილეს, დიდებულები ორ ჯგუფად გაიყვნენ: ერთნი ლაშქრობას მოითხოვდნენ, მეორენი კი წინააღმდეგნი იყვ-

[1] ცნობები ამოღებული წიგნიდან „სოლომონ-მეფე და როსტომ-ერისთავი“, თბ., 1936.

ნენ — ლოდინს და სათანადო შემთხვევის გამოყენებას ამჯობინებდნენ. ვაცალოთ რამდენსამე ხანს და მერე მოვიტყუოთ რამენაირადო — ამ გადაწყვეტილებით დამთავრდა მეფის თათბირი.

ცხრაწყაროსთან გამარჯვების შემდეგ მეფის საშინაო მდგომარეობა მაინც რთული იყო. ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლ მეფეს კარგად ესმოდა, რომ სათავადოების სისტემის წინააღმდეგაც უნდა ებრძოლა. პირველ რიგში თავადების ბურჯის როსტომ რაჭის ერისთავის[1] დამორჩილება იყო საჭირო, ეს არც ისე იოლ საქმეს წარმოადგენდა.

რაჭის დაპყრობაში ოდიშის მთავარი კაცია დადიანი თავის საფრთხეს ხედავდა და მართალიც იყო. რაჭის დაპყრობის შემდეგ სოლომონი უეჭველად დადიანების მიერ მიტაცებული ლეჩხუმის უკან დაბრუნებას შეუდგებოდა. უფრო მეტიც, სოლომონის გეგმა ხომ მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანება იყო ერთი სკიპტრის ქვეშ, ამიტომ ოდიშის მთავარი დადიანი გადაჭრით გამოდიოდა რაჭის ერისთავის — როსტომის მხარეზე. ამ ბრძოლაში აფხაზეთის მთავარიც დადიანს უჭერდა მხარს, ხოლო გურიაში ოსმალებს იმერთა მეფის მოწინააღმდეგე მთავარი ჰყავდათ დასმული.

1768 წელს, ხელახლა გამეფებისთანავე, სოლომონ მეფე მთელი თავისი ძალებით რაჭაში შეიჭრა, მას თან ახლდნენ ლეკთა დაქირავებული რაზმები. თუმცა მეფემ ერისთავი ვერ შეიპყრო, მაგრამ სოფლები გადაწვა, პირუტყვი წამოასხა და აზნაურები მძევლებად წამოიყვანა. ერისთავი დადიანთან გაიქცა[2]. მომდევნო წელს, 1769 წ. 28 იანვარს კვლავ ააოხრა მეფემ რაჭა, მაგრამ ერისთავი ვერ შეიპყრო. მეფემ ლეკთა რაზმებით რაჭაზე თავდასხმას მოუხშირა, მაგრამ ერისთავის შეპყრობას ვერ ახერხებდა. ბოლოს იგი დარწმუნდა, რომ როსტომს ვერ ჩაიგდებდა ხელში და შერიგება არჩია.

სანამ მეფე და ერისთავი დაზავდებოდნენ, როსტომმა ყველგან მოსინჯა ნიადაგი დახმარების მისაღებად. როგორც ლეონი გვამცნობს, როსტომ ერისთავმა და კაცია დადიანმა ჩუმად გაგზავნეს კათალიკოსი ბესარიონი და ქაიხოსრო აბაშიძე, რათა ახალციხის ფაშასათვის ეთხოვათ ჯარი იმ მიზნით, რომ სოლომონი გადაეგდოთ ტახტიდან, ფაშა სიამოვნებით დასთანხმდა ჯარის მიცემაზე. ამ დროს სოლომონმა ფარულად გაგზავნა თავადი წერეთელი და-

---

[1] უფრო დაწვრილებით „რაჭის ერისთავთა სათავადოს შესახებ" იხ. წიგნში, ო. ს ო ს ე ლ ი ა, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიიდან. თბ., 1973.

[2] ო. ს ო ს ე ლ ი ა, იქვე.

ღესტანში და მრავალი ლეკი ჩამოაყვანინა. ჩამოვიდნენ რა ლეკები მთებით იმერეთის სამეფოს ყველაზე მეტად გამაგრებულ ადგილებში — რაჭაში, „მათ დააქციეს და გაანადგურეს ის საძირკვლიანად"[1], ერისთავმა თავი შეაფარა დადიანს. „ამ დროიდან მოყოლებული, სოლომონი დაეპატრონა მთელ იმერეთს, ყველა დაიმორჩილა, დადიანის გარდა".[2]

ამ ამბის გაგების შემდეგ ბესარიონი ფაშას აჩქარებდა ჯარის გამოგზავნას იმერეთში, მაგრამ ამ დროს ახალციხეში ფარულად ჩამოვიდა სოლომონის ძმა იოსები. იგი მეფისაგან იყო გამოგზავნილი ფაშასთან დასაზავებლად მხოლოდ იქ პირობით, თუ პატრიარქ ბესარიონს დაპატიმრებულს გაგზავნიდა იმერეთში.[3] ამ დროს რუსეთ-თურქეთის ომი მიმდინარეობდა, რუსეთი კავკასიის ხალხებს თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდა; ასეთ ვითარებაში ახალციხის ფაშამ სოლომონ მეფეს არ აწყენინა, რათა იგი რუსებს არ მიმხრობოდა, ამავე დროს, ანგარიში გაუწია იმერთა მეფის სიძლიერეს და კათალიკოსი ბესარიონი ჯარის მიცემისა და დახმარების მაგიერ, დააპატიმრა და ციხეში შეამწყვდია[4].

კათალიკოსმა ბუხრის კედელი გაარღვია და თავი დააღწია პატიმრობას, მას იმერეთში მისასვლელი პირი აღარ ჰქონდა და თავის დისშვილთან — კაცია დადიანთან გადავიდა ოდიშში. 1769 წლის 10 მაისს მეფემ ბესარიონ-კათალიკოსი გადააყენა და მის მაგივრად თავისი ძმა იოსები დანიშნა.

ერისთავმა თავისი შვილი გიორგი ყაბარდოს მთავართან გაგზავნა დახმარების სათხოვნელად, მაგრამ ამაოდ — ამისათვის არც ფული ჰქონდა და ვერც ყაბარდოს მთავარი დაიყოლია.

რაჭის ერისთავმა, დახმარებისათვის ერეკლე მეფესაც მიმართა, რათა ის საქმეში ჩარეულიყო, მაგრამ ერეკლე მეფემ დახმარება ვერ აღმოუჩინა, რადგან სოლომონთან 1758 წლიდან სამოკავშირეო ხელშეკრულება ჰქონდა დადებული. ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში მოქცეული რაჭის ერისთავი მაინც გადარჩა — აღნიშნულ პერიოდში რუსეთ-თურქეთის ომი მიმდინარეობდა, იმერთა მეფე რუსეთის მხარეზე აპირებდა გამოსვლას, ამას დაემთხვა რუსეთის წარმომადგენლის ჩამოსვლა საქართველოში, რომელმაც სოლომონი სამხედრო კავშირის დასადებად მიიწვია ერეკლე მეფესთან ერთად, რათა საქართველოს მეფეებს ომი გაეჩაღებინათ

---

[1] გაზეთი „კომუნარი" (ამბროლაური), 1959, № 96. (ბ. გიორგაძის სტატია).
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე.

თურქეთის წინააღმდეგ. შექმნილ ვითარებაში შეუძლებელი იყო შინაომის გაჩაღება და ურჩი თავადის დასჯა — სოლომონ მეფემ როსტომ ერისთავს ისევ ზავი დაუდო და მორჩილების ფიცი ჩამოართვა. ეს მოხდა 1769 წლის მაისში.

* * *

1769 წელს ერისთავთან დაზავებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ კარისკაცთა რჩევით მეფემ მოიხმო თავისი ძმა იოსებ-კათალიკოსი და როსტომ ერისთავთან შუამავლობა დაავალა მისი საბოლოო შემორიგების მიზნით. იოსებმა ეს შუამავლობა იკისრა და ერისთავთან ბარაკონში გაემართა.

ბარაკონში მეფური პატივით მიღებულმა იოსებ-კათალიკოსმა ერისთავს მეფესთან შერიგება აღუთქვა და ეკლესიაში ბარძიმზე დაიფიცა (რაკი სოლომონისაგან პირობა ჰქონდა მიღებული — ერისთავებს საარაკოდ მოვეპყრობიო).

მეფის უღალატობაში დარწმუნებული ერისთავი თავისი შვიდ ვაჟიშვილით მეფესთან გაემგზავრა ვარციხეში. მაინც, სიფრთხილის გამო, თან საკმაო ჯარი იახლა.

საინტერესოა ერისთავის მგზავრობა (ქართველ ფეოდალთა მგზავრობის შესახებ ცნობები სხვა წყაროებში არ გვხვდება). ბარგს, სამზარეულოს ხელსაწყოს, პურს და ღვინოს ასი ცხენი და ჯორი მიეზიდებოდა. სადაც დაბინავდებოდნენ, სადილი თუ ვახშამი იქ უნდა გაკეთებულიყო. თანვე მიჰქონდათ შუაზე გახერხილი თონეები და სახელდახელოდ გამართავდნენ ხოლმე. ჯოგად მიერეკებოდნენ საკლავს (მთელი ეს ამბავი მოტანილია წიგნიდან „სოლომონ მეფე და როსტომ ერისთავი", თბ., 1936).

მეფე დიდი ჯარით მიეგება, რამაც გააკვირვა ერისთავი. ზეიმით და სიხარულით მიაღწიეს ვარციხეს. ლხინი იქ გაგრძელდა მთელი 20 დღე-ღამე.

ერისთავი კურდღლებზე ნადირობის დიდი მოყვარული იყო და მეფემ მას გეგუთში იაშვილების მამულში ნადირობა შესთავაზა. როსტომი დიდი სიხარულით დასთანხმდა. მეფემ განაზრახა პაპუნა წერეთელი და წინდაწინ გაგზავნა იაშვილისას. თვითონაც მალე მივიდა სანავოზე, რადგან რიონი მეფის სასახლის წინ მიედინებოდა. გალმა ნავით უნდა გასულიყვნენ; პირველად მეფე გავიდა ყველა მისი მხლებელითურთ და მაშინვე იაშვილისაკენ გაემართა. შემდეგ როსტომი, მისი შვიდი შვილი და რვა აზნაური, რომელთაც ბატონების თოფები ეჭირათ, ნავში ჩასხდნენ და გალმა გავიდნენ. ისინიც იაშვილის მამულისაკენ გაემართნენ, ხოლო

ერისთავის ჯარის რიონგაღმა გადაყვანა ნავებით დააბრკოლეს, რათა ერისთავები დაემარტოხელებინათ. იაშვილის მამულში ერისთავებს რამდენიმე კაცი მიეგება, ვითომცდა პატივის საცემად, მაგრამ დამხდურები უკან მოექცნენ სტუმრებს და მოულოდნელად თითოს ოთხ-ოთხი კაცი ეცა, დაიმორჩილეს და ხელფეხშეკრულნი ეზოში დაყარეს. მეფის განკარგულების თანახმად მამა-შვილებს თვალები დათხარეს. ასე სასტიკად დასაჯა სოლომონ მეფემ რაჭის ერისთავი როსტომი.

მეფემ ერისთავი მაშინ დასაჯა, როცა რუსეთის ჯარი საქართველოში შემოვიდა; ყველა დარწმუნებული იყო, რომ რუსები სოლომონის დასახმარებლად მოდიოდნენ და ამიტომ ერისთავის გამოსარჩლება ვერავინ გაბედა. სწორედ ამან განაპირობა სოლომონის აქტიურობა ერისთავის მიმართ.

მეფემ რაჭის საერისთავო გააუქმა, ადგილ-მამულის უდიდესი ნაწილი სამეფო საკუთრებად გამოაცხადა, ციხეებში თავისი ხალხი ჩააყენა, ხოლო ნაწილი სოფლებისა, თავის ძმას — იოსებს გადასცა.

მეფემ როსტომ ერისთავის მიერ რაჭიდან გამოძევებულ ძმებს — პაატას, ბერის და გიორგის წულუკიძეებს თავიანთი მამაპაპური „საწულოები“ აღუდგინა, რაჭის მამულებში წილი დაუდო თავის ერთგულ წერეთლებს, რომლებიც დიდ დახმარებას უწევდნენ მეფეს ერისთავის დამარცხებაში.

მეფემ ანდერძი დატოვა, რომ როსტომ ერისთავის შთამომავლობას აღარასდროს მიცემოდა რაჭის მემკვიდრეობა.

ამრიგად, სოლომონ მეფემ ორი დიდი სათავადო გააუქმა (აბაშიძეებისა და ერისთავის) და მათ ადგილზე ისევ ორი სათავადო შექმნა (წულუკიძეების და წერეთლების), მაგრამ ეს ორი სათავადო დიდად განსხვავდებოდა ძველი სათავადოებისაგან იმით, რომ ახლა მთავარი ციხეები მეფის განკარგულებაში იყო და ტერიტორიის უდიდესი ნაწილიც მეფეს ეკუთვნოდა. ამით მეფემ უზრუნველყო თავისი ბატონობა წერეთლებსა და წულუკიძეებზე. ეს პოლიტიკა სწორი გამოდგა, რადგან ეს ორი სათავადო ბოლომდე მეფის ერთგული დარჩა და მასთან ერთად იბრძოდა მეფის ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის.

ამრიგად, 17-წლიანი ბრძოლა, რომელიც ხან ფარულად და ხან აშკარად მიმდინარეობდა მეფესა და ერისთავს შორის, სოლომონ მეფის გამარჯვებით დამთავრდა.

* * *

რაჟის საერისთავოს გაუქმებამ დააფრთხო დადიანი, რომელსაც ეშინოდა, რომ სოლომონს ახლა ოდიშის სამთავრო არ დაეპყრო. ამის გამო დადიანსა და სოლომონს შორის ურთიერთობამ მწვავე ხასიათი მიიღო. კაცია დიდიანი არ ცნობდა იმერეთის მეფის უპირატესობას, იგი ისევ ძველ გზას ადგა და იბრძოდა ოდიშის სამთავროს დამოუკიდებლობისათვის. ორივე მოწინააღმდეგე ცდილობდა, ამ ბრძოლაში თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ როგორც ოსმალეთი, ისე რუსეთი.

მეფე-მთავარს შორის უთანხმოება ისე გაღრმავდა, რომ კაცია დადიანმა ოდიში ეკლესიურადაც ცალკე გამოყო.

ბესარიონი, რომელიც სოლომონ მეფემ იმერეთის კათალიკოსობიდან გადააყენა 1769 წლის 10 მაისს, ოდიშში გაიხიზნა. კაცია დადიანმა იგი ოდიშის კათალიკოსად დანიშნა. ამგვარად, დასავლეთ საქართველოში ორი კათალიკოსი გაჩნდა — იმერეთში მეფის ძმა იოსები და ოდიშში — როსტომ ერისთავის ძმა ბესარიონი, მაგრამ ორხელისუფლებიანობა დიდხანს არ გაგრძელებულა — 1773 წელს ბესარიონ-კათალიკოსი გარდაიცვალა. ამის შემდეგ ოდიშში კათალიკოსი არ აურჩევიათ.

რუსეთ-თურქეთის ომის დროს ერთ ხანს დადიანმა თურქეთსაც ზურგი შეაქცია და რუსეთთან დიპლომატიური კავშირის დამყარება სცადა; 1773 წელს დადიანი ერეკლესა და სოლომონის სამეგობრო ხელშეკრულებას არ შეუერთდა, რაც სოლომონის წინააღმდეგობას მოასწავებდა, მაგრამ საბოლოოდ იმერთა მეფემ მაინც გატეხა დადიანის წინააღმდეგობა და 1776 წელს მორიგების საფუძველზე იგი სოლომონს დაემორჩილა.

* * *

სასტიკი სასჯელის შემდეგ ერისთავის შვიდი შვილიდან ოთხი ცოცხალი დარჩა (ყველანი სტამბოლში გადაიხვეწნენ); როსტომ ერისთავი 1770 წლამდე ციხეში იყო გამოკეტილი, შემდეგ გაათავისუფლეს და მან 1790 წლამდე იცოცხლა.

იტალიელი მისიონერის ლეონის ცნობით, ვინც ერისთავებს „თვალებს უწვავდა, ძალიან სიბრალულით ეპყრობოდა მათ, თვალის სილრმეში ყოველთვის რაიმე სინათლეს უტოვებდა, რათა შეძლებოდათ გაერჩიათ სხვა თუ არა, გზა მაინც, ისე, რომ ძირს არ დაცემულიყვნენ“[1].

---

[1] გაზეთი „კომუნარი“ (ამბროლაური), 1959, № 96.

იმავე ლეონის ცნობით, იმ დროს იმერეთში იმყოფებოდა კაპუჩინელი მკურნალი ბერი დიონიზიო, რომელიც საექიმო ხელოვნებით იყო განთქმული. მან უმკურნალა ერისთავებს და როსტომის უფროს შვილს მეთოდეს ორივე თვალში აღუდგინა სინათლე, ხოლო გიორგის — ცალ თვალში; კიდევ სხვა ორ ძმას სინათლე რომ არ ჰქონოდათ, ციხიდან ვერ გაიქცეოდნენ.

* * *

მეთოდე ერისთავმა ოსმალთა და ლეკთა ჯარით ორჯერ ილაშქრა იმერეთში მეფის ტახტიდან ჩამოსაგდებად (1772, 1774 წწ.), მაგრამ ორჯერვე ჩხერთან ბრძოლაში დამარცხდა, ტყვედ ჩაუვარდა სოლომონს და რასაც 1769 წელს გადაურჩა, ახლა თავი ვერ დააღწია — მეფემ მას ისევ დათხარა ორივე თვალი და იმერეთიდან გააძევა. თვალებდამწვარი მეთოდე ერეკლე მეფემ შეიფარა, ხოლო ერეკლეს სიკვდილის შემდეგ იგი იმერეთში დაბრუნდა (1799 წ.) და სოლომონ II-ს „სარჩო-მამული" სთხოვა. სოლომონმა მას ბარაკონის ყმა-მამული დაუბრუნა.

როსტომის მეორე ვაჟი გიორგი, რომელიც 1769 წელს ცალი თვალით იქნა დაბრმავებული, ოსმალეთში სულთანის სამსახურში იმყოფებოდა ქიორბეის სახელით.

1784 წელს სოლომონის გარდაცვალების შემდეგ სულთანმა იგი იმერეთში გამოგზავნა გასამეფებლად, მაგრამ როდესაც მან გაიგო დავით გიორგის ძე იმერეთის ტახტზე ზისო, უკან გაბრუნდა (დავით მეფის და ელენე ცოლად ჰყავდა გიორგის).

როგორც კი დავით გიორგის ძე სამეფო ტახტზე ავიდა, სოლომონის მიერ გაუქმებული რაჭის საერისთავო მან ისევ აღადგინა და იგი როსტომ ერისთავის შვილიშვილებს — თავის დისშვილებს ანტონ და ლევან გიორგის ძეებს უწყალობა. ერისთავობა ანტონს ჩააბარა, მაგრამ ანტონი სუსტი მმართველი აღმოჩნდა, ამიტომ დავით მეფემ ოსმალეთში მყოფი სიძე გიორგი გამოიძახა და რაჭის ერისთავობა მას ჩააბარა. გიორგის დიდხანს აღარ უცოცხლია — იგი ოსებთან შეტაკების დროს დაიღუპა გლოლაში 1787 წელს.

გიორგის სიკვდილის შემდეგ ერისთავად ისევ მისი ძე ანტონი დაჯდა, მაგრამ, როდესაც იმერეთში სოლომონ II გამეფდა, მან აღარ ინება ანტონის ერისთაობა რაჭაში როგორც დავით გიორგის ძის ნათესავისა, და მას სხვა მამულები უბოძა.

რუსეთ-თურქეთის ომი 1768—1774 წლებში და იმერეთის საქმეები

როგორც ზემოთ აღინიშნა, სოლომონ I-მა, მართალია, სამეფო გვირგვინი ისევ დაიბრუნა და თურქეთთან დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დიდ წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ ეს წარმატება მყარ ნიადაგზე არ იდგა. იგი გაპირობებული იყო თურქეთში დროებით შექმნილი რთული ვითარებით, ამიტომ საჭირო და აუცილებელი გახდა ძლიერი მოკავშირის ძებნა, რომელიც თურქთა აგრესიისაგან დაიცავდა ქვეყანას.

იმერთა მეფეს ორიენტაცია ისევ და ისევ რუსეთისაკენ ჰქონდა აღებული, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა არაერთხელ გაუცრუა მას იმედები, მაგრამ საქართველოს პოლიტიკური მესვეურები კარგად ხედავდნენ, რომ რუსეთი თუმც ნელ-ნელა, მაინც თანმიმდევრულად მოიწევდა კავკასიისაკენ და დღეს თუ არა ხვალ უთუოდ გადაეღობებოდა თურქეთს და გაქრობისაგან გადაარჩენდა ქრისტიანულ სახელმწიფოებს. ამ დროს ბალკანეთისა და კავკასიის ქრისტიანული სახელმწიფოები, რომელნიც თურქეთის უღელქვეშ გმინავდნენ, თურქეთის წინააღმდეგ ზებრძოლ რუსეთში ხედავდნენ „თავიანთ ბუნებრივ დამცველსა და გამათავისუფლებელს“ (მარქსი).

ქართველი მეფეების მიერ ადრე შემუშავებული იდეა, რომ თავისუფლება მხოლოდ ჩრდილოეთიდან მოვიდოდა და საქართველოს „აღდგომა-გამოხსნა“ მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა, ახლა უფრო გაცოცხლდა, რადგან სოლომონ მეფისათვის ცნობილი იყო რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის გამწვავება; აღმოსავლეთის საკითხით დაინტერესებული რუსეთის იმპერია კავკასიონის ქედს აქეთ საიმედო დასაყრდენს ეძებდა და საქართველოსთან ახალ დიპლომატიურ ურთიერთობაში ებმებოდა.

XVIII საუკუნეში შესამჩნევად დასუსტებული თურქეთის იმპერია თვალს ადევნებდა რუსეთის პოლიტიკურ საქმიანობას როგორც ბალკანეთში, ისე კავკასიაში; რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გააქტიურებას თურქეთისათვის საშიშ მოვლენად მიიჩნევდნენ. ამიტომ იყო რომ სოლომონ მეფის მიმართ პორტა დათმობაზე წავიდა და დროებით უკან დაიხია, თორემ იმერეთის სამეფოს გასრესა მას არასოდეს არ გაუჭირდებოდა; გავიხსენოთ, რომ თურქეთმა 1769 წელს მარტო დუნაის ფრონტზე 400 000 მეომარს მოუყარა თავი, ხოლო დასავლეთი საქართველოს მოსახლეობა აჭარისა და აფხაზეთის გამოკლებით 31 000 კომლს ანუ 155 000

სულს აღწევდა; იმერეთში 8000 კომლიდა იყო, საიდანაც 6000 მეომრის გამოყვანა ძლივს ხერხდებოდა[1]. ამდენად, იმერეთის სამეფო თურქთა მოსალოდნელი გამანადგურებელი შემოსევისაგან მხოლოდ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის გამწვავებამ იხსნა.

მიუხედავად მოპოვებული წარმატებისა, სოლომონ მეფის მდგომარეობა მაინც არ იყო მტკიცე, რადგან, ჯერ ერთი, ქვეყნის შიგნით კაცია დადიანი, გიორგი გურიელი და როსტომ რაჭის ერისთავი მეფეს ეწინააღმდეგებოდნენ, მეორეც, სტამბოლმა დროებით დათმო თავისი პოზიციები, თორემ მომავალში იგი იმერეთს არაფერს დაუთმობდა, როგორც კი ამისათვის სასურველი მომენტი დაუდგებოდა. სოლომონ მეფემ ეს კარგად იცოდა, ამიტომ გაბოროტებული აგრესორი რომ დროებით შეეჩერებინა, ხარკის სახით 30 000 მანეთის გადახდა იკისრა[2].

თურქეთის მიმართ საკუთარი ძალებით რომ ვერაფერს გახდებოდა, ეს იმერთა მეფემ კარგად იცოდა, ამიტომ იგი დამხმარე ძალას ეძებდა. ამ მიზნით მან ერთხელ კიდევ სცადა რუსეთის ძლიერების გამოყენება თავისი ქვეყნის სასარგებლოდ — 1768 წლის 23 ივნისს კვლავ გაგზავნა რუსეთში საგანგებო უფლებით აღჭურვილი ელჩი მაქსიმე ქუთათელი. ელჩს უნდა მოეგვარებინა რუსეთის მფარველობა იმერეთის სამეფოზე ვასალიტეტის საფუძველზე; თუ ეს არ მოხერხდებოდა, იარაღით და ფულით დახმარება უნდა გამოეთხოვა, და თუ არც ეს მოხერხდებოდა და თურქეთთან ბრძოლის გაგრძელებას იმერთა მეფე ვეღარ შეძლებდა, ნებართვა გამოეთხოვა რუსეთში მეფისა და მისი ოჯახის გადასახლებისა[3]. ელჩის წერილობითი მოხსენებიდან ჩანს — სოლომონ I-ს გათვალისწინებული ჰქონდა ის ფაქტი, რომ ქველმოქმედების მიზნით რუსეთი იმერეთს არ დაეხმარებოდა და ამიტომ მაქსიმე ქუთათელს იმერეთის ბუნებრივი სიმდიდრე (როგორც ადრე ალექსანდრე V-ს აღუწერია)[4] ისე უნდა გაეცნო რუსეთისათვის, რომ რუსეთს იმერთა მეფის „ყმად“ მიღებაზე ყოყმანი არ დაეწყო. ერთი სიტყვით, ამ ელჩობაზე დიდ იმედებს ამყარებდა იმერთა მეფე და იქიდან მოელოდა ან მფარველობას, რასაც ჯარის გამოგზავნა უნდა მოყოლოდა, ან იარაღსა და ფულს, ან არა და თურქეთთან ბრძოლაში მოსალოდნელი დამარცხების შემდეგ რუსეთში გადასახლების ნებართვას.

---

[1] ი. ცაგარელი, ტ. I, გვ. 72—73 (რუს.).
[2] იქვე, გვ. 74 (რუს.).
[3] იქვე, ტ. II, გ. I, გვ. 1—2 (რუს.).
[4] იქვე, ტ. II, გ. II, გვ. 3 (რუს.).

1768 წლის 4 ოქტომბერს იმერეთის ელჩი ყიზლარში ჩავიდა.

რუსი მოხელეები მაქსიმე ქუთათელის ელჩობას ცივად შეხვდნენ, ყიზლარის კომენდანტი პოტაპოვი ელჩს მოსკოვში წასვლის ნებას არ აძლევდა და უკან დაბრუნებას ურჩევდა, რადგან იცოდა, რომ რუსეთს ნაადრევად მიაჩნდა სოლომონ მეფის თხოვნის დაკმაყოფილება, რუსეთის მთავრობა ერიდებოდა საქართველოსთან ოფიციალურ ურთიერთობას თურქეთის გაღიზიანების შიშით.

მდგომარეობიდან გამოსავალი რომ ეპოვნა, ელჩმა კომენდანტს განუცხადა, თუ რუსეთის მეფე იმერეთის მეფეს ფარულად მაინც აღმოუჩენს სამხედრო დახმარებას, როდესაც რუსეთი ამას მოითხოვს, მეფე სოლომონი თურქებს წაართმევს შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე სიმაგრეებს და რუსეთთან ომის შემთხვევაში არ მისცემს მათ იქიდან ჯარის მიღების საშუალებასო[1]. ელჩისგან ასეთი ცნობების მიღების შემდეგ პოტაპოვმა შეატყობინა მოსკოვს იმერთა მეფის ელჩის სათხოვარი.

XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან აღმოსავლეთი ევროპის საკითხი საფრანგეთის, პრუსიის, ავსტრიის და რუსეთის საგარეო პოლიტიკის ყურადღების ცენტრად იქცა. რუსეთის აქტივობის შესაჩერებლად საფრანგეთის დიპლომატიამ შეძლო ამ საკითხში თურქეთის ჩარევა და იგი რუსეთის წინააღმდეგ აამხედრა. თავის მხრივ, თურქეთს აშინებდა რუსეთის გაბატონება შავი ზღვის ჩრდილო ნაპირებზე და ამავე დროს თურქეთის მორჩილებაში მყოფი ბალკანეთის ქვეყნებიც დაზღვეული არ იყო რუსეთის ხელყოფისაგან.

თუმცა XVIII საუკუნეში თურქეთს ძველი ძლიერება აღარ გააჩნდა, მაგრამ მან მაინც გადაწყვიტა რუსეთთან ომის დაწყება.

რუსეთი, გარდა იმისა, რომ ჯარს ამზადებდა თურქეთში შესაჭრელად, ცდილობდა ესარგებლა თურქეთში შემავალი ქრისტიანული მოსახლეობის მტრული განწყობილებით თურქეთისადმი და მათი აჯანყებები მოეწყო.

რუსეთი, რომელიც აქამდე თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სამეფო-სამთავროებს, ახლა დაინტერესდა საქართველოთი. 1768 წელს სამხედრო საგარეო კოლეგიაზე, როცა თურქეთთან ომის დაწყება გადაწყდა, საგანგებო მოხსენება მომზადდა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად სასარგებლო და შესაძლებელი იქნებოდა თურქეთის წინააღმდეგ ომში ქართველების ჩაბმა.

რუსეთის ხელმძღვანელობას იმერეთის მეფის სოლომონ I-ის

---

[1] ა. ცაგარელი, ტ. I, გვ. 1, 3 (რუს.).

ჩაბმა ამ ომში უფრო მარტივად ესახებოდა, ვიდრე ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ისა, მაგრამ მაინც გადაწყდა ერეკლე II-ის გამოყენება ომში.

რუსეთის სამეფო კარი დარწმუნებული არ იყო, რომ საქართველო იოლად ჩაერეოდა რუსეთ-თურქეთის ომში, და თუკი ჩაერეოდა, რუსეთის პოლიტიკურ მესვეურთ ისიც კარგად ესმოდათ, რომ ქართველები მარტო თავიანთი ძალებით თურქეთს ვერ გაუმკლავდებოდნენ და ვერც თურქეთის დიდ სამხედრო ძალებს მიიზიდავდნენ, ამიტომ საგარეო საქმეთა კოლეგიამ რუსეთის მთავრობას შემდეგი გეგმა წარუდგინა (რომელიც საქართველოს სამეფო-სამთავროებსაც უნდა სცნობოდა):

1. თუკი საქართველო თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩაებმებოდა, თურქეთთან ზავის დადების დროს ქართველები დავიწყებული არ იქნებოდნენ.

2. ქართულ სამეფო-სამთავროებს გაეწეოდათ ფულადი დახმარება და

3. თუ ქართველებს არტილერია არ გააჩნდათ, საქართველოში გაიგზავნებოდა ქვემეხები არტილერისტებით.

ასეთი გეგმის შემუშავებისა და სამზადისის დროს პეტერბურგში მიიღეს ცნობა იმერეთის მეფის ელჩის ყიზლარში ჩასვლის შესახებ — ელჩი დიდი რწმუნებით იყო აღჭურვილი და თან ჰქონდა სანელმწიფო ბეჭედიც.

თურქეთთან ომის სამზადისში იმერეთის ელჩის გამოჩენა რუსეთის ტერიტორიაზე ფრიად სასურველი და სასიამოვნო იყო პეტერბურგის საიმპერატორო კარისათვის. ამიტომ ყიზლარის კომენდანტ პოტაპოვს დაავალეს ელჩი სასწრაფოდ გაეგზავნათ პეტერბურგში[1], ელჩის ამალიდან გამოეყოთ არქიმანდრიტი და ყიზლარიდანვე უკან დაებრუნებინათ საგანგებო ცნობების მისატანად სოლომონთან, ხოლო საქართველოს მდგომარეობის შესასწავლად არქიმანდრიტთან ერთად საიმედო და უნარიანი პირი გაეგზავნათ, რომელიც დაადგენდა, იყო თუ არა სოლომონ მეფე ძლიერი და შეიძლებოდა თუ არა მისი დაკავშირება ერეკლე მეფესთან თურქეთის წინააღმდეგ ატეხილ ომში.

კანცლერი ნიკიტა პანინი იმერეთის მეფე სოლომონ I-ს წერილობით აცნობებდა რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებას, მისი თხოვნის შეწყნარებას და მოუწოდებდა დაუყოვნებლივ გამოსვლას თურქეთის წინააღმდეგ. იმერეთს ისეთი დახმარება გაეწეოდა, როგორიც შესაძლებელი იქნებოდა, ხოლო თუ რუსეთის იარაღს წარმატება

[1] ზ. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 15.

ექნებოდა, მაშინ ტრაქტატში იმერეთის სასარგებლო მუხლებიც იქნებოდა შეტანილი. ამასთან ერთად, პანინი სოლომონ მეფეს ამ ომში ერეკლე II-ის გადაბირებასაც თხოვდა.[1]

როლები შეიცვალა — თუკი აქამდე იმერთა მეფე რუსეთს საიდუმლო დახმარებას ეხვეწებოდა, ახლა იგი აცხადებდა — რუსეთიდან დამხმარე ჯარის მიღების გარეშე ომის დაწყება თურქეთის წინააღმდეგ არ შემიძლია, ხოლო თუკი დამხმარე ჯარს მიიღებდა, თავის მხრივ 20.000 ჯარისკაცის გამოყვანის პირობას დებდა[2].

ერეკლე მეფემ შორს განვრიტა შექმნილი მდგომარეობა, მართალია, ამ დროს ქართლ-კახეთი ირანის ვასალი იყო, მაგრამ თუკი იგი ომში ჩაებმებოდა და ამით ადრე დაკარგულ ქართულ მიწა-წყალს შემოიერთებდა, სუსტი ირანი ამის წინააღმდეგი ვერ იქნებოდა და პასუხსაც არ აგებდა ოსმალეთის წინაშე „გურჯისტანის ვალის“ მოქმედებაზე. ამ ანგარიშით ქართლის მეფემ თანხმობა განაცხადა თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმაზე, მხოლოდ იმ პირობით, თუ რუსეთი დამხმარე ჯარს გამოგზავნიდა საქართველოში.

თუმცა 1768 წელს რუსეთი საქართველოში ჯარის გამოგზავნის წინააღმდეგი იყო, მაგრამ 1769 წელს პეტერბურგს ჩასულმა იმერეთის ელჩმა მაქსიმე ქუთათელმა დაარწმუნა რუსეთის პოლიტიკური მესვეურნი საქართველოში ჯარის გამოგზავნის სარგებლობაში და დაითანხმა ისინი იმერეთში სამხედრო ძალის გამოგზავნაზე.

1769 წლის 27 მარტს ეკატერინე II-მ ხელი მოაწერა იმერეთში სამი ასეულისაგან შემდგარი ჯარისა და არტილერიის ექვსი სამგირვანქიანი ქვემეხის გამოგზავნის ბრძანებას[3]. კორპუსის უფროსად დაინიშნა გენერალი ტოტლებენი. ამასთან ერთად, საგარეო საქმეთა კოლეგიამ სათანადო ინსტრუქციით რწმუნებულად გამოგზავნა საქართველოში[4] თავადი ანტონ მოურავოვი (თარხან-მოურავი), რომელიც ვახტანგ VI-ის დროს რუსეთში გადასახლებული თარხან-მოურავების შთამომავალი იყო.

მოურავოვს დავალებული ჰქონდა ქართველ მეფეებთან საქმის სასურველად წარმართვა; ყველა მეფე-მთავრის ძალების გაერთიანება და თურქეთის საზღვრებში შეჭრა[5]. ამ მიზნით მას 50 000 მანეთი გამოუყვეს.

---

[1] ა. ცაგარელი, ტ. I, გვ. 22—26 (რუს.).
[2] იქვე, I, გვ. 426—427 (რუს.).
[3] ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, თბ., 1957, გვ. 32.
[4] ა. ცაგარელი, I, გვ. 39 (რუს.).
[5] იქვე, I, გვ. 39—50 (რუს.).

ამრიგად, საიმპერატორო კარმა თვითონ გაიხსენა კავკასიის ქრისტიანული სამეფო-სამთავრონი და გადაწყვიტა მათი გამოყენება კავკასიაში თურქთა გარკვეული სამხედრო ძალის დაბანდების მიზნით. მიზანშეწონილად ჩათვალეს ეს ომი რელიგიურ სამოსელში გაეხვიათ და ოსმალეთის მფლობელობაში მოქცეული ქრისტიანების დაცვის დროშით წარემართათ.

თუკი თურქეთი ამ ომში დამარცხდებოდა, სოლომონ მეფის უპირველეს მიზანს შეადგენდა ფეოდალური შინაომების მოსპობა, გაორგულებული ვასალების დამორჩილება, გურია-სამეგრელოსა და აფხაზეთის შემომტკიცება და დასავლეთი საქართველოს ერთი ხელისუფლების ქვეშ მოქცევა. ამასთან ერთად, ბრძოლის მეორე ეტაპისათვის იმერთა მეფეს თურქეთთანაც ჰქონდა სადავო ტერიტორიული საკითხები. ეს მაქსიმე ქუთათელის მიერ რუსეთის სა. მეფო კარზე გაკეთებული განცხადებიდან ჩანს — „ყოველს ოსმალოს ალაგებში, მეტადრე ახლო იმერეთში, გარშემო ბევრი საქართველოს კაცნი არიან, უთუოდ შემოეყრებიან ამისთანას საქმეს რომ გაიგონებენ... და რაც იმერეთის გარშემო ოსმალოს ალაგები არის (ჩემი მეფე) დაიჭერს“[1].

იმერეთის გარშემო „ოსმალოს ალაგები“ იყო აჭარა, ქობულეთი, ფოთი, და სამცხის დასავლეთი ნაწილი, ზეკარის უღელტეხილის მიმდგომი ადგილები. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ახალციხის ტერიტორიაზე ქართლ-კახეთის მეფე აცხადებდა პრეტენზიას, ამდენად, შესაძლებელია ცოტა მოგვიანებით სოლომონსა და ერეკლეს შორის ურთიერთდამოკიდებულების გაუარესებაში ამ ამბავმაც იქონია გავლენა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით მეფეებს შორის არავითარი დავა არ ყოფილა. მაგრამ ისიც ანგარიშგასაწევია, რომ იმერეთის სამეფო დროდადრო, როგორც კი მოღონიერდებოდა, პრეტენზიას აცხადებდა სამცხეზე. გავიხსენოთ, რომ 10 წლით იგი (1535—1545 წ.) იმერთა მეფემ ბაგრატ III-მ თავის სამეფოს შეუერთა.

რუსეთ-თურქეთის ომის წინ ქართლ-კახეთის მდგომარეობა (განსხვავებით იმერეთისაგან) შედარებით მტკიცე იყო. ქვეყანა გაერთიანებული, სათავადოები დამორჩილებული იყო, ქერიმ-ხანთან მშვიდობიანობა სუფევდა, განჯა-ერევანი მოხარკენი იყვნენ, ოსმალეთთან და მის საფაშოებთან კეთილმეზობლური დამოკიდებულება არსებობდა. მაგრამ რუსეთის ძალაზე დაყრდნობით ერეკლე მეფეს ორი პროექტი ჰქონდა შედგენილი — დიდი და მცირე. მცირე პროექტი ითვალისწინებდა სამცხე-საათაბაგოს გათავისუფლებას

[1] ა. ცაგარელი, ტ. II, გვ. 4 (რუს.).

და ქართლის სამეფოსათვის მის შემოერთებას, ჭარ-ბელაქანის დაპყრობას და ლეკიანობის ლიკვიდაციას. უფრო მეტიც, რუსეთთან მფარველობაში შესვლით საქართველო ამიერიდან მასთან პოლიტიკურ კავშირში იქნებოდა, ეს კი ირანისა და ოსმალეთის აგრესიისაგან დაიცავდა საქართველოს, რაც მას კავკასიაში ქრისტიანთა მედროშეობის საშუალებას მისცემდა.

მეორე ეტაპი, ანუ დიდი პროექტი ითვალისწინებდა: არარატის მთის გარშემო სომეხთა მიერ დასახლებული ადგილების — ყარს-არზრუმის რაიონების, აღმოსავლეთი კახეთის, სამცხე-საათაბოსა და ტრაპიზონის მხარის გათავისუფლება-შემოერთებას.

„ყარსისა გარშემო ქრისტიანები არიან, და იგინი ოსმალთა ***ჭონებასა ქვეშე იმყოფებიან***, და კუალად, რომელნიცა შავის ზღვის გარშემო ჩვენი კერძო ადგილნი უჭირავს, შესაძლებელი არს, რომ ყოველივე ძალითა ღვთისადა მიუღოთ“.[1] ამავე წელს ერეკლე მეფემ ხვაბულოვთან საუბარში განაცხადა, რომ თუკი რუსეთი ჯარს მოგვახმარს, მაშინ რეალური საშუალება გვექნება, დავიპყროთ თურქეთში მრავალი ქალაქი თვით ცარგრადამდეო.

ძველი ქართული ტერიტორიების შემოერთებას, რომელიც ადრე დამპყრობლებმა (თურქეთმა და ირანმა) მიიტაცეს, ერეკლე აუცილებლად და სამართლიანად თვლის, ხოლო დავით აღმაშენებლის მსგავსად, ისტორიული ქართული ტერიტორიების შემოერთების შემდეგ ამ ტერიტორიაზე მცხოვრებს სხვა რწმენის ხალხებს იგი შეიწყნარებს და მფარველობას გაუწევს.

ამ პროექტების განხორციელების შემთხვევაში ერეკლე მეფე ალბათ არ დაუშვებდა საქართველოში ორი სამეფოს არსებობას და ადრე თუ გვიან დასავლეთი საქართველოს სამეფო-სამთავროებსაც შეიერთებდა. ასეთი პროექტების შემდეგ სოლომონის ეჭვიანობა და ერთგვარი შიში ერეკლეს მიმართ ალბათ საფუძველს არ იყო მოკლებული.

ამრიგად, ერეკლე მეფე კავკასიისა და წინა აზიის ქრისტიანი ხალხების გამათავისუფლებლის როლში გამოდიოდა.

სამწუხაროდ, სულ სხვა იყო რუსთ ხელმწიფის მიზნები. რუსეთს სურდა, ქართველებს კავკასიის ფრონტზე ოსმალთა დიდი ძალები დაებანდებინათ, რომ ამით მთავარ ფრონტზე მტერს ხელი შეშლოდა. ბრძოლის მთელი სიმძიმე ქართველებს უნდა ეტვირთათ, თვითონ კი ნაკლები მსხვერპლი გაეღოთ და საერთო ხელმძღვანელის როლში გამოსულიყვნენ. ამჯერად რუსეთი საქართველოში რაიმე პოლიტიკურ მიზანს არ ისახავდა.

---

[1] ა. ცაგარელი, ტ. II, გ. I, გვ. 14 (რუს.).

ოსმალთა წინააღმდეგ ამხედრებული იმერთა მეფის საბრძოლო გადაწყვეტილება დიდ იმედს აძლევდა რუსეთის მთავრობას, რომ იმერეთთან ერთად მთელი საქართველო ჩაებმებოდა თურქეთის წინააღმდეგ ომში. ამით რუსეთს სურდა მაქსიმალურად გამოეყენებინა ქართველები.

1769 წლის აგვისტოში მოზდოკიდან და ყიზლარიდან საქართველოსაკენ დაიძრა სპეციალურად შერჩეული რუსეთის ჯარის 480-კაციანი რაზმი.

რუსეთის ჯარის გადმოსაყვანად სოლომონმა, ერეკლემ და ხვაბულოვმა დარიალის გზა შეარჩიეს, ხოლო გზის გაწმენდა და ხიდების მოწესრიგება ერეკლემ ითავა. ამისათვის კიდეც გაგზავნა სპეციალურად შერჩეული რაზმი.

აგვისტოს ბოლო რიცხვებში კორპუსის უფროსი, რუსეთის სამსახურში მყოფი გერმანელი გენერალი ტოტლებენი ასკაციანი ავანგარდით საქართველოში შემოვიდა და ერეკლეს შემოუთვალა — რუსეთის იმპერატორის სახელით მოვედი სტეფანწმინდას და გთხოვთ, თქვენს სამეფოზე გამატაროთ იმერეთში გადასასვლელადო[1]. ერეკლე მეფე თვით შეხვდა ნევში გენერალს და იმერეთში გაისტუმრა. ტოტლებენთან საუბარში ფრთხილმა და წინდახედულმა ქართლ-კახეთის მეფემ ომში ჩაბმაზე და სოლომონის დახმარებაზე თანხმობა განაცხადა მხოლოდ იმ პირობით, თუ რუსეთი გამოგზავნიდა არტილერიით აღჭურვილ 5000 მეომარს. თუ ეს 5000 მეომარი დაზამთრებამდე გადმოსვლას ვერ მოახერხებდა, მაშინ ჯერ 1500 ჯარისკაცი მაინც უნდა გამოეგზავნათ, ხოლო დანარჩენი — გაზაფხულზე. ტოტლებენი დათანხმდა 1500 ჯარისკაცის შემოყვანას, ხოლო დანარჩენზე რუსეთის მთავრობასთან შუამდგომლობას შეპირდა[2].

ინსტრუქციით რუსეთის წარმომადგენლებს ეკრძალებოდათ საექსპედიციო ჯარის გადიდებაზე თანხმობის მიცემა საქართველოს მეფეებისათვის, მაგრამ ამ თანხმობას ისინი ასაბუთებდნენ იმით, რომ იმერეთის მეფე სოლომონი ძალზე სუსტია და თურქეთთან ომში არსებითი როლის თამაში არ შეუძლია, ხოლო ერეკლე მეფე ძლიერია და თუ გვსურს, თურქეთის ომში ჩავითრიოთ, მის წინადადებას ანგარიში უნდა გაეწიოსო.

1769 წლის 3 სექტემბერს მოურავოვი პანინს უპატაკებდა — „სოლომონ-მეფე ძალზე სუსტია, ერეკლეს გარეშე არავითარი

---

[1] კაპიტანი დე გრაი-დე-ფუა, დასახ. ნაშრ., გაზეთი „წითელი დროშა", № 114, 1964.

[2] ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა. თბ., 1957, გვ. 42.

მოქმედების წარმოება არ შეუძლიაო“, ხოლო ჯარის გადიდების მოტივად ტოტლებენიც ამასვე აყენებდა — „საჭიროა ჯარები გადიდდეს იმის გამო, რომ სოლომონ მეფის ჯარების დახმარების არავითარი იმედი არა მაქვს“.[1]

რუსეთის საიმპერატორო კარი ინფორმირებული იყო, რომ სოლომონ მეფეს საკუთარი ძალებით კავკასიის ფრონტზე რაიმე წარმატების მიღწევა არ შეეძლო ქართლ-კახეთის მეფის დახმარების გარეშე, ამავე დროს ეკატერინე II დიდად იყო დაინტერესებული კავკასიაში ფრონტის გახსნით, ამიტომ მან ანგარიში გაუწია ტოტლებენის მოთხოვნას ჯარის გადიდების შესახებ და 1769 წლის 22 ოქტომბერს ხელი მოაწერა ბრძანებას საქართველოში 3700 მეომრის გაგზავნაზე.[2]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტოტლებენს ევალებოდა, მხოლოდ შეტევითი ბრძოლის მაგალითი მიეცა ქართველებისათვის, წაეხალისებინა და დიდი რაოდენობით ჩაება ისინი თურქეთის წინააღმდეგ საომარ მოქმედებაში. საიდუმლო ინსტრუქცია ავალებდა ტოტლებენს, რომ ქართველ მეფეებს ვერ გამოეყენებინათ იმპერატორის სამხედრო ძალა თავიანთი მიზნებისათვის, ამიტომაც გამოგზავნილი სამხედრო კორპუსი საქართველოში ისე უნდა მოქცეულიყო, რომ თვითონ ქართველებს საკუთარი ძალებით შეეტიათ თურქებისათვის.[3]

ერეკლე მეფესთან მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ ტოტლებენი იმერეთში წავიდა. 1769 წლის 26 სექტემბერს იგი იმერეთის საზღვარს მიადგა; 27 სექტემბერს სოლომონ მეფე თანმხლები დიდებულებით ტოტლებენს შეხვდა. 28 სექტემბერს გენერალმა სოლომონ I-ს განუცხადა, რომ მას დავალებული აქვს იმპერატორისაგან იმერეთის ციხეებიდან თურქების განდევნა და სოლომონ მეფისათვის ქვეშევრდომების დამორჩილება, ხოლო თუ ამას ვერ მოახერხებს, სოლომონს თავისი ოჯახით წაიყვანს რუსეთში, სადაც მეფე დიდი პატივით იქნება მიღებული.[4]

რუსეთის მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა დამხმარე ჯარით და 50 ათასი მანეთი სესხით განემტკიცებინა იმერეთის სამეფოს მდგომარეობა, რათა მას თურქეთთან აქტიური ბრძოლის უნარი ჰქონოდა, ამიტომ ინსტრუქცია დასაშვებად თვლიდა, ქართველებს რუსი ოფიცრებისაგან ესწავლათ ჯარის სამხედრო წყობა, იარა-

---

[1] ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, გვ. 44.

[2] იქვე, გვ. 46—47.

[3] შ. ბურჯანაძე, იმერეთის სამეფო 1768—1784 წლებში, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. III, თბ., 1961, გვ. 117.

[4] ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, გვ. 37.

ღის, თოფის წამლის ხმარება, ქვემეხების ჩამოსხმა, ლაფეტზე მათი გაწყობა, ადგილების „ევროპულად“ გამაგრება და სხვა. თუ იმერეთში რეგულარული ჯარის შექმნა არ მოხერხდებოდა, იქნებ ჯარში გასვლის მორიგეობის დაწესება გამხდარიყო შესაძლებელი, რათა მთელი ერი რიგიან ჯარად ქცეულიყო.[1]

ინსტრუქციის შედგენის დროს რუსეთის მთავრობა ვარაუდობდა, რომ გაძლიერებული სოლომონ მეფე — თურქეთის შეურიგებელი ვასალი — ქართლ-კახეთის მეფის მომხრობასაც შეძლებდა და რუს-ქართველთა გაერთიანებული ძალა თურქეთის მთავრობას აიძულებდა, მეტი ძალები დაებანდებინა კავკასიაში, ამით მთავარი ფრონტის ძალები შესუსტდებოდა და ეს თავის მხრივ, დუნაის ფრონტზე მოქმედი რუსეთის არმიის მდგომარეობას გააუმჯობესებდა.

ამ გეგმას იმერეთის სამეფოსათვისაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

საქართველოში რუსეთის ჯარის შემოსვლამ მთელი კავკასიის მაჰმადიანობა შეაშფოთა. ახალციხის ფაშამ ნამანმა ელჩი გამოგზავნა ერეკლესთან. იგი მოაგონებდა ერეკლეს, რომ „მას შემდეგ, რაც მე ჩილდირის ფაშობა მომეცა, ჩვენი ურთიერთობა წმინდა და ანკარა იყო, რომ ერთი რამ წყენა არ მომხდარა არც თქვენიდან ჩვენთან და არც ჩვენიდან კვალად თქვენთან“.[2] ფაშა ერეკლეს ისევ მეგობრობისაკენ მოუწოდებდა, თან რუსეთის ჯარის შემოსვლის ფაქტზე მიუთითებდა და დასძენდა: „თქვენს მიწაზე, რომ ის ურჯულოები თქვენს შეუტყობრად და უნებურად გარდმოსულ იყუნენ — ეს ხომ არ იეჭვება, ხუთსა ან ათს დღესა თქვენს ქვეყანაში უვლიათ, ამასუკან იმერეთს გარდასულან“.[3] ნამან-ფაშა ერეკლეს თხოვდა და თანაც შეპარვით აფრთხილებდა: „მაგ ურჯულოების თქვენს ქვეყანაში ყოფნა და დგომა მაღლის, საუკუნოდ მყოფის ხელმწიფის დოვლათისათვის და ჰერანის დოვლათისათვის სხვადასხვა ფიქრია და თქვენის სისწორისა და მეგობრობის ყოფნის ვითარებისა დიდი ზარალი და დანაკლისი იქნება ჩვენსა და თქვენში“.[4]

აღნიშნულ წერილში ნამან-ფაშა ერეკლე მეფეს რუსეთთან კავშირის გაწყვეტას თხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მუქარა-შეპარული კილოთი აცნობებდა, რომ მეზობელი სახელმწიფოები

---

[1] ვ. მაჭარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 57.
[2] ა. ცაგარელი, ტ. II, გ. I, გვ. 15 (რუს.).
[3] იქვე, გვ. 16.
[4] იქვე.

მასთან კავშირს გაწყვეტდნენ. რაც შეეხება სოლომონ მეფეს, ახალციხის ფაშა წერდა, რომ ერეკლე მეფე მას არ აყოლოდა, რადგან სოლომონმა ფაშას ერთგულება „დაივიწყა და გულში ჩადებული ორგულობა, სიავე, სიფინთე, ღალატი, მუხანათობა და ჰარამზადობა გამოაცხადა, მოსკოვს უსჯულოებთან, ღმერთმან იმათი ბოლო დააქციოს, სოლომონს კაცი გაეგზავნა და რამდენიმე ასი კაცი მოუყვანინებია“.[1] ამავე დროს, ოსმალეთმა ქერიმხანს მიმართა და სთხოვა, რათა ერეკლესათვის ოსმალეთის მტრობა აეკრძალა. გარდა ამისა, ოსმალეთმა ქართლ-კახეთის წინააღმდეგ დაღესტნელების ასამოქმედებლად დიდძალი ფული გაიღო.

1769 წლის 3 ოქტომბერს რუსეთისა და იმერეთის ლაშქარი შორაპნის ციხეს ასაღებად შემოადგა, სადაც 25 თურქი მეციხოვნე იყო გამაგრებული. ტოტლებენმა ციხის უბრძოლველად გადაცემა მოითხოვა, მაგრამ უარი მიიღო.

როგორც კი ახალციხის ფაშამ საქართველოში რუსეთის ჯარის შემოსვლა შეიტყო, მაშინვე გააბა კავშირი კაცია დადიანთან (რომელიც ამ დროს თურქეთის კალთებს შეფარებული სოლომონ მეფის ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე იყო) და აფხაზეთის მთავარ შერვაშიძესთან. მოწოდებისთანავე დადიანმა და შერვაშიძემ შეკრიბეს ლაშქარი და თურქეთიდან მიღებული დამხმარე ძალით — 9000-კაციანი ლაშქრით იმერეთის სამეფოს შეესივნენ.

სოლომონ მეფემ ცნობის მიღებისთანავე — 3 ოქტომბერს მოხსნა იმერეთის ლაშქარი შორაპნის ციხის ალყიდან და მომხდურ მტერს შეეგება, ხოლო შორაპნის ციხის ასაღებად ტოტლებენის ასეულები დატოვა. მეფემ მომხდურნი დაამარცხა და იმერეთიდან გარეკა.[2] ტოტლებენმა სოლომონის ბრძოლა დადიანთან და შერვაშიძესთან მის კერძო საქმედ ჩათვალა, შორაპნის ციხეს ოთხი დღის ბრძოლის შემდეგ ალყა მოხსნა, ქართლში გადავიდა და ცხინვალს დაბანაკდა.

ტოტლებენის მიერ იმერეთის დატოვებით სოლომონ მეფე შეშფოთებული იყო. ამ საქმეში იგი ერეკლესაც დებდა ბრალს, რადგან ერეკლე მეფე რუსეთის ჯარს ახალციხეზე სალაშქროდ იწვევდა. სოლომონის მიზანი პირველ რიგში ოსმალებისაგან სამეფოს გაწმენდა იყო. მას არც ის მოსწონდა, რომ ერეკლე მესხეთის დაპყრობას საკუთრად აპირებდა, ამ ქვეყანას სოლომონიც თავისად თვლიდა. როცა ერეკლემ და ტოტლებენმა იმერთა

---

[1] ა. ცაგარელი, ტ. II, გ. I, გვ. 16.
[2] იქვე, გვ. 21—22 (რუს.).

მეფეს ახალციხეზე სალაშქროდ მოუწოდეს, სოლომონმა ეს არ ინება. ერეკლე მეფის გეგმაში შედიოდა ჯერ ახალციხის დამორჩილება და შემდეგ იმერეთში მდგარი თურქი გარნიზონების მოსპობა, ტოტლებენიც ამ აზრისა იყო.

რუსეთის საიმპერატორო კარისაგან ტოტლებენს წინასწარ შემუშავებული ოპერატიული გეგმა არ მიუღია, მას ევალებოდა ისე ემოქმედა, როგორც ამას ადგილობრივი პირობები უკარნახებდა. როცა ტოტლებენისათვის ცნობილი გახდა იმერეთის მეფის სისუსტე და ქართლ-კახეთის მეფის სიძლიერე, მისთვის მისაღები შეიქნა ერეკლეს მიერ შეთავაზებული ყველა გეგმა, რამდენადაც ეს კავკასიაში თურქთა ძალების დაბანდებას გამოიწვევდა. ასეთი გეგმა იყო ერეკლეს მიერ შეთავაზებული ახალციხეზე ლაშქრობა. ტოტლებენმა ეს გეგმა მიიღო, მაგრამ დამხმარე ძალა არ ჩანდა, ერეკლე მეფე კი ამის გარეშე ომს არ იწყებდა. ამიტომ დეკემბერში ტოტლებენი თვითონ წავიდა რუსეთში იქიდან ჯარის გადმოსაყვანად. ამგვარად, 1769 წელს ლაშქრობა ახალციხეზე არ მოხერხდა.

1770 წლის დასაწყისში, დამხმარე ძალის მიღების შემდეგ, ტოტლებენმა და ერეკლემ სამზადისი დაიწყეს ახალციხეზე გასალაშქრებლად.

ეს ლაშქრობა ორ ამოცანას ისახავდა მიზნად: მტრისათვის ქართლზე თავდასხმის შარჯვე ბლაცდარმის (რასაც ახალციხე წარმოადგენდა) მოშლას და ქართული მიწა-წყლის შემოერთებას[1]. ლაშქრობის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში ქართლს თურქეთისაგან თავდასხმის საფრთხე მოეხსნებოდა, ისპობოდა ლეკთა თავშესაფარი ბუდე, ამავე დროს, ახლა ქართული მიწა-წყლის დაბრუნების იმედიც ისახებოდა. ამ ლაშქრობის წარმატებით დამთავრებას ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმერეთის სამეფოსათვის. ჯერ ერთი, იგი იმერეთზე თავდასხმის ბლაცდარმს მოშლიდა, მეორეც, ახალციხის დაკავება ერეკლეს მიერ იმერეთის თავადებს გარედან დახმარების იმედს მოუსპობდა და ისინი განმარტოებული დარჩებოდნენ. მართალია, სანამ იმერეთის ციხეებში თურქი მეციხოვნეები იდგნენ, სოლომონ მეფეს ერთგვარი სიძნელეები ექნებოდა, მაგრამ წარმატებანი ახალციხის მიმართულებით იმერეთის ციხეების გათავისუფლების საწინდარიც იყო, რადგან იმერეთის ციხეებში გამოკეტილ თურქ მეციხოვნეებს

[1] ვ. მაჭარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 56.

აქტიური მოქმედების საშუალება აღარ ექნებოდათ და ამას, ბუნებრივია, მათი დანებება უნდა მოჰყოლოდა.[1]

ერეკლე მეფეს იმედი ჰქონდა, რომ დადიანთან ზავის დადების შემდეგ[2] ახალციხეზე ლაშქრობაში სოლომონ მეფეც მიიღებდა მონაწილეობას, მაგრამ ერეკლე შეცდა, რადგან იმერეთის პოლიტიკურმა მესვეურმა ამ შემთხვევაში საღად ვერ განსაჯა. მას თვით სურდა საათაბაგოს შეერთება იმერეთთან[3], თუმცა ამისი ძალღონე სრულებით არ შესწევდა; ამიტომ ტოტლებენისა და ერეკლეს მომავალი ლაშქრობა ახალციხეზე მან მიუღებლად ჩათვალა და მასში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

სურამში ჩასული სოლომონ მეფის მრჩეველი ქაიხოსრო აბულაძე ერეკლე მეფეს ეუბნებოდა: „ესე ცოტას რუსეთის ხელმწიფის ჯარს როგორ აჰყევი და ხვანთქარს აეშალე. ამით ხვანთქარს რა უნდა დააკლო შენა, ხვანთქარმა რომ ერთი სერასკირი წამოაყენოს და იქიდან დაღესტანს უბრძანოს, მას უკან რაღათი შეიძლებ იმათ წინააღმდეგ ომსა".[4] საფიქრებელია, რომ მეფის მრჩეველ ქაიხოსრო აბულაძესაც არ მოსწონდა ერეკლეს მიერ გაანზრახული ახალციხის დაპყრობა და ცდილობდა, ხელი შეეშალა მისთვის.

ერეკლე მეფე შეაფიქრიანა სოლომონის უარმა და სურამში მიუსვლელობამ.

სამწუხაროდ, დასავლეთი საქართველოს პოლიტიკური მესვეურნი ვერ გრძნობდნენ, ანდა თუ გრძნობდნენ, კერძო ინტერესებით დაბრმავებულნი, ვერ ითვალისწინებდნენ, რომ ახალციხის აღებით წყდებოდა თურქეთ-საქართველოს ურთიერთობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი. იშლებოდა საფაშოს ცენტრი, სადაც ყოფილი ქართველები, შემდგომში რენეგატი ათაბაგები ისხდნენ და ხონთქრის მითითებით ოსმალთა პოლიტიკას ატარებდნენ. ახალციხის აღებით ისპობოდა თურქთა შემოტევის ძლიერი პლაცდარმი, იშლებოდა ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტთა და ავანტიურისტთა ბუდე. ახალციხის საფაშოს მოსპობით დასავლეთი საქართველოს სამეფო-სამთავროები ფაქტიურად თავისუფლდებოდნენ თურქეთის უშუალო ვასალური დამოკიდებულებისაგან.

---

[1] ე. მაჭარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 57.
[2] ა. ცაგარელი, ტ. I, გვ. 219 (რუს.).
[3] იქვე, ტ. I, გვ. 20 (რუს.).
[4] იქვე, ტ. II, გ. I, გვ. 63 (რუს.).

1770 წლის 17 აპრილს რუს-ქართველთა ლაშქარი აწყურის ციხეს შემოადგა; ერეკლეს 7000 მეომარი ჰყავდა, ხოლო ტოტლებენს 600 ჯარისკაცი და ექვსი ზარბაზანი. 19 აპრილს ტოტლებენმა მოულოდნელად ციხეს ალყა მოხსნა და უკან გაბრუნდა. ამან ქართველთა ჯარში დიდი არევ-დარევა შეიტანა, მაგრამ ერეკლე მეფემ სწრაფად აღადგინა წესრიგი. „უფლისწული გიორგი ერეკლეს ძე ტოტლებენთან მიიჭრა და შესძახა: „ღენერალო! სირცხვილია, ამისთანა დროსა ღალატი მეფისა“; „არა მაქვს ბრძანება—უპასუხა ღენერალმა — იმპერატრიცისა, რომ შევება ჯარითა ესრეთ მცირითა ჰტერსა დიდსა უსარგებლოდ“, — „მაგითი, ღენერალო, არცხვენ რუსეთის ჯარსა, — ეტყოდა მეფის ძე გიორგი — და უტეხ სახელსა დიდსა რუსეთსა“[1]. როგორც ირკვევა, იმერთა მეფეს 5000-კაციანი ლაშქარი ჰყავდა მომზადებული რუსთა და ქართლ-კახეთის ლაშქრის დასახმარებლად, მაგრამ როცა აწყურიდან ტოტლებენის უკან გამობრუნების ამბავი შეიტყო, ადგილიდან აღარ დაიძრა[2].

ბრძოლის ველიდან ტოტლებენის წასვლის შემდეგ, აწყურთან ქართველთა ლაშქრის ყოფნას აზრი აღარ ჰქონდა და ერეკლე მეფემაც ციხეს ალყა მოხსნა. თურქებმა ამ მომენტის გამოყენება სცადეს, მოულოდნელად ციხიდან გამოიჭრნენ და ქართველთა ლაშქარს თავს დაესხნენ, მაგრამ დამარცხდნენ და ისევ ციხეს შეაფარეს თავი[3].

ასპინძისაკენ მიმავალ ქართველთა ლაშქარს ახალციხის ფაშამ ახალქალაქისა და ხერთვისის ციხეებიდან სასწრაფოდ გამოყვანილი 1500-კაციანი ლაშქრით გზა გადაუჭრა[4], მაგრამ ქართლ-კახეთის ლაშქარმა ისიც დაამარცხა და უკუაქცია. ქართველთა ჯარს დამარცხებული მტრის დევნა დამთავრებული არ ჰქონდა, როცა ასპინძასთან თურქთა ახალი ლაშქარი გამოჩნდა.

ქართული ცნობების მიხედვით, ეს იყო თურქთა და ლეკთა 4000 კაცისაგან შემდგარი ჯარი, მაგრამ ამ ბრძოლაში ტყვედ ჩავარდნილთა ცნობების მიხედვით, მტრის ჯარის რაოდენობა 8000 კაცამდე აღწევდა,[5] ხოლო ქართველთაგან ამ ბრძოლაში მხოლოდ 3000 მეომარი მონაწილეობდა.[6]

---

[1] პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ცხოვრება მეფისა გიორგი მეცამეტისა, თბ., 1978, გვ. 9.

[2] ა. ცაგარელი, II, გვ. 227 (რუს.).

[3] იქვე, ტ. II, გ. I, გვ. 29 (რუს.).

[4] იქვე (რუს.).

[5] ვ. მაჭარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 67.

[6] იქვე, გვ. 69.

1770 წლის 20 აპრილს მოხდა ასპინძის ცნობილი ბრძოლა — მტერი ისე მოისრა, რომ რვა-ათასიანი ლაშქრიდან მხოლოდ 20—25 კაციღა დარჩა ცოცხალი,[1] ხოლო ქართველთაგან მსხვერპლი უმნიშვნელო იყო.

ერეკლე II-ის უზადო სამხედრო ნიჭმა ქართველი ხალხის გმირულ ისტორიაში ახალი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა.

ასპინძასთან გამარჯვების შემდეგ, თუმც თურქთა მთავარი ძალები განადგურდა, მაგრამ ერეკლე მეფემ ახალციხეზე გალაშქრებისაგან თავი შეიკავა და რაკი ტოტლებენის იმედი აღარ ჰქონდა, ქართლში დაბრუნდა. ეს უკანასკნელი აწყურიდან ანანურში ავიდა და იქ დაბანაკდა. იგი ქართლში ციხეების დაჭერას, მოსახლეობის რუს-ხელმწიფის ერთგულებაზე ძალით დაფიცებას და ძარცვას შეუდგა. 12 მაისს ტოტლებენი წერდა, რომ ტომსკის პოლკის შემოერთებისთანავე განზრახული აქვს, დაუყოვნებლივ თბილისზე დაიძრას... მთელი საქართველო რუსეთის ხელისუფლებას დაუმორჩილოს, ერეკლეს ამას წინათ ბოძებული ანდრიას ორდენი ჩამოართვას და მეფე პეტერბურგს გაგზავნოს ან შავი ზღვისაკენ განდევნოს".[2]

ამრიგად, ტოტლებენმა და მისმა თანამზრახველებმა მიზნად დაისახეს ქართლ-კახეთის დაპყრობა, ერეკლეს ტახტიდან ჩამოგდება, მისი დაპატიმრება და რუსეთში გაგზავნა ან განდევნა; ეს საქმე, მათი აზრით, მეტად ადვილი იყო 3000 რუსი ჯარისკაცისათვის, მაგრამ, რადგანაც ეს 3000 კაცი ტოტლებენს ჯერ არ ჰყავდა, ამიტომ იგი ელოდა მოზდოკიდან მომავალ ტომსკის პოლკს.[3]

ტოტლებენის ოფიცერი პოდპოლკოვნიკი ჩოგლოკოვი წერდა, რომ „ტოტლებენი ან ჭკუაზე შეიშალა, ან გამცემლობას სჩადის, როდესაც რუსეთის სამეფო კარის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს: მეფეები ერთმანეთს გადაამტერა, თავადებს ცუდად ექცევა, სოფლები ააწიოკა — უსასყიდლოდ ართმევს საქონელს, ახალციხის ფაშასთან მოლაპარაკება გამართა, 12 საუკეთესო ოფიცერი რუსეთში გაგზავნა, არავის არ იტოვებს, გარდა გერმანელებისა და უსაქციელო რუსებისა".[4]

ტოტლებენის ავანტიურას ერეკლე მეფემ ენერგიული ღონისძიებით უპასუხა, რითაც გააქარწყლა გერმანელის ჩანაფიქრი, მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, ტოტლებენმა ბევრი უსიამოვნება მიაყენა ქართველ ხალხს და მეფე ერეკლეს.

---

[1] ა. ცაგარელი, ტ. II, გ. I, გვ. 30 (რუს.).
[2] ვ. მაკარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 73.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 74.

პირველ ხანებში, რუსეთთან ურთიერთობა რომ არ გაემწვავებინა, ერეკლე დიდ ყურადღებას არ აქცევდა ტოტლებენის მოქმედებას; ამით გათამამებულმა, მან დუშეთში, ანანურში, ცხინვალში და გორში ხალხი იძულებით დააფიცა რუსეთის მთავრობის ერთგულებაზე, მანვე დაიკავა დუშეთის, ანანურის და გორის ციხეები. მაგრამ ტოტლებენის ეს ავანტურისტული მოქმედება ერეკლე მეფისა და ქართველთა ჯარის წინააღმდეგ უშედეგოდ დამთავრდა, რადგან რუსმა ოფიცრებმა ტოტლებენის წამოწყებას მხარი არ დაუჭირეს.[1]

ტოტლებენის ავანტიურასთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული იყო შეხედულება, თითქოს იგი რუსეთის მთავრობის საიდუმლო მითითებით მოქმედებდა, როდესაც მიზნად დაისახა ერეკლე მეფის ტახტიდან გადაგდება და საქართველოს რუსეთთან შეერთება. მაგრამ ამ აზრს მხარს არ უჭერდნენ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დოკუმენტებზე უშუალოდ მომუშავე ისტორიკოსები: ა. ცაგარელი და ი. ცინცაძე. ა. ცაგარელის აზრით, რუსეთის მთავრობა მაშინ საქართველოს შემოერთებას მიზნად არ ისახავდა,[2] ხოლო ი. ცინცაძე წერს, რომ „1768—1774 წლებში, საქართველოს სამეფო-სამთავროების თურქეთის წინააღმდეგ ომში გამოყენება ძირითადი ამოცანაა რუსეთის პოლიტიკისა ამიერკავკასიაში... რუსეთს, მიმდინარე ომში საქართველოს გამოყენება დაუსახავს მიზნად და არა საქართველოს შემოერთება".[3]

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ რუსეთის საიმპერატორო კარმა საქართველოში სამი ასეული ჯარისკაცი და რ ქვემეხი გამოგზავნა. ამ ჯარით რომ საქართველოს დაპყრობა არ შეიძლებოდა, ეს ყველასათვის ნათელი იყო, ხოლო საექსპედიციო კორპუსის გადიდების შემდეგ 1769 წლის 16 დეკემბერს მინისტრი გრაფი პანინი საგარეო კოლეგიის რწმუნებულს საქართველოში ა. მოურავოვს აცნობებდა რა ჯარის გადიდებას, სწერდა, რომ ამოცანა ახლაც იგივე რჩება — ძალიან გვჭირდება, რომ ქართველებმა ჩქარა დაიწყონ ბრძოლა თურქების წინააღმდეგ.[4] ხოლო ამავე დროს ეკატერინე II ტოტლებენს სწერდა (როცა ერეკლემ რუსის ჯარის გადიდება მოითხოვა, ოღონ ამის გარეშე

---

[1] უფრო დაწვრილებით იხ. ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, თბ., 1957. გვ. 70—80.

[2] ა. ცაგარელი, I, გვ. 18—24 (რუს.).

[3] ენიმკის მოამბე, V—VI, თბ., 1940, გვ. 340—341.

[4] უფრო დაწვრილებით იხ. ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, თბ., 1957.

იგი ოსმალებთან ომზე უარს ამბობდა): ერეკლე მეფე ისე ძლიერია, რომ მან შეძლო არა თუ ლეკების მოგერიება, არამედ სპარსეთის ქალაქების დამორჩილება, რომელთაც ახლა ფლობსო და რომ მას 40-ათასიანი ჯარი შეუძლია გამოიყვანოს, ასეთი ჯარი კი საკმარისია არა მარტო ქვეყნის დასაცავად, არამედ თურქეთის წინააღმდეგ სამოქმედოდაც. ეკატერინე ტოტლებენს სთხოვს, დაარწმუნოს ერეკლე მეფე, რომ მის მიერ წამოყენებული მოთხოვნები იმპერიის მხრივ დახმარებაზე გადაჭარბებულია და ახლანდელ პირობებში რუსეთს საქართველოში დიდი ჯარის გაგზავნა არ შეუძლია.[1] როცა ტოტლებენმა სიმართლე არ გაამხილა და რუსეთის საიმპერატორო კარს აცნობა რუსეთის ერთგულებაზე ქართველების დაფიცების ამბავი, პანინი ტოტლებენს სწერდა: რუსეთის ერთგულებაზე დაფიცება თუ ძალდატანების გარეშე წარმოებს და ეს ხელს შეუწყობს ქართველების მონაწილეობას თურქეთის წინააღმდეგ ომში, შეიძლება გაგრძელდეს, რაც შეეხება სხვა სარგებლობას (ქვეყნის სიმდიდრის გამოყენება), ეს შეიძლება მართლაც დიდი იყოს, მაგრამ ამის განხორციელება ბევრ სხვა ამბებსაც მოითხოვს, რაც ახლანდელ ვითარებასთან შეუთავსებელიაო.[2] ამ წერილის შემდეგ, როდესაც რუსეთში გაიგეს საქართველოში მომხდარი ამბები და როდესაც კაპიტან იაზიკოვს აგზავნიდნენ საქართველოში საქმეების მოსაგვარებლად, ასეთი დავალება მისცეს: თუ ტოტლებენმა ნამდვილად ჩამოაგდო ტახტიდან ერეკლე და ეს საქმე ქართველების ომში მონაწილეობას აფერხებს, იგი კვლავ აღადგინე ტახტზეო.[3]

ზემოთ აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ რუსეთის საიმპერატორო კარი ამჯერად საქართველოს შეერთებას რუსეთთან არ აპირებდა, რადგან ამისათვის არც საგარეო და არც საშინაო პირობები არ გააჩნდა.

ტოტლებენის თავგზააბნეული მოქმედება მრავალი გაუგებრობის წყარო გახდა. არც ერთი საბუთიდან არა ჩანს, რომ ტოტლებენს იმპერატრიცასა ან სამხედრო კოლეგიისაგან რაიმე საგანგებო საიდუმლო მითითება მიეღოს, გარდა იმისა, რომ საიდუმლო ინსტრუქციით ქართველ მეფეებს ვერ უნდა გამოეყენებინათ რუსეთის სამხედრო ძალა თავიანთ შინაომში საკუთარი მიზნებისათვის. ამიტომ საქართველოში გამოგზავნილი სამხედრო კორ-

---

[1] ა. ცაგარელი, I, გვ. 85—87 (რუს.).

[2] იქვე, გვ. 155 (რუს.).

[3] იქვე, გვ. 139—145 (რუს.).

პუსი ქართულ ჯართან ერთად მხოლოდ თურქეთის საწინააღმდეგოდ უნდა ყოფილიყო გამოყენებული[1].

ტოტლებენი ქართველი მეფეების — ერეკლესა და სოლომონისაგან მხოლოდ უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა, იმავე დროს, ტოტლებენმა წყალობის თვალით შეხედა სოლომონის მოწინააღმდეგეებს — დასავლეთ საქართველოს გაერთიანების მოწინააღმდეგე დადიანსა და გურიელს; მან დაიახლოვა აგრეთვე ერეკლეს მოწინააღმდეგე ქართლის თავადები — დავით ქსნის ერისთავი, ზაალ ორბელიანი, მაჩაბელი, ამირეჯიბი და სხვანი, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ თავადებმა ტოტლებენის ავანტიურის დროს თავი შეიკავეს ერეკლეს წინააღმდეგ გამოსვლისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ ერეკლესა და ტოტლებენს შორის უთანხმოება ძალზე გამწვავდა, მეფე მაინც ცდილობდა ტოტლებენის შემორიგებას და რაიმე სასარგებლო საქმის წამოწყებას. როცა ტოტლებენმა ერეკლეს აცნობა, რომ იმერეთში მივდივარ და იქიდან ახალციხეზე გავილაშქრებო, მეფე ერეკლე ენერგიულად შეეცადა, განეახლებინა ერთობლივი მოქმედება ახალციხის მიმართულებით და წინადადება მისცა ტოტლებენს, თუ იგი არ ინებებს მასთან ერთად მოქმედებას, მაშინ თუნდაც 5—6 ვერსის დაშორებით იმოქმედოს იმავე მიმართულებით[2]. მაგრამ ყოველი ცდა ტოტლებენთან ერთად საომარი მოქმედების განახლებისა მარცხით დამთავრდა — ტოტლებენი იმერეთისაკენ დაიძრა 1770 წლის ივნისში.

* * *

ცენტრალურ ფრონტზე რუსეთის არმიამ წარმატებებს მიაღწია; დამარცხების წინაშე მდგომმა თურქეთის მთავრობამ თავისი პროვინციებიდან უკანასკნელი რეზერვები გამოიწვია და ამის გამო იმერეთშიც შეამცირა ციხესიმაგრეთა გარნიზონები; ამავე დროს, ისინი საჭიროების შემთხვევაში დახმარებასაც ვეღარ მიიღებდნენ თურქეთიდან. ამასთან ერთად, ასპინძის ბრძოლაში ქართლ-კახეთის ჯარების გამარჯვების შემდეგ სოლომონ მეფეს ხელსაყრელი მდგომარეობა შეექმნა იმერეთის ციხეებიდან თურქების განსადევნად.

1770 წლის 15 მაისს იმერთა მეფემ ცუცხვათის ციხე გაათავისუფლა თურქებისაგან;[3] შემდეგ ჯარით შევიდა ქუთაისში, სადაც

---

[1] ა. ცაგარელი, გვ. 87 (რუს.).

[2] იქვე, ტ. I, გვ. 238—241 (რუს.).

[3] იქვე, ტ. II, გვ. 47 (რუს.).

500 კომლი თურქი ცხოვრობდა, დაანგრია მეჩეთები, დახოცა მოლები და თურქი შეიარაღებული მოხელენი, გააქრისტიანა მაჰმადიანები, ხოლო ვინც გაქრისტიანებაზე უარი თქვა, ჩრდილოეთ კავკასიაში გაასახლა.[1] რადგან სოლომონს ქუთაისის ციხის ასაღებად საჭირო ზარბაზნები არ გააჩნდა, ამიტომ ალყა შემოარტყა ციხეს და ვარაუდობდა, რომ თურქი მეციხოვნენი მას დანებდებოდნენ.[2] იმავე დროს მან აიღო შორაპნის ციხეც[3].

ცუცხვათის, შორაპნისა და ქალაქ ქუთაისის აღების შემდეგ ტოტლებენი 4000-კაციანი არმიით იმერეთში გადავიდა და რუს-ქართველთა ლაშქარი ბაღდათის ციხეს შემოადგა. იქ მხოლოდ 30 თურქი მეციხოვნე იყო გამაგრებული.

ბაღდათის ორკომკიანი ციხე ხანისწყლის მარცხენა ნაპირზე იდგა და ახალციხიდან იმერეთში შემოსასვლელ გზას დარაჯობდა. აუცილებელი იყო ამ ციხის აღება, რათა ქუთაისის ციხეში მომწყვდეულ თურქებს დამხმარე ძალა არ მიეღოთ.

ტოტლებენმა ციხეს ზარბაზნები დაუშინა, თურქებმაც საარტილერიო სროლით უპასუხეს, მაგრამ ცეცხლი მალე შეწყვიტეს, რადგან სრული გარემოცვის პირობებში ახალციხიდან დახმარების იმედი დაეკარგათ და სხვა გამოსავალი აღარ ჰქონდათ. თურქებმა ითხოვეს დედოფლის პირით გარანტია მიეღოთ სიცოცხლის შენარჩუნებისა. დედოფალიც შორიდან მოიყვანეს და 2 ივლისს მეციხოვნე თურქებმა მას ბაღდათის ციხე ჩააბარეს.

რადგან იმერთა მეფეს არტილერია არ ჰქონდა და ციხეებში ჩამდგარი თურქები ყოველთვის ჯობნიდნენ მას არტილერიით, სოლომონ მეფემ ტოტლებენს ციხე დაანგრევინა, რითაც თურქებს ეს უპირატესობა წაართვა. როგორც ჩანს, მაშინდელ ვითარებაში მეფის ასეთი მოქმედება სწორი იყო.

ბაღდათის ციხის აღების შემდეგ რუს-ქართველთა ლაშქარი ქუთაისის ციხეს შემოადგა. ტოტლებენმა ეს წარმატებები მხოლოდ თავის თავს მიათვალა და რუსეთში აცნობა: „იმპერატორის ჯარით ორი სიმაგრე — ბაღდათი და შორაპანი თურქებს წავართვი, არ დამიკარგავს არც ერთი ჯარისკაცი... ქალაქი ქუთაისი მთლიანად დაკავებულია და სიმაგრე ბლოკადაშია“.

ტოტლებენის წერილის სიყალბეს ამჟღავნებს სოლომონ მეფის მიერ გრაფ პანინისათვის გაგზავნილი 1770 წლის 14 ივლისის წერილი:

---

[1] ა. ცაგარელი, ტ. II, გვ. 47 (რუს.).

[2] იქვე (რუს.).

[3] იქვე (რუს.).

„სანამ ბრწყინვალე ღრაფი იმერეთს მოვიდოდა, ცუცხვათის ციხე ავიღეთ, შორაპანს ჯარი შემოვაყენეთ და ჩვენი ურჩეულესის ჯარითა ქუთაისის ქალაქს მოვადექით და ქალაქი ყოველივე, გარდა ციხისა, ავიღევით, და მრავალნი სულნი გამოვიყვანეთ... ამასობაში ტოტლებენი იმერეთის საზღვარზე მოვიდა და ერთად ბაღდათის ციხეს შემოვადეგით, ბაღდათის აღების შემდეგ... ქუთაისის ქალაქისა დანაშთენსა ციხესა მოვადეგით, და შორაპანს, რომელი ჩემი ჯარისა მიერ ადრიდგან მოცული იყო, გამორჩეულის ჩემის კაცით წაველ და იგიცა მისვლისავე ჩემისა ავიღე“[1].

ანალოგიური წერილით სოლომონი იმპერატრიცა ეკატერინესაც აცნობებდა, რომ „შორაპანს ჩემი ჯარი ადრიდანვე ადგა, და მათი მოუძლურება ვისმინე, წაველ სწრაფათ მხოლოდ ჩემის ჯარით და იგიცა დაუყოვნებლად ავიღე“[2].

ტოტლებენი სიყალბეს დანაშაულსაც უმატებს. ერთთვიანი ალყის შემდეგ დაუძლურებულმა თურქმა მეციხოვნეებმა ფარხმალი დაყარეს. ქუთაისის ციხეში 60-მდე თურქი ჯარისკაცი და 220 ორივე სქესის მცხოვრები იყო შეფარებული; ტოტლებენმა თურქების გარნიზონთან მოლაპარაკება გამართა და ციხის ჩაბარება მოითხოვა[3]. თურქები მზად იყვნენ, ციხე ჩაებარებინათ, მხოლოდ ითხოვდნენ თურქეთში გაშვებას. ტოტლებენს აცნობეს, რომ 6 აგვისტოს, ღამით, თურქები ციხიდან გაპარვას აპირებდნენ; მან სადარაჯო პუნქტების დაცვა გერმანელ ოფიცრებს მიანდო (8 ოფიცრიდან — 7 გერმანელი იყო)[4]. 6 აგვისტოს ღამით თურქები ციხიდან გამოვიდნენ და რუს „პიკეტებს“ შორის „გაიპარნენ“. კაპიტანი ლვოვი აღნიშნავს, ჩვენ ოთხი ათასი კაცი გვყავდა და მშიერი თურქების შეკავება ადვილი საქმე იყო, მაგრამ ტოტლებენის მიერ პიკეტებად გამოყოფილი გერმანელი ოფიცრები, მტრის შეპყრობის ნაცვლად, ციხეში შეიჭრნენ და ძარცვა-გლეჯას შეუდგნენო[5]. ამ ცნობას იაზიკოვიც ადასტურებს. მისი ცნობით, ქუთაისის ციხეში 60 თურქი ჯარისკაცი იყო, რომლებიც ტოტლებენის მიერ დაყენებულ „პიკეტებს“ შორის გაიჭრნენ და თავს უშველეს, ხოლო ციხის აღებისას 70 რუსი ჯარისკაცი დაიღუპა.[6] ტოტლებენმა გვიან აცნობა სოლომონ მეფეს თურქ-

---

[1] ა. ცაგარელი, ტ. II, გვ. 47—48 (რუს.).
[2] იქვე, გვ. 48—49.
[3] ვ. მაჭარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 97.
[4] იქვე.
[5] ა. ცაგარელი, ტ. I, გვ. 257—261 (რუს.).
[6] იქვე, გვ. 179 (რუს.).

ების გაქცევის ამბავი[1]. მეფემ ზომები მიიღო, მაგრამ ამასობაში თურქებმა გაასწრეს და მიიმალნენ, მხოლოდ ერთი თურქი შეიპყრეს და ერთიც მოკლეს[2].

სოლომონმა ქუთაისის ციხეც დაანგრევინა ტოტლებენს. საფიქრებელია, ტოტლებენმა შეგნებულად გაატარა თურქი მეციხოვნენი, ხოლო რუსეთის მთავრობას ყალბი ცნობა მიაწოდა, რომ 7 აგვისტოს ქუთაისის ციხე იერიშით ავიღე, მტრის ჯარისკაცების ნაწილი ტყვედ ჩავიგდე, სხვები დავხოცე, თავი თითქმის არავის დაუღწევია, ჩვენი ზარალი კი სრულიად უმნიშვნელოა, თითქმის არაფერია[3].

პროფ. ვალერიან მაჭარაძე სამართლიანად ასკვნის, რომ „იმერეთის ციხეების შედარებით იოლი გათავისუფლება უთუოდ ასპინძის ბრძოლაში თურქთა დამარცხებამ განაპირობა... რომ სოლომონ პირველი რუსეთის ჯარის დაუხმარებლადაც ადვილად იკავებს ცუცხვათისა და შორაპნის ციხეებს, ქალაქ ქუთაისს და ალყაში აქცევს ქუთაისის ციხეს. ცხადია, ეს ციხეები ასე ადვილად არ იქნებოდა აღებული, მით უმეტეს, რუს-ქართველთა ჯარს საალყო ქვემეხები არ გააჩნდა, რომ იმერეთში მყოფ თურქ მეციხოვნეებს ახალციხის ფაშის დახმარების იმედი ჰქონოდა... რა თქმა უნდა, ასევე შეცდომა იქნებოდა ასპინძის ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება და იმერეთის ციხეების შედარებით იოლი განთავისუფლება, რუსეთ-თურქეთის ომის საერთო მსვლელობისაგან იზოლირებულად წარმოგვედგინა და დაგვეიწყებინა, რომ ამ დროს რუსეთის არმია დუნაის რაიონში თურქთა ძირითად ძალებს (400-ათასიან არმიას) აბანდებდა"[4].

ერეკლე მეფეც საღად აფასებდა მაშინდელ პოლიტიკურ ვითარებას და პანინს სწერდა, რომ თუ ტოტლებენი ახალციხის მიმართულებით ლაშქრობას გააგრძელებს, წარმატების შემთხვევაში იმერეთის ციხეებში მდგომი ჯარი თავისთავად დაგვნებდება, რადგან ახალციხიდან დახმარების იმედი აღარ ექნებათო.

ამგვარად, ოსმალები სრულიად განიდევნენ იმერეთიდან. როგორც ზემოთ ითქვა, სოლომონ მეფის ბრძანებით, ციხეები მთლიანად დაანგრიეს, რათა მომავალში ოსმალთ ფეხი არ მოემაგრებინათ. ეს იყო იმერეთის სამეფოს დიდი გამარჯვება განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

---

[1] ვ. მაჭარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 97.
[2] ა. ცაგარელი, ტ. I, გვ. 260 (რუს.).
[3] ვ. მაჭარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 98.
[4] იქვე.

რუსეთის არმიის დახმარებით იმერეთიდან თურქების განდევნის შემდეგ სოლომონ მეფემ დასავლეთი საქართველოს გაერთიანება დაისახა მიზნად. იგი თვლიდა, რომ უამისოდ თურქების განდევნას აზრი არ ჰქონდა, რადგან თურქებს შეეძლოთ, ისევ ესარგებლათ შინაფეოდალური უთანხმოებით და იმერეთი დაეკავებინათ; ამიტომ, პირველ რიგში, დადიანისა და გურიელის შემუსვრა იყო საჭირო. იგი შეუდგა კიდევაც ამის სამზადისს, მაგრამ სწორედ აქ წააწყდა რუსეთის მხრივ წინააღმდეგობას.

სოლომონ მეფემ წინადადება მისცა ტოტლებენს, დადიანის წინააღმდეგ გაელაშქრათ, მაგრამ მან ეს წინადადება უარყო. სოლომონის მოქმედებამ კანცლერ პანინის უკმაყოფილება გამოიწვია, დადიანის წინააღმდეგ მეფის ბრძოლას მან „კერძო ჩხუბი" უწოდა და მოითხოვა სამეფო-სამთავროების შეკავშირება და ერთიანი ძალებით ბრძოლა თურქეთის წინააღმდეგ.

პანინი იმერთა მეფეს ატყობინებდა, რომ რუსეთის მთავრობის მიზანია მთელი საქართველოს გამოსვლა ომში თურქეთზე გამარჯვებისათვის, ამიტომ იგი არ სცნობდა ქართველი მეფის შინაბრძოლას სამთავროების შემოერთებისათვის.

რასაკვირველია, გაერთიანებულ დასავლეთ საქართველოს უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლო რუსეთისათვის თურქეთთან ომში, ვიდრე დაქუცმაცებულს, როცა სამთავროების მფლობელნი ცალი თვალით თურქეთისაკენ იცქირებოდნენ და მის მოკავშირეებად შეიძლება გამხდარიყვნენ. მაგრამ ეს უფრო შორეული პერსპექტივა იყო.

არსებული ვითარება კი რუსეთის ინტერესების თვალსაზრისით არა შინაომს, არამედ თურქეთის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ მოქმედებას ითხოვდა, ამიტომ იმერეთის ელჩს იმპერატორის კარზე — კვინიხიძეს განუცხადეს: „ძალიან უსამართლო იქნებოდა, რათა რუსეთის საიმპერიო ჯარებს იმერეთში უშიშროება და სიმშვიდე დაემყარებინათ, მაშინ როცა საკუთარი მფლობელი მასში არ მონაწილეობს"[1].

მაშინ იმერთა მეფემ წინადადება მისცა ტოტლებენს, შავი ზღვის სანაპიროზე ელაშქრათ, მაგრამ ტოტლებენმა ეს წინადადება უარყო და თავის მხრივ (მოჩვენებით) სამზადისი დაიწყო ახალციხეზე გასალაშქრებლად. სოლომონ მეფე მზად იყო ამ ლაშქრობაშიც მიეღო მონაწილეობა, მაგრამ ტოტლებენმა მას ამის საშუალება არ მისცა.

სოლომონის გვერდის ავლით ტოტლებენმა გაილაშქრა ახალ-

---

[1] ა. ცაგარელი, ტ. I, გვ. 273 (რუს.).

ციხის მიმართულებით, მაგრამ სოფელ ფერსათის რაიონში გზები დაიწუნა და უკან გამობრუნდა; შემდეგ ქართლის გზითაც დააპირა ლაშქრობა, მაგრამ ამ დროს რუსეთიდან იაზიკოვის ჩამოსვლამ შეაჩერა.

სოლომონს შემომწყრალი ტოტლებენი 1769 წელს თურქების ყოფილ მოკავშირეს, იმერთა მეფის მტერს, დადიანს დაუახლოვდა და მისი მოკავშირეობით შავი ზღვისაკენ სალაშქროდ დაიძრა.

რუსეთის ჯარის მოახლოებისთანავე ანაკლიისა და რუხის ციხეები, რომლებშიც ოც-ოცი მეციხოვნე იდგა, თურქებმა დაცალეს და ტოტლებენი ცარიელ ციხეებს დაეუფლა. 1770 წლის 3 ოქტომბერს ტოტლებენი ფოთის ციხისაკენ დაიძრა და ამ ოთნკოშკიან სიმაგრეს ალყა შემოარტყა.

გენერალმა ფოთის ციხე ვერ აიღო, იგი ძლიერ გამაგრებული აღმოჩნდა. მოკავშირე მთავრებიც: დადიანი, გურიელი და შერვაშიძე მეტად საეჭვოდ მოქმედებდნენ. დეკემბრის თვეში თურქებმა ბათუმში ძალებს მოუყარეს თავი და ფოთის დასახმარებლად წამოვიდნენ. ეს სოლომონ მეფემ ტოტლებენს აცნობა, მაგრამ გენერალმა არ დაუჯერა, სანამ მტრის ავანგარდი არ გამოჩნდა. იაზიკოვისა და ლვოვის თხოვნით სოლომონმა სასწრაფოდ გასწია გურიისაკენ საფრთხეში ჩავარდნილი რუსის ჯარის დასახმარებლად. 1771 წლის იანვარში მან გზა მოუჭრა თურქებს და აიძულა უკან გაბრუნებულიყვნენ. ამით იმერთა მეფემ ორი საქმე გააკეთა: განადგურებისაგან იხსნა რუსეთის კორპუსი და გადააყენა ოსმალთა მიმდგომი გიორგი გურიელი; ისევ მისი უფროსი ძმა მამია გაამთავრა, გურიის თავადაზნაურობა ერთგულებაზე შემოიფიცა, მძევლები გამოართვა და უკან დაბრუნდა. ამით სოლომონმა გურიის სამთავრო ისევ დაუმორჩილა იმერეთის სამეფოს.

ფოთის ციხის ალყა გაჭიანურდა, რუსეთის ჯარში მასობრივმა დაავადებამ იჩინა თავი, კორპუსმა ბრძოლის უნარი დაკარგა.

ფოთის კამპანიის მარცხი გენერალმა ქართველ მეფეებს გადააბრალა — ხელს არ მიწყობენო. მაგრამ ამის პასუხი კაპიტან იაზიკოვის მოხსენებიდან ჩანს: „ტოტლებენს არ სურდა მეფეებთან ერთად მოქმედება, თავიდან იცილებდა მათ; შეურაცხყოფდა მეფეებს — სოლომონს „თურქს“ ეძახდა, ერეკლეს — „მოღალატეს“; ასეთ პირობებში მეფეებიც გულგრილად ექცეოდნენ საექსპედიციო ჯარის მომარაგების საქმეს“[1].

ტოტლებენის ასეთი დამოკიდებულება მეფეებთან იწვევდა რუსეთის სამხედრო კორპუსის იზოლირებას, რაც საზიანო იყო

---

[1] ა. ცაგარელი, ტ. I, გვ. 180—183 (რუს.).

თვით რუსეთისათვის. სათანადო ცნობების მიღების შემდეგ იმპერატრიცასათვის ცხადი გახდა, რომ ტოტლებენი სისუსტეს იჩენდა თავისი მისიის შესრულებაში და ვერ ახერხებდა საქართველოს ძალების გამოყენებას რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ. ამიტომ მან ტოტლებენის მოქმედების შესასწავლად გამოგზავნა კაპიტანი იაზიკოვი, რომელმაც ჩამოსვლისთანავე დააპატიმრა გენერლის მრჩეველი მოურავოვი და ტოტლებენის საქმიანობის შესწავლას შეუდგა. მისი დაკვირვებით, ტოტლებენი საქართველოში იჩენდა უხეშობასა და სიმკაცრეს, რაც აფრთხობდა ქართველებს, რომელთა გამოყენება შეიძლებოდა მხოლოდ მოფერებით.[1]

* * *

იმერეთიდან თურქი ოკუპანტების გაძევებამ დააფრთხო ოდიშის მთავარი კაცია დადიანი; იგი ფიქრობდა, რომ მოკლე ხანში სოლომონის სიძლიერე მასაც და მის სამთავროსაც მოუღებდა ბოლოს, ამიტომ დადიანმა გამოიყენა ტოტლებენისა და სოლომონის უთანხმოება და რუსეთის მხარეზე დადგა იმ მიზნით, რომ რუსეთის მთავრობას დაეცვა მისი დამოუკიდებლობა იმერეთის მეფისაგან; თავის მხრივ, დადიანი ტოტლებენს შავი ზღვის სანაპიროზე თურქების წინააღმდეგ დახმარებას პირდებოდა.[2]

სოლომონ მეფეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ოდიშის დაქვემდებარება იმერეთის სამეფოსადმი. „სანამ ცოცხალი ვართ, ცდას არ მოვშლით, რათა იგი ჩვენს სრულს ქვეშევრდომობაში შემოვიყვანოთ“[3] — უცხადებდა სოლომონი რუსეთს.

იმერთა მეფემ თავის ელჩს კვინიხიძეს დაავალა, რომ არ დაეშვა რუსეთის სამეფო კართან დადიანის მიმოწერა და თანაც გამოეთხოვა დასტური სოლომონის პრეტენზიებზე ოდიშისა და ლეჩხუმის მიმართ.[4]

რუსეთის მთავრობა უკმაყოფილოდ შეხვდა იმერთა მეფის მოთხოვნებს და მხარი არ დაუჭირა მათ. მან კავშირი გაუბა დადიანთან; ტოტლებენმა ფიციც კი მიაღებინა დადიანს რუსეთის ხელმწიფისადმი ერთგულებაზე.

დადიანს კავშირი რომ არ დაემყარებინა ტოტლებენთან და

---

[1] ა. ცაგარელი, გვ. 176.
[2] იქვე, გვ. 300.
[3] იქვე, გვ. 156.
[4] იქვე, გვ. 93.

ერეკლე მეორესთან[1], სოლომონ მეფემ შეკრა იმერეთის სამეფო საზღვრები, მაგრამ დადიანის „ხმა“ მაინც მისწვდა რუსეთის იმპერიას.

გენერალ-მაიორი პოტაპოვი ყიზლარიდან გაგზავნილ მოხსენებაში საიმპერატორო კარს სწერდა, რომ იმერეთის მეფე სოლომონი მოითხოვს სამეგრელოს სამთავროს მისთვის დამორჩილებას, აგრეთვე დადიანის ელჩებისა და წერილების მიღებაზე უარის თქმას ხელმწიფის კარის მიერ, მაგრამ ამავე დროს, იმერეთის მეფე სოლომონი ოსმალებთან ბრძოლაში მონაწილეობას არ გვპირდება, სამეგრელოს მთავარი კი თვითონ მოგვმართავს — დახმარებას გაგიწევთო, ამასთანავე, სამეგრელოს სამთავრო თავისი ადგილმდებარეობით შავი ზღვის სანაპიროზეა. მას შეუძლია ჩვენთვის დიდი სარგებლობის მოტანა, რის გამოც სასურველია ამ მთავრის კეთილგანწყობილების მოპოვება და განმტკიცება. ამიტომ მისგან გამოგზავნილი პირები დაუყოვნებლივ უნდა იყოს ხელმწიფის კარზე დაშვებულიო. თუ სამეგრელოს მთავრის კაცია დადიანის გამოგზავნილი კაცი მოვა და მოითხოვს ხელმწიფის კარზე გაშვების ნებართვას, მაშინვე დაუბრკოლებლივ უნდა მიიღოთო[2]. სოლომონ მეფე კი თავგამოდებით უმტკიცებდა რუსეთს, რომ იმერეთთან ოდიშის შეერთება დაბრკოლებისაგან გაანთავისუფლებს იმერეთის მეფეს, რომელსაც საშუალება მიეცემა მთელი თავისი ძალებით მიიღოს მონაწილეობა მიმდინარე ომშიო[3]. მაგრამ დასავლეთი საქართველოს გაერთიანების აზრს რუსეთმა მხარი არ დაუჭირა. ამ მიზეზის გამო შეუძლებელი აღმოჩნდა ერთიანი სამხედრო ოპერაციების წარმოება ოსმალეთის წინააღმდეგ.

რუსეთის ხელისუფლება სოლომონისა და დადიანის შერიგებას ერეკლე მეფის დახმარებითაც ცდილობდა.

ერეკლე მეორე გრაფ პანინს სწერდა: „უმაღლესის ბრძანებით მე და ტოტლებენს დავალებული გვაქვს იმერეთის მეფის სოლომონისა და კაცია დადიანის შერიგება. მეორე წელიწადია, რაც ჩვენ ვცდილობთ მათ შერიგებას, მაგრამ სოლომონს ეს არ სურს — იგი დადიანისაგან მოითხოვს ზოგიერთი ადგილის დათმობას და მისი მორჩილების აღიარებას. წარსულ წელს მისი უმაღ-

---

[1] კაცია II დადიანი იყო ერეკლე მეფის სიძე: მას ცოლად ჰყავდა ერეკლეს დაი, თეიმურაზ მეორის ასული ელისაბედი, რომელიც დასაფლავებულია ცაგერის (ლეჩხუმი) ეკლესიის ეკვდერში (იხ. დაწვრილებით, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. X, თბ., 1940, გვ. 208).

[2] ა. ცაგარელი, ტ. I, გვ. 66—68 (რუს.).

[3] იქვე, ტ. II, გ. I, გვ. 70 (რუს.).

ლესობის ბრძანების თანახმად, დადიანს განზრახვა ჰქონდა, ჩვენთან გადმოსულიყო და ხელმწიფის კარზე გაეგზავნა თავისი ძმა, მაგრამ სოლომონმა მას გზა შეუკრა და ამის ნება არ მისცა. ახლა არც ჩვენ კაცებსა და წერილებს უშვებს დადიანთან"[1].

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მთავრობა ცდილობდა მათ შერიგებას, სოლომონი მტკიცე უარზე იდგა; რუსეთის ხელმწიფისადმი გაგზავნილ წერილში იგი ამტკიცებდა: „კაცია ჩიქვანს უკანონოდ მიუთვისებია დადიანობა და ჩვენი კუთვნილი ლეჩხუმი და როგორც ძველად ჩვენი მორჩილი ყოფილა დადიანი, ახლაც ისე უნდა დარჩეს"[2].

1771 წელს პანინისადმი მიმართვაში კაპიტანი იაზიკოვი წერს: „მეფე სოლომონისა და თავადი დადიანის შერიგება შეუძლებელია; თუმცა მეფე სოლომონი დადიანის სიძეა, მაგრამ ისინი ერთმანეთის ვერაგი მტრები არიან. მე რომ იმპერატორის სახელით არ გამეფრთხილებინა სოლომონი, იგი აუცილებლად გაანადგურებდა მთავარ დადიანს, ვინაიდან ახლა სოლომონი გაძლიერდა და მთელი იმერეთი მის ხელშია"[3].

კაცია დადიანი თავის მხრივ ეკატერინე II არწმუნებდა თავის ერთგულებაში და სწერდა: „მე მყავს ისეთი მტერი, როგორც სოლომონ მეფეა, რომელიც თქვენთან არ მიშვებს და გზასაც არ მაძლევს. სამსახური და ერთგულება ჩვენზე იყოს. გთხოვთ, არ ერწმუნოთ ჩვენი მტრის სიტყვას"[4].

ამ მიმოწერიდან ჩანს, თუ როგორ ექიშპებოდნენ მეფე- მთავარი ერთმანეთს რუსეთის ხელმწიფის კარზე თავიანთი პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ რუსეთი სრულებითაც არ იყო განწყობილი, იმერეთს მიმხრობოდა და სამეგრელო მისთვის დაემორჩილებინა.

ამ პერიოდში იმერეთის მეფემ დრო იხელთა და ლეჩხუმი დალაშქრა, დეხვირისა და ჭყვიშის ციხეების ხელში ჩაგდება სცადა, მაგრამ უშედეგოდ — ხელცარიელი უკან გამობრუნდა.

*

როგორც ზემოთ ითქვა, ტოტლებენის წინააღმდეგ მეფეთა მიერ გაგზავნილმა წერილებმა რუსეთის სამეფო კარი აიძულა საქ-

---

[1] ცაგარელი, გვ. 43 (რუ
[2] იქვე, გვ. 69—70 (რუს.).
[3] იქვე, ტ. I, გვ. 295 (რუს.).
[4] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ. 1973, გვ. 428.

მის გამოსაძიებლად კაპიტანი იაზიკოვი გამოეგზავნა საქართველოში. გაერკვა რა შექმნილ ვითარებაში, იაზიკოვმა მოხსენებითი ბარათი გაგზავნა რუსეთში და დაარწმუნა სამეფო კარი, რომ ტოტლებენი საქართველოში რუსეთს უფრო სირცხვილს უხვეჭდა, ვიდრე სახელს, ამიტომ 1770 წლის დეკემბერში ეკატერინე II-ის დასტურით გენერალი ტოტლებენი საქართველოდან გაიწვიეს — იგი გენერალმა სუხოტინმა შეცვალა.

ტოტლებენის მოქმედება საქართველოში მეტად წინააღმდეგობრივი იყო და ამ მოქმედების შეფასებაც მკვლევართა მიერ ასევე წინააღმდეგობრივია.

ქართველები ტოტლებენის სახელს უკავშირებენენ ასპინძის ბრძოლას — ქართული სამხედრო ისტორიის ერთ-ერთ ბრწყინვალე ფურცელს, როცა ამ გენერალმა ვერაგულად მიატოვა მრავალრიცხოვანი მტრის წინაშე მდგარი ერეკლე მეფე. მაგრამ არანაკლებ ვერაგული იყო მისი მოქმედება შემდეგშიც, მთელი მისი „მოღვაწეობის" მანძილზე. თუმცა ყოველივე ეს არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ გავიხსენებთ ამ გენერლის შავბნელ ბიოგრაფიას.

ტოტლებენი ცნობილი გერმანელი ავანტიურისტი იყო. მას ფართოდ იცნობდნენ როგორც ამორალურ ადამიანს, მექრთამეს, მფლანგველს და ჯაშუშს. იგი არაერთხელ იყო დაპატიმრებული; ჯერ კიდევ შვიდწლიანი ომის (1757—1763 წწ.) დროს, როცა რუსეთის სამხედრო კორპუსს მეთაურობდა, გამომჟღავნდა მისი ბნელი საქმეები — პრუსიის იმპერატორთან — ფრიდრიხ II-სთან მიმოწერისას, რასაც ტოტლებენი აწარმოებდა; რუსმა ოფიცრებმა ეჭვი შეიტანეს მის ერთგულებაში და შეიპყრეს ტოტლებენის აგენტი, რომელსაც ფრიდრიხ II-სთვის გადასაცემი რუსეთის გენერალური შტაბის საიდუმლო გეგმები აღმოაჩნდა. ტოტლებენი დააპატიმრეს და სამხედრო სასამართლომ მას 1762 წელს სიკვდილის განაჩენი გამოუტანა. იმპერატრიცა ეკატერინე II-მ ტოტლებენი შეიწყალა და 1763 წელს სიკვდილით დასჯა შეუცვალა ჩინების აყრით, რუსეთიდან გაძევებით და კანონგარეშე გამოცხადებით, ე. ი. რუსეთის ტერიტორიაზე გამოჩენისას ყველას შეეძლო მოეკლა იგი, როგორც რუსეთის მოღალატე, ისე, რომ პასუხს არ აგებდა.

1769 წელს ტოტლებენმა შეწყალება სთხოვა იმპერატრიცა ეკატერინეს. მანაც შეიწყალა ტოტლებენი და საქართველოში გამოგზავნილი ჯარის მეთაურად დანიშნა[1]. ამით რუსეთის მთავრო-

[1] გავიხსენოთ, რომ რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II ეროვნებით გერმანელი იყო.

ბამ გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა და დიდი ზიანი მიაყენა როგორც საკუთარ ქვეყანას, ისე საქართველოს[1].

ტოტლებენმა ფაქტიურად ჩაშალა საომარი კამპანია საქართველოს ფრონტზე 1770—1771 წლებში.

საქართველოში მოსული ტოტლებენი ხან იმერეთში იყო და ხან ქართლში, უნდოდა ეჩვენებინა ვითომ ორივეს ეხმარებოდა, სინამდვილეში არც ერთს შველოდა და არც მეორეს. სამხედრო ნიჭს მოკლებულ ტოტლებენს არც დიპლომატიური ნიჭი აღმოაჩნდა და უთავბოლო მოქმედებით უკმაყოფილო გახადა ქართველი მეფეები, იმავე დროს, მან გააძლიერა და გაამწვავა მეფეთა და მთავართა შორის არსებული წინააღმდეგობანი და ამით დააბრკოლა ერთიანი ძალით ბრძოლა თურქეთის წინააღმდეგ. ყოველივე ეს ცხადი გახდა, მაგრამ გვიანღა იყო — რუს-ქართველთა გაერთიანებული სამხედრო ძალით ვერც ფოთი გათავისუფლდა, ვერც ახალციხე დაილაშქრა.

საქართველოსათვის რომ სახელი გაეტეხა, ტოტლებენი რუსეთის ხელისუფალთ მოახსენებდა: შეუძლებელია მეფეებისა და მთავართა ძალების გაერთიანება და თურქეთის წინააღმდეგ გამოყენება, რადგან ისინი ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ არიან გადაკიდებულნი, ქართველები ირეგულარული (უწესრიგო) ხალხია, გარდა ძარცვისა, არაფერი ეხერხებათ, მეფეებს ომი თურქეთის წინააღმდეგ არ სურთ; ერეკლეს ერთადერთი სურვილია რუსეთის ჯარი და ხაზინა სპარსეთის წინააღმდეგ გამოიყენოს, სოლომონი კი მხოლოდ დადიანისა და გურიელის წინააღმდეგ იბრძვისო[2].

ტოტლებენის აქტიური და მოურიდებელი მოქმედება რუსთა ერთგულებაზე მოსახლეობის დაფიცებაში გვაფიქრებინებს, რომ წერილობითი ინსტრუქციის საპირისპიროდ, სადაც აღნიშნული იყო, რომ რუსეთის წინაშე იმჟამად საქართველოს შეერთების საკითხი არ იდგა, გენერალს სხვანაირი სიტყვიერი ინსტრუქცია უნდა ჰქონოდა მიღებული ამ საკითხში უმაღლეს დონეზე; ამიტომაც იყო, რომ ტოტლებენის დანაშაულებრივი მოქმედება საქართველოში ასე განუკითხავი და დაუსჯელი დარჩა იმპერიის ხელმძღვანელთა მხრივ.

გენერალ სუხოტინსაც იგივე ამოცანა ჰქონდა შესასრულებელი საქართველოში, რაც გენერალ ტოტლებენს: ქართველ მეფე-

---

[1] საქართველოდან სასწრაფო წერილი მხოლოდ 40—45 დღეში ჩადიოდა პეტერბურგში.

[2] ა. ცაგარელი, ტ. II, გ. I, გვ. 55 (რუს.).

მთავართა ძალების გაერთიანება და თურქეთისათვის მათი შესევა, საქართველოში მყოფი რუსის ჯარის ნაწილების ისე გამოყენება, რომ ბრძოლის სიმძიმე რუსის ჯარს არ დასწოლოდა. ამავე დროს, რუსეთის ხელისუფლებას სურდა სანამ რუსეთ-თურქეთის ომი მიმდინარეობდა, ფოთის ნავსადგურის ხელში ჩაგდება და მისი გამოყენება რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ბაზად. ამავე დროს საგარეო საქმეთა კოლეგია სუხოტინს მიუთითებდა, რომ „რუსეთს პირველ რიგში დაუსახავს მიზნად საქართველოს გამოყენება მიმდინარე ომში და არა საქართველოს შეერთება. ტოტლებენის ღონისძიებების გატარებას სუხოტინს იმ შემთხვევაში ურჩევენ, თუკი ამ გზით უფრო ადვილად და მიზანშეწონილად მოხდება ქართლ-კახეთის ჩაბმა თურქეთის წინააღმდეგ ომში, თუ არა და სუხოტინს ეკრძალება ტოტლებენის ღონისძიებათა გატარება (იგულისხმება შეერთება); მას გამეორებით მიუთითებენ, რომ ამჟამად რუსეთის მიზანი არ არის საქართველო შეიერთოსო. ასეთი გეგმებით და მიზნებით იყო რუსეთი გამსჭვალული საქართველოს მიმართ თურქეთთან ომის დაწყების წინ (1768 წ.) და თვით ომის პერიოდშიც[1].

საინტერესოა 1771 წლის 13 იანვარს ეკატერინე II-ს მიერ სუხოტინისათვის მიცემული მითითებანი: 1. ჩვენი განზრახვა იყო და არის ქართველების გამოყენება თურქეთის წინააღმდეგ ომში, საქართველოს შეერთებას რუსეთთან ჩვენ ამჯერად ამოცანად არ ვისახავთ, 2. „დივერსია“ უნდა მოეწყოს შემდეგნაირად: კარგი იყო, რომ ქართველებს შეძლებოდათ ომის წესიერად წარმოება. რა თქმა უნდა, ამას დიდი შედეგები მოჰყვებოდა; მაგრამ როგორც ჩანს, ასეთი რამ შეუძლებელია; ქართველებს მტრის ძარცვა, მათზე ცალკეული თავდასხმები ემარჯვებათ და ასეც იმოქმედონ, რათა თურქები შეაწუხონ. ამიტომ თქვენზეა დამოკიდებული, რომელ მიმართულებით დაინახავთ საჭიროდ ჯარის მიშველებას მათ გასამხნევებლად. შეგიძლიათ, შეუდგეთ ციხეების ალყასაც და სხვ. ამის უფლებას არ გართმევთ, მაგრამ უნდა გაითვალისწინოთ თქვენი ძალები და ისიც, რამდენად შეგიძლიათ დაემყაროთ ქართველების იმედს; 3. ტოტლებენის დაწყებული საქმე — ქართველების ძალით დაფიცება რუსეთის ერთგულებაზე თუ ხელს შეუწყობს ქართველების მონაწილეობას ომში, შეგიძლიათ, გააგრძელოთ, ამის გარეშე კი იგი ზედმეტია. სოლომონისა და დადიანის

---

[1] ი. ციხელაძე, ორი [illegible] ერთობის ისტორიიდან, ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, V—VI, თბ., 1940, გვ. 311.

ურთიერთობის საკითხში იმოქმედეთ ისე, როგორც რუსეთის ინტერესებისათვის იქნეს სასარგებლო — (დადექით იმის მხარეზე, ვინც უფრო სასარგებლოა თურქეთის წინააღმდეგ საომრად, შეეცადეთ მათ შერიგებას), ასევე მოიქეცით გურიის საკითხშიც. საქართველოში ჩასვლისთანავე კონტაქტი დაამყარეთ ერეკლესთან, როგორც უძლიერესთან; თუმცა ტოტლებენი მას საშიშ კაცად ხატავს, მაგრამ იაზიკოვი სხვანაირად უყურებს, იმოქმედეთ საკუთარი შეხედულებისამებრ; 4. გამოიჩინეთ მეტისმეტი სიფრთხილე, იმოქმედეთ მტკიცედ, მიიღეთ სწორი გადაწყვეტილებები, კარგად უხელმძღვანელეთ რუს-ქართველთა ერთობლივ მოქმედებას თურქეთის წინააღმდეგ. 5. თუმცა ჩვენ თავდაპირველად საჭიროდ და შესაძლებლად ვთვლიდით, ესწავლათ ქართველებს არტილერიის საქმე, ქალაქების ევროპულად გამაგრება, თოფისწამლის გაუმჯობესება და სხვა, მაგრამ, როგორც ტოტლებენის მოხსენებიდან ჩანს და როგორც საქართველოში მომხდარმა ამბებმა დაგვარწმუნა, ასეთი რამ ზედმეტია[1].

ამ რჩევა-დარიგებიდან ჩანს, ტოტლებენი საქართველოს შესახებ ყალბ ცნობებს აწვდიდა რუსეთის საიმპერატორო კარს და რუსეთის მთავრობას არწმუნებდა, რომ ქართველები საეჭვონი იყვნენ, მათზე დანდობა არ შეიძლებოდა.

ასეთსავე ვრცელ დარიგებას აძლევდა სამხედრო კოლეგია სუხოტინს და 1770 წლის 31 დეკემბრის ბრძანებით ავალებდა, ჯარში დაცულიყო მკაცრი დისციპლინა, ალაგმულიყო ყოველგვარი თვითნებობა და ადგილობრივი მცხოვრებლების შევიწროება[2].

— ასეთი დავალებით ჩამოვიდა სუხოტინი საქართველოში 1771 წელს. იმავე წლის 13 მაისს იგი ქუთაისშია.

პირველ რიგში სუხოტინმა დასავლეთი საქართველოს მეფე-მთავრები დააიმედა და დროებით მაინც ერთმანეთს მოარიგა, იმავე წლის 15 ივნისს ქართველი მეფე-მთავრები ხელთუბანში (ქართლში) შეკრიბა და თათბირი გამართა, თუ როგორი გეგმით უნდა ემოქმედათ იმ წელს თურქეთის წინააღმდეგ.

ეს გეგმა თავიდან ბოლომდე შემუშავებული იყო სუხოტინის მიერ (იხილეთ დანართი № 1) იმ მითითების საფუძველზე, რომელიც ეკატერინე II-მ მისცა საქართველოში გამომგზავრებამდე. მთელი ოპერაციული გეგმა მიზნად ისახავდა ძირითადად ფოთის აღებას (რომელიც ახალი ამოცანა იყო რუსეთის ჯარისათვის საქართველოში). სუხოტინის ჩანაფიქრის მიხედვით, ეს გეგმა ასე

---

[1] ვ. მაჭარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 114—115.
[2] იქვე, გვ. 116.

წარმოგვიდგება: თვით სუხოტინი რუსის კორპუსით ალყას შემოარტყამს ფოთის ციხეს ხმელეთიდან, ხოლო ქართველ მეფე-მთავრებს ევალებათ ალყად შემორტყმული რუსეთის კორპუსის დაცვა ზურგიდან. ამისათვის ერეკლე მეორემ 14.300 მეომარი უნდა გამოიყვანოს. ამათგან ორ-ორ ათასიანი კორპუსი კახეთსა და ბორჩალოში უნდა დააყენოს, 300-იანი კი — გორს, რათა ლეკების თავდასხმისაგან დაიცვას სამეფოს საზღვრები, დანარჩენი 10 000 მეომარი თვით ერეკლეს სარდლობით უნდა შეიჭრას ახალციხე-ახალქალაქის მიმართულებით, თარეშობით შეავიწროოს თურქები ისე, რომ არ დაუშვას თურქთა ძირითად ძალებთან შებრძოლება. როგორც კი ერეკლე მეფე გაიგებს, რომ თურქები მასთან შესახვედრად მოდიან, ისევ უნდა გამობრუნდეს თავის საზღვრებში, როცა თურქთა ძალები დამშვიდდებიან და უკან წავლენ, ერეკლე ისევ უნდა შეიჭრას თურქეთის საზღვრებში და გაიმეოროს იგივე, და ასე შემდეგ. ასეთ ვითარებაში, სუხოტინის აზრით, თურქები ვერ დაეხმარებიან ფოთის ციხეში მყოფ გარნიზონს[1].

იმერთა მეფეს სოლომონ პირველს ამ ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად ევალებოდა 6000 მეომრის გამოყვანა. ამ ძალებით მას უნდა გაემაგრებინა ახალციხიდან იმერეთში გადმომავალი გზები და ხეობები[2].

გურიელს ტრაპიზონიდან მომავალი ზღვის პირის გზების შეკვრა და დაცვა დაევალა[3].

დადიანს უნდა დაეცვა რუსეთის ჯარი აფხაზეთის მხრივ და უზრუნველეყო ქუთაისისაკენ მიმავალი გზის უსაფრთხოება[4].

როგორც ამ გეგმიდან ჩანს, მთავარი საზრუნავი იყო რუსების მიერ ფოთის ციხის აღება; სუხოტინი ისე წარმოადგენდა ამას, თითქოს ეს მხოლოდ საქართველოს კეთილდღეობისათვის იყო საჭირო: „რუსეთის იმპერია შესამატსა თვისსა არასფერსა აქ არ ეძიებს“[5] — აღნიშნულია დოკუმენტში.

ასეთი გეგმის გაცნობის შემდეგ საქართველოს მეფე-მთავრები ერთსულოვანნი არ იყვნენ, მათ იგრძნეს, რომ სუხოტინი მათთვის დიდად სასარგებლო გეგმებს არ სახავდა. ამასთან ერთად, თითოეული მათგანი ცდილობდა, რუსეთის კორპუსი საკუთარი ინტერესებისათვის გამოეყენებინა.

---

[1] ი. ციცეაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 355—356.
[2] იქვე, გვ. 356.
[3] იქვე.
[4] იქვე.
[5] იქვე, მუხ. № 10.

ერეკლე მეფე ფოთზე გალაშქრების წინააღმდეგი იყო, ამას იმით ასაბუთებდა, რომ ზაფხულში აქაური ჰავის გამო ჯარს ბრძოლა გაუჭირდებოდა. ამასთან ერთად, ერეკლე თავის საქმეზეც ფიქრობდა. 1771 წლის 21 აგვისტოს წერილში იგი გენერალ სუხოტინს სწერდა: „აქ რომ ყარსიდან, ახალციხიდან და ბაიაზეთიდან და ლეკიც ამათ თან რომ აერიოს და მოვიდნენ ჩემზე, თქვენი მაღალმსვლელობა ნომ დიახ შორს ბრძანდება; და დადიანი და გურიელი მანდედამ და მეფე სოლომონ რომ დღესაც ბაღდათსვე ბრძანდება — არც ერთისაგან არ შეიძლება, რომ მე ისინი მომეშველონ“[1]. ნაცვლად ფოთზე გალაშქრებისა, ერეკლე ახალციხეზე ლაშქრობას მოითხოვდა. სოლომონ მეფემ მხარი სუხოტინს დაუჭირა, თუმცა იმერთა მეფემ კარგად იცოდა, რომ ზაფხულში იქაური ჰავის გამო ფოთზე ლაშქრობა არ შეიძლებოდა. რა თქმა უნდა, აქ სოლომონი ცდილობდა, რუსეთის ჯარი ახალციხეზე გასალაშქრებლად არ გამოეყენებინათ და წარმატების შემთხვევაში ეს მხარე ქართლისათვის არ შეეერთებინათ (გავიხსენოთ იმერთა მეფის პრეტენზია ამ მხარეზე).

ამით სოლომონმა ერეკლე მეფეს რუსეთის არმიის დახმარება მოუსპო და ახალციხის მიმართულებით მოსალოდნელი გამარჯვება ხელიდან გამოაცალა. შემდეგში, როცა სუხოტინი უკვე იმერეთში გადავიდა და ფოთზე ლაშქრობის სამზადისს შეუდგა, სოლომონ მეფემ ახლა აზრი შეიცვალა და ამის წინააღმდეგ წავიდა. ფოთთან მარცხის შემდეგ სოლომონი ეკატერინე II-ს სწერდა: „მე დიდის ხვეწნით მოუშალე და ვაუწყე (სუხოტინს მ. რ.): ზაფხული არის და ფოთი დიდათ დამცდელი და შხამიანი ადგილი არის, როდესაც დრო იქნება და სნეულების ჟამი დასცხრება, გაუწყებ, მეც თან გამოგყვები, მივიდეთ, მოვადგეთ და რისაც ღონისძიებით იყოს, ავიღოთ მეთქი“[2]. მაგრამ ფოთზე გალაშქრება წინასწარ იყო გადაწყვეტილი პეტერბურგში და ამჟამად ამის შეჩერება არც ერეკლეს და არც სოლომონს არ შეეძლოთ.

შუა ზაფხულში სუხოტინი ფოთის ციხეს შემოადგა, მაგრამ ამაოდ; მას არ გააჩნდა საალყო ქვემეხები, რომლებიც ციხის აღებას დაეჩქარებდა, მათ გარეშე კი ხანგრძლივი ალყით თუ გასტეხდა თურქთა გარნიზონს.

ტოტლებენის მსგავსად სუხოტინმაც შეცდომა დაუშვა: ქართველი მეფეების რჩევას ეჭვით მოეპყრო. გენერალს ამას უკარნა-

---

[1] ი. ციციშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 359.
[2] სიგელ-გუჯრები, ტ. II, გ. I, გვ. 75 (რუს.).

ხებდა 1771 წლის 13 იანვრის ინსტრუქცია[1], გენერლისათვის მიცემული ეკატერინე II-ს მიერ, სადაც იმპერატრიცა ურჩევდა მას ქართველ მეფეებს არ დანდობოდა (ეკატერინე შეცდომაში შეიყვანა ტოტლებენის ყალბმა ცნობებმა მეფეების შესახებ), ხოლო მეფეები არწმუნებდნენ სუხოტინს, რომ ფოთის ჰავის გამო ზაფხულში რუსეთის ჯარს იქ ბრძოლა გაუჭირდებოდა. ამრიგად სუხოტინმა მათი რჩევა არ მიიღო, თვითონ წავიდა, ხოლო ერეკლე მეორეს ახალციხისკენ ლაშქრობა შესთავაზა, რათა ფოთისათვის თურქებს ჯარი არ მიეშველებინათ.

სუხოტინმა მეორე შეცდომაც დაუშვა; ქართველ მეფე-მთავრებს ხელთუბნის თათბირზე მშვენები მოსთხოვა, და მიიღო კიდეც, მაგრამ ამით დიდი შეურაცხყოფა მიაყენა ქართველ მესვეურთ, რაკი ეს უნდობლობის გამოხატულება იყო მისი მხრივ.

საქართველოს სინამდვილის უცოდინარობამ, რუსეთიდან მიღებული ინსტრუქციების უსწორობამ, რომლებიც ტოტლებენის ცილისმწამებლური მოხსენებების საფუძველზე იყო შედგენილი, სუხოტინი გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა. მან კავშირი გაბა ქვეყნის მოღალატე გიორგი ბატონიშვილთან (რომელსაც ადრე იმერთა მეფემ სოლომონმა გურიელობა წაართვა და როგორც თურქების მომხრე, სამშობლოდან განდევნა, ხოლო გურიელად მისი უფროსი ძმა მამია IV დასვა) და იგი კვლავ გურიელად დასვა, მაგრამ მოკლე ხანში გიორგი ისევ თურქეთის ბანაკში აღმოჩნდა[2] (სუხოტინის საქართველოდან წასვლისთანავე იმერთა მეფემ გიორგი გურიელი ისევ განდევნა და კვლავ მისი ძმა მამია IV გაამთავრა).

ამრიგად, სუხოტინმა მარცხიანად დაიწყო ფოთის ციხის ალყა და წარუმატებლობა დადიანს გადააბრალა.

სუხოტინმაც ტოტლებენის ბედი გაიზიარა: არც თვით იცოდა ადგილობრივი პირობები და არც სხვების რჩევას უჯერებდა— შუა ზაფხულში ფოთის ჰავამ უჩვევი ხალხი დასცადა, 800-მდე ჯარისკაცი ციებ-ცხელებისაგან დაიხოცა, დანარჩენიც ბრძოლისათვის უვარგისი გახდა. ამის გამო სუხოტინმა ოქტომბერში ციხეს ალყა მოხსნა და ქუთაისში დაბრუნდა, თვითაც ციებ-ცხელება შეეყარა და იმპერატრიცას ორი წლით შვებულება სთხოვა[3].

---

[1] ვ. მაკარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 120.

[2] იქვე. გვ. 355 (რუს.).

[3] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VI, ობ., 1973, გვ. 429.

1771 წლის დეკემბრის თვეში სუხოტინის პატაკის საფუძველზე რუსეთის მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღო, საქართველოდან რუსეთის ჯარი უკან გაეწვია.

1772 წლის 5 მაისს რუსეთის ჯარმა ქუთაისი დატოვა, 26 მაისს ქართლის საზღვარზე მოცილების შემდეგ, თვალცრემლიანი სოლომონი ჯარს გაშორდა. რუსის ჯარმა მალე ქართლიც დატოვა და 1772 წლის ოქტომბერში ცარიცინში მივიდა[1].

* * *

დაახლოებით სამ წლამდე იმყოფებოდა რუსეთის ჯარი საქართველოში, მაგრამ მან თავისი მისია ვერ შეასრულა. რუსი გენერლების დანაშაულებრივი თუ უმეცარი მოქმედების შედეგად რუს-ქართველთა ჯარის ერთობლივი მოქმედება არ მოხერხდა, ამიტომ ფართო ოპერაციების ჩატარება ვერ განხორციელდა. საიმპერატორო ჯარმა სამხედრო კორპუსის წარუმატებლობა ქართველ მეფეებს გადააბრალა. ეკატერინე II სოლომონ I-ს სწერდა, „ჩვენმა ჯარმა ვერცერთი მნიშვნელოვანი წარმატება ვერ მოიპოვა... ეს ბიეწერება ქართველების შინაგან უთანხმოებას"[2].

რუსეთის იმპერატრიცა ცდებოდა, როცა რუსეთის ჯარის წარუმატებლობას მთლიანად ქართველ მეფეებს აბრალებდა. ამის მიზეზი იყო პასიური საბრძოლო გეგმა, რამაც საქართველოს მეფეებიც პასიურ მდგომარეობაში ჩააყენა და რუსეთის კორპუსიც პარალიზებული გახადა. ამასთან ერთად, როგორც ჩანს, ტოტლებენმა შეცდომაში შეიყვანა გენერალი სუხოტინი, თავის გავლენის ქვეშ მოაქცია იგი და დაარწმუნა, რომ მთავრები — კაცია დადიანი და იმქამად გადაგდებული გიორგი გურიელი რუსეთის ერთგულნი იყვნენ, ამიტომ სუხოტინმა თურქეთის აგენტი გიორგი ისევ გააგურიელა. პროფ. ცაგარელის სამართლიანი შენიშვნით, სუხოტინმა თავი ვერ გაართვა ტოტლებენის მიერ ცუდად დაწყებულ საქმეს და ადგილობრივი პირობების უცოდინარობით ბევრი შეცდომა დაუშვა[3].

რუსეთის სამხედრო კორპუსის ყოფნამ დასავლეთ საქართველოში სოლომონ მეფეს ვერ შეუსრულა იმედები, მან ვერ დაიმორჩილა მთავრები, ვერ გააერთიანა დასავლეთი საქართველო, ვერ გაათავისუფლა ოსმალთაგან შავი ზღვისპირეთი. მაგრამ, მიუ-

---

[1] ვ. მაჭარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 124.

[2] სიგელ-გუჯრები, I, გვ. 335 (რუს.).

[3] იქვე, გვ. XXIV.

ხედავად ამისა, სოლომონ მეფის უდიდეს მონაპოვარს წარმოადგენდა 1770 წელს რუსეთის ჯართან კავშირში იმერეთის ციხეების გათავისუფლება თურქი ოკუპანტებისაგან. ამ ფაქტს სოლომონ მეფე მიიჩნევდა რუს-ქართველთა ლაშქრის შეერთებული ძალღონის ნაყოფად[1].

სოლომონ მეფე იმერეთის სრული მპყრობელი იყო, მაგრამ რეაქციული თავადური ძალები ვერც მეფის სიძლიერეს და ვერც ქვეყანაში მშვიდობიანობას ვერ ეგუებოდნენ, ამიტომ 1772 წელს, რუსთა კორპუსის წასვლის შემდეგ, კვლავ შფოთი დაიწყო — მეფესა და მის ძმებს შორის მტრობა ჩამოვარდა.

იოსებ-კათალიკოსმა მეფეს მოსთხოვა ეკლესიის დამოუკიდებლობა და საერო ხელისუფლებაში წილის დადება.

მეორე ძმამ არჩილმა მეფეს ციხეები და მამულები მოსთხოვა, მაგრამ მეფემ ორივე ძმას წამოყენებულ პრეტენზიაზე უარი უთხრა. არჩილმა კავშირი გაბა ახალციხის ფაშასა და კაცია დადიანთან და მათ თავისი სამსახური შესთავაზა სოლომონის წინააღმდეგ. როდესაც ეს ამბავი მეფემ გაიგო, ორივე ძმას მკაცრად დაემუქრა, ერთგულებაზე დააფიცა და თავიანთ პრეტენზიებზე უარი ათქმევინა[2].

ახალციხის ფაშა ახალ სამზადისს შეუდგა აფხაზეთის მხრიდან იმერეთზე თავდასასხმელად, დადიანიც გადაიბირა, მაგრამ იმერთა მეფემ ადრე შეიტყო მათი სამზადისი, იმერეთის საზღვარზე დაბანაკებული მათი ჯარი დაამარცხა და ოდიშის სოფლები მოარბია, საპასუხოდ კაცია დადიანი რაჭას შეესია და მეფის კუთვნილი მამულები ააოხრა.

1772 წელს რუსეთ-თურქეთს შორის დროებითი ზავი დაიდო, ამის შესახებ ახალციხის ფაშამ დიდი ვეზირის ბრძანება მიიღო, რის შემდეგაც ახალციხის ფაშასა და ქართლ-კახეთის მეფეს შორის მშვიდობა ჩამოვარდა, მაგრამ იმერეთის მიმართ ფაშამ კვლავ ლეკთა მარბიელი რაზმი გაუშვა; სოლომონ მეფემ კვლავ დაამარცხა ლეკები და საზღვრებიდან გარეკა. ამის შემდეგ დროებითი ზავი იმერეთის სამეფოსთანაც შევიდა ძალაში.

რუსეთის საექსპედიციო კორპუსის წასვლის შემდეგ საქართველოს მეფეებმა დაიეიწყეს ურთიერთ წყენინება (რაც ტოტლებენის მზაკვრული მოქმედების შედეგი იყო) და ძველი (1758 წლის) კავშირი განაახლეს.

---

[1] ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა, თბ,, 1958, გვ. 130., ზ. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 24.

[2] ა. ცაგარელი, გვ. 361—362 (რუს.).

1773 წლის 27 ივლისს სოფ. სანგარში სამხედრო კავშირის ხელშეკრულება[1] დადეს, ანუ როგორც მაშინ ამბობდნენ, „ერთობის წერილი დაწერეს“. ხელშეკრულება შვიდი მუხლისაგან შედგებოდა და ითვალისწინებდა შემდეგს.

პირველ მუხლში აღნიშნული იყო, რომ ურთიერთშორის თუ რაიმე წყენინება ახსოვდათ, საუკუნოდ უნდა დაევიწყებინათ.

მეორე მუხლი ითვალისწინებდა სამხედრო კავშირს, რომელიც მიმართული იყო ოსმალეთისა და ოსმალთა მომხრეების წინააღმდეგ.

მესამე მუხლი ითვალისწინებდა სამხედრო ურთიერთდახმარებას მტრის მიერ მათზე თავდასხმის შემთხვევაში. „ვინიცობა არის რასაც დროს ჩვენს ქვეყანაში მტერი შემოვიდეს, ერთმანეთს მსწრაფლად ჯარით მივეხმარნეთ“.

მეხუთე მუხლით თითოეული მხარე ვალდებული იყო არ შეეფარებინა და მოკავშირისათვის გადაეცა მისგან ლტოლვილი თავადი, აზნაური თუ გლეხი[2].

მეექვსე მუხლით თითოეული მხარე ვალდებული იყო, ლაშქრით დახმარებოდა მოკავშირეს, თუ მის ქვეყანაში შინაური შფოთი ატყდებოდა.

მეფეთა ეს ხელშეკრულება დიდი წარმატება იყო მას შემდეგ, რაც ტოტლებენმა (1770 წ.) უთანხმოება ჩამოაგდო მეფეთა შორის. ამ ხელშეკრულების ძალით ყველა შინაურ მტერს განდგომის სურვილი ეკარგებოდა და გზები ეპრებოდა სამშობლოს საღალატოდ მავალს.

1773 წლის ოქტომბერში ხელშეკრულების ძალით საქართველოს მეფეებმა ერთად გაილაშქრეს ჯავახეთში.

იმერეთ-ქართლ-კახეთის 11-ათასიანი ლაშქარი გორში შეერთდა, ჯავახეთში გადავიდნენ, ახალქალაქის ციხე დაიკავეს, მეფეებთან შესაბმელად ახალციხის ფაშამ გამოსვლა ვერ გაბედა, ქართველთა ლაშქარმა მოარბია მტრის ტერიტორია, მან ყარსსა და არტაანამდე მიაღწია, მაგრამ აქ იმერთა მეფე სოლომონი კიბეცხელებით გახდა ავად და ლაშქარი უკან გამობრუნდა.

ამ ლაშქრობამ, ერთი მხრივ, გამოამჟღავნა თურქეთის დაუძლურება, ხოლო მეორე მხრივ, ნათელი გახადა ქართველი მეფეების

---

[1] ა. ცაგარელი, ტ. II, I, გვ. 95 (რუს.).

[2] როგორც ცნობილია, ერეკლე მეფის წინააღმდეგ პაატა ბატონიშვილის შეთქმულებაში მონაწილეობდა ალექსანდრე დიმიტრის ძე ამილახვრისშვილი. შეთქმულების გამომჟღავნების შემდეგ მეფემ იგი დააპატიმრა, მაგრამ 1771 წელს გაიქცა და იმერეთზე გაელით რუსეთში გაიღწია. გაპარვაში მას დაეხმარა სოლომონ მეფე, რითაც შეთანხმება დაარღვია.

შესაძლებლობა შეთანხმებული, ერთობლივი მოქმედების შემთხვევაში.

ჯავახეთის ლაშქრობის საპასუხოდ ახალციხის ფაშამ სოლომონ მეფის წინააღმდეგ 1774 წლის იანვარში 4 000-იანი ლეკ-ოსმალთა ჯარი გამოგზავნა იმერეთის დასარბევად. იგი წინასწარ შეუთანხმდა სამეგრელოს მთავარს, რომელიც ფაშას დახმარებას შეპირდა. მოკავშირეებს ორი მხრიდან უნდა დაერტყათ იმერეთისათვის. ვახანის ციხის მფლობელმა აბაშიძეებმა მეფეს უღალატეს და ლეკ-ოსმალთა სპას გზა გაუხსნეს იმერეთისაკენ. ამავე დროს, დადიანის ჯარიც იმერეთის საზღვარს მოადგა. კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა სოლომონ მეფემ შველა სთხოვა თავის მოკავშირეს — ერეკლე მეფეს. ერეკლემ სწრაფად გაგზავნა სოლომონის დასახმარებლად 2000-კაციანი ქართლ-კახეთის ლაშქარი, ხოლო დადიანი აიძულა, თავისი მუხანათური დაპირება არ შეესრულებინა და უკან გაბრუნებულიყო, რაც ამ უკანასკნელმა შეასრულა.

დადიანის დახმარების იმედით ლეკ-ოსმალთა ლაშქარმა გავლო საბაშიო და ქვეყნის ტყვევნა-რბევით ქუთაისისაკენ გასწია. სოლომონმა, რაკი მის ჯარს ზურგიდან საფრთხე აღარ მოელოდა, გაბედულად შეუტია მტერს. ამასობაში ვახანის ციხეში ქართველი ტყვეები აჯანყდნენ, ოსმალებისათვის ცნობილი გახდა, რომ დადიანი ვეღარ მოეშველებოდათ და რომ ერეკლე მეფის ლაშქარი ზურგიდან უახლოვდებოდათ.

რკალში მოქცევის შიშით მტერმა უკან გაბრუნება გადაწყვიტა, სოლომონმა მტრის განზრახვა შეიტყო, რჩეულ მეთოფეთა რაზმი შეარჩია და ჩხერის ვიწროებში ჩაასაფრა, რადგან თურქთა ლაშქარი ამ გზას ვერ აცდებოდა. 6 თებერვალს მტერი ჩხერის ვიწროებს მიადგა, მაგრამ იქ მეთოფეთა ძლიერ ცეცხლს წააწყდა; ამ დროს იმერეთის ლაშქარმა ზურგიდან ისე ძლიერად დაჰკრა ლეკ-ოსმალთა ლაშქარს, რომ მათი წინააღმდეგობა და წყობა ერთბაშად მოიშალა[1]. მტერი სასტიკად დამარცხდა — 1000 მოკლული ბრძოლის ველზე დატოვა, 600 ტყვედ ჩავარდა[2], ხოლო ლტოლვილმა ლაშქარმა ჩხერიდან ვახანის ციხემდე კიდევ 1400 კაცი დაკარგა. 700-მა კაცმა ძლივს მიაღწია ახალციხემდე და ფაშას თავზარდამცემი ამბავი აუწყა.

სოლომონის ჯარის ზარალი იყო 50 მოკლული და 100 დაჭრილი[3].

---

[1] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ. 1958, გვ. 359.
[2] საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, თბ., 1922, გვ. 118.
[3] იქვე.

დატყვევებული აღმოჩნდა ლეკთა ცნობილი ბელადი რაჯაბა — ქართლ-კახეთის მრავალგზის დამრბევი. სოლომონ მეფემ იგი საჩუქრად გაუგზავნა ერეკლე მეფეს.

ქართლ-კახეთის ლაშქარმა ბრძოლაში მონაწილეობა თუმცა ვერ მიიღო, მაგრამ მაინც დიდი იყო ერეკლეს დახმარება, რადგან მან ჩამოაშორა თურქებს მოკავშირე დადიანი და სოლომონ მეფეს ხელ-ფეხი გაუხსნა მტრის წინააღმდეგ სამოქმედოდ.

ჩხერის ბრძოლის შემდეგ სოლომონისათვის კიდევ უფრო ნათელი გახდა, რომ თურქეთის გარემოცვას თავს ვერ დააღწევდა, ამიტომ 1774 წლის ნოემბერში საგანგებო ელჩობა გაგზავნა ლ. კვინიხიძის მეთაურობით და ეკატერინე II-ს ოფიციალური თხოვნით მიმართა, რათა იმერეთი რუსეთს მფარველობა-პატრონობაში მიეღო[1].

მაგრამ ამ დროს რუსეთ-თურქეთის ომი დამთავრებული და ზავი დადებული იყო, ამიტომ რუსეთის საიმპერატორო ჯარმა იმერეთის მეფის მოთხოვნას მფარველობა-პატრონობაში აყვანის შესახებ უარით უპასუხა, რაკი იმერეთის სამეფოს საკითხი ამ ხელშეკრულებაში რამდენადმე აისახა და რუსეთის მთავრობას არ სურდა თურქეთთან ურთიერთობის კვლავ გამწვავება.

რუსეთ-თურქეთის ომი დამთავრდა და საზავო ხელშეკრულება დაიდო 1774 წლის 10 ივლისს ქუჩუკ-კაინარჯში. ამ ხელშეკრულების 23-ე მუხლი დასავლეთ საქართველოს ეხებოდა; სოლომონ პირველმა ამ ხელშეკრულების შინაარსი ეკატერინე II-ის მიერ გამოგზავნილი სიგელით შეიტყო, სადაც ნათქვამია:

„საქართველოსა და სამეგრელოში მდებარე ციხეები: ბაღდათი, ქუთაისი და შორაპანი, რომლებიც რუსეთის იარაღით არიან მოპოვებულნი, რუსეთისაგან იმათ კუთვნილად იქნება აღიარებული, ვისაც ისინი ძველთაგანვე ეკუთვნოდნენ; თუ ეს ქალაქები ნამდვილად ძველთაგანვე, ან დიდი ხანია, ბრწყინვალე პორტას ექვემდებარებოდნენ, მის საკუთრებად იქნებიან ცნობილნი; ამ ტრაქტატის გაცვლის შემდეგ, დათქმულ დროს, რუსეთის ჯარები გამოვლენ დასახელებული პროვინციებიდან — საქართველოდან და სამეგრელოდან. ბრწყინვალე პორტა, თავის მხრივ, ტრაქტატის პირველი არტიკულის შესაბამისად ვალდებულებას იღებს ყველა იმათი სრული ამნისტია გამოაცხადოს, რომლებმაც მას ომის მიმდინარეობის დროს ამ მხარეში რაიმე შეურაცხყოფა მიაყენეს. ბრწყინვალე პორტა საზეიმოდ და სამუდამოდ ამბობს უარს ხარ-

---

[1] ა. ცაგარელი, ტ. II, გვ. 175 (რუს.); ზ. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 50—51.

კად ჭაბუკებისა და ქალიშვილების მოთხოვნასა და ყოველგვარ სხვა გადასახადზე, პორტა ვალდებულებას კისრულობს არც ერთი მათგანი არ ჩათვალოს თავის ქვეშევრდომად, იმათ გარდა, რომლებიც მას ძველთაგანვე ეკუთვნოდნენ; ქართველებისა და მეგრელების მფლობელობაში მყოფ ყველა ციხეს და გამაგრებულ ადგილებს დატოვებს მათ გამგებლობასა და დაცვაში; ასევე არავითარი სახით არ შეავიწროვებს ქართველთა სარწმუნოებას, მონასტრებსა და ეკლესიებს, არ შეუშლის ხელს ძველი ეკლესია-მონასტრების შეკეთებას და ახალთა აგებას, ჩილდირის ვალიმ და სხვა გამგებლობამ თუ ოფიცრებმა არ უნდა შეავიწროვონ ისინი ისეთი მოთხოვნებით, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს მათი მამულების დაკარგვა. მაგრამ რადგანაც დასახელებული ხალხები ბრწყინვალე პორტას ქვეშევრდომები არიან, ამიტომ რუსეთის იმპერია შემდეგში მათ საქმეებში სრულიად არ უნდა ჩაერიოს და არც შეავიწროვოს ისინი"[1].

როგორც ამ 23-ე მუხლიდან ჩანს, 1768—1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომმა იმერეთის სამეფოს დიდი წარმატება მოუპოვა. თუმცა რუსეთი იმერეთის სამეფოს თურქეთის იმპერიის ვასალურ ტერიტორიად ცნობდა და მას უფლებას აძლევდა, ხელახლა დაეჭირა ქუთაისის, შორაპნისა და ბაღდათის ციხეები, მაგრამ თავის მხრივ, თურქეთი ხელს იღებდა ქრისტიანობის დევნაზე და აღარ მოითხოვდა ხარკს ნატურით, სხვადასხვა გადასახადებით და ახალგაზრდა ქალ-ვაჟების სახით. ამასთან ერთად, თურქეთს ეკრძალებოდა რუსეთის მხარეზე მეომარი სახელმწიფოების (იმერეთის, ოდიშის) დასჯა.

თურქეთის მთავრობამ ვერ გამოიყენა 23-ე მუხლში აღნიშნული თანხმობა ქუთაისის, შორაპნისა და ბაღდათის ციხეების დაკავების შესახებ, რადგან სოლომონ მეფის წინდახედულებით ეს ციხეები აღებისთანავე (1770 წ.) დაანგრიეს, ახლა კი, რუსეთთან ომში წელგატეხილ თურქეთს, რომელიც ამ ომმა მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ აქცია, აღარ შეეძლო ამ ციხეების ხელმეორედ აგება; ამავე დროს, ამის ნებას თვით იმერთა მეფე სოლომონ პირველი არ მისცემდა თურქებს უომრად, ხოლო ომის თავი თურქეთს აღარ ჰქონდა.

ეკატერინე II ვოლტერს სწერდა, რომ საქართველო წინ აღუდგა თურქებს და უარი უთხრა ხარკად მისცეს ლამაზი ქალიშვილები, რომლებითაც გავსებულია თურქეთის ჰარამხანებიო. ვოლტერმა დედოფალს უპასუხა, რომ საქართველოს შესახებ მა-

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 662—663.

ნიფესტის გაცნობამ ევროპაში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. როგორც ჩანს, მუსტაფა იძულებული იქნება, უარი თქვას ქართველი ლამაზმანების მფლობელობაზეო.

ამგვარად, „1768—1774 წლის ომმა სოლომონს თვალსაჩინო წარმატება არგუნა: ოსმალებმა ვერ გამოიყენეს ქუჩუკ-კაინარჯის ზავის 23-ე მუხლი, ვერ დაიმორჩილეს სოლომონ მეფე, ვერ დაიკავეს იმერეთის ციხეები. მეფემ საესებით მოსპო ტყვეთა სყიდვა, მტკიცე ხელით ალაგმა თავადების აღვირახსნილობა... მეფე შესამჩნევად გაძლიერდა, მისი შიში და პატივისცემა გაუჩნდათ დადიანსა და გურიელსაც. ქვეყანა დამშვიდდა და სწრაფად მოშენება იწყო. ათიოდე წელიწადში მოსახლეობამ თვალსაჩინოდ მოიმატა“[1].

* * *

საქართველო დიდი სიხარულით შეხვდა ქუჩუკ-კაინარჯის სამშვიდობო ტრაქტატს, რომელიც ადამიანებით ვაჭრობას კრძალავდა, მაგრამ ქუჩუკ-კაინარჯის ტრაქტატმა მოსალოდნელი ეფექტი ვერ გამოიღო, რადგან თურქეთის თითქმის მთელი წარჩინებული წოდება ხელს აფარებდა ტყვეებით ვაჭრობას. ბეგებსა და ფაშებს არ შეეძლოთ ასე ადვილად აეღოთ ხელი ადამიანთა შესყიდვაზე როგორც ჰარამხანების, ისე „იანიჩართა“ სამხედრო რაზმების შესავსებად, რაც საუკუნეთა განმავლობაში წარმოებდა.

ქუჩუკ-კაინარჯის ზავიდან ნაპოლეონის ბრძოლამდე

იმერეთიდან რუსეთის კორპუსის წასვლის შემდეგ სოლომონ მეფემ მტკიცედ გადაწყვიტა მთავრების — გურიელისა და დადიანის დამორჩილება. გურიელი, რომელიც ხან იმერეთის მეფეს უხრიდა ქედს, ხან ახალციხის ფაშას ეკედლებოდა, რამდენჯერმე დალაშქრა იმერთა მეფემ, კერძოდ, 1775 წელს ორჯერ შეესია გურიას და გურიელის წინააღმდეგობა გატეხა.

1776 წლის დასაწყისში სოლომონ მეფე გურიელის მოკავშირეობით ოდიშში შეიჭრა, რამდენიმე ციხე აიღო, თავისი ცოლისძმა კაცია დადიანი აიძულა, ქედი მოეხარა მეფის წინაშე, შერიგებოდა მას და მეფის უზენაესობა ეცნო. ოდიშის მთავარმა განკარ-

[1] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, თბ., 1946, გვ. 396—397.

გულება გასცა, რომ ოდიშის საეკლესიო ხელისუფალნი იმერეთის კათალიკოსს დამორჩილებოდნენ.

ოდიშისა და გურიის მთავრები ამის შემდეგ განუხრელად იდგნენ სოლომონის მხარეზე (თუმცა დროდადრო მათ კავშირს უთანხმოების ჩრდილიც ახლდა).

მთავრების დამორჩილებითა და ეკლესიის ერთიანობის აღდგენით იმერეთის სამეფო საგრძნობლად გაძლიერდა. მრავლდებოდა მეფის ლაშქარი, ძლიერდებოდა იმერეთი ეკონომიკურად, იქმნებოდა დასავლეთი საქართველოს სამეფო-სამთავროების პოლიტიკური კავშირი.

სოლომონ მეფის გაძლიერებამ რუსეთის მიერ შევიწროებული ოსმალეთი აიძულა, შეეცვალა იმერეთის მეფესთან დიპლომატიური ურთიერთობის ხასიათი. 1776 წლის ოქტომბერში იმერეთის მეფეს ოსმალეთის ელჩობა ეახლა და ძვირფასი საჩუქრები მიართვა (რაც იშვიათი შემთხვევა იყო).

იმერეთის ფეოდალების გარკვეულმა ნაწილმა, რომელიც მეფის პოლიტიკით უკმაყოფილო იყო და მორიგ შემთხვევას უცდიდა სოლომონის წინააღმდეგ გამოსასვლელად, ამ შემთხვევით ისარგებლა, მათ თავის მხარეზე გადაიბირეს ტახტის ერთადერთი მემკვიდრე ალექსანდრე ბატონიშვილი და მეფეს განუყენეს.

შეთქმულების ორგანიზატორები იყვნენ სახლთუხუცესი დავით აბაშიძე და მოურავი თამაზა მესხი (რომელნიც სოლომონ მეფეს „ბერი წულუკიძის მოშურნეობისათვის უკუუდგნენ“).

შეთქმულებაში მრავალი პირი ღებულობდა მონაწილეობას: მერაბ ნიკარაძე, ევგენი აბაშიძე, სვიმონ მიქელაძე, ალექსანდრე უფლისწულის მამიდაშვილები: ბეჟან, ვახუშტი, გიორგი, დოსითეოს და ქველი წერეთლები[1].

შეთქმულებას თანაუგრძნობდა სოლომონ მეფის ბიძაშვილი დავით გიორგის ძე.

აჯანყებულებმა დაიკავეს ლომსიანთ-ხევი, ჩხერის ციხე და მთელი ზემო მხარე, გარდა ჰაპუნა და ზურაბ წერეთლების მამულებისა, მეტი ტერიტორიის მიტაცება აჯანყებულებმა ვერ შეძლეს, რადგან მეციხოვნეები და ყმა-გლეხობა მეფის მხარეზე აღმოჩნდნენ და წინააღმდეგობა გაუწიეს მეამბოხეთ.

სოლომონ მეფემ დიდი ლაშქარი შეკრიბა, ძირითადად წულუკიძეებისა და წერეთლების დახმარებით აჯანყებულები სასტიკად დაამარცხა და მკაცრადაც დასაჯა: დავით აბაშიძე სახლთუხუცესობიდან გადააყენა და ეს სახელო ზურაბ წერეთელს გადასცა, ჩა-

[1] შ. ბურჯანაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 131—132.

მოართვა ყმა-მამული, რომელიც თავის ერთგულ პირთ უბოძა და დავითი იმერეთიდან გააძევა. მერაბ ნიჟარაძეს მამულები ჩამოართვა და შემდეგ დაბრმავა. შეთქმული წერეთლები თავისი სამკვიდროდან აყარა, თავის ძეს — ალექსანდრეს გაჰყარა ევგენი აბაშიძის ასული, რომელიც მას შეთქმულებმა შერთეს და მის ნაცვლად ბერი წულუკიძის ასული დარეჯანი მისცა ცოლად, დავით გიორგის ძე იმერეთიდან გააძევა[1].

* * *

ერეკლე მეფე კვლავ განაგრძობდა თურქეთის საზღვრების რბევას. სულთანმა ქერიმ-ხანს სთხოვა, შეეჩერებინა ოგი. მან თავის მხრივ ერეკლეს მიმართა. ვინაიდან ქართველმა მეფეებმა რუსეთისაგან მრავალგზისი თხოვნის მიუხედავად, ვერც რეალური დახმარება, ვერც მტკიცე შეპირება ვერ მიიღეს, ერეკლე მეფემ გადაწყვიტა, ქერიმ-ხანის თხოვნისათვისაც ანგარიში გაეწია და თურქეთის იმპერიასთან კეთილმეზობლური ურთიერთობა დაემყარებინა. ამ მიზნით, 1777—1778 წლებში ქართლ-კახეთის მეფემ თავისი ელჩი გაგზავნა სტამბოლში, რომელიც დიდი პატივით მიიღეს.

1775 წელს თურქეთსა და სპარსეთს შორის უთანხმოება ჩამოვარდა — ოსმალეთმა ჯარების შეგროვება დაიწყო სპარსეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების დასაწყებად. პორტას ამასთანავე აინტერესებდა აზერბაიჯანის ხანების განწყობილება და აპირებდა მათ გადმობირებას თავის მხარეზე. ამით ისარგებლა ერეკლემ და პორტას ერთგულება აღუთქვა. — პირდებოდა აზერბაიჯანის ხანების გადმობირებას ოსმალეთის მხარეზე სპარსეთთან ომის დროს და თავის მხრივ, ითხოვდა, რომ სპარსეთთან დადებულ ხელშეკრულებაში მოხსენიებული ყოფილიყო საქართველოს სამუდამო განთავისუფლება სპარსეთზე დამოკიდებულებისაგან. ერეკლე ამასთანავე პირობას იძლეოდა რუსეთთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტის შესახებ და თანხმდებოდა მძევლად რამდენიმე წარჩინებული გვარეულობის წარმომადგენლის გაგზავნაზე ახალციხეში[2].

---

[1] შ. ბ ე რ ჯ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 131—132.

[2] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, თბ., 1922, გვ. 124; შ. ბ ე რ ჯ ა ნ ა ძ ე აღნიშნავს, 1777—1778 წწ. საზავო მოლაპარაკება საიდუმლოდ მიმდინარეობდა ისე, რომ მისი შინაარსი ახლაც ცნობილ არაა სათანადო მასალების გამოუქვეყნებლობის გამო. (იხ. შ. ბ ე რ ჯ ა ნ ა ძ ე, იმერეთის სამეფო 1768—1784 წლებში, წიგნში — ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. III, თბ., 1961, გვ. 133.

ასეთი შეთანხმებით ერეკლე მეფეს იმედი ჰქონდა, რომ ქართლ-კახეთის საერთო მდგომარეობას განამტკიცებდა.

თურქეთის მთავრობა დიდი სიამოვნებით შეხვდა ერეკლეს ასეთ შუამდგომლობას. სულთანის სახელით მას ორჯერ გაეგზავნა დიდი საჩუქრები: 12 ათასი ოქრო, საპატიო ქურქი და ოქროთი აღკაზმული ცხენი[1] (1778 წ.).

სოლომონ მეფეს ერეკლეს ეს დიპლომატიური ნაბიჯი თავის სამტროდ მოეჩვენა, რამაც გადამტერებულ მეფეებს შორის ურთიერთობა უფრო მეტად გაამწვავა. მას შემდეგ, რაც ერეკლესა და ოსმალეთს შორის თანხმობა დამყარდა, სოლომონი ოსმალეთთან შერიგებას არ აპირებდა, რადგან აგრესორი იმერეთის დამონებაზე ხელს არ იღებდა, ერეკლე კი, პირიქით, საქართველოს გაძლიერებას თურქეთთან კავშირით აპირებდა.

იმერთა მეფე 1781 წლის 1 სექტემბერს რუსეთის იმპერატრიცას ატყობინებდა, რომ ერეკლე მეფემ „თავისი თავი და თავისი სამფლობელო თურქებს ჩააბარა, მათ სთხოვს დახმარებას და მთელ თავის იმედს თურქებზე ამყარებს, იგი ცდილობს... მტრობა და ვნება მოგვაყენოს ჩვენ"[2].

ერეკლე მეფის მიერ თურქეთის იმპერიასთან კავშირის დამყარების საპასუხოდ იმერთა მეფემ სოლომონ პირველმა გადაწყვიტა კავშირის დამყარება სპარსეთთან. მეფის ასეთი დიპლომატიური ნაბიჯის გადადგმა განაპირობა აგრეთვე იმან, რომ 1778 წელს თურქეთი ანატოლიაში ჯარს უყრიდა თავს და სოლომონ მეფეს ეჩვენებოდა, თითქოს იგი იმერეთის სამეფოზე ამზადებდა თავდასხმას, ამ პერიოდში რუსეთი თურქების გაღიზიანებისა და 1774 წლის ქუჩუკ-კაინარჯის ზავის დარღვევის შიშით იმერეთის სამეფოსთან ოფიციალურ ურთიერთობას თავს არიდებდა. ასეთ პირობებში იმერეთის სამეფოს რომ დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინა, სხვა გზა უნდა ეძებნა, ეს გზა კი ირანისაკენ მიდიოდა.

თურქეთ-რუსეთის ომში ოსმალთა დამარცხებით ისარგებლა ირანმა — ქერიმ-ხანმა 1775 წელს ომი დაიწყო დაუძლურებული თურქეთის წინააღმდეგ — წაართვა თურქეთს დიდი ეკონომიკური ცენტრი — ქალაქი ბასრა და საფრთხე შეუქმნა ბაღდადს.

იმავე დროს, ყირიმის საკითხის გამო რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა კვლავ დაიძაბა და ისევ ახალი ომი იყო მოსალოდნელი. ასეთ პირობებში ბასრას ინციდენტი ირან-თურქეთის დიდ ომში არ გადაზრდილა, მაგრამ 1775—1779 წლებში ამ ორ აგრესორს შორის სომარი ვითარება ძალაში რჩებოდა.

---

[1] ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 124.

[2] სიგელ-გუჯრები, ტ. II, გამ. II, გვ. 12 (რუს.).

ასეთ რთულ პირობებში იმერთა მეფემ სცადა თურქეთის საგარეო სიძნელეებით ესარგებლა და თავის მოკავშირედ პორტას წინააღმდეგ სპარსეთი გამოეყენებინა. ამ მიზნით, 1778 წლის 10 აგვისტოს იმერთა მეფემ სოლომონ პირველმა რუსეთის გზით ირანში ელჩად გაგზავნა გამოჩენილი პოეტი და დიპლომატი ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი). მას სამი კაცი გააყოლა: მამუკა ღებელი, გიორგი დავიდოვი (დავითაშვილი) და გიორგი პაპუნოვი (პაპუნაშვილი).

მამუკა ღებელი ასტრახანამდე უნდა გაჰყოლოდა ელჩს და იქიდან მობრუნებულს ასტრახანის გუბერნატორის პასუხი ეცნობებინა მეფისათვის, ხოლო ორნი ირანში უნდა ხლებოდნენ ელჩს.

სოლომონ მეფე ასტრახანის გუბერნატორს სწერდა: ეს ჩვენი ელჩი გეახლებათ, ჩვენს ამბავსაც ეს მოგახსენებთ და გთხოვთ, ვილანამდე მშვიდობით ამგზავროთ წყლით თუ ხმელეთის გზით იქნებაო[1].

ასტრახანის გუბერნატორმა ბესიკი თავისი ორი მხლებლით, უსაფრთხო გზით, გემით გაგზავნა სპარსეთში[2]. მაგრამ იმერეთის ელჩმა ვერ მოასწრო ქერიმ-ხანის ნახვა, რადგან ირანის მბრძანებელი 1779 წლის 22 მარტს გარდაიცვალა და ქვეყანა ტრადიციულმა არეულობამ მოიცვა.

ხელმოცარული ელჩი, რომლის მიზანს, როგორც საფიქრებელია, შეადგენდა სპარსეთის ჩაბმა თურქეთის წინააღმდეგ ომში, რის შედეგადაც იმერეთი დროებით მაინც დააღწევდა თავს თურქეთის მძლავრობას, ქერიმ-ხანის სიკვდილის გამო, უშედეგოდ ისევ იმერეთში დაბრუნდა 1779 წელს.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებულია აზრი, რომ იმერთა მეფემ სოლომონ პირველმა ბესიკი სპარსეთში გაგზავნა იქ მყოფი ვახტანგ VI-ის შვილიშვილის ალექსანდრე ბაქარის ძის ჩამოსაყვანად, რომელიც ქართლის სამეფო ტახტზე პრეტენზიას აცხადებდა და ამრიგად, ერეკლე მეორეს უპირისპირდებოდა.

ჯერ კიდევ 1855 წელს ზ. ჭიჭინაძე წერდა: „1775 წლებში ერეკლესა და სოლომონ მეფეში ერთობ ასტყინდა შფოთები, ორნი ერთმანეთის დამხობას ცდილობდნენ: ამიტომ იმერეთის მეფემ 1779 წელს ბესარიონ გაბაშვილი სპარსეთში გაგზავნა, დასაბარებლად ალექსანდრე ბატონიშვილისა, რომელიც იყო შვილისშვილი

---

[1] ვ. მაჭარაძე, ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, თბ., 1968, გვ. 12—14.

[2] იქვე, გვ. 17.

ვახტანგ მეფისა. ის ეძებდა სამეფო ტახტსა და ამიტომ ეინს სთხოვდა დახმარებას და შემწეობას. ვახტანგის დინასტია ქართლის იყო, ირაკლისა — კახეთის და ეს ორი სამეფო დინასტია კარგა ხანს იბრძოდნენ თავიანთი თავის ასამაღლებლად, სოლომონმა აცნობა ალექსანდრეს და აღუთქვა, რომ შემწეობას მოგცემ და გაგამეფებო. დაიმედებული ბესარიონი და ალექსანდრე იმერეთში წამოვიდნენ, მაგრამ ქართველთ არ ინდომეს ალექსანდრე"[1].

აკად. ალ. ბარამიძე წერს: „1779 წელს მასთან შეხიზნულ ბესარიონ გაბაშვილს სოლომონი საიდუმლოდ სპარსეთში გზავნის ალექსანდრე ბატონიშვილთან. გადმოიყვანს მას იმერეთში და აჯანყების საქმეს მეთაურობს"[2]. უფრო მოგვიანებით იგი წერს: „იმერეთში გადასვლის უმალვე პოეტი აქტიურად ჩაება საწინააღმდეგო შეთქმულებაში. 1778 წელს ის გაგზავნეს სპარსეთში, სადაც მაშინ იმყოფებოდა შეთქმულების ერთი მეთაურთაგანი, ალექსანდრე ბაქარის ძე ბაგრატიონი, ბესიკმა ალექსანდრე იმერეთში ჩამოიყვანა. მისი ხელშეწყობით ალექსანდრე შეუდგა ერეკლეს დასამხობად აჯანყების ორგანიზაციას"[3].

პოეტი-აკადემიკოსი გ. ლეონიძე წერდა: „1778 წელს სოლომონ იმერთა მეფე მას (ბესიკს) გზავნის სპარსეთში ქერიმ-ხანთან ალექსანდრე ბატონიშვილის ჩამოსაყვანად"[4].

ს. ცაიშვილი წერს: „მალე ბესიკს სოლომონის დავალებით სერიოზული დიპლომატიური მისიის შესრულება დაეკისრა. მას სპარსეთიდან საიდუმლოდ უნდა ჩამოეყვანა ვახტანგ მეექვსის შვილიშვილი ალექსანდრე ბაქარის ძე. სოლომონს იგი ერეკლეს საწინააღმდეგო შეთქმულებისათვის სჭირდებოდა... დაახლოებით ნოემბერში ან დეკემბრის პირველი რიცხვებიდან ბესიკი შირაზში ჩადის და მოლაპარაკებას აწარმოებს ალექსანდრე ბაქარის ძესთან... ბესიკმა პირნათლად შეასრულა სოლომონის დავალება და 1779 წლის ზაფხულისათვის იგი ალექსანდრესთან ერთად უკვე იმერეთში იმყოფება[5].

ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს ირანში ბესიკის გაგზავნის ფაქტს, მაგრამ არ ასახელებს, რა მიზნით გაიგზავნა იგი. მაგალი-

---

[1] ბ ე ს ი კ ი, ლექსნი, თქმულნი ბესარიონ გაბაშვილისაგან 1749—1791, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბ., 1885, გვ. 9—10.

[2] ბ ე ს ი კ ი, თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით, თბ., 1932, მესამე გამოცემა, გვ. 36.

[3] ბ ე ს ი კ ი, თხზულებანი, მეექვსე გამოცემა, ალ. ბარამიძის და ვ. თოფურიას რედაქციით, თბ., 1962, გვ. 9.

[4] გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, ბესიკი, ლიტ-ის მატიანე, № 3—4, 1942, გვ. 431.

[5] ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ბესიკი, თბ., 1962, გვ. 68—69.

თად, ს. გორგაძე წერდა: „1779 წელს სოლომონ მეფე ბესიკს გზავნის სპარსეთის შაჰთან განსაკუთრებული მინდობილობით"[1]; ასევე აკად. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ „1779 წელს სოლომონი ბესიკს საიდუმლოდ სპარსეთს გზავნის"[2].

ამრიგად, დასახელებული მკვლევარნი ერთხმად იზიარებენ, რომ სოლომონ მეფის მიერ ბესიკის მივლინებას სპარსეთში მიზნად ჰქონდა ალექსანდრე ბაქარის ძის ჩამოყვანა და მისი დაპირისპირება ერეკლე მეორესთან.

ეს ერთსულოვანი მოსაზრება ემყარება ორ ცნობას, რომელთაგან ერთი მ. ბროსესთანაა დაცული, — აქ ნათქვამია, რომ 1779 წელს სოლომონ იმერთა მეფემ სპარსეთში ქერიმ-ხანთან გაგზავნა ბესარიონ გაბაშვილი, ზაქარია გაბაშვილის შვილი, რომელიც გაძევებული იყო ანტონ კათალიკოსის მიზეზით და ჩამოაყვანინა ალექსანდრე ბაქარის ძე, რათა იგი ერეკლესათვის დაეპირისპირებინა. მეორე ცნობა ბ. ჯანაშვილმა გამოაქვეყნა 1905 წელს, რომელიც დავით ბატონიშვილისეულადაა აღიარებული. აქ ნათქვამია „...ვინაითგან იყო სამდურავი მეფისა შორის ირაკლისა და მეფისა შორის იმერთა სოლომონისა. და ამასთან სოლომან წარგზავნა სპარსეთს გაბაშვილი ბესარიონ, ზაქარია მოძღვრისა, რომელი ესე იმყოფებოდა ექსორიაქმნილი მამითურთ თავისით იმერეთს, ანტონის გამო კათალიკოზისა. მოაყვანინა ძე ბაქარისა და ძის ძე მეფისა ვახტანგისა ალექსანდრე შირაზით, რომელიც, ესე ალექსანდრე წარსული რუსეთიდამ, იყოფოდა ქარიმ-ხანისა წინაშე და ლამობდა დაპყრობას ქართლისას, და ამის გამო აბირა მეფემ სოლომან და აღქუთქმიდა შეწევნასა და დაპყრობასა ქართლისასა. ხოლო ვინაითგან ქართველთა არა თავს იდეს მეფობა მისი და მტკიცედ ჰსდგნენ ერთგულებასა ზედა მეფის ირაკლისას, ამად ალექსანდრე უღონო წარვიდა რაჭის გზით და გარდავლო დიგორი"[3].

როგორც გაირკვა, მ. ბროსესეული ცნობის წყაროა მეორე ცნობა (ე. წ. დავით ბატონიშვილისეული); მაშასადამე, მკვლევართა განკარგულებაში რჩება ეს ერთი ცნობა[4].

---

[1] ბ ე ს ი კ ი, (ბესარიონ გაბაშვილი), ს. გორგაძის რედაქციით, თბ., 1912, გვ. XII.

[2] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1941, გვ. 614.

[3] მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილს დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა, 1744—1840 წწ. თბ., 1905, გვ. 25—26.

[4] ვ. მ ა ჭ ა რ ა ძ ე, ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე. თბ., 1968, გვ. 26—30.

დავით ბატონიშვილი, როდესაც ეს ამბები ხდებოდა 10—12 წლისა იყო და ამიტომ თანამედროვედ ვერ ჩაითვლება, ამიტომ, ვ. მაჭარაძის აზრით, ბატონიშვილის წყარო ზეპირი გადმოცემიდან უნდა მომდინარეობდეს[1].

თვით ბესიკი თავის მოგონებაში წერს, რომ იგი სოლომონ მეფემ გაგზავნა „ერანად-შირაზს ქალაქად ქარიმხან ზანდისა თანა"[2]. გაგზავნის მიზანს პოეტი არ ასახელებს. იმერთა მეფე სოლომონი ასტრახანის გუბერნატორს ორ სათხოვარს ევედრება: 1) ნება დაგვრთეთ რუსეთის იმპერატორს კაცი გავუგზავნოთო[3] და პასუხი სასწრაფოდ ჩემივე კაცით მაცნობეთ და 2) ჩვენი „ქნიაზი" ბესარიონი ჩვენს ამბავსაც მოგახსენებს და გილანშიც უშიშრად გაამგზავრეთო.

ბესიკის ელჩობის შესახებ 1961 წლის 17 ნოემბრის გაზეთ „სტალინელის" ფურცლებზე დავით ჯანელიძემ გამოაქვეყნა სტატია „ახალი საარქივო საბუთები ბესიკის შესახებ".

სხვა მკვლევართა მსგავსად, დ. ჯანელიძესაც ჰგონია, რომ ბესიკი სპარსეთში ალექსანდრე ბაქარის ძის ჩამოსაყვანად წავიდა, მაგრამ იქვე, პირველად აღნიშნავს, რომ ბესიკი მარტო ალექსანდრეს ჩამოსაყვანად არ უნდა წასულიყო სპარსეთში[4].

დ. ჯანელიძის სტატიიდან აღსანიშნავია ის, რომ სოლომონ მეფის წერილი ასტრახანის გუბერნატორს 1778 წლის 6 სექტემბერს მიუღია. გუბერნატორი ორივეს წერილსა და თარგმანს — საიმპერატორო კარზე გზავნის და თან წერილს ურთავს, სადაც აღნიშნულია, რომ „ამა წლის 6 სექტემბერს შადრინის სტანიცაში, სადაც ჩემი ადგილსამყოფელია, მივიღე იმერეთის მეფის სოლომონის წერილი — იგი გვილოცავს მისი საიმპერატორო უმაღლესობის კეთილმოსურნე ხელმწიფის დიდი მთავრის ალექსანდრე პავლეს ძის დაბადებას და ითხოვს ნებართვას, რომ რუსეთის კარზე საგანგებო შიკრიკი გაგზავნოს და მისი მეოხებით

---

[1] ვ. მაჭარაძე, ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, თბ., 1968, გვ. 33.

[2] ბესიკი, თხზულებანი, 1932, გვ. 104.

[3] თუმცა იმპერატრიცის 1769 წლის 19 სექტემბრის რესკრიპტში ნათქვამი იყო, რომ ქართველთა ელჩები დაუყოვნებლივ გაეგზავნათ პეტერბურგში საშეფო კარზე, რუსეთ-ოსმალეთის ომის დამთავრების და ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ საიმპერიო მთავრობა უკვე ერიდებოდა ქართველი ელჩების ჩასვლას დედაქალაქში და მათ ხანგრძლივად აჩერებდა ჩრდილო კავკასიასა თუ ასტრახანში. მაგალითად, 1775 წელს იქ ჩასული იმერეთის ელჩი დ. კვინიხიძე დიდხანს ალოდინეს და წლის ბოლოს მიუღებლად უკანვე გამოისტუმრეს.

[4] დ. ჯანელიძე, ახალი საარქივო საბუთები ბესიკის შესახებ, გაზ. „სტალინელი", ქუთაისი, 1961, 17 ნოემბერი.

ეს მილოცვა თვითონ ეკატერინეს მოახსენოს. იმასაც გვეჯება, რომ გილანის ხან ჰედაიასთან წყლით თუ ხმელეთის გზით გავუშვათ მისი თავადი ბესარიონ გაბაონოვი, რომელმაც აქ ის მოსალოცი წერილი ჩამოიტანა. ამ წერილის დედანსაც და თარგმანსაც აქვე ვურთავ, რათა საგარეო საქმეთა სახელმწიფო კოლეგიას საშუალება მივცეთ, კარგად აწონ-დაწონოს ამ ქალალდების შინაარსი. გვეედრებით, მაცნობოთ, თუ რა ვუპასუხო იმერეთის მეფეს რუსეთში საგანგებო შიკრიკის გაგზავნის საკითხზე. მე თავაზიანი ფორმით უკვე მივწერე სოლომონს, რომ ამ საქმეს თქვენი ბრძანებულება სჭირდება, რაც შეეხება სპარსეთს მისი თავადის ბესარიონის გაგზავნას, ხმელეთით მის იქით გაგზავნას ვერ ვბედავ, ვინაიდან ხმები დაირხა, ქერიმ-ხანი მიიცვალა და გილანი აირ-დაირიაო; ამას ზედ დაერთო მტაცებელი მთიელი მოსახლეობის საომარი თადარიგიც საქართველოს წინააღმდეგ. ამიტომ ის თავადი გაბაონოვი ასტრახანის საგუბერნიო კანცელარიას გავუგზავნე და ბრძანება გავეცი — სპარსეთისაკენ გააყოლონ ვაჭართა ხომალდს... ხსენებულმა თავადმა იმერეთის მეფის ბრძანების ამბავი ზეპირი ჩამომიტანა — ანატოლიელი ჰაჯი-ალი-ფაშა ჯარებს აგროვებს და განზრახვა უნდა ჰქონდეს, 80 ათასი მხედარი რუსეთის წინააღმდეგ გამოიყვანოსო; მეორე მხრივ, ხმა გავარდნილა, თითქოს, ანატოლიის ეს ლაშქარი იმერეთის ასაკლებად დარაზმულიყოს, ამიტომ სოლომონი გვთხოვს, გადავარჩინოთ მისი სამეფო ოსმალთა შემოსევისაგან; შველას ამ შემთხვევაში იგი, უწინარეს ყოვლისა ჩვენგან მოელის, ვინაიდან, როგორც მის უსტარშია ნათქვამი, ამ რამდენიმე წლის წინათ იმერეთი ოსმალების უღლისაგან სწორედ რუსეთმა გამოიხსნა. ასეთ ვითარებაში, როდესაც იმერეთის მეფე ჩვენს საფარქვეშ დადგომას ეპირება, უცილობელია, ხელთ მეპყრას თქვენი ბრძანებულება შესახებ იმისა, თუ რა პასუხი გავცე სოლომონს, მან რომ თავშესაფარი გვთხოვოს"[1].

პირველ სათხოვარს მეფე ასე განმარტავს: გავიგეთ დიდი თავადის ალექსანდრე პავლეს ძის დაბადება (დაიბადა 1777 წლის დეკემბერში), ამიტომ თუ ნებას დაგვრთავს რუსეთის სამეფო კარი, ჩვენც მივულოცავთ ამ დიდ სიხარულსო. „ამ კნიაზ ვისარიონთან ღებელი კაცი, მამუკა გიახლებათ. ამისის ხელის წიგნი ადრე გვიბოძეთ"[2] — წერს მეფე.

მეორე თხოვნას თავის წერილში მეფე გვერდს უვლის და არ აღნიშნავს, თუ რატომ გზავნის თავის ელჩს გილანში: „ალა-

---

[1] დ. ჯანელიძე, დასახ. სტატია.
[2] ვ. მაჭარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 35.

იად-ხანს (გილანის ხანს) ზოგიერთი რამ ვსთხოვე და წიგნი მაგ ჩვენს კნიაზს გამოვატანე იმასთან და, რაც მითხოვნია, ვიცი, გამომიგზავნის; და გეევედრები სიყვარულისა და მეგობრობისათვის, წყლით იყოს თუ ხმელით, გაისტუმრეთ და მშვიდობით იქამდინ მივიდეს და როდესაც რომ იქიდამ მანდ გიახლებათ, აქეთაც კეთილი გზის წყალობა უყოთ, რომ რაც წამოიღოს აქ, ჩემამდინ მოაწევინოთ, დიდად მმადლობელი და მოსამსახურე მამყოფეთ"[1].

რუსეთის საარქივო მასალებზე დაყრდნობით პროფ. ვ. მაჭარაძე ასეთ დასკვნებს აკეთებს: 1) 1778 წლის ზაფხულში თურქეთის მთავრობამ დაიწყო ჯარების თავმოყრა ანატოლიაში; საფრთხე შეიქნა მათი იმერეთში შეჭრისა ურჩი ვასალის (იმერეთის მეფის) დასასჯელად, რათა აღდგენილიყო თურქეთის ბატონობა იმერეთის სამეფოზე; 2) იმერეთის მეფემ, მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილებისა და ქვეყნის გადარჩენის მიზნით, საგანგებო ელჩი გაგზავნა ირანში, რათა ესარგებლა ირან-თურქეთის წინააღმდეგობით და იმერეთისათვის დარტყმა თავიდან აეცილებინა; 3) რაკი იმერეთის მეფემ იცოდა, რომ რუსეთი 1775 წლიდან იმერეთის ელჩის მიღებას თავს არიდებდა და ასტრახანის გუბერნატორს განკარგულება ჰქონდა გაცემული, სამეფო კარის დაუკითხავად იმერეთის ელჩი პეტერბურგში არ გაეგზავნა, ირანში მიმავალ ელჩს თერგის ხაზამდე გაატანა მამუკა ღებელი, რათა ალექსანდრე პავლეს ძის დაბადების მილოცვის საბაბით გამოეთხოვა საგანგებო ელჩობის პეტერბურგში გაგზავნის ნებართვა; 4) რაკი იმერეთის მეფეს ზავის პირობებში საეჭვოდ მიაჩნდა რუსეთის გამოსვლა თურქეთის წინააღმდეგ იმერეთის დასაცავად, ბესიკს დაავალა, სიტყვიერი მოლაპარაკება გაემართა ასტრახანის გუბერნატორთან და მოესინჯა ნიადაგი, როგორი იქნებოდა რუსეთის მთავრობის პოზიცია თურქების იმერეთში შეჭრის შემთხვევაში; 5) ასტრახანის გუბერნატორმა იმერეთის მეფის წინადადებებზე პირდაპირი პასუხის გაცემას თავი აარიდა და რუსეთის მთავრობისაგან მოითხოვა განკარგულება.

მიუხედავად იმისა, რომ ირანის მთავრობასთან იმერეთის ელჩების მოლაპარაკების მასალები არა გვაქვს, აღნიშნავს ვ. მაჭარაძე[2], იმერეთის ელჩის ამოცანა უნდა ყოფილიყო თურქეთის წინააღმდეგ მებრძოლ ირანთან კავშირის დამყარება. მაგრამ ბესიკის შირაზში ჩასვლის შემდეგ ქერიმ-ხანი მალე გარდაიცვალა. ირანი არეულობამ მოიცვა, მისმა ჯარებმა შეწყვიტეს საომარი მოქმე-

[1] ვ. მ ა ჭ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.
[2] იქვე, გვ. 45—46.

დება ბასრა-ბაღდადის მიმართულებით და თურქეთის წინააღმდეგ ირანის გამოყენების საკითხი მოიხსნა. ხელცარიელი იმერეთის ელჩი თურქეთის სამფლობელოების გზით სამშობლოში დაბრუნდა.

ირანში დაწყებული შინაბრძოლებით ისარგებლა ალექსანდრე ბაქარის ძემ, რომელიც ადრე ქერიმ-ხანს შინაპატიმრობაში ჰყავდა და ირანიდან გამოპარული, 1779 წლის შემოდგომაზე იმერეთს მოვიდა; სოლომონ მეფემ შეიფარა ლტოლვილი ბატონიშვილი[1], რადგანაც ერეკლე-სოლომონის ურთიერთობა იმჟამად საკმაოდ გამწვავებული იყო და ურთიერთშორის განაწყენებული მეფეები ერთმანეთის მტრებს ფართოდ უღებდნენ კარებს. მამის წინააღმდეგ ამბოხებული სოლომონ მეფის შვილი ალექსანდრე ბატონიშვილი თავისი მომხრეებით მეფე ერეკლე მეორის კარს აფარებდა თავს[2]; თავის მხრივ, სოლომონმა შეიფარა აჯანყებული ქსნის ერისთავის შვილი ელიზბარი. სოლომონის კარზე პოვა თავშესაფარი ზაქარია გაბაშვილმა თავისი ოჯახით, რომელიც იძულებული გახდა ქართლი დაეტოვებინა ანტონ კათალიკოსის აღდგენის შემდეგ.

ქართლის ტახტის პრეტენდენტი, ვახტანგ VI-ის შვილიშვილი ალექსანდრე ბაქარის ძე პეტრე მესამის მკვლელობის შემდეგ ეკატერინე II-მ პეტერბურგიდან გააძევა, რადგან მან ზედმეტი ერთგულება გამოიჩინა მოკლული იმპერატორისადმი. ერთ ხანს იგი შირაზში ცხოვრობდა ქერიმ-ხანისაგან დახმარების მოიმედე. მაგრამ ირანის მბრძანებლის სიკვდილის შემდეგ იმედგადაწურული ალექსანდრე სასწრაფოდ წამოვიდა საქართველოში, იმერეთში გაჩნდა და ქართლში აჯანყების თადარიგს შეუდგა — 1779 წელს მან ფარული კავშირი გაბა ერეკლეს პოლიტიკით უკმაყოფილო თავადებთან.

ალექსანდრეს გამოჩენამ იმერეთში ქართლის უკმაყოფილო თავადებს ჩამქრალი იმედები გაუღვივა — ისინი ელოდნენ ქართლში ბატონიშვილის გადასვლას, რომ აჯანყებულიყვნენ.

ერეკლე მეფე ერევნის ციხეს იყო შემომდგარი იქაური გამდგარი ხანის დასამორჩილებლად; როდესაც მან წერილი მიიღო ქართლიდან — „მოვიდა ბაქარ-მეფის შვილი ალექსანდრე იმერეთს

---

[1] ვ. მაჭარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 45—46.

[2] ალექსანდრე ბატონიშვილს დიდხანს ადარ უცოცხლია, 1780 წელს „მოკვდა ძე სოლომონ მეფისა ალექსანდრე და დაშთა მეფე უძეოდ და დაფლეს გელათს. ვინაითგან ალექსანდრე იყო დისწული კაცია დადიანისა, ამისთვის წარვიდა დადიანი შესაფერითა დიდებითა და მივიდა გელათს და იტირა დისწული თვისი ალექსანდრე; თუმცა დიდი შური იყო მეფესა და დადიანს შუა, მაგრამ სიყვარულისათვის დისწულისა არა რიდა მისელა იმერეთსა შინა და მშვიდობითცა მოიქცა“ (ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962, გვ. 179—180).

და მეცადინეობს, რათა ვიეთნიმე ქართველნი შეიტყუოს და გარდაჰბიროს"[1]. ერეკლე მეფემ სასწრაფოდ მიაშურა ქართლს და მოწინააღმდეგე თავადებს ენერგიული მოქმედებით აჯანყების იმედი მოუსპო. მაგრამ იმერთა მეფის დახმარებით ალექსანდრე არ ცხრებოდა და აჯანყებისათვის ძალებს იკრებდა.

ახალციხის ფაშამ მეამბოხეს მხარი არ დაუჭირა[2], თვით ქართლ-კახეთში ადრინდელი შეთქმულების დამარცხების და შეთქმულთა დასჯის შემდეგ მეფის წინააღმდეგ გამოსვლას ვერავინ ბედავდა. წარუმატებელი ცდების შემდეგ ალექსანდრე ბატონიშვილი 1782 წლის დასაწყისში რაჭის გზით დაღესტანში გადავიდა, რათა იქიდან ეცადა ბედი. მას თან ახლდა „გეორგიანული ისტორიის" ავტორი ალექსანდრე ამილახვარი, რომელსაც პაატა ბატონიშვილის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის ცხვირი ჰქონდა მოჭრილი.

დარუბანდის მფლობელმა ფატალი-ხანმა და ტარკის შამხალმა ალექსანდრეს დახმარება აღუთქვეს, მაგრამ ერეკლე მეფის თხოვნით რუსეთის მთავრობამ ფატალი-ხანს სტუმრების გაცემა მოსთხოვა და თან ირჩევანი შესთავაზა: ან დარუბანდის მახლობლად მყოფი რუსის ჯარის ზარბაზნების ყუმბარები ეგემნა, ან ხუთასი ჩერვონეცი და ოქროს სათუთუნე მიეღო საჩუქრად და სტუმრები გაეცა... ფატალი ხანმა მეორე ამჯობინა.

ალექსანდრე ბაქარის ძე რუსებმა სმოლენსკის ციხეში ჩასვეს და იგი იქვე გარდაიცვალა, ხოლო ალექსანდრე ამილახვარი ვიბორგის ციხიდან ცხრა წლის პატიმრობის შემდეგ გათავისუფლდა.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ამერ-იმერის მეფეები მაინც დაზავდნენ: სოლომონ მეფე 1782 წელს ქართლში გადავიდა და სოფელ ალში ერეკლე მეფეს შეურიგდა.

* * *

დასავლეთ საქართველოში ბრძოლები არ ცხრებოდა. თურქეთმა, რომელიც მტრულად შეხვდა იმერეთის მეფისადმი დადიანის დაქვემდებარებას, მოინდომა აფხაზეთის გზით სამეგრელოში შეჭრა და იმერეთისაგან ოდიშის მოწყვეტა. ამავე დროს, თვით აფხაზეთის მთავარიც უარყოფითად იყო განწყობილი ოდიშის მიმართ და მისთვის ტერიტორიის ჩამოჭრას ცდილობდა. ასეთ ვითარება-

---

[1] ო. ხერხეულიძე, ცხოვრება ირაკლი მეფისა, წიგნში „ქართლის ცხოვრება", II, ჩუბინოვის გამოცემა, სანკტ-პეტერბურგი, 1854, გვ. 497.

[2] შ. ბურჯანაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 133.

ში 1779 წლის მიწურულში თურქეთი შეუთანხმდა აფხაზებს, შეკრიბა დიდძალი ჯარი: ჯიქები; ალანები, ჩერქეზები, ყუმურდოელები, ყირიმელი თათრები, ყივჩაყები (ბალყარელები) და თვით აფხაზები „ცხენოსანი და ქვეითი... ჯაბახანით, თოფხანით, ზარბაზნებით"[1] და მოულოდნელად შემოესია სამეგრელოს. ბესიკის ცნობით მოლაშქრენი ექვს ენაზე ლაპარაკობდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს კაცია დადიანსა და სოლომონ მეფეს შორის თანხმობა არ სუფევდა, ოდიშის მთავარმა დახმარებისათვის მაინც სოლომონ პირველს მიმართა. წერილის მიღებისთანავე იმერთა მეფემ სწრაფად შეკრიბა ლაშქარი და გურიელის ჯარის თანხლებით ოდიშისაკენ გაემართა.

იმერეთის და გურია-ოდიშის ერთიანი ლაშქარი ზუგდიდიდან გავიდა მტრის დასახვედრად. მტერმა ენგური გადმოლახა და რუხის მახლობლად დაბანაკდა.

ბრძოლა, რომელიც ისტორიაში შევიდა რუხის ბრძოლის სახელწოდებით, მოხდა 1779 წლის მიწურულში რუხის ციხის მახლობლად.

ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ქართველთა ლაშქარმა, მტერი მოისრა, ნაწილი ტყვედ ჩავარდა და მხოლოდ მცირეოდენმა დააღწია თავი სიკვდილსა და ტყვეობას.

რუხის ბრძოლამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, თუ რა ძალა შესწევდათ ქართველებს, როცა გაერთიანებულნი გამოდიოდნენ მტრის წინააღმდეგ.

რუხის ბრძოლამ მეგობრული ურთიერთობა დაამყარა მეფე-მთავრებს შორის, დადიანმა აღიარა იმერთა მეფის უზენაესობა, რის შედეგადაც კიდევ მეტად განმტკიცდა შინაური მშვიდობა.

შინაური პირობების გაუმჯობესების გამო ქვეყანამ მოღონიერება იწყო; ტყვეთა სყიდვის მოსპობით, ეკლესიის საქმეთა მოწესრიგებით, თურქების გაძევებით, ხარკისაგან განთავისუფლებით და ფეოდალთა ურთიერთბრძოლის შენელებით ქვეყანამ ამოისუნთქა, დაცარიელებულმა მხარემ სწრაფად იწყო მომრავლება — თუ 1769 წელს იმერეთის სამეფოში დაახლოებით 12 ათასი კომლი ითვლებოდა, 1782 წლის აღრიცხვით მოსახლეობამ უკვე 18980 კომლს მიაღწია. ქუთაისში 500 კომლი მაჰმადიანი ცხოვრობდა, 1770 წელს მეფის ხელში ქალაქის გადასვლის შემდეგ მაჰმადიანები განიდევნენ და თუმცა იქ მხოლოდ 50 კომლი ქართული მოსახლეობა დარჩა, მაგრამ მოკლე დროში ქალაქში მცხოვრებთა რიცხვმა 200 კომლს მიაღწია. გაუმჯობესდა შინაური მმართველობა—

---

[1] ბ ე ს ი კ ი, თხზულებანი, თბ., 1962, გვ. 124.

სასამართლო საქმეების მოწესრიგების მიზნით დაარსდა მდივანბეგის ინსტიტუტი, ვახტანგის კანონებში შეტანილი იქნა ცვლილებები და დამატებანი ადგილობრივ ჩვეულებათა მიხედვით. გაიზარდა სახლთუხუცესის მნიშვნელობა და ამ თანამდებობაზე დაინიშნა ზურაბ წერეთელი.

* * *

წერეთლები საქართველოს ისტორიაში ჯერ კიდევ მე-16 საუკუნის ნახევრიდან გამოჩნდნენ და აქედან მოკიდებული, მთელი ოთხი საუკუნის მანძილზე მისი ავანსცენიდან არ ჩამოსულან. ისინი დიდი წარმატებით მოღვაწეობდნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში; არ არის არცერთი დარგი, სადაც წერეთლებს თავი არ გამოეჩინოთ: პოლიტიკა, მწერლობა, მეცნიერება. მე-18 საუკუნის წერეთლები, როგორც ჭკვიანი პოლიტიკოსები, კარგად ერკვეოდნენ ვითარებაში და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რუსეთთან მჭიდრო კავშირის გარეშე საქართველოს არსებობას დიდი საფრთხე ელოდა, ამიტომ ისინი მთელის არსებით ჩაებნენ საქართველო-რუსეთის დაახლოების საქმეში და ამ მიმართულებით ერთ-ერთი დასაყრდნობი გახდნენ.

როგორც ირკვევა, ეს გვარი აღმოსავლურქართულია. ცნობილია მათი პირვანდელი ადგილსამყოფელიც — ზემო ქართლში, მდინარე ტანას შენაკადთა ხეობაში სოფლები დიდი და მცირე წერეთი, აქვეა თრიალეთის მთის ერთ-ერთი ქედი — წერეთის, ქედად წოდებული[1].

მე-16 საუკუნის შუა ხანებიდან ისინი უკვე ორ შტოდ ჩანან: ქართლისა და იმერეთის; სავარაუდებელია, რომ იმერეთში მათი გადასვლა გაცილებით უფრო ადრე მოხდა. ვახუშტი აბაშიძის „შეწირულების წიგნში“, რომელიც გელათში ინახებოდა (მე-16 საუკუნე), მოხსენებულია „საწერეთლოთა საყდრის ყმანი“[2]. ქართლელი წერეთლების წარმომადგენელი ზაალი მოხსენებულია როსტომ მეფის (1632—1658) ერთ-ერთი სიგელში (1648 წლისა), ხოლო დავით და გიორგი წერეთლები 1715 წლის რუისის სამწყოსის დავთარში ჩანან. ასევე მოხსენებული ჰყავს იოსებ თბილელს თავის პოემა „დიდმოურავიანში“ ქველი წერეთელი (მე-17 საუკ. პირველი ნახევარი)[3].

---

[1] ლ. ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, 1965, გვ. 11.

[2] იქვე, გვ. 13.

[3] იოსებ თბილელი, დიდმოურავიანი, 1939, გვ. 39.

მე-17 საუკუნის დოკუმენტებში წერეთლების ხსენება, როგორც დიდი ფეოდალებისა და სამეფო კარის უმაღლესი მოხელეების (სარდალი, სახლთუხუცესი, მანდატურთუხუცესი და სხვ.). ხშირია. გარდა იოსებ თბილელისა, წერეთლებს იხსენიებენ თავის თხზულებებში გამოჩენილი ქართველი მწერლები: ფეშანგი[1], არჩილი[2], ბესიკი[3].

წერეთლების რეზიდენცია — საჩხერე, როძელიც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შემაერთებელ გზაზე მდებარეობდა, ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ნახსენებია როგორც კარგად დასახლებული მრავალეროვანი დაბა („მოსახლენი არიან იმერნი, სომეხნი, ურიანი“)[4].

იმერეთის მეფის სოლომონ I დიდის მეფობაში, როცა საბოლოოდ დაითრგუნა აბაშიძეთა გვარის ძლიერება, მეფის კარზე და საერთოდ იმერეთის სამეფოში დიდი გავლენა მოიპოვა წერეთლების საგვარეულომ. ეს უკანასკნელი მთელი მეთვრამეტე საუკუნის მანძილზე, აგრეთვე სამეფოს გაუქმების შემდგომ პერიოდში აქტიურ როლს ასრულებდა დასავლეთი საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში. ამასთან, წერეთლების საგვარეულოს გამოჩენილ წარმომადგენელთა დიდი უმეტესობა, როგორც ზემოთ ითქვა, სწორად ერკვეოდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებში; სწორად სახავდა საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობისათვის საჭირო და აუცილებელ ღონისძიებებს, რეალურად და საღად აფასებდა ქართული სამეფო-სამთავროების ორიენტაციის საკითხს და თანმიმდევრულად მოქმედებდა მის შესაბამისად.

* * *

1781—1782 წლებში პოლიტიკური ვითარება ამიერკავკასიაში კვლავ დაიძაბა. შავ ზღვაზე რუსეთ-თურქეთის მეტოქეობა თანდათან გაღრმავდა და გაფართოვდა. ამ პირობებში თურქეთისათვის საარსებო მნიშვნელობა მიეცა დასავლეთ საქართველოში გაბატონებას და შავი ზღვის სანაპირო ზოლის მტკიცედ ჩაგდებას ხელში, აღნიშნულ წლებში თურქეთის მთავრობამ ფოთში გამოგზავნა კაფუჯი-ბაში, რომელსაც სასაზღვრო ადგილებში სიმაგრეები უნდა აეგო და შემდეგ იმერეთი დაეპყრო.

სოლომონ მეფე მხნედ ებრძოდა აგრესორს და მას განზრახ-

---

[1] ფ ე შ ა ნ გ ი, შაჰნაზარიანი, 1935, გვ. 54.

[2] ა რ ჩ ი ლ ი, თხზ., 1937, ტ. 2. გვ. 55.

[3] ბ ე ს ი კ ი, თხზულებანი, 1932, გვ. 35.

[4] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 156.

ვის შესრულების საშუალებას არ აძლევდა. 1781 წლის ზაფხულში იმერთა მეფემ აჭარაზეც კი გაილაშქრა, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია, რადგან იმერეთიდან აჭარაში შეჭრა ბუნებრივი ზღუდეების გამო ძნელი აღმოჩნდა.

ამ მძიმე ბრძოლებში იმერთა მეფე თავის მოკავშირეს ისევ რუსეთში ხედავდა და მას დახმარებას სთხოვდა. სოლომონ პირველმა ორჯერ — 1781 და 1782 წლებში კვლავ მიმართა რუსეთის მთავრობას თხოვნით, რათა თურქეთის აგრესიისაგან დაეცვა. პირველ თხოვნას დუმილით უპასუხეს, ხოლო მეორე თხოვნის შემდეგ 1782 წლის დეკემბერში რუსეთის მთავრობამ თავის ელჩს კონსტანტინოპოლში — ბულგაკოვს მითითება მისცა, რუსეთის სახელით გამოსარჩლებოდა საქართველოს მეფეებს[1].

1779 წელს სოლომონ მეფემ რომის პაპს პიუს VI-ს მიმართა თხოვნით, რათა თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებოდა, მაგრამ პაპისაგან მხოლოდ ლოცვა-კურთხევა მიიღო.

ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულების შემდეგ რუსეთი ქართველი მეფეების თხოვნას უყურადღებოდ ტოვებდა, ამიტომ ერეკლე მეფემ 1781 და 1782 წლებში ორჯერ სთხოვა ავსტრიის იმპერატორ იოსებ მეორეს ფულადი სესხი ლაშქრის გასადიდებლად, მაგრამ უარი მიიღო[2]. ერეკლე მეფე იძულებული გახდა, ისევ თურქეთისათვის მიემართა.

ერეკლეს ელჩის გამოჩენის შესახებ ხონთქარის კარზე რუსეთის სტამბოლელმა ელჩმა პეტერბურგს აცნობა და თან შეატყობინა, რომ სულთანმა მას წყალობის თვალით შეხედა და რომ ერეკლესა და მას შორის სამეგობრო და სამოკავშირო ტრაქტატი დაიდო.

რუსეთის მთავრობა შეაშფოთა ერეკლეს ამ ნაბიჯმა და მან ენერგიულად სცადა საქმის გამოსწორება: რუსეთის დიპლომატი ორმხრივი იერიშით შეეცადა, ერეკლესათვის გეზი შეეცვლევინებია. ერთი მხრივ, მან ალექსანდრე ამილახვარი აამოქმედა, ალექსანდრე ბაქარის ძე ფათალი-ხანთან მივიდა, თვით ფათალი-ხანი აქტიურად ამოქმედდა ერეკლეს წინააღმდეგ, მას საშუალება მიეცა იმიერკავკასიაში ჯარის დაქირავებისა — ყველა ეს რუსეთის მხრივ მიღებული კონტრზომები ჩანს.[3] მეორე მხრივ, რუსეთმა

---

[1] ა. ცაგარელი, II, გვ. 24, 29, 30.

[2] ივ. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, გვ. 23.

[3] ნ. ბერძენიშვილი დასახ. ნაშრომი, გვ. 168—171.

უხვი დაპირებებით მრავლად აამოქმედა თავისი აგენტები ერეკლეს კარზე („ბროდიაგა“ რაინეგსიც კი) და ქართლ-კახეთის მეფემ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება — 1783 წლის 24 ივლისს ჩრდილო კავკასიის რუსულ ციხესიმაგრე გეორგიევსკში დაიდო რუსეთ-საქართველოს ტრაქტატი.

1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის ძალით ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობაში შევიდა. ამ აქტით რუსეთი აშკარად ჩაერია ამიერკავკასიის საქმეებში და თურქეთსა და ირანს დაუპირისპირდა. საქართველოს მაჰმადიანური სამყაროსაგან ხსნის იმედის სხივი აუკიაფდა, მაგრამ, სანამ ეს იმედი ხორცს შეისხამდა, უფრო მეტად გამწვავდა საქართველო-ირანისა და საქართველო-თურქეთის ურთიერთობა.

1782 წელს იმერეთის მეფის სოლომონ პირველის თხოვნა რუსეთისადმი იმერეთის სამეფოს მფარველობაში აყვანის შესახებ უყურადღებოდ აღარ დარჩენილა. ეკატერინე II-ის მითითებით 1782 წლის დეკემბერში გრაფმა ა. ბეზბოროდკომ თავად პოტიომკინს აცნობა რუსეთის მთავრობის განზრახვა, დადებულიყო ხელშეკრულება რუსეთ-საქართველოს შორის. 1783 წლის დასაწყისში ხელშეკრულების პროექტი მზად იყო, იგი პოტიომკინს გადაეცა. საქართველოს სამეფოებთან მფარველობითი ტრაქტატის გასაფორმებლად[1].

ამ დროისათვის საქართველოში იგზავნება რაინეგსი. მას მოაქვს ორდენი სოლომონ მეფისათვის და დახმარების შეპირება[2]; თან ევალება, საქართველოს მეფეები ამდენი მომდურების შემდეგ შეარიგოს[3] და იმოქმედოს მფარველობითი ტრაქტატის დასადებად.

1782 წლის დამლევსა და 1783 წლის დასაწყისში რუსეთის სამეფო კარზე მარტო ქართლ-კახეთის სამეფოს საკითხი არ იდგა — შავად დაწერილი ტრაქტატის ტექსტი იმერეთის სამეფოზე მფარველობის გაფორმებასაც შეიცავდა. იქ იმერეთის სამეფო და მისი მეფე სოლომონ I ისეა მოხსენებული, როგორც ქართლ-კახეთის სამეფო და მისი მეფე ერეკლე II[4].

ივ. ჯავახიშვილი ამის გამო წერს: „თავდაპირველად ისე იყო გადაწყვეტილი, რომ 1783 წ. ხელშეკრულება უნდა მთელ დასავ-

---

[1] ა. ცაგარელი, ტ. II, გვ. 30—41 (რუს.).

[2] ი. ციცაძე, 1783 წ. მფარველობითი ტრაქტატი, თბ., 1960, გვ. 269—270.

[3] ბუტკოვი, მასალები კავკასიის ახალი ისტორიისათვის 1792 წლიდან 1892 წლამდე, 1869, ტ. II, გვ. 118 (რუს.). შემდეგში — ბუტკოვი, მასალები.

[4] ვ. მაჭარაძე, ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, თბ., 1968, გვ. 62.

ლეთ-აღმოსავლეთ საქართველოსთან ყოფილიყო დადებული და ამ ხელშეკრულების შაავად დაწერილი დედანი სწორედ ასეც არის შედგენილი: ყველგან იქ ერეკლე მეფის სახელის გვერდით და ქართლ-კახეთის სამეფოს მოხსენიების დროს დამატებულია „იმერეთის მეფე სოლომონ“ ან „იმერეთის სამეფო“[1]. ამასვე ადასტურებენ ა. ცაგარელი, ი. ცინცაძე, ვ. მაჭარაძე[2].

ყურადღებას იპყრობს ელგუჯა ხინთიბიძის მიერ ესპანეთის სახელმწიფო არქივში მიკვლეული წერილი, რომელიც გამოქვეყნდა 1985 წლის 28 აპრილის გაზეთ „კომუნისტში“. ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს თავისი წარმომადგენელი ბერლინიდან ატყობინებს რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების ამბავს, რომ „საქართველოს მთავარმა (მეფემ) ერაკლიმ რომელსაც რუსეთის იმპერატრიცამ გაუგზავნა სკიპტრა და გვირგვინი, მიიღო ეს საპატივცემლო ნიშნები, გამოაცხადა რა თავი ვასალად და დამოკიდებულად რუსეთის სამეფოზე, საქართველოს მთავარმა (მეფემ) სოლომონმა რომელსაც ასევე გაეგზავნა საპატივცემლო ნიშნები, მათზე უარი თქვა და ამჯობინა შეენარჩუნებინა თავისი დამოუკიდებელი მბრძანებლობა“.

„ბერლინი 16 სექტემბერი 1783 წლისა“

როგორც ე. ხინთიბიძე აღნიშნავს, წერილი მრავალმხრივ არის საინტერესო. იგი დაწერილია გეორგიევსკში შეთანხმების ხელმოწერიდან (1783 წ. 24 ივლისი) თვე-ნახევრის შემდეგ და ამდენად ინახავს ერთ-ერთ უძველეს ვერსიას იმის თაობაზე, თუ როგორ გავრცელდა ამ შეთანხმების ამბავი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მმართველ წრეებში.

1783 წლის დასაწყისში იმერეთის სამეფოს შესვლა რუსეთის მფარველობაში დღის წესრიგში იდგა, მაგრამ 1783 წლის 8 აპრილს ყირიმის სახანოს შეერთებამ რუსეთთან მთლად შეცვალა პოლიტიკური სიტუაცია ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ, „იმერეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში მიღება თურქეთის აშკარა გამოწვევა იქნებოდა. მართალია, ყირიმის სახანოს შეერთებითაც ირღვეოდა 1774 წლის კაინარჯის ტრაქტატი და აინალი-კავაკის 1779 წლის კონვენცია, რომლითაც ყირიმის სახანო დამოუკიდებელ ქვეყნად იყო აღიარებული, მაგრამ ყირიმის შეერთება მაინც არ ნიშნავდა, რომ რუსეთმა ტრაქტატით კუთვნილი ქვეყა-

---

[1] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, თბ., 1919 წ., გვ. 27.

[2] ა. ც ა გ ა რ ე ლ ი, ტ. II, გვ. 32 (რუს.). ი. ც ი ნ ც ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 112, ვ. მ ა ჭ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 62.

ნა წაართვა თურქეთს. ამ შემთხვევაში რუსეთი დამოუკიდებელ ქვეყანას იერთებდა, რომლის დამოუკიდებლობა ადრე რუსეთმა და თურქეთმა ერთობლივად სცნეს. იქ მხოლოდ თურქეთის პრესტიჟი ილახებოდა. აქ კი იმერეთის მფარველობაში მიღება თურქეთისათვის თითქმის ქვეშევრდომის წართმევა იქნებოდა"[1].

ასეთ მდგომარეობაში რუსეთმა თავი შეიკავა 1783 წლის ტრაქტატში იმერეთის სამეფოს ჩართვისაგან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ რუსეთი უარს აცხადებდა იმერეთის სამეფოს შეერთებაზე. იგი ხელსაყრელ პოლიტიკურ ვითარებას უცდიდა თავისი მიზნის განსახორციელებლად.

ასეთი პოლიტიკური სირთულე გადაეღობა წინ იმერეთის მეფე სოლომონ პირველს. რუსეთის მთავრობაც ცდილობდა, ჯერჯერობით მოპოვებულით დაკმაყოფილებულიყო და თურქეთის მთავრობაც აღარ გაეღიზიანებინა.

ამრიგად, იმერეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში მიღების საკითხი, თუმცა 1782—1783 წლის დასაწყისში დღის წესრიგში იდგა, იგი 1783—1784 წლებში მოიხსნა.

იმერეთის მეფე ითხოვდა ისეთივე მფარველობითი ტრაქტატის დადებას იმერეთთან, როგორიც გაფორმდა ქართლ-კახეთის სამეფოსთან. მაგრამ ამაო იყო მეფის თხოვნა, ამ მოლაპარაკების დროს ბუნდოვნად თავი იჩინა რუსეთის მთავრობის განზრახვამ, მოესპო იმერეთის სამეფო, რაც შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურა[2].

ჟან შარდენის ცნობით, აჭარის მოსახლეობა XVII საუკუნის 70-იან წლებში ჯერ კიდევ ქრისტიანული იყო, ხოლო XVIII საუკუნეში სრულიად გამაჰმადიანდა. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მაჰმადიანობა გურიის სამთავროს საზღვრებშიც შემოიჭრა.

XVIII საუკუნის დასაწყისში ქვემო გურიაში ბათუმისა და ჩაქვის მხარეების დაკავებისთანავე თურქებმა თავდასხმები დაიწყეს ქობულეთზეც, სადაც თავდგირიძეთა საგვარეულო პირველობდა[3]. XVIII ს. 60—70-იან წლებში, ციხისძირი და ქობულეთი მათ განკარგულებაში გადავიდა. მამუკა თავდგირიძე (სოლომონ ძეფის სიძე) მამია IV გურიელს შეეკედლა. თავადაზნაურობის ნაწილმა მაჰმადიანობა მიიღო, რომ ყმა-გლეხები შეენარჩუნებინა. გლეხობამ მიატოვა თავისი მამა-პაპეული საცხოვრებელი და შუა

---

[1] ვ. მაჭარაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 69—70.

[2] უფრო ვრცლად იხ. მ. რეხვიაშვილი, იმერეთი XVIII ს-ში, თბ., 1982, გვ. 157—166.

[3] დაწვრილებით იხ. ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან. „მაცნე", № 4, 1964.

გურიაში გადასახლდა. ქვემო გურიის მოსახლეობას გადაშენების საფრთხე დაემუქრა, მაგრამ შეიქმნა მეტად თავისებური მდგომარეობა: „გლეხები, რომლებსაც არ სურდათ მაჰმადიანობის მიღება, გურიის ქრისტიანულ ნაწილში გადადიოდნენ ან თურქებთან ბრძოლას ეწირებოდნენ, მაგრამ რადგანაც მაჰმადიანობის მიღება გლეხს ბატონყმობის უღლისაგან ათავისუფლებდა, ამიტომ გურიის სამთავროდან და იმერეთიდან მრავალი გლეხი ბატონისაგან თავის დაღწევის მიზნით ქვემო გურიაში გადასახლდა. გურიის ქრისტიანულ და მაჰმადიანურ ნაწილთა შორის მოსახლეობის, უმთავრესად გლეხობის, ასეთი ორმხრივი მოძრაობა შემდეგშიაც — XIX საუკუნის 80-იან წლებამდე არ შეწყვეტილა“[1].

ქვემო გურია თურქეთმა ტრაპიზონის სანჯაყს შეუერთა, მაგრამ მის სრულ მორჩილებაში მოყვანა მაინც ვერ შეძლო და XIX საუკუნის 40-იან წლებამდე „უბატონო“ თემის მდგომარეობაში იყო, რომელსაც ადგილობრივი გამაჰმადიანებული ქართველები განაგებდნენ[2].

როდესაც მამია IV-ის მეუღლე, სოლომონ მეფის და როდამი გარდაიცვალა, მეფესა და გურიელს შორის უთანხმოება ჩამოვარდა: სოლომონმა გურიის სამთავროს შემოერთება გადაწყვიტა, მან ჯერ თავისი დისშვილი, მამიას მემკვიდრე 14 წლის დავითი გაიწვია სამეფო კარზე, ვითომც აღსაზრდელად, მაგრამ დააბრმავა და გურიაში შეჭრა გადაწყვიტა; გურულები მას აღუდგნენ, რადგან იმერეთის მეფის ბატონობას ადგილობრივი მმართველობა ამჯობინეს. ამით ისარგებლა გიორგი V-მ — 1776 წელს თავისი ძმა გადააყენა და თვითონ გაგურიელდა[3].

გიორგი გურიელი ცნობილი იყო როგორც „თურქოფილი“, მაგრამ ამ პერიოდში იმერეთის სამეფო ძლიერების ხანაში იმყოფებოდა, ეს გავლენას ახდენდა გურიის სამთავროზეც და ამიტომ გიორგი გურიელი იძულებული იყო, ორმაგი პოლიტიკა ეწარმოებინა, ერთგული ყოფილიყო იმერეთის მეფისა და ამავე დროს, კავშირი ჰქონოდა ახალციხის ფაშასთან, რომ თურქთა რისხვა აეცდინა[4]. მეფე-მთავარს შორის ფარული ბრძოლა მიმდინარეობდა, იმერთა მეფემ მას საჯავახოს მხარე ჩამოაცილა და მისი

---

[1] ქ. ჩხატარაიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 130.
[2] იქვე.
[3] იქვე. გვ. 132.
[4] იქვე. გვ. 133.

მფლობელი გურიის ერისთავები თავის „ხელმწიფედ“ სოლომონს აღიარებდნენ[1]. ყოველივე ამის შემდეგ გიორგი იძულებული გახდა, იმერეთის მეფეს მორიგებოდა. მან სოლომონ მეფის დისწული, ზურაბ წერეთლის ასული თავის მემკვიდრე სოლომონს შერთო და ამით მოყვრული კავშირი დაამყარა იმერეთის სამეფოსთან, რის შემდეგ გურიაშიც მშვიდობა დამყარდა. ამის შედეგი იყო, რომ გურიის ლაშქარი იმერეთის ლაშქართან ერთად იბრძოდა აფხაზეთის წინააღმდეგ რუხის ბრძოლაში.

იმერეთის მეფესთან გურიის კავშირი არ მოსწონდა ოსმალეთის მთავრობას, მან ახალციხის ფაშას უბრძანა გურიაზე თავდასხმა და მისი აკლება.

1784 წელს თურქეთის დავალებით დიდი თავდასხმა მოაწყო გურიაზე აჭარის ბეგმა, გამაჰმადიანებულმა ქართველმა აბდულ ხიმშიაშვილმა, მაგრამ მისი ლაშქარი დაამარცხეს გურულებმა და თვით აბდულ-აღაც ბრძოლის ველზე დაიღუპა.

სოლომონმა, როგორც დასავლეთ საქართველოს მბრძანებელმა, გურიაში აჭარელთა შემოსევის გამო ახალციხის ფაშასთან იჩივლა, მაგრამ ფაშამ მეფეს უპასუხა: მართალია, აჭარა ჩვენს საგამგებლოში შემოდის, მაგრამ აჭარლებზე, რომლებიც მიუვალ მთიან ადგილებში ცხოვრობენ, მე ჩემს უფლებებს ვერ ვახორციელებ და მათი დასჯაც არ შემიძლიაო.

აჭარელთა შემოსევის საპასუხოდ 1784 წლის გაზაფხულზე სოლომონ პირველმა, როგორც დასავლეთის უზენაესმა მბრძანებელმა, ქვემო გურიის გასათავისუფლებლად გაილაშქრა. მეფე ფიქრობდა, რომ ქვემო გურიის მოსახლეობა მხარს დაუჭერდა თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეს ლაშქრობა მეფემ დიდი სიფრთხილით ჩაატარა, რადგან გიორგი გურიელი, როგორც „თურქოფილი“, საიმედოდ არ ეჩვენებოდა. მეფე წინასწარ მოელაპარაკა მას და ბათუმისაკენ ლაშქრობაზე დაითანხმა, ხოლო მისი მემკვიდრე სიმონი ერთგულების ნიშნად ქუთაისში მიიპატიჟა და მძევლად დაიტოვა, ხოლო გურიელის მეორე ვაჟი ვახტანგი გურიის ლაშქარს უსარდლა.

ამ ლაშქრობას თანამედროვე ასე აღწერს: „...იმერეთის დიდმა მეფემ სოლომონმა სიმონ გურიელი მიიწვია ქუთაისში მოსალაპარაკებლად.

ერთ დღეს მეფე, ვითომ სანადიროდ, წაბრძანდა ვარციხეს და გურიელი ქუთაისში დატოვა. თურმე მეფემ საიდუმლოდ გასცა ბრძანება და ჯარით ჩამოვიდა გურიაში. გურიელი და ქობულეთე-

---

[1] ქ. ჩხატარაიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 134.

ლი ჯარი თან გაიყოლა, უეცრად გადაიარა ციხისძირი, დალაშქრა ჩაქვი და ბათუმის სოფლები, მრავალი ტყვეები წამოიყვანა ღა ალაფით გამობრუნდა უკან. ვინც რომ დარჩნენ ჩაქველები და ბათუმელები, ციხისძირის გადმოსარებს, ვიწრო გზაზე ტყეში, სახელდობრ ნაპიშკრევს, დახვდნენ მეფის ჯარს, აუტეხეს დიდი სროლა, დაამარცხეს მეფე, ალაფი და ტყვეები დაატოვებინეს"[1].

მიუხედავად იმისა, რომ ამ ლაშქრობას იმერთა მეფე დიდი სიფრთხილით ამზადებდა, საიდუმლო მაინც გაცემულ იქნა. ოდიშის მთავარს დადიანს ლაშქრობის გეგმა შეუტყვია და ფოთის ფაშასათვის უცნობებია. ფაშამ აცნობა გურიის სანაპირო პუნქტებში მდგარ თურქთა გარნიზონებს მოსალოდნელი ლაშქრობის შესახებ და ისინიც საბრძოლველად მოემზადნენ; ხოლო თვითონ ფაშამ ციხისძირთან თურქთა ჯარი გადასხა და იმერთა ჯარს ზურგში მოექცა.

იმერთა მეფემ ქვემო გურიის გასათავისუფლებლად 6000-იანი მეომრით გურიის ჯართან ერთად 4 მარტს დაიწყო ლაშქრობა. მათ დაიკავეს ქობულეთის მხარე, აიღეს და დაანგრიეს ქობულეთის ციხე-სიმაგრე, მეფის ბრძანებით გაქლიტეს ჩამოსახლებული თურქები, ნაქალაქარი გადახნეს და მარილი მოაყარეს, რომ ოსმალთა საყრდენი ბუდე აღარ გაცოცხლებულიყო. შემდეგ ჩაქვის მხარეში შეიჭრნენ, იქიდან თურქები გარეკეს და ბათუმამდე ილაშქრეს.

უკან მობრუნებულ ლაშქარს, 7 მარტს, ციხისძირთან, ე. წ. ნაპიშკრევის ვიწრო გამოსასვლელში, რომელიც ტყით იყო დაბურული, თავს დაესხა ჩასაფრებული თურქებისა და ბათუმელ-ჩაქველების ლაშქარი. ორ ცეცლხშუამოქცეული მეფის ლაშქარი სასტიკად დამარცხდა, თავგანწირული ბრძოლის შემდეგ ძლივს გადაურჩა დატყვევებას მეფე და მისი ამალა.

როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რუსთა სტამბოლელ ელჩს სტახიევს ეს ამბავი პეტერბურგის საიმპერატორო კარისათვის უცნობებია: აჭარლებმა გურიის სოფლები დაარბიეს. სოლომონმა ანალციხის ფაშასთან იჩივლა. დაკმაყოფილება ვერ მიიღო. საპასუხოდ 6000 კაცით თურქეთის საზღვრებში შეჭრილა, ხალხი გახიზნული დახვედრია (დადიანს შეუტყობინებია მათთვის სოლომონის ამოძრავების შესახებ), მთის გზაზე მაჰმადიანები ჩასაფრებიან სოლომონის ჯარს. სოლომონი დამარცხებულა, 600 კაცი მოკლული დაუკარგავს, 200 კაცი ტყვედ წაუყვანიათ, 18 მარტო

---

[1] „დროება", 1880 წ., № 265.

დიდკაცი დაღუპულა, ტყვეები სტამბოლს გაურეკიათ, ნაწილი ტრაპიზონს დარჩენილა[1].

თანამედროვეთა ცნობებს ქართველი ისტორიკოსებიც ადასტურებენ. ხიკო დადიანის ცნობით, იმერთა მეფეს წარმატებით ულაშქრია ჩაქვის მხარეში, მაგრამ უკან მობრუნებულს „ეწივნენ რაოდენიმე ჩაქველნი, დაუწყეს თოფთა ცემა. დაჰკოდეს სარდალი წულუკიძე ბერი და აგიაშვილი ქაიხოსრო და მოჰკლეს მრავალნი წარჩინებულნი თავად-აზნაურნი და ცოცხალნიცა დაიმორჩილეს და მიიქცა მეფე იმერეთს დიდად დამარცხებული“[2].

ბაგრატ ბატონიშვილის გადმოცემით, ამ ბრძოლაში გურულებსაც ულალატნიათ მეფისათვის[3]. მისივე სიტყვით, სოლომონს თითქმის მთელი ლაშქარი დაეღუპა და თვითონაც ძლივს გადაურჩა დატყვევებას. მეფე ბრძოლის ველიდან გურიის ლაშქრის სარდალს ვახტანგ ბატონიშვილს გამოუყვანია თავისი ცხენით.

მძიმე იყო ამ ბრძოლის შედეგები. ეს ლაშქრობა გახშირებული თავდასხმების სიგნალი გახდა. ახალციხის ფაშამ ამ ლაშქრობის დამთავრების უმალვე ჯარი შეუსია გურიას და საშინლად დაარბია, ააოხრა ეკლესია-მონასტრები და წაასხა ტყვეები. ამის შემდეგ ქობულეთის მხარე თითქმის მთელი საუკუნით (1878 წლამდე) თურქების ხელში გადავიდა.

ჩაქვის ბრძოლა მოხდა 1784 წლის 9 მარტს. იმავე წლის 23 აპრილს, დღის ორ საათზე, როცა სოლომონ მეფე გიორგობის დღესასწაულზე ხონში მიდიოდა, ცხენზე ამხედრების დროს უეცრად გადმოვარდა და გარდაიცვალა. სახელოვანი სარდალი, რომელსაც მტერთან ბრძოლაში სერიოზული დამარცხება არ ახსოვდა, ბაგრატ ბატონიშვილის აზრით, ნაჭიშკრევთან მარცხის ელდას გადაჰყვა. ამასვე აღნიშნავს ამ ბრძოლის თანამედროვეც[4].

ანდერძის თანახმად, მეფის გვამი გელათის მთავარ ღვთისმშობლის ტაძარში დამარხეს[5]. ხოლო საფლავის ქვას წარწერა 1840 წელს გაუკეთეს და გარდაცვალების თარიღად შეცდომით 1782 წელი დააწერეს[6].

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, თბ., 1967, გვ. 171.

[2] ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962, გვ. 181.

[3] ბ. ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 58.

[4] „დროება“, 1880, № 265.

[5] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, II, თბ., 1921, გვ. 95.

[6] ქართლის ცხოვრება, ჩუბინოვის გამოცემა, II, სანკტ-პეტერბურგი, 1854, გვ. 510.

ახალციხის ფაშის მიერ ჩატანილ ცნობას სოლომონ მეფის სიკვდილის შესახებ სტამბოლში სიხარულით შეხვდნენ. გახარებულმა დიდმა ვეზირმა შიკრიკს საჩუქრად ხალათი უბოძა, რაც დიდ წყალობას ნიშნავდა.

* * *

სოლომონ მეფე მთელი სიცოცხლის მანძილზე გმირულად ებრძოდა როგორც გარეშე, ისე შინაურ მტრებს. არც ერთ მეფეს იმერეთის სამეფოს ოთხსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ისეთი სახელი არ დარჩენია, როგორც სოლომონ პირველს. მას დიდად აფასებდნენ, როგორც მისი თანამედროვენი, ისე შთამომავლობა, ვითარცა სწორუპოვარ სარდალს, წინგამხედ პოლიტიკოსს.

რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II მას უწოდებდა „გაბედულ, მზრუნველ და ღირსეულ მეფეს ქრისტიანული სჯულისა", სოლომონ მეორის სიტყვით, იგი იყო „დიდ სახელოვანი ქვეყანასა ჩვენსა უშჯულოთა მაჰმადიანთა ძირითურთ აღმომფხვრელი და ქართველობისათვის მრავალგზის სისხლდათხეული, იმერთა მეორე აღმაშენებელი"[1].

სოლომონ მეორის მეუღლემ მარიამ დედოფალმა მას იმერეთის განმანათლებელი უწოდა[2], ხოლო ხალხმა იმერეთის მხსნელად მონათლა.

1809 წელს ჯრუჭის მონასტრისათვის დამზადებული სიგელი ასე ახასიათებს სოლომონ მეფეს: „მეფე დიდი სოლომონ, რომელმან სამეფოით თვისით განსდევნა მრავლით ჟამითგან მკვიდრნი ბილწნი მახმედიანნი და იწუადა ხრმალი მისი ძლიერი ზურგთა მათთა ზედა და შეღება მიწა საძაგითა სისხლითა მათითა და გარდაადგო ტყვის სყიდვა იმერეთით სამარადისოთ, განანათლა სამეფო თვისი კეთილად, განაშვენა სამღვდეელონი, აღაყუავა ეკლესიანი ყოველნი"[3].

ვახტანგ ბატონიშვილის დახასიათებით, იგი იყო: „კეთილმსახურებისა ტრფიალ და სიმხნესა შინა ჩინებულ, სიმდაბლისა მოყვარე და სიტკბოებით მოალერსე მხილველთა თვისთა. ამან დასაჯნა და დაამდაბლნა სამეფოსა შინა თვისთა წინააღმდეგნი მეშფოთარნი და ქვეყნის ამრევნი გვამნი და ჰყო მშვიდობა იმერეთსა შინა. სძლია სერასკერსა ხონთქრისასა, აგრეთვე ლეკთა დიდთა მხედრობათა შთასრულსა იმერეთად. განყარა მუნ მყოფნი თურ-

---

[1] ს. ყაყაბაძე, დასახ. წყარო, გვ. 95.
[2] იქვე, გვ. 107.
[3] საისტორიო კრებული, წ. I, თბ., 1925, გვ. 46.

ქნი, აღკვეთა კნინლა ორნი დიდი ბოროტმოქმედებანი სრულიად იმერეთსა შინა, ესე იგი კაცთა კვლა და მპარაობა. გარნა მესამე უბოროტესი ესე იგი ტყვის სყიდვა დროსა თვისსა სრულიად უჩინო ჰყო"[1].

სოლომონის სახელი ცნობილი იყო არა მარტო ახლო ქვეყნებში, არამედ შორეულ ევროპაშიც კი. სოლომონ მეფეს ჩვენმა ხალხმა და ისტორიამ „დიდი" უწოდა, ქართულმა ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ მას საპატიო ადგილი მიუჩინა დავით აღმაშენებლის, თამარ მეფისა და ერეკლე მეფის გვერდით.

სოლომონ მეფის ძლიერება სახელმწიფო ბეჭედზედაც შესანიშნავად აისახა, როცა ადრინდელი დამამცირებელი წარწერა — „მონა ღვთისა, ყმა ხონთქრისა" მან ახალი წარწერით შეცვალა: „ლომებრ მყეფე, მტერთ სისხლმჩქეფე, იმერთ მეფე"[2].

ბრძოლა ტახტისათვის და ამერ-იმერის გაერთიანების ცდა

როგორც ვიცით, სოლომონს ტახტის მემკვიდრე-შვილი არ დარჩენია — ალექსანდრე ბატონიშვილი 1780 წელს გარდაიცვალა. მას დარჩა შვილი გიორგი, რომელიც ქორწინების გარეშე იყო დაბადებული და გამეფების უფლება არ ჰქონდა. თავის სიცოცხლეშივე სოლომონ მეფემ მემკვიდრედ თავისი ძმის — არჩილის და ერეკლე მეფის ქალის — ელენეს შვილი დავითი აღიარა, მაგრამ იმერეთის დიდებულებმა სამეფო ტახტზე აიყვანეს არა დავით არჩილის ძე (ამ დროს იგი 12 წლისა იყო[3]), არამედ სოლომონის ბიძის გიორგის ვაჟი დავითი (29 წლისა[4]). ეს არჩევანი იმან განაპირობა, რომ დიდებულთა ვარაუდით, ერეკლეს შვილიშვილის გამეფება იმერეთში გამოიწვევდა ქართლ-კახეთის მეფის გავლენის გაძლიერებას და ფეოდალთა შეზღუდვას. ამას შეიძლება ამერ-იმერის გაერთიანების ცდაც მოჰყოლოდა, რაც მათთვის ყოვლად მიუღებელი იყო. ამიტომ თავადებმა და სამღვდელოებამ ტახტზე სასწრაფოდ დასვეს სოლომონ I-ის გამაერთიანებელი პოლიტიკის

---

[1] „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები", ტ. I, გვ. 58 (რუს.). შემდეგში — „აკა".

[2] ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, „კალმასობა", თბ., გვ. 288.

[3] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, „კათოლიკობა ქართველთა შორის", თბ., 1902, გვ. 776.

[4] ბ უ ტ კ ო ვ ი, „მასალები", II, 1869, გვ. 136 (რუს.).

წინააღმდეგ 1778 წელს მომხდარი აჯანყების თანამგრძნობი დავით გიორგის ძე.

იმ ჯგუფის მეთაურები, რომლებმაც დავით გიორგის ძე გაამეფეს, იყვნენ სარდალი პაპუნა წერეთელი[1] და ბოქაულთუხუცესი ბერი წულუკიძე — ყველაზე გავლენიანი თავადები იმერეთში. მათ მხარი დაუჭირა ოდიშის მთავარმა კაცია დადიანმაც[2] „ამა ორთა მოიწადინეს და შემწეობითა დადიანისთა იქმნა იმერთა ზედა დავით გიორგის ძე“[3] — აღნიშნავს ნ. დადიანი.

დავით გიორგის ძის გამეფებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ დავით არჩილის ძე, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ამ დროს კახეთში იმყოფებოდა აღსაზრდელად, სადაც დედა მისი ელენე ერეკლეს ასული მეორედ გათხოვილი იყო ქიზიყის მოურავ ანდრონიკაშვილზე[4].

მიუხედავად იმისა, რომ გამეფდა დავით გიორგის ძე, იმერეთში მრავლად იყვნენ დავით არჩილის ძის მომხრეებიც, მაგრამ მათ თავი შეიკავეს აქტიური მოქმედებისაგან, რადგან მომავალი მეფე მცირეწლოვანი იყო და შეიძლებოდა მის გამეფებას ისევ არეულობა მოჰყოლოდა.

სოლომონ I-ის გარდაცვალების მეოთხე დღეს იმერეთის დიდებულებმა ახალ მეფეს პირობის ფიცი ჩამოართვეს[5], რომლის მიხედვით მეფე ივალებდა: ტყვის სყიდვის აღკვეთას, ერთგულ ქვეშევრდომთა პატივსა და მტრების დასჯას, გაძევებულ მოღალატეთა დევნას, ეკლესიის გაძლიერებას, იმერეთის სამეფოს ტერიტორიის დაცვას, რუსეთთან ურთიერთობის განგრძობას[6].

ამავე ფიცში ახალმა მეფემ, დავით არჩილის ძის მომხრეებისათვის რომ ესიამოვნებინა, თანხმობა განაცხადა იმ მუხლების შესრულებაზე, რომლებიც სოლომონ I-ის ანდერძში მცირეწლოვან ბატონიშვილებს ეხებოდა: „დავით და გიორგი ჭეშმარიტის მამაშვილურის სიყვარულით ჩვენთან განუშორებლად, უზაკველად

---

[1] პაპუნა ახალი მეფის სიძე — დის ქმარი იყო.

[2] ახალი მეფე დავით გიორგის ძე — კაცია დადიანის მამიდაშვილი იყო.

[3] ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წიგნი, I, თბ., 1914, გვ. 89.

[4] ბურნაშოვი, საქართველოს სურათები, 1896, გვ. 22 (რუს.).

[5] ი. ლორთქიფანიძე, მასალები საქართველოს ისტორიისათვის (მე-18 საუკ.). წიგნში — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. II, 1940, გვ. 43, შემდეგში დაკასახელებთ — ი. ლორთქიფანიძე, მასალები.

[6] შ. ბურჯანაძე, იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიისათვის 1784—1789 წწ. წიგნში — ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. II, თბ., 1960, გვ. 82, ი. ლორთქიფანიძე, მასალები, გვ. 44.

და შეერთებულად იყვნენ და მათს მამულს ეპატრონებოდნენ და იმსახურებდნენ და ჩვენთან კეთილის რიგით აზრდებოდნენ"[1].

სოლომონ მეფემ წინასწარ გაითვალისწინა ტახტის მემკვიდრის დავით არჩილის ძის მცირეწლოვანება და თავისი სიკვდილის შემთხვევაში იმერეთის გამგებლობა დროებით სრულწლოვან დავით გიორგის ძეს მიანდო. ერთ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სოლომონ მეფის „ძმისწულნი იყვნენ მცირე ყრმანი. ამის მიზეზისათვის დასვეს იმერთა ბიძაშვილი მისი დავით არა მეფედ, არა-მედ ნაიბად, ვიდრე აღზრდამდე არჩილის ძისა დავითისა"[2].

დავით გიორგის ძე წინდახედული მმართველი აღმოჩნდა; მიუხედავად იმისა, რომ ერეკლე მეფის შვილიშვილს ტახტი წაართვა, რუსეთის მეშვეობით შეეცადა, კარგი ურთიერთობა დაემყარებინა ქართლ-კახეთის სამეფოსთან, ამასთან ერთად იგი, ისე როგორც სოლომონ I, განუხრელად დაადგა რუსეთის ორიენტაციის გზას.

1784 წლის 1 მაისს დავით მეფე წერილს უგზავნის პავლე პოტიომკინს[3] და აუწყებს, რომ სოლომონ მეფემ მოულოდნელი გარდაცვალებით დაგვტოვა „ჩვენ შვილნი თვისნი ობლად და ვითარცა ბრძანება და ანდერძი გვებრძანა მისის სიმაღლისაგან, იგი ყოველივე აღასრულეს ყოველთავე ქვეყანისა ჩვენისა ერთობილთა დიდთა და მცირეთა და ღ[ვთ]ის მინდობით აღმირჩიეს და აღმიყვანეს სამეფოსა გვარისა და სახლისა და ქვეყანისა მეფეთა ხარისხსა და ვალი საუკუნო დამდვეს პატრონობისა და ყოვლის ესოდენის წმინდის ეკლესიებისა და ყოველისა ამის ერისა და სამკვიდრებელისა. აწ თქვენს უაღმატებულესობას, მისის სიმაღლის კურთხეულის ჩვენის ხელმწიფის მეფის სოლომონის სიტყვისა და ანდერძისაებრ, ჭეშმარიტის მონდობით და სრულის იმედით მოვნდობივარ და მზა ვიქმნებით ყოველსავე ზედა, რომელსაც თქვენი უაღმატებულესობა დაგვარიგებს. ჩვენ მისგან და მისის სიმაღლისაგან ყოველთვის ესრეთ გვქონია ბრძანება და დარიგება, რომ თქვენს ხელქვეშ ვიყვნეთ და თქვენ მიერ მივემთხვივნეთ ყოველსა სათხოველსა მას, რომელიც მისმა სიმაღლემ, ნეტარხსენებულმან მეფემ თქვენ მოგწერათ და ჩვენ ყ[ოვლა]დ მოწყალეს ხელმწიფეს არზა მიართვა, ყოველთაგანვე აღბეჭდილი და დამტკიცე-

---

[1] ქუთაისის ისტ.-ეთნ. მუზეუმის დოკუმენტი № 327.

[2] ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი მოთხრობა, გამოსცა თ. ლ ო მ ო უ რ მ ჯ თბ., 1941, გვ. 59.

[3] პავლე პოტიომკინი — 1784 წლის თებერვლიდან სარატოვის და კავკასიის მხარეთა გენერალ-გუბერნატორი. იხ. ბ უ ტ კ ო ვ ი, მასალები, II, გვ. 165 (რუს.).

ბით ხელმოწერილი. ჩვენი ვედრებაც და ჩვენის ქვეყნების საჭირო სათხოვარიც კიდევ ისევ არის და უმხურვალესად გევედრებით, რომ თქვენი ჭირნახული და ყ[ოვლა]დ მოწყალის ხელმწიფის ჯარით და მოწყალებით გამოხსნილი ქვეყანა ესე და ჩვენი საქმე და სათხოვარი არ დაუტეოთ ზრუნვაში და ურჯულოთა ხელთა შინა არღარა შევარდეს და არ აოხრდეს ესოდენი წმინდანი ეკლესიანი"[1].

ამ დოკუმენტიდან ნათლად ჩანს, რომ დავით მეფე საგარეო ურთიერთობის საკითხში სოლომონ მეფის პოლიტიკას აგრძელებს და განუწყვეტელად ადგას რუსეთის ორიენტაციას.

ამავე წერილში მეფე პოტიომკინს სთხოვს, ნება დართოს ელჩების გაგზავნის და პასუხის გამოგზავნა დააჩქაროს, რადგან, როგორც წერილიდან ჩანს, ქვეყნის შიგნით შექმნილი მდგომარეობა აშინებს: „რომ საჩქაროდ არ მოვიდეს თქვენი ამბავი, კეთილი საქმეები შეიცვლება და ქვეყნის ამრევნი მტერნი ჩვენნი არ დასცხრებიან და მტერობას და არეულობას ეცდებიან"[2].

ამავე წლის 1 მაისს პავლე პოტიომკინს წერილს უგზავნის იმერეთის თავადაზნაურობა, სადაც აღწერილია ის მწუხარება, რაც სოლომონ მეფის მოულოდნელმა გარდაცვალებამ მიაყენა მათ და ელჩების გაგზავნაც მეფის გარდაცვალების გამო შეჩერდა, თორემ ჩვენ ისევ იმ სათხოვარს ვიმეორებთ, რასაც ადრე, თქვენს საფარველქვეშ შესვლას რომ ვითხოვდითო — აღნიშნულია დოკუმენტში.

წერილში ახსნა-განმარტებას იძლევიან, თუ რატომ აირჩიეს მეფედ დავით გიორგის ძე: „ჩვენის მეფის ანდერძის მსგავსად აღვირჩიეთ და მემკვიდრე რ[ომე]ლიც უფროსი და მოსწრებული ბრძანდება, რომ| ჩვენი შემოვლა და პატრონობა და მეფობა ამას შეუძლიან, ყოვლისამ ქ[უეყ]ნის ნებით და გამორჩევით მეფედ აღვიარებთ დავით-მეფესა ყოვლისა საიმერეთოსასა, ძესა გიორგისასა დავითიანსა და ერთობით ყოველი საიმერეთო ამას დაემორჩილა, ღ[ვ]თის მინდობით და ჰ[ეშმარი]ტის ერთგულებით, რომელიც რომ კურთხეულის ჩვენის მეფის სოლომონის აღსრულების მერვე დღეს მეფედ და პატრონად დაემკვიდრა ყოველსა სახლსა სამეფოსა თვისსა და ქუეყანასა ამას, თთვესა აპრილსა... „მეფემ მტკიცითა ფიცითა აღიარა ყოველსა სამეფოსა ამას ერთ-

---

[1] მოტანილია ვ. მაჭარაძით „ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე," გვ. 243 — 245.

[2] იქვე.

გულება უდიდებულესისა ს[რულია]დ რუსეთის იმპერატორობისა წ[ინაშ]ე და ყ[ოველ]თა შორის დაამტკიცა მინდობა და სამსახური და ყმობა საუკუნოდ"[1].

წერილს ხელს აწერენ და ბეჭედს უსვამენ: ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოზი, გენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმი, მთავარეპისკოპოსი იოანე, ქსნის ერისთავის ძე ელისბარ, წულუკიძე ბერი, სარდალი წერეთელი პაპუნა, წულუკიძე გიორგი, სახლთუხუცესი წერეთელი ზურაბ, აგიაშვილი სარდალი ქაიხოსრო, მაჩაბელი ზურაბ, მდივანბეგი კნიაზი დავით, მდივანი მესაიდუმლე გაბაშვილი ბესარიონ. „აღიწერა თვესა მაისსა ერთსა ქ[რისტ]ეს აქათ ჩლპდ"[2] (1784 წ.).

ამ დოკუმენტით იმერეთის უდიდესმა ფეოდალებმა ერთხმად აღიარეს სოლომონ მეფის საგარეო პოლიტიკის კურსი და სანაცვლოდ რუსეთისაგან მოითხოვეს მხარდაჭერა.

რუსეთის მესვეურნი უკეთესს ვერ ინატრებდნენ, რადგან იმერეთის სამეფოს სიმტკიცით იყვნენ დაინტერესებულნი, რომ არეულობა არ მომხდარიყო და თურქებს დასავლეთი საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის საშუალება არ მისცემოდათ.

რაც შეეხება მეფის კანდიდატურას, მათთვის მისაღები იყო დავით გიორგის ძეც, რამდენადაც იგი რუსეთის ორიენტაციისა იყო და თურქების გაბატონებას იმერეთში არ ისურვებდა.

* * *

როგორი იყო ერეკლე მეფის პოზიცია დავით გიორგის ძის გამეფების მიმართ?

შ. ბურჯანაძე აღნიშნავს, რომ „დავით გიორგის ძის გამეფების წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობდნენ დავით არჩილის ძისა და გიორგი ალექსანდრეს ძის მომხრე ფეოდალები (გიორგი ალექსანდრეს ძე — სოლომონ მეფის მეორე ბიძაშვილი — მ. რ.).

ოპოზიციას დავით არჩილის ძის მხრიდან ზურგს უმაგრებდა ერეკლე მეფე, რომელიც მოითხოვდა თავისი ასულის წულის გამეფებას და ამით ასუსტებდა დავით მეფის პოზიციებს იმერეთში, სადაც ფეოდალების მღელვარება აჯანყებას უახლოვდებოდა"[3]. შ. ბურჯანაძე იქვე დასძენს, რომ ბურნაშევმა „ზემოქმედება მოახ-

---

[1] ვ. მაჭარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 246—248.

[2] იქვე.

[3] შ. ბურჯანაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 83.

დინა ერეკლე მეფეზე, რომელსაც უარი ათქმევინა დავით არჩილის ძისათვის მხარის დაჭერასა და იმერეთის საქმეებში ჩარევაზე"[1].

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ერეკლე არა თუ ზურგს უმაგრებდა ოპოზიციას, არამედ, პირიქით, ცდილობდა, რომ იმერეთში ამ ნიადაგზე არეულობა არ მომხდარიყო.

ცხადია, ერეკლე მეფისათვის სასიამოვნო არ იქნებოდა, რომ მის შვილიშვილს, კანონიერ მემკვიდრეს ტახტი ხელიდან გამოაცალეს, მაგრამ ამ ფაქტს იგი შეურიგდა და ისე მოიქცა, როგორც ეს შორსმჭვრეტელ სახელმწიფო მოღვაწეს შეეფეროდა.

1784 წლის 8 მაისს ერეკლე მეფე პავლე პოტიომკინს სწერდა: „როდესაც ჩვენი შვილიშვილი დავით არჩილის ძე თავის ბიძისაგან თავის მამულიდამ გამოხმული შეიქნა და ციხეებიც დაუქცია, აქ ჩვენთან გვყვანდა და ჩვენა ვზრდიდით. ამისათვის ჩვენსა და მეფეს სოლომონს შუა სამდურაოიც იყო. მაგრამ რადგან უმაღლესმა კარმა ჩემი და მეფის სოლომონის მშვიდობა ინება, მეც დავმორჩილდი — თავის ძმისწული თავის მემკვიდრედ ჩემთვისაც ეთხოვნა, თქვენს მაღალს მსვლელობასაც მოხსენებოდა და თქვენც მოგეწერათ, აქ მყოფის მინისტრისათვისაც მოეწერა, ამანაც გვირჩია, ჩვენც თავის ძმისწული გაუგზავნეთ და პირობაც ასე დაზდვა, რომ იმის მემკვიდრედ ეს უნდა ყოფილიყო. მეფე სოლომონი ისე უეცრად მიიცვალა, რომ იმ ჟამზე ვეღარ გამოაცხადა. ახლა იმერეთის მეფეთ-მეფის სოლომონის ბიძაშვილი დავით გიორგის შვილი დაუსვამთ. რადგან ჩემი შვილიშვილი დავით ჯერ ყმაწვილი არის და ქვეყნის მოვლა არ შეუძლია, მეც ეს ვიფიქრე, რომ იმერეთში თარაფობა არ ‘ეიქმნას და ოსმალთ მხრისაკენ არ მიიწიონ, ამისთვის ეს უმაღლესის კარის საერთგულოთ დავინახე და დავით გიორგის შვილის მეფობის თანახმა ვექმენ. და ღ[მრ]თის ნ[ებით], როცა ჩემი შვილისშვილი დავით გაიზარდოს, მაშინ რომელიც რუსე[თის] უმაღლესის კარის ნება იყოს, ასე აღსრულდეს"[2].

ე. ი. როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, ერეკლე მეფე დავით გიორგის ძის გამეფების წინააღმდეგი არ ყოფილა იმ მოსაზრებით, რომ ოსმალეთი არ ჩარეულიყო იმერეთის საქმეებში და ამას არ გამოეწვია არეულობა და რუსეთის უკმაყოფილობა; შემდეგ კი, როცა დავით არჩილის ძე სრულწლოვანი გახდება, ისე მოვიქცევი, როგორც რუსეთის მთავრობა გადაწყვეტსო.

---

[1] შ. ბურჯანაძე, დასახ. გვ. 84.

[2] მოტანილია ვ. მაჭარაძით — ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, თბ., 1968, გვ. 99.

ამავე რიცხვით ერეკლე მეფე ბურნაშოვს უგზავნის ანალოგიურ წერილს, სადაც წერს, რომ სოლომონ I გარდაიცვალა, იმერეთის მეფის მემკვიდრედ სოლომონის მიერ აყვანილი იყო ჩემი შვილიშვილი დავით არჩილის ძე, მაგრამ ახლა მეფედ აურჩევიათ დავით გიორგის ძე, სოლომონის ბიძაშვილი; პროტესტს არ ვაცხადებ, რადგან დავით არჩილის ძე მცირეწლოვანია და სამეფოს გაძღოლა არ შეუძლიანო[1].

ერეკლე მეფე ბურნაშოვს სთხოვს, რომ ეს წერილი იმერეთში გაგზავნოს მეფისთვის გასაცნობად. ე. ი. ერეკლე მეორე მოითხოვს, დავით გიორგის ძემ დაუბრუნოს დავით არჩილის ძეს მისი მამულები, მისცეს მას ყველა ის მამული, რომელიც ჰქონდა მამუკა ბატონიშვილს, იყოლიოს იგი თავის მემკვიდრედ და გადასცეს მას სამი ციხე ყოველგვარი მოწყობილობით და მამულებით. თუ ასე იქნებაო, უმატებს ერეკლე მეფე, მე არა თუ არაფერი საწინააღმდეგო არ მექნება, პირიქით, უფრო მეტი მეგობრობა და სიყვარული მექნება დავით მეფისაო.

მოტანილი დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს, რომ ერეკლე მეფე იმერეთის მეფედ ცნობს დავით გიორგის ძეს, და, რომ ის არა თუ მხარს უმაგრებს ოპოზიციას, არამედ ცდილობს იმერეთში მშვიდობიანობა დამყარდეს, რათა გარეშე ძალას სამეფოს საშინაო საქმეებში ჩარევის საბაბი არ მიეცეს.

მოტანილი დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ იყო დაინტერესებული ერეკლე მეფე იმერეთში მშვიდობიანობის დამყარებით. შ. ბურჯანაძის ცნობა იმის შესახებ, თითქოს ბურნაშოვმა გავლენა მოახდინა ერეკლე მეფეზე და უარი ათქმევინა დავით არჩილის ძისათვის მხარის დაჭერაზე და იმერეთის საქმეებში ჩარევაზე, დაუმსახურებელ ჩრდილს აყენებს ერეკლეს იმდროინდელ პოლიტიკას.

1784 წლის 9 ივნისს ბურნაშოვი და ყოფილი კათალიკოსი მაქსიმე იმერეთში გადავიდნენ, სადაც მათ დიდი ზეიმით შეხვდნენ მეფე და თავადაზნაურობა (ეს სიხარული იმანაც გამოიწვია, რომ ერეკლე მეფე თანახმა იყო იმერეთის ტახტზე დავით გიორგის ძის გამეფებისა). მაქსიმე მაშინვე აღადგინეს კათალიკოსის უფლებებში.

ბურნაშოვის ცნობით, ამ დროს იმერეთის თავადაზნაურობა ორ სამტრო ბანაკად იყო გაყოფილი, მაგრამ, როგორც ის აღნიშ-

---

[1] იასე ლორთქიფანიძე, მასალები, გვ. 44.

ნავს, მისი და მაქსიმეს ჩასვლის და ჩარევის შედეგად მშვიდობა ჩამოვარდნილა.

დავით მეფემ სცადა გათავისუფლებულიყო დიდი ფეოდალების გავლენისაგან; ამისათვის მან პირველ რიგში პატივი და დიდება მოაკლო პაპუნა წერეთელს, რომლის რჩევა-დარიგებასაც ყურს აღარ უგდებდა. მეფემ ახალი პირები დააწინაურა სამეფო კარზე[1], მათ შორის განსაკუთრებით დიდი გავლენა მოიპოვა დავით მეფეზე ქართლიდან იმერეთში გაქცეულმა სოლომონ მეფის სიძემ თავადმა ელიზბარ ერისთავმა, რომლის რჩევით მეფემ მამულები აღარ დაუბრუნა დავით არჩილის ძეს. მეფემ ასევე მოაკლო პატივი სხვა თავადებს, რომელთა დახმარებითაც გვირგვინი იკურთხა. დავით გიორგის ძისა და თავადებს შორის უთანხმოების უფსკრული თანდათან ღრმავდებოდა.

მათი უთანხმოების ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ მეფემ დადიანს საპილაო-სამიქელაო გადასცა, ხოლო გურიელს ვაჟს ვახტანგს, რომელსაც თავისი სიდედრი მიათხოვა, მზითევში საჯავახო გაატანა.

თავადებმა მალე დაივიწყეს მეფისათვის მიცემული ერთგულების ფიცი; მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. უკმაყოფილების ერთ-ერთი მიზეზი გახდა რუსეთის მთავრობის ჩარევა იმერეთის საშინაო საქმეებში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოლკოვნიკ ბურნაშოვს მინდობილი ჰქონდა თვალყური ედევნებინა იმერეთის საქმეებისათვის. რუსეთი დაინტერესებული იყო იმერეთის შინაგანი პოლიტიკური ერთიანობით, რათა აშლილობის ვითარებაში თურქეთს იმერეთის საშინაო საქმეებში ჩარევის საშუალება არ მისცემოდა.

1784 წლის 13 მაისს პ. პოტიომკინი სწერდა ბურნაშოვს: „ძალიან უნდა შეეცადოთ, რომ იმერეთში სიწყნარე იყოს... დაიყოლიეთ დიდებულები და მეფე, რომ თანხმობით იყვნენ, თვალყური ადევნეთ, რათა მათზე გავლენა არ მოიპოვონ თურქებმა“[2].

რუსეთის ჩარევამ იმერეთის საქმეებში, მეფის მიერ მამულების გადაცემამ დადიანისა და გურიელისათვის, თავადების მიმართ პატივისცემის მოკლებამ და ახალთა დაწინაურებამ დიდ ფეოდალებში მღელვარება გააღვივა, იმერეთი აჯანყების პირამდე მიიყვანა. ისინი დავით გიორგის ძეს გადაუდგნენ — თავადებმა ახლა დავით არჩილის ძის გამეფება მოინდომეს.

როგორც კი იმერეთში მომხდარი ამბები შეიტყო, ერეკლე

---

[1] დუბროვინი, ისტორია, II, 1886, გვ. 64—65 (რუს.).

[2] ბუტკოვი, მასალები, გვ. 24 (რუს.).

მეფემ მაშინვე ენერგიული ზომები მიიღო იმერეთში სიმშვიდის დასამყარებლად. პავლე პოტიომკინი გრიგოლ პოტიომკინს აცნობებდა: ბურნაშოვის 25 ივლისის პატაკი მივიღე, საიდანაც ჩანს, რომ ფაშები, განსაკუთრებით ახალციხის ფაშა, ყალბ ცნობებს აწვდიან თურქეთის მთავრობას, რათა აამხედრონ საქართველოს წინააღმდეგ. რაც შეეხება იმერეთს, ცნობები ერთხმად ადასტურებენ, რომ თურქეთის თავდასხმა მოსალოდნელია და მირჩიე, რა ზომები მივიღოო. ბოლოს დასძენდა: ერეკლეს ვთხოვე იმერეთის შინა ბრძოლები ჩააქროს, სათანადო მითითება მივეცი ბურნაშოვსაცო[1].

სანამ ბურნაშოვი და პოტიომკინი იმერეთის ამბებს გაიგებდნენ, ერეკლე მეფემ გადამჭრელი ზომები მიიღო და მოსალოდნელი სისხლისღვრაც შეაჩერა, რის შედეგადაც იმერეთის საშინაო საქმეები თავის კალაპოტში ჩადგა.

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, ორივე მხარე მორიგებულა. ეს შეთანხმება დააჩქარა კარზე მომდგარმა საფრთხემაც: თურქები იმერეთში შემოსაჭრელად 12 000 მეომრისაგან შემდგარ ჯარს ამზადებდნენ: მათ ტახტის მაძიებელი ქაიხოსრო აბაშიძე უნდა გაემეფებინათ იმერეთში, იმავე დროს ოსმალეთის სულთნის მითითებით ახალციხის ფაშა ლეკებსა და ამიერკავკასიის ხანებს მოუწოდებდა საქართველოზე თავდასასხმელად.

ზურაბ წერეთელი რუსეთის წარმომადგენელს იმერეთში ვიტენბერგს[2] აუწყებდა, რომ „ჩვენ თურქეთიდან წერილი მოვიღეთ... და მალე იმერეთში რაღაც ახალი ამბავი მოხდება, ეს „ახალი ამბავი“ იყო ქაიხოსრო აბაშიძის ცნობა, რომელიც განდგომილ თავადებს ატყობინებდა, სულთანმა იმერეთის მეფედ დამნიშნა და სალაშქროდ 12000 მეომარი მომცაო. გამეფების შემდეგ იგი სტამბოლს პირდებოდა ყოველწლიურად ხარკის სახით 190 ბავშვს[3], ხოლო იმერეთის თავადებს იმ მდგომარეობის დაბრუნებას, რაც მისი მამის — ლევან აბაშიძის დროს იყო იმერეთში, ე. ი. თავადების მძლავრობას და ტყვის სყიდვას.

გამდგარი თავადები ფიქრობდნენ, რომ მეფეს შეიძლება რუსეთი დახმარებოდა, ამიტომ შეეცადნენ, მეფეს კავშირი გაეწყვიტა რუსეთთან. ისინი სასტიკი წინააღმდეგი გახდნენ რუსეთში ელჩების გაგზავნისა. მათ მეფეს აუკრძალეს კავშირის დაჭერ-

---

[1] ვ. მაჭარაძე, დასახ., ნაშრ., გვ. 113.

[2] ვიტენბერგი — სოლომონ I-ის მკურნალი ექიმი; მისი სიკვდილის შემდ. რუსეთის წარმომადგენელი იმერეთში.

[3] დუბროვინი, ისტორია, II, გვ. 67 (რუს.).

ბურნაშოვთანაც. პაპუნა წერეთელი ვიტენბერგს ატყობინებდა: „ჩვენ ვთხოვეთ მეფეს, რომ ბურნაშოვთან არავითარი საქმე არ ჰქონოდა, მაგრამ მეფემ მოლაპარაკება გამართა მასთან ჩვენი თანხმობის გარეშე. ამიტომ ჩვენ მის მაგივრად ტახტზე ავიყვანთ მცირეწლოვან დავითს".[1]

მეამბოხეთა მეთაურები — სარდალი პაპუნა წერეთელი და ბოქაულთუხუცესი ბერი წულუკიძე დაუკავშირდნენ დავით არჩილის ძეს; ახლა მათ აღარ აშინებდათ ერეკლე მეფის შვილიშვილის გამეფება, რადგან ისინი ახლანდელი მეფის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

ერეკლე მეფის ჩარევის შემდეგ მოწინააღმდეგე მხარეები შერიგდნენ. დავით მეფისათვის ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან თურქეთის ჯარი იმერეთში სალაშქროდ ემზადებოდა, რათა ქაიხოსრო აბაშიძე გაემეფებინა.

* * *

თურქეთმა დიპლომატიურ ბრძოლაშიც წააგო რუსეთთან; აღმოსავლეთი საქართველო ხომ ხელიდან გამოეცალა, ახლა დასავლეთი საქართველოც მისგან განკერძოების გზაზე იდგა. ამიტომ სოლომონ I-ის სიკვდილის შემდეგ თურქეთის მთავრობამ გადაწყვიტა, აქტიურად ჩარეულიყო იმერეთის საშინაო საქმეებში.

იმერეთის ახალი მეფე, რომელიც თურქეთის დაუძინებელი მტერი გამოდგა, აშკარად აღიარებდა რუსეთის ორიენტაციას. ამით შეშფოთებული ახალციხის ფაშა სულეიმანი წერილებს უგზავნის დავით მეფეს და მოაგონებს, რომ იმერეთი ხვანთქრის ქვეყანაა და ითხოვს — კაცები გამოგზავნოს მასთან კეთილი ურთიერთობის დასამყარებლად. დავით მეფე დუმილით შეხვდა ახალციხის ფაშის წერილებს, ამიტომ ოსმალეთი ენერგიულად შეეცადა იმერეთის საქმეებში ჩარევას.

თურქეთის მთავრობამ ერთდროულად ორი პრეტენდენტი გამონახა იმერეთში გასამეფებლად: ერთ-ერთი ტახტის მაძიებელი იყო როსტომ რაჭის ერისთავის ძე გიორგი[2] — 1769 წელს სოლომონ I მიერ ცალთვალდავსებული, თურქეთში ქიორ-ბეის სახელით ცნობილი (ქიორ-ბეი ნიშნავს ბრმა ბეგს).

---

[1] დუბროვინ — ისტორია, II, გვ. 66.

[2] გიორგის ბაბა, იყო ალექსანდრე იმერთა მეფის დედ (სოლომონ I-ის მამიდა) და ვახტანგ VI-ის დისწული. აქედან ჰქონდა გიორგის იმერეთის ტახტის პრეტენზია.

გიორგი როსტომის ძე გზიდახვე უკან დაბრუნდა, როცა გაიგო დავით გიორგის ძის გამეფება იმერეთში[1].

ახლა თურქეთი ცდილობს იმერეთის ტახტზე მისთვის სასურველი სხვა კანდიდატი მოძებნოს. ასეთი კანდიდატი აღმოჩნდა სტამბოლში გადახვეწილი ქაიხოსრო ლევანის ძე აბაშიძე[2].

ქაიხოსრო აბაშიძე (რომელზედაც თურქეთის მთავრობა დიდ იმედებს ამყარებდა) სოლომონის გარდაცვალებისთანავე სტამბოლს გაიქცა და სათანადო დაპირებათა სამაგიეროდ სულთნისაგან მიიღო იმერეთის მეფედ დამტკიცების ფირმანი. სულთანმა მას მისცა 12000 მეომარი და 1784 წლის შემოდგომაზე იმერეთისაკენ გამოისტუმრა; ამ ჯარის ნახევარი ფოთს მოვიდა, ნახევარი კი ბათუმსა და ჩაქვში დადგა და აქტიური მოქმედება დაიწყო.

ქაიხოსრო აბაშიძემ დადიანს, გურიელსა და სხვა იმერეთის წარჩინებულ თავადებს წერილები დაუგზავნა, რომ მისთვის მხარი დაეჭირათ და იგი იმერეთის მეფედ ეცნოთ. ასევე ახალციხის ფაშა სულეიმანიც შეეცადა წერილობით გადაებირებინა დიდი ფეოდალები.

გიორგი გურიელმა წერილობით მიმართა ახალციხის ფაშას და ქაიხოსრო აბაშიძეს. გურიელი სულეიმან-ფაშას წერდა, რომ ხონთქარი ქაიხოსროს მეფობას შეჰპირებია, მაგრამ ქედან არაფერი გამოვა, რადგანაც ქაიხოსრო სამეფო გვარის წევრი არ არის; ვერც მე და ვერც დადიანი მას მეფედ ვერ ვცნობთ, ამიტომ მისთვის მხარდაჭერა უშედეგოდ დარჩებაო.

ქაიხოსროსადმი გაგზავნილ წერილში გურიელი მას ურჩევდა: შენი გამეფების ცდას ბევრი ადამიანი შეეწირება, შენ მაინც მიზანს ვერ მიაღწევ და უბრალო ხალხის ცოდვას ნუ იკისრებო. ქაიხოსრომ გურიელს უპასუხა, რომ მან უკვე მიიღო ხონთქრისაგან მეფობის ფირმანი და განზრახული აქვს იმერეთი დაიკავოს.

ამრიგად, გურიელი და დადიანი აბაშიძეს მეფედ არ ცნობდნენ, რადგან იგი სამეფო გვარის წარმომადგენელი არ იყო.

მაგრამ 1784 წლის 30 ოქტომბერს, ქაიხოსრო აბაშიძე გურიაში შემოიჭრა თურქთა 6000-იანი ჯარით და ოზურგეთამდე მოაღწია. თურქებმა გაძარცვეს და გადაწვეს სოფლები, მაგრამ ტყვეები ვერ იშოვეს, რადგან ხალხმა წინასწარ იცოდა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და გახიზვნა მოასწრო.

---

[1] გიორგი როსტომის ძე ერისთავს ჰყავდა ცოლად დავით გიორგის ძის და ელენე.

[2] ქაიხოსროს აზრით მას ამის უფლება ჰქონდა, რადგან მისი პაპა გიორგი აბაშიძე ერთ დროს იმერეთში მეფობდა.

იმერთა მეფე დავით გიორგის ძე 4000-იანი ლაშქრით სასწრაფოდ დაიძრა გურიელის დასახმარებლად და საჯავახოში დადგა, აქედან მან კავკასიის ხაზის სარდალს გენერალ-პორუჩიკს პოტიომკინს დახმარება სთხოვა თურქეთის წინააღმდეგ. მაგრამ უარი მიიღო. მეფემ მაინც გაავრცელა ყალბი ხმები, რომ მის დასახმარებლად რუსთა რამდენიმე პოლკი მოდიოდა. მან წინასწარ მოუკრა თურქებს უკან დასახევი გზები და შესატევად მოემზადა. მეფის ბანაკიდან მოღალატეებმა თურქებს შეატყობინეს მეფის გეგმა, მაგრამ საქმე მეფის სასარგებლოდ წარიმართა — თურქები დაფრთხნენ, ძარცვას თავი გაანებეს, ნაწილი ფოთის ციხეს შეეკედლა და ნაწილი ქაიხოსრო აბაშიძესთან ერთად ტრაპიზონში გაიქცა, თან ისე სწრაფად, რომ მთელი საბრძოლო აღჭურვილობა, ბარგაკიდებული ცხენები და 1400 თოფი გურიაში დატოვეს[1].

მართალია, თურქებმა ბრძოლა წააგეს, მაგრამ ხელი არ აუღიათ დასავლეთ საქართველოში შემოსევაზე; მათ უფრო მეტად გაამაგრეს და გააძლიერეს ფოთისა და ბათუმის ციხეები და გარნიზონები.

ამ ომში დავით მეფის მხარეზე იდგნენ გურიელი, დადიანი, მთელი იმერეთის ფეოდალები და გლეხობა.

თურქების განდევნის შემდეგ დავით მეფემ ახალციხის ფაშასთანაც მიაღწია შეთანხმებას, რაც დასავლეთი საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას აუმჯობესებდა.

* * *

1784 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში დავით გიორგის ძემ რუსეთის საიმპერატორო კარზე გაგზავნა ელჩობა — მაქსიმე კათალიკოსის, სარდალ-სახლთუხუცეს ზურაბ წერეთლისა და მდივანბეგ დავით კვინიხიძის შემადგენლობით. დეკემბრის შუა რიცხვებში ელჩებმა პეტერბურგს ჩააღწიეს და 29 დეკემბერს ისინი ეკატერინე მეორემ მიიღო[2].

ელჩობა რუსეთის მთავრობისაგან ითხოვდა დავით გიორგის ძის მეფედ დამტკიცებას, იმერეთის მიღებას მფარველობაში და თურქეთის წინააღმდეგ დახმარებას[3].

---

[1] ქ. ჩხატარაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 138.

[2] ა. ცაგარელი, ტ. II, გვ. 52—54 (რუს.).

[3] იმერეთის მეფე-მთავართა სათხოვარი იმავე ქვეყანაში რუსულ და ლათინურ ენებზე გამოაქვეყნეს გაზეთებში.

ელჩობის შედეგად, იმავე 1784 წლის მიწურულში, რუსეთმა თურქეთს განუცხადა, რომ იმერეთი რუსეთის ხელდებული ქართლ-კახეთის მოსაზღვრე ქვეყანაა და იქ კანონიერი მეფის გადაგდებას და არეულობის შექმნას იგი ვერ შეურიგდებოდა. ამის საპასუხოდ თურქეთმა 1774 წლის ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების 23-ე მუხლზე მიუთითა, რომლის ძალითაც დასავლეთი საქართველო თურქეთის ხელდებულად იყო აღიარებული და რუსეთს მის საქმეებში ჩარევა ეკრძალებოდა. თურქეთის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი არ აპირებს იმერეთში ძალით მეფის დასმას, მაგრამ პორტამ იცის, რომ დავით გიორგის ძის მეფობა იმერლებს არ უნდათ და ამიტომ მეფედ გზავნის სხვა პიროვნებას. თუ იმერლები დავით გიორგის ძეს ირჩევენ მეფედ, თურქეთი ამას დაეთანხმება, ოღონდ მეფემ, ისევე, როგორც ამას იმერეთის მეფეები ადრიდანვე აკეთებდნენ, სამეფო რეგალიები ისევ თურქეთისაგან უნდა მიიღოს, ე. ი. თურქეთის ხელდებულება უნდა აღიაროს[1]. დავა გადაუჭრელი დარჩა, მაგრამ 1785 წლის დამლევს რუსეთმა მაინც ათქმევინა . თურქეთს უარი იმერეთში თავისი კანდიდატის გამეფებაზე. მიუხედავად ყოველივე ამისა, ლეკთა რაზმები მაინც ხშირად არბევდნენ იმერეთს.

რუსეთის მთავრობა იმერეთის ელჩებისათვის პასუხის გაცემას აგვიანებდა. ასეთ ვითარებაში რუსეთის მესვეურნი რომ დასავლეთ საქართველოთი უფრო დაეინტერესებინა, 1785 წლის 8 ივლისს თავისი ინიციატივით ზურაბ წერეთელმა გრიგოლ პოტიომკინს შემდეგი გეგმა წარუდგინა: თუ რუსეთი დასავლეთ საქართველოზე თავის გავლენას გაავრცელებს, მაშინ იგი შეძლებს შავი ზღვის სანაპიროზე გურიაში, კინტრიშთან ნავსადგურის აგებას, საიდანაც იმერეთ — გურია — სამეგრელო — აფხაზეთზე იბატონებს, ამ ადგილის დასახლება შეიძლება ანატოლიიდან გადმოყვანილი ბერძნებით. ეს ადგილი მდიდარია, გარდა ამისა, აქედან ყირიმში გემები ორ დღეში მიელენ. ციხისძირის აგებით თურქები იძულებული გახდებიან დატოვონ ფოთის, ჩაქვისა და ბათუმის სიმაგრეები. შესაძლებელი გახდება ლიხთ-იმერეთში იმპერატორის ხარჯზე მუდმივი ჯარის შექმნაც, რუსეთი სტრატეგიულსა და სამრეწველო ნედლეულს გაიტანს იმერეთიდან, ამასთანავე. რუსეთი დაიკავებს ბათუმ — ფოთ — ჩაქვის ხაზს და დაიცავს დასავლეთ საქართველოს ახალციხის საფაშოდან მოსალოდნელი სამხედრო ინტერვენციისაგან[2].

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 745.

[2] ბ ე ტ კ ო ვ ი, მასალები, II, გვ. 139 (რუს.). ი. ც ი ნ ც ა ძ ე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბ., 1960, გვ. 282—288.

ზურაბ წერეთლის მიერ წარდგენილმა გეგმამ დასავლეთი საქართველოს სამეფო-სამთავროების და რუსეთის ერთიანი ძალით მოქმედების შესახებ თურქეთის წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავდა თურქეთის განდევნას შავიზღვისპირეთიდან, დიდი ინტერესი გამოიწვია რუსეთის მთავრობაში (ჯერ კიდევ სოლომონ პირველი სთავაზობდა ასეთ გეგმას რუსეთს), მაგრამ რუსეთს მაშინ არ შეეძლო ამ გეგმაზე დათანხმებულიყო, ქუჩუკ-კაინარჯის საზავო შეთანხმების გამო, რომელიც დასავლეთ საქართველოზე ოსმალთა უფლებებს აღიარებდა.

1785 წლის 5 ოქტომბერს ელჩებმა მიიღეს ეკატერინე მეორის პასუხი. რა თქმა უნდა, იმერეთის მეფის წინადადება რუსეთის მფარველობაში მისი სამეფოს მიღებაზე ღიად დარჩა. ეკატერინე მეორემ დავით მეფეს ანდრია მოციქულის ორდენი უბოძა, საჩუქრები გამოუგზავნა, შეაქო მისი გადაწყვეტილება რუსეთისადმი ერთგულების შესახებ, დააიმედა იმერეთის კეთილდღეობაზე ზრუნვითა და ურჩია შემდგომში ურთიერთობის დაქერა გრიგოლ პოტიომკინთან, რომელიც იყო კავკასიისა და შავი ზღვის სამხედრო ხაზის მთავარსარდალი და მმართველი.

1785 წლის 31 დეკემბერს ელჩებმა პეტერბურგი დატოვეს[1], ზამთარში მოსკოვში იყვნენ, ხოლო გაზაფხულზე ასტრახანში ჩამოვიდნენ და დაელოდნენ გრიგოლ პოტიომკინის კონკრეტულ პასუხს, ურომლისოდაც იმერეთში დაბრუნებას არ აპირებდნენ. გრ. პოტიომკინს კი პასუხის გაცემა არ შეეძლო.

დავით მეფე ვერ ხედავდა, რომ რუსეთის მფარველობაში აყვანილი ქართლ-კახეთი 1785 წელს თურქეთის ხელშეწყობით ლეკებმა აოხრეს, რუსეთმა კი ვერაფერი უშველა. ერეკლე მეფის თხოვნაზე ჯარისა და ფულის გამოგზავნის შესახებ რუსეთი კონკრეტულ პასუხს ვერ იძლეოდა; დამატებითი ჯარის გამოგზავნაზე ჯერ ზამთარი, შემდეგ გაზაფხულის უგზოობა მოიმიზეზეს, რაც შეეხება ფულით დახმარებას, მოთხოვნილი 30000 მანეთის ნაცვლად 4000 მანეთი გამოგზავნეს.

1785 —1786 წლებში ქართლ-კახეთის მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. თურქეთმა მთელი კავკასიის მაჰმადიანობა ფეხზე დააყენა საქართველოს წინააღმდეგ.

ახალციხის ფაშა საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებდა ერეკლე მეორესთან და მოითხოვდა მისგან, რომ თუ მშვიდობა უნდოდა, რუსეთის ჯარი შორს ყოფილიყო საზღვრებიდან და იგი არც ერთი ჯარისკაცით არ გადიღებულიყო.

---

[1] ბუტკოვი, მასალები, II, გვ. 191 (რუს.).

ასეთ პირობებში რუსეთი იმერეთს მფარველობაში ვერ მიიღებდა და იქ ჯარის გაგზავნას ვერ შეძლებდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ იმერეთის ელჩებს ორი წელიწადი აცდევინეს — პასუხს ვერ აძლევდნენ. რუსეთის მთავრობას არ სურდა ელჩების ცივად გამოსტუმრება, რადგან შესაფერის ამინდს ელოდა, იმედს და დიპლომატიურ მხარდაჭერას იმერეთს არ აკლებდა, თუმცა ვერავითარ რეალურ დახმარებას ვერ უწევდა.

1786 წლის ბოლოს მოთმინებადაკარგულმა ელჩებმა — ზურაბ წერეთელმა და დავით კვინიხიძემ იმერეთში დაბრუნება გადაწყვიტეს, ხოლო მაქსიმე კათალიკოსი რუსეთში დარჩა გრ. პოტიომკინთან დიპლომატიური კავშირისათვის[1].

* * *

რუსეთ-საქართველოს ტრაქტატი თურქეთის მთავრობას სერიოზულად აფიქრებდა, რადგან ამიერკავკასიაში მის ბატონობას საფრთხეს უქმნიდა, ამიტომ მან ფოთისა და ბათუმის ციხეები ისევ გაამაგრა. 1786 წელს ფოთში 40, ხოლო ბათუმში 30 ზარბაზანი მოზიდეს, 35000 თურქი ტრაპიზონთან იყო დაბანაკებული (საქართველოში შემოსაჭრელად), ახალციხიდან ლეკები კვლავ იმუქრებოდნენ და იმერეთზე თავდასასხმელად ემზადებოდნენ. დასავლეთი საქართველო კვლავ საფრთხის წინაშე დადგა. არზრუმის ფაშამ 1786 წლის ივლისში ერეკლე მეორეს ოფიციალურად მიმართა და რუსეთთან კავშირის გაწყვეტა მოსთხოვა. პასუხის მოსაფიქრებლად ექვსი თვე დაუნიშნა. ერეკლემ პოტიომკინს მიმართა, მაგრამ მას რაიმე დახმარება არ აღმოუჩენია, მხოლოდ ის გააკეთა, რომ პროტესტი განუცხადა ახალციხის ფაშას სულეიმანს.

1787 წლის 15 აგვისტოს თურქეთმა რუსეთს ომი გამოუცხადა.

როგორც ჩანს, დავით მეფე ვერ გაერკვა ამ რთულ საგარეო-პოლიტიკურ სიტუაციაში, სათანადო დასკვნა ვერ გამოიტანა, როცა მისი ელჩები ორი წლის ამაო ლოდინის შემდეგ ხელმოცარულნი დაბრუნდნენ იმერეთში და 1787 წლის ივლისში მან კიდევ ახალი ელჩი — ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი) გაგზავნა რუსეთში. ბესიკს ორი წელი აცდევინეს კრემენჩუგში და 1789 წელს მან ძლივს ჩააღწია პეტერბურგს[2].

---

[1] უფრო ვრცლად იხ. ზ. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 29—36.
[2] ი. ცინცაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 292—293.

• • •

იმერეთში დიდხანს არ გაგრძელებულა მშვიდობა, შეთანხმება მალე დაირღვა, ისევ ამბოხებამ იჩინა თავი.

1785 წლის 25 აპრილს ერეკლე მეფე წერილს სწერს უცნობ პირს: იმერეთში დიდი არეულობაა მეფესა და თავადებს შორის, გლეხებიც ღელავენ, გადასახადებს არ იხდიან, ორივე მხარეს წინადადება მივეცი, საზღვარზე მოვიდნენ სურამში, შესაძლებელია, რაიმე ვიღონოთ მათ შესარიგებლადო[1].

ცხადია, ეს შეთანხმება არ მოხდა, რადგან დავით მეფეზე დიდი გავლენა ჰქონდა ქართლიდან გაძევებულ ელიზბარ ერისთავს და ბესარიონ გაბაშვილს, ამიტომ მან ერეკლე მეფის რჩევას არ დაუჯერა, შერიგებაზე არ წავიდა; ამის შედეგად წერეთელი და წულუკიძეები თურქებთან გაიქცნენ[2].

ამ არეულობის მოთავენი ისევ ძმები ბერი და გიორგი წულუკიძეები და პაპუნა წერეთელი იყო. მათ ბანაკში აღმოჩნდა ტახტის მემკვიდრე დავით არჩილის ძეც.

საინტერესოა განვიხილოთ მოწინააღმდეგე მხარეთა წერილები, გაგზავნილი ბურნაშოვისადმი.

1785 წლის 14 მაისს დავით არჩილის ძე ბურნაშოვს სწერს: მეფე პირობას არ ასრულებს, მამულები და ციხეები წაგვართვა, დადიანი მოიწვია ჯარებით და ქვეყანას აოხრებს. სოლომონის ქვრივი და შვილიშვილი დაიჭირა, მე წერეთელთან ვცხოვრობ, სოლომონ მეფის მოკეთენი გაგდებული არიან[3].

გიორგი წულუკიძე და პაპუნა წერეთელი ბურნაშოვს მეფის თვითნებობაზე სწერენ და აღნიშნავენ: მეფე დავითს ჩვენი გაქრობა უნდა, თუ რამეში დამნაშავენი აღმოვჩნდეთ, დაგვსაჯეო[4].

16 მაისს მეფე დავით ბურნაშოვს სწერს: წულუკიძე და წერეთელი „შეურაცხყოფას მაყენებდნენ, ისეთ სიღარიბეში ჩავვარდი, რომ არც ღომი მქონდა და არც ღვინო,.. წულუკიძეს და წერეთელს უნდათ, დაანგრიონ ჩვენი სამეფო, წაგვართვეს ჩვენი ძმა დავითი (არჩილის ძე) და ცხადად არღვევენ პირობას. ჩვენ აქამდე ვითმინეთ, ვფიქრობდით, თქვენი დარიგებით ხელახლავ შევრიგდებოდით. ყოველ შემთხვევაში, არავის არ მივცემ ნებას, სამეფო წამართვან, ან ძმას წამკიდონ, იგი ჩემი მემკვიდრეა. და ვინც იმას მართმევს, უნდა სამეფო დააქციოს. წულუკიძემ მოინ-

---

[1] იასე ლორთქიფანიძე, მასალები, გვ. 49.
[2] ბუტკოვი, მასალები, II, გვ. 184—185 (რუს.).
[3] იასე ლორთქიფანიძე, მასალები, გვ. 49.
[4] იქვე.

დომა რაჭაში აზნაურები და გლეხები თავის ქვეშევრდომებად გაეხადა, დაეფიცებინა, რომ ჩვენი არ ისმინონ, მაგრამ იმათ ეს არ მიიღეს, ჩვენ შეგვატყობინეს, მაშინ ჩვენ ისინი, ე. ი. აზნაურები და გლეხები დავაფიცეთ ჩვენს ერთგულებაზე. რაჭაში წულუკიძემ ღალატით დაიკავა ჩვენი ციხე ჭიდროთა, შევუთვალე, ციხე დაებრუნებინა, მან ჩვენი კაცები გამორეკა, „ციხე ჩემიაო, მოდი წაიღეო", გზები ყველა შეკრულია, თითქმის მთელი სამეფო უჭირავთ, რამდენჯერმე გავუგზავნე კაცები, წინადადება მიეეცი, არეულობა მიატოვონ, შევრიგდეთ, მაგრამ არ მიიღეს. ბევრ თავადს და აზნაურს შეპირდნენ სოფლებს და საჩუქრებს. ახლა ჩვენ ძმასთან (დავით არჩილის ძესთან) მოვიდნენ, ოთხი ტყვე ახალციხეში გაგზავნეს, ითხოვენ ოსმალეთის და ლეკების ჯარს. ამას ჩვენ ვერ მოვითმენთ, ზომებს მივიღებთ. გიგზავნით თქვენ და ერეკლეს აზნ. ბუჭუა მასხარაშვილს, რომ მეორე მხარემ ტყუილით არ შეგაცდინოსთ"[1].

როგორც ვხედავთ, მეფე-თავადთა უთანხმოების სურათის წარმოსადგენად საინტერესოა ეს ზემოთ მოტანილი ვრცელი ამონაწერები.

ერთ-ერთი მიზეზი თავადების უკმაყოფილებისა იყო ის, რომ გამეფებისთანავე დავითმა დაიახლოვა ქართლიდან ლტოლვილი ქსნის ერისთავის შვილი ელიზბარი და თავის პირველ მრჩეველად გაიხადა.

სოლომონის მიერ გაუქმებული რაჭის საერისთავო დავით მეფემ ისევ აღადგინა, მან მოიწვია როსტომ ერისთავის შვილიშვილები — თავისი დის ელენეს შვილები — ანტონ და ლევან გიორგის ძენი და მათ რაჭა ჩააბარა, შემდეგ — 1785 წელს, გიორგი (ქიორ-ბეი) მიიწვია და რაჭის ერისთავად დასვა. რაჭის საერისთავოს მამულების ნაწილი წულუკიძეებსა და ნაწილი წერეთლებს ეკავათ. ამიტომ საერისთაოს აღდგენა მათთვის სასურველი არ იყო. სოლომონის დროს იმერეთის პირველკაცები — სარდლები ბერი წულუკიძე და პაპუნა წერეთელი, ახლა აშკარად გადაუდგნენ მეფეს. ამასთან ერთად, 1785 წლის დასაწყისში მეფემ ახალი გადასახადები შეაწერა მოსახლეობას, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, ამით ისარგებლეს მეფით უკმაყოფილო თავადებმა და მისი ჩამოგდება განიზრახეს, ხალხი წააქეზეს და მეფეს სახელმწიფო გადასახადების გადახდა შეუწყვიტეს.

იმერეთი ამბოხების ქარცეცხლში გაეხვია. 1785 წლის 19 აგვისტოს ბურნაშოვი პ. პოტიომკინს ატყობინებდა: იმერეთში არეუ-

---

[1] იასე ღლონტი ფანიძე, მასალები, გვ. 50.

ლობა გრძელდება, გლეხები თვითნებობენ, არავის უჯერებენ, გადასახადებს არ იხდიან, წულუკიძემ და წერეთელმა უარი განაცხადეს თავის სახელოებზე. შეძლებული აზნაურები განზე დგანან, არც ერთ მხარეს არ ეკედლებიან; ყველაფერს განაგებს ელიზბარ ერისთავი; მეფემ წერა-კითხვა არ იცის და უჯერებს, ვინც რას ეტყვის, ყველაფერში ენდობა დადიანს, რომელსაც მისცა 400 კომლი. დადიანს განზრახვა აქვს, იმერეთის ანგარიშზე გაძლიერდეს და ამიტომ ბადებს მხარეებს შორის განხეთქილებას. წერეთელი ახლა მთებში წავიდა, რომ ჯარი იშოვოს ოსებში და სხვა ხალხში.[1]

ასეთი დაძაბული ვითარების დროს ღალატმა თავი იჩინა მეფის მომხრეთა შორისაც კი. ელიზბარ ერისთავი და ზაალ აბაშიძე მიმოწერას აწარმოებდნენ ახალციხის ფაშასთან: თუ თურქეთი მხარს დაუჭერდა დავით არჩილის ძეს და იმერეთის ტახტზე დასვამდა, ისინი მეფისაგან განდგომას აპირებდნენ და ახალციხის ფაშას 100 ტყვესა და 40 ქისა ფულს სთავაზობდნენ.[2]

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობამ გადასახადების გადახდაზე უარი განაცხა, ამ არეულობის დროს სამეფო აზნაურობამ და ყმა-გლეხობამ მაინც მეფეს დაუჭირა მხარი, ვინაიდან, თუ მეფე დამარცხდებოდა, აზნაურებს მამული ეკარგებოდათ და ყმა-გლეხობა ტყვედ გაიყიდებოდა თავადების მიერ.

ამ არეულობის დროს არც დავით მეფე რჩებოდა ვალში თავის მოწინააღმდეგეებთან. მან დადიანის ჯარით მოარბია როგორც წულუკიძეების, ისე მის წინააღმდეგ გამოსულ თავადთა მამულები.[3]

ბერი წულუკიძე სტამბოლში ჩავიდა და ქელეშ-ბეი შერვაშიძეს დაუკავშირდა, მისი შუამდგომლობით სამხედრო დახმარება სთხოვა ხონთქარს, თავის მხრივ, დაპირება მისცა, რომ დავით მეფეს ტახტიდან ჩამოაგდებდა, აჯანყებულ იმერეთს დაუმორჩილებდა და ხარკსაც დაიკისრებდა. თურქეთის მთავრობამ წულუკიძის თხოვნა დააკმაყოფილა და დავით მეფის წინააღმდეგ გაგზავნა.[4]

დავით მეფე ენერგიულად ებრძოდა თავის მოწინააღმდეგეებს — დავით არჩილის ძეს საუფლისწულო მამული ჩამოართვა, ბერი წულუკიძეს ქუთაისის მოურავობა და სამეფოს ბოქაულთუ-

---

[1] იასე ღლონტი ფანიძე, მასალები, გვ. 52.
[2] იქვე, გვ. 53.
[3] ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962, გვ. 183.
[4] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 167.

ხუცესობა წაართვა, პაპუნა წერეთელი საწერეთლოს უფროსობიდან გადააყენა და მის ბიძაშვილს — ბეჟან წერეთელს გადასცა, მასვე წაართვა აგრეთვე ონის ქალაქი და წედისი (რომელიც 1784 წელს მიიღო მეფისაგან). რაც შეეხება წერეთელთა საფეოდალო მამულს, მისი ჩამორთმევა ვერ გაბედა, რადგან პაპუნას ძმა ზურაბი ამ დროს ელჩად იყო რუსეთში და ეს ნაბიჯი მის უკმაყოფილებას გამოიწვევდა.

დავით მეფემ გათავისუფლებულ ადგილებზე თავისი მისანდო — ერთგული პირები დასვა.

1786 წლის 15 იანვარს წულუკიძემ და წერეთელმა ახალციხის საფაშოდან 500 ლეკი და 1000 თურქი გადმოიყვანეს დასავლეთ საქართველოში და რაჭა მოარბიეს. მათ თან ახლდა დავით არჩილის ძე ბორჩალოელთა რაზმით, მაგრამ სასტიკად დამარცხდნენ. ლეკთა და თათართა ჯარი მთლიანად ამოწყდა. არცერთი კაცი სამშობლოში არ დაბრუნებულა.

დამარცხებულებმა მალე ახალციხეში მოიყარეს თავი, მათ შორის დავით არჩილის ძემაც, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ერეკლე მეფე ნეიტრალიტეტს იცავდა და იმერეთის საქმეებში არ ერეოდა. 1787 წელს დავით მეფე პ. პოტიომკინს სწერდა: „სხვათა შორის თქვენგან შემწეობა არ მიგვიღია, მეზობლები ამიტომ დაგვცინიან, მაგრამ შინაური მტრები მაინც დავიმორჩილეთ, ზოგიერთი მათგანი მეფე ერეკლესთან წავიდა, მაგრამ არა მგონია, რომ ერეკლემ მათ მხარი დაუჭიროს“.[1] დავით მეფე არ ცდებოდა — ერეკლე მეფე იმერეთის სამეფოს საქმეებში არ ერეოდა.

* * *

როგორც ზემოთ აღინიშნა, იმერეთის ელჩები ზურაბ წერეთელი და დავით კვინიხიძე რუსეთის საიმპერატორო კარზე ორი წლის უშედეგო ლოდინის შემდეგ იმერეთში დაბრუნდნენ — 1787 წლის დასაწყისში, ხოლო მაქსიმე კათალიკოსი რუსეთში (მოზდოკში) დარჩა და გრ. პოტიომკინს წერილობით განუცხადა: სანამ იმერეთი არ იქნება მიღებული რუსეთის მფარველობაში, რუსეთიდან არ წავალო, მაგრამ პოტიომკინისაგან პასუხი არ მიუღიათ. მიუხედავად ყოველივე ამისა, დავით მეფემ 1787 წლის ივნისის დასაწყისში ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი) გაგზავნა რუსეთის

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 747.

საიმპერატორო კარზე სრულუფლებიან ელჩად. მაგრამ რაიმე წარმატებას ვერც მან მიაღწია.[1]

თავისი წარუმატებლობის მიზეზში იმერეთის ელჩი ვერ ერკვეოდა და ამას ერეკლე მეფის დიპლომატებს მიაწერდა. 1789 წლის 14 ოქტომბერს ბესიკმა გრ. პოტიომკინს მოხსენებითი ბარათი წარუდგინა, სადაც აღნიშნული იყო, რომ მეზობლის (ე. ი. ერეკლე მეფის — მ. რ.) მიზეზით ფერხდება იმერეთზე რუსეთის მფარველობის გაფორმებაო.

იმერეთის ელჩმა არ იცოდა, რომ 1789 წლის 12 ივლისს დავით მეფე ტახტიდან ჩამოაგდეს და დავით არჩილის ძე გაამეფეს.

იმერეთიდან კვლავ არაფერი ისმოდა. ყველაფერი ეს ბესიკმა ისევ ერეკლეს დიპლომატიას გადააბრალა. 1790 წლის 8 მარტს მან კიდევ არ იცის, რომ დავით მეფე ტახტიდან ჩამოგდებულია

ბევრი ლოდინისა და ფიქრის შემდეგ ბესიკი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ რუსეთი იმერეთს ვერ, ან არ დაეხმარებოდა და სამწუხაროდ, ამაში ისევ ერეკლე მეფეს აღანაშაულებდა.[2]

ერთხელ კიდევ ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ერეკლე აქ არაფერ შუაში იყო, რუსეთს არ შეეძლო აქტიური მოქმედება ეწარმოებინა დასავლეთ საქართველოში, ჯერ ერთი, ქუჩუკ-კაინარჯის ზავის პირობათა შესაბამისად, მეორე, თურქეთს გვერდში ედგნენ დასავლეთის სახელმწიფოები და რუსეთის გაძლიერების შიშით, საჭირო შემთხვევაში ისინი აქტიურ დახმარებას გაუწევდნენ პორტას, რათა რუსებისათვის წინააღმდეგობა გაეწია; ასე რომ, რუსეთი აქ დასავლეთის სახელმწიფოების პირისპირ დგებოდა; მესამე, აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველოს მეფე-მთავართა ძალები და შეიარაღება სრულებით არ იყო საკმარისი სერიოზული სამხედრო წარმატების მისაღწევად, ხოლო რუსეთის დიდი ჯარის (არტილერიით) შემოყვანა ამიერკავკასიაში იმ დროის ტრანსპორტის, საერთოდ კომუნიკაციების, ობოზის, მომარაგების პირობებში სრულიად შეუძლებელი ჩანდა; მეოთხე, ჩრდილოეთი კავკასიის მაჰმადიანი ხალხები, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე თავს ესხმოდნენ მეზობელ ქრისტიანებს, მათ შორის ქართველებს და ძარცვა-ტლეჯას ეწეოდნენ, ამ რაიონში რუსეთის სამხედრო ავანპოსტების და ციხესიმაგრეების შექმნის

---

[1] ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 183; იასე ლორთქიფანიძე, მასალები, გვ. 53.

[2] შ. ბურჯანაძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები, II, თბ., 1953, გვ. 17; იხილეთ აგრეთვე, ზ. ცქიტიშვილი, გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, თბ., 1982, გვ. 16—17.

მიუხედავად, ჯერ კიდევ არ იყვნენ შეზღუდულნი, ისინი ყირიმთან, ახალციხესთან და თურქეთის სხვა საყრდენ პუნქტებთან კონტაქტში სისტემატურად ახორციელებდნენ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან დივერსიებს და განაპირობებდნენ რუს-ქართველთა ძალების ზურგის არასაიმედოობას.

იმერეთისა და საერთოდ საქართველოს ჩართვა რუსეთ—ოსმალეთ — დასავლეთის სახელმწიფოთა რთულ წინააღმდეგობრივ ურთიერთობაში, მე-17 საუკუნიდან მოკიდებული, საუკუნეთა მანძილზე გრძელდებოდა (მეოცე საუკუნის პირველი მსოფლიო ომის ჩათვლით), ამ ურთიერთობაში წითელი ზოლივით ჩანს დასავლეთის დიდ სახელმწიფოთა (ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის) თანმიმდევრული ცდა, გამოეყენებინათ თურქეთი სამხრეთ-დასავლეთისაკენ რუსეთის ძლევამოსილი მსვლელობის შესაჩერებლად. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით რუსეთმა დიდ გამარჯვებას მიაღწია თურქეთთან წარმოებულ მთელ რიგ ომებში (პირველი მსოფლიო ომის ჩათვლით), რუსეთის იმპერიის მთავარი მიზანი — შავ ზღვაზე სრული გაბატონება და სრუტეებით თავისუფალი გასვლა ხმელთაშუა ზღვაში, მიუღწეველი დარჩა, რადგან ამ გზაზე ოსმალეთი მისთვის დაუძლეველ ბარიერად აღიმართა. ეს კი, თავის მხრივ, განაპირობა თურქეთისადმი დასავლეთის აქტიურმა დახმარებამ.

ამ რთული ურთიერთბრძოლის აქტიური მონაწილე რუსეთის მხარეზე — საქართველო, რომელიც ადრე (XIX საუკუნის დამდეგამდე) სამეფო-სამთავროების სახით გამოდიოდა, რუსეთთან შეერთების შემდეგაც მუდამ გვერდში ედგა რუსეთს და როგორც ცოცხალი ძალით, ისე თავისი რესურსებით ეხმარებოდა მას. ამ ომების შედეგად ქართველმა ხალხმა თავის სანუკვარ ოცნებას — ოსმალთაგან მიტაცებული ბევრი პროვინციის დაბრუნებას — მიაღწია.

1790 წელს ახალმა მეფემ — დავით არჩილის ძემ, რომელიც იწოდა სოლომონ მეორედ, ბესიკს ისევ მიანიჭა დესპანობის რწმუნება. გრ. პოტიომკინმა ბესიკი თავისთან მიიწვია და რუსეთ-ოსმალეთის მთელი ომის დროს იგი პოტიომკინის ბანაკში იმყოფებოდა.

1791 წლის 24 იანვარს, ღამით, ორმოცი წლის ასაკში, ბესიკი გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა ქალაქ იასში (რუმინეთი); იგი იქვე დაასაფლავეს[1].

---

[1] იმერეთის სხვა ელჩებიც — მაქსიმე კათალიკოსი და სვიმონ გაბაშვილი უცხოეთში დაიხოცნენ, სამშობლოში არ დაბრუნებულან.

• • •

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დავით გიორგის ძის გამეფებაში და შემდეგ ტახტზე მომაგრებაში დიდი წვლილი ეკუთვნოდა ოდიშის მთავარს კაცია დადიანს. როდესაც იგი დასნეულდა და სიკვდილის მოახლოვება იგრძნო, იმერთა მეფე თავისთან — ოდიშში მიიწვია, თავისი მცირეწლოვანი შვილები გრიგოლი და მანუჩარი ჩააბარა და სთხოვა: რომ არ დაივიწყოს ის ღვაწლი და სამსახური, რაც კაციას მის წინაშე მიუძღოდა და მფარველობა გაუწიოს მის შვილებს. იმერთა მეფემ „აღუთქვა ფიცითა შემწეობა და ნაცვლად მისა მამობის გაწევა და წარვიდა იმერეთს“.[1]

1788 წელს კაცია დადიანი გარდაიცვალა, ოდიშართ მთავრად მისი ძე 18 წლის გრიგოლი დასვეს. როგორც ჩანს, ეს კანდიდატურა დავითისათვის მიუღებელი იყო, ამიტომ იმერთა მეფემ „დაივიწყა კეთილობა კაცია დადიანისა და ანდერძიცა მისი“ და განიზრახა ოდიშის დაპყრობა, ვინაიდან ტახტზე მცირეწლოვანი იჯდა და წინააღმდეგობას ვერავინ გაუწევდა. ამ მიზნით, მან შეკრიბა იმერთა ჯარი და კაციას გარდაცვალებიდან ორი თვის თავზე ოდიში დალაშქრა. გრიგოლმა თავს ლეჩხუმში გაქცევით უშველა.[2] მეფემ მთავრად გრიგოლის უმცროსი ძმა მანუჩარი დასვა[3] და ტყვეებითა და ალაფით უკან მობრუნდა.

ამ ბრძოლით ისევ განახლდა შინაური აშლილობა, რაც დასავლეთ საქართველოში საუკუნეთა მანძილზე არ ცხრებოდა. მეფეს ქვეყნის შიგნით ბევრი მტერი ჰყავდა, ახალციხის ფაშაც უარყოფითად იყო განწყობილი მის მიმართ, ამასთან ერთად, დავით არჩილის ძე, რომელიც ერეკლე მეფის კარზე იყო, კეთილ შემთხვევას უცდიდა ტახტზე ასასვლელად.

ოდიშის თავადაზნაურობაც ორ სამტრო ბანაკად გაიყო: ერთნი მანუჩარს ემხრობოდნენ, მეორენი — გრიგოლს.

გრიგოლის მხარეზე იყვნენ: ლეჩხუმის მთავარსარდალი ქაიხოსრო გელოვანი და ოდიშის სახლთუხუცესი გიორგი ჩიქვანი ამათ გადაწყვიტეს, დავით მეფის წინააღმდეგ დავით არჩილის ძისათვის დაეჭირათ მხარი. ამათი რჩევით გრიგოლმა ერეკლე მეფისაგან გამოიწვია დავით არჩილის ძე. მიწვევის მიღებისთანავე დავით ბატონიშვილი ქართლიდან იმერეთში გადმოვიდა, სადაც მას მიეგებნენ წერეთლები, წულუკიძეები და ზოგი სხვა თავადიც.

---

[1] ნიკო დადიანი, ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962, გვ. 184.
[2] იქვე.
[3] იქვე.

შემდეგ დავითი მივიდა ლეჩხუმს, სადაც მას (მურის სასახლეში) ცოლად შერთეს გრიგოლ დადიანის და მარიამი.[1]

გრიგოლ დადიანმა შეკრიბა ლეჩხუმისა და ოდიშის ჯარი და მეფის დასახვედრად მოემზადა.

თავის მხრივ, დავით გიორგის ძემ შეკრიბა იმერეთის ჯარი, დაიხმარა ოსმალეთისა და ლეკების რაზმები და მოწინააღმდეგესთან შესახვედრად გაემართა.

ერეკლე-მეფემ, დაინტერესებული იყო რა თავისი შვილიშვილის გამეფებით, ქართლ-კახეთის ლაშქარი იმერეთის საზღვარს მიაყენა[2] ბატონიშვილისათვის დახმარების აღმოსაჩენად. ზურაბ წერეთელი და წულუკიძეც უკმაყოფილონი იყვნენ დავით მეფისა, რადგან, როგორც ვიცით, სოლომონ მეფის მიერ ნაწყალობევი მამულები დავითმა მათ ჩამოართვა და რაჭის ერისთავებს დაუბრუნა. გურიის მთავარსაც განდგომილად ეჭირა თავი. ასეთ მდგომარეობაში ძალთა ფარდობა მეფის სასარგებლო არ იყო.

ბრძოლა მოხდა 1789 წლის 11 ივლისს, ხონის მახლობლად, ხუნწ-მათხოჯის ჭალაში[3]. ამ ბრძოლაში, როგორც მოსალოდნელი იყო, დავით მეფე დამარცხდა და ახალციხეში გაიქცა[4]. იმერეთის ტახტზე დავით არჩილის ძე[5] ავიდა; ბიძის პატივსაცემად მას სოლომონ II ეწოდა.

სოლომონ II-მ ტახტზე ასვლისთანავე მიზნად დაისახა, აღედგინა სოლომონ I-ის საშინაო პოლიტიკა, რომელიც, მისი აზრით, დავით გიორგის ძემ უარყო. ეს უარყოფა იმაში გამოიხატებოდა, რომ ძველმა მეფემ რაჭისა და იმერეთის მამულები ისევ გასცა შველ მეპატრონეებზე, რაც საზიანო იყო სამეფო ტახტისათვის.[6]

ასეთმა პოლიტიკამ ისევ ორ სამტრო პარტიად გაყო იმერეთი. ერთ მხარეს სოლომონის ირგვლივ შემოიკრიბნენ წერეთლები და წულუკიძეები, ხოლო მეორე მხარეს დამარცხებული, მაგრამ ახა-

---

[1] ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 184.

[2] ბაგრატ და დავით ბატონიშვილები, მასალები საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 36.

[3] იქვე.

[4] იასე ლორთქიფანიძე, მასალები, ჯვ. 51.

[5] დავით არჩილის ძე — სოლომონ I-ის ძმისწული — დაიბადა 1772 წელს, ბაბამისი არჩილ ბატონიშვილი კაცხში გარდაიცვალა 1775 წელს, და როგორც ექსორია-(ანათემა) ქმნილი, ანუ ეკლესიისაგან განდევნილი იოსებ კათალიკოსის (საკუთარი ძმის) მიერ ნაცვლად ეკლესიისა ან სასაფლაოსი, სანეხვეზე დაიმარხა. ამის შემდეგ დავითი კახეთში იზრდებოდა, სადაც დედამისი, ერეკლეს ქალიშვილი ელენე ახდრონიკაშვილზე იყო გათხოვილი მეორედ (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. IV, თბ., 1962, გვ. 237.

[6] იასე ლორთქიფანიძე, მასალები, გვ. 51.

ლი თაობის წარმომადგენელნი — რაჭის ერისთავის შთამომავალნი და აბაშიძენი. იმერეთში არეულობა ისევ გრძელდებოდა.

1790 წლის 11 ივლისს დავით მეფე ოსმალეთის და ლეკთა ჯარით (რა თქმა უნდა, ახალციხის ფაშას ხელშეწყობით) ისევ შემოიჭრა იმერეთში. სოლომონ II-ც მომხდურს მიეგება, მაგრამ ზოვრეთის ბრძოლაში დამარცხდა და წერეთლების სათავადოს შეაფარა თავი.[1] დავით მეფემ ცოტა ხნით ისევ დაიკავა იმერეთის ტახტი.

ტახტიდან ჩამოგდებულმა სოლომონ II-მ დახმარებისათვის, ერთი მხრივ, თავის პაპას, ერეკლე მეორეს მიმართა, ხოლო მეორე მხრივ, თავის ცოლისძმას — გრიგოლ დადიანს. ერეკლემ მთხოვნელს დახმარება აღმოუჩინა. ქართლ-კახეთის ლაშქარს თავისი შვილიშვილი გიორგის ძე იოანე უსარდლა და იმერეთში გამოუშვა სოლომონის ისევ გასამეფებლად; ხოლო გრიგოლ დადიანმა ოდიშის ლაშქარი ქუთაისისაკენ დაძრა. თვით სოლომონ მეფეს ლეკთა დაქირავებული რაზმები ახლდნენ. დავით მეფე ორ ცეცხლშუა მოექცა, 1790 წელს ლომსიათხევის ბრძოლაში დამარცხდა და ისევ ახალციხეში გაიქცა, იმერეთის ტახტი ისევ სოლომონ მეფემ დაიკავა[2]. იმავე 1790 წელს დავითი კვლავ შემოიჭრა იმერეთში ლეკთა დაქირავებული ბრბოებით, მაგრამ სოლომონმა ისევ დაამარცხა და დავითი კვლავ ახალციხეში გაქცია, ახლა უკვე საბოლოოდ.

* * *

მიუხედავად მძიმე და რთული ვითარებისა, რაც საქართველოს ყველა სამეფოსა და სამთავროში სუფევდა, საქართველოს გაერთიანების იდეა არასოდეს დასამარებულა. იგი მუდამ ცოცხლობდა მოწინავე წრეებში, მაგრამ მისი განხორციელება ყოველთვის გადაულახავ დაბრკოლებებს აწყდებოდა. მას შემდეგ კი, რაც რუსეთის დამხმარე კორპუსმა საქართველო დატოვა და გარეშე ძალის დახმარების იმედი გაქრა, ქართველ პოლიტიკოსებს შორის მომწიფდა აზრი საქართველოს გაერთიანების შესახებ. ამ აზრმა უფრო მკვეთრად იჩინა თავი XVIII საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, მას შემდეგ, რაც დასავლეთ საქართველოში ანარქია დამკვიდრდა და ლეკთა ბრბოები დაუპატიჟებელი, მაგრამ ხშირი სტუმრები გახდნენ.

---

[1] ნ. დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 185—180.

[2] იქვე.

სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ ბრძოლა ტ[illegible]
თვის არ შენელებულა, ფარულად თუ აშკარად იგი მუდა[illegible]
ნარეობდა და ალბათ კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა, [illegible]
ვით გიორგის ძე არ გარდაცვლილიყო და ამის შემდ[illegible]
რუსეთთან შეერთება არ განხორციელებულიყო.

ამ გაუთავებელი შინააშლილობის დროს იმერეთის მოწ[illegible]
საზოგადოებაში დაიბადა აზრი ქართლ-კახეთთან იმერეთის [illegible]
თების შესახებ. ეს იქნებოდა ერთადერთი საშუალება შინაური
შფოთისა და არეულობის მოსასპობად. თუმცა თავადების უმეტ-
სობა იმერეთში დავითის მეფობის წინააღმდეგი იყო, მაგრამ ამ
უკანასკნელს ყოველთვის ჰქონდა საშუალება ოსმალ-ლეკთა ჯა-
რის დახმარებით და იმერეთში მისი მცირერიცხოვანი მომხრე-
ებით უსიამოვნება მიეყენებინა ქვეყნისათვის. ამიტომ იმერეთის
დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ეფთვიმე
გენათელი, დოსითეოს ქუთათელი, სარდალი ქაიხოსრო წერეთე-
ლი, პაატა მიქელაძე, სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, სეხნია
წულუკიძე, იოანე აბაშიძე, იოანე აგიაშვილი, ქაიხოსრო ჩიჯავაძე
და ფიცისკაცნი: ლორთქიფანიძე, იოსელიანი, ავალიანი და სხვა-
ნი, ეახლა მეფე ერეკლეს და თხოვნით მიმართა, რათა დასავლეთი
საქართველოს სამეფო-სამთავროები ქართლ-კახეთისათვის შ[illegible]ერ-
თებინა და ამით საქართველო გაეერთიანებინა.

თათბირის მონაწილენი ორი დღის მანძილზე ერეკლე მეფეს
იმას უმტკიცებდნენ, რომ უმჯობესი იყო იმერეთის შემოერთება,
მაგრამ ერთი სიტყვაც არ თქმულა იმაზე, იძლეოდა თუ არა ამის
საშუალებას საგარეო პირობები.

ერეკლეს უარი ქართლ-კახეთისათვის იმერეთის სამეფოს შ-
მოერთებაზე სრულიადაც არ იყო ნათესაური გრძნობებით [illegible]-
მოწვეული. ვინც არ უნდა ყოფილიყო იმერეთის ტახტზე — იე-
ნებოდა ეს ერეკლეს შვილიშვილი სოლომონ მეორე თუ სხვა
ბაგრატოვანი ან არაბაგრატოვანი, ერეკლეს პოზიცია აღმოსავლე-
თი და დასავლეთი საქართველოს გაერთიანების საკითხში, იმ
დროის პირობებში, უარყოფითი უნდა ყოფილიყო, [illegible]რამდენადაც
იგი უკავშირდებოდა ოთხი ქვეყნის — ოსმალეთისა, სპარსეთის,
რუსეთისა და საქართველოს აწეწილ, გართულებულ ურთიერთო-
ბას, ამასიის ზავის პირობებს, რაც ძალაში რჩებოდა, ორი აგრე-
სორი ქვეყნის — ოსმალეთისა და სპარსეთის ურთიერთობას საქარ-
თველოსთან დამოკიდებულების საკითხში, ე. ი. საქართველოს გა-
ნაწილებას მათი გავლენისა და მოქმედების ზონებად.

* * *

[illegible]ეა საქართველოს გაერთიანება არ მოხერხდა, მაგრამ იმა-
[illegible] წელს ერეკლე მეფემ სამხედრო კავშირი შეკრა დასავ-
[illegible]ქართველოს სამეფო-სამთავროებთან და ფიცით გამტკი-
[illegible]ული ურთიერთდახმარების ხელშეკრულება — ტრაქტატი[1] და-
[illegible] სადაც გატარებული იყო საქართველოს გაერთიანების იდეა
[illegible]ფიქსირებული იყო, რომ მის მონაწილე მხარეებს (ქართლს, კახეთს, იმერეთს, გურიასა და ოდიშს) აკავშირებს სისხლით ნათესაობა, საერთო ენა და ერთმორწმუნეობა. „ეს იყო საქართველოს ეროვნული ერთობის მაღალი გამოხატულება და პირდაპირი შედეგი იმ სამხედრო და პოლიტიკური თანამშრომლობისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს მეფეებს შორის"[2].

ხელშეკრულების ძალით მეფე-მთავრებს შორის მყარდებოდა პოლიტიკური კავშირი ერეკლე მეფის უზენაესი ხელმძღვანელობით გარეშე მტრისაგან ქვეყნის საერთო ძალით დასაცავად.

რამდენიმე საუკუნის შემდეგ ეს იყო პირველი ნებაყოფლობითი სწრაფვა საქართველოს დაქსაქსული ნაწილების გაერთიანებისაკენ, რითაც დამტკიცდა, რომ ქართველ ხალხში კიდევ არსებობდა ძალთა აუცილებელი გაერთიანების შეგნება გარეშე მტერთან საბრძოლველად.

„ივერიელთა ერთობის ტრაქტატის" შედგენაში დიდი წვლილი მიუძღვის ქართლ-კახეთის სამეფოს ვიცე-კანცლერს სოლომონ ლეონიძეს, რომელმაც დასავლეთ საქართველოში იმოგზაურა და დოკუმენტზე ადგილზე მოაწერინა ხელი მეფე-მთავრებს.[3]

ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ განვიხილავთ სოლომონ ლეონიძის შეხედულებას საქართველოს რუსეთთან შეერთების კითხთან დაკავშირებით.

აღნიშნული დოკუმენტი ოთხ ცალად გადაწერილი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული საქართველოს ყველა მეფე-მთავარს გადაეცა: თვით სოლომონ ლეონიძე, პლატონ იოსელიანის გადმოცემით, ცდილობდა, „რათა მოეყვანა ერთობასა მტკიცესა ერთნათესაობა ქართველთა, მეცადინებდა შინაკავშირითა გაეუქმებინა გარეკავში[illegible]", სოლომონ ლეონიძის აზრით „ერი, დაცული გარეთითა უც[illegible]ა ნათესავთაგან მფარველობითა, არის მარადის დამ-

---

[1] პ. იოსელიანი, დასახ. ნაშრ.

[2] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 366.

[3] აღნიშნული დოკუმენტის შედგენას მეფე-მთავრები არ ესწრებოდნენ, მაგრამ წინასწარ თანხმობა ჰქონდათ მიცემული მის შედგენაზე.

დაბლებული. ერი სხვათა მფლობელობასა შინა ქვეშე შესული, არის მონა და მონა მზაკვარი, დაცინებული, მასხრად აგდებული, ვითარცა დამკარგველი თვითმყოფობისა, ჰკარგავს სულისა თვისისა საკუთარსა ძალასა და ღირსებასა. უძლური სულითა, ჰკარგავს სხეულისაცა ძალასა: ენა და მეტყველება მისი, მწერლობა და მწიგნობრობა მოეღება ერსა დაძინებულსა უცხოსა ნათესავისა ენითა და ჩვეულებითა".[1]

ამიტომ ლეონიძე უპირატესობას შინაგან გაერთიანებას ანიჭებდა და ცდილობდა, შინაკავშირით გაეუქმებინა გარეკავშირი. იგი სხვის მოიმედედ დარჩენას აყვედრიდა დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს და ძალთა გაერთიანებისაკენ მოუწოდებდა.

საქართველოს შესვლას რუსეთის მფარველობაში სოლომონ ლეონიძე დროებით ღონისძიებად თვლიდა. ამით იგი გათავისუფლდებოდა ირანისა და თურქეთის ბატონობისაგან, ხოლო მოღონიერების შემდეგ რუსეთის მფარველობაში დარჩენა მას მიუღებლად მიაჩნდა.

* * *

1794 წელს სოლომონ მეორის მიერ დამარცხებულმა მეამბოხეებმა ისევ ახალციხეში მოიყარეს თავი, მაგრამ მათ რიგებს მოულოდნელად გამოაკლდა იმერეთის ყოფილი მეფე დავით გიორგის ძე, რომელიც 1795 წლის 11 იანვარს ახალციხეში ყვავილით გარდაიცვალა[2] (იგი იმერეთში ჩამოასვენეს და მშობლების გვერდით — ჯრუჭის მონასტერში დაკრძალეს).

დავითის გარდაცვალებას იმერეთში მშვიდობა არ მოყოლია. ახლა მეორე პრეტენდენტი გამოჩნდა იმერეთის ტახტზე[3]. ეს იყო 1780 წელს გარდაცვლილი ალექსანდრეს (სოლომონ I-ის ძის) უკანონო შვილი გიორგი, რომელსაც მხარს უჭერდნენ გენათელი ეპისკოპოსი და რამდენიმე იმერელი თავადი.[4] შეთქმულნი ახალციხეში მყოფ·გრიგოლ დადიანს დაუკავშირდნენ და ისიც სასწრაფოდ გამოეშურა ოსმალთა ჯარით, მაგრამ სოლომონ მეფემ დაასწრო

---

[1] პ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 24.

[2] შ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 246.

[3] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 752.

[4] იქვე.

და შეთქმულნი დააპატიმრა. ტახტის მაძიებელი გიორგი ბატონიშვილი მუხურის ციხეში გამოკეტა[1].

1797 წელს მან ეფთვიმე გენათელი, როგორც შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილე, იმერეთიდან გააძევა. ეფთვიმემ ოდიშის სამთავროს შეაფარა თავი, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ მეფემ ისევ მიიწვია ეპისკოპოსად. მან გიორგი ბატონიშვილის ვაჟები გელათის მონასტრის ხარჯზე აღზარდა[2].

1806 წელს ცხრა წლის პატიმრობის შემდეგ გიორგი ბატონიშვილი მუხურის ციხიდან გამოიპარა და გენერალ რიკჰოფთან მივიდა ქუთაისში, სადაც რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო. იგი თბილისში გადაიყვანეს, ხოლო 1807 წელს პეტერბურგში გაგზავნეს, სადაც იმავე წელს ყვავილით გარდაიცვალა.

მისი ცოლი და შვილები გელათში იყვნენ. შემდეგ რუსეთის განკარგულებით ისინი ქართლში გადავიდნენ. ცოლს პენსია დაუნიშნეს, ხოლო შვილები თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში მოათავსეს.

როცა გრიგოლ დადიანმა შეთქმულების გამჟღავნების ამბავი შეიტყო, გზიდანვე უკან გაბრუნდა, რადგან ამ დროს მისი ცოლშვილი სოლომონ მეფის კარზე იმყოფებოდა. ამის შემდეგ ახალციხის ფაშამ გრ. დადიანს უარი უთხრა ჯარით დახმარებაზე[3]. ხელმოცარული დადიანი ისევ ერეკლე-მეფეს ეახლა და დახმარება სთხოვა როგორც სიძემ[4], მაგრამ მან ჯარით დახმარებაზე უარი განუცხადა, ხოლო სოლომონ მეფესთან შუამავლად თავისი ძე ალექსანდრე და შვილიშვილი იოანე (გიორგის ძე) გააყოლა, რათა მათ სოლომონ მეფეს, მანუჩარსა და გრიგოლს შორის მშვიდობა ჩამოეგდოთ. მაგრამ იმერთა მეფე მანუჩარის მხარეზე იყო, თავის პაპას უარი აკადრა, ხოლო გრიგოლი იმერეთში დააკავა.

რაკი გრიგოლი დარწმუნდა, რომ სოლომონი მას მთავრად არ დასვამდა, საიდუმლო კავშირი გააბა თავის ერთგულ ბიძა გიორგი დადიანის ძესთან და მასთან ერთად შეიმუშავა მოქმედების

---

[1] გიორგი ბატონიშვილი იყო ძე სოლომონ I-ის ვაჟის ალექსანდრესი, იგი იშვა ქორწინების გარეშე ქღენტის ასულ მარიამისაგან. დედის გარდაცვალების შემდეგ პატარა გიორგი სოლომონ მეფემ თავის მესამე ცოლს — გულქან-დედოფალს გააზრდევინა. გიორგიმ ცოლად შეირთო გურიელის ასული დარეჯანი, რომლისგანაც ორი ვაჟი — ალექსანდრე და დიმიტრი შეეძინა (საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226, № 3226).

[2] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, II, გვ. 166—167.

[3] ნიკო დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 188.

[4] გრიგოლ დადიანმა ცოლად შეირთო გიორგი ერეკლეს ძის ქალი ნინო.

ბეგმა — თავიანთ მხარეზე გადმოებირებინათ ლეჩხუმის მოურავი ქაიხოსრო გელოვანი, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მთავრის ტახტისათვის ბრძოლაში. გიორგიმ მიიმხრო გელოვანი, ერთ ღამეს მათ ქუთაისიდან გააპარეს გრიგოლი და ოდიშში ნოღას ციხეში მიიყვანეს[1]. აქედან გრიგოლმა პატიების წერილი გაუგზავნა იმერთა მეფეს და თანაც ზავი და მშვიდობა ითხოვა, რაც სოლომონმა არ მიიღო. მან შეკრიბა იმერთა ჯარი, მოუხმო მანუჩარ დადიანს და ნოღას ციხეში გამაგრებულ ბიძა-ძმისწულს გარს შემოადგა, თუმცა ბრძოლაში დამარცხდა და ისევ ქუთაისში გაბრუნდა[2]. გრ. დადიანი ლეჩხუმში ავიდა და გელოვანის მხარდაჭერით იქაური ციხეები და ხალხი შემოიმტკიცა[3]. მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით ოდიშის ტახტის დაპყრობა მას მაინც არ შეეძლო, ვინაიდან, ჯერ ერთი, მანუჩარს თავისი მომხრეები ჰყავდა და მეორეც, იმერთა მეფე გრიგოლს ამის საშუალებას არ მისცემდა. სოლომონ მეფემ მოინდომა გრიგოლის და გიორგის მიტყუება ქუთაისში და ღალატით სიკვდილი. „მოდით ჩემთან ქუთაისს და იქ შევკრათ პირობა: შენ ჩემთვის, ხოლო მე შენთვის, და მიითვალე დადიანობა"[4]. ხოლო მეფეს განზრახული ჰქონდა, „ოდეს მოვალს ქუთაისს, ჩემთანა, გრიგოლ მოვკლავ და ბიძასა მისსა, ანუ შეეიპყრობ"[5].

დადიანებმა იგრძნეს, რომ მეფე ღალატს უპირებდა, მაგრამ მაინც წავიდნენ და ბანძას მდგომებმა იმერეთიდან გამოითხოვეს სასულიერო და საერო პირნი სიტყვის სიმტკიცისა და უშიშროებისათვის, მათი თანხლებით ქუთაისში მივიდნენ, მაგრამ გრიგოლის ნაცვლად სასახლეში გიორგი გამოცხადდა. იქ ნათელი გახდა, რომ მეფეს განზრახული ჰქონდა გრიგოლის მოკვლა. ეს ამბავი უკან მობრუნებულმა გიორგიმ შეატყობინა გრიგოლს, რომელმაც სასწრაფოდ დატოვა იმერეთი და უკან დაბრუნდა ისე, რომ მეფემ ვერ მოასწრო რაიმე ღონისძიების მიღება,[6] რადგან მას იმერეთის სასულიერო და საერო პირნი ახლდნენ. ამის შემდეგ მეფე იძულებული გახდა გრიგოლი ოდიშის მთავრად ეცნო. 1798 წელს გრიგოლ დადიანსა და სოლომონ მეფეს შორის ოჯო-

---

[1] ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 189.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე.
[5] იქვე.
[6] იქვე.

ლაში მშვიდობის ხელშეკრულება დაიდო,[1] ხოლო მანუჩარ დადიანმა საუფლისწულოდ სალიპარტიანო მიიღო.[2]

გრიგოლ დადიანის გამარჯვება ძირითადად ქაიხოსრო გელოვანის მომხრეობამ გამოიწვია, მაგრამ გაძლიერებული გრიგოლი ახლა აღარც გელოვანს მოსწონდა. ეს იმერთა მეფემ თავის სასარგებლოდ გამოიყენა და გელოვანთან ისევ დაამყარა კავშირი. გრიგოლ დადიანმა მეფეს დაასწრო და გელოვანი მოაკვლევინა, რითაც ჩაშალა მათი კავშირი.

ამის შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდა ურთიერთობა დადიანსა და სოლომონს შორის, მეფემ ისევ მიიმხრო მანუჩარი და იმერეთ-ლეკთა ჯარით ოდიშში შეიჭრა, გრიგოლი განდევნა და მანუჩარი გაამთავრა, მაგრამ გრიგოლის ოდიშიდან განდევნა მაინც ვერ შეძლო, რადგან მას ერთგულებდნენ ხორგის, ხეთის, ჭაქვინჯისა და ნოღას ციხეების პატრონები.[3] „ოდეს წარვიდოდა მეფე სპითა თვისითა იმერეთად, კვალად დაიპყრობდა გრიგორი დადიანობასა. და ოდეს მოვიდოდა მეფე სპითა თვისითა ოდიშად, მისცემდა მანუჩარს დადიანობასა. და ვინათგან გრიგორი ვერ განსდევნა მეფემან სამფლობელოთ თვისით და ვერ აღასრულა საწადო თვისი, ამისთვის განძვინდა და აქცევდა ოდიშსა ყოველ წელ და აოხრებდა სპითა იმერელ-ლეკითა და სტყვევნიდა მრავალსა ქრისტიანთა ტყვეთა, სწვიდა და აოხრებდა ოდიშსა. და მიეცა ოდიში დიდსა მწუხარებასა, სადა ურწმუნოთა ლეკთა მრავალნი ეკლესიანი შებღალნეს“.[4]

ოდიში ორ სამტრო ბანაკად გაიყო. ერთნი მანუჩარს უჭერდნენ მხარს, მეორენი — გრიგოლს. ასეთი მდგომარეობა სოლომონ მეფეს უადვილებდა გრიგოლის წინააღმდეგ ბრძოლას. მან პირველ რიგში ლეჩხუმის უკან დაბრუნება მოინდომა, რადგან მას თავის სამკვიდრო მამულად თვლიდა.

1802 წელს მანუჩარ დადიანთან ერთად იმერთა მეფე 8000-იანი ლაშქრით ლეჩხუმში შეიჭრა.[5] გრიგოლს ლეჩხუმელთა უმრავლესობამ უღალატა და მანუჩარის მხარეზე გადავიდა, უბრძოლველად ომწაგებულმა გრ. დადიანმა მურიდან მეფესთან საიდუმლო მოლაპარაკება გაბა: თუკი მანუჩარს დატოვებთ და წახვალთ უკან, რასაც მეტყვით, მოგცემთო, მეფემ ჭყვიშის ციხე მოსთხოვა, გრიგოლმა თანხმობა განაცხადა.[6] ამის შემდეგ მეფემ თავისი

---

[1] შ. ბურჯანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 247.
[2] ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 190.
[3] იქვე.
[4] იქვე.
[5] იქვე.
[6] იქვე.

მოკავშირე მანუჩარი მიატოვა, თავისი ლაშქრით რაჭაში გადაუ-
და და იქ დაბანაკდა. გრიგოლმა ლეჩხუმი ისევ დაიკავა, ხოლო
უძწეოდ დარჩეხილმა მანუჩარმა ორბელის ციხეს შეაფარა თავი[1].

მანუჩარი დარწმუნდა, რომ მეფეს არცერთი ძმისათვის კეთი-
ლი არ სურდა, ამიტომ ეახლა თავის ძმას გრიგოლს და პატიება
სთხოვა იმ წინააღმდეგობისათვის, რასაც ადრე მის მიმართ იჩენ-
და. გრიგოლმა დიდი სულგრძელობით და სიხარულით მიუტევა
„ყოველნი შეცოდებანი“ და ძმებს შორის ისევ კეთილი განწყო-
ბილება აღდგა[2]. ამის შემდეგ გრ. დადიანმა მეფეს აღარ მისცა შე-
პირებული ჭყვიშის ციხე.[3]

ამრიგად, სოლომონ მეფემ მანუჩარის გაწირვით თავისი ერთ-
გული მოკავშირე დაკარგა, ვეღარც „დანაპირები“ ციხე მიიღო და
ძმები — დადიანები ერთმანეთს დააკავშირა, ამიერიდან ისინი
იბრძოდნენ მის წინააღმდეგ.

1802 წელს მეფემ ჭყვიშის ციხე მაინც აიღო და დადიანს შეუტია.
ბრძოლა მოხდა სოფ. უსახელოსთან, დადიანი დამარცხდა და
ოდიშში მიბრუნდა, ხოლო სოლომონ მეფემ მთელი ლეჩხუმი შე-
მოიმტკიცა და მის მოურავად თავისი ერთგული, გრიგოლ და-
დიანის მიერ მოკლული ქაიხოსრო გელოვანის შვილი ბერი გე-
ლოვანი დანიშნა, თვითონ კი იმერეთში დაბრუნდა.

დამარცხებულმა გრიგოლ დადიანმა დახმარება სთხოვა აფ-
ხაზეთის მთავარს ქელაიშ-აპმედ-ბეგ შერვაშიძეს. აფხაზეთის მთა-
ვარმა გრ. დადიანს ფული და მძევალი — მისი პირმშო მოსთხო-
ვა. დადიანი დათანხმდა, შერვაშიძეც თავისი ლაშქრით ოდიშში
გამოცხადდა და სოფელ აბედათს დაბანაკდა, მაგრამ როდესაც
იმერთა მეფის ჯარი და მასთან მყოფი ლეკების რაზმი იხილა, შე-
შინდა, მეფის ლაშქართან შებრძოლება ვერ გაბედა და უკან გაბ-
რუნდა.

იმერთა მეფე ივანდიდიდან ოდიშში შეიჭრა და ქვეყნის და-
მორჩილებას შეუდგა. დადიანი გორდისა და მურის ციხეებში გა-
ძაგრდა, რომელთა აღებაც მეფემ ვერ შეძლო[4].

სოლომონმა ოდიშის მთავრად დადიანის უმცროსი ძმა ტარიე-
ლი (იგივე ოტია) დასვა[5], საჭილაო დაიპყრო და იგი სახასო მამუ-

---

[1] ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 190.
[2] იქვე, გვ. 191.
[3] იქვე.
[4] ბაგრატ და დავით ბატონიშვილები, ახალი მოთხრობა, თბ., 1941, გვ. 80.
[5] იქვე.

ლად გამოაცხადა.[1] ლაშქრის ნახევარი თავისი ბატონობის უზრუნველსაყოფად ოდიშში დატოვა[2] და თვითონ იმერეთში მობრუნდა. ამ წარმატებით აღფრთოვანებული იმერთა მეფე აღნიშნავდა: „მე შევუერთე ლეჩხუმი ჩემს სამეფოს, რომელსაც იგი მეძკვიდრეობით ეკუთვნოდა, ხოლო ოდიშში დავსვი დადიანად ოტია, ძმა გრიგოლისა, ჩემდამი მორჩილებით“.[3] მაგრამ მიუხედავად იმერთა მეფის ამ წარმატებისა, გრ. დადიანი ოდიშის გარკვეულ ტერიტორიაზე მაინც ბატონობდა.[4] განმეორდა ადრინდელი სურათი — მთელი ოდიშიდან მისი გამოდევნა იმერთა მეფემ მაინც ვერ შეძლო.

სოლომონ მეფის ძალადობისაგან რომ თავი დაეღწია, გრიგოლ დადიანმა დახმარებისათვის მიმართა რუსეთის წარმომადგენელს საქართველოში პავლე ციციანოვს. ციციანოვმა პირველ ხანებში მეფე-მთავარს ერთმანეთში მორიგება და მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება ურჩია, მაგრამ სოლომონ მეფე უარზე იდგა და კატეგორიულად მოითხოვდა დადიანის მორჩილებას და იმერეთისათვის ლეჩხუმის გადაცემას. გრ. დადიანს ეს არ სურდა, ამიტომ მან ციციანოვს, სოლომონისაგან რომ თავი დაეღწია, რუსეთის მფარველობაში შესვლა სთხოვა,[5] წინააღმდეგ შემთხვევაში იგი, მუქარანარევი კილოთი წერდა — თუ რუსეთი ამაზე უარს იტყოდა, იგი იძულებული გახდებოდა თურქეთის ქვეშევრდომობა მიეღო: მსურს რუსეთის მფარველობის ქვეშ ვიყო — სწერდა გრ. დადიანი ციციანოვს — რათა თავი დავაღწიო სოლომონ მეფის ბრძყალებს, თუ რუსეთის მთავრობა არ მიშველის, მაშინ იძულებული ვიქნები მთელი ჩემი მიწა-წყლით ოსმალეთის ქვეშევრდომობა მივიღოო.

რუსეთის საგარეო პოლიტიკის გეგმაში მთელი საქართველოს შემოერთება შედიოდა, ამიტომ ციციანოვისათვის ასეთი წინადადება მეტად ხელსაყრელი იყო. ციციანოვმა გადაწყვიტა, მიეღო დადიანის წინადადება და მისთვის მფარველობა გაეწია. მან კავშირი დაამყარა ოდიშის მთავართან.

სანამ შეერთება მოხდებოდა, ციციანოვმა სცადა, ეს საკითხი გაერკვია ოსმალეთთან, რომლის პროტექტორატის ქვეშაც ნომინალურად ითვლებოდა ოდიში. ამის შესახებ ციციანოვმა რუსე-

---

[1] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, II, თბ., 1922, გვ. 142.

[2] ბაგრატ და დავით ბატონიშვილები, დასახ. ნაშრ., გვ. 80.

[3] კაკა, II, გვ. 341 (რუს.).

[4] ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 192.

[5] იქვე.

თის ელჩს კონსტატინოპოლში იტალინსკის სთხოვა, გაერკვია: ხომ არ ჩათვლიდა ოსმალეთის მთავრობა სამეგრელოს შემოერთებას 1774 წლის ქუჩუკ-კაინარჯის ზავის დარღვევად. ამის პარალელურად ციციანოვი მოლაპარაკებას აწარმოებდა გრიგოლ დადიანთან რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის პირობების შესახებ.

ამ დროს თურქეთს ნაპოლეონის აგრესია ემუქრებოდა და სტამბოლის მთავრობა ხსნას რუსეთისაგან ელოდა; ასეთ ვითარებაში რუსეთთან სამეგრელოს შეერთების საკითხი თურქეთის მთავრობის შეშფოთებას არ იწვევდა. რეის-ეფენდი დუმილით შეხვდა იტალინსკის წინადადებას და რუსეთის ელჩმა დაინახა, რომ თურქეთი უმტკივნეულოდ დათმობდა არა მარტო სამეგრელოს, არამედ იმერეთსაც. ხოლო პეტერბურგის საიმპერატორო კარმა არც კი დაუცადა იტალინსკის პასუხს და ციციანოვი გააფრთხილა, რომ სამეგრელო დაეკავებინა — „არ გჭირდებათ თქვენ — სწერდა ალექსანდრე I ციციანოვს — რომ სამეგრელოს დასაკავებლად ელჩ იტალინსკის ცნობას მოუცადოთ; ოტომანის პორტა, რომელსაც სამთავროზე ისეთი მოჩვენებითი ხელისუფლება აქვს, რომ მას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს მისთვის, ამ შემთხვევაში... არ მოინდომებს, დაარღვიოს რუსეთთან არსებული კეთილგანწყობილება“[1].

მოლაპარაკება ციციანოვსა და გრიგოლ დადიანს შორის დამთავრდა და სათანადო აქტი 1803 წლის 4 დეკემბერს გაფორმდა. ამ აქტის თანახმად, ოდიშის სამთავრო ავტონომიური უფლებით უერთდებოდა რუსეთს, გრ. დადიანი რჩებოდა ოდიშის მთავრად და მემკვიდრედ ცხადდებოდა მისი ვაჟი. ყოველ ახალ მთავარს ამტკიცებდა რუსეთის სამეფო კარი და უგზავნიდა სამთავროს დროშასა და ხმალს. სამთავროში უნდა მდგარიყო რუსეთის ჯარი, რომელსაც სამთავრო უნდა დაეცვა გარეშე მტრისაგან.

ეს ჯარი მთავარს უნდა უზრუნველეყო ბინით, სათბობით და განათებით, უნდა მოემარაგებინა ზომიერ ფასებში სურსათ-სანოვაგით.

თუ სამთავროში რაიმე მადანი აღმოჩნდებოდა და მის დამუშავებას დაიწყებდნენ, შემოსავლის წილი მთავარსაც უნდა მისცემოდა, ხოლო მუშახელი ზომიერ ფასებში მთავარს უნდა გამოეყვანა. თუ ახალი ქალაქი გაშენდებოდა და აქედან რუსეთის ხაზინას შემოსავალი გაუჩნდებოდა, დადიანსაც უნდა მიეღო შემოსავლის ნაწილი.

---

[1] დუბროვინი, ისტორია, ტ. IV, გვ. 89 (რუს.).

თუ სამთავროში ნავსადგური აშენდებოდა, იქიდან დადიანი შემოსავალს ვერ მიიღებდა. რუსეთის ფლოტისათვის დადიანს უსასყიდლოდ უნდა მიეწოდებინა ხე-ტყე, ხოლო მუშახელის ხარჯები რუსეთის ხაზინას უნდა გადაეხადა.

შინაური მმართველობა დადიანის უფლებებში რჩებოდა, მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეები გადადიოდა რუსეთის მოხელის გამგებლობაში.

მთავარი ვალდებული იყო ყველაფერში მთავარმართებელს, ანდა მის მიერ მივლინებულ რუს მოხელეს[1] დამორჩილებოდა.

რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის ერთ-ერთი პირობა იყო ლეჩხუმის საკითხი, რომელზედაც თავის პრეტენზიას აცხადებდა იმერეთის მეფე. რუსეთთან შეთანხმებით ლეჩხუმი ოდიშის შემადგენლობაში უნდა დარჩენილიყო[2].

მთავარს უბოძეს ალექსანდრე ნეველის ორდენი, ხმალი, დროშა და ძვირფასი საჩუქრები.

ოდიშის სამთავროს შესვლამ რუსეთის მფარველობაში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ დასავლეთ საქართველოში. ოდიშისა და ლეჩხუმის გავლენიანი წრეები, რომელნიც აქამდე სოლომონ მეფეს უჭერდნენ მხარს, ახლა უკვე დადიანის მხარეზე გადავიდნენ, ლეჩხუმის მოურავი ბერი გელოვანიც დადიანს მიემხრო; მისი დახმარებით დადიანმა მალე შეძლო ოდიშის ციხესიმაგრეების ხელში ჩაგდება და 1804 წელს მთელი ოდიში მისი მბრძანებლობის ქვეშ მოექცა.

ოდიშის სამთავროს შესვლა რუსეთის მფარველობაში იმერეთის მეფის საწინააღმდეგოდ გადადგმული ნაბიჯი იყო, ეს იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ პოზიციებს დიდად ასუსტებდა, ამიერიდან იმერთა მეფეს აღარ შეეძლო ოდიშის დალაშქვრა და მის საშინაო საქმეებში ჩარევა.

---

[1] თავდაპირველად რუსეთის სამეფო კარზე შეთანხმების ასეთი პუნქტების წინააღმდეგი იყვნენ, მათ სურდათ თავიდანვე დადიანისათვის მთავრის ნაცვლად უფროსი ეწოდებინათ და რუს მოხელედ ექციათ, სამთავროს შემოსავლის საქმეები ჩამოერთმიათ და მისთვის ჯამაგირი გაეჩინათ, მაგრამ ციციანოვის მტკიცებით, ოდიშისა და დადიანის უკმაყოფილებას შეიძლება აჯანყებაც გამოეწვია, ხოლო სამეგრელოს იარაღით დაპყრობა რამდენიმე ათას კაცს შეიწირავდა; გარდა ამისა, რუსეთი საბოლოოდ დაკარგავდა ხალხის ნდობას. ამიტომ, ციციანოვის რჩევით, ეს პუნქტები უცვლელად უნდა დამტკიცებულიყო; შემდეგში, როცა რუსეთის ჯარი იქ შეეიდოდა და მოძლავრდებოდა, მთავრის უფლების შეკვეცა და სამთავროს გაუქმებაც გახდებოდა შესაძლებელი. ციციანოვის ამ რჩევას ანგარიში გაუწიეს და ყველა პუნქტი უცვლელად დამტკიცეს.

[2] კაკა, II, გვ. 460—461 (რუს.).

ამრიგად, რუსეთის მთავრობამ ისარგებლა სამეგრელო-იმერეთს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოებით და ადვილად ჩაიგდო ხელში ოდიშის სამთავრო.

1804 წელს გრიგოლ დადიანი გარდაიცვალა. მისი მემკვიდრე 12 წლის ლევანი აფხაზეთის მთავარს ქელაიშ-ბეგ შერვაშიძეს ჰყავდა მძევლად. იგი ფულის გარეშე ლევანს არ ათავისუფლებდა. განრისხებულმა ციციანოვმა ბრძანება გასცა, თუ შერვაშიძე მძევალს არ გაათავისუფლებდა, იარაღით შეემუსრათ იგი[1]. ოდიშის ტერიტორიაზე მდგომმა გენერალმა რიკჰოფმა რუსთა პოლკით სამ საათში აიღო ძლიერ გამაგრებული ანაკლიის ციხე. აფხაზეთის მთავარს თავზარი დასცა რუსული იარაღის ძლიერებამ და მძევალი სასწრაფოდ გაათავისუფლა[2]; იგი რუსეთის ხელმწიფის ბრძანებით, ოდიშის მთავრად დაინიშნა ლევან V-ის (1804—1840) სახელწოდებით.

ლევანის მცირეწლოვანების გამო რეგენტად მისი დედა ნინო დანიშნეს[3], რომელიც ოდიშს მართავდა ოთხი წევრისაგან შემდგარი საბჭოს დახმარებით. საბჭოში შედიოდნენ: ნიკო დადიანი (დიდ ხიკოდ წოდებული)[4], ბესარიონ ჭყონდიდელი, სახლთუხუცესი გიორგი ჩიქვანი და ლეჩხუმის მოურავი ბერი გელოვანი.

დედოფალ ნინოსა და საბჭოს მთავარი საზრუნავი იყო სამთავროს საქმეების მოწესრიგება, მაგრამ ნინოსა და საბჭოს შორის მალე (1808 წ.) უთანხმოება ჩამოვარდა, თუმცა ამას ჩქარა მოეღო ბოლო, რადგან 1811 წელს ლევან V სრულწლოვანი გახდა და რუსეთის საიმპერატორო კარმა სრულუფლებიან მთავრად დაამტკიცა.

ლევანს მთავარი მრჩეველი და ვეზირი ნიკო დადიანი გახდა, რომელიც დიდ დახმარებას უწევდა ახალგაზრდა მთავარს, როგორც საშინაო, ისე საგარეო საქმეებში.

ნიკო დადიანმა მთავარს სახელმძღვანელოდ შეუდგინა „დასტურლამა“, რომელშიც აღნიშნულია ყველა ის უფლება-მოვალეობანი, რომელთა შესრულება ევალებოდა ახალგაზრდა მთავარს, მაგრამ ლევანი ნაკლებ ინტერესს იჩენდა სამთავროს მართვა-გამგეობის საქმეებში, მას ნადირობა და გართობა უფრო აინტერესებდა.

---

[1] ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 194.

[2] ი ქ ვ ე.

[3] ნინო დედოფალი იყო საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XIII-ის ქალიშვილი.

[4] ნიკო დადიანი — ისტორიკოსი, ავტორი ამ წიგნში წყაროდ გამოყენებული „ქართველთ ცხოვრებისა“.

იმერთა მონაწილეობა კრწანისის ბრძოლაში

> რაც ერთის თაობისაგან ჭეშმარიტებად არის ცნობილი, ხშირად ის შემდგომი თაობისათვის საეჭვოდ ხდება, რადგანაც ისტორიაში ყველაფერი ნელ-ნელა ირყვევა ნათლად.
>
> **დ რ ე პ ე რ ი.**

ქერიმ-ხან ზენდის სიკვდილის შემდეგ (1779 წ.) ირანში ისევ დაიწყო შინაომი ტახტისათვის, რომელიც ორი საგვარეულოს ურთიერთგაელეტით დამთავრდა. ზენდების გვარიდან გადარჩა მხოლოდ ლუტფალი-ხანი, რომელიც ცოტა ხნით კიდევ მომძლავრდა იმდროინდელ სატახტო ქალაქ შირაზში.

ქერიმ-ხანს ალმოსავლური ჩვეულების მიხედვით მძევლად ჰყავდა თურქ-ყაჯართა ტომის წარმომადგენელი აღა-მაჰმად-ხანი, რომლის მამა ქერიმ-ხანმა მოაკვლევინა, ხოლო თვით იგი ბავშვობაში დაასაჭურისა.

ქერიმ-ხანის გარდაცვალებისთანავე აღა-მაჰმად-ხანი თავისი მამის სამკვიდრო ასტრაბადში გაიქცა და იქიდან შეუდგა მზადებას ერანში გასაბატონებლად. მან დაიპყრო: თალიში, გილანი, მაზანდარანი და 1791 წელს თითქმის მთელი აზერბაიჯანი დაიმორჩილა.

თავის სატახტო ქალაქად მან თეირანი გამოაცხადა; 1792 წელს აღა-მაჰმად-ხანმა ისპაჰანიც დაიმორჩილა, ხოლო 1794 წელს ლუტფალი-ხანიც დაამარცხა და მთელი ირანის მბრძანებელი გახდა.

ტახტისათვის ბრძოლის პერიოდში აღა-მაჰმად-ხანი, „ძმობასა და სიყვარულს“ სთავაზობდა „გურჯისტანის“ მეფეს ერეკლეს, მაგრამ როდესაც ტახტზე განმტკიცდა, მან დამოკიდებულება შეცვალა ერეკლესადმი. ისევე, როგორც მისი შორსმჭვრეტელი წინამორბედნი, აღა-მაჰმად-ხანიც ირანისათვის დიდად სახიფათოდ თვლიდა რუსების განმტკიცებას ამიერკავკასიაში; გეორგიევსკის ტრაქტატის დადება მას ირანის უფლების შებღალვად მიაჩნდა. ამიტომ იგი ქართლ-კახეთში ირანის ძველი ბატონობის აღდგენას შეეცადა — ერეკლე მეფისაგან მან რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური კავშირის გაუქმება და ირანისადმი ქართლ-კახეთის დამორჩილება მოითხოვა. სამაგიეროდ, — აღა-მაჰმად ხანი დიდ პატივსა და წყალობას ჰპირდებოდა ერეკლე მეფეს.

აღა-მაჰმად-ხანის წინადადება ერეკლე მეფისათვის მიუღებელი იყო, რადგან 1783 წლის ტრაქტატით საქართველოს ბედი მან რუსეთს დაუკავშირა. ტრაქტატის ძალით რუსეთის მთავრობა

ვალდებული იყო, ერეკლეს დახმარებოდა, მაგრამ მოკავშირე-მფარველის დანაპირები არ ჩანდა.

1793 წელს ერეკლე მეფემ დანამდვილებით იცოდა, რომ ირანის მბრძანებელს გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოზე ლაშქრობა, აქეთ ეპატიჟებოდნენ მას ქართლ-კახეთის მეტოქე კავკასიელი ხანებიც.

რადგან რუსეთიდან დახმარების იმედი არ ჰქონდათ, ერეკლე მეფემ და სოლომონ II-მ ძველ ნაცად ხერხს მიმართეს და თურქეთ-ირანს შორის უთანხმოების ჩამოგდება სცადეს, რათა ამით თავი დაეღწიათ ირანის შაჰის რისხვისაგან. მათ კავშირი დაამყარეს თურქეთის მთავრობასთან და ირანის წინააღმდეგ დახმარება სთხოვეს, მაგრამ უარი მიიღეს.

საქართველოს პოლიტიკურმა მესვეურებმა არ იცოდნენ, რომ ირანის შაჰის თავდასხმა საქართველოზე სწორედ თურქეთთან და ევროპის სახელმწიფოებთან შეთანხმებით მზადდებოდა, რომ აქ საქმე ეხებოდა ინგლის-საფრანგეთ-თურქეთ-ირანის გაერთიანებულ წინააღმდეგობას ამიერკავკასიაში რუსეთის გაბატონებისადმი, მართლაც, აღა-მაჰმად-ხანს საქართველოში გამარჯვება თურქეთმა, ინგლისმა და საფრანგეთმა დიდი სიხარულით მიულოცეს, რადგან ეს იყო არა მარტო საქართველოს შეფის დამარცხება, არამედ რუსეთის დიდი მარცხიც ამიერკავკასიაში.

1793 წელს ერეკლე რუსეთში მყოფ თავის შვილს მირიანს სწერდა, დაესვა საკითხი რუსეთის მთავრობის წინაშე, რათა აღეკვეთათ ირანის შაჰის მოსალოდნელი თავდასხმა საქართველოზე. ერეკლე მეფის თხოვნის პასუხად იმავე წლის 30 მაისს რუსეთის სამხედრო საბჭოზე წაიკითხეს ერეკლე მეფის თხოვნა აღა-მაჰმად-ხანისაგან დაცვისა და საქართველოში არტილერიის გამოგზავნის შესახებ[1].

საბჭომ ბუნდოვანი ბრძანება გაუგზავნა გუდოვიჩს, როგორც სპარსეთის მოსაზღვრე მხარის უფროსს, რომ თუკი ირანის შაჰი ნამდვილად ფიქრობს საქართველოს დალაშქვრას, შეაგონოს მას, რომ გუდოვიჩი ამას გულგრილად ვერ შეხვდება და რომ გუდოვიჩმა წააქეზოს მეზობელი ხანები, რათა საერთო ძალით წინააღმდეგობა გაუწიონ აღა-მაჰმად-ხანს. ამასთანავე, შეძლებისდაგვარად დაეხმაროს მათ და თვით მეფეს, მაგრამ ერიდოს ბევრ ხარჯსა და დავიდარაბას.

---

[1] ნ. ბერძენიშვილის ცნობით, ეს არტილერია ერეკლე მეფის ხარჯზე იყო რუსეთში შეკვეთილი, რომელიც კრწანისის ბრძოლის შემდეგაც კი არ მოულიათ.

გუდოვიჩს, როგორც ირკვევა, სინამდვილეში არაფერი არ გა-
უკეთებია ამ მიმართულებით.

ამრიგად, ერთი მხრივ, პეტერბურგის მთავრობის მუდმივი მი-
ყრუება ერეკლეს თხოვნაზე და, მეორე მხრივ, გუდოვიჩის მიერ
შეუსრულებლობა სამხედრო საბჭოს 1793 წლის ბრძანებისა, იყო
იმის მიზეზი, რომ ერეკლე მეფემ ტრაქტატის ძალით მოთხოვნი-
ლი დახმარება ვერ მიიღო და იგი იძულებული გახდა მხოლოდ
თავისი და სოლომონ მეფის მცირერიცხოვანი ჯარებით შებრძო-
ლებოდა რიცხობრივად შვიდჯერ მეტ მტერს. ამას დაემატა ის გა-
რემოებაც, რომ ბატონიშვილები და ქართლ-კახეთის ფეოდალების
უმრავლესობა, უკმაყოფილონი ერეკლე მეფის ასეთი უშედეგო
რუსული ორიენტაციით, გულგრილად შეხვდნენ ამ უბედურებას
და უფრო თავიანთ თავზე ფიქრობდნენ, ვიდრე ქართული მიწა-
წყლის დაცვაზე. ბატონიშვილებიც საჭიროდ არ თვლიდნენ საბრ-
ძოლველად გამოსვლას, ზოგი კი მცირე ამალით მოვიდა. გიორგი
ბატონიშვილი 4000 მეომრით სიღნაღში იყო, იულონი ქართლში,
და არც კი უფიქრიათ, ერეკლეს მიშველებოდნენ გასაჭირის
დროს. ქიზიყის მოურავმა ზაქარია ანდრონიკაშვილმა ბრძოლის
წინა ღამეს სოლანლუღიდან 2000 მეომარი გააპარა მოტყუებით.
ერეკლე მეფის მტრები ხალხში დაძრწოდნენ და მეფის სახელით
უიმედობასა და დახიზვნას მოუწოდებდნენ.

აღა-მაჰმად-ხანმა 35000 მეომარი მოიყვანა, ერეკლე მეფემ მას
5000 დაუპირისპირა და მაინც გაუმართა ბრძოლა, მაგრამ რიც-
ხობრივმა უპირატესობამ თავისი გაიტანა და მრავალომგადახდილი
გმირი მეფე დამარცხდა.

ქართველები გუდოვიჩის უმოქმედობას აღა-მაჰმად-ხანის შე-
მოსევისას იმით ხსნიდნენ, რომ იგი აღა-მაჰმად-ხანისაგან საჩუქ-
რებს ღებულობდა. გუდოვიჩის ანგარება თვით რუსეთის საზოგა-
დოებაშიც იყო ცნობილი[1].

ერთ-ერთ ქართულ წყაროში აღნიშნულია, რომ გუდოვიჩმა
ერეკლე მეფეს დახმარება იმიტომ არ აღმოუჩინა, რომ აღა-მაჰმად-
ხანისაგან „ფეშქაშსა“ და ნივთებს იღებდაო[2]: „რომელსაცა არ
ენება მოცემა და არა მოსცა მეფესა შეწევნა, ამისთვის რომელ
ხოჯა უვლინებდის ფეშქაშსა და ნივთსა, რომელიცა ატყუა და
ესრეთ შეემთხვა მეფესა“.

---

[1] ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, მასალები, გვ. 86—87.

[2] მასალები საქართველოს ისტორიისათვის, მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, 1905, გვ. 45—46.

იმ სხვა მიზეზებთან ერთად კრწანისის ტრაგედიის ერთ-ერთი მიზეზი ქართლ-კახეთის შინაგანი დაუძლურება და ცენტრალური ხელისუფლების სისუსტე იყო. თავადური რეაქცია ქვეყანას ისე მოსდებოდა, რომ 40000 მეომრის ნაცვლად ერეკლე მეფემ 5000 ძლივს შეაგროვა, ხოლო აქედან 3000 იმერელი იყო.

აი რას წერდა ერეკლე მეფე გუდოვიჩისადმი გაგზავნილ წერილში: „ჩვენ რომ ყოვლად მოწყალე დედოფლის მიერ დაიმედებული არ ვყოფილიყავით და დარწმუნებული არ ვყოფილიყავით თქვენს დახმარებაში, მაშინ სხვა მხრიდან მოწვეული ჯარებით მას (აღა-მაჰმად-ხანს) წინ აღვუდგებოდი ანდა სხვა ხერხით დავიცავდით ჩვენს სამეფოს. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვიყავით თქვენი და უმაღლესი კარის დახმარებაში"[1].

1795 წლის კრწანისის ბრძოლამ გამოამჟღავნა საქართველოს ღრმა კრიზისი. საქართველოს სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთთან შეერთების მომხრეებს გაუჩნდათ ახალი საბუთი, რომ „არსებული ხელისუფლება გაკოტრებულია, რომ თვით საქართველოს გადასარჩენად აუცილებელია მისი შემოერთება, იქ პოლიტიკური ხელისუფლების გაუქმება, რომ არსებული საქართველო არც მოკავშირედ ვარგა და არც ვასალად, რომ ამის გამო, ბოლოს და ბოლოს, საკუთრივ რუსეთის ინტერესები ზიანდება, რომ ამ ქვეყნის შემოერთება სრულიად ახალ პერსპექტივას გადაშლის ირან-ოსმალეთთან ბრძოლაში, რომ ამავე დროს, ეს საქმე (მეფობის გაუქმება საქართველოში) ფრიად ადვილად მოგვარდება: ამის მომხრენი ბევრი იშოვება თვით ქართველთა შორის"[2].

XX საუკუნის დასაწყისის ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელდა აზრი, თითქოს აღა-მაჰმად-ხანის 1795 წლის შემოსევას საქართველოში ხელს უწყობდა თვით რუსეთის საიმპერატორო კარი. 1796 წელს საქართველოზე მეორე გამოლაშქრებაშიც თითქოს რუსეთის ხელი ერიაო. ამას იმით ხსნიდნენ, რომ „შინათგამცემი" მტრები ეკატერინე II-ს უმტკიცებდნენ, ვიდრე მეფე ერეკლეს ქართულ მხედრობას არ გაუწყვეტთ და სამხედრო ძალას არ მოუსპობთ, მანამ საქართველოს ხელში ვერ ჩაიგდებთო. ამ ძალის ძოსპობა კი რუსეთს თითქოს ირანის შაჰის ხელით სურდა[3].

აღა-მაჰმად-ხანის შემოსევებისა და კრწანისის ბრძოლის შესახებ ამ მცირე ცნობების შემდეგ შევეხოთ ამ ბრძოლაში იმერეთის მონაწილეობის საკითხს. საქართველოში გავრცელებული იყო

---

[1] ა. ცაგარელი, ტ. II, გვ. 105 (რუს.).

[2] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, თბ., 1967, გვ. 194.

[3] ზ. ჭიჭინაძე, ფარული საზოგადოების დაარსების მიზეზები, თბ., 1919,

ხმები: იმერლებმა მეფე ერეკლეს აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს უღალატეს, მიშველების მაგიერ ქალაქი თბილისი გაძარცვეს, ხალხი დაატყვევეს და წაიყვანესო, ეს არ იკმარეს და გზად მიმავალმა იმერლებმა ქართლის სოფლებს დაუწყეს ძარცვა-რბევაო; 10000 ტყვე ახალციხეში გადაიყვანეს, გაყიდეს და აღებული ფულის ნახევარი მეფეს მიართვეს, ნახევარი თვითონ დაიტოვესო.

უფრო მოგვიანებით გაჩნდნენ „ცრუ მეისტორიენი", რომელნიც ამბობდნენ, რომ იმერლებმა არამც თუ მარტო ერეკლე მეფეს უღალატეს, არამედ მათ დაღუპეს საქართველო და ყველაფერი ფერფლად აქციესო[1].

ერევნის ხანთან დასახმარებლად მიმავალი ერეკლე და სოლომონ მეფეები ყაზახში იყვნენ დაბანაკებულნი, როცა შეიტყვეს ირანის შაჰის გამოლაშქრება საქართველოზე, ისინი აიყარნენ და სასწრაფოდ უკან, თბილისში მობრუნდნენ.

9 და 10 სექტემბერს ქართველებმა მკაცრი ბრძოლები გადაიხადეს და კიდეც დამარცხეს მტერი, მაგრამ 11 სექტემბერს თვითონ იქნენ მტრისგან დამარცხებულნი.

გავრცელებული აზრით, აღა-მაჰმად-ხანი 11 სექტემბერს თითქოს უკან გაბრუნებას აპირებდა, მაგრამ მოღალატეებმა ღამით თბილისიდან კაცი გააპარეს, რომელიც აღა-მაჰმად-ხანს დაეწია და საქართველოს მძიმე მდგომარეობა (რომ ქართველებს მკირერიცხოვანი ძალები ჰყავთო) შეატყობინა. ამის შემდეგ თითქოს აღა-მაჰმად-ხანი ისევ შეტევაზე გადმოვიდა და თბილისი აიღო. დადგენილი არ არის არც ამ ღალატის ფაქტი, არც ის, რომ სპარსელები მართლაც უკან გაბრუნებას აპირებდნენ.

იასე ცინცაძის მიხედვით საქმე შემდეგში ყოფილა: 10 სექტემბრის ბრძოლაში გამარჯვება ქართველებს გენერალურ ბრძოლაში გამარჯვებად მიუჩნევიათ, მაგრამ, როდესაც მტერმა 11 სექტემბერს მთლიანი ძალით განაახლა შემოტევა, ქართველებმა ეს შინაგამცემლებს დააბრალეს[2].

ალ. ორბელიანი ღალატს სომხებს აბრალებს, ხოლო თვით ამ ბრძოლის მონაწილე, ისტორიკოსი დავით ბატონიშვილი კრწანისის ველზე ქართველების დამარცხების მიზეზს იმერეთის დამხმარე რაზმის „უხეირო" მოქმედებით ხსნის[3].

---

[1] ვსარგებლობ ზ. ჭიჭინაძის შრომით „მეფე ერეკლესა და აღა-მაჰმად-ხანის ომი და ამ ომში იმერლების ღალატი მართალია თუ არა?" თბ., 1895.

[2] ი. ცინცაძე, აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე, თბ., 1969, გვ. 203.

[3] დ. ბატონიშვილი, ახალი ისტორია, თ. ლომოურის გამოცემა, თბ. 1941. გვ. 23.

დავით ბატონიშვილის მიხედვით იმერელ მეომრებს მეორე დღეს ბრძოლის ნაცვლად ხალხის ძარცვა დაუწყიათ, ხოლო ორივე მეფეს 1500 მეომარიღა შერჩენია. აქ ჩვენთვის საინტერესო ის არის, რომ იმერეთის მეფე ბრძოლის უკანასკნელ დღეს — 11 სექტემბერს ბრძოლის ველზეა.

ბუტკოვის ცნობით, მეფე ერეკლე ყველამ მიატოვა ბრძოლის ველზე და მათ შორის პირველად სოლომონ მეფე გაიქცა თავისი ჯარით[1].

გენერალი გუდოვიჩიც რუსეთის დედოფალს თავის 23 სექტემბრის მოხსენებაში ატყობინებდა, რომ „ყაზახიდან დაბრუნებული ერეკლე მეფე თბილისთან მიატოვა. არა მარტო იმერეთის ჯარმა, არამედ თვით სოლომონ მეფემაც და მთებს შეაფარა თავი. ასე, რომ იმერლებს მონაწილეობა თბილისის დაცვაში არ მიუღია“[2].

გუდოვიჩის ამ ყალბ ცნობას აქარწყლებს თვით ერეკლე მეფის 15 სექტემბრის წერილი მირიან ბატონიშვილისადმი: „10 სექტემბერს აღა-მაჰმად-ხანი თბილისს მოადგა, მისი პირველი მოსვლის დროს. მას შევხვდით მცირერიცხოვანი ჯარით, იმერეთის მეფეს აგრეთვე ჰყავდა 1000 კაცამდე და დავამარცხეთ რა მეწინავე ჯარები... გამოვბრუნდით“[3].

ზ. ჭიჭიხაძის ცნობით, ბრძოლის დაწყების წინ იმერეთის ჯარი ორ ნაწილად გაიყო: 1500 კაცი, რომელთაც სოლომონ მეფემ უსარდლა, სოლანლულის მთის იქით უნდა დამდგარიყო, რადგან სპარსეთის ჯარის ერთი ნაწილი თელეთსა და შავნაბადას შუა იდგა, იმერეთის ჯარის მეორე ნაწილი კი დარჩა მეფე ერეკლესთან კრწანისის მინდვრის ახლოს. ამ ჯარს ზურაბ წერეთელმა უსარდლა, მაგრამ ბრძოლის დაწყების წინ წერეთელმა ავადმყოფობა მოიმიზეზა და საერთოდ აღარ მიიღო ბრძოლაში მონაწილეობა[4]. ზ. ჭიჭინაძის ეს ცნობა მცდარი უნდა იყოს, რადგანაც ერთი ქართული წყაროს მიხედვით, ზურაბ წერეთელი ბრძოლის ველზე ჩანს: „იმერთა მხედრობანი იყვნეს მძღვანელობასა ქვეშე ზურაბ წერეთლისასა და სდგეს იგინი მარჯვნით კერძო მეფისა“.

ამ ბრძოლის მონაწილე თეიმურაზ ბატონიშვილი (გიორგი XIII-ის ვაჟი) წერს — „ათსა რიცხვსა სეკდენბრისასა ბრძოლა უყო ძეფის ძის ძეშან დავით მეწინავეთა აღა-მაჰმადისათა, ველსა ზედა კრწანისისა თვისთა მხედრობითა და ჰყავცა თვისთანა იმერთა

---

[1] ბ უ ტ კ ო ვ ი, მასალები, გვ. 339 (რუს.).
[2] ი. ც ი ნ ც ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 205.
[3] ა. ც ა გ ი რ ე ლ ი, ტ. II, გვ. 105 (რუს.).
[4] ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 22.

მხედრობანი მცირედნიცა და იყოფოდა მუნვე თავადი იმერეთის მხედართმძღვანი, სახლთუხუცესი წერეთელი ზურაბ".[1] თეიმურაზ ბატონიშვილი იქვე დასძენს: „ხოლო იმერთა მხედრობანი იყვნეს მძღვანელობასა ქვეშე ზურაბ წერეთლისასა. დადგნეს იგინი მარჯვენით კერძო მეფისა".[2] აქედან ნათლად ჩანს, რომ ზურაბ წერეთელი ბრძოლაში მონაწილეობდა, ხოლო 10 და 11 სექტემბერს რომ იმერლები გმირულად იბრძოდნენ, ამის შესახებ ალექსანდრე ორბელიანიც (ერეკლე მეფის შვილიშვილი — თეკლა ბატონიშვილის ვაჟი) გვაწვდის ცნობას: „მეფე სოლომონის დის ბატონიშვილის მარიამისაგან გამიგონია, ასე ვაქაციურად იყვნენ იმერლებიო, რომ მარტო ორასი მეტი თავად-აზნაური დააკლდათ აღა-მაჰმადხანის ორი დღის ომშიო. როგორც მეც ვიცი, მართლაც ასეთი ხელი გამოუღიათ იმერლებს, რომ ქართველები გაუკვირვებიათ. თვით მაშინდელის ქართველებისაგან გამიგონია"[3] — დასძენს ალ. ორბელიანი, რომელმაც ეს ისტორია 1844 წელს აღწერა.

თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, მეფე ერეკლემ და სოლომონმა 11 სექტემბერს თბილისი ერთად დატოვეს: „ხოლო ოდეს განვიდოდა მეფე ტფილისით, განუტევა მეფე იმერეთისა სოლომონ, შვილიშვილი თვისი სამეფოდ თვისად. რომელ ბრძვეს მხედრობაცა მისთა მტერთა მიმართ სახელოვნად"[4] — კიდევ ხაზს უსვამს იმერთა გულადობას თეიმურაზი. მაგრამ კითხვა იბადება, თუ იმერეთის ლაშქარმა ბოლომდე იბრძოლა კრწანისის ველზე, რატომ გავრცელდა ხმები ღალატისა და მოსახლეობის ძარცვის შესახებ.

ზ. ჭიჭინაძე გადმოგვცემს: ბრძოლის უკანასკნელ დღეს ნათელი გახდა, რომ ტფილისს სპარსნი აიღებდნენ, რადგან ქართველთა მხედრობა მთლად გაწყდა, ბრძოლა მიიწურა, თბილისს დაპყრობა ელოდა.

კრწანისის ველზე მებრძოლი იმერთა 1500-იანი ლაშქარი მთლად გაწყდა, გადარჩა მხოლოდ სოღანლუღის ველზე მდგარი იმერთა ჯარი, ესეც იმიტომ, რომ მტრის მთელმა ძალამ კრწანისის მინდორს მიაშურა. უკანასკნელი ბრძოლის დღის დილას სოღანლუღში მდგარმა იმერთა ჯარმა თათბირის შემდეგ გადაწყვიტა, უიმედო ბრძოლაში არ ჩაბმულიყო, რადგან ხედავდა, რომ ბრძოლა წაგებული იყო. მათ დაიხიეს და თბილისში შევიდნენ.[5] თუ ამ

---

[1] თეიმურაზ ბატონიშვილი, გაზეთი „ივერია", 1891, № 51.

[2] იქვე.

[3] ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯამბაკურ-ორბელიანი, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა ქ. ტფილისში, გადმობეჭდილი ჟურნალ „მოამბიდან", 1895 წ., გვ. 30.

[4] თეიმურაზ ბატონიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 52.

[5] ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრ., 22—25.

ცნობას დავუჯერებთ, იმერთა ჯარის ერთ ნაწილს 11 სექტემბერს ბრძოლაში მონაწილეობა აღარ მიუღია. ეს კი საკმარისი გახდა, რომ იმერთა ჯარის ეს მოქმედება შემდეგში ღალატად მოენათლათ.

ალექსანდრე ორბელიანი უფრო საინტერესო ცნობას გვაწვდის: ერეკლე მეფის ბრძანებით, სოლომონ მეფე თავისი რაზმის ერთი ნაწილით ბრძოლის ველიდან მოცილებით „აბანოს კართან" ყოფილა საბრძოლველად გამზადებული და ერეკლეს ბრძანებას ელოდა, რომელ მხარეს მიშველებოდა. იმერლების რაზმის მეორე ნაწილი, ათასი კაცისაგან შემდგარი, ერეკლე მეფის განკარგულებით იმ ზარბაზნების მცველად მდგარა, რომლებსაც ცნობილი ქართველი არტილერისტი, მაიორი გიორგი გურამიშვილი მეთაურობდა. იგი თბილისზე მომავალ გზას იცავდა მთელი გულისყურით. ზარბაზნებზე მისასვლელი ერთი გზა ყოფილა, ზარბაზნების განლაგების უკან კი მთა იყო აღმართული, ასე რომ, აქედან მტერს არავინ ელოდა. ამ დროს ნისლი წამოსულა, რომელსაც ქართველი არტილერისტები და მათი მცველი იმერლების რაზმი დაუფარავს, კრწანისის ველზე კი ბრძოლა არ ცხრებოდა. ერეკლე მეფეს ბრძოლის ველზე ამბავი მიუტანეს, რომ სპარსელების ერთმა რაზმმა ის მაღლობები დაიკავა, რომელიც ერთი მხრიდან მაიორ გურამიშვილის ზარბაზნებს ფარავდაო. ამ მომენტში, ქართველი არტილერისტების საუბედუროდ, ნისლმა გადაიყარა და სპარსელების წინაშე თბილისის მისადგომების დაცვის მთელი სისტემა გადაიშალა.

ერეკლე მეფეს სოლომონ მეფესთან ცხენოსანი შიკრიკი გამოუგზავნია ბრძანებით, რათა სასწრაფოდ ზარბაზნების განლაგების ადგილას გადმოსულიყო, მაგრამ ეს შიკრიკი კოჯრიდან მომავალ სპარსელ მზვერავებს დაუჭიავთ და მოუკლავთ, ასე რომ სოლომონ მეფემდე ერეკლეს ბრძანებას ვერ მიუღწევია. სოლომონ მეფე განკარგულების მოლოდინში უძრავად მდგარა „აბანოს კართან".

ზარბაზნების განლაგების ადგილას მდგარ იმერლების ათასეულის მეთაურს უკან მაღლობზე სპარსელები რომ დაუნახავს, უფიქრია: „მეფე ირაკლი თავისი ჯარით წაუხთენიათ, თორემ ყიზილბაშების ჯარსა ამ მხარეს რა უნდაო. ზარბაზნების უფროსი მეფის ირაკლის მაიორი თ-დი გიორგი გურამიშვილი რამდენს ეხვეწა მცირე ხანს მოცდას — რასაც ფიქრობთ, ტყუილი არისო. მაგრამ არა ქნეს, გამოსწიეს და ქალაქში ეს ამბავი შემოიტანეს. მაშინ როდესაც რომ სოლომონ მეფე აბანოების კარზე იდგა თავის ჯარითა და თავის პაპის ბრძანებას ელოდა... იმ ათასმა კაცმა, იმერეთის მეომრებმა ეს ამბავი მოუტანეს მეფე სოლომონსა — მითამ

მეფე ირაკლი თავისი ჯარით სულ გაწყვიტეს ყიზილბაშებმაო. ზარბაზნებიც იმათ წაიღესო და ჩუენ ძლივს გადავირჩინეთ თავიო. ყმაწვილი კაცი მეფე სოლომონ ამ გაუგებელის ტყუილით მოიტაცეს და საჩქაროდ იმერეთისაკენ გასწიეს"[1].

ალ. ორბელიანის მიერ გადმოცემული ცნობების სისწორეს ადასტურებს თვით ირანის შაჰის არმიაში მყოფი მირზა იუსუფ ყარაბაღელიც[2], მაგრამ ცნობა იმის შესახებ, რომ სოლომონ მეფე მისმა მეომრებმა მოიტაცეს და საჩქაროდ იმერეთისაკენ გასწიესო, სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან ზემოთ მოტანილი ცნობებიდან ნათლად ჩანს, რომ ორთავე მეფემ თბილისი ერთად დატოვა. ამასვე ადასტურებს იოანე ქართველიშვილის მემუარები[3].

XIX საუკუნის დამლევს სომეხმა მწერალმა ერიცოვმა სომხურ გაზეთ „არძაგანქში" წერილი გამოაქვეყნა, სადაც აღნიშნული იყო, რომ „იმერლებმა მეფე ერეკლეს უღალატეს, ქართველები დაღუპეს, ქალაქი აიკლეს, სპარსთა იმდენი ვერ ავნეს ტფილისს, რაც იმერლებმა. იმერლებმა 12 სექტემბერს აიღეს ტფილისი, სპარსელებმა კი 14 სექტემბერს"[4] — და იმერლების საქციელს ავაზაკობას უწოდებდა.

იმერეთის ლაშქრის საწინააღმდეგო ცნობების გავრცელებაში ედება ბრალი აგრეთვე არტემ არარაცკის, რომლის შრომები ყველას მიერ აღიარებულია, როგორც ყალბი და ცილისმწამებლური.

ასევე ყალბი ცნობები გაავრცელა სომეხმა ისტორიკოსმა ეოსკერჩიანმა, ხოლო ამ ცნობებით შემცდარმა ი. მეუნარგიამ იგივე გაიმეორა.

იმერეთის ლაშქრის ღალატზე ყალბი ცნობების გავრცელება ეკუთვნის აგრეთვე მელექსე სტეფან ფეშანგს (რომელიც კუზიან დარჩიას გაუბრიყვებია), ბებუთაშვილს[5] (რომელმაც იმერლების ღალატი ლექსად აღწერა), იოსებ არღუთინსკის, გუდოვიჩს, ბუტკოვს, დუბროვინს.

ამრიგად, ამერ-იმერის ერთიანობის მტრების მიერ მოგონილი ბრალდება იმის შესახებ, რომ იმერლებმა ერეკლე მეფეს უღალა-

---

[1] ი. ციცაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 206—207; იხ. აგრეთვე ალ. ორბელიანი, დასახ. ნაშრ., 38—39.

[2] ი. ციცაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 207—208.

[3] იოანე ქართველიშვილი, მემუარები, გამოცემა ა. იოსელიანისა, თბ., 1952, გვ. 72—73.

[4] ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 24.

[5] ბებუთაშვილი, პოეტი, გორიდან იყო. ერეკლე მეფესთან დაახლოებული პირი. იხ. ჟურნალი „კვალი", 1895, № 39—40.

ტეს კრწანისის ველზე, ქართული წყაროების შეჯერების შემდეგ არ დასტურდება.

დუბროვინი ცილისმწამებლურად წერს, თითქოს იმერლებს 10000 კაცი გაეტაცნოთ ქართლიდან და ოსმალეთში დაეყიდნოთ. იბადება კითხვა, როგორ შეძლო 1500 იმერელმა 10000 ქართლელის დატყვევება და ახალციხეში გადაყვანა?

ეს იყო უდიდესი ცილისწამება იმერეთის ჯარის მიმართ, რაც მხოლოდ ბოროტ და შურის ჩამომგდებ ადამიანებს შეეძლოთ შეეთხზათ.[1]

რაც შეეხება იმერელთა მიერ ჩადენილ ძარცვა-გლეჯას, ესეც მტრების მიერ შეთხზული ბრალდებაა. სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარად იყო: იმერთა ლაშქარს სურსათი აღარ აღმოაჩნდა, ეს კი იმდროინდელ ომში, თუ ბრძოლა რამდენიმე დღეს გასტანდა, მოსალოდნელი იყო: თბილისის სახლები და დუქნები გამოეკეტათ, არსად არაფერი არ მოიპოვებოდა. ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავს: იმერლებმა სოლომონ მეფეს მოახსენეს, რომ ქალაქი ცარიელია, სახლები დაკეტილია, დაკეტილ სახლებში სურსათ-სანოვაგე იქნება, ჩვენ კი აქ შიმშილით ვიხოცებით, გავაღოთ ზოგიერთი სახლი, რაც ჩვენთვის საჭირო იქნეს, ის გამოვიტანოთ, თორემ გზაში შიმშილით დავიხოცებით, ნამეტურ დაჭრილნი. ჩვენ, რომ არ წავიღოთ, იგი მაინც ჩვენს მტერს დარჩება დღესო.[2]

მეფემ ჯარს ნება მისცა ზოგიერთი სახლის გაღებისა და იქიდან სურსათის გამოტანისა. ჯარმა პურისა და სხვა სანოვაგის გამოტანა იწყო. მოქალაქეთა სახლების ყარაულებმა ამაზედ ყვირილი შექმნეს — გვიშველეთ, იმერლებმა ქალაქი აიკლეს, სახლები გაქურდეს, გაძარცვეს, დაგვღუპესო. 11 საათზე იმერლებმა ქალაქი მართლაც დატოვეს, ხოლო 4 საათზე სპარსელთა ჯარმა ქალაქი დაიკავა, გაძარცვა და შემდეგ გადაწვა.[3]

რა ვუწოდოთ იმერთა მოქმედებას: დანაშაული, ღალატი, ძალმომრეობა თუ ძარცვა-გლეჯა?

ერეკლეს დასახმარებლად მისმა შვილიშვილმა იმერეთიდან 3000 კაცი მოიყვანა, 1500 ბრძოლის ველზე დარჩა, 1500-მა კაცმა თავს უშველა, როცა მტრის გამარჯვება ცხადი გახდა. ჯარი მოქალაქეთა სურსათით იკვებებოდა ერთი დღის განმავლობაში; ეს სურსათი მტერს უნდა დარჩენოდა და დარჩა კიდეც. თურმე ეს საქციელი ომის პირობებში ღალატი და ძარცვა-გლეჯა ყოფილა, იმერლებს ესეც არ აკმარეს და ცილი დასწამეს: გზად მიმავალი ჯა-

---

[1] ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 25—27.

[2] იქვე. გვ. 33—34.

[3] იქვე. გვ. 34—35.

რი ქართლის სოფლებს შეესია და ხალხი დაიტაცაო.[1] მაგრამ თვით არღუთინსკიმ, ვოსკერჩიანმა, ფეშანგიმ, არარაცკიმ, ბებუთოვმა, გუდოვიჩმა, ბუტკოვმა და დუბროვინმა აღიარეს, რომ მთელი ქართლის სოფლები დაცარიელდა, ხალხი ჯგუფ-ჯგუფად შორს ტყეებში გაიხიზნა, რომელთა კვალი იმერლებმა და სპარსელებმა კი არა, არავინ არ იცოდა. მაშ საიდან შეეძლოთ იმერლებს 10000 კაცის დატყვევება და ახალციხეში გაყიდვა?

ამ ცილისმწამებლებმა გამოიყენეს ძარცვა-გლეჯისა და ტყვის გაყიდვის ცალკეული ფაქტები, რაც მთელ იმერეთის ჯარზე და მის მეფეზე გაავრცელეს, რომ ამით სახელი გაეტეხათ იმერლებისათვის და საერთოდ ქართველთათვის. ერთ-ერთი მათგანი შემდეგია: თბილისიდან ჯარის გასვლის დროს სარდალმა ზურაბ წერეთელმა „ეერცხლით სნეულმა“ და აღვირახსნილმა ფეოდალმა თავისი ყმებიდან რამდენიმე პირი დაიახლოვა და დაავალა, ჯარიდან შეუმჩნეველად გაპარულიყვნენ, სოფლები გაეძარცვათ და ტყვეები მოეტაცნათ, ხოლო ნაძარცვიდან ნახევარი იმერეთის ამ „სახელოვანი“ თავადისათვის მიეტანათ. შედგა ავაზაკთა 40-კაციანი რაზმი,[2] რომელიც შეუმჩნეველად ჩამოშორდა. ამ ფაქტს თეიმურაზ ბატონიშვილიც აღწერს: „მეფე სოლომონ წარემართა გზასა თვისსა, მაშინ უცნობლად მისსა, განეყვნენ მას მხედრობასა მისგან კაცნი რაოდენიმე, ჰგონებდა მეფე წინარე წარსვლისა მათსა. გარნა დადგნენ იგინი ადგილსა დაფარულსა უკანით, რათა არა იხილნეს იგი მეფემან მათმან და ოდეს განეშორა მათ მეფე, იწყეს მათ ავაზაკებრ მოქმედება, რომელ სადაც ჰპოვეს გზათა ზედა სახლეულობანი ტფილისელთა მცხოვრებთაგან აყრილნი და მრავალნი, განძარცვათ მათ ხელ ჰყვეს და რომელნიმე მათგანი განძარცვეს, ხოლო სხვანი ხიზანი სიმხნითა თვისითა ჰფარვიდეს თავთა თვისთა და ესრეთ გადაიდნენ იმერნი ქვეყანასა თვისსა“.[3]

აქედან ჩანს, რომ ამ ძარცვის შესახებ სოლომონ მეფემ არაფერი იცოდა. ამრიგად, ზურაბ წერეთელმა და მისმა 40-კაციანმა ავაზაკთა რაზმმა ჩირქი მოსცხო მთელ იმერეთის ჯარს და შებღალა კრწანისის ველზე გმირულად დაღუპული 1500 იმერელი მებრძოლის სახელი, შეარცხვინა თვით იმერთა მეფე სოლომონ II, შვილიშვილი ერეკლე მეორისა. უკვე დავიწყებას მიეცა იმერეთის საუკეთესო მამულიშვილთა ღვაწლი და მსხვერპლი, რაც მათ გაი-

---

[1] ზ. ჭიჭინაძე, გვ. 36—37.

[2] იქვე, გვ. 38.

[3] თეიმურაზ ბატონიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 62—63.

ღეს ქართლის სამეფოს დასახმარებლად გაჭირვების ჟამს. უკვე ორი საუკუნე გვაშორებს იმ დროს, მაგრამ ქართველი ხალხის მტრების და დაუკვირვებელი ისტორიკოსების მიერ შექმნილი სიყალბე იმერეთის ჯარის ღალატის შესახებ კიდევ ბოგინობს, თუმცა ქართული ისტორიოგრაფია, ყველა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ავტორი, ვინც კრწანისის ბრძოლას შეხებია, უარყოფს ამ სიყალბეს: ომან მდივან-ბეგი ხერხეულიძე, იონა-ბერი ხელაშვილი, ეგნატე იოსელიანი, რომელმაც თავისი თვალით ნახა ყოველივე, გამალიელი ბერი, არსენ ბერი, რომელიც ანტონ II-ს რუსეთში გაჰყვა და 1824 წელს დაამთავრა საქართველოს ისტორიის წერა, სოლომონ დოდაშვილი, ალექსანდრე ორბელიანი, პლატონ იოსელიანი, მარი ბროსე, ჩუბინოვი (ჩუბინაშვილი), ნიკოლოზ ბერძენოვი, სულხან ბარათაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ნიკო დადიანი, დავით ბატონიშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილი, იოანე ბატონიშვილი და სხვანი.

სოლომონ II ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის

1798 წელს ერეკლე მეორე გარდაიცვალა. ტახტი მისმა უფროსმა ძემ გიორგიმ დაიკავა. 1799 წლის 26 ნოემბერს თბილისში შემოვიდა რუსთა ჯარი გენერალ ლაზარევის სარდლობით. გიორგი XII რუსეთის ერთგულებაზე დაიფიცა და ტახტის მემკვიდრედ თავისი უფროსი ვაჟი დავითი გამოაცხადა.

1800 წლის 28 დეკემბერს საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი XII გარდაიცვალა. 1801 წლის 12 სექტემბერს რუსეთის ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე I მანიფესტი გამოსცა ქართლ-კახეთში მეფობის გაუქმებისა და რუსული მმართველობის შემოღების შესახებ. 1802 წლის 9 აპრილს გენერალი კნორინგი თბილისში მოვიდა ამ მიზნის შესასრულებლად: 12 აპრილს მან გამოაცხადა მეფობის გაუქმება და რუსული მმართველობის დამყარება[1].

სოლომონ II თავდაპირველად განუხრელად ადგა რუსეთის ერთგულების გზას. 1796 წელს სოლომონ მეფემ რუსეთში გაგზავნა თავისი ელჩები. მათი მეშვეობით იგი კვლავ ითხოვდა რუსეთის მფარველობაში შესვლას. სოლომონ მეფემ ხელმეორედ 1798 წელსაც ითხოვა რუსეთის მფარველობა, ხოლო 1801 წლის ივნისშიც გაიმეორა ასეთივე თხოვნა, მაგრამ იმპერატორმა კნორინგს

[1] ბ უ ტ კ ო ვ ი, მასალები, III, გვ. 323, 324, 327, 333, 349, 350. (რუს.).

დაავალა, უბრალო მეგობრული ურთიერთობა დაუჭირა იმერეთის მეფესთან და არ დაერღვია თურქეთთან არსებული თანხმობა[1].

მართალია, ამ დროს იმერეთის მეფე ოსმალეთს თავის უზენაეს მბრძანებლად არ თვლიდა და თავი დამოუკიდებელ მეფედ მიაჩნ-და, მაგრამ რუსეთი ოსმალეთთან დადებული საზავო ხელშეკრულების ძალით, მოვალე იყო დასავლეთი საქართველო ოსმალთა გავლენის სფეროდ ჩაეთვალა.

სოლომონ მეფე დასავლეთ საქართველოს მბრძანებლად აცხადებდა თავს და მთავართა არსებობას მხოლოდ მათი მორჩილების პირობით ურიგდებოდა. მეფის სახელით სოლომონ ლიონიძე წერდა, რომ „აფხაზეთის სამთავრო თავიდანვე იმერეთისა იყო და მასვე ეკუთვნოდა ფოთის ციხეც“[2]. იმერთა მეფე დადიანს უყურებდა როგორც თავის ურჩ ყმას; მას მეფის წინააღმდეგობის უფლება არ ჰქონდა და მისი მორჩილი უნდა ყოფილიყო.[3]

სოლომონ მეფეს დასავლეთი საქართველოს მთავრები ჯერ კიდევ თავის მორჩილებაში ჰყავდა, როცა ერეკლეს სიკვდილის შემდეგ იმერეთის მეფესა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის, ნაცვლად ურთიერთკავშირისა, განხეთქილებამ იჩინა თავი. გიორგი XIII გამეფების შემდეგ მეგობრული ურთიერთობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის შესუსტდა. გიორგი XIII საქართველოს ერთიანობისათვის უფრო ნაკლებ ზრუნავდა, ვიდრე დინასტიისა და ნათესაურ ინტერესებზე. სოლომონ მეორის გამაერთიანებელ პოლიტიკას, რაც დადიანთან ბრძოლაში გამოიხატებოდა, გიორგი XIII არ იზიარებდა და იგი ზურგს თავის სიძეს — დადიანს უმაგრებდა, ამით ხელს უწყობდა იქ არსებული განხეთქილების შემდგომ გაღრმავებას, აფერხებდა დასავლეთი საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის წარმატებას. თავის მხრივ, სოლომონ მეორეც დიდად აფასებდა ოჯახურ სიახლოვეს და უფრო მეტად იყო დაკავშირებული თავის ღვიძლ ბიძებთან — დარეჯან დედოფლის შვილებთან, ვიდრე თავის ნახევარბიძასთან — ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII-თან. დინასტიურ ბრძოლაში სოლომონ მეფე დარეჯან დედოფლის პარტიას ემხრობოდა და ტახტის მემკვიდრედ იულონს აღიარებდა და არა გიორგი XIII-ის ძეს, ტახტის კანონიერ მემკვიდრეს დავითს.

ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII ხშირად ავადმყოფობდა, ხოლო მისი სამეფო არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა; განხეთქილება სამეფო კარზე დავით და იულონ ბატონიშვილთა პარტიებს შორის უფრო მწვავდებოდა.

---

[1] კაკა, ტ. I, გვ. 559 (რუს.).

[2] კაკა, ტ. III, გვ. 336.

[3] იქვე, გვ. 573 (რუს.).

1799 წლიდან აღმოსავლეთ საქართველოში რუსეთის ჯარების თანდათანობით მატებამ თავისებური გავლენა მოახდინა დასავლეთი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

ბაგრატიონთა დინასტიის ყოფნა-არყოფნის საკითხი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ დასავლეთი საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეებს. შექმნილი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად იმერეთის სამეფო კარის მესვეურებმა შემდეგი ღონისძიებები დასახეს: დასავლეთ საქართველოში მთავრების დამორჩილებით უნდა დამყარებულიყო მეფის ძლიერი ხელისუფლება; აღმოსავლეთ საქართველოში იულონ ბატონიშვილისათვის უნდა შეენარჩუნებინათ ტახტის მემკვიდრეობა, რაც, სოლომონის ფიქრით, იმერეთის სამეფოს დამოუკიდებელი არსებობის გარანტია იქნებოდა. თუ სოლომონ მეფე დასავლეთ საქართველოში გაბატონდებოდა, ე. ი. ერთპიროვნული მბრძანებელი იქნებოდა, მაშინ რუსეთი მას მფარველობაში მიიღებდა 1783 წლის ტრაქტატში გათვალისწინებულ პირობათა საფუძველზე და მის ხელისუფლებას მთავრებზედაც ცნობდა.

სოლომონ მეფე ყოველთვის ცდილობდა, რუსეთის მფარველობა მოეპოვებინა, თან არც იმის თქმას იეიწყებდა რუსეთის წარმომადგენლებთან ურთიერთობისას, რომ მოსურნე იყო იულონ ბატონიშვილის გამეფებისა ქართლ-კახეთში. ამიტომ მას თავიდანვე ეჭვის თვალით დაუწყო ცქერა რუსეთის მთავრობამ, რადგან ქართლ-კახეთში მეფობის აღდგენა ეწინააღმდეგებოდა მეფის რუსეთის მიზნებს.

იულონის პარტიასთან და ამ გზით ალექსანდრე ბატონიშვილთან ურთიერთობა, რომელიც თავის მხრივ ირანის მხარდაჭერას ეყრდნობოდა, იმერეთის მეფეს იმთავითვე რუსეთის მიზნების მოწინააღმდეგეად ბანაკში აქცევდა. ამიტომ რუსეთის მთავრობასა და სოლომონ მეფეს შორის საერთო ენის გამონახვა ძნელდებოდა, იმერეთის მეფე კარგად ხედავდა, რომ ქართლ-კახეთში მეფობის გაუქმება იმერეთის სამეფოსაც უდიდეს განსაცდელს უმზადებდა.

ყოველივე ეს განაპირობებდა სოლომონ მეორის არამყარ წინააღმდეგობრივ მოქმედებას, მის მერყეულ პოზიციას რუსეთის სამხედრო და სამოქალაქო წარმომადგენლებთან ურთიერთობაში, მის ორპოფობას.

* * *

1801 წლის მაისში ცხადი გახდა, რომ ქართლ-კახეთში მეფობა საბოლოოდ უქმდებოდა. 1801 წლის 4 აგვისტოს იმერეთის მეფემ თავისი ელჩი ჯაფარიძე გაგზავნა რუსეთში მეფე ოფიცია-

ლურად ითხოვდა იმერეთის მიღებას რუსეთის მფარველობაში, მაგრამ ელჩობის მთავარი მისია იყო ქართლ-კახეთში მეფობის აღდგენა და იულონ ბატონიშვილის გამეფება. გენერალმა კნორინგმა კავკასიის სამხედრო ხაზიდან ელჩი რუსეთში არ გაუშვა, უკანვე გამოაბრუნა და მეფეს შემოუთვალა, რომ რუსეთ-ოსმალეთს შორის არსებული კეთილგანწყობილება არ უნდა შერყეულიყო, ეს კი ხელს უშლიდა თხოვნის დაკმაყოფილებას, ხოლო რაც შეეხება იულონის გამეფებას, კნორინგი აცნობებდა მეფეს, რომ რუსეთის მთავრობამ ქართლ-კახეთის სამეფოს ბედი უკვე გადაწყვიტა და მეფობა გააუქმა, ამიტომ თქვენი ჩარევა ქართლ-კახეთის საქმეებში იმპერატორის შეურაცხყოფას ნიშნავსო[1].

თუმცა რუსეთის მთავრობა უარს ეუბნებოდა იმერეთის მეფეს მფარველობაში მიღებაზე, მაგრამ იგი დიდად იყო დაინტერესებული იმერეთის საშინაო საქმეებით, რაც იმაში გამოვლინდა, რომ რუსეთმა საგანგებო დავალებით თავისი მოხელე სოკოლოვი მიავლინა იმერეთში, რომლის მთავარ მისიას იმერეთის სამეფო კარზე შექმნილი ვითარების დაზვერვა და ტახტის პრეტენდენტის — მცირეწლოვანი კონსტანტინე ბატონიშვილის, ყოფილი მეფის დავით გიორგის ძის ვაჟის, განთავისუფლება შეადგენდა.

იმ ხანებში რუსეთის მთავრობა ვარაუდობდა, კონსტანტინე ბატონიშვილის მეშვეობით შეექმნა მეფის მოწინააღმდეგე პარტია და აქტიურად ჩარეულიყო იმერეთის საშინაო საქმეებში, რის შედეგადაც გაუადვილდებოდა დასავლეთ საქართველოში გაბატონება, მაგრამ იმერეთის მეფეც არ იყო ხელდაკრეფილი — მან სოკოლოვის „ვიზიტს“ აღმოსავლეთ საქართველოში სოლომონ ლიონიძის „ვიზიტით“ უპასუხა, რომელსაც დაავალა იქ შექმნილი ვითარების ეამორკვევა და სოლომონ მეფის მომხრეებთან კავშირის დამყარება, რომელთა მიზანი იყო საქართველოდან რუსეთის განდევნა და ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენა. „მზადდებოდა კოალიციური გამოსვლა, რომელშიც სოლომონთან ერთად მონაწილეობა უნდა მიეღოთ ქართლ-კახეთის ფეოდალებს, ახალციხის ფაშას, განჯის, შუშისა და სხვა ხანებს; შეთქმულებს დახმარებას აღუთქვამდნენ ირანი და ოსმალეთი“[2].

იმერეთ-ოსმალეთის სამსაუკუნოვანი ბრძოლის ისტორია იმის დამადასტურებელი იყო, რომ იმერეთი მუდამ ებრძოდა ოსმალთა აგრესიას, მაგრამ იმჟამად იმდენად დიდი იყო საფრთხე დასავლეთ

---

[1] კაკა, ტ. I, გვ. 562 (რუს.).

[2] მ. დუმბაძე, დასავლეთი საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1957, გვ. 140.

საქართველოში მეფობის გაქრობისა, რომ იმერეთის ზოგიერთმა პოლიტიკურმა მესვეურმა ისევ ოსმალეთთან კავშირი ამჯობინა. ამით ისინი შეეცადნენ ჩაეშალათ რუსეთის ცდა იმერეთის სამეფოს გაუქმებისა.

რუსეთის მთავრობა თვალყურს ადევნებდა იმერთა მეფის ნაბიჯებს, მისთვის ცხადი გახდა, რომ სოლომონის თხოვნა მფარველობაში მიღების შესახებ მოჩვენებითი იყო, სოლომონს რუსეთის მოწინააღმდეგე ბატონიშვილები თავისთან ჰყავდა და მფარველობას უწევდა მათ. ამით სოლომონ მეფის პოლიტიკა საშიშროებას უქმნიდა რუსეთის პოზიციების განმტკიცებას აღმოსავლეთ საქართველოში.

რუსეთის ჯარის შემოსვლამ საქართველოში და ერეკლე მეფის მიერ ტახტის მემკვიდრეობის არსებული წესის მოშლამ ქართლ-კახეთის საშინაო პოლიტიკური ვითარება უკიდურესად დაძაბა. გიორგის მძიმე ავადმყოფობის ვითარებაში ტახტისათვის ბრძოლა გაჩაღდა ორ დაჯგუფებას — იულონ ერეკლეს ძისა და დავით გიორგის ძის შორის. საქმე შეიარაღებულ შეჯახებამდე მივიდა. იულონის მომხრენი დამარცხდნენ, ბატონიშვილები დასავლეთ საქართველოში გადავიდნენ და იმერეთის მეფეს შეეხიზნენ.

ბატონიშვილებმა იმერეთიდან კავშირი გააბეს მაჰმადიანურ სამყაროსთან, რათა მისი სამხედრო ძალის გამოყენებით განედევნათ რუსეთის ჯარი ქართლ-კახეთიდან და ისევ ბაგრატიონების ხელისუფლება აღედგინათ.

სოლომონ მეფე აქტიურად ერეოდა ქართლ-კახეთის სამეფოს საქმეებში, ამიერკავკასიის ხანებთან და სპარსეთის შაჰთან მიწერ-მოწერას აწარმოებდა და მათ ქართლ-კახეთზე სალაშქროდ იწვევდა — ბაგრატიონების სახლის უფლებათა აღსადგენად.

1801 წლის ზაფხულში სოლომონ მეფემ კიდევ ერთი ელჩი — როსტომ ნიკარაძე გაგზავნა თბილისში რუსეთის წარმომადგენლებთან ოფიციალური განცხადებით, რომ იმერეთი მიეღოთ რუსეთის მფარველობა-ქვეშევრდომობაში, ოღონდ იმ პირობით, თუ ქართლ-კახეთში იულონი გამეფდებოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1795 წელს ახალციხეში გარდაიცვალა იმერეთის ყოფილი მეფე დავით გიორგის ძე. მისი მცირეწლოვანი შვილი კონსტანტინე სოლომონ მეფეს მუხურის ციხეში ჰყავდა გამოკეტილი, დავითის ქვრივი ანა დედოფალი, სოლომონ მეფისაგან შევიწროებული და დევნილი, ჯერ თბილისში ჩავიდა რუსეთის ხელისუფლებთან მფარველობისა და დახმარების სათხოვნელად, შემდეგ პეტერბურგს წავიდა და იმპერატორ ალექსან-

დრე I-ს სთხოვა, ეშუამდგომლა სოლომონ მეფესთან შვილის პატიმრობიდან განთავისუფლების შესახებ.[1]

1802 წელს ალექსანდრე I-მა საქართველოში გამოგზავნა რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის მოხელე სოკოლოვი, რომელსაც დაევალა იმერეთის მეფესთან მოლაპარაკება კონსტანტინე ბატონიშვილის განთავისუფლების შესახებ.

სოლომონ მეფე ფიქრობდა, რომ რუსეთი განთავისუფლებულ ბატონიშვილს მის წინააღმდეგ გამოიყენებდა ტახტის წართმევის მიზნით, ამიტომ იმპერატორის თხოვნას უარით უპასუხა.

სოლომონ მეფის პასუხით განაწყენებული სოკოლოვი გენერალ ლაზარევს აცნობებდა, რომ იმერეთის მეფე მონაწილეობს შეთქმულებაში, რომლის მიზანია ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენა და ტახტზე ბატონიშვილ იულონის დასმაო.

იმერეთის მეფის უარყოფითი პასუხი კონსტანტინეს განთავისუფლების თაობაზე რუსეთის საწინააღმდეგო აქტად ჩაითვალა. იმერეთის პოლიტიკური მესვეურები მალე დარწმუნდნენ, რომ ასეთი მოქმედებით, ე. ი. რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებით ზარალის მეტს ვერაფერს ნახავდნენ და თავიანთი დამოკიდებულება რუსეთის მიმართ სწრაფად შეცვალეს.

* * *

1802 წლის სექტემბერში გენერალ კნორინგის ნაცვლად მთავარსარდლად და უმაღლესი მმართველობის უფროსად საქართველოში პავლე დიმიტრის ძე ციციანოვი (ციციშვილი) დაინიშნა. იგი იყო გარუსებული ქართველი თავადი, რომლის პაპა ვახტანგ VI ამალაში შედიოდა, როცა ის რუსეთში გადასახლდა.

სამხედრო განათლების მიღების შემდეგ ციციშვილი თავისი ნიჭის წყალობით მალე დაწინაურდა სამსახურში; მან მთელ რიგ ბრძოლებში სახელი მოიხვეჭა და რუსეთის სამეფო კარის დიდი ნდობა დაიმსახურა. ერთ თავის ბრძანებაში სუვოროვი წერდა: „უნდა ვიბრძოდეთ ისე, როგორც მამაცი გენერალი ციციანოვი“.[2]

საქართველოში ციციანოვის გამოგზავნა შემთხვევითი არ ყოფილა, მასზე რუსეთის ხელისუფალნი დიდ იმედებს ამყარებდნენ, რადგან იგი იყო ქართლ-კახეთის ყოფილი სამეფო კარის ახლო ნათესავი (გიორგი XII ცოლის მარიამ დედოფლის — ციციშვილის ასულის ნათესავი) და მცოდნე საქართველოს ცხოვრებისა. რუსეთის მთავრობა იმედოვნებდა, რომ იგი უმტკივნეულოდ შეძლებდა

---

[1] დ. და ბ. ბატონიშვილები, დასაბ. ნაშრომი, გვ. 81—82.

[2] ნ. დუბროვინი, ამიერკავკასია 1803—1806 წწ. სპბ. 1866, გვ. 65 (რუს.)

ბატონიშვილების მოშორებას საქართველოდან, თავადაზნაურობის მომხრობას და არეულობისთვის ბოლოს მოღებას. ციციანოვთან ერთად მაღალ თანამდებობაზე დაინიშნა მეორე ქართველი გენერალი — დიმიტრი ორბელიანი, რომელიც აგრეთვე ნათესაურად დაკავშირებული იყო ბაგრატიონებთან.

მეტისმეტად ამაყი, ჯიუტი და ფიცხი ციციანოვი აღშურვილი იყო მახვილი დიპლომატიური ნიჭით და აქტიურობით.

„მრისხანე თავადს", როგორც მას კავკასიაში უწოდებდნენ, განუსაზღვრელი უფლება მიანიჭა იმპერატორმა ალექსანდრე I-მა: ნება მიეცა, თვითონვე გადაეწყვიტა სასწრაფო და რთული საქმეები, ისე, რომ არ დალოდებოდა პეტერბურგის თანხმობას. მას უფლება ჰქონდა, ვისაც ღირსეულად მიიჩნევდა, ადგილზევე დაეჯილდოებინა იმპერიის ორდენებით.

ციციანოვის გამგებლობაში შედიოდა აღმოსავლეთი საქართველო, ჩრდილოეთი კავკასია და ასტრახანის გუბერნია.

ციციანოვის დანიშვნის მომენტში ამ მხარეების ადმინისტრაციულ ცენტრად ქალაქი გეორგიევსკი ითვლებოდა, მაგრამ ამიერიდან, როგორც ჩანს, მთავარი ყურადღება საქართველოზე უნდა მიპყრობილიყო და ამიტომ მთავარმართებელი ციციანოვიც პირდაპირ საქართველოში მოვიდა (1803 წლის 1 თებერვალს) და მთელი ამიერ- და იმიერკავკასიის ცენტრად თბილისი აქცია.

საქართველოში წამოსულ ციციანოვს ალექსანდრე I-მა დავალება მისცა — აუცილებლად გამოეხსნა სოლომონ მეფის ტყვეობიდან კონსტანტინე და ხელთ ეგდო იმერეთის სამეფო კარზე შეხიზნული იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები.

1803 წელს ციციანოვმა იმპერატორისაგან მიიღო ბრძანება, იმერეთის წინააღმდეგ ძალა გამოეყენებინა, თუ მეფე არ გაათავისუფლებდა კონსტანტინე ბატონიშვილს[1].

„სოლომონ მეფის გასატეხად ციციანოვმა მრავალგვარ საშუალებას მიმართა — ჯერ იმპერატორის მოკითხვის წიგნი გაუგზავნა, სადაც ხელმწიფე „სიყვარულს" და „მშვიდობას" აუწყებდა გაეშვიანებულ მეფეს. შემდეგ ქრთამი აამოქმედა და სოლომონ მეფის კარისკაცები, საერო და საეკლესიო თავადები, მრავლად გაიერთგულა; ხან კიდევ სამხედრო დემონსტრაციას მიმართა. ბოლოს საკუთარი მოხელე გაგზავნა და მეფეს კატეგორიულად მოსთხოვა კონსტანტინე ბატონიშვილის გათავისუფლება".[2]

---

[1] კაკა, ტ. II, გვ. 341 (რუს.).

[2] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1967, გვ. 288.

ციციანოვმა მეფის შეშინების მიზნით გენერალ ტუჩკოვის ჯარი მიაყენა იმერეთის საზღვარს[1], ხოლო ბრონევსკის ხელმძღვანელობით მცირე რაზმი გაგზავნა იმერეთში კონსტანტინესა და აღმოსავლეთი საქართველოდან თავშეფარებული ბატონიშვილების წამოსაყვანად.[2]

ოთხი თვის მოლაპარაკების შემდეგ მეფე სოლომონი დასთანხმდა კონსტანტინე ბატონიშვილის გათავისუფლებაზე, რადგან, ერთი მხრით, ბრონევსკი დაემუქრა, რომ თუ უარს იტყოდა „ტყვის“ განთავისუფლებაზე, ამით იმპერატორის რისხვას გამოიწვევდა, ხოლო მეორე მხრით, ბრონევსკისაგან ოქროთი მოსყიდულმა ქაიხოსრო წერეთელმა და დოსითეოზ კათალიკოსმა (წერეთელმა) მეფე დაიყოლიეს „ტყვის“ განთავისუფლებაზე და 9 წლის პატიმრობის შემდეგ იმერეთის მეფემ იგი რუსეთის იმპერატორს დაუთმო, მაგრამ იმ პირობით, რომ მას საქართველოში არ გააჩერებდა და რუსეთში წაიყვანდა.

სოლომონ მეფეს ეშინოდა „პრეტენდენტს“ და მის მომხრეებს ამბოხება არ მოეწყოთ მის წინააღმდეგ და ტახტიდან არ გადაეგდოთ, მაგრამ სულ სხვანაირად ფიქრობდნენ რუსეთის პოლიტიკური მესვეურნი: რუსეთის მთავრობა ბაგრატიონებს ერთმანეთს კი არ უპირისპირებდა, არამედ რუსეთის ვრცელ იმპერიაში სხვადასხვა ადგილას ასახლებდა.[3] ამჯერადაც იმპერატორმა ციციანოვს მითითება მისცა, რათა კონსტანტინე ბატონიშვილი დაუყოვნებლივ რუსეთში გაეგზავნა.[4]

რაც შეეხება ბატონიშვილების გადაცემას რუსეთის ხელისუფლებისათვის, სოლომონ მეფე თავს იმართლებდა ციციანოვის წინაშე — ჩემი სახლი იგივეა, რაც ერეკლე მეფის სახლი, შემიძლია, თუ არა მე გამოვიჩინო მხეცური სიმკაცრე და არ მივცე მათ თავშესაფარი. ციციანოვის მოხელე ბრონევსკი ციციანოვს მოახსენებდა, რომ სოლომონ მეფე თავის ბიძებს იულონს და ფარნაოზს არწმუნებს რუსეთში წასვლის აუცილებლობაში, მაგრამ ისინი გაუგონარ ჯიუტობას იჩენენო.[5]

სოლომონ მეფემ 1802 წელს, რუსეთის ერთგულება რომ ეჩვენებინა და გული მოეგო, ბაბა-ხანისაგან გამოგზავნილი წერილი გე-

---

[1] ქაკა, ტ. II, გვ. 454 (რუს).

[2] იქვე, გვ. 346 (რუს.).

[3] „ამერ-იმერის ბაგრატიონთა რიცხვი 100 კომლზე მეტი იყო, ისინი ყველა რუსეთში გადაასახლეს“. (იხ. ზ. ჭიჭინაძე, ფარული საზოგადოების მიზეზები, თბ., 1919, გვ. 5).

[4] ქაკა, ტ. II., გვ. 352 (რუს.).

[5] იქვე, გვ. 348 (რუს.)

ნერალ კნორინგს გადასცა. წერილში სპარსეთის მბრძანებელი სოლომონ მეფეს რუსების წინააღმდეგ ერთიანი ძალით გასალაშქრებლად და რუსეთის ბატონობისაგან ქართლ-კახეთის გასათავისუფლებლად მოუწოდებდა.[1]

ამ წერილის გადაცემით იმერეთის მეფე რუსეთის მთავრობას უმტკიცებდა ერთგულებას და ამცნობდა ირანის მბრძანებლის გეგმას, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული.

სოლომონ მეფით კმაყოფილი ციციანოვი გრაფ ვორონცოვს სწერდა: სოლომონ მეფემ იმპერატორისადმი ერთგულება გამოიჩინა და კონსტანტინე ბატონიშვილი პატიმრობიდან გაათავისუფლა, ხოლო ფარნაოზ და იულონ ბატონიშვილებს უმტკიცებს, რომ აუცილებელია მათი პეტერბურგში წასვლა.

მ. დუმბაძე კონსტანტინე ბატონიშვილის გათავისუფლებას მიიჩნევს სოლომონ მეფის დიპლომატიურ მანევრად. „შეიძლება ვიფიქროთ — წერს მ. დუმბაძე, — რომ ბრონევსკისთან მოლაპარაკების დროს მეფის დიპლომატებმა შეიმუშავეს ახალი გეგმა — კონსტანტინეს გათავისუფლებით ნდობის მოხვეჭა რუსეთის მთავრობის წინაშე და ამავე დროს, თვით ახალგაზრდა კონსტანტინესთან მჭიდრო კავშირის დამყარება. ეს კავშირი უნდა განემტკიცებინა იმ გარემოებას, რომ სოლომონ მეორე უშვილო იყო და კონსტანტინეს მემკვიდრეობაზე იგი უნებლიეთ მაინც დასთანხმდებოდა, ამას გვაფიქრებინებს კონსტანტინესთან ერთად ლიონიძის წასვლა თბილისში, ხოლო შემდეგ კონსტანტინეს გამოქცევა იმერეთში, რასაც შედეგად მისი მემკვიდრეობის ოფიციალური აღიარება მოჰყვა. ასეთი დიპლომატიური კომბინაციის გამარჯვებად შეიძლება ჩაითვალოს ციციანოვის თანხმობა ლიონიძის გაგზავნაზე პეტერბურგში და იმერეთის მეფის მიერ ერთგვარი დამოუკიდებელი ურთიერთობის დამყარება რუსეთის იმპერატორთან".[2]

1803 წლის 30 მაისს კონსტანტინე ბატონიშვილი თბილისში ჩაიყვანეს ციციანოვთან, მას თან ახლდა იმერეთის მეფის ელჩი სოლომონ ლიონიძე, რომელიც მეფის დავალებით და ციციანოვის თანხმობით პეტერბურგში უნდა წასულიყო იმერეთის მფარველობაში მიღების სათხოვნელად.

---

[1] კაკა, ტ. II, გვ. 362 (რუს.).

[2] მ. დ უ მ ბ ა ძ ე. დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957, გვ. 160.

• • •

გრიგოლ დადიანის მიერ რუსეთის მთავრობასთან გამართული მოლაპარაკება მფარველობაში მიღებაზე შეუმჩნეველი არ დარჩენიათ იმერეთის სამეფო კარის მესვეურთ. ისინი კარგად გრძნობდნენ, რომ თუკი სამეგრელოს სამთავრო რუსეთის მფარველობაში აღმოჩნდებოდა, შემდეგ ჯერი იმერეთზე მიდგებოდა და ძალით თუ ნებით ქართლ-კახეთის ბედი უნდა გაეზიარებინა. ამიტომ სოლომონ მეფემ განიზრახა, დაესწრო სამეგრელოს მთავრისათვის და განსაზღვრულ პირობებში უზრუნველეყო თავისი უფლებები იმერეთის სამეფო ტახტზე და მთელ დასავლეთ საქართველოზეც.

წინააღმდეგობრივ ვითარებაში მყოფი მეფე ცდილობდა, რუსეთის მფარველობაში შესულიყო იმავე პირობებით, როგორიც 1783 წელს რუსეთსა და ქართლ-კახეთს შორის დაიდო მფარველობითი ტრაქტატის სახით. ამ მიზნით, იმერეთის სამეფო კარი პეტერბურგში აგზავნის „ვიცე-კანცლერ“ სოლომონ ლიონიძეს, რომელმაც 1803 წლის 5 აგვისტოს რუსეთის საიმპერატორო მთავრობას მფარველობითი ტრაქტატის შემდეგი ძირითადი მუხლები წარუდგინა:

1. თუ რუსეთი მიიღებდა იმერეთის სამეფოს თავის მფარველობაში, რუსეთს ამის შესახებ უნდა ეცნობებინა ყველა სახელმწიფოსათვის (ამით იმერეთის მეფე ხელუხლებლობის გარანტიას იღებდა).

2. იმერეთის მეფის წარგზავნილებს (მთავარმართებლის გვერდის ავლით) უშუალოდ იმპერატორთან მისვლის უფლება უნდა ჰქონოდათ.

3. იმპერატორს იმერეთის მეფისათვის სიგელი უნდა ებოძებინა, რომ მთავარმართებელი საჭიროების შემთხვევაში იმერეთში დასახმარებლად 1000 კაცისაგან შემდგარ შეიარაღებულ რაზმს გაგზავნიდა.

4. იმპერატორი უნდა დათანხმებოდა სოლომონის არჩევანს: სამეფო ტახტი იმისათვის დაეტოვებინა, ვისაც სოლომონი ინდომებდა.

თავის მხრივ, იმერეთის მეფე რუსეთის წინაშე შემდეგ ვალდებულებს კისრულობდა:

1. დაიფიცებდა იმპერატორისადმი ერთგულებაზე.

2. მისცემდა რუსეთს ხე-ტყეს გემების ასაგებად. ნებას რთავდა რუსეთს შავი ზღვის სანაპიროზე თევზი დაეჭირა და რუსეთის ნავები რიონით იმერეთში შემოსულიყო.

3. თურქეთთან ომის შემთხვევაში თავისი სამხედრო ძალებით იბრძოლებდა რუსეთის არმიის მხარდამხარ.

4. შეიერთებდა აფხაზეთის სამთავროს, რაც სასარგებლო იყო რუსეთის ბატონობისათვის შავ ზღვაზე.

ცალკე ნოტაში, რომელიც ლიონიძის მიერ დიდი დიპლომატიური ხელოვნებით იყო შედგენილი, აღნუსხული იყო, თუ რა ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა ექნებოდა რუსეთისათვის შავ ზღვაზე ფეხის მომაგრებას, როდესაც დასავლეთი საქართველოს ერთადერთი კანონიერი პატრონი—იმერეთის მეფე რუსეთის ქვეშევრდომი გახდებოდა.

ამ ნოტაში ლიონიძე ისე წარმოადგენდა საქმეს, თითქოს მთელი დასავლეთი საქართველო მეფის კუთვნილებაში ყოფილიყოს. ოდიში და გურია იმერეთის სამეფოს ეკუთვნოდა და აფხაზეთი, რომელსაც მეფე ახლა შემოიერთებს, მისი უძველესი სამკვიდროსაყმოა. ფოთიც იმერეთის კუთვნილებაა. იმერეთისაა პალიასტომის ტბაც, სადაც დიდი თევზჭერაა გაჩაღებული, და საიდანაც გემები 25 საათში მივლენ ყირიმში. თურქეთთან და ირანთან ომის შემთხვევაში იმერეთი სტრატეგიულად ყველა ქვეყანაზე უფრო ხელსაყრელია რუსეთისათვის, რადგან „აქედან ყველაფერი ახლოა — ყირიმი და სტამბოლი, „შავისა და თეთრი ზღვის გველეშაპი“ (ე. ი. ოსმალეთი. მ. რ.) თავის ბადეში ეყოლება რუსეთის ხელმწიფეს. გზა ხსნილია იმერეთიდან ახალციხე-არზრუმ-ანატოლიისაკენ. დიდია იმერეთიდან ვაჭრობის პერსპექტივა: ხომალდის გზა რიონით, ფოთით, შავი ზღვით; გემების ასაშენებელი ძვირფასი ტყე, საიალქნე თოკებისათვის კანაფი, მადნეული, მდიდარი საძოვრო ადგილები, და როცა იმპერატორის მფარველობის ქვეშ იმერეთი ასეთ წარმატებაში შევა, ქართლ-კახეთიც აყვავდება. მაშინ დიდი ჯარის შენახვა, ასე დიდი ხარჯს რომ იწვევს, რუსეთის მთავრობას აქ აღარ დასჭირდება, რადგან ლაშქარი კახეთის, ქართლის და ჩვენი სამეფოსი, ე. ი. აფხაზეთის, ოდიშის, გურიის, ლეჩხუმის და იმერეთის ისეთ ძალას შექმნიან, რომ რუსთა მცირე ჯარიც საკმაო იქნება, რათა შეერთებული ძალით აღვილად დაუმორჩილონ ხელმწიფის მფლობელობას ქვეყნები არაზიდან კასპიის ზღვის ნაპირებამდე“[1].

სოლომონ ლიონიძის მიერ შედგენილი ამ დიპლომატიური ნოტიდან ნათლად ჩანს, რომ იმერეთის სამეფო კარზე კარგად იცოდნენ რუსეთის მიზნები და გეგმები ამიერკავკასიაში; ამიტომ

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 290.

ამ გეგმისათვის თავისი ქვეყნის პოლიტიკური ინტერესების შეგუება-შეხამებას ცდილობდნენ და საქმეს ისე ხატავდნენ, იმერეთის სამეფოს დაცვა-გაძლიერება რუსეთის ინტერესებისათვის აუცილებელი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ამ დროისათვის რუსეთის გეგმებში ქართული სამეფოების შენარჩუნება და გაძლიერება სასურველი აღარ იყო, რადგან მეფის თვითმპყრობელობას გადაწყვეტილი ჰქონდა ამიერკავკასიის ქვეყნების შემოერთება, რაც ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებით დაიწყო კიდეც.

იმერეთის სამეფოს ბედიც რუსეთის მთავრობას რომ გადაწყვეტილი ჰქონდა, ამას სოლომონიც კარგად გრძნობდა. კონსტანტინე ბატონიშვილი შეთანხმების თანახმად რუსეთში უნდა წაეყვანათ, მაგრამ ციციანოვმა იგი თბილისში დატოვა და სოლომონზე ზეგავლენის იარაღად აქცია, თუმცა კონსტანტინე ხელიდან გაუსხლტა რუსეთის ხელისუფალთ და სოლომონ მეფეს მიუვიდა, რომელმაც კმაყოფილებით მიიღო იგი და თავის მემკვიდრედ გამოაცხადა.

მეფის ორპოფული პოლიტიკის დამადასტურებელია ის, რომ მან რუსეთში ლეონიძის ელჩობის პარალელურად მეორე ელჩი ოსმალეთის სულთანთან გაგზავნა თხოვნით, რათა რუსეთის მძლავრობისაგან დასაცავად დახმარება აღმოეჩინათ.[1]

სოლომონ მეფე ვარაუდობდა, რომ ამ ორი მოქიშპე სახელმწიფოს ჩარევით საქართველოს საქმეებში ქვეყნის დაცვის უკეთესი პირობები შეიქმნებოდა.

ამ მიზანს ემსახურებოდა ისიც, რომ სოლომონმა გრიგოლ დადიანს ძორიგების წინადადებით მიმართა, მაგრამ მეფემ ყველა მიმართულებით წააგო. დადიანმა უარი უთხრა მორიგებაზე, მაშინ მეფემ მისი ძალად გატეხა გადაწყვიტა, მაგრამ რუსეთი ჩაერია და ციციანოვმა დადიანთან ბრძოლა აუკრძალა,[2] რაც იმას ნიშნავდა, რომ რუსეთს გადაწყვეტილი ჰქონდა სამეგრელოს მიღება მფარველობაში, და თუ ეს ასე მოხდებოდა, მაშინ მეფე დასავლეთი საქართველოს უზენაესი მბრძანებლის სახელით რუსეთთან მფარველობით ტრაქტატს ვეღარ დადებდა და ამით დასავლეთი საქართველოს გაერთიანებასაც საძირკველი ერყეოდა.

იმერეთის მეფეს ოსმალეთმაც უარი უთხრა დახმარებაზე, რადგან ამ დროს მას საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ I ემუქრებოდა დაპყრობით, ამიტომ ოსმალეთს რუსეთთან მეგობრობა უფრო სჭირდებოდა, ვიდრე იმერეთის სამეფო. სტამბოლში იმე-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 293.

[2] იქვე.

რეთის ელჩის საქმიანობის შესახებ შეიტყო რუსეთის წარმომადგენელმა სტამბოლში იტალინსკიმ და ეს ციციანოვს აცნობა[1].

ციციანოვმა 1803 წლის 31 აგვისტოს რუსეთის მთავრობას მოახსენა, რომ იმერეთის მეფემ შეიპყრო კვინიხიძე, რომელსაც ციციანოვის პასუხი მოჰქონდა დადიანთან რუსეთის მფარველობაში სამეგრელოს მიღების შესახებ და სიკვდილით დასჯა იგი. ამასთან, ციციანოვი იმასაც ატყობინებდა იმპერატორს, რომ იმერთა მეფე მუხანათობდა და რომ მან სტამბოლში ელჩი გაგზავნა დახმარების სათხოვნელად, თუმცა უარით გამოისტუმრესო. ამიტომ ციციანოვი ნებართვას ითხოვდა, იმერეთში ჯარით შესულიყო და ტახტზე კონსტანტინე ბატონიშვილი აეყვანა.

იმერეთის მეფის მოქმედებას რუსეთის სამეფო კარზე დიდი უკმაყოფილებით შეხვდნენ, თუმცა სოლომონ ლეონიძე მათ არწმუნებდა, რომ ოსმალეთში ელჩის წარგზავნა ქართლ-კახეთის ბატონიშვილების ნამოქმედარი იქნებაო, მაგრამ იმერეთის ელჩისა იქ არავის სჯეროდა. სოლომონმა ციციანოვის დასმენას შუამავლის მოკვლის შესახებ ასე უპასუხა: დადიანის მიერ გამოგზავნილი კაცი, გვარად კვინიხიძე, ჩემი ქვეშევრდომი იყო, რომელიც დიდი ხანია გაიქცა როგორც ქურდობაში შენიშნული. მან ბევრჯერ ჩაიდინა საქმე, ღირსი სიკვდილით დასჯისა, ბოლოს გზის მცველებმა მას ქურდობის დროს მოუსწრეს და მოკლესო.

ასეთი ვერსია რუსეთის სამეფო კარზე არ ირწმუნეს განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დადიანმა რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლა გადაწყვიტა. ამიტომ იმერეთის ელჩი სოლომონ ლეონიძე „გამოგდებულ იქნა“ რუსეთის სამეფო კარიდან[2], ხოლო იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ასეთი მითითება მისცა ციციანოვს: „1. სოლომონ მეფე ვერაგულად იქცევა — ჩვენ მფარველობას ეკითხოვს და ამავე დროს თურქეთს ეხვეწება დახმარებას ჩვენი ჯარის წინააღმდეგ. ამიტომ მე შევაწყვეტინე მოლაპარაკება მის ელჩთან; 2. სოლომონ-მეფე არაა საიმედო. ამიტომ თქვენ გევალებათ დაიცვათ აღმოსავლეთი საქართველო იმ არეულობისაგან, რაც იმერეთში დღითი დღე ძლიერდება; 3. ამისათვის თქვენ სამხედრო ძალით უნდა დაიჭიროთ ქუთაისი და იმერეთის სტრატეგიული ადგილები შესაძლებლობისთანავე; 4. ამ ღონისძიებებზე თქვენ არ აიღებთ ხელს სოლომონის შესაძლო წინააღმდეგობის შემთხვევაშიც: მაშინ თქვენ იმას გამოუცხადებთ: ა) იმერეთში არსებულმა უკმაყოფილებამ შეიძლება გამოიწვიოს აშლილობანი, რაც საფრთ-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 293.

[2] ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი ძეთხრობა, თბ., 1941, გვ. 85.

ხეში ჩააყენებს ქართლსაც; ბ) ამას გარდა, იმერეთის დაკავება აუ-ცილებელია რუსეთისათვის საზეგრელოსთან პირდაპირი კავშირის დასაჭერად; გ) შავი ზღვის სანაპიროზე მომაგრების შემდეგ, თქვენ უნდა დაიჭიროთ ბაქო და სალიანი. ამით ჩვენი გახდება კასპიის ზღვაც და ამ ზღვების გაერთიანება რუსეთის ვაჭრობას ახალ გასაქანს მისცემს"[1].

ე. ი. რუსეთთან იმერეთის სამეფოს შეერთების საქმეში ციციანოვს სრული თავისუფლება ეძლეოდა; ამავე დროს, იმპერატორი ალექსანდრე კონსტანტინე ბატონიშვილის გამეფების წინააღმდეგი იყო[2].

1803 წლის 23 დეკემბერს გრაფი ვორონცოვი ციციანოვს სწერდა: „იმერეთის მეფის ვერაგობის მშვიდობიანი საშუალებებით გამოსწორება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, ის საჭიროა კარგად შეაშინოთ და მაშინ გახდება უვნებელი. ამ საქმეს თქვენ განდობით მის წარმოგზავნილს კი განუცხადებთ, რომ თქვენ უფლებამოსილი ხართ თქვენი შეხედულებისამებრ დაამთავროთ საქმე და თვითონ მასაც თქვენთან გამოვაგზავნით"[3].

ციციანოვს თურქეთის გაღიზიანებისა ერიდებოდა და ამიტომ ვერ ახორციელებდა საჭირო ღონისძიებებს, მაგრამ მან მალე მიიღო ცნობა იტალინსკისაგან, რომ ოსმალეთის სულთანი წინააღმდეგი არაა იმერეთი დათმოს, რომ უფრო დიდ პოლიტიკურ ამოცანებთან დაკავშირებით ოსმალეთი სიამოვნებით უთმობს რუსეთს მთელ დასავლეთ საქართველოს, რომ ოსმალეთი რუსეთს თვლის თავის დამცველად ნაპოლეონის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამის შემდეგ ციციანოვი აღარ მალავდა, რომ მას თუმცა პეტერბურგიდან ნაბრძანები ჰქონდა ძალით დაეკავებინა იმერეთის სამეფო, მაგრამ სისხლის ღვრას ერიდებოდა და მშვიდობიანი გზით ცდილობდა ქვეყნის დამორჩილებას. იმერეთის მეფეზე რომ დიდი ზეგავლენა მოეხდინა, მან ოფიციალურად ბრალი დასდო იმერთა მეფეს რუსეთის მფარველობაში მყოფ დადიანთან მტრობაში. ამის საბუთად კვინიხიძის მკვლელობა და ფალავანდიშვილის დაკითხვა (რომლის მეშვეობითაც ციციანოვი ფოლაპარაკებას აწარმოებდა გრიგოლ დადიანთან) გამოიყენა,[4] შემდეგ ლეჩხუმის დაკავებაც

---

[1] შ. ბ ურ ჯ ა ნ ა ძ ე, იმერეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთთან სოლომონ მეორის დროს, „მაცნე" № 3, 1967, გვ. 91.

[2] კაკა, II, გვ. 359 (რუს.). დაწვრილებით იხილე მ. დ უ მ ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 163—168.

[3] იქვე, გვ. 362.

[4] .კაკა, II, გვ. 357, 358, 361, 362 (რუს.).

უსაყვედურა, მაგრამ სოლომონ მეფე ციციანოვს უსაბუთებდა, რომ ლეჩხუმი იმერეთის კუთვნილება იყო და დადიანს იგი უკანონოდ ჰქონდა მიტაცებული.

რუსეთს გადაწყვეტილი ჰქონდა იმერეთი თავისი იმპერიის ფარგლებში მოექცია, რათა შემდეგ სამეგრელოს სანაპიროდან შავი ზღვით ყირიმს დაკავშირებოდა და მთელ საქართველოსთან უფრო ხელმისაწვდომი გზა ჰქონოდა.

პავლე ციციანოვმა სოლომონ მეფესთან მოსალაპარაკებლად მიხეილ ვორონცოვი[1] გაგზავნა და თან თავის მიერ შედგენილი ტექსტის პროექტი გაატანა, რომლითაც იმერთა მეფეს რუსეთის მფარველობაში შესვლა უნდა ეთხოვა. მეფემ პირველ ხანებში ვორონცოვი არ მიიღო, ავადმყოფობა მოიმიზეზა, მაგრამ ბოლოს, 1804 წლის 20 მარტს იგი მიღებულ იქნა მეფის მიერ. მეფემ იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცების სურვილი განაცხადა, მაგრამ სათხოვარ პუნქტებს ხელი არ მოაწერა იმ მოსაზრებით, რომ სოლომონ ლეონიძის დაბრუნებას დავუცდი, ის იმპერატორის პასუხს ჩამომიტანსო.

ამ პერიოდში ციციანოვს განჯის კამპანია დამთავრებული ჰქონდა და რუსეთიდან ორი პოლკი ჯარიც მოუვიდა დამხმარედ, ამიტომ გადაწყვიტა, იმერეთში ჯარი შეეყვანა. მან იმერეთის სარდალს ქაიხოსრო წერეთელს შიმართა: „თუ სოლომონი არ დამემორჩილება და არ ეძიებს სრულიად რუსეთის მფარველობასა და ქვეშევრდომობას, მაშინ იცოდეთ, რომ საკითხი უღრეესად არ მოგვარდება"[2]. ამასთან ერთად, ციციანოვმა ალექსანდრე I-ის მითითებით იმერეთის თავადაზნაურობის მოსყიდვა დაიწყო. ჩარტორიისკისადმი გაგზავნილ წერილში ციციანოვი წერდა: „საჭიროდ ჩავთვალე იმერეთში შესვლის წინ იქ გამეგზავნა ოქრო-ვერცხლის ავანგარდი... ვვარაუდობდი, რომ შესაძლებელია ამ საშუალებით მოხერხდეს იქ შესვლა"[3].

ოქროს „ავანგარდმა" მართლაც გასჭრა — მეფის „ერთგული" თავადები სწრაფად გადადიოდნენ ციციანოვის ხარეზე. გიორგი აბაშიძემ ერთდროულად ათი ათასი მანეთი მიიღო მოღალატეებზე გასანაწილებლად; ამ მოღალატეებს სათავეში ჩაუდვა მეფის სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, რომელმაც შემდეგში მრავალჯერ შეახსენა ციციანოვს — დაპირება დიდი იყო, ოქრომ კი იმერეთში მეტად მცირე რაოდენობით მოაღწიაო.

---

[1] მიხეილ ვორონცოვი შემდეგში — 1844—1854 წლებში — კავკასიის მეფისნაცვალი ვახდა.

[2] კაკა, ტ. II, გვ. 367 (რუს.).

[3] იქვე, გვ. 371 (რუს.).

მიუხედავად იმისა, რომ ციციანოვს ახლა შედარებით მეტი სამხედრო ძალა ჰყავდა, მაინც მორიგებით სურდა იმერეთის შესვლა რუსეთის ქვეშევრდომობაში. მაგრამ ლეჩხუმის საკითხი ყოველთვის შლიდა მოლაპარაკებას — მეფე მფარველობისათვის მზადყოფნას იმ პირობით აცხადებდა, თუ მას შეუნარჩუნებდნენ თავის სამემკვიდრო ლეჩხუმს. ამაზე ციციანოვი არ თანხმდებოდა. ბოლოს ციციანოვმა დაარღვია პეტერბურგის მითითება, რომ ლეონიძე თბილისში გაეჩერებინა, სანამ იმერეთს არ შემოიერთებდა და მისი მეშვეობით სცადა მეფეზე ზემოქმედება.

ციციანოვმა ლეონიძეს განუცხადა, რომ მას იმპერატორისაგან მიღებული აქვს მითითება, იმერეთის სამეფო იარაღით დაიპყროს და იქ მეფობა გააუქმოს, რომ ციციანოვი რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებს და იმერეთში მეფის შეზღუდული ხელისუფლების დატოვებას შესაძლებლად თვლის, ამიტომ ციციანოვი ლეონიძის მეშვეობით მეფეს „საქმის გამოსწორებას" პირდება, თუ ის უსიტყვოდ მიიღებს მის მიერვე შემუშავებულ „საქვეშევრდომო მუხლებს"[1].

ლეონიძეს მეფე უნდა დაერწმუნებინა, რომ მას თავის გადასარჩენად სხვა გზა არ ჰქონდა და წერილობით უნდა მიემართა ციციანოვისათვის, რომ ყველაფერზე თანახმა იყო[2].

ციციანოვის მხრიდან ეს მეფისათვის დიდ დახმარებას ნიშნავდა, რადგან მას იმპერატორისაგან მეფობის გაუქმება ჰქონდა დავალებული. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს რუსეთს საქართველოში დიდი ძალები არ ჰყავდა, ამიტომ ციციანოვი ნებაყოფლობით შემოერთებას თვლიდა მიზანშეწონილად და ამ მიზნით მუქარა-დაშინებასაც მიმართავდა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არც იმერეთის ხალხს და მეფეს სურდათ ომი. მ. ვორონცოვის დაკვირვებით, „იმერეთში მცირედი სამზადისიც არა აქვთ ომისა"[3].

სოლომონ მეფემ მიიღო ციციანოვის წინადადება მოსალაპარაკებლად შეხვედრის თაობაზე და 1804 წლის 19 აპრილს იმერეთის საზღვარზე — სოფ. ელაზნაურში ერთმანეთს შეხვდნენ იმერეთის მეფე სოლომონ II და გენერალი პავლე ციციანოვი.

ციციანოვმა იმერთა მეფეს შესთავაზა რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომობაში შესვლა. ტრაქტატის ნაცვლად სოლომონ მეფეს უნდა დაეწერა თხოვნა იმპერატორის სახელზე და ამ თხოვნაში ჩა-

---

[1] მ. დუმბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 167.
[2] იქვე, გვ. 168.
[3] კაკა, ტ. II, გვ. 271 (რუ

მოთვლილი უნდა ყოფილიყო ქვეშევრდომობაში მისი შესვლის პირობები; კერძოდ, იგი ხელს იღებდა გარეშე სახელმწიფოებთან ურთიერთობაზე, ხოლო საშინაო საქმეებიდან — სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებაზე.

იმერთა მეფე დაეინებით მოითხოვდა ლეჩხუმის შენარჩუნებას, მაგრამ ციციანოვი ამაზე არ თანხმდებოდა, რადგან იგი დადიანისად იყო ცნობილი, მასთან ამიტომ შეთანხმებაც არ მოხერხდა.

მეორე დღეს, 20 აპრილს, რუსეთის ჯარმა გენერალ ტუჩკოვისა და პოლკოვნიკ ერისთავის წინამძღოლობით გადალახა იმერეთის საზღვარი, დაიკავა სოფლები და ხალხს რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე ფიცის მიღება დააწყებინა. იმერთა მეფეს კრიტიკული მომენტი დაუდგა, ციციანოვის „ავანგარდმა" (ოქრომ) იმოქმედა და მეფე შინაგან დასაყრდენ ძალებს მოკლებული აღმოჩნდა. თავის მხრივ, ციციანოვიც გრძნობდა ქვეყნის შემოერთებასთან დაკავშირებულ სიძნელეებს და ამიტომ იარაღის გამოყენებას მაინც საქმის მშვიდობიანი მოგვარება ამჯობინა — ვითომც სიძეესთან გამოშშვიდობების საბაბით მეფის ბანაკში ქაიხოსრო წერეთლის სიმამრი გიორგი აბაშიძე შეგზავნა. მეფემ ისარგებლა ამ მომენტით და ციციანოვთან მოსალაპარაკებლად სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, სარდალი ქაიხოსრო წერეთელი და სეხნია წულუკიძე გაგზავნა. 25 აპრილს სოფ. ელაზნაურში მეფე და გენერალი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს და შეთანხმებასაც მიაღწიეს. მეფემ ხელი მოაწერა არა მფარველობით ტრაქტატს, არამედ თხოვნას რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შესახებ. დოკუმენტი დაწერილი იყო როგორც თხოვნა-საევდრებელი იმპერატორის სახელზე, რომელიც 17 პუნქტისაგან შედგებოდა.

ციციანოვთან მეორედ შეხვედრის დროს (25 აპრილს) სოლომონმა სცადა, ციციანოვის მიერ შედგენილი სათხოვარის მუხლები შეემსუბუქებინა; მაგალითად, რუსეთის იმპერატორთან უშუალო მიმოწერის უფლება ჰქონოდა, რუს მოხელეებთან უკმაყოფილების შემთხვევაში იმპერატორთან ჩივილის უფლება მიეღო, ლეჩხუმში მეფის ჯარი მდგარიყო, სანამ იმპერატორი ამ სადაო საკითხს არ გადაწყვეტდა; გურიის სამთავრო იმერეთის სამეფოს შემადგენელ ნაწილად ეცნოთ; რუსეთის მთავრობას მეფისათვის ჯამაგირი დაენიშნა; მეფეს უფლება ჰქონოდა, საჭიროების შემთხვევაში სათხოვარ მუხლებში ცვლილებები შეეტანა[1].

იმერეთის მეფის ეს მოთხოვნები ციციანოვმა გადაჭრით უარყო, მაგრამ საჭიროდ სცნო ნაწილობრივ დათმობაზე წასულიყო ლეჩ-

[1] ჯაკა, ტ. 11, გვ. 374—377 (რუს.).

ხუმის საკითხში, რომელიც ყოველთვის სადავოდ იყო ქცეული და შეთანხმების ჩაშლის მიზეზი ხდებოდა, ციციანოვმა შემდეგნაირად მოაგვარა: მეფეს მისცა საიდუმლო წერილი, რომელშიც თანხმობას აცხადებდა, ლეჩხუმი მეფეს დარჩენოდა, სანამ იმპერატორი არ განიხილავდა ლეჩხუმის კუთვნილების დამადასტურებელ საბუთებს. გურიის სამთავრო ციციანოვმა მეფეს მიათვალა და ის ურთიერთობა, რაც მეფესა და გურიელს შორის არსებობდა, იურიდიული აქტით გაფორმდა, როგორც ვასალური დამოკიდებულება.

1804 წლის 25 აპრილს იმერეთის მეფემ ხელი მოაწერა სათხოვარ მუხლებს, რომელთა ძალითაც მეფე რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომი გახდა, ხოლო იმერეთის სამეფო — რუსეთის შემადგენელი ნაწილი.

ასე შეიერთა რუსეთმა იმერეთის სამეფო.

სათხოვარი პუნქტები, რომელთაც მეფემ ხელი მოაწერა, შემდეგი შინაარსისა იყო:

იმერეთის სამეფო რუსეთის იმპერიაში შემავალ ქვეყნად ცხადდებოდა. სოლომონს მეფობა საშვილიშვილოდ უმტკიცდებოდა, ხოლო თუ ძე არ ეყოლებოდა, მემკვიდრედ კონსტანტინე ბატონიშვილი იგულისხმებოდა.

იმერეთის მეფის ტახტზე ასვლა იმპერატორის თანხმობით უნდა მომხდარიყო, ხოლო იმერეთის მეფე პირობას დებდა, რომ ყველაფერში მთავარმართებელს დაემორჩილებოდა და მისი ერთგული იქნებოდა; ხოლო სისხლის სამართლის საქმეებს ამიერიდან რუსეთის მოხელეები აწარმოებდნენ.

მეფე ვალდებული იყო, იმერეთის ტერიტორიაზე დაბანაკებული რუსეთის ჯარი უზრუნველეყო ზომიერ ფასებში ბინით, სათბობით და სურსათით.

თუკი იმერეთის სამეფოში რაიმე მადნეულობა აღმოჩნდებოდა და მათი დამუშავება მოხდებოდა, იქიდან მეფეს გარკვეული წილი უნდა მიეღო. მუშა-ხელი მეფეს უნდა გამოეყვანა, ხოლო მუშის ქირას სამთამადნო მმართველობა გადაიხდიდა.

ახალი ქალაქის გაშენების შემთხვევაში, თუ მას სარგებლიანობა ექნებოდა, მეფეს წილი უნდა მიეღო.

გემთმშენებლობისათვის თუ ვარგისი ხე-ტყე აღმოჩნდებოდა, მეფეს იგი უფასოდ უნდა მიეცა რუსეთისათვის, ხოლო მოჭრა-გადაზიდვის ხარჯები მეფის რუსეთის ხაზინას უნდა გაეღო.

იმერეთის ტერიტორიაზე გამავალ სავაჭრო გზაზე ბაჟის აღება უნდა გაუქმებულიყო, ხოლო მეფე თავის წილს მიიღებდა საერთო საიმპერიო საბაჟო შემოსავლიდან.

იმერეთის მეფეს უნდა დაებრუნებინა დადიანისათვის სამეგრელოდან წამოყვანილი ტყვეები და არავითარი პრეტენზია არ უნდა ჰქონოდა სამეგრელოს სამთავროს მიმართ.

მეფე ვალდებული იყო, გაეყვანა საურმე გზა ვახანიდან ქუთაისამდე და მასვე უნდა უზრუნველეყო გზის მოვლა-პატრონობა და უშიშროება.

მეფეს უნდა დაემტკიცებინა კონსტანტინე ბატონიშვილისათვის საბატონიშვილო მამული, მხოლოდ ერთი პირობით — კონსტანტინეს იმერეთში არ უნდა ეცხოვრა, რადგან შიშობდნენ, რომ ეს შინაურ შფოთს გამოიწვევდა.

აიკრძალა ამერ-იმერში გადასახლ-გადმოსახლება ხელისუფლების ნებართვის გარეშე.

ასეთი შეთანხმების დადებით დიდად კმაყოფილი ციციანოვი იმ დღესვე იმპერატორ ალექსანდრე I-ს საქართველოს ისტორიის მოშველიებით აცნობებდა, რომ: „განგებას ენება, რათა საქართველოს სამეფო, ქართველთა მეფის ალექსანდრე პირველის მიერ 1390 წელს დაყოფილი იმერეთის სამეფოდ და სამეგრელოს სამთავროდ სრულიად რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე პირველის მიერ კვლავ შეერთებულიყო"[1].

ამგვარად, რუსეთის მთავრობამ ისარგებლა იმერეთის მეფესა და დადიანს შორის შინაბრძოლებით და ასე იოლად შეძლო სამეგრელო-იმერეთის მოქცევა თავის მფარველობასა და პოლიტიკურ გავლენაში.

მთავარმართებლად დანიშვნისას ციციანოვის მიერ იმპერატორისაგან მიღებული მითითება, რომ კავკასიაში რუსეთის საზღვრები კასპიისა და შავ ზღვებამდე გაეწია, უკვე შესრულდა. შავი ზღვის შიმართულებით — ჯერ სამეგრელოს სამთავრო მოექცა რუსეთის მფარველობაში (1803 წ.) და შემდეგ (1804 წ.) იმერეთი.

იმერთა მეფის ცდები — რუსეთის მფარველობაში ისე შესულიყო, რომ დასავლეთი საქართველოს სამთავროები მეფისათვის დაემორჩილებინა, სრული მარცხით დამთავრდა.

ამგვარად, 1804 წლის 25 აპრილის აქტით იმერეთის სამეფომ, როგორც პოლიტიკურმა ერთეულმა, თავისი არსებობა დაასრულა.

იმერეთსა და სამეგრელოსთან დადებული ხელშეკრულება რუსეთის იმპერატორმა 1804 წლის 4 ივლისს დაამტკიცა და იმერთა მეფემ ამის ოფიციალურ საბუთად ალექსანდრე I-ის სიგელი მიიღო.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II. თბ., 1965, გვ. 305.

* * *

რუსეთის მიერ მოპოვებულ წარმატებათა შესანარჩუნებლად და საქართველოს საბოლოოდ შემოსამტკიცებლად აუცილებელი იყო ჯარის გამრავლება დასავლეთ საქართველოში, მაგრამ ეს დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. აქამდე რუსეთი საქართველოს დარიალის ხეობით უკავშირდებოდა, რაც დიდ დროსა და ხარჯებთან იყო დაკავშირებული. მაგრამ ამ გზით რუსეთის ჯარის შემოსვლა უკვე შეუძლებელი ხდებოდა, რადგან 1804 წლის მაისში მთიანეთის აჯანყებამ დარიალის გზის ჩაკეტვა გამოიწვია. აჯანყებულებმა გაელიტეს კაიშაურსა და ციხისძირში მყოფი კაზაკები. ქართლ-კახეთიდან სამხედრო ნაწილების გადაყვანა დასავლეთში მათი სიმცირის გამო არ შეიძლებოდა, ციციანოვი ერევანთან ბრძოლით იყო დაკავებული.

ასეთ პირობებში რუსეთის მთავრობას აუცილებლად მიაჩნდა ზღვით ჯარის გადმოსხმა დასავლეთ საქართველოში, მაგრამ ზღვაზე კვლავინდებურად ოსმალეთი ბატონობდა.

ფოთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნავსადგური იყო შავ ზღვაზე, რადგან იგი რიონის შესართავთან მდებარეობდა, ყირიმიდან ამ გზით ადვილად შეიძლებოდა ჯარის შეყვანა იმერეთსა და სამეგრელოში და ამ ჯარის სურსათით მომარაგება. ამიტომ იყო, რომ ციციანოვი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ამ ნავსადგურს როგორც ეკონომიურად, ისე სტრატეგიულად და თავის მოხსენებაში მიუთითებდა — „სამეგრელო ფოთის გარეშე არაფერს წარმოადგენს". მისი აზრით, რუსეთისათვის ფოთი იქნებოდა უფრო დიდი შენაძენი, ვიდრე სამეგრელო, რადგან ამ ნავსადგურის დაკავებით ოსმალეთი მოწყდებოდა დასავლეთ საქართველოს.

რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა ყირიმიდან შავი ზღვით ფოთის ნავსადგურში ჯარებისა და სურსათ-სანოვაგის შემოზიდვა, მაგრამ ამისათვის ოსმალეთის ნებართვა იყო საჭირო, რადგან ფოთის ციხე მათ ხელში იყო.

იმპერატორის დავალებით იტალინსკი სტამბოლის მთავრობასთან მოლაპარაკებას აწარმოებდა ამის თაობაზე. მან სტამბოლის მთავრობას განუცხადა, რომ ქუჩუკ-კაინარჯის ტრაქტატის ძალით სხვადასხვა ნავმისადგომი და ციხე-სიმაგრეები უნდა დარჩნენ იმ სამთავროთა მფლობელობაში, რომელთაც ისინი ძველთაგანვე ეკუთვნოდათ, ფოთი კი სამეგრელოს ფარგლებში შედიოდა და თურქეთს ისევე უკანონოდ უკავია, როგორც გურიაში ბათუმი და ანაკლია სამეგრელოში. ამიტომ იტალინსკის დასკვნით, ფოთი სამეგრელოს უნდა გადასცემოდა, მაგრამ ეს არც თუ ისე იოლი იყო, როგორც

რუსეთის მთავრობას წარმოედგინა. თურქეთი ჯერჯერობით დუმდა იმერეთისა და სამეგრელოს დაკარგვის თაობაზე, რადგან რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებას ერიდებოდა, ხოლო ამითი გათამამებული რუსეთი თურქეთს არავითარ ანგარიშს არ უწევდა და დარწმუნებული იყო იმაში, რომ ფოთის ნავსადგურსაც მას დაუთმობდა, ამიტომ იყო, რომ იმპერატორმა ციციანოვს დაავალა, რა და როგორი გზითაც არ უნდა მომხდარიყო, ფოთის ნავსადგური ხელში ჩაეგდო. მაგრამ ამიერკავკასიაში არსებულ იმდროინდელ ვითარებაში ფოთის ნავსადგურისათვის ბრძოლა მიზანშეუწონლად ჩათვალეს და იტალინსკიმ სტამბოლის მთავრობას ფოთით მხოლოდ დროებით სარგებლობა სთხოვა, რათა აღმოსავლეთ საქართველოში დაბანაკებული ჯარისათვის გემებიდან სურსათ-სანოვაგე გადმოეტვირთათ. თურქეთის მთავრობამ თანხმობა მისცა ნავსადგურით დროებით სარგებლობაზე.

რუსეთი არ დასჯერდა მარტო სურსათ-სანოვაგის შეტანას და მათ გემებით ჯარის ნაწილებს შეყვანაც დაიწყეს ფოთის გზით. ოსმალეთის მთავრობას ეს შეუმჩნეველი არ დარჩა და აღშფოთებულმა რუსეთს ახსნა-განმარტება მოსთხოვა.

რუსეთის იმპერატორმა იტალინსკის დაავალა, თურქეთის მთავრობისათვის შემდეგი განმარტება მიეცა: ქუჩუკ-კაინარჯის ზავით ფოთის ციხესიმაგრე სამეგრელოს სამთავროს უნდა დარჩენოდა, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო იგი თურქებმა დაიკავესო.[1] ასეთი პასუხით უკმაყოფილო თურქეთმა რუსეთს აუკრძალა ფოთის ნავსადგურით დროებით სარგებლობაც კი. რუსეთის გემები ფოთის თურქმა კომენდანტმა ნაპირთანაც არ მიუშვა და უკან გააბრუნა[2]. რუსეთის ხელისუფლებმა ისევ მიმართეს ფოთის ციხისთავს, ნება დაერთო, გემები გადმოეტვირთათ, მაგრამ კომენდანტმა სასტიკი უარით უპასუხა: „დადიანს არა აქვს მიწა, თვით დადიანი და მეფე სოლომონი თავიანთი მიწებით და წყლებით თურქეთის სულთანს ეკუთვნიან, თუ რუსის ჯარი ფოთთან მოვა, ჩვენ მას სისხლის დაუღვრელად არ გავატარებთ“.[3]

რუსებმა ციხისთავის მოსყიდვაც კი სცადეს, მაგრამ ამაოდ. რუსეთის წარმომადგენლებმა ეს სოლომონ მეფეს გადააბრალეს, ვინაიდან ის წინააღმდეგი იყო რუსეთის ჯარის დაბანაკებისა ზღვის სანაპირო ზოლზე, საიდანაც ყოველთვის შეიძლებოდა იმერეთში შეჭრილიყვნენ.

---

[1] კაკა, გვ. 563 (რუს.).

[2] ა ლ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი. იმერეთის მეფე სოლომონ მეორე, თბ., 1911, გვ. 26.

[3] კაკა, ტ. II, გვ. 283 (რუს.).

რუსეთის მთავრობისათვის ნათელი გახდა, რომ ოსმალეთი ნავმისადგომს არ დაუთმობდა, ამიტომ იმპერატორმა კვლავ წინადადება შისცა ციციანოვს, რაიმე გზით ფოთი ისე ჩაეგდო ხელში, ოსმალეთთან საქმე არ გაემწვავებინა.

რუსეთ-იმერეთის კავშირის გაფორმების შემდეგ ციციანოვმა იმერეთში გაგზავნა თავისი საგანგებო მოხელე პეტრე ლიტვინოვი, რომელსაც 80-კაციანი შეიარაღებული რაზმი ახლდა. დასავლეთ საქართველოში ლიტვინოვის მისიას შეადგენდა:

1. თუ მოხერხდებოდა, უხმაუროდ ფოთის ნავსადგურის ხელში ჩაგდება.

2. დადიანისა და სოლომონის ურთიერთმორიგება, სანამდე რუსეთის ჯარი შეევიდოდა დასავლეთ საქართველოში.

3. რუსეთის ჯარის ზღვით შესვლა სამეგრელოში.

4. მეფე-დადიანის საქმეებში ჩარევა, დადიანის გაძლიერება და მეფის დასუსტება.[1] მასვე ევალებოდა, გამოერკვია ხალხის განწყობილება რუსების მიმართ.

1804 წლის 4 ივნისს ლიტვინოვი ქუთაისში მივიდა და დაკისრებული მოვალეობის შესრულებას შეუდგა. მან გამოარკვია, რომ ფეოდალთა გარკვეული ჯგუფი, ვინც მეფისაგან დამდაბლებული იყო, აგრეთვე, მოსახლეობის დაბალი ფენები, განსაკუთრებით, ვაჭარ-ხელოსნები, რუსების მიმართ სიმპათიით იყვნენ განწყობილნი[2]. ლიტვინოვმა 16 ივნისს სამეგრელოში მოწოდება გამოგზავნა, რომლის ძალითაც ტყვის მსყიდველებს სიკვდილით დასჯა მოელოდათ. ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ მიმართული კანონი მანამდეც იყო გამოცემული. მაგრამ ახლა რუსეთის ჩარევას ამ საქმეში გარკვეული ზეგავლენა უნდა მოეხდინა მოსახლეობაზე[3].

ლიტვინოვისათვის ნათელი გახდა, რომ იმერთა მეფე დადიანივით ქედს არ იხრიდა და სანდო არ იყო. თავის მხრივ, სოლომონმაც გაარკვია, რომ ციციანოვ-ლიტვინოვთან სამართალს ვერ იპოვნიდა. ამიტომ ურთიერთობა იმერეთის მეფესა და რუსეთის წარმომადგენლებს შორის თანდათან რთულდებოდა.

ციციანოვი ლიტვინოვს ურჩევდა, სანამ დასავლეთ საქართველოში რუსეთის ჯარი არ შეევიდოდა, მანამ მეფესთან ურთიერთობის გამწვავებას მორიდებოდა, თორემ დადიანიც და სოლომონიც ერთნაირად უნდონი არიან რუსეთისათვისო, ოღონდ დადიანს სისუსტე აიძულებს, უფრო მეტი ერთგულება გვიჩვენოსო.[4]

---

[1] მ. დ უ მ ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 174.

[2] ი ქ ვ ე.

[3] ი ქ ვ ე.

[4] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 309.

იმერეთში გადმოსვლისთანავე ლიტვინოვი შეეცადა მეფე-მთავარს შორის შეთანხმების მიღწევას. მან საჭილაოში ერთმანეთს შეახვედრა იმერეთის მეფე და სამეგრელოს მთავარი. მეფე-მთავარმა ურთიერთშორის მშვიდობიანობის დაცვის პირობა დადეს, ხოლო ლეჩხუმის საკითხი ისევ ღიად დატოვეს, რადგან იმპერატორის გადაწყვეტილებას უნდა დალოდებოდნენ, რასაც უსიტყვოდ დაემორჩილებოდნენ.

შეთანხმებამდე დადიანმა სამხედრო ძალით დაიკავა ლეჩხუმი გარდა ჭყვიშის ციხისა, ხოლო დეხვირის ციხეს ალყა შემოარტყა. ლიტვინოვმა გამოარკვია, რომ ლეჩხუმის ფეოდალები დადიანს უჭერდნენ მხარს. იმერეთის მეფემ ციციანოვს მიმართა თხოვნით, რათა ნება დაერთო, ისევ დაეპყრო თავისი სამემკვიდრეო ლეჩხუმი, მაგრამ ციციანოვმა ყურად არ იღო მეფის თხოვნა და მხარი დაუჭირა დადიანის ხელში ლეჩხუმის გადასვლას, რითაც სოლომონისათვის მოცემული თავისი ხელწერილი ლეჩხუმის შესახებ გააუქმა.

სოლომონ მეფე იმდენად უკმაყოფილო იყო ლეჩხუმის ჩამორთმევით, რომ ლიტვინოვს შეეშინდა ქუთაისში გაჩერებისა და 1804 წლის შემოდგომაზე სუჯუნის მონასტერში გადავიდა საცხოვრებლად, რომელიც რუსეთის ერთგულ ბესარიონ ჭყონდიდელს ეკუთვნოდა.[1]

განაწყენებული მეფე კვლავ წინააღმდეგობრივად და ორპოფულად მოქმედებდა. იგი ხელს უშლიდა შავი ზღვით ჯარის შემოყვანას, რადგან კარგად იცოდა, რომ აქ ჯარის შემოყვანა იმერეთის დამოუკიდებლობის აღსასრული იქნებოდა. ამიტომ იყო, რომ მან ფოთის გამგებელს აცნობა ლიტვინოვის განზრახვა — რუსები დადიანის მეშვეობით აპირებენ ფოთის ციხის ხელში ჩაგდებასო.

სოლომონმა ვრიგოლ დადიანის გადმობირებაც ცადა, რა თქმა უნდა, ხელსაყრელი პირობების შეთავაზებით, რომ რუსების წინააღმდეგ ერთიანი ძალით ემოქმედით, მაგრამ უარი მიიღო. ამ უარის შედეგი უნდა ყოფილიყო დადიანის უეცარი სიკვდილი, რასაც სოლომონ მეფეს აბრალებდნენ.

ელაზნაურის ტრაქტატი მეფეს დროის მოგების საშუალებად მიაჩნდა და ბრძოლისათვის ემზადებოდა. ბრძოლისათვის ემზადებოდა სპარსეთიც, ოსმალეთი კი უკვე ყურადღებას აქცევდა კავკასიის ამბებს. იმერთა მეფე თავის პოლიტიკურ ხაზს ამ მოვლენებს უკავშირებდა. მას საიდუმლო ურთიერთობა ჰქონდა გაბმული ქართველ ბატონიშვილებთან, ხანებთან, ფაშებთან, სპარსეთის შაჰთან

[1] კაკა, ტ. II, გვ. 401 (რუს.).

და ოსმალეთის კართან[1]. მეფემ ლეჩხუმის ფეოდალების გადმობირება და მათი აჯანყებაც სცადა, მაგრამ ყველგან და ყველაფერში ხელი მოეცარა.

წაგებული ბრძოლის შემობრუნება ძნელდებოდა. ლიტვინოვიც მეფის საშინაო საქმეებში ჩაერია და გურიის სახლის წევრები მეფის საწინააღმდეგოდ განაწყო, ხოლო დადიანის აგენტებმა სოლომონ მეფეს საყრდენი ძალა გამოაცალეს — მათ თავის მხარეზე გადმოიბირეს „ფიცის კაცები" — ავალიანები, მესხები და იოსელიანები.

კონსტანტინე ბატონიშვილი 1804 წლის 12 ივნისს თბილისიდან გაიქცა და სოლომონ მეფესთან მივიდა. მეფემ იგი საიდუმლო ადგილზე დამალა და თუ მოარულ ხმებს დავუჯერებთ, მას სულთანთან გაგზავნას უპირებდა: ამით იმერთა მეფემ რუსეთის მესვეურთ ხელიდან გამოსტაცა ტახტის მემკვიდრე და მათზევე ზემოქმედების იარაღად აქცია.

* * *

ოსმალეთის მიერ ფოთის ნავსადგურის „გადაკეტვის" შემდეგ რუსები იძულებული გახდნენ, სხვა ადგილი ეძებნათ, სადაც მოხერხდებოდა ჯარისა და დატვირთული გემების გადმოტვირთვა. ასეთი ადგილი აღმოჩნდა ხობის შესართავთან სოფელი ყულევი, სადაც აგებულ იქნა პატარა სიმაგრე, რომელსაც „რედუტკალე" უწოდეს.

ამ ნავსადგურს 1804 წლის ოქტომბერში მოადგა სევასტოპოლიდან გენერალ რიკჰოფის სარდლობით გამოგზავნილი სამი სამხედრო გემი, ერთი პოლკი ჯარით, არტილერიით და სურსათით დატვირთული. აღნიშნული გემები განტვირთეს, მაგრამ უგზოობის გამო ჯარის, არტილერიისა და სურსათის ადგილზე მიღწევა ბევრ სიძნელესთან იყო დაკავშირებული. დეკემბრის თვეში აქ ქარიშხლისაგან დაიღუპა ორი გემი და 161 კაცი. რედუტკალე — ყულევში რუსთა ჯარის გადმოსხმა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში. ამით გადაიდგა პირველი რეალური ნაბიჯი შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროდან ოსმალთა განდევნისათვის[2].

მოსული ჯარიდან ციციანოვის განკარგულებით ერთი ბატალიონი ქუთაისში დააბანაკეს, მეორე — ხორგასა და ჭალადიდში, ორი ასეული — ლეჩხუმში, ეს ჯარი შეღავათიანი ფასებით შეძე-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 309.

[2] საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 405—406.

ნილი ადგილობრივი სურსათ-სანოვაგით უნდა დაკმაყოფილებულ-ყო, ხოლო ტრანსპორტით და მუშახელით მომსახურება მოსახლეობას ეკისრებოდა.

მეფის რუსეთის მკაცრი რეჟიმით აღმოსავლეთი საქართველოდან დევნილი ბლომად აფარებდა თავს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაში. ისინი ავრცელებდნენ შემაძრწუნებელ ხმებს რუსეთის მკაცრი მმართველობის და მოხელეთა თვითნებობის შესახებ. ამან მეტად დააფრთხო დასავლეთის ფეოდალები. მაგრამ საზოგადოების დაბალი ფენები კეთილად იყვნენ განწყობილი რუსეთის ჯარის მიმართ, რადგან მათ მიაჩნდათ, რომ რუსები მოსპობდნენ ოსმალების ძალადობას, ტყვეთა სყიდვას და განაწამებ ხალხს მშვიდობას მოუტანდნენ.

იმერეთის მეფე აღაშფოთა რუსეთის დიდი ჯარის შემოსვლამ დასავლეთ საქართველოში, რადგან ხელშეკრულების ძალით იგი 500 კაცზე მეტს არ მოელოდა. მეფე ფიქრობდა, „ხომ არ მიჭერენო“ და ციციანოვს მიმართა კითხვით, მაგრამ ციციანოვმა მუქარით უპასუხა — „თქვენს დასაცავად მოსულ ძალას უნდობლობით ნუ ეკიდებით, თორემ იმპერატორის მიწასთან დამნაშავედ ჩაითვლებით“[1].

იმერეთის მეფესა და რუსეთის წარმომადგენლებს შორის უნდობლობა თანდათანობით იზრდებოდა. ლიტვინოვი, რომელიც მცირე ამალით ქუთაისში ვერ ჩერდებოდა, რადგან ფიზიკური განადგურებისა ეშინოდა და სამეგრელოში ცხოვრობდა, ახლა, ჯარის გამრავლების შემდეგ, ქუთაისში გადმოვიდა.

ლიტვინოვი საჯაროდ აცხადებდა, რომ რუსეთის ხომალდების მოსვლის შემდეგ იმერეთის მეფე რუსეთისათვის საშიში აღარ არისო.

მას შემდეგ, რაც ქუთაისში რუსეთის ახალი ჯარი დაბანაკდა, იმერეთის მეფეს შიში ჰქონდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს მას დაიჭერდნენ და რუსეთში გადაასახლებდნენ, ამიტომ მან ქუთაისი მიატოვა და საცხოვრებლად ზამთრობით ვარციხეში, ხოლო ზაფხულობით ოკრიბასა და გოგში იმყოფებოდა.[2]

ციციანოვი მეფეს უნდობლობას უსაყვედურებდა და მისგან ისევ ქუთაისში დაბრუნებას, კონსტანტინე ბატონიშვილის გაცემას და იმპერატორთან მადლობის დეპუტაციის გაგზავნას მოითხოვდა.

მეფემ კონსტანტინე ბატონიშვილი იშვილა და მის გაცემას არ აპირებდა. ქუთაისში დაბრუნების პირობად რუსეთის ჯარის ქალაქიდან გაყვანას მოითხოვდა. ლეჩხუმის გამო ისევ საყვედურობდა,

---

[1] ყაკა, ტ. II, გვ. 419 (რუს.).

[2] ნ. დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთა ცხოვრება, გვ. 195.

ლიტვინოვს მრავალ უწესო საქციელს აბრალებდა და მის ნაცვლად სხვა მოხელის დანიშვნას ითხოვდა.[1]

აქედანაც ნათლად ჩანს, რომ მეფესა და რუსეთის ხელისუფლებას შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გაუარესდა. მეფე ტრაქტატით გათვალისწინებულ ვალდებულებებს არ ასრულებდა და დამოუკიდებელ პოლიტიკას აგრძელებდა. ციციანოვი თავის მხრივ ლიტვინოვს იმერეთისა და სამეგრელოს საქმეების მმართველს ეძახდა.

ვარციხეში გადასული მეფე მობრუნდა და ერთ ხანს ისევ ქუთაისში ცხოვრობდა.

1805 წლის 19 თებერვალს სოლომონ მეფემ ალექსანდრე I-ის მიერ ხელმოწერილი სიგელი მიიღო, რომელიც მეფეს აუწყებდა, რომ 1804 წლის 4 ივნისიდან იმერეთის სამეფო რუსეთის ქვეშევრდომობაში იმყოფებოდა.

იმერთა მეფემ სიგელი საზეიმო ვითარებაში მიიღო გენერალ რიკჰოფისაგან და მისი შიღების პატივსაცემად წირვა-ლოცვა გადაიხადა.

მიღებულმა სიგელმა მხარეებს შორის გარეგნული მშვიდობა დაამყარა.

იმერთა მეფემ რამდენჯერმე სთხოვა ციციანოვს, ებრძანებინა ლიტვინოვისათვის, რომ გაეთავისუფლებინა დეხვირის ციხე, სადაც რუსეთის გარნიზონი იყო ჩაყენებული, და შეემცირებინა ქუთაისში მდგარი ჯარის ნაწილები, რაც ნორმალური ურთიერთობის აღდგენისათვის იყო აუცილებელი. ციციანოვი წერილობით მეფეს ჰპირდებოდა ციხის გათავისუფლებას, მაგრამ ნათქვამს არ ასრულებდა.

რიგი წარმატებების შემდეგ ციციანოვი 1806 წლის დასაწყისში ბაქოს ციხის მახლობლად დაბანაკდა; ამავე წლის 8 თებერვალს ბაქოს ხანს დამორჩილება და ციხის გასაღების ჩაბარება მოსთხოვა ელიზბარ ქსნის ერისთავის პირით. ბაქოს ხანმა მას თვალთმაქცურად თანხმობა განუცხადა. ციციანოვი ბაქოს მფლობელს ჰუსეინყულიხანს 1796 წლიდან იცნობდა, როცა ის მონაწილეობას იღებდა ზუბოვის ექსპედიციაში, მეგობრობდა კიდევაც მასთან, ამიტომ ციციანოვმა სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება უშუალოდ მიეღო ხანისაგან ციხის გასაღები. იგი მხოლოდ ერთი ოფიცრის — ერისთავისა და ორი კაზაკის თანხლებით გაემართა ციხისაკენ. ხანი ციხიდან გამოვიდა, გასაღები ჩააბარა და ციციანოვი სასაუბროდ მიიწვია. როცა ნოხზე მსხდომნი ყალიონს აბოლებდნენ, ხანის მხლებელმა იბრეიმ-ბეგმა ციციანოვს კეფაში დამბაჩა დაახალა, ხოლო

[1] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 315.

მეორე გასროლით ქსნის ერისთავი მოკლა. ციციანოვს თავი მოჭ-ეკვეთეს[1] და სპარსეთის შაჰს აბას-მირზას მიართვეს.

ციციანოვის სიკვდილი მძიმე დანაკლისი იყო რუსეთის მთავ-რობისათვის. მისი ენერგიული მოქმედების შედეგად მთელი კავკა-სია რუსეთის მფლობელობაში მოექცა, მაგრამ ამ ვრცელი ტერი-ტორიის შენარჩუნებისათვის საჭირო იყო სამხედრო ძალის გა-მოგზავნა, რომელიც უზრუნველყოფდა მშვიდობის დამყარებას ამ მხარეში, ამის საშუალება კი იმჟამად რუსეთს არ გააჩნდა, რად-გან მოკავშირეებთან ერთად ნაპოლეონთან ომში იყო ჩაბმული და პირიქით, იძულებული გახდა, კავკასიიდან ევროპის ფრონტზე გაეგზავნა რამდენიმე პოლკი.

ფრანგების გამარჯვებამ რუსებზე დიდი გავლენა მოახდინა კავ-კასიის ხალხებზე. ნაპოლეონის აგენტები ცდილობდნენ ოსმალეთ-რუსეთს შორის უთანხმოების ჩამოგდებას, ოსმალეთ-სპარსეთის შეკავშირებას და რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმას. ასეთ ვითა-რებაში რუსეთი თავს იკავებდა კავკასიაში ომის წარმოებისაგან, ცდილობდა, მოპოვებული შეენარჩუნებინა და როცა საჭირო დრო დადგებოდა, ისევ სწრაფად გადასულიყო შეტევაზე.

მოკლული ციციანოვის ადგილზე მთავარმართებლად დაინიშნა გენერალი გუდოვიჩი, რომელსაც დაევალა კავკასიის, კერძოდ სა-ქართველოს დამშვიდება.

• • •

იმერეთის მეფე არ წყვეტდა დამოუკიდებლობისათვის ბრძო-ლას. ახლა თავის იმედებს იგი რუსეთ-ოსმალეთს შორის მოსალოდ-ნელ ომზე ამყარებდა. მისი აზრით, ამ ბრძოლაში მეომარი მხარეები დასუსტდებოდნენ და იმერეთს დამოუკიდებლობის გარანტია მიე-ცემოდა. იმერთა მეფე ორივე სახელმწიფოს ერთგულებას ეფიცე-ბოდა, სინამდვილეში კი არც ერთისა არა სწამდა რა. ასევე, სოლო-მონ მეფის ერთგულება არც რუსებს სჯეროდათ და არც ოსმალებს. რუსეთისათვის ნათელი იყო, რომ მეფე მათ ღალატობდა, ამიტომ, როდესაც იმერეთში ციციანოვის სიკვდილის ამბავი მოვიდა, გენე-რალმა რიკჰოფმა ჯარით დაიკავა ქუთაისი. სოლომონ მეფემ მოინ-დომა ძალით გაეთავისუფლებინა ქალაქი, მას ალექსანდრე ბატო-ნიშვილიც აქეზებდა და ახალციხის ფაშაც დახმარებას პირდებოდა.

---

[1] 1811 წლამდე ციციანოვის ნეშტი იქვე ციხის კართან იყო დაფლული. ამ წელს კავკასიის მთავარმართებელმა მარკიზმა პაულუჩმა იგი გადმოასვენა ტ-ფილისის სიონის ტაძარში დაკრძალა.

რუსების ჯარის მიერ ქუთაისის დაკავებამ იმერეთში მღელვარება გამოიწვია. მეფე რიკჰოფს ჰპირდებოდა სურსათის მიწოდებას, თუ ქუთაისიდან ჯარს გაიყვანდა. ამ პირობაზე გენერალი არ თანხმდებოდა. მას არ შეეძლო სოლომონის წინააღმდეგ აქტიურად ემოქმედნა, რადგან საამისო სამხედრო ძალები არ ჰყავდა; სოლომონ მეფემ თავისი მახლობლების ჩაგონებით გამოაცხადა, რომ იგი იმერეთს განთავისუფლებულად თვლის რუსეთის უზენაესი გამგებლობისაგან და გენერალ რიკჰოფს ჯარის გაყვანა მოსთხოვა ქუთაისიდან. გუდოვიჩი ამ წინადადებაზე არ დათანხმდა და მეფის დარწმუნება ცადა — ჯარი შენ დასაცავად მიდგას ქუთაისშიო. მეფე რომ რუსეთს ღალატობდა, ეს მაშინაც ცხადი გახდა, როცა რუსების მომხრე ზურაბ წერეთელი ჩამოიშორა და მის მაგივრად სახლთუხუცესად როსტომ ნიკარაძე დანიშნა.

ზურაბ წერეთელმა დიდი როლი შეასრულა იმერეთის სამეფოს გაუქმების საქმეში. იგი იყო პატიმოყვარე, შორსმჭვრეტელი და მოანგარე ადამიანი. ზურაბი ცდილობდა სოლომონის ტახტიდან ჩამოგდებას და მეფეს უკვე 1805 წლიდან ღალატობდა[1].

უკმაყოფილოდ დარჩენილი წერეთელი, მას შემდეგ, რაც მეფემ თავიდან მოიშორა, რუსებს აწვდიდა მეფის ყველა გეგმებსა და ჩანაფიქრს. 1808 წელს მან გუდოვიჩს შეატყობინა — მეფე დაქირავებული ლეკების დახმარებით რუსების განდევნას აპირებსო იმერეთიდან, ამიტომ თუ იგი ამ გადაწყვეტილებას არ შეცვლის, სოლომონ მეფე იმერეთიდან უნდა განვდევნოთ და მეფობას მე ვიკისრებო. მაგრამ რუსები ამ წინადადებაზე არ დათანხმდნენ. იმის შემდეგ, რაც წერეთელმა გაარკვია მისდამი რუსების დამოკიდებულება, იგი ისევ სოლომონ მეფის მხარეზე გადავიდა და 1808 წლიდან 1810 წლამდე კვლავ მეფის სახლთუხუცესი იყო[2].

რუსეთის სამხედრო ძალა იმერეთში თანდათანობით მატულობდა. მეფე გრძნობდა, რომ ეს ძალები მის ტახტიდან ჩამოსაგდებად იყვნენ მოსულნი, ამიტომ წერეთლის მეშვეობით გუდოვიჩს შეუთვალა: — გულწრფელად ვინანიებ ჩემს შეცდომებს და რუსთ ხელმწიფეს ერთგულებას ვპირდებიო, როცა ნიშნად მისი ერთგულებისა მეფეს მძევლები მოსთხოვეს, არ დათანხმდა, ვარციხეში გადავიდა და იქიდან მოითხოვა რუსთა ჯარის გაყვანა ქუთაისიდან და ლეჩხუმის დაბრუნება.

---

[1] 6. შ ე ნ გ ე ლ ი ა, სახლთუხუცესის თანამდებობა იმერეთის სამეფოში, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1940 წ.

[2] ი ქ ვ ე.

ამ დროს სოლომონ მეფესთან ხონთქრის წინადადებით ახალ-ციხის ფაშასაგან მდიდარი საჩუქრებით დატვირთული წარმო-მადგენელი მოვიდა და წინადადება მისცა, იმერეთი ისევ შესული-ყო ხონთქრის მფარველობაში. ხონთქრის ყურადღებით გახარე-ბულმა და გამხნევებულმა მეფემ საყვედურით აღსავსე წერილი მისწერა გენერალ რიკჰოფს — მოტყუებული ვარ ხელმწიფისაგან, ლეჩხუმს არ მიბრუნებენ, ქუთაისის სასახლე წამართვეს, თვითონ სოფელს ვაფარებ თავს, ამაზე მეტი დამცირება რა იქნებაო.

* * *

ნაპოლეონის სამხედრო წარმატებებმა ეგვიპტეში თუმცა ოსმა-ლეთის მხრივ უკმაყოფილება გამოიწვია და ამან ოსმალეთი რუ-სეთთან დააახლოვა (1798—1806 წწ.), მაგრამ ნაპოლეონის მომდეე-ნო წარმატებებმა ევროპაში ოსმალეთი საფრანგეთის მოკავშირედ აქცია. ამრიგად, ნაპოლეონის გამარჯვებებმა მოაახლოვა რუსეთ-ოსმალეთს შორის ომის დაწყება.

ოსმალეთი განაწყენებული იყო იმერეთ-სამეგრელოს დაკარგ-ვით. ახლა მას ყველაზე მეტად რუსების მიერ შავ ზღვაზე ფეხის მოკიდება და რედუტ-კალეს სიმაგრის აგება აშინებდა.

ნაპოლეონისაგან წაქეზებულმა და მისი მხარდაჭერით გამხნევე-ბულმა ოსმალეთმა 1806 წელს რუსეთს ომი გამოუცხადა. ბრძო-ლის ერთ-ერთ ასპარეზად კვლავ დასავლეთი საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლი იქცა — ოსმალეთი დასავლეთ საქართვე-ლოს ხელში ჩაგდებისათვის იბრძოდა. ოსმალეთმა რუსებთან საბრ-ძოლველად მოუწოდა დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს და ამიერკავკასიის ხანებს, რადგან იცოდა, რომ ისინი უკმაყო-ფილონი იყვნენ რუსებისა.

რუსეთს ერთდროულად სამ ფრონტზე უხდებოდა ბრძოლა: მდ. ვისლაზე — ნაპოლეონის წინააღმდეგ, მდ. დუნაიზე — ოსმალეთის წინააღმდეგ, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში — სპარსეთის წინააღმ-დეგ.

1807 წლის თებერვალში ოსმალეთის ფლოტი თავს დაესხა რე-დუტ-კალეს სიმაგრეს, გაფთრებული წინააღმდეგობის შედეგად რუსებმა თავდასხმა მოიგერიეს და ციხე-სიმაგრე შეინარჩუნეს. ამ ბრძოლაში მონაწილეობა ვერ მიიღო ქუთაისში მდგომმა გენერალმა რიკჰოფმა, რადგან მას იმერეთის მეფე სანდოდ არ მიაჩნდა და ახალ-ციხის ფაშის თავდასხმის მოლოდინშიც იყო. გუდოვიჩმა რიკჰოფს დამატებით ერთი ბატალიონი ჯარი გაუგზავნა და ახალციხიდან ქართლში შემოსასვლელი ხეობა გაამაგრა.

შავ ზღვაზე ფოთი წარმოადგენდა ოსმალეთის საყრდენ პუნქტს. აქედან ყოველთვის იქმნებოდა დასავლეთ საქართველოში შეკრის საფრთხე, ამიტომ რუსეთის მთავარსარდლობამ გადაწყვიტა მისი ხელში ჩაგდება. 1807 წლის მაისში გენერალმა რიკჰოფმა სამეგრელოში მყოფი რუსეთის ჯარით ფოთის ასაღებად გაილაშქრა, ქალაქი დაიკავა და ციხეს გარს შემოადგა. რადგან იერიშით მისი აღება არ ხერხდებოდა, იგი ფიქრობდა ხანგრძლივი ალყით მეციხოვნეების გატეხას. ამასობაში ოსმალეთმა მაშველი ძალები გამოგზავნა, რითაც რუსეთის ჯარს გარემოცვის საფრთხე დაემუქრა. რიკჰოფმა ხიფათისათვის რომ თავი დაეღწია, ციხეს ალყა მოხსნა და უკან დაიხია. ამასობაში რუსეთ-ოსმალეთს შორის დროებითი ზავი დაიდო და რიკჰოფმა გუდოვიჩისაგან ბრძანება მიიღო — ქუთაისში ჯარით დაბრუნებულიყო.

რუსეთ-ოსმალეთის საომარ ოპერაციებში სოლომონ მეფეს მონაწილეობა არ მიუღია. როდესაც მას გენერალმა რიკჰოფმა სამხედრო დახმარება სთხოვა, სოლომონმა უპასუხა, რომ „ჩვენ განზრახვა გვქონდა და მზადაც ვიყავით სამსახური გაგვეწია რუსეთის ჯარისათვის, მაგრამ თქვენ თავიდანვე ფიცი დაარღვიეთ და ჩვენი სამფლობელო ლეჩხუმი წაგვართვით“[1]. როდესაც გენერალმა რიკჰოფმა ფოთზე გაილაშქრა, დახმარების ნაცვლად სოლომონ მეფე ქუთაისში შევიდა, რუსთა ჯარის ყაზარმები დაანგრია და თავისი ჯარის შეყრას შეუდგა[2].

სოლომონ მეფისა და რუსეთის ურთიერთდამოკიდებულება ოსმალეთისათვის კარგად იყო ცნობილი, ამიტომ ოსმალეთის ჯარის მთავარსარდალმა უსუფ-ფაშამ მეფეს წერილი გამოუგზავნა, რომელშიც სთხოვდა — ერთიანი ძალით გაელაშქრათ რუსეთის ჯარის წინააღმდეგ და განედევნათ იგი დასავლეთი საქართველოდან. სოლომონ მეფემ ფაშას უარი შეუთვალა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაზე და აღნიშნული წერილი გენერალ რიკჰოფს გადასცა იმ მოსაზრებით, რომ დაერწმუნებინა იგი სოლომონის მხრივ რუსეთის ერთგულებაში, რაც რიკჰოფმა არ იწამა[3].

ამის შემდეგ გუდოვიჩი შეუდგა იმერეთში გარნიზონის გამრავლებას და მის საზღვართან სამხედრო ნაწილების თავმოყრას, რათა საჭიროების შემთხვევაში მზად და ახლოს ყოფილიყვნენ იმერეთთან.

---

[1] კაკა, ტ. III, გვ. 136 (რუს.).

[2] დ უ ბ რ ო ვ ი ნ ი, V, გვ. 166 (რუს.).

[3] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და ანჯრეულები, II, გვ. 60.

1808 წლის მარტში გუდოვიჩმა მიიღო იმპერატორის საიდუმლო ბრძანება იმერეთში მეფის ხელისუფლების გაუქმების, მეფის ოჯახის (კონსტანტინეთურთ) რუსეთში გადასახლების და იმერეთში დროებითი მმართველობის დაწესების შესახებ რუსეთის წარმომადგენლის უფროსობით.

ამ დროებით მმართველობაში პირველკაცობა ზურაბ წერეთელს შესთავაზეს პოდპოლკოვნიკის ჩინთან და წელიწადში 1200 მანეთ ჯამაგირთან ერთად. ასევე დიდ პატივს პირდებოდნენ საბჭოს სხვა წევრებსაც, მაგრამ ამ პროექტს ჯერჯერობით განხორციელება არ ეწერა, რადგან სოლომონ მეფეს მთელი იმერეთის თავადაზნაურობა და სამღვდელოება უპერდა მხარს. ამასთან, რუსეთ-თურქეთს შორის ზავი არ იყო დადებული და ამდენად, იმერეთის საკითხიც გადაუჭრელი რჩებოდა. ამიტომ გუდოვიჩმა ვერ გაბედა გადამჭრელი ზომების მიღება და ეს უფრო ხელსაყრელი დროისათვის გადადო. «მპერატორის ბრძანების შესასრულებლად დამატებითი სამხედრო ნაწილები გაიგზავნა იმერეთში.

სოლომონ მეფემ კვლავ მიატოვა ქუთაისი და სოფ. მუხაყრუაში დაბანაკდა.

სოლომონი ნათლად გრძნობდა, რომ რუსეთის მთავრობისათვის იგი მიუღებელი იყო, როგორც ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენელი, რომ ადრე თუ გვიან, მას გვირგვინს წაართმევდნენ. ამის საბუთს ციციანოვის მიერ ბატონიშვილების რუსეთში გადასახლება, იმერეთში ჯარის ნაწილების მიმატება და მეფის ხელისუფლების შევიწროება აძლევდა.

1804 წლიდან მოყოლებული, იმერეთის პოლიტიკური მდგომარეობა თანდათანობით უარესდებოდა. რუსეთ-იმერეთს შორის დადებული ხელშეკრულების მუხლებიც არ სრულდებოდა, რამაც ორივე მხარეს შორის უნდობლობა გააღრმავა; იმპერატორთან სამადლობო დეპუტაციის გაგზავნაზე მეფემ უარი განაცხადა.

სოლომონ მეფე ფრთხილად იქცეოდა—რუსეთ-თურქეთის ომის დროს ნეიტრალიტეტი დაიკავა და მოელენათა განვითარებას უცდიდა. სოლომონი ფიქრობდა, რომ თუ რუსეთი დამარცხდებოდა, მისი სამეფოს მოსპობის უშუალო საფრთხეც მოიხსნებოდა. ოსმალეთი კი თავისი სისუსტის გამო იმერეთის სამეფოს ვერ მოშლიდა, ამიტომ იმერთა მეფე ძალაუნებურად ოსმალეთის მხარეზე იხრებოდა.

მას შემდეგ, რაც იმერთა მეფემ მძევლების მიცემაზე უარი განაცხადა და ამან უფრო მეტად გააუარესა რუსეთ-იმერეთის ურთიერთობა, მეფემ თავისი საქმიანობა რუსეთის წინააღმდეგ წარმართა. მან გადაწყვიტა, ლეკთა რაზმები მოეშველიებინა, ახალციხის

ფაშას დაკავშირებოდა და მისგან ჯარით დახმარება მიეღო. ამის განსახორციელებლად კიდევაც გადადგა პრაქტიკული ნაბიჯი. დახმარებისათვის მეფემ ირანსაც და იქ გადახვეწილ ალექსანდრე ბატონიშვილსაც მიმართა, ხოლო სამეფოს შიგნით რუსეთის მომხრე თავადები დასაჯა.

გუდოვიჩს მხედველობიდან არ გამოპარვია სოლომონის ეს საქმიანობა, ამიტომ ბრძანა, იმერეთის საზღვარზე მიეყვანათ ქვემეხებით შეიარაღებული რამდენიმე ბატალიონი, რომელიც საჭირო შემთხვევაში იმერეთში უნდა შესულიყო.

თანდათანობით უახლოვდებოდა აღსასრულს იმერეთის სამეფოს სამსაუკუნოვანი ისტორია. რუსეთის წარმომადგენლები იმერთა მეფეს ისეთ ბრალდებებსაც უყენებდნენ, რაშიც ის არაფერ შუაში იყო; მაგალითად, ფოთის ციხის აუღებლობაც სოლომონ მეფის ღალატს მიაწერეს, თუმცა მეფე აქ დამნაშავე არ იყო. ფოთის ციხის აუღებლობის მიზეზი იყო თვით მისი კედლების სიმაგრე და დამცველთა გააფთრებული წინააღმდეგობა, რუსთა ძალების უკმარისობა და ტყვია-წამლის უქონლობა: რუსეთის წარმომადგენლებმა სამეგრელოში ეკლესიებიდან ზარებიც კი ჩამოხსნეს და ტყვიებად გადაადნეს[1].

1808 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა დასავლეთ საქართველოში განლაგებული რუსეთის ჯარების უფროსი გენერალი რიკჰოფი. მთავარმართებელმა გუდოვიჩმა მის ადგილზე გენერალი დიმიტრი ორბელიანი დანიშნა — ქართული ენის და წეს-ჩვეულების კარგი მცოდნე, ნათესაურადაც დაკავშირებული სამეფო კართან. გუდოვიჩის ფიქრით, ეს დიპლომატიური ნაბიჯი გამართლებული იყო იმით, რომ რუსი გენერლებისაგან განსხვავებით, ორბელიანს მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლო რუსეთისათვის.

იმერეთში გამგზავრების წინ გუდოვიჩმა ორბელიანს შემდეგი დავალება მისცა: გაეძევებინა სოლომონ მეფე იმერეთიდან ისე, რომ თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი სისხლისღვრა და შეექმნა დროებითი მმართველობა რუსი მოხელის უფროსობით.

ქუთაისში მოსული ორბელიანი თავისი მისიის შესრულებას შეუდგა. მისი მიზანი იყო მეფის მიტყუება ქუთაისში და პეტერბურგში სამადლობო დეპუტაციის გაგზავნა, მაგრამ მეფესთან სამდღიანმა მოლაპარაკებამ უშედეგოდ ჩაიარა — სოლომონ მეფე უარს ამბობდა ქუთაისში დაბრუნებაზე, ვიდრე იქ რუსეთის გარნიზონი იქნებოდა, ხოლო რაც შეეხება პეტერბურგში დეპუტაციის გაგზავნას, იმერთა მეფე ამ მოთხოვნის პირობად ლეჩხუმის დაბ-

[1] კაკა, ტ. IV, გვ. 392 (რუს.).

რუნებას და ახალი ტრაქტატის დადებას აყენებდა. თუ ამას არ შემისრულებთ, რუსის ხელმწიფის სამსახური არ შემიძლიანო — აცხადებდა მეფე.

1809 წელს გუდოვიჩი გაათავისუფლეს და მის ადგილზე გენერალი ტორმასოვი დანიშნეს.

სოლომონ მეფემ ტორმასოვთან ზურაბ წერეთელი გაგზავნა, რომელმაც მას გააცნო მეფის პრეტენზიები და სურვილები, მაგრამ ტორმასოვმა ყველაფერი უარყო და ზ. წერეთელს განუცხადა — მეფის განდევნა იმერეთიდან ნაბრძანები მაქვსო, მაგრამ, რადგან ეს საკმარისი სამხედრო ძალის გარეშე შეუძლებელი იყო, სხვადასხვა მაქინაციით ცდილობდა განეხორციელებინა.

ზურაბ წერეთელმა სოლომონ მეფის სიმტკიცის გასატეხად ტორმასოვს ურჩია — რაკი იმერეთის საერო და სასულიერო დიდკაცობას მეფეზე ძლიერი გავლენა აქვს, მთავარმართებელმა, მეფის გვერდის ავლით, უშუალოდ მიმართოს ხალხს, აუწყოს მას მეფის შეუსაბამო საქციელი ხელმწიფესთან დამოკიდებულებაში და მოუწოდოს მეფეზე ზემოქმედებისათვის. ამით მეფე შეშინდება და მორჩილებაშიც მოვაო[1].

ტორმასოვმა მართლაც შეადგინა ასეთი პროკლამაცია და გენერალ ორბელიანს გაუგზავნა გამოსაქვეყნებლად იმ შემთხვევაში, თუ მეფე მის მოთხოვნებს არ შეასრულებდა. ეს მოთხოვნები, რომელთაც წერეთლის ხელით უგზავნიდა ტორმასოვი, იყო შემდეგი: 1. ქუთაისში დაბრუნებულიყო საცხოვრებლად. 2. თბილისში მძევლად გაეგზავნა დიდგვარიანთა შვილები და 3. პეტერბურგში იმპერატორთან გაეგზავნა მადლობის დეპუტაცია, რომლის შემადგენლობაში ზურაბ წერეთელიც უნდა ყოფილიყო.

სოლომონ მეფემ კატეგორიულად უარი განაცხადა ამ მოთხოვნების შესრულებაზე, კერძოდ, მადლობის დეპუტაციის გაგზავნას იგი შეუძლებლად ცნობდა და აღნიშნავდა—იმისათვის ხომ არ უნდა გავგზავნო მადლობის დეპუტაცია, რომ ხელმწიფეს მოვახსენო: „გმადლობთ უმდაბლესად, დიდო იმპერატორო, ვინაითგან დამამდაბლე მეფე ერთმორწმუნე და დამაკლე სამფლობელოთა ჩემთა ყოვლად უმოწყალესითა ამით ღრამოტითა“.[2]

სოლომონ მეფემ ტორმასოვის რჩევა უარყო. მაშინ ორბელიანმა პროკლამაცია გამოაქვეყნა, მაგრამ ამან სრულიად საწინააღმდეგო შედეგი მოიტანა: იმერეთის ხალხმა ეს პროკლამაცია მეფის ტახტიდან ჩამოგდების განზრახვად მიიჩნია, ხოლო შეურაცხყოფი-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 371.

[2] იქვე.

ლმა მეფემ მოიხმო ხალხი; გამოცხადდა 6000 შეიარაღებული მეომარი; მეფის ერთგული პირნი ლეჩხუმს, გურიასა და ოდიშშიც გადავიდნენ და ხალხს ამზედრებდნენ. სოლომონ მეფის მომხრეებმა შეკრიბეს ოდიშისა და ლეჩხუმის თავადაზნაურობა, სოფლის მამასახლისები, სასულიერო პირნი და სოლომონის ერთგულებაზე დააფიცეს.[1]

რუსების წინააღმდეგ მღელვარება იზრდებოდა. 1809 წლის 5 ივლისს იმერლები თავს დაესხნენ კაზაკებს, რომელნიც ყვირილადან სურამში მიდიოდნენ და გაძარცვეს.

სოლომონ მეფე ყოველგვარ ზომებს ღებულობდა, რომ ტახტი შეენარჩუნებინა. მან ისარგებლა იმ გარემოებით, რომ რუსის ჯარი ფოთის ასაღებად იყო წასული და ახალციხის საზღვარზე ინახულა რუსეთის დაუძინებელი მტერი ალექსანდრე ბატონიშვილი. ამავე დროს, ახალციხის ფაშასთან გაგზავნა დეპუტაცია, რათა მიემხრო ფაშა, ამასთანავე, მეფე არზრუმის ფაშასაც თხოვდა დახმარებას.

პროკლამაციის უარყოფითი შედეგით გაკვირვებული ტორმასოვი ორბელიანსა და წერეთელს საყვედურობდა, რომ მათ სათანადოდ ვერ აუხსნეს იმერეთის ხალხს მისი წინადადება, რომელიც თითქოს სოლომონ მეფისა და ხალხის სასარგებლო იყო. ტორმასოვისათვის ისიც ნათელი გახდა, რომ ზურაბ წერეთელი ორპირობას ეწეოდა, ამიტომ მან წერეთელს წერილობითი პირობა ჩამოართვა, რათა იგი დახმარებოდა რუს მოხელეებს იმერეთიდან მეფის განდევნაში.

იმერეთის თავადაზნაურობამ ტორმასოვს თხოვნით მიმართა, რომ დაეცვათ ციციანოვის დროს მეფესთან გაფორმებული ხელშეკრულება, მიეცათ მისთვის ლეჩხუმი და შეემუშავებინათ ახალი სამფარველო პუნქტები, გაეყვანათ ქუთაისიდან ჯარი გარდა ერთი ასეულისა, როგორც ეს ციციანოვის დროს იყო დადგენილი.

ამ მოთხოვნის პასუხად ტორმასოვმა ორბელიანს წინადადება მისცა, რა გზითაც არ უნდა ყოფილიყო, დაეტყვევებინა სოლომონ მეფე რუსეთის მომხრე თავადაზნაურთა მეშვეობით.

უფრო მოგვიანებით ტორმასოვი მეფეს ჰპირდებოდა: თუ ქუთაისში დაბრუნდები და რუსეთის მოთხოვნებს შეასრულებ, ქუთაისიდან ჯარს გავიყვანო, ხოლო ორბელიანს კი სწერდა, როგორმე შეეტყუებინა მეფე ქუთაისში და შეეპყრო.[2]

1809 წლის 29 აპრილს მეფემ ტორმასოვის მიერ გამოგზავნილი წერილი მიიღო „...სხვათა შორის უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენი

---

[1] ალ. ხახანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 35—36.

[2] კაკა, ტ. IV, გვ. 194—196 (რუს.).

საქციელის გამო ხელმწიფე იმპერატორი დიდად განრისხებულია — სწერდა ტორმასოვი მეფეს — თქვენ მიერ მიღებული ფიცის და ხელშეკრულების ძალით ვალდებული იყავით აქამდის გაგეგზავნათ რუსეთში დეპუტაცია და უმდაბლესის მადლობის გამოცხადებით დაგემტკიცებინათ თქვენი გრძნობანი ერთგულებისა, მაგრამ არ ვიცით რატომ უკუდგებით და არ ემორჩილებით პირობას. ახლა გაცნობებთ, რომ იმპერატორმა მიბრძანა, დაუყოვნებლივ გაგზავნოთ მასთან დეპუტაცია, რომელშიც უსათუოდ სახლთუხუცესი თავადი ზურაბ წერეთელიც უნდა ერიოს.

დეპუტაცია უნდა გამოეცხადოს იმპერატორს, მოახსენოს თქვენ მაგიერ უმდაბლესი მადლობა პატრონობისა და იმერეთის სამეფოს მიღებისათვის დიდებული რუსეთის მფარველობაში.

თქვენის უსიამოვნების ზოგიერთი მიზეზი თავადმა ზ. წერეთელმა გადმომცა — ლეჩხუმის მაზრის დაბრუნების შესახებ. ტყუილად სწუხდებით. ლეჩხუმის მაზრა ჩამოგერთვათ იმპერატორის ბრძანებით და განკარგულებით. თუ დეპუტაციას დროზე გაგზავნით და თან გაატანთ იმ საბუთებსაც, რომელთა ძალითაც ის მაზრა თქვენ გეკუთვნით, იმპერატორს თქვენზე გული მოუბრუნდება და ლეჩხუმის მაზრას უკანვე დაგიბრუნებთ.

თქვენი განრისხების მიზეზი კიდევ ის არის, რომ თქვენს ყურამდის ცრუ ამბავს მოუღწევია, თითქოს თქვენი სასახლე ჯარის ბინად გაგვეხადოს და მთლად აგვეოხრებინოს. დამშვიდდით მეფევ, ეს ამბავი მოკლებულია სინამდვილეს...“ დასასრულ, ტორმასოვი სწერს მეფეს: „თუ ინებებთ და თქვენის ნებით ქუთაისში თქვენსავე სასახლეში დაბრუნდებით, გაძლევთ სიტყვას, მთელს ჯარს ქუთაისიდან გავიყვან; დავტოვებ მხოლოდ რამდენიმე ჯარისკაცს თქვენის უმაღლესობის სადარაჯოდ“[1].

ამასობაში საბოლოოდ გამოირკვა სოლომონ მეფის შეურიგებელი პოზიცია რუსეთისადმი. მეფე დაჟინებით მოითხოვდა ლეჩხუმს, ურომლისოდაც უარს აცხადებდა რუსეთის ქვეშევრდომობაზე. რუსეთის წარმომადგენლებიც დაჟინებით მოითხოვდნენ, მეფეს გაეგზავნა პეტერბურგში მისი უახლოესი თავადებისაგან შემდგარი დეპუტაცია და თვითონ ქუთაისში გადასულიყო საცხოვრებლად. ამით მათ სურდათ, მეფისათვის ჩამოეცილებინათ მისი დასაყრდენი ძალა, ხოლო მეფე უბრძოლველად შეეპყროთ.

მეფე კი მოითხოვდა ქუთაისიდან ჯარის გაყვანას, წინააღმდეგ შემთხვევაში უარს აცხადებდა ქუთაისში საცხოვრებლად გადასვლაზე.

---

[1] კაკა, ტ. IV, გვ. 219 (რუს.).

იმერეთის მეფის ასეთი პრეტენზიების შედეგად ტორმასოვი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სოლომონის დამორჩილებისათვის მხოლოდ მძლავრი იარაღი იყო საჭირო — მეფე განედევნა იმერეთიდან. ამ აზრისა იყო ლიტვინოვიც. იგი აღნიშნავდა, რომ სანამ მეფე იმერეთშია, იქ არ შეიძლება იყოს სიმშვიდეო. ლიტვინოვის განცხადებით, ორი წლის განმავლობაში ქუთაისში ყოფნის დროს მან მხოლოდ ხუთჯერ ნახა მეფე.

რუსეთის მთავრობას ხელთ ჰქონდა ცნობები, რომ იმერთა მეფე მათ ღალატობდა. 1809 წლის სექტემბერში ტორმასოვი რუმიანცევს სწერდა: „მეფე სოლომონს ჰქონდა შეხვედრა იმერეთის საზღვარზე, ახალციხის მხრიდან მოსულ ალექსანდრე ბატონიშვილთან, რომელიც მოვიდა ახალციხეში საკმაოდ დიდი ფულით, ახალციხის ფაშის, იმერეთისა და მთიელი ოსების ასამხედრებლად ჩვენი ჯარების წინააღმდეგ, და თუმცა არაა გამორკვეული მათი მოლაპარაკების შინაარსი და არც ის, თუ როგორია მათი შეთანხმება, მაგრამ, ცხადია, რომ მეფემ მალე ამ შეხვედრის შემდეგ დესპანები გაგზავნა ახალციხის ფაშასთან — თავისი სიძე მალხაზ ანდრონიკაშვილი, თავადი როსტომ ნიჟარაძე და რაჭის ერისთავი. „ეს არის ახლა მივიღე დანამდვილებითი ცნობა, რომ იმერეთის თავადები მივიდნენ ახალციხის ფაშასთან. ჩემს მიერ გაგზავნილმა კაცმა იქ ნახა ისინი, სპარსეთში ბაბახანთან გასამგზავრებლად რომ ემზადებოდნენ“.[1]

ამის შემდეგ რუსეთის მთავრობას აღარ შეეძლო ეფიქრა სოლომონის შემორიგებაზე. რუსმა მოხელეებმა დაიწყეს გეგმის დამუშავება იარაღის ძალით იმერეთის სამეფოს სალიკვიდაციოდ. რადგან სოლომონ მეფეს კავშირი ჰქონდა ოსმალეთთან, ირანთან, აღმოსავლეთ საქართველოსთან და ყველა მათთან, ვინც რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგი იყო, იგი რუსეთისათვის მეტად სახიფათო ფიგურად იქცა.

1809 წლის სექტემბერში ტორმასოვი გენერალ ორბელიანს სწერდა, რომ ემოქმედა სოლომონის წინააღმდეგ ზურაბ წერეთელთან ერთად, რომელსაც იმერეთის თავადობა უნდა გადაებირებინა რუსეთის მხარეზე ისე, რომ მეფე მარტოდ დარჩენილიყო. მეფის მოღალატე ზურაბ წერეთელი კი რუსეთის მთავრობას ატყობინებდა რა მეფის საიდუმლოს, ტორმასოვს სწერდა — „საქმის დაყოვნება არ შეიძლება, რადგან მტრები ზაფხულს უცდიან, როცა თქვენ დაგაბრკოლებთ სხვადასხვა საქმეები, ხოლო ისინი გაიკრიბებიან რა ტყეში, გამაგრდებიან“.[2]

---

[1] ყაკა, ტ. IV, გვ. 289 (რუს.).

[2] იქვე.

ზურაბ წერეთლის აქტიური მონაწილეობით შედგა იმერეთის სამეფოს გაუქმების ახალი გეგმა: ქვეყნის შიგნით უნდა აეჯანყებინათ მეფის წინააღმდეგ გურიის მთავარი და რაჭის ერისთავი, რაც მეფის ძალების დასუსტებას გამოიწვევდა და ამის შემდეგ ადვილად დაიმორჩილებდნენ მეფეს. ამავე დროს, რადგან სპარსეთთან და ოსმალეთთან ომი მიმდინარეობდა და ტორმასოვს არ შეეძლო ჯარის ნაწილების გადაყვანა იმერეთის ოპერაციისათვის, მეფის განდევნას ისევ მშვიდობიანი გზით ცდილობდა.

* * *

საქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიაში სამხედრო ნაწილების შემოყვანა და მათი იარაღითა და სურსათ-სანოვაგით მომარაგება დარიალის და რედუტ-კალეს გზებით ხდებოდა. ორივე გზა უვარგისი იყო და ვერ უზრუნველყოფდა გაზრდილი ჯარის მოთხოვნილებებს, ამიტომ რუსეთის მთავარსარდლობის გეგმაში ისევ დადგა ფოთის ნავსადგურის დაპყრობის საკითხი. ეს აუცილებელი იყო. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი თავის სტამბოლელ ელჩს იტალინსკის სწერდა, რომ იმერეთი და სამეგრელო რუსეთისათვის გამოუსადეგარი დარჩებიან, თუ არ იქნება გახსნილი შავი ზღვით უმოკლესი გზა. ამისათვის მოხერხებული ადგილია ფოთის ნავსადგური, რომლის დაკავებაც აუცილებელი ხდება, რადგან დასავლეთ საქართველოში მდგარი ჯარების უზრუნველყოფა სურსათით დარიალის ხეობით ძნელია.

ტორმასოვმა ორბელიანს დავალება მისცა, ფოთის ციხეზე შეტევა განეხორციელებინა. გენერალმა ორბელიანმა 1809 წლის 14 მაისს ციხეს შეუტია, მაგრამ იგი ნავარაუდევზე ძლიერი აღმოჩნდა და რუსებმა მისი აღება ვერ შეძლეს: ისევ ხანგრძლივ ალყაზე გადავიდნენ.

თუმცა ამ დროს რუსეთის ჯარი სტამბოლს ემუქრებოდა და ოსმალთა მთავარი ყურადღებაც იქით იყო მიპყრობილი, მაგრამ დასავლეთი საქართველოს სანაპიროზე ამ სიმაგრის შენარჩუნებას ოსმალთათვის საარსებო მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ ფოთის შეკიწროებული მეციხოვნეების დასახმარებლად ტრაპიზონის შერიფფაშა გამოგზავნეს 9000 კაცით. რადგან ფოთის ციხის აღებას იმერეთის მეფისათვის ცუდი შედეგი მოჰყვებოდა, სოლომონ მეფის ბრძანებით, მამია გურიელმა გზა დაუთმო ოსმალეთის ჯარს: „წარმოვიდნენ და მისცა გზა ზღვით და ხმელით გურიელმან მამიამ,

ვინათგან ჟამსა, მას ერთგულებდა გურიელი მამია იმერეთისა მეფეს სოლომონს"[1].

1809 წლის ოქტომბრის ბოლოს ოსმალები გრიგოლეთსა და მალთაყვას შუა დაბანაკდნენ და დიდი საფრთხე შეუქმნეს ფოთის ციხეზე შემომდგარ რუსთა და მეგრელთა ლაშქარს.

ახლა რუსეთის ჯარი ჩავარდა განსაცდელში. ოსმალთა დასახმარებლად გურიის მთავარი ჯარს კრებდა; იგი რუსების უკმაყოფილო იყო, რადგან ციციანოვმა გურიელი იმერეთის მეფის ყმად ცნო და დადიანთან შედარებით დაამცირა.

რუსებმა მოკავშირის ძებნა დაიწყეს და ყურადღება ისევ გურიაზე, შეაჩერეს, რათა გურიელიც მეფის მოღალატედ ექციათ და რუსეთის მხარეზე გადაებირებინათ, ამაში მთავარი როლი ისევ ზურაბ წერეთელმა, ისტორიკოსმა ნიკო დადიანმა და ჯუმათელმა მიტროპოლიტმა შეასრულეს. მათი შუამავლობით რუსეთის მთავრობამ მამია გურიელი დაარწმუნა, რომ იმპერატორისაგან გამოითხოვდა გურიის სამთავროს დამოუკიდებლობას, გაათავისუფლებდა იმერეთის მეფისადმი მორჩილებისაგან და დადიანივით გაუფორმებდა საქვეშევრდომო ხელშეკრულებას, თუკი ახლა რუსეთის ჯარს დაეხმარებოდა ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. მამია გურიელი, რომელსაც იმერეთის მეფისაგან დამოუკიდებლობის მოპოვება სურდა, რუსეთის მხარეზე გადავიდა.

1809 წლის 2 ნოემბერს მამია გურიელმა ზურგიდან დაარტყა ოსმალეთის ლაშქარს, ხოლო პირისპირ რუსეთ-სამეგრელოს ლაშქარმა შეუტია. ორ ცეცხლშუა მოქცეულმა ოსმალეთის ჯარმა სრული მარცხი განიცადა, გადარჩენილებმა გაქცევით უშველეს თავს.

იმავე წლის 15 ნოემბერს ციხის დაცვის უფროსმა ქუჩუკ-ბეი შერვაშიძემ წინააღმდეგობა შეწყვიტა და ციხის გასაღები გენერალ დიმიტრი ორბელიანს მიართვა. ოთხთვენახევრის ბრძოლის შემდეგ ფოთის ციხეს რუსები დაეპატრონენ.[2]

ციხის აღებაში გაწეული სამსახურისათვის რუსეთის მთავრობამ მამია გურიელი გაათავისუფლა იმერეთის მეფის მორჩილებისაგან და დამოუკიდებელ მთავრად ცნო. ამ მოქმედებით მან ერთხელ კიდევ შელახა იმერეთის მეფის უფლებები, თუმცა ეს არაფრად ჩააგდო, რადგან უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა თვით იმერეთის სამეფოს გაუქმება.

---

[1] ნ. დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962, გვ. 200.
კაკა, ტ. IV, გვ. 390—391 (რუს.).

1809 წლის სექტემბერში მთავარმართებელი ტორმასოვი ფოთის ციხესთან ალყად მდგომ ორბელიანს ატყობინებდა, რომ პეტერბურგიდან უკვე მიიღო ნებართვა იმერეთში ჯარის შეყვანისა და ძალის გამოყენებით სოლომონ მეფის ტახტიდან ჩამოგდების შესახებ.

ფოთის გარნიზონის დასახმარებლად წამოსული შერიფ-ფაშას ლაშქრის წინააღმდეგ ტორმასოვმა თავის დროზე მიიღო ზომები და ორბელიანის დასახმარებლად 1809 წლის 11 ოქტომბერს პოლკოვნიკი სიმონოვიჩი გაგზავნა ორი ბატალიონითა და არტილერიით. ფოთის კამპანიის დამთავრების შემდეგ სიმონოვიჩი იმერეთში უნდა დარჩენილიყო თავისი ბატალიონებით და როგორმე ხელში ჩაეგდო სოლომონ მეფე. სიმონოვიჩს ტორმასოვმა მითითება მისცა, ზურაბ წერეთელთან შეთანხმებით ემოქმედა.

დასავლეთ საქართველოში არტილერიის გაგზავნის ამბავი სოლომონ მეფემ ადრე შეიტყო; იგი მიხვდა, რომ ეს მეფის წინააღმდეგ იყო მიმართული. რათა რუსთა ჯარი იმერეთში არ შეეშვა, მისი ერთი რაზმი როსტომ წერეთლის მეთაურობით ქართლში გადავიდა და არტილერიის აღალს თავს დაესხა სოფ. ქვებთან. თავდასხმა რუსებმა მოიგერიეს, მაგრამ ტორმასოვი იძულებული გახდა ახალი დამხმარე რაზმი გაეგზავნა დასავლეთისაკენ.

სოლომონ მეფეს არ უნდოდა ფოთში მიმავალი სამხედრო ნაწილები იმერეთის ტერიტორიაზე გაეტარებინა და მზად იყო, შებრძოლებოდა მათ, მაგრამ სიმონოვიჩმა იმერთა მეფეს ტორმასოვის წერილი გადასცა, სადაც მთავარმართებელი იმერთა მეფეს სთხოვდა ფოთში მიმავალი რუსის ჯარის იმერეთის ტერიტორიაზე უვნებლად გატარებას, სურსათისა და ტრანსპორტით დახმარებას სათანადო ღირებულების გადახდით.

ტორმასოვი მეფეს აუწყებდა, რომ იმპერატორის კეთილი ნების თანახმად, მას მეფობას ვერავინ წაართმევდა. იმავე დროს, მეორე წერილით იგი აუწყებდა ზ. წერეთელს, რომ მეფის შეპყრობის შემდეგ იმერეთის დროებით მმართველობაში იგი პირველ ადგილს მიიღებდა.

სოლომონ მეფემ რუსეთის ჯარი უზრუნველყო სურსათით და საჭირო ტრანსპორტით, რისთვისაც ტორმასოვისაგან მადლობაც კი მიიღო.

სიმონოვიჩის სამხედრო ნაწილებმა დაიგვიანეს, მათ ფოთის ციხის აღებაში მონაწილეობა არ მიუღიათ — იგი უკვე აღებული დახვდათ გენერალ ორბელიანის მიერ. რუსეთის ჯარის დაგვიანების ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ სოლომონ მეფეს არ სურდა რა რუსების მიერ ფოთის ციხის აღება, დროის გაყვანის მიზნით ხი-

ლებსა და გზებს აფუქებდა, რათა რუსეთის ჯარის მოძრაობა შეეფერხებინა.

ფოთიდან მობრუნებული სამხედრო ნაწილებიდან სიმონოვიჩმა ერთი პოლკი ქართლში გაგზავნა და ერთიც ზურაბ წერეთლის მამულში ჩააყენა. ცოტა ხნის შემდეგ იმერეთში კიდევ ორი ბატალიონი შევიდა და სვერში, საჩხერეში, ხეფინისხევსა და ლომსიანთხევში დაბანაკდა[1].

ტორმასოვმა ზ. წერეთლის რჩევით გენერალი ორბელიანი დასავლეთი საქართველოს ჯარების სარდლობიდან გაათავისუფლა და მის ადგილზე პოლკოვნიკი სიმონოვიჩი დანიშნა.

სიმონოვიჩს დაევალა, დაეჩქარებინა სოლომონ მეფის შეპყრობა. რუსეთის მოხელეებისათვის ამ დროს ადგილობრივი ფეოდალებიდან ძირითად დასაყრდენ ძალას ზურაბ წერეთელი წარმოადგენდა. ტორმასოვი დიდ იმედებს ამყარებდა მასზე, მაგრამ იმერეთის მოსახლეობამ მტრული თვალით დაუწყო ცქერა მას. 1809 წლის 30 დეკემბერს ზ. წერეთელი ტორმასოვს სწერდა: „ჯერჯერობით არ შემიძლია აშკარად ვიმოქმედო, რადგან არ ვიცი, თქვენდამი ერთგულებისათვის როდის მომკლავენ"[2]. იგი ტორმასოვს სამხედრო ნაწილების გაგზავნას სთხოვდა, რათა იმერეთის მეფე ზამთარშივე შეეპყროთ. ამასთან, ფულის მოყვარული თავადი წერეთელი ტორმასოვს სწერდა, რომ ორბელიანისაგან მიღებულ 340 ოქროს თავისი საკუთარიც დაუმატა მეფის ზოგიერთი მრჩევლის მოსასყიდად. იგი კიდევ ითხოვდა ოქროს ამ მიზნით.

სოლომონ მეფე თავის უფლებებს არ თმობდა. რუსი მოხელეები ცდილობდნენ მის თავიდან მოცილებას, მაგრამ ისე, რომ ამას სისხლისღვრა არ მოჰყოლოდა.

ზურაბ წერეთელს სოლომონ II-სათვის დიდი სამსახური ჰქონდა გაწეული, მეფეც მას თავის ერთგულ თავადად თვლიდა, მაგრამ ზურაბ წერეთლის განწყობილება მეფისადმი მას შემდეგ შეიცვალა, რაც სოლომონმა აღმოსავლეთი საქართველოდან გადმოხვეწილი სოლომონ ლიონიძე შეიფარა. ნიჭიერმა ლიონიძემ მალე დიდი გავლენა მოიპოვა მეფეზე, მან დიდი მამულიც მიიღო სოლომონისაგან და თან მეფის კანცლერის თანამდებობაც მოიპოვა, რამაც იგი იმერეთის სამეფო კარზე გააპირველკაცა. ამის შემდეგ ორ დიდ თავადს შორის შუღლი ჩამოვარდა — ლიონიძე წერეთლის

---

[1] კაკა, ტ. IV, გვ. 221 (რუს.).
[2] იქვე, გვ. 213 (რუს.).

დიდგულობას ვერ ითმენდა,[1] სახლთუხუცესი კი — მეფეზე ლიონიძის გაულენასა და მის გაპირველკაცებას.

ლიონიძე მეფის რუსეთის ზრახვების შეურიგებელი მტერი იყო, მეფისა და ლიონიძის აზრები ერთმანეთს ემთხვეოდა, ამიტომ სოლომონი მას ენდობოდა და უჯერებდა, ეს კი პატივმოყვარე წერეთელს მეფის წინააღმდეგ განაწყობდა.

ასეთ ვითარებაში დაიწყო სოლომონსა და ციციანოვს შორის მოლაპარაკება რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ. ეს წერეთელს და რუსეთის მოხელეებს ხელსაყრელ ნიადაგს უქმნიდა ერთმანეთთან დაახლოებისათვის. მოლაპარაკება ციციანოვსა და სოლომონს შორის ჭიანურდებოდა. საჭირო იყო მეფეზე ზეგავლენა და მისი დაყოლიება. ეს საქმე ციციანოვმა ზურაბ წერეთელს მიანდო, რომელმაც ციციანოვის იმედები გაამართლა და მეფე მართლაც დაიყოლია ხელის მოწერაზე. აქედან დაიწყო მოღალატური მოქმედება.

* * *

ფოთის ციხის აღების შემდეგ იმერთა მეფე იმედგაცრუებული დარჩა — შერიფ-ფაშას მისთვის აღარ ეცალა. სოლომონი ცდილობდა, გაზაფხულამდე როგორმე გაეძლო და ტახტი შეენარჩუნებინა, შემდეგ კი ადიდებული წყლებისა და ტყეების წყალობით მოახერხებდა ბრძოლის გაგრძელებას. ამ მიზნით, მეფის ჩაგონებით, ზურაბ წერეთელი ტორმასოვს სწერდა: „ჩვენი მეფე ცდილობს, ერთგული ყმა იყვეს იმპერატორისა და გთხოვთ, მოწყალე თვალით შეხედოთ და სასოება მისცეთ, რომ მშვიდობიანად იმეფოს და იცხოვროს“.[2]

ტორმასოვმა წერეთელს უპასუხა: „ოთხი წლის განმავლობაში მეფემ იმდენჯერ დაამტკიცა თავისი მძულვარება რუსეთისადმი, რომ მეტად დაუჯერებელია, იგი სწორ გზაზე დგებოდეს და რუსეთის ერთგული ხდებოდეს: სოლომონის ბედი გადაწყვეტილია, საჭიროა იმერეთში მშვიდობიანობა დამყარდეს და მიკვირს, თქვენ მოწადინებული რადა ხართ, რომ სოლომონი დარჩეს მეფედ?“.[3]

ზურაბ წერეთელი ისევ განაგრძობდა ორპირობას: სიმონოვიჩს ურჩევდა, სოლომონის დევნა უარეყო, ტორმასოვს კი აჩქარებდა, რომ მეფე ძალით შეეპყრო. წინააღმდეგობრივი იყო მისი დამოკიდებულება მეფესთან.

---

[1] „ივერია“, 1877, №26, გვ. 12—13.

[2] ალ. ხახანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 38.

[3] კაკა, ტ. IV, გვ. 213 (რუს.).

მეფე დიდ სიფრთხილეს იჩენდა რუსეთის სარდლობის მიმართ. ერთხანს ტორმასოვი და სიმონოვიჩი იმ აზრისა იყვნენ, რომ მეფეს ვერც დაიჭერდნენ და ვერც დაიმორჩილებდნენ. ამიტომ ფიქრობდნენ დათმობით მის შემორიგებას.

უფრო მოგვიანებით, სიმონოვიჩი დარწმუნდა, რომ მთელი იმერეთი მტკიცედ უჭერდა მხარს მეფეს, ამიტომ ტორმასოვის წინაშე გადაჭრით დასვა საკითხი მეფისადმი დამოკიდებულების შეცვლის და მასთან შერიგების შესახებ.[1]

სოლომონ მეფესა და ტორმასოვს შორის მოლაპარაკება ისევ გაიმართა, მეფემ ერთხელ კიდევ სცადა, მიეღწია იმერეთის სამეფოს ავტონომიური უფლებების შენარჩუნებისათვის რუსეთის მფარველობის პირობებში.

ამ მოთხოვნასთან ერთად სოლომონ მეფის მოციქულებს თან მიჰქონდათ იმერეთის თავადაზნაურობისა და უმაღლესი სამღვდელოების წერილი, რომელშიც რუსეთის ხელისუფლებისაგან მეფისათვის წყალობას ითხოვდნენ.

1810 წლის 5 იანვარს ტორმასოვისადმი გაგზავნილ წერილში სოლომონ მეფე უმტკიცებდა მას, რომ ციციანოვის მიერ იმერთა მეფესთან დადებული ტრაქტატი მხოლოდ რუსეთის ხელისუფლებამ დაარღვია: 1) ლეჩხუმს დაპირდნენ და არ მისცეს, 2) დეხვირის მცველნი ამოწყვიტეს და ციხე დადიანს გადასცეს, 3) ლიტვინოვმა მეფის ბეჭედი აგლიჯა ქუთათური ვაჭრის დუქნიდან და საქონელი მისცა ვაჭარს, რომელზედაც მეფე განრისხებული იყო, 4) 120 კაცის მაგივრად, მეფის დაუკითხავად ქუთაისში დიდი ჯარი ჩააყენეს; 5) მეფეს ქუთაისის სასახლე წაართვეს და იქ სალდათები ჩააყენეს, 6) მის სიძეს — წულუკიძეს ჯარისკაცებმა სცემეს და სხვ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეფემ ერთხელ კიდევ ცადა თავისი უფლებების აღდგენა და ტორმასოვს გაუგზავნა ახალი ტრაქტატის პროექტი, სადაც ძველისაგან მცირეოდენი განსხვავებით, მეფე სუვერენიტეტის აღდგენას ითხოვდა. ტორმასოვმა ახალი მუხლების მიღებაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ძველსა და ახალ მუხლებში არავითარი განსხვავება არ არის, გარდა სამი მუხლისა: 1) ლეჩხუმის დაბრუნება, 2) სამეფო ნიშნების ბოძება და 3) იმპერატორის კარზე მეფის მინისტრის დანიშვნა. იგი აღნიშნავდა, რომ ყველა ამას იმპერატორი მუხლების შეუცვლელად მიიღებს, თუ იმერთა მეფე მთავარმართებლის მოთხოვნას დაემორჩილება და ქუთაისში საცხოვრებლად გადავა, მძევლებს თბილისში გამოგზავნის, ხოლო იმპერატორთან საჩქაროდ დეპუტაციას მიავლენსო.

---

[1] კაკა, ტ. IV, გვ. 217 (რუს.).

ტორმასოვი ფიქრობდა, რომ მეფე მხოლოდ დროის მოგების მიზნით აწარმოებდა მოლაპარაკებას, რადგან მისთვის ცნობილი იყო — სოლომონ მეფე ოსმალეთის ფაშებს რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდა და ფაშებიც ჯარს უყრიდნენ თავს, რაც რუსეთის მოხელეებს აიძულებდა, ფხიზლად ყოფილიყვნენ. ასეთ პირობებში, თუმცა ტორმასოვი გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა, მაინც ცდილობდა, სოლომონ მეფეზე ზემოქმედება მოეხდინა მოლაპარაკების გზით და იგი უბრძოლველად ჩაეგდო ხელში. ტორმასოვი მეფეს სწერდა, რომ იმპერატორის მოთმინების ფიალა აღივსო და მრისხანებით შეიცვალა, ნაბრძანები მაქვს, თუ მეფე სოლომონი კვლავ გაჭირვეულდება და მორჩილებას არ განაცხადებს, ძალით წაერთმევა სამეფო, ხოლო თუ მეფე დამორჩილდება რუსეთის ხელისუფლების ნება-სურვილს, ყველა უფლებებს შეუნარჩუნებთო. ტორმასოვის პირობები ასეთი იყო:

1) მეფემ სამი დღის განმავლობაში უნდა წარუდგინოს სიმონოვიჩს პეტერბურგში დესპანებად გასაგზავნი ბატონიშვილი კონსტანტინე, სიძე მეფისა მალხაზ ანდრონიკაშვილი, თავადნი: სოლომონ ლეონიძე, სეხნია წულუკიძე, ქაიხოსრო წერეთელი და როსტომ ნიჟარაძე.

2) დაუყოვნებლივ გადავიდეს საცხოვრებლად ქუთაისს (ამისათვის ტორმასოვმა სიმონოვიჩს სახელმწიფო ხარჯებით შეაკეთებინა მეფის სასახლე).

3) გაგზავნოს დესპანთა ხელით უმაღლესი თხოვნა მადლობის გამოსაცხადებლად, რომ იმპერატორმა სამუდამოდ მიიღო იმერეთი თავის ქვეშევრდომად, მოინანიოს თავისი საქციელი და აღუთქვას ერთგულება. ტორმასოვი სამი დღის მოფიქრების ვადას აძლევდა და თუკი მეფე ამ პირობებს შეასრულებდა, მთავარმართებელი საზეიმო ფიცით არწმუნებდა მეფეს, რომ მას იმერეთის მეფობა არ წაერთმეოდა; მაგრამ იმერთა მეფის მოტყუება არ ხერხდებოდა — ქუთაისში გადასვლასა და პეტერბურგში დეპუტაციის გაგზავნაზე არ თანხმდებოდა, თავის მხრივ იგი ითხოვდა ელაზნაურის ტრაქტატით განსაზღვრულ პირობათა განხორციელებას, სახელდობრ: ლეჩხუმის დაბრუნებას, რუსის ჯარის გაყვანას იმერეთიდან ერთი როტის გარდა. ქუთაისის სასახლის „დაბრუნებას“.

ტორმასოვის ყველა „საიდუმლო“ განზრახვას მეფე მიხვედრილი იყო: პეტერბურგში გასაგზავნი დეპუტაციის შემადგენლობაში მეფის უერთგულესი და უპკვიანესი პირები ირიცხებოდნენ; მათი მოცილებით რუსეთის მოხელენი ვარაუდობდნენ მეფის პოზიციების დასუსტებას და რუსი მოხელეების ნება-სურვილზე მის დაყოლიე-

ბას, ხოლო მეფის ქუთაისში გადასვლა ნიშნავდა მის ხელში ჩაგდებას.

იმედგაცრუებული სიმონოვიჩი ფიქრობდა, რომ სოლომონ მეფეს გაგებული ჰქონდა იმპერატორის საიდუმლო ბრძანება მეფის შეპყრობისა და რუსეთში გაგზავნის შესახებ. მეფის ძალით შეპყრობას მოითხოვდა ზურაბ წერეთელიც; ამ აზრს იზიარებდნენ სიმონოვიჩი და ტორმასოვი, მაგრამ ჯერჯერობით ამისათვის საჭირო ძალები არ ჰყავდათ, ისინი მოლაპარაკებით ცდილობდნენ მეფის შეყოლიებას, სანამ დამხმარე ძალას მიიღებდნენ. ამ მიზნით და თვით სოლომონის თხოვნით ტორმასოვმა იმერთა მეფესთან მოსალაპარაკებლად გაგზავნა თავისი მოხელე მოგილევსკი. ამ პერიოდში მეფის ბანაკი რუსეთის ჯარს ისე უნდა მოეცვა, რომ მეფეს გასაქცევი გზა არსაით ჰქონოდა. საჭირო იყო მზად ყოფილიყვნენ თავიანთი ლაშქრით: გურიელი, დადიანი და გელოვანი. სიმონოვიჩს ხმები უნდა გაევრცელებინა, თითქოს ახალციხეზე სალაშქროდ მიდიოდა და ხანისწყლის ხეობა უნდა დაეკავებინა, რომ მეფეს ახალციხეში გასაქცევი გზა მოჭრილი ჰქონოდა. ამავე დროს, ქართლიდან იმერეთის საზღვარზე რუსეთის ჯარის ნაწილი უნდა მოსულიყო და იქ დაბანაკებულიყო, იმ მიზნით, რომ დათქმულ დროზე მას იმერეთის საზღვარი გადაელახა და იმპერატორის ერთგულებაზე ხალხის დაფიცებას შესდგომოდა. ამავე დროს, გამოქვეყნდებოდა პროკლამაციები მეფის ტახტიდან ჩამოგდების შესახებ.

სოლომონ მეფე ხედავდა მოწინააღმდეგის მზადებას, მაგრამ არას იმჩნევდა და მოლაპარაკების გახანგრძლივებას ცდილობდა. მეფე ტორმასოვს დაეთანხმა პეტერბურგში დეპუტაციის გაგზავნაზე, მხოლოდ იმ პირობით, რომ გასაგზავნ დეპუტატებს თვით დანიშნავდა და მადლობის სათხოვარსაც გაატანდა, ხოლო როცა ეს დეპუტატები პეტერბურგიდან დაბრუნდებოდნენ, მეფეც გადავიდოდა ქუთაისში საცხოვრებლად.

ტორმასოვიც მიხვედრილი იყო მეფის განზრახვას და, ერთი მხრივ, სიმონოვიჩს უბრძანებდა სასწრაფოდ დაემთავრებინა სამხედრო სამზადისი, მეორე მხრივ, მოგილევსკის პირით მეფეს ყველაფრის შესრულებას ჰპირდებოდა, თუ მის რჩევას დაჰყვებოდა. მაგრამ ტორმასოვი გრძნობდა, რომ მეფესთან მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდებოდა და ამიტომ ეგერთა მე-9 პოლკის ორი და ხერსონის პოლკის ერთი ბატალიონი იმერეთის საზღვარს მიუახლოვდა იმ მოსაზრებით, რომ მოლაპარაკების უშედეგოდ დამთავრებისთანავე დაეწყოთ მეფის წინააღმდეგ იარაღით ბრძოლა.

ქუთაისიდან მოგილევსკიმ ვარციხეში მყოფ მეფეს თავადი ამირეჯიბი გაუგზავნა და მასთან შეხვედრის სურვილი ამცნო. მეფემ

მოგილევსკის აახლა თავადი სოლომონ ლიონიძე, თავადი ჯაფარიძე და ვარციხეში მიიწვია მოსალაპარაკებლად. ამ მოლაპარაკების შედეგი მოგილევსკიმ დაწვრილებით აცნობა ტორმასოვს.

მეორე დღეს მოგილევსკის მოახსენეს, რომ მისი წინადადებიდან შეასრულებენ მხოლოდ ერთს — მეფე თანახმაა, გაგზავნოს დეპუტაცია, სხვა მუხლები დარჩება უცვლელადო. „დანარჩენ მუხლებს შეასრულებ და ქუთაისშიაც მხოლოდ მაშინ გადმოვალ, როცა დაბრუნდება დეპუტაცია და წერილობითს საბუთს მომიტანს ხელმწიფისაგან, რომ იმერეთის მეფედ დამტოვა მისმა იმპერატორობითმა უდიდებულესობამ და ამასთან უზრუნველყოფს რუსეთის ჯარისაგანაო"[1].

ერთი სიტყვით, მეფე და მისი მრჩევლები დროის მოგების მიზნით მოგილევსკის აყოვნებდნენ, ამას რუსეთის მოხელე კარგად გრძნობდა და ისევ რუსეთში დაბრუნდა. ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ მეფისაგან გამოგზავნილმა პირმა ამცნოთ, რომ მეფემ ყველაფერი შეინანია და გთხოვთ შებრალებასაო. ამის შესამოწმებლად მოგილევსკიმ ჯაშუში გაგზავნა და მანაც ამცნო, რომ 19 თებერვალს მეფემ გაგზავნა ახალციხის ფაშასთან თ. თ. ქაიხოსრო, სვიმონი და ბერი წულუკიძეები და სთხოვა მას დახმარება ჩვენი ჯარის წინააღმდეგო.

ტორმასოვისადმი გაგზავნილ წერილში მოგილევსკი წერდა: მეფე თუმცა ერთგულებას აცხადებს, მაინც სანდო არ არისო.[2]

სოლომონ მეფესთან მრავალგზის უნაყოფო მოლაპარაკების შემდეგ მთავარმართებელმა ტორმასოვმა განკარგულება გასცა, 1810 წლის 20 თებერვლისათვის მზად ყოფილიყვნენ სამხედრო შენაერთები და მათი მოკავშირე დასავლეთი საქართველოს მთავრები, რომ იმერეთის მეფე იარაღის ძალით განედევნათ და ქვეყანა რუსეთისათვის შეეერთებინათ.

20 თებერვალს ქუთაისის ეკლესიებში გამოაცხადეს ტორმასოვის მოწოდება სოლომონ მეფის ხელისუფლების გაუქმების შესახებ. მოწოდებაში აღნიშნული იყო, რომ სოლომონ მეფემ დაარღვია მის მიერ რუსეთის ქვეშევრდომობაზე მიღებული ფიცი, არ ცნობს რუსეთის ხელისუფლებას და მის წინააღმდეგ იწვევს ოსმალეთსა და არღვევს მშვიდობიანობას. ამიტომ ნაბრძანები მაქვს, იმერეთის ხალხის კეთილდღეობისათვის სოლომონ მეფე გავაძევო იმერეთიდან, ხოლო ხალხმა უნდა გაწყვიტოს ყოველგვარი კავშირი მეფესთან, „თქვენი კეთილდღეობისათვის ახლა წესდება იმე-

---

[1] თ. ხუსკივაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 49.

[2] იქვე, გვ. 51.

რეთის მმართველობა, შემდგარი იმერეთის უწარჩინებულესი თავადაზნაურობისაგან, რუსი სამხედრო მოხელის თავმჯდომარეობით"[1].

დასავლეთ საქართველოში მყოფი რუსეთის ჯარების სარდალმა სიმონოვიჩმა, რომელიც სამეფოს გაუქმების შემდეგ იმერეთის გამგებლად იყო ნავარაუდევი, გამოსცა მუქარის მოწოდება: თუ თავადაზნაურობა მეფეს დაუჭერდა მხარს და რუსეთს არ მიემხრობოდა, მაშინ მამულები, ყმები და ყოველგვარი ქონება ჩამოერთმეოდათ და სახელმწიფო ხაზინაში გადაირიცხებოდა. ასეთმა მუქარამ გაჭრა და მეფეს უმრავლესობა ჩამოაცილა — ქუთაისში ხალხის დაფიცება დაიწყეს იმპერატორის ერთგულებაზე.

20 თებერვალს რუსეთის სამხედრო ნაწილებმა ყველა კუთხიდან შეუტიეს იმერეთის სამეფოს. სოლომონი ვარციხის მიდამოებში იყო გამაგრებული 4000 მეომრით.

მეფის შესაპყრობად ვარციხისაკენ ერთდროულად მიეშართებოდნენ რუსთა შენაერთები: ქართლიდან, ქუთაისიდან, სამეგრელოდან, გურიიდან და ლეჩხუმიდან.

საჯავახოში მდგარმა გურიელმა შეტევა განახორციელა ვარციხის მიმართულებით, ხოლო სამეგრელოს ჯარის ერთი ნაწილი რუსეთის ჯართან ერთად ჩხარს დადგა, მეორე ნაწილი დადიანის მეთაურობით ვარციხისაკენ წავიდა, გელოვანი ლეჩხუმის ჯარით ოკრიბაში შეიჭრა და მეფეს რაჭიდან დახმარების მიღების საშუალება მოუსპო.

წინასწარ შემუშავებული გეგმით, იმერეთის ყველა მიმართულებით დაიგზავნა სამხედრო რაზმები, რომ გზა გადაეჭრათ მეფის დასახმარებლად წამოსული მაშველი ძალებისათვის.

ერთთვიანი ბრძოლის შემდეგ იმერეთის მეფის გარემოცვის რკალი თანდათანობით ვიწროვდებოდა. მეფემ თავისი სადგომი — ვარციხე დატოვა და ხანის ხეობას მიაშურა, რათა იქიდან ახალციხეში გადასულიყო, მაგრამ სიმონოვიჩის მიერ ეს გზაც მოჭრილი აღმოჩნდა. მეფემ საიდუმლოდ გაგზავნა ახალციხის ფაშასთან სოლომონ ლეონიძე და მალხაზ ანდრონიკაშვილი, რათა დაეჩქარებინა ოსმალთა ჯარის გადმოყვანა იმერეთში, მაგრამ ესეც ნაგვიანევი აღმოჩნდა.

გალიაში გამომწყვდეულმა მეფემ თანხმობა განაცხადა რუსების მიერ წამოყენებული მოთხოვნების მიღებაზე და მოლაპარაკება გამართა სიმონოვიჩთან და მოგილევსკისთან, რომლებმაც იგი მთავარმართებელ ტორმასოვთან შეხვედრაზე დაითანხმეს.

---

[1] კაკა, ტ. IV, გვ. 219 (რუს.).

1810 წლის 12 მარტს ბაღდათის ზემოთ სალხინოს საყდარში სიმონოვიჩმა და მოგილევსკიმ საჯაროდ, რუსეთის რაზმებისა და იმერეთის თავადების თანდასწრებით ჯვარსა და სახარებაზე დაიფიცეს, რომ მეფეს არ შეიპყრობდნენ. მიიღებდნენ მეფური პატივისცემით და ქართლის საზღვარზე, პატიების გამოთხოვის მიზნით, ტორმასოვთან შეხვედრის შემდეგ, უკან გამოისტუმრებდნენ[1].

იმავე წლის 15 მარტს, მეფე 500 შეიარაღებული მეომრით გაემგზავრა ქართლის საზღვარზე ტორმასოვთან შესახვედრად და მოსალაპარაკებლად. გზაში მეფე და მისი თანამზრახველნი ხალხში ხმებს ავრცელებდნენ, რომ იგი მიდიოდა რუსეთის ადგილობრივ ხელისუფლებასთან მოსალაპარაკებლად, და თუ შეთანხმება არ მოხდებოდა, მეფე მაინც დაბრუნდებოდა იმერეთში და ბრძოლას გააგრძელებდა დამოუკიდებლობისათვის.

გზაში, როგორც ჩანს, მეფემ შეიტყო, რომ რუსეთში გადასახლებას უპირებდნენ და გაქცევა სცადა, მაგრამ ამაოდ, რუსთა რაზმები მას მჭიდროდ მეურვეობდნენ. ამის შემდეგ მეფეს გაძლიერებული დაცვა დაუყენეს და თან გამოუცხადეს, რომ იგი რუსეთის „საპატიო ტყვე იყო“ და ამაოდ შეეცდებოდა გაქცევას. ყოველგვარი ხიფათის თავიდან ასაცილებლად მოგილევსკიმ, რომელიც მეფეს მიაცილებდა ორი ბატალიონი ჯარით, მას ალყა შემოარტყა და ისე მიიყვანა სოფ. ვარიაში, სადაც 1810 წლის 28 მარტს მას მფლავარმართებელი ტორმასოვი შეხვდა.

ტორმასოვმა მეფეს გამოუცხადა, რომ მისი ბედის გადასაწყვეტად იმპერატორის პასუხს უნდა დალოდებოდა თბილისში. ამიტომ მეფის მხლებლებიდან 400 კაცს რუსეთის ერთგულებაზე ფიცი მიაღებინა და იმერეთში დააბრუნა.

მეფე 100 კაცის თანხლებით თბილისში წაიყვანეს. ქალაქში შესვლისთანავე ეს 100 კაციც ჩამოაშორეს და მარტოდ დარჩენილი მეფე თავად სუმბათაშვილის სახლში დააბინავეს, როგორც საპატიო ტყვე და ძლიერი დაცვა დაუყენეს, რომ არ გაქცეულიყო.

ტორმასოვი დიდად კმაყოფილი იყო, რომ ხუთი წლის განმავლობაში ურჩობით განთქმული მეფე ტყვედ ჰყავდა თბილისში. მან მადლობა გამოუცხადა სიმონოვიჩს და გენერლის ჩინი მიანიჭა, თან მთელი დასავლეთი საქართველოს ჯარების სარდლად და იმერეთის მმართველად დანიშნა.

ტორმასოვი საგანგებოდ ემზადებოდა, რათა სოლომონ მეფე რუსეთში გადაესახლებინა.

---

[1] ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, თბ., 1921, გვ. 177.

* * *

მეფის დატყვევების შემდეგ იმერეთის ციხეები რუსეთის ჯარებმა დაიკავეს; ორმოცი ათასმა კომლმა — იმერეთის თავადობამ, სამღვდელოებამ და ხალხმა — იმპერატორის ერთგულებაზე დაიფიცა.

ტორმასოვის ბრძანებით ყოველგვარი უსიამოვნო მოულოდნელობის თავიდან აცილების მიზნით ციხესიმაგრეების ნაწილი დაანგრიეს, ნაწილში კი რუსი ჯარისკაცები დააყენეს:

„შინაგანი წესიერებისა და ოსმალეთის თავდასხმისაგან დასაცავად“ იმერეთში დატოვებული რუსეთის ჯარის ნაწილები განლაგდნენ: ქუთაისში, ვაკეში, ბაღდათში, საჩხერეში, ჩხერში, ვარციხესა და სხვა პუნქტებში, აგრეთვე, რაჭაში არ დარჩენილა არც ერთი კუთხე, სადაც სამხედრო ნაწილი თუ არა, საყარაულო პუნქტი მაინც არ ყოფილიყო.

იმერეთის სამეფოს გაუქმებისთანავე შეიქმნა დროებითი მთავრობა. იმერეთი დაიყო ექვს ნაწილად: ქუთაისის, ვაკის, ბაღდათის, საჩხერის, ჩხერის და რაჭის ოლქებად. აღმოსავლეთი საქართველოს მსგავსად ამ ოლქებში ჩამოაყალიბეს სახაზინო, სასამართლო და აღმასრულებელი ექსპედიციები.

ტორმასოვი რუმიანცევისადმი გაგზავნილ მოხსენებაში საზეიმო განწყობილებით აღნიშნავდა, რომ იმპერატორის ნება-სურვილი შესრულებულია და იმერეთი მთელი თავის ციხესიმაგრეებით ერთი თვის განმავლობაში შეერთებულია მისი უდიდებულესობის იმპერიასთან. მოსახლეობას მიაღებინეს იმპერატორისადმი ერთგულების ფიცი, თვით მეფე კი თბილისშია და ელოდება მისი უდიდებულესობის გადაწყვეტილებას.

სოლომონ მეფესთან ერთად ტახტის მემკვიდრე კონსტანტინე ბატონიშვილიც დაიჭირეს და თბილისში ჩაიყვანეს. როგორც ვიცით, იგი ადრე გაიქცა და ისევ იმერეთში დაბრუნდა; სოლომონ მეფემ კონსტანტინე ტახტის მემკვიდრედ აღიარა, ცოლი შერთო და საუფლისწულად ჩხარი და სვირი მისცა. 1810 წლის 31 ივლისს იგი მთავრობის განკარგულებით რუსეთს გაიგზავნა.

იმერეთის სამეფოს გაუქმებაში და მეფის დაჭერაში რუსეთის მთავრობას იარაღით მხარში ამოუდგნენ სამეგრელოსა და გურიის სამთავრო სახლების წევრები ლევან დადიანისა და მამია გურიელის მეთაურობით, აფხაზეთის მთავარი მანუჩარ შერვაშიძე და ლეჩხუმის მოურავი ბერი გელოვანი; იმერეთის სამეფოდან: ზურაბ წერეთელი, ანტონ რაჭის ერისთავი, ვახუშტი ჩიჯავაძე, ეელვიმე — გენაოთელი მიტროპოლიტი, სეხნია და ოტია წულუკიძეები და სხვანი.

სუმბათაშვილის სახლი თბილისში, სადაც სოლომონ მეფე მოთავსეს, მდებარეობდა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ავლაბრის ხიდის ახლოს; სახლი განმარტოებულად იდგა და გარს ერტყა მაღალი გალავანი ვიწრო გასასვლელი კარით.

რვა ოთახიდან მეფის განკარგულებაში ოთხი ოთახი იყო. სახლის შიგნით მეფე თავისუფლად გრძნობდა თავს, ხოლო გალავანი გარშემორტყმული იყო ჯარისკაცებით, მეფეს ძლიერი დაცვა დარაჯობდა. მეფესთან შესვლა მხოლოდ სპეციალური ნებართვით შეიძლებოდა. სიფრთხილისათვის მეფეს მუდამ თან ახლდა ერთი ოფიცერი.

მიუხედავად დიდი სიფრთხილისა და ძლიერი დაცვისა, იმერთა მეფემ 1810 წლის 10 მაისის ღამეს მაინც მოახერხა გაქცევა ქაიხოსრო წერეთლის მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით.

მეფემ მოსამსახურის ტანისამოსი ჩაიცვა, ლოგინში თავისი პირისფარეში ჩააწვინა, ნაცრით პირისახე მოისვარა, თუნგით ხელში (დავით ბატონიშვილის სიტყვით ტიკჭორით) ორ დარაჯს გაუარა და შეკითხვაზე თამამად უპასუხა, რომ იგი მეფის მსახურია და მტკვარზე მიდის წყლის მოსატანად. შემდეგ მეფე ქალაქის გალავნიდან გაიყვანეს. გალავნის გარეთ მას ელოდნენ გაქცევის ორგანიზატორები: ქაიხოსრო, გიორგი და ორი სიმონ წერეთელი, დავით და გიორგი ერისთავები, როსტომ ნიჟარაძე, დავით აბაშიძე, ბერი ლორთქიფანიძე და სხვანი, სულ 23 ცხენოსანი. მათი თანხლებით მეფე ახალციხის მიმართულებით გაუჩინარდა[1].

თრიალეთის გზაზე მიმავალ მეფეს წინ 300-კაციანი ლეკთა მოთარეშე რაზმი შემოხვდა. მათ იმერთა მეფე იცნეს, თაყვანი სცეს და ახალციხემდე მიაცილეს. ახალციხის ფაშამ სოლომონ მეფეს ოქროთი აღკაზმული ცხენი მიართვა და დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნა მისი მისვლა ახალციხეში[2].

ტორმასოვი ამ დროს ყარაბაღში იყო და მოლაპარაკებას აწარმოებდა დროებითი ზავის შესახებ მირზა ბეზიურგთან. მის მოვალეობას თბილისში ასრულებდნენ მოადგილეები — გენერლები ახვერდოვი და როზენი. მათ სასწრაფოდ მიიღეს ზომები გაქცეული მეფის შესაპყრობად, მაგრამ ამაოდ.

---

[1] დ. და ბ. ბატონიშვილების ისტორია, თ. ლომოურის გამოცემა, თბ., 1941, გვ. 105; „კრებული", 1872 წ., გვ. 10—12, ილარიონ ქართველის ნაამბობი; ლ. ხახანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 60—61.

[2] ბ. და დ. ბატონიშვილების ისტორია, გვ. 105.

როზენმა განკარგულება მისცა სიმონოვიჩს, რათა მიეღო სასტიკი ზომები — დაეპატიმრებინა სოლომონ მეფესთან გაქცეულების ოჯახები, შეეპყროთ მეფის მეუღლე, რათა ქმართან დაკავშირების საშუალება არ ჰქონოდა და თვალი ედევნებინა სოლომონისათვის, რომ იმერეთში გადმოსვლისთანავე შეეპყროთ.

ასეთივე განკარგულება გასცა ყარაბალიდან სასწრაფოდ დაბრუნებულმა ტორმასოვმა. იგი სიმონოვიჩს ურჩევდა, გაემაგრებინა ხანისწყლისა და ზეკარის ციწროები, საიდანაც მოსალოდნელი იყო მეფის შემოსვლა იმერეთში მაშველი ჯარით. ასევე გურიისა და სამეგრელოს მთავრებს მან სთხოვა, თავიანთი ჯარით შეერთებოდნენ სიმონოვიჩს და ერთიანი ძალით ემოქმედათ მოსალოდნელი საშიშროების წინააღმდეგ. თვითონ ტორმასოვი ყალბ ხმებს ავრცელებდა, ვითომ ახალციხის საფაშოზე თავდასასხმელად მიდიოდა, ამით მას სურდა, ფაშა დაეშინებინა, რომ სოლომონ მეფეს ჯარით არ დახმარებოდა.

რუსმა მოხელეებმა დააპატიმრეს და ფოთის ციხეში მოათავსეს იმ თავადთა ოჯახები, რომელნიც მეფესთან იმყოფებოდნენ. ფოთის ციხეში გამოამწყვდიეს აგრეთვე სოლომონ მეფის მეუღლე, დადიანის ასული მარიამი, რათა მეფესთან მიწერ-მოწერა არ ჰქონოდა.

ირან-ოსმალეთთან მიმდინარე ომის პირობებში, სოლომონ მეფის გაქცევამ დიდი შეშფოთება გამოიწვია. ტორმასოვმა საყვედური მიიღო იმპერატორისაგან: რატომ მეფე დაჭერისთანავე რუსეთში არ გამოგზავნეო.იმპერატორის ბრძანებით პასუხისგებაში მისცეს მთელი საგუბერნიო ხელისუფლება.

გენერალი როზენი სამხედრო ტრიბუნალს გადასცეს, მაგრამ სასამართლომ უდანაშაულოდ სცნო. თბილისის კომენდანტი მაიორი კომნენი ხუთი თვის პატიმრობის შემდეგ სამსახურიდან სამუდამოდ დაითხოვეს, თბილისის ბოქაულ ბარათაშვილს თავადის წოდება ჩამოართვეს და ჯარისკაცად განაწესეს[1], ხოლო მეფის გაქცევის ხელშემწყობნი: ავთანდილოვი, პენტელოვი (პენტელაშვილი), ფალავანდოვი (ფალავანდიშვილი) და მურასოვი დახვრიტეს[2]. მეფის მოსამსახურეები: თაბუკაშვილი (რომელიც მეფის საწოლში ჩაწვა)

---

[1] ერთი წყაროს ცნობით, ბარათაშვილმა თვით გადასცა ცხენი დაქანცულ მეფეს, რომელსაც იგი შემოხვდა ქალაქგარეთ, იხ. „კრებული", 1872 წ., № 10—12. ილარიონ ქართველის ნაამბობი.

[2] ბ. ბატონიშვილის გადმოცემით, ოთხივე დაასაფლავეს ავლაბარში, მინდორზე, „რომელთაცა საფლავსა ზედა მათსა დაედგათ ნათელი ზეგარდმო, და შეერაცხნენ წმინდათა შორის" იხ. დ. და ბ. ბატონიშვილების ისტორია, გვ. 106.

და სალარიძე ციმბირში გადაასახლეს, ასეთივე სასჯელი მიიღო ყველამ, ვინც მეფესთან იყო განწესებული თვალყურის სადევნებლად.

* * *

13 მაისს სოლომონ მეფე ახალციხის საფაშოში, სოფ. ქოთელში თავის ბიძას ალექსანდრე ბატონიშვილს შეხვდა; მათ მოქმედების გეგმა შეადგინეს, ხოლო ალექსანდრე ბატონიშვილმა სასწრაფოდ აცნობა იმერეთის ხალხს სოლომონ მეფის გაქცევა: „ღმერთმა მოგვხედა და ჩვენი სახლის ბედნიერება დაიწყო. დღეს, ე. ი. 13 მაისს, მეფე სოლომონი გაექცა რუსებს თავისი თავადებით, რომლებიც მასთან იყვნენ და მობრძანდა ქოთელში. ფაშისა და ჩვენგან ყველა მხრით დაგზავნილია ცნობები და წერილები. ვიცით, რომ თქვენც ისურვებთ, დარჩეთ ბაგრატიონების სახლის ერთგულნი. ახლა დადგა ჟამი, გამოიჩინოთ თქვენი გმირობა, იმოქმედოთ, რითაც სამუდამოდ დავალებულს გახდით ჩვენს სახლს“[1].

ტორმასოვმაც არ დააყოვნა და 17 მაისს იმერეთის უმაღლეს სასულიერო წოდებას მიმართა განცხადებით, სადაც აღნიშნავდა, რომ „სოლომონმა გადადგა დამღუპველი ნაბიჯი, როცა იგი თბილისიდან გაიქცა და თავი შეაფარა ურჯულო მაჰმადიანებს. მისი მიზანი ის არის, რომ თურქებთან შეერთებით, რომელთაც არაერთხელ აუოხრებიათ იმერეთი და იმერელი ხალხისათვის მიუყენებიათ ბევრი უბედურება, დაარღვიოს იმერეთის მშვიდობიანობა, ჩააგდოს უწმინდურთა მონობაში ქრისტიანთა ოჯახები და თავს დაატეხოს უბედურება“[2].

ტორმასოვი იმერეთის სამღვდელოების დახმარებით და მხარდაჭერით მოუწოდებდა ხალხს, ზურგი შეექციათ მეფისათვის, უკუეგდოთ ფიქრი სამეფოს აღდგენაზე და მტკიცედ დამდგარიყვნენ რუსეთის სახელმწიფოს ერთგულებაზე.

სოლომონ მეფემაც პროკლამაციები დაგზავნა და იმერეთის ხალხს აჯანყებისაკენ მოუწოდა რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ.

ტორმასოვმა განმეორებით გამოუშვა პროკლამაცია, სადაც ხალხს აფრთხილებდა, ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტათ სოლომონ მეფესთან, წინააღმდეგ შემთხვევაში მკაცრი ზომების მიღებით — ციმბირში გადასახლებით და ყოველგვარი ქონების ჩამორთმევით

---

[1] კაკა, ტ. IV, გვ. 340 (რუს.).
[2] იქვე. გვ. 267 (რუს.).

იმუქრებოდა, ხოლო რუსეთის ერთგულთ პატივსა და ჯილდოს პირდებოდა.

სოლომონის მიერ იმერეთის ხალხისადმი გამოგზავნილი წერილები საქმის ცოდნით იყო შედგენილი. მეფე ანგარიშს უწევდა საზოგადოებრივ აზრს და თავის პოლიტიკურ საქმიანობასაც ამას უფარდებდა. მან კარგად იცოდა, რომ იმერეთის ხალხი უარყოფითად იყო განწყობილი როგორც ოსმალეთის, ისე სპარსეთის წინააღმდეგ, ამიტომ მათი დახმარებით რუსების წინააღმდეგ ბრძოლა იმერეთის ხალხში პოპულარობას ვერ მოუხვეჭდა.

იმერეთის ხალხი და „სოლომონ-მეფე კარგად ხედავდა, რომ რუსეთის მთავრობა აზიელ დამპყრობელთ — სპარსეთს ან ოსმალეთს არ გავდა. ხალხის ქლეტისა და აოხრების მუქარით კი არ მოდიოდა, არამედ პირზე ეკერა „მშვიდობა", „სათნოება" და „სამართლიანობა"[1].

სოლომონ მეფემ კარგად იცოდა, რომ რუსეთის რეგულარულ ჯარს ვერ გაუმკლავდებოდა, ამიტომ იგი ირანსა და ოსმალეთს სთხოვდა რუსების წინააღმდეგ დახმარებას. მისი ვარაუდით, რუსეთის მთავრობა ყველა ფრონტზე ვერ შეძლებდა ბრძოლას და იძულებული გახდებოდა, იმერეთისათვის დაეთმო და მეფე ისევ აღედგინა.

სარდალი ქაიხოსრო და სვიმონ ზურაბის ძე წერეთელი ფარულად შემოვიდნენ იმერეთში და ხალხს აჯანყებისაკენ მოუწოდეს. ივნისის თვეში მთელი იმერეთი აჯანყებული იყო, აჯანყებას სათავეში ქაიხოსრო წერეთელი ჩაუდგა. დავით ბატონიშვილი აჯანყების დაწყებას ასე აღწერს: „სცნეს რა იმერთა მეფისა აღსვლაი ახალციხეს, შეიქმნა მათ შორის აღრეულობაი და ადგილ-ადგილ ამბოხი, უმეტეს ზემო მხარსა შინა, რომლისა ამბოხის თავი იქმნა ქაქუჩელა აბაშიძე, საქარელი"[2].

ივნისის შუა რიცხვებში იმერთა მეფე მცირეოდენი (600) ლეკთა რაზმის თანხლებით იმერეთში გადმოვიდა და ტყაჩირში აგიაშვილის სახლში შეჩერდა. მის ირგვლივ თავის მოყრა დაიწყეს აჯანყებულებმა.[3]

აჯანყებულებმა ივნისის დამდეგიდან გაწყვიტეს რუსის ჯარის ყოველგვარი კავშირი თბილისთან. იმერეთის ტერიტორიაზე არსებული ყველა სამხედრო შენაერთი აჯანყებულთა გარემოცვაში აღ-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 385.

[2] მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა, თბ., 1905, გვ. 90.

[3] უფრო დაწვრილებით იხ. მ. გონიკიშვილი, იმერეთი XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე, თბ. 1979.

მოჩნდა. სიმონოვიჩის გარნიზონი ქუთაისში ჩაიკეტა და გარეთ ვერ გამოდიოდა. სიმონოვიჩი ტორმასოვს სწერდა, რომ იმერეთში ერთი მომხრეც კი არ ჰყავდა[1] და დამატებით ჯარს სთხოვდა. ტორმასოვმა სასწრაფოდ გაუგზავნა მას ერთი ბატალიონი.

პირველი სისხლიანი შეტაკება რუსეთის ჯარსა და აჯანყებულთა შორის მოხდა 22 ივნისს სოფელ საქარაში, სადაც 2000-იანი რაზმი ქაიხოსრო აბაშიძის მეთაურობით შეებრძოლა რუსთა ჯარს, რომელსაც მაიორი კალატოზოვი (კალატოზიშვილი) მეთაურობდა. ამ ბრძოლაში იმერლებმა სძლიეს მოწინააღმდეგეს და მათი მეთაური კალატოზოვიც სიცოცხლეს გამოასალმეს. მეორე რაზმმა ტიტოვის მეთაურობით შეძლო აჯანყებულებისათვის მთავარი პოზიციები წაერთმია, მაგრამ აჯანყება დღითი დღე ძლიერდებოდა, მისი ცენტრი ლომსიანთხევი იყო.

აჯანყების შესუსტების მიზნით სიმონოვიჩმა ჯარი ჩააყენა ელაზნაურში, ყვირილის სანაპიროზე, სვირსა და ბაღდათში,[2] მაგრამ ამ ღონისძიებამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, აჯანყება თანდათანობით ძლიერდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ იმერეთის ტერიტორიაზე რუსეთის ჯარის ნაწილები თითქმის ყველა სტრატეგიულ ადგილში იყვნენ განლაგებულნი, აჯანყების ზრდის გამო აუცილებელი ხდებოდა აღმოსავლეთი საქართველოდან დამხმარე ნაწილების გადმოყვანა, რის გარეშეც რუსეთის მმართველობას აჯანყების ჩაქრობა არ შეეძლო.

მთავარმართებელი ტორმასოვი შეშფოთებული იყო იმერეთის აჯანყებით. მან აჯანყების ჩასაქრობად და დასავლეთი საქართველოს ჯარების მთავარსარდლად „ფოთის გმირი" გენერალი დიმიტრი ორბელიანი დანიშნა, დამატებით 3200 მეომარი მისცა, თან დაავალა იმერეთში შეჭრა და მეამბოხეთა განადგურება. მას უნდა გამოეყენებინა დადიან-გურიელის ლაშქარი. ორბელიანს მიეცა დავალება, გაეძარცვათ სოფლები, წაერთმიათ მოსახლეობისათვის სურსათი ჯარის გამოსაკვებად, დაეპატიმრებინათ აჯანყებული თავადაზნაურობა, აჯანყებული გლეხების ნაწილი გაეციმბირებინათ და ნაწილი ჩამოეხრჩოთ, რომ ამით მოსახლეობა დაშინებულიყო.

ტორმასოვმა ცალკე განკარგულებაც გამოსცა: რომელი გლეხიც აჯანყებას გაუდგებოდა და რუსეთის მხარეზე გადავიდოდა, მათ ბატონისაგან ათავისუფლებდა და სახაზინო გლეხად ჩარიცხავდა. მაგრამ ამ ღონისძიებამაც ვერ გაჭრა.

ტორმასოვმა უფრო ადრე, როდესაც იმერთა მეფე თბილისიდან

---

[1] კაკა, ტ. IV, გვ. 358 (რუს.).
[2] იქვე, გვ. 279, 291, 294 (რუს.).

გაიქცა, სიმონოვიჩს უბრძანა, მოსყიდული მკვლელის მეშვეობით სოლომონ მეფე თავიდან მოეცილებინათ. ეს განზრახვა მან სოლომონ მეფის პირად მტერს — ელიზბარ ერისთავს გაანდო და მასვე დაავალა, სიმონოვიჩთან ერთად გამოენახათ საშუალება ამ გეგმის სისრულეში მოსაყვანად, მაგრამ დრო მიდიოდა და ეს ჩანაფიქრი არ სრულდებოდა. ხალხის მოსასყიდად და ჯაშუშების დასაქირავებლად ტორმასოვი ფულს და ოქროს არ ზოგავდა, მაგრამ გაკვირვებას იყო, რომ იმერეთში ჯაშუშებს და მკვლელებს ვერ პოულობდნენ.[1]

სურამს მოსულმა გენერალმა ორბელიანმა თავისი ჯარი ორად გაჰყო: ერთი ბატალიონი მაიორ ტიხოცკის მეთაურობით ალის გზით გაგზავნა, თვითონ კი ვახანის გზით გაემართა იმერეთისაკენ. ამით იგი ვარაუდობდა, ორი მხრიდან დასხმოდა თავს ლომსიანთხევში გამაგრებულ აჯანყებულებს და გაენადურებინა, მაგრამ მოხდა საწინააღმდეგო: ბნელათხევში მალხაზ ანდრონიკაშვილის, სიმონ და როსტომ წერეთლების მეთაურობით აჯანყებულებმა ტიხოცკის ბატალიონს გზა გადაუღობეს და ნახევარი ამოხოცეს. ჯარის გადარჩენილი ნაწილი აჯანყებულთა რკალში მოხვდა, ვერც წინ და ვერც უკან ვერ წავიდა. ამაზე ადრე იმავე ხეობაში აჯანყებულებმა გაანადგურეს რუსთა ერთი ბატალიონი, სადაც 160 კაცი დაიღუპა.[2]

ალის ხეობა აჯანყებულებმა ჩაკეტეს. ტიხოცკის ბატალიონის დარჩენილ ნაწილს ტორმასოვის მიერ გაგზავნილმა დამხმარე რაზმმაც ვერ უშველა. გენერალმა ორბელიანმა ტიხოცკის ნახევარი ბატალიონი ჯარი გაუგზავნა, მაგრამ აჯანყებულებმა ისიც დაამარცხეს და უკან გააბრუნეს.

დიმ. ორბელიანის ჯარიც შეჩერებულ იქნა აჯანყებულებისაგან. იგი იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო და ალის ხეობაში მომწყვდეულ ტიხოცკის ჯარის ნარჩენებისათვის ეშველა. ორბელიანი ტორმასოვს სწერდა: „იძულებული გავხდი გავჩერებულიყავ ალის ხეობაში, რათა შემესვენებინა ექვსდღიანი ბრძოლის შედეგად არაქათგამოცლილი ჯარისკაცები".[3]

„სისხლის ღვრა და შეუწყალებელი ბრძოლა მოხდა ალის ხეობაში. ოთხი დღე განუწყვეტელი სროლა იყო. რუსეთის ჯარი დიდად შეეიწროვდა. დამარცხებაც არ ასცდებოდათ, რომ სურამიდან მშველელი რაზმი არ მოსწრებოდათ. 11 ივლისს დასვენებული ორი როტა ბორჯომის გზით შემოუერთდა ტიხოცკის რაზმს. ელაზნაურიდან მოვიდა თვით ორბელიანიც. დამპალოს ველზე ათი როტა რუ-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 388—389.
[2] მ. დუმბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 194.
[3] ალ. ხახანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 69.

სის ჯარი და ოთხი ზარბაზანი დაუხვდათ აჯანყებულებს. ოთხი ვერსის სივრცეზე მდინარე ძირულამდის ეცნენ ერთმანეთს მოპირისპირენი. ხიდს იქით ერთმანეთს მოსდევდა იმერთა მიერ გამაგრებული ადგილები. ჯარის გატარება აქ შეუძლებელი იყო, ამიტომ ორბელიანი უკან დაბრუნდა სურამს იმ აზრით, რომ ვახანის ხეობით შესულიყო იმერეთს".[1]

მალხაზ ანდრონიკაშვილი, სიმონ და როსტომ წერეთლები, რუსეთის ჯარის დამარცხებით გახარებულნი, მეფეს ულოცავდნენ ამ გამარჯვებას.

სურამში მდგომი გენერალი ორბელიანი ტორმასოვს დამატებით ჯარს სთხოვდა. მთავარმართებელი ამისი წინააღმდეგი იყო, რადგან ყოველდღე ელოდა ირანის გამოსვლას და ასეთ მდგომარეობაში იმერეთში რვა ბატალიონი ჯარის დაბანდება ყოვლად შეუწყნარებლად მიაჩნდა. ტორმასოვი ორბელიანს უსაყვედურებდა, რომ მისი ტაქტიკური შეცდომის შედეგი იყო დიდი მსხვერპლი, მაგრამ ბოლოს ტორმასოვი მაინც იძულებული გახდა, შეესუსტებინა ირანის ფრონტი და იქიდან ჯარის ნაწილები იმერეთში გაეგზავნა.

ამ დროს სიმონოვიჩის გარნიზონი ქუთაისში იყო ჩაკეტილი. მის დასახმარებლად გამოეშურა სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი; მან ჯიხაიშს მიაღწია და იქ დაბანაკებულ 500 კაცს შეუერთდა. ამასობაში სოლომონ მეფე მას თავს დაესხა, დაამარცხა და გაფანტა, მაგრამ ძალზე დაზარალებულმა დადიანმა თავი დაღწია იმერთა მეფის რკალს და ქუთაისში ტორმასოვს შეუერთდა.

ტორმასოვმა გენერალ ორბელიანის დამარცხება მის უუნარობას დააბრალა და მთავარსარდლის პოსტიდან გადააყენა; მის მაგივრად 16 ივლისს გენერალი ბარონი როზენი დანიშნა და დაავალა, სასწრაფოდ ჩაეხშო იმერეთის აჯანყება.

ორბელიანი არ დაელოდა როზენის მისვლას სურამში და თავისი ჯარით ვახანის გზით იმერეთისაკენ გაეშურა. გზაში მას აჯანყებულთა 2000-კაციანი რაზმი შეხვდა. ორბელიანმა იერიშით გაარღვია აჯანყებულთა რკალი და ჩხერისაკენ გასწია, რათა გადაერჩინა იქ გამაგრებული მეცხოვნეები, რომელნიც ერთი თვის განმავლობაში იცავდნენ ციხესიმაგრეს.

ჩხერის მისადგომებთან დიდი ბრძოლა გაიმართა. ორსაათიანი შეტაკების შემდეგ აჯანყებულებმა ვერ გაუძლეს რუსეთის რეგულარულ არმიას და უკან დაიხიეს. გენერალმა ორბელიანმა ჩხერის ციხე გაათავისუფლა.

---

[1] კაკა, ტ. IV, გვ. 302 (რუს.).

გენერალმა როზენმა სურამიდან გენერალ ორბელიანის მიერ გაწმენდილი გზა თავისუფლად განვლო, 23 ივლისს ჩხერის მახლობლად იგი ორბელიანს შეხვდა და ჯარის სარდლობა ჩაიბარა. როზენმა არ დააყოვნა და იმერეთის მოსახლეობას მუქარანარევი კილოთი დამშვიდებისაკენ მოუწოდა, თანაც ასეთი მოწოდება გააგრცელა: „განშორდით მეფედ ყოფილსა სოლომონსა, რომელმანცა თქვენ დაგამონავათ... მოანდევით თავი თქვენი... კაცთმოყვარებასა... იმპერატორისასა; დაუტევეთ... შფოთი"[1].

ქუთაისში, სიმონოვიჩთან შესაერთებლად სასწრაფოდ მიმავალ რუსეთის ჯარს 24 ივლისს ჩხერის მახლობლად 5000-იანმა იმერეთის ლაშქარმა გზა შეუკრა, მაგრამ ზარბაზნებისა და ხიშტების გამოყენებით იმერთა ჯარი დაამარცხეს და გაფანტეს. ამ ბრძოლაში მოკლეს აჯანყებულთა სარდალი დიმიტრი აბაშიძე. როზენის ჯარმა ქუთაისისაკენ აიღო გეზი.

ქუთაისისაკენ მიმავალი როზენი დიდ წინააღმდეგობას წააწყდა: გზები ჩახერგილი და გადათხრილი იყო; ჩასაფრებული იმერლები განსაკუთრებით დიდ ზიანს აყენებდნენ არიერგარდს.

26 ივლისს როზენის ლაშქარს დიდი შეტაკება მოუხდა აჯანყებულებთან სოფ. ცხრაწყაროსთან. ამ ბრძოლაში დაიღუპა აჯანყებულთა მეთაური ქაიხოსრო აბაშიძეც.

27 ივლისს რუსეთის ჯარს მდ. ყვირილას გადალახვის შემდეგ შეტაკება მოუხდა იმერეთის 4000-იან ლაშქართან, რომელსაც ქაიხოსრო წერეთელი მეთაურობდა. როზენმა იმერლები დაამარცხა და გაფანტა.

28 ივლისს დიდი ბრძოლა მოხდა სიმონეთის ტყეში. აქაც აჯანყებულებს ქაიხოსრო წერეთელი სარდლობდა. 7000-იანი ლაშქარი გზის მარჯვნივ და მარცხნივ იყო გამაგრებული. იმერეთის ჯარი ოთხი საათის განმავლობაში აკავებდა რუსეთის ლაშქარს, რომ იგი ქუთაისში არ შეეშვა, მეამბოხეები თავგანწირულად იცავდნენ თავს, მაგრამ ბოლოს ხიშტებით შევიწროებულ იქნენ და ტყეში გაიფანტნენ... ამ ჯარის ნაწილი მაღლაკში მდგომ სოლომონ მეფის ლაშქარს შეუერთდა. ბრძოლაში მონაწილეობას იღებდნენ ახალციხის ფაშისა და ლეკთა რაზმებიც. ამ გამარჯვების შემდეგ რუსეთის არმიას გზა გახსნილი ჰქონდა ქუთაისისაკენ.

29 ივლისს როზენმა გაფანტა ქუთაისის გარშემო ჩასაფრებული აჯანყებულები და სიმონოვიჩის გარნიზონს შეუერთდა.

ამის შემდეგ იმერეთის ლაშქარი თავდაცვაზე გადავიდა, ხოლო

---

[1] საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკ. და არქივები, II, გვ. 106.

რუსეთის ჯარის სარდლობა აჯანყების სასწრაფო ლიკვიდაციას შეუდგა.

სოლომონ მეფემ კავშირი დაამყარა აფხაზეთის მთავარ ასლანბეგ შერვაშიძესთან. იგი სამეგრელოს შეესია და რბევა დაუწყო იმ მიზნით, რომ რუსეთის ერთგულ ლევან დადიანს სამეგრელოს ჯარი იმერეთის ტერიტორიიდან გამოეყვანა, მაგრამ ამის საპასუხოდ რუსეთის ფლოტი სოხუმს მიადგა და შერვაშიძე იძულებული გახდა თავისი სამთავროსათვის მიეხედა.

აჯანყების ძირითადი ძალები დამარცხდა. ჯერი სოლომონ მეფის შეპყრობაზე მიდგა. როზენმა რუსეთის ჯარის მთელი ძალები სოლომონ მეფის შესაპყრობად აამოქმედა. 4 აგვისტოს ბრძოლა გაიმართა სოფ. რიონთან, რომელსაც თვით იმერთა მეფე ხელმძღვანელობდა. მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა გააფთრებული შეტაკება, მებრძოლი მხარეები მხოლოდ სიბნელემ გააჩერა.

10 აგვისტოს გელათის ახლო, ნაგარებში სიმონოვიჩმა ორი მხრიდან შეუტია მეფის ლაშქარს, მაგრამ მეფე ხელიდან გაუსხლტა; რუსეთის ლაშქარი ფეხდაფეხ დაედევნა მას, მაგრამ მეფის ხელში ჩაგდება ვერ შეძლო.

სოლომონ მეფე დროის გაყვანის ტაქტიკას ადგა, რადგან იმედი ჰქონდა, რომ ირანი და ოსმალეთი ომში ჩაებმებოდნენ და ეს საშუალებას მისცემდა მეფეს, იმერეთში გამაგრებულიყო. ამიტომ მან წერილი გაუგზავნა სიმონოვიჩს და სთხოვა, იმპერატორისათვის ეცნობებინა, რომ იგი თავისი სურვილით გადადგებოდა ტახტიდან, თუ იმპერატორი მას ყველაფერს აპატიებდა და იმერეთში დატოვებდა საცხოვრებლად. დამარცხებული მეფის თხოვნას სიმონოვიჩმა ყურადღება არ მიაქცია და ბრძოლა განაგრძო.

სიმონოვიჩმა გაითვალისწინა, რომ სოლომონ მეფის კავშირი ახალციხის ფაშასთან ხანისწყლის ხეობით ხორციელდებოდა და გზის შესაკრავად 17 აგვისტოს ბაღდათში გაგზავნა ზარბაზნით შეიარაღებული რაზმი, მაგრამ აჯანყებულებმა ეს რაზმი ალყაში მოაქციეს. ამ დროს ახალციხის ფაშასაგან მეფის დასახმარებლად 2000 მეომარიც გადმოვიდა. როზენმა ალყაში მოქცეულ ჯარს დამხმარე ძალები მიაშველა.

23 აგვისტოს რუსეთის ჯარმა შეტევა დაიწყო. აჯანყებულებმა და თურქებმა უკან დაიხიეს — გამარჯვება რუსეთის ჯარს დარჩა.

ამის შემდეგ მეფე სოლომონი სამი ათასი მეომრით ზემო საქართველოში გამაგრდა. რუსის ჯარი სიმონოვიჩის სარდლობით 26 აგვისტოს მას თავს დაესხა. ბრძოლა იყო მეტად შეუპოვარი და ხუთ საათს გაგრძელდა. რუსეთის ჯარის ნაწილებმა მაინც გატეხეს აჯანყებულ-

თა წინააღმდეგობა და გამარჯვებას მიაღწიეს. ამ გამარჯვების შემდეგ გზა გაიწმინდა აჯანყებულებისაგან და ქუთაისსა და თბილისს შორის კავშირი აღდგა.

აქამდე ტორმასოვმა არ იცოდა, რა ხდებოდა იმერეთში. მის კურიერებს აჯანყებულნი იჭერდნენ და მთავარმართებლის ბრძანებები დანიშნულებისამებრ ვერ აღწევდა. მხოლოდ სექტემბერში მიიღო როზენმა ოთხჯერ ამაოდ მიწერილი და გზაში იმერთა მიერ დაჭერილი ბრძანება, რომლის ძალითაც როზენს მთავარსარდლობა უნდა გადაეცა ორბელიანისათვის და თვითონ თბილისში დაბრუნებულიყო, ხოლო სექტემბრის თვის ბრძანებით, იგი იმერეთში უნდა დარჩენილიყო მმართველად, მაგრამ ამ დროს როზენი თბილისს უახლოვდებოდა, ხოლო იმერეთის დასამშვიდებლად მან სიმონოვიჩი დატოვა, რადგან ორბელიანმა, ვითომცდა ავადმყოფობის გამო, უარი თქვა იმერეთში რუსის ჯარის უფროსობაზე[1].

ტორმასოვის აზრით, იმერეთის დასამშვიდებლად საჭირო იყო არა რაზმების დამარცხება, არამედ მეფის დამორჩილება. ამ მიზნის მისაღწევად იგი სიმონოვიჩს ურჩევდა, ეხმარა არა მარტო მახვილი, არამედ ოქროც და ყოველგვარი ხრიკიც. ასეთი სახის მითითება სოლომონ მეფეს ბევრჯერ ჩაუვარდა ხელში, ამიტომ იგი ეჭვის თვალით უცქერდა ყველას, ერთ ადგილას არ ჩერდებოდა, ისე სწრაფად იცვლიდა ბინას, რომ სიმონოვიჩის ცდა, სადმე მიესწრო მეფისათვის, ამაოდ რჩებოდა. თვით ტორმასოვი „ცოფმორეული იყო, რომ ნანატრი არ უსრულდებოდა. ტორმასოვს უკვირდა და ვერ გაეგო, თუ როგორ არ იპოვებოდა მთელს იმერეთში მეფის უკმაყოფილო ან მისგან ნაწყენ-შეურაცხყოფილი, ან დიდ ფულსა და ჯილდოს დახარბებული, თავზეხელაღებული ვინმე, რომელიც ამ საქმეს შეასრულებდა“[2].

სოლომონ მეფე ხანისწყლის ხეობაში გაიქცა და იქ გამაგრდა. იქვე მოუვიდა ახალციხიდან 1500-კაციანი მაშველი რაზმი. ხანისწყლის ხეობა ძნელად მისადგომი იყო, მაგრამ სიმონოვიჩმა მაინც გადაწყვიტა მისი აღება. თავისი ჯარით სამი მხრიდან შეუტია და წარმატებასაც მიაღწია — 25 სექტემბერს სოლომონ მეფე დამარცხდა და ისევ ახალციხეს შეაფარა თავი. მას თან გაჰყვა თავადაზნაურთა დიდი ჯგუფი.

ქალაქი ახალციხე ჩირაღდნებით გაანათეს, როცა სოლომონ მეფის მისვლა შეიტყვეს. ხაზინიდან ფაშამ დიდი ფული მიიღო, რომ მეფეს ღირსეულად დახვედროდა.

---

[1] ალ. ბახანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 73.
[2] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 393.

ამგვარად, რუსეთმა სოლომონის წინააღმდეგ ომი წარმატებით დაამთავრა, მაგრამ უკმაყოფილო იყო იმით, რომ მეფე მაინც გაექცათ. 3 სექტემბერს ტორმასოვმა სიმონოვიჩს 2000 ჩერვონეცი გაუგზავნა იმ პირთა გასამრჯელოდ, ვინც სოლომონს მოკლავდა ან დაატყვევებდა.

სოლომონ მეფემ ახალციხიდან ხონთქართან აღძრა შუამდგომლობა, რათა იგი სამხედრო ძალით დახმარებოდა რუსების წინააღმდეგ, მაგრამ ამ დროს თვით ტორმასოვი გადავიდა შეტევაზე, და ახალციხის დაპყრობა განიზრახა. ხონთქარი დუმილით შეხვდა რუსეთის აგრესიას ახალციხის საფაშოს მიმართ, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ რუსეთის არმია იძულებული გახდა, დაპყრობით ომზე ხელი აეღო, რადგან ამ დროს ახალციხეში შავი ჭირი გაჩნდა და რუსეთის არმიასაც მოედო. ამ დროს სულთანი დუნაის ფრონტზე დამარცხებას განიცდიდა, ამიტომ სოლომონისათვის არ ეცალა, მისთვის დახმარების გაწევა არ შეეძლო, ამასობაში, 1812 წელს რუსეთ-ოსმალეთს შორის ბუქარესტში ზავიც დაიდო, რითაც დასრულდა 1806 წელს დაწყებული რუსეთ-ოსმალეთის ომი.

ბუქარესტის ხელშეკრულების მიხედვით, რუსეთს აზიაში იარაღით დაკავებული ადგილები (ფოთი, სოხუმი, ახალქალაქი) ოსმალეთისათვის უნდა დაებრუნებინა, ხოლო იმერეთი, სამეგრელო, გურია და აფხაზეთი, რომელნიც თავისი ნებით შეუერთდნენ რუსეთს, მას რჩებოდა.

რაკი ოსმალეთთან ვერაფერს გახდა, სოლომონ მეფე ერევანში წავიდა და იქიდან ირანის შაჰს სთხოვა დახმარება, მაგრამ ამაოდ, ხელმოცარული მეფე ისევ ახალციხეში დაბრუნდა. იმერთა მეფემ შაჰისაგან სამხედრო დახმარება ვერ მიიღო, მაგრამ შაჰის განკარგულებით მას განსაზღვრული მატერიალური სახსარი გამოუყვეს და ურჩიეს, ისევ ახალციხეში დაბრუნებულიყო და იქიდან დაკავშირებოდა სულთანს მისგან სამხედრო დახმარების მისაღებად.

ოსმალეთისა და ირანის მიერ მიტოვებულმა იმერთა მეფემ ახლა საფრანგეთის იმპერატორს ნაპოლეონ პირველს მიმართა დახმარებისათვის. როგორც მისი წერილიდან ჩანს, იმერთა მეფეს ადრეც მიუმართავს ნაპოლეონისათვის, მაგრამ პასუხი არ მიუღია; ახლა იგი იმპერატორს აცნობებდა, რომ მას ტახტი წაართვეს და დახმარებას სთხოვდა, ამასთან, თუკი ეს მოხერხდებოდა, იმერთა მეფე საფრანგეთის იმპერატორს სთხოვდა, თავის მფარველობაში მიეღო იგი და მისი სამეფო.

ნაპოლეონისადმი გაგზავნილი წერილი დათარიღებულია 1810 წლის 20 ოქტომბრით.

ამ წერილის პასუხი იმერთა მეფეს არ მიუღია, მაგრამ მან განმეორებით მაინც სცადა, კვლავ მიემართა ნაპოლეონისათვის. ახალციხიდან კონსტანტინოპოლში გაიგზავნა დიპლომატიური მისია სარდალ ქაიხოსრო წერეთლის მეთაურობით. ამის შესახებ საფრანგეთის საქმეთა რწმუნებული კონსტანტინოპოლში ლატურ მობური ატყობინებდა თავის მთავრობას პარიზში, რომ სულთანი სოლომონ მეფეს დაპირდა დახმარებას 20—25-ათასიანი არმიით ტახტის დასაბრუნებლადო. როგორც ჩანს, ქაიხოსრო წერეთელს უნდა ჩაეტანა კონსტანტინოპოლში სოლომონის მიერ გაგზავნილი წერილი ნაპოლეონისადმი, რათა იგი საფრანგეთის წარმომადგენლისათვის გადაეცა პარიზში გასაგზავნად.

წერილი ქართულად იყო დაწერილი. იგი ქართველ ხუცესს უთარგმნია კონსტანტინოპოლში თურქულად, ხოლო თურქულიდან ფრანგულად უთარგმნია საფრანგეთის საელჩოს მრჩეველს რიუფენს.

წერილი 1811 წლის 6 იანვრით არის დათარიღებული.

იმერთა მეფე ჩივის, რომ რუსეთის იმპერატორმა უსამართლოდ და უკანონოდ ჩამოართვა მას სამეფო. სოლომონი თხოვს ნაპოლეონს, „ვითარცა უნივერსალურ არბიტრს“ გამოსარჩლებას და მფარველობას.

არც ამ წერილს მოჰყოლია რაიმე შედეგი. ყოველი მხრიდან ხელმოცარული მეფე ახალციხიდან არზრუმს წავიდა, სადაც მას სულთანმა მუდმივი ბინა მისცა საცხოვრებლად, მაგრამ ტორმასოვის მიერ მოსყიდულმა არზრუმის ფაშამ მეფის შევიწროება დაიწყო. სოლომონ მეფემ დატოვა იქაურობა და ტრაპიზონში წავიდა. იქაურმა ფაშამ ოსმან-ოღლიმ, რომელიც წარმოშობით ქართველი იყო, დიდი პატივით მიიღო.

სოლომონ მეფემ სულთანს აცნობა არზრუმის დატოვებისა და ტრაპიზონში გადასახლების მიზეზი. განრისხებული სულთანის ბრძანებით არზრუმის ფაშას თავი მოჰკვეთეს[1].

ამრიგად, რეალურ დახმარებას მოკლებული, მაგრამ ფაშისა და ხონთქრის მოიმედე, ჯერ ახალგაზრდა (36 წლისა), მაგრამ განუწყვეტელი ბრძოლებითა და შფოთით დაქანცულ-დაავადებული იმერთა მეფე მცირე ამალით ტრაპიზონს შეეხიზნა. ახლა უკვე დრო და საშუალება მიეცა მეფეს, რათა მიმოეხილა განვლილი მეფობის პერიოდი, გარკვეულიყო ძველსა და ახალ ვითარებაში, შეეფასებინა უცხო და შინაური ადამიანები, რომლებიც მის გარშემო ტრიალებ-

[1] ალ. ხახანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 77.

ლნენ, განესაჯა მათი საქციელი, აეწონ-დაეწონა ამიერკავკასიაში, კერძოდ, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილი მდგომარეობა და, სანამ გვიან არ იყო, მომავლის სამოქმედო ახალი სწორი გეგმა შეემუშავებინა.

მაგრამ მეფე დარწმუნდა, რომ რუსეთთან ბრძოლა წაგებული იყო

* * *

რუსეთის მთავრობამ სოლომონ მეფის მეუღლე მარიამ დედოფალი, რომელიც ფოთის ციხეში ჰყავდათ გამოკეტილი, 1810 წელს ჯერ ვორონეჟში გადაასახლა, შემდეგ, 1817 წელს, იქიდან პეტერბურგში გადაიყვანა და იგი იქვე გარდაიცვალა 1841 წელს.

ტორმასოვი აპირებდა იმ თავადაზნაურთა გაციმბირებას, რომლებიც აჯანყებაში მონაწილეობდნენ, ხოლო არასაიმედო პირთა გასახლებას იმერეთიდან, მაგრამ სიმონოვიჩის რჩევით, რომელსაც მიაჩნდა, რომ საჭირო არ იყო სიმკაცრე, პირიქით — პატიების პოლიტიკა უნდა გატარებულიყო, იგი დაეთანხმა სიმონოვიჩს, ყველას აპატია დანაშაული და ისინიც კი გათავისუფლა პასუხისმგებლობისაგან, ვინც მეფეს გაჰყვა ოსმალეთში, თუკი ოთხი თვის განმავლობაში დაბრუნდებოდნენ იმერეთში, ხოლო ვინც არ დაბრუნდებოდა, მათი მამული სახელმწიფოს გადაეცემოდა და თვითონ სახელმწიფო მოღალატედ იქნებოდა გამოცხადებული[1].

* * *

სოლომონ მეფის მხარეზე იბრძოდნენ ტარიელ და მანუჩარ დადიანები. ტარიელი აჯანყების დაწყებისთანავე გამოცხადდა თავისი რაზმით მეფესთან და ბრძოლის დასასრულამდე მასთან იყო, ლეჩხუმის თავი ბერი გელოვანიც მეფის მხარეზე მოქმედებდა.

აჯანყების მთავარი მეთაურები, რომელნიც ახალციხიდან გადმოვიდნენ და რომლებმაც პირველად გაავრცელეს მეფის მოწოდება აჯანყების შესახებ, სვიმონ ზურაბის ძე და ქაიხოსრო წერეთლები იყვნენ. აჯანყებას თავკაცობდნენ: ქაიხოსრო აბაშიძე[2] და მისი შვილები: ხახული, ივანე და სვიმონი, დავით აბაშიძე-ღაბუაშვილი, პაატა და ხოსია ყიკნაძეები, ქაქუჩა თავზარაშვილი, დიაკონი გრიგოლ ჩხეიძე, ბერიკა და ანდრია ყღენტები, თეიმურაზ და ივანე დევდარიანები, აბესა ნიკარაძე, მალხაზ ანდრონიკაშვილი და ბევრი სხვა.

---

[1] ალ. ხახანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 74.

[2] 25 ივლისის ბრძოლაში მოკლეს.

ამათგან ბევრმა ბრძოლის ველზე დალია სული, ხოლო ნაწილი აჯანყების ჩაქრობის შემდეგ თავიანთ კერას დაუბრუნდა.

განდევნილი იმერთა მეფე სოლომონ II კიდევ იმედოვნებდა, რომ იმერეთში დაბრუნდებოდა.

ქართული წყარო სევდიანად აღწერს მეფის უკანასკნელ დღეებს: „თუმცა სულთანი აღუთქვამდა ტახტის დაბრუნებას... მაგრამ იმერეთიდან მოსულმა ცნობამ გული აუცრუა ტანჯულ მეფეს. ეძია მოსვენება საქართველოში. თავადაზნაურობა უთვლიდა მას ტრაპიზონს, რომ ნულარ იფიქრებს იგი სამეფოში დაბრუნებას ოსმალეთის ჯარით. და მეფემაც დალია სული უცხოეთში, დანატრებულმა სამშობლოს ცასა და თანამემამულეთა ნახვას“.[1]

იმერთა მეფემ 1815 წლის 7 თებერვალს იმერეთიდან შორს, ოსმალეთის ქალაქ ტრაპიზონს განუტევა სული 42 წლისამ. დაასაფლავეს იქაურ ბერძენთა წმ. გრიგორის ეკლესიის ეზოში. მის ძეგლს ერთ მხარეზე ქართულად აწერია: „საფლავსა ამას შინა მდებარე არს იმერთა მეფე სოლომონ, წელი ჩყიე (1815).

„ჰსაჯენ, უფალო, მავნებელნი ჩემნი და ჰბრძოდე მბრძოლთა მათ ჩემთა“.

„მომიხსენეთ, მე, ძმანო საფლავსა ამას მდებარე მეფე სოლომონ“.

მეორე გვერდზე ასევე ქართულად აწერია: „განმეძარცვა მე პირველქმნილი სიკეთე და მშვენება და მდებარე ვარ შიშველ და კდემული საფლავსა ამას შინა, ტომისაგან დავითისა, შთამოსრული ბაგრატიონი ძე არჩილისა, სრულიად იმერთა მეფე სოლომონ, რომლისთვისაც ვითხოვ შენდობასა“.[2]

სოლომონ მეფის სიკვდილის შემდეგ მისი 60-კაციანი ამალის წევრთა უმრავლესობა იქვე დარჩა, ნაწილი დაბრუნდა საქართველოში — „ისინი შეიწყნარეს რუსთა და მისცეს თავისთვის სახლისა შინა მშვიდობით ცხოვრება“.[3]

რუსული წყაროები სოლომონ მეორეს ახასიათებს, როგორც სუსტი ხასიათისა და ორგულ ადამიანს, თავის მრჩეველთა ხელში სათამაშო „მბრძანებელს“.

იმავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ განუწყვეტელ ფარულ თუ აშკარა ბრძოლაში მეფე დროდადრო ჯიუტობისა და პარტი-

---

[1] ალ. ხახანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 77.

[2] ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962, გვ 205.

[3] 1935 წელს თურქებმა სოლომონ მეფის ძეგლი დანგრიეს, ხოლო ეკლესია საწყობად გადააკეთეს.

კულარიზმის გამოვლენით (ლეჩხუმის საკითხი, საერთოდ სამეგრელოს სამთავროსთან დამოკიდებულება და სხვ.) საკუთარი პოზიციების გამაგრების ნაცვლად თავის მდგომარეობას ართულებდა, რუსეთის მოხელეების (კერძოდ, ციციანოვის) მხრივ უნდობლობასა და უკმაყოფილებას აძლიერებდა და ყოველივე ამით, ნაცვლად ხელის შეშლისა, აჩქარებდა სამეფოს ლიკვიდაციის პროცესს და მტრის „წისქვილზე წყალს ასხამდა“.

ზოგიერთი რუსი მოხელის უგნური პოლიტიკა იმერეთის მეფის მიმართ, რამაც ესოდენ გაართულა იმდროინდელი ვითარება დასავლეთ საქართველოში და სახელი გაუტეხა მას არა მარტო მაშინდელი საქართველოს მოსახლეობაში, არამედ მომდევნო თაობებშიც და ისტორიაშიც, ნაწილობრივ სოლომონ მეფის ჟინიანობითა და წინდაუხედაობითაც იყო გაპირობებული. თუ ანალოგიური პროცესი ადგილობრივი ხელისუფლების გაუქმებისა და საიმპერიო მმართველობის შემოღებისა სამეგრელოში კიდევ თითქმის ხუთი ათეული წელი გაგრძელდა (სამეგრელოს სამთავრო გაუქმდა 1857 წ.), უნდა ვივარაუდოთ, რომ მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი იქნებოდა ეს პროცესი იმერეთშიც, თუ არა სოლომონ მეორისა და მასთან მოვლინებულ რუს მოხელეთა ურთიერთგაუგებრობა და წინდაუხედაობა.

იმდროინდელმა კავკასიაში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ იმერთა მეფე ორ ცეცხლ შორის მოაქცია, რამაც იძულებული გახადა ხან ერთ მხარეს გადახრილიყო და ხან მეორეს.

ის დიდი სიყვარული და ნდობა, რომელიც მას ხალხში ჰქონდა მოპოვებული, ამტკიცებდა, რომ იმერეთის მოსახლეობის ფართო ფენებს სოლომონ მეფე თავისი ინტერესების დამცველად მიაჩნდა, სწამდა, რომ თავის ბრძოლაში იგი ხელმძღვანელობდა ქვეყნის კეთილდღეობის ინტერესებით და მთელი თავისი ძალღონით მოუდრეკლად ემსახურებოდა მას.

ტახტზე ასვლისთანავე სოლომონ მეორე დაადგა თავისი სახელოვანი ბიძის — სოლომონ დიდის გზას და მიზნად დაისახა დასავლეთი საქართველოს გაერთიანება ერთი სკიპტრის ქვეშ, მაგრამ ამისათვის მას ძალები არ ეყო, რადგან არც საშინაო, არც საგარეო პირობები ხელს არ უწყობდა ამ დიდ განზრახვას.

გავიდა ზუსტად 100 წელი სოლომონ მეორის უდროო გარდაცვალებიდან — 1915 წელს, პირველი მსოფლიო ომის მსვლელობაში, კავკასიის ფრონტზე გამარჯვებული რუსთა ძლევამოსილი მხედრობა ზეიმით შეევიდა ქალაქ ტრაპიზონში — თამარ-მეფის ვასალური იმპერიის დედაქალაქში. რუსეთის ჯარში მყოფმა ქართველობამ — ოფიცრობამ და ჯარისკაცებმა სწრაფად მიაშურეს სოლომონ მეო-

რის საფლავს ბერძენთა ეკლესიის ეზოში, გვირგვინებით შეამკეს იმერეთის უკანასკნელი უიღბლო მეფის საფლავი, თვალნათლივ იხილეს და ამოიკითხეს ამ საფლავის ცნობილი წარწერა — „განმეძარცვა მე პირქმნილი მშვენება...“

* * *

იმერეთის სამეფოს მოსპობაში რუსეთის მოხელეებს მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია იმერეთის სამეფოს პირველმა ვეზირმა — სახლთუხუცესმა ზურაბ წერეთელმა. იგი დიდ როლს ასრულებდა სამეფო კარზე; ბოლოს ისე განდიდდა, რომ აბაშიძეთა მსგავსად, მეფეს მეტოქეობა დაუწყო და მოინდომა თვითონ დამჯდარიყო იმერეთის ტახტზე.

ზურაბ წერეთელი შორსმჭვრეტელი ადამიანი იყო და კარგად ხედავდა, რომ ძლიერი რუსეთი მალე მიაღწევდა გამარჯვებას კავკასიაში, ამიტომ იმერეთში რუსების შემოსვლისთანავე ზურაბი მათ სამსახურში ჩადგა.

წერეთლისათვის დამახასიათებელი იყო პოლიტიკური მერყეობა. სიმონოვიჩმა ასე დაახასიათა იგი: „არა მგონია, რომ იგი სავსებით ერთგული იყოს ჩვენი... მას საკუთარი სარგებლობა აიძულებს ჩვენთვისაც იყოს რამდენადმე სასარგებლო“. ამიტომ რუსეთის მოხელეები მასთან ფრთხილად იჭერდნენ თავს. მაგრამ როდესაც რუსეთი აქტიურ პოლიტიკაზე გადავიდა და გადაწყვიტა სოლომონ მეფის გადაგდება იარაღის ძალით, ზურაბი რუსების მხარეზე დადგა და მონაწილეობდა რუსეთის ერთგულებაზე ხალხის ძალით დაფიცებაში, შემდეგ, იმერეთის აჯანყების დროს, იგი იარაღით ხელში ებრძოდა მეფეს.

1811 წელს რუსეთის იმპერატორმა ზურაბ წერეთელს დამსახურების სიგელი უბოძა, სადაც ჩამოთვლილი იყო ისეთი ფაქტები, რომლებიც აშკარად მეტყველებდნენ, რომ იგი მეფეს ღალატობდა. 1784 წლის ელჩობა რუსეთში, მეფეზე ზემოქმედების მოხდენა 1804 წლის ელაზნაურის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დროს[1]. ჯაშუშური ცნობების მიწოდება გენერალ რიკჰოფისათვის სოლომონ მეფის შესახებ, მამია გურიელის გადმობირება რუსების მხარეზე ფოთის კამპანიის დროს, იმერეთის მოსახლეობის დაფიცება რუსეთის ერთგულებაზე მეფის გადადგომის შემდეგ, საწერეთლოს

[1] ზურაბ წერეთელმა მხარი დაუჭირა იმერეთის შეერთებას რუსეთთან. მიუხედავად ზეგავლენით მეფე დათანხმდა ციციანოვის მიერ შედგენილ მუხლებისათვის ელაზნაურში ხელი მოწერა. ამისათვის ციციანოვმა ზ. წერეთელს ბრილიანტებით შემკული სათუთუნე უბოძა თავისი სახელის წარწერით.

მოსახლეობის ჩაურევლობა რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებაში, საკუთარი ჯარის გადაყვანა რუსეთის მხარეზე სოლომონის წინააღმდეგ ბრძოლაში, მონაწილეობა ახალციხის ლაშქრობაში[1] და სხვა. ასეთი დამსახურებისათვის ზ. წერეთელმა ჯერ პოლკოვნიკობა მიიღო — 1808 წ., ხოლო 1811 წელს კი — გენერალ-მაიორის ჩინი. ზ. წერეთელი იმდენად შორს წავიდა სამშობლოსა და მეფის ღალატში, რომ უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა — ოდესღაც იმერეთის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, რუსებს ამოუდგა მხარში და მეფის წინააღმდეგ იარაღით ხელში გამოვიდა.

წერეთლიანთ სახლი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროს ორად გაიყო: უმრავლესობა მეფის მხარეზე იბრძოდა, ხოლო მამა-შვილი — ზურაბი და გრიგოლი რუსებს მიემხრნენ.

წერეთლიანთ სახლის წევრები: ქაიხოსრო, როსტომი, ბერი, სვიმონ გიორგის ძე და სვიმონ ზურაბის ძე ზოგიერთ სხვა თავადებთან ერთად თან გაჰყვნენ ლტოლვილ მეფეს და სიკვდილამდე მასთან იყვნენ ოსმალეთში.

მამის გამცემლური მოქმედებით აღშფოთებული სვიმონ წერეთელი თავის მამას ახალციხიდან სწერდა: „...აბა რაღად მინდა სიცოცხლე, ყოველი კაცი ქართველი თუ კახელი, თათარი თუ სომეხი, ბერი თუ ერი, ყმაწვილი თუ მოხუცებული, ვინც ვნახე ყველა ასე მეუბნება, რომ რა ქნა ეს მამაშენმაო, მეფე რომ გასცაო და ეს ხმა რა საძაგელია ხომ იცით და მომიხსენებია ნეტამც ოცის წლითაც ადრე ამოვწყვეტილიყავით სუყველა ქალებიან-კაცებიანად და ეს ხმა ჩვენში არ შემოსულიყო, სჯობდა ჭეშმარიტად. რას შვრები, რას უყურებ, შენც აქ ჩამოდი და ამასთან (მეფესთან) დაიკარგე, თორემ ამ ხმას ჩვენ ვეღარ მოვიხდით“.[2] სხვა წერილში შვილი მამას მოახსენებდა: „...გურიისა და ვაკის მცხოვრებთა მიბაძვა თქვენ არ გამოგადგებათ; როგორც მამა-პაპა იქცეოდა, თქვენთვისაც ისე სჯობსო“.[3]

როცა სოლომონ მეორის მეუღლეს მარიამ დადიანის ასულს რუსეთში გადასახლება დაუპირეს, სვიმონ წერეთელი თავის ძმას გრიგოლს სწერდა ოსმალეთიდან: „გავიგე, რომ მარიამ დედოფლის მიცემა გადაგიწყვეტია რუსეთის სარდლობისათვის... დედოფალს ნურავის დაანებებო“.[4]

---

[1] საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკ. და არქივ. II, გვ. 129—134.

[2] იქვე, II, გვ. 90.

[3] იქვე.

[4] იქვე. გვ. 101.

ზურაბის გამცემლობით აღშფოთებული სოლომონ ლიონიძე 1806 წლის 30 ოქტომბერს დამამცირებელ წერილს სწერს ყოფილ სახლთუხუცესს: „სოფლისათვის ცრუსა და მართლისა უკვდავებისათვის გეტყვით წრფელსულობით და უკეთუ არა ირწმუნო, მე რა ვყო? შენ კაცი ხარ და არა ღმერთი. გინდა რომ ცა და ქვეყანა შენს ფიქრზე ბრუნვიდეს... თუ კაი მონარდე ბრძანდები, იაგანში დუშაში ითამაშე, რა გაჯავრებს? მართალია, დიდი კაცი ხარ, 1000 კვამლი გეყოლება, მაგრამ ქვეყნის კარტა რომ არის, თუ კაცი ხარ იმაში ან შენს საჩხერეს იპოვნი და ან შენს სასახლეს მიაგნებ? თუ სად ზიხარ ან სადა გძინავს? თურმე არაფერი ყოფილხარ და რას დიდგულობ?"[1]

იმ პირთა შორის, რომელთაც ერეკლე მეორის კარზე თავიანთი ნიჭითა და დამსახურებით წინ წაიწიეს, აღსანიშნავია სოლომონ ლეონიძე, რომელმაც დიდი, უანგარო პატრიოტის, გამოჩენილი დიპლომატისა და სახელმწიფო მოღვაწის უკვდავი სახელი მოიპოვა.

მისი ნამდვილი გვარი ცნობილი არ არის, იგი სამღვდელო წოდებიდან გამოვიდა და ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როცა მეფის კარის მოსამსახურე გახდა. ცოდნისმოყვარე და მახვილი გონების პატრონმა ლეონიძემ კარგად გამოიყენა ის კულტურული გარემო, რომელშიც მისი თანამოსაკე უფლისწულები ტრიალებდნენ.[2]

გადმოცემით სოლომონ ლეონიძის პირველი მასწავლებელი იყო იმდროისათვის კარგად ცნობილი მღვდელმთავარი დოსითეოზ ნეკრესელი, რომელმაც თქვა: „არა არს ესრეთ ტკბილი, ვით მამულის სიყვარულიო". ამ პატრიოტული გრძნობით შთაგონებული მოქმედებდა ლეონიძე მთელი მისი პოლიტიკური მოღვაწეობის მანძილზე. გადმოცემით მეჩვრმეტყველებაში ლეონიძეს მზეჭაბუკ ორბელიანი წვრთნიდა.

ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებულმა ლეონიძემ შეისწავლა აღმოსავლური ენები, საუკეთესოდ ფლობდა რუსულ ენას და კარგად იცნობდა საბერძნეთ-რომის ისტორიასა და ლიტერატურას, ბერძენ ფილოსოფოსთა ნაშრომებს.

სოლომონი 23 წლისა იყო, როცა მეფის კარის მდივნობა მიიღო, შემდეგ როცა ერეკლე მეფემ რუსეთის წაბაძულობით ვიცეკანცლერის თანამდებობა შექმნა, იგი სოლომონს ჩააბარა.

ქართლ-კახეთის სამეფო კარზე სოლომონი დაწინაურდა არა მარტო თავისი დიდი ნიჭის წყალობით, არამედ როგორც სამშობ-

---

[1] ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, სახლთუხუცესის თანამდებობა იმერეთის სამეფოში, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1940, გვ. 148.

[2] გ. ქ ი ქ ო ძ ე, ერეკლე მეორე, თბ., 1942, გვ. 181.

ლოსათვის თავდადებული ლომგული მეომარი. 1779 წელს მან თავი ისახელა ერევნის ომში, რისთვისაც თავადობა და ამოწყვეტილი კახელი თავადის ლეონიძის მამული მიიღო (აქედან წარმოდგება მისი გვარი „ლეონიძე“). სოლომონმა ცოლად შეირთო ქსნის ერისთავის ქალი და ამით უმაღლეს არისტოკრატიას დაუმოყვრდა.

თავისი საბრძოლო დამსახურებისათვის სოლომონ ლეონიძემ ერეკლე მეფისაგან მიიღო პატივის სიგელი და „ღერბი ვაჟკაცობისა — ღერკულეს, აღჭურვილი ლახტითა და შემოხვეული ლომის ტყავითა და სათავადოთა გვირგვინითა“.[1]

თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ერეკლე-მეორე დიდი ნდობით ეპყრობოდა სოლომონ ლეონიძეს და მისი მოღვაწეობა მართვა-გამგეობის მრავალ დარგში ნაყოფიერად მიაჩნდა.

ლეონიძე თავდადებით იბრძოდა საქართველოს გაერთიანებისათვის. საქართველოს სიძაბუნეს იგი მის დაშლილობაში ხედავდა. მისი აზრით, საქართველოს გამოხსნა აგრესორებისაგან შინაგანი ძალების გაერთიანებით შეიძლებოდა, ამიტომ იყო, რომ იგი თავგამოდებით ცდილობდა მეფე-მთავართა შეთანხმებას; ამ შეთანხმებით შეიძლებოდა, მისი აზრით, ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა. მისმა ენერგიულმა საქმიანობამ შეამზადა 1790 წ. ივერიელ მეფე-მთავართა შორის დადებული ტრაქტატი, რომელიც წარმოადგენდა მნიშვნელოვან ნაბიჯს დაშლილი ქვეყნის გაერთიანებისაკენ.[2]

ლეონიძე, მართალია, დამოუკიდებელი საქართველოსათვის თავდადებული მებრძოლი იყო, მაგრამ მას სწამდა, რომ ჩვენს ქვეყანას ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს — რუსეთის მფარველობა და დახმარება ესაჭიროებოდა. იგი ერეკლესთან ერთად 1783 წლის ტრაქტატის მომხრე იყო. მისივე ინიციატივით, 1790 წელს ტრაქტატის მონაწილენი საერთო მფარველობას სთხოვდნენ რუსეთის იმპერატორს[3] და ლეონიძეც ბოლომდე იცავდა რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე აღიარებულ ურთიერთობას.[4]

რუსეთის მიერ ქართლ-კახეთში მეფობის გაუქმებას ლეონიძე მტრულად შეხვდა. იგი მოითხოვდა დავით გიორგის ძისათვის ტახტის გადაცემას. გენერალმა ლაზარევმა, რომელიც რუსეთის ჯარს

---

[1] საქართველოს სიძველენი, II, გვ. 553.

[2] მ. დუმბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 200.

[3] „პირველად საქართველოს ტრაქტატით რუსეთთან შეერთებაში მე ვიყავ მოქმედი“ სწერდა ლეონიძე საქართველოს მთავარმართებელ კნორინგს 1801 წელს (აქტები, I, გვ. 323).

[4] მ. დუმბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 200.

სარდლობდა ქართლ-კახეთში, ლეონიძეში მეტად სახიფათო ძალა დაინახა და იგი დააპატიმრა. დავით გიორგის ძის დახმარებით ლეონიძე ციხიდან გამოვიდა, მაგრამ, რადგან ქართლ-კახეთში მისი ყოფნა აღარ შეიძლებოდა, სოლომონ დიდმა, რომელიც უნდობლად უყურებდა რუსეთის გაბატონებას აღმოსავლეთ საქართველოში, თავისთან მიიწვია და შეიფარა ლეონიძე. მეფემ მას უბოძა იმერეთში კაცხი, ხოლო რაჭაში — წესის სასახლე, ბარაკონის ეკლესია, მინდას ციხე, ხიდიკარი და თავის „საუკუნოდ ყმად" დაამკვიდრა.

ლეონიძე იმერეთის სამეფო კარზე ასრულებდა პოლიტიკური მრჩევლის როლს, ენებისა და მოვლენების დიდი ცოდნით, მშვენიერმეტყველებითა და მაღალი ნიჭით იგი ბრწყინვალედ ართმევდა თავს ამ დროისათვის იმერეთის კარზე დატრიალებულ ურთულეს მოვლენებს. ლეონიძე იმერთა მეფის მარჯვენა ხელი გახდა, მის დაუკითხავად სოლომონი არც ერთ მნიშვნელოვან საკითხს არ წყვეტდა. ეს იყო ზურაბ წერეთლის მეფისაგან განდგომის ერთ-ერთი მიზეზიც, რადგან ლეონიძემ იგი სულ დაჩრდილა.

ის საგარეო-პოლიტიკური კურსი, რომელსაც იმერთა მეფე თავიდან ბოლომდე თანმიმდევრობით ახორციელებდა რუსეთთან ურთიერთობაში, ძირითადად ლეონიძის მიერ იყო შემუშავებული, ამიტომ იყო, რომ რუსეთის მოხელეები ყოველნაირად ცდილობდნენ (დაბეზღებით, ცილისწამებით, მოქრთამვით) მეფესთან ურთიერთობაში როგორმე ჩამოეცილებინათ მეფისაგან ლეონიძე, ვინაიდან მან ყველაფერი იცოდა და ვერავინ ვერ მოატყუებდა.

შორსმჭვრეტელი ლეონიძე შესანიშნავად ერკვეოდა საგარეო-პოლიტიკურ სიტუაციაში. მან პირველმა გამოიტანა უტყუარი დასკვნა, რომ 1801 წლის აქტის შემდეგ რუსეთის სახელმწიფო იმერეთში მეფის არსებობას ვერ შეურიგდებოდა. მან ისიც კარგად იცოდა, რომ ამ დროს ირან-ოსმალეთს საქართველოს დაცვა არ შეეძლო, რომ რუსეთი მათზე ბევრად ძლიერი იყო, ამიტომ მათგან დახმარების მიღებისა და საქართველოს საქმეებში მათი ჩარევის რჩევა ლეონიძეს მეფისათვის არასოდეს არ მიუცია. ამ საკითხში იგი რუსეთის მხარეზე იყო და მას ერთგულებდა. თავისი პოლიტიკური შეხედულებანი ლეონიძემ ერთხელ კიდევ გამოთქვა 1803 წელს პეტერბურგში ელჩად ყოფნის დროს. რუსეთთან კავშირში იგი საქართველოს ავტონომიის შენარჩუნებას ცდილობდა.

ლეონიძეს მაინც სწამდა, რომ საქართველო შეძლებდა დაკარგული პოზიციების დაბრუნებას, რომ რუსეთთან კავშირში საქართველო საქართველოდვე დარჩებოდა.[1] რუსეთის მოხელეები მას მა-

---

ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 381.

ინც მტრული თვალით უყურებდნენ, რადგან ვერ წარმოედგინათ კაცი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იბრძოდ» და იმავე დროს რუსეთის ერთგულიც იყო.

ნ. ბერძენიშვილის სიტყვით სოლომონ ლეონიძე „ერეკლე მეორისა, სოლომონ პირველისა და 1783 წლის ტრაქტატის ენით ლაპარაკობდა, ხოლო ალექსანდრე ხელმწიფე და მისი მოხელენი კი 1801 წლის აქტისა და მის შემდგომი მოვლენების ენით".[1]

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მოხელეებს დიდად სძულდათ სოლომონ ლეონიძე, მაინც ვერ უარყოფდნენ მის დიდ ნიჭსა და ჭკუას. ციციანოვი აღნიშნავდა, რომ ლეონიძისაგან მიღებულმა წერილებმა, სიბრძნითა და ლამაზი სიტყვებით აღსავსემ, იგი „მოაჯადოვა"[2]. ისტორიკოსი აკადემიკოსი დუბროვინი, რომელსაც აგრეთვე სძულდა ლეონიძე, აღნიშნავდა, რომ მისი წერილები მახვილსიტყვიერების ნიმუშებს წარმოადგენდნენ.[3]

---

[1] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 381.

[2] საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 409.

[3] ი ქ ვ ე, უფრო დაწვრილებით სოლომონ ლეონიძის მოღვაწეობის შესახებ იხილეთ — ზ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სახელმწიფო მოღვაწენი, XVIII ს. II ნახევარი — XIX ს. დამდეგი, თბ., 1980, გვ. 53—78.

ტყვის სყიდვა დასავლეთ საქართველოში

რამდენიმე საუკუნის მანძილზე გარეშე მტერთა განუწყვეტელი თარეშისა და შინაომების ასპარეზად ქცეული დასავლეთი საქართველო, რომელიც გეოგრაფიულად შავ ზღვაზე იყო მიმდებარე და ბიზანტიის იმპერიის დაცემამდე დასავლეთს სწორედ ამ საზღვაო გზით უკავშირდებოდა, მთლიანად ახალი ჰეგემონის — ოსმალეთის გავლენაში მოექცა.

თურქ-ოსმალთა სახელმწიფო XVI საუკუნის დასაწყისში მსოფლიო იმპერიად გადაიქცა.

„შუა საუკუნეების ერთადერთი ნამდვილად სამხედრო სახელმწიფო" (მარქსი), რომელიც სხვისი ტერიტორიების დაპყრობითა და ძარცვა-გლეჯით შეიქმნა, უშუალოდ გაუმეზობლდა საქართველოს. კონსტანტინეპოლისა და ბალკანეთის დაპყრობის შემდეგ ოსმალეთი შავ ზღვაზე გაბატონდა, რის შედეგადაც საქართველო ცივილიზებული მსოფლიოსაგან მოწყვეტილი აღმოჩნდა. დიდი სავაჭრო გზები, ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ოდესღაც რომ გადიოდა, მოიშალა. ყოველივე ამან უარყოფითი დაღი დაასვა ჩვენი ქვეყნის განვითარების საქმეს.

XVI—XVII საუკუნეებში საქართველო, ერთი მხრივ, ოსმალეთისა და, მეორე მხრივ, ირანის გამუდმებული შემოსევების გამო, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. წარსულში მთელ წინა აზიაში უძლიერესი ქართული სახელმწიფო XVII საუკუნეში წარმოადგენდა დაქუცმაცებულ, დასუსტებულ ქვეყანას. 1555 წლის ამასიის ზავით აღმოსავლეთი საქართველო ირანს ერგო, დასავლეთი — თურქეთს. გარეშე მტრის მოძალებამ და შინაურმა შფოთმა გააძლიერა მწარმოებელი კლასის ჩაგვრა. ოსმალები ობობას ქსელის მსგავსად შემოერტყნენ დასავლეთ საქართველოს და გარე სამყაროსაგან მოწყვიტეს, საგარეო ურთიერთობა და ვაჭრობა თურქებმა თავიანთ ინტერესებს დაუმორჩილეს.

ფეოდალიზმი, რომელიც იმდროინდელი საქართველოს გაბატონებულ სოციალურ-ეკონომიკურ წყობას წარმოადგენდა, დასავლეთი საქართველოს პირობებში რიგი თავისებურებით ხასიათდებოდა.

როგორც ზემოთ ითქვა, ახალმა საგარეო ვითარებამ ერთბაშად დააქვეითა საგარეო ვაჭრობა და შინა აღებ-მიცემობა, მოშალა ისტორიული ტრადიციული სავაჭრო გზები და კონტაქტები, მწარმოებელი კლასი — გლეხობა რიცხობრივად შემცირდა, ეკონომიკურად გაჩანაგდა; გამუდმებულმა ბრძოლებმა კატასტროფულად დასცა შრომის ნაყოფიერება, ამან თავის მხრივ გამოიწვია ექსპლოატაციის გაძლიერება და მისი უფრო მეტად უხეში და მძიმე ფორმების განვითარება, საშიში გახდა მიმოსვლა-მიმოზიდვა, მას მრავალი დაუძლეველი დაბრკოლება გადაეღობა დაქუცმაცებული, წვრილი პოლიტიკური ერთეულების წარმოშობის გამო, რომელთაც თავისი საზღვრები დააწესეს და ყოველნაირი ბარიერები შექმნეს მათი გადალახვის წინააღმდეგ. დაეცა სასოფლო-სამეურნეო წარმოება, ავრიკულტურა (აკი იმერეთის მეფე აღნიშნავდა — გარეშე მტერი ჩემს სამეფოში ღომის მეტს ვერაფერს იპოვნისო). საქართველოში მცხოვრები მისიონერები თუ აქ მოგზაური სხვა უცხოელები ერთხმად გვიხატავენ იმ დუხჭირ ეკონომიკურ მდგომარეობას, რომელშიც მაშინდელი საქართველო, განსაკუთრებით დასავლეთი, იმყოფებოდა.

ამ მძიმე ვითარებამ, კერძოდ, ეკონომიკური ცხოვრების კატასტროფიულმა დაქვეითებამ, სხვა ხელშემწყობ მიზეზებთან ერთად, განაპირობა ხალხის ეთიკურ-მორალური დაქვეითება, რაც ასე თვალნათლივ ჩანს იმავე უცხოელი მისიონერებისა და მოგზაურების ცნობებში იმდროინდელი საქართველოს შესახებ. ამასვე ადასტურებს ჩვენი ქვეყნის იმ პერიოდის ისტორიის ყველა სხვა წყაროც.

უმთავრესი მანკი, რაც იმ დროს საქართველოს ცხოვრებას ახასიათებდა, იყო ტყვეთა სყიდვა. ფორმები, რომლებიც ამ მოვლენამ მიიღო ჩვენში, გაცილებით უფრო მძიმე და ამორალურია, ვიდრე ტყვეებით-მონებით ვაჭრობის ის ფორმები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა როგორც შუა საუკუნეებამდე, ისე შემდეგ — ახალ საუკუნეებში მსოფლიოს რომელი კუთხეც არ უნდა ავიღოთ.

ეს არ იყო ბრძოლაში დამარცხებული, ტყვედ ჩავარდნილი მოწინააღმდეგის დამონება, რაც მონობის ძირითადი წყარო იყო მონათმფლობელურ საზოგადოებაში (ანტიკური პერიოდი), არც შავკანიანთა წასხმა ახალ მატერიკზე პლანტაციებში სამუშაოდ, ეს იყო ქართველების მიერ ქართველებისავე მოტაცება (ძირითადად მოზარდებისა და ახალგაზრდებისა) უცხოეთში მონათა ბაზრებზე გასასყიდად. და ეს იყო არა ერთეული შემთხვევები, არამედ საგარეო ვაჭრობის ძირითადი ფორმა მთელი საუკუნენახევრის განმავლობაში, რაც ფართო მასშტაბის მოვლენას წარმოადგენდა. ამით

აიხსნება, რომ დიდი ინგლისელი ბუნებისმეტყველი ჩარლზ დარვინი, იმოწმებს რა ძველ მოგზაურს, ამბობს:

„სპარსელთა სისხლი გაკეთილშობილდა ორი ეროვნების — ქართველებისა და ჩერქეზების სისხლით, რომლებიც ყველა სხვა ხალხზე ლამაზები არიან.

სპარსეთში თითქმის არ არის არცერთი წარჩინებული, რომლის დედა ქართველების ან ჩერქეზების შთამომავალი არ იყოს.“[1]

ტყვეთა სყიდვა, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ადგილობრივი თავად-აზნაურები, ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის ცნობით, XVII საუკუნეში მარტო სამეგრელოდან 3000 ტყვე გაჰყავდათ ოსმალეთში ყოველწლიურად, სადაც ახალგაზრდა ვაჟებს რიცხავდნენ იანიჩართა ჯარში, ახალგაზრდა ქალებს ათავსებდნენ სულთნისა და მისი ფაშების ჰარამხანებში, ხოლო ხანში შესულებს მონებად ყიდდნენ. ოსმალების წარჩინებულთა სასახლეებში იმ დროისათვის მრავლად იყვნენ გაყიდული ქართველები.

ტყვეებით ვაჭრობამ დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებით მძიმე სახე XVII საუკუნიდან მიიღო. იმერეთის მეფეებს, თუ გურიისა და ოდიშის მთავრებს დამპყრობელი ქვეყნებისათვის (თურქეთი, ირანი) პერიოდული თუ ერთდროული ხარკი ხშირად ადამიანთა (ქალ-ვაჟთა) განსაზღვრული რაოდენობით უნდა გადაეხადათ; ამავე დროს მთავრებს და დიდებულებს თავიანთი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭირო უცხო საქონელიც ტყვეებზე გადაცვლით უნდა შეეძინათ.

რუსეთის მეფის მიხეილ თეოდორეს ძის კარზე მყოფი საქართველოს ელჩი — მიტროპოლიტი ნიკიფორე 1639 წელს მას მოახსენებდა: (სამეგრელოში) „არა მარტო მისი მფლობელი ლევანი ჰყიდის ადამიანებს, არამედ მამა—შვილს, ძმა—ძმას, ქმარი—ცოლს, ცოლი—ქმარს ჰყიდის და აქ ჩამოსულ ვაჭრებს საქონელში უცვლის“. საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ტყვეთა სყიდვაზე ფრანგი მოგზაური ჟან ბატისტ ტავერნიე, რომელმაც აზიაში იმოგზაურა 1631—1633 წლებში; დასავლეთი საქართველოს მეფე-მთავართა ბრძოლის შედეგს იგი ასე გვისურათებს: „როგორც კი ამ ომებში ტყვეებს იშოვნიან, იმ თავითვე გზავნიან ოსმალეთში გასასყიდად. ადამიანთა ყიდვა-გაყიდვა ამ ქვეყანაში იმდენად ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ ცოლს ან ქმარს ფული დასჭირდება, თავის ერთ-ერთ შვილს გზავნის გასასყიდად. ან მეწვრილმანესთან ბაფთებსა, ტილოს ნაჭ-

[1] Чарльз Дарвин. Полное собрание сочинений, т. II, книга I, 1927, стр. 579, ეს სიტყვები ასევე სამართლიანია ოსმალო წარჩინებულთა მიმართაც.

რებსა თუ სხვა ამგვარ ნივთებზე გადასაცვლელად".[1] ჟან შარდენის ცნობით, „ტყვეთა სყიდვამ" სამეგრელოს 40,000-იანი მოსახლეობა 1640-იანი წლებიდან მოყოლებული სულ რაღაც 30 წლის განმავლობაში 20,000-მდე შეამცირა".[2]

თეიმურაზ პირველი რუსეთის მეფის მიხეილ თეოდორეს ძისადმი 1639 წელს გაგზავნილ ბარათში აღნიშნავს, რომ ოდიშისა და გურიის მთავრები ყოველწლიურად ჰყიდიან ახალგაზრდებს — დადიანი 10—15 ათასი, ხოლო გურიელი 10—12 ათასი კაცის რაოდენობით.[3] მაგრამ ეს ციფრები გადაჭარბებული უნდა იყოს, ვინაიდან იმ ხანებში სამეგრელოში მყოფ კათოლიკე მისიონერთა მიერ შეკრებილი ცნობების მიხედვით, სამეგრელოდან ყოველწლიურად გაჰყავდათ დაახლოებით 2 ათასი კაცი, ხოლო მიქელ თამარაშვილის ცნობების თანახმად, იმ პერიოდში შავი ზღვის სანაპიროდან ყოველწლიურად გაყიდულ ტყვეთა რაოდენობა 4 ათას კაცს არ აღემატებოდა.[4]

ტყვეების გაყიდვა და უცხო ვაჭართა მიერ მოტანილ საქონელზე გადაცვლა ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

ჟან შარდენი დასავლეთ საქართველოში იყო 1672 წლის აგვისტოდან იმავე წლის დეკემბრის შუა რიცხვებამდე. ამ ხნის განმავლობაში მიღებული შთაბეჭდილებების შედეგად იგი აღნიშნავს, რომ „აქაური თავად-აზნაურობა ყოველთვის ეძებს შემთხვევას, რათა რისხვად დაატყდეს თავის ყმებს, რომ იპოვოს რაიმე საბაბი და გაჰყიდოს ისინი ცოლშვილიანად. ამავე მიზნით მეზობლებს სტაცებენ შვილებს, ჰყიდიან საკუთარ შვილებს, ცოლსა და დედასაც კი. ერთ-ერთმა მათგანმა ერთხელ გაჰყიდა რამდენიმე ხუცესი, რომელთაც ზედ მიაყოლა თავისი ცოლი, რათა ამ გზით შეეძინა საშუალება შეუვარებული ახალი საცოლის გამოსასყიდად და საქორწინო ხარჯებისათვის. როგორც მეგრელები, ისე გურულები ტყვეებს იტაცებდნენ მეზობელი ხალხებისაგან. ვინც ომის დროს ტყვეს ხელთ ჩაიგდებდა, იმას შეუზღუდველი უფლება ჰქონდა ტყვის სიკვდილ-სიცოცხლეზე და შეეძლო თავისი სურვილისამებრ მოქცე-

---

[1] ჟ ა ნ ბ ა ტ ი ს ტ ა ვ ე რ ნ ი ე, თბ., 1974, გვ. 199.

[2] ჟ ა ნ შ ა რ დ ე ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 123.

[3] Переписка грузинских царей с российскими государями, стр. 22—23.

[4] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902, გვ. 180.

ოდა მას. ჩვეულებრივად, ტყვეს აქცევენ მონად და ჰყიდიან თურქებზე".[1]

იგივე ჟან შარდენი მოგვითხრობს, რომ გემი, რომელზეც ის იმყოფებოდა, როდესაც სამეგრელოს ნაპირს მიადგა და მგზავრებმა დააპირეს სურსათ-სანოვაგის შეძენა, იქ არაფერი მოიპოვებოდა, გარდა ჯაჭვებით შებორკილი მონებისა და მშვილდ-ისრით შეიარაღებული თორმეტიოდე შიშველი, შიშის მომგვრელი ზედამხედველისა.[2] სხვადასხვა ჰასაკისა და სქესის მონათა დიდმა რაოდენობამ, რომელთაგან ერთნი შებორკილნი იყვნენ ჯაჭვებით, მეორენი ერთმანეთზე გადაბმულნი, ამ საბაჟო ზედამხედველებმა თავიანთი ყაჩაღური და ბოროტი სახით საშინელი შთაბეჭდილებით აღავსეს ჩემი წარმოდგენაო.[3]

ის გემი, რომელზედაც ჟან შარდენი იმყოფებოდა, მისი სიტყვით „ტყვეების საპყრობილე იყო. ტყვეებს, მათ შორის ყმაწვილებსაც, ყოველ საღამოს ჯაჭვით წყვილ-წყვილად აბამდნენ; დილით ჯაჭვს ხსნიდნენ... ყოველ დილას ნაპირზე ცეცხლს ვხედავდით. ეს იმის ნიშანი იყო, რომ იქ უკვე მოყვანილი ჰყავდათ ტყვეები ან სხვა საქონელი გასაყიდად".

იმ გემზე, რომელზედაც ჟან შარდენი იმყოფებოდა, ორმოცი ტყვე იყო. „კაპიტანი, თურქი და ქრისტიანი ვაჭრები მათ ცვლიდნენ იარაღზე, მრავალგვარ წვრილმანებსა და სხვა საქონელზე"... „მამაკაცები ოცდახუთიდან ორმოცი წლის ასაკამდე, ღირდა მხოლოდ თხუთმეტი ეკიუ, ორმოცზე მეტი ხნისა — რვიდან ათამდე. ლამაზი ქალწულები — ცამეტიდან თვრამეტ წლამდე — ოცი ეკიუ. სხვები უფრო იაფად ფასობდნენ. ქალები — თორმეტად, ბავშვები სამ ან ოთხ ეკიუდ. ერთმა ბერძენმა ვაჭარმა... ქალი ძუძუთა ბავშვით იყიდა თორმეტ ეკიუდ; ქალი იქნებოდა ოცდახუთი წლისა; ჰქონდა ულამაზესი ნაკვთები და ნამდვილი შროშანისფერი პირისახე. არასოდეს მინახავს ასეთი ლამაზი გულმკერდი, ასეთი მრგვალი ყელი და საოცრად ნაზი ფერხორცი. ეს ლამაზი ქალი ერთდროულად ვნებასაც და სიბრალულსაც იწვევდა".[4]

ტყვეების ფასი ამ დროს იმდენად დაეცა, რომ შავი ზღვის სანაპირო ზოლზე, მაგალითად 1672 წელს, „25—40 წლის მამაკაცი

---

[1] ჟან შარდენი, დასახ. ნაშრ., გვ. 124—125.

[2] ჟან შარდენი, მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 206.

[3] იქვე, გვ. 207.

[4] იქვე, გვ. 211—212.

ღირდა მაშინდელი ფულით თუმანი, ხოლო ახალგაზრდა ქალი 13—18 წლისა — 13 1/2 მანეთი".[1]

ტყვის სყიდვა ფეოდალთა შემოსავლის გარკვეულ წყაროდ იქცა საქართველოში. მას აწარმოებდნენ, როგორც საერო, ისე სასულიერო პირნი. უპირველეს ყოვლისა ტყვის სყიდვას აწარმოებდნენ მთავრები და თავადები. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი — ჯანღონით სავსე ახალგაზრდობა ყოველწლიურად მიედინებოდა თურქეთისაკენ. აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: „არც ერთ ომს, არც ერთ უცხოელ დამპყრობელს ხმლით იმდენი ზარალი არ მიუყენებია საქართველოსათვის, რამდენიც ამ „მშვიდობიან" ტყვეთა სყიდვამ მიაყენა მას".[2]

ევროპელ მოგზაურებს, კერძოდ, იტალიელ მისიონერებს, უხვად აქვთ შემონახული ცნობები ტყვეთა სყიდვის შესახებ. 1624 წელს ლევან დადიანმა დარბაზობის დროს სუფრაზე ძვირფასი სასმისები მოატანინა. ამის შესახებ პატრი ივანე წერს: „მთავარმა თავისი სიმდიდრის გამოსაჩენად ბევრი ძვირფასი თვლებით მოჭედილი თასი მაჩვენა, ზოგი ათ ყმად, ზოგი რვად და ზოგიც ექვსად ეყიდა".[3]

არქანჯელო ლამბერტი ერთ ასეთ საყურადღებო ფაქტს აგვიწერს: „იყო ერთი უპირველესი დიდებულთაგანი ოდიშში, გვარად ჭილაძე, რომელიც შეჩვეული იყო ტყვეების გაყიდვასა და ამას ერთ წელიწადს თურქთა გემების მოსვლის დროს დასჭირდა ათი-თორმეტი ტყვე ოსმალებზე გასაყიდად, რათა სამაგიეროდ ეყიდნა მათგან სხვა საქონელი, რომელიც სახლში სჭირდებოდა. ეს შეუტყვეს მისმა ყმებმა და თავს უშველეს გაქცევით, რათა ხელში არ ჩავარდნოდნენ მას და თავისუფლება არ დაჰკარგვოდათ, მაგრამ ჭილაძემ ეს ხერხი იხმარა საჭირო კაცების მახეში გასაბმელად. გამოაცხადა, რომ ამა და ამ დღესასწაულს დიდებული წირვა უნდა გადავიხადოო და ერთ-ერთ კარის ეკლესიაში უნდა მოვიდნენ მღვდლებიო, რომელთაც წირვის შესრულებისათვის უხვად დავასაჩუქრებ და მდიდრულ ნადიმს გავუმართავო; ამ ცრუ დაპირებამ შეაცდინა მღვდლები და დანიშნულ დღეს თორმეტი მღვდელი გამოცხადდა. მათ დიდებულად შეასრულეს წირვა, რომელსაც დიდი ღვთისმოსავობით დაესწრო ჭილაძე. წირვა რომ შეასრულეს და

---

[1] ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, თბ., 1922, გვ. 75.

[2] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია, XVI—XVIII საუკუნეები. თბ., 1950, გვ. 300.

[3] მ. თამარაშვილი, კათოლიკობა ქართველთა შორის, ტფ., 1902, გვ. 147.

მღვდლებს იმედი ჰქონდათ, თავადი თავის დაპირებისამებრ დაგვა-საჩუქრებს და ნადიმს გაგვიმართავსო, ჭილაძემ ეკლესიის კარები დაკეტა, ჯაჭვები მოატანინა, თორმეტივე მღვდელი ჯაჭვებში ჩასვა, თმები და გრძელი წვერები მოაპარსვინა და პირდაპირ წაიყვანინა თურქთა გემებზე გასასყიდად".[1] არქანჯელო ლამბერტი დასძენს: „მე ჩემის თვალით ბევრჯერ მინახავს, რომ ქმარს თავისი ცოლი გაუყიდია თურქებზე მხოლოდ იმიტომ, რომ ცოტა ეჭვი ჰქონდა მის კუდიანობაზე, რასაც მეგრელები მრუშობაზე უფრო სდევნი-ან: ამ შემთხვევაში ფასი მარტო ქმარს' როდი რჩება, არამედ გაა-ნაწილებენ სამად და ერთი წილი ერგება ბატონს, რომლის ყმად ითვლება ქალი, მეორე — ქმარს და მესამე — ქალის მშობლებს. აქედან ჩანს, რომ ამ საქმეში ბევრს აქვს სარგებლობა და ამიტომაც ხშირია ასეთი ყიდვა-გაყიდვა".[2]

პატრი იოსებ რომაელი 1675 წელს რომში გაგზავნილ წერილში წერს: „...უმანკო ბავშვებს, თუ ვაჟებს და ქალებს, სავაჭრო მოე-დანზე ჰყიდიან ოხერ ფასად, რათა მით დააკმაყოფილონ ოსმალე-ბის უწმინდური მადა. გვესმის' და ვხედავთ მათს ეღვაილს და ტი-რილს; ამ დროს ზოგი მდინარეში თავს იგდებს, ზოგი თვალებს ითხრის და ზოგიც ცხვირს' იჭრის, რათა ურწმუნოებმან ალარ იყი-დონ და წმინდა სარწმუნოება არ დაატოვებიონ".[3]

ჟან-ბატისტ ტავერნიეს აზიაში პირველი მოგზაურობის დროს (1631—1633 წწ.) კონსტანტინეპოლში უნახავს სამეგრელოს მთავ-რის ელჩი. მას (ელჩს), თურმე ორასამდე მონა ხლებია. „ყოველ-დღე რომელსამე მათგანს ჰყიდდა, როდესაც სამეგრელოში და-ბრუნდა, მას შერჩა ერთი მდივანი და ორი ფარეში".[4] იმავე ტავერ-ნიეს ჩვენებით: „მეტი ფულის გამორჩენისათვის არჩევენ უფრო ლამაზ ბიჭებს და გოგოებს'. ქვეყნის დიდებულნი არ ზოგავენ არც ქმრიანს და არც გაუთხოვარ ქალებს. ქალებისა და კაცების გაყიდვა ისეთ საზოგადო ჩვეულებად არის გადაქცეული ამ ქვეყანაში, რომ ის შეადგენს მათი ვაჭრობის უდიდეს საგანს და სწარმოებს თითქ-მის ყოველ უბრალო შემთხვევის გამო".

ტყვის სყიდვაში მთავრებს ზოგჯერ გულქვა მშობლებიც არ ჩა-მორჩებოდნენ. თეათინელი კლემენტე ბალანო მოგვითხრობს: თე-ათინელმა მონაზვნებმა „იქვე დააარსეს სკოლა, ბავშვები ზოგი

---

[1] არქანჯელო ლამბერტი, დასახ. ნაშრ., გვ. 161.

[2] იქვე, გვ. 161—162.

[3] მიქელ თამარაშვილი, კათოლიკობა ქართველთა შორის. თბ., 1902, გვ. 249.

[4] ჟან ბატისტ ტავერნიე, თბ., 1974, გვ. 201; იხილე აგრეთვე „მოამბე" № 6, 1898, გვ. 7.

თვით მთავარმა აჩუქა, ზოგი ბატონებმა და ზოგიც თვით გამოართვეს იმ მშობლებს, რომლებსაც ბავშვების აღზრდა არ შეეძლოთ, რათა ისინი თათრებისათვის არ მიეყიდათ".[1]

სამეგრელოს მთავრისა და მისი კარისკაცების დახასიათებისას იტალიელი მისიონერი დონ-მარი-ჟოზეფ-ძამპი ჟან შარდენს ეუბნება: „ეს მთავარი ისეთივე ავი სული, დიდი ავაზაკი და ნამდვილი მძარცველია, როგორც მისი ქვეშევრდომები".[2]

იმ ძალადობასთან ერთად, რომელსაც მთავარი და თავადები მიმართავდნენ ტყვეთა მოსაპოვებლად, იყო კიდევ ერთი სახე ტყვეთა სყიდვისა. ეს იყო ჩუმად, ქურდულად მოპარული ტყვეების გაყიდვა. არქანჯელო ლამბერტი წერს: „არიან ისეთი ქურდებიც, რომელნიც იპარავენ კაცებს და ყმაწვილებს და ჰყიდიან ჩუმად თურქეთში, გურიელის სამთავროში, ზღვის პირად, სახელდობრ ქობულეთში, მუდამ ტყვეებით ვაჭრობენ, ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ახლო ქალაქებიდან — რიზე, გონია და ტრაპიზონიდან მოდის მრავალი თურქი ვაჭარი. მათ მოაქვთ ბლომად ფული და ტანისამოსი, რაც ფრიად ეჭირვება აქაურ ხალხს. თურქები კი სამაგიეროდ მხოლოდ ტყვეებს თხოულობენ. ამიტომაც აქ მოყავთ თურქებზე ტყვეთ გასასყიდად ქართველებიც და აფხაზებიც. ყველანი ისე არიან დახელოვნებული ამ ხელობაში, რომ ადვილად იპარავენ, როგორც მამაკაცებს, ისე დედაკაცებს, დიდებსაც და პატარებსაც. ზოგჯერ ასეთი ავაზაკები ღამე თავს დაესხმიან მეზობლის სახლს, შეტეხენ ძალით სახლის კარს, შებოჭავენ ვისაც კი შიგ იპოვნიან და პირდაპირ ქობულეთში გაქანებენ თურქებზე გასასყიდად".[3] ტყვის ასეთ ვაჭრობას დაბალი ფენის წარმომადგენელნი აწარმოებდნენ.

პატრი იოსებ ჯუდიჩი, რომელმაც 1640 წელს გაგზავნა რომს სამეგრელოს აღწერა, აღნიშნავს: „ამ თვეში მიდიან სამეგრელოდან კონსტანტინეპოლში თათრების გემები, დატვირთული ამ ქვეყნის საქონლით და განსაკუთრებით ურიცხვი ქრისტიანი ყმაწვილებით, რომლებიც თათარს (სულთანს) მიჰყიდეს მეგრელებმა და ქართველებმა".[4]

მისიონერები მოგვითხრობენ ამ საშინელი სოციალური მანკის გვერდით მეორე კიდევ უფრო მძიმე ჩვეულების — ბავშვების ცოცხლად დამარხვის შესახებ. მიქელ თამარაშვილი გადმოგვცემს: —

---

[1] მ ი ქ ე ლ თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, კათოლიკობა ქართველთა შორის. თბ., 1902, გვ. 155.

[2] ჟ ა ნ შ ა რ დ ე ნ ი, მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1935, გვ. 14.

[3] ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 76.

[4] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 176—177.

„ეს რომ ჩვენ სხვა მწერლების ნაწერებში ამოგვეკითხა, სრულებით არ დავიჯერებდით, არამედ ზღაპრად და ცილისწამებად ჩავთვლიდით, რადგან ასეთი ბარბაროსული ჩვეულება თვით უკანასკნელ ნადირ ხალხშიც ძლიერ იშვიათია, სამეგრელო კი ასეთ კატეგორიის ხალხს არ ეკუთვნოდა, ვინაიდან ძველი დროიდანვე შეტანილი იყო განათლება და ყოველი უმთავრესი კაცობრივი პატიოსნება და გრძნობა, ხოლო ეს სისაძაგლე რა ამოვიკითხეთ და თვით ნაწერები კი ეკუთვნოდა იმნაირ კაცებს, რომელნიც განწირულნი იყვნენ ამ ერისათვის, რომელნიც ამ ერის ავსა და კარგს თვალით ხედავდნენ და ხელით ეხებოდნენ და რომლებიც ყველა თავიანთ გაგონილს, ნანახს ყოველდღე სწერდნენ ევროპაში და ყველა საშუალებას ხმარობდნენ ამ უბედურების მოსასპობლად, არავითარი საბუთი გვაქვს, მათ არ დაუჯეროთ და ჭორად ჩამოვართვათ ნათქვამი. ამის გამო იძულებულნი ვხდებით ესეთი მოთხრობა მივიღოთ ისტორიულ ფაქტად“.[1]

არქანჯელო ლამბერტი მოგვითხრობს: „ამათ შორის ყველაზე ბარბაროსულ ჩვეულებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ყმაწვილებს ცოცხლად მარხავენ. უფრო ხშირად დედები მარხავენ თავიანთ ახლად დაბადებულ ბავშვებს. ამ საშინელ საქმეს ჩადიან ხშირად ის ქვრივები, რომელნიც პირველ ქმრის ხელში დაორსულდნენ და მეორე ქორწინებისათვის ვერ დალოგინებულან. მაშინ ახალი ქმარი თავიდან იშორებს საბრალო ყმაწვილს... ამოთხრის თავის სახლში ორმოს და ჩაფლავს ახლად დაბადებულ ყმაწვილს. ასევე იქცევიან ისინი, რომელთაც სიღარიბისა და მრავალ-შვილიანობის გამო, არ შეუძლიათ მათი რჩენა“.[2]

ამ მოვლენის ძირითადი მიზეზები, ცხადია, უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობა და საერთო მორალური დაქვეითება იყო. გლეხების გამუდმებული შიში გარეშე მტრებისა და საკუთარი ბატონების მიმართ, მათი უუფლებობა, სასოწარკვეთილი გლეხი თავისივე ხელით უსპობდა სიცოცხლეს თავის შვილს, მართლაც ეს იყო ყველაზე საზარელი პერიოდი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

1667 წელს ლევან II დადიანის ცრუ ძმე მათე[3] რუსეთის სამეფო კარს თავის მიერვე დაწერილი წერილი წარუდგინა. ამ ვრცელ წერილში იგი აღნიშნავს, რომ სამეგრელოში „ეპისკოპოზი, თავადი,

---

[1] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 175.

[2] ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 76.

[3] ეს მათე 1666 წელს ასტრახანში ჩავიდა. თავისი თავი მან ლევან II დადიანის ძედ გამოაცხადა. მისი თქმით, მისმა მტერმა ქართველებმა ლევანის ძეობა არ დაუდასტურეს, რუსეთის სამეფო კარმა იგი ციმბირში გადაასახლა. 11 წლის პატიმრობის შემდეგ მათე სამშობლოში დაუბრუნეს, მაგრამ ასტრახანის ვოევო-

აზნაური, ყველა ტყვეს ყიდის. ასეთი წელიწადი არ იქნება ათასი სული კაცი არ გაიყიდოს. ყველა თათრის ხელთა არის და თათრდება. ასე შეიქმნა ოდიში. კაცები ასრე შეპირვებული არიან, რომ შვილი რომ ეყოლებათ, მოარჩობენ თავის ხელითა — თათარს მისცემენო, იმის გულისათვის ჩვენ მოვკლათო ჩვენი ხელითაო".[1]

ჯერ კიდევ ადრე — XVI საუკუნეში ტყვის სყიდვა, ქურდობა, ავაზაკობა, მკვლელობა, ეკლესიების ძარცვა იმდენად გაიზარდა და გავრცელდა, რომ აუცილებელი გახდა საეკლესიო კრების მოწვევა, რომელიც ფეოდალურ საზოგადოებას თავისი ავტორიტეტით წინ აღუდგა და მოუწოდა ამ უმსგავსოებათა წინააღმდეგ საბრძოლველად. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა იმერთა მეფის ბაგრატ III-ის მიერ მე-16 საუკუნის 50-იან წლებში მოწვეული საეკლესიო კრება[2], რომელმაც დღის წესრიგში დააყენა ყველაზე მტკივნეული საკითხი — ტყვეთა სყიდვის აკრძალვა.

კრებას დაესწრო აფხაზეთის კათალიკოსი ევდემოსი, საგანგებოდ მოწვეულ იქნენ ქართლის კათალიკოსი მალაქია და დასავლეთი საქართველოს 10 ეპისკოპოსი: ქუთათელი, გენათელი, ჭყონდიდელი, ბედიელი, მოქველი, დრანდელი, ცაგერელი, ხონელი, ნიკორწმინდელი და ცაიშელი. ამ საეკლესიო კრებამ იმსჯელა გამრავლებულ ბოროტმოქმედებათა შესახებ და შეიმუშავა ხალხის ზნეობრივი ცხოვრების ამაღლების მიზნით „სამართალი კათალიკოზისა", რომელიც 23 მუხლისაგან შედგებოდა.

ბაგრატ III-ის სიკვდილის შემდეგ მის დროს მიღებული ტყვეთა სყიდვის ამკრძალავი კანონი თითქმის დავიწყებას მიეცა და ტყვეებით ვაჭრობამ განსაკუთრებით მძიმე ხასიათი მიიღო მომდევნო მე-17 საუკუნის მეორე ნახევრიდან.

XVII საუკუნის 40-იან წლებში კათოლიკე პატრების ჩაგონებით და მცდელობით ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ ერთგვარი ზომები მიიღო ლევან II დადიანმა (1611—1657 წწ.).

დასადმი მიწერილი მეფის წერილი (რითაც მათეს ფული უნდა მიეღო) ყალბი აღმოჩნდა. ამიტომ მას სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, მაგრამ შეიწყალეს და ისევ ციმბირში უნდა გაეგზავნათ. საბოლოოდ მაინც სიკვდილით დასაჯეს. არც გადასახლების, არც სიკვდილით დასჯის მიზეზი ცნობილი არაა. თ. ტ ი ვ ა ძ ე, ერთი ეპიზოდი XVII საუკუნის 60-იანი წლების რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, კრებული, ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, I, თბ., 1970, გვ. 98—121.

[1] თ. ტ ი ვ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 104.

[2] მ. რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი, იმერეთის სამეფო XVI საუკუნეში, თბ., 1976, გვ. 53—57.

თუ რამდენად ფართო ხასიათი მიიღო ტყვის სყიდვამ, ეს თურქი მოგზაურისა და დიპლომატის ევლია ჩელების[1] „მოგზაურობის წიგნის“ ცნობებიდანაც ჩანს. იგი წერს: „აბაზები მეგრელებს იტაცებენ, მეგრელები — აბაზებს და ვაჭრებს მიჰყიდიან ხოლმე“[2], „აბაზები ერთმანეთს ებრძვიან, ბავშვებსა და ქალებს იტაცებენ, ტყვეებს ჰყიდიან და ამით ცხოვრობენ“.[3]

თვით ევლია ჩელებმა საქართველოში თავისი ხანმოკლე მოგზაურობის დროს რამდენიმე ქართველი ტყვე-ბიჭი შეიძინა და ყირიმში რომ ჩავიდა, თვრამეტი მონა ჰყავდა.[4] მან აფხაზეთში „ერთი აბაზა (ე. ი. აფხაზი — მ. რ.) ბიჭი“[5] იყიდა, შემდეგ „აბაზა ჭაბუკი“[6]. თავრიზის ხანს ევლიას სიმღერა მოეწონა და „ერთი ქართველი ბიჭი“[7] უბოძა. ევლია ჩელები აღნიშნავს, რომ მას აჩუქეს: ახალციხის განმგებელმა საფარ-ფაშამ „ორი ქართველი ბიჭი“,[8] ყარსის ფაშამ „ორი ქართველი ბიჭი“[9], არზრუმის ფაშამ ორი „ქართველი მონა“,[10] სეილი-ფაშამ „ორი ქართველი ბიჭი“[11], ვარდარ ალი-ფაშამ ერთი „ქართველი ბიჭი“[12], მურთაზა-ფაშამ „ქართველი მონა“[13], ბაქოში „ქართველი ბიჭი“[14], იგივე ევლია ჩელები გადმოგვცემს, რომ ერევნის ხანმა არზრუმის ფაშას მისი ხელით საჩუქრებთან ერთად ექვსი „ქართველი ბიჭი“ გაუგზავნა.[15] თავრიზის ხანმა არზრუმის ფაშას ორი „ქართველი ბიჭი“ გაუგზავნა და თვით მას ერთი „ქართველი ბიჭი“[16] აჩუქა. იგი განაგრძობს: აჩიკ ბაშის

---

[1] ევლია ჩელებმა საქართველოში იმოგზაურა 1640—1641, 1646—1647 წლებში.

[2] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I, ქართული თარგმანი გ. ფუთურიძისა, თბ., 1971, გვ. 96.

[3] იქვე, გვ. 102.

[4] იქვე, გვ. 122.

[5] იქვე, გვ. 103.

[6] იქვე, გვ. 104.

[7] იქვე, გვ. 243.

[8] იქვე, გვ. 302.

[9] იქვე, გვ. 311.

[10] იქვე, გვ. 336.

[11] იქვე, გვ. 341.

[12] იქვე, გვ. 415.

[13] იქვე, გვ. 436.

[14] იქვე, გვ. 281.

[15] იქვე.

[16] იქვე, გვ. 257.

(იმერეთის — მ. რ.) ბეგისაგან აჰმედ-ფაშას საჩუქრად მიუვიდა „ხუთი მონა და ხუთი მხევალი“, აქედან ევლია ჩელებს ერგო „ერთი მონა და ერთი მხევალი“.[1]

სამეგრელოში თარეშის დროს ქუთფაჯ-ფაშას მეომრებმა ორი ულამაზესი „ვარსკვლავივით ქალიშვილი“ მოიტაცეს, სეიდ აჰმედ-ფაშამ ისინი ათას-ათას ყურუშად იყიდა და ოც სხვა ქალიშვილთან ერთად სულთან იბრაჰიმ-ხანს გაუგზავნა.[2] იმავე ხანებში ოსმალებმა ტყვედ ჩაიგდეს „სამეგრელოს ბეგის ბიძაშვილი. მან ასი ტყვე, ათასი სული საქონელი, მრავალი საპალნე ოქროს ქსოვილი, მრავალი საპალნე ფარჩა მისცა და თავი გამოისყიდა“.[3]

სამეგრელოში ლაშქრობის შემდეგ სეიდ აჰმედ-ფაშამ არზრუმის ფაშას საჩუქრად მიართვა „ორასი მეგრელი ტყვე, ასორმოცდაათი მონა და ასი მხევალი“.[4]

ზემოთ მოტანილი ცნობები ნათლად ადასტურებს, რომ ტყვეებით დასაჩუქრებასა და ვაჭრობას ფართო ხასიათი ჰქონდა.

დასავლეთი საქართველოს მეფე-მთავრები ტყვეთა სყიდვაში არა მარტო თავიანთი უშუალო ინტერესების დაკმაყოფილებას პოულობდნენ, არამედ მბრძანებელ ოსმალეთსაც ემსახურებოდნენ და უხვად აწვდიდნენ მის ბაზრებს სანუკვარ ცოცხალ საქონელს. დასავლეთი საქართველოს მეფის სახელმწიფო ბეჭედების წარწერა ნათლად გვიდასტურებს მის მორჩილებას ოსმალეთისადმი. იმერეთის მეფის სახელმწიფო ბეჭედზე შემდეგი წარწერა იყო: „მონა ვარ ღვთისა, ყმა ხონთქარისა“.[5]

უფრო გვიან, XVIII საუკუნის სამოცდაათიან წლებში, როცა იმერეთის მეფე სოლომონ I დიდი შეეცადა და შეძლო კიდეც შეეზღუდა ოსმალთა მძლავრობა დასავლეთ საქართველოში და დაემორჩილებინა გურია-ოდიშის გამდგარი მთავრები და დიდი ფეოდალები (რაჭის ერისთავი როსტომი და არგვეთის ბატონი ლევან აბაშიძე), შესაძლებელი გახდა ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ ქმედითი ზომების განხორციელება; ეს უკანასკნელი უშუალოდ იყო დაკავშირებული გარეშე მტრის დათრგუნვასა და ფეოდალთა დამორჩილებასთან; ახლა იმერთა მეფის სახელმწიფო ბეჭდის დამამცირე-

---

[1] ევლია ჩელების „მოგზაურობის“ წიგნი, ნაკვ. I, ქართული თარგმანი გ. ფუთურიძისა, თბ., 1971, გვ. 332.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 335.

[5] Акты, т. I, стр. 58.

ბელი წარწერა სოლომონ დიდის მიერ უკვე სულ სხვაგვარად იყო შეცვლილი:

„...ლომებრ მყეფე, მტერთ სისხლმჩქეფე, იმერთმეფე“.[1]

მაგრამ სანამ ეს პერიოდი დადგებოდა, ჯერ კიდევ ბევრი დრო უნდა გასულიყო და დასავლეთი საქართველოს მშრომელ მოსახლეობას კიდევ დიდხანს უნდა განეცადა თავისი მძიმე ხვედრი.

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ადამიანებით ვაჭრობამ უკიდურეს საზღვარს მიაღწია, ტყვეებს (ადამიანებს) ყიდდნენ ყველანი: მეფეები, მღვდელთმთავრები, მთავრები, თავადები, აზნაურები და გაყაზახებული გლეხებიც.

„იყო ესე ალექსანდრე მეფე (1683—1695 წწ.) მხნე, ახოვანი, ჰაეროვანი, და უხვი, არამედ ხელად მქცევი, ცუნდრუკი, უღთო ტყვის მსყიდველი“.[2]

ხოლო გურიელი მამია, თუმცა იყო მეფედ (1701—1702 წწ.), „ჰყიდდა ტყვეთა გურულთა და აძლევდა იმერთა“.[3]

გიორგი აბაშიძის მეფობის დროს (1702—1707 წწ.) იმერეთში „ვერავინ იკადრებდა განყიდვად ტყვისა, თვინიერ მისსა“.[4]

„ოდიშს და გურიას იყიდოდა ტყვენი ფრიად და უმეტეს ოდიშს ლიპარტიანისაგან“.[5]

გაბრიელ ჭყონდიდელი იყო „უღვთო, მეძავ-მემრუშე, სოდომია, და ტყვის მსყიდველი და სავსე ბოროტითა“.[6]

სვიმონ ქუთათელი მღვდელმთავარი იყო, მაგრამ „ტყვის მსყიდველი, მეძავ-მემრუშე, კაცის მკლველი, სარუ-ფიც, უწირავ-ულოცავი“.[7]

ხარაგაულელი აზნაურები კიკნაძეები XVIII საუკუნის 40—50-იან წლებში ტყვის მყიდველთა ბრბოს მეთაურობდნენ და არა მარტო იმერეთს, ქართლის სოფლებსაც იკლებდნენ.

გლეხები — ბურჯანაძეები დიდი ხნის განმავლობაში დაუსჯელად მონაწილეობდნენ ტყვის სყიდვაში.

ტყვე დასავლეთ საქართველოში თანდათან უმთავრესი საქონელი გახდა. ტყვეებში ამოგებული ფულით იძენდნენ იარაღს, სამკაულს, ტანისამოსს, ისტუმრებდნენ სამეფო თუ სამთავრო ხარჯებს, იხდიდნენ სახონთქარო ხარკს, იძლეოდნენ ქრთამს.

---

[1] ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, თბ., სახელგამი, გვ. 288.
[2] მასალები საქართველოს ისტორიისათვის..., თბ., 1905, გვ. 137.
[3] იქვე, გვ. 141.
[4] იქვე, გვ. 150.
[5] იქვე, გვ. 157.
[6] იქვე, გვ. 161.
[7] იქვე, გვ. 167.

ალექსანდრე მეხუთის მეფობის (1721—1752 წწ.) დროინდელ ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ: „თათრის ვალი დაგვედვა ცხრაას და ჩვიდმეტი მარჩილი, მერმე იმ ჩვენმა მოვალე თათარმა დაგვიჭირა, ცუცხვათელმა თათარმა: ვიკარგებოდით და რჯული გვეშლებოდა. ...გაურჯულებას მამულის გაყიდვა ვარჩიეთ"[1].

ზემოთ აღნიშნული ნათელ წარმოდგენას ქმნის იმდროინდელ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაზე.

ტყვეთა სყიდვა რომ საყოველთაო მოვლენა იყო, ამას ადასტურებს მამია გურიელის საფიცარი წიგნი[2], გურიაში ტყვეთა სყიდვის აღკვეთის შესახებ დადებული.

დავით გარეჯის ნათლისმცემლის უდაბნოდან გურიაში მივლინებული ბესარიონი, რომელსაც ევალებოდა გურიელისათვის ტყვეთა სყიდვის აღკვეთის შესახებ საფიცარი წიგნის ჩამორთმევა, მართლაც მიიღებს საბუთს, რომელიც წარმოადგენს მამია გურიელის მიერ დადებულ ფიცს. იგი, ერთი მხრივ, მიუთითებს ტყვეთა სყიდვის ძირითად მიზეზებზე და, მეორე მხრივ, ცხადყოფს ზოგიერთი საეკლესიო ორგანოს ცდას, მიმართულს ამ ბოროტების აღსაკვეთად.

ეს საბუთი ნათლად გვიხატავს იმდროინდელი გურიის სამთავროს ეკონომიკურ მდგომარეობას — ადამიანი საექსპორტო საგნად არის გადაქცეული, რომ მთავრები ტყვეთა სყიდვას ზოგჯერ აწარმოებენ სასმელ-საჭმელის მოსაპოვებლად.

მამია გურიელი არ იძლევა მთლიანად ტყვეთა სყიდვის გადაგდების პირობას, „ჩემმა საბატონოს კაცმა ტყვე ვეღარ გასყიდოს და-ჩვენც ეს აღთქმა დაგვიც დღეს ამას აქეთ ჩვენთვის საქონლად და სასარგებლოდ, რომ მოიხმარებოდეს და ან სასმელ-საჭმელში და ჩვენ აღარ გავსყიდოთ... რაც ხვანთქრისა და ვეზირისა მართებულება და საგრძნობელი შემოგვივარდეს, რომ მტრისაგან არ ვიჩაგრებოდეთ ან ქვეყნის შემოსავლები საქმე მოგვიხდეს თვარა მას გარეთ ეს ასე გაგითაოთ ამ ქვეყნის ტყუეზედ". აქედან ნათლად ჩანს, ტყვეთა სყიდვის აკრძალვა მთლიანად შეუძლებელია ოსმალეთის მძლავრობის გამო და ეკლესიაც იძულებულია, ამ ფაქტს შეურიგდეს. ამავე დროს, საბუთში ნათლად ჩანს, რომ ადამიანთა მოტაცება გასაყიდად ან გადასაცვლელად ხდებოდა უმთავრესად არა მარტო უცხოეთიდან მოტანილი ფუფუნების საგანთა შეძენის მიზნით, არამედ „ხვანთქრისა და ვეზირისა", ე. ი. დამპყრობელი მეზობლისათვის ხარკის გადასახდელადაც. ეს უკანასკნელი ისეთი

---

[1] საქ. ცენტრარქივი, ფ. 227, № 55.

[2] საისტორიო მოამბე, წიგნი 1, ტფ., 1925, გვ. 183.

ძალა იყო, რომ გურიელი უარს ვერ ეტყოდა, თუნდაც ყველა ღმერთი და წმინდანი აჯანყებოდა.

ქრონიკებში აღნიშნულია, რომ მოტაცების გარდა, ყმებს ტყვეებად ქართველი ფეოდალებიც ჰყიდდნენ „საქონლად და სასარგებლოდ რომ მოიხმარებოდეს და ან სასმელ-საჭმელშიდა“ და „ყიდდენ მოპარულ მეზობლებსაც“[1].

1714 წელს კუნძულ მალტაზე ყოფნის დროს სულხან-საბა ორბელიანმა ნახა ქართველი ტყვეები: „ზოგი აფხაზი, ზოგი იმერელი, გურული და მეგრელი, რომლებიც მალტელებს მაჰმადიანებისათვის წაერთმიათ[2]. იმავე წელს ხოფაში საბამ ნახა, რომ „თათრებს იმერეთიდან ტყვეები მიჰყავდათ კონსტანტინეპოლს გასასყიდად“[3].

შავი ზღვის სანაპიროზე ცხოვრება გაჭირდა, განსაკუთრებით აქტიურობდნენ გამაჰმადიანებული აფხაზი ფეოდალები. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, „აფხაზები დაუხვდებიან ოსმალთა ნავთა და ლაზ-ჭანთა და უფროსად ოდიშ-გურიისა“. აფხაზ მეკობრეებს თურქებიც კი უფრთხოდნენ. 1715 წელს ჭანმა მენავემ სულხან-საბა ორბელიანი ქობულეთში არ წამოიყვანა: „გურიას ხომალდს ვეღარ წამოვიღებ, აფხაზი აშლილია, მეშინიან“[4].

კაპიტან დე გრაი დე ფუას ცნობით, ლეკი აბრაგები, რომელნიც ოცდაათ კაციან ჯგუფებად ერთიანდებოდნენ, საქართველოდან ხალხს იტაცებდნენ, ტყვეებად ყიდდნენ ან ცვლიდნენ სხვადასხვა ნივთსა და საქონელზე. მისივე ცნობით, „კარგი ცხენი უფრო ძვირია, ვიდრე ადამიანი“.[5]

* * *

როდესაც სოლომონ პირველი (შემდეგში დიდად წოდებული) სამეფო ტახტზე ავიდა (1752 წ.), ადამიანების მოპარვა, მიტაცება და წარტყვევნა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. იმერთა ახალგაზრდა მეფე კარგად ხედავდა, რომ, თუ ამ უმსგავსოების წინააღმდეგ ზომებს არ მიიღებდა, სამეფოს საძირკველი ერღვეოდა

---

[1] ქრონიკები, ტ. III, თბ., 1967, გვ. 110.

[2] სულხან-საბა ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში, თბ., 1940, გვ. 129.

[3] იქვე, გვ. 149.

[4] იქვე.

[5] კაპიტან დე-გრაი დ.ე-ფუა, გრაფ ტოტლებენის ექსპედიცია საქართველოში, ახალციხის რაიონული გაზეთი „წითელი დროშა“, 1964, № 109.

და ხალხის საუკეთესო და ჯანსაღი ნაწილი უცხოეთში იკარგებოდა.[1] ამიტომ სოლომონ მეფემ ტახტზე ასვლისთანავე „ტყვეების თურქებისათვის მიყიდვა ყველა თავის ქვეშევრდომებს მკაცრი ჯარიმით და თვით სიკვდილის სასჯელით აუკრძალა"[2]. ფეოდალთა იმ ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც უარს ამბობდა ამ ბრძანების შესრულებაზე, სოლომონ მეფე „მიმართავდა ხან სიმკაცრეს, ხან ძალას"[3]. ამ ღონისძიებამ ნაწილობრივ გამოიღო შედეგი. საჭირო იყო უფრო მკაცრი ღონისძიება. ამისათვის სოლომონის ინიციატივით, მითითებით და ხელმძღვანელობით 1759 წლის 5 დეკემბერს (საეკლესიო კრების მეორე დღის სხდომაზე) დასავლეთი საქართველოს (გარდა აფხაზეთისა) საეკლესიო და საერო ფეოდალების გაერთიანებულმა კრებამ დადგენილება გამოიტანა ტყვის სყიდვის აკრძალვის შესახებ. საერო და სასულიერო პირებმა პირობა დადეს, რომ ამიერიდან ტყვეს აღარ გაყიდდნენ, ხოლო ვინც კანონს არ დაემორჩილებოდა, ეკლესია მას შეჩვენებით, ხოლო მეფე სიკვდილით დასჯით დაემუქრა.

კრების მონაწილეებმა კოლექტიური პირობა დადეს — „სანამ სული გვიდგას, ეს საქმე ჩვენგან არ იქნეს, არც ამაშიდ ერთმანეთს უსუსტოთ, კიდეც ერთმანეთს მიუდგეთ, კიდეც მეფე სოლომონის მორჩილი და ბრძანების აღმასრულებელი ვიქნეთ"[4].

დადგენილება თანდათანობით ხორციელდებოდა — ტყვის სყიდვას მოკლე დროში უკვე ახსენებდნენ, როგორც წარსულის მოვლენას. მაგალითად, 1764—1770 წლებში ზაალ გურიის ერისთავისათვის მიცემულ პირობის წიგნში. მისი ყმები აღნიშნავენ, რომ „ავის დროობისაგან და ქვეყნის არეულობისაგან ტყვის ყიდვა ყოფილიყო"[5].

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტყვეთა სყიდვა ძირფესვიანად მაინც არ აღმოფხვრილა, თვით სოლომონ მეფეც აღიარებს, რომ მისმა ღონისძიებამ ტყვეთა სყიდვის შესახებ მიზანს მხოლოდ ნაწილობრივ მიაღწია. 1768 წელს ეკატერინე II-ისათვის გაგზავნილ მიმართვაში სოლომონ პირველი წერდა, რომ ხვანთქრის სერასკირებსა და ფაშებს მისგან მრავალგზის უთხოვიათ ტყვის ხარაჯა და ტყვე და როცა არ მიუცია, ძალით წაურთმევიათ.

---

[1] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან (XV—XVIII სს.), თბ., 1940, გვ. 157.

[2] სიგელ-გუჯრები, ტ. I, გვ. 15 (რუს.).

[3] იქვე, 34. (რუს.).

[4] ქაჯა, ტ. I გვ. 57—58 (რუს.).

[5] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, თბ., 1909, გვ. 521—522.

სოლომონ მეფის მიერ მიღებულმა ღონისძიებამ ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ იმას მიაღწია, რომ ადამიანების გაყიდვა მხოლოდ თვით იმერეთის შიგნით ხდებოდა. მაგალითად: 1777 წელს მერაბ ლორთქიფანიძე პირობის წიგნს აძლევს მაქსიმე კათალიკოსს — „ტყვის გაყიდვისათვის გამიწყერით და კიდეც შემაჩვენე... ის ტყვე ისევ თქვენ მოგართვით... მერმე თქვენ ტყვის გაუყიდველობის პირობა გვთხოვეთ და მე ასე პირობა მომირთმევია: ჩემს სიცოცხლეში ქრისტიანი კაცის შვილი არც მივყიდო თათარს, არც სხვა ურჯულო კაცსა... და ეგების დიდის გაჭირვებისათვის ჩემს მეზობელს ან ჩემი ქვეყნის კაცს გლეხობით მივყიდო და ან ცოლ-ქმარი, სხუა ამის გარდა ჩემგან საუსჯულეთ ტყვე არ გაიყიდოს... თუ ვისმე ჩემის ქვეყნის კაცს მივყიდო იმასაც პირობა დავადებინო, რომ უსჯულოს ხელში არ ჩავარდეს“.[1]

ანალოგიურ პირობის ფიცს აძლევს „ურჯულოზე“ ტყვის გაუყიდველობის შესახებ იმერეთის კათალიკოსს გიორგი გურიელი 1777 წელს.[2]

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, ქრისტიანის გაყიდვა მაჰმადიანზე დაგმობილია. ამასთან ერთად, ისე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, იმერეთის სამეფოშიც ყმის გაყიდვა მხოლოდ ორი პირობით შეიძლება — ან ცოლ-ქმარი ერთად, ან მამა-კაცი გლეხად. ორივე ეს ღონისძიება მიმართული იყო ყმა-გლეხების ოჯახის შენარჩუნებისა, მიწათმოქმედთა გამრავლებისა და მიწაზე მიჯაჭვისაკენ.[3]

საქართველოში ხშირი თარეშებისა და ომების შედეგად შემოღებული იყო ტყვეთა გამოსაყიდად დაწესებული ბეგარა. ამ ბეგარას „სატყვეო“ ეწოდებოდა. იგი იკრიბებოდა როგორც ომის დროს, ისე თარეშების მეოხებით ტყვედჩავარდნილთა გამოსაყიდად. ეს ბეგარა, როგორც ჩანს, საკმაოდ დიდი რაოდენობით იკრიბებოდა. 1722 წელს გაცემული სიგელით ვახტანგ მეექვსემ თბილისელი მოქალაქეები, წარჩინებული ვაჭრები და ქეთხუდები[4] სატყვეო ბეგარის გალებისაგან გაათავისუფლა[5]. ეს იმას არ ნიშ-

---

[1] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. II, თბ., 1921, გვ. 60.

[2] იქვე, გვ. 59—60.

[3] შ. ბურჯანაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 93.

[4] ქეთხუდა (სპარსული) — სოფლის მამასახლისი; ხელოსანთა ამქრის ხელმძღვანელი; უბნის უფროსი; გვარის ან ტომის მეთაური; სამეურნეო საქმეთა მწარმოებელი.

[5] Акты, т. VII, г. II, 772.

ნავს, რომ ტყვეებით ვაჭრობა შეწყდა. პირიქით, მას XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც ჰქონდა ადგილი, მოთარეშე ლეკები არა მარტო ადამიანებს იტაცებდნენ, არამედ გაწყობილ გუთნეულსაც კი.[1]

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ყოველნაირად კრძალავდა ტყვეებით ვაჭრობას, მეფე მაინც იძულებული გახდა, გარკვეულ იურიდიულ ნორმებში ჩაეყენებინა ეს მოვლენა — ვახტანგ VI-ის „დასტურლამალი" გარკვეულ ბაჟს აწესებს ტყვეებით ვაჭრობაზე.

„ქართველმან, თათარმან, სომეხმან თუ რამც სჯულმან იმერეთს რომ ტყვე იყიდოს, ტყვის თავს მსყიდველს სამს მინალთუნს საბატონოდ გამოართმევდნენ, თუ ქართლში გადმოიყვანეს და აქ გაისყიდა, ან აქაური ერთმანეთს მიჰყიდეს, სამ მინალთუნს მყიდველი და სამს მინალთუნს გამსყიდველი ბატონს ვერ დააკლებს, ზეითაც დაგვიწერია: და მთაზედ ტყვის გამსყიდველ-მსყიდველთან ხელი არა აქვს ტყვის მებაჟეს".

საინტერესოა, რომ კანონი პირდაპირ მიუთითებს იმერეთზე, როგორც ტყვეების შესასყიდ ქვეყანაზე, რაც ნათლად აღასტურებს, თუ რამდენად ყოფილა გავრცელებული დასავლეთ საქართველოში ტყვეთა სყიდვა.

ერეკლე II-ის ინიციატივით 1789 წელს შეიქმნა სპეციალური თანხა ლეკთა მიერ წარტყვეულ და დაღესტანსა და ირანში გაყიდული ქართველების გამოსასყიდად. სახელმწიფოს მიერ გამოსყიდულ ტყვეებს წინანდელი წოდებრივი მდგომარეობა უბრუნდებოდათ, მაგრამ კერძო პირის მიერ გამოსყიდული ტყვე უნუგეშო მდგომარეობაში ეარდებოდა, რადგან მყიდველს, რომელმაც იგი თურქთაგან გამოისყიდა საკუთარი სურვილისამებრ შეეძლო მოპყრობოდა, როგორც ნივთს. იყო შემთხვევები, როცა გაყიდულ ქართველ ტყვეს თავი დაუღწევია მონობისათვის და მნიშვნელოვან სამხედრო ან ადმინისტრაციულ თანამდებობამდე მიუღწევია ან სამშობლოში დაბრუნებულა.

მუსულმანურ ქვეყნებში (როგორიც იყო ეგვიპტე, სირია, თურქეთი, ირანი, ყირიმი და სხვ.) გაყიდული ტყვეების უმრავლესობა მონებად იქცეოდა ან „იანიჩარისა" (თურქეთში) და „მამელუკის" (ეგვიპტეში) ჯარში მსახურობდა, ხოლო ქალები ბეგების, ხანების, ფაშების, სერასკირების და სხვათა ჰარამხანებს ამშვენებდნენ ან საოჯახო მონობაში იმყოფებოდნენ.

---

[1] იესე ოსესშვილი, თავგადასავალი. ს. კაკაბაძის რედაქციით. ტფ., 1913, გვ. 77.

მამელუკები და იანიჩრები, რომელთა შორის ბევრნი იყვნენ ქართული წარმოშობისა, ზოგჯერ ვეზირებად, მსაჯულებად და ელჩებად მუშაობდნენ და სახელმწიფოს სხვადასხვა მაღალ სფეროსა და თანამდებობას უძღვებოდნენ. მამელუკები ყოველწლობით სპეციალურ აგენტებს აგზავნიდნენ საქართველოში ქართველი ბავშვების შესასყიდად, რათა ისინი ერთგულ მეომრებად აღეზარდათ.

როგორც ითქვა, თურქეთის იანიჩართა ჯარში ბევრი ქართველი და სხვა კავკასიური მოდგმის ყმაწვილი ითვლებოდა, ასევე სპარსეთის ყულის ჯარშიც.

საქართველოს მოსაზღვრე თურქეთის ფაშები და სერასკირები, რომელნიც თავზარს სცემდნენ ამიერკავკასიის, კერძოდ, საქართველოს დაქუცმაცებულ სამეფო-სამთავროებს, აშკარად მოითხოვდნენ ტყვეებით ვაჭრობის თავისუფლებასა და ილაშქრებდნენ საქართველოში მისი აკრძალვისაკენ ძიმართულ ღონისძიებათა წინააღმდეგ.

კაცი შეუიარაღებლად სამუშაოზე გასვლას ვერ ბედავდა, ხალხი დროის უმეტეს ნაწილს გამაგრებულ ადგილებში ატარებდა, გათავხედებული ლეკები ხშირად ქალაქებსაც კი ესხმოდნენ თავს.

დავით გურამიშვილი წერს:

> „მოისრა ხშირი ქვეყანა, გახდა ვერანად, ტრამლადა!
> სულ წარიტაცეს, თუ ვინმე შამბში მიურჩა წამლადა;
> დადედლებულნი შიშთაგან აღარ ვარგოდნენ მამლადა,
> აღარვინ დარჩა ფარსაგი პატრონად, ქვეყნის მამლადა“.

* * *

იმერეთის მეფეებს, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის მთავრებს დამპყრობელი ქვეყნისათვის პერიოდულად და ერთდროულად გადასახდელი ხარკი ხშირად ადამიანთა განსაზღვრული რაოდენობით უნდა გადაეხადათ და თავიანთი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭირო უცხო საქონელი ტყვეებზე გადაცვლით შეეძინათ.

* * *

სამწუხაროდ, წინა საუკუნეების მემკვიდრეობა უცვლელად მიიღო მე-18 საუკუნემაც. უფრო მეტიც, იგი გაგრძელდა მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედშიც.

საქართველოში რუსეთის დამკვიდრების შემდეგაც პირველ ხანებში ისევ გრძელდებოდა ხალხის ტყვეევნა-მოტაცება. რუსეთის ხელისუფლებამ ვერ შეძლო აღეკვეთა ლეკების თარეში.

1803 წელს ციციანოვმა ახალციხის სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილს აცნობა, რომ „იმერეთი და გურია შევიდნენ რუსეთის პროტექტორობაში და ამიერიდან ნუღარ დაუშვებთ ტყვეთა სყიდვას"[1]. სელიმი ამ მიმართვაზე ფორმალურად თანახმა იყო, მან ოფიციალურად მიმართა დაღესტნის ხანებს, მმართველებს, მოლებს, ბელადებს, რაზმთა ხელმძღვანელებს და მთელ ხალხს, რომ ამიერიდან ისინი აღარ გადმოსულიყვნენ ახალციხეში და აღარ ეწარმოებინათ თავდასხმები საქართველოზე[2]. ეს მხოლოდ სიტყვიერი თანხმობა იყო, რეალურად სელიმს ლეკთა რაზმების გარეშე ცხოვრება არ შეეძლო. ისინი ძველებურად დათარეშობდნენ საქართველოში.

რუსი ოფიცერი ლოპიცკი 1806 წელს წერდა, რომ სოფლის მოსახლეობას, რომელიც თავს აიმედებდა რუსეთის ჯარი უზრუნველგვყოფს ლეკებისაგანო, ვერ გაუმართლდა იმედები, მათი თარეშები არ წყდება. ამ ბარბაროსებს ძველებურად მოაქვთ უბედურება საქართველოს ხალხისათვისო.

XIX საუკუნის დასაწყისში იმერეთის მეფე, გურიისა და სამეგრელოს მთავრები ხშირად ეომებოდნენ ერთმანეთს, რის გამოც მოსახლეობა აწიოკებას და ტყვეევნას განიცდიდა, მაგრამ ზოგჯერ მშვიდობიანობის დროსაც ჰქონდა ადგილი ადამიანთა გატაცებას.

1804 წელს რუსი დიპლომატი ლიტვინოვი სამეგრელოს მთავრის შესახებ წერდა: „მაშინაც კი, როდესაც მთავარს ომი არა ჰქონდა რომელიმე მეზობელთან, მის სამთავროში მშვიდობიანობა არ იყო. ქვეყანას ამ დროსაც იკლებდნენ მტაცებლები, რაშიც მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო უპირველესი თავადები, არამედ ყველაზე მეტად დადიანის მკვიდრი ძმებიც კი... და ეს ხდებოდა იმის გამო, რომ დადიანის ხელისუფლება იმდენად დაეცა, რომ იგი ვერ ბედავდა ბოროტების დასჯას, ბრძანების გამოცემასაც კი, რომელიც არასასიამოვნო ან საზარალი იქნებოდა იმ თავადებისათვის, რომლებიც ტყვეებით ვაჭრობდნენ".[3] დადიანს ყოველთვის უნდა მოეთმინა, რადგან ხშირი უთანხმოება ჰქონდა აფხაზეთის მთავართან (ანაკლიის გამო) და იმერეთის მეფესთან (ლეჩხუმის გამო) და ომის დროს ეშინოდა თავისი თავადების

---

[1] კაკა, ტ. II, გვ. 896 (რუს.).
[2] იქვე, გვ. 898 (რუს.).
[3] იქვე, გვ. 803 (რუს.).

ორგულობისა, თუ ამ უკანასკნელთ აწყენინებდა, ისინი ადვილად გადავიდოდნენ მოწინააღმდეგის მხარეზე.

ტყვეებით ვაჭრობა იმდენად დიდ მოგებას იძლეოდა, რომ იმერეთის მეფის სოლომონ II-ის ბრძანებას ტყვეთა სყიდვის აკრძალვის შესახებ დადებითი შედეგი არ მოჰყოლია, ხოლო ამავე პერიოდში — 1804 წელს სამეგრელოში გამოიცა ბრძანება, რომლის თანახმად ტყვეების გამყიდველები დაისჯებოდნენ რუსეთის კანონთა მიხედვით, ე. ი. მთელი ოჯახის წევრებთან ერთად სიკვდილით. მაგრამ ტყვეებით მოვაჭრეებმა თავი ფოთის ციხესიმაგრეს შეაფარეს, რომელიც თურქებს ჰქონდათ გამაგრებული და შიგ მრავალრიცხოვანი გარნიზონი ჰყავდათ ჩაყენებული. ამდენად, ბრძანება ტყვეებით მოვაჭრეებზე ნაკლებად მოქმედებდა. 1805 წელს პეტერბურგში გაგზავნილ მიმართვაში ციციანოვი ნებას ითხოვს: „სამეგრელოში ტყვეებით ვაჭრობის საბოლოო ალაგმვისათვის, ფოთში გადასახლებულ ტყვეებით მოვაჭრე აზნაურებს, რომელთაც მამულები აქვთ დადიანის სამფლობელოში — სამეგრელოს ტერიტორიაზე — და რომელნიც აქ მოსავლის ასაღებად მოსულნი, გაბრუნებისას ტყვეებს იტაცებენ, უნდა ჩამოერთვათ დადიანის სასარგებლოდ ეს ადგილ-მამული; დაპატიმრების შემთხვევაში ისინი უნდა გადაეცნენ სამხედრო სასამართლოს დასასჯელად“.

როდესაც 1809 წელს რუსეთის არმიამ ადგილობრივი მთავრების (დადიანი, გურიელი, შერვაშიძე) დახმარებით ფოთი აიღო, საქართველოს მთავარსარდალი ტორმასოვი პეტერბურგს სწერდა, რომ „ფოთის აღებით აღიკვეთა ყოველგვარი ბოროტება, რომელიც აქამდე არსებობდა ქრისტიანი ტყვეების გაყიდვის სახით; მათი წარტყვევნა ხდებოდა იმერეთიდან, გურიიდან და სამეგრელოდან, მიჰყავდათ ისინი გასაყიდად ირანში, თურქეთში და ეგვიპტეში“.[1]

ფოთის აღების შემდეგ ტორმასოვი პეტერბურგში გზავნის ახალციხის აღების გეგმას, რომელიც იმპერატორმა „დიდად მოიწონა“, რის გამოც გენერალი ბარკლაი დე ტოლი 1810 წელს ტორმასოვს მიუთითებდა, რომ საჭირო იყო ახალციხის საფაშოს მალე აღება, რათა მომავლისათვის მისი მეშვეობით აღკვეთილიყო ყველა საშუალება საქართველოში ლეკთა, ოსთა, თვით ირანელთა თარეშებისათვის.

მაგრამ, ფოთის აღებამ ტყვეთა ვაჭრობა ვერ შეაჩერა. ამ პერიოდში სამეგრელოს დედოფალი საჩივრის წერილს უგზავნის საქართველოს მთავარმართებელს, სადაც წერს, რომ მეგრელი თა-

---

[1] კაკა. ტ. IV. გვ. 1159. (რუს.).

ვადები გიორგი და ბეჟან მხეიძეები გამუდმებით ჰყიდიან ქრისტიანებს თურქებზე და ურწმუნოებზეო. როდესაც 1812 წელს ბეჟან მხეიძე დაატყვევეს, დასჯის ნაცვლად გენერალმა ორბელიანმა იგი გაათავისუფლა, „რომელიც თავისი მოქმედებით სიკვდილით დასჯას იმსახურებსო“ — ჩიოდა სამეგრელოს დედოფალი[1].

თურქეთისათვის ფოთის ციხის იძულებითი დაბრუნების შემდეგ 1813 წელს ფოთისა და ანაკლიის დაბრუნებით გათამამებული თურქები აქეზებდნენ აფხაზებს ტყვეებით ვაჭრობისაკენ.

რუსი გენერლების 1814 წლის მიმოწერაში აღნიშნულია, რომ „ამჟამად ფოთში მყოფი სერასკირი სეიდ-სულეიმან-ფაშა და ახალციხელი სელიმ-ფაშა (ხიწჭიაშვილი) აქტიურ მონაწილეობას იღებენ დასავლეთი. საქართველოდან გატაცებული ადამიანებით ვაჭრობაში“[2].

1811 წლის ერთ ცნობაში აღნიშნულია, როცა ფოთი, ანაკლია და სოხუმი თურქეთის ხელში იყო, იმერეთთან, სამეგრელოსთან და გურიასთან მათი ვაჭრობის მთავარ საგანს ბიჭები და გოგოები წარმოადგენდნენ, რომელთაც ისინი (თურქები) ხან ყიდულობდნენ, ხან ცვლიდნენ თავიანთ პროდუქტებზე და ხანაც იპარავდნენ.[3]

ამგვარად, საქართველოში რუსეთის ხელისუფლების დამკვიდრებამაც ვერ აღკვეთა შავი ზღვის სანაპიროზე ადამიანებით ვაჭრობა, რადგან შავ ზღვასთან მდებარე ციხესიმაგრეები ჯერ ისევ თურქების ხელში იყო.

* * *

განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაში იყო იმერეთის სამეფო. ამდენი უბედურების შემდეგ, 1810—18 წლებში მას თავს დაატყდა შავი ჭირი[4]. ამ სენმა ერთი წლის განმავლობაში (1811 წელს) იმერეთში შეიწირა 32.750 სული, მეზობელ პროვინციებში გაიხიზნა 7450 კაცი, ხოლო ტყვეებად გაიყიდა 2000 ყმაწვილი და ქალიშვილი[5]. შავი ჭირის ტალღა გადავიდა აგრეთვე სამეგრელოსა და გურიაში. ამის მომსწრე ნიკო დადიანი წერს: „წელსა ამას, 1811, გაჩნდა იმერეთსა შინა, ოდიშსა და გურიასა

---

[1] პ. გუგუშვილი, ტყვეებით ვაჭრობა საქართველოში, „მნათობი“, № 11, 1938, გვ. 175.

[2] კაკა, ტ. V, გვ. 569, 780 (რუს.).

[3] ნ. დუბროვინი, ისტორია (რუს.).

[4] კაკა, ტ. IV, გვ. 110 (რუს.).

[5] ნ. დუბროვინი, ისტორია, ტ. IV, გვ. 1—2 (რუს.).

საშინელი მომსვრელი სენი (ე. �certain ჟამი) და ამასთან საშინელი და საკვირველი სიყმილი, რომელ უთვალავნი მოისრნენ და მრავალნი განიჰნენ, კნინღა და შუა გაიყო ყოველნი ქვეყანანი ესე ზემო ხსენებული და მრავალნი წარვიდნენ აფხაზეთად, ვინათგან აფხაზეთსა შინა არა იყო წელსა მას სიყმილი და არცა იგი მომსვრელი სენი და განგრძელდა ესევითარი რისხვა ღვთისა ორსა წელსა და შემდგომად გარდვიდა, გარნა ქვეყანანი მრავალნი და სოფელნი დაშთენ ოხრად".[1]

იმერეთში შავი ჭირისაგან დაღუპულთა ზემოთ ნაჩვენები რიცხვი არასრულია, რადგან ეს ცნობა შეეხება მხოლოდ 1811 წელს, სენი კი 3 წელიწადი გრძელდებოდა, აქ არ შედის გურიასა და სამეგრელოში დაღუპულთა რიცხვი.

შავმა ჭირმა დააზიანა არა მარტო დასავლეთი საქართველო, არამედ ქართლი და ახალციხის მხარე. 1811 წელს ამ სენმა ახალციხეში იმსხვერპლა ერეკლე II-ის კანცლერი სოლომონ ლიონიძე და ცნობილი პატრი ნიკოლა.

შავმა ჭირმა, რასაც შიმშილობაც მოპყვა, მუსრი გაავლო მოსახლეობას. შიმშილი მშობლებს აიძულებდა, პურის ნატეხისათვის მონად გაეყიდათ თავიანთი შვილები. 1812 წლის ნასყიდობის ბარათში აღნიშნულია „ესე ნასყიდობის წიგნი მოგეცი მე ქრიშობედ კოსტავამ თქვენ, თავადს თარხანს დავითს, ასე რომ გამიჭირდა და შიმშილით მიკვდებოდა ჩემი შვილი დარიჯანა და მოგყიდე ეს ჩემი შვილი დარიჯანა და ფასიც სრული გამოგართვი, როგორც გული შემიჯერდებოდა და ვინც ამის მოდავე მოგადგეს, პასუხი ჩვენ გავსცეთ. არის ამისი მოწამე და გამრიგე ქაქუჩა პაპიძე, ამირეჯიბი, მოურავი სიმონა, მე მღვდელს დავითს დამიწერია ამ ქრიშობელას სიტყვით და მოწამე ვარ ამ წერილისა"[2].

იმავე 1812 წელს გაცემული ნასყიდობის ბარათით პ. ჭანტურიძე და მისი მეუღლე მარიამი ნასყიდობის წიგნს აძლევენ იოსებ ციხისთავიშვილს და მის ნაშიერთ: „ასე რომა გამიჭირდა და შვილი მოგყიდე... თევდორე და ფასიც სრულად ავიღე, როგორც გული შემიჯერდებოდა.. მოგცეს და გიბედნიეროს ღმერთმა, აბაში მოდავე და მოლაპარაკე არავინ გყავდეს". ციხისთავს ამ საბუთისათვის მიუწერია: „როგორც გადმოცემიდან ვიცი, ეს კაცი უყიდიათ ექვს კოდ ფეტვად, რადგან იმ დროს პურძვირობა ყოფი-

---

[1] ნიკო დადიანი ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962, გვ. 203.

[2] საქ. მუზეუმის ხელნაწ. საბუთი Н₃ კოლექციისა, № 2842.

ლა... ეს ნასყიდი კაცი სიკვდილამდის ემსახურებოდა ჩემს მამა-პაპას და გამოცვლილს სახელს ბუჭველას ეძახდნენ"[1].

1817 წელს გენერალი ერმოლოვი იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ: „ამ ხალხის მიერ ორი წლის განმავლობაში განცდილ იმ უბედურების შემდეგ, რაც მას ეწვია მტერთა შემოსევის, შინაური აჯანყების, არაჩვეულებრივი წყალდიდობის, შიმშილობისა და ჟამის შედეგად, საჭიროა საკმაო დრო, რომ უამისოდაც ღარიბმა ხალხმა შეძლოს თუნდაც საშუალო მდგომარეობამდე მიღწევა. განსაკუთრებით შიმშილმა და ჟამმა ამოწყვიტა თითქმის მესამედი იმერეთის მოსახლეობისა, მეორე მესამედზე მეტმა სიცოცხლის შენარჩუნებისათვის თავი შეაფარა თურქეთის სამფლობელოებს და გაიფანტა საქართველოს სხვადასხვა ადგილებში"[2].

ერმოლოვი წერს, რომ „მამები პურის ნატეხებისათვის ჰყიდდნენ შვილებს სამუდამო მონობაში, ხოლო სასოწარკვეთილი დედები ტყეში და გზებზე აგდებდნენ შიმშილისაგან დაუძლურებულ თავიანთ ბავშვებს"[3].

ამ შემაძრწუნებელ უბედურებას თან სდევდა ლეკების განუწყვეტელი თარეში. 1817 წელს გენერალი ერმოლოვი ბარონ სტროგანოვს — რუსეთის სრულუფლებიან მინისტრს კონსტანტინოპოლში, სწერდა, რომ ყარსის, ახალციხისა და ტრაპიზონის ფაშები აწყობენ განუწყვეტელ თარეშს ჩვენს მიწებზე, ეწევიან მტაცებლობას, ატყვევებენ და მიჰყავთ მოსახლენი, მიაქვთ მათი ქონება და იქამდეც კი მიდის მათი თავხედობა, რომ თავს ესხმიან ჯარისკაცებს და იტაცებენ მათ; თავიანთთან იწვევენ და თავშესაფარს აძლევენ ლეკებს, ჩვენი ქვეშევრდომი ოლქების მცხოვრებლებს და აქეზებენ მათ ძარცვა-გლეჯისათვის. ისინი დაასახლეს ჩვენი საზღვრების მახლობლად, რის გამოც არ არის მოსვენება და მყუდროება[4] — იგი ავალებს სტროგანოვს, ყოველივე ეს აცნობოს პორტას.

1819 წელს სტროგანოვი აღნიშნავს, რომ უშედეგოა ყოველი მისი ცდა, რათა სულთანს შეასმინოს რუსეთის მოსაზღვრე ფაშების თავგასულობა: „არა მაქვს არავითარი იმედი, მივაღწიო პორტაში რაიმე წარმატებას ჩემი დარიგებით"[5]. შემდეგში როცა რუ-

---

[1] საქ. მუზეუმის ხელნაწ. საბუთი IIa კოლექციისა, № 2987.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე, № 2989.

[5] იქვე, № 2991.

სეთის იმპერატორმა მიმართა თურქეთის მთავრობას ამ უწესობათა შესახებ, უპასუხეს: „მოვლენები, რომლებიც ხდება აზიელ მცხოვრებთა შორის, გამოწვეულია უსახსროდ დარჩენილ ადამიანთაგან, რადგან რუსეთი უფრო და უფრო აგვიანებს საზღვრების დაცლას, ასეთი ადამიანები სარგებლობენ ამ შემთხვევით, რომ აწარმოონ ძარცვა-გლეჯა, ხოლო როდესაც ეს საზღვრები[1] სავსებით დაცლილი იქნება და პორტა იმ მხარეში დანიშნავს თავის მოხელეებს, მაშინ ამ მოვლენებს იგი საბოლოოდ აღკვეთს". ამრიგად, თურქეთის მთავრობა მოითხოვდა, სწრაფად დაეცალა რუსეთს იმერეთი, სამეგრელო და გურია, რომლებიც პორტას თავის სამფლობელოდ მიაჩნდა, და მხოლო ამის შემდეგ ჰპირდებოდა წარტყვევნისა და შემოსევა-თარეშის აღკვეთას, საქართველოს მოსაზღვრე ფაშების მოთვინიერებასა და ახალციხიდან ლეკების განდევნას. საგარეო საქმეთა მინისტრი ნესელროდეც ატყობინებს ერმოლოვს, რომ თურქეთი მოითხოვს შავი ზღვის სანაპიროების დაბრუნებას და მხოლოდ ამის შემდეგ გვპირდება ყოველგვარი თარეშის აღკვეთასო.

თურქეთის მთავრობიდან ასეთი პასუხის მიღების შემდეგ ერმოლოვი თვითონაც აღარ უკრძალავს საქართველოს მოსახლეობას, მოიტაცოს თურქეთის ჯოგები და ადამიანებიც, თუკი ისინი ჩვენს ტერიტორიაზე სათარეშოდ გადმოვლენო.

როგორც ამ ცნობებიდან ჩანს, მოსახლეობას რუსეთთან შეერთების შემდეგაც აწიოკებდნენ დაღესტნელი ლეკები და თურქეთის საფაშოებიდან გადმოსული ყაჩაღები. რათა მკითხველმა წარმოდგენა იქონიოს იმ შფოთიან დროზე, მოვიტანთ თავდასხმის რამდენიმე ფაქტს:

1818 წელს ახალციხელ და აჭარელ თურქთა რაზმი იმერეთში შეიპარა და მოულოდნელად თავს დაესხა მახლობელ სოფელს. რაზმი დაეშვა ძალზე დაქანებული მთიდან და შეუმჩნეველად შემოუარა სოფლელთა ყარაულს. ასეთი ყარაულები იმ ხანებში ზაფხულობით დაყენებული ჰყავდათ თურქეთის სამფლობელოებიდან მომავალ გზებზე. მოთარეშეებმა გაიტაცეს გლეხთა ოთხი ოჯახი, რომლებიც შედგებოდა 20 მამრისა და 19 მდედრისაგან. ამას გარდა, თავდასხმის დროს მოკლეს ორი იმერელი და ორი მოთარეშე თურქი.

---

[1] „გულისხმობა ქუთაისის, ბაღდათის, შორაპნის, ყვირილის და ახალციხის ცხენისწყლამდე დაცლა ოსებისაგან.

1819 წელს სოფ. ასკანას თავს დაესხა ახმედ-ბეგ ხიმშიაშვილი, თურქეთის ქვეშევრდომი. იგი შემოიჭრა მთელი რაზმით და გაიტაცა რამდენიმე კაცი.

1822 წელს ახალციხელი ყაჩაღების 200-კაციანი რაზმი შემოიჭრა ვაკის მაზრაში (იმერეთში), მაგრამ უკუიქცა, რადგან ადგილობრივი მცხოვრებნი მომზადებულნი შეხვდნენ ამ შემოსევას.

* * *

ტყვეებით ვაჭრობამ კიდევ უფრო მძიმე სახე მიიღო XIX საუკუნის 30-იან წლებში. ამ დროს აფხაზეთის მთავრები ტყვეებით მოვაჭრეთა წამქეზებლები, მფარველნი და მოვაჭრენი იყვნენ, კერძოდ, ჰასან-ბეგ შერვაშიძის ვერაგობის გამო შეუძლებელი იყო აფხაზეთში თავისუფლად გავლა.

1837 წელს დიუბუა წერდა, რომ „სოხუმის მიდამოებში, ჰასან-ბეგის მუხანათობის მეოხებით, მზის ჩასვლის შემდეგ ვერავინ ბედავდა გასვლას ბაზრიდან კარანტინამდე, რომელიც ზღვას ვერსნახევრით იყო დაშორებული". არა მარტო აფხაზეთში, არამედ შავი ზღვის მთელ სანაპიროზე დიუბუას მოგზაურობის დროსაც ისევე დათარეშობდნენ მეკობრეების გალერები, როგორც სტრაბონის, ლამბერტისა და შარდენის დროს. დიუბუას გადმოცემით აფხაზ მეკობრეებს გაუძარცვავთ კოდორის კონცხთან საკაჭრო გემი და დაუჭრიათ რამდენიმე კაცი[1]. მათი ხელშემწყობი და მფარველი იყო მიხეილ შერვაშიძე (1823—1864 წწ.).

ადამიანებით ვაჭრობას აწარმოებდნენ მეფის რუსეთის სამსახურში მყოფი ქართველი თავადებიც, რომელთაც ყაჩაღთა ბანდები ჰყავდათ და სისტემატურად ვაჭრობდნენ ადამიანებით ფოთში მოსულ მაჰმადიან „კომერსანტებთან". მაგალითად, 1828 წელს გენერალი სიპიაგინი პასკევიჩს სწერდა: „მაიორი მაჭუტაძე თავისი რაზმით სისტემატურად ესხმის თავს მეგრელებს, ხოლო 31 მაისს მან ტყვედ გაიტაცა 13 კაცი".[2]

ადამიანებით ვაჭრობას დიდი გასაქანი ჰქონდა სამურზაყანოშიც. აქაური თავადები ადამიანებს იტაცებდნენ არა მარტო სამეგრელოსა და იმერეთში, არამედ ერთმანეთშიც. ტყვეებით ვაჭრობდნენ: თემურყვა ანჩაბაძე, დათა ანჩაბაძე, ალ. შერვაშიძე, სესირყვა ემუხვარი, ჯამლეთ მარღანია და სხვანი. მაგრამ მათ

---

[1] პაატა გუგუშვილი, ტყვეებით ვაჭრობა საქართველოში, „მნათობი", № 11, 1938, გვ. 170—171.

[2] იქვე, გვ. 171.

დაპატიმრებას და დასჯას თვითმპყრობელობა ვერ ბედავდა, „რადგან თითქმის ყოველ სამურზაყანოელ თავადს, აქვს რა ნათესაური კავშირი აფხაზეთისა და წებელდის თავადებთან, რომ არაფერი ვთქვათ მათ მეზობლებზე, მეტად ადვილად შეუძლიათ, გააღრმავონ უკმაყოფილება ხალხისა და ისარგებლონ რა ხელსაყრელი შემთხვევით, გამოიწვიონ მღელვარება სამურზაყანოში; ხოლო ჩვენს ხელისუფლებას, რომელსაც აქ არა ჰყავს სამხედრო ძალა, მეტად გაუჭირდება აღმოფხვრას ბოროტება და აღადგინოს წესრიგი"[1].

პოლკოვნიკი ბებუთოვი მოითხოვდა სამურზაყანოში რუსის ჯარის შეყვანას, რასაც შეიძლება, შიში გამოეწვია და მყუდროება დაემყარებინა; ამის შედეგად, დასჯის მოშიშარნი ხელს აიღებდნენ ტყვეებით ვაჭრობაზე, ყაჩაღობა-მტაცებლობაზე და ალბათ დაუბრუნდებოდნენ სამეურნეო საქმიანობას[2].

თვით ტყვეებით მოვაჭრე თემურყვა ანჩაბაძე ბებუთოვს სწერდა, რომ სამურზაყანოში პირდაპირ ჰყავის ტყვეებით ვაჭრობა, რადგან ამ ქვეყანაში არ არის უფროს-უმცროსობა, დადიანს არ გააჩნია საშუალება მცხოვრებთა მოთვინიერება-დამორჩილებისა და არც შერვაშიძეებს შეუძლიათ, წესიერად განაგონ ეს ქვეყანა. თვითონ შერვაშიძეები, ოთხი ოჯახი, რომელიც აქ სახლობს, ერთმანეთს პარავენ და ურთიერთს იკლებენ. ბეჟან შერვაშიძემ თურქებს მიყიდა ერთი ჩემი კაცი[3].

* *

სხვა კუთხეებთან შედარებით გურიაში უფრო მეტად იყო განვითარებული ტყვეებით ვაჭრობა, რაც თურქეთის უშუალო მეზობლობით აიხსნება. პ. გუგუშვილი აღნიშნავს, რომ იმ ხანებში (XIX საუკ. 30-იან წლებში) უბრალო ქურდობისათვის — საოჯახო ნივთების, ხარის, ცხენის მოპარვისათვის კანონით უფრო დიდი სასჯელი იყო განსაზღვრული, ვიდრე ადამიანებით ვაჭრობისათვის. მაგრამ სასტიკი და ულმობელი იყო ხალხის განაჩენი საქვეყნოდ გამოაშკარაყებული ტყვეებით მოვაჭრეების მიმართ — მათ კოცონზე წვავდნენ[4].

---

[1] პაატა გუგუშვილი, ტყვეებით ვაჭრობა საქართველოში, „მნათობი", № 11, 1938, გვ. 180.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე.

ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ გავეცნობით როგორ ასამართლებდნენ კაცის მკვლელებსა და ტყვეებით მოვაჭრეებს: „გურიაში (XIX ს. 30-იან წლებში) კაცის კვლისა და ტყვეებით ვაჭრობისათვის, როგორც მძიმე დანაშაულისათვის ბრალდებულის გამოსატეხად ხშირად მიმართავდნენ ე. წ. შანთისა და მდუღარე წყლის გამოყენებას. ბრალდებულის სურვილზე იყო დამოკიდებული ამათში ერთ-ერთის არჩევა. შანთი იწონიდა ოყას (1,2 კგ), სიგრძით უდრიდა ერთ ვერშოკს, ხოლო სიგანით — ადამიანის ხელის გულის სიფართეს. ამ შანთს სამგზის გაახურებდნენ ვაზის (და არა სხვა რომელიმე ხის) ანთებული ნახშირით, შემდეგ გახურებულს დებდნენ მიწაში ჩარჭობილ ორ პალოზე. ბრალდებულს ხელებზე ჩამოაცმევდნენ სათანადოდ გამოჭრილ ქაღალდს, რომელზედაც ეწერა მისი ბრალდება. მას ხელები ქვემოდან უნდა ამოედო და ისე აეღო გახურებული შანთი, რომელსაც სამი ნახტომის შემდეგ დააგდებდა. შემდეგ ხელს უხვევდნენ გურიელის მიერ ბეჭედდასმული სუდარით და მიყავდათ მახლობელ ციხეში, სადაც რამდენიმე დღეს დაყოფდა. მერე უსინჯავდნენ ხელს და თუ იგი დამწვარი აღმოჩნდებოდა. ბრალდებულს დამნაშავედ იცნობდნენ და დასასჯელად გადაცემდნენ. თუ ხელები დამწვარი არ ექნებოდა, თავისუფლებდნენ და ასაჩუქრებდნენ თოფით ან ტანისამოსით. დამნაშავის გამოაშკარავების ეს წესი, აგრეთვე ადუღებული წყალი და ხმალში გასვლა საყოველთაოდ იყო აღიარებული, როგორც სიმართლის „უპეშმარიტესი“ გზა[1].

გურიაში იტაცებდნენ არა მარტო ქრისტიან ადამიანებს და ყიდდნენ თურქეთში, არამედ ხშირად იტაცებდნენ თურქებსაც და ყიდდნენ გურიაში, სამეგრელოში, იმერეთში.[2]

ტყვეებით ვაჭრობა გურიაში მხოლოდ XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან შენელდა. გერმანელი მოგზაურის 1843 წლის ცნობით გურია თხლადაა დასახლებული, რაც შედეგია „თურქთა გამანადგურებელი თარეშებისა და ბავშვებით ვაჭრობისა, რაც ახლაც გრძელდება“[3].

* * *

XIX საუკუნის ოციან წლებში იმერეთის ფეოდალები არა მარტო საკუთარ ყმებს ყიდდნენ, არამედ თავისუფალ გლეხებსაც იტა-

---

[1] ბ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 182.
[2] იქვე.
[3] იქვე. გვ. 183.

ცებდნენ და ახალციხელ თურქებზე, სხვა ქართველ თავადებზე ყიდდნენ როგორც კანონიერ ყმებს.

1816 წელს გენერალი რტიშჩევი იმპერატორისათვის წარდგენილ მოხსენებაში წერდა: იმერეთის თავადაზნაურობას მიღებული აქვს წესად, რომ „კარგი ცხენის, თოფის, ფარჩისა და მათთვის საჭირო სხვა საგნისათვის, აგრეთვე მეგობრული საჩუქრების სახით, გასცეს თავისი გლეხი, ხშირად რამდენიმე ოჯახი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მყიდველებს გაჰყავთ იმერეთის საზღვრებიდან“.[1] იმერეთის მოსახლეობის საზღვარგარეთ გაყიდვა რომ აღეკვეთათ, გენ. რტიშჩევმა იმერეთის თავადაზნაურობას სპეციალური ბრძანებით აუკრძალა ყმების საზღვარგარეთ გაყიდვა. მაგრამ, როგორც ჩანს, მემამულეებმა სხვა გზას მიმართეს, სახელდობრ, თავიანთ ყმებს ებრაელებს აძლევდნენ გირაოდ ვალში, და შემდეგ რაკი ვალს ვეღარ ისტუმრებდნენ, დაგირავებულ გლეხებს ებრაელებზე ყიდდნენ.[2]

აკრძალვის კანონი არსებობდა, ბრძანებები იწერებოდა, მაგრამ ტყვეთა სყიდვა თითქმის საგლეხო რეფორმამდე მაინც გრძელდებოდა.

1859 წელს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმმართველობის უფროსთან გაგზავნილ საიდუმლო ბარათში აღნიშნავს, რომ მთელ ქუთაისის გუბერნიაში, განსაკუთრებით კი თურქეთის მოსაზღვრე რაიონებში, გავრცელებულია ცხენის ქურდობა, ტყვეებით ვაჭრობა, კონტრაბანდა და მძარცველობა, რაც ხშირად დაუსჯელი რჩება ადგილობრივი პოლიციის უღონობის გამო. რადგან ცნობილი ქურდები, მძარცველები, კონტრაბანდისტები და ტყვეებით მოვაჭრენი ყოველთვის ნახულობენ დასაყრდენს მოსახლეობაშიო. საპასუხო მომართვაში იმავე 1859 წელს ნამესტნიკის მოადგილე გრიგოლ ორბელიანი მოითხოვს, რომ სასტიკად იქნან დასჯილი და ციმბირში გადასახლებული ის პირები, რომელთაც მძარცველობა, კონტრაბანდისტობა და ტყვეებით ვაჭრობა გადაუქცევიათ კერძო მესარეწეობად და არსებობის საშუალებად.[3] ვინაიდან მთავრობამ ვერ აღკვეთა ასეთი უმსგავსოებანი, იძულებული გახდა ტყვეებით ვაჭრობისა და კონტრაბანდისტების წინააღმდეგ საბრძოლველად

---

[1] კაკა. ტ. V. № 568, გვ. 499 (რუს.).
[2] კაკა. ტ. XII. V, გვ. 1339 (რუს.).
[3] იქვე. გვ. 49—50 (რუს.).

სპეციალური საყარაულო დაეარსებინა მდინარე ნატანებზე, — თურქეთში გადასასვლელ ფონთან.[1]

* * *

ზემოთ მოტანილი ცნობები ნათლად ადასტურებს, რომ ტყვეებით ვაჭრობას ფართო ხასიათი ჰქონდა თვით XIX საუკუნის შუა პერიოდამდე.

დასავლეთი საქართველოს მეფე-მთავრები და ფეოდალები ტყვეთა სყიდვაში არა მარტო თავიანთი უშუალო ინტერესების დაკმაყოფილებას პოულობდნენ, არამედ მბრძანებელ ოსმალეთსაც ემსახურებოდნენ და უხვად აწვდიდნენ მის ბაზრებს სანუკვარ ცოცხალ საქონელს.

[1] კაკ. ტ. XII, V, გვ. 1139 (რუს.).

XVI—XVIII საუკუნეების იმერეთის სამეფოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა

ეკონომიკური მდგომარეობა

XVI—XVIII საუკუნეებში საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა დიდად განსხვავდებოდა ერთიანობის ხანის საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობისაგან. გარეშე მტრების ხანგრძლივმა თარეშმა არა მარტო შეაჩერა ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარება, არამედ გამოიწვია მათი დაცემა. იმ სხვა მიზეზებთან ერთად, რომელნიც განაპირობებდნენ საქართველოს სამეურნეო-ეკონომიკურ ჩამორჩენილობას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თურქეთის გაბატონებას მახლობელ აღმოსავლეთში და ირან-თურქეთს შორის ხანგრძლივ ბრძოლებს ამიერკავკასიისა. ქურთისტანსა და ერაყში გაბატონებისათვის.

მას შემდეგ, რაც თურქებმა კონსტანტინეპოლი აიღეს, ხოლო ტრაპიზონისა და ყირიმის დაპყრობით შავი ზღვა საკუთარ „ტბად" აქციეს, ფაქტიურად ხელთ იგდეს ვაჭრობის მონოპოლია მსოფლიოს ამ ნაწილში.

საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობისათვის უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდა დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებსაც, რომელთა შედეგად ევროპიდან აზიაში სამიმოსვლო გზებმა სხვა მიმართულებით გადაინაცვლეს, ამით ევროპის ქვეყნებმა საქართველოსადმი ინტერესი დაკარგეს. დიდი სავაჭრო გზები, რომლებიც ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გადიოდა, მოიშალა: ჩრდილოეთის გზის გამოყენებაც (თეთრი ზღვა — არხანგელსკი — მოსკოვი — ასტრახანი — ირანი) განზე ტოვებდა საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ოპერაციებისაგან. გამონაკლისს წარმოადგენდა კახეთის სამეფო, რომელიც ჩრდილოეთის გზის ახლოს იყო და ამ გზაზე განლაგებულ სავაჭრო ცენტრებთან გარკვეული სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა.

ირან-ოსმალეთი დაუინებით ცდილობდნენ საქართველოს სრულ დაპყრობას: ამ მიზნის მისაღწევად არაეითარ ბარბაროსულ სა-

შუალებას არ ერიდებოდნენ: კაფავდნენ ბაღ-ვენახებს, სპობდნენ ნაგებობებს, იტაცებდნენ პირუტყვს. მოსახლეობის გაჟლეტა, დატყვევება და აყრა-გადასახლება, ხოლო მათ ადგილზე არაქართული ტომების ჩამოსახლება აგრესორთა პოლიტიკისათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამას ემატებოდა ხშირი ფეოდალური შინაომები; სამეფო-სამთავროების ქიშპი და მტრობა-შუღლი, რაც მწარმოებელი კლასის — გლეხობის მდგომარეობას ეკიდურესად აუარესებდა.

სხვა ქართულ სამეფო-სამთავროებთან შედარებით უფრო მძიმე პირობებში იმყოფებოდნენ დასავლეთი საქართველოს პოლიტიკური ერთეულები. აქ XVI საუკუნეში თავი იჩინა ისეთმა მოვლენებმა, რაც ფეოდალური საზოგადოების დაშლისა და გადაგვარების მომასწავებელი იყო. პირველ ყოვლისა ეს იყო „ტყვეთა სყიდვა", რომელიც უმთავრესად მწარმოებელ კლასს ანადგურებდა. როგორც ზემოთ ითქვა, ამ მოვლენას სოციალური ნიადაგი ჰქონებავდა, თუმცა „ტყვეთა სყიდვის" მფარველი და წამქეზებელი ოსმალეთი იყო. „ყველა და ყველაფერი, რაც კი ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში პროგრესული იყო, ამ სოციალური სენის წინააღმდეგ ბრძოლად იყო მოწოდებული, ყველაფერი, რაც კი საქართველოში რეაქციული იყო, ხელს უწყობდა ამ სოციალური სენის გავრცელება-განმტკიცებას"[1].

ამ ვითარებაში ინტენსიური მეურნეობის წარმოება შეუძლებელი იყო, ქალაქები ვაჭარ-ხელოსნებისაგან ცარიელდებოდა, სოფლები — გლეხებისაგან. აყრილ-გაქცეული გლეხები შედარებით მშვიდი რაიონებისაკენ გარბოდნენ.

ქალაქები შავ ზღვაზე ოსმალების გაბატონების შედეგად დაეცა, გაღარიბდა, თანდათან გადაშენდა და გაქრა ან დაბასოფლად იქცა. მართალია, დაფანტულმა ხელოსნებმა ახალ პუნქტებს მიაშურეს (ხოფი, ანაკლია, რუხი), მაგრამ ვაჭრობის ეაცხოველება აღარ შეეძლოთ. საგარეო ვაჭრობა ამიერიდან ოსმალო ვაჭრების ხელთ იყო, ტყვეთა სყიდვა ექსპორტის უმთავრესი წყარო გახდა, სოფლის მეურნეობა დაქვეითდა, გლეხთა ექსპლოატაცია გაძლიერდა.

ხ ო ფ ლ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ა. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „საქართველოს მიწა-წყალი უაღრესად მნიშვნელოვანი და მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის გამოსადეგი იყო ნოტიობის სიჭარბის გამო. „სარწყავი მიწები დასავლეთ საქართველოში არ

---

[1] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, „მნათობი", № 6, 1954, გვ. 130.

იყო ან ცოტა მოიპოვებოდა. პირიქით, აღმოსავლეთ საქართველოს ნიადაგისა და ჰავის შედარებით სიმშრალის გამოისობით ბევრგან მიწის მორწყვა აუცილებელი იყო და სასოფლო მეურნეობაშიც სარწყავ-ურწყავ მიწებსა და სარწყავ რუებს აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული"[1].

XVI საუკუნეში ქართლში, კახეთში და სამცხე-საათაბაგოში მთავარი წამყვანი როლი ხორბლეულის მოყვანას ეკუთვნოდა, დასავლეთ საქართველოში კი ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურა ღომი იყო. ღომს გარდა, იმერეთის ზოგ სოფლებში მოჰყავდათ ხორბალი, ფეტვი, ქერი და იფქლი. აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარი ასახელებს ადგილობრივ კულტურებს: პურს, ქერს, იფქლს, ღომსა და ფეტვს.

1578 წელს შედგენილ ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრის დავთარში 518 გადამხდელი გლეხია შეტანილი. ამათგან თითქმის ყველას ღომის გადასახადი აწერია.

დასავლეთ საქართველოში ხორბლის კულტურა ნაკლებად იყო განვითარებული, ხოლო რაც მოდიოდა, უხარისხო იყო რბილი ნიადაგის გამო, ქარის დროს მცენარე მიწაზე წვებოდა და იღუპებოდა[2]. ხორბლეული კულტურების მოყვანას მხოლოდ მაღალ ადგილებში მისდევდნენ.

დასავლეთ საქართველოში რომ უმთავრესად ღომი იყო გავრცელებული, ამას ვახუშტიც აღნიშნავს: „და სთესენ ღომსა ფრიად მრავლად და გამოიზრდებიანცა მით"[3].

დასავლეთ საქართველოს ეკონომიკურ დახასიათებას ვახუშტი ბატონიშვილიც იძლევა, თუმცა ზოგადად; დასავლეთ საქართველოს მიწაზე „მარცვალნი... ყოველნი ნაყოფიერებენ ფრიად. გარნა ბრინჯ-ბანბას სთესენ იშვიათ და აგრეთვე ხორბალსა და ქრთილსა... და სხვათა მარცვალთა სიმრავლენი იმყოფიან, რამეთუ ერთი მხოლოდ მუშაკად მოქმედი კაცი მხოლოდ წალდთოხისა მქონებელი დასახლდების, მოიყვანს საზრდელსა ჯალაბთასა და გარდაიხდის ბეგარასაცა"[4].

ვახუშტი ბატონიშვილი ახასიათებს დასავლეთ საქართველოს ყველა კუთხეს ცალ-ცალკე და საინტერესო ცნობებს იძლევა ყვე-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი I, 1930, გვ. 148.

[2] არქანჯელი ღამბარტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 51.

[3] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 744.

[4] იქვე.

ლა იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურაზე, რომლებიც გავრცელებული იყო ამა თუ იმ კუთხეში. ვახუშტი ჩამოთვლის ლეჩხუმის, რაჭინ, არგვეთის, საჩხეიძოს, საჩიჯავაძოს, იმერეთის ეაკის, ოკრიბის, სამეგრელოს, აფხაზეთის და გურიის მხარეებს,[1] სადაც ყველგან „ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი". გარდა აღნიშნული კულტურებისა, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოშიც, მისდევდნენ ბრინჯის მოყვანას. არქანჯელო ლამბერტის ცნობით იქ, სადაც ჭაობი იყო და ღომის მოყვანა არ შეიძლებოდა, ბრინჯს სთესდნენ, რომელიც ურწყავად ხარობდა: „ისე ბლომად მოდის, რომ არამც თუ აქაურებს ყოფნის, არამედ მიაქვთ თურქეთის გემებს".[2]

დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა სწრაფად გაუმჯობესდა ახალი უხვმოსავლიანი კულტურის — სიმინდის შემოსვლით. ივ. ჯავახიშვილის აზრით, სიმინდი პირველად სამეგრელოში XVII საუკუნის დასაწყისში უნდა შემოსულიყო შავი ზღვის გზით[3]. მოგვიანებით ამ კულტურამ დიდი ადგილი დაიკავა დასავლეთ საქართველოში, შემდეგ იგი გავრცელდა აღმოსავლეთ საქართველოშიც და ბოლოს — მთელ კავკასიაში, მაგრამ ამ პერიოდის ელჩები, მისიონერები და მოგზაურები დასავლეთ საქართველოს კულტურათა შორის სიმინდს ჯერ კიდევ არ ახსენებენ (გარდა ევლია ჩელებისა).

საქართველოში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა პარკოსან კულტურებს. იმერეთში თესდნენ ბარდასა და ცერცეს. სამეგრელოში XVII საუკუნეში პარკოსანთა შორის ყველაზე მეტად გავრცელებული იყო თურქული ლობიო. ივ. ჯავახიშვილის აზრით, იგი XVI საუკუნის II ნახევარში უნდა შემოსულიყო. მან როგორც დასავლეთ საქართველოში, ასევე აღმოსავლეთშიც მთავარი ადგილი დაიკავა პარკოსან კულტურებს შორის, ხოლო მთის ადგილებში ისევ ოსპი, ცერცვი და სხვა პარკოსანი კულტურები იყო გავრცელებული.[4]

ნიკოფორე ტოლოჩანოვის აღწერის მიხედვით იმერეთში ხარობს: „ხორბალი, მუხუდო, ჭვავი, ლობიო, ფეტვი, კანაფი, დიკის

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 149, 162—165, 170, 171, 176.

[2] ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 55.

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, 1934, გვ. 77—78.

[4] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 363, იხ. აგრეთვე პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 48.

ჰური, ღომი, აბრეშუმი, ყოველ სახლში მოჰყავდათ ბამბა, ასევე მთაში ბევრს ადნობდნენ რკინას, სპილენძი ბევრია, გვარჯილა თვითნაბადია მთაში"[1] და სხვ.

დასავლეთი საქართველოს სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მეფუტკრეობას. არქანჯელო ლამბერტის სიტყვით „მთელ ქვეყნიერებაზე უმჯობესი თაფლი კოლხიდისა არის".[2]

სოფლის მეურნეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მევენახეობას. საუკუნეების მანძილზე აწარმოებდა ქართველი კაცი ვაზის ჯიშის გამოყვანას და შეგუებას ამა თუ იმ ბუნებრივ პირობებთან. ამის ნათელ დადასტურებას იძლევა საქართველოს ყველა კუთხეში გავრცელებული ყურძნის ჯიშების 250 სახელწოდება.[3] აქედან დასავლეთ საქართველოში ცნობილ ჯიშთა საერთო რაოდენობა 152 შეადგენს. „16 ლიხთ-იმერეთის ზოგადი ჯიშია, 29 ორ-ორ თემში მოიპოვება, 11 მარტო იმერეთისაა, 24 რაჭისა, 13 ლეჩხუმისა, 26 ეგრისისა, 14 გურიის, 9 აჭარის და 11-იც შავშეთ-კლარჯეთისა."[4]

შემთხვევითი არ არის, რომ ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრის 1578 წ. შედგენილ დავთარში 518 მებეგრიდან დიდ უმრავლესობას ღვინის ბეგარა მართებს და ზოგს — დიდი რაოდენობით.

1672 წელს საქართველოში ნამყოფი ჟან შარდენი წერს: არსად იმისთანა ქვეყანა არ მოიპოვება, სადაც ამდენსა და ასე კარგ ღვინოს სვამდნენ, როგორც საქართველოში.[5]

XVI—XVIII საუკუნეების საქართველოში „ვენახის ორი მთავარი სახეობა იყო გავრცელებული — დაბლარი და მაღლარი. ქართლ-კახეთში ძირითადი წამყვანი იყო დაბლარი და მაღლარი აქა-იქ გვხვდებოდა, დასავლეთ საქართველოში (იმერეთში) დაბლარიც იყო და მაღლარიც, გურია-სამეგრელოში კი ვენახის ძირითად სახეობას მაღლარი წარმოადგენდა".[6]

---

[1] ნ. ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650—1652 წწ., გამოსცა ი. ცინცაძემ, თბ., 1970, გვ. 150.

[2] არქანჯელო ლამბერტი, დასახ. ნაშრ., გვ. 194.

[3] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი II, თბ., 1934, გვ. 512.

[4] იქვე, გვ. 593.

[5] ჟან შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1975, გვ. 297.

[6] დ. გერიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, II, თბ., 1965, გვ. 16.

ივ. ჯავახიშვილი დაასკვნის, რომ „სრულიად საქართველოს შემოქმედებითი მეევნახეობის მთავარი ცენტრი კახეთი ყოფილა. დასავლეთ საქართველოში კი პირველი ადგილი ეგრისს, მეორე არგვეთს და მესამე ჭანეთს ეკუთვნის, რომლის წვლილი იმ მხრივაც არის საგულისხმო, რომ მთელ საქართველოში გავრცელებული კაბისტონი, ანუ კაპიტო სწორედ იქაური არის"[1].

ისე, როგორც აღმოსავლეთი საქართველო, დასავლეთი საქართველოც ცნობილი იყო ბაღ-ვენახებით და ბოსტნებით. ტექნიკური კულტურებიდან ბამბა, აბრეშუმი და კანაფიც მოჰყავდათ, თუმცა მცირე რაოდენობით.

ვახუშტი ბატონიშვილი დასავლეთ საქართველოში გავრცელებული კულტურული მცენარეების აღწერის დროს განსაკუთრებით ხაზს უსვამს ვენახისა და ხილის სიმრავლეს.

„თუმცა არც ლეჩხუმი მთის ადგილად თქმული, გარნა არს ვენახიანი, ხილიანი";

რაჭაში „ნაყოფიერებს ყოველნი მარცვალნი, ვენახნი, ხილნი მტილოვანნი ყოველნი";

არგვეთში „ვენახი დაბლარი და ღვინო კეთილი, გარნა ქართლის კერძო ადგილთა თხელი";

საჩხერეიოს სოფლები „ნიგვზნარ-ხილიან-ვენახიანი, ხეთა ზედა ასულნი, რომელსა უწოდებენ მაღლარსა ანუ ბაბილოსა, ღვინო მრავლად და კარგი, აბრეშუმს აკეთებენ, არამედ არგვეთში უფროს";

იმერეთის ვაკეში „ვენახნი დაბლარნი არიან მრავლად, ხილნი მრავალნი ტყეთა შინაცა";

ოკრიბა „ნაყოფიერი ფრიად ხილითა, ვენახითა, არამედ ვენახი მაღლარი, ღვინო მსუბუქი, მხნე-გემოიანი"[2].

დასავლეთ საქართველოში რომ საკმაოდ იყო გავრცელებული ტექნიკური კულტურები, ამას უფრო ძველი ცნობებიც ადასტურებს (არქანჯელო ლამბერტი).

მიწათმოქმედების შემდეგ საქართველოში მთავარი ადგილი მეცხოველეობას ეჭირა. საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები ხელს უწყობდა მესაქონლეობის განვითარებას. საზამთრო საძოვრები და საზაფხულო იალაღები საშუალებას იძლეოდა პირუტყვის გამრავლებისათვის.

დასავლეთ საქართველოში საქონლის ჯოგებს ბარის ზონაში ზამთრობით მინდორში უშვებდნენ უმწყემსოდ „რამეთუ არა უხმთ

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 596

[2] ვახუშტი, გვ. 775.

თივა, ვინათგან ზამთარშიც მძოვრად არიან თვინიერ არგვეთისა და რაჭა-ლეჩხუმისა",[1] მაგრამ მეცხოველეობის მხრივ დასავლეთი საქართველო მაინც ჩამორჩებოდა აღმოსავლეთ საქართველოს. ვახუშტი ბატონიშვილის დაკვირვებით, „პირუტყვნი" თვინიერ აქლემისა, არიან ყოველნი, და არა ეგდენ მრავალ ვითარცა სხვა საქართველოთა შინა."[2]

იმერეთში ცნობილი იყო ცხვარი თავისი მსწრაფლ გამრავლების საუკეთესო უნარით, რომელიც ტყუპსა და ხშირად სამ-ოთხ ბატკანსაც კი ბადებდა.[3]

სპეციალურ ლიტერატურაში დადასტურებულია, რომ ე. წ. თუშური ცხვარი მიღებულია იმერული და სხვა კავკასიური ჯიშების ჰიბრიდიზაციის შედეგად.[4]

ხელოსნობა, ქალაქები. ვაჭრობა. განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში, სოფლის მეურნეობის შესაბამისად, განვითარებული იყო ხელოსნობის მრავალი დარგი, როგორც ქალაქად, ისე სოფლად გვხვდებოდნენ: მეთუნე-მეკეცენი (თიხის ჭურჭლის მკეთებელნი), მინის ოსტატები, მეაბჯრენი, მეხამლენი, მემშვილდენი, ცხენის იარაღ-საჯურველის მკეთებელნი, ხუროები, კალატოზები, მემადნეები (ოქრო-ვერცხლისა, რკინა-ფოლადისა და სპილენძის „გამომახურვებელნი"), მჭედლები, ფეიქრები, მღებრები, ეტრატის (საწერი ტყავის) დამამზადებელნი, წიგნების გადამწერნი, ფერწერის ოსტატები, ოქრონემსულის მოხელსაქმენი და სხვ.[5]

საქართველოს სამეფო კარი, დიდი ფეოდალები და ეკლესია-მონასტრები აწარმოებდნენ ვაჭრობა-აღებმიცემობას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე უცხო — აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის ქვეყნებთან: ირანთან, ერაყთან, სირიასთან, ეგვიპტესთან, რუსეთთან და სხვა უფრო შორეულ ქვეყნებთანაც.

საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ: ძვირფასი ქსოვილები, ძვირფასი ჭურჭელი, იარაღ-საჯურველი, სამოსელი, ბეწვეული, პატიოსანი ანუ ძვირფასი თვლები და მარგალიტი, ნელსაცხებელი, ხმელი ხილი, თევზეული და სხვ. გაჰქონდათ: აბრეშუმი, ბამბა, ფარჩა, ბეწვეული, ცხენები, ჯორები, თაფლი და ცვილი, სინდიყი და ნავთობიც კი, აგრეთვე ღვინო და კაკალი. საერთაშორისო ვი-

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი. გვ. 769—771.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] მ. რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართული ცხვრის შესწავლისათვის. შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938.

[5] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1938, გვ. 173.

თარებით გამოწვეულმა ცვლილებებმა, რომელთა შესახებაც წინა თავებში გვქონდა ლაპარაკი, არსებითად შეცვალა საქართველოს, კერძოდ, დასავლეთი საქართველოს მდგომარეობა.

მონღოლთა შემოსევებისა და უფრო გვიან — საქართველოს მთლიანი სახელმწიფოს დანაწევრების პერიოდიდან ვაჭრობა და ხელოსნობა თანდათანობით იწყებს დაქვეითებას; ქვეყანაში ნატურალური მეურნეობა ბატონდება. ამ პირობებში გლეხი თვითონ ეწევა სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამუშავებას და ამით იკმაყოფილებს ოჯახის მოთხოვნილებას ტანსაცმელზე, ფეხსაცმელსა და სხვა საყოფაცხოვრებო საგნებზე.

სოფლის მეურნეობის, ხელოსნობისა და ვაჭრობის დაქვეითებამ გამოიწვია ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების დაცემაც. თურქების მიერ კონსტანტინეპოლის აღებამ, შავ ზღვაზე მათმა გაბატონებამ, ზღვისპირეთზე მდებარე სავაჭრო ადგილების აკლებამ, ამასთანავე დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად ამიერკავკასიაზე გამავალი სავაჭრო გზების გაუქმებამ და სხვა მიმართულებით მათმა გადანაცვლებამ სავსებით დააკნინა საქართველოს ქალაქების მნიშვნელობა[1].

როგორც შ. მესხია აღნიშნავს,[2] XVII საუკუნის დასაწყისში აფხაზეთში არც ერთი ქალაქი არ არსებობდა, მოსული უცხოელი ვაჭრები პირდაპირ თავიანთ გემებზე აწარმოებდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან ვაჭრობას.

არც დასავლეთ საქართველოს სხვა სამთავრო-სამეფოებში არსებობდა მნიშვნელოვანი ქალაქები; ქუთაისსაც კი, რომელიც ოდესღაც ყვაოდა, თავისი მნიშვნელობა დაეკარგა.

სამეგრელოში ამ დროს ერთადერთი ქალაქი იყო რუხი, როგორც ითქვა, ლევან დადიანის მიერ აღდგენილი. 1920—30 წ. წ. ნუმიზმატური ნაპოვნების მიხედვით აქ ანტიკურ პერიოდში აყვავებული სავაჭრო ცენტრი უნდა ყოფილიყო, ახლა კი რუსი ელჩის მოწმობით[3], მხოლოდ ორმოცი სომეხი და 10 ებრაელი ოჯახი ცხოვრობდა.

მისიონერებისა და მოგზაურთა ცნობებით, დასავლეთ საქართველოში ამ დროს ვაჭრობა, ძირითადად ბაზრობებზე წარმოებდა.

---

[1] ქალაქი ეწოდებოდა არა მარტო ზღუდეშემოვლებულს, ვაჭრებითა და ხელოსნებით დასახლებულ ადგილს, არამედ ყოველ ადგილს, სადაც კი ვაჭრობა და აღება-მიცემობა წარმოებდა, თუნდაც დროებით.

[2] Ш. Месхиа. Города и городской строй феодальной Грузии XVI—XVIII вв., Тбилиси, 1950, стр. 90—106, 117—124.

[3] Посольство дьяка Ф. Елчина, стр. 337 (შ. მესხიას მიხედვით).

აქ თავს იყრიდა დიდძალი მოსახლეობა (20 ათასამდე), რომელსაც თავისი ნაწარმი გამოჰქონდა და უცხოეთიდან ჩამოსულ ვაჭრებზე ჰყიდდა, თვითონ კი მათგანვე ყიდულობდა საჭირო საგნებს.

უკვე მე-17 საუკუნის დასაწყისიდან წყაროები იცნობენ აგრეთვე ზღვისპირა სავაჭრო პუნქტს ანაკლიას, რომელიც ტყვეებით ვაჭრობის ცენტრს წარმოადგენდა.

რადგან ქალაქის განსაზღვრა ელჩებისა, მისიონერებისა და მოგზაურთა მიერ სხვადასხვაგვარია და მეტად პირობითი, ამიტომ მათ აღწერებში მრავალი გეოგრაფიული პუნქტი, განსაკუთრებით ზღვისპირა სიმაგრეები და ქვეყნის შიგნით არსებული ციხეებიც ხშირად ქალაქად იხსენიება.

ამ წყაროების მიხედვით დასავლეთი საქართველოს მთავარი ქალაქი მაინც ქუთაისია, რომელიც თავის ადრინდელ მდგომარეობასთან (ანტიკურ პერიოდთან) შედარებით მეტად დაკნინებული ჩანს, თუმცა მას ჯერ კიდევ „დიდი" ეწოდება.

ტოლოჩანოვითა და იევლევით იგი ორ — „დიდ და დაბლობ — მცირე ქუთაისად" იყოფა.

წყაროები იხსენიებენ ქალაქებს: სკანდას, ჩხარს, გეგუთს, ხონს, შორაპანს, ფოთს, ქობულეთს და სხვ., მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ამ გეოგრაფიული პუნქტების ქალაქებად აღიარება საფუძველს მოკლებულია.

შ. მესხია ამ პერიოდის დასავლეთი საქართველოს ქალაქებს სამ ჯგუფად ჰყოფს: 1. მცირე ზღვისპირა ქალაქები — სიმაგრეები და სავაჭრო პუნქტები: ბიჭვინთა, ზუფუ, ანაკოფია, სოხუმი, ანაკლია, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი. 2. მცირე ქალაქები — ქვეყნის შიგნით არსებულ სიმაგრეებთან და მთავრების რეზიდენციებთან: რუხი, ზუგდიდი, საჩხერე, შორაპანი, ონი, ლაილაში, ბაღდადი, ოზურგეთი და სხვ. 3. მცირე ქალაქები საეკლესიო-მონასტრულ ცენტრებთან: ჩხარი, ხონი, ჩიხორი და სხვ.[1].

XVII საუკუნის დასავლეთი საქართველოს მეფე-მთავართა შორის ვაჭრობისა და ხელოსნობის მიმართ მხოლოდ ლევან მეორე დადიანი (1611 — 1657 წწ.) იჩენდა დიდ ინტერესს. მან მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელა ამ დარგების განვითარების მიზნით.

იმ ანარქიის დროს, რომელიც დასავლეთ საქათველოში სუფევდა და მეფე-მთავრები თავიანთი გაუთავებელი შინაომებით

---

[1] შ. მესხიას ზემოთ დასახელებული წიგნი, გვ. 124; ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 829.

ქვეყანას მოსვენებას არ აძლევდნენ, მაინც იყო პერიოდები, რო-ცა შედარებით მშვიდობა ჩამოვარდებოდა და მაშინვე ვაჭრობაც გამოცოცხლდებოდა. არქანჯელო ლამბერტი აღწერს: „ქუთაისი კარგი სავაჭრო ქალაქია, რადგან იმისთანა ადგილზე დგას, სადაც ყოველმხრით ადვილად მოდიან ვაჭრები თავისი საქონლით. მთე-ბიდან ჩამოდიან სვანები, რომელთაც ჩამოაქვთ თავისი შინაური ნაწარმოები: ნაბდები და მსხვილი შალები და ჩამორეკენ ხოლმე თხებს და ცხვრებს. ქართლიდან მოდიან ქართლელები და ირანე-ლები, რომელთაც ჩამოაქვთ ძვირფასი ირანული შალები და ინ-დოეთის ფერადი ქსოვილები, ტყავები, დამარილებული თევზი კასპიის ზღვიდან, ხიზილალა და სანელებელი, თურქები სამცხის მხრიდან მოდიან და ბლომად მოაქვთ თავისი სავაჭრო, მაგალითად, უნაგირები და ცხენის საკაზმავები, ხალები, ხანჯლები და თურქუ-ლი ზანდუკები. სხვებზე მეტი ვაჭრები იქ სომხები არიან. სომხებს ქუთაისში თავიანთი სახლები აქვთ. ესენი დადიან თურქეთში, ირანში და ქართლში და ბლომად მოაქვთ იქიდან იშვიათი საქო-ხელი“[1].

როგორც ირკვევა, იმერეთის სამეფოში, თურქებს გარდა, ირა-ნელებიც იყვნენ ჩაბმული ვაჭრობაში.

საქართველოს ტერიტორიაზე ევლია ჩელების ცნობებით, ინ-ტენსიური ვაჭრობა იყო გაჩაღებული. ოსმალო, ყირიმელ და ლაზ ვაჭრებს მრავალი კუთხიდან მოჰქონდათ სხვადასხვა სახის საქონელი როგორც ზღვით და ხმელეთით, ასევე მდინარე ჭოროხით. „ლაზების ბევრ ნავს ამ მდინარის აღმა, აღმოსავლეთისაკენ და სამეგრელოს საზღვრებისაკენ მოაქვს მარილი, რკინეული, სხვა-დასხვა ხელსაწყო-იარაღი. მათ სამეგრელოსა და გურჯისტანის ბზის ხეზე, თაფლზე, თაფლის სანთელზე, ტყვე ქალიშვილებსა და ჭაბუკებზე ცვლიან და ასე ვაჭრობენ“[2].

ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდნენ ზღვისპირა ნავსადგურები: ანაკლია, ყულევი, სოხუმი, ბათუმი, ქობულეთი, ბიჭვინთა და სხვ. ისინი უმთავრესად თურქებთან აწარმოებდნენ ადამიანებით ვაჭრობას.

დიდი ბაზრობა იმართებოდა რაჭაში. ონი ძველთაგანვე სა-ვაჭრო გზაჯვარედინზე მდებარეობდა: იგი ერწოს გადასასვლელით ცხინვალიდან ქართლს, ხოლო მამისონის, გეზევეცის და კარაგო-

---

[1] ლ ა მ ბ ე რ ტ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 10.

[2] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I, ქართული თარგმანი გ. ფუთურიძისა, თბ., 1971, გვ. 95, 103.

მის გადასასვლელებით ჩრდილო კავკასიას უკავშირდებოდა. რაჭას ზემო სვანეთთანაც ჰქონდა მიმოსვლა საცალფეხო გზით.

გიულდენშტედტის გადმოცემით, დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებში არსად იმდენი ხსვადასხვა კუთხის წარმომადგენელი არ იკრიბება სავაჭროდ, რამდენიც ონში[1].

ზემო რაჭაში „ქვაწითელას" სანახებში მოიპოვებოდა რკინის საბადოები. ადგილობრივი მოსახლეობა რკინის ამ მადნებს ოდიდან ამუშავებდა. ამ საქმიანობასთან დაკავშირებით რკინის მწარმოებელ მთელ ხეობას „სარკინეთი" ეწოდებოდა, ხოლო მეწარმეთ „რკინის კაცები". სარკინეთში დამზადებულ რკინას „წედური რკინა" ეწოდებოდა. სარკინეთში დამზადებული რკინეულის ნაწილი ადგილობრივ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა, ჭარბი ნაწილი აღებ-მიცემობის საგანი იყო. იგი გაჰქონდათ როგორც მახლობელ, ისე შორეულ თემებში და იცვლებოდა საჭირო საგნებზე[2].

გიულდენშტედტის ცნობით, რაჭაში დამზადებული რკინის ნაწარმი კახეთშიც კი აღწევდა, სადაც იცვლებოდა პურზე, საკონელსა და სხვ. იგივე ავტორი ონის აღწერის დროს ნაზგასმით მიუთითებს, რომ სომხები და ებრაელები ვაჭრობენ წედისიდან მოტანილი რკინის ნივთებით, ქართლიდან მოზიდული ბამბის ქსოვილებით, მარილითა და ფეტვით, ოსები სავაჭროდ მოდიან აქ დვალეთიდან და დიგორიდან, აგრეთვე ბალყარები, ბასიანელები და სვანებიც[3].

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ რაჭიდან რკინეული ნაწარმი გაჰქონდათ ჩრდილო კავკასიის ზოგიერთ კუთხეში: დიგორს, ბასიანს და ყაბარდოში, ჩრდილო კავკასიიდან რაჭაში შემოჰქონდათ უმთავრესად ჩოხა-ნაბადი და მატყლი. რაჭიდან გაჰქონდათ აგრეთვე კანაფი, აბრეშუმი და სხვა საგნები, ამ აღებ-მიცემას აწარმოებდნენ როგორც რაჭველები, ისე ჩრდილო კავკასიელნი[4].

ამრიგად, XVII საუკუნეში დასავლეთი საქართველოს საერთო სოციალურ-ეკონომიკური დაკნინება ვაჭრობისა და ხელოსნობის დაქვეითებასაც გულისხმობს და ცხადყოფს იმ მძიმე მდგომარეობას, რომელშიც საქართველოს ეს ოდესღაც მდიდარი და კეთილდღეობაში მყოფი მხარე მოექცა.

---

[1] გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, მოგზაურობა საქართველოში, გ. გ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს თარგმანი, ტ. II, თბ., 1964, გვ. 107, 221.

[2] ნ. რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი, მეჯედლობა რაჭაში. თბ., 1953, გვ. 8.

[3] გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თბ., 1962, გვ. 107.

[4] ნ. რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 13.

მე-18 საუკუნეშიც, განსაკუთრებით კი მის პირველ ნახევარში, სოფლის მეურნეობა და საქალაქო ცხოვრება დაქვეითების გზაზე იდგა. შინაფეოდალური ომები, გარეშე მტრების მოძალება და ტყვეთა სყიდვის საყოველთაო მძვინვარება დიდად აბრკოლებდა ქვეყნის შიგნით ეკონომიკური სიძლიერის აღდგენას, ისედაც უკიდურეს მდგომარეობამდე მიყვანილ მწარმოებელ მოსახლეობას ფიზიკურადაც ანადგურებდა და უცხო მოძალადეებს ქვეყნის დაპყრობას უადვილებდა.

მე-18 საუკუნის 30-იან წლებში თურქთა მიერ შავი ზღვის ნავსადგურებისა და უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტების დაკავებამ საგარეო ვაჭრობა მკვეთრად შეზღუდა. ამან თავისებური გავლენა შინაურ ვაჭრობაზეც მოახდინა. აქამდე საზღვაო ვაჭრობა თუ თურქთა ხელში იყო, ახლა სახმელეთო გზებიც მათ განკარგულებაში აღმოჩნდა.

ზღვის სანაპირო ზოლზე მდებარე სავაჭრო პუნქტები: ფოთი, ქობულეთი, სოხუმი, შეკვეთილი და გრიგოლეთი სულს ღაფავდნენ, ხოლო ქვეყნის შიგნით მდებარე: ბაღდადი, ჩიხორი, საჩხერე, ონი, ჩხარი, ქუთაისი და ოზურგეთი დაღმავალი გზით მიექანებოდნენ.

ერთადერთი მხარე, სადაც წიაღისეულის მოპოვება და დამუშავება მიმდინარეობდა, ეს იყო რაჭა. სოფ. წესში იღებდნენ ვერცხლის მადანს, ხოლო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოფ. წედისში დიდი რაოდენობით ხდებოდა რკინის მადნის მოპოვება და დამუშავება.

ვაჭრობის და საერთოდ ეკონომიკის დაცემას დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული საბაჟოების არსებობაც აფერხებდა, რაც სამეფო-სამთავროების ფეოდალური დაშლილობის შედეგს წარმოადგენდა.

* * *

ერთი შეხედვით გაუგებარია, თუ როგორ შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა შიმშილსა და ეკონომიკურ გაჭირვებას ბუნებით ისე მდიდარ და უხვმოსავლიან ქვეყანაში, როგორიც იყო საქართველო, კერძოდ მისი დასავლეთი ნაწილი, სადაც, როგორც ზემოთ დავინახეთ, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა ყვაოდა, ბევრი ძვირფასი კულტურა ხარობდა და ასეთ ინტენსიურ მეურნეობას მისდევდნენ. მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ჯერ ერთი, სოფლის მეურნეობის წარმოება ხშირად იყო გაძნელებული და ზოგჯერ სრულებით შეუძლებელიც ხშირი საგარეო

და შინაომების გამო; როგორც ვიცით, ეს ომები, ცალკეული ბრძოლები თუ შეტაკებანი მხოლოდ ჩვენი ქვეყნის სამეფო-სამთავროების ტერიტორიაზე წარმოებდა, რაც დიდად უშლიდა ხელს ამ რაიონებში რაიმე სამეურნეო-საწარმოო საქმიანობას და მუშაობას; გარეშე თუ შინა ომებში ჩაბმული იყო არა მხოლოდ თავადაზნაურობა, რომელიც მეურნეობაში არ მუშაობდა, არამედ დიდძალი მშრომელი მოსახლეობა, რომელიც მოწყვეტილი იყო თავისი უშუალო საქმიანობისაგან; ურთიერთბრძოლისა და გარეშე მტრის თავდასხმების დროს ნადგურდებოდა სარჩო-საბადებელი, რაც მწარმოებელი მოსახლეობის მიერ იყო მოპოვებული როგორც არამწარმოებელი მოსახლეობის სარჩენად, ისე საკუთარი თავისა და ოჯახის გამოსაკვებად; მტერი ერეკებოდა მუშა და პროდუქტიული საქონლის ჯოგებს, ხოლო მეცხოველეობის დარგში რეპროდუქციას ერთი და ორი წელიწადი არ ყოფნიდა, ამას ზედ ერთვოდა ეპიზოოტიები — საქონლის დაავადებები, რაც საბოლოოდ ანადგურებდა პირუტყვის ისედაც მცირერიცხოვან ჯოგს; დაბოლოს, ხშირი იყო ინფექციურ სნეულებათა დიდი ეპიდემიები — ძირითადად შავი ჭირისა, რომელიც ენდემიური (მუდმივი) კერებიდან, რომლებიც საქართველოს გარეთ მდებარეობდნენ (უმთავრესად სამხრეთის ქვეყნებში), საქართველოში ვრცელდებოდა და მუსრს ავლებდა მოსახლეობას.

საუკუნეების მანძილზე მშრომელი მოსახლეობა გარეშე მტრის ყოველი შემოსევისა და ურთიერთხდომის დროს მასობრივად ტოვებდა ადგილსამყოფელს და მიუვალ მთებსა და ტყე-ღრეებში პოულობდა დროებით თავშესაფარს, რომ შემდეგ ისევ დაბრუნებოდა მშობლიურ ადგილებს.

ასეთ ვითარებაში, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო სისტემატური სამეურნეო საქმიანობა და ამიტომაც, ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების მიუხედავად, იგი არც წარმოებდა. ცხადია, მრავალრიცხოვანი პარაზიტული კლასის რჩენასთან ერთად, რაც სამეფო და საეკლესიო ბეგარების გვერდით მძიმე ტვირთად აწვა მშრომელ მოსახლეობას, საკუთარი თავის ღირსეულად შენახვა უკვე შეუძლებელი იყო, მოსახლეობის მასა შიმშილობდა და ამ ნიადაგზე ამორალურ ზნე-ჩვეულებებსაც იძენდა (მაგალითად, ახალშობილთა მოსპობა).

დასავლეთი საქართველო XVI საუკუნის მეორე ნახევარში, მთელი XVII საუკუნის მანძილზე და მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში მძიმე ეკონომიკურ პირობებში მოექცა.

მწარმოებელი მოსახლეობის შემცირებამ გამოიწვია პარაზიტული კლასის შემოსავლის შემცირებაც. ამის გამო, კომპენსაციის მიზნით, მიმართეს იმ საზომ-საწყაოს გადიდებას, რომლითაც გლეხობას ბეგარა უნდა მიეცა თავადაზნაურობისა და ეკლესიისათვის.

საზომის თავდაპირველ ოდენობასთან შედარებით ლიტრა ექვსჯერ გადიდდა, დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური დაუძლურების ერთ-ერთ საბუთად შეიძლება მოვიტანოთ შემდეგი ფაქტი: როდესაც გიორგი გურიელმა ოდიშის მთავარს გიორგი დადიანს სასისხლოდ 10 000 დრაჰკანი მოსთხოვა, გიორგი დადიანი ანაზე დათანხმდა, მაგრამ ვინაიდან ეს თანხა მას არ გააჩნდა, გირაოდ ხოფი მისცა. ამ ფაქტს ვახუშტი ბატონიშვილი ასე გადმოგვცემს: „ვინაიდ-გან მწირობდა დადიანი და არა აქვნდა ეგოდენი მის-თვის მისცა ხოფი, ვიდრე ამოვიდოდეს ფასი ოქროსა მის“[1].

საზოგადოებრივი წოდებანი

თავადი. XI — XIII საუკუნეებში სიტყვა თავადი ყოველგვარი საქმის თავკაცის, უფროსის აღმნიშვნელ სიტყვად იხმარებოდა და ამ საუკუნეებში ფეოდალები მხოლოდ ერთ — აზნაურთა წოდებად ითვლებოდნენ. XIII და საბოლოოდ — XIV საუკუნეებში აზნაურობას გამოეყო დიდებულთა ფენა, რომელიც მეფისაგან ბოძებული „დიდების“ წყალობით გამოცალკევდა, „დიდება“, მემკვიდრეობით კუთვნილებად იქცა. მისი მქონენი აზნაურთა წოდებაზე უპირატესი მდგომარეობით გამოირჩეოდნენ. XV საუკუნეში თავადთა წოდების ჩამოყალიბება დამთავრდა“[2].

სათავადო იყო ტერიტორიულ-ადმინისტრაციული, სამხედრო-პოლიტიკური და სამეურნეო ერთეული, რომელსაც გადამწყვეტი ადგილი ეჭირა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მას თავისი შემდეგი დამახასიათებელი ნიშნები ჰქონდა:

1. ტერიტორიის ერთობა, ე. ი. ყმა-მამული, რომელიც მას გააჩნდა, მოთავსებული იყო ერთიან ტერიტორიაზე.

2. ციხე-დარბაზები, ეკლესია-მონასტრები, საგვარეულო საძვალეები.

3. სათავადო წარმოადგენდა გარკვეულ სამხედრო ერთეულს.

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 816.

[2] საქართველოს ისტორია, სახელმძღვანელო, თბ., 1946, გვ. 298—299; იხილეთ აგრეთვე, ო. ს ო ს ე ლ ი ა, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 41—42.

4. სათავადოს გარკვეული ყმა-მამული გააჩნდა. თავადის ძალა მისი ყმების რიცხვზე იყო დამოკიდებული.

5. სათავადო სამეურნეო ერთეულს წარმოადგენდა და ძირითადად თვით იკმაყოფილებდა თავს, ე. ი. მისი მეურნეობა ნატურალური ხასიათისა იყო.

6. თითოეულ სათავადოში მხოლოდ ერთი თავადი ითვლებოდა, დანარჩენები ამ სათავადო სახლის თავადიშვილად ითვლებოდნენ. უფლებრივად თავადი და თავადიშვილი განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან[1].

გვიან ფეოდალურ საქართველოში ვახტანგის კანონების მიხედვით თავადები უფლებრივად სამ მთავარ ჯგუფად იყოფიან: 1) „დიდებული თავადები", 2) „შუათანა თავადები" და 3) „მესამე რიგის თავადები"[2].

სათავადოს სათავეში უდგას „დიდებული თავადი", თითოეული თავადის უფლება-მოვალეობა პირობითად შეიძლება ორად გაიყოს: საშინაო და საგარეო.

თავადის საშინაო მოვალეობაში შედის: სათავადოს შიგნით მართვა-გამგეობის მოწესრიგება, მოხელეთა დანიშვნა, მათი სარგისა და ხელის (გასამრჯელო, ანაზღაურება) განსაზღვრა, ბატონყმური რიგის დაცვა, ყმისა და მამულის ყიდვა-გაყიდვა, სოციალური ურთიერთობის მოწესრიგება, სათავადოს თავდაცვის ორგანიზაცია და სხვ.

თავადის საგარეო ფუნქციას წარმოადგენს: ურთიერთობა სამეფო კართან, დამოკიდებულება მეზობელ სათავადოებთან და სხვ.

ყველა სათავადოს თავისი „სახლის რიგი" ჰქონდა, სადაც განსაზღვრული იყო თავადისა და თავადიშვილის უფლება-მოვალეობანი, „სახლის რიგს" მეფე ამტკიცებდა და თვით მეფე ადევნებდა თვალ-ყურს, თუ როგორ იცავდნენ მას სათავადოს წევრები.

თითოეულ სათავადოს თავისი სათავადო ნიშანი გააჩნდა. როცა სათავადოს უფროსი გარდაიცვლებოდა, სათავადოს წევრები ამ ნიშანს მეფეს წარუდგენდნენ და მეფე ახალ თავადს ნიშნავდა გარდაცვალებულის ადგილზე.

---

[1] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 256.

[2] ვახტანგის სამართლის მიხედვით „დიდებული თავადის" სისხლი 1536 თუმანი ღირს, შუა თავადისა — 768 თუმანი, მესამე რიგის თავადისა — 384 თუმანი, იხ. ვახტანგის სამართალი, მუხლი 26, 27, 28. გამოსცა თ. ე ნ უ ქ ი ძ ე მ, თბ., 1955, გვ. 57. თავადთა ასეთი დაყოფა დასავლეთ საქართველოში არ არის ცნობილი.

ახალ თავადად საკალდებულო არ იყო მაინც და მაინც გარდაცვლილი თავადის შვილი ყოფილიყო. ჯერ თვით სათავადო საგვარეულოს წევრები წინასწარ შეთანხმდებოდნენ, თუ ვინ უნდა აერჩიათ თავადად და თავიანთ კანდიდატს მეფეს წარუდგენდნენ[1].

აღმოსავლეთ საქართველოში სათავადოს უფროსს მეფე ნიშნავდა, რის დროსაც ანგარიშს უწევდა სათავადოს სახლიკაცების ნება-სურვილს.

განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს დასავლეთ საქართველოში. ო. სოსელია აღნიშნავს, რომ „არა გვაქვს საფუძველი ვთქვათ, რომ დასავლეთ საქართველოში სათავადოს უფროსს, როგორც წესი, მეფე ან მთავარი ნიშნავდა. გვაქვს საბუთები, საიდანაც ირკვევა, რომ სათავადოს უფროსს მეფე არ ნიშნავდა, მას სათავადოს სახლისკაცები ირჩევდნენ, „უფროსობას ან ბატონობას ანებებდნენ"[2]. აქედან გამომდინარე, მკვლევარი დაასკვნის, რომ „სათავადოს უფროსობა მემკვიდრეობით სახელოს არ წარმოადგენს"[3].

რით უნდა ყოფილიყო გამოწვეული დასავლეთ საქართველოს სათავადოს ასეთი დამოუკიდებლობა სამეფო კარისაგან? საფიქრებელია, რომ ეს განაპირობა იმერეთის მეფის ხელისუფლების სისუსტემ.

მიუხედავად ამისა, სათავადოს უფროსი მაინც მეფის ყმად ითვლებოდა. კიდევ ერთი თავისებურება შეიმჩნევა დასავლეთ საქართველოში. აღმოსავლეთ საქართველოში სათავადოს თავისი სახლის რიგი აქვს, სადაც სათავადოს წევრების უფლება-მოვალეობებია აღნიშნული. ამ „კონსტიტუციას" აღმოსავლეთ საქართველოს მეფე ამტკიცებდა და, ამავე დროს, როგორც აღინიშნა, მეფე სვამდა სათავადოს უფროსსაც; მეფეევე ადევნებდა თვალ-ყურს, რომ ეს წესი არ დარღვეულიყო[4].

დასავლეთ საქართველოში კი „სახლის რიგს" თვით სათავადოს

---

[1] დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 258, 460.

[2] ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 273.

[3] აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რაჭისა და გურიის ერისთავთა სათავადოში უფროსის უფლება-მოვალეობა მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე, თუმცა XVIII საუკუნეში რაჭის ერისთავთა სათავადოში ეს წესი დაირღვა.

[4] დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 258.

უფროსი და სახლიკაცები ადგენენ ანდა თვით სათავადოს უფროსი ადგენს და სახლიკაცებს უთანხმებს[1].

აღმოსავლეთ საქართველოში სამოხელეო აპარატი და საერთოდ მართვა-გამგეობა სათავადოს უფროსის ხელში იყო[2].

ასეთივე მდგომარეობა იყო დასავლეთ საქართველოშიც; სათავადოს უფროსის ხელში იყო მთელი სამოხელეო აპარატი[3].

სათავადოთა უმეტეს ნაწილს საგადასახადო შეუვალობა ჰქონდა მოპოვებული, ე. ი. მისი ყმა-გლეხები სახელმწიფო გადასახადს არ იხდიდნენ[4].

თავადის გარეშე სამეფოში არც ერთი მნიშვნელოვანი საქმე არ წყდება. იგი მეფესთან ერთად ქვეყნის პოლიტიკური საქმეების აქტიური მონაწილეა. მეფე იბრძვის, რომ თავადის უფლებები შეზღუდოს და იგი თავისი მორჩილი მოხელე გახადოს, მაგრამ ამას ვერ ახორციელებს, ზოგჯერ ხდებოდა პირიქით — „ბევრჯერ ჟამთა და დროთა ცვალებით ასრე დამდაბლებულან, რომე ოდენ სახელი მეფე რქმევიათ, თორემ მართებული არა უქნევინებიათ რა, როგორც ყმათა სდომებიათ ისრე უსამართლებიათ და ურიგებიათ“.[5]

ყოველ სათავადოში სამი სახის მფლობელობა-ქონება არსებობდა: 1. „სახასო“, 2. „საუფლისწულო“ და 3. „სათავისთავო“.

სათავადოს ძირითად ქონებას „სახასო“ წარმოადგენდა. მას თავადი განაგებდა. მთელი შემოსავალი აღირიცხებოდა, სახელმწიფო გადასახადების შემდეგ შემოსავალი განაწილდებოდა ძმებს შორის არათანაბარი პრინციპით: სათავადოს სახლის უფროსი აიღებდა საუფროსოს, შემდეგ ძმები — საშუალოს და საუმცროსოს.

„საუფლისწულო“ მიცემული ჰქონდა თავადიშვილს, როგორც სახარჯო ქონება. შემოსავალი ხმარდებოდა თავადიშვილს. ერთი შეხედვით, საუფლისწულო იყო პირად საკუთრებაზე დაფუძნებული ქონება. იგი თავადისა თუ თავადიშვილის ოჯახის წევრების პირად საკუთრებას წარმოადგენდა. მასში შედიოდა მზითევი, ნასყიდი, ნაწყალობები და სხვ.[6]

გვიანფეოდალურ ხანაში სათავადო პოლიტიკურად უფრო დამოუკიდებელი ხდება. იგი მოქმედებს „იმის მიხედვით, თუ რას

---

[1] ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 178.

[2] დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 275—281.

[3] ო. სოსელია, დასახ. ნაშრ., გვ. 179.

[4] საქართველოს ისტორია, თბ., 1946, გვ. 302.

[5] ვახტანგის სამართალი, მუხლი 2.

[6] დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, წიგნი II, თბ., 1965, გვ. 33.

უკარნახებს მას საკუთარი ფეოდალური ინტერესები... მეფეთა პოლიტიკა კი არ განსაზღვრავდა ფეოდალების პოლიტიკას, პირუკუ — უკანასკნელთა ინტერესები განსაზღვრავდნენ, საბოლოო ანგარიშში „პირველს".[1] მაგრამ საბოლოოდ თავადი მაინც მეფის ყმად ითვლებოდა. მეფეს შეეძლო მოღალატე თავადისათვის ყმა-მამული ჩამოერთმია და იგი სახასოდ ექცია.

უმემკვიდრეოდ დარჩენილი ყმა-მამული თავადის ნათესავზე კი არ გადადიოდა, არამედ მეფეს რჩებოდა და მისი სურვილისამებრ სხვას გადაეცემოდა.

თავადი სახელმწიფო, სამეფო გადასახადებს იხდიდა, და მეფის გაწვევაზე უსიტყვოდ გადიოდა.

ყველა ეს პირობა, რომელიც თავადს მეფის წინაშე ვალდებულს ხდიდა, ყოველთვის არ ხორციელდებოდა. ეს დამოკიდებული იყო დროზე, პირობებზე და თვით პიროვნებაზე. თავადები მეფის ყმები იყვნენ, მაგრამ ისინი მეფეს არ უყურებდნენ როგორც „ღმერთის სწორს", მათ თვალში მეფე მხოლოდ პირველი თანასწორთაგანი იყო.

თავადები მეფეს ერთგულებდნენ, თუ მისი პოლიტიკა მათ ინტერესებს შეესაბამებოდა, თუ არა და ისინი ადვილად არღვევდნენ მეფისადმი მიცემულ ფიცს და ემხრობოდნენ მეფის მოწინააღმდეგეს.

აზნაური. „აზნაურობა საქართველოს სახელმწიფო წოდებრივი წყობილების საერთო მოვლენა იყო და აზნაური საქართველოს ყოველ თემსა და კუთხეში იყვნენ"[2].

თავადების შემდეგ გაბატონებული კლასის ძირითად ფენას. აზნაურობა წარმოადგენდა. აზნაური თავდაპირველად ნიშნავდა „თავისუფალს", მაგრამ შემდეგში სოციალური ცნების ამსახველი გახდა. „აზნაურნი დიდნი" იმაზე მიგვანიშნებს, რომ „მცირე აზნაურნიც" იყვნენ. შემდეგში, როგორც წყაროებიდან ჩანს, აზნაურთა ფენა დაიყო, ვინაიდან გვხვდება ასეთი გამოთქმები: „დიდებული აზნაური", „ნათესავით აზნაური", „აზნაური მოსაკარგავენი", „ციხეთა უფალნი" და „უციხონი". გვიან ფეოდალურ ხანაში აზნაურთა უფლებრივი მდგომარეობა გაუარესდა.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 1, 1937, გვ. 20—29.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, ქუთაისი, 1919, გვ. 33.

ფეოდალური საქართველოს დაქუცმაცების პერიოდში, როდესაც მეფე ძლიერ ფეოდალებს ებრძოდა, მის მხარეზე იყო აზნაურთა ფენა, ვინაიდან აზნაურები, როგორც წვრილი ფეოდალები, საჭიროებდნენ ცენტრალური ხელისუფლების დახმარებას, რათა მსხვილ ფეოდალთა ძალმომრეობას ფრთები შეკვეცოდა; ამიტომ აზნაურობა დაინტერესებული იყო მეფის ხელისუფლების განმტკიცებაში, თავის მხრივ მეფის ხელისუფლებაც დასაყრდენს ამ სოციალურ ფენაში ეძებდა.

ფეოდალური დაშლილობის პერიოდში აზნაურთა ფენა პოლიტიკურად და ეკონომიკურად დასუსტებულია, რაც იმაში გამოიხატება, რომ დამოუკიდებელი აზნაური არ არსებობს, ისინი არ ქმნიან ერთ მთლიან ძალას.

ვახტანგის კანონით აზნაურები სამ ჯგუფად იყოფიან: 1. „გადიდებული აზნაური", 2. „შუა აზნაური" და 3. „ცალმოგვი აზნაური".[1] ასეთ დაყოფას ეკონომიკური საფუძველი უნდა ჰქონოდა.

როგორც ენგელსი აღნიშნავს, შუა საუკუნეების ფეოდალური იერარქიიდან საშუალო თავადაზნაურობა თითქმის სრულიად გაქრა, მისი ერთი ნაწილი დამოუკიდებელ წვრილ მთავრებად იქცა, ხოლო მეორე — ჩამოქვეითდა და დაბალი აზნაურების რიგში მოექცა; დაბალი აზნაურები სწრაფად მიეკანებოდნენ დაღუპვისაკენ, მათი დიდი ნაწილი სრულიად გაღატაკებული იყო და მხოლოდ თავადებთან სამსახურით ცხოვრობდა, მეორე ნაწილი თავადებთან ვასალურ დამოკიდებულებაში და მორჩილებაში იმყოფებოდა[2].

კუთვნილების მიხედვით აზნაურები სამ ჯგუფად იყოფიან: 1. სამეფო-სამთავრო, 2. სათავადო და 3. საეკლესიო-სამონასტრო აზნაურებად.

ნიკიტა ტოლოჩანოვის ცნობით, იმერეთის სამეფოში 1100 აზნაური ყოფილა, ხოლო თავადები კი 100[3]. დასავლეთ საქართველოში აზნაურების უმრავლესობა თავადებიხ საკუთრებას შეადგენდა. სარგის კაკაბაძის გამოანგარიშებით 1640-იანი წლებისათვის იმერეთის სამეფოში უნდა ყოფილიყო დაახლოებით 840—850

---

[1] ვახტანგის კანონის მიხედვით გადიდებული აზნაურის სისხლი 192 თუმანი ღირს, შუა აზნაურისა — 96 თუმანი, ხოლო ცალმოგვი აზნაურისა — 48 თუმანი. იხ. ვახტანგის სამართალი, მუხლი 29, 30, 31. გამოსცა თ. ენუქიძემ, თბ., 1955.

[2] ფრ. ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში, თბ., 1956, გვ. 26—27.

[3] ნ. ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა 1650—1652 წწ. გამოსცა ი. ცინცაძემ, თბ., 1970, გვ. 153.

კომლი აზნაური.[1] მათ შორის სამეფო აზნაური იყო 225 კომლი[2], დანარჩენი 615—625 კომლი თავადებისა და ეკლესია-მონასტრებისა იყო.

სამეფო (ტახტის) აზნაური ყოველთვის მეტი პატივით სარგებლობდა, ვიდრე თავადისა, ამიტომ სათავადოს აზნაურები ყოველთვის მიისწრაფოდნენ, რომ სამეფო ან სამთავრო აზნაურები გამხდარიყვნენ, რითაც მეტი საშუალება ეძლეოდათ სოციალურად და ეკონომიკურად დაწინაურებისა. მიუხედავად იმისა, რომ აზნაურები იურიდიულად თავისუფალნი იყვნენ და სადაც სურდათ იქ წავიდოდნენ, ამას მაინც ვერ ახერხებდნენ, ვინაიდან თავადის მიწაზე იყვნენ მიჯაჭვულნი.

ყველა აზნაური წერილი მფლობელი იყო (ზოგს სულ არ ჰყავდა ყმა-გლეხი, ზოგს კი — ერთიდან 50-მდე).

აზნაური თავისუფალია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავის ყმასა და მამულზე ხელი აიღო და თავისი „მამულიდამ ადგა". ამრიგად, ბატონისაგან წასვლის შემთხვევაში აზნაური კარგავს თავის სამკვიდრო მამულს[3]. აქედან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ აზნაური არ იყო თავისი მამულის ერთადერთი მესაკუთრე, მის მამულზე გარკვეული უფლებები ჰქონდა თავადსაც. დებულება, რომ „ყმისა ყველა ბატონისა არის", აზნაურზეც ვრცელდებოდა.

აზნაურის ყმა-მამული საკუთრების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდა: 1. სამკვიდრო ყმა-მამული, 2. ბატონისაგან ნაწყალობევი და 3. ბატონისაგან დამოუკიდებლად ნაშოვნი, პირადი გარჯით შეძენილი ყმა-მამული: ნასყიდი, ნასისხლი, ნამზითვი, ნაჯილდოები[4] და სხვ.

---

[1] ს. კაკაბაძე, მასალები იმერეთის სახელმწიფოებრივი მდგომარეობის შესახებ მე-17 საუკუნეში, საისტორიო მოამბე, წიგნი I, 1925, გვ. 192..

[2] იქვე, გვ. 196.

ს. კაკაბაძე თვლის, რომ ტოლოჩანოვის მიერ მოცემული ცნობა უნდა გამოხატავდეს მხოლოდ სამეფო აზნაურთა რაოდენობას, იმ ვარაუდით, რომ 225 კომლ სამეფო აზნაურს თავისუფლად შეეძლო 1100 შეიარაღებული მამაკაცის გამოყვანა. არჭანჯელო ლამბერტი წერს, რომ „მეგრელები... ჩვეულნი არიან ომსა, იმდენად ჩვეულნი, რომ მშობლებს სულ ბატარები დაჰყავთ ლაშქარში და არ არიდებენ იმ გაჭირვებას, რომელიც იქ უნდა გადახდეთ; ბავშვები ისე ატარებენ იარაღს, უკავიათ ხელში ფარი და ხმარობენ შვილდსა, თითქოს დაბადებიდან შეჩვეულნი იყვნენ ბრძოლას" (არჭანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 86).

[3] გ. აკოფაშვილი, აზნაურთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხისათვის. მასალები, საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, თბ., 1955, გვ. 88.

[4] იქვე.

აზნაურებს სხვადასხვა თანამდებობა ეკავათ პატრონის კარზე (მოურავი, სახლთუხუცესი, ბოქაულთუხუცესი და სხვ.).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აზნაურები მიისწრაფოდნენ როგორმე სამეფო ან სამთავრო კარის აზნაურებად გამხდარიყვნენ. მაგრამ ეს ადვილი არ იყო, ვინაიდან მეფე ან მთავარი, თუ მშვიდობა სუფევდა, არ აწყენინებდა ფეოდალს და მისგან გაქცეულ ყმას არ შეიფარებდა.

აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით დასავლეთ საქართველოს აზნაურები უფრო წვრილი მფლობელნი იყვნენ; გარდა ამისა, დასავლეთ საქართველოში გვიან ფეოდალურ ხანაში „სოციალური ურთიერთობის ერთ-ერთ დამახასიათებელ მოვლენად ჩაითვლება აზნაურთა აზნაურის არსებობა"[1]. ეს კი მათ ეკონომიკურ სივიწროვეზე მიგვანიშნებს, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ბევრი აზნაური მეტად სუსტი იყო თავისი შეძლებით. ო. სოსელია შენიშნავს, რომ ჩვენ არ მოგვეპოვება მასალა იმის გასარკვევად, თუ რა პირობებში ხდებოდა აზნაურის მოქცევა აზნაურის ყმად, მაგრამ ერთი მაინც ცხადია: ეს მოვლენა აზნაურობის ერთი ნაწილის დეგრადაციის მაჩვენებელია[2].

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „ზოგიერთი აზნაური" დასავლეთ საქართველოში დაბეგრილია თუმცა მსუბუქად, მაგრამ ისე, როგორც გლეხი; მაგალითად, 1550—70 წლების ვახუშტი აბაშიძის შეწირულების წიგნში აღნიშნულია, რომ გლეხთან ერთად აზნაურიშვილსაც ევალება ორი ჩაფი ღვინო და ერთი ქათამი იყიდოს[3]. საკაიშლოს გამოსავლის დავთარში ნათქვამია: „ათმან აზნაუ(რი) შვილმ(ა)ნ ზროხიანი კარგი საქმელი... გვაჭამოს რაი რიგადაც თავი ესახელებოდეს"[4]. გარდა ამისა, იქვე აღნიშნულია სხვადასხვა სახის გადასახადი, რაც აზნაურებს ევალებოდათ.

მეტად ცუდ პირობებში იყვნენ მოქცეული სათავადო აზნაურები. ხშირად აზნაური თავის ბატონს ტოვებდა და უფრო ძლიერთან მიდიოდა. ასეთ შემთხვევაში აზნაური ძველ ბატონს უტოვებდა ყველა იმას, რაც ამ უკანასკნელისაგან ჰქონდა ნაბოძები.

საერთოდ, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოშიც აზნაური პირადად თავისუფალი იყო, მას შეეძლო თავისი

---

[1] ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 55.

[2] იქვე, იხ. აგრეთვე მამია დუმბაძე, დასავლეთი საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 83.

[3] დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წიგნი 1, გვ. 26.

[4] საკაიშლოს გამოსავლის დავთარი, გამოსცა ს. კაკაბაძემ, ტფ. 1913, გვ. 45.

ბატონი მიეტოვებინა და სადაც სურდა, იქ წასულიყო. მაგრამ ასეთ შემთხვევაში, როგორც ითქვა, ყმა-მამული, რომელიც ნაბოძები ჰქონდა, ბატონისათვის უნდა დაეტოვებინა.

XVI—XVIII საუკუნეებში აზნაურების უფლებრივი მდგომარეობა უარესდება; ამას ადასტურებს აზნაურთა ახალი კატეგორიების გაჩენა: „მკვიდრი", „მეფის მიერ ნაწყალობევი", „ნამზითვი", „ნასისხლი", „ნასყიდი", ეკლესიას ჰყავდა „შეწირული აზნაურებიც.[1]

თავადს უფლება ჰქონდა აზნაური გაეყიდა, გაესაჩუქრებია, დაერბია. აზნაურსა და ბატონს შორის აშლილობა და „წყენა" უმრავლეს შემთხვევაში ისევ შერიგებით მთავრდებოდა, ვინაიდან აზნაურისათვის თავისი ყმა-მამულის მიტოვება ძნელი იყო. ამრიგად, მიწათმფლობელთა კატეგორიას აზნაურიც ეკუთვნოდა, მაგრამ იგი ვასალურ დამოკიდებულებაში იყო მეფესთან, ან თავადთან, ან ეკლესია-მონასტერთან. მართალია იგი ყმა-მამულს ფლობდა, მაგრამ მისი უფლება ამ ყმა-მამულზე შეზღუდული იყო. ეს უკანასკნელი პირობით ქონებას წარმოადგენდა და ბატონის დაუკითხავად ვერ გასხვისდებოდა. აზნაური, როგორც ზემოთ აღინიშნა, მხოლოდ ნასყიდი ყმა-მამულის სრული მბრძანებელი იყო.

გლეხი ვახუშტის სქემით ქართული ფეოდალური საზოგადოების სოციალური კიბის ორ უკანასკნელ საფეხურზე დგანან „მსახურნი" და „მუშაკნი გლეხნი"[2], რომელნიც ერთიანი სოციალური ფენის — გლეხობის ორ განსხვავებულ ჯგუფს წარმოადგენენ. „მსახურნი" ვახუშტისათვის იგივე გლეხია, მხოლოდ უფრო მაღალი პატივისა, მომდევნო საფეხურზე მდგომნი კი არიან „მუშაკნი გლეხნი"[3].

ვახუშტი პირველი იყო, რომელმაც ქართული ფეოდალური ურთიერთობის კვლევას მიჰყო ხელი და მრავალი მოვლენაც სათანადოდ შეაფასა, რაც შეეხება XIX საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიკოსებს (პ. იოსელიანი, მ. ბროსე, დ. ბაქრაძე, ნ. ურბნელი, მ. ჯანაშვილი და სხვ.), მათ ვახუშტისათვის დიდად არ გაუსწრიათ წინ. ეს კიდეც აისახა თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში.

---

[1] გ. აკოფაშვილი, აზნაურთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხისათვის, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, 1955, გვ. 101.

[2] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 14.

[3] დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 4—12.

მომდევნო პერიოდის ისტორიკოსებიდან სოციალური ურთიერთობის საკითხების კვლევა მიზნად დაისახა პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილმა. მან აღნიშნულ საკითხს მიუძღვნა შემდეგი გამოკვლევები: „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის", „წოდებათა ისტორია საქართველოში," „იმუნიტეტი საქართველოში"[1] და სხვა.

ამ შრომებში მოცემულია ცდა ქართული ფეოდალური ურთიერთობის მოვლენათა განზოგადებისა და ევროპულ ფეოდალიზმთან მათი შეხამებისა. ავტორი იხილავს ფეოდალური ურთიერთობის თითქმის ყველა საკითხს მისი ჩასახვიდან XIX საუკუნის დამდეგამდე. ამან კი სათანადო კვალი დააჩნია გამოკვლევის ხარისხს, მით უმეტეს, რომ ავტორი მეთოდოლოგიურადაც არ დგას სწორ პოზიციაზე[2]. იგი ძირითადად ემყარება უცხო — ევროპისა და რუსეთის — ისტორიის ფაქტებს და მზამზარეული სქემების მიხედვით იხილავს ქართული ფეოდალიზმის მოვლენებს, რაც მიუღებელია. ალ. ხახანაშვილს სურს დაამტკიცოს, რომ ქართული ბატონყმობა უფრო ჰუმანურია, ვიდრე ევროპული და რუსული.

ალ. ხახანაშვილის აზრით, სანამ საქართველო რუსეთს შეუერთდებოდა, მანამ ბატონი იყო გლეხისათვის მფარველი და პატრონი. ბატონი და ყმა მამაშვილურ დამოკიდებულებაში იყვნენ და მათ შორის არავითარი კლასთა ბრძოლა არ იყო[3]. მიუხედავად ამ მცდარი შეხედულებისა, ავტორი უამრავ ფაქტობრივ მასალას იძლევა ქართული ფეოდალიზმის დასახასიათებლად. ამიტომ ალექსანდრე ხახანაშვილის მეცნიერული ღვაწლი ქართული ფეოდალიზმის შესწავლაში თვალსაჩინოა.

ყველაზე მნიშვნელოვანი გამოკვლევა ქართული ბატონყმური ურთიერთობის შესახებ, რაც რევოლუციამდელმა ისტორიოგრაფიამ შექმნა, არის ს. ავალიანის ცნობილი შრომა[4].

აღნიშნულ გამოკვლევაში ავტორი ემყარება ძველ ქართულ საკანონმდებლო ძეგლებს: ვახტანგ VI სამართლის წიგნს, ბექა-აღბუ-

---

[1] ალ. ხახანაშვილი, ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, პირველად გამოიცა 1889 წ. შეორედ — 1910 წ. ამ უკანასკნელ გამოცემაშია დაბეჭდილი „იმუნიტეტი საქართველოში" (ადრე დაიბეჭდა „ცნობის ფურცელში" — 1910 წ.) და „წოდებათა ისტორია საქართველოში" (გამოქვეყნდა ჟურნალ „კვალში" 1899 წ.).

[2] დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 8.

[3] ალ. ხახანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 126—127.

[4] С. А. Авалиани. Крестьянский вопрос в Закавказье, т. I, крестьянское право и история крестьянской реформы в Тифлисской и Кутаисской губерниях, Одесса, 1912, стр. 1—84.

ლას კანონებს და სხვა წყაროებს. ავტორი მიუთითებს, რომ ფეოდალურ საქართველოში მოქმედებდა დაუწერელი კანონები, რომელნიც არ ასახულან საკანონმდებლო ძეგლებში. ავტორი ხშირად მიმართავს სიგელ-გუჯრებს და სხვა დოკუმენტებს, რომლებშიც მრავლადაა მოტანილი ყმისა და ბატონის ურთიერთობის ფაქტები.

ს. ავალიანის მტკიცებით, შუა საუკუნეების საქართველოსათვის დამახასიათებელი იყო არა მარტო ბატონყმობა, არამედ მონობაც. მაგრამ ტყვე-მონების არსებობა საქართველოში ქართული ფეოდალური ურთიერთობის ნიშანი კი არ იყო, როგორც ეს ავტორს ჰგონია, არამედ ამ ურთიერთობის ნორმებისაგან გადახვევას წარმოადგენდა და ეკონომიური და სოციალური დაქვეითების შედეგი იყო.

ს. ავალიანი დაინტერესდა საქართველოში იმუნიტეტის არსებობის საკითხით. მან ქართული იმუნიტეტი შეადარა ბერძნულს, ევროპულსა და რუსულს და მათ შორის მსგავსება დაინახა, რაც იმით ახსნა, რომ ერთნაირი საზოგადოებრივი წყობა სხვადასხვა ქვეყანაში მსგავს ინსტიტუტებს წარმოშობსო.

ს. ავალიანის დაკვირვებით, ფეოდალურ საქართველოში გლეხობა იყოფოდა: 1. მსახურებად, 2. აზატებად და 3. მებეგრე გლეხებად. მათგან განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ხიზნები, რომელნიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელწოდებით აღინიშნებოდნენ. მაგალითად: მინდობილნი, მიბარებულნი და სხვა.

ს. ავალიანის აზრით, გლეხობიდან ყველაზე დაბალ საფეხურზე იდგნენ მოჯალაბენი, რომელნიც მხოლოდ დასავლეთ საქართველოში გვხვდებოდნენ, ხოლო ქართლსა და კახეთში ეს კატეგორია არ ჩამოყალიბებულა, რადგან მოახლეს, ფარეშს, შინაყმას და სხვა მომსახურე პირებს, რომლებსაც დასავლეთ საქართველოში მოჯალაბენი წარმოადგენდნენ, ქართლ-კახეთში ყმა-გლეხები აძლევდნენ მებატონეს.

საქართველოს ისტორიის საკითხებზე მთელი რიგი შრომები აქვს შექმნილი სარგის კაკაბაძეს. მისი შრომების დიდი ნაწილი მიძღვნილია დასავლეთ საქართველოს ისტორიისადმი, კერძოდ, გლეხობის საკითხს ეხება მისი ერთ-ერთი შრომა[1]. მასში ს. კაკაბაძე ძირითადად იხილავს XV საუკუნის ფაქტებს. მისი დაკვირვებით, გლეხზე დაკისრებული საბატონო გადასახადი ფუძეს ედო, ამასთან, გადასახადი არ იზრდებოდა, თუ ერთ ფუძეზე რამდენიმე

---

[1] С. Н. Какабадзе. Черты феодального строя и крестьянские повинности в Грузии в конце средних веков. Тифлис, 1912.

მეკომური იჯდა. ფუძე სხვადასხვა ზომისა იყო და მას უმთავრესად ფლობდა ერთი კომლი გლეხი. ფუძეზე დადებული გადასახადი სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა იყო. გლეხს ევალებოდა ძირითადად ნატურალური გადასახადი — პური, ღვინო და სხვ. ამას გარდა, გლეხს წელიწადში რამდენიმეჯერ უნდა მიერთმია თავისი ბატონისათვის ქათამი, ღორი, რძე, ყველი, კვერცხი და სხვ. წლის განმავლობაში გლეხს ევალებოდა ბატონისათვის რამდენიმე ძღვენის მირთმევა. ასევე გლეხის მოვალეობა იყო ბატონისა და მისი სტუმრების გამასპინძლება. აღნიშნულს გარდა, გლეხს კიდევ ბევრი გადასახადი და სამსახური ევალებოდა. გლეხთა მდგომარეობის მოტანილ სურათს ავტორი წარმოადგენს დასავლეთ საქართველოს საეკლესიო გლეხების მაგალითზე.

სარგის კაკაბაძე შემდეგნაირად ახასიათებს მსახურებსა და გლეხებს: როგორც მეფესა და ათაბაგს, ისე თავადებს ჰყავდათ აზნაურები, „აზნაურებს მისდევდნენ მსახურები, რომელთაც ბეგარის მაგივრად ბატონის სამსახური და თანხლება ედვათ და რომელნიც ყოველთვის მზად უნდა ყოფილიყვნენ აზნაურებთან ერთად ომში გამოსასვლელად. მსახურებს მოსდევდა გლეხობა, რომლის უდიდეს ნაწილსაც შეადგენდა ბეგარის გადამხდელი გლეხობა (მოყალნე გლეხი აღმოსავლეთ საქართველოში — ყალანი ნიშნავს მიწის გადასანადს, — მებეგრე გლეხი სხვაგან, მოინალე — ოდიშსა და აფხაზეთშიც). აზნაურებს შეიძლება ყოლოდათ ყმად როგორც მსახურნი, ისე გლეხნი, მსახურთ — მხოლოდ გლეხნი. ყველასი ვალდებულება და გადასახადი სასტიკად განსაზღვრული იყო ჩვეულებით და კანონით“.[1] ზემოთ აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ ავტორი მხოლოდ ზოგად დახასიათებას იძლევა და სრულ წარმოდგენას ვერა ქმნის მსახურისა და მებეგრე გლეხის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ს. კაკაბაძე აღნიშნავს, რომ „ეკონომიური ცხოვრების არევ-დარევამ, საერთო გაჭირვებამ, ამასთანავე გახშირებულმა ურთიერთ ხდომამ და ტყვეთ ადამიანთა მოტაცებამ თანდათან გააუარესა გლეხთა უფლებრივი მდგომარეობა. მსახურთა, მებეგრე გლეხებთან შედარებით, პრივილეგიური მდგომარეობა შეირყა და მსახურიც უფლებრივად თანდათან უახლოვდება გლეხს. ამასთანავე XVII საუკუნეში და ამ დროითგან მსახურთა რიცხვი თანდათან კლებულობს: ნაწილი მათი თანდათან გადადის მებეგრე გლეხთა

[1] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნის ეპოქა. თბ., 1920, გვ. 6.

კატეგორიაში. მოყალნე ანუ მებეგრე გლეხის ვითარებაც გაუარესდა"[1]

„XVII საუკუნის დასასრულიდან დასავლეთ საქართველოში ჩნდება ახალი, ეგრეთ წოდებული მოჯალაბე გლეხთა კატეგორია, რომელიც ბატონის სრულ საკუთრებას შეადგენდა და თავისი მდგომარეობით მონას უფრო შეჰგვანდა"[2].

გვიანსაუკუნეების ხანის საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიის შესწავლას მიუძღვნა რიგი შრომები აკად. ნ. ბერძენიშვილმა: „საქართველოს ისტორია XIII—XIV საუკუნეებში", «Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI в.в.)", „ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში", „XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან" და სხვა. ამ შრომებში ნ. ბერძენიშვილი არ იფარგლება აღნიშნული საუკუნეებით და იძლევა ფეოდალური ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და განვითარების საერთო სურათს.

ქვეყნის მდგომარეობას აუარესებდა სუსტი ეკონომიური ბაზისი, ნატურალური მეურნეობის ბატონობა, ფეოდალური იმუნიტეტის ზრდა, დაქუცმაცებული საქართველოს თითოეულ ნაწილში სამეფო ხელისუფლების სისუსტე. ფეოდალები უფრო და უფრო მეტ უფლებებს იტაცებენ. საქართველოს დაშლა მხოლოდ „სამეფოების" წარმოქმნით არ დამთავრებულა. დასავლეთ საქართველოში იმერეთის სამეფოს გამოეყო გურიის, ოდიშისა და აფხაზეთის სამთავროები, ხოლო როგორც დასავლეთი საქართველო, ასევე აღმოსავლეთი საქართველო მოიფინა მეფეებისადმი ნომინალურად დამოკიდებული სათავადოებით. „გახელმწიფებული" ფეოდალები კიდევ უფრო მეტად ზრდიან ექსპლოატაციას, ამას თან ერთვის XVI—XVII საუკუნეებში ოსმალებისა და ყიზილბაშების გამუდმებული თარეში, რაც კიდევ უფრო მეტად აჩანაგებს გლეხის ეკონომიურ მდგომარეობას.

პროფ. დ. გვრიტიშვილი თავის გამოკვლევაში დიდ ადგილს უთმობს გლეხობის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლას (ქართლის სათავადოებში). თუმცა იგი დასავლეთი საქართველოს გლეხობის საკითხს ცალკე არ შეხებია, მაგრამ მისი დასკვნით „ისტორიულად, გლეხი სოციალური ურთიერთობის ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომი კატეგორიის აღმნიშვნელი ტერმინი იყო. რაც უფრო ღრმავდებოდა ეს სოციალური დიფერენციაცია, მით უფრო ფართოვდებოდა „გლეხის" შინაარსი და ამ ფონზე

---

[1] ს. კაკაბაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 80.

[2] იქვე, გვ. 80—81.

ფეოდალურ საქართველოში გლეხი ყმის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად იქცა. ყმა გლეხის მდგომარეობამდე დავიდა".[1]

საფუძვლიანი გამოკვლევა უძღვნა პროფ. ო. სოსელიამ დასავლეთ საქართველოში სათავადოების სისტემის წარმოქმნას[2]. წიგნში წარმოჩენილია ის წანამძღვრები, რომლებმაც განაპირობეს სათავადოთა წარმოქმნა საქართველოში საერთოდ და კერძოდ, დასავლეთ საქართველოში; მოცემულია სათავადოთა ორგანიზაციის ზოგადი დახასიათება; შესწავლილია სათავადოთა სოციალ-პოლიტიკური სტრუქტურა, ფეოდალური საკუთრების ფორმები, საგლეხო ვალდებულებათა სახეები; კლასობრივი ბრძოლის ფორმები; ნაჩვენებია სათავადოთა ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები: ფეოდალური იურისდიქცია, იმუნიტეტი და სხვა.

ლევან მუსხელიშვილმა ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა გლეხთა კატეგორიებს შრომაში „დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალ-ეკონომიური კატეგორიები XVI—XVII სს.".

ავტორმა უარყო დასავლეთ საქართველოს გლეხთა კატეგორიების სარგის კაკაბაძისეული დაყოფა და თავისი სქემა წარმოგვიდგინა. ეს ნაშრომი უმთავრესად XVI საუკუნის დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთების, შემოსავლის დავთრების ანალიზს ემყარება. ვინაიდან საერო საბუთები უმნიშვნელო რაოდენობით არის შემონახული, ლ. მუსხელიშვილს დასაშვებად მიაჩნია საეკლესიო გლეხთა სოციალ-ეკონომიკური კატეგორიები საერო გლეხთა მიმართაც გამოიყენოს და მათ შორის მსგავსება დაინახოს:[3].

ლ. მუსხელიშვილმა ყურადღება მიაქცია ტერმინ „გლეხს" და დაასკვნა, რომ „გლეხი" დასავლეთ საქართველოში, ვიდრე მე-19 საუკუნის შუახანებამდე, არ ნიშნავდა ერთი სოციალურ-ეკონომიური ფენის კაცს, გლეხობა არ წარმოადგენდა ერთ მთლიანს წოდებრივ ფენას, გლეხი რამდენიმე კატეგორიისა იყო და ამ კატეგორიათა შორის დიდი სოციალურ-ეკონომიური სხვაობა არსებობდა".[4]

---

[1] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 185.

[2] ო. ს ო ს ე ლ ი ა, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ. 1966.

[3] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, „დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალ-ეკონომიკური კატეგორიები XVI—XVII სს." საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, 1940, № 5—6, გვ. 268.

[4] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 269.

როგორც ცნობილია, XIII საუკუნისათვის ძირითადად დასრულდა დიდი სოციალური პროცესი: „გლეხთა ფენაში გაერთიანდა ქვეყნის მატერიალური დოვლათის მწარმოებელთა მიწისმოქმედი ნაწილი“. ამ ფენის საერთო დამახასიათებელი ის იყო, რომ „ყველა გლეხი მებეგრე იყო და ეს იმის გამო, რომ მიწა (ფუძე), რომელზედაც გლეხი მეურნეობდა, ფეოდალის საკუთრებას შეადგენდა, ხოლო გლეხი ამ მიწით საშვილიშვილოდ სარგებლობდა. სხვა მხრივ, ე. ი. უფლებრივი და ეკონომიკური თვალსაზრისით, გლეხობა არ წარმოადგენდა ერთფეროვან მასას. უმრავლესობა მკვიდრი გლეხობა იყო. მკვიდრი იმ გლეხს ეწოდებოდა, რომელიც მამით შვილამდე ერთი ფეოდალის ხელთ რჩებოდა. მკვიდრების გვერდით სახლობდნენ გარეთმოსული გლეხებიც.

როგორც მკვიდრ, ისე გარეთმოსულ გლეხებში გამოირჩეოდა სხვადასხვა უფლებრივი კატეგორიები.[1] ნებიერი ისეთ გლეხს ეწოდებოდა, რომელიც თავის ნებით მიუვიდოდა ფეოდალს და გარკვეული პირობით ეყმობოდა მას. თუ ასეთი გლეხი თავის ყმობას წერილობით დაუდასტურებდა ფეოდალს და ამ უკანასკნელის ყმათა სიაში მოჰყვებოდა, მას თავდაწერილი ეწოდებოდა, თუ არა — ის თავდაუწერელი რჩებოდა. თუ გლეხს მისი მდგომარეობის განმსაზღვრელი წერილობითი საბუთი მეფისაგან ჰქონდა მიცემული, მას სიგელოსანი ეწოდებოდა. ნასყიდი ეწოდებოდა იმას, ვინც ფეოდალს სყიდვით, პირადად შეეძინა, ნაწყალობევი კი ის იყო, ვინც მეფემ ან საერთოდ მაღლა მდგომმა ფეოდალმა თავის ხელქვეით ფეოდალს („ყმას“) ერთგული სამსახურის ჯილდოდ უბოძა. შეწირული ისეთ გლეხს ეწოდებოდა, რომელიც ფეოდალმა ამა თუ იმ ხატს (ეკლესია-მონასტერს) გადასცა.

გლეხთა კატეგორიების ეს სიმრავლე, — ნებიერიდან ნასყიდამდე, — ცხადი მოწმობა იყო იმ მუდმივი ბრძოლისა, რომელიც ფეოდალებსა და გლეხებს შორის წარმოებდა და ფეოდალური ურთიერთობის შინაარსს შეადგენდა.[2] ამასვე მოწმობდა ბეგარისა (ნატურალური თუ ფულადი რენტის) და შუშაობა-სამსახურის (შრომითი რენტის) სახეობათა სიმრავლე.

ეკონომიკურად გლეხობა მრავალფეროვანი იყო. მის ქონებად საგლეხო ფუძე ითვლებოდა, მაგრამ გლეხთა მდგომარეობა თანდათან უარესდება; მართალია იგი მკვიდრია, მაგრამ მემამულის მიწაზე ზის, ტრადიციით ამ მიწის მფლობელია, მაგრამ იგი ვალდებულია ბეგარა გადაიხადოს მემამულის სასარგებლოდ.

---

[1] საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 181.

[2] იქვე.

დაბეგრილ ანუ ყმა გლეხთა კატეგორიები XVI—XVII საუკუნეებშიც ისეთივე იყო, როგორც წინა საუკუნეების დროს. არსებობდნენ „ნასყიდნი, ნაწყალობევნი, მკვიდრნი, შეწირულნი, ნებიერნი და სხვა კატეგორიების ყმები. მაგრამ XVI—XVII საუკუნეებში ამ მხრივაც ხდება ზოგი მნიშვნელოვანი ცვლილება. ჯერ ერთი, ბატონყმური ურთიერთობა თანდათან აქრობს „ნებიერ“, ამ ნახევრად თავისუფალ ყმათა კატეგორიას და მას ათანაბრებს გლეხთა სხვა კატეგორიებთან. ამას გარდა, XVI საუკუნეში ბატონყმური ურთიერთობის შემდგომმა გამწვავებამ, რასაც ზედ ერთოდა გამუდმებული საშინაო და საგარეო ომიანობა, ჩამოაყალიბა, გააფორმა გლეხთა ახალი კატეგორიები — ბოგანო, ხიზანი, მოჯალაბე და სხვა“[1].

მიწა, რასაც განსხვავებული ფენებისა და კატეგორიების გლეხები ამუშავებდნენ, მებატონის საკუთრება იყო, გლეხი მას მხოლოდ მემკვიდრეობით, ტრადიციით ფლობდა. მებატონის მიერ გლეხი მიწაზე იყო მიმაგრებული, მაგრამ ფაქტიურად მიწაც გლეხზე იყო მიმაგრებული.[2]

მსახურიც და მებეგრე (კახეთში „მოყალნე“) გლეხნიც ერთი სოციალური კლასის წარმომადგენლები არიან. მათი საერთო ეკონომიური ნიშანია წარმოების ძირითად საშუალებასთან — მიწასთან დამოკიდებულების ხასიათი. არც მსახური, არც მებეგრე (მოყალნე) ფეოდალურ საზოგადოებაში მიწის მესაკუთრე არ არის. მსახურს ისევე, როგორც მებეგრეს, მიწა უმთავრესად მიღებული აქვს სამემკვიდრეო მფლობელობაში და ამ მიზეზითაა დაქვემდებარებული მიწის მესაკუთრე ფეოდალისადმი. ეს არის ფეოდალური საზოგადოების ეკონომიური საფუძველი.[3]

XVI—XVIII საუკუნეებში დასავლეთი საქართველო პოლიტიკურად დაქუცმაცებულია და ეკონომიკურად დაქვეითებულია. გლეხთა ვალდებულებანი თანდათანობით მძიმდება. გლეხს უკვე დიდი ხანია დაკარგული აქვს ეკონომიური და პირადი დამოუკიდებლობა. იგი მიჯაჭვულია მებატონის მიწაზე და ბატონის ნებართვის გარეშე წასვლა არ შეუძლია.[4]

მამულიანობის თვალსაზრისით გლეხები იყვნენ ორი სახისა, ერთნი — მკვიდრი გლეხები, რომელთაც მამული ჰქონდათ და მეო-

---

[1] საქართველოს ისტორია, I, გვ. 310, 311.

[2] ნ. ასათიანი, გლეხობა XVI—XVIII საუკუნეების კახეთის სამეფოში (ხელნაწერი), გვ. 166.

[3] ი ქ ვ ე.

[4] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV. 1973, გვ. 189.

რენი — უმიწო, უმამულო; მათ ბოგანო ეწოდებოდათ (იხ. ქვემოთ).

დასავლეთ საქართველოში გლეხთა სოციალური დანაწილების შესახებ ცნობა მოგვეპოვება 1470—1474 წლების ძეგლში „მცნება სასჯულო“. იგი ჩამოთვლის წოდებებს: „თავადნი, აზნაურნი, გინა აზნაურისშვილი, მსახურნი გინა გლეხნი“.[1] „მცნება სასჯულოში“ წარმოდგენილია ორი დაბალი წოდება: მსახურნი და გლეხნი, მაგრამ 1543—1549 წლების ძეგლი „სამართალი კათალიკოზისა“ მხოლოდ გლეხებს ასახელებს. აქ დასახელებულია: თავადისშვილი, აზნაურისშვილი და გლეხი.[2] ასევე მსახურის გარეშე ასახელებს გლეხს ბაგრატ III-ის 1527 წლის შეწირულების წიგნი[3] და ვახუშტი აბაშიძის XVI საუკუნის შეწირულების წიგნი.[4]

მაშასადამე, ტერმინ „გლეხს“ ჰქონდა ორგვარი მნიშვნელობა: ფართო მნიშვნელობით ის აღნიშნავდა მთელს მიწისმოქმედ მოსახლეობას, როგორც მაღალი, ისე დაბალი ფენისას, ხოლო უფრო ვიწროდ, ისე, როგორც ის ნახმარია „მცნება სასჯულოში“, აღნიშნავდა მხოლოდ დაბალი ფენის მიწის შუშას[5].

ტერმინი გლეხი (სამეგრელოში მოინალე) XVII საუკუნეშიც იხმარება ზოგადი მნიშვნელობით: იქ, სადაც გლეხია დასახელებული, მსახურიც იგულისხმება.[6]

ტერმინი გლეხი იხმარება ვიწრო მნიშვნელობითაც. მაგალითად, კაცხის საბუთში მოხსენიებულია „მსახურნი“ და „გლეხი“[7]. იმავე პერიოდის დავით კათალიკოსის წყალობის წიგნში დასახელებულნი არიან „აზნაურისშვილნი, მსახურნი და გლეხნი“[8].

ამრიგად, XVI—XVII საუკუნეებში არსებობს ორი საგლეხო კატეგორია: „მსახური“ და „გლეხი“. მაგრამ ეს ორი კატეგორია

---

[1] ი. დ ო ლ ი ძ ე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 224, იხ. აგრეთვე საქცენტრარქივი, ფონ. 1448, საქ. 5020.

[2] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, სამართალი კათალიკოზისა და მისი შედგენის დრო, ტფ. 1913, გვ. 3—5.

[3] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, ტფ. 1921., გვ. 9, იხ. საქცენტრარქივი, ფონ. 1449, საქ. 1672.

[4] იქვე, გვ. 21—26. იხ. აგრეთვე საქცენტრარქივი, ფონ. 1449, საქ. 1583.

[5] ლ. მ ე ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 271.

[6] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 78, 84.

[7] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საისტორიო კრებული, III, გვ. 56.

[8] საქართველოს ისტორიული, II, გვ. 89.

მრავალფეროვანი იყო და თითოეული მათგანი ნაწილდებოდა რამდენიმე ქვეკატეგორიად.

დაბეგრილი გლეხები XVI საუკუნეში იყოფოდნენ ორ ძირითად ფენად: მეტვირთედ და მომუშავეებად. ეს ქვეკატეგორიები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ ბატონისადმი სამსახურებრივი მოვალეობითა და გამოსაღებით. გამოსაღები მებეგრე გლეხს ერთხელ და სამუდამოდ გადაკეთილი ჰქონდა და მკვეთრი ცვლილება ამ ხაზით არ შეიმჩნევა, თუ არ ჩავთვლით გადასახადების საერთო მომატებას გლეხთა მთლიანი ფენის ექსპლოატაციის ზრდის საფუძველზე.

XVII საუკუნისათვის მოინალე გლეხები სამი ფენისაგან შედგებიან: მეტვირთე, მომუშავე და მოინალე. ეს ფენები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან საბატონო სამსახურითა და გამოსაღებით.

ასევე XVI საუკუნეში დაბეგრილი მსახური ორ ფენად — მოსამსახურედ და მოლაშქრედ იყოფოდა, XVII საუკუნეში დაბეგრილი მსახური ხუთი ფენისაგან შედგება: 1. მეტვირთე, 2. მომუშავე, 3. მონადე, 4. მოსამსახურე და 5. მოლაშქრე.[1]

აღნიშნულიდან ჩანს, გლეხობა ერთ მთლიან სოციალურ ფენას არ წარმოადგენდა, დროთა განმავლობაში მისი უფლებრივი და ეკონომიკური მდგომარეობა იცვლებოდა, ამის მიხედვით იცვლებოდა სოციალური აღნაგობაც.

სხვა ქართველ მკვლევარებთან ერთად, პროფ. ო. სოსელიაც იმ აზრისაა, რომ „განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში გლეხობა, ეკონომიკურ და სოციალურ-უფლებრივი თვალსაზრისით, ერთ მთლიან სოციალურ ფენას არ წარმოადგენდა. დროთა განმავლობაში იცვლებოდა გლეხობის სოციალური აღნაგობაც“[2].

გლეხები კუთვნილების თვალსაზრისით განირჩეოდნენ: ა) სამეფო ან სამთავრო, ბ) სამონასტრო-საეკლესიო და გ) საბატონო (თავადის, აზნაურის)[3].

განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში (XII საუკუნე) დასრულდა გლეხთა მიწაზე მიმაგრების პროცესი. აღბუღას კანონების მიხედვით ბატონს თავისი ყმა შვიდი წლის განმავლობაში შეუძლია ძებნოს და უკან დააბრუნოს, ხოლო თუ ამ ხანში ვერ იპოვის, ეს ყმა მისგან თავისუფალია[4]. ვახტანგ VI-მ ეს კანონი

---

[1] ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 312.

[2] ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან. თბ., 1966. გვ. 67.

[3] იქვე.

[4] აღბუღას კანონი, მუხლი 78.

30 წლამდე გაზარდა[1]. რუსეთში ჯერ ხუთი წელიწადი იყო.[2] შემდეგ 10—15 წელი, ხოლო 1649 წელს ალექსი მიხეილის ძემ ვადა მოსპო და მებატონეებს ნება დართო ყმა უვადოდ ეძებნათ.[3]

აღბუღასა და ვახტანგის კანონებში დიდი სხვაობაა. აღბუღას კანონები ყმა გლეხებს ქონებრივ და პიროვნულ უფლებას ანიჭებენ. ვახტანგის კანონმა ყმა გლეხს უფრო შეუმცირა თავისუფლება და მოაკლო ქონებრივი უფლება.

აღბუღას კანონით გლეხს აქვს საკუთარი სარჩო, რომელიც შეუძლია თან წაიღოს ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლისას. კარდა ამისა, გლეხს ერგება მესამედი ნაწილი იმ მოძრავი ქონებისა, რომელიც თავისი შრომით შესძინა ბატონს. გლეხს აქვს უფლება ბატონის ხელის მოწერით გაყიდოს და დააგირაოს მამული. გლეხს, რომელიც ახალ ბატონს მიეწერა, შეუძლია დაბრუნდეს ძველ ბატონთან, ეს უფლება ვრცელდება შვილიშვილამდე.

თუ შვიდი წლის განმავლობაში ყმა გლეხი არ დაბრუნდა და არც ძველმა ბატონმა მოიკითხა იგი, წინანდელი ბატონი კარგავს უფლებას წაიყვანოს დაკარგული გლეხი თავისთან.[4]

აღბუღას კანონმდებლობა არ არჩევს ნაბოძებს, ნასყიდს და თავისი ნებით მისულს. მაგრამ როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში ყმის კეთილმდგომარეობა გაუარესდა. ვახტანგის კანონი უკვე ასხვავებს ნასყიდს, ბოძებულსა და თავისი ნებით მისულს. ვახტანგის კანონმა შეავიწროვა ყმა და აღიარა, რომ „ყმისა ყველა ბატონისა არის“.

აღბუღას კანონმა იცის მხოლოდ დროებითი მოვალე, რომელსაც შეუძლია გადაიხადოს ვალი და გათავისუფლდეს.[5]

განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში გლეხი განირჩეოდა: ა) მკვიდრი და ბ) გარეთმოსული. ორივე ჯგუფში იყვნენ გლეხების სხვადასხვა უფლებრივი კატეგორიები: 1. ნებიერი, 2. ნასყიდი, 3. ნაწყალობევი და 4. შეწირული.[6]

ამ საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში საკმაოდ ვხვდებით ნებიერ ანუ ნებით მოსულ გლეხებს, განსაკუთრებით აფხაზეთსა

---

[1] ვახტანგის კანონი, მუხლი 202, ვახტანგ VI სამართლის წიგნი, თბ., 1955.

[2] სსრ კავშირის ისტორია, VII კლასის დამხმ. სახელმძღვანელო, თბ., 1973, გვ. 164.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 180.

[4] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, აღბუღას კანონი, გვ. 78.

[5] ი ქ ვ ე.

[6] საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1957, გვ. 181.

და სვანეთში, სადაც გლეხთა დაურვების პროცესი ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო[1].

თავისუფალი გლეხის ყმობა მემამულესთან იმით იყო გამოწვეული, რომ გლეხი გაჭირვებას განიცდიდა, მას მიწა-წყალი არ ჰქონდა ან არ ჰყოფნიდა, მფარველი, დამცველი სჭირდებოდა.

ნებით მოსული გლეხი თავისუფლებას ინარჩუნებდა და უფლება ჰქონდა თავის ბატონს ყმობოდა[2]. თუმცა მებატონისაგან იმის ცდასაც ჰქონდა ადგილი, რომ ნებიერი გლეხი სამუდამოდ დაეყმევებინა და თავის მკვიდრ ძირ ყმად ექცია.

გვიანი ფეოდალიზმის ხანაში, ექსპლოატაციის ზრდის პირობებში, მკვიდრსა, ნასყიდსა, ნაწყალობევსა და ნებიერ ყმა-გლეხთა შორის განსხვავება თანდათან ისპობა. გლეხობის ფართო მასა ორ ძირითად ფენად იყოფა: მსახურებად და დაბეგრილ გლეხებად[3].

მსახური

მსახურთა ინსტიტუტი ფეოდალური ურთიერთობის ყველა საფეხურზე ჩანს და საქართველოს ყველა ნაწილისათვის არის დამახასიათებელი. მსახური ჰყავს მეფეს, ეკლესიას, ფეოდალს; იგი გლეხთა კატეგორიაში თავსდება, მაგრამ მისი მოვალეობა შედარებით საპატიოა და ამიტომ გლეხთა სხვა კატეგორიებისაგან საგრძნობლად განსხვავდება. ეს განსხვავება ოფიციალურ საკანონმდებლო ძეგლებშიც არის ასახული[4].

მებატონეს თავისი ფეოდალური მეურნეობის გაძღოლისა და საფეოდალოში დისციპლინის განმტკიცებისათვის ესაჭიროება ერთგული პირები თვით გლეხებიდანაც. ეს განსაკუთრებით საჭირო შეიქმნა ბატონყმობის პერიოდში; ამ დროს კლასობრივი წინააღმდეგობა მებატონეებსა და ყმა-გლეხობას შორის უკიდურესად არის გაზრდილი. ამიტომ მებატონის კარზე ყმა-გლეხთა შორის მსახურს პრივილეგიური მდგომარეობა უკავია. მებეგრე გლეხებთან შედარებით მას უფრო საპატიო სამსახური აკისრია და საბატონო გამოსაღებისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლებულია, მაგრამ მსახური მაინც თავისი პატრონის ყმა-გლეხია, მებატონეს შეუძლია მსახური გაყიდოს, გაამზითვოს, დასაჯოს და სხვა.

---

[1] ო. სოსელია, დასახ. ნაშრ., გვ. 69, 70, 73.
[2] იქვე, გვ. 73—75.
[3] იქვე, გვ. 76.
[4] დ. გერიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 186.

მსახურთა ფენა დროისა და პირობების მიხედვით ცვლილებებს განიცდის. ბატონყმური ურთიერთობის განვითარებასთან ერთად იგი თანდათან მიექანება დაბეგრილ გლეხთა რიგებისაკენ, მაგრამ მებატონეები იძულებული არიან მაინც შეინარჩუნონ გლეხთა ეს ფენა. მიუხედავად იმისა, რომ მსუბუქად დაბეგრილი მსახურნი დასავლეთ საქართველოში მებეგრე გლეხებად გადაიქცნენ, მსახურთა მეორე ნაწილი — დაუბეგრავნი გასაოცარ სიმყარეს იჩენდნენ[1].

მსახური გლეხზე მაღლა და აზნაურზე დაბლა იდგა, იგი პრივილეგიურ ფენას ქმნიდა. ბექა-აღბუღას კანონის მიხედვით, მსახურის სისხლი ღირდა 1000 თეთრი (ხოლო თუ იგი აზნაურის მოვალეობას ასრულებდა — 1200 თეთრი), გლეხისა კი — ოთხასი[2].

ვახტანგის კანონის მიხედვით, მსახურის სისხლი 240 მანეთი ღირს, ხოლო გლეხისა 120 მანეთი[3]. როგორც ამ კანონებიდან ჩანს, მსახური XVI—XVII საუკუნეებში დაქვეითებას განიცდის. ამან გამოხატულება ჰპოვა მსახურის სისხლის ფასის შემცირებაში. ბექა-აღბუღას კანონით, მსახურის სისხლი გლეხის სისხლზე ორნახევარჯერ მეტია, ხოლო ვახტანგის კანონის მიხედვით — ორჯერ მეტი.

მსახურს ბატონის მიმართ „საპატიო სამსახური — ლაშქრობა-მხლებლობა და მასპინძლობა“ ევალებოდა, პირადი თავისუფლება მასაც დაკარგული ჰქონდა. კანონი 30 წლის განმავლობაში დაკარგული ყმის ძებნის შესახებ მსახურზეც ვრცელდებოდა.

მსახურები ორ ძირითად ფენად იყოფოდნენ: 1. მსახური-მოლაშქრენი და 2. მსახური-მოზელეები.

მსახური-მოლაშქრეები თავიანთი ფუნქციის მოლაშქრეობა-მხლებლობის გარდა ფეოდალის კარზე ქმნიდნენ რაზმებს და ასრულებდნენ პოლიციურ ფუნქციებს გლეხობის მიმართ[4]. ხოლო მსახურთა მეორე ფენა — მსახური-მოხელეები: მოურავი, ნაცვალი,

---

[1] ლ. მ ე ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 312.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ი. დ ო ლ ი ძ ი ს რედ., გვ. 428, 29 მუხლი.

[3] იქვე. გვ. 489, მუხლი 32—33. შემდეგში სისხლის ფასმა იმატა. მეფე ერეკლეს დადგენით (1786 წ.) თუშისა, ანწუხისა და ქართლელის სისხლი 300 მანეთამდე ავიდა (რათა მოესპო კაცის კვლა და ავაზაკობა).

[4] გ. ა კ ო ფ ა შ ვ ი ლ ი, გლეხთა კატეგორიების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 34; 1962, გვ. 70.

ჩამასახლისი, მდივანი, მოლარე, იასაული, შათირი და სხვანი მსახურობდნენ ფეოდალის სამფლობელოში.[1]

ამ ორ ფენას გარდა გვხვდებიან ხელოსანი-მსახურები: მჭედელი, მზარეული, მეღვინე, ხაბაზი და სხვ. ნ. ასათიანი მსახურთა კატეგორიიდან გამოყოფს სამ ფენას: 1. მხლებელ-მოლაშქრეებს, 2. მოხელეებს და 3. ხელოსნობით მსახურთ.[2]

ამრიგად, XVI—XVII საუკუნეებში მეფე-მთავრისა თუ ფეოდალის კარზე საპატიო სამსახურს მსახური ასრულებდა, ხოლო არასაპატიოს — გლეხი. მაგრამ მსახურთა ფენა საბოლოო ანგარიშით გლეხთა კლასში შედიოდა.

მსახურს თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის ფეოდალი აძლევდა მიწას, მაგრამ ეს მიწა მემკვიდრეობით მფლობელობაში არ გადადიოდა. ვახტანგი ამბობს თავის განჩინებაში, რომ „მსახური თავის მამულს ვერ გაჰყიდის, იმიტომ რომ ის მამული, ჩვენი მსახური ვინც იქნება, იმას უნდა ჰქონდეს, და თუ ან გაჰყიდის ან იყიდის ვინმე, განმსყიდველსაც და მყიდველსაც დიდად ავად მოვეპყრობით, რადგან მსახურთ მამული, ვინც ჩვენი მსახურნი იქნებიან, იმათთვის არის განწესებული, სხვათ არ მიეცემა“.[3]

მიუხედავად იმისა, რომ მსახურთა მიწა მემკვიდრეობით, მამიდან შვილზე არ გადაიცემოდა, მსახურთა მცირე ნაწილს საკუთარი გლეხი ჰყავდა[4].

XVI—XVII საუკუნეთა მანძილზე დაუბეგრავ მსახურთა ფენა ერთგვარ სიმყარეს აღწევს. ეს იმით აიხსნება, რომ აზნაურთა თუ მსახურთა სამხედრო რაზმების გარეშე არსებობა მსხვილ ფეოდალს არ შეეძლო, ვინაიდან ურჩი ყმების დასასჯელად თუ მეზობელ თავადთან დავის დროს სამხედრო ძალა აუცილებელი იყო.[5] ყველა მსხვილი ფეოდალი მსახურთა ხარჯზე ზრდიდა სამხედრო რაზმებს, რომელნიც პატრონის ნება-სურვილის აღმსრულებელნი იყვნენ.

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, გვ. 191.

[2] ნ. ასათიანი, დასახ. ნაშრ., 122.

[3] საქართველოს სიძველენი, ტ. I, გვ. 195.

[4] „დავთარი ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრისა, შედგენილი 1578 წელს, ძველი საქართველო, ტ. IV, გვ. 31; მართებს მჭედლიძეს ლომის — „ოქაცსა ღვინო ათიანით კოკითა თორმეტი და პურის ჭამა და სამსახური აქუს სამი პარტახტი“ (ე. ი. სამი გლეხი ჰყავს).

[5] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, გვ. 193.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. ასათიანი ასკვნის, რომ „მსახურთა ფენის არსებობა გლეხთა ერთიან სოციალურ კლასში სთიშავდა მას, აფერხებდა გლეხთა ერთიან აქტიურ ანტიფეოდალურ გამოსვლას. ამას გარდა, ფეოდალი თვით მსახურთა ვამოყენებით ახშობდა გლეხთა კლასობრივ წინააღმდეგობას".[1]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსახური შედიოდა გლეხთა კლასში, მაგრამ მისი მოვალეობა და უფლება განირჩეოდა ყმა-გლეხთა უფლება-მოვალეობისაგან. მსახურთა მოვალეობას უმთავრესად შეადგენდა სამსახური და ლაშქრობა. მსახური ბატონის მიერ მიცემულ მიწაზე იჯდა.

თვით მსახურებიც არ შეადგენდნენ ერთ მთლიან ფენას. XVI საუკუნის დასავლეთ საქართველოში მსახურთა ერთი ნაწილი მსუბუქად იყო დაბეგრილი, მეორე კი — სულ დაუბეგრავი, მაგრამ XVII საუკუნეში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. მსუბუქად დაბეგრილ მსახურ გლეხთა კატეგორია ფაქტიურად გაქრა და ყმა-გლეხთა კატეგორიაში გადავიდა.

იმ გარემოებას, რომ XVI საუკუნის წყაროებში („სამართალი კათალიკოზისა"[2], ბაგრატ III-ის 1527 წლის წყალობის წიგნი[3] და ვახუშტი აბაშიძის XVI საუკუნის შეწირულების წიგნი[4]) თავადისა და აზნაურის გარდა დასახელებულია მხოლოდ გლეხი, ლ. მუსხელიშვილი იმით ხსნის, რომ XVI საუკუნეში „გლეხი" ფართო მნიშვნელობითაა ნახმარი და მასში მსახურიც შედის.[5] ო. სოსელია არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და თავის მხრივ დასძენს: „თუ XV საუკუნეში მებეგრე გლეხისაგან მსახური ასე თუ ისე განირჩეოდა, XVI საუკუნეში იგი თავისი მდგომარეობით (ბატონთან დამოკიდებულებით, ვალდებულებით) მებეგრე გლეხს დაუახლოვდა, მებეგრე გლეხისაგან მისი გარჩევა არც ისე ადვილია, ამიტომაც საკვირველი არაა, თუ წყაროებში მსახური გლეხთა ფართო მასაში არის ნაგულისხმევი".[6]

ტერმინ „გლეხის" ქვეშ რომ მსახურიც იგულისხმება, ამას ადასტურებს 1545 წლის გელათის დავთარი; მაგალითად, ნაცვალი მამ-

---

[1] ნ. ასათიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 177.

[2] ს. კაკაბაძე, სამართალი კათალიკოზისა და მისი შედგენის დრო, ტფ., 1913.

[3] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, 1921, გვ. 3, საქცენტრარქივი, ფონ. 1449, საქ. 1672.

[4] ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 21. საქცენტრარქივი, ფონ. 1449, საქ. 1583.

[5] ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 217.

[6] ო. სოსელია, დასახ. ნაშრ., გვ. 77:

რიკიშვილი მსახურია, მას ცხენით სამსახური მართებს, მაგრამ იგი რიონელ გლეხთა სიაშია მოთავსებული.[1]

ასევე ხოირის საკათალიკოზო ყმები მსახურები არიან, სხვა ბეგარასთან ერთად მართებთ ლაშქრობა და სამსახური, მაგრამ გლეხთა სიას არიან მიწერილი.[2]

ბევრ საბუთში მსახურები არ არიან ნახსენები, ისინი გლეხთა შორის იგულისხმებიან.

1550—1570 წლების ეახუშტი აბაშიძის შეწირულების წიგნი ამბობს: „საღმრთოდ გამოიღებდნენ რასაცა კუამლი ამოსდიოდეს ბატონმან აზნაურიშვილმან და გლეხმან".[3] ასევე 1527 წლის წყალობის წიგნში ბაგრატ III აღნიშნავს: „ანუ თავადნი ანუ აზნაურისშვილნი ანუ გლეხნი."[4] ან კიდევ 1569 წლის გიორგი II-ის შეწირულების წიგნში დასახელებულნი არიან მეფე, თავადი, აზნაური და გლეხი,[5] უფრო ადრინდელ 1470—1474 წლების შამადავლე დადიანის წიგნი საკათალიკოზო სარგოს შესახებ ასახელებს აზნაურს და გლეხს.[6] როგორც ვხედავთ, მსახურები არც აქაა ნახსენები.

მებეგრე გლეხისაგან რომ მსახურის გარჩევა ადვილი არ არის, ამას არქანჯელო ლამბერტიც ადასტურებს. მისი ცნობით, „მსახურები ანუ გლეხები ჩვეულებისამებრ, მტკიცედ ასრულებენ თავის სამსახურს და იხდიან იმ ბეგარას, რაც თავიანთ ბატონის ძველიდან ჰმართებიათ (ე. ი. წინა საუკუნეებიდან), ჩვეულებრივ მათი მოვალეობა ის არის, რომ ოჯახის ერთ-ერთი წევრი, მორიგეობით, ბატონს მის სახლში ემსახურებოდეს. ლაშქარსა და მგზავრობაში მსახური თან უნდა ეახლოს ბატონს ცხენით, თუ ცხენი ჰყავს, ან ფეხით, თუ ცხენი არა ჰყავს. ხვნა-თესვისა და მოსავლის დროს მსახური ვალდებულია თავის ჯალაბით, თოხით, გუთნით და ხარებით მიეხმაროს თავის ბატონს".[7]

როგორც აქედან ჩანს, მსახური და გლეხი თითქმის არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: ერთიც დაბეგრილია და მეორეც, მხოლოდ, მოინალეს (გლეხს), გარდა ზემოხსენებული ვალდებულებისა, უფრო სათაკილო ტვირთი ადევს—მისი მოვალეობაა ზამთრისათვის ბატონს შეშა მოუმზადოს; როცა ბატონი სადმე მიემგზავრე-

---

[1] აფხაზეთის საკ. გლეხების დიდი დავთარი, გვ. 62; ს. ც. ა. ფონ. 1448. საქ. 3322.

[2] იქვე, გვ. 56.

[3] დას. საქ. საეკ. საბ. I, გვ. 26; ს. ც. ა. ფონ. 1449, საქ. 1583.

[4] დასახ. ნაშრ., გვ. 9.

[5] დასახ. ნაშრ., გვ. 19.

[6] დასახ. ნაშრ., გვ. 2.

[7] არქანჯელო ლამბერტი, დასახ. ნაშრ., გვ. 27—28.

ბა, მისი ბარგი (ჭურჭლეული, სასმელ-საჭმელი, ლოგინი) მოინალეგ უნდა უზიდოს თავისი ზურგით. ნება არა აქვს ცხენით ეახლოს, კიდეც რომ ჰყავდეს ცხენი[1]..

საკათალიკოსო დავთრების მიხედვით ჩანს, რომ საეკლესიო გლეხები შედარებით უკეთეს პირობებში იყვნენ, ვიდრე საბატონო გლეხები.

საეკლესიო გლეხები გარკვეული ბეგარის გარდა არაფერს იხდიდნენ, ხოლო საბატონო გლეხების შესახებ არქანჯელო ლამბერტი აღნიშნავს, რომ გარდა პირადი სამსახურისა, ყოველი გლეხი ვალდებულია ბატონს, მისი მოთხოვნისამებრ, აჭამოს წელიწადში ერთხელ, ორჯერ ან სამჯერ, ჩვეულებისა და იმის მიხედვით, თუ რამდენი მიწა-ადგილი აქვს გლეხს. ვინც უფრო შეძლებულია, ძროხა უნდა მიუყვანოს და ურმით ღომი, პური, ღვინო და ქათმები მიუზიდოს, ვისაც ნაკლები მიწა-ადგილი აქვს უნდა მიუყვანოს ერთი ღორი, სამი თუ ოთხი გუდა ღვინო და ერთი ტომარა ღომი... გარდა ამისა, ყველანი მზად უნდა იყვნენ მიიღონ თავიანთ სახლში და შეძლებისამებრ გაუმასპინძლდნენ უცხო კაცს, რომელსაც ბატონი მათთან დასადგომად გამოგზავნის. როცა ბატონს სტუმრები მიუვა, ყოველი ყმა ვალდებულია ძღვნად მიართვას პური, ღვინო, ქათმები, ყველი და ხილი. დიდ ღღესასწაულებში ჩვეულებად არის მიღებული, რომ ყმა ბატონს გაუმასპინძლდეს. ყმა უმასპინძლდებოდა ბატონს აგრეთვე შობის და დიდ მარხვაში. გარდა ამისა, როცა ბატონი მოისურვებს, შეუძლია მივიდეს თავის ყმასთან ვახშმად ან სადილად და ყმა ვალდებულია გაუმართოს კარგი მასპინძლობა.

„სამსახური" სამი მნიშვნელობით იხმარებოდა: 1) ლაშქრობა, 2) საკუთრივ სამსახური და 3) მუშაობა.

ლაშქრობა ყველას ევალებოდა, როგორც საქვეყნო-სავალდებულო სამსახური; მაგალითად, შეწირულ ყმას ყოველგვარი სამსახურისაგან ათავისუფლებდნენ, გარდა „ლაშქრობა-ნადირობისა"[2].

არქანჯელო ლამბერტის სიტყვით, ოდიშში ვერავინ ვერ გაითავისუფლებს თავს ლაშქრობისაგან, რაც უნდა დიდი გვარის კაცი იყოს ან რაც უნდა ავადმყოფი იყოს. ლაშქრობა შეიძლებოდა ცხენითაც და ფეხითაც.[3]

საკუთრივ სამსახური იყო როგორც საპატიო, ისე სათაკილო. იგი ცხენითაც სრულდებოდა და ფეხითაც. საპატიო სამსახურს ას-

---

[1] არქანჯელო ლამბერტი, დასახ. ნაშრ., გვ. 27—28.

[2] საისტორიო კრებული, III, გამოსცა ს. კაკაბაძემ, თბ., 1928, გვ. 50

[3] არქანჯელო ლამბერტი, დასახ. ნაშრ., გვ. 87.

რულებდა მსახური, სათაკილოს — გლეხი (მოინალე), საპატიო სამსახური ცხენით სრულდებოდა, სათაკილო — ფეხით, ლამბერტის გადმოცემით, მოინალე თავის ბატონს ცხენით ვერ ეახლებოდა, კიდევაც რომ ჰყოლოდა იგი.[1] საპატიო სამსახურში შედიოდა ხელოსნობით სამსახური, მოლარეობა, სახლთუხუცესობა, მოურავობა და სხვანი.[2] სათაკილო სამსახურად ითვლებოდა სასახლეში მუშაობა, განსაკუთრებით დამამცირებელ სამსახურად ითვლებოდა ტვირთის და ბარგის ზიდვა.[3] ნ. ბერძენიშვილის გადმოცემით, გურიაში ტვირთის მზიდავს ზიზღით იხსენიებდნენ.

სამსახური მსახურსაც ევალებოდა და გლეხსაც. სამსახური ვიწრო მნიშვნელობით ეწოდებოდა ბატონის დავალებით, მისი მოთხოვნით შესრულებულ სამსახურს.

სამსახური ზოგჯერ ბატონის მიერაა დადგენილი. ასე, მაგ. „მართებს მუშაობა ორი დღე".[4] „მართებს სამი დღის მუშაობა",[5] „მართებს ერთი კვირის სამსახური"[6], ან კიდევ „მართებს სამსახური სასახლის, როდესაც მოვიკითხავთ"[7] და სხვა.

ქუთაისის საყდრის დავთარში გვხვდება ტერმინი „სამსახური ოჩისა"[8], „მართებს სახლისა და ოჩის მუშაობა"[9] (ოჩე მეგრულად ნიშნავს ყანას), ე. ი. ოჩის სამსახური ნიშნავდა ყანაში მუშაობას. იყო აგრეთვე „ყავრით სამსახური"[10], „ომფორის სამსახური" (ქუთ. დავთ. გვ. 4), „ჟურჟლის სამსახური" (ქუთ. დავთ. გვ. 5).

მუშაობა — გულისხმობდა ბატონის სახლ-კარის მოვლა-პატრონობას, მინდორში მუშაობას. მუშაობა განსაზღვრული იყო დღიურად, მაგ., „ორი დღის მუშაობა",[11] „სამი დღის მუშაობა",[12] „კვირაში

---

[1] არქანჯელო ლამბერტი, დასახ. ნაშრ., გვ. 28.

[2] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, ტფ. 1921, გვ. 22—23, იხ. აგრეთვე ს. ც. ა. ფონ. 1449, საქ. 1583.

[3] ს. კაკაბაძე, აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების ძველი დავთარი, თბ., 1914, გვ. 54—55. ს. ც. ა. 1448, საქ. 3322.

[4] იქვე, გვ. 35; იხ. აგრეთვე ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 23, ს. ც. ა. ფონ. 1449, საქ. 1583.

[5] იქვე, გვ. 35.

[6] იქვე, გვ. 34.

[7] იქვე.

[8] დავთარი ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრისა, შედგენილი 1578 წელს, ძველი საქართველო, ტ. IV, გვ. 64.

[9] იქვე, გვ. 70.

[10] იქვე, გვ. 45.

[11] აფხაზეთის საკათალიკოზო დავთარი, გვ. 9; ს. ც. ა. ფონ. 1448, საქ. 3322.

[12] იქვე, გვ. 22.

ორორის დღის მუშაობა",[1] „ყოვლის დღის მუშაობა"[2] და სხვ. იყო აგრეთვე „ზვრის მუშაობა", „სასახლის მუშაობა", „თოხნა", „მარგელა", „თივის თიბვა", „ყურძნის კრეფა", „იფქლის მკა", „ქერის მკა", „საყდრის მუშაობა".[3]

ლ. მუსხელიშვილს უამრავი ფაქტობრივი მასალა მოაქვს იმის დასადასტურებლად, რომ დასავლეთ საქართველოში მსახურთა უმრავლესობას საგლეხო ვალდებულება ჰქონდა დაკისრებული.[4] მაგალითად, 135 კომლი მსახურიდან 63 კომლი გლეხივითაა დაბეგრილი, 36 კომლი მსუბუქადაა დაბეგრილი, მხოლოდ 36 კომლი არაა დაბეგრილი. მათ მხოლოდ ბატონის სამსახური და მასპინძლობა ევალებათ. ხოლო ზოგიერთ სოფელში, მაგალითად, ხოირს, ოცხანას, მაღლაკს და ბაშს დაუბეგრავი მსახური სულ არაა.[5] ზოგ შემთხვევაში XVI საუკუნეში მსახური უფრო მეტად არის დაბეგრილი, ვიდრე გლეხი.[6]

მსახურთა მდგომარეობა იმდენად იცვლება, რომ XVI საუკუნისაგან განსხვავებით, XVII საუკუნეში მათ მუშაობა დაეკისრით და ზოგიერთი მეტვირთეც კი გახდა.[7]

პროფ. ო. სოსელია იზიარებს იმ აზრს, რომ მსახურთა ფენა თანდათან კარგავს თავის პირვანდელ პრივილეგიას; დაბეგრილ გლეხთა კატეგორიაში გადადის და მე-19 საუკუნეში მსახური, როგორც ცალკე კატეგორია, უკვე აღარ არსებობს.[8]

ო. სოსელია ასეთ ევოლუციას ხედავს მსახურთა ფენაში: „თუ მე-16-17 საუკუნეებში მსახურნი სამ ჯგუფს შეადგენდნენ: 1) მსახური. ცხენით, 2) მსახური უბრალოდ, მსუბუქად დაბეგრილი ღა

---

[1] საეკლესიო საბუთები, I, გვ. 23; ს. ც. ა. ფონ. 1449, საქ. 1583.

[2] ქუთაისის საყდრის დავთარი, გვ. 45.

[3] იქვე, გვ. 5.

[4] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 280—295.

[5] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი, თბ., 1914, გვ. 50—51, 80—89; საქცენტრარქივი, ფონ. 1448, საქ. 3322, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დავთარი ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრისა, შედგენილი 1578 წელს, ძველი საქართველო, ტ. IV; ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 283—289.

[6] მებეგრე გლეხს ქრისტესშიას ქაჯაიას „მართებს საკლავი ორი, ქათამი ორი; ღვინო გუდა ორი, ატარი ღომი 3, 2 ზროხა მეთორმეტეს წელსა და ტვირთის ზიღეა", ხოლო მსახურ ცისტარიას მამის მამას „მართებს 4 საკლავი, ქათამი 4, ურემი ღვინო ერთი, ატარი ღომი 9, მეთორმეტეს წელიწადს მთელი ზროხა და ლაშქრობა", იხ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი, თბ., 1914, გვ. 55.

[7] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 299—300.

[8] ო. ს ო ს ე ლ ი ა, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 79.

3) მსახური უბრალოდ, თავ-ბეგრით დაბეგრილი, მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან მსახურთა მხოლოდ ერთი-მეორე — ჯგუფი რჩება. ცხენით მსახურთა ჯგუფის მოვალეობას ბატონის წინაშე ახლა როგორც წესი, წვრილი აზნაურები ასრულებენ. ამ ჯგუფის მსახურნი ან აღზევებულან, აზნაურთა ფენაში გადასულან, ან ღიმ-ცირებულან, მეორე ჯგუფში მოქცეულან, ხოლო მესამე ჯგუფი მებეგრე გლეხთა კატეგორიაში გადასულა. მსახურთა დარჩენილი მცირერიცხოვანი მეორე ჯგუფის ვალდებულებაც დამძიმებულა"[1].

მსახურს გლეხისაგან ასხვავებს ის, რომ მის ვალდებულებაში მუშაობა არ შედის, ხოლო ტვირთით მისი დაბეგრა ნიშნავს არა-საპატიო, დაბეგრილ გლეხთა კატეგორიაში მოხვედრას. უფრო მოგვიანებით მსახურთა კატეგორია მთლად ქრება და როგორც ცალ-კე ფენა XIX საუკუნეში აღარ არსებობს.[2]

მებეგრე გლეხები. (სამეგრელოში „მოინალეები". მეგრული სი-ტყვა „მოინალე" ქართულ „მოსამსახურეს" შეესაბამება, მაგრამ შინაარსობრივ „მსახურს" არ აღნიშნავს. მოინალე მსახურზე უფ-რო დაბლა იდგა)[3]. მოსახლეობის ძირითად კატეგორიას მებეგრე გლეხები წარმოადგენენ, მათი მთავარი მოვალეობა ბეგარის გადახ-და და მუშაობა იყო. ბეგარა ფართო მნიშვნელობით ყოველგვარ ნატურალურსა და ფულად გადასახადს ეწოდებოდა, ვიწრო მნიშვ-ნელობით ბეგარა ნიშნავდა „თავ-ბეგარას", „მთავარ ბეგარას", „მარ-თალ ბეგარას", რომლის გარდა არსებობდა „სხვა ბეგარა" „ძღვე-ნი", „სამასპინძლო" (სამეგრელოში „გოჭკომური") და სხვ. მებეგ-რე-მოინალე გლეხის დამახასიათებელი ვალდებულება იყო აგრეთ-ვე „მუშაობა", რომელშიც იგულისხმებოდა ყოველგვარი მუშაო-ბა და ბატონის სასახლის მეურნეობაში მონაწილეობა, ტვირთის ზიდვა, ჭურის რეცხვა, ზვრის მუშაობა, ხოდაბუნის მკა და სხვა მრავალი. მუშაობა თავის მხრივ განიყოფებოდა „ნიადაგ მუშაო-ბად" და „ნადობად"[4].

დაბეგრილ ანუ ყმა გლეხთა კატეგორიები XVI—XVII საუკუ-ნეებში ძირითადად ისეთივე იყო. როგორც წინა პერიოდში, მაგ-რამ აღნიშნულ საუკუნეებში მოხდა ზოგი მნიშვნელოვანი ცვლილე-ბა. თანდათან გაქრა „ნებიერ" ყმათა კატეგორია და იგი გაუთანაბრ-

---

[1] ო. ს ო ს ე ლ ი ა. ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 80.

[2] ბ ო ტ ო ზ ი ნ ი, რ ა ფ. ე რ ი ს თ ა ვ ი და მ უ რ ი ე, ბატონყმობა სამეგ-რელოში, ტფ., 1927, გვ. 86, ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, მასალები დასავლეთ საქართვე-ლოს სოციალური და ეკონომიური ისტორიისათვის, საისტორიო კრებული, I. 1928. გვ. 8.

[3] საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 311.

[4] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, გვ. 193, 194.

და გლეხთა სხვა კატეგორიებს; გარდა ამისა, XVI საუკუნეში გამუდმებული საგარეო და საშინაო ომიანობის შედეგად XVII საუკუნეში გაჩნდა გლეხთა ახალი კატეგორიები — ბოგანო, ხიზანი, მოჯალაბე და სხვ.

ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოში მებეგრე გლეხები ოთხ ჯგუფად იყოფოდნენ: 1. „კარგი გლეხი", „კარგი კვამლი", რომლის მამული საკომლოსაგან შედგებოდა და სრულ ბეგარას იხდიდა; 2. „შუათანა გლეხი", რომელიც ნახევარ საკომლოს ფლობდა და სრულ ბეგარას არ იხდიდა, 3. „მცირე გლეხი", ანუ „დაბალი გლეხი", რომლის მამული ნახევარ საკომლოზე ნაკლებს შეადგენდა და ბეგარასაც ნაკლებს იხდიდა; 4. „შეუძლებელი გლეხი", ანუ „დაბეგრილი გლეხი"[1].

პროფ. გ. ჯამბურია მიუთითებს, რომ „ასევე ოთხი ეკონომიური ჯგუფი უნდა ყოფილიყო დასავლეთ საქართველოს მებეგრე მოინალეებშიც"[2], თუმცა წყაროების უქონლობის გამო ამის ზუსტად დადგენა არ ხერხდებაო, მსგავს სურათს გვაძლევს საწერეთლოს გლეხთა გადასახადის აღმწერ-შემდგენელი 1828—1843 წლებში, რომლის მიხედვითაც გლეხები ოთხ საგადასახადო კატეგორიად არიან დაყოფილი[3].

გლეხთა ოთხ კატეგორიად დაყოფის ცნობა მოიპოვება აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდ დავთარში და საცაიშლოს გამოსავლის დავთარში.

მართალია, ამ დავთრებში მითითებული არ არის მებეგრე გლეხების ჯგუფებად დაყოფა, მაგრამ ბეგარის მიხედვით ნათლად ჩანს, რომ გლეხები ოთხ ჯგუფად იყოფიან, რომელნიც განსხვავებული რაოდენობის ბეგარას იხდიან.

როგორც ჩანს, არსებობდა გლეხთა მეხუთე კატეგორიაც, რომელნიც მიწის სიმცირის გამო ნატურით არაფერს იხდიდნენ: მაგალითად, „ორ მცეხველს ბეგარა არა მართებთ სამსახურისა და მცეხველობის მეტი" (აფხაზეთის საკათალიკოზო დიდი დავთარი, გვ. 51).

როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში გლეხთა ვალდებულება თანდათან მძიმდება; მებატონე ან პირდაპირ უდიდებს გლეხს ვალდებულებას, ან სხვა გზას მიმართავს.

---

[1] ო. სოსელია. ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან. 1946, გვ. 142—143.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, გვ. 194.

[3] იქვე.

XII—XV საუკუნეების განმავლობაში „თავი ბეგარის“ გარდა, გაჩნდა „სხვა ბეგარა“. გლეხთა საგადასახადო ნორმების ზრდა და „სხვა ბეგარის“ წარმოქმნა XVI—XVII საუკუნეებში საერთო მოვლენას წარმოადგენდა.[1] ამას ადასტურებს აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი, სადაც XVI საუკუნის მეორე ნახევარში გლეხ ბაზაძეს უნდა გადაეხადა „ერთი თეთრი, 12 კოკა ღვინო, 6 საწონი ღომი, ერთი კოდი პური, ძღუენი, სამი ქათამი და მუშაობა“[2]. იმავე ბაზაძეს XVII საუკუნის პირველ ნახევარში თეთრის გადასახადი 10-ჯერ გაუდიდდა, ხოლო „ქერის გამოსაღები“ დაემატა[3].

აღნიშნულ პერიოდში გლეხ ცოტნიაშვილს მართებდა: 13 თეთრი, 16 კოკა ღვინო, 8 საწონი ღომი, 1 კოდი პური, 1 ქერი, ძღვენი, 3 ქათამი, და მუშაობა[4]. ხოლო XVII საუკუნის პირველ ნახევარში ცოტნიაშვილს ღვინის გადასახადი 5 კოკით გაუზარდეს[5].

XVII საუკუნეში სოფ. ნაგუაზაუში მცხოვრებ გლეხებს ბეგარა პირვანდელ მართებულთან შედარებით ათ-ათი კოდი ღომით და ექვს-ექვსი კოკა ღვინით მეტი შეუტანიათ. [6]

მომდევნო XVIII საუკუნეში გლეხთა გადასახადები კიდევ უფრო დიდდება, ამას თვით დოკუმენტები „ღაღადებენ“: „ყამთა ვითარებისაგან დიდი ბეგარა დაგდებოდათო“[7], აღნიშნულია წყაროებში.

საბატონო ვალდებულების გარდა გლეხს ევალებოდა გადაეხადა სახელმწიფო გადასახადი, რასაც „საური“ და „საუდიერო“ ეწოდებოდა[8].

---

[1] საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 314.

[2] ს. კაკაბაძე, აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი, 1913, გვ. 64; ს. ც. ა. ფონ. 1448, საქ. 3322.

[3] იქვე, გვ. 5—6.

[4] იქვე, გვ. 64.

[5] იქვე, გვ. 5.

[6] იქვე, 5—6.

[7] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, 1921, გვ. 93, 106, 141; დოკუმენტები... II, გვ. 286, № 448.

[8] „საურის“ გადასახადი მონღოლების დროიდან შემოიღეს. აღმოსავლეთ საქართველოში მას „სათათრო“, ხოლო დასავლეთ საქართველოში „სახვეთქრო“ ეწოდებოდა. „საუდიერო“ კი დასავლეთ საქართველოში თურქების ბატონობის დროიდან გაჩნდა და „საძალოდ სათხოვარს“ ნიშნავს.

„საური“ და „საუდიერო“ გადასახადს დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა რაოდენობით იხდიდნენ.[1]

მ ო ჯ ა ლ ა ბ ე („დოლმახორე“ სამეგრელოში) ვლეხთა კატეგორია მხოლოდ დასავლეთ საქართველოში გვხვდება. აღმოსავლეთ საქართველოში მოჯალაბე „სახლეულის“, „ბიჭის“ და „კოგოს“ სახელითაა ცნობილი.

მოჯალაბეს მიწა არა აქვს, იგი ბატონის კარ-მიდამოზე ცხოვრობს თავისი ცოლ-შვილით და ყველაზე სათაკილო და მძიმე სამუშაოს ასრულებს (პირუტყვისა და მისი სადგომის მოვლა, შეშის ჩეხვა, საფქვავის ზიდვა, ღომის ცეხვა, პურის რჩევა და სხვ.); მოჯალაბე ზოგჯერ გლეხადაც კი არ იწოდებოდა.

რაფ. ერისთავის აღწერის მიხედვით „მოჯალაბე ბატონს შეეძლო გაეყიდნა და მზითევში გაეყოლებინა როგორც მთელის ოჯახით, ისე ცალ-ცალკე წევრი ოჯახისა. თავის ოჯახიანად მოჯალაბე ბატონის ეზოში ცხოვრობს, თავს ირჩენს ბატონის ნასუფრალით, აგრეთვე ღომის გაცეხვის შემდეგ ნარჩენ ქატოთი, სიმინდით, გოგრით, ლობიოთი, მხალით, რომელთაც თვითონვე მოიწევდა ბატონის ბოსტანში; მასვე ეკუთვნის შიგნეული ბატონის ეზოში დაკლული საქონლისა. ტანთ იცვამენ ბატონისა და მისი ოჯახის წევრების გამონაცვალს ან ვისმე ნაჩუქარს ძველძულებს, საერთოდ დაგლეჯილი და ძონძები აცვიათ“[2].

ზემოთ აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ მოჯალაბეს სრული ბატონ-პატრონი ბატონია და მისი მდგომარეობა მონის მდგომარეობას უახლოვდება.

მოჯალაბეთა კატეგორია XVII საუკუნიდან ჩანს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ადრე არ იყვნენ, რადგან სოციალური ფენის გაჩენა-ჩამოყალიბება ხანგრძლივი პროცესია. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ადრე მოჯალაბის მოვალეობას მებეგრე გლეხებიდან მორიგეობით გამოყვანილი მოსამსახურენი ასრულებდნენ[3].

ხიზანი. ხიზან გლეხთა კატეგორია რადიკალურად განსხვავდება სხვა გლეხთა კატეგორიებისაგან. გლეხთა არც ერთ კატეგორია-

---

[1] საისტორიო მოამბე, 5, 1950. გვ. 210—211; 251; ბატონყმობა სამეგრელოში, გვ. 90; ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი, თბ., 1939, გვ. 90.

[2] ბატონყმობა სამეგრელოში, გვ. 86, 87; დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 87—88, 100, 108, II, გვ. 31.

[3] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, გვ. 198—199, ო ს ო ს ე ლ ი ა, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, გვ. 84—91; ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 317.

ზე არ დაწერილა იმდენი, რაც ხიზანთა კატეგორიაზე დაიწერა როგორც რევოლუციამდე, ისე მის შემდგომ პერიოდში[1].

პროფ. დ. გვრიტიშვილმა თავის გამოკვლევაში „ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან“ შეისწავლა ხიზანთა ინსტიტუტი, კრიტიკულად განიხილა წინამორბედთა ნაზრევი და ახალი დამატებითი მასალების გამოყენებით მოგვცა გლეხთა ამ კატეგორიის დახასიათება. ავტორის დაკვირვებით, „ხიზანი გლეხთა ისეთი კატეგორიაა, რომელიც პირად თავისუფლებას ჰფლობს, მაგრამ საწარმოო საშუალებათა მთავარ ელემენტს — მიწას მოკლებულია. ამდენად მებატონისა და ხიზნის ურთიერთობის მთავარი საფუძველი უპირველეს ყოვლისა არის მიწა“[2].

ხიზანი ერთი ბატონიდან მეორესთან შეხიზნული გლეხია, რომელიც ბატონის მიწას ამუშავებს და მას ღალას უხდის.

პროფ დ. გვრიტიშვილი ხიზნობის წარმოშობას XIII საუკუნიდან, ე. ი. მონღოლთა ბატონობის დროიდან ვარაუდობს,[3] თუმცა გლეხთა გადასახლებანი ერთი ადგილიდან მეორეში ყოველი დიდი ისტორიული ქარტეხილის დროს ხდებოდა.

მიწა, რომლითაც ხიზანი სარგებლობს, „ხიზნის“ სამუდამო მფლობელობაში არ გადადიოდა. ხიზანს ბატონი ადვილად იშორებდა, თუკი ამას საჭიროდ თვლიდა, ამავე დროს ხიზანსაც უფლება ჰქონდა მიეტოვებინა მეპატრონე და ახალ ადგილზე ეძებნა თავშესაფარი.

ამდენად, ხიზანი არ იყო „პატრონის“ ყმა ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. როგორც ცნობილია, ბატონყმური ურთიერთობის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ არა მარტო ყმა არის მიჯაჭვული ბატონის მიწაზე, არამედ მიწაც — ყმაზე. ხიზანს ეს ნიშანი არასოდეს ჰქონია.[4] პროფ. გ. ჯამბურიას დახასიათებით, „ხიზანი გაქცეულია ერთი ბატონიდან მეორესთან, იმის მიწაზე ზის და ღალას უხდის.ზოგჯერ კი თავის პირველ ბატონსაც უხდის გადასახადს. იგი ყოველდღე უკან წაყეანას მოელის და ამიტომ ინტენსიურ მეურნეობას ვერ მისდევს“[5].

ვ. გუჩუა თავის საკანდიდატო დისერტაციაში „ხიზნობა და ხიზანთა საკითხი საქართველოში“ ხიზნობის ჩამოყალიბებას XVI საუკუნის დასაწყისიდან ვარაუდობს. მისი შეხედულებით ეს განა-

---

[1] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 201—204.
[2] დასახ. ნაშრომში, გვ. 205.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 204.
[4] იქვე, გვ. 206 -207.
[5] გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, ქართული ფეოდალური ურთიერთობიდან, გვ. 123.

პირობა ქვეყნის პოლიტიკურმა დაქუცმაცებამ. გაქცევიდან 30 წლის შემდეგ ყმა-გლეხი თავისუფლდებოდა ბატონყმური დამოკიდებულებისაგან და ხიზანი ხდებოდა[1].

ნ. ასათიანის მიხედვით ხიზანი გარკვეულად მაინც დაკავშირებულია თავის პირველ ბატონთან. შეიძლება იგი მისგან გამოქცეულია, მაგრამ რადგანაც ყოველწუთს აყრას და უკანდაბრუნებას მოელის, ამდენად იგი მაინც ითვლება... იმ პირველი მებატონის ყმად. ეს იცის კარგად თვითონ ხიზნად მოსულმა გლეხმა, ეს იცის მისმა ახალმა ბატონმაც და ამიტომაა, რომ მათ შორის ბატონყმური ურთიერთობის დამყარება არ შეიძლება. ხიზანი თავისუფალია ახალ ბატონთან ურთიერთობაში, მაგრამ იურიდიულად ძველი მებატონის ყმად რჩება. ამას ამტკიცებს ის ფაქტიც, რომ ზოგჯერ მებატონე თვითონვე გააბარებდა თავის ყმა-გლეხს სხვა მებატონესთან „ხიზნად" („მიბარებული"). ამ მდგომარეობის გათვალისწინებით გასაგები გახდება, თუ რატომ იყო წარმოქმნილი განსხვავება „ნებურსა" („ნებითმისულსა") და „ხიზანს" შორის. ხიზანის აყრის ნება ძველ მებატონეს ჰქონდა, „ნებიერსა" და „თავშეწირულს" კი ვერავინ ვერ აყრიდა[2].

პროფ. დ. გვრიტიშვილის მიერ მოტანილი ერთი ცნობის მიხედვით ხიზნები სამ ჯგუფად იყოფიან:

1) გლეხები, რომლებიც მებატონეს დროებით შეაფარებენ თავს და ქამთასიავის გადასვლის შემდეგ ბრუნდებიან ძველ საცხოვრებელზე;

2) გლეხები, რომლებიც მებატონის მიწაზე უვადოდ დასახლდნენ, მაგრამ შეინარჩუნეს წასვლის უფლება;

3) გლეხები, რომლებიც ერთი მებატონის მიწაზე სახლობენ, მაგრამ სხვა მებატონისაგან ვადით იღებენ მიწას დასამუშავებლად — საღალოდ[3]. როგორც ნ. ასათიანი აღნიშნავს, სამივე შემთხვევაში ხიზანნი იურიდიულად თავისუფალნი ჩანან ახალ მებატონესთან დამოკიდებულებაში, მაგრამ გარკვეულად ამქღავნებენ ძველ მებატონესთან (ძველ საცხოვრებელ ადგილთან) დამოკიდებულების ფაქტს[4].

„თუ მებატონე ვალს აიღებდა და დათქმულ დროზე ვერ გადაიხდიდა, მაშინ მოვალე მევალეს ყმებს დაუგირავებდა, დაგირავე-

---

[1] ვ. გუჩუა, ხიზან გლეხთა წარმოშობის საკითხისათვის, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, წ. 34, 1962, თბ., გვ. 60—63.

[2] თ. ქორდანია, ქართლ-კახეთის ეკლესია-მონასტრების ისტორიული საბუთები, გვ. 22.

[3] დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 205.

[4] ნ. ასათიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 221.

ბული ყმები მებატონის მიწაზე რჩებოდნენ, მაგრამ ამ შემთხვევის გამო ეს ყმები გუშინდელ ბატონისადმი დღეს ხიზნების მდგომარეობაში იმყოფებოდნენ"[1].

ძველი მებატონე ფეოდალური სამართლის ძალით გაქცეულ გლეხს ხშირად უკან იბრუნებდა. რადგან მას ახალი ადგილიდან ისევ აყრა მოელოდა, ამიტომ იგი ინტენსიურ მეურნეობას არ მისდევდა. ხიზანი გლეხები XVI—XVII საუკუნეებში გვხვდებიან. ხიზნობა განსაკუთრებით გავრცელდა XVII საუკუნის მეორე ნახევარში, რაც გამოწვეული იყო გლეხთა ექსპლოატაციისა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავებით.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დადგენილად ითვლება, რომ დასავლეთი საქართველოდან და ქართლიდან სისტემატურად მიედინებოდნენ გაქცეული გლეხები კახეთში და იქ სახლდებოდნენ. ამის მიზეზი იყო ერთი ის, რომ კახეთი ამ დროისათვის ეკონომიკურად მომძლავრებულია და შედარებით მშვიდობიანი, მეორე მხრივ, ამ დროს არსებული პოლიტიკური გათიშულობა ფაქტიურად ათავისუფლებდა ქართლიდან და დასავლეთი საქართველოდან გაქცეულ ყმა-გლეხებს, რადგან მათზე ძველ მებატონეს ხელი ვერ მიუწვდებოდა.

---

[1] დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 205

მწერლობა და ხელოვნება XI-16-18 საუკუნეების იმერეთის სამეფოში

ქართული ენა და მწერლობა თავიდანვე წარმოადგენდა ქართველურ ტომთა ერთ-ერთ მთავარ გამაერთიანებელ ნიშანს. ჯერ კიდევ ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნამდე, ქართლი (ე. ი. საქართველო) ეწოდებოდა ქვეყანას, „სადაც ქართულითა ენითა ქამი შეიწირვის“. ენისა და მწერლობის ეს დიდი მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდებოდა ქართველი ერის ისტორიის შავბნელ პერიოდებში, კერძოდ, ერთიანი საქართველოს დაქუცმაცებისა და სამეფო-სამთავროების ურთიერთბრძოლის ვითარებაში, რაც გვიანი ფეოდალიზმის პერიოდისათვის იყო დამახასიათებელი.

სწორედ XV—XVIII საუკუნეების საქართველოსათვის, რომელიც ჯერ კიდევ შორს იყო „ერთიან ბურჟუაზიულ ერად“ ჩამოყალიბებამდე, ქართული ენა და ლიტერატურა წარმოადგენდა იმ დულაბს, რასაც ჯერ კიდევ შესწევდა ძალა ერთიანობის გრძნობა და მისდამი მისწრაფება შეენარჩუნებინა ქართულ სამეფო-სამთავროების მესვეურთა და ტომთა შორის.

ამასთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ ძველი სამწერლობო ქართული ენა და ქართული ლიტერატურა არც ენობრივ-სტილისტურად, არც იდეურ-პოლიტიკურად და, საერთოდ, შინაარსობრივად, ძირითადად, არ ამეღავნებს ტომობრივ-გეოგრაფიულ განკერძოებულობასა და მიდრეკილებას — არ არსებობს აღმოსავლურქართული, სამხრეთულქართული და დასავლურქართული ლიტერატურული მიმართულებანი, არამედ მთელი ჩვენი მწერლობა არსებითად ერთიანქართულია, ჩვენი სამშობლოს რომელ კუთხეშიც არ უნდა იყოს შექმნილი ესა თუ ის ნაწარმოები და რომელი ქართული ტომის წარმომადგენელიც არ უნდა იყოს მისი ავტორი.

ეს მოვლენა ლიტერატურის ისტორიაში საყოველთაო ხასიათისა არ არის, ვინაიდან მსოფლიოს ბევრი მოწინავე ლიტერატურის ისტორია ტომობრივ-კუთხური მიმართულებით ვითარდებოდა და ეს მიმართულებანი ღრმა კვალს ტოვებდნენ საერთო-ეროვნული ლიტერატურის განვითარებაზე.

ამრიგად, XVI—XVIII საუკუნეების ქართული მწერლობის ძეგლები, რომლებიც დასავლეთ საქართველოში შეიქმნა, საერთო-ქართული მწერლობის ძეგლებია როგორც თავისი ფორმით, ისე შინაარსით, მაგრამ ამ პერიოდის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ სამწერლობო მოღვაწეობას უკვე აღარ აქვს ინტენსიური ხასიათი, იგი სპორადიულია, ჩვენი ლიტერატურის ისტორიის ოქროს ხანასთან შედარებით მეტად ღარიბია როგორც რაოდენობრივად, ისე ფორმით და შინაარსით.

ჩვენამდე მოღწეული ლიტერატურული მემკვიდრეობა ცხადყოფს, რომ დასავლეთ საქართველოში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა უკვე IX—X საუკუნეებში ყოფილა გაჩაღებული, ხოლო მას შემდეგ, რაც ქუთაისი დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და ეკონომიკური ცხოვრების ცენტრად იქცა, კულტურულ-შემოქმედებითი ტალღა თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს გადასწვდა. მუშაობა გაიშალა სამეფო ქალაქ ქუთაისში, მთავართა (ზუგდიდი, ოზურგეთი) და ერისთავთა (რაჭა) სასახლეებში, მონასტრებსა (გელათი, ჯრუჭი, მარტვილი, წალენჯიხა, ხობი და სხვ.) და კათედრალურ ტაძრებში (ცაიში, ბედია, შემოქმედი, ცაგერი და სხვ.); მდიდარი წიგნსაცავები შეიქმნა ვანის, მღვიმის, უდაბნოს, ლაბეჭინის, ნიკორწმინდის, საირმის, ნამარნევისა და სხვა ეკლესია-მონასტრებში.

დასავლეთ საქართველოში დამზადდა მრავალი ძვირფასი ხელნაწერი: გელათის ბიბლია, გელათ-გარეჯის, კაცხის, ცაიშის, ბედიის, შემოქმედისა და გურიანთის გულანები, თეთროსნის დავითნი, მოქვისა და გელათის ოთხთავები, მოქცევაა ქართლისაა, ვეფხისტყაოსნის რამდენიმე ხელნაწერი და მრავალი სხვ. დასავლეთ საქართველოდან ჩვენამდე მოაღწია უცხოეთში შექმნილმა ზოგიერთმა ნუსხამ, მაგალითად, გოლგოთის სვინაქსარმა, რომანის მონასტერში დაწერილმა სახარებამ, პალავრის კრებულმა. აგრეთვე საქართველოს სხვა კუთხეებში შექმნილმა რამდენიმე ხელნაწერმა: შატბერდის სახარებამ, ოდიშის ოთხთავმა, უდაბნოს მრავალთავმა[1] და სხვ.

განსაკუთრებული ძალით გაიშალა მუშაობა გელათის აკადემიაში. დღიდან დაარსებისა გელათი ქართული კულტურის თვალსაჩინო ცენტრი გახდა. საერო-ფილოსოფიური მეცნიერების განვითარების დონით გელათს თანამედროვენი „მეორე ათენს“ უწოდებდნენ, ხოლო საეკლესიო-სასულიერო მოღვაწეობისა და გა-

---

[1] ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, თბ., 1962, გვ. 575 — 577.

ნათლების მიხედვით „მეორე იერუსალიმად“ მიაჩნდათ. მართლაც, XII—XIV საუკუნეებში გელათში შეიქმნა ცოდნის იმ დონის კვალობაზე ლიტერატურული, ფილოსოფიური და საისტორიო მწერლობის პირველხარისხოვანი ძეგლები, ოქრომჭედლობის საუცხოო ნიმუშები, უნიკალური მოზაიკური მხატვრობა, არქიტექტურის დიდებული ძეგლები. აღნიშნული საუკუნეებისათვის ქართულ ენაზე ნათარგმნი იყო ბიზანტიური ლიტერატურის თითქმის ყველა თვალსაჩინო თხზულება. ქართულად შეიძლებოდა ყოველმხრივი ცოდნის მიღება.

ამ პერიოდის საქართველოში მოღვაწეობდნენ დიდი მოაზროვნეები: ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი, არსენ ბერი და სხვანი. მრავალი ქართველი იგზავნებოდა ბიზანტიის სკოლებში, განსაკუთრებით კონსტანტინეპოლის აკადემიაში.

გელათის აკადემიაში შეიქმნა საკუთარი სკოლა; იგი აგრძელებდა იმ მუშაობას, რომელიც ერთ დროს საზღვარგარეთის ქართულ ცენტრებში — ათონსა და პეტრიწონში ღვიოდა და სადაც იგი შესუსტდა განსაკუთრებით XIII საუკუნიდან.

თუმცა საქართველოში ხშირი და გამანადგურებელი ომები წარმოებდა, რამაც კულტურის მრავალი ძეგლი მოშალა და დაანგრია, გელათი გადაურჩა ამ ნგრევას, რაშიც დიდი როლი მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ შეასრულა. იგი მხოლოდ ორჯერ გახდა მტრის თავდასხმის ობიექტი.

საუკუნეთა მანძილზე გელათის ისტორიაში აღინიშნება აღმავლობისა და დაქვეითების პერიოდები. დაცემის პერიოდი განსაკუთრებით შეინიშნება XV საუკუნიდან. როგორც ცნობილია, ამ პერიოდში წინა აზიაში არსებითი ხასიათის ცვლილებები მოხდა. 1453 წელს თურქებმა აიღეს ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინეპოლი და მოსპეს ეს მოწინავე იმპერია. ამის შემდეგ საქართველოს უშუალოდ გაუმეზობლდა ჩამორჩენილი ოსმალეთი. საქართველო მოწყდა კულტურულ დასავლეთს. ამან უდიდესი გავლენა იქონია მთელ მის მომდევნო ცხოვრებაზე. ასეთ საგარეო ვითარებას დაერთო შინა პოლიტიკური და სოციალური გართულებანი. საქართველო დაიშალა ცალკე პოლიტიკურ ერთეულებად.

ადრე თუ გელათი საქართველოს მეფეთა საძვალე მონასტერს წარმოადგენდა, პოლიტიკური დაშლის შემდეგ იგი მხოლოდ იმერთა მეფეების საკუთრებად იქცა.

XVI საუკუნის დასაწყისიდან ოსმალები უკვე იწყებენ დასავლეთ საქართველოს რბევას, რასაც გელათის ტაძარიც ვერ გადაურჩა. წყაროები აღნიშნავენ: „დაწვეს დიდი მონასტერი გელათისა

შიგნით და გარეთ“ ან კიდევ „მოვიდეს თათარნი და დაწვეს საყდარი ქუთაისისა და გელათი“.

ოსმალთა მიერ აოხრებული გელათის აღსადგენად დიდი სამუშაოები ჩაატარა იმერეთის მეფემ ბაგრატ III (1510—1565 წწ.). მის დროს აღდგა წმ. გიორგის ეკლესია, მოიხატა ღვთისმშობლის ეკლესიის კედლები და სხვ. ამის გამო ბაგრატ მეფეს გელათის „მეორედ აღმაშენებელს“ უწოდებდნენ.

გელათის განახლებაში მეფეს მხარში უდგნენ კათალიკოსი ევდემონ ჩხეტიძე და გენათელი ეპისკოპოსი მელქისედეკ საყვარელიძე[1] (მელქისედეკ საყვარელიძეს ჭელიშშიც უწარმოებია აღმშენებლობითი საქმიანობა[2]).

ბაგრატ მეფის თაოსნობით 1519 წელს გელათში დაარსდა საეპისკოპოსო კათედრა, ხოლო XVI საუკუნის მეორე ნახევარში ბიჭვინთიდან გელათში გადმოიტანეს კათალიკოსის რეზიდენცია, რამაც კიდევ უფრო გაზარდა გელათის მნიშვნელობა.

დიდი მეცნიერულ-შემოქმედებითი მუშაობა იყო გაჩაღებული გელათის მონასტერთან დაარსებულ აკადემიაში: „იქ შეიქმნა მრავალი ფილოსოფიურ-ლიტერატურული ხასიათის თხზულება, იქ გაიშალა მოღვაწეობა იმ ქართული მწერლებისა და მოაზროვნეებისა, რომელთაც არნახულ სიმაღლეზე აიყვანეს ქართული კულტურა“[3]... „გელათში ისწავლებოდა ის საგნები (გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია, ასტრონომია), რომლებსაც სწავლობდნენ იმ დროს ბიზანტიის უმაღლეს სასწავლებლებში. სწავლების სისტემა ბიზანტიური უმაღლესი სკოლების ტრადიციების მიხედვით იყო შემუშავებული. აკადემიის მთელ სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობას ხელმძღვანელობდა მოძღვართ-მოძღვარი“.[4]

XVI საუკუნის 20-იან წლებში გელათის აკადემიის კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრება შენელდა, მოძღვართ-მოძღვარის ინსტიტუტი გაუქმდა, ტაძარი საეპისკოპოსო კათედრალად იქცა. მოძღვართ-მოძღვარი ეპისკოპოსმა შეცვალა. აკადემიის შენობამ თავდაპირველი მნიშვნელობა დაკარგა, ის ბერთა სატრაპეზოდ გადაკეთდა.

---

[1] თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, გვ. 120, ბ. ლომინაძე, გელათი, გვ. 21—22, 32, 34—35, 38, 50.

[2] გ. ბოჭორიძე, რაჭის ისტორიული ძეგლები. საქ. მუზეუმის მოამბე. V, 1930, გვ. 197—198.

[3] ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვ. II, თბ., 1962, გვ. 532.

[4] ლ. მენაბდე, დასახ. ნაშრ. გვ. 533.

მიუხედავად იმისა, რომ გელათმა, როგორც უმაღლესმა სასწავლებელმა, დაკარგა თავისი ძველი მნიშვნელობა, ის მაინც კულტურულ-საგანმანათლებლო და ლიტერატურულ-შემოქმედებითი საქმიანობის ცენტრად დარჩა, იქაური მოღვაწენი დაუღალავად იღვწოდნენ მშობლიური კულტურის საგანძურის დაცვისა და გამდიდრების მიზნით.[1]

გელათის მონასტერში არის დაწერილი საყურადღებო საისტორიო წყარო, რომელიც „გელათური ქრონიკონის" სახელითაა ცნობილი. მისი ავტორი უცნობია, მაგრამ ტექსტიდან ჩანს, რომ იგი გელათელია. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ქუთაისისა და გელათისადმი, ვრცლად ჩერდება საეკლესიო საკითხებზე და კარგად აშუქებს XVI საუკუნის ისტორიის ცალკეულ მომენტებს.

ამავე პერიოდში არის დაწერილი (1543—1549 წწ.) „სამართალი კათალიკოსისა", რომლის შედგენაში მონაწილეობა მიიღეს: სპეციალურად მიწვეულმა ქართლის კათალიკოსმა მალაქიამ (1531—1549 წწ.), აფხაზეთის კათალიკოსმა ევდემონ ჩხეტიძემ (1543 წლიდან 1557 წლამდე ეპისკოპოსი, ხოლო შემდეგ 1578 წლამდე დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი) და დასავლეთ საქართველოს ათმა ეპისკოპოსმა. კრებამ იმსჯელა გამრავლებულ ბოროტმოქმედებათა შესახებ და შეიმუშავა ხალხის ზნეობრივი ცხოვრების ამაღლების მიზნით „სამართალი კათალიკოსისა". იგი ეხება მკვლელობის, ტყვეებით ვაჭრობის, ეკლესიათა ძარცვის, არაკანონიერი ქორწინებისა და სხვა დანაშაულობათა საკითხს.

დასავლეთ საქართველოში დიდი საეკლესიო მოღვაწის ევდემონ ჩხეტიძის ინიციატივით მოუხატავთ გელათის წმ. გიორგის ეკლესია, მასვე მოუპედინებია 1568 წელს ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატი[2]. ევდემონის შეკვეთით დამზადდა მრავალი ხელნაწერი. მაგალითად, ევდემონის დავალებით იოანე ქობინაშვილმა გადაწერა სადღესასწაულო და პარაკლიტონი, მანოელ ინანიკისშვილმა 1565 წელს გელათში გადაწერა მოზრდილი მეტაფრასი, მისივე დაკვეთითაა გადაწერილი ის მეტაფრასი, რომელშიც სხვა მნიშვნელოვან ძეგლებთან ერთად დაცულია ეფრემ მცირის ორიგინალური თხზულება „მოსახსენებელი მცირე სვმეონისთჳს ლოღოთეტისა და თხრობაჲ მიზეზსა ამათ საკითხავთა თარგმანისათა".

---

[1] ლ. მენაბდე, დასახ. ნაშრ., გვ. 534.

[2] ბ. ლომინაძე, ბიჭვინთის ხატის 1568 წლის წარწერა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33, 1960, გვ. 99—102.

ევდემონ ჩხეტიძისაგე დავალებით უნდა იყოს დამზადებული რამდენიმე სხვა თხზულების ხელნაწერი (იამბიკონი, იოანე დამასკელის წიგნი, ცხოვრება თეოდორესი, ათთა ბერძენთა წამებულთა წიგნი, გახგებულეიით ღვთისძეტყველება და სხვ.)[1].

XVI საუკუნის ქართული კულტურის დიდი დამცველი და პოპულარიზატორი ჩანს კათალიკოსი ექვთიმე საყვარელიძე (1578—1616 წწ.).

ექვთიმეს თაოსნობითა და ინიციატივითაა გადაწერილი მრავალი ხელნაწერი და კრებული, მისივე დაკვეთით ონოფრე მონაზონსა და მანოელს გადაუწერიათ მოზრდილი მეტაფრასი; ნათანაელს, გიორგის, ზებედესა და იოანეს — გულანი; ნავკრატიოზ ციწკაძეს — მეტაფრასი; ანანია კალანდაძეს — ჟამნ-გულანი; მისივე დაკვეთითაა გადაწერილი ერკეთის გულანი, იოსიპოს ფლავიოსის „წიგნი ჰურიისაჲ“.[2]

XVII საუკუნის კულტურის მოღვაწეთაგან გამოირჩევა დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი ზაქარია ქვარიანი (1657—1660 წწ.), რომლის თაოსნობით არის მოხატული გელათის ღვთისმშობლის ეკლესიის ზოგიერთი ნაწილი. მისივე ინიციატივითაა გადაწერილი 1653—1655 წლებში გელათ-გარეჯის გულანი. ის დამზადებულია რამდენიმე პირის მიერ (იესე ბაღდიაშვილი, დემეტრე მწერალი, იოსებ კარგარეთელი და სხვ.)[3].

XVII საუკუნის II ნახევრიდან ცნობილია გელათელი მღვდელმთავარი გედეონ ლორთქიფანიძე, რომელიც ერთ ხანს (1669—1676 წლებში) იმერთა მეფე ბაგრატ IV-ემ ელჩად მიავლინა რუსეთში. მისი თაოსნობით დამზადებული და გადაწერილია სახარება-სამოციქულოს საკითხავები[4].

მონღოლთა ბატონობის დროიდან შთელ საქართველოში სწავლა-განათლების საქმე დაქვეითების გზას დაადგა. დასავლეთ საქართველოში შინაფეოდალური ომების შედეგად, რომელსაც დასასრული არ უჩანდა, სწავლა-განათლებისათვის საჭირო პირობები აღარ არსებობდა. მოსახლეობის დაბალი ფენები სრულ უმეცრებაში ცხოვრობდნენ. მიუხედავად ამისა, გაბატონებული კლასის მცირერიცხოვან ნაწილში სწავლა-აღზრდის საქმეს დიდი ყურადღება ექცეოდა. სკოლები არსებობდა ეკლესია-მონასტრებთან, საეპისკოპოსო კათედრებთან, მეფე-მთავართა და მსხვილ ფეოდალთა სასახლეებთან.

---

[1] ლ. მენაბდე, დასახ. ნაშრ., გვ. 529—540.

[2] იქვე, გვ. 541.

[3] იქვე, გვ. 542.

[4] შ. თამარაშვილი, კათოლიკობა ქართველთა შორის, თბ., 1902, გვ. 156—158, 163.

XVII საუკუნიდან საქართველოში კათოლიკე მისიონერებიც აარსებენ სკოლებს; მათი მიზანი იყო კათოლიკობის პროპაგანდა და რომის კათოლიკურ ეკლესიასთან ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის შეერთებისათვის ნიადაგის მომზადება.

არქანჯელო ლამბერტის მოწმობით პატრმა ანტონ ჯარდინამ, რომელმაც კარგად იცოდა ქართული ენა, გურიაში გახსნა სკოლა, შეადგინა ქართული გრამატიკა და დააწყებინა ყმაწვილებს მისი შესწავლა. ბავშვები ჩქარა დაწინაურდნენ სკოლაში და ყველასათვის გასაოცარი შეიქნენ... მისიონერებმა დააპირეს რამდენიმე ყმაწვილი იტალიაში გაეგზავნათ, რათა იქ მაღალი სწავლა მიეღოთ და შემდეგ დაბრუნებოდნენ თავიანთ მამულს... მაგრამ მისიონერები მტრებს მოერიდნენ, იქნებ ხალხში ხმა გაავრცელონ და სთქვან, რომ პატრებმა ყმაწვილები თათრებს მიჰყიდესო. ამის გამო ყმაწვილები ევროპაში აღარ გაგზავნეს.[1]

აღნიშნულ პერიოდში ცხოვრების საერთო დონის დაცემასთან ერთად დაეცა სულიერი კულტურაც. განათლების ცენტრები — მონასტრები თუმცა თავის საგანმანათლებლო მოღვაწეობას განაგრძობდნენ, მაგრამ შემოქმედებითი სამეცნიერო მუშაობა არ ჩანდა. ისინი მხოლოდ ძველი წიგნების გადაწერით კმაყოფილდებოდნენ, მაგრამ მიუხედავად მოსახლეობის კატასტროფული შემცირებისა, და მძიმე სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პირობებისა, XVI—XVII საუკუნეების დასავლეთ საქართველოში მაინც არ შეწყვეტილა საგანმანათლებლო ლიტერატურული მოღვაწეობა.

განსაკუთრებული ისტორიული და მხატვრული ღირებულებისაა ამ პერიოდში შექმნილი მინიატურები, რომლებიც ქართველი მხატვრების მიერაა შესრულებული და დიდი თავისებურებით გამოირჩევა. ამის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს დასავლეთ საქართველოში დახატული XVI საუკუნის ფსალმუნის ილუსტრაციები, რაოდენობით სამოცდაათი.

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში ჩაბმული იყვნენ როგორც ადგილობრივი, ისე დროებით აქ ჩამოსული მწერლებიც. პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ კახეთის მეფე თეიმურაზ პირველი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოდან დევნილი 1649 წლიდან იმერეთის სამეფო კარს აფარებდა თავს. ის რაჭის ხშირი სტუმარი ყოფილა და იქვე (რაჭაში) დაუწერია „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა", „შამიფარეანიანი" და სხვა თხზულებანი.

---

[1] ა. ლ ა მ ბ ე რ ტ ი, დასახ. ნაშრ.

რაჭის ხშირი სტუმარი იყო აგრეთვე არჩილ მეფეც, მაგრამ თუ რა ლიტერატურული მუშაობა ჩაატარა იქ, არა ჩანს.

რაჭის კულტურულ-საგანმანათლებლო კერებიდან აღსანიშნავია ჭელიშის მონასტერი, სადაც თავის დროზე საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა იყო. იქაა ნაპოვნი ლიტერატურაში კარგად ცნობილი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, იქედანვეა დავითნი და ოთხთავი, რომელიც ნიკოლოზ მწირმა გადაწერა და ჭელიშის მონასტერს შეწირა.

ასევე მნიშვნელოვანი წიგნთსაცავები არსებობდა სევაში (ონის რაიონი), ლაბეჭინსა და ნიკორწმინდაში[1] (ამბროლაურის რაიონი).

აღმოსავლეთ საქართველოდან იმერეთში იყო გადასული ცნობილი პოეტი ფეშანგი ხითარიშვილი (ფაშვიბერტყაძე); ის უშუალო მონაწილეა იმდროინდელი პოლიტიკური ბრძოლებისა: მის კალამს ეკუთვნის პოემა „შაჰნავაზიანი“, რომელშიც მოთხრობილია ვახტანგ V-ის მეფობის (1658—1675 წწ.) ისტორია. საფიქრებელია, რომ შინა პოლიტიკური შეხლა-შემოხლის შემდეგ იგი გადავიდა დასავლეთ საქართველოში, დასახლდა ჩხარში, მაგრამ მალე დაუახლოვდა სამეფო კარს და მეფის მდივან-მწიგნობრობასაც მიაღწია. ის აქტიურად მონაწილეობდა თეიმურაზ პირველის, ალექსანდრე მესამისა და რუსი ელჩების — ნ. ტოლოჩანოვისა და ა. იევლევის მოლაპარაკებაში (1650—1652 წწ.). აკადემიკოს გ. ლეონიძის აზრით, ფეშანგის შეუდგენია იმერეთის სამეფოს გეოგრაფიული, ეკონომიკური და სტატისტიკური აღწერილობა და ალექსანდრე მეფის საფიცრის წიგნი რუსთა მფარველობის მიღებაზე[2].

* * *

საქართველო როგორც XVII, ისე XVIII საუკუნის დასაწყისში განიცდიდა ირანისა და თურქეთის ძლიერ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ზეგავლენას, ვახუშტი ბაგრატიონის თქმით „შეერიათ ქართველთა ყიზილბაშური უგვანო წეს-ჩვეულებანი“. ქართველი პოლიტიკური მოღვაწენი ამას კარგად ხედავდნენ და ცდილობდნენ ფიზიკური არსებობის შენარჩუნებასთან ერთად ქართველობისათვის ეროვნული ყოფიერების შენარჩუნებასაც.

ქართული კულტურის დაცვისა და განვითარებისათვის ბრძოლაში უდიდესი როლი შეასრულა ვახტანგ VI-მ, რომელმაც ირგვ-

---

[1] ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 572—573.

[2] გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, წერილები და გამოკვლევები, გვ. 13—14, 17—22.

ლივ შემოიკრიბა ქართველობისათვის თავდადებულთა დასი, რომელთაც არ დაიშურეს ძალა და ენერგია ქართული კულტურისა და მეცნიერების ასაღორძინებლად. ქართლის ეს მაღალი ლიტერატურის დონე საერთო-ქართული მოვლენა იყო და იგი დასავლეთ საქართველოსაც წვდებოდა და კვებავდა. მაგრამ იგი ნაკლებ ეფექტს ახდენდა, რადგან დასავლეთ საქართველოში ფეოდალური დაქუცმაცებულობა და ომები კვლავ მძვინვარებდა. თურქეთის გავლენაც უფრო მეტად იგრძნობოდა და ქვეყნის ბატონ-პატრონნიც ისინი იყვნენ. ასეთ პირობებში რა თქმა უნდა დიდად უძნელდებოდათ მოღვაწეობა ქართველ პატრიოტებს, მაგრამ მიუხედავად სიძნელეებისა, საერო და სასულიერო მცირე დასი მაინც განაგრძობდა ლიტერატურულ-შემოქმედებით მუშაობას და დაუცხრომლად ზრუნავდნენ ქართული კულტურის გადარჩენისათვის.

ამ დროისათვის საერო და სასულიერო ცენტრები იყო: ქუთაისი, გელათი, ოზურგეთი, შემოქმედი, ზუგდიდი, მარტვილი, ცაიში, წესი, კაცხი და სხვ., მაგრამ ძალიან მცირე იყო მათი პროდუქცია, და რაიმე ორიგინალური ნაწარმოები არ შექმნილა. ამ პერიოდში შეიქმნა გიორგი აბაშიძის ავტობიოგრაფიული ხასიათის ლექსი და ქება ვახტანგ VI-ისა.

ამ დროის დასავლეთ საქართველოში არქიტექტურაც დაეცა. ახალი არ იგებოდა და ძველიც ნადგურდებოდა. მხოლოდ ერთადერთი, ძველი ქართული გუმბათოვანი, ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ბარაკონის ეკლესია იქნა აგებული 1753 წელს როსტომ რაჭის ერისთავის ბრძანებით.

იმერთა მეფემ გიორგი IV (1703—1720 წწ.) განაახლა გელათის ღვთისმშობლის ეკლესიის ერთი ეკვდერი, ხოლო 1730 წელს ალექსანდრე V გიორგის ძემ (1721—1752 წწ.) გელათში წმ. ანდრია პირველის სახელობის ეკლესია, რომელიც დიდი ხნიდან გაუქმებული ყოფილა, განაახლა და თავის საძვალედ აქცია[1].

1759 წელს გელათს თავს დაესხნენ ლეკები, გაძარცვეს და ცეცხლი წაუკიდეს, მაგრამ იგი იოლად გადაურჩა ამ შემოსევას (საერთოდ გელათს მხოლოდ ორჯერ შეესივნენ მტრები, 1510 წ. და 1759 წ.).

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება გელათის აღორძინება, ყმა-მამულის დაბრუნება, ახალ შეწირულებათა მიღება და აღდგენითი საშუშაოების ჩატარება.

1760 წელს სოლომონ პირველის ძმამ — იოსებ გელათელმა ახლად ააგო სამიტროპოლიტო ტახტი.

---

[1] ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, გელათი (გზამკვლევი), 1958, გვ. 28.

გელათის ძველი სიძლიერის აღდგენაზე ზრუნავდნენ სოლომონ პირველი, სოლომონ მეორე და გელათის უკანასკნელი ეპისკოპოსი ექვთიმე. მათ დიდი მუშაობა ჩაატარეს მონასტერში და აღადგინეს წმ. ნიკოლოზის ეკლესია.[1]

XIX საუკუნის დამდეგს გელათი ძლიერ ფეოდალურ სენიორიას წარმოადგენდა. ის ფლობდა 42 სოფელს, 395 კომლსა და იღებდა ორი ათას მანეთზე მეტ ფულად შემოსავალს.[2]

იმერეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გელათი გადაკეთდა საეკლესიო შტატის დაწესებულებად, ხოლო 1822 წელს გელათის საეპისკოპოსო იმერეთის საეპისკოპოსოს შეუერთდა, შემდეგ მნიშვნელობა დაკარგა და მხოლოდ საკულტო დაწესებულებად დარჩა.

* * *

XVIII საუკუნის მეორე ნახევარი საქართველოსათვის სოციალ-ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის ხანა იყო. აღმოსავლეთ საქართველოში დაარსდა სახელმწიფო სკოლები. 1755 წელს თბილისში დაარსდა სასულიერო სემინარია. 1758 წელს სასულიერო სასწავლებელი ჩამოყალიბდა თელავში, იგი 1782 წელს გადაკეთდა ფილოსოფიურ სემინარიად, რომელიც სახელმწიფო ხარჯზე არსებობდა. სახელმწიფო სასწავლებლებს გარდა აღმოსავლეთ საქართველოში არსებობდა კერძო სასწავლებლებიც, იქ ქართველებს გარდა განათლებას იღებდნენ სომხები და მაჰმადიანებიც.[3]

სემინარიელებს ასწავლიდნენ ღვთისმეტყველებას, გრამატიკას, ფილოსოფიას, გალობას, ლოგიკას, ფიზიკას, მათემატიკას, რიტორიკას, კატეგორიებს (არისტოტელესას), მეტაფიზიკას და სხვ.

ქართველი ახალგაზრდობა სწავლა-განათლებას იღებდა მონასტრებსა და ეკლესიებთან არსებულ სკოლებშიაც. ასეთი სკოლების ხარჯებს მშობლები იღებდნენ.

*

XVIII საუკუნეში რაჭის ერისთავები გაცხოველებულ მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდნენ. ამრავლებდნენ

---

[1] დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, გვ. 95—96; 106—107; 120—121, 160—161.

[2] ლ. მენაბდე, დასახ. ნაშრ. გვ. 531.

[3] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 779.

ხელნაწერებს და ამზადებდნენ ახალ ნუსხებს. თუმცა ჩვენამდე მთელმა ლიტერატურამ, რაც იმ დროს შეიქმნა, ვერ მოაღწია, მაგრამ რაც შემოგვრჩა, ისიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ერისთავთა საქმიანობაზე.

შოშიტა მესამის (1696 — 1731 წწ.) დაკვეთითაა გადაწერილი გულანი. როსტომ ერისთავის (1749 — 1769 წწ.) ბრძანებითაა გადაწერილი სამართლის წიგნები (1751 წ.), ქილილა და დამანა (1753 წ.), კარაბადინი (1763 წ.) და სხვ.

წიგნების გადაწერა წარმოებდა კაცხის მონასტერში, აქ საკმაოდ მდიდარი წიგნსაცავი იყო. ცნობილია კაცხის. გულანი, გადაწერილი გიორგი აბაშიძის ბრძანებით (1723 წ.).

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა წარმოებდა ჯრუჭის მონასტერში, აქ იყო მდიდარი წიგნსაცავი. აქვე არის გადაწერილი დიაკონ მონაზონ მაქსიმეს მიერ იოანე ოქროპირის სწავლანი (1785 წ.) იოანე ზაქარიას ძე გაბაშვილის მიერ, „სათნოებათა ყავილი", „მამათა სწავლანი" (1788 წ.), ამავე პერიოდშია გადაწერილი იოანე სინელის „კლემაქსი" და სხვ.

* * *

განათლების საქმე დასავლეთ საქართველოში ეკლესიის ხელში იყო. სკოლები მსხვილ საეკლესიო ცენტრებთან არსებობდნენ. საფუძვლიან განათლებას ის იღებდა, ვინც სასულიერო მოღვაწეობას აპირებდა. თუ რა მასშტაბის განათლების მიღება შეიძლებოდა, ეს ჩანს შემდეგიდან: გიორგი V გურიელის ვაჟი ქაიხოსრო, რომელსაც სასულიერო მოღვაწედ ამზადებდნენ, გელათში სწავლობდა XVIII საუკუნის ბოლოს. მან „იმდროისათვის საუკეთესო განათლება მიიღო. ის მრავალ ენაზე ლაპარაკობდა და დედანში კითხულობდა ლათინ და ბერძენ ავტორებს"[1]. თუმცა აქვე უნდა დავძინოთ, რომ 1770 წლის ერთი ცნობით იმერეთში წერა-კითხვა თავადაზნაურთა მხოლოდ ერთმა ნაწილმა იცოდა. უფრო მეტად ქალები ეუფლებოდნენ წერა-კითხვას, მამაკაცები კი გაუთავებელი ომებით იყვნენ დაკავებულნი.

უცხო ენების სწავლა (თურქული, ფრანგული, რუსული) იმ დროს დიპლომატიური ურთიერთობისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა (ელჩები კვინიხიძეები, ზურაბ წერეთელი რამდენიმე უცხო ენას ფლობდნენ). ამ დროს დასავლეთ საქართველოში თურქული ენა ფეხმოკიდებული იყო და მისი ცოდნაც აუცილებლად იყო ქცეული. ალბათ ამ მიზანს ემსახურებოდა XVIII

[1] სიგელ-გუჯრები, ტ. I, გვ. 192 (რუს.).

საუკუნის 90-იან წლებში შედგენილი „ქართულ-თურქული სასწავლო წიგნი“, რომელიც ვარძიის მონასტერში შეიქმნა ადგილობრივი ბერის მიერ.

დასავლეთ საქართველოში ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლების გარდა, განათლების მიღება „გაძიძავებით“ შეიძლებოდა. მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები თავიანთ შვილებს საერო ან სასულიერო პირთ მიაბარებდნენ ხოლმე აღსაზრდელად. მაგალითად, სოლომონ პირველმა თავისი ერთადერთი მემკვიდრე, ალექსანდრე ბატონიშვილი გიორგი წულუკიძეს მიაბარა აღსაზრდელად.

* * *

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული მწერლობა დასავლეთ საქართველოში ვითარდებოდა როგორც მეფე-მთავართა სასახლეებში, ისე ეკლესია-მონასტრებში. ადგილობრივ კადრებს ხშირად ემატებოდნენ და ამშვენებდნენ აღმოსავლეთ საქართველოდან ამა თუ იმ მიზეზით ლტოლვილი მწიგნობრებიც.

იმერეთში მოღვაწეობდა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი-რუსთველი, იგი ვახტანგ VI-ს გაჰყოლია, მაგრამ რუსეთში აღარ წასულა და იმერეთში დარჩენილა ალექსანდრე მეფესთან. მას არც იმერეთში შეუწყვეტია ლიტერატურული მოღვაწეობა, დაუწერია ლექსი — მიძღვნა ალექსანდრე მეფისადმი, მასვე დაუწერია გრიგოლ კათალიკოსის შეწირულების წიგნი ბიჭვინთისადმი[1] და სხვ.

იმერეთში მოღვაწეობდა ზაქარია გაბაშვილი (1707 — 1783 წწ.) „ძველთა ფილოსოფიისა სწავლათა შინა გამოცდილი და ღვთისმეტყველებასაცა მიწევნილი, მშვენიერი რიტორი და უცხო მოქადაგე“.[2] იგი ქართლ-კახეთის მეფეთა კარის მოძღვარი იყო და აქტიურ როლს ასრულებდა საერო და სასულიერო ცხოვრებაში. მონაწილეობდა იმ ინტრიგებსა და ბრძოლებში, რასაც იმდროინდელ პოლიტიკურ მოღვაწეთა წრეებში ჰქონდა ადგილი, მეთაურობდა იმ პარტიას, რომელიც ანტონ კათალიკოსის წინააღმდეგ იბრძოდა და წარმატებასაც მიაღწია. ანტონ კათალიკოსი საქართველოდან გააძევეს, მაგრამ როცა 1764 წელს ერეკლე მეფის მოწვევით ანტონი დაბრუნდა და საკათალიკოსო ტახტი დაიკავა, ბუნებრივია, ზაქარიას საქმე ცუდად წავიდა. იგი მღვდლობიდან განკვეთეს, შეაჩვენეს და საქართველოდან გააძევეს. ერთხანს რუსეთში დაიწყო მოღვაწეობა, მაგრამ 1771 წელს საქართველოში დაბრუნდა და იმერეთში დამკვიდრდა. გელათში დაიწყო მოღვაწეობა და იქვე გარდაიცვალა.

---

[1] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქ. საეკლესიო საბუთები, I, გვ.131-147.
[2] კალმასობა, II, გვ. 195.

იმერეთის სამეფო კარზე ზაქარია გაბაშვილი გაცხოველებულ ლიტერატურულ და მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა. იგი ითვლებოდა კალიგრაფიული სკოლის დამფუძნებლად გელათში. ამ სკოლის „ხელნაწერები გამოირჩევიან განსაკუთრებული სისუფთავით, სილამაზითა და რაღაც თავისებური, გაბაშვილთა საკალიგრაფიო სკოლისათვის დამახასიათებელი ნატიფობით".[1] ზაქარიას ბევრი საეკლესიო წიგნი გადაუწერია, მათ შორის 1772 წელს გადაწერა და მოხატა „ეამის წირვა". იგი ბევრს თარგმნის, არსებულ ქართულ თარგმანებს ადარებს ბერძნულ და რუსულ ტექსტებს, ავსებს, ასწორებს და „ყოველითურთ განსრულებულ" რედაქციას იძლევა.[2]

იმერეთში მოღვაწეობის პერიოდიდან აღსანიშნავია მისი შესწმამილოცვა სოლომონ პირველისადმი. ამ ნაწარმოებით იმერთა მეფეს ამაღლებული ტონით, მაღალფარდოვანი სტილითა და საზეიმო განწყობილებით მიულოცა ოსმალებზე გამარჯვება ჩხერის ომში (1774 წ.).[3]

მამასთან ერთად იმერეთში მოღვაწეობდა იოსებ გაბაშვილი, რომელიც ადრე მამასთან ერთად იქნა შეჩვენებული, მან სოლომონ მეფისაგან სახლთუხუცესობა და დიდძალი მამულები მიიღო. ცნობილია მის მიერ დაწერილი რამდენიმე საბუთი 1776 — 1777 წლებისა.

იმერეთში მოღვაწეობდა ზაქარიას შვილი ნიკოლოზი, რომელმაც საეკლესიო კარიერა ქუთაისში მოიპოვა. „ერთგულებისა და მსახურებისათვის" გლეხებიც კი მიიღო მეფისაგან. 1785 — 1803 წლების საბუთებში ხშირად იხსენიება, წერდა საბუთებს და ეწეოდა მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობას.[4]

მამასა და ძმებთან ერთად იმერეთში მოღვაწეობდა ცნობილი პოეტი ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი) (1750—1791 წწ.). აღმოსავლეთ საქართველოდან მამისა და ძმის გაძევების შემდეგ ბესიკი ლევან ბატონიშვილის ამალაში ჩარიცხეს, მაგრამ 1777 წელს ქართლ-კახეთის მეფის საწინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწილეობისათვის იგი ერეკლე მეფემ აღმოსავლეთ საქართველოდან გააძევა, იგი იმავე წელს იმერეთში გადავიდა, სადაც დიდი პატივით მიიღეს და კიდეც დააწინაურეს. იგი იმდენად სანდო პირი იყო სოლომონისათვის,

---

[1] ნ. მ ა ი ს ურ ა ძ ე, მწიგნობარ გაბაშვილთა ოჯახი, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XIV, 1955, გვ. 89.

[2] იქვე.

[3] ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, თბ., 1962 წ. გვ. 520.

[4] ნ. მ ა ი ს ურ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 89—101.

რომ 1778 წელს სპარსეთშიც კი გაგზავნეს ალექსანდრე ბატონიშვილის ჩამოსაყვანად, რათა იგი ერეკლე მეფისათვის დაეპირისპირებინათ. ცნობილია, რომ ამ დროს ერეკლე და სოლომონ მეფეები ერთმანეთს მტრობდნენ და მოწინააღმდეგე პირთ ფართოდ უღებდნენ კარს. ბესიკმა მეფე სოლომონის დავალება პირნათლად შეასრულა.

დავით გიორგის ძის გამეფების შემდეგ ბესიკის ავტორიტეტი კიდევ მეტად გაიზარდა. ის არა მარტო „მდივანთუხუცესი" იყო, არამედ მეფის პირველი მრჩეველი და თანამზრახველი. დავით გიორგის ძემ თავადობაც უბოძა, 1789—1791 წლებში დიპლომატიური მისიის მეთაურობა დაევალა და რუსეთს წარგზავნა თავის მუდმივ წარმომადგენლად.

იმერეთის სამეფო კარზე ყოფნის დროს ბესიკი წერდა საბუთებს. მან იმერეთში დაწერა არა ერთი საინტერესო ნაწარმოები: „ცრემლთა ისარნი", „რუხის ბრძოლა" (1779 წ.), რომელშიც რიტორიკული ენაწყლიანობითაა შექმნილი სოლომონ პირველისა და მისი თანამებრძოლების გულადობა და ვაჟკაცობა. ქუთაისში არის დაწერილი სამგლოვიარო ოდა, სამძიმარი, რომელშიც პოეტმა ცხარე ცრემლით დაიტირა თავისი მეგობარი ლევან ბატონიშვილი (გარდაიცვალა 1781 წ.). საფიქრებელია ქუთაისში იყოს დაწერილი ოდა „ასპინძისათვის", რომელშიც ავტორმა დიდებულად შეამკო დავით ორბელიანის ვაჟკაცობა და ქართველთა გმირობა, ხოლო ოდაში ისე ჩანს, რომ ერეკლე მეფე თითქოს არც კი ყოფილიყოს ამ ბრძოლაში (ბესიკს ბოლომდე გაჰყვა ერეკლე მეფის სიძულვილი). ქუთაისში არის დაწერილი სოლომონ პირველის ეპიტაფია, ლექსი „დედოფალ ანაზედ" და სხვ.

იმერეთის სამეფო კარზე ამავე პერიოდში მოღვაწეობდა სოლომონ მეფის სიძე და დავით გიორგის ძის უახლოესი კარისკაცი, ერეკლე მეფისაგან გამოძევებული ლირიკოსი ელიზბარ ერისთავი (1738—1831 წწ.), რომელიც ქსნის საერისთავოს დაბრუნებაზე ოცნებობდა, მაგრამ სოლომონ მეორის გამეფების შემდეგ იმედი გადაეწურა და ისევ ქართლში დაბრუნდა.

1779 წელს სპარსეთიდან იმერეთში ჩამოდის ერეკლე მეფის მოწინააღმდეგე დასის თვალსაჩინო წარმომადგენელი, გეორგიანული ისტორიის ავტორი ალექსანდრე ამილახვარი (1750—1801 წწ.). მას ერეკლე მეფის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის ცხვირი მოჭრეს და საქართველოდან გააძევეს.

მან ქუთაისში ყოფნის დროს დაწერა და სოლომონ მეფეს მიართვა სოციალ-პოლიტიკური ტრაქტატი „ბრძენი ალმოსავლეთისა".

ტრაქტატში გამოთქმული იდეები განსაზღვრულია XVIII საუკუნის განმანათლებლების შეხედულებებით, განსაკუთრებით კი მონ-

ტესკიეს (1689 — 1755 წწ.) თხზულებით „კანონთა სულის შესახებ“[1]. ტრაქტატი თავადური იდეოლოგიის გამომხატველია და ქართული პოლიტიკური აზროვნების მაღალი დონის მაჩვენებელია.

ტრაქტატი „ბრძენი აღმოსავლეთისა“ ამილახვარმა მიუძღვნა იმერთა მეფეს სოლომონ პირველს (წერა დაამთავრა 1780 წ.). მასში წარმოდგენილია ისეთი სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმები, რომლებიც საუკეთესოა ფეოდალური წრისათვის და მის პრაქტიკულ განხორციელებას ურჩევს სოლომონ მეფეს.

ქართლიდან ლტოლვილი მწიგნობრები იმერეთში გადადიან XIX საუკუნის დასაწყისშიც. 1801 წელს იმერეთში ჩადის იულონ ბატონიშვილი, მასთანაა იოანე ქართველიშვილი, რომელიც იულონის ნებართვით ემსახურება სოლომონ მეორეს როგორც მდივანი.

1802 წელს იმერეთში ჩადის ერეკლეს ცნობილი მსაჯული, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე სოლომონ ლიონიძე (1754—1811 წწ.). სოლომონ მეფემ ერთგულებისათვის ლიონიძეს უბოძა მამულები რაჭა-იმერეთში, თავის კანცლერად დანიშნა და 1803 წელს რუსეთშიც მიავლინა (სოლომონ ლიონიძე ერთადერთი იყო, რომელმაც ბოლომდე შეინარჩუნა მეფის ერთგულება).

ლიონიძეს არც იმერეთში შეუწყვეტია ლიტერატურული საქმიანობა. ქუთაისში დაუწერია სატირა ნ. დადიანზე.

ძალზე ბევრი ხელნაწერია დამზადებული იმერთა მეფის დავით გიორგის ძის მეუღლის ანა დედოფლის ინიციატივით. იმისი დაკვეთით ნუსხებს ამრავლებდნენ ი. მუსხელიშვილი, გ. ჯათიშვილი, ოსე გაბაშვილი (ზაქარიას შვილი), გელათის არქიმანდრიტი ზაქარია, მაია ჩიქოვანი[2] და სხვ.

ერთ-ერთ ძლიერ საგანმანათლებლო ცენტრად ითვლებოდა ხონი, წმ. გიორგის სახელობის ეკლესიასთან არსებული სასწავლებელი. აქაა დამზადებული მრავალი სასულიერო და საერო ხასიათის წიგნები. ამ სკოლის ერთ-ერთი მოღვაწე იყო მიტროფანე გრიგოლიშვილი, რომელმაც შეადგინა სასულიერო-მეთოდური ხასიათის სახელმძღვანელო „სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება ჰოწაფისა (კითხვამიგებით წარმოდგენილი)“[3].

იმერეთში მოღვაწეობდა გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი (1778—1807 წწ.), იგი იყო სოლომონ პირველის ერთადერთი ვაჟის ალექსანდრეს (გარდაიცვალა 1780 წ.) უკანონო შვილი. სოლომონის გარდაცვალების (1784 წ) შემდეგ მისი შვილიშვილი არავის არ

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 794.

[2] ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 518.

[3] პ. ე ა ჭ რ ი ძ ე, იმერეთის სამეფოს კულტურული ცხოვრება მე-18 ს.-ის მიწურულსა და მე-19 ს.-ის დასაწყისში. გვ. 6 (ხელნაწერის უფლებით).

ჩაუთვლია, და არც თვით სოლომონი თვლიდა, ტახტის მემკვიდრედ.

1797 წელს იმერეთის ფეოდალთა ერთმა ჯგუფმა სოლომონ მეფის ტახტიდან გადაგდება და გიორგი ალექსანდრეს ძის გამეფება მოინდომა. მაგრამ შეთქმულება გამომჟღავნებულ იქნა. სოლომონ მეორემ სიფრთხილისათვის ტახტის პრეტენდენტი დააპატიმრა 1797 წელს და მუხურის ციხეში გამოკეტა. 1798 წელს გიორგი მუხურის ციხიდან გაიპარა და ისევ სოლომონ მეფესთან გამოცხადდა, მეფისადმი ერთგულების დამტკიცებას შეეცადა და არავითარ პრეტენზიას ტახტზე არ აცხადებდა, მაგრამ სოლომონ მეფემ მრჩეველთა ზეგავლენით ისევ მუხურის ციხეში ჩაკეტა.

გიორგი რუსეთის მოხელეებს დაუკავშირდა და მათი დახმარებით 1806 წელს მეორედ გაიპარა ციხიდან და რუსთა ბანაკში გენერალ რიკჰოფთან გამოცხადდა (რუს მოხელეებს გიორგი სოლომონის წინააღმდეგ და დასაპირისპირებლად სურდათ გამოეყენებინათ, ამიტომ დაინტერესდნენ მისი ვანთავისუფლებით). მათ გიორგი ჯერ აღმოსავლეთ საქართველოში და შემდეგ პეტერბურგში გაგზავნეს 1806 წელს. იგი იმპერატორ ალექსანდრე პირველს წარუდგინეს როგორც იმერეთის ბატონიშვილი, მაგრამ დიდხანს აღარ უცოცხლია. გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი ყვავილით გარდაიცვალა 1807 წელს, დაკრძალეს ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

გიორგი ბაგრატიონის ლიტერატურულ მემკვიდრეობას შეადგენს პოემა „ხუმბარდიანი", ავტობიოგრაფიული თხზულება „თავგადასავალი" და ლექსები, რომელთა ერთი ნაწილი კარგა ხნის მანძილზე ბესიკს მიეწერებოდა.

გ. ბაგრატიონით ჯერ კიდევ XIX ს. 50-იან წლებში დაინტერესდა ვ. ცვეტკოვი. მან იმერეთში იმოგზაურა და ხახუტა აბესაძის[1] მონათხრობის მიხედვით დაწვრილებით აღწერა გიორგი ბაგრატიონის მუხურის ციხეში ტყვეობის ამბავი. ამასთან ერთად ცვეტკოვი შეეცადა გიორგის ლექსების შეგროვებას, მაგრამ ამაოდ. იგი შენიშნავს, რომ ლექსების ნაწყვეტები თბილისში მოუსმენია მოხუცებისაგან.

გ. ბაგრატიონის რამდენიმე ლექსს მიაკვლია ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელმა ლ. ქუთათელაძემ. მანვე შეკრიბა და გამოსაცემად მოამზადა გ. ბაგრატიონის თხზულებათა კრებული.

გ. ბაგრატიონის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სატრფიალო-რომანტიკულ პოემას „ხუმბარ-

---

[1] იმერეთის მეფის დავით გიორგის ძის ვაჟი სოლომონ მეფეს გიორგისთან ერთად მუხურის ციხეში ჰყავდა გამოკეტილი. ხახუტა აბესაძე მისი გამდელის ახლო ნათესავი იყო.

დიასს", რომელიც თვით პოეტის ავტობიოგრაფიაა. პოემა დაწერილია ბუხურის ციხეში ყოფნის დროს 1803 — 1804 წლებში.

საინტერესო ლიტერატურული ნაწარმოებია გ. ბაგრატიონის ავტობიოგრაფია, რომელიც თეოდო ჟორდანიამ იპოვა და გამოაქვეყნა 1900 წელს ჟურნალ „მოამბეში" სათაურით „თავგადასავალი იმერეთის მეფის სოლომონ დიდის შვილისშვილის ბატონიშვილის გიორგისა".

თავგადასავალი დაწერილია მოსკოვში. გ. ბაგრატიონმა თავისი ცხოვრების მხოლოდ სამი ეპიზოდი წარმოადგინა დამოკიდებულება სოლომონ მეორესთან, მეფის მიერ მისი დაპატიმრება და, რუსეთში საცხოვრებლად გადასვლა. თავისი მნიშვნელობით „თავგადასავალი" საისტორიო ძეგლია, იგი შუქს ფენს 1790—1807 წლებში იმერეთის ისტორიის ბევრ საყურადღებო დეტალს[1].

მოხსენიების ღირსი არის ცნობილი მწერალი ტიმოთე გაბაშვილი, რომელიც ადრე თბილისში მოღვაწეობდა, ხოლო მე-18 საუკუნის 30-იან წლებში იმერეთის სამეფო კარზე დაიდო ბინა, სადაც ქუთათელ მთავარეპისკოპოსად აკურთხეს. თავისი ნიჭითა და გამჭრიახობით თავი გამოიჩინა და დაუახლოვდა იმერთა მეფეს ალექსანდრე V. იმერთა მეფის დავალებით ტიმოთე 1737 წელს რუსეთში გაემგზავრა დიპლომატიური მისიით და თან წაიღო მისივე შედგენილი იმერეთის რუკა.

რუსეთიდან დაბრუნებული ტიმოთე 1742—1747 წლებში კვლავ ქუთაისის ეპარქიას განაგებდა, ხოლო შემდეგ ისევ ქართლში ბრუნდება.

აღსანიშნავია, რომ ტიმოთეს რუსეთში ყოფნის დროს ქუთათელ მიტროპოლიტად 1740 წელს დაუდგენიათ ანტონი (შემდეგში კათალიკოსი ანტონ I) და ორი წელი დაუყვია ქუთაისში.

ცნობილი არაა თუ რა ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა ეს ორი ფრიად განსწავლული პიროვნება, მაგრამ ცხადია, რომ თავის სიტყვას იტყოდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში.

დიდოსტატ წინაპართა კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციების დაგვირგვინებას წარმოადგენდა ქართული სტამბის დაარსება ქუთაისში. მე-19 საუკუნის დასაწყისში აქ დაბეჭდილი წიგნები „დავითიანი", „კურთხევანი", „ყამნი" და სხვ. მთელ დასავლეთ საქართველოს ეფინებოდა. სტამბის პირველი შემქმნელი გიორგი პაიჭაძე, რომანოზ ზუბაშვილი და სხვები ენერგიას არ იშურებდნენ ქართული წიგნის ბეჭდური გამოცემისათვის.

---

[1] გიორგი ბაგრატიონის შესახებ ცნობები ამოღებული გ. პაიჭაძის ზემოთ დასახელებული შრომიდან.

იმერეთის ისტორია ერთი თვალის გადავლებით

(ბ ო ლ ო ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა)

ასე დასრულდა იმერეთის სამეფოს სამნახევარსაუკუნოვანი ისტორია — XV საუკუნის სამოციანი წლებიდან XIX საუკუნის პირველი ათეული წლის ბოლომდე.

მე-12—13 საუკუნეებში უძლიერესი ქრისტიანული სამეფო მთელ წინააზიაში — საქართველო — მე-16 საუკუნეს დაშლილი და დაუძლურებული შეეგება. მისი ერთ-ერთი ნაწილის — იმერეთის მთელი მომდევნო ისტორია ჩვენი სამშობლოს ტრაგიკული ისტორიის განუყოფელი და დამახასიათებელი ნაწილია.

მეტად რთული, წინააღმდეგობრივი, შინა-გარე ვითარებით გაპირობებული, უკიდურესობამდე (ქვეყნის ყოფნა-არყოფნამდე) მისული ეს ისტორია მაინც მოიცავს განსაზღვრულ, თანმიმდევრულ, გეგმაზომიერ და კანონზომიერ ეტაპებს, რომლებიც უნდა გამოიყოს და დახასიათდეს ძირითადი ნიშნებისა და ტენდენციების მიხედვით.

როგორც დავინახეთ, მე-16 — 18 სს. ჩვენი სამშობლოსათვის „ძნელბედობის“ ხანა იყო.

საქართველოს (კერძოდ, დასავლეთი საქართველოს) პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და მორალური დაქვეითება ამ პერიოდში არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ ადგილობრივი, ლოკალური ვითარებით, ჩვენი ქვეყნის შინაგანი ძალების ურთიერთგანწყობით, მათ შორის წინააღმდეგობით თუ თანხმობით. ეს დაქვეითება განაპირობა იმ ეპოქალურმა ცვლილებებმა, რომლებიც წინა საუკუნეებში განიცადა მსოფლიომ: მონგოლთა შემოსევები და ბატონობა; ხალხთა მასების უდიდესი გადანაცვლება დასავლეთისაკენ; ახალი საზღვაო-სავაჭრო გზების აღმოჩენა აღმოსავლეთისაკენ; განვითარებული ქვეყნების, კერძოდ, ბიზანტიის დამხობა: ჩამორჩენილი, აგრესიული ქვეყნების — ოსმალეთისა და ირანის ურთიერთბრძოლა ჰეგემონობისათვის; რუსეთის ბუმბერაზი ცენტრალიზებული სახელმწიფოს ეფექტური გამოჩენა აღმოსავლეთი ევროპის თვალუწვდენელ ველებზე და სხვ.

ფეოდალიზმი შევიდა თავისი განვითარების საბოლოო სტადიაში — ბურჟუაზიული რევოლუცია ინგლისში უკვე მე-17 საუკუნეში ძლევამოსილი ნაბიჯით მიემართებოდა წინ, ხოლო სულ რაღაც ერთი საუკუნის შემდეგ საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ ბოლო მოუღო ამ უკვე დრომოჭმულ ფორმაციას.

ამ დროს აღმოსავლური ტირანიების არტახებში მოქცეული, დასავლეთს მოწყვეტილი ერთადერთი პატარა ქრისტიანული სამეფო ევროპა-აზიის საზღვარზე, რომელიც გვიანი ფეოდალიზმის პირობებში იმყოფებოდა და აქამდე მსოფლიო სავაჭრო კომუნიკაციებთან ახლოს მდებარე, ახლა უკვე ჩაკეტილი იყო, რასაკვირველია, ვერ შეძლებდა სავსებით გაერთმია თავი ამ რთული ვითარებისათვის... და ვერ გაართვა კიდეც — იგი დაქუცმაცდა, დაეცა, გარეშე მტრების ურთიერთბრძოლის ასპარეზი შეიქნა, მატერიალურად და სულიერად დაქვეითდა, სრული ფიზიკური მოსპობისა თუ გადაგვარების წინაშე დადგა.

მთელი სამი საუკუნე გაგრძელდა „ძნელბედობის“ ხანა საქართველოსათვის, როცა მწვავედ იდგა მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი, შაგრამ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურმა წყობამ, რომელიც უფრო პროგრესული იყო გარემომცველი მაჰმადიანური ტირანიების წყობასთან შედარებით, ქართველი ხალხის დიდმა მატერიალურმა და სულიერმა კულტურამ, მისმა გმირულმა და მხნე ეროვნულმა ხასიათმა, დაუშრეტელმა ბრძოლისუნარიანობამ, ჩვენი სამშობლოს თავისებურმა ბუნებრივ-გეოგრაფიულმა პირობებმა, მისი პოლიტიკური მეთაურების (პირველ რიგში—თეიმურაზ I-ის, თეიმურაზ II-ის, არჩილ I-ის, ვახტანგ VI-ის, სოლომონ I-დიდის, ერეკლე მეორის) სიბრძნემ და დაუცხრომელმა ქმედითობამ დალუპვას გადაარჩინა საქართველო: მან შეინარჩუნა თავისი საკუთარი სოციალურ-ეკონომიკური წყობა, სარწმუნოება, ენა და დამწერლობა, კულტურა, ზნე-ჩვეულებანი: შეინარჩუნა ერთიანობისა და თავისუფლებისადმი რწმენა და მისწრაფება. ასე მოაღწია ჩვენმა სამშობლომ მე-19 საუკუნის მიჯნას, როცა რუსეთთან შეერთებით დაიწყო ახალი ერა მის ისტორიაში.

მე-18 საუკუნეში სავსებით აშკარა გახდა რუსეთის იმპერიის ძლევამოსილი წინსვლა და მისი ძალების კუმულაცია ამიერკავკასიაში, რასაც წინა საუკუნეებში მხოლოდ პერსპექტიული და პოტენციური ხასიათი ჰქონდა.

თუ აქამდე რუსეთი მხოლოდ დიპლომატიურ კონტაქტებსა და ინფორმაციის მიღებას ისახავდა მიზნად, წყალობასა და ყურადღებას იჩენდა ამიერკავკასიის ქრისტიანი მოსახლეობისადმი (ძირითადად ქართველების), და ნომინალური დახმარების იმედებით კვება-

ვდა მათ, ახლა რეგულარული არმიის ჯერ ასეულებს, ხოლო შემდეგ ათასეულებსაც გზავნის საქართველოში და აქედან, როგორც პლაცდარმიდან, უტევს ამიერკავკასიის მაჰმადიანურ სამყაროს — განჯის, ბაქოს, ერევნის ხანებსა და სხვა მფლობელებს, და, რაც მთავარია, ალყაში აქცევს და თავს ესხმის ოსმალეთის გამაგრებულ პუნქტებს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ე. ი. დასავლეთ საქართველოში; ამრიგად, რუსეთი ცდილობს ორ ფრონტს შორის მოაქციოს ოსმალეთი, დაამარცხოს იგი ძირითად — დასავლეთის ფრონტზე და ამით არა მარტო შექმნას პირობები ბალკანეთზე მისი შეეიწროებისათვის, არამედ ბოლო მოუღოს ოსმალეთის გავლენას შავი ზღვის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებზეც, რაც ამ რაიონებიდან მისი საბოლოო განდევნის წინაპირობას წარმოადგენს.

ყველაფერი ეს იყო უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი რუსეთის იმპერიის სტრატეგიული გეგმისა, რაც უკვე პეტრე დიდის პერიოდიდან დასახა რუსეთმა და რასაც პეტრეს შემდგომი საუკუნეების მანძილზე ცდილობდა მისი იმპერია.

ეს ვითარება რუსეთის ინტერესთა სფეროში აქცევდა არა მარტო ამიერ, არამედ მთელ კავკასიასაც, ვინაიდან მაჰმადიანი ხალხებით დასახლებული ჩრდილოეთი კავკასია დაკავშირებული იყო არა მხოლოდ ოსმალეთთან და სპარსეთთან, არამედ შავი ზღვის ჩრდილოეთი სანაპიროს (უმთავრესად ყირიმის) მაჰმადიანურ სამყაროსთანაც.

ამავე დროს, დიდი რუსეთის ძლევამოსილი მსვლელობა აღმოსავლეთისაკენ, რაც აგრეთვე ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა, თავისი მარჯვენა ფლანგით (კასპიის ზღვა, კავკასია, ირანი) უშუალოდ უკავშირდებოდა ამიერკავკასიას, კერძოდ საქართველოს.

ამ ვითარებაში, ქრისტიანული საქართველო მე-18 საუკუნის რუსეთის იმპერიისათვის უმთავრესი დასაყრდენი გახდა მთელ კავკასიაში, როგორც, ჯერ ერთი, მაჰმადიანური ჩრდილო-კავკასიის ზურგი; მეორე, შავი ზღვის ჩრდილოეთი მაჰმადიანური სანაპიროს მიმართულებით რუსთა მოძრაობის მარცხენა, საიმედო ფლანგი; მესამე, ირანის წინააღმდეგ პერსპექტიული მოქმედების საყრდენი ხაზი; და მეოთხე — უმთავრესი — შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს ოსმალეთის ციხესიმაგრეებზე და ხმელეთიდან (ახალციხე და მთელი სამხრეთი საქართველო) ოსმალეთზე შეტევის ძირითადი ბაზა.

ამრიგად, შეიძლება სარწმუნოდ ითქვას, რომ საქართველოსადმი ყურადღება, რასაც რუსეთი მე-18 საუკუნეში (განსაკუთრებით მისი მეორე ნახევრიდან) იჩენს, გაპირობებული იყო არა ლოკა-

ლური, ადგილობრივი მიზნებით, არამედ იმპერიის დიდი სტრატეგიული გეგმით.

ახლა ამიერკავკასიაში არსებულ ორმხრივ ურთიერთობაში — აღმოსავლეთი საქართველო — ირანი და დასავლეთი საქართველო — ოსმალეთი, დამყარდა სამმხრივი ურთიერთობა — აღმოსავლეთი საქართველო — რუსეთი — ირანი და დასავლეთი საქართველო — რუსეთი—ოსმალეთი. ამით ფაქტიურად დაირღვა. ოსმალეთ-ირანის 1555 წლის ამასიის ზავით დაწესებული გავლენის სფეროთა განაწილება და ირან-ოსმალეთის მიერ ორად გაგლეჯილ საქართველოს მოევლინა მისი გამაერთიანებელი გარეშე ძალა, რომელმაც შემდგომში თუმცა დაარღვია საქართველოსთან ხელშეკრულებით განსაზღვრული ურთიერთობა, მაგრამ ობიექტურად მისი ეროვნული სხეულის გამაერთიანებელი გახდა და ამით უდიდესი პროგრესული როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში.

ასევე სარწმუნოდ შეიძლება ითქვას, რომ ტრაქტატი, რომელიც ერეკლე მეორის მიერ დაიდო იმპერატრიცა ეკატერინესთან 1783 წელს, წარმოადგენდა რუსეთის დიდი გეგმიდან გამომდინარე ღონისძიებას. მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი საქართველოსათვის (დასავლეთი საქართველოს, კერძოდ იმერეთისათვისაც) და ქართველ პოლიტიკოსთა სიბრძნეზე მეტყველებდა.

ამიერიდან საქართველო გამოეთიშა მაჰმადიანურ სამყაროს, გათავისუფლდა აზიური ქვეყნების გავლენისა და მათი ისტორიის ჩარხის ტრიალისაგან (თუმცა ეს ფაქტიურად ცოტა უფრო გვიან მოხდა); იგი, როგორც ევრაზიული ქვეყანა, მთლიანად მოექცა ევროპული ცივილიზაციისა და ისტორიის ორბიტაში, რამაც, ჯერ ერთი, გადაარჩინა საქართველო ფიზიკურ და ეროვნულ მოსპობას, მაჰმადიანური სამყარო რომ უქადდა, და მეორე, რუსეთის იმპერიაში და დასავლეთ ევროპაში მიმდინარე ეკონომიკურ, სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ მოვლენებში მონაწილეობით, ე. ი. თანამედროვე ცივილიზებულ ერთა თანაარსებობის ფერხულში ჩაბმით, შექმნა წინაპირობა ქვეყნის სწრაფი სამეურნეო-ეკონომიური და კულტურული აღორძინებისათვის.

ამ დებულების ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს თუნდაც ის ფაქტი, რომ XIX და განსაკუთრებით XX საუკუნის ყველა მნიშვნელოვან ტექნიკურ თუ სოციალ-ეკონომიკურ სიახლეს საქართველო ეზიარა მათი გამოგონების, აღმოჩენისა და შექმნიდან რაღაც ათეულ თუ ერთეულ წელთა შემდეგ, მაშინ, როცა მაჰმადიანური გავლენის სფეროში მოქცეულ საქართველოს საუკუნეები სჭირდებოდა ამისათვის (მაგალითად. წიგნის ბეჭდვა დავიწყეთ 270 წლის შემდეგ გუტენბერგის გამოგონებიდან, ხოლო პირვე-

ლი რკინიგზა, ტელეგრაფი, ტელეფონი, ავტომობილი, კინო, ელექტროგანათება, რადიოგადაცემა, რენტგენი, ტელევიზია და ატომი რაღაც ათეული და თვით ერთეული წლების შემდეგ გაჩნდა საქართველოში).

ამრიგად, მე-18 საუკუნე არა მარტო დასავლეთი საქართველოს, კერძოდ იმერეთის, არამედ მთელი საქართველოს ისტორიაში ძველი ერის დასასრული და თვისებრივად ახალი ერის დასაწყისი, მაშასადამე, იგი უმნიშვნელოვანესი საუკუნეა მთელს ჩვენს ისტორიაში.

საქართველოს ისტორიოგრაფიამ (აქ იგულისხმება საქართველოს შესახებ არსებულ ქართულ და არაქართულ წყაროთა ერთობლიობა) მეტ-ნაკლები სისრულით გააშუქა ეს პერიოდი, მრავალი წინააღმდეგობრივი აზრი და დებულება გამოითქვა, შეიქმნა სხვადასხვა თეორია და ცნება, მაგალითად, „ნაკლები ბოროტებისა".

რასაკვირველია, ვერავინ გაამართლებს ზოგიერთი უგუნური რუსი მოხელის მოქმედებას, რომლებიც ქართველ მეფე-მთავრებთან იყვნენ მოვლინებულნი ან რუსეთის ჯარების შენაერთებს მეთაურობდნენ (როგორც, მაგ. ტოტლებენი), ვერც ქართველი მეფე-მთავრების ზოგჯერ ჯიუტ და წინდაუხედავ მოქმედებას ვუპოვით გამართლებას, ვერც რუსეთის თვითმპყრობელობის გამარუსებელ და მცირე ერთა მჩაგვრელ პოლიტიკას გავიზიარებთ, მაგრამ ისტორიული თვალსაზრისით უმჯობესი ალტერნატივა ქართველი ხალხისათვის არ არსებობდა; მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ, რაშიც რუსი ხალხის წარმომადგენლებთან ერთად ქართველებსაც დიდი როლის შესრულება დააკისრა ისტორიამ, ეს სავსებით დაადასტურა.

მეტი თვალსაჩინოებისათვის შეიძლებოდა მსჯელობა ასე წარგვემართა — ძლიერი მესამე ძალის გამოჩენა ამიერკავკასიაში არსებითად ცვლიდა აქ არსებულ სიტუაციას და კარგ პერსპექტივას უსახავდა ქართველ პოლიტიკოსებს საკუთარი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის.

ჯერ კიდევ ბიზანტიისა და ირანის აგრესიულ ზრახვათა შეჯახება ამიერკავკასიაში (IV — V სს. ჩვ. წ. ა.) შესაძლებლობას უქმნიდა ქართველებს დაპირისპირებულ ძალთა წონასწორობის ვითარებაში დამოუკიდებლობა და თვითმყოფობა შეენარჩუნებინათ; უფრო გვიან, როცა საქართველოს დასავლეთელ ძლიერ მეზობლად ბიზანტიის ნაცვლად აგრესიული ოსმალეთი მოევლინა, ეს წონასწორობა (ირანი — ოსმალეთი) ერთ ხანს ჩვენს სასარგებლოდ მოქმედებდა, მაგრამ ამასიის ზავით ორივე აგრესორმა იგი თავიანთ სასარგებლოდ წარმართა და საქართველო შუაზე გაიყო.

ახლა, ძლიერი რუსეთის შემოსვლით კავკასიაში საუკუნეთა მანძილზე შექმნილი ქართველთათვის ავბედითი ეს წონასწორობა (აღმოსავლეთი საქართველო — ირანს, დასავლეთი საქართველო — ოსმალეთს) დაირღვა, ჩვენს პოლიტიკოსებს ახალი დიდი ასპარეზი გაეხსნათ — დაპირისპირებულ ძალთა ჭიდილში საკუთარი თვითმყოფობა გადაერჩინათ და საგარეო სიტუაცია ქვეყნის სასარგებლოდ წარემართათ.

როგორც ვიცით, ასე არ მოხდა. მოვლენები სულ სხვაგვარად წარიმართა. არ შეიძლება ეს ჩვენი სამშობლოს მესვეურთა (ერეკლე, სოლომონ დიდი და სხვ.) პოლიტიკურ სიბეცეს, მათ წინდაუხედაობას ან უმოქმედობას მივაწეროთ.

თუ XVIII საუკუნისა და მომდევნო პერიოდის ამიერკავკასიაში ზემოთ აღნიშნული წონასწორობა ვერ შეიქმნა, ეს უთუოდ დაპირისპირებულ საგარეო ძალთა უთანასწორობის შედეგი იყო და არა ქართველ პოლიტიკოსთა წინდაუხედაობისა. რუსეთი უკვე მე-18 საუკუნეში წარმოადგენდა დიდ, ძლიერ, სოციალ-ეკონომიკურად, პოლიტიკურად, კულტურულად, სამხედრო ორგანიზაციით უფრო პროგრესულ სახელმწიფოს, ვიდრე იმავე საუკუნის ოსმალეთი და ირანი;

ამდენად, თუ ქართველი მეფეები გარკვევით არ დადგებოდნენ რუსეთის მხარეზე და შეეცდებოდნენ ხელი შეეშალათ რუსის ჯარის შემოსვლისათვის ამიერკავკასიაში, ამით მხოლოდ უფრო გაართულებდნენ ვითარებას, შესაძლოა განსაზღვრული ხნით გააჭიანურებდნენ კიდევაც თავიანთი სამეფოების არსებობას, მაგრამ ვერავითარ პოლიტიკურ წონასწორობას ამიერკავკასიაში ვერ მიაღწევდნენ.

შემდეგი კითხვა, რომელიც იმერეთის ისტორიის საერთო შეფასებისას ისმის ჩვენს წინაშე, მეტად ბუნებრივია: „რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა, რა ჰკვებავდა ხალხსა, რა სახსრებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა?“ (ილია ჭავჭავაძე).

მესამე კითხვა, რომელიც უპასუხოდ არ უნდა დარჩეს, ასეთია — რატომ ვერ შეძლეს გაცილებით უფრო დიდმა და ძლიერმა ოსმალეთმა და სპარსეთმა შესაბამისად დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველოს დაპყრობა, მოსახლეობის გამაჰმადიანება და ამ ქვეყნების მითვისება, ისე, როგორც ეს მოხდა აჭარასა და ახალციხეში (სამხრეთ საქართველოში)?

მეოთხე კითხვაც ამ ორთან უშუალოდ არის დაკავშირებული — რატომ ვერ შეძლეს საქართველოს მეფეებმა და საერთოდ, მეფემთავრებმა ერთიანობისათვის მიეღწიათ და საერთო ძალით უფრო ქმედითი წინააღმდეგობა გაეწიათ გარეშე მტრებისათვის, რის

საჭიროება და აუცილებლობაც მათ კარგად ჰქონდათ შეგნებული?

„დამოუკიდებელი“ არსებობის სამნახევარი საუკუნის მანძილზე დასავლეთმა საქართველომ პოლიტიკურ სიდუხჭირესა და კულტურულ-ზნეობრივ დაქვეითებასთან ერთად განუწყვეტელი შინაომებისა და გარეშე მტრის თავდასხმის პირობებში მძიმე ეკონომიკური დაქვეითებაც განიცადა. ამას ადასტურებს ყველა წყარო, განსაკუთრებით თვალნათლივ — თვითმხილველი უცხოელი მოგზაურებისა და მისიონერების თხზულებანი, რომლებიც მრავლად დაგვიტოვა ისტორიამ.

ჩვენს წიგნში ცალკე თავად არის მოცემული იმერეთის სამეურნეო მდგომარეობის აღწერილობა, საიდანაც ჩანს, თუ რამდენად მძიმე სამეურნეო-ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობდა ჩვენი მოსახლეობა ამ საუკუნეებში. განუწყვეტელი შინა და გარე ომების მეოხებით ხალხის ეკონომიკური სიდუხჭირე კიდევ უფრო გაძლიერდა და იგი ყოფნა-არყოფნის წინაშე დადგა.

გარდა განუწყვეტელი ბრძოლებისა, სამეურნეო დაქვეითებას ხელი შეუწყო ეპიზოოტიებმა (საქონლის დაავადებანი) და ეპიდემიებმა (ინფექციურ დაავადებათა მასობრივი გავრცელება). ყოველივე ამან განაპირობა დიდი სიდუხჭირე, რაც სხარტად აქვს გადმოცემული მის ერთ-ერთ მხილველს მურავიოვს (იხ. სიგელ-გუჯრები, II, გვ. 71 — 72): „იმერნი — მშიერნი, იკვებებიან ველური (ტყის — მ. რ.) ხილით, ფეხშიშველნი და უტანსაცმლონი“.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველო (კერძოდ დასავლეთი) ბუნებით მეტად მდიდარი ქვეყანაა (ასეთი იყო იგი განხილულ საუკუნეებშიც); მისი ჰავა — სუბტროპიკული, ზომიერი, მიწა — უხვი სხვადასხვაგვარი მცენარეებით, დაბურული ტყეებით, ანკარა მდინარეებით, ზომიერი სარტყელის უმდიდრესი ფლორითა (კერძოდ, ვაზით) და ფაუნით, უხვი მოსავლით. მისი ბატონყმური წყობა უფრო პროგრესული იყო, ვიდრე გარემომცველი მაჰმადიანური სამყაროს სოციალური სისტემა; ქართული სოფლის მეურნეობა იყო მრავალდარგოვანი, მიწათმოქმედება — ინტენსიური (მრავალმინდვროვანი სისტემა), აგროტექნიკა — მოწინავე; მოსახლეობა—ბინადარი, მემცენარეობა—მრავალდარგოვანი (განვითარებული მეხილეობა-მეევნახეობით), მესაქონლეობა (გარდა მეცხვარეობისა) — ბაგური, არა მომთაბარე, რაც არ გამორიცხავდა საზაფხულო საძოვრების გამოყენებას.

ყოველივე ეს საშუალებას აძლევდა მოსახლეობას ნატურალური მეურნეობის პირობებში წლიდან წლამდე თავი გაეტანა და შიმშილით არ ამოწყვეტილიყო.

რამ განაპირობა დასავლეთი საქართველოს გამძლეობა, როგორ გაუმკლავდა იგი ოსმალეთის სამნახევარსაუკუნოვან განუწყვეტელ აგრესიას, არ გადაგვარდა, არ გამაჰმადიანდა, შეინარჩუნა თვითმყოფობა?

ეს უნდა მიეწეროს მთელ რიგ გარემოებებს. ჯერ ერთი, როგორც აღინიშნა, იმერეთის და მთელი დასავლეთ საქართველოს სოციალური წყობა უფრო მოწინავე და პროგრესული იყო, ვიდრე აგრესორებისა — ეს განაპირობებდა მის გამძლეობას. მეორე, იმერნი მხნე, უშიშარ, გულად მეომარ ქართულ ტომს წარმოადგენდნენ — გავიხსენოთ იმავე მურავიოვის ნათქვამი: „იმერნი — ამაყნი და ურჩნი, თოფიანნი და ხმლოსანნი". (იხ. სიგელ-გუჯრები, II, გვ. 71 — 72). ამასვე ადასტურებენ უცხოელი მოგზაურები და მისიონერები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ სამეგრელოში დიდად იყო გავრცელებული სამხედრო ხელოვნება, პატარა ბავშვებიც კი კარგად ხმარობდნენ იარაღს.

ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთ საქართველოს გეოგრაფიულ პირობებსაც. იტალიელი ლეონი დაწვრილებით აღწერს აქაურ ბუნებრივ პირობებს და აღნიშნავს: „...იმერეთი ათჯერ მეტი ბუჩქნარიანია, ვიდრე ქართლი და კახეთი. დაბლობი თითქმის არა აქვს და ფერდობი იმდენად ვიწრო და დაქანებულია, რომ ერთ ცხენოსან კაცს ძლივს შეუძლია გავლა; ერთმა მეორის შემდეგ უნდა გაიაროს, ერთიმეორის მიდევნებით, ორს ერთად არასდროს არ შეუძლია გავლა. ამის გამო იმერეთს არა სჭირდება ბევრი ჯარისკაცი... მტრის დასაძლევად. მათი ძალა ტყესა და ბუჩქნარებში მდგომარეობს. იმერლები მის გარშემო ჩასაფრდებიან ხოლმე, მტერს შუაში იმწყვდევენ და ისე ამარცხებენ. თუ ვინიცობაა მტერი ველებზე გავა დასაბანაკებლად, მაშინ იმერლები მაღალი მთებიდან ქვებს აგორებენ, კაცებს და ცხენებს ჩეხავენ და ნაკუწ-ნაკუწად აქცევენ. ზემოთ ასვლა მტერს არ შეუძლია, იმიტომ, რომ გზები ჩახერგილი აქვთ ხეებითა და მორებით... ამიტომ გამარჯვებული რჩებიან.."[1]. რასაკვირველია მცირერიცხოვანი იმერთა ჯარის გამძლეობა ძირითადად პარტიზანული ომის მეთოდების გამოყენებით უნდა აიხსნას.

სოციალ-ეკონომიკური უპირატესობის, ხელსაყრელი გეოგრაფიული პირობებისა და მხნე ხასიათის გარდა, დასავლეთი საქართველოს გამძლეობა ხალხის ძლიერი ეროვნული თვითშეგნებითაც უნდა აიხსნას მდიდარი ისტორიული წარსულის, ენისა და ლიტერატურის (ხალხური და მწერლური) ფონზე.

---

[1] გაზეთი „კომუნარი" (ამბროლაური), 1959, № 95—96.

ამ მიწების გაერთიანება, სადაც „ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის“, ე. ი. ქართველური ტომების ერთიანობა, ყოველთვის შეადგენდა მოწინავე ქართველების მიზანს და მისწრაფებას. ქართული სამეფო-სამთავროები მე-18 საუკუნეში ხელშეკრულებითაც კი აფორმებენ ამ მისწრაფებას (ამის შესახებ უკვე იყო ზემოთ ლაპარაკი), მაგრამ ფაქტიურად ამ განზრახვას ფრთები ვერ შეესხა — საქართველო სამეფო-სამთავროებად დანაწილებული შევიდა რუსეთის მფარველობაში და შემდეგ მის იმპერიაშიც, ასე რომ, მხოლოდ რუსთა იარაღით მოხდა როგორც მე-18 საუკუნის საქართველოს, ისე ოდითვე მისი კუთვნილი და შემდეგ ოსმალთა მიერ მიტაცებული მიწა-წყლის გაერთიანება.

რამ განაპირობა ეს ვითარება?

პირველ ყოვლისა, არსებულმა სოციალურმა წყობამ — ფეოდალიზმმა, რომელიც საქართველოში წარმოადგენდა კარჩაკეტილი ნატურალური მეურნეობის საფუძველზე შექმნილ სათავადოთა კონგლომერატს. აქ იგულისხმება მცირე სამეფოებიც, რომლებიც წარმოადგენენ ცალ-ცალკე არსებულ მეურნეობრივ ერთეულებს. ისინი მეტისმეტად სუსტად იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული, რადგან ვაჭრობისა და ხელოსნობის დაქვეითება, რაც განუწყვეტელმა შინა და გარე ომებმა გამოიწვია, ნიადაგს აცლიდა სამეურნეო ურთიერთობის განვითარებას და აღებ-მიცემობას, ეს კი, თავის მხრივ, გადაულახავ დაბრკოლებად ეღობებოდა ერთიანობისაკენ მისწრაფებას და ეკონომიკურ საფუძველს აცლიდა მას—ეს იყო ძირითადი შინა მიზეზი. ამავე დროს არსებობდა მეორე უმნიშვნელოვანესი მიზეზი — აგრესორი ქვეყნების — ოსმალეთისა და ირანის მიერ ამასიის ზავით შექმნილი ურთიერთწონასწორობის პირობები, რომელთა თანახმად დასავლეთი საქართველო ოსმალთა ინტერესების სფეროს წარმოადგენდა, ხოლო აღმოსავლეთი — ირანისას. ამ პირობების ყოველგვარი დარღვევა გამოიწვევდა ირან-ოსმალეთის ომს, რაც მათ შორის წონასწორობის მაშინდელ პირობებში არც ერთი მხარისათვის არ იყო მისაღები.

ამრიგად, ზემოხსენებული შინა და გარე მიზეზების გამო სამეფო-სამთავროებად დანაწილებული საქართველოს გაერთიანება არ ხერხდებოდა და იგი ასეთივე სახით უნდა შესულიყო რუსეთის მფარველობაში.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ იმერეთის ისტორია განუყოფელია მთელი ჩვენი სამშობლოს ისტორიისაგან და მისი ცალკეული ნაწილების ცხოვრება საერთო ქართული ისტორიის ნაწილია.

იმერეთის მეფეთა სია

(სამეფოს წარმოშობიდან XVIII საუკუნის ბოლომდე)

1. ბაგრატ II (1462—1478 წ.წ.)
2. ალექსანდრე II (1478 წ.*) (პირველად)
3. კონსტანტინე II (1479—1484 წ. წ.) (პირველად)
4. ალექსანდრე II (1484—1487 წ. წ.) (მეორედ)
5. კონსტანტინე II (1487 წ. წ.*) (მეორედ)
6. ალექსანდრე II (1487—1510 წ. წ.) (მესამედ)
7. ბაგრატ III (1510—1565 წ. წ.)
8. გიორგი II (1565—1586 წ. წ.)
9. ლევან I (1586—1590 წ. წ.)
10. როსტომ I (1590—1605 წ. წ.)
11. გიორგი III (1605—1639 წ. წ.)
12. ალექსანდრე III (1639—1660 წ. წ.)
13. ბაგრატ IV (1660 წ.*) (პირველად)
14. არჩილ I (1661—1663 წ. წ.) (პირველად)
15. დემეტრე გურიელი (1663 წ.*) (პირველად)
16. ბაგრატ IV (1663—1668 წ. წ.) (მეორედ)
17. დარეჯან დედოფალი და ვახტანგ ბაგრატიონი (1668 წ.*) (პირველად)
18. დემეტრე გურიელი (1668—1669 წ. წ.) (მეორედ)
19. ბაგრატ IV (1669—1678 წ. წ.) (მესამედ)
20. არჩილ I (1678 წ.*) (მეორედ)
21. ბაგრატ IV (1679—1681 წ. წ.) (მეოთხედ)
22. გიორგი გურიელი (1681—1683 წ. წ.)
23. ალექსანდრე IV (1683—1690 წ. წ.) (პირველად)
24. არჩილ I (1690—1691 წ. წ.) (მესამედ)
25. ალექსანდრე IV (1691—1695 წ. წ.) (მეორედ)
26. არჩილ I (1695—1696 წ. წ.) (მეოთხედ)
27. გიორგი IV (გოჩიად წოდებული) (1696—1698 წ. წ.).
28. არჩილ I (1698 წ.*) (მეხუთედ)

29. სვიმონ I (1698—1701 წ. წ.)
30. შამია III გურიელი (1701—1702 წ. წ.) (პირველად)
31. გიორგი აბაშიძე (1702—1707 წ. წ.)
32. გიორგი VI (1707—1711 წ. წ.) (პირველად)
33. მამია III გურიელი (1711—1712 წ. წ.) (მეორედ)
34. გიორგი VI (1712—1713 წ. წ.) (მეორედ)
35. მამია III გურიელი (1713—1714 წ. წ.) (მესამედ)
36. გიორგი VI (1714—1716 წ. წ.) (მესამედ)
37. გიორგი გურიელი (1716)
38. გიორგი VI (1719—1720 წ. წ.) (მეოთხედ)
39. ალექსანდრე V (1720—1741 წ. წ.) (პირველად)
40. გიორგი ბატონიშვილი (1741 წ.)
41. ალექსანდრე V (1741—1746 წ. წ.) (მეორედ)
42. მამუკა ბატონიშვილი (1746—1749 წ. წ.)
43. ალექსანდრე V (1749—1752 წ. წ.) (მესამედ)
44. სოლომონ I (1752 წ.) (პირველად)
45. სოლომონ I (1753—1766 წ. წ.) (მეორედ)
46. თეიმურაზ მამუკას ძე ბატონიშვილი (1766—1768 წ. წ.)
47. სოლომონ I (1768—1784 წ. წ.) (მესამედ)
48. დავით გიორგის ძე (1784—1789 წ. წ.) (პირველად)
49. დავით არჩილის ძე (სოლომონ II) (1789—1790 წ. წ.) (პირველად)
50. დავით გიორგის ძე (1790 წ.) (მეორედ)
51. სოლომონ II (1790—1810 წ. წ.) (მეორედ)

---

* რამდენიმეჯერ გამეფებულთა შესახებ ფრჩხილებში ნაჩვენებია მერამდენე მეფობაა.

ლიტერატურა

1. ასათიანი ნ. მასალები მე-17 საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის, თბ. 1973; ფეოდალური საქართველოს დაშლის ისტორიიდან, თსუ შრომები, ტ. 78, თბ. 1963; გლეხობა მე-16-17 საუკუნეების კახეთის სამეფოში, ხელნაწერის უფლებით; გზა გამოხსნა — აღდგომისაკენ, თბ. 1983.
2. ასათიანი ლ. ცნობრება ალაკი წერეთლისა, თბ. 1965.
3. აკოფაშვილი გ. გლეხთა კატეგორიების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოში, მსდკი, ნაკვ. 34, 1962; აზნაურთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხისათვის, მსდკი, ნაკ. 32, თბ. 1955.
4. ანთელავა ი. ოდიშის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან, საისტორიო კრებული, ტ. 5, 1976.
5. „არჩილიანი", ტ. II. თბ. 1937.
6. ამირანაშვილი შ. ქართული ხელოვნების ისტორია, თბ. 1967.
7. ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, III, IV, V, VI, თბ. 1965, 1966, 1977, 1970, 1973; ფეოდალური ურთიერთობიდან მე-15 ს-ში, მსდკი, I, ტფ. 1937; საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული-მნიშვნელობისათვის, „მნათობი" № 6, 1954. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. I, II. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ. 1940, 1953.
8. ბატონიშვილი დ. „ახალი ისტორია", ბაგრატ ბატონიშვილი, „ახალი მოთხრობა", თ. ლომოურის გამოც., თბ. 1941.
9. ბროსე მ. საქართველოს ისტორია, ნაწ. II, ტფ. 1900:
10. ბერაძე თ. ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან, საქ. ისტორიული გეოგრაფიის კრებული, თბ. 1964, მისივე „რაჭა", თბ. 1983.
11. ბერიძე ვ. ძველი ქართველი ოსტატები, თბ. 1967.
12. ბაქრაძე დ. არქეოლოგიური მოგზაურობა საქართველოში და აჭარაში. 1878.
13. ბესიკი, თხზ. სრული კრებული, ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით, თბ. 1932.
14. ბატონიშვილი იოანე. კალმასობა.
15. ბოჭორიძე გ. რაჭის ისტორიული ძეგლები, საქართველოს ისტორიის მოამბე, ტ. 5, 6, თბ. 1928, 1931—1932.
16. ბურჯანაძე შ. სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი (1752—1768 წწ). თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 41, 1950; ლიხთიმერეთის 1737 წლის რეკა როგორც ფეოდალური საქართველოს ისტორიის პირველწყარო, საქ. მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. I, 1959; იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიისათვის

1784—1789 წწ. საქ. სსრ მეც. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, 1960, იმერეთის სამეფო 1768—1784 წლებში, იქვე, ტ. III, 1961; იმერეთის სამეფოს საშინაო პოლიტიკა — 1789—1802 წლებში. იქვე, ტ. 4, 1962; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროების (1466—1770 წწ.), გამოსცა შ. ბ ე რ ჯ ა ნ ა ძ ე მ, თბ. 1959.

17. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ვ. ქართული ფეოდალური წყობილება მე-16-17 სს. თბ. 1958; მე-16-17 სს. საქართველოს ქალაქები მახლობელი აღმოსავლეთის სავაჭრო ურთიერთობათა შუქზე, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბ. 1966.

18. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ტ. მიმოსვლა, გამოსცა მეტრქველმა, 1956.

19. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი პ. მარცვლეულის მეურნეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბ. 1954; ტყვეებით ვაჭრობა საქართველოში, მნათობი, № 11, 1938.

20. გ უ ჩ უ ა ვ. ხიზან გლეხთა წარმოშობის საკითხისათვის, მსდკი, ნაკვ. 34, თბ. 1962.

21. გ რ ი გ ო ლ ი ა კ. ახალი ქართლის ცხოვრება, თბ. 1954; ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა, ენიმკის მოამბე, ტ. 13, 1942.

22. გ ვ ი ტ ი შ ვ ი ლ ი დ. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. II, თბ. 1965; ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ. 1955.

23. გ ო ნ ი ა ა შ ვ ი ლ ი მ. იმერეთი მე-18-19 საუკუნეთა მიჯნაზე, თბ. 1979.

24. დ უ მ ბ ა ძ ე მ. დასავლეთ საქართველო მე-19 ს. პირველ ნახევარში, თბ. 1957.

25. დ ა დ ი ა ნ ი ნ. ქართველთ ცხოვრება, შ. ბ ე რ ჯ ა ნ ა ძ ი ს გამოცემა, თბ. 1962.

26. „ვახტანგის სამართალი", გამოსცა თ. ენუქიძემ, თბ. 1955.

27. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე ქ. ხონის ეკლესია და მისი სიძველენი, ძველი საქართველო, ტ. III; არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, ძვ. საქართველო, ტ. III, ნიმუშები სამეგრელოს სიგელგუჯრებისა, გაზეთი „ივერია", 1891; ქსნის საერისთაოს სტატისტიკური აღწერილობანი, თსუ შრომები, ტ. 45, 1951; არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, თბ. 1963.
საქართველოს სიძველენი ტ. 1—4, თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, ტფ. 1899—1910; დავთარი ქუთაისის საყდრის გამოსაცალი ბეგრისა, შედგენილი 1578 წელს, ტფ. 1915; ძველი საქართველო, ტ. 1—4, მისივე, სამი ისტორიული ქრონიკა, ტფ. 1890.

28. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი მ. კათოლიკობა ქართველთა შორის, ტფ. 1902.

29. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი პ ლ ა ტ ო ნ „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა", თბ. 1936, 1978.

30. ი ე ს ე ო ს ე ს შ ვ ი ლ ი. თავგადასავალი, ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს გამოცემა, ტფ. 1913.

31. ფ ე შ ა ნ გ ი, „შაპნავაზიანი", თბ. 1895.

32. ი ო ს ე ბ თ ბ ი ლ ე ლ ი, „დიდმოურავიანი“, თბ. 1939.
33. კ ა კ ა ბ ა ძ ე ს. საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, თბ. 1922; სასისხლო სიგელების შესახებ, საისტორიო მოამბე, II, 1924; კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, თბ. 1920.
34. „მცნება სასჯულო“, გამოსცა ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე მ, 1913.
35. „გენიალოგია დიდი ალექსანდრე მეფისა“, გამოსცა ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე მ, თბ. 1913.
36. „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო სიბუთები“, ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს გამოცემა, ტფ. 1913.
37. „სამართალი კათალიკოზისა და მისი შედგენის დრო“, გამოსცა ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე მ, ტფ. 1913.
38. „სიგელი ქართლის მეფე კონსტანტინესი 1488 წლისა“, ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს გამოცემა, ტფ. 1913.
39. „უცნობი აფხაზ-იმერეთის მეფე თამარ მე-2“ გამოსცა ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე მ, ტფ. 1913.
40. ვახტანგ უცნობი მე-14 საუკუნის აფხაზ-იმერეთის „მეფეთაგანი და მისი მემკვიდრე მეფე გიორგი“, გამოსცა ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე მ, ტფ. 1913.
41. „ბაგრატ მეფე მე-15 საუკუნის რაჭა-არგვეთის მფლობელი“, გამოსცა ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე მ, ტფ. 1913.
42. ისტორიული დოკუმენტები, 1—5, გამოსცა ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე მ, ტფ. 1913; მისივე გამოცემა, აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარი, ტფ. 1913; მისივე გამოცემა საცაგერლოს გამოსავალი დავთარი, ტფ. 1914; მისივე გამოცემა საეკლესიო რეფორმისათვის სოლომონ I დროს, ტფ. 1913; მისივე გამოცემა, საცაიშლოს გამოსავლის დავთარი.
43. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი, სოლომონ მეფე და როსტომ ერისთავი, თბ. 1936.
44. კ ე კ ე ლ ი ძ ე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ. 1941.
45. კ ი კ ნ ა ძ ე რ. საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან მე-15 ს-ის II ნახევარში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 7, 1954.
46. ლ ე ო ნ ი ძ ე გ. წერილები და გამოკვლევები.
47. ლ ო მ ს ა ძ ე შ. სამცხე-ჯავახეთი, თბ. 1975.
48. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ი. მასალები საქართველოს ისტორიისათვის (მე-18 ს) მსდკი, ნაკვ. II, 1940.
49. ლ ო მ ი ნ ა ძ ე ბ. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, სენიორიები, თბ. 1966; გელათი, თბ. 1958, ფეოდალური მიწისმფლობელობის ისტორიიდან „საწინამძღვრო“, მსდკი, ნაკვ. 31, თბ. 1954; საეკლესიო — „სამწყსო“ გადასახადთა შესახებ სიბუთების მნიშვნელობისათვის, მსდკი, ნაკვ. 83, თბ. 1960, სამწერველო მე-13 საუკუნეში, მიმომხილველი, I, 1949; ბიკვინთის ხატის 1568 წლის წარწერა, მსდკი, ნაკვ. 33, თბ. 1960.
50. მ ა თ უ რ ე ლ ი ი. იმერეთის მეფის ალექსანდრე მეხუთის რუკა, ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. 9, 1949.
51. მ ა ჭ ა რ ა ძ ე ვ. ასპინძის ბრძოლა, თბ. 1957·
მასალები მე-18 ს. მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, 1968; მისივე, ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, თბ. 1968.

52. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის 1652—1660 წწ., გამოსცა გ. პაიჭაძემ, საისტორიო მოამბე, № 19-20, თბ. 1965; მისივე, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1660—1685 წწ), საისტორიო მოამბე, № 23—24, 1970.
53. მაკალათია ს. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ. 1941.
54. მეტრეველი ე. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ. 1962; იერუსალიმის რამდენიმე ქართული მონასტრის დათარიღების ცდა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. 4, თბ. 1962.
55. მენაბდე ლ. ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვ. II, თბ. 1962.
56. მეუნარგია ი. სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი, თბ. 1939.
57. მუსხელიშვილი ლ. დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალ-ეკონომიური კატეგორიები მე-16-17 სს. ენიმკის მოამბე, თბ. 1940, № 5-6.
58. მეტრეველი გ. იმერეთის სამეფო მე-18 ს. II ნახევარში სამთავროებთან მიმართებაში.
59. ოდიშელი ჯ. აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის მე-14-17 სს, წიგნში, რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ. 1969.
მცირე ქრონიკები (ციკლოსების ისტორიული მინაწერები), ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯ. ოდიშელმა, თბ. 1968.
60. ორბელიანი პაპუნა, „ამბავი ქართლისანი", ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, სპბ. 1854.
61. ორბელიანი სულხან-საბა, მოგზაურობა ევროპაში, თბ. 1940.
62. თ. ყორდანია, ქრონიკები, ტ. II, ტფ. 1897, მისივე ქრონიკები, ტ. III, გამოსცეს გ. ყორდანიამ, შ. ხანთაძემ, 1968.
63. როდონაია ე. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან მე-17 ს. I ნახევარში.
64. რეხვიაშვილი ნ. მჭედლობა რაჭაში, თბ. 1953.
65. რეხვიაშვილი მ. იმერეთის სამეფო მე-16 ს-ში, თბ: 1976.
66. რჩეულიშვილი მ. მასალები ქართული ცხვარის შესწავლისათვის, შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ. 1938.
67. სოსელია ო. ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ. 1966, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ. 1973; ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიიდან (საოთავადოები), თბ. 1981; სამეგრელოს საშთავროს წარმოშობის თარიღისათვის, მიმომხილველი, II, თბ. 1951.
68. სვანიძე მ. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან (მე-16-17 სს), თბ. 1971.
69. საქართველოს ისტორია, ჯანაშიას რედაქციით, თბ. 1946.
70. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. მე-4, თბ. 1973.
71. საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, I, თბ. 1958.

72. საკითხავი წიგნი საქართველოს ისტორიაში გ. მელიქიშვილის რედაქციით, თბ. 1980.
73. სანაძე მ. ვლეხობა დასავლეთ საქართველოში მე-15-18 ს-ში, თბ. 1979.
74. ტატიშვილი, ქართველები მოსკოვში, თბ. 1947.
75. ტივაძე თ. ერთი ეპიზოდი მე-17 ს-ის 60-იანი წლების რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, კრებულში ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, I, თბ. 1970.
76. პაიჭაძე გ. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა 1725—1735 წწ. თბ. 1967; ტიმოთე გაბაშვილის ელჩობა რუსეთში (1737—1749 წწ), წიგნში, ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, I. თბ. 1970.
77. შარაშიძე ვ. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (მე-15-16 სს.), თბ. 1961.
78. შაქნაზაროვი, გ. ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით.
79. შენგელია ნ. სახლთუხუცესის თანამდებობა იმერეთის სამეფოში, ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1940.
80. უაუხჩიშვილი თ. ბერძნული წარწერები საქართველოში.
81. ცინცაძე ი. უკრაინისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, იხ. წიგნში — ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (მე-16-17 სს.), თბ. 1916; მასალები საქართველოსა და პოლონეთის ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ. 1966; ორი საბუთი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, იხ. წიგნში ენიმკის მოამბე, 5—6, თბ. 1940; 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბ. 1960, ალა-მაჰმადხანის თავდასხმა საქართველოზე, თბ. 1969.
82. ცაიშვილი ი. ბესიკი, თბ. 1962.
83. ცქიტიშვილი ზ. საქართველოს სახელმწიფო მოღვაწენი, მე-18 ს. II ნახევარი, მე-19 ს. დამდეგი, თბ. 1980.
84. ჩხატარაიშვილი ქ. საქართველოს საგარეო ურთიერთობათა ისტორიიდან, წიგნში, საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, თბ. 1972; დასავლეთი საქართველო მე-18 ს. პირველ ნახევარში, საქ. ისტ. ნარკვევები, ტ. 4. თბ. 1973; იქვე, დასავლეთ საქართველოს განთავისუფლება ოსმალეთის ბატონობისაგან; გურიის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან. „მაცნე", №4. 1964; გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან, თბ. 1985.
85. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, ტ. 3, 4 თბ. 1966, 1967; ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, თბ. 1926, საქართველოს ისტორია მე-11 —მე-15 ს-ში, თბ. 1949; ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, 1919; დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-18 ს-ში, თბ. 1919; თხზულებათა 8 ტომი, თბ. 1977.
86. საქართველოს ეკონომიური ისტორია, ნაწ. I, II, თბ. 1976, 1934.
87. ჯამბურია გ. გიორგი საკაძე, თბ. 1964; ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955.
88. ჯიქია ს. ევლია ჩელები ლაზებისა და ლაზეთის შესახებ, იხ. წიგნში იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. 6, თბ. 1954.
89. ჯანაშვილი მ. მასალები საქართველოს ისტორიისათვის, თბ. 1905.
90. ჯამბაკურ-ორბელიანი, ალა-მაჰმადხანის შემოსევა ქ. ტფილისში, ტფ. 1895.

91. ხახანაშვილიალ. სოლომონ II, ტფ. 1911, ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ტფ. 1910.
92. ხერხეულიძე ოვან, „მეფობა ირაკლი მეორისა, მეფისა თეიმურაზის ძისა“, ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, ლ. ჩუბინაშვილის გამოცემა, სპბ. 1854.
93. ხუსკივაძე ლ. ლევან დადიანის საოქრომჭედლო სახელოსნო, თბ. 1974,
94. ჭიჭინაძე ზ. ფარული საზოგადოების დაარსების მიზეზები, ტფ. 1919.
95. ჭიჭინაძე ი. ქტიტორთა გამოსახულებანი, მნათობი, 1975 წ. № 2.
96. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1—4, გამოსცა ი. დოლიძემ, თბ. 1963, 1965, 1970, 1972.
97. ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ. 1959.
98. ქართლის ცხოვრება, ტ. მე-4. თბ. 1973.
99. ქართველიშვილი ი. მემუარები, გამოსცა ა. იოსელიანმა, თბ. 1952.
100. ქართული ლიტერატურის ისტორია, ალ. ბარამიძის რედაქტორობით, ტ. II, თბ. 1966.
101. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, თბ. 1925.
102. ფურცელაძე დ. ქართველ თავად-აზნაურთა სიგელ-გუჯრები, 1881 (რუსულ ენაზე)
103. ფუთურიძე ვ. ოსმალეთი მე-16-17 საუკუნეთა მიჯნაზე, წიგნში, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ. 1957.
104. ფრ. ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში, თბ. 1956.
105. ჩხეიძე ს. „ცხოვრება მეფეთა“, ქართლის ცხოვრება, ნაწ. II. დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, სპბ. 1854.

უცხოენოვანი ავტორები

1. ბოროზდინი კ. ერისთავი რაფ. და მურიე. ბატონყმობა სამეგრელოში, ტფ. 1927.
2. ბარბარო იოსაფასა და კონტარინი ამბროზიოს ცნობები საქართველოს შესახებ, მოსკვა, 1894, № II, იტალიურიდან თარგმნა ალ. ჭყონიამ.
3. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა გ. გელაშვილმა, ტ. I-II, თბ. 1962, 1964.
4. დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, იტალიურიდან თარგმნა ბ. გიორგაძემ, თბ. 1976.
5. დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე, იტალიურიდან თარგმნა ბ. გიორგაძემ, თბ, 1964.
6. დე გრაი დე ფუას ცნობები საქართველოს შესახებ, ფრანგულიდან თარგმნა ჯ. ოდიშელმა, თბ. 1985.
7. თავრიზელი არაქელი, გაზეთი იბერია, 1885, № 7.
8. თაქერი მოკამედის ცნობები საქართველოს შესახებ, თურქულიდან თარგმნა ელ. ფუთურიძემ, მსდკი, ნაკვ. 30, თბ. 1954.

9. ი ე ვ ლ ი ე ვ ი ა ლ ე ქ ს ი ს ა დ ა ტ ო ლ ო ჩ ა ნ ო ვ ი ს 1650—1652 წლ. ომ ე-რეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, რუსულიდან თარ-გმნა და გამოსცა ი. ც ი ნ ც ა ძ ე მ, თბ. 1969, 1970.

10. კ ა ტ ე რ ი ნ ო ძ ე ნ ო, ჯ ო ვ ა ნ მ ა რ ი ა ა ნ ჯ ო ლ ე ლ ო დ ა ა ნ ო ნ ი მ ი ვენეციელის თხზულებანი საქართველოს შესახებ, იტალიურიდან თარგმნა ე. მ ა მ ი ს თ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ მ ა, იხ. წიგნში, ევროპის ქვეყნების ისტო-რიის პრობლემები, თბ. 1975.

11. ლ ა მ ბ ე რ ტ ი ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ ო, სამეგრელოს აღწერა, იტალიურიდან თარ-გმნა ალ. ჭ ყ ო ნ ი ა მ, თბ. 1938.

12. ლ ე ო ნ ი ს ცნობები საქართველოს შესახებ, ამბროლაურის რ-ნის გაზეთი „კომუნარი", 1959. იტალიურიდან თარგმნა ბ. გ ი ო რ გ ა ძ ე მ.

13. ნ ა ი მ ა მ უ ს ტ ა ფ ა, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურ-ქულიდან თარგმნა და გამოსცა ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა მ, თბ. 1979.

14. პ ი ე ტ რ ო დ ე ლ ა ვ ა ლ ე ს მოხსენება საქართველოს შესახებ, იტალიუ-რიდან თარგმნა ალ. ჭ ყ ო ნ ი ა მ, თბ. 1927. გაზეთი ივერია, 1879, № 3.

15. რ ე ი ნ ე გ ს ი, საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა მე-18 ს-ში. ივერია, 1897.

16. რ უ მ ლ უ პ ა ს ა ნ ი ს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსულიდან თარგ-მნა და გამოსცა ვლ. ფ უ თ უ რ ი ძ ე მ, შენიშვნები დაურთო რ. კ ი კ-ნ ა ძ ე მ, თბ. 1966.

17. ტ ა ვ ე რ ნ ი ე ჯ ა ნ ბ ა ტ ი ს ტ, დიდი სენიორის სამეფო კარის ახალი აღ-წერა, ფრანგულიდან თარგმნა და გამოსცა კ. გ უ რ უ ლ მ ა, თბ. 1974.

18. ფ ე ხ ვ ი ი ბ რ ა ჰ ი მ ი ს ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა და გამოსცა ს. ჯ ი ქ ი ა მ, თბ. 1964.

19. ჩ ე ლ ე ბ ი ე ვ ლ ი ა ს მოგზაურობის წიგნი, I, II, თურქულიდან თარგმნა ვლ. ფ უ თ უ რ ი ძ ე მ, თბ. 1971, 1973.

20. შ ა რ დ ე ნ ი ჯ ა ნ, მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყ-ნებში, ფრანგულიდან თარგმნა მ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ მ ა, თბ. 1975.

11. ჰ ა მ ე რ ი, ოსმანთა სახელმწიფოს ისტორია, 1836, გერმანულ ენაზე.

22. Акты, собранные кавказской археологической комиссией (АКАК). Тифлис, 1866—1904.

23. Бурнашов. Картина Грузии, Курсу, 1793; Тифлис, 1894.

24. П. Бутков. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803, I, II, III, СПб, 1869.

25. С. Белокуров. Сношения России с Кавказом, выпуск 1. Москва, 1889.

26. М. Броссе. Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями, от 1639 г., по 1770 г., СПБ. 1861.

27. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе, т. 1—5, СПб. 1871—1888.

28. Месхиа Ш. Города и городской строй феодальной Грузии 17—18 вв. Тб. 1950.
29. Накашидзе Н. Грузино-русские политические отношения с первого нападения 17 века, Тб. 1968.
30. А. Цагарели. Грамоты и другие исторические документы 18 столетия, относящиеся к Грузии, тт. I—II, спв. 1891, 1898.
31. Чарльз Дарвин. Полное собрание сочинений, т. II, книга I, 1927.

პირთა საძიებელი[1]

ა

აბას-მირზა 352
აბაშიძე აბილაბაშ 89
აბაშიძე გიორგი 139, 140, 143, 145, 147, 149—154, 167, 290, 340, 342, 407, 480, 482
აბაშიძე დავით 165, 257, 258, 374, 454
აბაშიძე დიმიტრი 381
აბაშიძე ევგენი 257, 258
აბაშიძე ვახუშტი 153, 165, 166, 269, 445, 460
აბაშიძე ზაალ 297
აბაშიძე ზურაბ 154—158, 163, 165—167
აბაშიძე თამარ იხ. თამარ დედოფალი
აბაშიძე ივანე 386
აბაშიძე იოანე 304
აბაშიძე ლევან 136, 163, 165—167, 176, 178, 183, 185—187, 190, 205, 206, 288, 406
აბაშიძე შალაქია 46
აბაშიძე პაატა 74, 120, 136, 137
აბაშიძე სვიმონი 386
აბაშიძე სიმონი 156
აბაშიძე ქაიხოსრო 211, 288—291, 378, 381, 386
აბაშიძე ქაქუჩელა, საქარელი 377
აბაშიძე ხახული 386
აბაშიძეები 66, 67, 183, 187, 198, 214, 253, 303, 389
აბაშიძე-მამუკაშვილი 183
აბაშიძე-ღაბუაშვილი დავით 386
აბდალაძე ა. 26, 27
აბდულ-აღა 276
აბესაძე ხახუტა 487
აბულაძე ქაიხოსრო 229
აგიაშვილი იოანე 304
აგიაშვილი ქაიხოსრო 278, 284
ავალიანები 184, 349
ავალიანი ს. 447, 448
ავ-გიორგი 29, 30
ავთანდილ გიორგის ძე 89
ავთანდილოვი 375
ათანასე-პაპუნა 116—118
აია ფაშა (არზრუმის ბეგლარბეგი) 42
აკოფაშვილი გ. 444, 446, 458
ალავერდი-ხანი 73
ალაიად-ხანი 264—265
ალექსანდრე I 13, 16, 26
ალექსანდრე I (რუსეთის იმპერატორი) 330—332, 340, 344, 487
ალექსანდრე არჩილის ძე 148, 149
ალექსანდრეII (კახეთის მეფე) 13, 61, 77
ალექსანდრე III გიორგი იმერთა მეფის ძე 22, 88—90, 93—108, 110, 113, 115—118, 120, 133, 157, 200, 201, 479
ალექსანდრე ხანი იხ. ალექსანდრე III
ალექსანდრე IV 130, 132, 135—141, 145, 201
ალექსანდრე V 158—160, 162—177, 183, 218, 408, 480
ალექსანდრე ბაგრატის ძე 19—23, 29, 30

[1] შეადგინა მ. ინასარიძემ

ალექსანდრე პავლეს ძე (რუსეთის ხელმწიფე) 263—265, 312, 326. 351, 394
ალექსანდრე გიორგის ძე 307
ალექსანდრე გიორგის ძე (კახეთის მეფე) 76, 79
ალექსანდრე მიხეილის ძე (რუსეთის იმპერატორი) 102, 103, 107, 132, 456
ალექსანდრე ბატონიშვილი 257, 258, 266, 280, 289, 307, 328, 352, 376, 483, 486
ალექსანდრე ბატონიშვილი (ირანში გადახვეწილი) 357—359, 361
ალექსანდრე ზაქარის ძე 27, 260—263, 266, 267
ამილახვარი ალექსანდრე 267, 271, 485, 486
ამილოხორი გივი 164
ამილახვრისშვილი ალექსანდრე დიმიტრის ძე 252
ამირ ჰამზა ხან თალიში 124
ანა დედოფალი (დავით გიორგის ძის მეუღლე) 330, 486
ანდრონიკაშვილი მალხაზ 361, 368, 371, 379, 380, 386
ანდრონიკაშვილი (ქიზიყის მოურავი) 281, 302, 317
ანთაძე 164
ანთელავა ი. 71, 81
ანიკა (გიორგი აბაშიძის ასული) 145
ანტონ I კათალიკოსი 262, 266, 483, 488
ანტონ II 326
ანტონ გიორგის ძე 216
ანტონ რაჭის ერისთავი 373
ანტონ ჯარდინი 478
ანჩაბაძე დათა 420
Анчабадзе 3, 71, 81
ანჩაბაძე თემურყუა 420, 421
ანჯოლელო ჯიოვანი მარია 27—29
არარაქი არტემ 323, 325
არსენ ბერი 326, 474
არსენ იყალთოელი 474
არტიმონ არქიმანდრიტი 102
არჩილ ვახტანგის ძე 113, 138
არჩილ მეფე 120, 121, 123—125, 133—135, 139—146, 251, 270, 279, 284, 490
არღუთინსკი იოსებ 323, 325
ასათიანი ლ. 269
ასათიანი ნ. 16—18, 117—120, 126—128, 453, 459, 460, 470
ასლან-ფაშა 114, 121, 128, 135
აღა-მაჰმად-ხანი 315—320
აღბუღა 14, 46, 447, 456, 458
ახვერდოვი 374
აჰმედ III 151
აჰმედ-ფაშა 64, 193, 406

ბ

ბაბა-ხანი 333, 361
ბაზაძე 467
ბაგრატ ალექსანდრეს ძე 79
ბაგრატ თეიმურაზის ძე 67
ბაგრატ II იხ. ბაგრატ VI
ბაგრატ III 23, 26, 30—37, 39—42, 44—47, 49—54, 198, 200, 222, 404, 454, 460, 461, 475
ბაგრატ IV 102, 108, 110, 111, 113—119, 121, 125—136, 202, 477
ბაგრატ VI 13—19
ბაგრატ ბატონიშვილი 208, 209, 278, 282, 302, 310, 338
ბაგრატ (ქართლის მეფე) 27
ბაგრატიონები 330, 332, 333, 376
ბაგრატიონი არჩილ 387
ბაგრატიონი გიორგი ალექსანდრეს ძე 486, 488
ბათელია 58—60
ბარათაშვილი (ბოქაული) 375
ბარათაშვილი სულხან 326
ბარამიძე ა. 125, 261
ბარბარო იოსაფა 19
ბარკლაი დე ტოლი 415
ბაქრაძე დ. 150, 446
ბალდიაშვილი იესე 477
ბალუაშები 198
ბალუაში ლიპარიტ 198
ბაში-აჩუკი 38, 41, 42
ბახუტა, ბახუტაბეგი 106
ბებუთოვი (ბებუთაშვილი) 323, 325, 421
ბედიანი 17, 18

ბეზბოროდკო ა. 272
ბეზიურგი მირზა 374
ბელოკუროვი ს. 13, 76
ბეჟანი 153
ბერაძე თ. 81, 197
ბერძენიშვილი ნ. 8, 16, 17, 51, 52, 58, 76, 108, 109, 122, 146, 147, 169—172, 176, 179, 180, 188, 190, 195, 197, 242, 250, 256, 271, 277, 278, 297, 305, 316, 318, 326, 336—338, 344, 347, 349, 358, 377, 379, 383, 393, 394, 400, 442, 450
ბესარიონ კათალიკოსი 177, 178, 202, 204, 205, 207, 211, 212, 215
ბესარიონი (გარეჯის უდაბნოდან) 408
ბესარიონ ჭყონდიდელი 314, 348
ბესიკი,ბესარიონ გაბაშვილი (გაბაონოვი) 260—265, 268, 270, 283—285, 294, 295, 298—300, 484, 485, 487
ბექა 447, 458
ბექა III 161
ბიძინა თარჯიმანი 104
ბოროზდინი 465
ბოპორიძე გ. 197, 203
ბრონევსკი 333, 334
ბროსე მარი 25, 26, 33, 58, 79, 84, 92, 96, 104, 108, 137, 139, 140, 145, 169, 170, 173, 175, 262, 326, 446
ბულგაკოვი 271
ბურნაშოვი 295, 296, 281, 286—289
ბურჯანაძე შ. 7, 8, 89, 110, 114, 118, 158, 171, 176, 178—180, 182, 184—186, 188, 191, 193—196, 202, 205, 208, 225, 257, 258, 267, 281, 284—286, 306, 309, 339, 411
ბურჯანაძეები 407
ბუტკოვი 272, 280, 282, 287, 292—294, 320, 323, 325
ბუკველა 418

ბ

ბაბაონოვი იხ. ბესიკი
გაბაშვილი ვ. 24, 25, 41
გაბაშვილი ზაქარია 262, 266, 483
გაბაშვილი იოანე ზაქარიას ძე 482
გაბაშვილი იოსებ 484
გაბაშვილი ნიკოლოზ ზაქარიას ძე 484
გაბაშვილი ოსე ზაქარიას ძე 486
გაბაშვილი სვიმონ 300
გაბაშვილი ტიმოთე 169, 170, 172—175,204, 488
გაბრიელ ჭყონდიდელი 407
გამალიელი ბერი 326
გედეონ გენათელი 127, 163
გელაშვილი მ. 188
გელოვანი ბერი 308, 310, 313, 314, 369, 371, 373, 386
გელოვანი ქაიხოსრო 301
გერიტიშვილი დ. 81, 92, 95, 110, 111, 138, 429, 439—441, 446, 447. 450, 541, 457, 469—471
გიორგაძე ბ. 212
გიორგი ბეგი 64
გიორგი ბრწყინვალე 14
გიორგი (გულანის გადამწერი) 477
გიორგი II, ბაგრატის ძე 47, 54—61, 64, 65, 74, 461
გიორგი III 73, 74, 77, 79—81, 88—94
გიორგი IV, გოჩიად წოდებული 144, 480
გიორგი V, 201, 275, 276, 482
გიორგი VI 150, 152—157 ,201, 487
გიორგი VIII, 14, 15, 18, 31
გიორგი IX 32
გიორგი XI (ქართლის მეფე) 201, 202
გიორგი XI, აბაშიძე 135, 138, 142—144
გიორგი XII 227, 230, 326, 331
გიორგი XIII 308, 314, 317, 327, 330
გიორგი ალექსანდრეს ძე (სოლომონ I-ის ბიძაშვილი) 284
გიორგი (ალექსანდრე V-ის ნახევარ-ძმა) 165, 166, 177, 178
გიორგი ალექსანდრეს ძე, ბატონიშვილი 306, 307, 480, 488
გიორგი ბატონიშვილი (სოლომონ I-ის ბიძა) 205, 280

გიორგი გურიელი, ბატონიშვილი 249
გიორგი კონსტანტინეს ძე (იმერთა მეფე) 72
გიორგი (კახთა მეფე) 49
გიორგი (ალექსანდრე I-ის ძმა) 16—18
გიორგი (როსტომ რაჭის ერისთავის ძე), ქიორ-ბეი 204, 205, 210, 212, 216, 289, 290
გიორგი ბაგრატიონი 113
გიულდენშტეიდტი 188, 196, 435
გოლა-ფაშა 137
გონიკაშვილი მ. 8, 9, 377
გორგაძე ს. 262
გორგიჯანიძე ფარსადან 34, 41, 42, 66, 68, 73, 74, 89, 91, 93, 94, 97, 104—106, 110—113, 117—121, 124, 128, 129, 135, 136, 141, 142
გორიჯელი ბეი 87
გოშაძე 126
გრიგალაშვილები 184
გრიგოლ კათალიკოსი 149, 483
გრიგოლ (რაჭის ერისთავი) 163, 165, 166, 168
გრიგოლ (შოშიტა III-ის ძე) 200
გრიგოლაშვილი მიტროფანე 486
გრიგოლია კ. 78, 81, 90—92, 97, 123
გუგუშვილი ბ. 416, 420, 422, 428
გუდოვიჩი 316—318, 320, 323, 325, 352—358
გულქან დედოფალი 307
გურამიშვილი გიორგი 322
გურამიშვილი დავით 413
გურიელები 15, 18, 20, 21, 56—60, 64, 65, 72, 77, 79, 82, 106
გურიელი გიორგი 54, 67, 72, 219, 275, 276, 290, 430
გურიელი გიორგი დემეტრეს ძე 107
გურიელი გიორგი მამიას ძე 155
გურიელი გიორგი V 194
გურიელი გიორგი ქაიხოსროს ძე 129—131, 134—136
გურიელი გიორგი (მამია IV გურიელის ძმა) 178
გურიელი დავით მამიას ძე 275
გურიელი დემეტრე 106, 107, 120, 121, 125, 128, 129
გურიელი ვახტანგ 65, 276, 287
გურიელი ლევან 397
გურიელი მალაქია დემეტრეს ძე 107
გურიელი მამია II 32—34, 37, 39, 40, 72, 74, 79, 80, 83
გურიელი მამია III 139, 145, 151, 154, 155, 163
გურიელი მამია IV 177—179, 186, 194, 239, 274, 275, 362, 393, 369, 371, 373, 389, 400—409
გურიელი როსტომ 52—54
გურიელი სეიმონ 83, 84
გურიელი სიმონ გიორგის ძე 276
გურიელი ქაიხოსრო 93, 105—107, 482
გუტენბერგი 492
გუჩუა ვ. 469

დ

დადიანი ალექსანდრე 307
დადიანი ბეჟან 155—158, 162
დადიანი გიორგი 59, 65, 169, 307, 438
დადიანი (გიორგი XIII-ის სიძე) 327
დადიანი გრიგოლ კაციას ძე 301—303, 306—314, 335, 337—339, 344, 346—349, 369
დადიანი ვამიყ 105, 106, 112, 113, 115, 119—121
დადიანი იოანე (გიორგის ძე) 307
დადიანი იოსებ 82
დადიანი კაცია 154, 163, 164, 186, 211, 212, 215, 219, 227, 240—242, 250, 251, 256, 267, 281, 301
დადიანი კაცია II 208
დადიანი ლევან 72, 74, 77—84, 89—99, 104—106, 121, 123, 125—127, 129, 130, 134, 135, 373, 380, 382, 400, 403, 404, 432
დადიანი ლიპარიტ 106
დადიანი მამია 37, 39, 40, 59, 65, 105
დადიანი მანუჩარ 72, 78, 79, 85
დადიანი მანუჩარ კაციას ძე 301, 308—310, 385

დადიანი მანუჩარ (ლევან დადიანის შაშა) 67, 68
დადიანი ნ. 165, 166, 176, 183, 185, 187, 266, 278, 281, 299, 301—303, 307—310, 326, 350, 363, 387, 416, 417, 486
დადიანი ოტია ბეჟანის ძე 159, 162, 163, 165, 166, 185, 186
დადიანი ტარიელ 310, 311, 386
დადიანი შამადავლე 48, 461
დავიდოვი (დავითაშვილი) გიორგი 260
დავით არჩილის ძე 280—282, 284—287, 289, 295—299, 301, 302. იხ. სოლომონ II
დავით ალმაშენებელი 198, 223, 280
დავით კათალიკოსი 454
დავით (მდივანბეგი) 284
დავით (მღვდელ-მონაზონი) 99
დავით ნარინი 45, 198
დავით ქსნის ერისთავი 234
დავით კონსტანტინეს ძე 22
დავით ბატონიშვილი 208, 209, 374, 377
დავით გიორგის ძე 11, 216, 257—259, 280—299, 301—304, 306, 310, 320, 326, 327, 329, 338, 362, 392, 393, 485, 486
დავითი (კახეთის მთავარი) 18
დავით IX (ქართლის მეფე) 27, 29, 50
დარვინი ჩარლზ 397
დარეჯანი (ზურაბ ერისთავის მეუღლე) 90
დარეჯანი (გიორგი ბატონიშვილის მეუღლე) 307
დარეჯან დედოფალი 327
დარეჯან (ბაგრატ IV-ის ასული) 126, 134—136
დარეჯან (ბერი წულუკიძის ასული) 258
დარეჯან იხ. ნესტან-დარეჯანი
დარჩია 323
დაუთ-ხანი 123
დე გრაი დე ფუა 224, 409
დეედარიანი თეიმურაზ 386
დეედარიანი ივანე 386
დემეტრე მწერალი 477
დივ სულთანი 41
დმიტრი (გიორგი ბატონიშვილის ძე გურიელის ასულ დარეჯანთან) 307
დიონიზიო (მკურნალი) 216
დიუბუა 420
დოდაშვილი სოლომონ 326
დოლიძე ი. 454, 458
დომენტი კათალიკოსი 166
დოსითეოზ კათალიკოსი (წერეთელი) 257, 333
დოსითეოზ ნეკრესელი 391
დოსითეოზ (ქუთათელი მიტროპოლიტი) 284, 304
დუბროვინი ნ. 287—289, 312, 323—325, 331, 355, 394, 416
დუმბაძე მ. 329, 334, 339, 347, 379, 392

ე

ეგნატაშვილი ბერი 12, 13, 34, 35, 55, 92, 94, 96, 117, 128, 136
ევდემონ კათალიკოსი 47, 49, 51, 404
ევდემონ მიტროპოლიტი 134
ევდემონ ქუთათელი 149
ეზეკიელი 134
ეკატერინა, ქეთევანი, კატერინა ნესტან-დარეჯანის ძმისშვილი) 110, 113, 114, 116—118, 125, 128
ეკატერინე II 202, 221, 225, 232, 233, 236, 237, 242, 243, 245, 248—250, 254, 255 264, 266, 272, 279, 293, 318, 410, 492
ელენე ლუარსაბის ასული 137
ელენე (გიორგი როსტომის ძე ერისთავის მეუღლე, დავით გიორგის ძის და) 290
ელენე ერეკლეს ასული 280, 281, 302
ელენე (ბაგრატ III-ის მეუღლე) 47
ელენე დავითის ასული 216

ელიზბარი ქსნის ერისთავის ძე 266, 284, 296, 297, 351, 352
ელისაბედი (ერეკლე II-ის და) 241
ელჩინი თ. 432
ემუხვარი სესირაყვა 420
ენგელსი ფ. 443
ენუქიძე თ. 439, 443
ერეკლე დავითის ძე იხ. ერეკლე I
ერეკლე I, ნიკოლოზ დავითის ძე, ნიკოლაი დავიდოვიჩი, ნაზარალიხანი, ერეკლე დავითის ძე 107, 108, 115—117, 119, 121, 132—134, 137, 140—143, 145
ერეკლე II 176, 192, 193, 195, 202, 207, 209, 212, 215, 216, 220—234, 241, 242, 246—248, 253, 254, 258—262, 266, 267, 271—273, 280, 282, 284—286, 288, 289, 293—296, 298, 299, 301—303, 305, 307, 315—324, 326, 330, 333, 391, 392, 412, 417, 483—486, 490, 492, 494
ერისთავები 14, 198, 199
ერისთავი გიორგი 374
ერისთავი დავით 137
ერისთავი დავით 374
ერისთავი ელიზბარ 287, 295, 379, 485
ერისთავი ზურაბ 89
ერისთავი (პოლკოვნიკი) 342
ერისთავი რაფ. 465, 468
ერისთავი როსტომ 203, 204, 482
ერიცოვი 323
ერმოლოვი 418, 419
ეფთვიმი(გენათელი მიტროპოლიტი) 284, 304, 307, 373

ვ

ვარდარ ალი-ფაშა 405
ვასილი (მღვდელ-მონაზონი) 99
ვაჭრიძე ბ. 486
ვახტანგ V, შაჰ-ნავაზი, მუხრანბატონი 105, 112, 114—116, 119—121, 123—125, 133, 137, 201, 479
ვახტანგ VI 153, 154, 160, 168, 170, 202, 221, 260—262, 266, 269, 289, 331, 411, 412, 433,447, 455, 456, 458, 459, 479, 480, 490
ვახტანგ მეფე 191
ვახტანგ მეფე 58
ვახტანგ მეფე 163
ვახტანგ ბატონიშვილი 278, 279
ვახტანგი (კახეთის მეფე) 27
ვახტანგი (გრიგოლ რაჟის ერისთავის ძმა) 168
ვახტანგი (ბაგრატ III-ის ძმა) 53
ვახტანგ შოშიტა III-ის ძე 200
ვახტანგი (ბაგრატიონი, რომელსაც ჭუჭუნიას შვილს ეძახდნენ) 111, 116, 117, 128, 129
ვახუშტი (გიორგი აბაშიძის ძმისშვილი) იხ. აბაშიძე ვახუშტი
ვახუშტი ბაგრატიონი 13, 14, 17, 20—22, 26, 27, 29, 33, 36, 37, 45, 49, 50, 52—60, 62. 66—68, 74, 78—81, 92—94, 97, 98, 117, 125—127, 136, 142—144, 150, 151, 153—155, 157—159, 163—166, 172, 177, 270, 409, 427, 428, 430, 431, 438, 446, 454, 479
ვიტენბერგი (სოლომონ 1-ის მკურნალი ექიმი) 288, 289
ვოლტერი 255
ვოსკერჩიანი 323, 325

ზ

ზაალ (არაგვის ერისთავი) 106
ზაალ (გურიის ერისთავი) 410
ზაქარია მოძღვარი 262
ზაქარია მიტროპოლიტი 104
ზებედე 477
ზევდგინიძეები 16
ზუბაშვილი რომანოზ 488
ზუბოვი 351
ზურაბ (გიორგი აბაშიძის ძმისშვილი) 153
ზურაბ (არაგვის ერისთავი) 88

თ

თაბუკაშვილი 375
თავზარაშვილი ქაქუჩა 386

თავდგირიძე მამუკა 274
თავდგირიძე ალმედ-ბეგი 140
თათია 121, 125—127
თამარაშვილი შ. 16, 89, 93, 131, 192, 204, 280, 398, 400—403, 477
თამარ მეფე 197, 203, 280, 388
თამარ (იმერეთის მეფის ასული, ლუარსაბის მეუღლე) 31
თამარ (მამია გურიელის ქალი) 79
თამარ დედოფალი (ლევან III-ის ნაცოლარი, ბაგრატ IV-ის ცოლი) 130, 134, 135
თამარი (კოუიბროლად წოდებული) 167
თამარ დედოფალი 143—145, 205
თამარ (სოლომონ I-ის დედა) 177
თამარ (ლევან აბაშიძის ასული) 205
თარხან-მოურავები 221
თაყაიშვილი ექვთ. 22, 57, 81, 84, 92, 178, 182, 186, 197, 410, 464
თაჰერი მოჰამედ 106, 113, 114, 118, 119, 123
თეიმურაზ ბატონიშვილი (გიორგი XIII-ის ძე) 320, 321, 325
თეიმურაზ I 44, 72—74, 77, 79, 89—91, 97—100, 103, 105, 108, 110, 111, 113—117, 119, 123, 137, 201, 204, 209, 398, 478, 479, 490
თეიმურაზ II 241, 290
თეიმურაზ ხანი იხ. თეიმურაზ I
თეიმურაზ მამუკას ძე 193, 194, 196, 208
თეკლა ბატონიშვილი 321
თინათინი (აფხაზეთის მთავრის ასული) 179
თინათინ (ბაგრატ IV-ის და) 126
თოფურია ვ. 261
თუმანიშვილი სულხან 8

ი

იაზიკოვი 204, 233, 236, 239, 240, 242, 243
იამანიძე ბასილა 210
იამანიძე კვირიკა 210
იამვილები 184, 213
იაშვილი ნასყიდა 145
იაყუბ ყაენი 20, 21
იბრაჰიმ ფაშა 192
იბრაჰიმ-ხანი 406
იბრეიმ-ბეგი 351
იბრეიმ-ხანი 171
იევლევი ა. 49,100,101, 103, 104, 433,479
ივანე III (მოსკოვის მთავარი) 76
ივანე IV 76
ივანე (ქართველი ელჩი რუსეთის სამეფო კარზე) 99
ივანე (პატრი) 400
ილარიონ ქართველი 375
ინალოსშვილის ასული 179
ინანიკისშვილი მანოელ 476
იოანე გიორგის ძე (ერეკლე II-ის შვილიშვილი) 303, 326
იოანე (გულანის გადამწერი) 477
იოანე ბატონიშვილი 280, 407
იოანე მთავარეპისკოპოსი 284
იოანე ოქროპირი 482
იოანე პეტრიწი 474
იოვაკიმ 48
იოსებ გელათელი 480
იოსებ თბილელი 269, 270
იორდანიშვილი 112
იოსებ გენათელი 195
იოსებ კათალიკოსი 213—216, 251, 302
იოსებ (პატრი) 401
იოსებ ჯუდიჩი 402
იოსებ (სოლომონ I-ის ძმა) 212
იოსელიანები 184, 349
იოსელიანი ეგნატე 326
იოსელიანი პლატონ 230, 305, 306, 326, 446
ირბახი (ჩოლოყაშვილი) ნიკოლოზ 92
ირაკლი 208
ისიყ-ფაშა 152, 154—158, 164
ისმაილ I 28
იტალინსკი 312, 338, 339, 345, 346, 362
იულონ ბატონიშვილი 317, 327—334, 486
იუსუფ ფაშა 64, 166, 167

პ

პაკაბაძე ს. 17, 22, 42, 44—47, 66, 68, 74, 81, 83, 92, 112, 114, 121, 125, 126, 141, 145, 159, 165—167, 176—179, 182, 183, 185, 187, 188, 190, 191, 194, 197, 200—202, 206, 258, 259, 281, 307, 372, 400, 411, 412, 443—445, 448—451, 454, 460, 463—466
ყალანდაძე ანანია 477
ყალატოზოვი (ყალატოზიშვილი) მაიორი 378
ყარბელაშვილი 182
ყარგარეთელი იოსებ 477
ყატერინა იხ. ეკატერინა (ნესტან-დარეჯანის ძმისშვილი)
ყაჭარავა დ. 132, 133
ყახაბერიძე (რაჭის ერისთავი) 45
ყახაბერიძეები 198
ყეყელიძე კ. 174, 261, 262
ყვინიხიძე დავით 8, 238, 240, 254, 263, 291, 294, 298, 338, 339
ყვინიხიძეები 482
ყიკნაძე რ. 20, 42
ყიკნაძე პაატა 386
ყიკნაძე ხოსია 386
ყიკნაძეები 407
ყილიჩ ალი-ფაშა 62
ყლემენტე გალანო 401
ყნორინგი 326, 329, 331, 334, 392
ყომენი (მაიორი) 375
ყონსტანტინე ბატონიშვილი 329—334, 337—339, 343, 344, 349, 350, 356, 368, 373
ყონსტანტინე 13, 20—22
ყონსტანტინე (იმერთა მეფე გიორგის ძმა) 65
ყონტარინი ამბროზიო 19
ყოსტავა ქრიშობედ 417

ლ

ლაზარევი 326, 331, 392
ლამბერტი არქანჯელო 62, 71, 78, 80—85, 92—98, 400—403, 420, 428—430, 434, 434, 461—463, 478
ლასხიშვილი ხოსია 120, 121, 129
ლევან ბატონიშვილი 485
ლევანი 67
ლევან I დადიანი 44, 58
ლევან II დადიანი 48
ლევან (კახეთის მეფე) 40, 41, 76
ლევან გიორგის ძე (როსტომ რაჭის ერისთავის შვილიშვილი) 65, 216
ლევან (იმერთა მეფე) 65—67
ლევან („ჰაქიმი") 76
ლევაშოვი ბ. 85
ლეონტი უფლისწული 107
ლეონი (იტალიელი მისიონერი) 205, 211, 215, 216, 496
ლეონიძე გ. 112, 216, 479
ლეონიძე (ლიონიძე) სოლომონ 8, 305, 306, 327, 329, 334—341, 365, 366, 368, 370, 371, 391—394, 417, 481
ლეოვი 178, 236, 239
ლიპარი 106
ლიპარიტ იესეს (იოსების) ძე
ლიპარიტ იესეს (იოსების) ძე
ლიპარტელიანი გიორგის შვილები 153
ლიპარტიანი გიორგი 137—140, 142, 144, 145, 150, 151
ლიპარტიანები 56, 115—117
ლიპარტიანი გიორგი 78, 82, 104
ლიპარტიანი ვამიუ 104
ლიპარტიანი კაცია 153
ლიტვინოვი პეტრე 347—351, 361, 367, 414
ლომინაძე ბ. 45—47, 84, 475, 476, 480
ლომოური თ. 208, 209, 282, 319, 374
ლომსაძე შ. 193
ლოპიკკი 414
ლორთქიფანიძე ბეჟან 127, 136, 136, 141
ლორთქიფანიძე ბერი 374
ლორთქიფანიძე გედეონ 477
ლორთქიფანიძე გრიგოლ (ალალიკოსი) 153, 165
ლორთქიფანიძე ი. 9, 281, 286, 295—299, 302, 317
ლორთქიფანიძე მერაბ 411

ლორთქიფანიძეები 184
ლუარსაბი (ბაგრატ მეფის სიძე) 32, 39
ლუარსაბ I (ქართლის მეფის დავითის ძე) 31, 99, 107, 108, 110, 115
ლუარსაბ I (ქართლის მეფე) 72—75
ლუარსაბი (შაჰ-ნავაზის ძე) 201
ლუკიანე (თავადი) 115
ლუკიანოვი ივანე 118
ლუტფალ-ხანი 315

მ

მაკარაძე ვ. 221, 224—231, 236, 246, 250, 260, 263—266, 272—274, 283—295, 288
მათე (ლევან II დადიანის ცრუ ძე) 403, 404
მაისურაძე ნ. 484
მაკალათია ს. 78
მაკარიოსი (პატრიარქი) 128
მალაქია (კათალიკოსი) 404, 476
მალაქია (აფხაზეთის კათალიკოსი) 74, 84, 89
მალაქია, ქართლის კათალიკოსი 51
მალიპიერო ჰანიბალ 28
მაქსიმე კათალიკოსი 8, 286, 291, 294, 298, 300, 411
მაქსიმე მონაზონი 482
მაქსიმე ქუთათელი 196, 197, 218, 219, 221
მამედბეგი 164
მამია გიორგის ძე (იუსუფ-ფაშად წოდებული) 64
მამისთვალიშვილი ე. 27—29
მამრიკაშვილი 460, 461
მამუკა ბატონიშვილი 97, 102, 163, 164, 166, 168, 177, 178, 185, 205, 286
მამუკა ბოქაულთუხუცესი 89
მამუკა გიორგის ძე 89
მამუკა ღებელი 260, 264. 265
მარეხი (ლევან იმერთა მეფის მეუღლე) 72
მანოელი 477
მანუჩარი (სამცხის მთავარი) 65, 307
მარიამი (ელენტის ასული) 307
მარიამი (ოტია დადიანის ასული) 179
მარიამ დედოფალი 89, 92, 93
მარიამ დედოფალი (გიორგი XII-ის მეუღლე) 331
მარიამ დედოფალი (სოლომონ II-ის და) 321
მარიამი (ლევან დადიანის და) 84, 90
მარიამ დედოფალი (სოლომონ I-ის მეუღლე) 279
მარიამი (გრიგოლ დადიანის და) 302
მარიამი (ბაგრატ IV-ის ასული) 202
მარიამი (სოლომონ II-ის მეუღლე) 279, 375, 386, 390
მარქსი კ. 66, 217
მარლანია ჯამლეთ 420
მასხარაშვილი ბუჭუა 296
მაჩაბელი ზურაბ 284
მაჭუტაძე 420
მაჰმად-ბეგი 159
მაჰმად-ფაშა 95
მგალობლიშვილი მზია 131, 399
მზეჭაბუკი (სამცხის ათაბაგი) 25, 27, 30, 33
მირზა იუსუფ ყარაბაღელი 323
მირიან ბატონიშვილი 316, 320
მიქაბერიძეები 184
მიქელაძე გიორგი 136, 141, 151
მიქელაძე პაატა 304
მიქელაძე სვიმონ 257
მიქელაძენი 94
მიხაილი (პატრიარქი) 48
მიხეილ თეოდორეს ძე 397, 398
მეთოდე (როსტომ რაჭის ერისთავის ძე) 216
მენაბდე ლ. 473, 475—478, 481, 484, 486
მესხია შ. 432, 433
მესხი თამაზა 257
მესხები 184, 349
მეტრეველი გ. 9
მეტრეველი ელ. 17, 174, 204
მეუნარგია იონა 182, 323, 468
მობური ლატურ 385
მოგილევსკი 369—372
მოურავოვი ანტონ 221, 224, 232, 240
მურიე 465

მურთაზ-ფაშა 405
მუნში ისკანდერ 40, 42
მურად IV 88, 161
მურავიოვი 495
მურასოვი 375
მურიდან მეფე 309
მუსტაფა ლალა-ფაშა 61—64
მუსტაფა 88
მუსტაფა-ფაშა 35, 37
მუსტაფა (სულეიმანის ძმა) 142
მუსტაფა II 151
მუსტაფა III 197
მუსტაფა 256
მუსადია 55
მუსაფაშა 38
მუსხელიშვილი ი. 486
მუსხელიშვილი ლევან 92, 451, 154, 455, 458, 460, 464, 468
მუხრანბატონი იხ. ვახტანგ V
მუჰამედ-ფაშა 63
მხეიძე ბეჟან 416
მხეიძე გიორგი 416
მხეიძეები 198

ნ

ნადირშაპი 167, 171
ნაზარალი-ხანი იხ. ერეკლე I
ნათანაელი 477
ნაიმა მუსტაფა 123
ნაკაშიძე (თავადი) 158
ნაკაშიძე ნ. 77
ნამანა ელჩი 226
ნაპოლეონ I 312, 337, 339, 352, 354, 384, 385
ნემსაძე ბეჟან 56
ნესელროდე 419
ნესტან-დარეჯანი (ალექსანდრე III-ის მეუღლე), დარეჯან დედოფალი 110—114, 115, 117—119, 127—129, 132, 134
ნიკიფორე მიტროპოლიტი 397
ნიკოლა (პატრი) 417
ნიკოლაი დავიდოვიჩი იხ. ერეკლე I
ნიკოლოზ არქიმანდრიტი 170
ნიკოლოზ გენათელი 149
ნიკოლოზ დავითის ძე იხ. ერეკლე
ნიკოლოზ მწირი 479
ნინო(გიორგი XIII ქალიშვილი) 307, 314
ნინო (ლევან V დადიანის დედა) 314
ნიჟარაძე აბესა 386
ნიჟარაძე მერაბ 257, 258
ნიჟარაძე როსტომ 330, 353, 368, 374
ნოლოზი 29

ო

ოდიშელი ჯ. 17, 31, 33, 186
ონოფრე მონაზონი 477
ორბელიანი ალ. 319, 321—323, 326
ორბელიანი გრიგოლ 423
ორბელიანი დავით 482
ორბელიანი დიმიტრი 332, 357—359, 361—365, 378—381, 383, 416
ორბელიანი ზაალ 234
ორბელიანი მზეჭაბუკ 391
ორბელიანი პაპუნა 167, 177, 185—187,191, 192, 205
ორბელიანი იხ. სულხან-საბა
ოსმან II 87
ოსმან-ოღლი 386
ოსესშვილი იესე 412
ოტია ბეჟანის ძე 155, 159

პ

პაატა გიორგის ძე 153
პაატა ბატონიშვილი 252, 267
პაიჭაძე გიორგი 107, 116—119, 158, 172—175, 488
პაველ ალეპოელი 128
პანინი ნიკიტა 220, 221 224, 233, 235, 238, 241, 242
პაპიძე ქაქუჩა 417
პაპუნა (ფეზირი) 81, 82
პაპუნა II (რაჭის ერისთავი) 137, 138
პაპუნა (გედეონ გენათელის ძმისწული) 163, 177
პაპუნა (რაჭის ერისთავი) 119, 120, 141, 143, 153, 201
პაპუნოვი (პაპუნაშვილი) გიორგი 26[illegible]
[illegible] 120

პაულიჩი (მარკაზი) 352
პაბომი (არქიმანდრიტი) 99
პენკლერი 177
პენტელოვი(პენტელაშვილი) 375
პეტრე I 148, 149, 169, 170, 202, 491
პეტრე III 266
პიეტრო დელა ვალე 72
პიუს IV (რომის პაპი) 271
პოლიევქტოვი მ. 77
პოტაპოვი 219, 220, 241
პოტიომკინი გრიგოლ 288, 291—294, 298—300
პოტიომკინი პავლე 272, 282, 283, 285, 287—289, 296, 298

ჟ

ჟორდანია თ. 20, 22, 26, 31, 79, 111, 118, 127, 164, 470, 488
ჟღენტი ანდრია 386
ჟღენტი ბერიკა 386

რ

რაინეგსი 272
რეის ეფენდი 312
რეხვიაშვილი მ. 46, 172, 184, 192, 274, 404
რეხვიაშვილი ნ. 435
რიკპოფი 307, 314, 349, 351—355, 357, 389, 487
რიუფენი 385
როდამი (სოლომონ I-ის და) 275
როზენი 374, 375, 380, 381, 383
როსტომ გიორგის ძე 89
როსტომ კონსტანტინეს ძე 65, 67, 72
როსტომ მეფე (ხოსრო-მირზა) 67—69, 92, 97, 98, 105, 106, 123, 269
როსტომ (რაჯის ერისთავი) 168, 177, 178, 183, 185—187, 190, 192, 194, 196, 199, 201—203, 205—214,216, 218, 406, 480
როსტომ-ფაშა (ახალციხის მფლობელი) 105, 106, 128
როსტომ შოშიტა III-ის ძე 200
როსტომ-ხანი 90, 91
რტიშჩევი 423
რუმიანცევი 361
რუმლუ ჰასან 20—21, 37, 38, 41, 42
რჩეულიშვილი მ. 431

ს

საკაძე გიორგი 88, 89
სალარიძე 376
სანაძე მ. 8
საფარ-ფაშა 405
საყვარელიძე ეკვთ. 477
საყვარელიძე მელქისედეკ 375
სევინდუკ ბეგი 42
სეიდ-ამმედ-ფაშა 406
სეიდ-სულეიმან-ფაშა 416
სეილი ფაშა 405
სელიმ I 25, 26, 28—30, 32
სელიმ-ფაშა იხ. ხიმშიაშვილი (სელიმ-ფაშა)
სიმონ I 65, 67, 68
სიმონ (მეფე ქართლისა) 62—64, 66, 67
სიმონ ალექსანდრე IV-ის ძე 145, 147, 150, 152
სიმონოვიჩი 364—369, 371, 372, 375, 378—384, 386, 389
სინან ფაშა 63, 64
სიპიაგინი 420
სიხარულიძე ქ. 186, 187
სვანიძე მ. 8, 26, 39, 40, 42 43, 61, 63, 64, 161
სვიმონ (გურიელის ძე) 79
სვიმონ (გიორგი აბაშიძის ძმისშვილი) 79
სვიმონ კათალიკოსი 127
სვიმონ მეფე 68, 69
სვიმონ ქუთათელი 136, 138, 141, 407
სოკოლოვი 329, 331
სოლომონ I, დიდი 11, 168, 175—197, 199—229, 234—242, 245, 247—264, 268, 270—290, 293, 295,

296, 302, 304, 307, 308, 393, 394, 406, 407, 409—411, 480, 481, 483—488, 490, 492
სოლომონ II, დავით არჩილის ძე 11, 166, 179, 206, 216, 300—303, 306—313, 316, 317, 319—335, 337—343, 346—371, 373—377, 379—390, 415, 481, 485—488
სოსელია ო. 7, 45, 46, 52, 57, 114, 119, 120, 144, 167, 178, 183, 197, 198, 200, 207, 208, 211, 438, 440, 441, 445, 451, 455, 457, 460, 464—466
სტრაბონი 420
სტროგანოვი 418
სულეიმან I 32, 37, 42
სულეიმან-ფაშა 290 294
სულეიმანი 142
სულხან-საბა ორბელიანი 409
სუმბათაშვილი 372, 374
სუხოტინი 243—250

ტ

ტავერნიე ჟან ბატისტ 86, 397, 398, 401
ტატიშვილი ვ. 138
ტივაძე თ. 107, 121, 132—134, 404
ტიტოვი 378
ტიხოცკი 379
ტოლოჩანოვი ნ. 49, 99—102, 428, 429, 433, 443, 444, 479
ტოლსტოი ბ. 149
ტორშასოვი 358—362, 364—376, 378—380, 383—386, 415
ტოტლებენი 221, 224, 225, 227—246, 248, 250—252, 409, 493
ტუჩკოვი 333, 342

უ

უგრეხელიძეები 184
უზუნ-ჰასანი 19, 27
ურბნელი ნ. 446
უსტაჯლუ 42
უსუფი (ისიუ-ფაშას ძე) 158, 159
უსუფ-ფაშა 355

ფ

ფათალი-ხანი 267,271
ფალავანდოვი (ფალავანდიშვილი) 375
ფანჩულიძე დავით 172
ფარად-ფაშა 106
ფარნაოზ ბატონიშვილი 332—334
ფაშვიბერტყაძე (ხითარიშვილი) ფეშანგი 479
ფეკეტე ლ. 42
ფეოდოროვი ივანე 116
ფეშანგ მდივანი 104
ფეშანგი 111, 270
ფეშანგი სტეფან 323, 325
ფეჩევი იბრაჰიმ 37, 38
ფინეზაშვილი-აბაშიძე ნიკო 183
ფლავიოს იოსიპოს 477
ფრიდრიხ II 243
ფუთურიძე გ. 406
ფუთურიძე ვ. 20, 21, 87, 88, 106, 114, 118, 121, 124
ფურცელაძე დ. 154

ქ

ქაიხოსრო ათაბაგი 52, 53
ქაიხოსრო უუარუუარეს ძე 34—36, 39, 40
ქართველიშვილი ოანე 323 ,486
ქეთევანი იხ. ეკატერინა
ქემხა 187
ქერიმ-ხანი 222, 258, 259, 262, 264—266
ქერიმ-ხან ზენდი 315
ქვარიანი (გენათელი ეპისკოპოსი) 97
ქვარიანი ზაქარია 477
ქიორბეი იხ. გიორგი როსტომ რაჰის ერისთავის ძე
ქიქოძე გ. 391

ქობინაშვილი 476
ქორქაშვილები 184
ქუთათელაძე ლ. 487
ქუთფაჯ-ფაშა 406

ღ

ღოღობერიძე ბეჟან 115, 120
ღოღობერიძეები 184

უ

უაუხჩიშვილი თ. 475
ყვარყვარე 14, 17, 20, 63
ყვარყვარე III 33—35
ყიფიანები 184
ყიფიანი დიმიტრი 326
ყუფუჩი 140

შ

შალიკაშვილი ოთარ 34—36, 39
შამადაელე იოსების ძე 121
შანშე (ქსნის ერისთავი) 165, 171, 172
შარდენი ჟან 82, 98, 130, 131, 272, 397—399, 402, 420, 429
შარვაშიძე 15
შაჰ-აბაზი, შაჰ-აბასი 44, 72—75, 91
შაჰ-თამაზი 34—37, 40, 42
შაჰ-ისმაილი 30, 41
შაჰ-ნავაზი იხ. ვახტანგ V
შაჰ-ყულუ ზენ ჰამზა 42
შაჰ-ხუდაბანდე 62
შენგელია ნ. 123, 353, 391
შერვაშიძეები 71, 421
შერვაშიძე ალ. 420
შერვაშიძე ასლან-ბეგ 382
შერვაშიძე ბეჟან 421
შერვაშიძე მანუჩარ 373
შერვაშიძე მიხეილ 420
შერვაშიძე სეტემან 79
შერვაშიძე სორეხ 81, 82
შერვაშიძე ქელეშ-ბეი 297, 314
შერვაშიძე ქუჩუკ-ბეი 363
შერვაშიძე ხუტუნია 187
შერვაშიძე ჰასან-ბეგი 420
შერვაშიძე (აფხაზეთის მთავარი) 139, 154, 159, 179, 227
შერიფ-ფაშა 364, 366
შოშიტა (რაჭის ერისთავი) 120, 136, 137,154—157, 163
შოშიტა II 200
შოშიტა III 144, 202, 206, 482

ჩ

ჩარტორიისკი 340
ჩელები ევლია 26, 86, 87, 405, 406, 428
ჩერქეზიშვილი-რუსთაველი ნიკოლოზ 483
ჩიქვანი გიორგი 301, 314
ჩიჩუა კაცია 190
ჩიჯავაძე ვახუშტი 373
ჩიჯავაძე 67
ჩიჯავაძე ქაიხოსრო 304
ჩოგლოკოვი 231
ჩუბინაშვილი დ. (ჩუბინოვი) 167, 177, 191, 205, 278, 326
ჩხატარაშვილი ქ. 8, 148—150, 157, 158, 162, 164, 176, 178, 179, 190, 195, 196, 274—276, 291
ჩხეიძე გრიგოლ 386
ჩხეიძე სეხნია 127—129, 136, 158, 164, 200
ჩხეიძე შოშიტა 45
ჩხეიძე ხოფილანდრე 52
ჩხეიძეები 66
ჩხეტიძეები 67, 198
ჩხეტიძე ევდემონ 475—477
ჩხეტიძე სვიმონ 126
ჩხეტიძე შოშიტა 198

ც

ცაგარელი ა. 178, 181, 193, 196, 202, 204, 218, 219, 221—223, 227,

229—242, 244, 250—252, 254, 271—273, 291, 318, 320
ციშვილი ს. 261
ციეტოვი ვ. 487
ცინცაძე იასე 76, 99—101, 104, 232, 245, 247, 248, 272, 273, 292, 294, 319, 320, 323, 429, 443
ცინცაძე ნავკრატიოზ 477
ციციანოვი (ციციშვილი) პავლე დიმიტრის ძე 311—314, 331—334, 337—352, 356, 359, 363, 366, 367, 388, 389, 394, 414, 415
ციხისთავიშვილი იოსებ 417
ცოტნიაშვილი 467
ცქიტიშვილი ზ. 8, 180, 181, 197, 200, 251, 294, 394

ძ

ძამპი დონ-მარი-ეოზეფ 131, 402
ძენო კატერინო 27—29

წ

წერეთლები 66, 68, 214, 257, 258, 269, 295 301, 302
წერეთელი ბეჟან 257
წერეთელი ბერი 390
წერეთელი გიორგი 269, 374
წერეთელი გრიგოლ 390
წერეთელი დავით 269
წერეთელი დოსითეოს იხ. დოსითეოზ კათალიკოსი
წერეთელი ვახუშტი 257
წერეთელი ზაალ 114
წერეთელი ხურაბ 166, 168, 257, 276, 284, 288, 291, 293, 294, 298, 302 304,320, 321, 325, 340, 342, 353, 356, 358—366, 369, 373, 389, 391, 393, 482
წერეთელი ნიკოლოზ 194
წერეთელი პაატა 110
წერეთელი პაპუნი 165, 210, 213, 257, 281, 182, 284, 287, 289, 295, 298
წერეთელი როსტომ 364, 379, 380 390
წერეთელი სვიმონ გიორგის ძე 374, 379, 380, 390
წერეთელი ქაიხოსრო 110, 166, 194, 304, 333, 340, 342, 368, 377, 385, 386, 390
წერეთელი ქეელი 257, 269
წულუკიძე ბერი 214, 257, 258, 278, 281, 284, 289, 295, 297, 370
წულუკიძე გიორგი 214, 284, 295, 483
წულუკიძე მერაბ 163
წულუკიძე ოტია 373
წულუკიძე პაატა 79, 80, 203, 214
წულუკიძე სეხნია 304, 342, 367, 368, 373
წულუკიძე სვიმონ 370
წულუკიძე ქაიხოსრო 370
წულუკიძე (რაჭის საერისთაოდან) 185
წულუკიძეები 214, 257, 295, 301

ჭ

ჭაბუკიანები 184
ჭავჭავაძე გარსევან 299
ჭავჭავაძე ილია 494
ჭანტურიძე პ. 417
ჭილაძე დარეჯან 104
ჭილაძე ვარაზა 56
ჭილაძე (ოდიშის დიდებული) 400, 401
ჭილაძე ჯავახ 57
ჭილაძეები 57, 94
ჭიჭინაძე ზ. 111, 113, 260, 318, 320, 323—325, 333
ჭიჭინაძე ივანე 132

ხ

ხალილ-ფაშა 150, 1,1
ხახანაშვილი ალ. 346, 359, 366, 374, 379, 383, 385—387, 447

ხელაშვილი იონა-ბერი 325
ხერხეულიძე ო. 267, 326
ხერხეულიძე ზაალ 137
ხვაბულოვი 223, 224
ხვარამზე (გიორგი იმერთა მეფის ასული) 89
ხიმშიაშვილი სელიმ-ფაშა 414, 416
ხიმშიაშვილი ახმედ-ბეგი 420
ხინთიბიძე ე. 273
ხონდემირი 41
ხოსიტაშვილი ს. 15
ხოსრო ვახტანგის ძე 55
ხოსრო-მირზა (დაუთ-ხანის უკანონო შვილი, პირველი გამაჰმადიანებული ბაგრატიონი, რომელმაც 1632 წელს განდევნა თეიმურაზ I) 123 იხ. როსტომ-მეფე
ხუსკივაძე ო. 370
ხუსრევ ფაშა 63

ჯ

ჯავახიშვილი ივ. 12, 15—19, 26, 34, 41, 75, 92, 94, 108, 146, 171, 256, 271, 272, 426, 428—430, 442
ჯათიშვილი გ. 486
ჯამბაკურ-ორბელიანი ალექსანდრე ვახტანგის ძე 321
ჯამბურია გ. 89, 92, 466, 469
ჯანაშვილი მ. 262, 446
ჯანაშია მ. 317
ჯანაშია ს. 19, 26, 146, 171, 198, 256
ჯანელიძე დ. 263, 264
ჯაფარაშვილი ჯაფარა 203, 204
ჯაფარიძე (იმერეთის ელჩი რუსეთში) 328
ჯაფარიძე 370
ჯაფარიძე ლომკაც 102
ჯიქია ს. 26
ჯუდიჩე მილანელი დონ ჯუზეპე 82
ჯუდიჩე იოსებ 89, 92, 93, 98
ჯუმათელი მიტროპოლიტი 363

ჰ

ჰამერი 177—180, 191, 193, 194, 205
ჰასან-ფაშა 192, 194
ჰაჯი-აჰმედი 190, 191
ჰაჯი-ბეგ ზადე ფაშა 63
ჰაჯი-ალი-ფაშა 264
ჰუსეინ-ყულიხანი 351
ჰედაიად-ხანი 264

შინაარსი

შესავალი . . . 5

ნაწილი პირველი

XVI საუკუნე

ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლა და იმერეთის სამეფოს წარმოქმნა . . . 12
იმერეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკური ვითარების გართულება, ოსმალეთის აგრესიის დასაწყისი . . . 23
იმერეთის მეფის ბაგრატ III შიდასახელმწიფოებრივი ღონისძიებანი 44
იმერეთის სამეფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება ამასიის ზავის შემდეგ . . . 54
იმერეთის სამეფო XVI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში 60

ნაწილი მეორე

XVII საუკუნე

იმერეთის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობა XVII საუკუნის პირველ ნახევარში . . . 70
იმერეთის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობა XVII საუკუნის მეორე ნახევარში . . . 108

ნაწილი მესამე

VIII საუკუნე

იმერეთის სამეფო XVIII საუკუნის მიჯნაზე . . . 146
შინაფეოდალური ომები იმერეთის სამეფოში და თურქი ინტერვენტები 147
სოლომონ I-ის გამეფება და მისი პირველი ღონისძიებანი . . . 175
ხრესილის ომი . . . 184
საეკლესიო კრება . . . 187
ბრძოლა თურქებთან 1758—1768 წწ. . . . 190
სოლომონ მეფე და როსტომ რაჭის ერისთავი . . . 197
რუსეთ-თურქეთის ომი 1768—1774 წლებში და იმერეთის სამეფო 217
ქეჩუკ-კაინარჯის ზავიდან ნაპოლეონის ბრძოლამდე . . . 256
ბრძოლა ტახტისათვის და ამერ-იმერის გაერთიანების ცდა . . . 280
იმერთა მონაწილეობა კრწანისის ბრძოლაში . . . 315
სოლომონ II. ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის 326
ტყვის სყიდვა დასავლეთ საქართველოში 395

XVI—XVIII საუკუნეების იმერეთი

სამეფოს სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა 425
საზოგადოებრივი წოდებანი — თავადი 438
გლეხი 446
მსახური 457
ხიზანი 468

წერილობა და ხელოვნება XI-XII—XIII საუკუნეების იმერეთის ხალეფოში 472
იმერეთის ისტორია ერთი თვალის გადავლებით . . 489
იმერეთის მეფეთა სია 498
ლიტერატურა . . 500
უცხოენოვანი ავტორები 505
პირთა საძიებელი 508

გამომცემლობის რედაქტორი მ. ინასარიძე
მხატვარი ო. ქანდარია
სამხატვრო რედაქტორი ი. ჩიქვინიძე
ტექნიკური რედაქტორი ფ. ბუდღაშვილი
კორექტორი ე. ხურცია

გარეკანის პირველ გვერდზე იმერეთის სამეფოს დროშა

სბ 1555

გადაეცა წარმოებას 3.05.88. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.11.88 უე 07991. საბეჭდი ქაღალდი 60×90 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 33. სალრ.-საგამომც. თაბახი 30,08 ტირაჟი 20 000 შეკვეთის № 4537.

ფასი 2 მან. 10 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პრ. 14.

Издательство Тбилисского университета
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და
წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის
ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება,
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 33.
Кутаисское полиграфическое производственное объединение
Государственного комитета по делам издательств, полиграфии
и книжной торговли Грузинской ССР
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 33.